საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამაზ ხმელიძე, დავით გურგენიძე,
ლევან კლიმიაშვილი, კახაბერ ხმელიძე

სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი

ტომი I

ა - გ



დამტკიცებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 05.07.2019, ოქმი №2

თბილისი

2019

უაკ 030.8:624

სამშენებლო ენციკლოპედიურ ლექსიკონში თავმოყრილი და გადამუშავებულია 16018 ტერმინი, რომლებიც ეხება სამშენებლო საქმესა და მასთან მონათესავე მიმართულებებს, როგორებიცაა: არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება, საკულტო და საერო ნაგებობები, წყლის ინჟინერია, მენეჯმენტი, ეკონომიკა, უსაფრთხოება, სეისმომედეგობა, მექანიკა, საგანგებო სიტუაციები, გეოინჟინერია, მეტალურგია, ბიზნესი, კომპიუტერული მეცნიერება და სხვ. ტერმინების დიდ ნაწილს თან ახლავს ეტიმოლოგიური კვლევები, რომელთა ბაზისად აღებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის მასალები. ტერმინის განმარტების სრულყოფილად აღქმისათვის ლექსიკონში ჩართულია ფერადი სურათები და ნახაზები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 4740 ერთეულს. ლექსიკონის მოცულობაა 5 ტომი.

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. ძირითადი ავტორების გარდა მასში მონაწილეობდა ფაკულტეტის 43 პროფესორი და სტუდენტი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების 6 წარმომადგენელი.

ნაშრომის მიზანია ქართველ მშენებლებს მიაწოდოს მშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინების თანამედროვე განმარტებები, ხოლო პროფესიონალ მკვლევრებს, გამომცემლებს და, ზოგადად, ლექსიკოგრაფიითა და ლექსიკოლოგიით დაინტერესებულ პირებს მისცეს ქართველ მშენებლებთან უშუალო დიალოგის შესაძლებლობა.

ლექსიკონი განკუთვნილია მშენებელი ინჟინრების, სტუდენტების, არქიტექტორების, სამუშაოთა მწარმოებლების, ექსპერტების, ბიზნესმენების, საჯარო რეესტრის, სანოტარო ბიუროების, ადვოკატების, სასამართლოების, სამინისტროების, ქალაქებისა და მუნიციპალური სამსახურების, ჟურნალისტების, მშენებელი მუშებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროფესორების – **დავით გურგენიძისა და თამაზ ხმელიძის საერთო რედაქციით**

სარედაქციო კოლეგია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან: გურამ აბაშიძე – პროფესორი; თამაზ ბაციკაძე – პროფესორი; ზურაბ გასიტაშვილი – პროფესორი; ზურაბ გედენიძე – პროფესორი; გინა გურეშიძე – პროფესორი, ალექსანდრე გრიგოლიშვილი – ინჟინერ-ენერგეტიკოსი; დავით გურგენიძე – პროფესორი (თავმჯდომარის მოადგილე); როინ იმედაძე – პროფესორი; ლევან კლიმიაშვილი – პროფესორი (თავმჯდომარე); რევაზ მახვილაძე – პროფესორი; ელგუჯა მეძმარიაშვილი – აკადემიკოსი; ქეთევან ქორქია – ასოცირებული პროფესორი; მალხაზ წიქარიშვილი – პროფესორი; თამაზ ხმელიძე – პროფესორი (თავმჯდომარის მოადგილე).

ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტიდან (პოლონეთის რესპუბლიკა): ლეხ დზიენისი – პროფესორი, ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი; ანატოლი გურინოვიჩი – პროფესორი.

მეცნიერ-კონსულტანტები:

არჩილ ფრანგიშვილი – აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი; **ნანა მაჭავარიანი** – პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი; **ბაკურ გულუა** – ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს საპატრიარქოს განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი; **ავთანდილ სილაგაძე,** აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი.

რეცენზენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი **არჩილ მოწონელიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **ვაჟა პაპასკირი**

© საგამომცემლო სახლი `ტექნიკური უნივერსიტეტი~, 2019
ISBN 978-9941-28-496-0 (ყველა ტომი)
ISBN 978-9941-28-497-7 (პირველი ტომი)
ჰტტპ://წწწ.გტუ.გე
ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.
წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.
ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

Georgian Technical University

Tamaz Khmelidze, David Gurgenidze
Levan klimiashvili, Kakhaber Khmelidze

Building Encyclopedic Dictionary

Volume I
A – G

Approved by Editorial-
Publishing Council of
Georgian Technical University
05.07.2019, №2

Tbilisi

2019

UDC 030.8:624
The Building Encyclopedic Dictionary features and processes 16018 terms related to civil engineering and close fields such as: architecture, religious and civil buildings, water engineering, management, economics, security, seismicity mechanics, emergency situation, geo-engineering, metallurgy, business, computer science and others. The majority of terms have undergone etymological researches based on Oxford University material. In order to perfectly perceive the term, the dictionary is provided with 4740 colored photos and drafts. The number of volumes of the dictionary is 5.

The Encyclopedic Dictionary is made ready at the faculty of Civil Engineering. Besides the chief authors, 43 professors and students of the faculty participated in the work, as well as 6 representatives of different institutions.

The objective of the dictionary is to provide Georgian civil engineers with modern interpretation of the terms related to the sphere, whereas the professional researchers, publishers and, particularly, the people interested in lexicography and lexicology will gain the opportunity to carry on an immediate dialogue with Georgian civil engineers.

The dictionary is intended for: civil engineers, students, architectures, clerks, experts businessmen, public registry, notary bureaus, lawyers, courts, ministries, cities and municipal services, journalists, house-builders and all concerned.

Under the general editorship of professors David Gurgenidze and Tamaz Khmelidze

Editorial Board

Georgian Technical University:

Professors: Guram Abashidze, Tamaz Batsikadze, Zurab Gasitashvili, Zurab Gedenidze, Gina Gureshidze, David Gurgenidze (vice-chairman), Roin Imedadze, Levan Klimiashvili (chairman), Revaz Makhviladze, Malkhaz Tsikarishvili, Tamaz Khmelidze (vice-chairman)

Associated professors: Ketevan Korkia

Academics: Elguja Medzmariashvili

Power engineer – Aleksandre Grigolishvili

Bialystok University of Technology (Poland):

Professors: Lech Dzienis (rector of University), Anatoli Gurinovich

Consulting Scientists:

Archil Prangishvili – academician**,** the rector of Georgian Technical University;

Nana Machavariani – professor**,** the director of Arnold Chikobava Institute of Linguistics of Georgian State University;

Bakur Gulua – civil engineer, the chief of the Center of Georgian Patriarchy Development

Avtandil Silagadze – academician, the chairman of the Department of International Economics and the History of Economic Teachings at Georgian State University.

Reviewers:

Prof. Archil Motsonelidze – the Faculty of Civil Engineering – GTU,

Prof. Vasja Papaskiri – the Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences – GTU

© Publishing house "Technical University", 2019

ISBN 978-9941-28-496-0 (all volumes)

ISBN 978-9941-28-497-7 (Vol. I)

http://www.gtu.ge

Copyright reserved. This book cannot be used in any part of it (will it be the text, photo, illustration or others) and in any form and way (will it be electronic or mechanical) without the consent of the publisher in writing Copyright infringement is punishable by law.

The author(s) is/are responsible for the accuracy of the facts given in the book.

The author's/s' position may not coincide with that of the publishing house.

შემოკლებანი და პირობითი აღნიშვნები

ავიაც. - ავიაცია
ავსტრალ. - ავსტრალია
აზერბ. - აზერბაიჯანული
ალპინ. - ალპინიზმი
ამერ. - ამერიკელ ინდიელთა ენები
ანატ. - ანატომია
ანგლონორმ. - ანგლონორმანდიული ენა
ანთროპ. - ანთროპოლოგია
აიმარ. - აიმარული ენა
არაბ. - არაბული
არამ. - არამეული ენა
არქეოლ. - არქეოლოგია
არქიტ. - არქიტექტურა
ასტრ. - ასტრონომია
ატმ. - ატმოსფერო
აფრ. - აფრიკაანსი (ენა)
აფრიკ. - აფრიკული ენები
აცტეკ. - აცტეკური
ა.შ. - ასე შემდეგ
ახ. - ახალი
ახ. ლათ. - ახალი ლათინური ენა
ბაბილ. - ბაბილონური ენა
ბერძ. - ბერძნული ენა
ბერბერ. - ბერბერული
ბიბლიოთ. - საბიბლიოთეკო
ბიოლ. - ბიოლოგია
ბოტან. - ბოტანიკა
ბრეტონ. - ბრეტონული
ბულგ. - ბულგარული
ბუღ. - ბუღალტერია, საბუღალტრო
გადატ. - გადატანითი მნიშვნელობა
გალ. - გალიური
გეოგრ. - გეოგრაფია
გეოგრ. სახ. - გეოგრაფიული სახელი
გეოდ. - გეოდეზია
გეოლ. - გეოლოგია
გეომ. - გეომეტრია
გეოფიზ. - გეოფიზიკა
გერმ. - გერმანული
გვიანდ. - გვიანდელი
გოტიკ. - გოტიკური
გრამატ. - გრამატიკა

დაახლ. - დაახლოებით
დან. - დანიური
დიპლ. - დიპლომატია
დღ. - დღეღამე
ებრ. - ებრაული
ეგვიპტ. - ეგვიპტური ენა
ე.წ. - ეგრეთ წოდებული
ეთიოპ. - ეთიოპიური
ეთნ. - ეთნოგრაფია
ეკლ. - საეკლესიო
ეკონ. - ეკონომიკა
ელექტრ. - ელექტროტექნიკა
ესპ. - ესპანური
ესპერ. - ესპერანტო
ესტონ. - ესტონური
ვაჭრ. - ვაჭრობა
ვწყ. სვ. - ვერცხლისწყლის სვეტი
ვ - ვოლტი
ვტ - ვატი
ზედსართ. - ზედსართავი სახელი
ზოოლ. - ზოოლოგია
ზოოტექ. - ზოოტექნიკა
ზღ. დ. - ზღვის დონიდან
თათრ. - თათრული
თეატ. - თეატრი
თურქ. - თურქული
იავ. - იავური
იაკუტ. - იაკუტიური
იაპ. - იაპონური
ივრ. - ივრითი
ინგლ. - ინგლისური
ინდ. - ინდური
ინფორ. - ინფორმატიკა
ინუიტ. - ინუიტური
ირან. - ირანული
ისლანდ. - ისლანდიური
ისტ. - ისტორიული
იტალ. - იტალიური ენა
კდ. - კანდელა
კატალ. - კატალონიური ენა
კელ. - კელვინი
კარიბ. - კარიბული
კელტ. - კელტური
კორნ. - კორნული ენა (ან კორნუოლური ენა)

კეჩ. - კეჩუა
კვ - კილოვოლტი
კვმ - კვადრატული მეტრი
კვტ - კილოვატი
კინემატ. - კინემატოგრაფია
კნ - კილონიუტონი
კნინ. - კნინობითი
კომერც. - კომერციული
კომპ. - კომპიუტერული მეცნიერება
კრებ. - კრებითი
კულინ. - კულინარია
კუნძ. - კუნძული
კჯ. - კილოჯოული
ლათ. - ლათინური
ლაკ. - ლაკური
ლინგვ. - ლინგვისტიკა
ლიტ. - ლიტერატურა
ლოგ. - ლოგიკა
მათემ. - მათემატიკა
მალ. - მალაიური ენა
მალგაშ. - მალგაშური
მამრ. - მამრობითი
მანქ.სთ. - მანქანა საათი
მანქ. ცვლა - მანქანა ცვლა
მანჯურ. - მანჯურიული
მგვტ - მეგავატი
მგჰც - მეგაჰერცი
მდედრ. - მდედრობითი
მდ. - მდინარე
მეგრ. - მეგრული
მედიც. - მედიცინა
მეტალ. - მეტალურგია
მემცენ. - მემცენარეობა
მექ. - მექანიკა
მთ.-მად. - სამთამადნო საქმე
მითოლ. - მითოლოგია
მინერ. - მინერალოგია
მისთ. - მისთანები, მისთანათა
მკმ. - მიკრომეტრი
მკრ. - მიკრონი
მონღ. - მონღოლური
მოძვ. - მოძველებული
მქკ - მარგი ქმედების კოეფიციენტი
მრ.რ. - მრავლობითი რიცხვი

მრეწვ. - მრეწველობა
მუს. - მუსიკა
მშენ. - მშენებლობა
მ.შ. - მათ შორის
მხ.რ. - მხოლობითი რიცხვი
ნ - ნიუტონი
ნანომ. - ნანომეტრი
ნათეს. - ნათესაობითი ბრუნვა
ნაწილ. - ნაწილაკი
ნიდერლ. - ნიდერლანდური
ოპტ. - ოპტიკა
ორიგ. - ორიგინალი
ნორვეგ. - ნორვეგიული
პ. - პიკო
პალეონტ. - პალეონტოლოგია
პედაგ. - პედაგოგიკა
პეტროგრ. - პეტროგრაფია
პოეტ. - პოეტური
პოზ. - პოზიცია
პოლიგრ. - პოლიგრაფია
პოლინეზ. - პოლინეზიური ენები
პოლიტ. - პოლიტიკური
პოლონ. - პოლონური
პორტუგ. - პორტუგალიური
პროვანს. - პროვანსული
პფ. - პიკოფარადი
რად. - რადიანი
რკ.ბ. - რკინაბეტონი
რუმინ. - რუმინული
რუს. - რუსული
ს. - სოფელი
სავარ. - სავარაუდო
საზღვ. - საზღვაო
სამართ. - სამართალი
სამოქ. - სამოქალაქო
საფინ. - საფინანსო
ს.გ. - სამხრეთ განედი
სერბ. - სერბული
სამხ. - სამხედრო
სანსკ. - სანსკრიტი
საპირისპ. - საპირისპირო
საუკ. - საუკუნე
სთ. - საათი
სითბ. - სითბური

სინჰ. - სინჰალური
სკანდ. - სკანდინავიური
სომხ. - სომხური
ს. მეურნ. - სოფლის მეურნეობა
სპარს. - სპარსული
სპეც. - სპეციალური
სპორტ. - სპორტული
ტექ. - ტექნიკური
ტექნ. - ტექნიკა
ტიბეტ. - ტიბეტური
ტოპოგრ. - ტოპოგრაფია
ტუნგუს. - ტუნგუსური
უარყ. - უარყოფითი
უკრ. - უკრაინული
უმართებ. - უმართებულო
უნგრ. - უნგრული
ფ. - ფარადი
ფარმაკ. - ფარმაკოლოგია
ფიზ. - ფიზიკა
ფიზიოლ. - ფიზიოლოგია
ფილოს. - ფილოსოფია
ფინ. - ფინური
ფინანს. - ფინანსები
ფინიკ. - ფინიკიური
ფლამანდ. - ფლამანდიური
ფოტოგრ. - ფოტოგრაფია
ფრანგ. - ფრანგული
ფსიქ. - ფსიქოლოგია
ქ. - ქალაქი
ქართ. - ქართული
ქიმ. - ქიმია
ყაზახ. - ყაზახური
შემოკლ. - შემოკლებით, შემოკლებული
შვედ. - შვედური
შოტლ. - შოტლანდიური
შუაგერმ. - შუაგერმანული
შუაინგლ. - შუაინგლისური
შუაფრანგ. - შუაფრანგული
შუასაუკუნ. - შუასაუკუნეების
ჩ.გ. - ჩრდილოეთ განედი
ჩეხ. - ჩეხური
ჩინ. - ჩინური
ციმბრ. - ციმბირული
ცხ.ძ. - ცხენის ძალა

ძვ. - ძველი
ძვ. ებრ. - ძველი ებრაული
ძვ. ინგლ. - ძველი ინგლისური
ძვ. ნორვეგ. - ძველი ნორვეგიული
ძვ. ქართ. - ძველი ქართული
ძვ. ფრანგ. - ძველი ფრანგული
ძვ. წ. - ძველი წელთაღრიცხვით
ჩვ. წ. - ჩვენი წელთაღრიცხვით
წთ. - წუთი
წ. - წამი
წმ. - წმინდა
წწ. - წელიწადი
წ/ც - წყალცემენტი
ხევს. - ხევსურეთი
ხელოვნ. - ხელოვნება
ხორვ. - ხორვატული
ჰც - ჰერცი
ჰინდ. - ჰინდი ენა
ჰოლანდ. - ჰოლანდიური

ქართული ანბანი

ა (ან)	მ (მან)	ღ (ღან)
ბ (ბან)	ნ (ნარ)	ყ (ყარ)
გ (გან)	ო (ონ)	შ (შინ)
დ (დონ)	პ (პარ)	ჩ (ჩინ)
ე (ენ)	ჟ (ჟან)	ც (ცან)
ვ (ვინ)	რ (რაე)	ძ (ძილ)
ზ (ზენ)	ს (სან)	წ (წილ)
თ (თან)	ტ (ტარ)	ჭ (ჭარ)
ი (ინ)	უ (უნ)	ხ (ხან)
კ (კან)	ფ (ფარ)	ჯ (ჯან)
ლ (ლას)	ქ (ქან)	ჰ (ჰაე)

ბერძნული ანბანი

Α, α (ალფა)

Β, β (ბეტა)

Γ, γ (გამა)

Δ, δ (დელტა)

Ε, ε (ეფსილონი)

Ζ, ζ (ძეტა)

Θ, θ (თეტა)

Ι, ι (იოტა)

Κ, κ (კაპა)

Λ, λ (ლამბდა)

Μ, μ (მიუ)

Ν, ν (ნიუ)

Ξ, ξ (ქსი)

Ο, ο (ომიკრონი)

Π, π (პი)

Ρ, ρ (რო)

Σ, σ (სიგმა)

Τ, τ (ტაუ)

Υ, υ (იფსილონი)

Φ, φ (ფი)

Χ, χ (ხი)

Ψ, ψ (ფსი)

Ω, ω (ომეგა)

ლათინური ანბანი

A, a (ა)	**N, n** (ენ)
B, b (ბე)	**O, o** (ო)
C, c (ცე)	**P, p** (პე)
D, d (დე)	**Q, q** (ქუ)
E, e (ე)	**R, r** (ერ)
F, f (ეფ)	**S, s** (ეს)
G, g (ჟე)	**T, t** (ტე)
H, h (ჰაშ)	**U, u** (უ)
I, i (ი)	**V, v** (ვე)
J, j (ჟი)	**W, w** (დუბლ-ვე)
K, k (კა)	**X, x** (იქს)
L, l (ელ)	**Y, y** (იგრეკ)
M, m (ემ)	**Z, z** (ზეტ)

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული) რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977. - 521 გვ.
2. ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული) რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982. - 568 გვ.
3. მ. ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ.: 1964. - 434 გვ.
4. ნ. ი. ალექსიშვილი, გ. შ. ქოჩლაძე-ახალაია. არქიტექტურულ-სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: 1986. -157 გვ.
5. ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი (ონლაინვერსია).
6. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი (ონლაინვერსია).
7. საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი (ონლაინვერსია).
8. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: (3 ტომად) / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამოც. - თბ.: გამომცემლობა „ფანტაზია“, 2006.
9. სილაგაძე ა. ეკონომიკური ლექსიკონი. თბ.: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001. - 676 გვ.
10. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი / შეადგინა ა. ნეიმანმა. - მე-3 გამოც. - თბ.: განათლება, 1978. - 559 გვ.
11. გ. ჯოლია. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. სტუ, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსისტეტი“. თბ.: 2008. -102 გვ.
12. თ. მარგალიტაძე, გ. მელაძე, გ. ხუნდაძე. ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი. თბ.: 2009. ონლაინ-ვერსია: http://mil.dict.ge.
13. საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი / გიორგი გიორგიძე, გურამ კარტოზია; საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ცენტრ. სამეც. ბიბ-კა. - მე-2 შევს. და გადამუშ. გამოც. - თბ.: მეცნიერება, 1974. - 157გვ.
14. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი / საქ. ეროვნ. მუზეუმი; (პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ელდარ ნადირაძე; რედ. როინ მეტრეველი; ავტორები: გვანცა არჩვაძე, მარინა ბოკუჩავა, თამარ გელაძე და სხვ.). - თბ. : გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012. - 602 გვ.
15. ჯავახური ლექსიკონი / გიორგი ზედგინიძე; რედ. ვლადიმერ ზედგინიძე. - თბ.: გამომცემლობა „საუნჯე“, 2014. - 370 გვ.
16. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ.: 2005. - 283გვ.
17. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / (სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომც.: ლაშა ბერაია) - თბ.: ლოგოს პრესი, 2004. - 351გვ.
18. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; (შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე) - თბ.: 2004. - 483გვ.
19. ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია. შემდგენლები: პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე, ლ. ჩიქავა, ა. კოშკელაშვილი, თბ.: 2001.
20. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი/შემდგენლები: ა. სილაგაძე, გ. გოშაძე, ვ. ზურაბიშვილი, თ. დემეტრაშვილი, თ. ათანელიშვილი, თბ.: თსუ: საგამომცემლო სახლი ,,ინოვაცია”, 2005. - 822 გვ.

21. ი. ჩუთლაშვილი. სატყეო-ტექნიკური და მერქნის დამუშავების განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: 2007. - 613 გვ.
22. ნ. მახვილაძე. მათემატიკა, მექანიკა (ტერმინები, ცნებები, განსაზღვრებები). თბ.: 2001. - 405 გვ.
23. ლ. სუთიძე, გ. იაკობაშვილი. განმარტებითი ლექსიკონი ამწე-სატრანსპორტო, სამშენებლო-საგზაო მანქანებსა და მოწყობილობებში. სტუ: 2012. - 124 გვ.
24. თ. ხმელიძე. ხის კონსტრუქციები. თბ.: სტუ, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2015. -531 გვ.
25. თ. ხმელიძე. ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები. თბ.: სტუ, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსისტეტი“. 2008. -210 გვ.
26. თ. ხმელიძე, ა. სოხაძე. ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები (სახელმძღვანელო სტუდენტი მაგისტრანტებისათვის). თბ.: 2005. -380 გვ.
27. გ. აბაშიძე, თ. ხმელიძე, რ. მახვილაძე. რეკომენდაციები შენობებისა და ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. თბ.: 2011. -52 გვ.
28. გ. ცინცაძე. მშენებლობის ეკონომიკა. „განათლება“. თბ.: 2008. -323 გვ.
29. თ. ჟორდანია, ვ. ლოლაძე და სხვ. სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია. თბ.: 2006. -330 გვ.
30. არაორგანული მასალათამცოდნეობისა და მეტალურგიის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი/შემდგ. პროფ. ომარ შურაძე. თბ.: 2008. - 775 გვ.
31. მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი: (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული). მთ. რედ.: გ. ქაშაკაშვილი; თბ.: 2011. -1000 გვ.
32. სახურავის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი (ონლაინვერსია).
33. არქიტექტურული ტერმინების ლექსიკონი (ონლაინვერსია).
34. ე. თაყაიშვილი. მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ. თბ.: გამომც. „ძველი საქართველო“, ტ. II. 1913.
35. ი. გოგოლაძე, გ. ლაღუნდარიძე, რ. მახვილაძე და სხვ. უძრავი ქონების შეფასება და აუდიტი. I ნაწ. უძრავი ქონების შეფასება. თბ.: სტუ, საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსისტეტი“. 2005. -82 გვ.
36. დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი = A Comprehensive Georgian-English Dictionary : [2 ტომად] / შემდგ.: რუსუდან ამირეჯიბი, შუქია აფრიდონიძე-, დონალდ რეიფილდი (მთ. რედ.) და სხვ. - ლონდონი: გარნეტი, 2006.
37. ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენლები: პროფ. რ. მითაიშვილი, ეკ. მეც. კანდ. ე. კვიტაშვილი, დოც. ლ. გრიგოლია. თბ.: გამომც. "სამშობლო". 1991. - 176 გვ.
38. ა. ჩიქოვანი. საშენი მასალები. თბ.: სტუ, საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსისტეტი“. 2012.
39. ლ. კლიმიაშვილი, დ. გურგენიძე, ა. ჩიქოვანი. ცემენტები, ტექნიკური მოთხოვნები, გამოცდის მეთოდები ევროპულ სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობით. თბ.: სტუ, საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსისტეტი“. 2019. -191 გვ.
40. თ. ვანიშვილი. მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირება და ორგანიზაციული ქცევის რეგულირების პრინციპები (მონოგრაფია). თბ.: სტუ, საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსისტეტი“. 2017. -209 გვ.
41. ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ.: გამომცემლობა „ხელოვნება“. 1974. -248 გვ.
42. ი. გაგოშიძე, არქეოლოგია, ნუმიზმატისა და ბონისტის განმარტებითი ლექსიკონი.

43. ი. ციციშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია//თბილისი: ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების გამომცემლობა. 1995. -159 გვ.
44. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთავ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი. თბ.: გამომც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1986.
45. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ.: გამომც. „მეცნიერება“.1973.
46. სულხან–საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. თბ.: გამომც. „მერანი“,1993.
47. ვ. ბერიძე – "XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება", თბ., 1994.
48. რ. მეტრეველი. თამარ მეფე (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -267 გვ. ISBN 978-9941-24-979-2.
49. ჯ. სამუშია. ბაგრატ III (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -247 გვ. ISBN 978-9941-29-048-0.
50. გ. პაიჭაძე. ვახტანგ VI (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -215 გვ. ISBN 978-9941-29-052-7.
51. ჯ. სტეფნაძე. გიორგი III (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -203 გვ. ISBN 978-9941-29-087-9.
52. გ. ქავთარია. ფარნავაზი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -231 გვ. ISBN 978-9941-29-126-5.
53. რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. გიორგი II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -219 გვ. ISBN 978-9941-29-153-1;
54. რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -319 გვ. ISBN 978-9941-29-212-5.
55. რ. ბარამიძე. არჩილ II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -239 გვ. ISBN 978-9941-29-313-9.
56. ა. გელაშვილი. ერეკლე II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -243 გვ. ISBN 978-9941-29-349-8.
57. ჯ. სამუშია. ბაგრატ IV (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -279 გვ. ISBN 978-9941-29-375-7.
58. ვ. კეკელია. ალექსანდრე I დიდი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -179 გვ. ISBN 978-9941-29-401-3.
59. გ. ქავთარია. მირიანი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -251 გვ. ISBN 978-9941-29-434-1.
60. ე. მამისთვალაშვილი. ლუარსაბ I და სვიმონ I (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -231 გვ. ISBN 978-9941-29-476-1.
61. ჯ. სტეფნაძე. გუბაზ II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -261 გვ. ISBN 978-9941-29-528-7.
62. ჯ. სტეფნაძე. დემეტრე I (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -187 გვ. ISBN 978-9941-29-504-1.

63. ვ. კიკნაძე. გიორგი ბრწყინვალე (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -199 გვ. ISBN 978-9941-29-637-6.
64. გ. ქავთარია. ფრსმან I და ფარსმან II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -219 გვ. ISBN 978-9941-29-674-1.
65.საქართველოს ისტორია. I ტომი//გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი. თბ.: გამომც. პალიტრა L. 2012. -303 გვ. ISBN 978-9941-19-617-1.
66. საქართველოს ისტორია. II ტომი//მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი. თბ.: გამომც. პალიტრა L. 2012. -463 გვ. ISBN 978-9941-19-618-8.
67. საქართველოს ისტორია. III ტომი//ნ. ასათიანი, გ. ოთხმეზური, მ. სამსონაძე, გ. ჯამბურია. თბ.: გამომც. პალიტრა L. 2012. -527 გვ. ISBN 978-9941-19-619-5.
68. საქართველოს ისტორია. IV ტომი//ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. ნათმელაძე. თბ.: გამომც. პალიტრა L. 2012. -511 გვ. ISBN 978-9941-19-620-1.
69. ვახტანგ ბერიძე – „სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები“; გამომცემლობა ნაკადული, 1970.
70. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი/აკადემიკოს, გენერალ-მაიორის ელგუჯა მემმარიაშვილის საერთო რედაქციით. თბ., 2017. -692 გვ. ISBN 978-9941-0-9879-6.
71. ქართული მართლმადიდებლური სამყარო//ავტორ-შემდგენელი მ. ჯალიაშვილი; თბ.: გამომცემლობა ქართლი. 2016. -155 გვ.
72. ვ. ჯაფარიძე. ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბ.: გამომცემლობა მეცნიერება. 1982. -190 გვ.
73. ან. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა (არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები), ტ. I, თბ.: 1955.
74. გ. გამყრელიძე. კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), თბ.: გამომცემლობა ლოგოსი, 2002. -42 გვ.
75. გ. გამყრელიძე. ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ/საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბ.: 2008.
76. საქართველოს არქეოლოგია/რედაქტორი ოთ. ლორთქიფანიძე, ტ. I, თბ.: 1991.
77. საქართველოს არქეოლოგია/რედაქტორი ოთ. ჯაფარიძე, ტ. II, თბ.: 1992.
78. თ. დვალი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, I–II ტ. თბ.: 2008.
79. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თბ.: I-V ტ.
80. პ. ინგოროყვა. ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო. თბ.: 2003.
81. ა. ფრანგიშვილი, ნ. ბოჭორიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, ი. ბოჭორიშვილი. საინჟინრო სამუშაოების და საგანგებო სიტუაციების მართვის უსაფრთხოების წესები, ცნებები და განმარტებები//დამხმარე სახელმძღვანელო 4 ნაწილად. თბ.: სტუ, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014.
82. ქართლის ცხოვრება /ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. I, II. თბ.: 1955, 1958.
83. თ. ხმელიძე, გ. ყიფიანი, კ. ხმელიძე, თ. ვანიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. თბ.: გამომც. „უნივერსალი“, 2018. -201 გვ.
84. თ. კვირკველია. რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.: განათლება, 1974. -219 გვ.

85. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი//შემდგ. გრიგოლ რუხაძე, რედ. გვანცა კოპლატაძე. თბ.: გამომც.საქართველოს საპატრიარქოს სტამბა. 2008. -452. ISBN 99940-852-4-7.
86. Политехнический словарь (гл. редактор академик И. И. Артоболевский). М.: Изд-во Советская энциклопедия, 1977. -607 გვ.
87. Словарь-справочник по экономике и управлению в строительстве. МГСУ. М.: 2015 (Эл. версия).
88. Энциклопедия современной техники. Строительство. М.: Изд. Советская энциклопедия. 1964. I-II-III том.
89. Словарь архитектурно-строительных терминов (Онлаинверсия).
90. Строительный словарь. Издательство „Норма“, Санкт-Петербург. 2000-2016.
91. Словарь строительных терминов. Стройинформ, 2004-2015 (Эл. версия).
92. Поплавский В. С. Архитектурно-строительный словарь. – М.: Слава. 1993. – 320 с.
93. Юсупов Э. С. Словарь архитектурных терминов. Санкт-Петербург, Фонд Ленинградская галерея. 1994. – 432 с.
94. Немецко-русский строительный словарь/Москва, Руссо. 1996.
95. Русско-немецкий строительный словарь/под ред. Вальтера Штурма. Киев. 1985.
96. Официальные термины и определения в строительстве, архитектуре и жилищно-коммунальном комплексе. 2-е издание. – М.: ФГУП ВНИИНТПИ Госстроя России, 82. 2004. – 228 с.
97. Баторевич Н.И. Кожицева Т.Д. Архитектурный словарь. Издание 2-е, дополненное. Санкт-Петербург: Стройиздат СПб, 2001. – 384 с.
98. Издательство ЭТС, серия - Электронные словари, Polyglossum, 2005.
99. Толковый строительно-архитектурный словарь/Под ред. А.А. Бакулина. Смоленск: 2007.
100. Бхатнагар К. П. Русско-английский строительный словарь. Технические словари, 2000. 702 с.
101. Амбургер П. Г. Англо-русский строительный словарь (English-Russian Dictionary of Civil Engineering)/Под ред. А. Е. Десова. 3-е изд., перераб. и доп. Москва, Физматгиз, 1961. 600 с.
87. Швецова А. В. Англо-русский словарь по сейсмостойкому строительству и сейсмологии/Под ред. С. В. Полякова, Л. Ш. Килимника. Фрунзе, Кыргызстан. 1985.
102. Новый англо-русский и русско-английский словарь АВОК технических терминов и словосочетаний по отоплению, вентиляции, охлаждению, кондиционированию воздуха, теплоснабжению и строительной теплофизике/Составитель словаря: Бродач М. М. (Онлайн-словарь).
103. Англо-русско-английский строительный словарь Polyglossum. Второе исправленное и дополненное издание. М.: 2011.

104. Современная иллюстрированная энциклопедия „Искусство”/гл. ред. Горкин А. П. М.: 2007.
105. Nikolas Davies and Erkki Jokiniemi – Architect's Illustrated Pocket Dictionary, Routledge; 1 edition, 26 Nov. 2010. –558 p.
106. Фонтен Ф. Марк Аврелий / Пер. с фр. – М.: 2005. – 256 с. ISBN 5-235-02787-6.
107. Хизер П. Падение Римской империи / Пер. с англ. – М.: 2011. – 800 с. ISBN 978-5-17-057027-0.
108. Холланд Р. Октавиан Август: Крёстный отец Европы / Пер. с англ. – М.: 2010. –352 с. ISBN 978-5-17-068217-1.
109. Грант М. Двенадцать цезарей / Пер. с англ. – М.: 1998. – 272 с. ISBN 5-300- 01850-3.
110. Грант М. Крушение Римской империи / Пер. с англ. – М.: 1998. – 224 с. ISBN 5-300-01955-0.
111. Грант М. Римские императоры: Биографический справочник правителей Римской империи: 31 г. до н. э.– 476 г. н. э./Пер. с англ. – М.: 1998. – 400 с. ISBN 5-300 02314-0.
112. A. White, B. Robertson. Architecture and Ornament. (A Visual Guide). New York, USA. 1991. p. 111.
113. Oxford Dictionaries (Online).

წინასიტყვაობა

მშენებლობა სახალხო მეურნეობის ისეთი დარგია, რომელთანაც ყოველდღიური შეხება აქვს ნებისმიერ ადამიანს და, რაც უფრო გათვითცნობიერებულია ამ საქმეში იგი, მით უფრო რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებს თავისი საცხოვრებელი გარემოს კეთილმოწყობის, აგრეთვე ქალაქის, რაიონის, სოფლისა და, შესაბამისად, ქვეყნის იერსახის სრულყოფისათვის.

თანამედროვე საქართველოში მშენებლობაზე დასაქმებულთა რაოდენობა ასი ათასს აჭარბებს, ხოლო მშენებლობასთან არაპირდაპირ დაკავშირებულ ადამიანთა რაოდენობა, დაახლოებით, კიდევ ერთი ამდენია; ამიტომ გასაგებია ქვეყნის მოსახლეობის დაინტერესება სამშენებლო ნორმატიული, საცნობარო და საგანმანათლებლო ლიტერატურით. ნებისმიერ ლექსიკონს (ბეჭდვითს ან ელექტრონულს), განსაკუთრებით კი ენციკლოპედიურსა და განმარტებითს, როგორც ერის კულტურის გამომხატველს, განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ცივილიზაციის გზაზე და უპირობოდ ასახავს ერის განათლების დონეს.

ენციკლოპედიური ლექსიკონის უპირატესობა სხვა სახის ლიტერატურასთან ის გახლავთ, რომ მკითხველი ლექსიკონის მოხერხებული სტრუქტურის მეშვეობით ეუფლება შინაარსს და ინფორმაციასაც ამომწურავად იღებს, მით უმეტეს, თუ ლექსიკონი მდიდარია თვალსაჩინო მასალებითა და ილუსტრაციებით.

ერის განვითარების დონეს განსაზღვრავს ხარისხიანი განათლება ანუ ადამიანისათვის იმგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება, რომელსაც იგი შეინარჩუნებს, გაიაზრებს და აქტიურად გამოიყენებს ცხოვრებაში. ეს არის მყარი, სისტემური ცოდნა, რომლის მუდმივად განახლება და გაღრმავება შესაძლებელია. ხარისხიანი განათლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელმისაწვდომი საცნობარო ლიტერატურის არსებობას მშობლიურ ენაზე (სახელმძღვანელო, ლექსიკონი, სამშენებლო ნორმები და წესები, მითითებები, სტანდარტები და სხვ.).

დასავლეთის ანალოგიურად, ჩვენს ქვეყანაში განათლება ცალკე დარგია და ამ დარგის განვითარება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლისათვის.

მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი ლექსიკონებია: ფრანგული ენის აკადემიური ლექსიკონი, ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონი, ი. და ვ. გრიმების გერმანული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თანამედროვე რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი და სხვ.

ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ლექსიკონთაგან უძველესია პაოლინის მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი (3084 სიტყვა); სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ (1713 წ.); ნ. და დ. ჩუბინაშვილების ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები (1840-1887 წწ.); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით); ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონები (1957 წლისა ვ. ბერიძის რედაქციით და 1987 წლისა რ. დვალის, რ. ღამბაშიძის რედაქციით) და სხვ.

ქართველებისათვის ხელმისაწვდომი ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ტექნიკური მიმართულების ლექსიკონების უმრავლესობა ორენოვანი ნაშრომებია,

რომლებშიც ერთ ენაზე მოცემული ტერმინი ნათარგმნია მეორე ენაზე. განმარტებითი ლექსიკონები კი ძალიან იშვიათია, რადგან ისინი სტრუქტურით, ფორმით და შესადგენადაც გაცილებით რთულია, ვიდრე თარგმნითი.

მართალია, ორენოვანი ლექსიკონები აუცილებელია საზოგადოებისათვის, მაგრამ განმარტებით ლექსიკონებზეც არანაკლები მოთხოვნაა ამა თუ იმ ტექნიკური და საბუნებისმეტყველო სპეციალისტების მხრიდან. დღეისათვის საქართველოში გვაქვს მხოლოდ რამდენიმე დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რაც, ცხადია, საკმარისი არ არის.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად ძირითადი და სავალდებულო ლექსიკონების თვალსაზრისით მკვეთრად ჩამოვრჩებით იმ დონეს, რომელიც ევროპული სტანდარტებით მოეთხოვება განვითარებული მწიგნობრობის მქონე ქვეყანას და ეს ჩამორჩენა თანდათანობით გამოუსწორებელ ხასიათს იძენს. ჩვენ არ გვაქვს თანამედროვე, პროფესიული, მუდმივად განახლებადი ლექსიკონები (ბეჭდური და ელექტრონული) დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებთან შედარებით, ტექნიკურ დარგებში კი განმარტებითი ლექსიკონების გამოცემის საკითხიც მოსაგვარებელია.

მშენებლობის დიდი მასშტაბები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები დღის წესრიგში აყენებს სამშენებლო ინდუსტრიის, კერძოდ კი საშენი მასალების, კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, დაგეგმვის, მენეჯმენტის, გაანგარიშების მეთოდების, ხარისხის გაუმჯობესების, კონტროლის, ნაგებობების დაპროექტების, ცეცხლმედეგობის, სახანძრო უსაფრთხოების, შრომის დაცვისა და სხვათა სრულყოფას. ეს კი მჭიდროდ არის დაკავშირებული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან, ლაბორატორიული კვლევების დანერგვასთან, მეცნიერებასთან, კომპიუტერიზაციასა და, დასასრულ, სამშენებლო კადრების კვალიფიკაციის უცილობელ ზრდასთან. ყოველივე ამის მისაღწევად უპირველესი ამოცანაა, ქვეყანაში მშობლიურ ენაზე გვქონდეს კარგი ხარისხის დარგის საცნობარო ლიტერატურა და, მათ შორის, ენციკლოპედიური სამშენებლო ლექსიკონი.

ლექსიკონზე მუშაობა დაუსრულებელი პროცესია. ენა მუდმივად ცვალებადი ფენომენია, ჩნდება ახალი სიტყვები, განუწყვეტლივ იცვლება ტერმინების გამოყენების არეალი. ჩნდება უამრავი ახალი ცნება. მშენებლობა სწორედ ის სფეროა, რომელიც მუდმივად ივსება უცხოური ტერმინებით. საჭიროა ამ ტერმინთათვის ზუსტი ქართული შესატყვისების მისადაგება.

ენას გადამწყვეტი ფუნქცია აკისრია ხალხის კულტურის განსაზღვრაში. იგი ერთ-ერთი უმთავრესია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც ერთ ერს განასხვავებს მეორისაგან. ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში ენას ცენტრალური როლი განეკუთვნება; ხოლო ლექსიკონი უმთავრესი საშუალებაა ეროვნულობის შესაცნობად და წარმოსაჩენად.

ქართულ ენაზე სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

- საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ახლა ითვისებს ინგლისურ ენას, რომელზედაც შეიძლება პრაქტიკულად ნებისმიერი საცნობარო ლიტერატურის მოპოვება;
- საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა (ძირითადად, ახალგაზრდობა ასაკით 20–30 წელი) არ იცის რუსული, რომელ ენაზეც ასევე შესაძლებელია საკმარისი ინფორმაციის მოპოვება;
- ამ ლიტერატურის დიდი ნაწილი ინტერნეტში რიგითი მომხმარებლისათვის მიუწვდომელია;
- ქართული ლექსიკოგრაფია ამ მიმართულებით ღარიბია. რეალურად არ მოგვეპოვება სრულყოფილი განმარტებითი ლექსიკონები;
- სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნა აიძულებს მომხმარებელს საფუძვლიანად შეისწავლოს კომპიუტერული მეცნიერება და ამ მიმართულებით დაუახლოვდეს განვითარებული ქვეყნების ტექნიკურ ინტელიგენციასა და სამეცნიერო წრეებს.

სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის (ბეჭდვითი, ელექტრონული) მიზანია:

- ქართველ მშენებლებს და ამ საქმით დაინტერესებულ ყველა პირს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით მიაწოდოს მშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებები;
- მშენებლობის დაპროექტებასა და განხორციელებაში გამოიყენოს თანამედროვე მონაცემთა ელექტრონული ბაზები;
- შექმნას მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი, მოსახერხებელი, დასურათებული და მკითხველისათვის ადვილად გასაგები, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი;
- პრაქტიკული და თეორიული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის უახლესი პრობლემების შესახებ პროფესიონალ მკვლევრებს, გამომცემლებს და, ზოგადად, ლექსიკოგრაფიითა და ლექსიკოლოგიით დაინტერესებულ პირებს მისცეს ქართველ მშენებლებთან უშუალო დიალოგის შესაძლებლობა.

ლექსიკონის პროექტის განსახორციელებლად გადაწყვეტილი იქნა შემდეგი ამოცანები:

1. მშენებლობის ძირითადი მიმართულებების კლასიფიკაცია;
2. სამშენებლო ტერმინების, სიტყვების, ფრაზეოლოგიის მოძიება ქართულ და უცხოურ ენებზე;
3. ლექსიკონის სამუშაო პროგრამის შექმნა და ინტერნეტსივრცეში მოსათავსებლად ვებვერსიის შექმნა;
4. უცხოური ტერმინებისათვის ქართული შესატყვისების მოძიება;
5. სამუშაოს დასრულების შემდეგ ლექსიკონის საბოლოო ვერსიის შექმნა;

ლექსიკონზე მუშაობის პროცესში გავითვალისწინეთ შემდეგი სამშენებლო მიმართულებები:

1. სამშენებლო კონსტრუქციები (ქვა, ხე, ლითონი, რკინაბეტონი, პლასტმასა, მინა, კომპოზიტი);
2. ფუძე-საძირკვლები და გრუნტების მექანიკა;

3. საშენი მასალები;
4. მშენებლობის ტექნოლოგია;
5. მშენებლობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი;
6. მშენებლობის ეკონომიკა;
7. კოსმოსური ნაგებობები და კონსტრუქციები;
8. სეისმომედეგი მშენებლობა;
9. შენობა-ნაგებობების დაპროექტება;
10. მშენებლობის დოკუმენტაცია;
11. სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა;
12. შრომის უსაფრთხოება მშენებლობაზე;
13. შენობებისა და ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოება;
14. მშენებლობის ელექტრომომარაგება;
15. საინჟინრო გეოდეზია;
16. შრომა და ადამიანური რესურსები;
17. მაღლივი შენობები და ნაგებობები;
18. დიდმალიანი კონსტრუქციები;
19. კომპიუტერული დაპროექტების სისტემები მშენებლობაში;
20. არქიტექტურა;
21. ქალაქთმშენებლობა;
22. არქიტექტურული დიზაინი;
23. არქიტექტურის თეორია;
24. ხუროთმოძღვრება;
25. საკულტო ნაგებობები: ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, სამრეკლოები, ციხეები;
26. ჰიდროტექნიკური მშენებლობა;
27. ჰიდრავლიკა;
28. საინჟინრო ჰიდროეკოლოგია;
29. საზღვაო ნაგებობები და ნავსადგურები;
30. საინჟინრო მელიორაცია;
31. წყალმომარაგება;
32. წყალარინება;
33. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია;
34. თბოტექნიკა;
35. ენერგეტიკული მშენებლობა;
36. სატრანსპორტო მშენებლობა (გზები, გვირაბები, ესტაკადები და სხვ.);
37. აეროპორტები და აეროდრომები;
38. სამშენებლო ფიზიკა;
39. მასალათა გამძლეობა;
40. თეორიული მექანიკა;
41. სამშენებლო მექანიკა;
42. სამშენებლო ნორმები და წესები;
42. ევროკოდები;

44. მსოფლიო სამშენებლო ნორმები;
45. ზოგადი ტერმინები;
46. საგანგებო სიტუაციები;
47. მშენებლობის ბიზნესი;
48. გეოლოგია;
49. გეოინჟინერია;
50. მეტალურგია, მასალათმცოდნეობა, ლითონების დამუშავება;
51. სამხედრო ინჟინერია;
52. საგზაო ინფრასტრუქტურა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობები;
53. სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია;
54. კომპიუტერული მეცნიერება.

ლექსიკონზე მუშაობა ოთხ ეტაპად მიმდინარეობდა:

- მომხმარებელთა მოთხოვნების დამუშავება;
- ლექსიკონის პარამეტრების - აღწერა, მოცულობა, სტრუქტურა - დამუშავება;
- ტექსტების მომზადება, კონტექსტების გაწერა, გრამატიკული ფორმების დახასიათება;
- ტერმინების ეტიმოლოგია;
- ექსპერიმენტული მონაცემების განზოგადება;
- ყოველი ერთეული ტერმინისათვის დამატებითი ინფორმაციის მოგროვება და სისტემატიზაცია;
- სალექსიკონო სტატიების გაფორმება;
- ლექსიკონის გაფორმება.

ლექსიკონზე მუშაობისათვის გამოვიყენეთ პროგრამა tlTerm (Professional Termbase Editor) (ტერმინთა ბაზის პროფესიული რედაქტორი), რომელიც მიბმულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კომპანია TshwaneDJe-ის დამფუძნებლების, პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებლებისა და ლექსიკოგრაფიის ექსპერტების დევიდ ჯოფესა და დოქტორ ჯილ-მორის დე შრივერის ტერმინოლოგიის მენეჯმენტის კომპიუტერული პროგრამა TLex Suite-ზე, შემდეგი ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტერმინი იძებნება როგორც საკვანძო სიტყვების, ისე რეგულარული გამოსახულების მიხედვით;
2. საკვანძო სიტყვებით ძებნის შედეგი არ არის დამოკიდებული სიტყვის გრამატიკულ ფორმასა და საძიებელ ველში მათ განლაგებაზე;
3. სალექსიკონო ბაზა შეესაბამება ონლაინბაზას;
4. პერსონალური კომპიუტერის აპლიკაცია მუშაობს საინსტალაციო დისკოსა და ინტერნეტის გარეშე, ერთჯერადი დაინსტალირების შემდეგ;
5. პერსონალური კომპიუტერის აპლიკაციაში შესაძლებელია ტერმინის დამატება, განმარტების რედაქტირება;
6. ონლაინვერსიას აქვს ნავიგაციის მოქნილი სისტემა.

მოხერხებული საძიებო სისტემით აღჭურვილი ონლაინლექსიკონით სარგებლობა შესაძლებელი იქნება ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერით, რომელიც სტანდარტული ქართულენოვანი ვებგვერდების სრულყოფილად გამოსახვისა და მათთან ინტერაქციის საშუალებას იძლევა.

სიტყვის მართლწერა შეესაბამება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და ტექნიკური ტერმინოლოგიის მონაცემებს.

ლექსიკონში ტერმინები (სულ 16018) დალაგებულია ანბანური პრინციპით. ელექტრონულ ონლაინვერსიაში განთავსებულია ცალკე ფაილი, რომელიც თავს მოუყრის მკითხველის მიერ ლექსიკონის შესახებ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

ლექსიკონში ჩართულია ფორმულები, სქემები, ნახაზები და ფერადი ილუსტრაციები, რომლებიც მკითხველს საშუალებას მისცემს ღრმად ჩასწვდეს ტერმინის შინაარსს.

ქართული სამშენებლო ლიტერატურა: ცნობარი, სახელმძღვანელო, რეკომენდაციები, სტატიები და სხვ. გადატვირთულია უცხოური ენებიდან (განსაკუთრებით რუსული ენიდან) შემოსული კალკებით, რაც აკნინებს ქართულ ენას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „შტაბელი“, უნდა შეიცვალოს მშვენიერი ქართული ტერმინით "თაკარა" (ფიცრების დაშტაბელება – ფიცრების თაკარად დაწყობა ან დათაკარება, შტაბელის – თაკარის და ა.შ.; „კონტრფორსი“ (კედლის გასამაგრებელი წიბოვანი კონსტრუქცია) ნიშნავს საწინააღმდეგო ძალას ("force" – ინგლისურად "ძალა"), სინამდვილეში მისი სახელია "კონტრფორტი" ("fort" – ინგლისურად "სიმაგრე"). მშენებლობაში საკმაოდ გავრცელებული ეს ტერმინი რუსულადაა გაფორმებული არასწორად, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ სწორი გრამატიკული და შინაარსობრივი ფორმით და დამკვიდრდეს ტერმინი "კონტრფორტი"; „ილუსტრირებული“, უმჯობესია გამოვიყენოთ დასურათებული ან დასურათხატებული; „პროსპექტი“ (ქალაქის განიერი და გრძელი ქუჩა), სწორია გამზირი; „სოპოლიმერიზაცია“, სწორია თანაპოლიმერიზაცია; „სტიროლი“, სწორია სტირენი; „ბიფორი“, სწორია ბიფორა; „ვოლიუტა“, სწორია ვოლუტა; „ვერტიუგადენი“, სწორია ვერტიუგედანი, „ტრიუმფალური“, სწორია ტრიუმფული ან სატრიუმფო; „კოლონადა“, სწორია სვეტნარი; „არკადა“, სწორია თაღნარი; „პროპელერი“, სწორია საჰაერო ხრახნი; „ფერმა“ (სამშენებლო კონსტრუქცია), სწორია წამწე; „შტამპი“, სწორია ტვიფრი; „შურუპი“, სწორია სჭვალი; „ვინტი“, სწორია ხრახნი; „ფანტანი“, სწორია შადრევანი; „ოქსიდი“, სწორია ჟანგი, „სინუსოიდალური“, სწორია სინუსოიდური; „გიზას დიდი პირამიდა“, სწორია გიზის დიდი პირამიდა; „დაკიდული“, სწორია დაკიდებული; „ინსტრუმენტალური“, სწორია ინსტრუმენტული; „რიყეს ქვა“, სწორია რიყის ქვა; „პენობეტონი“, სწორია ქაფბეტონი; „პენოპლასტი“, სწორია ქაფპლასტი; „ცინკი“, სწორია თუთია; „კრემნიუმი“, სწორია სილიციუმი ან კაჟბადი; „მეტალიზაცია“, სწორია მოლითონება და ა.შ.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ ტერმინის ქართული შესატყვისების მოძიება აუცილებელია და ქართული ენის ფონდში არ იძებნება სიტყვა, რომელიც სათანადოდ ასახავს ცნებას, მაშინ უმჯობესია ტერმინი გაფორმდეს არა შუამავალი ენის კალკირებული ფორმით, არამედ წყარო ენის მიხედვით. ლექსიკონის ავტორების ძალისხმევით ეს პრობლემა მაქსიმალურადაა

შემცირებული. უცხოური ტერმინების უმეტესობას თან ერთვის ეტიმოლოგია (სიტყვის წარმომავლობა) ბერძნულ, ლათინურ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ და სხვა ენებზე.

ლექსიკონის ტერმინთა უმრავლესობა მოძიებული და გადამუშავებულია პროფესორ თამაზ ხმელიძის, ნაწილობრივ, კახაბერ ხმელიძის, პროფესორ ლევან კლიმიაშვილისა და პროფესორ დავით გურგენიძის მიერ; კომპიუტერული უზრუნველყოფა და კომპიუტერული მეცნიერების ტერმინები ეკუთვნის კახაბერ ხმელიძეს; ტერმინების ეტიმოლოგია დამუშავდა კახაბერ და თამაზ ხმელიძეების მიერ. ტექსტში განთავსებული ფერადი ფოტოები (4 740) შერჩეული და დამუშავებული, ხოლო გარკვეული ნაწილი გადაღებულია კახაბერ და თამაზ ხმელიძეების მიერ; გამოყენებულია ასევე ქართველი და უცხოელი ფოტოგრაფების: ლაშა გაბელიას, ზურაბ პაპიაშვილის, დავით მიქავას, კახა მჭედლიძის, დავით მირზაშვილის, დავით მიქავას, ჯაბა ლაბაძის, გია გრიგალაშვილის, გოგა ჩანადირის, ლაზარე გაგნიძის, ამირან მინაძის, აჩი გეგენავას, ლადო შეყრილაძის, კახა არცივაძის, სოფო პაქსაშვილის, ინგა ხარატიშვილის, ნინო გაბარაულის, ივანე გოლიაძის, ზაზა ქარდავას, ლიდა კაპანაძის, ვაჩე ვაჩეიშვილის, მიშა შარაბიძის, ნინო მარდალეიშვილის, თამაზ დუნდუას, ლელა მარგიანის, ია მელითაურის, ნინო ნაროზაულის, გიორგი კიღურაძის, ბექა ჩიტაიას, ოთარ ჭითანავას, ნინო ჩალაძის, ლაშა ხაჩიძის, ანზორ მჭედლიშვილის, ზაზა ქარდავას, ვანო ნაზღაიძის, პაატა ვარდანაშვილის, ზაზა თორთლაძის, ნატალია ჩიტიშვილის, გიორგი მელაშვილის, სანდრო ხომერიკის, ლაშა ოდოსაშვილის, ნიკო კვეზერელი-კოპაძის, გ. ბარისაშვილის, ა. ხანთაძის, გრეტა ჰოვარდის, როლფ გროსის, კლაუდიო მარგოტინის, გაბრიელ სილვას, არიან ზვეგერსის, სალვადორ ფორნელის, ხუან კარლოს ბრისენოს, ელენა ლინეცკაიას, ანჟეი შანდომირსკის, ნიკიტა დედკოვის, სერგეი პროკუდინ-გორსკის, ვასილ შელიომინის, ბრუს მალინის, პავლე ჯაგეტოს, ვადიმ კლოჩკოს, ანდრეი სურიკოვისა და სხვათა ფოტოები. ტერმინების დამუშავების პროცესში გამოყენებული იყო ბეჭდითი თუ ქართულ ინტერნეტსივრცეში განთავსებული, ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და ჟურნალისტების შრომები და სტატიები, ესენია: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მუსხელიშვილი, შალვა ამირანაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, პავლე ინგოროყვა, ნიკო ჩუბინაშვილი, პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ჯაბა სამუშია, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ციციშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, გრანი ქავთარია, მოსე ჯანაშვილი, გურამ ყიფიანი, ნოდარ ამაშუკელი, თამაზ დვალი, ნუგზარ ანდღულაძე, ვალერი სილოგავა, ილია ადამია, თეონა ნოზაძე, დავით დანელია, თეა ცაგურიშვილი, საბა ხვიჩია, თეონა კილაძე, თენგიზ ვერულავა, გიორგი მარსაგიშვილი, ვალერიან მამუკელაშვილი, ნუგზარ გოგიბედაშვილი, ბეჟან ხორავა, ნინო თარხნიშვილი, თეა ინასარიძე, თეა თოფურია, ქეთი ჭელიძე, ირმა ხარშილაძე, გურამ ხარშილაძე, სოფიო ჩიტორელიძე, მაკა ლომიძე, კახაბერ კენკიშვილი, იულონ გაგოშიძე, ნუგზარ ანდღულაძე, თეა სულაბერიძე, გიორგი დუნდუა, დავით კაპანაძე, ომარ ლანჩავა, ნონა ქარციძე, იზოლდა ჭილაძე, გიორგი კალანდაძე, გოგა აფციაური, თათია კუჭუხიძე, ირაკლი გუნია, გოჩა გუგუშვილი, ანზორ მჭედლიშვილი, ლალი ფაცია, სოფიო მაჭავარიანი,

ლელა კაკრიაშვილი, თინათინ მჭედლიშვილი, გიორგი ნიკოლავა, ლელა ჯიყაშვილი, დევი ბერძენიშვილი, გურამ ჩხარტიშვილი, ოლიკო ცისკარიშვილი, ლევან წიქარიშვილი, უჩა მურღულია, ერეკლე ბიბიჩაძე, ნიკოლოზ ბერიძე, მანანა სურამელაშვილი, გოგა კირთაძე, ირაკლი ჭიჭინაძე, ლელა მარგიანი, ნინო გვაზავა, ნინო ჩალაძე, სოფიკო ნინიკაშვილი, გიორგი მახობეშვილი, გელა ქოქიაშვილი, არქიმანდრიტი ლაზარე, ლაშა ბესტავაშვილი, ლევან მაზმიშვილი, ანა ტყებუჩავა, ანზორ სიჭინავა, გოგიტა ჩიტაია, ნანუკა მაღლაკელიძე, მაკა შავგულიძე, ლილი ბერაია, მიხეილ ნიკოლეიშვილი, კ. ფიცხელაური, თინათინ მოსიაშვილი, ზ. კიკნაძე, თ. სანიკიძე, შ. საღარაძე, ლ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, დ. შენგელია, მარია ვოლუისკაია, ა. მარაკუშევი და სხვ.

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ პროფესორები: გურამ აბაშიძე, ლამარა ავალიშვილი, ლია ბალანჩივაძე, შახი ბაქანიძე, ნაომი ბოჭორიშვილი, ზურაბ ეზუგბაია, ფატიმა ვერულაშვილი, როინ იმედაძე, ტარიელ კვიციანი, მზია მანჯავიძე, თინათინ მაღრაძე, რევაზ მახვილაძე, ნოდარ მახვილაძე, თეიმურაზ მელქაძე, ნინო მსხილაძე, ნუგზარ რურუა, ლიანა სუთიძე, ბექა სურგულაძე, დემურ ტაბატაძე, ნოდარ ფოფორაძე, ქეთევან ქორქია, ელინა ქრისტესიაშვილი, ირმა ღარიბაშვილი, არჩილ ჩიქოვანი, ზურაბ ციცქიშვილი, ირაკლი ყრუაშვილი, მაია ჭანტურია, მარინა ჯავახიშვილი, გიორგი ჯაფარიძე; სტუდენტები: გელა ესართია, გიორგი ზაკალაშვილი, მერაბ თავაძე, დავით მორგოშია, კირილე მუკბანიანი, რომან მურვანიძე, ავთანდილ ნამგალაძე, ნიკო სტეფანიშვილი, ნიკო ფანჯაკიძე, გიორგი შალიტაური, ნიკოლოზ წოწორია, გიორგი ცაგარეიშვილი, ზეზვა ხვედელიძე, გიორგი ხვიჩია, გიორგი ჯიჯიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); ამირან ბეროძე (თბილმეტროპოლიტენი), ნივერ ბირკაია (ქ. მოსკოვის ცენტრალური სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტი), თამარ ვანიშვილი (ქ. გორის დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, ეკონომისტი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი), ზაურ სილაგაძე (ინჟინერ-მშენებელი), მაია წერეთელი (დამოუკიდებელი დიზაინერი).

სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი არის პირველი სრულყოფილი დასურათებული ლექსიკონი ქართულ ენაზე, რომელიც მოემსახურება სამშენებლო საქმით დაინტერესებულ ქართველ მომხმარებელს: ინჟინრებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებს, ბაკალავრებს, არქიტექტორებს, დამპროექტებლებს, სამუშაოთა მწარმოებლებს, სამშენებლო სფეროში მოღვაწე მეცნიერებსა და ექსპერტებს, ბიზნესმენებს, ინვესტორებს, საჯარო რეესტრს, სანოტარო ბიუროებს, ადვოკატებს, სასამართლოებს, პროკურატურას, სამინისტროებს, ქალაქებისა და რაიონების მუნიციპალურ სამსახურებს, ჟურნალისტებს, მშენებელ მუშებს და ა.შ. შესაბამისად, ქართულ ენაზე შედგენილი სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის მომზადება და გამოცემა უდავოდ დიდი ეროვნული საქმეა.

ავტორები დიდ მადლობას უხდიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას (რექტორი არჩილ ფრანგიშვილი, ვიცე–რექტორი ლევან კლიმიაშვილი, პრორექტორი ზურაბ გასიტაშვილი) და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს (დირექტორი ნანა მაჭავარიანი), ასევე სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და

თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მეცნიერ თანამშრომელებს – ნინო დათეშიძეს, ნათელა მუზაშვილს, მარინე ოსაძეს, ლია ქაროსანიძეს – საქმიანი შენიშვნებისა და სასარგებლო რჩევებისათვის, რომელთა ნაწილი გავითვალისწინეთ კიდეც ჩვენს ნაშრომში, აგრეთვე რეცენზენტებს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებს – არჩილ მოწონელიძესა და ვაჟა პაპასკირს, ლექსიკონის მომზადების პროცესში თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი განმარტებითი ლექსიკონის შექმნისას დიდი ფიზიკური და გონებრივი ძალისხმევა დაგვჭირდა, მისი მოცულობიდან გამომდინარე, ის ალბათ, მაინც არიქნება დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისგან, ამიტომ მკითხველს ვთხოვთ მოგვაწოდონ საქმიანი შენიშვნები და წინადადებები, რომლებსაც განვიხილავთ და გავითვალისწინებთ მომავალი გამოცემის მომზადებისას.

სარედაქციო კოლეგია

ა

აალება – ალის გაჩენის პროცესი (ნახ. 1), რომელიც გამოწვეულია ხახუნით, გავარვარებული საგნის შეხებით, ელექტრობით, ქიმიური რეაქციით, მაღალი ტემპერატურით, გამოსხივებით და სხვა ფიზიკური მოვლენით. აალებას, გარეგანი სითბოს წყაროს გარეშე თვითაალება ჰქვია. აალების უნარი აქვს საწვავი აირების ნარევებს: მეთანისა და ჰაერის ან ჟანგბადის, ბენზინის ორთქლისა და ჰაერის, წყალბადისა და ჟანგბადის, წყალბადისა და ქლორის და სხვ. სითხეების აალებას წინ უსწრებს სითხის აორთქლება და ორთქლის ჰაერთან შერევა. იწვის არა სითხე (სპირტი, ბენზინი), არამედ მისი ორთქლი. ტემპერატურას, რომელზეც გახურებულ ზედაპირთან კონტაქტში მყოფი ნივთიერება აალდება, აალების ტემპერატურა ეწოდება. არსებობს აალების სახეები: აირნარევის, მუხტის, მყისი, ნაადრევი, ნარევის და სხვ.



აალებადი აირი – აირი, რომელიც ნორმალური წნევის პირობებში ჰაერთან შერევისას აალებადი ხდება.

აალებადი თხევადი აირი – თხევადი, დაჭირხნილი აირი, რომელიც მოქმედი წნევისას 20°C ტემპერატურაზე, ნაწილობრივ თხევად მდგომარეობაშია და აალებადია.

აალებადი მყარი ნივთიერება – მყარი ნივთიერება, ფეთქებადი ნივთიერების ან ფეთქებადი ნარევის გარდა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი ხახუნის, აბსორბციის ან დანესტიანების, სპონტანური ქიმიური ცვლილების ან წარმოებიდან თუ გადამუშავებიდან შერჩენილი სითბოს შედეგად, მისი აალების ტემპერატურა 100°C-ზე ნაკლებია ან რომელიც აალებისას ისე ძლიერ და სწრაფად იწვის, რომ სერიოზულ საფრთხეს ქმნის. ქიმიური ნივთიერება აალებად მყარ ნივთიერებად უნდა ჩაითვალოს, თუ განსაზღვრული მეთოდით შემოწმებისას თვითაალებით მიმდინარე აალებისა და წვის პროცესის სიჩქარე მთავარი ღერძის გასწვრივ აღემატება 2,5 მმ/წმ-ს.

აალებადი ნივთიერება – ნივთიერება, რომელიც ადვილად აალდება სითბოს ჩვეულებრივი წყაროს (წყაროების) ზემოქმედებით 316°C ან უფრო ნაკლებ ტემპერატურაზე.

აალებადი ორთქლი ან კვამლი – ჰაერში აალებადი ნაწილაკების კონცენტრაცია, რომელიც აჭარბებს მათი აალების ქვედა ზღვრის 25%-ს.

აალებადი სითხე – სითხე, რომლის აალების ტემპერატურა დახურულ ჭურჭელში 38°C-ზე დაბალია.

აალების თბური იმპულსი – ღია ცეცხლი, ნაპერწკალი, გახურებული ზედაპირი, ბოლომდე დაუწვავი საწვავის ნარჩენი და ა.შ.

აალების იმპულსი – თბური, ქიმიური ან მიკრობიოლოგიური იმპულსი, რომელიც იწვევს მასალის (ნივთიერების) აალებას.

აალების მიკრობიოლოგიური იმპულსი – სითბოს გამოყოფის თანხლებით წარმოქმნილი ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს მიკროორგანიზმებისათვის საკვებ გარემოს (მაგ., ტორფი).

აალების ტემპერატურა – მინიმალური ტემპერატურა გრადუსებში, რომელიც საჭიროა მასალის (ნივთიერების) აალებისათვის. განისაზღვრება სპეციალური ტესტისა და აპარატურის მეშვეობით.

აალების ქვედა ზღვარი – ჰაერში ორთქლის მინიმალური შემცველობა, რომელიც, აალების წყაროს არსებობისას, ალის გავრცელებას იწვევს. აალების ქვედა ზღვარს ზოგჯერ „ფეთქებადობის ქვედა ზღვარი“ ეწოდება.

აალების ქიმიური იმპულსი – ზეთის დაჟანგვა სუფთა ჟანგბადის მოქმედებით, ნახერხის აალება მასზე კონცენტრირებული აზოტმჟავის მოქმედებით და სხვ.

აბაზანა – 1. სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი ან აპარატი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად შევსებულია თხევადი გარემოთი (წყალი, ხსნარი, ნადნობი), აგრეთვე გამდნარი გარემო ზოგი ღუმლისათვის (მაგ., მინის სადნობი). არსებობს აბაზანის სახეები: ალუმინის, ამომჭმელი, დიაფრაგმიანი, ელექტროლიზის, ელექტროლიტის, ელექტრული, ზეთის, თერმული დამუშავების, მარილის, სადნობი, საკალავი, სალექი, საჟღენთი, საციანიზაციო, საწრთობი, ტუტის, ტყვიის, უდიაფრაგმო, ქვიშის, შედუღების, წიდის, წყლის, ჰაერისა და სხვ.; 2. იხ. სააბაზანო.

აბაზანა მომიჯნავე – აბაზანის ოთახი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საძინებელს.

აბაზანა საჟღენთი – მოწყობილობა, რომელშიც მასალის ფიზიკურ-მექანიკური ან ბიოლოგიური თვისები სითხეების მეშვეობით იცვლება.

აბაზანა ცხელ-ცივი – მოწყობილობა, რომელშიც იქმნება ჯერ ცხელი, შემდეგ კი ცივი ტემპერატურული გარემო (მაგ., მერქნის თერმული დამუშავებისათვის).

აბაზანა წყლის – წყლის მოსათავსებელი ტექნიკური მოწყობილობა; საბანაოდ ან წყლით მკურნალობისათვის განკუთვნილი ჭურჭელი.

აბაზანური ღუმელი – ღუმელი მასალის გასაცხელებლად თხევად გარემოში. ა. ღ. გამოიყენება თერმულ საამქროებში ლითონის დეტალების გასაცხელებლად წრთობის, გამოწვის, დაციანების, ნორმალიზაციის, ცემენტაციის მიზნით, აგრეთვე მავთულისა და ლენტის პატენტირებისათვის. ჩვეულებრივი ღუმლისაგან ა. ღ. განასხვავებს გაცხელების სისწრაფე და თანაბრობა, დეტალების ზედაპირზე ჟანგვის პროცესის არარსებობა. ა. ღ. ორი სახისაა: ელექტრო და ცეცხლის ალზე მომუშავე. ყველაზე მეტადაა გავრცელებული ერთ- და სამფაზიანი ელექტროდებმარილიანი ღუმლები, სადაც გამაცხელებელ აგენტად გამოიყენება გამდნარი მარილი, რომელიც ჩაიტვირთება შამოტის აგურით ამოგებულ სამუშაო კამერაში ან ცეცხლგამძლე ფოლადის ღუმლის ტიგელში.

აბაკი (ბერძ. ábax ქვის ფილა; სახაზავი დაფა; ქვიშით დაფარული მაგიდა გამოთვლებისთვის<ებრ. 'āḫāq მტვერი) – 1. დაფა, რომელსაც იყენებდნენ არითმეტიკული

ანგარიშისათვის ძველ საბერძნეთში, რომსა და შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მე-18 საუკუნემდე; დაყოფილი იყო ზოლებად, რომლებშიც გადაადგილებდნენ ხოლმე კოჭებს, ქვებს და მისთ (ნახ. 1. აბაკი რომაული); 2. კლასიკური არქიტექტურული ორდერის სვეტის კაპიტელის ზედა ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, კვადრატული ან მართკუთხედის ფორმის ფილაა, ბრტყელი (დორიული ორდერი), ჩაზნექილი (კორინთული ორდერი) ან დაპროფილებული ნაპირებით.





ნახ. 2

აბანო – ადამიანთა ტანის დასაბანად საგანგებოდ მოწყობილი შენობა, სადაც ცხელ წყალთან ერთად, ოფლის ჭარბად გამოსაყოფად ხშირად იყენებენ ცხელ ჰაერს [მაგ., თურქული აბანო (ჰამამი), რომაული აბანო (თერმა), მშრალი საუნა], ორთქლს [მაგ., ფინური (საუნა), რუსული აბანო] ან მხოლოდ წყლით სავსე სპეციალურ ხის კასრებს [იაპონური აბანო (სენტო)]. ასეთ ხის კასრს ოფურო ეწოდება და მიუხედავად იმისა, რომ წყალში ადამიანის კანი არ სუნთქავს, წყლის საკმაოდ მაღალი ტემპერატურის გამო ოფლი მაინც დიდი რაოდენობით გამოიყოფა, რაც უზრუნველყოფს კანის ფორებიდან ცხიმებისა და წიდის კარგად მოცილებას. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხს აბანოების მშენებლობისა და მათი გამოყენების უნიკალური ტრადიცია გააჩნია. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა აღსანიშნავია აგრეთვე ირლანდიური (იგივე რომაულ-ირლანდიური) აბანო, რომელიც ფაქტიურად სახეცვლილი რომაული თერმაა და ახლა ძალიან პოპულარულია ევროპაში, შვედური აბანო (ბასტუ) და ქართული აბანო. საქართველოში უძველესი აბანოები აღმოჩენილია არმაზისხევში, ბაგინეთში, ბიჭვინთაში, ციხისძირში, ურბნისში, სამშვილდეში, თელავში, გრემში, გორში და სხვ. საზოგადოებრივი აბანოებისათვის დამახასიათებელი იყო დიდი აუზები, რომლებიც, ადამიანთა გემოვნების შესაფერისად, სხვადასხვა სტილითა და შემკულობით იყო მორთული. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში მიკვლეული აბანოების განხილვა ცხადად ადასტურებს იმ საზოგადოების მაღალ ჰიგიენურ მოთხოვნილებას, რომლისთვისაც ისინი შენდებოდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისური გოგირდის აბანოები [ნახ. 1.



ნახ. 1



ნახ. 2

აბანოთუბანი. გოგირდის აბანოების საერთო ხედი; ნახ. 2. თბილისის ჭრელი აბანო (XIX საუკუნის ფოტო); ნახ. 3. გოგირდის აბანოს აღმოსავლური სტილის შესასვლელი; ნახ. 4. თბილისური გოგირდის აბანოს უძველესი მოზაიკა; ნახ. 5. თბილისური გოგირდის აბანოს მოზაიკური იატაკი; ნახ. 6. თბილისური გოგირდის აბანოს ინტერიერი], რომლებიც განთქმული იყო მთელს მახლობელ აღმოსავლეთში და XIX საუკუნეში საქართველოში რუსეთის იმპერიის მმართველობის დამკვიდრებისთანავე მისი არისტოკრატიის დიდი ყურადღება დაიმსახურა. თბილისის უძველეს უბანში, აბანოთუბანში (აბანოების უბანში) განთავსებული ასეთი აბანოების ღირსებას წარმოადგენდა ბუნებრივად ცხელი გოგირდოვანი მინერალური წყლები, მათი განუყრელი პერსონაჟი კი იყო მექისე, რომელსაც ბუნებრივი ცხელი წყლით ადამიანის სხეულის განბანვის გარდა შეეძლო მასაჟის გაკეთებაც. ბუნებრივ მინერალურ წყალს სამკურნალოდაც იყენებდნენ. თბილისური აბანოები არა მხოლოდ ჰიგიენურ-სამკურნალო დაწესებულება იყო, არამედ ხალხის თავშეყრის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, დასვენებისა და გართობის ადგილიც.



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6

აბანოზი (ლათ. Diospyros ebenum ან Ceylon ebony) – ძვირფასმერქნიანი ხე, იგივე ეკალმუხა, იგივე შავი ხე. ხაროზს ინდოეთში, შრი-ლანკასა და აფრიკის კონტინენტზე (ნახ. 1). ის მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ხეა. ა. მერქნისაგან ამზადებენ ძვირფას ავეჯს, იატაკის ფიცრებსა და პარკეტს, სამკაულებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ქანდაკებებსა და სხვ.



აბანოზისებრნი – ძვირფასმერქნიან მცენარეთა ოჯახი; ხაროზს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში.



აბანოთუბანი (ინგლ. Abanotubani) (თათრის მეიდანი) – ძველი თბილისის განაშენიანებული ტერიტორია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (ნახ. 1).

აბარწა (კუთხ. მეგრ.) – აივანი, პირმაღი, დერეფანი.

აბატონი [ბერძ. abaton<a ზედსართავი სახელის წინსართი (უ), რომელიც სიტყვას აძლევს რისამე უქონლობის მნიშვნელობას და baino შემოვდივარ] – 1. ბერძნული ტაძრის ნაწილი, სადაც შესვლა აკრძალულია (ნახ. 1. აბატონი „ჰიპოკრატეს ბაღში“, საბერძნეთის რესპუბლიკა); ნახ. 2. აბატონის ოთახი, სადაც ასკილიონის პაციენტები შედიოდნენ სამკურნალო ძილისათვის); 2. ძვ. საბერძნეთში ტაძრის ირგვლივ განთავსებული ნაგებობა, რომლის დანიშნულება იყო ტაძრის დაფარვა უცხო თვალისაგან (ნახ. 3. აბატონი ქ. ეპიდავრში, პელოპონესი, საბერძნეთის რესპუბლიკა).



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3

აბაში (აფრიკული მუხა, აბეჩი, აბაჩი, აბაშა, სამბა, აიოუსი, ვავა) – ფოთლოვანი ჯიშის ხე. ხარობს ეკვატორულ აფრიკაში (კონგოს რესპუბლიკა, განის რესპუბილა). აქვს მოყვითალო-თეთრი მერქანი კორძების გარეშე. ხასიათდება დაბალი თბოგამტარობითა და თბოტევადობით, მაღალი წყალმედეგობით, სიმსუბუქით, პლასტიკურობით, დიდხანს ინარჩუნებს პირვანდელ სახეს. ახლადმოჭრილი მერქნის სიმკვრივე – 550-700 კგ/მ^3. ფართოდ გამოიყენება აბანოებისა და საუნების შიდა მოპირკეთებისათვის.

აბელია – არქეოლოგიური, ხუროთმოძღვრული და ეპიგრაფიკული ძეგლებით მდიდარი რეგიონი ქვემო ქართლში (ახლანდელი აბელიანი, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი).

აბერაცია [ლათ. aberrātiō(n-) გადახვევა, გადახრა<aberrāre ნორმიდან გადახრა, გზის აცდენა] – 1. ოპტიკურ სისტემებში (ლინზა, ფოტოაპარატი, მიკროსკოპი) მიღებული გამოსახულების დამახინჯება (ნახ. 1) – სინათლის სხივების გადახრა ლინზის ფოკუსური წერტილიდან; 2. ასტრ. მზის სინათლის სხივების ხილული გადახრა დედამიწის მოძრაობის სიჩქარის გავლენით; 3. მათემ. წყობის ან ფუნქციის გადახრა ტიპური ნორმიდან; 4. გადატ. შეცდომა აზროვნების პროცესსი, შემთხვევითი ცდომილება. აბერაციის სახეებია: არასიმეტრიული, გრძივი, ელექტრონულ-ოპტიკური, ოპტიკური, სიმეტრიული, სფერული, ფაზური, ქრომატული და სხვ.



აბზეცერი (გერმ. absetzer ღია კარიერიდან მოპოვება; თვითმფრინავში პარაშუტით მხტომელთა ზედამხედველი<absetzen გადაყენება, დასმა, დადაბლება, დალექვა, გაკეთება, თავის დაღწევა, საერთო თანხიდან გამოკლება<setzen დაჯდომა, დადება, დადგენა, დალექვა<ძველი ზემოგერმანული sezzen დაყენება, დამაგრება, დადგენა, დადგმა, დამუშავება, გამართვა) – მრავალჩამჩიანი ექსკავატორი ფუჭი ქანის ამოსაღებად და კარიერის ნაყარზე გადასატანად (ნახ. 1).



აბიოგენური (ლათ, abiogenous) – 1. ის რაც ხდება ცოცხალი ორგანიზმების მონაწილეობის გარეშე; რომელსაც აქვს არაბიოლოგიური ხასიათი. აბიოგენურ ეკოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება სინათლე, ატმოსფერული ნალექები, გეოფიზიკური ციკლურობა და სხვ.; 2. ის რაც შექმნილია არაორგანული ნაერთების ქიმიური გარდაქმნების შედეგად.

აბიოტური (ბერძ. a უარყ. თავსართი და bios სიცოცხლე) – არაცოცხალი, უსიცოცხლო, არაორგანული. გარემოს აბიოტურ კომპონენტებს მიეკუთვნება: ნიადაგი, ტემპერატურა, წყალი, მზის ენერგია, რადიაციული ზემოქმედება, სინათლე, ქარი, ელექტრომაგნიტური და სითბური ველები, ანუ გარემოს ზემოქმედების ისეთი პირობები, რომელშიც ჩნდებიან და არსებობენ ცოცხალი ორგანიზმები.

აბიოტური ფაქტორები – არაორგანული ბუნების ფაქტორების (ტემპერატურა, წყალი, სინათლე, ქარი, ნიადაგი, მზის ენერგია, რადიაციული ზემოქმედება) ერთობლიობა, რაც განსაზღვრულ როლს ასრულებს ცოცხალი ორგანიზმების არსებობაში.

აბისალი (ლათ. abyssālis<abyssus<ბერძ. ábyssos უძირო, უფსკერო) – ზღვის (ოკეანის) სიღრმივი შრე (დაახლოებით 4000-დან 6000 მ-მდე).

აბისალური – ზღვის სიღრმესთან ან დედამიწის ქერქის ქვედა არეებთან დაკავშირებული.

აბლაცია [გვიანდელი შუაინგლ. aberration ამოღება, გადაადგილება, მოცილება<ლათ. ablātiō(n-) ამოღება მოცილება<ablātus ამოღებული, მოცილებული<ab, ab- -გან, -დან, მოშორებით და lātus გადატანილი, წაღებული] – ნივთიერების მასის ართმევა სხეულის ეროზიის ან ლღობის დროს.

აბოლიცია [ლათ. abolitiō(n-)<abolēre დანგრევა, განადგურება, წაშლა, ბოლოს მოღება] – სამართლებრივი აქტის ან თანამდებობის გაუქმება; სისხლის სამართლის შეწყვეტა ისეთ სტადიაში, როდესაც ბრალდება ჯერ იურიდიულად დადგენილი არ არის.

აბრა – წარწერიანი დაფა, ფირნიში. მოცულობითი ან ბრტყელი კონსტრუქცია, როგორც წესი, შენობის ფასადზე შესასვლელთან ახლოს, რომელიც მიუთითებს ორგანიზაციას ან წარმოებას განთავსებულს ამ შენობის შიგნით, აგრეთვე ნებისმიერი წარწერიანი (ნახატებიანი) დაფა, რომელიც მიანიშნებს ქუჩას (ნახ. 1), გადასასვლელს, გზაჯვარედინს, მიმართულებას, სიმაღლეს ზღვის დონიდან, მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვას, ავტოტრანსპორტის გაჩერების ადგილს და ა.შ. აბრა თავისი შინაარსით მიეკუთვნება გარერეკლამის კატეგორიას.



აბრაზია [ლათ. abrāsiō(n-) გაფხეკა<abrādere მოფხეკა, ამოფხეკა, წაშლა, გადაპარსვა] – ზღვის ტალღების მოქმედების შედეგად ქანების მსხვილ ნატეხებად დაშლა, შემდეგ კი მათი გადაქცევა ქვიშად და თიხად; ზღვის ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა ტალღების მოქმედებით.

აბრაზივი (ლათ. abrās-გაცვეთილი, წაშლილი<abrādere მოფხეკა, ამოფხეკა, წაშლა, გადაპარსვა) – ბუნებრივი წარმოშობის სალი მინერალის (კორუნდი, კვარცი, კაჟი, პემზა) ან ხელოვნური (ალმასი, ალბორი) აბრაზიული ფხვნილი, რომლისგან აბრაზიული ინსტრუმენტი და ზუმფარა (გამოიყენება მასალის ან ნაკეთობის ზედაპირის გასახეხად) მზადდება.

აბრაზიული ინსტრუმენტი – ლითონის, მინისა და სხვ. მასალის აბრაზიული დამუშავებისათვის საჭირო ინსტრუმენტი. მზადდება დანაწევრებული აბრაზიული მასალის საფუძველზე შემკრელი ნივთიერების გამოყენებით. ძირითადი აბრაზიული ინსტრუმენტებია: სახეხი რგოლი, ძელაკი, სათავე, სეგმენტი, ზუმფარა, სახეხი ფხვნილი და პასტა.

აბრაზიული ცვეთა – მასალის მექანიკური ცვეთა, რომელიც ხდება მასზე თავისუფლად ან ფიქსირებულ მდგომარეობაში მყოფი სალი ნაწილაკების (აბრაზივების) ზემოქმედების შედეგად. ეს ნაწილაკები კაწრავს მოხახუნე ზედაპირებს ან ასრულებს საჭრისის მოვალეობას და იწვევს ინტენსიურ ცვეთას. ასეთ ცვეთას განიცდის სასოფლო-სამეურნეო მანქანების

ძირითადი სამუშაო ორგანოები – გუთნის სახნისი, კულტივატორის თათი და სხვ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ აბრაზიული ნაწილაკები იმყოფება ზეთში, ნიადაგში, მცენარეთა ღერებსა და ფოთლებში. აბრაზიული ცვეთის დროს მიმდინარეობს მექანიკური და მექანიკურ-ქიმიური პროცესები. აღნიშნული სახის ცვეთა ფართოდ არის გავრცელებული ასევე შიგაწვისა და დიზელის ძრავებში. აბრაზიული ნაწილაკები ხვდება ზეთში, გადაადგილდებიან მასთან ერთად შეზეთვის სისტემაში და ჩაინერგებიან შედარებით რბილ ზედაპირში. ამის შემდეგ ისინი ასრულებენ საჭრისის როლს და პერიოდულად აცილებენ მოპირდაპირე ზედაპირის ფენებს ბურბუშელას სახით.

აბრაზიულობა – გადასამუშავებელი მასალის უნარი (თვისება) გაცვითოს მასზე მოხახუნე სამუშაო ორგანოების ზედაპირები. მაგ., ქვასამსხვრევებში – სამსხვრევი ფილა, ჩაქუჩი, ლილვაკის არტახი; ბეტონსარევებში – შემრევი ლილვის ნიჩაბი; წისქვილებში – დამფქვავი სხეულები (ფოლადის ბურთულები, ღეროები, ჯავშანფილები) და სხვ. აბრაზიულობის სკალის მიხედვით გვაქვს შემდეგი კლასის მასალები (გრუნტები): არა აბრაზიული, მცირე აბრაზიული, საშუალო აბრაზიული, მაღალ აბრაზიული და ძალზე მაღალ აბრაზიული. გადასამუშავებელი გარემოს ა. აისახება სამუშაო ორგანოს სამსახურის ვადაზე.

აბრამცევული ჭრა – ხალხურ ტრადიციებზე დაფუძნებული ხის მოჩუქურთმება; ავეჯის, სათამაშოების, ჭურჭლის დამზადება.

აბრევიატურა (ლათ. abbreviātus დამოკლებული, შემცირებული<abbreviāre დამოკლება, შემცირება<brēvis მოკლე, ხანმოკლე) – სიტყვების საწყისი (პირველი) ასოებით ახალი სიტყვის მიღება (მაგ., აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები); სიტყვის ან ფრაზის შემცირებული ფორმა.

აბრისი (გერმ. abriss რაიმეს მოხაზულობა, მონახაზი) – 1. გაბარიტი, კონტური, კონფიგურაცია; საგნის გარე მოხაზულობა; 2. მონახაზი; ტოპოგრაფიულ სამუშაოებში ხელით შესრულებული ნახაზი, რომელზეც დატანილია მიღებული მონაცემები.

აბს პლასტიკი (ინგლ. Acrylonitrile butadiene styrene, ABS) – იხ. აკრილნიტრილბუტადიენური პლასტიკი.

აბს პლასტიკის ფურცლები – ფურცლები, დამზადებული აბს პლასტიკებისაგან ერთფენიანი ან მრავალფენიანი დიდი სიზუსტის ექსტრუზიის მეთოდით პრიალა ან ხაოიანი ზედაპირით. ხშირად მას ამატებენ ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავ ფენას. გამოიყენება სათავსის კედლის, ჭერის, სააბაზანოს, სარეკლამო ფარის მოსაპირკეთებლად, აგრეთვე სატრანსპორტო ერთეულის (ავტომობილი, ავტობუსი, ტრაქტორი და მისთ.) მექანიკურ-ვაკუუმ-ფორმირებული მეთოდით შიგა და გარე დეტალების, აგრეთვე, სანტექნიკური ნაკეთობების დასამზადებლად. ფურცლები გამოირჩევა მზის სხივების, ქარის, ყინვისა და რადიაციის მიმართ ამაღლებული მდგრადობით.

აბსოლუტი (ლათ. absolūtus თავისუფალი, შეუზღუდავი<absolvere გათავისუფლება, მიტევება, განცალკევება) – სამყაროს უსასრულო პირველმიზეზი, საწყისი, მარადიული და განუსაზღვრელი საფუძველი ყოველივესი; თავისთავადი; უთუო; უპირობო, სრულყოფილი.

აბსოლუტურად გლუვი სხეული – სხეული, რომლის რეაქცია ყოველთვის მისი ზედაპირის ნორმალის გასწვრივ არის მიმართული.

აბსოლუტურად მქისე სხეული (ხორკლიანი სხეული) – სხეული, რომელსაც შეუძლია ურთიერთქმედება განუსაზღვრელი სიდიდის ხახუნის ძალით.

აბსოლუტურად მყარი სხეული – მყარი სხეულის თეორიული მოდელი, რომლის ყოველ ორ წერტილს შორის მანძილი უცვლელი რჩება, რაგინდ დიდი ძალაც მოქმედებდეს მასზე; ე.ი. ეს არის სხეული, რომლის გეომეტრიული ფორმა და ზომები არ იცვლება სხვა სხეულების მექანიკური ზემოქმედების შედეგად. მას ზოგჯერ უცვლად ნივთიერ სხეულსაც უწოდებენ.

აბსოლუტური – თავისთავადი, არაშეფარდებითი, სრული, სრულყოფილი, შეუზღუდველი, უპირობო, უსაზღვრო; ის, რაც სხვაზე არ არის დამოკიდებული.

აბსოლუტური აჩქარება – მოძრავი წერტილის აჩქარება ათვლის აბსოლუტური (უძრავი) სისტემის მიმართ.

აბსოლუტური დაგრძელება (დამოკლება) – ელემენტის პირველსაწყისი სიგრძის დაგრძელება (დამოკლება).

აბსოლუტური დრო – დრო, საერთო ათვლის ყველა იმ სისტემისათვის, რომელიც მიიღო ნიუტონმა დინამიკის კანონების ფორმულირებისას. გამოყენებითი მექანიკის ამოცანებში, როგორც წესი, ა. დ. ნაცვლად საკმაო სიზუსტით სარგებლობენ საშუალო მზიური დროით.

აბსოლუტური მონოპოლია – ბაზარი, სადაც პროდუქციის მხოლოდ ერთი მწარმოებელია. ამასთან, ამ პროდუქტს არ მოეპოვება შემცვლელი სხვა დარგებში.

აბსოლუტური მოძრაობა – მოძრაობა ათვლის აბსოლუტური (უძრავი) სისტემის მიმართ.

აბსოლუტური ნიშნული – ადგილის შვეული სიმაღლე ზღვის დონიდან (პირობითად მიღებულია თეთრი ზღვის ზედაპირის დონე).

აბსოლუტური სიდიდე – ნამდვილი ან კომპლექსური რიცხვის მოდული.

აბსოლუტური სიდიდე – ნამდვილი ან კომპლექსური რიცხვის მოდული.



აბსოლუტური სიმაღლე – დედამიწის ზედაპირის რომელიმე წერტილის სიმაღლე, რომელიც აითვლება ოკეანის ან მასთან შეერთებული ზღვის ძირითადი დონებრივი ზედაპირიდან შვეული ხაზის მიმართულებით (წულოვან დონედ პირობითად მიღებულია თეთრი ზღვის ზედაპირი). ოკეანეებისა და ზღვების დონეთა ცვალებადობის გამო სიმაღლე აითვლება ოკეანის ან ზღვის დონებრივი ზედაპირის ფიქსირებული სიმაღლის ნიშნიდან. მსოფლიოს ზედაპირის ყველაზე მაღალი წერტილის სიმაღლე 8848 მ-ია (მთა ევერესტი); ყველაზე დაბალის კი – 422 მ (მკვდარი ზღვის სანაპირო). საქართველოსა და ამიერკავკასიაში ა. ს. ათვლა ხდება შავი ზღვის დონიდან (ფოთის ფუტშტოკის ნული); რუსეთში – ქ. კრონშტადტის ფუტშტოკის სასიმაღლო ლარტყის ნულიდან (ნახ. 1).

აბსოლუტური სიჩქარე – მოძრავი წერტილის სიჩქარე ათვლის აბსოლუტური (უძრავი) სისტემის მიმართ.

აბსოლუტური ტემპერატურა – აბსოლუტური ნულიდან ათვლილი ტემპერატურა.

აბსოლუტური ტენიანობა – წყლის ორთქლის რაოდენობა, რომელსაც შეიცავს 1 $მ^3$ ჰაერი.

აბსოლუტური ტრაექტორია – წერტილის ტრაექტორია ათვლის აბსოლუტური (უძრავი) სისტემის მიმართ.

აბსოლუტური უპირატესობა – იურიდიული პირი, რომელიც სხვა იურიდულ პირზე უფრო დაბალი ფასით ამზადებს საქონელს.

აბსოლუტური ცდომილება – რაიმე სიდიდის ზუსტ მნიშვნელობასა და მის მიახლოებით მნიშვნელობას (მეტობით ან ნაკლებობით) შორის სხვაობის მოდული.

აბსოლუტური ძალა – ინერციის ძალა, რომელიც გამოსახულია ნივთიერი წერტილის მასისა და მისი აბსოლუტური აჩქარების ნამრავლით, აღებული მინუს ნიშნით.

აბსორბენტი (ლათ. absorbent- ყლაპვა<ab- -გან, -დან და sorbēre შეწოვა, შესრუტვა, ყლაპვა) – ნივთიერება ან საგანი, რომელიც ადვილად შეიწოვს, შთანთქავს სითხეს. როგორც წესი, აბსორბენტებია ფოროვანი მასალები, მაგ., ხის ნახშირი და ცეოლითები. მათი გამოყენების არე მრავალგვარია, მათ შორის ნარევების სეპარაცია, გაწმენდა, გაუფერულება, დეზოდორაცია და სხვ.

აბსორბერი (ლათ. absorbēre გადაყლაპვა, შთანთქმა<ab, ab- -გან, -დან, მოშორებით და sorbēre შეწოვა, შესრუტვა, ყლაპვა) – მოწყობილობა, რომელშიც აბსორბენტის მეშვეობით აირის ან სხვა ნივთიერების შთანთქმა ხდება. არსებობს მისი სახეები: გამფრქვევ-გამშხეფი, ზედაპირული, თაროვანი, თეფშა, საბარბოტაჟო, წყობურა და სხვ.

აბსორბცია [ლათ. absorptiō(n-)<absorptiō იწოვს<absorbēre გადაყლაპვა, შთანთქმა<<ab, ab- -გან, -დან, მოშორებით და sorbēre შეწოვა, შესრუტვა, ყლაპვა] – შთანთქმა, შეწოვა, შესრუტვა. ტექნიკაში და ქიმიურ მრეწველობაში ყველაზე ხშირად გვხვდება აირების ა. სითხეებით, თუმცა ცნობილია აირებისა და სითხეების ა. პროცესები კრისტალური და ამორფული სხეულებით (მაგ., წყალბადის – ლითონებით, დაბალმოლეკულური სითხეებისა და ლითონების – ცეოლითით, ნავთობპროდუქტების – რეზინტექნიკური ნაკეთობებით და სხვ.). პრაქტიკაში ხშირად იყენებენ ა. ნარევებში ნივთიერებების განცალკევებისას, თუ მათ განსხვავებული უნარი აქვთ აბსორბენტების შთანთქმისა. ანსხვავებენ ფიზიკურ ა. და ჰემოსორბციას. ფიზიკური ა. დროს შთანთქმის პროცესს არ ახლავს ქიმიური რეაქცია, ხოლო ჰემოსორბციის დროს აბსორბირებული კომპონენტი ერთვება ქიმიურ რეაქციაში აბსორბენტის ნივთიერებასთან. ნივთიერება (სხეული), რომელიც განიცდის ა. – შთანთქავს ჰაერიდან წყლის ორთქლს და ამ გზით სველდება (მაგ., ჭუჭყიანი მარილი, ქლორ-კალციუმი, ხის პოტაში და სხვ.). ასეთ ნივთიერებას (სხეულს) უწოდებენ ჰიგროსკოპულს. ხშირად ა. აიგივებენ ადსორბციასთან, რაც არასწორია. აბსორბცია – ეს არის აირული ნივთიერებების შეწოვა სითხეებით, რომელშიც მონაწილეობს აბსორბენტის (სითხის) მთელი მოცულობა, ხოლო ადსორბციის დროს პროცესში მონაწილეობს მყარი სხეულის ან სითხის მხოლოდ ზედაპირი. ა. იყენებენ ქიმიურ მრეწველობაში, აგრეთვე კოსმოსური ხომალდების სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემებში.

აბსტრაქტული (ლათ. abstractus გამოშვებული, მოხსნილი, გადადებული<abstrahere წათრევა, გადაჩოჩება<<ab, ab- -გან, -დან, მოშორებით და trahere გადათრევა, გადაწევა) – აბსტრაქციის

გზით მიღებული; განყენებული, არაკონკრეტული. დამატებით იხ. განყენებული, პუნქტი 2 და 3.

აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი (ინგლ. abstract expressionism) – ხელოვნების მიმდინარეობა (სკოლა) ამერიკულ ფერწერაში, რომელიც განვითარდა ნიუ იორკში (აშშ) XX საუკუნის ორმოციან წლებში ანდრე ბრეტონის (ფრანგი მწერალი და პოეტი, სიურეალიზმის ფუძემდებელი) გავლენით, რომლის მთავარი მიმდევრები იყვნენ ამერიკელი მხატვრები ჰანს ჰოფმანი, არშილ გორკი, ადოლფ გოტლიბი, ჯექსონ პოლოკი (ნახ. 1), მარკ როტკო, ვილემ დე კუნინგი და სხვ. ამ მიმდინარეობის წევრები გამოირჩეოდნენ იმით, რომ სწრაფად და დიდი ზომის ტილოებზე ხატავდნენ არაგეომეტრიული შტრიხების, დიდი ფუნჯების, ზოგჯერ ტილოზე საღებავების დაწვეთების მეშვეობით. ა. ე. ჩამოყალიბებამ საფუძველი დაუდო ხელოვნების ახალი ამერიკული სტილის "პოპ-არტის" შექმნასა და მსოფლიო კულტურისა და მხატვრობის ცენტრის ევროპიდან, ნაწილობრივ, ამერიკაში გადანაცვლებას.



აბსტრაქტული ხელოვნება – XX საუკუნის დასაწყისში წარმოშობილი მიმდინარეობა სახვით ხელოვნებაში, რომელიც უარყოფს გარესამყაროს რეალურ ასახვას, საგნებსა და მოვლენებს გადმოსცემს განყენებული ელემენტების (გეომეტრიული ფიგურა, ფერადოვანი ლაქა და ა.შ.) საშუალებით და გამოხატავს კომპოზიციის იდეას, ძირითად არსს, როგორც ავტორის ფანტაზიის ნაყოფს [ნახ. 1. აბსტრაქტული კომპოზიცია. ავტ. რუსი მხატვარი ვ. კანდინსკი (1866-1944 წწ.)].



ნახ. 1

აბსტრაქცია [ლათ. abstractiō(n-) დაშორება, დაყოფა, განცალკევება<abstractiōn<abstractus გამოშვებული, მოხსნილი, გადადებული<abstrahere წათრევა, გადაჩოჩება<<ab, ab- -გან, -დან, მოშორებით და trahere გადათრევა, გადაწევა] – აზრობრივი გამოცალკევება, შეცნობის ფორმა, რომელიც "კონკრეტულის" საპირისპიროა და ემყარება აზროვნების შედეგად საგნის არსებული თვისებებისა და კავშირების გამოყოფას მისი სხვა თვისებებისა და კავშირებისაგან.

აბსტრაქციონიზმი – XX საუკუნის დასაწყისის ფერწერული ხელოვნების მიმდინარეობა, რომლის მიმდევართა აზრით, ახალი ხელოვნება მხოლოდ მაშინ შეძლებდა მაყურებელზე ზეგავლენის მოხდენას, თუ ფერებს და ფორმებს სრული თავისუფლება მიეცემოდა, ანუ ისინი კონკრეტულ საგნებს არ გამოსახავდნენ. ამ დროს წარმოშობილი ფერების და ფორმების კომბინაციათა რაოდენობა უსაზღვროდ ბევრი შეიძლება იყოს, ისევე, როგორც ადამიანში წარმოშობილი ემოციებისა და განცდების სიმრავლე. აბსტრაქციონიზმი მთლიანად უგულვებელყოფს მხატვრობის საზოგადო და შემეცნებით ამოცანებს, ამის ნაცვლად მიზნად ისახავს „რეალობისაგან განწმენდილი“ სულიერი არსის, სუბიექტური ემოციისა და ქვეშეცნეული იმპულსების გამოხატვას. ის ეფუძნება მხატვრული ფორმის განყენებული ელემენტების (ფერის, ხაზის, მოცულობის) საშუალებით არასახვითი

კომპოზიციების შექმნას. ეს კომპოზიციები ან რაციონალისტურად მოწესრიგებულია, ან ავტორის სტიქიურ გრძნობებსა და ფანტაზიას გამოხატავს. აბსტრაქციონისტული ხელოვნების პირველი ფერწერული ნიმუში შექმნა ვასილ კანდინსკიმ (რუსი მხატვარი და გამოყენებითი ხელოვნების თეორეტიკოსი) 1910 წელს გერმანიაში (სურათი ამჟამად ინახება საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში). ა. მიმდევრები იყვნენ რობერ დელონე, ფრანსის პიკაბია (საფრანგეთის რესპუბლიკა), ფრანტიკეშ კუპკა (პოლონეთის რესპუბლიკა), პაულ კლეე (შვეიცარიის კონფედერაცია), ჯაკომო ბალა, უმბერტო ბოჩინი (იტალიის რესპუბლიკა) და სხვ. აბსტრაქციონისტული ფერწერა ხშირად გამოიყენება საგამოფენო პავილიონების, შენობათა ინტერიერების, სპორტული ღონისძიებების, ფესტივალების და ა.შ. გასაფორმებლად.

აბსცისა [თანამედროვე ლათინური abscissa (linea) ჭრის ხაზი<ლათ. abscindere წაჭრა, დაყოფა, განცალკევება<<ab, ab- -გან, -დან, მოშორებით და scindere გაყოფა, გაგლეჯა, გახლეჩა] – წერტილის ერთ-ერთი კოორდინატი დეკარტის მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში; მეტწილად ჰორიზონტალური კოორდინატი კოორდინატთა მართკუთხა ბრტყელ სისტემაში. აღინიშნება ლათინური ასო x-ით.

აგარ-აგარი (მალაიზ. agar ჟელე) – ლაბასებრი ნივთიერება, რომელიც მიიღება ზღვის წყალმცენარეებისგან და გამოიყენება ქაღალდის და საკონდიტრო მრეწველობაში.

აგარა – იგივეა რაც აგარაკი; "საზაფხულო სადგომი" (საბა).



ნახ. 1

აგარაკი – ქალაქგარეთა დასასვენებელი ადგილი; საცხოვრებელი სახლი სააგარაკო ადგილას (ნახ. 1).

აგარის მონასტერი (ინგლ. Agara Monastery) – X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის შენაკად ურაველის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ურაველის ზემოთ, მთის თხემზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ეკლესიები, სამრეკლო, სატრაპეზო, სამეურნეო დანიშნულების და საცხოვრებელი სადგომების ნანგრევები.



ნახ. 1

ყვლაზე დიდი ნაგებობა კომპლექსში მთავრი ეკლესიაა – თლილი ქვით ნაშენი, ერთ-ერთი უდიდესი ერთნავიანი ეკლესია საქართველოში (გარეთა ზომები 17,0x8,0 მ), რომელიც თავდაპირველი სახითაა მოღწეული გადაკეთების გარეშე, გარდა კედლების მოპირკეთებისა. ეკლესიის ინტერიერში, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მსგავსად, ერთიმეორის მიყოლებით 9 ნახევარწრიული ნიშია გაკეთებული. შუა მათგანი სხვებზე დაბალი და განიერია. კედლებს

აქა-იქ შერჩენილი აქვს ძველი მხატვრობის კვალი. აღმოსავლეთის ფასადის შუა ადგილას ჩუქურთმით მორთული სარკმელია (ნახ. 2. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა), რომლის ზემოთ არის წარწერა და რელიეფური ქანდაკება, რომელიც მოგვიანებით უნდა იყოს ჩასმული (სავარაუდოდ, იგი უფრო ადრინდელი შენობიდანაა ნასესხები). ფასადის ნაპირზე თითო ღრმა მაღალი ნიშაა. ამგვარ ნიშებს ჩვეულებრივ დიდგუმბათიანი ტაძრების აღმოსავლეთის ფასადზე ათავსებდნენ. ისინი თითქოს აღნიშნავენ მიჯნას საკურთხეველსა და მის მეზობელ ორ ოთახს შუა. მათ კონსტრუქციული დანიშნულებაც აქვთ – შეამციროს კედლის მასა. ამ პერიოდისათვის ქართულ ერთნავიან ტაძრებში ნიშების გამოყენება იშვიათად გვხვდება. შენობას ეტყობა გადაკეთების კვალი (XIV ს.), რასაც ადასტურებს დასავლეთის კედელზე სარკმლისა და შესასვლელის მორთულობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სამხრეთისა და აღმოსავლეთის სარკმელთა მორთულობისაგან. ტაძრის გვერდით, სამხრეთის კედლის პარალელურად, ძველი კედლის ნანგრევია. ერთ ადგილას შემორჩენილია კარნიზის ქვა მშვენიერი ჩუქურთმით, რომელიც აგრეთვე X ან XI საუკუნეს ეკუთვნის. სამხრეთით ძველი სამრეკლოს (XIII-XIV სს.) ნანგრევია (მხოლოდ პირველი სართულია გადარჩენილი), მის გვერდით კი მდგარა დიდი შენობა (ამჟამად სანახევროდ დანგრეულია), რომელიც ბერების სასადილოს (სატრაპეზოს) წარმოადგენდა. იგი ერთი დიდი დარბაზისა და მასზე მიშენებული გრძელი სადგომისაგან შედგებოდა.



აგებულება – იხ. სტრუქტურა.

აგეგმვა – განსაზღვრული ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკის ან გეგმის შედგენა მანძილების, სიმაღლეების, კუთხეების გაზომვით. მის საწარმოებლად გამოიყენება გეოდეზიური ხელსაწყოები, აგრეთვე ფოტო-, კინო-, აერო-, მრავალზონური და სხვა სახის გადაღებები. არსებობს აგეგმვის სახეები: ადგილმდებარეობის, გეოდეზიური, გეოლოგიური, თვალზომითი, ინსტრუმენტული, მარკშაიდერული, პოლიგონური, ტაქეომეტრიული, ტოპოგრაფიული, შვეული, ჰორიზონტალური და სხვ.

აგენტი [ლათ. agentem (სახელობითი agēns) ქმედითი, ეფექტური, ძლევამოსილი<agere გაკეთება, შესრულება; მოძრაობაში მოყვანა, მოძრაობის შენარჩუნება, წინ წასვლა, წაყვანა] – 1. განსაზღვრული ფუნქციის მქონე ბითუმად მოვაჭრე, რომელიც მუდმივად წარმოადგენს კონკრეტულ ორგანიზაციასა და არსებულ საქონელზე იურიდიულად პასუხს არ აგებს; 2. ვისიმე დავალებით მოქმედი პირი; 3. ამა თუ იმ დაწესებულების, ორგანიზაციის წარმომადგენელი; 4. ამა თუ იმ სადაზვერვო ორგანოს საიდუმლო თანამშრომელი; 5. მოქმედი ფაქტორი, რომელიც იწვევს რაიმე პროცესს ან მოვლენას ბუნებაში. არსებობს აგენტის სახეობები: ატმოსფერული, გადამცემი, განმჟანგავი, დინამიკური, მადისპერსებელი, მაკოაგულირებელი, მაკოროზიებელი, მაყოვნებელი, მაციებელი, მაძლიერებელი, სამუშაო, საშრობი, ქიმიური და სხვ.

აგენტი კოროზიის – ნივთიერება, რომელიც ლითონთან კონტაქტისას კოროზიას იწვევს.

აგენტურა [შუასაუკუნ. ლათ. agentia<ლათ. agentem (სახელობითი agēns) ქმედითი, ეფექტური, ძლევამოსილი<agere გაკეთება, შესრულება; მოძრაობაში მოყვანა, მოძრაობის შენარჩუნება, წინ წასვლა, წაყვანა] – ფირმის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს აგენტთა ერთობლიობა.

აგიოსკოპი (ბერძ. agio წმინდა და skopeîn ყურება, შესწავლა) – ღრეჩო, ნახვრეტი ტაძრის შიგა კედელში ან სხვა ძგიდეში (ნახ. 1), რომლის საშუალებით მლოცველები ხედავენ სამლოცველოში ან ევკდერში მთავარ საკურთხეველს. ეს სარკმელი, რომელსაც ასევე „კეთროვნების სარკმელს“ უწოდებდნენ, ერთადერთი ადგილი იყო, საიდანაც დაავადებულ ადამიანებს შეეძლოთ თვალი ედევნებინათ საეკლესიო მსახურობისათვის.



ნახ. 1

აგლომერატი (ლათ. agglomerātus<agglomerāre აჩხორვა, შეერთება<glomerāre ბურთივით დაგორგვლა<glomus ბურთი; ძაფის ბურთი) – 1. მეტალ. მცირე ზომის ნატეხების გროვა, ძირითადად გამდიდრებული მადნის კონცენტრატი; 2. პეტროგრ. ვულკანური სამთო ქანი, რომელიც შედგება ერთმანეთთან ბუნებრივად შეერთებეული (შეცხობილი) მსხვილი ფრაგმენტებისაგან. აგლომერატებს მიეკუთვნება ტუფი, ბრეკჩია (ნახ. 1), ქვიშაქვა და სხვ. არსებობს აგლომერატის სახეები: არადაფლუსებული, დაფლუსებული, დოლომიტიანი, თვითდნობადი, მანგანუმიანი, მანგანუმის, მაღალდაფლუსებული, მეტალიზებული, მცირედ დაფლუსებული, ჟანგეულის, რკინამანგანუმიანი, რკინის მადნის, სტაბილიზებული, ფაიალიტიანი, ფოსფოროვანი, ქრომიტებიანი და სხვ.



აგლომერაცია (ლათ. agglomerationem<agglomerāre აჩხორვა, შეერთება<glomerāre ბურთივით დაგორგვლა<glomus ბურთი; ძაფის ბურთი) – 1. წვრილი საშენი მასალების ნატეხებად შეცხობის თერმული პროცესი; 2. მოსახლეობის კომპაქტური განლაგება, დაჯგუფება, რომელთაც აქვთ განვითარებული საწარმოო, კულტურული და რეკრეაციული კავშირები.

აგლოპორიტბეტონი (რუს. аглопорит<ინგლ. aggloporite<გერმ. aggloporit და ფრანგ. béton ბეტონი<ლათ. bitūmen მინერალური ფისი; ასფალტი) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელშიც გამოყენებულია ფორიანი შემავსებელი აგლოპორიტი. აგლოპორიტისაგან, რომლის სტანდარტული ნარევის მოცულობითი წონაა 700-800 კგ/მ³, შესაძლებელია მივიღოთ ა. მარკით 50-100, მოცულობითი წონით 1200-1400 კგ/მ³ და ცემენტის ხარჯით 250-350 კგ 1 მ³ ბეტონზე. ა. ძირითადად გამოიყენება შენობის გარე კედლებისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა შეილესოს, რადგან ა.

თავისუფლად ატარებს წყალს (ნახ. 1).



აგლოპორიტი (რუს. аглопорит<ინგლ. aggloporite<გერმ. aggloporit) – ბეტონის ხელოვნური ფორებიანი შემვსები, თიხოვანი ქანების შეცხობით მიღებული საშენი მასალა (ნახ. 1). თერმოდამუშავების შემდეგ პროდუქტს ანაწევრებენ საჭირო სიმსხოს ფრაქციებად. მარცვლებს აქვს მომრგვალებული ფორმა ზომით 5-20 მმ. სიმკვრივე: ბუნებრივ მდგომარეობაში – 1120-1380 კგ/მ^3, მშრალ მდგომარეობაში – 630-790 კგ/მ^3.

აგლუტინატი (ლათ. agglūtinātus) – მკვრივ მასად შეცხობილი პიროკლასტური მასალა.



აგორა (ბერძ. agorá ბაზრის ფართობი, მოედანი) – საბერძნეთის ანტიკური ქალაქის თავდაპირველად სავაჭრო, შემდეგში საზოგადოებრივი და საქმიანი ცენტრი, რომელიც წარმოადგენდა სავაჭრო, საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობებით განაშენიანებულ მოედანს (ნახ. 1. ძველი ათენის აგორის რეკონსტრუქცია, საბერძნეთის რესპუბლიკა).

აგრარული ბაზარი (ბაზრობა) – მიწის ნაკვეთი, სადაც განლაგებულია სტაციონარული სავაჭრო ობიექტები და არასტაციონარული სავაჭრო ადგილები ან მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ადგილები (არანაკლებ 10 არასტაციონარული სავაჭრო ადგილისა), რომლებიც განკუთვნილია სურსათის ან/და ცხოველის რეალიზაციისათვის.



აგრაფი (ფრანგ. grafe კავი) – სტილიზებული მცენარეული მოტივი ბაღის პარტერის გასაფორმებლად XVII–XVIII საუკუნეებში. ჰქონდა ტოტების კონის, ფოთლების, ფურცლების სახე, რომელიც გამოდიოდა პარტერის კიდის ერთი წერტილიდან (ნახ. 1. აგრაფული კომპოზიცია).

აგრეგატი [ლათ. aggregātus გაერთიანებული, შეერთებული; სიტყვასიტყვით "გაერთიანებული გუნდში"<aggregāre მიმატება (გუნდთან, ჯოგთან, ფარასთან, ნახირთან), გუნდთან მიყვანა, შეკრება (გუნდში)] – 1. რთული მანქანა, რომელიც შედგება ერთმანეთთან შეერთებული სხვადასხვა ტიპის რამდენიმე მანქანისაგან (მაგ., ტრაქტორი და კომბაინი, ტურბოგენერატორი); 2. ქანი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მინერალის შენაერთს (მაგ., მარმარილო, გრანიტი); 3. სხვადასხვა ნაწილაკის ან საგნის მექანიკური შენაერთი; 4. ინერტული მასალების ნარევი (მაგ., ხრეშისა და ქვიშის), რომელიც გამოიყენება ბეტონის,

ბათქაშის, დუღაბისა და სხვ. დასამზადებლად. არსებობს აგრეგატის მრავალი სახეობა: აგურსაკეთებელი, ავტომობილის, აირსაშემდუღებლო, აკუსტიკური, ამგზნები, ბეტონჩასასხმელი, განივი ჭრის, გარდაქმნელი, გრძივი ჭრის, ზოლოვანას და ლენტის საპრიალებელი, ზოლოვანას და ლენტის სახეხი, თბოტექნიკური, თბოტექნოლოგიური, თბომძლური, კომბინირებული ჭრის, კომპრესორის, მანქანა-ტრაქტორის, მაღალი ძაბვის, მეტალურგიული, მექანიკური, მილსაგლინავი, მილშესადუღებელი, მოლბობის უწყვეტი, ორნაკერიანი მილშესადუღებელი, პერიოდული პროფილის ცხლად გლინვის, პნევმატიკური, პროფილსაღუნავი, პროფილური მილსაწნეხი, რკინის პირდაპირი მიღების, რეკუპერაციული, საბურღი, სადნობი, სამელიორაციო, სამთო, სამსხმელ-საგლინავი, საშემდუღებლო, საწმენდი, სახერხ-საპობი, ტურბოგენერატორული, უწყვეტი ამოჭმის, უწყვეტი მოქმედების ფოლადსადნობი, უწყვეტი საწრთობ-ამომჭმელი, ფოლადის კომპლექსური დამუშავების, ღუმელში შედუღების, ღუმელსგარე რაფინირების, შეთავსებული, ჩარხის, ძალური, ხაზის, ჰაერმუხრუჭის, ჰიდრავლიკური და სხვ.

აგრეგატირება [ლათ. aggregātus გაერთიანებული, შეერთებული; სიტყვასიტყვით "გაერთიანებული გუნდში"<aggregāre მიმატება (გუნდთან, ჯოგთან, ფარასთან, ნახირთან), გუნდთან მიყვანა, შეკრება (გუნდში)] – მანქანებისა და მოწყობილობების შექმნის ეფექტური მეთოდი მათი დაგეგმარებით უნიფიცირებული კვანძებისა და დეტალებისგან, რომლებიც სერიულადაა დამზადებული და აქვს მრავალჯერადი გამოყენება.

აგრეგირება – ერთგვაროვანი მაჩვენებლების (სიდიდეების) გაერთიანება, გამსხვილება უფრო განზოგადებულ ერთობლივ მაჩვენებლებად (სიდიდეებად).

აგრესიული გარემო – თხევადი ან აირისებრი გარემო, რომელიც იწვევს ან აჩქარებს მასალების კოროზიას ქიმიური, ელექტროქიმიური და სხვა სახის ზემოქმედებით. განსაკუთრებით საშიშია ა. გ. მაღალ ტემპერატურასთან ან მექანიკურ ზემოქმედებასთან ერთად.

აგრიგალება – ჰაერისა და ჰაერმასალების ნაკადების დიდი სიჩქარით ურთიერთშერევა, რომელიც გამოიყენება ჭავლურ წისქვილებში თვითდაფქვისათვის (დაქუცმაცება წარმოებს მყარი ნაწილაკების ურთიერთშეჯახებით და კედლებზე მათი მიხეთქებით).

აგური (ინგლ. Brick) – ცალობითი საშენი მასალა, რომლის სტანდარტული ზომებია: 250×120×65 მმ (მომატებული სისქის – 250×120×88 მმ). გამოყენებული ნედლეულისა და დამზადების ხერხის მიხედვით არსებობს ორი სახის: კერამიკული (თიხის) და სილიკატური (კვარცის ქვიშა და საჰაერო კირი). ზოგადად აგურის მრავალი სახეობაა ცნობილი: ბზენარევი, გადამეტმწვარი, გამომშრალი, გამომწვარი, გამოუწვავი, დიატომიტის, დინასის, თბოსაიზილაციო, თიხამიწოვანი, თიხატრეპელის, თიხის, კაჟმიწოვანი, კირქვიშის, კლინკერის, კლინკერ-ცემენტის, მაგნეზიტის, მაგნიუმნახშირბადოვანი, მაგნიუმქრომოვანი, მოჯავშნული, მშრალნაწნეხი, ნარანდიანი, ნახვრეტებიანი, პრიზმული, რუსული, საბრძმედე, საქუსლე, საღუმელე, სილიკატური, სიფონის ამოსაგები, ტრეპელის, ფოროვანი, ქართული, ქრომმაგნეზიტიანი, ღრუ, შამოტის, ჩამკეტი, ცეცხლგამძლე, წითელი, წიდისა და სხვ.

აგური დაკალიბრებული (ინგლ. Brick calibrated) – აგური, რომელიც ზუსტ ზომაზეა დამუშავებული.

აგური დაფაქტურებული (ინგლ. Brick stacked) – მოსაპირკეთებელი აგური წინაპირზე რელიეფური სურათით (ნახ. 1).





აგური დოლომიტური (ინგლ. Brick dolomite) – ცეცხლგამძლე აგური, რომლის შემადგენლობაში შედის 32-36% მაგნიუმის ჟანგი (MgO) და 50-56% კალციუმის ჟანგი (CaO). მაგნეზიის ფხვნილთან ერთად გამოიყენება ფოლადსადნობი ღუმლის ფსკერისა და ფერდების მოსაპირკეთებლად (ნახ. 1).

აგური თიხის (ინგლ. Brick clay) – აგური, მიღებული სათანადოდ შემზადებული თიხის დაყალიბებითა და გამოწვით. აქვს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმა ზომებით 250×120×65 მმ (ნახ. 1); შესქელებული აგური – 250×120×80 მმ და მოდულური აგური – 288×138×63 მმ. შესქელებული და მოდულური აგური კეთდება სიცარიელეებით ისე, რომ ერთი ცალის მასა არ აღემატება 4 კგ-ს. ნედლეულად გამოიყენება ადვილდნობადი თიხა, რომელიც უძლებს 1350°C-მდე ტემპერატურას.



აგური თიხის ღრუტანიანი (ინგლ. Brick clay hollow) – აგური, რომელიც დამზადებულია ადვილდნობადი თიხისა და დანამატების გამოყენებით. სიცარიელეები აგურში შეიძლება იყოს მრგვალი – არაუმეტეს 15 მმ დიამეტრით, და მართკუთხა – არაუმეტეს 15 მმ სიგანის ხვრელით. ღრუტანიან აგურს ამზადებენ როგორც ჩვეულებრივს (ნახ. 1), ისე შესქელებულს. მათი მარკებია 75, 100, 125, 150; ზოგადი სიმკვრივე 1000-1450 კგ/მ^3. გამოიყენება ისე, როგორც ჩვეულებრივი აგური. შენობის საძირკვლების, ცოკოლისა და სველი კედლების წყობისათვის ა. თ. ღ. გამოყენება არ არის რეკომენდებული.





აგური კერამიკული (ინგლ. Brick ceramic) – სწორი ფორმის, ცალობითი, სიღრუეებიანი ან მთლიანკვეთიანი ქვის საშენი მასალა, დამზადებული თიხისაგან გამოწვის გზით (ნახ. 1. მთლიანკვეთიანი კერამიკული აგური). იყოფა მარკებად სიმტკიცის (7,5-30 მპა) და ყინვამედეგობის (15-50 გაყინვის ციკლი) მიხედვით. თბოტექნიკური

თვისებებისა და სიმკვრივის მიხედვით არსებობს: ეფექტური (1450 კგ/მ^3), პირობითად ეფექტური (1450-1600 კგ/მ^3) და ჩვეულებრივი (მეტი 1600 კგ/მ^3-ზე).



აგური კერამიკული ორფენიანი (ინგლ. Brick ceramic ribbon) – მოსაპირკეთებელი აგური, რომლის გარე თხელი ფენა (3-5 მმ) შედგება ვარდისფერი გამომწვარი თიხისაგან, ხოლო ტანი – ჩვეულებრივი თიხისაგან, რომელსაც იყენებენ წითელი აგურის დასამზადებლად (ნახ. 1). ასეთ აგურს ანგობიროვან აგურსაც უწოდებენ.



აგური კლინკერული (ინგლ. Brick clinker) – კერამიკული საშენი მასალა, დამზადებული თიხისაგან და გამომწვარი სრულ შეცხობამდე (ნახ. 1). გამოიყენება კედლების მოპირკეთების და ქუჩების მოკირწყვლისათვის.



აგური ლეკალოსებრი (ინგლ. Brick leak) – სპეციალური ნახატის მიხედვით ფორმირებული აგური (ნახ. 1), რომელიც გამოიყენება კარნიზების, კუთხეების, კამარების, თაღების, მრგვალი ღიობებისა და მისთ. წყობისათვის.

აგური მასიური (ინგლ. The bricks are massive) – აგური სიცარიელეების მინიმალური მოცულობით. გამოიყენება კედლების, სვეტებისა და სხვა ისეთი კონსტრუქციების ასაგებად, რომლებიც საკუთარი წონის გარდა დამატებით იღებენ სხვა დატვირთვებს.

აგური მოსაპირკეთებელი (ინგლ. Brick paving) – დაფაქტურებული ან დაფასონურებული პირის მქონე აგური. გამოიყენება ფასადისა და ინტერიერის მოსაპირკეთებლად.



აგური მხურვალგამძლე (ინგლ. Heatproof brick) – აგური, რომელიც მაღალი ტემპერატურის გავლენით არ იშლება და არ განიცდის დეფორმაციას. გამოიყენება ქვაბების, სახანძრო მილების, ღუმლების, ბუხრებისა და სხვათა წყობის დროს (ნახ. 1).

აგური რადიალური (ინგლ. Brick radial) – იხ. აგური ლეკალოსებრი.



ნახ. 1

აგური რიგითი (ინგლ. Brick ordinary) – აგური, რომელიც გამოიყენება წყობაში შიგა ან გარე რიგებისათვის შემდეგი შებათქაშებით. ა. რ. გვერდით ზედაპირზე შეიძლება ჰქონდეს ჩაღრმავებული გეომეტრიული ფიგურა საბათქაშე დუღაბთან შეჭიდულობის გასაუმჯობესებლად (ნახ. 1).



ნახ. 1

აგური სამშენებლო (ინგლ. Brick building) – სწორი ფორმის ხელოვნური ქვა, რომელიც ფორმირებულია მინერალური მასალისგან და სიმტკიცე, წყალ- და ყინვაგამძლეობა შეძენილი აქვს საცეცხლე ღუმელში გამოწვით ან გაორთქლვით. იგი აგურის ძირითადი სახეობაა. გამოიყენება შენობის მზიდი და თვითმზიდი კედლების ასაშენებლად (ნახ. 1).

აგური სამშენებლო მსუბუქი (ინგლ. Brick building light) – აგური, რომელიც მზადდება თიხისა და ამოსაწვავი დანამატებისაგან (ხის ნახერხი, ტორფი, ქვანახშირი და სხვ.); აქვს მცირე სიმკვრივე და თბოგამტარობა. მისი გამოყენებით შესაძლებელია კედლის სისქისა და მასის შემცირება 36-40%-ით. ასეთ აგურს იყენებენ მხოლოდ ნორმალური ტენიანობის შენობებისათვის. ა. ს. მ. სტრუქტურის მიხედვით არსებობს ამაღლებული ფორიანობის, სიღრუეებიანი (ნახ. 1) და კომბინირებული; ნედლეულის მიხედვით – თიხის, ტრეპელის და შერეული (თიხა-ტრეპელის და თიხა-წიდის). აგური სიმკვრივით 700-1000 კგ/მ^3 და სიმტკიცით 35-50 კგ/სმ^2 გამოიყენება თვითმზიდი კედლებისათვის; სიმკვრივით 1000-1600 კგ/მ^3 და სიმტკიცით 50-150 კგ/სმ^2 – მზიდი კედლებისათვის; სიმკვრივით 500-700 კგ/მ^3 და სიმტკიცით 5-15 კგ/სმ^2 – საქვაბეების, მილების და ღუმლების თბოიზოლაციისათვის მაღალი ტემპერატურის (900°C-მდე) პირობებში, ხოლო ასეთივე თბოსაიზოლაციო აგური, დამზადებული ცეცხლგამძლე თიხისაგან – 1300°C-მდე ტემპერატურის პირობებში.



ნახ. 1

აგური სილიკატური (ინგლ. Brick silicate) – ხელოვნური ქვის სახეობა, რომელიც მიიღება ავტოკლავური მეთოდით (წყლის ორთქლის ზემოქმედებით 170-200°C ტემპერატურის პირობებში) კვარცის ქვიშისა (90%) და ჰაერკირის (10%) ნარევისაგან.

სიმტკიცე იგივე აქვს, რაც ჩვეულებრივ თიხის აგურს, ცოტათი მძიმეა მასზე (ნახ. 1. ფერადი სილიკატური აგური). ა. ს. გამოყენება დაუშვებელია საკვამლე მილებში, ბუხრებსა და ღუმლებში, რადგან სილიკატური აგურის გამოყებისას გარემოს ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 550°C, ასევე არ არის მიზანშეწონილი ა. ს. გამოყენება შენობის საძირკვლებისა და ცოკოლის სართულის მოსაწყობად, რადგან გრუნტის წყლების აგრესიული მარილების ხანგრძლივი ზემოქმედება ნეგატიურ გავლენას ახდენს მასალაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2010 წლიდან სილიკატური აგურის გამოყენება აიკრძალულია შენობის მზიდ და არამზიდ ელემენტებში (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 7 ოქტომბერი, 2009 წ.).

აგური ფასადის (ინგლ. Brick façade) – იხ. აგური წინაპირის.



აგური ფასონური (ინგლ. Brick fosson) – მოსაპირკეთებელი აგური რთული ფორმის (ფანჯარა, კამარა, სვეტი, რაფა, ღობე და სხვ.) წყობისათვის (ნახ. 1).

აგური ფერადი (ინგლ. Brick colored) – აგური, შეღებილი სხვადასხვა ფერადი წარმოების პროცესში, რომელსაც ძირითადის გარდა, აქვს დეკორაციული ფუნქციაც. ფერი დამოკიდებულია თიხისა და პიგმენტის სახეობასა და დამზადების ტექნოლოგიაზე, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ სხვადასხვა შეფერილობის პროდუქცია. ა. ფ. შენობის გარე და შიგა მოპირკეთების გადაწყვეტის იდეალური საშუალებაა. აგურის მექანიკურ და ფიზიკურ თვისებებზე მასალის შეღებვა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს. ის წარმატებით გამოიყენება კედლებისა და ბუხრების მოპირკეთებისათვის, დეკორატიული ტიხრებისა და ღობეების ასაგებად, ეზოების, ბაღების, სკვერების გასალამაზებლად და სხვ.

აგური ფისდოლომიტური – ცეცხლგამძლე აგური, რომელიც მზადდება დოლომიტის ფხვნილისა და ქვანახშირის ფისისაგან. გამოიყენება ფოლადსადნობ ჟანგბადიან კონვერტორებში ამონაგად.

აგური ფისდოლომიტურმაგნეზიური – ცეცხლგამძლე აგური, რომლის შემადგენლობაში შედის 32-50% მაგნიუმის ჟანგი (MgO), 38-54% კალციუმის ჟანგი (CaO) და 4% სილიციუმის ორჟანგი $Si0_2$. გამოიყენება ფოლადსადნობ ჟანგბადიან კონვერტორებში ამონაგად და მარტენის ღუმლებში საწიდარის წყობისათვის.



აგური ღრუტანიანი (ინგლ. hollow brick) – აგური სხვადასხვა ფორმისა და ზომის გამჭოლი არხებით ან შიგნით ღრუ სივრცით (ნახ. 1).



აგური შამოტის (ინგლ. Brick shamite) – აგური, რომელიც მიიღება ცეცხლგამძლე თიხისა და კაოლინისაგან (ნახ. 1). ცეცხლგამძლეობა 1730°C-მდე, სიმტკიცე – 10-12,5 მპა. იყენებენ საცეცხლე ღუმლების, ორთქლის ქვაბებისა და კვამლსადენების შიგა მოპირკეთებისათვის.

აგური ცეცხლგამძლე (ინგლ. Brick refractory) – სუფთა ზედაპირიანი აგური, დამზადებული ძნელდნობადი თიხისგან. აქვს დიდი სიმტკიცე და მაღალი ცეცხლგამძლეობა. ფართოდ გამოიყენება ღუმლებისა და ბუხრების ამოსაგებად (როგორც პირითი, ისე შიგა მხრიდან), აგრეთვე აბანოებსა და სხვადასხვა თბურ აგრეგატებში. ეს მასალა შეუცვლელია საბრძმედე და სხვა სახის სპეციალური ღუმლების კამარებისა და ზღუდარების მოსაწყობად, სადაც იწვის ნავთობი, გაზი, მტვრისებრი საწვავი და სხვ. ცეცხლგამძლე აგურის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა შამოტის აგური (იხ. აგური შამოტის).

აგური წინაპირის (აგური ფასადის) – მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის აგური, რომელსაც აქვს გამოკვეთილი ხაზები, ერთგვაროვანი შეფერილობა და კარგად უძლებს ატმოსფერულ ნალექებს. ძირითადად გამოიყენება გარე სამუშაოებისათვის.

აგურის თვისებები – აგურის, როგორც საკედლე მასალის, ძირითად თვისებად, ითვლება სიმტკიცე და ყინვამედეგობა. მაგ., მ100 მარკა აღნიშნავს მის წინაღობას კუმშვაზე 10 მპა, რაც საკმარისია 2- და 3-სართულიანი სახლის ასაშენებლად. მრავალსართულიან შენობებში გამოყენებული აგურის მარკა არ უნდა იყოს მ 150-ზე ნაკლები. ყველაზე მეტად გავრცელებული აგურის მარკებია: 75, 100, 125, 150, 200, 250 და 300. ყინვამედეგობა (გაყინვა-გალღობის ციკლის რაოდენობა) არის მასალის ხანგამძლეობის ირიბი მაჩვენებელი - რაც მეტია ყინვამედეგობა, მით მეტია მასალის სამსახურის ვადა. ყინვამედეგობის მიხედვით აგურის მარკებია: 50, 75, 100-300. აგურის სტრუქტურა შეიძლება იყოს უწყვეტი, სიღრუეებიანი ან ფოროვანი; ფერი დამოკიდებულია გამოყენებული ნედლეულისა და დანამატი პიგმენტის სახეობაზე. სტანდარტული აგურის ზომებია: 250x120x65 მმ. 1 $მ^3$ კედლის ასაშენებლად (დუღაბის ფენის გათვალისწინებით) საჭიროა 380-420 ცალი სტანდარტული ზომის აგური, საშუალოდ – 400 ცალი. ნებისმიერი სახის აგური უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყნის ოფიციალური სტანდარტის მოთხოვნებს.

აგურის მარკა – სიმტკიცის მაჩვენებელი, განსაზღვრული დატვირთვის (კგ/$სმ^2$) მიხედვით, რომელსაც უნდა გაუძლოს აგურმა ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში. მრეწველობაში გამოდის აგური მარკებით: 75, 100, 125, 150, 200, 250, 300. აგურის მარკა განისაზღვრება მრავალრიცხოვანი ნიმუშის გამოცდით ლაბორატორიულ პირობებში (შესაბამისი სტანდარტების დაცვით) ღუნვასა და კუმშვაზე და მიღებული შედეგების დამუშავებით მათემატიკური სტატისტიკის ფორმულების გამოყენებით.

აგურის პირი – აგურის ერთ-ერთი წახნაგი.

აგურის სიგრძივი რიგი – აგურის წყობის უმარტივესი ფორმა, როცა აგურები რიგში დაწყობილია გრძივად და გვერდითა პირი გამოდის კედლის ზედაპირზე.



ნახ. 1

აგურის წყობა – გარკვეული წესით განლაგებული და ერთმანეთთან დუღაბით შეკავშირებული აგურების ერთობლიობა (ნახ. 1). წყობაში დუღაბი აკავშირებს აგურებს, თანაბრად ანაწილებს მათ შორის წნევას და ზრდის წყობის სიმტკიცესა და მონოლითურობას. წყობის სიმტკიცის გასაზრდელად ზოგჯერ იყენებენ დაარმატურებას ლითონის ღეროებით (დაარმირებული წყობა). გადაბმის სისტემები მრავალგვარია; საქართველოში ძირითადად გამოიყენება ერთრიგა, ორრიგა (ჯაჭვური) და მრავალრიგა წყობის ტიპები.



ნახ. 1

აგურის წყობა ამერიკული – აგურის წყობის ტიპი, რომელშიც ყოველი გრძივად განლაგებული სამიდან ცხრამდე რიგის შემდეგ მოდის ერთი რიგი განივად განლაგებული აგურებისა (ნახ. 1).



ნახ. 1

აგურის წყობა ბავარიული – აგურის გრძივი წყობის ფორმა, როცა ზოგიერთი აგური მუქი (ხშირად შავი) ფერისაა, რითაც მიიღწევა ფასადების ორიგინალურობისა და უნიკალურობის განუმეორებელი ეფექტი (ნახ. 1).



ნახ. 1

აგურის წყობა ბრანდენბურგული – აგურის წყობის ფორმა, როცა ჰორიზონტალურ რიგში ორ გრძივ აგურს ენაცვლება ერთი განივი. რიგის წანაცვლება შეადგენს განივი გვერდის ნახევარს (ნახ. 1).



აგურის წყობა განივი – აგურის კედლის მარტივი წყობა, როცა ფასადზე გამოდის მხოლოდ აგურის განივი ტორსები (ნახ. 1). რიგის შვეული ნაკერის წანაცვლება შეადგენს აგურის სიგანის ნახევარს.



აგურის წყობა გოტიკური – აგურის სიმეტრიული წყობის ფორმა, როცა ჰორიზონტალურ რიგში მორიგეობითაა განლაგებული აგურის გრძივი და განივი გვერდები (ნახ. 1). წანაცვლება რიგებს შორის შეადგენს 1/4 აგურს.

ნახ. 1

აგურის წყობა დაარმირებული – აგურის წყობა, რომელიც გაძლიერებულია არმატურის ბადით ან ცალკეული ღეროებით (ნახ. 1). დაარმირების პროცესი იწყება კედლის ძირიდან. იმ შემთხვევაში, როცა ცოკოლის სართული აგურისაა, დაარმირებას ექვემდებარება ცოკოლის სართულიც. მას შემდეგ, რაც აგურის პირველი რიგი დალაგდება საძირკველზე, მასზე ზევიდან დაეწყობა მზა არმატურის ბადე. ასევე დაარმირდება პირველი 5 რიგი. აგურის კედლის მშენებლობისას სიმაღლით 8 მ-მდე, დაარმირდება ყოველი მეოთხე რიგი.



ნახ. 1

აგურის წყობა დიაგონალური – აგურის კედლის წყობის ფორმა, როდესაც წყობაში ჩართული დაფაქტურებული აგურები კედლის ფასადზე განლაგებულია დიაგონალის მიმართულებით (ნახ. 1).





აგურის წყობა ერთრიგა (ინგლ. brickwork Running bond) – ჰორიზონტალურ გრძივ რიგებად განლაგებული აგურების წყობა, რომელშიც აგურები დალაგებულია სიგრძეზე და ორ მოსაზღვრე რიგს შორის წანაცვლება შეადგენს 1/2 (ნახ. 1), 1/3 ან 1/4 აგურს.

ნახ. 1



აგურის წყობა ინგლისური გადაბმით (ინგლ. brickwork English bond) – აგურის წყობის ტიპი, რომლის ერთ რიგში აგურები განლაგებულია გრძივად, მეორეში – განივად, მესამეში ისევ გრძივად და ა.შ. (ნახ. 1).



აგურის წყობა ინგლისური ორრიგა – აგურის კედლის წყობის ფორმა, როდესაც პირით ზედაპირზე აგურის ორი გრძივი რიგი ჩანაცვლებულია ერთი განივი რიგით (ნახ. 1).

ნახ. 1

აგურის წყობა მარტივი (მე-6 ან მე-7 რიგი განივი) [ინგლ. brickwork Common (6th course headers)] – აგურის წყობის ტიპი, როცა რიგებში აგურები გრძივადაა დალაგებული და ყოველი 6-7 რიგის შემდეგ გადაიკეტება განივად განლაგებული აგურების რიგით. პირველი ქვედა რიგი ყოველთვის განივია, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე (მეშვიდე) – გრძივი და ამ რიგებში წანაცვლება შეადგენს აგურის ნახევარს. ეს წესი ძალაშია კედლის სისქისგან დამოუკიდებლად (ნახ. 1).



აგურის წყობა მარტივი ფლამანდიური [ინგლ. brickwork Common (6th course Flemish headers)] – აგურის წყობის ტიპი, როცა რიგებში აგურები გრძივადაა დალაგებული და ყოველი 5 რიგის შემდეგ გადაიკეტება ფლამანდიური განლაგების (მონაცვლეობით გრძივი და განივი) აგურების რიგით. პირველი ქვედა რიგი ყოველთვის განივია, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე – გრძივი და ამ რიგებში წანაცვლება შეადგენს აგურის ნახევარს. ეს წესი ძალაშია კედლის სისქისგან დამოუკიდებლად (ნახ. 1).



ნახ. 1

აგურის წყობა მრავალრიგა (ინგლ. brickwork Stack bond) – ჰორიზონტალურ გრძივ რიგებად განლაგებული აგურების წყობა, რომელშიც აგურები დალაგებულია სიგრძეზე მეზობელ რიგებს შორის წანაცვლების გარეშე (ნახ. 1).





ნახ. 1

აგურის წყობა ნაძვისებრი (ინგლ. brickwork herringbone) – აგურის კედლის წყობის ფორმა, როდესაც კედლის პირზე (ან იატაკზე) აგურები განლაგებულია ნაძვისებრად (ნახ. 1).



ნახ. 1

აგურის წყობა პარკეტისებრი (ინგლ. brickwork Basket weave or Parquet) – აგურის წყობა, რომელიც პარკეტის წყობის ანალოგურია (ნახ. 1).

აგურის წყობა სათაგური (ინგლ. brickwork Rat-trap) – არასტანდარტული აგურის წყობა, როცა ჰორიზონტალურ რიგებში მორიგეობით განლაგებულია გრძივი და განივი გვერდები (ნახ. 1; ნახ. 2).



ნახ. 1



ნახ. 2

აგურის წყობა სილეზიური – აგურის წყობის ფორმა, როცა ყოველ რიგში განლაგებულია აგურის ერთი განივი და ორი გრძივი გვერდი. რიგებს შორის წანაცვლება შეადგენს აგურის მეოთხედს (ნახ. 1).





ნახ. 1

აგურის წყობა ფლამანდიური გადაბმით (ინგლ. brickwork Flemish bond) – აგურის წყობის ტიპი, რომლის ყოველ რიგში მონაცვლეობითაა განლაგებული გრძივი და განივი აგურები (ნახ. 1). წანაცვლება მეზობელ რიგებში გრძივ აგურებს შორის შეადგენს 1/4-ს.

აგურის წყობა ფლამანდიური დიაგონალური (ინგლ. brickwork Flemish diagonal) – აგურის წყობის ფლამანდიური ტიპი, რომელშიც ერთ რიგში აგურები განლაგებულია გრძივად, ხოლო მომდევნოში – გრძივად და განივად და ა.შ., ისე რომ აგურის განივ გვერდებს შორის წანაცვლება შეადგენს 1/2-ს (ნახ. 1). შესაძლებელია სხვა კომბინაციებიც, მაგ.: პირველი რიგი – ერთი განივი, ორი გრძივი და ა.შ.; მეორე რიგი – სამი განივი, ერთი გრძივი, ოთხი განივი, ერთი გრძივი; სამი განივი და ა.შ.; მესამე რიგი – ერთი გრძივი, სამი განივი და ა.შ.; მეოთხე რიგი – სამი განივი და ერთი გრძივი და ა.შ.; მეხუთე რიგი – ერთი გრძივი, სამი განივი, ერთი გრძივი ოთხი განივი, ერთი გრძივი და ა.შ. (ნახ. 2).





აგურის წყობა ფლამანდიური ორმაგი სიგრძით (ინგლ. brickwork Flemish double header) – აგურის წყობის ფლამანდიური ტიპი, რომელშიც ჰორიზონტალურ რიგებში განლაგებულია ერთი განივი, ორი გრძივი, ერთი განივი და ა.შ. აგური, ისე რომ განივი აგურის სიმეტრიის ღერძი ემთხვევა მოსაზღვრე რიგის ორი გრძივი აგურის ნაკერს (ნახ. 1). აღნიშნულ წყობას ზოგჯერ ჯაჭვურ წყობასაც უწოდებენ.



აგურის წყობა ფლამანდიური სპირალური (ინგლ. brickwork Flemish spiral) – აგურის წყობის ფლამანდიური ტიპი, როცა მოსაზღვრე ჰორიზონტალურ რიგებში აგურის დიდი გვერდების წანაცვლება შეადგენს სიგრძის 1/4-ს (ნახ. 1).





ნახ. 1

აგურის წყობა ფლამანდიური ჯვრისებრი (ინგლ. brickwork Flemish cross) – აგურის წყობის ფლამანდიური ტიპი, როცა ერთ ჰორიზონტალურ რიგში აგურები განლაგებულია გრძივად, მეორეში – ერთი გრძივად, ერთი განივად, ერთი გრძივად, ორი განივად, ისევ ერთი გრძივად და ა.შ. (ნახ. 1).

აგურის წყობა ქაოტური – აგურის წყობის სახეობა, როდესაც ჰორიზონტალურ რიგებში აგურები განლაგებულია ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე (ნახ. 1).





აგურის წყობა ღობის ფლამანდიური (ინგლ. brickwork Flemish garden wall) – აგურის წყობის ფლამანდიური ტიპი, როცა ჰორიზონტალურ რიგებში განლაგებულია ერთი განივი, სამი გრძივი, ერთი განივი და ა.შ. გვერდები, ისე რომ განივი გვერდის სიმეტრიის ღერძი ემთხვევა მოსაზღვრე რიგის სამი გრძივი აგურის შუათანას გრძივი გვერდის სიმეტრიის ღერძს (ნახ. 1). გამოიყენება აგურის ღობეების ასაშენებლად.

აგურის წყობა ჯაჭვური – იხ. აგურის წყობა ფლამანდიური ორმაგი სიგრძით.

აგურის წყობა ჯვრისებრი – აგურის წყობის რთული სახეობა, სადაც ყოველ გრძივ რიგს ენაცვლება განივი. განივი რიგები ერთნაირია, ხოლო გრძივ რიგებს შორის წანაცვლება შეადგენს აგურის ნახევარს (ნახ. 1).



აგურის წყობა ჰოლანდიური – აგურის წყობის ფორმა, როცა ერთი რიგი წარმოადგენს განივ წყობას, ხოლო მისი მომდევნო რიგი – განივი და გრძივი წყობების სიმეტრიულ სინთეზს (ნახ. 1).



ნახ. 1

აგურფხვნილი – 1. წვრილად დანაყილი წითელი აგური ან კერამიკა. უმატებენ კირქვის ხსნარს ვარდისფრის მისაცემად. ფართოდ გამოიყენებოდა ძველ მშენებლობაში (ნახ. 1. აგურფხვნილის მჭიდა მასალების გამოყენებით აგებული სოფიას ტაძარი ქ. კიევში, უკრაინა), როგორც მჭიდა მასალა (ცემენტის ანალოგიურად) აგურისა და ქვის კედლების ასაშენებლად. ა. გამოყენების კარგი მაგალითია კიევის ქვის ხუროთმოძღვრება (სოფიას ტაძარი, ჩერნიგოვა, პერესლავა და სხვ.); 2. ცემენტის ხელოვნური ჰიდრავლიკური დანამატი, რომელიც მიიღება აგურის ან თიხის ნაკეთობების (ან ნარჩენების) დაფქვით.



ნახ. 1

ადამიანთა ევაკუაცია ხანძრისას – ადამიანთა მოძრაობის იძულებითი პროცესი ზონიდან, სადაც შესაძლებელია მათზე ხანძრის სახიფათო ფაქტორების ზემოქმედება.

ადამიანისეული კაპიტალი – მუშაკთა წარმოებრივი ჩვევები, ცოდნა და გამოცდილება, რომელიც გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლობაზე.

ადაპტაცია (შეგუება, შეწყობა, მორგება) [ფრანგ. adaptation<გვიანდ. ლათ. adaptātiō<ლათ. adaptāre მორგება, შესაბამობა (შეესაბამება), შესატყვისობა; მოწესრიგება, შეგუება, შეწყობა] – 1. ცოცხალი ორგანიზმების ან მათი ორგანოების (მაგ., გრძნობის ორგანო – მხედველობის) გარემო პირობებთან (მაგ., ტემპერატურასთან, ჰაერში მავნე მინარევებთან, ფიზიკურ დატვირთვებთან და სხვ) შეგუების პროცესი; ორგანიზმის ადაპტაცია რთულ ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებთანაა დაკავშირებული; 2. დანერგვა (მაგ., ახალი ტექნიკისა); 3. გაუმჯობესება (მაგ., ნაწარმოებისა); 4. ლიტერატურული ნაწარმოების ან რაიმე

ტექსტის გამარტივება, შემოკლება-გადაკეთება უცხო ენის შემსწავლელთათვის; დამწყებ მკითხველთათვის უცხოენოვანი ტექსტის გამარტივება; 5. ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის რელიგიური მოთხოვნილებებისა და ქმედებების სამართლებრივი რეგულირება იმგვარად, რომ არ მოხდეს მათი უსამართლოდ შეზღუდვა; 6. სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელება, რომელიც საშუალებას მისცემს კონკრეტულ პიროვნებას, მოერგოს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს და საჭიროებებს, აგრეთვე გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა და იცხოვროს ჯანსაღად.

ადაპტაციის სისტემა – ორგანიზმის სისტემა, რომელიც გარემო პირობების ცვლილებისას ოპტიმალური მდგომარეობის შენარჩუნების ან მიღწევის მიზნით ავტომატურად ცვლის თავისი ფუნქციონირების ალგორითმს და, ზოგჯერ – სტრუქტურასაც.

ადაპტერი (ფრანგ. adapter<ლათ. adaptāre შეგუება, შეწყობა, მორგება; მოწესრიგება) – 1. შემაერთებელი მოწყობილობა, "გადამრთველი"; 2. ელექტრომაგნიტური მოწყობილობა, რომელიც გამაძლიერებლის საშუალებით გადმოსცემს გრამაფონის ფირფიტაზე ჩაწერილ ხმას; 3. ფოტოაპარატის დამატებითი კასეტა, რომელიც შესაძლებელს ხდის აპარატის კონსტრუქციით გაუთვალისწინებელი ფორმატის სხვადასხვა შუქმგრძნობიარე მასალის გამოყენებას; 4. მოწყობილობა, რომლითაც ფოტოაპარატზე მაგრდება, არასტანდარტული ობიექტივი; 5. მოწყობილობა ხელსაწყოს ნაწილის ელექტროქსელში ჩასართავად, რისი განხორციელებაც პირდაპირ შეუძლებელია; 6. ადამიანი, რომელიც ამუშავებს ტექსტს, რათა ის გახადოს ვარგისი გადაღების, გადაცემის ან სცენისათვის.

ადგილობრივი საგანგებო სიტუაცია – სიტუაცია, რომლის გავრცელების ფარგლები არ სცილდება დასახლებული პუნქტის (ქალაქი, მუნიციპალიტეტი) საზღვრებს, ხოლო მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის საკმარისია აღნიშნული დასახლებული პუნქტის (ქალაქი, რაიონი) სახანძრო-სამაშველო ძალები და საშუალებები, ხოლო დამხმარე ძალები ორ ეკიპაჟს არ აღემატება.

ადგილობრივი ტყის ფონდი – სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილი, რომელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

ადეკვატური (ლათ. adaequātus გათანაბრებული; შერჩეული, შესაბამისი, შესაფერისი<adaequāre გათანაბრება) – მიტოლებული, სავსებით შესატყვისი; დამაკმაყოფილებელი ან მისაღები ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

ადენდუმი (ლათ. addendus ის, რაც უნდა დაემატოს; დასამატებელი<addere დამატება, მიმატება) – ხელშეკრულების, კერძოდ, ჩარტერის დამატება, რომელსაც ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები შეიმუშავებენ.

ადვექცია (ლათ. fdvectio მიტანა) – სითბოს გადატანა ერთი ადგილიდან მეორეში ჰორიზონტალური მიმართულებით ჰაერის მასებთან ერთად.

ადვილდნობადი – ნივთიერება, რომელიც შედარებით დაბალ ტემპერატურაზე (+200°C-მდე) დნება.

ადვილდნობადი შენადნობები – შენადნობები, რომელთა შემადგენლობაში სხვადასხვა თანაფარდობით შედის კალა, ბისმუტი, ინდიუმი, ტყვია, კადმიუმი, თუთია, სტიბიუმი,

გალიუმი, ვერცხლისწყალი და სხვ. და რომელთა დნობის ტემპერატურა არ აღემატება კალის დნობის ტემპერატურას (232°C). გამოიყენება სარჩილად, საგოზავად, ელექტრო- და თბოტექნიკურ აპარატებში, პლასტმასის ნაკეთობების ჩამოსასხმელი რთული ფორმების დასამზადებლად და სხვ.

ადვილდნობადობა – ნივთიერების თვისება, შედარებით დაბალი ტემპერატურის ზეგავლენით, მყარიდან გადავიდეს თხევად მდგომარეობაში.

ადვილჩაწყობადობა (დაყალიბება) – ბეტონის ნარევის თვისება შედარებით ადვილად შეავსოს ყალიბი და სწრაფად მიიღოს საჭირო ფორმა, ამავე დროს შეინარჩუნოს მთლიანობა და ერთგვაროვნება. კონკრეტულ შემთხვევაში ა. დამოკიდებულია შემკვრივების საშუალებებზე. ის განისაზღვრება მისი სიბლანტით ჩაწყობის მომენტში და პლასტიკურობის ხარისხით, ე.ი. შესაძლებლობით, შეიცვალოს ფორმა ერთგვაროვნების დაურღვევლად. ბეტონის ნარევის ა. დამოკიდებულია ასევე ცემენტის სახეობაზე. ცემენტი მინერალური დანამატით, კერძოდ, პუცოლანური და წიდაპორტლანდცემენტი, ზრდის ბეტონის ნარევის წყალმოთხოვნილებას. უდანამატო ცემენტი, ნორმალური სისქელის მინიმალური მაჩვენებლით, მოითხოვს ნაკლებ წყალს, რაც აუმჯობესებს ნარევის ა., წვრილმარცვლოვანი ქვიშა კი აუარესებს ნარევის ა., რაც აიხსნება მისი დიდი ხვედრითი ზედაპირით, რის გამოც მარცვლების ამოსავლებლად საჭიროა მეტი ცემენტის ცომი. ამიტომ, ბეტონის ქვიშის შერჩევისას უპირატესობა ეკუთვნის მსხვილ- და საშუალომარცვლებიან ქვიშას, რომელიც ნაკლებ მტვრისა და თიხის ნაწილაკებს შეიცავს. ხრეშზე დამზადებული ბეტონის ნარევი საჭიროებს წყლის ნაკლებ რაოდენობას, ვიდრე ღორღზე დამზადებული და, შესაბამისად, არის უფრო ადვილჩაწყობადი.

ადიაბატა (ბერძ. adiábatos გაუვალი) – წირი (ხაზი), რომელიც ნებისმიერ თერმოდინამიკურ დიაგრამაზე გრაფიკულად გამოსახავს შექცევად ადიაბატურ პროცესს (ე.ი. პროცესს, რომლის დროსაც არ ხდება გარემოსთან სითბური გაცვლა).

ადიაბატური (ბერძ. adiábatos გაუვალი) – სხეულთა რაიმე სისტემაში მიმდინარე პროცესი, რომლის დროსაც არ ხდება სითბოს მიღება ან გაცემა.

ადიაბატური გარსი – გარსი (სითბოგაუმტარი), რომელიც აფერხებს სითბურ გაცვლას განსახილველ სისტემასა (ფიზიკურ სხეულსა) და გარემოს შორის. ა. გ. ნიმუშია თერმოსი და დიუარის ჭურჭელი. ა. გ. როლი შეუძლია შეასრულოს, მაგ., მაგნიტურმა ველმა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მაღალი ტემპერატურის პლაზმის კონტაქტს პლაზმური დანადგარის კედლებთან. აბსოლუტური ადიაბატური გარსი, ანუ სხეულის სრული თერმოიზოლატორი, პრაქტიკულად არ არსებობს.

ადიდა – იხ. თვალაკი.

ადიდვა – ლითონის წნევით დამუშავების ერთ-ერთი ხერხი, როცა წრიული ან ფასონური პროფილის (განივკვეთის) ნაკეთობას (ნამზადს) გამოჭიმავენ წრიული ან ფასონური პროფილის ხვრელში, რომლის განივკვეთის ზომები ნაკლებია ნამზადის განივკვეთის ზომებზე. შედეგად ნამზადის განივკვეთის ზომები მცირდება, სიგრძე – იზრდება. ოპერაცია ტარდება სპეციალურ ადიდვის დგანზე. ადიდვა ფართოდ გამოიყენება ფოლადის მილების, მავთულის, წკნელებისა და სხვ. წარმოებაში. არსებობს ადიდვის სახეები: გრძელსამართულიანი, დამაგრებულ სამართულზე, დეფორმირებად სამართულზე,

დოლური, ელექტროპლასტიკური, ერთძაფა, ერთჯერადი, თბილი, მავთულის, მბრუნავი მცურავ სამართულზე, ტვირთსათრევით, მაპროფილებელი, მბრუნავ ადიდაში გავლით, მილების, მოკლესამართულიანი, მრავალჯერადი, მრავალძაფიანი, მშრალი (საპნის ფხვნილის აბაზანის გამოყენებით), მცურავ სამართულზე, პროფილების, სამართულზე, სველი (საპნის ემულსიის აბაზანის გამოყენებით), სასუფთაო, სველი, სრიალით, სქელი, უკუდაჭიმულობით, ულტრაბგერითი, უსამართულო, უსრიალო, უძრავი ტვირთსათრევით, უწვრილესი, ღეროიანი, ჩასობის გარეშე, შავი (მოსამზადებელი), ცალძაფა, ცივი, ცხელი, წვრილი, წნელების, ხვეულიანი, ჰიდროდინამიკური და სხვ.

ადიდვა მავთულის – ლითონების წნევით დამუშავების ერთ-ერთი უძველესი სახეობა. ამ გზით მიიღება ფოლადის, ფერადი ლითონებისა და შენადნობების სორტამენტის ფართო სპექტრი დიამეტრით 0,01-16 მმ. ადიდვისათვის გამოიყენება დგანები ჰორიზონტალური და შვეული დოლით, მავთულის სრიალითა და მის გარეშე, ინდივიდუალური და ჯგუფური ამძრავითა და სხვ. თითო დგანზე შეიძლება მოთავსდეს 25 და მეტი ფოლადის ან ალმასის ტვირთსათრევი ხაზი, აღჭურვილი სველი ან მშრალი შესაზეთი აბაზანებით. მომხმარებლებს პროდუქცია (მავთული მრგვალი, კვადრატული, ექსვსკუთხა, ტრაპეციული ან ოვალური განივკვეთის) მიეწოდება ხვეულას სახით.

ადიდვის დგანი – დანადგარი (მანქანა), რომლითაც ახდენენ ლითონის დამუშავებას ადიდვის გზით. გამოიყენება წნელის, მავთულის (ნახ. 1. მავთულის ადიდვის დაზგა), ნაგლინი მილის, სალი შენადნობისა და ა.შ. დასამზადებლად. შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: სამუშაო იარაღისა (ადიდა) და გამომჭიმი მოწყობილობისაგან, რომელიც აიძულებს ლითონს იმოძრაოს ადიდვის თვალაკში. მუშაობის პრინციპის მიხედვით ა. დ. შეიძლება იყოს: სწორხაზოვნად მოძრავი (ლარტყისებრი, ჯაჭვური, ხრახნული) – წნელებისა და მილების ადიდვისათვის და დოლურად მოქმედი – მავთულის ადიდვისათვის.



ნახ. 1

ადიტიური (გვიანდ. ლათ. additīvus<addere დამატება, მიმატება) – სიდიდეთა თვისება, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მთელი ობიექტის შესაბამისი სიდიდე, ობიექტის ნებისმიერი დაყოფისას, მისი ნაწილების შესაბამის სიდიდეთა ჯამის ტოლია. ეს თვისება ახასიათებს ფიზიკური სხეულის მოცულობას, მასას, ზედაპირის ფართობს, წირის სიგრძეს, წერტილის იმპულსსა და სხვ.

ადიტონი (ბერძ. adyton მიუწვდენელი) – ანტიკური ტაძრის სიღრმეში ნაოსის (ცელას) უკან მოთავსებული საკურთხეველი, სადაც მხოლოდ ქურუმებს შეეძლოთ შესვლა.

ადმინისტრაცია [შუაინგლ. administracioun<ძვ. ფრანგ. administration<ლათ. administrātiō(n-) მომსახურება, სამსახური<administrāre დახმარება, შველა; შესრულება; ბოლომდე მიყვანა; საქმეთა მართვა, ხელმძღვანელობა] – 1. სახელმწიფოს აღმასრულებელ ორგანოთა სისტემა და მისი საქმიანობა; 2. მმართველობის ორგანოები წარმოება-დაწესებულებებში, მათი ხელმძღვანელი პერსონალი. ადმინისტრაციაზე მთლიანად ვრცელდება დაწესებულებისათვის შინაგანაწესით თანამშრომელთათვის დადგენილი წესები, გარდა იმ

საკითხებისა, რომლებიც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (სახელწოდება) წესდებით არის მოწესრიგებული.

ადმინისტრაციული იუსტიცია – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავის გადაჭრის განსაკუთრებული წესრიგი, რომლის დროს სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოები იხილავს საჩივრებს სახელმწიფო სამმართველოთა საქმიანობის შესახებ და გამოაქვთ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა – იურიდიული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ გადაცდომებზე.

ადმინისტრაციული პროცესი – სახელმწიფო ორგანოთა მოღვაწეობა სახელმწიფოებრივი მართვის სფეროში კონკრეტულ ადმინისტრაციულ საქმეთა გადაწყვეტაში.

ადმინისტრაციული სამართალი – 1. მოძღვრება სახელმწიფოს მართვის, სახელმწიფო დაწესებულებათა მოწყობისა და მათი საქმიანობის სფეროს შესახებ; 2. სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო სამმართველოს სფეროში საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ადმინისტრაციული სამართალის ნორმები განსაზღვრავს ორგანიზაციათა და მმართველობითი აპარატის საქმიანობის წესს, სამართალს, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მოვალეობებს.

ადმინისტრირება (ძვ. ფრანგ amenistrer დახმარება, შველა; იყო სასარგებლო<administrāre დახმარება, შველა; შესრულება; ბოლომდე მიყვანა; საქმეთა მართვა, ხელმძღვანელობა] – 1. მმართველობა, გამგებლობა; 2. მართვა ფორმალურად, ბიუროკრატიულად, მხოლოდ ბრძანებებითა და განკარგულებებით, კონკრეტული ხელმძღვანელობის, საქმის ცოდნისა და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გარეშე.

ადობა – მზეზე გამომწვარი ნედლი აგური და მშენებლობა ასეთი აგურით. გავრცელებული იყო ძველ კულტურაში, განსაკუთრებით მშრალ რეგიონებში. ასეთი აგურით აშენებდნენ სახლებს პუებლოს ინდიელები აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთში და მექსიკაში (იხ. პუებლო, ნახ. 1).

ადრეინგლისური არქიტექტურული სტილი – პირველი გოტიკური სტილი, გაბატონებული XII-XIII საუკუნეებში. მიუხედავად სტილის ფრანგული ძირისა, ახასიათებდა ორიგინალური ინგლისური ნიშნები დაგეგმარებაში, ფასადებისა და დეკორის დამუშავებაში.

ადსორბენტი (ლათ. ad- თან და sorbēre შეწოვა, შესრუტვა, ყლაპვა) – მაღალდისპერსიული მასალა კარგად განვითარებული ზედაპირით, რომლითაც ხდება ამ ზედაპირთან შეხებაში მყოფი აირული ან თხევადი ნივთიერებების შთანთქმა. ადსორბენტებია: გააქტიურებული ნახშირი, სილიკოგელი, მური, ლითონთა ოქსიდები, თიხა. ა. გამოიყენება აირწინაღებში: აირის, სპირტის, ზეთის გასაწმენდად; მედიცინაში – აირისა და საწამლავის შთანთქმისათვის და სხვ.

ადსორბცია (ლათ. ad- -კენ, -ზე, -ში, -მდე, -თან, მიმართ; ახლოს; შესახებ და sorbēre შეწოვა, შესრუტვა, ყლაპვა) – აირის ან სითხის შთანთქმა მყარი ნივთიერების ან სითხის ზედაპირის მიერ. ნივთიერებას, რომლითაც მიმდინარეობს ადსორბცია უწოდებენ ადსორბანტს, ხოლო ნივთიერება, რომელზეც ხდება ა. წარმოადგენს ადსორბენტს. ა. იყენებენ წყლის, აირის (მაგ., ჰაერის აირწინაღში) გასაწმენდად, ქსოვილების ღებვისას, ვაკუუმურ ტექნიკაში, ნარევების

დასაყოფად, ბენზოლის გამოსაყოფად ორთქლ-აირის ნარევისაგან, თხევადი ნავთობპროდუქტების გასაწმენდად მათში გახსნილი მინარევებისგან და სხვ. ადსორბციის სახეებია: გააქტივებული ნახშირით, მიმოცვლითი, მონომოლეკულური, პოლიმოლეკულური, სილიკაგელით, ფიზიკური, ქიმიური, შექცევადი, ჰიდროლიზური და სხვ.

ადუღაბება – ცემენტის ფხვნილზე წყლის დამატების პროცესი მისი ჰადრატაციის მიზნით, რომელსაც საბოლოოდ მივყავართ ცემენტის ქვის წარმოქმნამდე.

ადჰეზია [ფრანგ. adhésion<შუასაუკუნ. ლათ. adhēsiō(n-)<adhaesiō(n-) მიკრობა<adhaerēre<ad- თან და haerēre მიკვრა, მიმაგრება] – მასალის თვისება, მიეწებოს (მიეკრას) მეორეს. ა. დამოკიდებულია მასალის ბუნებაზე (ხასიათზე), ფორმასა და ზედაპირის მდგომარეობაზე, კონტაქტის პირობებზე და სხვ. ა. მოვლენა გვხვდება ყველგან: დედამიწაზე და კოსმოსში, ატმოსფერულ პროცესებში. განიხილება ადჰეზიის სამი ფორმა: ნაწილაკების, სითხეებისა და აფსკების.

ადჰეზივი – ბუნებრივი ან სინთეზური წებოვანი ნივთიერება, რომელსაც უნარი აქვს შეაერთოს ორი სხვადასხვა (ან ერთნაირი) მასალა ზედაპირული შეჭიდულობის გზით. მას მიეკუთვნება: სხვადასხვა სახის წებო, ფისი, ცემენტი, დუღაბი, სახამებელი, აგარ-აგარი და სხვ.



აერარიუმი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი) – ჰაერის აბაზანის მისაღებად მოწყობილი შემოზღუდული ღია სივრცე (მოედანი, ტერასა და სხვ.), დაცული მზის სხივებისა და ქარისაგან (ნახ. 1).

აერატორი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი) – საცმი ამოსაღვრელზე, რომელიც ქმნის აერირებულ (წყალჰაერის) ჭავლს.

აერატორი ბურულის – მოწყობილობა განიავების, ჰაერის ორთქლისა და ტენის გამოსადევნად ბურულქვეშა სივრციდან. გამოიყენება ბრტყელი და ქანობიანი რბილი სახურავებისათვის. ის ეწინააღმდეგება რულონური ბურულის ამობურცვას ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების დროს. ბრტყელ სახურავებში სხვადასხვა დიამეტრის აერატორებს (ნახ. 1. ბრტყელი სახურავის აერატორი) განალაგებენ თანაბრად, ბურულის ყველაზე ამაღლებულ, თბოსაიზოლაციო ფილების პირაპირის უბნებზე, ხოლო ქანობიან სახურავებში – კეხის გასწვრივ (ნახ. 2. ქანობიანი სახურავის აერატორი) კეხის ზედა ხაზიდან 0,5-0,6 მ-ის დაშორებით. ა. რაოდენობა დამოკიდებულია სახურავის ფართობზე და აერატორის ტექნიკურ მახასიათებლებზე. ა. ამზადებენ უჟანგავი ფოლადის, პოლიპროპილენის ან კერამიკისაგან. მათი მუშაობის დიაპაზონი ტემპერატურის მიხედვით შეადგენს –50-დან +90°C-მდე.





აერაცია (ფრანგ. aération განიავება<ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი) – 1. აირმიმოცვლა ნიადაგის ჰაერსა და ატმოსფეროს ჰაერს შორის, ბუნებრივი ვენტილაცია; 2. ჰაერმიმოცვლა სარკმლიდან, ფრამუგიდან და სახურავის სარკმლიდან; 3. ბუნებრივი განიავება; ჰაერით, ჟანგბადით გაჯერება; 4. კომპოსტირებისას კომპოსტის კომპონენტების გამდიდრება ჟანგბადით. ეს პროცესი ხორციელდება სპეციალური მოწყობილობით – აერატორით; 5. სსასოფლო-სამეურნეო მიწის გაფხვიერება სპეციალური საშუალებით (აერატორით), რომელიც უზრუნველყოფს ჟანგბადის შეღწევას მცენარეების ფესვებთან.

აერირება – თხევადი ან ფხვიერი მაგარი პროდუქტების იძულებითი გაჯერების პროცესი ჰაერით, აზოტით ან სხვა აირით, მათთვის ახალი სამომხმარებლო თვისებების მისაცემად.

აეროგელი (ლათ. aer ჰაერი და gelatus გაყინული) – გელი, რომლის თხევადი ფაზა მთლიანად ჩანაცვლებულია გაზისებრი ფაზით. ის მიეკუთვნება მეზოფოროვანი მასალების კლასს, რომელშიც ფორების რაოდენობა მეტია მოცულობის 50%-ზე (ძირითადად 90-99%), ხოლო სიმკვრივეა – 1-150კგ/მ^3. სტრუქტურულად ის არის კლასტერებად გაერთიანებული ნანონაწილაკების ერთობლიობა, რომელთა ზომებია 2-5 ნმ-ია, ხოლო მათ შორის დაშორებები – 100 ნმ-მდე. ეს მასალები გამოირჩევა სიმტკიცით, მხურვალგამძლეობით, გამჭვირვალობით, დაბალი სითბოგამტარობითა და სხვ. გავრცელებულია ამორფული სილიციუმის ორჟანგის, თიხამიწების, აგრეთვე ქრომისა და კალის საფუძველზე. 1990-იან წლებში მიღებული იქნა ა. პირველი ნიმუშები ნახშირბადის საფუძველზე. გარეგნულად ჩამოჰგავს ქაფპლასტს. პრაქტიკაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული კვარცული აეროგელი. გამოიყენება სამრეწველო დანიშნულების თბოსაიზოლაციო მასალად, აირებისა და სითხეების ფილტრად, კოსმოსური მტვრის დამჭერად, რადიატორად დამუხტული ნაწილაკების დეტექტორებში და სხვ.

აეროგენური (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და génos წარმოშობა, ჩამომავლობა) – ჰაერით გადაცემული, ჰაერიდან მიღებული.



აეროგრაფი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – მცირე ზომის პნევმატიკური ინსტრუმენტი, პულვერიზატორი, რომელიც გამოიყენება საღებავის ან მელნის გასაშხეფებლად

(ნახ. 1). სამუშაო აგენტს შეადგენს შეკუმშული ჰაერი. ჰაერისა და საღებავის შერევის მეთოდის მიხედვით ა. არსებობს გარე შერევით (დიდი ფართობების შესაღებად) და შიგა შერევით (პროფესიონალი აეროგრაფიკოსნებისათვის). კონსტრუქცია შედგება კორპუსის, ნემსის, მატერიალური და ჰაერის საქშენებისაგან.

აეროგრაფია (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – ნაკეთობისა და ქსოვილის შეღებვის წესი საღებავის შეშხეფებით (აეროგრაფში შეკუმშული ჰაერის მეშვეობით).

აეროგრაფიტი – შავი ფერის სინთეზური ქაფი, რომელიც შედგება ნახშირბადის მილოვანი სტრუქტურის ბოჭკოებისგან. ის დღეისათვის ყველაზე მსუბუქი მყარი მასალაა სიმკვრივით 0,18 კგ/მ^3. შეიქმნა 2012 წელს ქრისტიან ალბრეხტის სახელობის კილის უნივერსიტეტში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

აეროდინამიკა (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და dynamikós მძლავრი) – ჰიდროაერომექანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის აირის მოძრაობის კანონებს და აირის მიმართ მოძრავი სხეულის ზედაპირზე წარმოქმნილ ძალებს. ა. განიხილავს ბგერამდელი ანუ 340 მ/წმ-მდე (1200 კმ/სთ) სიჩქარით მოძრაობას. ა. ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს საფრენი აპარატის დაპროექტება მასზე მოქმედი აეროდინამიკური ძალების გაანგარიშების მეთოდებზე დაფუძნებით. ა. დამოუკიდებელ მეცნიერებად XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა ავიაციის განვითარებასთან დაკავშირებით. თუმცა ჰიდროდინამიკის ზოგადი განტოლებები, რომელთა კერძო სახეს აეროდინამიკის განტოლებები წარმოადგენს, ჯერ კიდევ ლ. ეილერმა, ჟ. ლაგრაჟმა, ჯ. სტოქსმა, მ. ნავიემ და სხვ. დაადგინეს.

აეროდინამიკა შენობის – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც სწავლობს შენობის ირგვლივ ქარის მიერ წარმოქმნილ ჰაერის ნაკადებს, შენობის გარეთა და შიგნითა ტემპერატურის სხვაობას, ვენტილაციასა და სათავსში მიმდინარე საწარმოო პროცესებს.

აეროდინამიკური ძალა და მომენტი – სიდიდეები, რომლებიც ახასიათებს აირადი გარემოს ზემოქმედებას მასში მოძრავ სხეულზე (მაგ., თვითმფრინავზე). სხეულის ზედაპირზე მოქმედი ხახუნისა და წნევის ძალები დაჰყავთ ამ ძალების ტოლქმედზე, რომელსაც აეროდინამიკური ძალა ეწოდება, და მომენტის მქონე წყვილძალაზე, რომელსაც აეროდინამიკური მომენტი ეწოდება.

აეროდრომი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და drómos რბოლა, კურსი, სარბენი ადგილი) – საგანგებოდ მოწყობილი მოედანი თვითმფრინავებისა და მისთ. სადგომად და ასაფრენ-დასაფრენად. ა. ძირითადი ელემენტებია საფრენი ბილიკი, შუქსიგნალიზაციის მოწყობილობები, ანგარი და სამეთაურო-სადისპეტჩერო პუნქტი. გეოგრაფიული ადგილიდან გამომდინარე განასხვავებენ ჩვეულებრივ ანუ სახმელეთო აეროდრომს (ნახ. 1. ნაშუას აეროპორტი, აშშ), ყინულის აეროდრომს (ყინულის სისქე დამოკიდებულია მისაღები თვითმფრინავების



ნახ. 1

საერთო მასაზე) და საწყალოსნო ანუ ჰიდროაეროდრომს, რომელზეც აფრენა-დაფრენას ახორციელებენ ჰიდროთვითმფრინავები (თვითმფრინავი-ამფიბიები). ამოცანის ხასიათიდან გამომდინარე არსებობს ძირითადი, სათადარიგო, ცრუ, მოწინავე, შეხტომის, დამატებითი გაწყობისა და ოპერატიული აეროდრომები.

აეროდრომის საფარი – ხელოვნური საფარი აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლ(ებ)ის, დამხმარე (მოსაბრუნებელი) ბილიკების, თვითმფრინავების სადგომის, პერონისა და ანგარსწინა მოედნებისთვის, აეროდრომის შეუფერხებელი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად. მუშაობის პირობების მიხედვით არის ხისტი (წინასწარ დაძაბული მონოლითური რკ.ბ.-ის ან ასაწყობი რკ.ბ.-ის ფილებისაგან), რომელიც მუშაობს ღუნვაზე და დატვირთვას თვითმფრინავებისაგან ანაწილებს დიდ ფართობზე და რბილი (ასფალტბეტონის, ხრეშისა და ღორღის), რომელიც ძირითადად მუშაობს კუმშვაზე. საფარის ტიპი დამოკიდებულია აეროდრომის კლასზე და საანგარიშო დატვირთვების კატეგორიაზე.

აეროდრომის საფრენი ზოლი – აეროდრომის საფრენი მინდვრის ნაწილი, რომელშიც შედის ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი და მისი მოსაზღვრე შემკვრივებული გრუნტის უბნები (ნახ. 1. დომოდედოვოს აეროდრომის №3 საფრენი ზოლი, ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), რომელთა დანიშნულებაა ასაფრენ-დასაჯდომ ზოლს აცდენილი საჰაერო ხომალდის დაზიანების რისკის შემცირება.



ნახ. 1

აეროდრომის საფრენი მინდორი – აეროდრომის ნაწილი, რომელზეც განლაგებულია ერთი ან რამდენიმე ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი, თვითმფრინავის მოსაბრუნებელი გზები, ბაქანი და სპეციალური დანიშნულების მოედნები.

აეროვაგზალი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და Vauxhall უბანი ლონდონში) (აეროპორტის ტერმინალი) – შენობის ან შენობების კომპლექსი მგზავრების მომსახურებისა და სატვირთო ოპერაციების შესასრულებლად აეროპორტებში. ა. დარბაზს, რომლის გავლითაც მგზავრი ხვდება თვითმფრინავში, ეწოდება კონფერენც-დარბაზი. მცირე აეროპორტებს აქვთ ერთი ტერმინალი (აეროვაგზალი), ხოლო დიდებს – რამდენიმე. შესაძლებელია მსხვილ აეროპორტს ჰქონდეს ერთი ტერმინალი, რომელიც გალერეებითა და გვირაბების სისტემით დაკავშირებულია რამდენიმე კონფერენც-დარბაზთან (მაგ., დენვერის საერთაშორისო აეროპორტი, აშშ), ან რამდენიმე ტერმინალი, თითოეული დაკავშირებული რამდენიმე კონფერენც-დარბაზთან (მაგ., კენედის სახელობის საერთასორისო აეროპორტი ნიუ-იორკში, აშშ), ან

რამდენიმე შეთავსებული ტერმინალი (მაგ., დალასის საერთაშორისო აეროპორტი, აშშ). ტერმინალებისა და კონფერენც-დარბაზების რაოდენობა და განლაგება დამოკიდებულია აეროპორტის კოფიგურაციასა და მგზავრთა ნაკადის სიდიდესთან. აეროვაგზლების უმეტესობა ჩვეულებრივი შენობებია, თუმცა XXI საუკუნის ტერმინალები გამოირჩევა მინის კონსტრუქციებითა და მოზღვავებული სინათლით; ზოგიერთი – მონუმენტურობით, მაგ., სუვარნაბჰუმის აეროპორტი, ქ. ბანგკოკი, ტაილანდის სამეფო, გამტარობა: 60 მლნ-ზე (2017 წლის მონაცემებით) მეტი მგზავრი წელიწადში (ნახ. 1), ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტი, ქ. ბაღდადი, ერაყის რესპუბლიკა; ნაწილი აეროვაგზლებისა კი უბრალოდ არქიტექტურული შედევრებია (მაგ., შარლ დე გოლის აეროპორტის ტერმინალი 1, ქ. პარიზი, საფრანგეთის რესპუბლიკა) და სხვ.

აეროზოლი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და ლათ. solve მოშვება, განთავისუფლება, გახსნა, განბნევა) – 1. დისპერსიული სისტემა, რომლის აირად გარემოში შეტივტივებულია მყარი სხეულის ნაწილაკები ან სითხის წვეთები (ნისლი, კვამლი, მტვერი და სხვ.); 2. პროდუქტი, რომელიც გამოიფრქვევა აეროზოლის კონტეინერიდან პროპელენტის მეშვეობით.

აეროზოლის კონტეინერი – აეროზოლის მოსათავსებლად შექმნილი ლითონის, მინის ან პლასტმასის ჭურჭელი. ლითონის ჭურჭლის მაქსიმალური მოცულობაა 1 000 მლ, მინის ან პლასტმასის ჭურჭლისა კი – 118 მლ.

აეროკარი – სპეციალიზებული მანომეტრული ჰაერის ჟონვის მძებნელი მოწყობილობა, რომლის საშუალებით ხდება შენობის შემომზღუდავი კონსტრუქციების ნატურული გამოცდა ჰაერშეღწევადობისა და შენობაში ჰაერცვლის ჯერადობის გასაზომად, აგრეთვე შენობის ცალკეული სექციებისა და სათავსების ჰერმეტულობის ხარისხის დადგენა (ნახ. 1).

აეროკლიმატოლოგია (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი, klínein დახრა და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა; logia მცოდნეობა) – თავისუფალი ატმოსფეროს კლიმატოლოგია.

აეროლოგია (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და lógos სიტყვა, გამონაქვამი, თანაფარდობა) – მეტეოროლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებში მიმდინარე ფიზიკურ მოვლენებსა და პროცესებს.

აეროლოცია (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და ნიდერლ. loods მფრინავი, ლოცმანი) – საჰაერო ხაზების გარშემო მდებარე ნაგებობების აღწერილობა.

აერომარხილი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და ქართ. მარხილი) – საჰაერო ხრახნის წევის ძალით თოვლზე ან ყინულზე მოძრავი მარხილი (ნახ. 1).

აერომეტრი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და métron გაზომვა) – ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ ჰაერისა აირების წონას, სიმკვრივეს, ტენიანობას, ჰაერის მოძრაობის სიჩქარეს, შემადგენლობასა და სხვ. (ნახ. 1).

აერომექანიკა (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და mēchanikós გამომგონი, გამჭრიახი, გონებამახვილი) – ჰიდროაერომექანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის აირადი გარემოს (ჰაერისა და აირადი სხეულების) წონასწორობასა და მოძრაობას და ამ გარემოს მექანიკურ ზემოქმედებას მასში მოთავსებულ მყარ სხეულზე. ა. ავიაციის თეორიული საფუძველია. ა. იყოფა აეროსტატიკად და აეროდინამიკად. ა. განვითარება დაკავშირებულია არქიმედეს, სტევინის, გალილეის, პასკალის, ბერნულის, ჟუკოვსკის, ჩაპლიგინის და სხვათა სახელებთან.

აერონავტიკა (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და nautikós მეზღვაური, საზღვაო, ფლოტის) – ჰაერზე მსუბუქი აპარატებით ფრენის თეორია და პრაქტიკა.

აეროპორტი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და ლათ. portus პორტი, ნავსაყუდელი, თავშესაფარი) – ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და შენობების კომპლექსი სამოქალაქო თვითმფრინავების აფრენის, დაჯდომისა და მომსახურებისათვის (ნახ. 1. ქ. ატლანტის ჰარტსფილდ-ჯექსონის საერთაშორისო აეროპორტი, აშშ). ერთდროულად ა. უზრუნველყოფილია საპასპორტო, საბაჟო, სასაზღვრო და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლით. აეროპორტი, როგორც წესი, შედგება მინიმუმ ერთი, თვითმფრინავებისათვის ხელმისაწვდომი, საჰაერო ღია სივრცისაგან, რომელიც მოიცავს ოპერატიულ აქტიურ ზედაპირს ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და საშვეულმფრენო მოედნის სახით და სხვა სასამსახურო შენობა-ნაგებობებს, როგორებიცაა: ტერმინალ(ებ)ი, ანგარები, საკონტროლო კოშკი, სადისპეტჩერო, საწვავ-საპოხი მასალების საწყობი, სახელოსნოები, საჰაერო ტრანსპორტის მართვის ცენტრი, მგზავრების საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები (კაფე, რესტორანი, სამედიცინო ცენტრი) და სხვ. გატარებული მგზავრების რაოდენობის მიხედვით (მლნ.) მსოფლიოს უდიდესი აეროპორტებია (2016 წლის მონაცემებით): ატლანტა, აშშ, 104; ბეიძინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, 94; დუბაი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, 84; ლოს ანჯელესი, აშშ, 81; ტოკიო, იაპონია, 80; ჩიკაგო (ო'ჰარა), აშშ, 78; ჰიტროუ, ლონდონი, ინგლისი, 76; ჰონგ კონგი, 70; შანხაი, ჩინეთი, 66; პარიზი, საფრანგეთის რესპუბლიკა, 66; დალასი, აშშ, 66; ამსტერდამი, ნიდერლანდების სამეფო, 64; ფრანკფურტი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 61; სტამბოლი, თურქეთის რესპუბლიკა, 60; გუანჩჟოუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, 60 და ა.შ.



ნახ. 1

აეროსტატიკა (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და statikós იძულებით დადგომა, დაყენება) – ჰიდროაერომექანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის აირადი გარემოს (ატმოსფეროს) წონასწორობას. ფართოდ გამოიყენება აერონავტიკაში.



აეროტანკი (აეროტენკი, აეროფილტრი) (ინგლ. aeration tank) – ნაგებობა ჩამდინარი წყლების ბიოლოგიური გაწმენდისათვის აერაციის მეთოდით (ნახ. 1).

აეროტენკი – იხ. აეროტანკი

აეროტორია (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და ლათ. tōrium აღმოცენების ადგილი, ადგილსამყოფელი) – საჰაერო სივრცე აეროდრომიდან 50 კმ-ის რადიუსში

აეროფილტრი (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი და ლათ. filtrum ქეჩა, ქეჩის ნაჭერი) – იხ. აეროტანკი.

ავაზანი – ძველად ეს იყო წყლის რეზერვუარი ესთეტიკური დანიშნულებისათვის, ჩვეულებრივ მდიდრულ სასახლეებში. ავაზანთა გაკეთება მიღებული იყო საქართველოში. ავაზნებს ამკობდნენ მარმარილოთი და შადრევნებით. იოანე შავთელს საქართველოს მეფის სასახლეზე ნათქვამი აქვს: "მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი". შემდგომში ავაზანები ეწოდათ წყაროებთან დადგმულ ხის ან ქვის დიდ გობებს, გეჯებს, რომლებსაც საქონლის დასარწყულებლად, სარეცხისთვის ან სხვა საოჯახო და სამეურნეო სამქიანობისთვის იყენებდნენ (ნახ. 1). ასეთი ავაზნების საუკეთესო ნიმუშები საქართველოში დასტურდება, მაგ., ჯავახეთში, სოფ. საროში.



ნახ. 1

ავალი (ფრანგ. aval<ალბათ à-valoir აბრევ.<ლათ. ad- -კენ, -ზე, -ში, -მდე, -თან, მიმართ; ახლოს; შესახებ და valēre ძლიერად ყოფნა, კარგად ყოფნა) – სათამასუქო თავდებობა, რომელსაც კისრულობს მესამე პირი (ავალისტი) განსაკუთრებული საგარანტიო ბარათის გაცემით. ავალისტის ხელის მოწერა აუცილებელია თამასუქის წინაპირზე ან დამატებით ფურცელზე – ალონჟზე. საგარეო-სავაჭრო გარიგებებში ავალისტის როლში გამოდის იმპორტიორის ბანკი.

ავანგარდიზმი (ფრანგ. avant-garde<ლათ. abante წინ და ძვ. ფრანგ. garde მცველი, მეურვე, მეციხოვნე) – XX საუკუნის ხელოვნებისა და არქიტექტურის სხვადასხვა მიმდინარეობის სახელწოდება, რომელსაც ახასიათებს რეალისტურ ნორმებსა და ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტა; პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ფორმებისა და გამოსახვის საშუალებების ძიებას (ნახ. 1. ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიის შტაბ-ბინა,

ქ. ბეიძინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა); ავანგარდისტები ხელოვნებას განიხილავენ, როგორც განსაკუთრებულ, სოციალურ დატვირთვას მოკლებულ, ესთეტიკურ სფეროს.

ავანვესტიბიული – შენობის შესასვლელთან, ვესტიბიულის წინ მოთავსებული სადგომი.

ავანზალა (ფრანგ. avant-sale) – დიდ შენობებში, სასახლეებში: მომცრო დარბაზი, ოთახი მთავარი დარბაზის წინ.

ავანსი (ლათ. abante) – თანხა, რომელსაც ერთი მხარე წინასწარ უხდის მეორეს შესასრულებელი სამუშაოსა თუ მომსახურებისათვის გადასახდელი საერთო თანხის ან გადასაცემი ქონების ანგარიშში.

ავანსირება – ავანსის გაცემა.



ნახ. 1

ავანსცენა (ფრანგ. avant-scène<ძვ. ფრანგ. avant -მდე, ადრე, წინათ, მანამდე, უკვე<გვიანდ. ლათ. abante წინ, მანამდე<ლათ. ab -გან, -დან, მოშორებით, ante მანამდე, წინათ; წინ და ბერძ. skēnḗ მსახიობების გასახდელი კარავი ან ფარდული, სცენა) – პროსცენიუმი; მაყურებელთათვის მუდმივად თვალმისაწვდენი სცენის ნაწილი ფარდასა და რამპას შორის (ნახ. 1).

ავანსცენის კედელი – კედელი, რომელიც ყოფს სცენას აუდიტორიის ან დასაჯდომად განკუთვნილი ფართობისაგან.

ავანტაჟი (ფრანგ. avantage სარგებელი) – ხელსაყრელი მდგომარეობა, უპირატესობა; გამარჯვება მოწინააღმდეგეზე; მიმზიდველობა, შემწყნარებლობა, სარგებლობა.

ავანტიურინი (იტალ. avventurina) – 1. საიუველირო-სანახელავო ოქროსფერი ან მოწითალო ფერის ქვა (წვრილმარცვლოვანი კვარცის სახესხვაობა) გაპრიალებული ბრჭყვიალა ზედაპირით (ნახ. 1). ა. ამზადებენ სამკაულებს (კაბოშონებს), ლარნაკებს, ზარდახშებს, მაგიდებსა და სხვ.; 2. მზის ქვა.



ნახ. 1

ავარია (ფრანგ. avarie) – 1. ნაგებობის ან მისი ნაწილის (საძირკველი, კედელი, კოჭი და სხვ.), რაიმე მანქანის, მექანიზმის (მატარებელი, ავტომანქანა და სხვ.) დაზიანება, რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის (ნახ. 1. შენობის ავარია). სამრეწველო საწარმოში ავარიას, როგორც წესი, თან ახლავს აფეთქება, ხანძარი, ნგრევა, ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებების გამოფრქვევა ან დაღვრა; 2. საწარმოო (ტექნოლოგიური) პროცესის გაუთვალისწინებელი მოულოდნელი გაჩერება ან ნორმალური მუშაობის დარღვევა. როგორც წესი, ა. ახლავს ტექნიკისა და სხვა მატერიალურ



ნახ. 1

ფასეულობათა დაზიანება ან განადგურება, აგრეთვე ტექნიკური სისტემების მომსახურე პერსონალისა და ავარიის ადგილზე შემთხვევით აღმოჩენილ ადამიანთა ტრავმატიზმი. ა. მიეკუთვნება ყველა მტყუნება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანებისა და გარემოს საფრთხესთან, აგრეთვე სერიოზულ ეკონომიკურ და მორალურ ზარალთან. ა. საწყისი მიზეზი შეიძლება გახდეს დაპროექტების, გაანგარიშების, დამზადების, მონტაჟის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების დროს დაშვებული დიდი შეცდომა, აგრეთვე ამ შეცდომის თანხვედრა არახელსაყრელ გარემო პირობებთან, რომელიც არაა დამოკიდებული ტექნიკურ პერსონალზე; 3. ტექნიკურ სისტემაში შემთხვევა, რომელიც არ იწვევს ადამიანების დაღუპვას და რომლის დროსაც ტექნიკური საშუალებების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეწონილი არაა; 4. ნაგებობისა და ტექნიკური მოწყობილობის რღვევა, საშიში ნივთიერებების ამოფრქვევა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის მსხვერპლი ან მიაყენოს ზიანი მის ჯანმრთელობას, ქონებას ან გარემოს.

ადგილობრივი – ქიმიურად საშიშ ობიექტზე მომხდარი ავარია, რომელიც დაკავშირებულია ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების დიდი ტევადობის ან მთელი საწყობის ნგრევასთან. ქიმიური საშიშროება გრძელდება 6 საათის განმავლობაში. შედეგები შემოიფარგლება ქალაქის, რაიონის, რეგიონის საზღვრებით. ღრუბელი აღწევს დასახლებულ პუნქტებამდე. უახლოესი საცხოვრებელი რაიონებიდან აუცილებელია მოსახლეობის სასწრაფო ევაკუაცია, აგრეთვე მათ დასაცავად სხვა სპეციალური ღონისძიებების გატარება.

ავარია გლობალური – ავარია, რომელსაც თან ახლავს ქიმიურად საშიში მსხვილი ობიექტის ან რამდენიმე ობიექტის ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების ყველა საცავის ნგრევა. ასეთი ავარია შესაძლებელია დიდი დივერსიის შემთხვევაში, სტიქიური უბედურების ან საომარი მოქმედებების დროს გამანადგურებელი საშუალებების მოქმედების შედეგად. ა. გ. შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას.

ავარია დიდი – ისეთი ჩამოქცევა, რომელიც მოიცავს შენობის მნიშვნელოვან ნაწილს ან მის ცალკეულ უბნებსა და სექციებს, რის შედეგადაც ჩერდება მუშაობა არა მარტო ამ უბანზე, არამედ მეზობელ უბნებსა და ობიექტებზე.

ავარია ლოკალური – ქიმიურად საშიშ ობიექტზე მომხდარი ავარია, რომელიც დაკავშირებულია ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების უმნიშვნელო გაჟონვასთან.

ავარია მაგისტრალურ მილსადენზე – ავარია მილსადენის ტრასაზე, დაკავშირებული წყლის, საშიში ქიმიური ან ფეთქებადსაშიში ნივთიერებების გაფრქვევასა და დაღვრასთან, რომელიც იწვევს ტექნოგენურ საგანგებო სიტუაციას (ნახ. 1).



ნახ. 1

ავარია მეტროპოლიტენში – ავარია მეტროპოლიტენის სადგურებზე, გვირაბებში, ვაგონებში, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მატარებლების შეჯახებამ, რელსებიდან გადასვლამ, ხანძარმა, აფეთქებამ, ესკალატორის მზიდი კონსტრუქციის დაზიანებამ, ვაგონებში და სადგურზე ფეთქებადსაშიში, თვითაალებადი ან ტოქსიკური ნივთიერებების მოხვედრამ, აგრეთვე პლატფორმიდან მგზავრის ჩავარდნამ ლიანდაგში (ნახ. 1) და სხვ.



ნახ. 1

ავარია მილსადენზე – ავარია, რომელსაც იწვევს ექსპლუატაციის პერიოდში მილსადენის მდგომარეობაზე დაგვიანებული და უხარისხო კონტროლი.

ავარია მცირე – ავარია, როდესაც არ ზიანდება მეზობელი უბნები და სექციები და ადგილი არა აქვს დიდ მატერიალურ დანახარჯებს.

ავარია ობიექტის – ავარია ქიმიურად საშიშ ობიექტზე, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიური დანადგარებიდან ან მილსადენებიდან ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების გაჟონვასთან, რომლის შედეგები შემოიფარგლება საწარმოს ან ობიექტის საზღვრებით.

ავარია რადიაციული – ავარია რადიაციულად საშიშ ობიექტზე, რომელიც იწვევს პროექტით გათვალისწინებულ საზღვრებს გარეთ რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონიზირებელი გამოსხივების გავრცელებას ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება ზღვრულ დასაშვებ სიდიდეს.

ავარია რეგიონული – ქიმიურად საშიშ ობიექტზე მომხდარი ავარია, რომელსაც თან ახლავს მნიშვნელოვანი რაოდენობით ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების გამობოლქვა (ზოგჯერ მრავალჯერადად), რომლის ლოკალიზება 6 სთ და უფრო მეტი დროის განმავლობაში ვერ ხერხდება. შედეგები შემოიფარგლება რამდენიმე რეგიონით, სახელმწიფოთი. ქიმიური საშიშროება ბევრ დასახლებულ პუნქტზე ვრცელდება.

ავარია რკინიგზის ტრანსპორტზე – ავარიის სახეობა, რომელიც ხდება რკინიგზის ტრანსპორტზე. სარკინიგზო ტრანსპორტი ხასიათდება ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ამაღლებული რისკით, რასაც განაპირობებს დიდი რაოდენობით მგზავრთა გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვა. ამ ტვირთებს შორის დიდი რაოდენობითაა საშიში ტვირთი. ამიტომ ა. რ. ტ. არც თუ იშვიათი მოვლენაა, რომელსაც თან ახლავს დიდი მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი.

ავარია საავტომობილო ტრანსპორტზე – ავარიის სახეობა, რომელიც ხდება საავტომობილო ტრანსპორტზე. ის თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რასაც ხშირად განაპირობებს ცუდი საავტომობილო გზები, მოძველებული ავტოპარკი, მძღოლების დაუდევრობა, საგზაო მოძრაობის წესების უგულვებელყოფა, კონტროლის სისტემის დაბალი დონე და სხვ. მსხვილ საავტომობილო კატასტროფად ითვლება ისეთი ავტოკატასტროფა, რომლის შედეგად იღუპება 4 და მეტი ადამიანი.

ავარია სატრანსპორტო – სატრანსპორტო საშუალების ავარია, რომელსაც მოჰყვება ადამიანთა დაღუპვა, სხეულის მძიმე დაზიანება, სატრანსპორტო საშუალებათა განადგურება და ბუნებრივი გარემოს დაბინძურება.

ავარია საწარმოო – ავარია სამრეწველო ობიექტზე, ტექნიკურ სისტემაში ან სამრეწველო დანადგარზე.

ავარია უმნიშვნელო – ავარია, რომელიც შეიძლება მოხდეს შენობის ცალკეულ უბანზე, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პროცესში. ასეთი ავარიის ლიკვიდაცია დაკავშირებული არ არის დიდ მატერიალურ დანახარჯებთან, მაგრამ მანაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების მსხვერპლი და ყურადღების მიუქცევლობის შემთხვევაში, შეიძლება მიზეზი გახდეს დიდი ავარიისა. ა. უ. შეიძლება მიეკუთვნოს: ფასადის შელესვის აშრევება, მოპირკეთების დაზიანება, საკედლე პანელის ან გადახურვის ფილის ადგილობრივი დაზიანება, სახურავის ბურულის მექანიკური დაზიანება, შენაღარების ამოვსება ნაგვითა და ჭუჭყით, წყალშემკრების დაზიანება და სხვ.

ავარია ქიმიური – ავარია ქიმიურად საშიშ ობიექტზე, რომელსაც თან ახლავს ქიმიურად საშიში ნივთიერებების დაქცევა ან გამობოლქვა, და რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანების, სურსათის, საკვები ნედლეულის, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და მცენარეების განადგურება ან ქიმიურად დასნებოვნება, აგრეთვე გარემოს ქიმიური მოწამვლა.

ავარიის კერა – ტერიტორია, რომელიც მოიცავს თვით ავარიის ადგილს და მის მიმდებარე ფართობს, რომელზეც იღვრება (განიბნევა) ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერება.

ავარიის რაიონი – ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების ღრუბელს ყველაზე მაღალი დამაზიანებელი შესაძლებლობა აქვს. აღნიშნული რაიონის რადიუსის სიდიდე დამოკიდებულია ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების ტიპზე, რაოდენობაზე, შენახვის პირობებზე, გარემოს ტემპერატურასა და ავარიის სახეზე.

ავარიის საკონტროლო სადგური – ნებადართული ადგილი შენობაში, რომელსაც გადაეცემა საავარიო მოწყობილობიდან წამოსული სიგნალები და სადაც დასაქმებულია სპეციალურად მომზადებული პერსონალი.

ავარიული აფეთქება – აფეთქება, რომლის მიზეზია წარმოების ტექნოლოგიის დარღვევა, მომსახურე პერსონალის დაუდევრობა ან დაპროექტების სტადიაზე დაშვებული შეცდომა.

ავარიული დასხივება – ფიზიკური პირის მიერ საგანგებო სიტუაციის დროს მიღებული დასხივება. საგანგებო სიტუაციის მონაწილე პირებისათვის იგი არის საგანგებო სიტუაციით განპირობებული არაგეგმური და მუშაობის ნორმალურ პირობებში მიღებული დასხივებების ჯამური მნიშვნელობა.

ავარიული დასხივების სიტუაცია – დასხივების სიტუაცია, რომელიც წარმოიქმნება ბირთვული და რადიაციული ავარიის, წინასწარ განსაზღვრული მოქმედების ან ნებისმიერი გაუთვალისწინებელი მოვლენის შედეგად და მოითხოვს დაუყოვნებლივ ქმედებას მავნე შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით.

ავარიული მდგომარეობა – ელემენტის ტექნიკური მდგომარეობის კატეგორია, რომელიც ხასიათდება დაზიანებებითა და დეფორმაციებით. ამ დროს ამოწურულია მზიდუნარიანობა და მოსალოდნელია ელემენტის რღვევა.

ავარტანი – იხ. პალო.

ავგიტი – ქანწარმომქმნელი მინერალი, პიროქსენების ჯგუფის ძეწკვისებრი სტრუქტურის სილიკატი. ფერი – შავი, იშვიათად მუქი მწვანე. ქიმიური ფორმულა – $(Ca,Na)(Mg,Fe,Al,Ti)(Si,Al)_2O_6$. შედის ანდეზიტის, ბაზალტის, დიაბაზის და სხვა ამოფრქვეული სამთო ქანების შემადგენლობაში. სიმკვრივე – 3190-3560 კგ/მ^3. დაწახნაგებული ავგიტი გამოიყენება სანახელავო ქვად. საქართველოში კარგად განვითარებული ავგიტის კრისტალები უხვად გვხვდება შუაეოცენური ასაკის (56-34 მლნ წლის წინ) ვულკანური წყების ქანებში (ზვარე, ქვიშხეთი, ახალციხე, ციხისძირი და სხვ.).

ავენიდა (ესპ. avenida) – ესპანეთის, პორტუგალიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ქალაქებში: ხეივანი, გამზირი, ავენიუ (ნახ. 1. პაულისტას ავენიდა ქ. სან პაულოში, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა).



ნახ. 1

ავენიუ (ძვ. ფრანგ. avenue<ლათ. avenir მიახლოება; მიღწევა, ჩამოსვლა<ლათ. advenīre ჩამოსვლა, ჩასვლა, მიღწევა<ad- -თან, -კენ, -ზე, -ში; მიმართ; დაახლოებით და venīre მოსვლა, ჩამოსვლა) – საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-ისა და ზოგი სხვა ქვეყნის ქალაქებში: ფართო ქუჩა, რომლის გაყოლებაზე, ჩვეულებრივ, ხეებია დარგული. მეხუთე ავენიუ (Fifth Avenue) მთავარი გამჭოლი გზატკეცილია მანჰეტენის ცენტრში, ნიუ-იორკში (ნახ. 1. მე-5 ავენიუ, ქ. ნიუ-იორკი, აშშ). გადის მიდთაუნის შუაგულში ცენტრალური პარკის აღმოსავლეთ ზღვარის გასწვრივ და ძვირადღირებული პარკის ხედის უძრავი ქონებითა და მრავალი ისტორიული შენობის გამო მდიდარი ნიუ-იორკის სიმბოლოდ ითვლება. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ექსტრავაგანტული სავაჭრო ქუჩაა მსოფლიოში ლონდონის ოქსფორდის ქუჩისა და პარიზის შამს-ელიზეს პარალელურად; ასევე ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ქუჩაა მსოფლიოში, უტოლდება რა ლონდონისა და ტოკიოს ცენტრალური უბნების არენდის ფასებს. ელისეს მინდვრები (Avenue des Champs-Élysées) ეს არის გამზირი, შექმნილი XVII საუკუნეში, როგორც პარკი-ბაღი, რომელიც გადაჭიმულია ტრიუმფული თაღიდან თანხმობის მოედნამდე (ნახ. 2. ელისეს მინდვრები, ქ. პარიზი, საფრანგეთის რესპუბლიკა). ის, როგორც ერთ-ერთი მთავარი ღირშესანიშნაობა და ამავდროულად სავაჭრო ავენიუ, დამსახურებულად იწოდება მსოფლიოს ყველაზე ლამაზ გამზირად. დასახელება წარმოდგება ბერძნულიდან "ელიზიუმ", ეს კუნძულის სახელია, სადაც ბერძნული მითოლოგიის თანახმად ცხოვრობენ გმირები, რომელთაც უკვდავება დაიმსახურეს.



ნახ. 1



ნახ. 2

ავენტინუსი (ავენტინი) [ლათ. Aventīnus ავენტინი (ბორცვი)] – 1. ერთ-ერთი 7 ბორცვთაგანი, რომელზეც აღმოცენდა ქალაქი რომი.

ავერსი (ლათ. adversus) – ლითონის მონეტის ან მედლის წინა მხარე, შუბლი; ავერსზე, როგორც წესი, თავსდება გამოსახულება საკანონმდებლო ფუნქციით, უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს გერბი; სამეცნიერო წრეებში არ არსებობს ერთიანი აზრი მონეტის ავერსის განსაზღვრის შესახებ; მონეტების თანამედროვე კატალოგებში მიღებულია ავერსის განსაზღვრა შემდეგი ნიშნებით: 1. სახელმწიფოს გერბი, ემბლემა; თუ მონეტის ორივე მხარეს გამოსახულია გერბი, ავერსად მიიჩნევა მხარე პრივილეგირებული სახელმწიფოს გერბის გამოსახულებით, მაგ., პორტუგალიის კოლონიების მონეტების ავერსზე – პორტუგალიის, რევერსზე კი კოლონიის გერბი იყო გამოსახული; 2. სახელმწიფოს მეთაურის ან სამონეტო რეგალიის რომელიმე სხვა მფლობელის პორტრეტი; 3. ლეგენდა, სადაც მითითებულია ქვეყანა, ტერიტორია; 4. ლეგენდა, სადაც მოხსენიებულია სამონეტო რეგალიის მფლობელის სახელი. სხვა შემთხვევებში მეცნიერები სუბიექტურად წყვეტენ ან უარს ამბობენ ავერსის განსაზღვრაზე.

ავეჯი – ნაკეთობები საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების, ბაღებისა და პარკების, ტრანსპორტისა და ადამიანის მოქმედების სხვა ზონების გასაწყობად. ისინი ძირითადად დასასვენებლად, დასაძინებლად, სამუშაოდ, საგნების შესანახად და სხვ. გამოიყენება. ისტორიულად ა. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ობიექტია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო საქმესთან და არქიტექტურასთან. არსებობს ავეჯის სახეები: ანტიკვარული, ასაწყობ-დასაშლელი, ახალგაზრდული, ბამბუკის, გალაქული, გაპრიალებული, გრეხილი, დაუშლელი, დაწნული, ლითონის, მასიური, მასობრივი, მაღალი კლასის, მაღალმხატვრული, მოზაიკური, დაფანერებული, პლასტმასის, რბილი (ნახ. 1. უნივერსალური რბილი ავეჯი), სააგარაკო, საავადმყოფოს, საბავშვო, სათამაშო, სათეატრო, საკეცი, სამედიცინო, სასკოლო, სასპორტო, სასტუმრო, სექციური, ტრანსფორმირებადი, უნივერსალური, ჩაშენებული და სხვ. ცნობილია ავეჯის სახეობები ისტორიული პერიოდებისა და სტილის მიხედვით: ადამის, ადრინდელი რენესანსის, ბაროკოს, ბერძნული, ბიზანტიური, გოტიკური, ეგვიპტის, ვენური, იაპონური,



ნახ. 1

ინდური, ლუი-ფილიპეს, მაღალი რენესანსის, მოდერნის, ნაპოლეონ III-ის, რომაული, როკოკოს (ნახ. 2. როკოკოს სტილის სავარძელი), ტიუდორთა, ფლამანდური, ფრანგული კლასიციზმის, ქართული (ნახ. 3. ქართული სტილის სავარძელი), შერატონის, ჩინური, ჰოლანდიური და სხვ. სტილის.



ნახ. 2



ნახ. 3

ავზაკი – პატარა ზომის ჭურჭელი სითხისათვის.

ავზი – განსაზღვრული მოცულობის, დანიშნულებისა და სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი. ავზის მრავალი სახეობა არსებობს: ასაღები, აქტიური ზონის, ბენზინის, ზეთის, მათანაბრებელი, მანაწილებელი, მაწონასწორებელი, მკვებავი, ნავთის, პარაფინის, რეაქტორის, სადაწნეო, სადოზირებელი, სათბობის, სალექი, სარეზერვო, სარწყავი, საწრთობი, სახარში, წნევის, წყალსადაწნეო, წყალსატევი, წყალჩასასხმელი, წყალ-ჰაერის, წყლისა და სხვ.

ავთენტური (ბერძ. authentikós) – ნამდვილი, უეჭველი, უტყუარი, სინამდვილის შესაბამისი, სარწმუნო, პირველწყაროდან აღმოცენებული.

ავიაბაზა (ლათ. avis ჩიტი და ბერძ. básis ნაბიჯი, კვარცხლბეკი) – მიწის (წყლის) ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია სამხედრო ავიაციის საჰაერო ხომალდები (სტრატეგიული, ტაქტიკური და სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავები, შვეულმფრენები), აგრეთვე საწყობები და სარემონტო სახელოსნოები, რომლებშიც მოთავსებულია საომარი მოქმედებებისათვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური საშუალებები. ა. ძირითადი მახასიათებლებია: ასაფრენ-დასაჯდომი ზოლების რაოდენობა და მათი სივრცითი ორიენტაცია (აფრენისა და დაჯდომის მაგნიტური კურსი); თითოეული ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის სიგრძე, სიგანე და მზიდუნარიანობა (სიმტკიცე); ავიაბაზაზე დისლოცირებული საჰაერო ხომალდების რაოდენობა, ტიპი და დანიშნულება; სხვადასხვა პარამეტრები, რომლებიც



ნახ. 1

ახასიათებს საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემის მდგომარეობას, საჰაერო ხომალდებისა და ეკიპაჟების საბრძოლო მზადყოფნას, აეროდრომის ტექნიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობას და სხვ. მსოფლიოში ცნობილი ავიობაზებია: "ედვარდსი", "დევის მონტენ" (ნახ. 1), "ანდერსენი" (აშშ); "კიპელოვო", "ენგელსი", "შაგოლ" (რუსეთის ფედერაცია); "იოვილტონ", "კალდროუზ", "კოტესმორ" (გაერთიანებული სამეფო დიდი ბრიტანეთი); "იოკოტა" (იაპონია); "კანტ", "მანას" (ყირგიზეთის რესპუბლიკა); "ემარი-დელფი" (ესტონეთის რესპუბლიკა); "ავორ" (საფრანგეთის რესპუბლიკა); "ინდჟირლიკ" (თურქეთის რესპუბლიკა); "პირლოუ" (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); "რამონ" (ისრაელის სახელმწიფო); "ამენდოლა" (იტალიის რესპუბლიკა); "შუიმენი" (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა); "ჩხუნჯუ" (სამხრეთ კორეა); "ტასარ" (უნგრეთი), "ერებუნი" (სომხეთის რესპუბლიკა); "ჟეტიგენ" (ყაზახეთის რესპუბლიკა) და სხვ.

ავიალი (საავიაციო ალუმინი) (ფრანგ. aviation და ლათ. alūmen მწარე მარილი) – შენადნობი ალუმინის საფუძველზე, რომლის შემადგენლობაში ალუმინის გარდა შედის: მაგნიუმი 0,45-0,9%, სილიციუმი 0,5-1,2%, სპილენძი 0,2-0,6%, მანგანუმი ან ქრომი 0,15-0,35%. ა. აქვს მაღალი პლასტიკურობა და კოროზიამედეგობა. სიმტკიცის ასამაღლებლად აწარმოებენ მის გამოწრთობას და ხელოვნურ დაძველებას. გამოიყენება რთული ფორმის ნაჭედი და დაშტამპული დეტალების დასამზადებლად (შვეულმფრენის ხრახნული ფრთა, სამშენებლო კონსტრუქციების ელემენტები და სხვ.).

ავიამშენებლობა – მრეწველობის დარგი თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების, აგრეთვე ავიაციისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და მოწყობილობების საწარმოებლად.

ავიაცია (ფრანგ. aviation<ლათ. avis ჩიტი) – ზოგადი კრებითი ტერმინი, რომელიც მოიცავს: ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატების ერთობლიობას ადამიანების გადასაადგილებლად დედამიწის ახლო საჰაერო სივრცეში; ყველა მიღწევა სპეციალიზებულ ცოდნის დარგში (აეროდინამიკა, აერონავიგაცია, ფრენის მექანიკა და ა.შ.), ორგანიზაციის მთელი სისტემა და სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც გამოიყენებენ საფრენ აპარატებს, აგრეთვე აქვთ აეროდრომები, საშუალებები ფრენების უზრუნველსაყოფად და ჰყავთ შესაბამისი სპეციალისტები. ა. ემსახურება საფრენი აპარატების დაპროექტებას, წარმოებას, ექსპლუატაციასა და გამოყენებას. ზოგადად ავიაცია შეიძლება იყოს სამოქალაქო (კომერციული, საერთო დანიშნულების), სახელმწიფო (სამხედრო, საგანგებო სიტუაციების, უშიშროების) და ექსპერიმენტალური, ხოლო ფრენის პრინციპის მიხედვით – აეროსტატიკური, აეროდინამიკური, ინერციული და რაკეტდინამიკური. ცნობილია საფრენი აპარატების სახეები: საჰაერო ბურთი, დირიჟაბლი, თვითმფრინავი, შვეულმფრენი, პლანერი, დელტაპლანი, ეკრანოპლანი, ავტოჟირი, რაკეტა, დრონი და სხვ. მშენებლობაში ძირითადად გამოიყენება შვეულმფრენები დიდგაბარიტიანი სამშენებლო კონსტრუქციებისა და საშენი მასალების გადასატანად მაღალმთიან (ძნელად მისადგომ) რაიონებში, უკიდურესი ჩრდილოეთის დასახლებულ პუნქტებში და სხვ.

ავიზო (ესპ. aviso) – 1. უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამასუქის ან საქონლის გაგზავნას; 2. უცხოეთის ზოგიერთ სამხედრო ფლოტში სწრაფმავალი პატარა მზვერავი გემი.

ავისტა (იტალ. a vista წარდგენით, წარმოდგენით) – წარწერა თამასუქზე ან ფულადი ანგარიშსწორების სხვა დოკუმენტზე, რომელიც ადასტურებს ამ დოკუმენტის განაღდებას წარდგენისთანავე ან წარდგენიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

ავლაბრის ვერტიკალური ბაღი – ცოცხალი კედელი თბილისში ავლაბრის მეტროს სადგურის ფასადზე (ავტორი ფრანგი ბოტანიკოსი და ლანდშაფტის არქიტექტორი პატრიკ ბლანი). ვერტიკალური ბაღის გასაშენებლად სულ 104 დასახელების 4 400 ძირი მოყვავილე და მარადმწვანე მცენარე გამოიყენეს (ნახ. 1). პროექტის ტექნოლოგიით ყველა ეს მცენარე შენობის კედელზე საგანგებოდ მოწყობილ თექაშია განთავსებული. თექის ქვეშ არსებული მიწის ხელოვნური მორწყვის სისტემა მცენარეებისათვის სასუქისა და წყლის მიწოდებას ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს. ნარგავები ყველა სეზონზე სხვადასხვა პერიოდულობით ხაროობს. ა. ვ. ბ. მსოფლიოს 14 ულამაზეს ვერტიკალურ ბაღს შორის მოხვდა პარიზის, ლონდონის, სიდნეის, მადრიდის, სინგაპურის, ტაივანის, ბორდოს, ჰონკონგისა და სხვა ბაღებთან ერთად.



ნახ. 1

ავოგადროს რიცხვი – მოლეკულების რიცხვი ნივთიერების ერთ გრამ-მოლეკულაში. აღინიშნება სიმოლოთი NA და ტოლია ≈ 6.022×1023 მოლი$^{-1}$.

ავტარკია (ბერძ. autarkhía) – 1. ერის, სახელმწიფოს თვითუზრუნველყოფადი მდგომარეობა, განსაკუთრებით ეკონომიკაში; ეკონომიკური დამოუკიდებლობის ნაციონალური პოლიტიკა; 2. აბსოლუტური სუვერენიტეტი; 3. ავტოკრატიული მთავრობა.

ავტო (ბერძ. autos თვით) – 1. შემოკლ. იგივეა, რაც ავტომობილი; 2. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი რაც ნიშნავს: თვით, თავისი; მაგ., ავტობიოგრაფია, ავტონომია, ავტომატი, ავტომობილი, ავტოტრანსპორტი, ავტომანქანა, ავტოკოლონა, ავტოსტრადა, ავტოკალამი, ავტოპილოტი და სხვ.



ავტოამწე – ამწე, რომელზეც დამონტაჟებული მანიპულატორის საშუალებით ხდება საცალო ტვირთების დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციები საკუთარ ძარაზე (ნახ. 1), აგრეთვე კონსტრუქციებისა და სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობების მონტაჟი.

ავტობაზა (ბერძ. autos თვით და ბერძ. básis ნაბიჯი, კვარცხლბეკი) – 1. ავტომობილების დასაყენებელი და სარემონტო ადგილი; 2. ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელიც

აწარმოებს ტვირთების გადაზიდვას, ავტომობილების ტექნიკურ მომსახურეობას, რემონტს, მომარაგებას მარაგნაწილებითა და სხვ.

ავტობეტონმზიდი – სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ბეტონის ნარევის გადასატანად (ნახ. 1). ავტომანქანაზე (ნახევრადმისაბმელზე) დამონტაჟებულია მბრუნავი გრავიტაციული შემრევი წყლის ავზითა და ტუმბოთი, რომელიც უზრუნველყოფს ბეტონის ქარხნიდან (კვანძიდან) ობიექტამდე ბეტონის ნარევის კომპონენტების უწყვეტ შერევასა და ჰომოგენური მდგომარეობის შენარჩუნებას, რისთვისაც ა. აღჭურვილია ჰიდროცილინდრების სისტემით. თანამედროვე ავტობეტონმზიდის (ავტობეტონსარევის) მოცულობა შეადგენს 8-10 მ^3-ს.



ავტობეტონსარევი – იხ. ავტობეტონმზიდი.

ავტობლოკირება – მატარებელთა მიმოსვლის მომწესრიგებელი სისტემა გადასარბენზე, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო თანამიმდევრულ მოძრაობას ავტომატური შუქნიშნებით. ა. არის ორნიშნიანი (მეტროპოლიტენებში) და სამნიშნიანი (რკინიგზაზე). ორნიშნიანი ა. შუქნიშანი ავტომატურად იძლევა ორი ფერის სიგნალს: მწვანეს – "უბანი თავისუფალია" და წითელს – "უბანი დაკავებულია". სამნიშნიანი ა. დროს სადგურებს შორის გადასარბენებს ავტომატური შუქნიშნებით ყოფენ 1-3 კმ-იან ბლოკ-უბნებად. როცა შუქნიშანი მწვანე ფერს აჩვენებს, თავისუფალია ორი ბლოკ-უბანი მაინც; ყვითელი სიგნალი იტყობინება: თავისუფალია ერთი ბლოკ-უბანი; წითელი სიგნალი კი მიუთითებს, რომ წინამდებარე ბლოკ-უბანი დაკავებულია. ცუდი ხილვადობის ან მემანქანის უყურადღებობის შემთხვევაში ა. არ გამორიცხავს დაკავებულ ბლოკ-უბანზე მატარებლის შესვლის შესაძლებლობას. ამიტომ ლოკომოტივზე დამატებით აყენებენ ავტოსდექს. ამგვარი კომბინირებული სისტემა უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებას.

ავტობლოკირების ბლოკ-უბანი – ორ შუქნიშანს (გასასვლელი-შესასვლელი-გასასვლელი) შორის არსებული ლიანდაგის უბანი.



ავტობუსი [ინგლ. auto- ავტომობილი (ბერძ. autos თვით) და bus ომნიბუსი] – მრავალადგილიანი კომუნალური საგზაო სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება მგზავრთა გადასაყვანად (ნახ. 1).



ავტოგამწე – თვლებიანი მანქანა მისაბმელების, გრძელი ტვირთების, ერთ- და ორღერძიანი მისაბმელების და სხვა მოწყობილობის ბუქსირებისათვის (ნახ. 1). აქვს გადიდებული სიმძლავრე და ტრანსმისიის გადაცემათა

რიცხვი (ფარდობა), დამოკლებული ბაზა.

ავტოგასამართი კომპლექსი – ტექნოლოგიური სისტემის, შენობებისა და ნაგებობების მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ორი ან სამი სახეობის საწვავის – ბენზინის, დიზელის საწვავის, ძრავას ზეთის (ნავთობპროდუქტების), გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირისა და შეკუმშული ბუნებრივი აირის მიღებას, შენახვასა და გაცემას, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებას.

ავტოგასამართი სადგური – ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვასა და გაცემას, აგრეთვე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებას (ნახ. 1).



ავტოგენი (ბერძ. autos თვით და genēs დაბადებული, წარმოებული) – აპარატურა ლითონების შედუღების ან ჭრისათვის საწვავი აირებისა (აცეტილენი, წყალბადი და სხვ.) და ჟანგბადის ნარევის აალების მაღალი ტემპერატურის მეშვეობით (ნახ. 1).

ავტოგრეიდერი (ბერძ. autos თვით და ლათ. gradus ნაბიჯი, საფეხური) – თვითმავალი მიწისმთხრელი მანქანა (ნახ. 1), რომელიც გამოიყენება საგზაო, სამრეწველო და საბინაო მშენებლობაში, კომუნალურ და სოფლის მეურნობაში შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად: გზის ვაკისის საფარვლის მოწყობა; ნაყარის აგება; ტერიტორიის მოშანდაკება; მიწის კალაპოტის მოწყობა; გზის ვაკისზე გრუნტის შერევა დანამატებთან და მჭიდა მასალებთან; გზების რემონტი და შენახვა; ასფალტის საფარვლის, რიყის ქვისა და მძიმე გრუნტის მოჭრა და გაფხვიერება; გზების გაწმენდა თოვლის, აგრეთვე მეწყერის, ღვარცოფის ნარჩენებისაგან და სხვ.





ავტოგუდრონატორი – სატრანსპორტო საშუალება ცხელი და ცივი ორგანული შემკვრელი მასალების (ძირითადად გუდრონისა და ბიტუმის) გადასატანად და გასანაწილებლად საავტომობილო გზების, აეროდრომებისა და ხიდების მშენებლობისა და

სარემონტო სამუშაოებისათვის, აგრეთვე შენობის ბურულის, საძირკვლების, წყალსატარი მილებისა და სხვ. ჰიდრისაიზოლაციო მასალების ტრანსპორტირებისათვის (ნახ. 1). მონტაჟდება სატვირთო ავტომობილების, მისაბმელების ან ნახევარმისაბმელების შასიზე. გადასატანი მასალის ცხელ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად ა. დამონტაჟებულია არაპირდაპირი გაცხელების სისტემა, რომელიც ცისტერნაში საჭირო ტემპერატურას უზრუნველყოფს.



ავტოდამტვირთავი – შიგაწვის ან ელექტრული ძრავით აღჭურვილი პატარა, თვითმავალი პნევმატურსავალთვლიანი ურიკა (პატარა ავტომობილი) საკუთარ შასიზე (ნახ. 1), რომლითაც ხდება მცირე წონის ტვირთების აწევა და მოკლე მანძილზე გადატანა; ავტოკარი.

ავტოდრომი (ბერძ. autos თვით და drómos რბოლა, კურსი, სარბენი ადგილი) – საავტომობილო პოლიგონი, გზებისა და ნაგებობების კომპლექსი ავტომობილების გამოცდისათვის, ავტოსპორტისთვის და მანქანის მართვის ოსტატობის შესასწავლად (ნახ. 1. ავტომატიზებული ავტოდრომი). ა. ეწყობა შემდეგი ტიპის გზები: რგოლური ჩქაროსნული, უთანაბრო მკვრივი საფარვლით, გრუნტის, "დინამომეტრიული", ურთიერთგადამკვეთი წინაღობებით (აღმართი, დაღმართი, ფონი, ტალახიანი და მტვრიანი უბნები). ავტომობილების გამოსაცდელი გზების სახეობებია: უთანაბრო ქვაფენილი (ბელგიური ფენილი); მოკლე ტალღები (სარეცხი დაფა); სინუსოიდური ტალღები; გზა შვერილებით; რიყის ქვის საფარვლით და სხვ.



ავტოთვითმცლელი – ავტომობილი ასაყირავებელი სატვირთო პლატფორმით (ნახ. 1). არსებობს საერთო დანიშნულების ავტომობილის ბაზაზე ან სპეციალიზებული სახით, მძიმე კარიერულ პირობებში სამუშაოდ. გამოიყენება საშენი მასალის (ბეტონის, ქვიშის, ხრეშის, ღორღის, მადნეულის, გრუნტის და სხვ.) გადასაზიდად და ჩამოყრით დასაცლელად. ა. თ. აღჭურვილია მართკუთხა, ვარცლისებრი, ჩამჩის ფორმის ან ნახევაროვალური თვითმცლელი ძარით, რომელსაც ზედა მხარეს აქვს კონსოლი მძღოლის კაბინის დასაცავად. განტვირთვა ხდება უკანა მხარეს, თუმცა არსებობს მოდელები ძარის განტვირთვით სამ მხარეზე. ძარის გადაყირავებისათვის გამოყენებულია ძარის ქვეშ განლაგებული ჰიდროცილინდრები.



ავტოკარი – იხ. ავტოდამტვირთავი.

ავტოკლავი (ბერძ. autos თვით და ლათ. clāvus ლურსმანი ან clāvis გასაღები) – ჰერმეტულად დახურული ლითონის ჭურჭელი, რომელშიც ატარებენ სხვადასხვა პროცესებს ორთქლის, მაღალი ტემპერატურისა და წნევის ქვეშ. გამოიყენება სილიკობეტონის, სილიკატური აგურის, ცემენტის, პლასტმასის, დუღაბისა და სხვათა მისაღებად დაჩქარებული მეთოდით. ა. არსებობს: მბრუნავი, მოქანავე, ჰორიზონტალური (ნახ. 1), შვეული და კოლონური. სამშენებლო საქმის გარდა გამოიყენება ჰიდრომეტალურგიაში, მედიცინაში. ქიმიაში ქიმიურ რეაქტორსაც ეძახიან, ხოლო მედიცინაში – სტერილიზატორს ან საშრობ კამერას. გამოიგონა 1879 წელს ფრანგმა მიკრობიოლოგმა ჩარლზ ჩემბერლენმა.





ავტოკოლიმატორი – კუთხური გაზომვისთვის განკუთვნილი ოპტიკურ-მექანიკური ან ელეტრონულ-მექანიკური ხელსაწყო (ნახ. 1).

ავტოკრატია (ბერძ. autokráteia თვითმპყრობელობა) – ქვეყნის მართვის ისეთი სისტემა, როცა მთელი უმაღლესი ძალაუფლება ერთი პირის ხელშია მოქცეული.

ავტომატი (ბერძ. autómatos თვითმოქმედი, თვითმავალი) – 1. აპარატი, რომელიც ამოქმედების შემდეგ რაიმე სამუშაოს ასრულებს თავისით, ადამიანის ჩაურევლად, შიგა მექანიზმის საშუალებით. გამოიყენება ადამიანისათვის კომფორტული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად, საწარმოში წარმადობის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სხვ.; 2. ერთგვარი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ჩახმახის ერთი გამოკვრის შემდეგ ავტომატურად განაგრძობს სროლას. არსებობს ავტომატის სახეობები: აბსტრაქტული, გამშვები, დანასალესი, ელექტრონული, ერთპოლუსიანი, ერთშპინდელიანი, კბილსატეხი, კბილსაფრეზავი, კიბერნეტიკული, კომპლექსური, მილსაშემდუღებლო, მრავალშპინდელიანი, მცველი, ოთხშპინდელიანი, ორპოლუსიანი, პიკირების, რევოლვერული, სავაჭრო, სათამაშო, საკონტროლო-სახარისხებელი, სასინჯი, საყირაო, საშემდუღებლო, სახარატო, სახეხი, სახვევი, ტელეფონ-ავტომატი, უჯრედოვანი, უსაფრთხოების, ფასონურ-ხრახნსაჭრელი, ფიდერის, ფრეზსალესი, ქანჩსაჭრელი, ხაზოვანი, ხერხის სალესი და სხვ.

ავტომატიზაცია (ბერძ. autómatos თვითმოქმედი, თვითმავალი) – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც იყენებს თვითრეგულირებად ტექნიკურ საშუალებებსა და მათემატიკურ მეთოდებს ინფორმაციის, ენერგიის, მასალის მიღების, სარგებლობის, გადაცემის, გარდაქმნის პროცესში მონაწილეობისგან ადამიანის მთლიანად ან ნაწილობრივ განსათავისუფლებლად. მას მიმართავენ საწარმოო პროცესის სრულყოფის,

შრომის ნაყოფიერების გაზრდის, პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის, მართვის, რეგულირებისა და კონტროლის პროცესების ოპტიმიზაციისათვის და სხვ.

ავტომატიზებული დაპროექტების სისტემა (CAD) (კომპ.) (ინგლ. computer-aided design) – კომპიუტერის პროგრამული პაკეტი, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ შეიქმნას საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, სამგანზომილებიანი (3D) მოდელები და ნახაზები. ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის მაგალითებია: AutoCAD, ArchiCAD, BricsCAD, Chief Architect, LibreCAD, FreeCAD და სხვ.

ავტომატიკა (ბერძ. autómatos თვითმოქმედი, თვითმავალი) – 1. ავტომატურად მოქმედი სხვადასხვა მექანიკური, ელექტრონული, პნევმატიკური და ჰიდრავლიკური მოწყობილობათა საერთო დასახელება, რომლებიც გამოიყენება დისკრეტული, უწყვეტი და ჰიბრიდული ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისათვის; 2. ავტომატურად მოქმედი მექანიზმების, ხელსაწყოების ერთობლიობა; 3. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომელიც ამუშავებს ტექნიკურ საშუალებებსა და მეთოდებს ტექნოლოგიური პროცესების განსახორციელებლად ადამიანის უშუალო მონაწილეობის გარეშე.

ავტომატური ბლოკირება – ავტომატური დაცვის განსაკუთრებული სახე, რომელიც გამოიყენება მანქანა-მექანიზმების უნებურად ჩართვა-გამორთვის თავიდან ასაცილებლად, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ავარია, ხანძარი ან აფეთქება.

ავტომატური დაცვის ხელსაწყოები – ხელსაწყოები, რომლებიც არა მარტო იძლევა სიგნალს სამუშაო პროცესის ნორმალური მსვლელობიდან გადახრასთან დაკავშირებული საშიშროების შესახებ, არამედ ამა თუ იმ პარამეტრის ზღვრული მნიშვნელობის დროს ნაწილობრივ ან მთლიანად აჩერებს პროცესს, წყვეტს ნედლეულის ან თბომატარებლის მიწოდებას, ახდენს პროდუქტის გამოშვებას სისტემიდან ან უზრუნველყოფს ხანძრის, აფეთქების ან ავარიის განვითარების საშიშროების ლიკვიდაციის სხვა ღონისძიებებს.

ავტომატური მართვა – მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აპარატებისა და აგრეგატების ჩართვას, მათ გაჩერებას, დამუხრუჭებას, რევერსირებასა და ოპერაციების წინასწარ დაგეგმილ თანამიმდევრობის მკაცრად დაცვას. ამ შემთხვევაში ადამიანის როლი მხოლოდ საწყისი (გამშვები) იმპულსის გაგზავნაში მდგომარეობს. ა.მ. ყველაზე ხშირად დისტანციურად ხორციელდება და უზრუნველყოფს დანადგარის შეთანხმებულ და საიმედო მუშაობას, უსაფრთხოების საჭირო პირობებს, გამორიცხავს ხანძრის საშიშროებასაც. ავტომატური რეგულირების ხელსაწყოები უზრუნველყოფს ადამიანის მონაწილეობის გარეშე ტექნოლოგიური პროცესების მოცემული პარამეტრების შენარჩუნებას, გამორიცხავს ამ პარამეტრების წინასწარდადგენილი უსაფრთხო მნიშვნელობიდან ამა თუ იმ მხარეს გადახრას და ხანძრისა თუ აფეთქების ალბათობას.

ავტომატური მართვის სისტემა – ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების, ტექნიკური საშუალებების, კავშირებისა და ინფორმაციების ასახვისა და სხვათა მოწყობილობებისა და ორგანიზაციული კომპლექსების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს რთული ობიექტებისა და პროცესების მართვას.

ავტომატური მექანიზმი ან სისტემა – ხანძრისაგან დამცავი მექანიზმი ან სისტემა, რომელიც საგანგებო ვითარებების დროს ადამიანის ჩაურევლად ასრულებს ფუნქციას და აქტიურდება

წინასწარგანსაზღვრული ტემპერატურის მომატების, მისი ზრდის ტემპის ან წვის პროდუქტების მატების შედეგად.

ავტომატური მკვებავი – ტრანსპორტიორი, რომლის მეშვეობით ფხვნილისებრი, ნაყარი და გრანულირებული საშენი მასალა ან კვების პროდუქტი მიეწოდება დოზატორს, ბუნკერს, მაგროვებელსა და სხვა ტევადობას. მკვებავის ყველა დეტალი დამზადებულია მაღალი სიმტკიცის უჟანგავი ფოლადისაგან. ა. მ. მუშაობას ასრულებს მხოლოდ ერთი ოპერატორი.

ავტომატური სარქველი – მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად აღებს, კეტავს ან ცვლის სიგნალის სიხშირეს მართვის (დაცვის) სქემის შესაბამისად.

ავტომატური საშხეფებელი სისტემა – მიწისქვეშა და მიწისზედა მილსადენების ერთიანი ხანძარსაწინააღმდეგო საშხეფებელი სისტემა, დაპროექტებული ხანძარსაწინააღმდეგო საინჟინრო სტანდარტების შესაბამისად. სისტემაში შედის სათანადო წყალმომარაგება. სისტემის მიწის ზემოთ მდებარე ნაწილი წარმოადგენს სათანადო მოცულობის ან ჰიდრავლიკურად დაპროექტებულ მილსადენთა ქსელს, რომელიც დამონტაჟებულია ნაგებობაში ან ფართობზე და მასზე მიერთებულია ავტომატური საშხეფებლები. სისტემა, ჩვეულებრივ, აქტიურდება ცეცხლის სიმხურვალეზე და ხანძრის ზონაში უშვებს წყალს.

ავტომატური სიგნალიზაცია – დანადგარი ან სისტემა, რომელიც ასრულებს საავარიო სიგნალიზაციის გამააქტიურებლის ფუნქციას ადამიანის ჩაურევლად და აქტიურდება წინასწარგანსაზღვრული ტემპერატურის მომატების, ზრდის ტემპის ან წვის პროდუქტების მატების შედეგად.

ავტომატური შესყიდვა – შესყიდვის ტიპი, წინასწარი გამოკვლევის, შედარების ან მოფიქრების გარეშე.

ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა – მანქანა-დანადგარების სათანადო სისტემა, რომელიც ავტომატურად აფიქსირებს ცეცხლს და ხანძრის ზონაში უშვებს ცეცხლსაქრობ ნივთიერებას.

ავტომატური წყალმკვები – წყალმკვები, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს საჭირო წნევას მილსადენში მართვის კვანძის გამართულად მუშაობისათვის.

ავტომატური ხაზი – ავტომატური საკომუნიკაციო საშუალებებით შეერთებული მანქანა-ავტომატების ერთობლიობა, რომელთა დანიშნულებაა განსაზღვრული ტექნოლოგიური ოპერაციის შესრულება.

ავტომობილი (ბერძ. autos თვით და ლათ. mōbilis მოძრავი) – ადამიანთა გადასაყვანი (მსუბუქი) ან ტვირთის გადასატანი (სატვირთო) მანქანა, რომელიც შიგაწვის ძრავით მოძრაობს ურელსო გზაზე. პირველი ძრავიანი თვითმავალი ეტლის იდეა ეკუთვნის ლეონარდო და ვინჩის. 1515 წელს მან მთავრობას წარუდგინა სამხედრო მიზნებისათვის განკუთვნილი თვითმავალის პროექტი, რომლის მიხედვითაც თვლები უნდა აემოძრავებინა წინასწარ შეკუმშულ ზამბარას. 1689 წელს ი. ნიუტონმა დაამუშავა ორთქლის ქვაბიდან წნევით გამომავალი ორთქლის ჭავლის რეაქტიული პრინციპით მოქმედი თვითმავალი ეტლის პროექტი. ეს პროექტი თავის დროზე არ განხორციელებულა (მასში წამოყენებული პრინციპები გამოყენებულია ჩვენი დროის ბევრ სატრანსპორტო მანქანაში). მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანელმა ინჟინრებმა გოტლიბ დაიმლერმა და კარლ ბენცმა შექმნეს პირველი რეალურად მომუშავე შიგაწვის ძრავა, რომლის საფუძველზე 1886 წელს კარლ ბენცმა დაიწყო

პირველი კომერციული ავტომობილის წარმოება. შიგაწვის ძრავის შექმნამ გადატრიალება მოახდიანა ტრანსპორტის, სამხედრო ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში. აშშ-ში, მიჩიგანის შტატის ქ. დეტროიტში 1908 წელს ფორდ მოტორ კომპანიმ (Ford Motor Company) დაიწყო მსოფლიოში პირველი ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ავტომობილების კონვეიერული წარმოება (ნახ. 1. Ford Model T touring car, 1916 წლის მოდელი). საავტომობილო მრეწველობის ცნობილი ბრენდებია: მერსედესი (ნახ. 2. Mercedes-Benz S-Class Coupe 2012), ბმვ, პორშე, აუდი, ფოლკსვაგენი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); ფერარი, ფიატი, ლამბორჯინი (იტალიის რესპუბლიკა); რენო, პეჟო, სიტროენი (საფრანგეთის რესპუბლიკა); როლს როისი, რეინჯ როვერი, ასტონ მარტინი (ინგლისი); ვოლვო (შვედეთის სამეფო); ფორდი, კრაისლერი, შევროლე, ჯენერალ მოტორსი, კადილაკი, იაგუარი (აშშ), ტოიოტა, ნისანი, ჰონდა, მაზდა (იაპონია), კია (კორეის რესპუბლიკა) და სხვ.





ნახ. 2

ავტომორფიზმი (ბერძ. autos თვით და morphē ფორმა, შესახედაობა) – იხ. იზომორფიზმი.

ავტომოტრისა (ბერძ. autos თვით და ფრანგ. motrice მოძრავი, ტარება) – ლიანდაგებზე მოძრავი თვითმავალი სამგზავრო ან სატვირთო ვაგონი აღჭურვილი საკუთარი ძრავით (ნახ. 1).



ნახ. 1

ავტონომიური [ბერძ. autónomos<autos თვით და nóm(os) კანონი, ჩვეულება] – 1. ავტონომიის, თვითმართველობის მქონე; დამოუკიდებლად მოქმედი; 2. რაც დაკავშირებული, მიერთებული არ არის მის გარეშე მყოფ ენერგიის წყაროსთან.

ავტონომიური ორთქლის გადამხურებელი – ქვაბში ან აირსადენში ჩაშენებული ან ცალკე მდგომი ორთქლის გადამხურებელი, რომელშიც ორთქლი გადახურებისთვის მიეწოდება გარე წყაროდან.

ავტონომიური საქვაბე (ინდივიდუალური საქვაბე) – საქვაბე ერთი შენობის ან ნაგებობის თბომომარაგებისათვის.

ავტორეფერატი – ავტორის მიერ საკუთარი სამეცნიერო ნაშრომის მოკლე შინაარსის გადმოცემა.

ავტორი – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები.

ავტორიზებული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე საჯარო რეესტრის წარმოებაზე ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს კანონის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით.

ავტორხევა – არამილევადი რხევა არაწრფივ დინამიკურ სისტემაში, რომელსაც გარეშე პერიოდული ზემოქმედებიაგან დამოუკიდებლად შეუძლია იარსებოს და რომლის ამპლიტუდა და პერიოდი (სიხშირე) ფართო საზღვრებში არ არის დამოკიდებული საწყის პირობებზე და განისაზღვრება თვით ამ სისტემის თვისებებით.

ავტოსადგომი დახურული – სატრანსპორტო საშუალებების შესანახი ადგილი დახურული ტიპის შენობის ან ნაგებობის სახით.



ავტოსადგომი პანდუსებიანი (რამპებიანი) – მრავალსართულიანი ავტოსადგომი, რომლის სართულები ერთმანეთთან პანდუსებითაა დაკავშირებული. ძირითადად აგებენ რკ.ბ.-ის კონსტრუქციებისაგან. მიეკუთვნება ღია ტიპის ავტოსადგომს (ნახ. 1).



ავტოსადგომი ღია – ავტოსადგომი შემომზღუდავი კედლების გარეშე (ნახ. 1). უმეტესად შემოღობილია ლითონის ნაქსოვი ბადით, გისოსით ან ხის მესერით. ა. ღ. ითვლება, აგრეთვე, ნაგებობა რომლის ორ ურთიერთსაპირისპირო კედელში არსებული ღიობების ჯამური ფართობი აღემატება ამ გვერდის კედლის საერთო ფართობის 50%-ს.

ავტოსადგური – შენობებისა და ნაგებობების კომპლექსი საქალაქო, საგარეუბნო და საერთაშორისო ავტოტრანსპორტის მგზავრთა, სახაზო პერსონალის, მოძრავი შემადგენლობისა და ბარგის მომსახურებისათვის (ნახ. 1. ქ. ლესტერის ახალი ავტოსადგური, ინგლისი). ა. შენობაში განთავსებულია სამგზავრო დარბაზი, სალაროები, სადისპეტჩერო, ხელბარგის შესანახი კამერები, ბუფეტი, სანკვანძი და სხვ. სათავსები; ტერიტორიაზე კი – მგზავრთა ავტობუსებში ჩასასხდომი და გადმოსასხდომი ბაქანი



(ბაქნები). ა. ავტობუსების უსაფრთხო მოძრაობის მართვის უზრუნველყოფისათვის მოწყობილია კონტროლის ავტომატური სისტემები (რადიო-, ვიდეო- და ტელეკავშირი, სიგნალიზაცია და სხვ.).

ავტოსატვირთველი – თვითმავალი ავტოსატრანსპორტო მანქანა, რომელიც გამოიყენება ტვირთის დასატვირთ-გადასაადგილებლად საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე, სამშენებლო მოედანზე და სხვ.; იხ. ავტოდამტვირთავი.

ავტოსაშხეფი სისტემა – საინჟინრო სტანდარტების შესაბამისი ხანძრისგან დაცვის სისტემა, რომელიც მიწისქვეშა და მიწისზედა მილების გაერთიანებული სისტემაა. უზრუნველყოფილია სათანადო წყალმომარაგებით. სისტემის მიწის ზემოთ განთავსებული ნაწილი სპეციფიკური ზომების მქონე ან ჰიდრავლიკისათვის დაგეგმარებული მილსადენებია. ისინი მოწყობილია ნაგებობაში ან ფართობზე, ძირითადად, სივრცის ზემო ნაწილში, რომლებზეც გარკვეული რიგით მიერთებულია ავტომატური საშხეფები. ჩვეულებრივ, სისტემა აქტიურდება ცეცხლის სიმხურვალის გავლენით.

ავტოსაწეველა – სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება ადამიანის (ინსტრუმენტებიანად) გადასაყვანად სიმაღლეზე და სამშენებლო-სამონტაჟო ან სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად, აგრეთვე, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების, სამრეწველო, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და სხვ. მშენებლობის, მონტაჟის, მომსახურებისა და რემონტისათვის. განასხვავებენ გასაშლელ-სახსრიანს (ნახ. 1) და ტელესკოპურს.



ავტოსდექი – 1. ელექტრონულ-მექანიკური მოწყობილობა, რომლის მექანიკური თამასა მატარებლის მიერ ამკრძალავჩვენებიანი შუქნიშნის გავლისას იმყოფება აქტიურ მდგომარეობაში (ნახ. 1. სურათზე მარცხნივ) და ავტომატურად იწვევს მის სწრაფ შეჩერებას თამასისა და ვაგონზე არსებული სარქვლის კონტაქტისას სამუხრუჭე სისტემის ამოქმედების გამო, ხოლო თავისუფალი გზის შემთხვევაში მოწყობილობის მექანიკური თამასა საწყის მდგომარეობაშია (ნახ. 1. სურათზე მარჯვნივ) და მატარებელი მოძრაობს დაუბრკოლებლად; 2. თანმხვედრი ტრანსპორტით უფასო გადაადგილება.



ნახ. 1

ავტოსერვისი (ბერძ. autos თვით და ლათ. servitium მონობა) – ავტომობილების მომსახურებისათვის განკუთვნილი დაწესებულება.

ავტოსტრადა (ბერძ. autos თვით და იტალ. strada გზა) – კეთილმოწყობილი ფართო საავტომობილო გზა განივი გადასასვლელების გარეშე ტრანსპორტის სწრაფი მოძრაობისათვის (ნახ. 1. ქ. პოზნანის ავტოსტრადა, პოლონეთის რესპუბლიკა).



ნახ. 1

ავტოტრანსფორმატორი – ელექტრული ტრანსფორმატორი, რომლის ყველა გრაგნილი ერთმანეთთან შეერთებულია გალვანურად.

ავტოქტონური (ბერძ. autos თვით და chthṓn დედამიწა, მიწა) – დამოუკიდებელი, ადგილობრივი წარმოშობისა (ქანები, ნახშირი, თიხა და სხვ.).

ავტოცემენტსაზიდი – სატვირთო ავტომობილი, რომლის შასიზე ან მისაბმელზე გარკვეული კუთხით დამონტაჟებულია სპეციალური კონსტრუქციის სტაციონალური ან მბრუნავი ცისტერნა (ნახ. 1) ცემენტის გადასატანად.





ავტოცისტერნა – ავტომობილი, რომელსაც ძარის ნაცვლად აქვს ცისტერნა. კონსტრუქციულად გათვალისწინებულია თხევადი, აირული და ფხვიერი ტვირთების გადასატანად ან დროებით შესანახად (ნახ. 1).



ავუარი (ფრანგ. auoir) – ფულადი თანხა, ჩეკი, აკრედიტივი, რომლის ხარჯზეც მფლობელს შეუძლია გადასახადის გადახდა ან ვალდებულებათა განაღდება.

ავშარა (ქორაკი) – ცხენის აღკაზმულობის ნაწილი, შედგენილი წვრილად დაჭრილი ტყავის სამი თასმისაგან.

აზარმაცი – ოწინარი; ჭასთან დამაგრებული ბერკეტი წყლის ამოსატანად. საერთოდ, სიმძიმის ასაწევი ბერკეტი (ნახ. 1).

აზბესტი (ბერძ. ásbestos ჩაუმქრალი) – ქრიზოტილი, ქანსელი, მთის სელი – ბუნებრივი, წვრილბოჭკოვანი, ცეცხლგამძლე მინერალი, რომელსაც იყენებდნენ შიფერის, მილის, პანელის, ქსოვილის, მუყაოს, ქაღალდის, ჩალიჩის და სხვათა დასამზადებლად, აგრეგატის თბოიზოლაციისათვის. ა. შემადგენლობაში შედის ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებები, ამიტომ მისი წარმოება მსოფლიოში 2016 წლისთვის თითქმის შეწყვეტილია.

აზიმუტი (არაბ. as-sumūt გზები, მიმართულებები) – 1. ასტრ. კუთხე რომელსაც ქმნის დედამიწის რომელიმე წერტილის მერიდიანის ჰორიზონტალური სიბრტყე და ამ წერტილსა და ცის მნათობზე გამავალი ვერტიკალური სიბრტყე; 2. სამხ. კუთხე, რომელიც იქმნება მოცემულ მიმართულებასა და ჩრდილოეთის მიმართულებას შორის; 3. სამხ. დედამიწის ზედაპირზე სვლის პირდაპირი მიმართულება.

აზიმუტი მაგნიტური – გეოდ. კუთხე, რომელიც იქმნება რომელიმე მიმართულებასა და ადგილის მაგნიტური მერიდიანის სიბრტყეს შორის.

აზოტი (არაბ. az-zāwūq ვერცხლისწყალი) – ქიმიური ელემენტი, ინერტული, უფერული გაზი, რომელსაც არა აქვს სუნი, გემო და ხელს არ უწყობს წვას; ქიმიური სიმბოლო – N; ჰაერის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი (78%). სიმკვრივე: –195,8°C ტემპერატურაზე – 808 კგ/მ^3, ნორმალურ ტემპერატურაზე – 1,251 კგ/მ^3; დუღილის ტემპერატურა – –195,75°C. შედის ყველა ცოცხალი ორგანიზმის შედგენილობაში, მონაწილეობს ბუნებაში ნივთიერებათა წრე-ბრუნვის რთულ პროცესში. თხევადი ა. გამოიყენება დაბალი ტემპერატურის მისაღებად, აირადი ა. – ინერტული გარემოს შესაქმნელად ელექტრონათურებში, ვერცხლისწყლის თერმომეტრებში, მაღალი ტემპერატურის გასაზომად, წვადი სითხეების გადასაქაჩად და სხვ.

აზოტიზაცია – ლეგირებული ფოლადის ზედაპირის გაჯერება აზოტით (სიმტკიცის მისაცემად).

აზოტმჟავა – ძლიერი ერთფუძიანი მჟავა, უფერო სითხე. ქიმიური ფორმულა – HNO_3. უწყლო ა. სიმკვრივეა 1522 კგ/მ^3, ლღობის ტემპერატურა – –41°C, დუღილის ტემპერატურა – 84°C. მიიღება ამიაკის კატალიზური დაჟანგვით ჰაერში არსებული ჟანგბადის მეშვეობით. გამოიყენება აზოტისა და კომბინირებული სასუქების წარმოებაში, ფერად მეტალურგიაში მეტალების ამოჭმისა და გახსნისათვის, გოგირგმჟავას მისაღებად, სხვადასხვა ორგანული ნიტროპროდუქტების წარმოებაში, რაკეტულ ტექნიკაში როგორც საწვავის განმჟანგავი, ქიმიურ ლაბორატორიებში და სხვ.

აზურიტი (შუაინგლ. asur აღნიშნავდა ლურჯ საღებავს<ძვ. ფრანგ. asur, azur აღნიშნავდა ფერს<შუასაუკუნ. ლათ. azzurum, azolum ლურჯი ფერი<არაბ. lāzaward ლილაქვა<სპარს. lāzhuward მუქი ლურჯი ქვა, ლილაქვა; მუქი, კაშკაშა ლურჯი ფერი) – მუქი ლურჯი ფერის, საკმაოდ რბილი და მყიფე, ჩვეულებრივ გაუმჭვირვალე (იშვიათად ნახევრად გამჭვირვალე თხელი კიდეებით), ფართოდ გავრცელებული სპილენძის მინერალი, ე.წ. "სპილენძის ლაჟვარდი" (ნახ. 1. აზურიტი სანტა-ლუსიას მაღაროდან, ლა-პესას მუნიციპალიტეტი, გრანადის



პროვინცია, ანდალუსიის ავტონომიური გაერთიანება, ესპანეთის სამეფო); ქიმიური ფორმულა: $Cu_3(CO_3)_2(OH)_2$. გამოიყენება სპილენძის გამოსადნობად, ლურჯი საღებავისა და შაბიამნის დასამზადებლად და სხვ.; სანახელავო ქვა.

ათვლის აბსოლუტური სისტემა (ათვლის ძირითადი სისტემა) – ათვლის სისტემა, რომელიც ითვლება უძრავად.

ათვლის არაინერციული სისტემა – ათვლის ინერციული სისტემის მიმართ ნებისმიერად მოძრავი სისტემა.

ათვლის ინერციული სისტემა – ათვლის სისტემა, რომლის მიმართ მართებულია კლასიკური მექანიკის ძირითადი კანონები ანუ მოძრაობის ძირითადი კანონები, რომელიც საბოლოო სახით დაადგინეს გალილეიმ და ნიუტონმა. ათვლის ასეთი სისტემის მიმართ იზოლირებული სხეული თანაბრად და წრფივად მოძრაობს. ფარდობითობის თეორიაში ამ პირობას ემატება მეორე პირობაც – ასეთ ათვლის სისტემაში სინათლის სიჩქარის მუდმივობა. საკმაოდ დიდი სიზუსტით ინერციულ სისტემად შეიძლება მივიღოთ სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემა, რომლის სათავე მზის ცენტრშია, ხოლო ღერძები მიმართულია სამი "უძრავი" ვარსკვლავისაკენ. ცდები და დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მექანიკური მოძრაობის შესწავლისას ტექნიკური პრაქტიკის თითქმის ყველა საკითხში ათვლის ინერციულ სისტემად შეგვიძლია დიდი სიზუსტით ავიღოთ დედამიწასთან დაკავშირებული საკოორდინატო სისტემა.

ათვლის მოძრავი სისტემა – ათვლის სისტემა, რომელიც მოძრაობს ათვლის აბსოლუტური (უძრავი) სისტემის მიმართ.

ათვლის სისტემა – სხეულთა უცვლელი სისტემა, რომლის მიმართ განისაზღვრება გამოსაკვლევი სხეულის მდებარეობა და რომელშიც აღინიშნება დროის სათანადო მომენტი. ათვლის სისტემასთან უძრავად აკავშირებენ კოორდინატთა სისტემას (მაგ., მართკუთხა კოორდინატთა სისტემას).

ათვლის ფარდობითი სისტემა – იხ. ათვლის მოძრავი სისტემა.

ათვლის ძირითადი სისტემა – იხ. ათვლის აბსოლუტური სისტემა.

ათონის ივერთა მონასტერი [ინგლ. Athos Monastery Iviron (or Iveron)] – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ღვთისმშობლის სახელობის ისტორიული ქართული მონასტერი (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი; ნახ. 3. ათონის ივერთა მონასტერი XVIII საუკუნეში. მხატვარი ტიმოთე გაბაშვილი). მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილზე, აიონ-ოროსის ვიწრო, გრძელი და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას (ნახ. 4. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსის მთავარი ნაგებობებია: მიძინების, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზისა, წმ. ნიკოლოზ



ნახ. 1

სასწაულმოქმედის ტაძრები, გალავანი და 16 პატარა ეკლესია. დაარსდა იოანე ათონელის მიერ 980-983 წლებში.



ნახ. 2

მონასტრის აშენებასა და კეთილმოწყობას ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ: საბერძნეთის ახალგაზრდა იმპერატორებმა ბასილმა და კონსტანტინემ სთხოვეს დავით კურაპალატს აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება. დ. კურაპალატმა 12000 ქართველთა ჯარი გაუგზავნა დასახმარებლად, რომელსაც ყოფილი მთავარსარდალი და იმჟამად ბერი თორნიკე (თორნიკე ერისთავი) სარდლობდა. გამარჯვებულმა ქართველებმა დამარცხებული ქვეყნიდან წამოღებული დიდძალი ქონება ნადავლის სახით თორნიკეს მიაკუთვნეს. თორნიკემ კი მთელი ქონება ათონზე წაიღო, რითაც ქართველებისათვის საგანგებო მონასტერი ააშენეს, მშვენიერი, ჰაეროვანი, რომლის მსგავსი იქ არ მოიპოვებოდა. თავისი სიდიდით, სიმდიდრითა და მნიშვნელობით, ივერთა მონასტერს მესამე ადგილი უკავია ათონის მონასტრების იერარქიაში.

მონასტრის მთავარი ტაძარი (ნახ. 5. მთავარი ტაძარი) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა ნაკურთხი. მისი კედლები მარმარილოსია, კანკელი და საკურთხეველი მოოქროვილია. ასევეა წინამძღვრის დასაჯდომი ადგილი. მონასტერს გარედან მაღალი ქვის კედელი აკრავს.

საქართველოს ხელისუფალთა ჩარევით, ქართველები XIII საუკუნის ბოლომდე, ასე თუ ისე, ინარჩუნებდნენ მონასტერს, მაგრამ XIV საუკუნის დასაწყისისათვის, როცა თანდათან შესუსტდა საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე, ათონის სავანეშიც შესამჩნევად შემცირდა ქართველობა. მართალია XIX საუკუნემდე მონასტრის ოფიციალურ პატრონებად ქართველები ითვლებოდნენ, მაგრამ რეალურად ბერძნები განაგებდნენ ყოველივეს და, ბოლოს, XIX საუკუნეში, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ქართველები ათონის მთიდან და დაეპატრონენ ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლს.



ნახ. 3

ათონის ივერთა მონასტერი ბიზანტიაში ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა და ქართული ეროვნული იდეის მატარებელი იყო. მონასტერში თავი მოიყარეს ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ძალებმა. ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში. ათონის ივერთა მონასტერში დაიწერა ბევრი ორიგინალური თხზულება, ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები (მაგ. ბიბლია), ხოლო ქართულიდან ბერძნულად – აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტურ-დოგმატური ხასიათის თხზულება „სიბრძნე ბალავარისი“. სხვადასხვა დროს ივერთა მონასტერში მოღვაწეობდნენ

ცნობილი ქართველები: იოანე, ექვთიმე, სტეფანე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, არსენ ნინოწმინდელი, იოანე გრძელისზე და სხვანი, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით ეწეოდნენ საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმიანობას და ერთდროულად წარმატებით ხელმძღვანელობდნენ საქართველოდან ბიზანტიაში გაგზავნილი ახალგაზრდების განათლების საქმეს.



ნახ. 4



ნახ. 5

აია-სოფიას ტაძარი (აია-სოფია, სოფიაწმინდა) (ინგლ. Hagia Sophia<ბერძ. hágios წმინდა, საღმრთო და sophía სიბრძნე, ოსტატობა, ცოდნა; კეთილგონიერება; გამჭრიახობა, ეშმაკობა<sophós ბრძენი, ჭკვიანი; ხელობაში გაწაფული) – ყოფილი მართლმადიდებლური საპატრიარქო ტაძარი (ნახ. 1; ნახ. 2) თანამედროვე თურქეთის ქალაქ სტამბოლში (ყოფილი კონსტანტინოპოლი, ძვ. ქართ. ბიზანტიონი, ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი 1453 წლამდე, რომელიც ახ. წ. 324 წელს დაარსა რომის იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა). შემდეგ – მეჩეთი (1931 წლამდე), ამჟამად – აია სოფიას მუზეუმი (გაიხსნა 1935 წლის 1 თებერვალს); სახელი ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც წმინდა სიბრძნე და ეძღვნება წმიდა სამების მეორე იპოსტასს, განკაცებულ ღვთის სიტყვას, უფალ იესო ქრისტეს, როგორც ღვთის წმინდა სიბრძნეს. მსოფლიოში ცნობილი ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ძეგლი, ბიზანტიის "ოქროს ხანის" სიმბოლო. აია-სოფიას ტაძარი სამჯერ აშენდა. პირველი იყო "მეგალა ეკლესია", რომელიც ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე დიდის მეფობისას, 360 წელს ააგეს. ეს ტაძარი იყო ხისგან ნაგები შენობა ხუთნავიანი ბაზილიკის სტილში, ხის სახურავით გადახურული. ტაძრის ნაწილი 404 წლის სახალხო აჯანყების დროს ხანძარმა იმსხვერპლა. აღდგენილი ბაზილიკა ისევ ხანძრისაგან განადგურდა 415 წელს. იმავე წელს,

ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერატორის, თეოდოსიუს II უმცროსის ბრძანებით, ბაზილიკის სტილის ტაძარი მეორედ აშენდა. მას ჰქონდა ხის სახურავი და მონუმენტური შესასვლელი. 532 წელს, "ნიკას" სახელით ცნობილი სახალხო აჯანყების დროს ტაძარი კვლავ დაიწვა.

დღევანდელი სახით ის ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის მმართველობის დროს, არქიტექტორების ისიდორე მილეთელისა და ანთემიოს (ანთიმოზ) ტრალელის ძალისხმევით აშენდა. ტაძარი საზეიმოდ გაიხსნა 537 წლის 27 დეკემბერს. მისი ინტერიერის სიმაღლეა 55,6 მ, გუმბათის დიამეტრი – 31 მ. ბიზანტიის იმპერიის არსებობის პერიოდში ტაძარი იდგა კონსტანტინოპოლის ცენტრში, იმპერატორის სასახლის გვერდით. ათასზე მეტი წლის განმავლობაში აია-სოფიას ტაძარი იყო ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე დიდი ტაძარი, ვიდრე არ ააშენეს წმინდა პეტრეს ტაძარი რომში. აია-სოფიას ტაძრის მშენებლობისათვის გამოყენებული იყო მრავალფეროვანი, საუკეთესო ხარისხის საშენი მასალა: მარმარილო (ნახ. 3. მარმარილოს კარის ფრაგმენტი), ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ალმასი, მინა, ძვირფასი მერქანი, სპილოს ძვალი და სხვ. აღსანიშნავია, რომ იმ დროის განთქმული ნაგებობებიდან გადმოიტანეს სხვადასხვა არქიტექტურული ელემენტი. მაგ., რომიდან – "მზის ტაძრის" 8 ცალი პორფირის სვეტი; ეფესოს არტემიდას ტაძრიდან – მწვანე იასპის 8 სვეტი, ბაალბექიდან (ძვ. ქალაქი ლიბანში) – 8 კორინთული სვეტი და სხვ. ზოგადად, ტაძარი ძალიან მდიდარია სხვადასხვაგვარი მასალისგან დამზადებული დახვეწილი სვეტებით (ნახ. 4. ძლიერ სახეცვლილი ფორმის კორინთული სვეტები ნატიფი კაპიტელებით). აღსანიშნავია, რომ ტაძრის მშენებლობას მოხმარდა ბიზანტიის იმპერიის სამი წლის შემოსავალი. იმპერატორ იუსტინიანეს დროს ტაძარს ემსახურებოდა 525 ადამიანი.

მშენებლობის დამთავრებიდან რამდენიმე წელიწადში მიწისძვრამ ნაწილობრივ დააზიანა ტაძარი (ძირითადად გუმბათი), რომელიც მალევე აღადგინეს. 989 წელს მიწისძვრამ კვლავ მნიშვნელოვნად დააზიანა გუმბათი, რომელიც თავიდან ააგეს. იგი წინამორბედზე მაღალი იყო. კედლები გაძლიერდა კონტრფორტებით, რამაც ძველი იერსახე დაუკარგა ტაძარს. 1054 წლის 16 ივნისს აია-სოფიას ტაძარში მოხდა ქრისტიანული

ეკლესიის ორად გაყოფა (დიდი სქიზმა – საეკლესიო განხეთქილება, რომელმაც ქრისტიანული ეკლესია ორ ნაწილად, აღმოსავლეთ მართლმადიდებელ და დასავლეთ კათოლიკურ ეკლესიად გაჰყო), როდესაც რომის პაპის, ლეონ IX-ის დესპანმა კარდინალმა ჰუმბერტ სილვა-კანდიდელმა, ღვთისმსახურების დროს, პაპის სიგელი გადასცა კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიქაელ I კერულარიოს. სიგელის საპასუხოდ, 20 ივნისს, პატრიარქმა პაპის დესპანები ანათემას გადასცა.

1453 წლის 29 მაისს ტაძარი თურქებმა დაიპყრეს, პირწმინდად გაძარცვეს ის და უმოწყალოდ ამოხოცეს ქრისტიანი მლოცველები. მეორე დღეს მართლმადიდებლური ტაძარი მეჩეთად მოაქციეს. მოგვიანებით ტაძრის ირგვლივ ოთხი მინარეთი აღმართეს, ინტერიერს კი მიჰრაბი (სალოცავი ნიშა ისლამურ მეჩეთებში), მინბარი (კათედრა კიბითურთ იმამისთვის ან სხვა სასულიერო პირისთვის დიდ მეჩეთში, მიჰრაბის მარჯვენა მხარეს) და სხვა დეტალები დაამატეს. უნიკალური, მოოქროვილი მოზაიკით შესრულებული მართლმადიდებლური გამოსახულებები (ფრესკები; ნახ. 5. საიმპერატორო კარიბჭის მოზაიკა – შარავანდედმოსილი ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI ბრძენი მუხლს იყრის უფალ იესო ქრისტეს წინაშე; მოთავსებულია ტიმპანში, კარიბჭის თავზე) მოაცილეს ან მოხატული ბათქაშით დაფარეს. ბათქაში დროთა განმავლობაში იშლება და მოზაიკის ფრაგმენტები პირვანდელი სახით ჩნდება.



გეგმით ტაძარი წაგრძელებული ოთხკუთხედის (75,6×68,4 მ) ფორმისაა, აქვს ერთი შუა და ორი განაპირა ნავი (იგივე ნაოსი, ცელა ან ნეფი). ინტერიერში ორი სართულია (ნახ. 6. მეორე სართულის გალერეის დასავლეთი ნაწილი), რომელიც გვირგვინდება გუმბათით. იატაკიდან 55,6 მეტრზე აზიდული გუმბათი ეყრდნობა 40 თაღიან ფანჯარას (ნახ. 7; ნახ. 8. ცენტრალური გუმბათის ხედი ქვემოდან – კუთხეებში ჩანს ოთხი ექვსფრთიანი ანგელოზის გამოსახულება), საიდანაც შემოდის დღის შუქი და თანაბრად ნაწილდება ტაძრის შიდა სივრცეში. გუმბათქვეშა სივრცეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ნახევარსფეროს ფორმის ორი კოლოსალური ნიშა, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან კი გვერდითი ნავების თაღები, რომელთაც იჭერს პორფირისა და მალაქიტის სვეტები (ჩამოტანილია ეგვიპტიდან და მცირე აზიიდან). გარე მხრის ნართექსები შემოსაზღვრულია სვეტებიანი გალერეებით. ტაძრის შიდა კედლების მორთვა გრძელდებოდა რამდენიმე ასწლეულის მანძილზე და მნახველს ატყვევებდა მისი



სიმდიდრითა და გრანდიოზულობით. აია-სოფიას ტაძარი სამართლიანად ითვლება მსოფლიო კლასიკური არქიტექტურის შედევრად.





აივანი – 1. შენობის ფასადის სიბრტყიდან გამოწეული და, როგორც წესი, შიგა სათავსებთან დაკავშირებული, მოაჯირით შემოსაზღვრული ბაქანი (ნახ. 1); 2. დერეფანი; საცხოვრებელი სახლის (კერძოდ, ქართული საცხოვრებელი სახლის) ერთ ან სამმხრივ ღია ნაწილი სვეტებზე დაყრდნობილი გადახურვით. ასეთი აივანი ქვედა სართულის კედლებზე ან ამგვარივე აივნის სვეტებზეა დაყრდნობილი ან შეკიდებული.



აივნის კარის ბლოკი – შუქგამტარი კონსტრუქცია, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს შიდა სათავსის კომუნიკაცია ღია აივანთან (ან ლოჯიასთან), სათავსის ბუნებრივი განათება და დაცვა ატმოსფერული ზემოქმედებისა და ხმაურისაგან. შედგება: ჩარჩოს, ფრთის და, ცალკეულ შემთხვევაში, ფრამუგისაგან.

აირადი აგრესიული გარემო – გარემო, რომლის აგრესიული ზემოქმედება განისაზღვრება მისი აირული ფაზის შედგენილობითა და თვისებებით.

აირადი წყალბადის სისტემა – მილსადენების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია, რათა გამოიმუშაოს, შეინახოს, დაიჭიროს, გაანაწილოს ან გადაზიდოს აირადი წყალბადის შემცველი არამომწამლავი ნარევი, რომლის მოცულობის, სულ მცირე, 95% წყალბადის აირია, ხოლო, არაუმეტეს, 1% – ჟანგბადი. აირადი წყალბადის სისტემები მოიცავს დაჭირხნული აირის კონტეინერებს, რეაქტორებს და დამხმარე მოწყობილობებს, მათ შორის, წნევის რეგულატორებს, წნევის დამწევ მექანიზმებს, შემკრებებს (კოლექტორებს), ტუმბოებს, დამჭირხნავებს, დამაკავშირებელ მილსადენებსა და საკონტროლებლებს.

აირალმომჩენი უწყვეტი სისტემა – აირის აღმოსაჩენი სისტემა, რომელშიც ანალიტიკური ინსტრუმენტი შეუჩერებლივ მუშაობს და სინჯს უწყვეტად იღებს. ანალიზი ტარდება ციკლურად, არაუმეტეს, 30-წუთიანი ინტერვალით.

აირბეტონი – უჯრედოვანი ბეტონის სახესხვაობა; საშენი მასალა, ხელოვნური ქვა მოცულობაში თანაბრად განაწილებული 1-3 მმ-ის დიამეტრის, დაახლოებით სფერული, ჩაკეტილი ფორებით. ამ მასალის საწარმოებლად გამოიყენება ცემენტი, კვარცის ქვიშა და სპეციალური აირწარმომქმნელები, ზოგჯერ ამატებენ თაბაშირს, კირს, სამრეწველო ნარჩენებს (ნაცარი, წიდა) და სხვ. აირწარმოქმნა ხდება წვრილდისპერსიული ლითონური ალუმინის (პასტა, სუსპენზია) შერევით ძლიერგატუტიანებულ ცემენტთან ან კირიან ხსნართან, რის შემდეგაც ქიმიური რეაქციით წარმოიქმნება აირადი წყალბადი და კალციუმის ალუმინატები, რომლებიც აქაფებენ ცემენტის ხსნარს. ა. წარმოების ტიპური ციკლი შემდეგია: მშრალი ინგრედიენტების წყალში გახსნილი ნარევი ისხმება ფორმაში, მიმდინარეობს ტუტე კალციუმის ჰიდროქსიდის წყლიანი ხსნარისა და აირწარმომქმნელის რეაქცია წყალბადის გამოყოფით, რომელიც აქაფებს ნარევს. მიიღება აფუებული ცომისებრი მასა. გარკვეული დროის შემდეგ მონოლითს იღებენ ფორმიდან, ჭრიან ბლოკების, ფილების, პანელების სახით და ამუშავებენ ავტოკლავში წყლის ორთქლით საბოლოო სიმტკიცის მისაცემად, ან აშრობენ ელექტრულ საშრობ კამერებში. ა. ადვილად იჭრება, იხერხება, იბურღება, ირანდება ჩვეულებრივი ფოლადის ინსტრუმენტებით, თავისუფლად ესობა ლურმანი, სამონტაჟო დეტალები. გამოირჩევა ცეცხლმედეგობით, არ ამჟღავნებს რადიოაქტიურობას. ფართოდ გამოიყენება საბინაო, კომერციულ და სამრეწველო მშენებლობაში, ძირითადად საკედლე და ტიხრის ბლოკების სახით. აირბეტონების კლასიფიკაცია შემდეგია: 1) დანიშნულების მიხედვით – კონსტრუქციული, კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო და თბოსაიზოლაციო; 2) გამყარების მიხედვით – ავტოკლავური (სინთეზური გამყარებით) და არაავტოკლავური (ჰიდრატაციური გამყარებით); 3) შემკვრელის მიხედვით – ცემენტის, კირის, შერეულ, წიდის, ნაცრის, ბუნებრივი მასალებისა და მრეწველობის მეორადი პროდუქტების შემკვრელზე.

აირგამომყოფი – რეზერვუარში საწვავის ჩასხმისას, აგრეთვე მარიგებელი სვეტის ტუმბოს მუშაობისას, საწვავიდან ჰაერის გამომყოფი მოწყობილობა.

აირგასამართი სადგური – სადგური, რომელიც უზრუნველყოფს სატვირთო, სპეციალური და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავი სისტემის ბალონების გამართვას გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირით.

აირგენერატორი – აპარატი მყარი და თხევადი სათბობის თერმული გადამუშავებისათვის საწვავ აირად. მიღებული აირი გამოიყენება სამრეწველო ღუმლებში (მაგ., მინასახარშ ღუმელში).

აირი (გაზი) (ბერძ. aēr აირი, ჰაერი, ქარი) – ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა, რომელშიც მისი ნაწილაკების (მოლეკულების, ატომების, იონების) თბური მოძრაობის კინეტიკური ენერგია ბევრად აღემატება ამ ნაწილაკებს შორის ურთიერთკავშირის პოტენციალურ ენერგიას, რის გამოც ნაწილაკები მოძრაობენ თავისუფლად, თანაბრად ავსებენ რა მოცემულ მოცულობას. არსებობს აირის მრავალი სახეობა: ადსორბირებული, ამიაკის, ანოდური, აფეთქებასაფრთხიანი, აქტიური, აღმდგენი, აცეტილენის, ბუნებრივი, ბრძმედის, გადამუშავებული, გათხევადებული, გამონაბოლქვი, გამოწვის, განზავებული, გაუხშოებული, გენერატორის, გოგირდოვანი, დამცავი, დაჭირხნული, დენთის, იდეალური, თანამგზავრი, ინერტული, კვამლის, კონვერტერის, კონვერტირებული, კოქსის, იშვიათი, მავნე, მაღალკალორიული, მაღაროს, მგრგვინავი, მზიდი, მჟანგავი, მომწამლავი, მფლუსავი,

მხუთავი, ნავთობის, ნამუშევარი, ნახევრად კოქსის, ნედლი, ორთქლჰაერული, პირველადი, პიროლიზის, პლაზმაწარმომქმნელი, სათბობი, საკერძის, სამრეწველო, სანათი, საწვავი, ტექნოლოგიური, ტორფის, ფეთქებადი, ფეროშენადნობის, ქვანახშირის, ქურის, ქშინის, ღარიბი, ღუმლის, შებრუნებული (საბრუნი), შეკუმშული, შერეული, შხამიანი, წამავალი, ჭაობის, ჰაერისა და სხვ.

აირი დაჭირხნული – ნივთიერება ან ნივთიერებათა ნარევი, რომელიც: 1. 20°C ან 20°C-ზე ნაკლები ტემპერატურისა და 101,325 კპა წნევისას არის აირი; 2. რომლის დუღილის წერტილი 101 კპა წნევისას ნაკლებია ან ტოლია 20°C-ისა, თხევადია, არაა თხევადი ან ხსნარის სახითაა წარმოდგენილი, გარდა იმ აირებისა, რომელთაც არ აქვს ჯანმრთელობისთვის საშიში თვისებები და არ ითვლება დაჭირხნულად, სანამ ჭურჭელში წნევა 282 კპა-ს არ აღემატება 20°C-ის პირობებში.

აირი ინერტული – აირი, რომელიც სხვა ნივთიერებებთან რეაქციაში შედის მხოლოდ უჩვეულო პირობებში, როგორებიცაა: მაღალი ტემპერატურა, წნევა და მსგავსი გარე ფიზიკური ძალები. წესების მიხედვით, ინერტული აირი არ ამჟღავნებს არც ფიზიკური მდგომარეობისთვის და არც ჯანმრთელობისთვის საშიშ თვისებებს (გარდა მარტივი მხუთავი მოქმედებისა) ან საფრთხის შემცველ თვისებებს, განსხვავებით დაჭირხნული აირებისგან. ყველაზე გავრცელებული ინერტული აირებია: არგონი, ჰელიუმი, კრიპტონი, ნეონი, აზოტი და ქსენონი.

აირი მჟანგავი – აირი, რომელიც ხელს უწყობს და აჩქარებს სხვა ნივთიერებების წვის პროცესს.

აირის მეურნეობის საწარმო – საწარმო, რომელიც ახორციელებს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების აირმომარაგების სისტემების ექსპლუატაციას.

აირის ოთახი – დამოუკიდებლად განიავებადი, მთლიანად შემოზღუდული ოთახი, სადაც მხოლოდ დაჭირხნული აირები და მათთვის განკუთვნილი მოწყობილობები და მარაგი ინახება ან გამოიყენება.

აირის სადგური – მთლიანად შემოზღუდული, განიავებადი, არაწვადი შემოზღუდული სივრცე იზოლირებული გარემოს შესაქმნელად, სადაც ინახება ან გამოიყენება დაჭირხნული აირის ბალონები. დასაშვებია, იგი მოიცავდეს კარებსა და მისადგომ პორტებს ბალონების შესაცვლელად, ასევე წნევის მარეგულირებლებთან მისადგომად.

აირის სანთურა – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება აირადი საწვავის ჰაერთან ან ჟანგბადთან შესარევად და შემდეგ სახურებელ ღუმელში მისაწოდებლად. არსებობს: უალო, ატმოსფერული, ტურბულენტური და დიფუზიური.

აირის წნევა – მოძრავი აირის სტატიკური წნევა ატმოსფერული წნევის მიმართ.

აირლიფტი (ინგლ. airlift<air ჰაერი და lift აწევა) – 1. შეკუმშული აირით სითხის ამოსაღები მოწყობილობა; 2. თევზის, სითხის ან მტვრისებრი ფხვიერი ნივთიერებების შემწოვი მოწყობილობა ტრანსპორტირებად გარემოსთან შერეული შეკუმშული ჰაერით. გამოიყენება სამშენებლო და კვების მრეწველობის ობიექტებზე, აგრეთვე თევზის სარეწ გემებზე; 3. სამხ. პირადი შემადგენლობის ან რესურსების ორგანიზებული ტრანსპორტირება თვითმფრინავების მეშვეობით.

აირმათანაბრებელი სისტემა – მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს დეაერაციის საერთო სისტემით გაერთიანებულ რეზერვუარში (რეზერვუარების ჯგუფში) ნავთობპროდუქტების ორთქლიანი ფაზის წნევის გათანაბრებას.

აირმაშველი სადგური – სამსახური, რომლის დანიშნულებაა: აირის ქსელზე და აგრეგატებზე სისტემატური დაკვირვება; ჰაერის შემადგენლობის კონტროლი და უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების ჩატარება; აირსაშიში ადგილებიდან ხალხის ევაკუაცია და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა; ავარიის სალიკვიდაციო და სხვა აირსაშიში სამუშაოების ჩატარება; აირმაშველ სამუშაოებზე საერთო ზედამხედველობა; პერსონალის შესაბამისი სწავლება და ნებაყოფლობითი აირმაშველი რაზმების სამუშაოთა ხელმძღვანელობა. ა. ს. მონაწილეობს საშიში სამუშაოებისა და ადგილების სიის შედგენაში, ამუშავებს აირსაშიში სამუშაოების შესრულების ადგილობრივ ინსტრუქციას, მონაწილეობს ავარიების პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაში; აღრიცხავს და აკონტროლებს აირმაშველ სამუშაოებს, აკონტროლებს ამ სამუშაოებზე პერსონალის დაშვებას; ორგანიზაციას უკეთებს აირმაშველთა მორიგეობას, თვალყურს ადევნებს აირდამცველი აპარატურის ტექნიკურ მდგომარეობას, ორგანიზაციას უკეთებს აირსაშიშ ადგილებში ჰაერის ანალიზის სისტემატურად ჩატარებასა და სხვ.

აირმკვრივობა – მასალის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს წნევის ძალით მასში გამჭოლად აირების შეღწევას.

აირმომარაგება – აირული საწვავის ორგანიზებული მიწოდება და განაწილება სახალხო მეურნეობის ობიექტებზე. ჭაბურღილიდან მოპოვებული აირი მიეწოდება სეპარატორს, რომელშიც აირი იწმინდება მყარი და თხევადი მექანიკური მინარევებისაგან. შემდეგ სამრეწველო მილსადენით ის მიეწოდება კოლექტორსა და საკომპრესორო სადგურს, სადაც წნევა დაიყვანება მაგისტრალური აირსადენისათვის საჭირო დონეზე. აირსადენი ბოლოვდება აირგამანაწილებელი სადგურით, რომელიც აირს აწვდის მომხმარებელს. სეზონური უთანაბრობის საკომპენსაციოდ აირმომარაგების სისტემას გააჩნია აირის მიწისქვეშა ხელოვნური ან ბუნებრივი საცავები.

აირმოწყობილობა – მარეგულირებელი, ჩამკეტი, მცველი არმატურა, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებები, სანთურები, აგრეთვე აირის ხელსაწყოები და აპარატები, რომლებშიც აირი გამოიყენება საწვავად ორთქლისა და ცხელი წყლის მისაღებად, საკვების მოსამზადებლად და გათბობისათვის, აგრეთვე, ტექნოლოგიურ ნედლეულად.

აირსადენი – გრძელი მილი, აირის დიდ მანძილზე ტრანსპორტირებისათვის. მის შემადგენლომაში შედის: ნავთობაირული არმატურა, ონკანები, ჩამკეტები, საკომპრესორო სადგურ(ებ)ი, აირგამანაწილებელი სადგურ(ებ)ი და აირის სარეგულირებელი პუნქტი. სახეობის მიხედვით არის: მიწისზედა, მიწისქვეშა და წყალქვეშა; მილში წნევის მიხედვით: 1) მაგისტრალურ აირსადენში: I კატეგორია – წნევა 10 მპა-მდე, II კატეგორია – წნევა 2,5 მპა-მდე; 2) გამანაწილებელ აირსადენში: დაბალი წნევის (0,005 მპა-მდე), საშუალო წნევის (0,005-0,3 მპა), მაღალი წნევის: I კატეგორია (0,6-1,2 მპა), Iა კატეგორია (მეტი 1,2 მპა-ზე) და II კატეგორია (0,3-0,6 მპა). მსოფლიოში მოქმედი ყველაზე გრძელი აირსადენებია: 1) "დასავლეთი-აღმოსავლეთი", ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სიგრძე 8704 კმ; 2) "თურქმენეთი-ჩინეთი", თურქმენეთი-უზბეკეთი-ყაზახეთი-ჩინეთი, ≈7000 კმ; 3) "შუა აზია-

ცენტრი", თურქმენეთი-უზბეკეთი-ყაზახეთი-რუსეთი, ≈5000 კმ; 4) "ურენგოი-პომარი-უჟგოროდი", რუსეთი-უკრაინა, 4451 კმ; 5) "ტენესი" (Tennessee), აშშ, 300 კმ; 6) "ბოლივია-ბრაზილია", 3150 კმ; 7) "როკის ექსპრესი" (Rockies Express), აშშ, 2702 კმ; 8) "ირანი-თურქეთი", 2577 კმ; 9) ტრანსხმელთაშუაზღვის აირსადენი (Transmediterranian pipeline, TransMed), ალჟირი-ტუნისი-იტალია, 2475 კმ; 10) "იამალ-ევროპა", რუსეთი-ბელორუსია-პოლონეთი-გერმანია, მეტი 2000 კმ-ზე და სხვ.

აირსადენი გარე – აირსადენი მაგისტრალური აირსადენის გამანაწილებელი სადგურიდან აირის მომხმარებლამდე (შენობისა და ნაგებობის გარე კედლებამდე) მისაწოდებლად.

აირსადენი მაგისტრალური – ნაგებობა აირის შორეული ტრანსპორტირებისათვის მოპოვების ადგილიდან მოხმარების პუნქტამდე.

აირსადენი მიწისქვეშა – აირსადენი, განლაგებული მიწის ზედაპირის ქვევით. აირსადენის მიწაში ჩადების სიღრმე დამოკიდებულია ტრანსპორტირებადი აირის შედგენილობაზე, ნიადაგის კლიმატურ პირობებსა და დინამიკური დატვირთვის სიდიდეზე. ა. მ. მუდმივად იმყოფება ზედამხედველობის ქვეშ და ექვემდებარება პროფილაქტიკურ მომსახურებასა და რემონტს. ქსელის მოწყობის მიხედვით მიწისქვესა აირსადენი არსებობს ჩიხური და რგოლური განაწილების. ჩიხური ქსელი გამოიყენება მცირე დასახლებული პუნქტებში აირის შიგაკვარტალური განაწილებისას. ამ დროს აირი მილებში მოძრაობს ერთი მიმართულებით, რაც იწვევს მოსამარაგებელ ობიექტებში წნევათა უთანაბრობასა და სირთულეებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას, რგოლური განაწილებისას კი ეს ნაკლი პრაქტიკულად გამოსწორებულია. ხშირად მიმართავენ შერეული ქსელის გამოყენებასაც. ამჟამად, თანამედროვე ქალაქების აირმომარაგებისათვის ძირითადად გამოიყენება რგოლური და შერეული ქსელები. მხედველობაშია მისაღები ის, რომ მიწისქვეშა აირსადენის მილის დაშორება შვეული მიმართულებით კანალიზაციის, წყლის, თბოქსელის, სანიაღვრე მილებისაგან მიიღება არანაკლებ 20 სმ-ისა, ხოლო სატელეფონო და ელექტროკაბელებისაგან – არანაკლები 50 სმ. დასაშვებია ერთ ქვაბულში ორი ან მეტი აირსადენი მილის მონტაჟი ერთ ან სხვადასხვა დონეზე 20 სმ სისქის ქვიშის ბალიშის მოწყობით. ა. მ. მიწის ზედაპირიდან მონტაჟის მინიმალური სიღრმეა 0,6 მ (როცა გათვალისწინებული არ არის ტრანსპორტის მოძრაობა) ან 0,8 მ – (როცა გათვალისწინებულია ტრანსპორტის მოძრაობა). რკინიგზისა და ავტოსტრადების ქვეშ აირსადენის მილების მონტაჟის მინიმალური სიღმეა 2-2,5 მ.

აირსადენი შიგა – სხვადასხვა დანიშნულების აირსადენი შენობისა და ნაგებობის შიგნით.

აირსადენის ელექტროქიმიური კოროზიისაგან დაცვა – მიწისქვეშა ფოლადის აირსადენის კათოდური, სადრენაჟო და პროტექტორული დაცვა, რომლის მიზანია, შესაბამისად, აირსადენზე კათოდური პოლარიზაციის უზრუნველყოფა, მოხეტიალე დენების დაბრუნება მათ გამომწვევ წყარომდე (რკინიგზის, ელექტროფიცირებული საქალაქო ტრანსპორტის წევის ქვესადგურები) ან აირსადენის ნაცვლად თვით პროტექტორის (ანოდური ელექტროდის) დაშლა.

აირსადენის იზოლაცია – აირსადენის გარე ზედაპირის ანტიკოროზიული საფარი სპეციალური მასტიკებითა და შემოსახვევი მასალით (ნახ. 1). მიეკუთვნება იზოლაციის პასიურ სახეობას. საიზოლაციო მასალებისადმი წაყენებული მოთხოვნებია: ზედაპირის მონილითურობა, წყალშეუღწევადობა, ლითონთან კარგი მიკვრადობა, ქიმიური მედეგობა, მექანიკური სიმტკიცე, დიელექტრიკული თვისებები. გამოიყენება ბიტუმ-პოლიმერული,

ბიტუმ-მინერალური და ბიტუმ-რეზინის მასტიკები. უარყოფითი ტემპერატურის პირობებში ბიტუმის მასტიკებს პლასტიკურობის ასამაღლებლად და სიმყიფის შესამცირებლად უმატებენ პლასტიფიკატორს. ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში იყენებენ საქარხნო პირობებში დამზადებულ გაძლიერებული ტიპის იზოლაციას (0,1-0,15 მმ სისქის ბიტუმის გრუნტი, 2,5-3 მმ სისქის ბიტუმის მასტიკა, 3 ფენა მაარმირებელი ბადე და გარე შემოსახვევი ქაღალდი), რომლის საერთო სისქეა 9 მმ. შემოსახვევ მასალად უმეტესად გამოიყენება პოლივინილქლორიდის ან პოლიეთილენის ლენტი. დამცავ საიზოლაციო მასალად გამოიყენება აგრეთვე ეთილონის ემალი, პოლიურეთანი და სხვ. მილების საიზოლაციო მასალით შეხვევის ოპერაციის ჩასატარებლად გამოიყენება სპეციალური მექანიზმი (ნახ. 2).





აირსადენის კოროზიისაგან დაცვა – ღონისძიებათა კომპლექსი მიწისქვეშა ფოლადის აირსადენის დასაცავად ნიადაგისა და მოხეტიალე დენების კოროზიული ზემოქმედებისაგან.

აირსავსები პუნქტი – მცირე მწარმოებლობის საწარმო (საამქრო), რომლის დანიშნულებაა თხევადი ნახშირწყალბადიანი აირების მიღება უპირატესად საავტომობილო ტრანსპორტით, მათი შენახვა და მომხმარებლებისათვის მიწოდება ბალონებით, აგრეთვე, ბალონების რემონტი, ტექნიკური შემოწმება და შეღებვა.

აირსავსები სადგური – საწარმო (საამქრო), რომლის დანიშნულებაა თხევადი ნახშირწყალბადიანი აირების მიღება რკინიგზის, წყლის, საავტომობილო და მილსადენი ტრანსპორტით, მათი შენახვა და მომხმარებლებისათვის მიწოდება ავტოცისტერნებითა და ბალონებით, აგრეთვე ბალონების რემონტი, ტექნიკური შემოწმება და შეღებვა.

აირსავსები საკომპრესორო სადგური – სადგური, რომელიც უზრუნველყოფს სატვირთო, სპეციალური და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავი ბალონების გამართვას შეკუმშული ბუნებრივი აირით.

აირსაშიში ადგილი – სათავსი (ნაგებობა, უბანი და ა.შ.), რომლის სამუშაო ზონაში მოსალოდნელია მავნე ან აფეთქებასაშიში ნივთიერებების დაგროვება ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე მეტი რაოდენობით.

აირსაკეტი – 1. აირის ჭავლის რეგულირებისათვის განკუთვნილი მექანიკური მოწყობილობა. არის ორი სახის: სტატიკური და დინამიკური; 2. მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა საჩირაღდე სისტემაში მიწოდებული აირის რეგულირება.

აირსაცავი – აირის შესანახი ბუნებრივად შექმნილი ან ხელოვნურად აგებული რეზერვუარი. არსებობს მიწისზედა და მიწისქვეშა. მიწისზედა ა. ძირითადად ამზადებენ ლითონისაგან, რომელსაც სფეროს (ნახ. 1), ცილინდრის ან წყლის წვეთის ფორმა აქვს. მიწისქვეშა საცავი ეკონომიურად გაცილებით ეფექტურია, ვიდრე მიწისზედა, რადგან მასში შეიძლება ასეულ მილიონობით კუბური მეტრი აირის შენახვა. მისთვის გამოიყენება აირის დაცარიელებული საბადოები, წყლიანი სამთო ფენები, მიტოვებული შახტები, გამოქვაბულები, გვირაბები და სხვ. მკვრივ სამთო ქანებში (გრანიტი, კირქვა, თიხა, ქვამარილი) მოწყობილ საცავებში შესაძლებელია აირების შენახვა გათხევადებულ მდგომარეობაში.



აირსილიკატი – უჯრედოვანი თბოსაიზოლაციო ბეტონი, რომელიც მიიღება დაფქული კვარცის ქვიშის, კირისა და წინასწარ მომზადებული შლამის (ცომის) ნარევის აფუებით აირწარმომქმნელის მეშვეობით და სხვადასხვა პირობებში გამყარებით (ავტოკლავური დამუშავება ან გაორთქლება).

აირლუმელი – აირულ საწვავზე მომუშავე ღუმელი.

აირშეღწევადობა – მასალის უნარი გაატაროს აირი და ჰაერი. ხასიათდება განსაზღვრული სისქის მასალის ფენასა და ფართობზე განსაზღვრული დროის განმავლობაში გავლილი აირის მოცულობით. დამოკიდებულია აირშეღწევადობის კოეფიციენტზე, რომელიც ინდივიდუალურია თითოეული, კონკრეტული მასალისათვის.

აირწიდაბეტონი – ბეტონი, რომელშიც ძირითადი შემკვრელია ბრძმედის გრანულირებული წიდა, დაფქული ქვიშა ან ნაცარი და დანამატი-აქტივიზატორი (კირი, თაბაშირი ან თხევადი მინა); აირწარმომქმნელია ალუმინის ფხვნილი. ა. დამზადებული კონსტრუქციები საჭიროებენ თბოტენდამუშავებასა და სწრაფ განყალიბებას.



აირწინაღი – სასუნთქი ორგანოებისა და სახის დასაცავი ინდივიდუალური საშუალება (ნახ. 1). გამოიყენება მშენებლობაზე, სამთო და ქიმიურ მრეწველობაში, წისქვილკომბინატებში, ცემენტისა და თაბაშირის წარმოებებში და მისთ.

აირწმენდა – სამრეწველო აირებიდან მინარევების გამოყოფის ტექნოლოგიური პროცესი.

აკადემია (რანგ. Académie<ლათ. acadēmīa<ბერძ. akadémeia აკადემოსის კორომი; კორომის სახელი ათენის მახლობლად, სადაც პლატონი ასწავლიდა<Akádēmos ატიკელი გმირი ბერძნულ მითოლოგიაში, რომლის სახელიც ეწოდა პლატონის ბაღს) – სახელმწიფო უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება ან სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. მეცნიერებათა ა. კოორდინაციას უწევს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და სხვა

სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობას. სამეცნიერო ა. წევრები იყოფიან ნამდვილ წევრებად და წევრ-კორესპონდენტებად. მეცნიერს აკადემიკოსის წოდება ენიჭება სამუდამოდ. საქართველოში მოქმედებს შემდეგი აკადემიები: 1. მათემატიკის და ფიზიკის; 2. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა; 3. გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის და მართვის პროცესების; 4. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების; 5. ბიოლოგიურ მეცნიერებათა; 6. ფიზიოლოგიის; 7. მედიცინის; 8. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა; 9. საზოგადოებრივ მეცნიერებათა; 10. ენის, ლიტერატურის და ხელოვნების. ძველთაგან საქართველოში ცნობილი იყო გელათისა და იყალთოს აკადემიები. ტერმინის წარმომავლობა დაკავშირებულია ათენის სიახლოვეს არსებულ პლატონის ბაღთან, რომელსაც ბერძნული მითოლოგიური გმირის აკადემოსის (ბერძ. Akadēmos) პატივსაცემად ეწოდა აკადემია, სადაც ძვ. წ. 387 წელს ბერძენმა ფილოსოსმა პლატონმა დაარსა მათემატიკისა და ფილოსოფიის სკოლა (ნახ. 1. ათენის აკადემია).



აკადემიზმი – 1. მიმართულება, რომელიც დაფუძნებულია კლასიკური ხუროთმოძღვრების ფორმებზე; 2. არქიტექტურული წარსულის მხატვრული იდეალებისა და პრინციპების ნებისმიერი კანონიზაცია; 3. აკადემიური ტრადიციების დამცველი მრავალი მიმართულება, დამყარებული კლასიკურ (ანტიკურ) ნიმუშების მიბაძვაზე; 4. აკადემიური (სასკოლო) ტრადიციების დაცვა მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, რომელიც ზოგჯერ დოგმატური ხასიათის გამოვლინებით ამუხრუჭებს მათ განვითარებას; 5. თეორიის, მეცნიერების, ხელოვნების, განათლების მოწყვეტა ცხოვრებისა და საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან; 6. წმინდა თეორიული მიმართულება, ტრადიციონალიზმი მეცნიერებასა და განათლების სფეროში; 7. XVI-XIX საუკუნეების მიმართულება მხატვრობაში.

აკანთი (ბერძ. ákanthos ეკლიანი მცენარე; მყრალი ხარისძირა<ákantha ეკალი<aké მახვილი წვერო; წვეტი) – 1. მცენარეების გვარი აკანთისებრთა ოჯახისა. უმეტესად ბალახია, იშვიათად – ბუჩქი. გავრცელებულია აზიის, აფრიკისა და ევროპის თბილ სარტყელში; 2. სკულპტურული ორნამენტი, რომელიც ამავე სახელწოდების მცენარის წაგრძელებული სტილიზებული გამოსახულებაა დახვეული ბოლოებით, შეკრული ერთად ვარდულის სახით და საფუძვლად უდევს კლასიკური კორინთული კაპიტელის, კარნიზის, ფრიზისა და სხვა არქიტექტურული ელემენტების დეკორს (ნახ. 1); 3. ორნამენტული მოტივი (იხ. ორნამენტული მოტივი "აკანთი").



აკარქიტი – ხელოვნური მარმარილო, რომელიც მზადდება მარმარილოს და გრანიტის ნარჩენების, ღორღისა და ცემენტის დუღაბისაგან. გამოიყენება იატაკის, კიბის საფეხურების (ნახ. 1), კედლების და მისთ. მოსაპირკეთებლად.



აკაცია (ბერძ. Akakia ეგვიპტური ეკლიანი ხე) – მიმოზისებრთა ქვეოჯახის მცენარეთა გვარი, რომელსაც საკმაოდ მკვრივი, მაგარი, მომწვანო-მოწაბლისფერი მერქანი აქვს. უმეტესად ეკლიანი ხეებია (ნახ. 1). განივკვეთში ნაქურთენს მცირე ზოლი უჭირავს, ძირითად ნაწილს კი შეადგენს გული. სიმკვრივე 600-820 კგ/მ^3. იზრდება მშრალ უდაბნოებსა (მექსიკა, ავსტრალია) და ჭარბტენიან ადგილებში (ინდოეთი, მადაგასკარი). ცნობილია 750-მდე სახეობა, რომელთა ნახევარი გავრცელებულია ავსტრალიაში (იქ აკაცია ეროვნული ემბლემაა). როგორც სწრაფმზარდ მცენარეს რგავენ ფერდობების გატყიანებისა და ქალაქების გამწვანებისათვის. მერქანს იყენებენ ავეჯის წარმოებაში. სენეგალური აკაციასგან იღებენ გუმიარაბიკს. საქართველოში გავრცელებულია შემდეგი ჯიშები: ლეგა, აბანოზის, აბრეშუმა, თეთრი და ყვითელი აკაცია.



აკვამეტრია (ლათ. aqua წყალი და ბერძ. métron გაზომვა) – ნივთიერებაში არსებული წყლის რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდი.

აკვაპლასტი – პოლიმერების წყალხსნარი, რომელიც მასალების თერმული დამუშავებისას გამოიყენება. მისი მაცივებელი უნარი უფრო მაღალია, ვიდრე ზეთისა და დაბალი, ვიდრე წყლისა.

აკვარელი (ლათ. aqua წყალი) – წყალში გასახსნელი საღებავი. გამოიყენება მშენებლობაში სამღებრო სამუშაოების შესასრულებლად, აგრეთვე ფერწერაში.

აკვარიუმი (ლათ. aquārius წყალთან დაკავშირებული) – 1. შემინული ყუთი, დიდი შენობა ან დაწესებულება, სადაც აშენებენ თევზებს, წყლის ცხოველებსა და წყალმცენარეებს მათზე დაკვირვების, შესწავლის, გამოფენისა (ნახ. 1. ჯორჯიას აკვარიუმი, ქ. ატლანტა, აშშ) და სხვ. მიზნით.



აკვატინტა (ლათ. aqua და tinctus ფერადი, შეღებილი) – 1. ლითონის ფირფიტაზე სიმჟავით ამოჭმული გრავიურის სახეობა; 2. ამ წესით შესრულებული ნახატი (ნახ. 1. აკვატინტით შესრულებული სურათი). ტექნიკურად ნახატის შესრულების ტექნოლოგია შემდეგია: ლითონის ფირფიტა თანაბრად იფარება კანიფოლის ფხვნილით, ასფალტით ან ორივეს ნარევით; აცხელებენ, ფხვნილი ღღვება და ქმნის საგრავიურე გრუნტს მარცვლოვანი ფაქტურით. შემდეგ მასზე დაიტანება ნახატი, ის უბნები, რომლებიც უნდა დარჩეს ღია ფერის, იფარება მჟავამედეგი ლაქით. შემდეგ ფირფიტა მრავალჯერადად მუშავდება მჟავით, რომელიც ამოჭამს ლითონს იმ ადგილებში, რომელიც დაცული არ იყო მჟავამედეგი ლაქით. ამ გზით მიიღება გრავიურის საბეჭდი ფორმა რელიეფური ზედაპირით.



ნახ. 1

აკვატორია (ლათ. aqua წყალი) – 1. პორტის დადგენილ საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე; 2. ავიაც. ჰიდროაეროდრომის ნაწილი, რომელიც მოწყობილია ჰიდროთვითმფრინავების სადგომად და ასაფრენ-დასაფრენად.

აკვედუკი (ლათ. aqua წყალი და ductus გადატანა) – იხ. ბელღარი.

აკვიზიტორი (ლათ. acquisitor ადამიანი, რომელიც შეიძენს, მოიპოვებს, მოიხვეჭს რაიმეს) – სატრანსპორტო ან სადაზღვევო საწარმოს თანამშრომელი ან აგენტი, რომლის ვალდებულებებში შედის ახალი ტვირთის ან ახალ დაზღვევათა მოპოვება.

აკვიზიცია (ლათ. acquīrere შეძენა, მოპოვება) – 1. აკვიზიტორის მიერ სადაზღვევო ან სატრანსპორტო კომპანიის ახალი კლიენტების მოზიდვა; 2. კომპანიის ყველა აქციის შესყიდვა ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, რაც საწარმოს შეძენას ნიშნავს. თუ ა. კომპანიის ხელმძღვანელთა ან აქციონერების მესაკუთრეების თანხმობის გარეშე წარმოებს, ასეთ შემთხვევაში მას "მტრულს" უწოდებენ.

აკლდამა (არამ. ḥăgēl dəmā სისხლის ველი) – სამურავი; ნაგებობა, რომელშიც მიცვალებული ასვენია (ნახ. 1. იბერიის წარჩინებული პირის ცეცხლთაყვანისმცემლური აკლდამა, I ს., არმაზი, მცხეთის მუნუციპალიტეტი, საქართველო). იხ. ლუსკუმა, სარკოფაგი, მასტაბა, მავზოლეუმი, პირამიდა.



ნახ. 1

აკლიმატიზაცია (ფრანგ. acclimater<შუასაუკუნ. ინგლ. climat<ლათ. clīma მხარე; დედამიწის დახრილობა<ბერძ. klīma ჰავა, კლიმატი; მხარე, არე; სიტყვასიტყვით: დახრილობა, დაქანება; დედამიწის დახრილობა ეკვატორიდან პოლუსამდე<klínein დახრა) – 1. ცოცხალი ორგანიზმის შეგუება ახალ საარსებო პირობებთან (გეოგრაფიული, ეკოლოგიური, კლიმატური); 2. უჩვეულო კლიმატურ პირობებთან (ჰავასთან) ადამიანის ორგანიზმის

აქტიური შეგუების (ადაპტაციის) პროცესი; 2. მცენარის ან ცხოველის შეგუება ახალ, განსხვავებულ კლიმატურ პირობებთან; დაგვარება.

აკმონიტალი (იტალ. acciaio monetario italiano იტალიური სამონეტო ფოლადი) – უჟანგავი ქრომიანი ფოლადი ნიკელის დანამატით. შედგენილობა: რკინა (80%-მდე), ქრომი (17,5-19%), სილიციუმი (1,15%), მაგნიუმი (0,5%), გოგირდი (0,03%), ფოსფორი (0,03%). ძირითადად ამ შენადნობით იჭრება რომის ზარაფხანაში იტალიის, ვატიკანისა და სან -მარინოს გაცვლითი მონეტები.

აკომოდაცია (ლათ. accommodātiō რეგულირება, მოწესრიგება) – შეგუება, ადაპტაცია.

აკომოდაცია თვალის – სხვადასხვა მანძილზე მყოფი საგნის გარჩევის უნარი და შეგუება; ორივე თვალის ბროლის სიმრუდის ისე შეცვლა, რომ საგნის გამოსახულება მოექცეს თვალის ბადურის სიბრტყეში.

აკომოდაციის პროცესი – მხედველობის სწრაფი გადატანა შორს მყოფი ობიექტიდან ახლო ობიექტზე (მაგ., წიგნის ტექსტზე). ასაკის მატებასთან ერთად ეს პროცესი ნელდება.

აკრედიტება (ლათ. accrēdere დაჯერება, ნდობის გამოცხადება) – 1. ფინანს. ვინმესთვის რწმუნების მიცემა ფულის მისაღებად ან სავაჭრო ოპერაციის საწარმოებლად; 2. დიპლ. რწმუნების (აკრედიტივის) მიცემა უცხო სახელმწიფოს მთავრობის წარმომადგენლისათვის; 3. ჟურნალისტის ოფიციალური დაშვება რაიმე საერთაშორისო კონფერენციაზე, სპორტულ შეჯიბრებასა და მისთ.

აკრედიტივი (ლათ. accrēdere დაჯერება, ნდობის გამოცხადება) – უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა.

აკრი (ბერძ. agrós ველი, მოხნული მიწა) – მიწის ფართობის საზომი ერთეული დიდ ბრიტანეთსა და ჩრდ. ამერიკაში; 1 აკრ = 1/640 კვ. მილი = 4046,856 $მ^2$ = 0,4046856 ჰა.

აკრილბეტონი – დეკორატიული ბეტონის სახეობა, დამზადებული პოლიმერული აკრილის შემკვრელისა (აკრილის მჟავა ან აკრილატი) და მარმარილოს ფქვილის საფუძველზე. სიმკვრივე – 1700 კგ/$მ^3$, ექსპლუატაციის ტემპერატურა –40-დან +60°C-მდე. ძირითადად გამოიყენება შენობების ფასადებისა და ინტერიერების მოპირკეთებისათვის.

აკრილი – პოლიმერი აკრილმჟავასა და მეთაკრილური მჟავას საფუძველზე. ის შეიძლება იყოს სინთეზური ბოჭკო, საღებავი აკრილური დისპერსიული პოლიმერის საფუძველზე, კონსტრუქციული (მათ შორის გამჭვირვალე) პლასტიკი და სხვ. 1948 წელს ამერიკული კომპანია დიუპონის მიერ მიღებული იქნა პირველი აკრილური ბოჭკო სახელწოდებით "ორლონი", მაგრამ ის ცუდად ექვემდებარებოდა შეღებვას, ხოლო 1952 წელს უკვე დაამუშავეს ტექნოლოგია თანამედროვე აკრილის საწარმოებლად. აკრილი გამოიყენება მშენებლობაში, ავეჯის წარმოებაში (ნახ. 1. სამზარეულო აკრილური ავეჯით), ყოფაცხოვრებაში და სხვ.



აკრილნიტრილბუტადიენური სტირენი (აბს) (ინგლ. Acrylonitrile butadiene styrene) – აკრილნიტრილის, ბუტადიენისა და სტირენის თანაპოლიმერიზაციის (დარტყმამედეგი პოლისტირენის მოდიფიკაციის) გაუმჭვირი პროდუქტი. ქიმიური ფორმულა C_8H_8. მიეკუთვნება ამორფულ, საინჟინრო პლასტიკებს, ხოლო კომპოზიტები მის საფუძველზე – სპეციალურ პოლიმერებს. სიმკვრივე – 1040 კგ/მ^3; სიმაგრე ბრინელის მიხედვით 100 მპა; თბომედეგობა მარტენსის მიხედვით 86-98°C. გამოირჩევა მაღალი ატმოსფერო- და ცვეთამედეგობით, ქიმიური მდგრადობით, დარტყმამედეგობით, მცირე წყალშთანთქმადობით, მბრწყინავი ზედაპირით, ხოლო რაც შეეხება მექანიკურ თვისებებს, ის იცვლება ფართო დიაპაზონში თანაპოლიმერის შედგენილობაზე დამოკიდებულებით. მედეგია ტუტეების, ზეთების, არაორგანული მარილებისა და მჟავების ხსნარების, ნახშირწყალბადების, ცხიმების, ბენზინის მიმართ. არამდგრადია აცეტონის, ეთერების, ეთილირებული ბენზინის, ეთილქლორიდის, ეთილენქლორიდის, ანილინის, ანიზოლის, ბენზოლის, ულტრაიისფერი გამოსხივების მიმართ; მიეკუთვნება ადვილადაალებადი ნივთიერებების ჯგუფს. გამოდის სტაბილიზირებული ფხვნილისა და გრანულების სახით. გამოიყენება მშენებლობაში, ავეჯის წარმოებაში, საავტომობილო-, ხელსაწყო- და თვითმფრინავმშენებლობაში, კვების მრეწველობაში, საყოფაცხოვრებო ნივთების (სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სასპორტო და საკანცელარიო საქონელი, სათამაშოები და სხვ.), კარისა და ფანჯრის სახელურების, ოპტიკური ინსტრუმენტების დასამზადებლად და ა.შ.

აკრილნიტრილი (ინგლ. Acrylonitrile) – უფერო სითხე დამახასიათებელი სუნით. ქიმიური ფორმულა C_3H_3N. სიმკვრივე – 806 კგ/მ^3, დუღილის ტემპერატურა – 77,3°C. კარგად იხსნება წყალში, ადვილად განიცდის პოლიმერიზაციას. გამოიყენება ქიმიური ბოჭკოს (პოლიაკრილნიტრილის), სინთეზური კაუჩუკის, პლასტმასისა და მისთ. წარმოებაში.

აკრილური საღებავები – წყალ-დისპერსიული საღებავები პოლიაკრილატების (უმეტესად მეთილ-, ეთილ- და ბუთილაკრილის პოლიმერები) საფუძველზე, აგრეთვე სოპოლიმერების, როგორც აფსკწარმომქმნელების. იხსნება წყალში, თუმცა ზედაპირზე გაშრობის შემდეგ (შრება ძალიან სწრაფად) ინარჩუნებს მდგრადობას წყლის მიმართ. გამოიყენება მშენებლობაში სამღებრო საქმეში, ავეჯის წარმოებაში, ფერწერასა და სხვ.

აკროლეინი (ინგლ. Acrolein) – ორგანული ნაერთი, უფერო აქროლადი სითხე, მომწამლავი ნივთიერება. ქიმიური ფორმულა C_3H_4O.

აკროლითი (ბერძ. akrólithos ქვის კიდურების მქონე<akros განაპირა და ithos ქვა) – ბერძნული ქანდაკება ადამიანის გამოსახულებით, რომლის თავი, ხელები და ფეხები კეთდებოდა ქვისგან, ხოლო სხეული და ტანსაცმელი – მოოქროვილი ხის ან სხვა მასალისაგან [ნახ. 1. რომის იმპერატორის კონსტანტინე დიდის (ძვ. წ. მე-4 ს.) აკროლითის შემორჩენილი ფრაგმენტები, რომის მუზეუმი, იტალიის რესპუბლიკა].

აკროპოლი [ბერძ. acropolis (ἀκρόπολις)<ákros (ἄκρος) ან akron (ἄκρον) ყველაზე მაღალი, ყველაზე ზედა და pólis (πόλις) ქალაქი] – ძველი ბერძნული ქალაქის ყველაზე მაღალი და გამაგრებული ნაწილი, ე.წ. ზედა ქალაქი. ქალაქის რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი. ა. იყო პირველადი დასახლებული ადგილი. მის გარშემო შენდებოდა ნაკლებად დაცული ე.წ. ქვედა ქალაქი. ის წარმოადგენდა ციხესიმაგრეს, რომელსაც ომიანობის დროს თავს აფარებდა ქალაქის მოსახლეობა. ა. ნანგრევებში (მიკენის, ათენის, არგოსის და სხვ.) ნაპოვნია მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ათენის ა. არქიტექტურული და ქანდაკების თვალსაჩინო ნიმუშები (დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნე). ათენის აკროპოლთან შექმნილია არქეოლოგიური ნაკრძალი და მუზეუმი. ა. – ქართულად შიდაციხე, ზედაციხე, ზედაქალაქი, ჰქონდათ ძველ ქართულ ქალაქებსაც: მცხეთას, თბილისს, ქუთაისს, არქეოპოლისს, ანაკოფიას, ვანს და ა.შ. ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოს კოკეინი (155 ან 164-229 წწ.) თავის "რომის ისტორიაში" აკროპოლიდ იხსენიებს მცხეთის შიდაციხეს (ზედაციხეს) და მოგვითხრობს, რომ ძვ. წ. 65 წელს რომაელთა სარდალი გნეუს პომპეუსი იბერიაში შეიჭრა და მიაღწია აკროპოლამდე. მცხეთის ამ ნაწილს არმაზციხე ეწოდებოდა. აკროპოლში, როგორც წესი, ყოველთვის იდგა ქალაქის მფარველი ღმერთის ტაძარი. ყველაზე მეტად ცნობილია ათენის აკროპოლი (ნახ. 1; ნახ. 2. ათენის აკროპოლის მაკეტი), რომელიც შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში, აგრეთვე ათენის უნივერსიტეტის პროპილეა (იხ. პროპილეა, ნახ. 1), პროპილეა და ანტეროსის ტაძარი (ნახ. 3. ათენის აკროპოლის პროპილეა და ანტეროსის ტაძრის რეკონსტრუქცია).



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3

აკროსოლიუმი (ლათ. arcosolium<arcus მშვილდი, თაღი, მრუდი და solium სამეფო ტახტი, სარკოფაგი, კუბო) – ტერმინი, რომელიც გამოიყენება საეკლესიო შენობებისა და კატაკომბების კედლებში დასაკრძალავი თაღოვანი ნიშების აღსაწერად. ა. ეწყობოდა მდიდარი და ცნობილი ოჯახების კუბიკულებში (დარბაზებში) ან ქრისტიანულ კატაკომბებში III-IV საუკუნეებში: ნიშაში იდგმებოდა სარკოფაგი ან ძირში ამოჭრიდნენ სამურავს (საფლავს). ა. წინა კედელს ამშვენებდა წარწერა ან ჩუქურთმა (ორნამენტი), ზოგჯერ წარწერები და ჩუქურთმები უკეთდებოდა თაღის შიდა ზედაპირის ტიპმანსაც. ადრექრისტიანულ ხანაში ა. აკეთებდნენ როგორც საერთო, ისე ცალკეული



ნახ. 1

საფლავებისათვის (ნახ. 1. აკროსოლიუმი წმ. სებასტიანეს კატაკომბაში, ძველი რომი, იტალიის რესპუბლიკა). დაკრძალვის ასეთი არქიტექტურული ორგანიზაცია ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ელინისტურ აღმოსავლეთში, მათ შორის სირიაში.



ნახ. 1

აკროტერიონი (ბერძ. akrōtḗrion უმაღლესი წერტილი, კიდურა) – კლასიკური ანტაბლემენტის ფრონტონის კუთხეებზე მოთავსებული სკულპტურულად შესრულებული ორნამენტული მოტივი (ნახ. 1) ან სკულპტურული სამკაულები გაშლილი მცენარეების, პალმეტების ან ცხოველთა სიმბოლური ფიგურების სახით.

აკუბიტა (ლათ. accubĭtum<accumbĕre დაწოლა) – ძველ რომში სასადილო ოთახის (ტრიკლინიუმის) დივანი, რომელიც გამოიყენებოდა ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაში სადილობისას (იხ. ტრიკლინიუმი, ნახ. 1).

აკუმულატორი (ლათ. accumulāre დაგროვება, აჩხორვა) – 1. მოწყობილობა, რომელშიც ხდება ელექტრობის დაგროვება შემდგომში მისი თანდათანობით დასახარჯავად; 2. საერთოდ, სხვადასხვა სახის ენერგიის დასაგროვებელი ხელსაწყო, მაგ., ორთქლის აკუმულატორი, ჰიდრავლიკური აკუმულატორი (ნახ. 1. წყალქვეშა ჰიდრავლიკური აკუმულატორი მართვის ჰიდრავლიკურ სისტემაში წნევის რეგულირებისათვის) და სხვ.



აკუმულაცია (ლათ. accumulātiō დახვავება) – 1. ტექნ. რისამე (მაგ., ენერგიის) დაგროვება; 2. გეოლ. ორგანულ და მინერალურ ნივთიერებათა დაგროვება დედამიწის ზედაპირზე, წყლის ფსკერზე – ქარის, წყლის, ვულკანისა და სხვ.

აკუსტიკა (ბერძ. akoustikós სმენასთან დაკავშირებული) – მეცნიერება ბგერის შესახებ.

აკუსტიკა სამშენებლო – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სათავსის, შენობისა და დასახლებული ადგილის ტერიტორიის ხმაურისაგან დაცვისა და მათთვის ოპტიმალური აკუსტიკური პირობების შექმნის საშუალებებს, უზრუნველყოფს ხმაურის ნორმალურ რეჟიმს. თანამედროვე ა. ს. მთავარი ამოცანაა შენობის ხმაურით დაბინძურების დონის შემცირება, რისთვისაც გამოიყენება: მსუბუქი ბეტონის კედლები, ბგერასაიზოლაციო საკედლე მასალები, სამფენოვანი პანელები, ორმაგი შემინვის ფანჯრები, ხის შეფიცვრა და სხვ.

აკუსტიკური მასალა – მასალა, რომელიც გამოიყენება სათავსის შიგნით ხმაურის შთანთქმისათვის (ფიჭაპლასტი, ფოროპლასტი, ქაფპლასტი, მინერალური ბამბა, თაბაშირ-მუყაო და სხვ.) და ბგერის გარედან შიგნით შეღწევისაგან დასაცავად (მერქანბოჭკოვანი ფილები, მინის ბამბა, ფოროვანი რეზინი და სხვ.).

ალ-აქსას ტაძარი – ებრაული ტაძრის ნანგრევებზე აშენებული მსოფლიოში უძველესი მუსლიმური ტაძარი (მესამე მექის ალ-ჰარამისა და მედინის წინასწარმეტყველის ტაძრების შემდეგ). მდებარეობს ისრაელის ქ. იერუსალიმში ტაძრების მთაზე (ნახ. 1). იტევს 5000 მლოცველს.

თავდაპირველად აქ ხალიფა ომარის მიერ აგებული იყო მეჩეთი (მცირე სამლოცველო სახლი). შემდეგ ხალიფა აბდულ-მალიკ იბნ მერვანიმ იგი გააფართოვა და მშენებლობა 705 წელს დაასრულა მისმა შვილმა ალ-ვალიდიმ. 746 წელს



ნახ. 1

მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია მეჩეთი, რომელიც 754 და 780 წელს აღადგინეს აბასიდების დინასტიის ხალიფებმა. 1033 წელს მიწისძვრამ კვლავ დაანგრია მეჩეთი და 1035 წელს ხალიფა ალი აზ-ზიჰირმა იქვე გვერდით ააგო ახალი ტაძარი, რომელიც ტაძრისა და მიმდებარე ტერიტორიის მრავალგზისი რეკონსტრუქციის შემდეგ (დაადგეს გუმბათი, გადააკეთეს ფასადები, ააგეს მინბარი, მინარეთები, შეცვალეს შიდა სტრუქტურა) დღემდე დგას ტაძრების მთაზე და ისრაელისა და იორდანიის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ძეგლს წარმოადგენს.

ალა – ძველი რომაული სახლის დამხმარე სათავსი.

ალაბა – სიგრძის საზომი ერთეული აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; დაახლოებით იგივეა, რაც ადლი (68,8 სმ).

ალაგე – საბიჯელი; ღობეზე გადასასვლელი, გადასაბიჯებელი ადგილი.

ალაგრეკი (ფრანგ. à la grecque ბერძნულის მსგავსად) – იხ. მეანდრი.

ალავერდის მონასტერი (ინგლ. Alaverdi Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, საკათედრო ტაძარი და მონასტერი (ნახ. 1. პანორამული ხედი). მდებარეობს კახეთის მხარეში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ველზე, ახმეტის



აღმოსავლეთით 15 კმ-ში. დაარსდა VI საუკუნეში 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთის, იოსებ ალავერდელის მიერ (იქვეა დაკრძალული). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ალავერდის წმ. გიორგის საკათედრო ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, პალატი (ნახ. 2. ტაძრის გალავანში ჩაშენებული პალატი კონტრფორტებით), ფეიქარ-ხანის სასახლე, მარანი და აბანო. დღეს არსებული წმ. გიორგის ტაძარი XI ს-ის პირველ მეოთხედში ააგო კვირიკე კახთა მეფემ ძველი პატარა ეკლესიის ადგილას. იგი ერთ-ერთი უდიდესი საკათედრო ტაძარია (41,7 მ x 26,4 მ) საქართველოში, სიმაღლით 50 მ. ალავერდი XI საუკუნიდან საეპისკოპოსო ცენტრი

და ეპარქიის მღვდელმთავართა რეზიდენცია იყო. ამავე საუკუნიდან ალავერდის ტაძარი კახეთის სამეფო სახლის საძვალედაც იქცა (აქ დაკრძალულნი არიან კახეთის მეფენი – ალექსანდრე I და თეიმურაზ I; აქვეა დასვენებული ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი). 1616 წელს, შაჰ-აბასის მიერ დარბევის შემდეგ, მონასტერი როსტომ მეფემ აღადგინა. ამავე საუკუნეში თურქმენთა მომთაბარე ტომებმა, შენობა ციხესიმაგრედ აქციეს. ალავერდის ტერიტორია იმდენად შეილახა, რომ 1659 წელს, თურქმენების განდევნის შემდეგ, საუკუნის ბოლომდე საეპისკოპოსოს აღდგენა ვერ მოხერხდა. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ტაძარი ლეკებმა დაარბიეს. 1721 წელს, მთავარ ეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის თაოსნობით შეკეთდა ტაძარი და გალავანი. 1735 წელს ტაძარი თამაზ-ხანმა ააოხრა. ეს ნგრევა 1742 წლის მიწისძვრამ დააბოლოვა. აღდგენითი სამუშაოები დაიწყო თეიმურაზ II-ს მეუღლემ, დედოფალმა თამარმა და დაასრულა მისმა ძემ – მეფე ერეკლე II. საკათედრო ტაძარი ნაშენია უმთავრესად რიყის ქვით. გარედანაც და შიგნიდანაც მოპირკეთებულია მოყვითალო ტუფის ფილებით.



შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის სამი, ერთმანეთის ტოლი მკლავი ნახევარწრიული აფსიდებით მთავრდება და ქმნის ე.წ. ტრიკონქს. დასავლეთის მკლავი წაგრძელებულია, აქვს გვერდითი ნავები, რომელთაც ელიფსური ფორმის თაღების წყვილი უკავშირდება. თაღები ვარსკლავისებურ სვეტზეა დაყრდნობილი. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს მოთავსებულია სამკვეთლოსა და სადიაკვნეს ოთახები. გარედან შენობას მართკუთხა მოხაზულობა აქვს. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი ოთხ ბურჯს ეყრდნობა. ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით ტაძარს ღია გალერეები ჰქონდა, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში დაუნგრევიათ. ამ სამ მხარეს არის მოთავსებული ტაძრის შესასვლელებიც. შიგა სივრცე გამოირჩევა გრანდიოზულობითა და დახვეწილი პროპორციებით. ინტერიერს კარგად ანათებს ფართო კარ-სარკმელებიდან უხვად შემოსული სინათლე (გუმბათს 16 სარკმელი აქვს). მონუმენტური ფასადები ძუნწად არის მორთული (ეს კახეთის ძეგლების საერთო თავისებურებაა). დამახასიათებელია აღმოსავლეთი ფასადის აგებულება – ხუთი დეკორატიული თაღი და ორი ღრმა სამკუთხა ნიში.

ტაძარი მოპირკეთებულია შირიმის მოზრდილი კვადრებით. ნაგებობა გადახურული ყოფილა ცისფრად მოჭიქული დიდი ზომის კრამიტის ფილებით, რომელთა ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი. შემორჩენილია აგრეთვე წარწერები. ტაძარი მოხატულია. მოხატულობა სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. საკურთხევლის კონქში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით (ნახ. 3. მოხატულობა). ღვთისმშობლის მარცხნივ და მარჯნივ გამოსახულნი არიან მთავარანგელოზები – მიქაელი და გაბრიელი. კონქის მხატვრობა XV საუკუნეს განეკუთვნება. ზემოდან მეორე და მესამე რეგისტრებში ეკლესიის მამების მონუმენტური ფიგურებისა და გრანდიოზული ორნამენტის ფრაგმენტებია. ეს მხატვრობა XI საუკუნისაა. სამხრეთ მკლავში თითქმის მთლიანადაა გადარჩენილი მოხატულობა. სარკმლებს შორის ორ-ორი რეგისტრია, სადაც ნაწილობრივ შემორჩენილია მოხატულობები. ამ მხატვრობის ძირითადი ნაწილი XV-XVI საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება. ტაძრის გარეთა ფორმები სავსებით შეესაბამება შიდა სივრცის სტრუქტურას.

ფორმათა ურთიერთგანლაგება და პროპორციები ექვემდებარება წამყვან ელემენტს – ცენტრში აღმართულ მაღალ გუმბათს, რომელიც ორფერდა სახურავით გადახურული ჯვრის მკლავების გადაკვეთაზეა აღმართული. მკლავებს შორის – დაბალი ცალფერდა სახურავით გადახურული ნაწილებია. ტაძრის ფასადების დეკორი ძალზე თავშეკავებულია, უზარმაზარი კედლის სიბრტყეები მხოლოდ თაღებითა და ნიშებითაა დანაწევრებული, რაც ხელს უწყობს



ტაძრის დიდებულების აღქმას. ტაძარს გარს ევლება საკმაოდ რთული მოხაზულობის ორიარუსიანი გალავანი (ნახ. 4). ქვედა იარუსი ყრუა და ზედასთან შედარებით სქელია. ზედა იარუსს მთელ სიგრძეზე საბრძოლო ბაქანი გასდევს, რომლის უმეტესი ნაწილი ხის ყოფილა. მეორე იარუსის კედელში ძირს დახრილი და ჰორიზონტალური სათოფურებია. გალავანში ჩართულია 5 ცილინდრული კოშკი, რომლებიც გალავნის გარეთაა გასული. ტაძრის პირდაპირ ქვით ნაგები ორი პალატი მდგარა. შემორჩენილია მხოლოდ ერთი, რომელიც ორსართულიანი მოგრძო ნაგებობაა (27x11 მ), დგას შესასვლელის დასავლეთით. იგი ჩართულია გალავნის კედელში და გარედან გამაგრებულია ხუთი მძლავრი კონტრფორტით. ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით დგას ირანის შაჰის ნაცვლის (ფეიქარ-ხანის) სასახლე. იგი აგებულია XVII საუკუნის დასაწყისში. სასახლე რვაწახნაგა, ორიარუსიანი კოშკისაგან და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ წახნაგზე მიდგმული დაბალი, კვადრატული სათავსისაგან შედგება. კოშკის ქვედა იარუსის ყოველ კუთხეში თითო მძლავრი ბურჯი დგას, რომელთა შორის თითო ფართო შეისრულთაღოვანი ღიობია. მარანი (ნახ. 5) ტაძრის ჩრდილოეთ კედლის პარალელურად, 50 მ-ზე დგას, ხოლო ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 80 მეტრზე, გალავნის გარეთ, მდებარეობს აგურითა და რიყის ქვით ნაგები აბანო, რომლის ცენტრალური ნაწილი გუმბათოვანი კამარით ყოფილა გადახურული. ალავერდში ყოველწლიურად (14 სექტემბერს) ღამისთევით იმართება ტაძრის დღეობა “ალავერდობა”, რასაც ახლავს სახალხო დღესასწაული და რასაც საუკუნოვანი ტრადიცია აქვს.







ალათა – კარის ან ფანჯრის შეკრული ერთი ელემენტი, რომელიც ჩარჩოსთან მოძრავად (ნახ. 1) ან უძრავადაა დამაგრებული.

ალათა ასაწევი – ალათა, რომელიც ჩარჩოს ზედა ძელთანაა დაკავშირებული და მოძრაობს ვერტიკალურად (იხ. ფანჯარა ასაწევი, ნახ. 1).

ალალიტი – იხ. დიოფსიდი.

ალანიტი – იხ. ორტიტი.

ალაფხანა – მარცვლეულითა და ფქვილით მოვაჭრეთა რიგები XVIII-XIX საუკ. ძველ თბილისში. განლაგებული იყო თათრის მოედნის (ახლანდელი გორგასლის მოედანი) დასავლეთ მხარეზე.



ალაყაფის კარი – ბჭედი, ბჭის-კარი, ბჭე-კარი; გალავნის მთავარი შესასვლელი. კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება იყოს ერთფრთიანი, ორფრთიანი (ნახ. 1), გასაწევ-გამოსაწევი, ასაწევი, ასაწევ-საბრუნი და სხვ.

ალაყოჩი – დროებით გამართული სადგომი – ხის ან ნაბდისაგან მოწყობილი საზაფხულო კარავი მთაში, უმთავრესად თუშეთში.

ალბათობა – ამა თუ იმ განსაზღვრულ პირობებში რომელიმე შემთხვევითი მოვლენის შესაძლო წარმოქმნის ხარისხის რიცხვითი დახასიათება, რომელიც შეიძლება განმეორდეს განუსაზღვრელად რამდენჯერმე (მაგ., მიწისძვრა, გვალვა და სხვ.). ალბათობა შეიძლება იყოს: აბსოლუტური, აპოსტერიორული, აპრიორული, გამოსხივების, თერმოდინამიკური, იონიზაციის, მათემატიკური, პირობითი, რეკომბინაციის, ფოტოიონიზაციის, შთანთქმისა და სხვ.

ალბათობის თეორია – მათემატიკის დარგი, რომელიც განიხილავს შემთხვევითი მოვლენების კანონზომიერებას და მის გამოყენებას მასობრივ მოვლენათა შესასწავლად; ანუ ეს არის მათემატიკური მეცნიერება, რომელიც საშუალებას იძლევა ერთი შემთხვევითი მოვლენის ალბათობით მოვძებნოთ სხვა შემთხვევითი მოვლენის ალბათობა, რომელიც დაკავშირებულია პირველთან.

ალბედო (ლათ. albēdō სიფერმკრთალე, სითეთრე) – რაიმე სხეულის ზედაპირიდან არეკლილი სხივური ნაკადის ფარდობა მასზე დაცემულ სხივურ ნაკადთან. ა. ახასიათებს სხეულის ზედაპირის არეკვლის უნარს: იდეალურად გამბნევი ზედაპირის ალბედო ერთის ტოლია, ხოლო აბსოლუტურად შავი სხეულისა – ნულის. გაითვალისწინება შენობებისა და

ნაგებობების შიგა სივრცეში მზის რადიაციის გავლენით თბოშეღწევადობის გაანგარიშების დროს. ა. ზომავენ სპეციალური ხელსაწყოთი – ალბედომეტრით და ჩვეულებრივ პროცენტობით გამოსახავენ. მაგ., მთვარის ალბედო უდრის 7%-ს, მარსისა – 15%-ს; ვენერასი – 59%-ს. დედამიწის ა. იცვლება 3-იდან 90%-მდე. ბალახით დაფარული ზედაპირის ა. საშუალოდ 22-25% უდრის, ვენახისა – 18-20%; ჩაის მწვანე ფოთლებისა – 24-26%; სიმინდისა – 18%, ტყის მასივისა – 14-17%; წყლის ზედაპირისა – 3-10%; თოვლის ფიფქისა – 80-90% და ა.შ.

ალბედომეტრი – საველე პირობებში ჯამური და არეკლილი რადიაციის სიდიდის გასაზომი ხელსაწყო.


ნახ. 1

ალბიტი (ბელომორიტი, პერისტერიტი) (ლათ. albus თეთრი) – ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული თეთრი ფერის ქანწარმომქმნელი მინერალი (ნახ. 1), მაგმური წარმოშობის სილიკატების კლასის ნატრიუმის მინდვრის შპატი, პლაგიოკლაზების ჯგუფის ალუმინის სილიკატი. ქიმიური ფორმულა $NaAlSi_3O_8$. სიმკვრივე – 2610 კგ/მ^3, სიმაგრე მოოსის სკალით – 6-7. გამოიყენება კერამიკულ წარმოებაში.

ალბომი (ლათ. albus თეთრი) – 1. აკინძული სუფთა ფურცლები ჩასაწერად, სახატავად ან საკოლექციოდ; 2. კრებული, რომელშიც დაბეჭდილია ხელოვნების ქმნილებათა, ნახაზების ან ფოტოსურათების რეპროდუქციები მცირე განმარტებებით; 3. შენობის არქიტექტურული ნახაზების ერთობლიობა (ნახაზების ალბომი).

ალბუმინი (ლათ. albūmen კვერცხის ცილა) – ცხოველური წარმოშობის წებოვანი ნივთიერება, რომლისაგან ხის წებოს ამზადებენ.

ალგებრა (არაბ. al-jabr აღდგენა, რეკონსტრუქცია) – მათემატიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სიდიდეებზე მოქმედებათა ზოგად კანონებს ამ სიდიდეების რიცხვობრივი მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად.

ალგოლი [ინგლ. algo(rithmic) და l(anguage)] – დაპროგრამების ენის სახელწოდება, რომელიც დაამუშავეს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა, რომელთაც 1958-1960 წლებში ხელმძღვანელობდნენ დანიელი მათემატიკოსი ნაურა და ნიდერლანდელი მათემატიკოსი დიკსტრი. ალგოლი ერთ-ერთი გავრცელებული ენის სახეობაა, რომელიც მიიღეს პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე 1960 წელს. ა. ძირითად სიმბოლოებს (ალფაბეტს) წარმოადგენენ ათობითი ციფრები (0-დან 9-მდე), ლათინური ალფაბეტი (26 პწკარედი და 26 მთავრული ასო), სასვენი ნიშნები, მათემატიკური და ლოგიკური ოპერაციების ნიშნები (+; –; <; >; /; ნ; ც და სხვ.), სხვადასხვა სპეციალური ფუნქცია (sin, cos, arctan, entier, sign, abs, sqrt, exp, რომლებიც შეესაბამებიან სინუსს, კოსინუსს, არკტანგენსს, ანტიეს, სიგნუმს, აბსოლუტურ სიდიდეს, კვადრატულ ფესვს, ექსპონენტას), სხვა სპეციალური ნიშნები და ზოგი ინგლისური სიტყვა (კერძოდ, begin – დასაწყისი, integer – მთელი რიცხვი, real – ნამდვილი რიცხვი, end – დასასრული და სხვ.). ძირითადი სიმბოლოებიდან გარკვეული წესით (გრამატიკით) იქმნება უფრო რთული კონსტრუქციები – ალგორითმის აღწერა.

ალგორითმი (ბერძ. arithmós რიცხვი, ნომერი) – 1. იმ მოქმედებათა ერთობლიობის ზუსტი და სრული აღწერა, რომელთა მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობით შესრულება

განაპირობებს დასმული ამოცანის ამოხსნას; 2. გარკვეულ ფარგლებში ცვალებადი საწყისი მონაცემების სტანდარტული გარდაქმნის ერთიანი კონსტრუქციული მეთოდი (ზუსტად განსაზღვრულ მითითებათა ინსტრუქციების სისტემა) ან პროცესი. მრავალი სხვადასხვა ა. განიხილება ალგებრასა და რიცხვთა თეორიაში, აგრეთვე სხვა მათემატიკურ დარგებში. უმარტივესი ალგორითმებია: წესი, რომლითაც სრულდება არითმეტიკული მოქმედებები, ევკლიდეს, კვადრატული ფესვის ამოღების, n-ური რიგის დეტერმინანტის გამოსათვლელი, სარიუსის წესი – მე-3 რიგის დეტერმინანტის გამოსათვლელი, მატრიცის რანგის გამოსათვლელი, დახარისხების, რეკურსიული, სემპლიქსური, ინფორმატიკაში გენეტიკური ალგორითმი და ა.შ. დამტკიცდა, რომ მრავალი ამოცანისათვის ა. არ არსებობს; 3. საკუთარი სახელის და "რიცხვი"-ს აღრევის შედეგად რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 4. კომპ. სპეციფიკური პროცესი ან წესების ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც, განსაკუთრებით კომპიუტერებში, მიმდინარეობს გამოთვლების ან რაიმე პრობლემის, ამოცანის გადაწყვეტა. მაგ., გარკვეული ალგორითმის საფუძველზე ხდება ელექტრონულ საფოსტო ყუთში არასასურველი წერილების (იგივე სპამი, ინგლ. spam) იდენტიფიცირება. ითვლება, რომ პირველი ალგორითმი გამომთვლელი მანქანისათვის დაწერა ბრიტანელმა მათემატიკოსმა და მწერალმა ადა ლავლეისმა (Ada Lovelace).

ალებასტრი (ბერძ. alábastros ვაზა, ლარნაკი სუნამოსათვის) – იხ. თაბაშირი.

ალევრიტი (ბერძ. áleuron ფქვილი) – დანალექი წვრილმარცვლოვანი ფხვიერი ქანი (ნახ. 1). შედგება წვრილი (0,1-0,01 მმ ზომის) მინერალური მარცვლებისაგან (კვარცი, მინდვრის შპატი, ქარსი და სხვ.). მარცვლების ზომის მიხედვით გარდამავალი მდგომარეობა უკავია ქვიშასა და თიხას შორის. წარმოშობით ქვიშისაგან არ განსხვავდება. ალევრიტს განეკუთვნება მტვერი, შლამი, ლიოსი და სხვ. გამოიყენება ცემენტის დასამზადებლად.



ნახ. 1

ალეია (ლათ. ambulāre სიარული) – სატრანსპორტო ან ფეხით მოსიარულეთა გზა შემორგული ორივე მხრიდან ხეებით, ბუჩქებითა და მისთ. (ნახ. 1). ა. ტიპი (სწორხაზოვანი, მრუდხაზოვანი) განისაზღვრება პარკის (ბაღის) არქიტექტურული ჩანაფიქრის მიხედვით. ხეები და ბუჩქები შეიძლება იყოს თავისუფლად მზარდი ან ფორმირებული. სასურველია ხეები იყოს კომპაქტური ვარჯის მქონე; წიწვოვანი ჯიშებიდან უპირატესობა ენიჭება ნაძვს, კიპარისს, სოჭს, ფიჭვს, ლარიქსსა და სხვ. ჯიშებს, ხოლო ფოთლოვნებიდან გამოიყენება – ცაცხვი, მუხა, თელა, რცხილა, წიფელი, თელა, არყის ხე, ნეკერჩხალი და სხვ. საშუალოდ ხეებს შორის დაშორება აიღება 5 მ, ხოლო რიგებს შორის 10 მ; ეს ზომები შეიძლება შეიცვალოს გამოყენებული ხეების ვარჯის ზომებზე დამოკიდებულებით. ა. აქვს მთელი რიგი ფუნქციებისა, რომელთაგან აღსანიშნავია: მზის სხივებისაგან დაცვა, ჰაერის გაწმენდა და ფილტრაცია მავნე ნაწილაკებისაგან, მტვრისა და კვამლისაგან, ნისლსა და წვიმაში



ორიენტაცია, ქარისაგან დაცვა, ფრინველებისა და პატარა ცხოველებისათვის თავშესაფრის მოწყობა, ხმაურისგან დაცვა, ლანდშაფტის გალამაზება, მყუდრო გარემოს შექმნა დამსვენებელთათვის და ა.შ.

ალესვა – ლითონის სამუშაო იარაღის (დანის, სახრახნისის, ცულის, ხერხის პირის, ლურსმნისა და სხვ.) ჭრის უნარიანობის ამაღლების პროცესი.

ალექსანდრეს მოზაიკა (ინგლ. Alexander Mosaic) – ყველაზე ცნობილი რომაული მოზაიკა ალექსანდრე მაკედონელისა და დარიოს III-ის გამოსახულებით (ნახ. 1; ნახ. 2. ფრაგმენტი). მოზაიკაზე ასახულია ალექსანდრე მაკედონელისა და სპარსეთის მეფე დარიოს III-ს შორის გამართული ისოსის ბრძოლის სცენა. მოზაიკა 1831 წელს ანტიკური პომპეის (იტალია) არქეოლოგიური გათხრების დროს ფავნუსის სახლში (იტალ. Casa del Fauno) აღმოაჩინეს და 1843 წელს გადაიტანეს ნეაპოლის ეროვნულ არქეოლოგიურ მუზეუმში. მოზაიკის ავტორი უცნობია. ამ გრანდიოზული გამოსახულების ზომებია 582×313 სმ, თუმცა მისი ნაწილი დაკარგულია. 2005 წელს ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დამზადებული მოზაიკის ზუსტი ასლი პომპეიში, ფავნუსის სახლის იატაკზე მოათავსეს.





ალექსანდრიის შუქურა (ინგლ. Lighthouse of Alexandria) – მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი; მდებარეობდა ქ. ალექსანდრიაში (ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა), აშენდა ძვ. წ. 279 წელს. მან ფუნქციონირება შეწყვიტა და თითქმის სრულიად დაინგრა მე-14 საუკუნეში მომხდარი ორი ძლიერი მიწისძვრის შედეგად. მისი ნარჩენები ნაპოვნია მყვინთავების მიერ 1994 წელს, შემდეგ კი სატელიტური ფოტოებით შუქურის დანარჩენი ნაწილები აღმოაჩინეს. შუქურა ნაგები იყო მარმარილოს ფილებით, სიმაღლე 150 მეტრს აღწევდა. შუქურა შედგებოდა მარმარილოს სამი კოშკისაგან (ნახ. 1. ალექსანდრიის შუქურის რეკონსტრუქცია). ქვედა, პირველი კოშკი, მართკუთხა ნაგებობა იყო და მასში ის ხალხი ცხოვრობდა, ვინც შუქურას ემსახურებოდა. მის ზემოთ იდგა შედარებით პატარა, რვაკუთხოვანი კოშკი, საიდანაც სპირალური კიბეებით მესამე კოშკში ადიოდნენ. ზედა კოშკს ცილინდრის ფორმა ჰქონდა. მის თავზე მუდმივად ენთო ცეცხლი,



რომელიც ღამით გზას უნათებდა ხომალდებს. შუქურას თავზე აღმართული იყო ზევსის ქანდაკება. გაშლილი ზღვიდან შესაძლებელი იყო შუქურას დანახვა 50 კმ-ის მანძილიდანაც კი.

ალექსანდრიტი (ინგლ. alexandrite) – ქრიზობერილის სახესხვაობა, დღის სინათლეზე ზურმუხტოვანი მწვანე, ხელოვნურ განათებაზე მოიისფრო-მოწითალო ფერის, პირველი კლასის ძვირფასი ქვა. ქიმიური ფორმულა Al_2BeO_4. გვხვდება ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, აშშ-ში, იდოეთის რესპუბლიკაში, შრი-ლანკის დემოკრატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში, ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, მიანმაში (მიანმარის კავშირის რესპუბლიკა, აგრეთვე ბირმა), რუსეთის ფედერაციასა და სხვ.



ალექსანდრიტის კატის თვალი – ალექსანდრიტი, რომელიც მოგვაგონებს კატის მოციმციმე თვალს.

ალექსანდრიული მოზაიკა – ორნამენტული მოზაიკური მოხატულობის (ნახჭის) ტიპი.



ალვის ხე (ლათ. Pōpulus) – ტირიფისებრთა ოჯახის ფოთოლმცვივანი მცენარე (ნახ. 1). სიმაღლეში იზრდება 40 მ-მდე, აქვს ვიწრო პირამიდული ქერქი. ყინვაგამძლე და სწრაფმზარდია. გაღიავებული დრეკადი ვარჯი ქარს ადვილად ატარებს და ირწევა. ალვის ხის სამშობლოა ავღანეთი და შუა აზია. კულტივირებულია კავკასიაში. კარგი სახეივნო ჯიშია. შესანიშნავია ქარსაფარი ზონების გასაშენებლად. 15-20 წლისა უკვე საშენ მასალას იძლევა. მის მსუბუქ გამძლე მერქანს ქაღალდის წარმოებაში იყენებენ.

ალვის ხე ბალზამის – 30 მ-მდე სიმაღლის და 80 სმ-მდე დიამეტრის სწრაფმზარდი ხე, გაშლილი, კვერცხის ფორმის ვარჯით. იზრდება მდინარეების გასწვრივ. გამოიყენება ცელულოზა-ქაღალდის წარმოებაში, ბაღ-პარკების გასაშენებლად და სხვ. მისი სამშობლოა ჩრდილოეთ ამერიკა.



ალი – წვა აირად ფაზაში, რომელსაც თან ახლავს გამოსხივება და სითბოს გამოყოფა (ნახ. 1).

ალიანსი (ლათ. alligāre მიბმა, შეკავშირება) – რამდენიმე ორგანიზაციის, საწარმოს, პირის კავშირი და, როგორც წესი, საერთაშორისო გაერთიანება ხელშეკრულების საფუძველზე.

ალიბჯე – არხი, რომელსაც აირები ღუმლიდან კვამლსადენში გადაჰყავს.

ალიგნინი (ლათ. lignum ხე, შეშა) – ფაშარი და ნაოჭებიანი, თითქმის დაუწნეხავი ცელულოზას ფურცლები, რომლებიც ცვლის ჰიგროსკოპიულ ნივთიერებებს ტექნიკის სხვადასხვა დარგში.



ალიდადა (არაბ. al-iḍāda ბრუნვის რადიუსი) – სამიზნებელი ან მისანიშნებელი მოწყობილობა მიმართულების განსაზღვრისათვის და კუთხეების გასაზომად, რომელიც გამოიყენება გეოდეზიაში (ნახ. 1. ტელესკოპური ალიდადა). ა. წინათ ასევე გამოიყენებოდა ასტრონომიაში.

ალიენაცია (ლათ. aliēnātiō დაყოფა, ცდომილება) – 1. ქონების გასხვისება; 2. აქციის, კაპიტალის, ფასეულობათა მფლობელის შეცვლის ოპერაცია, ე.ი. ერთი პირის კუთვნილი ქონების გადაცემა საკუთრებაში.

ალიზი – საშენი მასალის სახეობა; მზეზე გამომშრალი გამოუწვავი აგური.

ალის გავრცელება – რაიმეს ზედაპირზე ალის მოდება.

ალის გავრცელების ინდექსი – შედარებითი მაჩვენებელი, გამოხატული განუსაზღვრელი რიცხვით, რომელიც მიღებულია მასალის შემოწმებისას. ამ დროს ალის გავრცელება ვიზუალურად იზომება.

ალის ეკლესია (ინგლ. Church of Ali) – გვიანდელი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ალის ღვთისმშობლის სახელობის გუმბათოვანი ეკლესია (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში, ხაშურიდან 25 კმ-ში ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფელ ალის ჩრდილოეთით, მდინარე ჭერათხევის ზედა ნაწილში (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა).



ეკლესია სტილისტური ნიშნებით თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. ნაგებობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა (ნახ. 3. გეგმა) ზომებით 14,5x10,9 მ. ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კედლის კუთხეებს და დასავლეთის ორ თავისუფლად მდგომ სვეტს. გუმბათქვეშა და დანარჩენი თაღები და კამარები ისრულია. საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის გვერდებზე კვადრატული ნიშებია, ხოლო მათ ზემოთ – საიდუმლო სათავსებში ასასვლელი ხვრელები. ეს სათავსები მაღალია, გეგმით მართკუთხა. მათ ქვეშ ასევე მართკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნეა. დასავლეთის მკლავის კამარა დაკიდებულ პილასტრზე გადასულ თაღზეა დაყრდნობილი. ჩრდილოეთი კედლის ნიშში სანათლავია. აფსიდის ღერძზე და სამივე მკლავში თითო სარკმელია,

გუმბათის ყელში კი – თორმეტი (ნახ. 4. გუმბათის ყელი). ფასადებზე კარ–სარკმლის საპირეები ამოყვანილია აგურით. სამხრეთ ფასადზე უსწორო ქვაზე მზის საათია ამოკვეთილი (ნახ. 5. მზის საათი). აღმოსავლეთ ფასადზე მარცხენა სარკმლის ქვემოთ გამოსახულია მარტივი ჯვარი (ნახ. 6. ჯვარი აღმოსავლეთის ფასადზე). აგურის თორმეტწახნაგა პირამიდული გუმბათის წახნაგები გაწყობილია უწყვეტი თაღებით. ეკლესია მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ ადგილობრივი სამღვდელოებისა და მრევლის ძალისხმევით აღდგენილი იქნა ავთენტურობის შენარჩუნებით და ისეთივე მშვენიერებით ავსებს გარემოს, როგორც ოთხი საუკუნის წინ.



ნახ. 2

ეკლესიას 2006 წელს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.


ნახ. 3


ნახ. 4


ნახ. 5


ნახ. 6

ალის მდგრადობა – მდგომარეობა, როდესაც ალს უჭირავს უცვლელი მდგომარეობა სანთურის გამომავალი ნახვრეტის მიმართ.

ალიტი (ბერძ. lithos ქვა) – სამკალციუმიანი სილიკატი, ერთ-ერთი ძირითადი ხელოვნური მინერალი, რომელიც წარმოიქმნება ცემენტის კლინკერის გამოწვის დროს. ქიმიური ფორმულა Ca_3SiO_5. ზოგჯერ ფორმულირებულია, როგორც $3CaO·SiO_2$. ის განსაზღვრავს პორტლანდცემენტის გამაგრების სიჩქარეს, სიმტკიცესა და სხვა თვისებებს. მისი შემცველობა კლინკერში არის 45-60%.

ალიტირება – ნიკელის შენადნობების, ფოლადისა და თუჯის ნაკეთობების ზედაპირის გაჯერება ალუმინით 1,2 მმ სიღრმეზე მხურვალმედეგობის ასამაღლებლად (ხენჯთმედეგობა).

ალიურა – კორიდორი ან გალერეა პარაპეტს იქით.



ალკაზარი (ესპ. alcázar<არაბ. al-qaṣr ციხესიმაგრე) – ესპანეთში: ციხესიმაგრე ან მეფის სასახლე. ასეთი ციხესიმაგრეები ესპანეთში აშენებული იქნა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა: ტოლედო, სევილია, გრანადა, საგოვია (ნახ. 1. სეგოვიის ალკაზარი, ესპანეთის რესპუბლიკა) და სხვ.

ალკალიმეტრია (არაბ. al-qili ფერფლი, ნაცარი და métron გაზომვა) – მოცულობითი ქიმიური ანალიზის მეთოდი, რომელსაც იყენებენ რაიმე ნივთიერებაში ტუტის რაოდენობის გასარკვევად.

ალკალოიდი (არაბ. al-kal ტუტე, ბერძ. eidos მსგავსი) – მცენარეული წარმოშობის ტუტე თვისებების აზოტშემცველი ნივთიერება.

ალკოვი (არაბ. al-qubbah საცავი, თაღი, გუმბათი) – ნიში ოთახში ან სხვა სათავსში. ძირითადად გამოიყენება საძინებლად (ნახ. 1), აგრეთვე ოთახისშიგა კიბის მოსაწყობად, სასაუბრო ადგილად და სხვ. ა. გაფორმებული კლასიკურ, ბაროკოს, ქანთრის, მოდერნის, მარაკეშის, ჰაიტეკის, მინიმალიზმის და მისთ. სტილში, შემოქმედების იდეების მთელი ოკეანეა ინდივიდუალური კომფორტის ფორმირების საქმეში.



ალმადანი (მურდასანგი, კოლჩედანი) (არაბ. al-ma'din მაღარო) – ისეთი მინერალების საერთო დასახელება, როგორებიცაა რკინის, კობალტის, ნიკელის, პლატინის, კალისა და სპილენძის ჯგუფის მეტალების გოგირდოვანი, დარიშხანოვანი, იშვიათად სელენოვანი და სტიბიუმოვანი ნაერთები. ყველა მათგანს ახასიათებს ძლიერი ლითონური ბზინვა და შეფერილი არიან ნათელ ფერებში (მაგ., თეთრი, ღია რუხი, ყვითელი, წითელი). სიმაგრე მოოსის სკალის მიხედვით 3-ზე მეტია, ზოგიერთისა კი 7-მდეა. ბუნებაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული გოგირდის ანუ რკინის ალმადანი (პირიტი, "სულელის ოქრო"; დამატებით იხ. პირიტი), საიდანაც მიიღება გოგირდი და გოგირდმჟავა. ცნობილია აგრეთვე დარიშხანის, კალის (სტანინი, სტანიტი), კობალტის, მაგნიტური (პიროტინი, პიროტიტი,

მაგნიტოპირიტი), ნატეხი, ნახშიროვანი, ნიკელის, რკინა-ნიკელის, სპილენძის (ქალკოპირიტი), სხივური (მარკაზიტი), ტყვიის, ფლოტაციური, ფხვიერი და სხვ. ალმადანები, რომელთა გადამუშავებით ღებულობენ სხვადასხვა მეტალებს. კ. ბუდობის ძარღვის სიგრძე 5 კმ-მდეა, ფენის სიმძლავრე 250 მ-მდე, ხოლო განლაგების სიღრმე დედამიწის ზედაპირიდან 2 კმ-მდეა.

ალმასი (ანდამანტი, ადამატი, ადამასი, პატიოსანი თვალი) (სპარს. almâs ალმასი, ბრილიანტი<ძვ. ბერძ. adámas უცვლელი, უმტვრევი, უდრეკი, უძლეველი, მოუთვინიერებელი, მტკიცე ნივთიერება) – ნახშირბადის სუფთა ან ნახევრად სუფთა, გამჭვირვალე ან ნახევრადგამჭვირვალე, უკიდურესად მტკიცე ფორმა, რომელიც ბუნებრივადაა კრისტალიზებული იზომეტრიულ სისტემაში; ნახშირბადის მეტასტაბილური ალოტროპია. სიმკვრივე – 3500-3530 კგ/მ^3; სიმაგრე მოოსის სკალით – 10. ვაკუუმში ან ინერტულ აირში, მაღალი ტემპერატურის პირობებში, ა. თანდათანობით გრაფიტის ფორმაში გადადის. აღსანიშნავია, რომ ის ნაკლებად სტაბილურია, ვიდრე გრაფიტი, მაგრამ ა. გრაფიტში გადასვლის ინტენსივობა სტანდარტულ, ნორმალურ პირობებში უმნიშვნელოა; ითვლება, რომ ა. პირველად აღმოაჩინეს და მოიპოვეს ინდოეთში, სადაც მრავალი საუკუნის წინ რამდენიმე მდინარის (მაგ. კრიშნა, გოდავარი) გასწვრივ ამ ძვირფასი ქვის მნიშვნელოვანი რაოდენობის ალუვიური (ბუნებრივად მონატანი, მონარიყი) დანალექები აღმოჩნდა. ინდოეთში ალმასს 3000, შესაძლოა 6000 წლის წინათაც იცნობდნენ. ა. უძვირფასეს ქვად იქცა მას შემდეგ, რაც ინდოეთში მისი რელიგიური დანიშნულებით გამოყენება დაიწყეს. საინტერესოა, რომ 1772 წელს ფრანგმა მეცნიერმა ანტუან ლორან ლავუაზიემ, ჟანგბადის გარემოში, გამადიდებელი შუშის მეშვეობით მზის კონცენტრირებული სხივების ალმასზე მიმართვისას შენიშნა, რომ ძვირფასი ქვის წვის ერთადერთი პროდუქტი ნახშირბადის დიოქსიდი იყო. ამით მან დაამტკიცა, რომ ა. ნახშირბადისგან (მოლეკულური ფორმულა: C) შედგება. ა. ფართოდ გამოყენებოდა ქართულ საიუველირო ხელოვნებაში. ალმასით არის შემკული მცხეთის ნეკროპოლისში აღმოჩენილი ნივთები, შუა საუკუნეების ხატები და ხელნაწერთა ყდები. ა. ჩვენში ტექნიკური მიზნებისთვისაც გამოიყენებოდა. კერძოდ, ალმასით იხვრიტებოდა ძვირფასი ქვებისგან დამზადებული მძივები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ალმასის დამზადება არ ხდებოდა, იგი შემოჰქონდათ ინდოეთიდან, შემდეგ კი ევროპიდან. ალმასი გამოიყენება ასევე მინის საჭრელად. ძველ ქართულ მწერლობაში ა. სინონიმია "ანდამატი". ა. არის უფერო ან თეთრი, ყვითელი (ნახ. 1. 2,93 კარატიანი, რვაწახნაგოვანი ყვითელი ალმასი ქალაქ კიმბერლიდან, ფრენსის ბაარდის ოლქი, ჩრდილოეთ კაპლანდის პროვინცია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), ნარინჯისფერი, ვარდისფერ-მეწამული, წითელი, მწვანე, ლურჯი, ყავისფერი, ფოლადისფერი-რუხი, რუხი, შავი ფერის. ყველაზე ძვირფასია შავი ფერის ა. გარკვეული წესით ხელოვნურად დაწახნაგებულ ალმასს ბრილიანტი ეწოდება; 2. ალმასის ძვიფრასი ქვის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მინის საჭრელ ან საბურღავ ხელსაწყოში; 3. ხელოვნურად ნაწარმოები კრისტალიზებული ნახშირბადი ან ასეთი კრისტალის ნაწილი.



ნახ. 1

ალმასი სინთეზური – ხელოვნური ალმასი, რომელიც მიიღება გრაფიტისაგან მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში. გამჭვირვალობა დამოკიდებულია დამზადების

ტექნოლოგიაზე, ხშირად არის გაუმჭვირი ან ნახევრად გამჭვირვალე, ფერი – შავიდან თეთრამდე. კრისტალის ხაზოვანი ზომები 1-2 მმ. აქვს ბუნებრივი ალმასის სტრუქტურა და თვისებები. არსებობს ჩვეულებრივი, ამაღლებული და მაღალი სიმტკიცის. გამოიყენება აბრაზიული ინსტრუმენტების დასამზადებლად, დამყვანი და მისახეხი სამუშაოებისათვის, აგრეთვე სამკაულების მოსართავად.

ალოკაციური ფუნქცია (ლათ. locāre განთავსება<functiō შესრულება, განხორციელება) – სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების პოლიტიკის ნაწილი, მიმართული ეკონომიკაში განსაზღვრული სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის. სახელმწიფოს ა. ფ. აუცილებლობითაა განპირობებული, ვინაიდან განსაზღვრული სახის დოვლათი, რომელიც საზოგადოებრივი საქონლის სახელწოდებითაა ცნობილი, არ შეიძლება საბაზრო ფასით მიეწოდოს საზოგადოებას.

ალონჟი (ფრანგ. allongé დაგრძელება, გამოძრობა) – თამასუქზე მიმაგრებული დამატებითი ფურცელი – სათავდებო საგარანტიო ბარათი, ავალი.

ალოტროპია (ბერძ. állos სხვა, განსხვავებული და trópos მობრუნება, მოსახვევი) – 1. ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 2. ლითონის უნარი მყარ მდგომარეობაში ჰქონდეს სხვადასხვა კრისტალური აგებულება და, შესაბამისად, თვისება, სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში.

ალპარი (ლათ. at ახლოს და pār თანაბარი, ტოლი) – ფასიანი ქაღალდის, ვალუტის, თამასუქის საბირჟო კურსის ტოლობა ნომინალთან.

ალპერი (ინგლ. alperm) – ალფენოლი, ალფერი; რკინის, ალუმინის და ქრომის მაგნიტურად რბილი შენადნობი. მას ახასიათებს მაღალი მაგნიტური შეღწევადობა და აქვს თვისება, შეიცვალოს ფორმა ან ზომები დამაგნიტების დროს.

ალპინარიუმი (ლათ. Alpēs ალპები) – ბოტანიკური ბაღის, სკვერის ან პარკის ქვებით გაწყობილი ნაწილი, რომელიც ასახავს მთის ლანდშაფტს და მის ფლორას. დამახასიათებელია დაბალი ალპური მცენარეულობის შეთავსება კლდეებთან, წყალთან (ნახ. 1). ეწყობა ხელოვნურად შექმნილ მცირე სიმაღლის ქვიან გორაკზე. მცენარეები უმეტესად რეგიონული პრინციპით ან ფიტოცენოზების მიხედვით ირგვება (სუბალპური ტყე, სუბალპური ბუჩქები, სუბალპური მდელო, ალპური მდელო, ალპური ხალები, თოვლის სარტყელი და სხვ.). ა. ბუნებრივ იერს ამლევს ხელოვნური ნაკადული, რუ, ჩანჩქერი, ტბორი და სხვ. როგორც სამეცნიერო-კვლევითი და დეკორატიული ნაკვეთი ა. შეიქმნა ბოტანიკურ ბაღებთან ერთად, ხოლო ბაღ-პარკებში XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. ა. უმეტესად აშენებენ კარპატების, კავკასიის, ალტაისა და სხვა სუბალპური და ალპური მდელოების მცენარეულობას. მსოფლიოში ცნობილია ედინბურგის (შოტლანდია), პრაღის (ჩეხეთი), ინსბრუკის (ავსტრია) და სხვ. ბოტანიკური ბაღების ა. საქართველოში ალპინარიუმი მოწყობილია ბაკურიანსა და სტეფანწმინდაში, სადაც თავმოყრილია სამხრეთ მთიანეთისა და მთავარი კავკასიონის ალპური მცენარეულობა.



ალსეკო (იტალ. al secco მშრალზე) – მშრალ კედელზე წყლიანი საღებავით შესრულებული ნახატი.



ალსიფერი – ალუმინის, სილიციუმისა და რკინს შენადნობი; იხ. სენდასტი.

ალტანკა (პოლ. altanka<იტალ. altana ტერასა აგარაკზე) – მცირე ზომის ლამაზი ფანჩატური პარკში, ბაღში, მდელოზე, ეზოში და ა.შ. (ნახ. 1).

ალტიმეტრი (ლათ. altus მაღალი და ბერძ. métron გაზომვა) – 1. იხ. გეოდეზიური სიმაღლის საზომი; 2. ავიაც. ფრენის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო.

ალუვიონი (ალუვიური დანალექები) (შუასაუკუნ. ლათ. alluvium<ლათ. alluvius საწინააღმდეგოდ ჩარეცხილი) – ბუნებრივად მონატანი, მონარიყი მდინარეული ნალექი, შედგენილი გამოფიტვით და უშუალოდ მდინარეული წყლის მოქმედებით დაშლილი ქანების სახვადასხვაგვარად დამუშავებული და დახარისხებული მასალისაგან, რომელიც გრანულომეტრიული შედგენილობით შეიძლება იყოს კაჭარი, რიყის ქვა, ხვინჭკა, ქვიშა, ხრეში, თიხნარი და თიხა. მდინარეების ჭალები და ტერასები უმეტესად ამ ნალექებითაა აგებული (ნახ. 1). მისთვის დამახასიათებელია ირიბი შრეობრივობა. ა. ძველ დანალექ შრეებში, ჩვეულებრივ, შეცემენტებულია და წარმოდგენილია მკვრივი ნამსხვრევი ქანებით (კონგლომერატებით, ქვიშაქვებით და სხვ.).



ნახ. 1

ალუმელი – ძნელდნობადი შენადნობი ნიკელის, ალუმინისა და მანგანუმისა. გამოიყენება თერმოელექტრული პირომეტრების დასამზადებლად.

ალუმინი (ლათ. alūmen მწარე მარილი) – ქიმიური ელემენტი. მოვერცხლისფრო-თეთრი, მსუბუქი, ქიმიურად აქტიური ლითონი (ნახ. 1). სიმბოლო – Al; ატომური ნომერი – 13; სიმკვრივე – 2700 კგ/მ^3; დნობის ტემპერატურა – 660,32°C; დუღილის ტემპერარურა – 2470°C. გამოირჩევა პლასტიკურობით, ჭედადობით, მაღალი ელექტრო- და თბოგამტარობით, ადვილად იჟანგება და იფარება Al_2O_3 -ის მკვრივი აფსკით, რაც განაპირობებს მის კოროზიამედეგობას. ა. მტვერი (ფხვნილი) ფეთქებადსაშიშია, მტვრის ფეთქებადობის ქვედა ზღვარია 40-50 მგ/ლ. ალუმინის მიღების თანამედროვე მეთოდი შემუშავებულ იქნა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად 1886 წელს ამერიკელი ჩარლზ მარტინ ჰოლისა და ფრანგი პოლ ლუი ტუსენ ერუს მიერ. ალუმინი ქმნის შენადნობს ლითონებთან, რომელთაგან ყველაზე ცნობილი შენადნობებია: მაგნიუმთან და სპილენძთან (დურალუმინი) და სილიციუმთან (სილუმინი). ბუნებაში გავრცელების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ლითონებს შორის და მე-3 ადგილი ელემენტებს შორის. ალუმინის შემცველობა დედამიწის

ქერქში შეადგენს მისი მასის 7,45-8,14%-ს. ძირითადად გვხვდება სხვა ელემენტებთან ნაერთების სახით, როგორებიცაა: ბოქსიტი, ალუმინიტი, ნეფელინი, თიხამიწა, კორუნდი, მინდვრის შპატი, კაოლინიტი, ბერილი, ქრიზობერილი და სხვ. ა. ადვილად რეაგირებს მარტივ ნივთიერებებთან – ჟანგბადთან, აზოტთან, ჰალოგენებთან, გოგირდთან, ნახშირბადთან; აგრეთვე რთულ ნივთიერებებთან – წყალთან, ტუტეებთან, მჟავებთან და სხვ. 1825 წელს დანიელმა ფიზიკოსმა ჰანს ქრისტიან ერსტედმა თიხამიწიდან მიიღო რამდენიმე მილიგრამი ალუმინი, ხოლო 1827 წ. ფრიდრიხ ვიოლერმა შეძლო ალუმინის ნაწილაკების გამოყოფა, რომლების ჰაერზე სწრაფად იფარებოდა ალუმინის ჟანგის თხელი აპკით; 1854 წ. ფრანგმა ფიზიკოსმა და ქიმიკოსმა ენრი ეტიენ სენტ-კლერ დევილმა გამოიგონა ალუმინის სამრეწველო წარმოების პირველი ხერხი. ალუმინი გამოიყენება სხვადასხვა მალეგირებელ დანამატად ფოლადის წარმოებაში, მშენებლობაში, ქიმიური აპარატურისა და ტარის, ელექტროგამტარების, კონდენსატორების დასამზადებლად, ლითონების მისაღებად ელექტროთერმული მეთოდით და ალუმინოთერმიაში ლითონების შესადუღებლად, სარაკეტო საწვავად სარაკეტო ტექნიკაში, საყოფაცხოვრებო (სამზარეულო ჭურჭელი, ნახ. 2), მხატვრული და დეკორატიული ნაკეთობის დასამზადებლად, გემების, საავიაციო და საავტომობილო მრეწველობაში, ელექტროტექნიკაში, რადიოტექნიკასა და მეტალურგიაში და სხვ.



ნახ. 1



ნახ. 2

ალუმინი სამშენებლო – გრძელი ზომის მასალა, დამზადებული სამრეწველო მარკის ალუმინისაგან. მომხმარებელს მიეწოდება გაგლინული პროფილების სახით, როგორიცაა: ღერო (ნახ. 1. მრგვალი განივკვეთის ღეროები; ნახ. 2. კვადრატული განივკვეთის ღეროები), ზოლი (ნახ. 3), შველერი (ნახ. 4. შველერი სტანდარტული; ნახ. 5. შველერი მაღალი თაროებით), კუთხედი (ნახ. 6. კუთხედი თანაბართაროიანი; ნახ. 7. კუთხედი არათანაბართაროიანი), ტესებრი (ნახ. 8), ორტესებრი (ნახ. 9), მილი წრიული (ნახ. 10), კვადრატული, მართკუთხა, რთული განივკვეთის და სხვ. ლითონის კონსტრუქციებთან შედარებით ალუმინის პროფილები გამოირჩევა სიმსუბუქით, კოროზიამედეგობით, ტრანსპორტირებისა და მონტაჟის სიმარტივით, უნივერსალურობით და სხვა რიგი დადებითი თვისებებით, რაც განაპირობებს მათ ეფექტურ გამოყენებას არა მარტო მსხვილ არქიტექტურულ ობიექტებზე, არამედ მცირე არქიტექტურულ ფორმებშიც. დიდი მოთხოვნილებაა ალუმინის პანელებზე ვენტილირებადი და ჩვეულებრივი ფასადების მოსაწყობად, აგრეთვე საყოფაცხოვრებო სფეროში.



Նახ. 1



Նախ. 2



Նախ. 3



Նախ. 4



Նախ. 5



Նախ. 6



Նախ. 7



Նախ. 8



ნახ. 9



ნახ. 10

ალუმინის კომპოზიტური პანელი – სამშენებლო მოსაპირკეთებელი კომპოზიციური მასალა (ნახ. 1). პანელი შედგება ორი წინასწარ შეღებილი ალუმინის 0,5 მმ-მდე სისქის ფურცლებისაგან, რომელთა შორის ჩაწებებულია (ჩაწნეხილია) პოლიმერული ფურცელი (დამზადებული დაბალი წნევის პოლიეთილენის საფუძველზე). პანელის საერთო სისქეა 2-6 მმ. ძირითადად გამოიყენება შენობა-ნაგებობების გარე ფასადების შესამოსად (ნახ. 2), აგრეთვე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების (აეროპორტი, რკინიგზის სადგური, საავადმყოფო, რესტორანი და ა.შ.) მოსაპირკეთებლად, სარეკლამო კონსტრუქციებისა და დროებითი საგამოფენო პავილიონების მოსაწყობად და სხვ. პანელების მონტაჟი ხორციელდება ალუმინის დამხმარე პროფილების მეშვეობით (ნახ. 3. ალუმინის კომპოზიტური პანელის კედელთან მიმაგრების კვანძი), რომლებიც პირველ რიგში მიემაგრება კედელს, შემდეგ აკეთებენ თბოსაიზოლაციო შრეს და ბოლოს კომპოზიტურ ფილებს. კომპოზიტურ ფილებსა და თბოსაიზოლაციო შრეს შორის ტოვებენ 4-5 სმ-ის სივრცეს (ვენტილირებადი ფასადის შესაბამისად), რათა კომპოზიტის გარე და შიგა შრეებს შორის არ იყოს დიდი ტემპერატურული სხვაობა, რაც გამოიწვევს ფილაში არასასურველი ძაბვების გაჩენასა და საბოლოო ჯამში ფილის დაბრეცას.

ალუმინის კონსტრუქციები – სამშენებლო კონსტრუქციები და ნაკეთობანი, რომელთა საფუძველია ალუმინის შენადნობები ან ტექნიკური ალუმინი. მისი მთავარი ღირსებებია: სიმსუბუქე, სიმტკიცე, ხანგამძლეობა, კარგი დეკორატიული თვისებები და ესთეტიკურობა, ეკოლოგიურობა, საიმედოობა, პრაქტიკულობა, მედეგობა აგრესიული გარემოს მიმართ, არ საჭიროებს შეღებვას; ნაკლია: თანაბარმტკიცე შეერთებების შესრულების სირთულე (განსაკუთრებით შენადუღი შეერთების), დაბალი დრეკადობის მოდული (დაახლოებით 3-ჯერ ნაკლები, ვიდრე ფოლადის), მაღალი ღირებულება და სხვ. კონსტრუქციების დასამზადებლად გამოიყენება თხელი (1 მმ-მდე სისქის) ფურცლოვანი და დაწნეხილი პროფილები განივკვეთის ეფექტური ფორმით. ა. კ. გამოიყენება ფანჯრის, კარის, აივნის, ვიტრინის (ნახ. 1), ფარდულის დასამზადებლად, შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის მოსაწყობად, მსუბუქ გადახურვაში (ნახ. 2. ალუმინის წიბოვანი გუმბათი) და სხვ. საქართველოში ნაკლებად გამოიყენება ადგილობრივი ნედლეულის ბაზის უქონლობის გამო.





ალუმინის ფხვნილი – ალუმინის წვრილდისპერსიული ფხვნილი, რომლის წყლიანი სუსპენზია გამოიყენება აირწარმომქმნელი უჯრედოვანი ბეტონის (აირბეტონის) და სხვა ფოროვანი ნაკეთობების მისაღებად.

ალუმინის შენადნობები – შენადნობები ალუმინის საფუძველზე, რომელსაც დამატებული აქვს სპილენძი, მაგნიუმი, თუთია, სილიციუმი, ლითიუმი, კადმიუმი, მანგანუმი, ცირკონიუმი, ბერილიუმი, ტიტანი და სხვ. ელემენტები. ა.შ. ახასიათებს მაღალი მექანიკური თვისებები და დაბალი სიმკვრივე, მაღალი ელექტრო- და თბოგამტარობა, კარგი კოროზიამედეგობა. ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: სამსხმელო და კონსტრუქციული. თავის მხრივ კონსტრუქციული იყოფა თერმულად დამუშავებულად და თერმულად დაუმუშავებლად. თერმული დამუშავებისათვის იყენებენ გამოწვას, წრთობას და დაძველებას. გამოიყენება მშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში, საყოფაცხოვრებო ტექნიკაში, თვითმფრინავთმშენებლობაში და სხვ. წარმოების მოცულობის მხრივ ა.შ. მეორე ადგილი უჭირავს შავი ლითონების შემდეგ.

ალუმინიტი სამკალციუმიანი – ქიმიური ფორმულა $Ca_3Al_2O_6$. ხშირად ფორმულირებულია, როგორც $3CaO{\cdot}Al_2O_3$, კლინკერშია 4-12% რაოდენობით, არის ყველაზე აქტიური მინერალი, სწრაფად რეაგირებს წყალთან. ის ბეტონის სულფატური კოროზიის გამოწვევის მიზეზია და ამიტომ მისი რაოდენობა სულფატმედეგ პორტლანდცემენტში შეზღუდულია 5%-მდე.

ალუმინოთერმია (ალუმოთერმია) – ლითონებისა და მათი შენადნობების, აგრეთვე არალითონების მიღების მეთოდი, რომელიც ემყარება ჟანგეულებიდან ლითონური ალუმინით აღდგენას. ალუმინით დაჟანგვის პროცესის ეგზოთერმულობა განაპირობებს

გამდნარი ლითონისა და წიდის მიღებას, რაც მათი განცალკევების საშუალებას იძლევა; ა. ფართოდ გამოიყენება მანგანუმის, სპილენძის, რკინის, ვოლფრამის, თუთიასა და სხვა ლითონთა შენადნობების მისაღებად.

ალუმინსილიკატები (ლათ. alūmen მწარე მარილი და silex კაჟი) – ჯგუფი ფართოდ გავრცელებული მინერალებისა, რომლებსაც მიეკუთვნება მინდვრის შპატი, ქარსი, თიხის მინერალები და სხვ.

ალუმინსილიკატების ჯგუფი – ლითოსფეროში მე-2 ადგილი უჭირავს თიხამიწას – Al_2O_3. მისი სიმაგრეა 9, რეაქციაში შედის კაჟმიწასთან და წარმოქმნის ალუმინსილიკატების ჯგუფს. მათგან ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია კალიუმისა და ნატრიუმის მინდვრის შპატი. გამოფიტვის შედეგად, მინდვრის შპატი იშლება თიხად, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე დნება.

ალუმინსილიკოთერმია – მეტალოთერმიის სახეობა, რომლის დროსაც აღმდგენად ალუმინისა და სილიციუმის ფხვნილების ნარევი გამოიყენება.

ალუმინფერიტი ოთხკალციუმიანი (ლათ. alūmen მწარე მარილი და ferrum რკინა; ლათ. calx კირი, კირქვა) – ქიმიური ფორმულა $4CaO·Al_2O_3·Fe_2O_3$. კლინკერში შედის 10-20% რაოდენობით. გამოირჩევა ზომიერი სითბოგამოყოფით და გამაგრების სიჩქარის მიხედვით იკავებს შუალედ ადგილს ალიტსა და ბელიტს შორის.



ალფა სპექტრომეტრი (ინგლ. alpha spectrometer) – რადიოაქტიური ბირთვების მიერ გამოსხივებული ნაწილაკების ენერგიის საზომი ხელსაწყო (ნახ. 1).

ალფა-გამოსხივება – კორპუსკულური იონიზებული გამოსხივება, ჰელიუმის ატომების ნაკადი, რომელიც შედგება ორი პროტონისა და ორი ნეიტრონისაგან და აქვს 2-ის ტოლი დადებითი მუხტი. მისი სიჩქარეა 20 000 კმ/წმ. ახასიათებთ მატერიაში მცირე შეღწევადობა.

ალჰამბრა (ინგლ. Alhambra<ესპ. Alhambra<არაბ. al-ḥamrā' წითელი) – XIII საუკუნის არქიტექტურული ანსამბლი სამხრეთ ესპანეთში, ქ. გრანადის მახლობლად, მავრიტანული არქიტექტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში (ნახ. 1). ძირითადი განვითარება პოვა მუსულმანი ნასრიდების დინასტიის (1232-1492 წწ.) მმართველობის პერიოდში, როდესაც იბერიის ნახევარკუნძულზე გრანადა გახდა გრანადის საემიროს დედაქალაქი, ხოლო ალჰამბრა – მათი რეზიდენცია.

კომპლექსის (ნახ. 2) შემადგენლობაში შედიოდა: ციხე-სიმაგრის კედლები სათვალთვალო კოშკებით, მეჩეთი, საცხოვრებელი სახლები, აბანოები, ბაღები (ნახ. 3), საწყობები, სასაფლაო და სხვ. დღესდღეობით ის არის ისლამური არქიტექტურის მუზეუმი და ითვლება დასავლეთ

ევროპის მავრიტანული ხელოვნების უმაღლეს მიღწევად. ნასრიდების სასახლეების მშენებლობა დაიწყო მუჰამედ I (1238–1273 წწ.) და დაამთავრა მისმა შვილმა მუჰამედ II (1273-1302 წწ.). იუსუფ I დროს (1333-1353 წწ.) აშენდა კოშკი კომარესი, მუჰამედ V დროს (1353-1391 წწ.) – ლომების სასახლე; გამოყოფილი იქნა ციტადელი ალკასაბა, საცხოვრებელი დასახლება ემირის სასახლით – მედინა. 1492 წლიდან გრანადა გადადის კათოლიკე მონარქების ხელში, რომლებმაც მეჩეთის ადგილზე ააშენეს წმინდა მარიამის სახელობის ეკლესია, კარლ V სასახლე (ნახ. 4) და სხვ. XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის საოკუპაციო არმიამ ნაწილობრივ დაანგრია ალჰამბრა, რომელსაც დაემატა 1821 წლის მიწისძვრა. ამ საუკუნის მეორე ნახევარში, ესპანეთის მთავრობამ სერიოზული სამუშაოები ჩაატარა ალჰამბრას რესტავრაციის მიზნით.



ალჰამბრას პირველი ციხესიმაგრე იყო ალკასაბას (არაბ. ალ-კასბა – "ციხე") ციტადელი. მისი ღირსშესანიშნაობებია: ნახევარწრიული კოშკი სამზერი მოედნით, რომელიც აშენდა 1586წელს; სამზერი გზა ჩრდილოეთის კედელზე; იარაღის მოედანი, რომელიც წარმოადგენდა სივრცეს ალკასაბის კედლებს შორის; სამზერი კოშკი – გეგმით კვადრატული, ოთხსართულიანი (სიმაღლე 27 მ), ციტადელზე ყველაზე მაღალი კოშკი; კოშკი ომაჟა – 26 მ სიმაღლის ექვსსართულიანი დონჟონი; კოშკი იდალგო, გატეხილი კოშკი, დენთის კოშკი, იარაღის კოშკი და სხვ. ალკასაბასა და ნასრიდების სასახლეებს შორის მოთავსებულია წყალსაცავების მოედანი. წყლის მიწოდება ხდებოდა მიწისქვეშა წყაროებიდან. ნასრიდების სასახლეების კომპლექსი შედგება სამი მონუმენტური ანსამბლისაგან: მეშუარა (აუდენციისა და სასამართლოს შენობა), კომარესი (ემირის ოფიციალური რეზიდენცია) და ლომების სასახლე (კერძო აპარტამენტები). ალჰამბრის ყველაზე დიდებული სათავსია ელჩების დარბაზი კომარესის კოშკში, რომლის კედლები, ნიშები, თაღები, დერეფნები, გადასასვლელები მორთულია უამრავი ჩუქურთმით, ხვეულით (ნახ. 5), ნაძერწით, წარწერით და სხვა სამკაულით. განსაკუთრებული სიმდიდრითაა დამშვენებული ხის ჭერი, რომელიც სიმბოლურად გამოსახავს მუსულმანურ ედემს ცენტრში ალაჰის ტახტით; ჭერი შემოსაზღვრულია სტალაქტიტური ფრიზით. ასევე აღსანიშნავია კომარესის არაბული აბანოები ანუ ჰამამი, რომლებიც მოწყობილია რომაული აბანოების ანალოგიურად – ჰქონდა აპოდიტერიუმი, ფრიგიდარიუმი, ტეპიდარიუმი და კალდარიუმი. გათბობისათვის გამოყენებული იყო ჰიპოკაუსტის სისტემა, დამონტაჟებული იატაკის ქვეშ და კედლებში. XIV საუკუნეში აგებული ლომების სასახლის ცენტრალური ეზო (ნახ. 6) შემოსაზღვრულია თაღოვანი გალერეებით, შემკული გაწყვილებული სვეტებით (124 სვეტი). აპარტამენტებში



შესასვლელები გამოკვეთილია წინ გამოწეული პორტიკებით. სახურავები უმეტესად წვეტურია კრამიტის ბურულით. ეზოს ცენტრში ფიალისებრი შადრევანია მოწყობილი, რომელსაც იჭერს სტილიზებული ლომის 12 ქანდაკება.

XVI საუკუნეში აგებული კარლ V სასახლე მკვეთრად განსხვავდება ანსამბლის სხვა შენობებისაგან. ის არის იტალიური მანერიზმის გავლენით შესრულებული რენესანსული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში. გეგმით კვადრატული ფორმის შენობა ორსართულიანია, რომლის ფასადებზე პილასტრებს ენაცვლება წყვილი თაღოვანი ფანჯრები. პირველი სართული შესრულებულია ტოსკანური, ხოლო მეორე – იონიური ორდერის შესაბამისად. აღმოსავლეთის მხრიდან შესასვლელს ამკობს დორიული ორდერის სვეტების ოთხი ჯგუფი. მეორე სართულს ამშვენებს მდიდრული აივნები. სასახლის შიდა ეზო წრიული ფორმისაა, დიამეტრით 30 მ, რომელსაც მთელ პერიმეტრზე მიუყვება დორიული და იონიური ორდერის სტილში გაკეთებული სვეტების ღია გალერეები (ნახ. 7). ზედა ალჰამბრაში (მედინაში) განთავსებული იყო საცხოვრებელი ზონა (სახლები, აბანო, ბაზარი, სახელოსნოები, მეჩეთი და სხვ.) სასახლის მომსახურე პერსონალისათვის. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული რეკონკისტის შემდეგ, 1492 წელს, ალჰამბრა ფერდინანდ II არაგონელისა და დედოფალ იზაბელა I კასტილიელის სამეფო კარის სასახლედ იქცა, სადაც ქრისტეფორე კოლუმბმა მიიღო სამეფო მხარდაჭერა მისი ისტორიული საზღვაო ექსპედიციისათვის, ატლანტის ოკეანის გავლით ინდოეთამდე უფრო უსაფრთხო და მოკლე დასავლეთის გზის საძიებლად. ამ ექსპედიციის შედეგად კოლუმბმა აღმოაჩინა ევროპაში მანამდე უცნობი ამერიკის კონტინენტები, რასაც შემდეგ მოჰყვა ამერიკის სწრაფი კოლონიზაცია. 1492 წლის შემდეგ სასახლე ნაწილობრივ გადაკეთდა იმდროინდელი რენესანსის გემოვნების შესაბამისად.

ამალგამა (ბერძ. málagma დამარბილებელი) – ხსნარი ან შენადნობი, რომელიც მიღებულია ვერცხლისწყალთან სხვა ლითონის შერევით.

ამალგამაცია – 1. ამალგამის მიღება; ლითონის გახსნა ვერცხლისწყალში; 2. ლითონის დაფარვა ვერცხლისწყლით; დაამალგამება; 3. ოქროსა და ვერცხლის მიღება ფხვიერი მადნისაგან; 4. სხვადასხვა რისამე შეერთება, შერწყმა; 5. ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ბანკის შერწყმა კონკურენტული ბრძოლის პროცესში.

ამანკო – დანაკლისი, უკმაროზა.

ამარაკოშა (სანსკ. amara უკვდავი და kosha განძი, ზარდახშა, კრებული, სიტყვარი) – "უკვდავი ლექსიკონი". კაცობრიობისათვის დღემდე ცნობილ ლექსიკონთაგან ყველაზე ძველი და სრულყოფილი (ლექსიკონი სანსკრიტისა, შედგენილი II ს-ში მოღვაწე ბრძენის ამარა სინგჰის მიერ).



ნახ. 1

ამარანტი (ბერძ. Amárantos უჭკნობი, მარადიული) – ტროპიკული ხის ჯიში (ნახ. 1). მერქანი წითელი ან წითელ-მოცისფრო შეფერილობისაა, მკვრივია, დამუშავებისას გამოყოფს არასასიამოვნო სუნს. გამოიყენება ანათალი შპონისა და ავეჯის წარმოებაში. ამარანტის სამშობლოა სამხრეთ ამერიკა.

ამარტა – კვარცის ნაირსახეობა; ეშმი, იასპი.

ამაღლებული ძაბვის დანადგარი – ელექტროდანადგარი ნომინალური ძაბვით 400-დან 1000 ვ-ის ჩათვლით.

ამბალაჟი (ფრანგ. emballage) – 1. შესაფუთი მასალა; 2. შეფუთვის ხარჯი.

ამბარა – სხვადასხვა კონსტრუქციის დასაბმელ-დასამაგრებელი საშუალება (მაგ., ტვირთის, გემის, მოწყობილობის და სხვ.).

ამბარი (სპარს. anbār საწყობი, ფარდული) – 1. ბეღელი. ხორბლეულის შესანახი ხის, ქვის (ნახ. 1. სპარსული ამბარი), აგურის, ალიზის, თიხის, ბეტონის ნაგებობა; 2. ხორბლის ან ფქვილის შესანახი ყუთის მსგავსი დიდი ტევადობის სათავსი.





ამბიონი (ბერძ. ámbōn კიდე, არშია, ამაღლება) – 1. ადრინდელი ქრისტიანული ტაძრის გუმბათის ქვემოთ ან პატრონიკეს გასწვრივ მოთავსებული კათედრა; 2. სამქადაგებლო, საფსალმუნე; ქადაგების წარმოსათქმელად მოწყობილი შემაღლებული ადგილი საკურთხევლის წინ (ნახ. 1. ჰელსინკის საკათედრო ტაძრის ამბიონი, ფინეთის რესპუბლიკა).

ამბრაზურა (ფრანგ. embraser ღიობის გაფართოება) – 1. სადგომისკენ გაფართოებული ფანჯრის ხვრეტი (ნახ. 1); 2. სათოფური; ციხე-სიმაგრის, თავდაცვით ნაგებობასა და ჯავშნიან კოშკებში სროლისათვის დატანებული სარკმელი. გამოიყენებოდა ქვემეხის, ნაღმსატყორცნის ან ტყვიამფრქვევის სასროლად; 3. ციხე-სიმაგრის ქონგურიანი კედლის სანათური, ან დაცერებული პარაპეტი, ან ნახვრეტი სროლისათვის.



ამბულატორია (ლათ. ambulare სვლა, მოვლა) – 1. შიგა გალერეა, ტაძრის ნავის (ნეფის) გაგრძელება აფსიდის ირგვლივ; 2. სამედიცინო დაწესებულება, რომელიც პაციენტებს ემსახურება მიღებაზე ან ბინაზე ექიმის მისვლით.

ამბულატორიული კლინიკა – შენობები ან მათი ნაწილები, რომლებშიც ადამიანებს არასადღეღამისო სამედიცინო მომსახურებას უწევენ. ამასთან, გაწეული მომსახურების გამო პაციენტები თავდაცვის უნარს არ კარგავენ.

ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულება – შენობები ან მათი ნაწილები, რომლებშიც არასადღეღამისო სამედიცინო, ქირურგიულ, ფსიქიატრიულ, საექთნო ან მსგავს მომსახურებას უწევენ პირებს, რომელთაც მომსახურების გაწევის დროს არ აქვთ თავდაცვის უნარი.



ამეთვისტო (ბერძ. améthystos<a უარყოფითი ნაწილაკი და méthystos მთვრალი) – ბროლის (კვარცის) იისფერი სახესხვაობა; საიუველირო ქვა (ნახ. 1).

ამიაკი [ბერძ. ammōniakón ამონის (ძველეგვიპტური ღვთაება)] – მწვავე სუნის მქონე უფერო აირი, რომელიც წარმოადგენს აზოტისა და წყალბადის ნაერთს. ქიმიური ფორმულა – NH_3; მისი წყალში გახსნით მიიღება ნიშადურის სპირტი – NH_4Cl. სიმკვრივე: თხევად მდგომარეობაში – 681,4 კგ/მ^3, აირულში – 0,7714 კგ/მ^3. დუღილის ტემპერატურა –33,35°C. გამოიყენება აზოტმჟავას, ამონიუმის მარილების, შარდოვანას, სინილური მჟავების, სოდის მისაღებად; წყალში გახსნილი ამიაკი – როგორც თხევადი სასუქი, აგრეთვე მაცივრებში სამუშაო ნივთიერების სახით.

ამინდი – მეტეოროლოგიურ ელემენტთა და ატმოსფერული მოვლენების ერთობლიობა დროის გარკვეულ მომენტსა და სივრცის ამა თუ იმ წერტილში. ტერმინ "კლიმატი"-საგან განსხვავებით, რომელიც განსაზღვრავს ატმოსფეროს მდგომარეობას დროის ხანგრძლივ პერიოდში, ტერმინი "ამინდი" მიეკუთვნება ატმოსფეროს ქვედა ფენების (ტროპოსფერო ან სტრატოსფერო) მიმდინარე მდგომარეობას. ამინდის მახასიათებლებია: ჰაერის წნევა, ტემპერატურა და ტენიანობა, ქარის ძალა და მიმართულება, ღრუბლიანობა, ატმოსფერული ხილვადობა, ატმოსფერული მოვლენები (ნისლიანობა, ჭექა-ქუხილი, ქარბუქი) და სხვ. ა. იცვლება პერიოდულად და არაპერიოდულად. პერიოდული დამოკიდებულია დედამიწის ბრუნვასთან საკუთარი ღერძის (დღეღამური ცვლილება) ან მზის გარშემო (წლიური ცვლილება). დედამიწის ზედაპირზე ამინდის ცვლილებას იწვევს ჰაერის მასების გადაადგილება. სიმაღლის მატებასთან ერთად ამინდის ცვლილების ინტენსივობა მცირდება. ამინდის შემსწავლელი მეცნიერების დარგებია: მეტეოროლოგია, ატმოსფეროს ფიზიკა, სინოპტიკური მეტეოროლოგია, ატმოსფეროს ქიმია, დინამიკური მეტეოროლოგია, ბიომეტეოროლოგია და სხვ. სხვადასხვა ქვეყნის მეტეოროლოგიური სამსახურების მოქმედების კოორდინაციას ახდენს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია. ამინდისა და კლიმატის მეტეოროლოგიური მონაცემები ფართოდ გამოიყენება ავიაციაში, საზღვაო საქმეში, სოფლის მეურნეობაში; შენობა-ნაგებობების, აეროდრომების, რკინიგზების, ელექტროგადამცემი ხაზების, კაშხლების, კოშკების, ანძების, ცათამბჯენების და მისთ. დაპროექტებისა და ნორმალური ექსპლუატაციისათვის.

ამინომჟავები – ორგანული ნაერთების კლასი, რომელთაც მჟავების თვისებებიც აქვს და ამინებისაც.

ამინოპლასტი [ბერძ. ammōniakón ამონის (ძველეგვიპტური ღვთაება) და plastikós ფორმირებული, ჩამოსხმული] – კარბამიდულ ფისებზე დამზადებული პლასტმასა (ნახ. 1. ამინოპლასტის გრანულები). შარდოვანა-ფორმალდეჰიდურ ფისზე დამზადებული ა. არამდგრადია ტენისა და ტემპერატურის მიმართ (ექსპლუატაციის ტემპერატურა 90°C-მდე). ა. მელამინო-ფორმალდეჰიდურ ფისზე – მდგრადია ადუღებულ წყალში, თბომედეგია (150°C-მდე), არატოქსიკურია. ა. გამოდის დაწნეხილი ფხვნილის (შემავსებელი – სულფიდური ცელულოზა, ბამბის ბოჭკო, აზბესტი), ფენოვანი პლასტიკებისა და ქაფმასალების სახით. დაწნეხილი ფხვნილი გადამუშავების შემდეგ გამოიყენება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნაკეთობების დასამზადებლად, როგორიცაა ელექტრომანათებელი მოწყობილობების დეტალები, ტელეფონის, ტელევიზორის, რადიომიმღების კორპუსი, ნაირგვარი ფურნიტურა (ნახ. 2. ამინოპლასტის ელექტროშტეფსელი). არატოქსიკური ა. აკეთებენ საოჯახო ჭურჭელს. აზბესტის მასა გამოიყენება ჩამრთველის, ამომრთველის, გადამრთველის, სანთებლის დასამზადებლად. ფენოვანი პლასტიკები ფართოდაა

გავრცელებული, როგორც მოსაპირკეთებელი და დეკორატიული მასალები მშენებლობაში, საავეჯო მრეწველობაში, ტრანსპორტზე. ქაფმასალები შეუცვლელია, როგორც თბო- და ბგერასაიზოლაციო მასალა.





ამოზნექილი არე – ევკლიდური (აფინური) სივრცის ამოზნექილი არე ეწოდება D არეს, თუ ამ არეს ნებისმიერი ორი A და B წერტილების შემაერთებელი მონაკვეთის ყველა წერტილი ეკუთვნის ამავე D არეს.

ამოზნექილი ზედაპირი – სამგანზომილებიან ევკლიდეს სივრცეში ზედაპირს ეწოდება ამოზნექილი (ზევით), თუ ამ ზედაპირის ყოველ წერტილში მხები სიბრტყე მდებარეობს მოცემული ზედაპირის ზემოთ. დეკარტის კოორდინატთა სისტემაში: თუ z = f(x,y) არის ამოზნექილი ზედაპირის განტოლება, ხოლო z = Ax + By + C – მისი მხები სიბრტყის განტოლება, მაშინ გვაქვს უტოლობა: f(x,y) ≤ Ax+By+C.

ამოზნექილი ლირსებიანი არქიტექტურული ნატეხი – ნებისმიერი დეკორატიული პროფილი, რომელიც აერთებს ორ ზედაპირს სხვადასხვა კუთხით.

ამოზნექილი სიმრავლე – ევკლიდეს ან აფინური სივრცის წერტილთა სიმრავლე, რომელსაც ის თვისება აქვს, რომ მისი ნებისმიერი ორი წერტილის შემაერთებელი მონაკვეთი მთლიანად ამ სიმრავლეს ეკუთვნის. ამოზნექილი სიმრავლის მაგალითებია სფერო, კუბი, ნახევარსივრცე და სხვ.

ამოზნექილი სხეული (ფიგურა) – სხეული, რომლის წერტილთა სიმრავლე არის ამოზნექილი სიმრავლე.

ამოზნექილი წირი სიბრტყეზე – თუ წირის განტოლება სიბრტყეზე მოცემულია ცხადი სახით y = f(x), მაშინ მოცემულ წერტილში წირს ეწოდება ამოზნექილი ზემოთ (ან ქვემოთ), თუ ამ წერტილის მომცველი რკალის რაიმე უბანზე რკალი მოთავსებულია თავისი ქორდის ზევიდან (ან ქვევიდან) ანუ გვაქვს უტოლობა f" (x) < 0 (ან f" (x) > 0); იგულისხმება, რომ f (x)-ს აქვს პირველი და მეორე წარმოებული.

ამონაგი – ცემენტის წისქვილის, გამოსაწვავი ღუმლის, საცეცხლისის, საკვამლე მილის, ქიმიური აპარატის, აბაზანისა და სხვათა დამცავი შიგა მოპირკეთება მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისაგან, რისთვისაც გამოიყენება ცეცხლგამძლე აგური, ცეცხლმედეგი და ქიმიურად მდგრადი მასალებისაგან დამზადებული ჯავშანფილები და სხვა. დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს ცეცხლგამძლე, ქიმიურად მედეგი და თბოსაიზოლაციო.

ამონაზარდი – მერქნის მანკი, შენაზარდი ან უკვე შეზრდილი ჭრილობა, რომელიც ხეს ხვრელის მაგვარი სივრცის სახით რადიალურად გასდევს და ქერქის ნარჩენებით ან მკვდარი ქსოვილითაა შევსებული. ცნობილია ა. შემდეგი სახეები: გამჭოლი, დახურული, ერთმხრივი, მუქი, ღია, ღია ფერის, ყლორტშუა და შეზრდილი.

ამონაკირი – საქვაბე დანადგარის გარე კედლები, რომლებიც გამოყოფენ მის საცეცხლეს და აირმავლებს გარემოსაგან. მზადდება წითელი ან ცეცხლგამძლე (შამოტის) აგურისაგან.

ამონალი [ბერძ. ammōniakón ამონის (ძველეგვიპტური ღვთაება) და ლათ. alūmen მწარე მარილი] – ამონიუმის გვარჯილის ფეთქებადი ნივთიერება, რომელშიც შედის დისპერსული ალუმინი. ალუმინი ზრდის აფეთქების სითბოს. ა. აქვს აფეთქების სითბო 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე ნიტროგლიცერინს. დეტონაციური თვისებების ასამაღლებლად ა. უმატებენ ტროტილს. სამთო ქანების აფეთქების დროს გამოიყენებენ ა., რომლის შემადგენლობაში შედის 4,5% ალუმინი. ასეთი ნაერთი საშუალებას იძლევა მცირე მოცულობაში კონცენტრაცია გავუკეთოთ დიდ ენერგიას.

ამონაღარი – იხ. ფოსო.

ამონაჩიჩქნი – ხის დახერხილ პროდუქციაზე ან დეტალზე მცირე ჩაღრმავებები, გამოწვეული როკების ან მერქნის ნაწილების მოცილების შედეგად.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრიდან ან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ამონიაკი [ბერძ. ammōniakón ამონის (ძველეგვიპტური ღვთაება)] – იხ. ამიაკი.

ამონიტი [ბერძ. ammōniakón ამონის (ძველეგვიპტური ღვთაება) და nítron სოდა] – ასაფეთქებელი ნივთიერების სამრეწველო ნარევის სახეობა. ის არის ტრინიტროტოლუოლიანი (იშვიათად ჰექსაგენიანი, დინიტროფტალინიანი) ამიაკური სელიტრისა და არაფეთქებადი საწვავი კომპონენტების (ტორფი, ხის ფქვილი, ტექნიკური ზეთი და სხვ.) ფხვნილისებრი ნარევი. ამონიტებს მიეკუთვნება აგრეთვე ამონალები.

ამონიფიკაცია ([ბერძ. ammōniakón ამონის (ძველეგვიპტური ღვთაება) და ficātiōn გაკეთება, გამოწვევა) – აზოტის შემცველი ორგანული ნაერთის დაშლის პროცესი.

ამოორთქვლა – გამხსნელი აორთქლებით მყარი ნივთიერების ხსნარის კონცენტრაციის პროცესი.

ამორინო (ამორეტო) (იტალ. amore სიყვარული<ლათ. Amor სიყვარულის ღმერთი<amōrem სიყვარული, შეყვარებული<amor სიყვარული) [– კლასიკურ ხელოვნებაში ჩვილი კუპიდონის (ლათ. ამური, ბერძ. მითოლ. ეროსი – რომაულ მითოლოგიაში სურვილის, ეროტიკული სიყვარულის, მიმზიდველობისა და ძლიერი სიყვარულის ღმერთი)] გამოსახულება. დამატებით იხ. პუტო.



ამორტიზატორი (ფრანგ. amortir სიკვდილამდე მიყვანა, ჩახშობა, ჩაქრობა) – მოწყობილობა მანქანებისა და

ნაგებობების დასაცავად რყევისა და დარტყმითი დატვირთვისაგან მათი მოქმედების შერბილებით, შესუსტებით. ამორტიზატორში გამოიყენება ზამბარა, ტორსიონი, რეზინის ელემენტები, აგრეთვე სითხეები და აირები. ცნობილია ამორტიზატორის სახეები: ერთმხრივი ქმედების, ზამბარიანი (ნახ. 1), ორმხრივი ქმედების, პანტოგრაფის, პნევმატიკური, რეზინის, ტელესკოპისებრი, ფრიქციული, ჰიდრავლიკური, ჰიდროპნევმატიკური და სხვ.

ამორტიზაცია (ფრანგ. amortir სიკვდილამდე მიყვანა, ჩახშობა, ჩაქრობა) – 1. ბიძგების, დარტყმების შერბილება სპეციალური მოწყობილობის საშუალებით; 2. ძირითადი ფონდების (ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვ.) თანდათანობითი გაცვეთა; მათი ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადატანა გამომუშავებულ პროდუქციაზე; 3. დაბეგრილი ქონების ღირებულების თანდათანობითი შემცირება; 4. ვალის თანდათანობითი დაფარვა პერიოდული შესატანებით; 5. სავალო საბუთის გაუქმება მისი დაკარგვის გამო.

ამორტიზაცია ჰიდრავლიკური – დარტყმის ან რხევის შემცირება (ჩაქრობა) ჰიდროამორტიზატორის მეშვეობით.

ამორფული (ბერძ. ámorphos უფორმო<a- წინსართი, morphē ფორმა და -ous ბოლოსართი) – 1. უფორმო; 2. კრისტალური აგებულების არმქონე (მაგ., ქარვა, ფისი, მინა).

ამორფული მდგომარეობა – მყარი ნივთიერების მდგომარეობა, რომელშიც კრისტალური მდგომარეობისაგან განსხვავებით, ატომები და მოლეკულები განლაგებულია უწესრიგოდ და ნივთიერება იზოტროპიულია ანუ აქვს ერთნაირი ფიზიკური თვისებები ყველა მიმართულებით; გარდა ამისა, არა აქვს დნობის ფიქსირებული ტემპერატურა. ამორფული სხეულები არსებობს ბუნებრივი (ქარვა, წებო, ფისი) და ხელოვნური (მინა, პლასტმასა). ამორფული სხეული შეიძლება იყოს მყარ (ჩვეულებრივ ტემპერატურაზე) ან ბლანტ მდგომარეობაში (მაღალ ტემპერატურაზე). რაც მეტია ტემპერატურა, მით მეტია მისი სიბლანტე. ამორფული სხეულებისა და სითხეების სტრუქტურა ერთნაირია. გარე ძალების ზემოქმედებით, ერთდროულად შეიმჩნევა დრეკადი თვისებები მყარი სხეულების ანალოგიურად, და დენადობა სითხეების მსგავსად. ხანმოკლე დარტყმითი ზემოქმედებით ისინი იქცევიან ისე, როგორც მყარი სხეულები და იშლებიან ნატეხებად, ხოლო ხანგრძლივი ზემოქმედებისას – იწყებენ ბლანტ დინებას. ამორფული სხეულების ფიზიკურ თვისებებში დარწმუნება შეიძლება მარტივად: თუ ავიღებთ ფისის ნამსხვრევებს და ამ ნამსხვრევებით ავავსებთ ჭურჭელს, ვნახავთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ისინი შეერწყმება ერთმანეთს და მიიღებენ ჭურჭლის ფორმას. მინაც, თუ გავაცხელებთ მაღალ ტემპერატურაზე, გალღვება და დაიწყებს დენადობას.



ამოსოლვა – 1. მოვლენა, როდესაც ფენა, შრე, ძარღვი, სისქის მიხედვით თანდათანობით მცირდება და ბოლოს ქრება; 2. სოლის ამოგდება, სოლის ამოღება.

ამოყორვა – კედლის წყობაში გარე და შიგა პწკარებს (რიგებს) შორის შუალედის, გაუქმებული შესასვლელის ან გასასვლელის შევსება ბეტონით, ბლოკით, აგურით ან ქვით (ნახ. 1).

ამოჭმა – მყარი მასალის ზედაპირის დამუშავება ქიმიური ან ელექტროქიმიური ხერხით (ნახ. 1. სანადირო დანის პირი გრავირებული ამოჭმით). არსებობს მისი სხვადასხვა სახეები: აირული, გალვანური, ელექტროლიტური, ვაკუუმური, ვიბრაციული, ზედმეტი, მარილმჟავაში, მარცვლების საზღვრების, მჟავური, სტრუქტურული, ტექნოლოგიური, ტუტე-მჟავური, უწყვეტი, ფერადი, ქიმიური, ღრმა და სხვ.



ამპერი [ინგლ. ampere ფრანგი ფიზიკოსის ამპერის (1775-1836 წ.) გვარის მიხედვით] – 1. ერთეულთა საერთაშორისო SI სისტემაში ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული. ამპერებში იზომება აგრეთვე მაგნიტმამოძრავებელი ძალა და მაგნიტური პოტენციალების სხვაობა; 2. მუდმივი დენის ძალა, რომელიც ორ პარალელურ სწორხაზოვან უსასრულო სიგრძის წრიულ განივკვეთიან გამტარში, რომლებიც განლაგებულია ვაკუუმში ერთმანეთისაგან 1 მ-ის დაშორებით, გამტარის ნებისმიერ უბანზე სიგრძით 1 მ, იწვევს ურთიერთქმედების ძალას ტოლი $2 \cdot 10^{-7}$ ნ.



ამპერი მეტრზე – მაგნიტური ველის დაძაბულობის საზომი ერთეული. განზომილება – ა/მ.

ამპერმეტრი [ინგლ. ampere ფრანგი ფიზიკოსის ამპერის (1775-1836 წ.) გვარის მიხედვით და ბერძ. metreō ვზომავ)] – დაბალი ძაბვის ჩაკეტილ ელექტროწრედში გამავალი დენის გამზომი ხელსაწყო (ნახ. 1. ამპერმეტრი). ის გამოიყენება ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრული წრედების დროს და ყოველთვის წრედში ირთვება მიმდევრობით. ა. გვიჩვენებს დატვირთვის მიერ მოხმარებულ დენს. ა. უშუალოდ იზომება, როგორც მუდმივი, ასევე ცვლადი დენი. არსებობს სხვადასხვა მოდიფიკაციის.

ამპირი (ლათ. imperium ბატონობა, მართვა, სუვერენიტეტი, იმპერია) – გვიანდელი კლასიციზმის არქიტექტურული სტილი (ნახ. 1) დასავლეთ ევროპის არქიტექტურასა და დეკორატიულ ხელოვნებაში; წარმოიშვა საფრანგეთში ნაპოლეონ I იმპერიის დროს (XIX საუკუნის პირველი მეოთხედი); ახასიათებს ანტიკური ხელოვნების ნიმუშების მიბაძვა (ტრიუმფული თაღები, მონუმენტური შენობები, სფინქსები და სხვ.).



ამპლაცია – ფულის მიღების დამადასტურებელი ხელწერილი.

ამპლიტუდა (ლათ. amplus ფართო, მსხვილი, უხვი) – 1. მერხევი სიდიდის მაქსიმალური გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან, რომელიც იცვლება განსაზღვრული კანონზომიერებით; მაგ., ბგერითი ტალღის ამპლიტუდა არის ტალღის გავრცელების დროს წნევის რხევის მაქსიმალური გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან. ა. შეიძლება იყოს:

პიკური, პიკებს შორისი და საშუალო კვადრატული (ნახ. 1: 1-ამპლიტუდა პიკური; 2-ამპლიტუდა პიკებს შორისი; 3-ამპლიტუდა საშუალო კვადრატული; 4-ტალღის სიგრძე). ცნობილია ამპლიტუდის სახეები: გადანაცვლების, გაბნევის, ვიდეოსიგნალის, იმპულსის, მო დულირებული, რხევის, სიჩქარის, ცვლადი დენის, ძაბვისა და სხვ.; 2. სხვაობა ბარომეტრის ან თერმომეტრის ორ სიმაღლეს შორის.



ამპლიტუდა მაქსიმუმებს შორის – მერხევი სიდიდის მაქსიმალურ გადახრებს შორის სხვაობა.

ამპლიტუდა პიკური – რაიმე სიგნალის გავრცელებისას (რხევის) მაქსიმალური გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან.

ამპლიტუდა საშუალო კვადრატული – მერხევი სიდიდის წონასწორობის მდგომარეობიდან გადახრის საშუალო კვადრატული მნიშვნელობა.

ამრეკლი (ფილა) – 1. ფილის სახეობა, რომელიც გამოიყენება დარტყმითი მოქმედების სამსხვრევებში, შახტურ წისქვილებში და სხვ. დიდი სიჩქარით გამოტყორცნილი მასალის ნაწილაკები ეჯახება ამრეკლ ფილას, კარგავს სიჩქარეს და ვარდება ძირს მსხვრევის ზონაში; 2. მოწყობილობა ან ბუნებრივი წინაღობა, რომელიც ცვლის ბგერითი ან ჰიდრავლიკური ენერგიის, ელექტრომაგნიტური ტალღების, ბირთვული ნაწილაკების ნაკადის, აგრეთვე მყარი სხეულების მოძრაობის მიმართულებასა და ინტენსიურობას.

ამტანობა – მასალის ან კონსტრუქციის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს განმეორებად (ციკლურ) დატვირთვებს.



ამულეტი (ანულეტი) (ლათ. ānulus რგოლი, ბეჭედი) – 1. მცირე ზომის რგოლი (ნახ. 1. წარმატების თალისმანი – სოლომონის გასაღების ამულეტი); 2. კლასიკური ორდერის სვეტის ტანზე ბეჭდის ფორმის მქონე სხმული ან ზონარი სვეტის ზემო ნაწილში, კაპიტელის მომიჯნავედ; 3. საგანი, რომელსაც მორწმუნე ატარებს უმთავრესად ყელზე ჩამოკიდებულს ავი თვალისა და ავი სულისაგან თავდასაცავად.



ამფიბოლიტი (ინგლ. amphibolite<ლათ. amphibolus<ბერძ. amphíbolos ორაზროვანი) – მეტამორფული სამთო ქანი, რომლის შემადგენლობაში ძირითადად შედის რქაქვა და პლაგიოკლაზი (ნახ. 1). ძირითადად გვხვდება მწვანე კრისტალურ-მარცვლოვანი სახით. იყენებენ მშენებლობაში, როგორც მოსაპირკეთებელ ქვას.

ამფითეატრი (ბერძ. amphi ორივე მხარეს, ირგვლივ, ორივე, ორივე სახის და théātron საყურებელი ადგილი) – ანტიკური, მონუმენტური, გეგმით წრიული ან ოვალური ღია ნაგებობა სარბიელით (რომში) ან სცენით (საბერძნეთში), სადაც მაყურებელთა დასაჯდომი სკამის კონცენტრული რიგები თანდათან მაღლდება (ნახ. 1. რომაული ამფითეატრი ამანში, იორდანიის ჰაშემიტური სამეფო).



ნახ. 1

ამფიპროსტილი (ბერძ. amphi ორივე მხარეს, ირგვლივ, ორივე, ორივე სახის და próstȳlos წინა მხარეს სვეტების მქონე) – ძველბერძნული ტიპის ტაძარი, გეგმით მართკუთხა, სვეტების პორტიკით ტორსულ ფასადებზე; ა. გრძივი კედლები იგებოდა გლუვი ქვის ბლოკებით ყოველგვარი დეკორის გარეშე (ნახ. 1. ათენას ნიკეს ტაძარი, ქ. ათენი, საბერძნეთის რესპუბლიკა; ნახ. 2. ნაგებობის გეგმა).





ამფოტერობა (ბერძ. amphi ორივე მხარეს, ირგვლივ, ორივე, ორივე სახის) – ნივთიერების უნარი გამოამჟღავნოს მჟავა ან ფუძე თვისებები.

ამძრავი – ძალური მოწყობილობა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მანქანა. ის შედგება ძრავასგან, ძალური გადაცემისა და მართვის სისტემისაგან. ყველა სამშენებლო მანქანა, მათ შორის ხელის, ძალური მოწყობილობის მიხედვით, არის საკუთარ ძალურ მოწყობილობაზე და მიყვანილი ენერგიის გამოყენებით მომუშავე. პირველს მიეკუთვნება შიგაწვის ძრავიანი ამძრავი, ხოლო მეორეს – ელექტრული, პნევმატიკური და ჰიდრავლიკური. ა. შიგაწვის ძრავით (დიზელის) გამოიყენება ნებისმიერი სიმძლავრეებისათვის; თუ მანქანას აქვს რამდენიმე მექანიზმი, მაშინ სამუშაო ძრავების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ერთძრავიან და მრავალძრავიან ამძრავებს. არსებობს აგრეთვე ამძრავები: ავტონომიური, აკუმულატორული, ამყოლი, ბაგირის, ბერკეტიანი, დისტანციური, დიფერენციალური, ელექტრული, ექსცენტრიკული, ვერნიერული, ზამბარიანი, ინდივიდუალური, ინერციული, კასკადური, კონტაქტებიანი, მათანაბრებელი, მექანიკური, მიმყოლი, მუშტებიანი, ორთქლის, პნევმატიკური, საფეხუროვანი, სელსინური, სოლენოიდური, ტურბოელექტრული, ფეხის,

ფრიქციული, ღვედური, ცენტრიდანული, ჭიახრახნული, ხელის, ჯაჭვური, ჰიდრავლიკური და სხვ.

ამწე – ციკლური მოქმედების ტვირთამწევი მანქანა, რომლის დანიშნულებაა ტვირთის აწევა და გადაადგილება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად. სამშენებლო ინდუსტრიაში გამოყენებული ამწეები ორი სახისაა: საერთო დანიშნულების ისრიანი თვითმავალი და სამშენებლო კოშკურა ამწეები. თვითმავალი ამწეები გამოიყენება სამშენებლო-სამონტაჟო და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებზე. სავალი მოწყობილობის მიხედვით არის საავტომობილო, პნევმატურთვლიანი, მუხლუხა ავტომობილის ტიპის მოკლებაზიან და ყველგანმავალ შასზე. ერთი ან მრავალძრავიანი ამძრავი შედგება დიზელის ან ელექტრული ძრავებისაგან მექანიკური ტრანსმისიით (შესაძლებელია ჰიდრომექანიკური გადაცემის, ჰიდროქუროს ან ჰიდროტრანსფორმატორის ჩართვა). თვითმავალ ამწეზე ყენდება საისრო ან კოშკურა-საისრო მოწყობილობა, რომელიც შეიძლება იყოს გამოსაწევი ან არაგამოსაწევი და ტელესკოპური. სამშენებლო კოშკურა ამწეებს წამყვანი ადგილი უჭირავთ სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობაში, საწყობებსა და პოლიგონებზე, მშენებლობაზე ნულოვანი ციკლის სამუშაოების შესრულებისას. ისინი კლასიფიცირდება დაყენების ხერხის, სავალი მოწყობილობის ტიპის, ისრისა და კოშკის კონსტრუქციის მიხედვით. სამუშაო ადგილზე დაყენების ხერხის მიხედვით არის სტაციონარული, გადასაადგილებელი და თვითამწე. სტაციონარული ამწე ყენდება საძირკველზე (დამატებით შეიძლება მიმაგრდეს მშენებარე ობიექტზე), გადასაადგილებელი კი აღჭურვილია სავალი მოწყობილობით (სარელსო, ავტომობილის, პნევმატურთვლიანი, მუხლუხა); თვითამწე ყენდება ასაგებ კონსტრუქციაზე და საკუთარი მექანიზმებით გადაადგილდება ზევით, მშენებარე ნაგებობასთან ერთად. კოშკი შეიძლება იყოს საბრუნი და არასაბრუნი, ხოლო ისარი – ასაწევი, კოჭური და სახსრულ-შეუღლებული. კოშკურა ამწეები ხასიათდება უნიფიკაციის მაღალი ხარისხით. შექმნილია მოდულური სისტემის ამწეები უნიფიცირებული ერთეულმოდულების ფართო გამოყენებით (საყრდენი ნაწილები, კოშკისა და ისრის სექციები, სამონტაჟო დგარები, სატვირთო ურიკები, კავური საკიდები, სააპარატო ჯიხურები, მექანიზმები). ზოგადად არსებობს ამწეების შემდეგი სახეები: ავტომატური, გრეიფერიანი, ერთბადიანი, ერთბოლოიანი, ერთმხრივ მოქმედი, ველოსიპედური, ზოდსაგდები, თვითმავალი, ირიბკოჭა, ისრიანი, კბილა-ლარტყიანი, კონვეიერიანი, კონსოლური, კოშკური, კოჭური, მაგნიტურსაყელურიანი, მარწუხა, მბრუნავი, მტვირთავი, მუხლუხასვლიანი, მცურავი, ორბერკეტიანი, ორბოლოიანი, ორისრიანი, ორმაგი წევის, პორტალური, სალიანდაგო, სამსხმელო, სამადნო, სანაპირო, სარკინიგზო, სატაცი, ტელესკოპური, შახტის, შტაბელსაწყობი, ჩამტვირთავი, ჩამჩიანი, ხელის, ხე-ტყის, ხიდური, ხრახნული, ჯაჭვიანი, ჯოჯგინა და სხვ.



ამწე გრეიფერული ხიდური – გრეიფერული ამწე წარმოადგენს მოწყობილობას ხიდური ამწის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია გრეიფერით (ტვირთის ასაღები მექანიზმი). გრეიფერი არის ჩარჩო ორი (ან რამდენიმე) მოძრავი ყბით, რომლითაც ის ახდენს ტვირთის წატაცებას ან ამოხაპვას. უმეტესად მას იყენებენ ნაყარი მასალის დამუშავებისათვის (ნახ. 1).

ამწე ველოსიპედური – იხ. ამწე პორტატული.

ამწე ირიბულა – უმარტივესი ამწე, რომლის სამკუთხა კრონშტეინი – ირიბულა ჭაღებთან ერთად მიმაგრებულია სვეტზე, კედელზე და ა.შ. ამწევი ბაგირი გადახვეულია ჭაღზე. ტვირთამწეობა 5 ტ-მდეა.

ამწე კაბელური – ამწე სტაციონარული ან გადასაადგილებელი საყრდენებით, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან მზიდი ბაგირით და რომლებზეც გადაადგილდება სატვირთო ურიკა (ნახ. 1). გამოიყენება ტვირთების აწევა-გადატანისათვის მდინარეების, ხეობებისა და სხვ. თავზე. იგი არის ერთმალიანი საბაგირო გზა ღია სამთამადნო დამუშავების ადგილებიდან მადნის, ქვის მასალების, მშენებლობაში კი დიდი რაოდენობის მიწის, ბეტონისა და სხვათა გადასატანად. ა. კ. ასევე მნიშვნელოვანი კონსტრუქციაა დიდმალიანი ხიდების, კაშხლების, რაბების მშენებლობის დროს.





ამწე კედლის – ამწე კედელზე სტაციონალურად ან მოძრავად მიმაგრებული (ნახ. 1), რომელიც გადაადგილდება კედელზე ან მზიდ კონსტრუქციაზე ვერტიკალურ ამწესავალ გზაზე.

ამწე კონსოლური – ამწე, რომელიც განკუთვნილია ტვირთების გადასატანად ვერტიკალური ან ჰორიზონტალური მიმართულებით და აქვს საბრუნი (არასაბრუნი) კოჭი (ნახ. 1) ან წამწე. არასაბრუნწამწიანი კონსოლური ამწის სატვირთო ურიკა გადაადგილდება კონსოლზე. ამწეები საბრუნი წამწით არის მრავალგვარი კონსტრუქციის – ამწე-ირიბულა, ველოსიპედური, ანძური და სხვა. მათ იყენებენ მანქანათმშენებელ ქარხნებში, პორტებში, მშენებლობებზე. ტვირთამწეობა – 4-10 ტ.





ამწე კოშკურა – ამწე, რომელიც გამოიყენება ძირითადად მშენებლობებზე. მას აქვს მაღალი კოშკი, საბრუნი ისარი და ამწევი ჯალამბარი [ნახ. 1. კორეული წარმოების კოშკურა ამწე მარკით XCMG

FO/23B(5023-10)]. გადასაადგილებელი ამწის კოშკი ეყრდნობა თვლებიან ან მუხლუხა სავალ ურიკებს, რომლებიც გადაადგილდება სარელსო ან გრუნტის გზაზე და მისი ტვირთამწეობა 100 ტ-მდეა. სტაციონარული ამწეების ტვირთამწეობა 400 ტ-ს აღწევს, აწევის სიმაღლე – 150 მ-მდე, ისრის გადაწვდომა – 50 მ-მდე. დაყენების წესის მიხედვით არჩევენ გადასაადგილებელ, სტაციონალურ და თვითამწევ ამწეებს.



ამწე კოშკურა მისადგმელი – ამწე, რომელიც მონტაჟდება საძირკველზე და დამატებით მაგრდება ასაგებ ნაგებობაზე, ე.ი. მისი კოშკი უძრავია და ემსახურება სამშენებლო მოედანს ერთი მხრიდან (სტაციონარული ამწე) (ნახ. 1). არასაბრუნკოშკიანი ამწე სარელსო სვლაზე ტვირთის აწევის სიმაღლის გაზრდისას შეიძლება მიმაგრდეს შენობაზე და იმუშავოს დიდ სიმაღლეებზე ისე, როგორც მისადგმელი ამწე. ასეთ ამწეებს უნივერსალურს უწოდებენ.



ამწე მაგნიტური – ამწე, გაწყობილი ტვირთსატაცი ორგანოთი ელექტრომაგნიტის სახით (ნახ. 1). გამოიყენება მეტალურგიულ და ლითონის კონსტრუქციების ქარხნებში, სატვირთო პორტებში, ჯართის მიმღებ მოედნებზე და სხვ.



ამწე მისაბმელი – ამწე, რომელსაც არ აქვს გადასაადგილებელი მექანიზმი და მისი გადაადგილება მისაბმელი საწევარას მეშვეობით ხდება (ნახ. 1).

ამწე მობილური – მძლავრი ამწე საბრუნი კონსოლური ისრით, რომელიც მთლიანსაბრუნ ჩარჩოზეა დაყენებული. სავალი მოწყობილობის მიხედვით არის საავტომობილო (ნახ. 1) და სპეციალურ საავტომობილო შასიზე, მუხლუხა და პნევმოთვლიანი. მდგრადობის გასაზრდელად აქვს გამოსაწევი საყრდენები (აუტრიგერები), ხასიათდება უნივერსალურობითა და მობილურობით. გამოიყენება სამონტაჟო და დატვირთვა-გადატვირთვის სამუშაოებზე.



ამწე მულდაჩამტვირთავი – ხიდური ამწე ისრული ხორთუმით, მულდას წატაცებისათვის.



ამწე მუხლუხა – ამწე მუხლუხა სავალი ნაწილით. მისი საშუალებით სრულდება დიდი მოცულობის სამონტაჟო სამუშაოები; გამოიყენება სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში გამსხვილებული კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიური აგრეგატების დასამონტაჟებლად (ნახ. 1).

ამწე ნახევრად ჯოჯგინა – ამწე, რომლის მზიდი კონსტრუქციის ელემენტები ერთ მხარეს უშუალოდ ეყრდნობა საგზაო რელსს, ხოლო მეორე მხარეს – საყრდენი დგარის მეშვეობით.

ამწე პნევმოთვლიანი – ისრიანი თვითმავალი ამწე პნევმატურსავალთვლიან სვლაზე, დიზელის ამძრავით, რომელიც განლაგებულია საბრუნ ბაქანზე, იშვიათად ერთღერძიან გამწევზე (ნახ. 1). საავტომობილო ამწისაგან განსხვავდება სავალი ნაწილით, ძრავით და საერთო შეთანწყობით. გამავლობა გრუნტის გზებზე შეზღუდულია. ამწეებზე მოწყობილია ტვირთამწეობის, კაკვის აწევისა და ისრის აწევის შემზღუდველები, შვერისა და ტვირთამწეობის მაჩვენებლები, ქანქარის დახრის საზომი და სხვადასხვა სიგნალიზატორი. გამოიყენება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, აგრეთვე საცალო (ზოგჯერ ფხვიერი) ტვირთების დატვირთვა-განტვირთვაზე, გამსხვილებული აგრეგატების დასამონტაჟებლად და სხვ. ტვირთამწეობა 10-60 ტ, აწევის სიმაღლე 5-50 მ, ისრის გადაწვდომა 4-25 მ, გადაადგილების სიჩქარე თავისი სვლით 7-65 კმ/სთ.



ამწე პორტალური – ამწე განკუთვნილი დიდ ღია მოედნებზე დატვირთვა-გადატვირთვის სამუშაოებისათვის. ის П-სებრი პორტალის სახისაა, რომელზეც განლაგებულია საბრუნი ბაქანი მექანიზმებით, ისრითა და საყრდენ-საბრუნი მოწყობილობით (ნახ. 1). პორტალი ეყრდნობა ოთხ ფეხს სავალი ურიკებით და გადაადგილდება ლიანდაგზე. პ. ა. ფართო გამოყენება აქვთ საზღვაო-სამდინარო პორტებში და სამრეწველო ობიექტებზე. მათი ტვირთამწეობა აღწევს 300 ტ-ს, ისრის გადაწვდომა – 35 მ-ს.



ამწე პორტატული – ამწე კონსოლური, რომელიც გადაადგილდება საკუთარ გორგოლაჭებზე ან მიწისზედა სარელსო გზაზე და მუშაობს ერთი ჰიდრავლიკური დომკრატით (ნახ. 1). ტვირთამწეობა 5 ტ-მდე.





ამწე რადიალური – ამწე, რომელიც მუშაობის პროცესში გადაადგილდება ერთი სტაციონალური საყრდენის მიმართ (ნახ. 1).



ამწე რკინიგზის – პლატფორმაზე დამონტაჟებული ამწე, რომელიც გადაადგილდება რკინიგზაზე (ნახ. 1).

ამწე საავტომობილო – თვითმავალი სატვირთო-განმტვირთავი მანქანა, დამონტაჟებული ავტომობილის შასიზე, რომელსაც აქვს სამუშაო ორგანო მოძრავი კონსოლური ისრის სახით (ნახ. 1). ამწის ნაწილების მოძრაობაში მოსაყვანად გამოიყენება ელექტრული, ჰიდრავლიკური და მექანიკური მოწყობილობები, რომლებიც სიმძლავრეს იღებენ ავტომობილის ძრავისგან. ა. ს. ტვირთამწეობა და ისრის შვერა სხვადასხვაა. ტვირთის აწევის პროცესში, ამწის მდგრადობის შენარჩუნება ხდება გამოსაწევი (გასაშლელი) საყრდენების (აუტრიგერების) მეშვეობით. ა. ს. გამოიყენება დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებისათვის, კონსტრუქციებისა და სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობების დასამონტაჟებლად.



ამწე საავტომობილო მოქნილკავშირებიანი – ამწე, რომლის ელექტრული სქემა ითვალისწინებს აღმასრულებელი მექანიზმის ელექტროძრავას კვებას გენერატორიდან და გარე ქსელიდან ძაბვით 380 ვ, სიხშირით 50 ჰ.

ამწე საავტომობილო ხისტკავშირებიანი – ამწე, რომლის ამძრავი მოცულობითი ჰიდრავლიკური სისტემა მომარჯვებულია განრთული ცირკულაციით. სამუშაო სითხე სისტემაში მიეწოდება ორი აქსიალურ-დგუშიანი ტუმბოს საშუალებით, რომლებიც განლაგებულია ავტომანქანის სავალ ჩარჩოზე.

ამწე საბრუნ-კოშკიანი – ამწე, რომლის საყრდენ-საბრუნი მოწყობილობა განლაგებულია სავალ ნაწილზე ან პორტალზე. მობრუნების დროს ბრუნავს მთელი ამწე, სავალი ნაწილის გარდა. საბრუნ-კოშკიან ამწეებს ხშირად უწოდებენ მობილურს, რადგან დამონტაჟება და ტრანსპორტირება ხდება მარტივად, გამსხვილებული კვანძების სახით. იხ. ამწე მობილური.



ნახ. 1

ამწე სამსხმელო – ხიდურა ამწე, გაწყობილი მექანიზმებით სამსხმელო ციცხვის ასაწევად და გადასაყირავებლად. ძირითადად გამოიყენება მეტალურგიულ ქარხნებში (ნახ. 1).

ამწე სარელსო – ამწე, რომელიც გადაადგილდება რელსებზე. იხ. ამწე რკინიგზის.



ამწე სატვირთო-სამგზავრო – ამწე, რომლის საშუალებით დამატებით შესაძლებელია ტვირთის გადატანა და მგზავრების (ძირითადად მუშების) გადაყვანა (ნახ. 1).



ამწე საჭედი – ხიდურა ამწე, გაწყობილი მოწყობილობებით საჭედი სხმულების ასაწევად, გადასაადგილებლად და მოსაბრუნებლად (ნახ. 1).

ამწე სრულბრუნვადი – საბრუნი ამწე, რომელსაც შეუძლია გააკეთოს 360°-იანი სრული ბრუნი.



ამწე სტაციონალური – ამწე, რომელიც იდგმება საძირკველზე და სამშენებლო მოედანს ემსახურება ერთი სადგომიდან (ნახ. 1). მაღალი შენობის აგებისას ასეთი ამწე დამატებით მიემაგრება ასაშენებელ ნაგებობას და იწოდება მისადგამ ამწედ.

ამწე ტვირთამწე – ციკლური მოქმედების მანქანა, რომლის დანიშნულებაა კაკვზე ჩაბმული ტვირთის აწევა და გადაადგილება სივრცეში.



ამწე უძრავ-კოშკიანი – ამწე, რომლის საყრდენ-საბრუნი მოწყობილობა განლაგებულია კოშკის თავზე. ბრუნვის დროს ბრუნავს მხოლოდ ისარი, სათავისი და საპირწონე კონსოლი მასზე განლაგებული მექანიზმებითა და საპირწონე ტვირთით (ნახ. 1). ასეთი ამწეები მოეკუთვნება არამობილურ ამწეებს.

ამწე ჩასასმელი – ხიდურა ამწე მბრუნავი კოლონებით, ქვედა ნაწილში ჰორიზონტალური საცეცებით, რომლითაც ხდება ნაკეთობის წატაცება და ღუმელში მოთავსება.



ამწე ხელის – ამწე, რომლის მექანიზმი მოქმედებს ხელის ამძრავით (ნახ. 1).



ამწე ხიდური – ამწე, რომელიც შედგება ორი პარალელური მიმმართველის, მასზე მოძრავი ხიდის და ტვირთის ამწევი კომპონენტისგან, რომელიც თავის მხრივ მოძრაობს ხიდზე. არსებობს ა. ხ. კავით (ნახ. 1), მაგნიტით, გრეიფერით და სხვ.

ამწე ჯოჯგინა – ტვირთის ამწევი მექანიზმი-ნაგებობა ხიდურა კოჭის ან წამწის სახით, რომლის საყრდენები გადაადგილდება ბეტონის საძირკვლებზე მოწყობილ მიწისზედა სარელსო გზაზე და მოძრაობისას გადაფარავს მოედანს, რომელზეც წარმოებს დასატვირთ-განსატვირთი სამუშაოები (ნახ. 1). ამწის საყრდენი ფეხები ხისტადაა მიმაგრებული ამწის ხიდთან. სატვირთო ურიკა გადაადგილდება ხიდის ზედა სარტყელზე დაგებულ რელსებზე. ა. ჯ. შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: ლითონის ხიდი, ურიკა დაყენებული ან შეკიდებული ხიდზე, ორი საყრდენი პლატფორმებით, ტვირთის ასაწევი მექანიზმი, ურიკისა და ამწის გადასაადგილებელი მექანიზმები. არსებობს კონტეინერების, მასიური და მცირე ტვირთების გადასატანი, აგრეთვე თვლებიანი მობილური უნივერსალური (ნახ. 2) ჯოჯგინა ამწეები.





ამწე-სატრანსპორტო მანქანები – მანქანა, რომელიც გამოიყენება ტვირთისა და ადამიანების გადასაადგილებლად მცირე მანძილზე. არსებობს ციკლური (პერიოდული) და უწყვეტი მოქმედების. პირველს მიეკუთვნება ტვირთამწევი მანქანა, ხოლო მეორეს – ტრანსპორტიორი, კონვეიერი, ელევატორი, ესკალატორი, საბაგირო გზა და სხვ.

ამწევი ძალა – სითხის ან აირულ გარემოში მოქმედი ძალის შემდგენი, რომელიც მოქმედებს სხეულის მოძრაობის მართობულად. ამწევი ძალა წარმოიშობა ხსნარში არასიმეტრიული გარსშემოდინების შედეგად; $Y = C_y\rho V^2 S/2$, სადაც ρ – გარემოს სიმკვრივე; V – სხეულის სიჩქარე; S – ფართობის მახასიათებელი (მაგ., თვითმფრინავის ფრთის ფართობი გეგმაში); C_y – უგანზომილებო კოეფიციენტი. ა. ძ. დამოკიდებულია სხეულის ფორმაზე, მის ორიენტაციაზე მოქმედების მიმართულებით. ძალზე მნიშვნელოვანია საფრენ აპარატებში, გემებში, ფრთიან მანქანებსა (ღერძული კომპრესორი, ტუმბო) და სხვ.

ამწის საკუთარი მდგრადობა – ამწის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს გადამყირავებელ მომენტს სამუშაო და არასამუშაო მდგომარეობაში.

ამწის სატვირთო მდგრადობა – ამწის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ტვირთის წონით, ინერციის ძალებით, ქარის დატვირთვით და სხვა ფაქტორებით შექმნილ გადამყირავებელ მომენტს და შეინარჩუნოს მდგრადი წონასწორული სამუშაო მდგომარეობა.

ამწის ფუნქციის შემზღუდველი – შემზღუდველი, რომელიც იწვევს ამწის სამუშაო ფუნქციის შეჩერებას ან შეზღუდვას. ეს ხელსაწყო, როგორც წესი, მუშაობს ავტომატურ რეჟიმში და ჩაირთვება მაშინ, როცა ამწის მოძრაობა ან სამუშაო ფუნქცია მიაღწევს თავის ზღვრულ მდგომარეობას.

ამწის შვერი – ამწის ისრის გადაწვდომა, რომელიც მისი მოქმედების რადიუსს განაპირობებს.

ამწისქვეშა გზა – ორი პარალელური რელსი მასზე მოძრავი ხიდური ან შეკიდებული ამწით. ა. გ. რელსები შეიძლება განლაგებული იყოს ერთ ჰორიზონტალურ სიბრტყეში (ხიდური ამწე, ამწეკოჭი), ერთ ვერტიკალურ სიბრტყეში (ველოსიპედისებრი ამწე) ან სხვადასხვა დონეზე (ნახევრად პორტალური ან ნახევრად ჯოჯგინა ამწე).

ამწისქვეშა კოჭი – კონსტრუქცია, რომელზეც მიემაგრება რკინიგზის რელსები ხიდური (შეკიდებული) ამწის სამოძრაოდ. მზადდება ლითონის (ნახ. 1. ფოლადის ამწისქვეშა კოჭი), რკ.ბ.-ის ან წინასწარ დაძაბული რკ.ბ.-ისაგან და გამოიყენება საწარმოო და სასაწყობო შენობა-ნაგებობებში.



ამხანაგობა – 1. სამართლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით კომპანიის სახეობა, რომელიც კომერციულ საქმიანობას ეწევა; 2. ორი ან რამდენიმე პირის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად შექმნილი გაერთიანება. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი.

ანაბარი – 1. დანაზოგი, ბანკში შესანახად შეტანილი ფულადი სახსრები, რომელსაც ჩვეულებისამებრ პროცენტი ერიცხება; 2. კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომლებზეც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება და რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი; 3. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის წევრის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომლებზეც საკუთრების უფლებას იძენს საკრედიტო კავშირი და რომლებსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი.

ანაბარი ვადიანი – ანაბარი, რომელიც შენახულია ბანკში განსაზღვრული ვადით და ამ ვადის გასვლამდე არ გაიცემა.

ანაზდეული – მყისი, სწრაფი, უეცარი.

ანაზღაურება აკორდული – შრომის ანაზღაურება შეთანხმების, მორიგების ან ხელშეკრულების საფუძველზე.

ანაზღაურება ბრიგადული – ბრიგადის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურება, რომელიც შემდეგ ბრიგადის წევრებზე მათი კვალიფიკაციის მიხედვით ნაწილდება.

ანაზღაურება სანარდო – შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

ანაზღაურება სატარიფო – შრომის ანაზღაურება სატარიფო განაკვეთის მიხედვით.



ნახ. 1

ანაკოფიის ციხე (ინგლ. Anacopia Castle) – VII-VIII საუკუნეების ქართულ-აფხაზური ხუროთმოძღვრების ძეგლი (ნახ. 1. პანორამული ხედი). მდებარეობს აფხაზეთში, სოხუმიდან 20 კმ-ის დაშორებით, ივერიის მთის ერთ-ერთ მონაკვეთზე, ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე.

VIII საუკუნის ბოლოდან ანაკოფია ახლად შექმნილი აფხაზთა სამეფოს მთავარი ქალაქი იყო. 1032 წელს იგი ბიზანტიელებმა დაიპყრეს. 1074 წელს კვლავ

საქართველოს დაუბრუნდა. XIV-XV საუკუნეებში გენუელებმა ანაკოფია დაიკავეს და ზღვის პირას, მდ. ფსირცხას შესართავთან ციხე ააგეს და ახალშენი (ფაქტორია) დააარსეს. XV საუკუნის მიწურულს საქართველოს სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ანაკოფია ჯერ აფხაზთა ერისთავების, ხოლო მოგვიანებით აფხაზთა მთავრების რეზიდენცია გახდა. XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა ანაკოფიას ზღუდე შემოავლო. XVIII საუკუნეში ანაკოფიას თურქები დაეუფლნენ და აფხაზთა მთავრების რეზიდენციამ ლიხნში გადაინაცვლა, ამის შემდეგ ანაკოფია ნანგრევებად იქცა და მას აფხაზებმა "ფსირცხა" უწოდეს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიული ანაკოფიის ტერიტორიაზე ააგეს წმ. პანტელეიმონის ტაძარი, როგორც ათონის მთის რუსული მონასტრის ფილიალი. სწორედ ამ დროს ეწოდა ანაკოფიას ახალი ათონი. ანაკოფიის ციხე-სიმაგრის გათხრების დროს აღმოჩნდა ერთიანი საქართველოს მეოთხე მეფის, გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) მონეტა წარწერით: "ქრისტე! ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კეისარი".



ნახ. 2

ანაკოფიის ციხესიმაგრეს 7 ჰა ტერიტორია ეკავა და ქვის გალავნით შეკრული, შეუვალი თავდაცვით ნაგებობა იყო. დღემდე შემორჩენილია ციხის გრანდიოზული კედლები სამეთვალყურეო კოშკებით (ნახ. 2. ციხის კედლების ფრაგმენტი), საალყო აუზითა და კირის გამოსახდელი ღუმლით. ციხე-სიმაგრის მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს ანაკოფიის ტაძარი (ნახ. 3. ტაძრის ნანგრევები), რომელიც VII-VIII საუკუნეებით თარიღდება. მის ნანგრევებში ახლაც შეინიშნება შედარებით გვიანი პერიოდის შესანიშნავი ჩუქურთმის ნაკვალევი. საქართველოს გაერთიანების შემდეგ ანაკოფიის ციხესიმაგრე ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა, რომელიც რამდენჯერმე განახლდა ხელისუფლების მიერ და აქ სამეფო ჯარი იდგა, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს იცავდა. 1957-1958 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩნდა VII-XII საუკუნეების საკულტო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაშთი, საკირე, მინისა და თიხის ჭურჭელი, სამეურნეო იარაღები და სხვ. მიკვლეული იქნა აგრეთვე, ელინისტური ხანის ნამოსახლარის ნარჩენები.



ნახ. 3

ანაკრები კონსტრუქციები – ასაწყობი კონსტრუქციები; მზა სამშენებლო კონსტრუქციები (კედლის ბლოკი, პანელი, რიგელი, გადახურვის ფილა და სხვ.), რომლებიც ქარხნული წესით მზადდება, გადაიტანება ობიექტზე და მონტაჟდება ადგილზე ამწის მეშვეობით.

ანაკრები რკინაბეტონის მუდმივი სამაგრი – მუდმივი სამაგრის სახეობა, რომელიც ეწყობა ერექტორის მეშვეობით გვირაბის გაყვანისას ფარის მეთოდით (ზოგჯერ – სამთო მეთოდით). ის შედგება ქარხნული წესით დამზადებული ცალკეული ელემენტისგან (ბლოკები, ტიუბინგები), რომლებიც აწყობისას ერთმანეთთან მაგრდება დამაკავშირებელი მანჭვლებით.

რგოლის სიგანეა 1 მ და შედგება 10 ცალი რკ.ბ.-ის ტიუბინგისაგან (7 ცალი – ნორმალური, 2 – მოსაზღვრე და 1 – კლიტის). ტიუბინგები მზადდება მაღალი კლასის (B40 და მეტი) ბეტონისაგან, რომლის ხარჯი გვირაბის 1 გრძივ მეტრზე დაახლოებით შეადგენს 2,14 მ^3.

ანალიზატორი – მოწყობილობა ან ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც აწარმოებენ რაიმე ნივთიერების, მოვლენის თვისებების შესწავლასა და ანალიზს.

ანალიზი (ბერძ. análysis დანაწევრება, დასუსტება, გამოთავისუფლება) – 1. საგნის აზრობრივი დაშლა შემადგენელ ნაწილებად. ა. სინამდვილის კვლევის მეთოდია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ განსახილველი საგანი აზრობრივად ან პრაქტიკულად დანაწევრდება შემადგენელ ნაწილებად (ნიშანი, თვისება, დამოკიდებულება). თითოეული ეს ნაწილი შეისწავლება ცალ-ცალკე, რათა ანალიზის პროცესში გამოყოფილი ნაწილები სხვა ლოგიკური ხერხის, სინთეზის, დახმარებით შეერთდეს ერთ მთელად, რომელიც გამდიდრებულია ახალი ცოდნით. ის საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ მოვლენის სტრუქტურას, საგნის ცალკეულ მომენტთა თავისებურებას, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს, მთელის კავშირს შემადგენელ ნაწილებთან; ამზადებს იმის პირობებს, რომ მივაგნოთ საგნის არსებას, კანონს, ერთეულიდან გადავიდეთ ზოგადზე, წარმოდგენიდან – ცნებაზე; 2. რაიმეს ყოველმხრივი გარჩევა-განხილვა. ანალიზის მრავალი სახეობა არსებობს: აირის, აირმეტრული, აქტივაციური, ბაქტერიული, გაცრითი, გრავიმეტრიული, გრანულომეტრიული, გრაფიკული, დილატომეტრიული, დისპერსიული, ელემენტარული, ელექტრომეტრული, ელექტროქიმიური, ელექტრონული, ემისიური, თერმული, თერმოგრავიმეტრიული, თვისებრივი, იზოტოპური, ინტერფერომეტრული, კაპილარული, კოლორიმეტრიული, კალორიმეტრიული, კორელაციური, ლოკალური, მაგნიტომეტრიული, მაგნიტოსტრუქტურული, მაგნიტური, მასსპექტროგრაფიული, მატრიცული, მექანიკური, მიკროსკოპული, მიკროქიმიური, მინერალოგიური, მოცულობითი, მშრალი, პეტროგრაფიული, რადიოაქტივაციური, რენტგენოგრაფიული, რენტგენოსპექტრული, რენტგენოსტრუქტურული, რენტგენული, რენტგენოფაზური, საერთო, სედიმენტაციური, სინჯარული, სპექტრული, სტრუქტურული, ტექნიკურ-ეკონომიკური, ტექნიკური, ტექსტურული, ტიტრომეტრული, ფაზური, ფიზიკურ-ქიმიური, ქიმიური, ქრომატოგრაფიული, წონითი, ჰიდროქიმიური და სხვ.

ანალიზი დიფერენციალურ-თერმული – ანალიზის სახეობა, რომელიც გამოიყენება საშენი მასალების მინერალურ-ფაზური შედგენილობის განსაზღვრისათვის. მეთოდის საფუძველია ის, რომ ქიმიური და ფიზიკური პროცესების დიდ უმრავლესობას თან სდევს სითბოს გამოყოფა ან შთანთქმა. სითბოს შთანთქმით მიმდინარეობს ისეთი პროცესები, როგორებიცაა დეჰიდრატაცია, დისოციაცია, დნობა – ესენი ენდოთერმული პროცესებია. სითბოს გამოყოფით ხდება დაჟანგვა, ახალი ნაერთების შექმნა, ამორფული მდგომარეობიდან კრისტალურში გადასვლა, რაც ეგზოთერმული პროცესებია. ა. დ.-თ. ხელსაწყოა დერივატოგრაფი, რომელიც ანალიზის პროცესში იწერს ოთხ მრუდს: გახურების მარტივ და დიფერენციალურ მრუდს, და, შესაბამისად, მასის დაკარგვის მრუდებს. ანალიზის არსი ისაა, რომ მასალის ქცევა ედრება ეტალონს, ნივთიერებას, რომელიც არ განიცდის არავითარ თბურ გარდაქმნას. ენდოთერმული პროცესები თერმოგრამაზე გვაძლევს ღრმულებს, ეგზოთერმული – პიკებს.

ანალიზი თერმული – ფაზური გარდაქმნების ტემპერატურათა განსაზღვრა და ეგზოთერმული და ენდოთერმული პროცესების თერმული მახასიათებლების მიღება.

ანალიზი ლუმინესცენციური – ანალიზის სახეობა, დამყარებული ნივთიერების ნათებაზე, რომელიც მასალაში აღიძვრება შინაგანი გამოსხივებით, ელექტრონული ურთიერთქმედებით ან ქიმიური პროცესის გავლენით. ლუმინესცენცია არის სხეულის ტემპერატურული გამოსხივების ნამატი. ნათების ხანგრძლივობაა 10^{-10} წმ და მეტი. ა. ლ. გამოიყენება ნივთიერების ამოცნობისა და მისი მცირე კონცენტრაციის აღმოსაჩენად ნივთიერებაში მიმდინარე ცვლილების კონტროლისათვის.

ანალიზი პეტროგრაფიული – ნივთიერების მინერალოგიური შედგენილობის განსაზღვრა.

ანალიზი რენტგენოსტრუქტურული – ანალიზის სახეობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კრისტალების ორიენტირება და იდეალური ხარისხი, კრისტალებში ატომების ურთიერთგანლაგება და მათ საფუძველზე მასალაში ექსპლუატაციის დროს მომხდარი ცვლილებები. რენტგენის სხივები ისეთივე განივი ელექტრომაგნიტური რხევებია როგორც სინათლის, მაგრამ გაცილებით მოკლე სპექტრის საზღვრებში (ტალღის სიგრძე 0,05-0,25·10^{-9} მ ანუ 0,1-100 A^0. ერთი ანგსტრემი $A^0 = 10^{-10}$ მ). მათი მიღება ხდება რენტგენულ მილაკში, კათოდის ელექტრონების ანოდთან დაჯახების შედეგად, პოტენციალთა ძალიან დიდი სხვაობის დროს.

ანალიზი რენტგენოფაზური – ანალიზის სახეობა, დაფუძნებული კრისტალურ ნივთიერების რენტგენოგრამაზე არსებული ხაზების ნაკრებზე, რომლის მიზანია მასალაში არსებული კრისტალური ფაზის ბუნების განსაზღვრა (იდენტიფიკაცია). გამოიყენება ნედლეულისა და მზა პროდუქციის კონტროლის, ტექნოლოგიურ პროცესებზე დაკვირვებისა და დეფექტოსკოპიისათვის და სხვ. მიზნით.

ანალიზი სენსორული – სპეციალურად, ექსპერტების მიერ, სტანდარტების შესაბამისად, ობიექტურად, დაწვრილებით, საქონლის ხარისხისა და ორგანულობის აღწერა.

ანალიზი სპექტრული – ნივთიერების შედგენილობის თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრის ფიზიკური მეთოდი, რომელიც ემყარება ნივთიერების ოპტიკურ სპექტრს. ყველა ელემენტის ატომს აქვს ენერგეტიკული ტოლობის სპეციფიკური სისტემა, ამიტომ სხვადასხვა ელემენტის სპექტრები განსხვავებულია (სპექტრი – მოწესრიგებული გამოსხივება ტალღის სიგრძის მიხედვით). საშენი მასალების შესწავლის დროს ძირითადად გამოიყენება ინფრაწითელი სპექტროსკოპია, რომლის საფუძველია საკვლევი ნივთიერების დამოკიდებულება ელექტრომაგნიტურ გამოსხივებასთან ინფრაწითელ გარემოში.

ანალიზი ფაზური – ჰეტეროგენული სისტემის ცალკეული ფაზების შედგენილობის თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდების ერთობლიობა.

ანალიზი ქიმიური – ნივთიერების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა.

ანალიზური მექანიკა – მექანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ნივთიერ წერტილთა მოძრაობისა და წონასწორობის ზოგად, საერთო მეთოდებს. ა. მ. გამოყენებული განტოლებები ერთი და იმავე სტრუქტურისაა, მიუხედავად სისტემის მოძრაობისა და მათზე დადებული პირობებისა. ა. მ. ყველა თეორემა და განტოლება გამომდინარეობს ზოგი

ძირითადი ცნებისა და წინადადებისაგან. აქ ფართოდ გამოიყენება წერტილის და სისტემის შესაძლო გადაადგილების ცნება. გარდა ამისა, წონასწორობის პირობებისა და მოძრაობის განტოლებების უფრო მოსახერხებელი ფორმის მისაღებად იყენებენ განზოგადებული კოორდინატებისა და განზოგადებული ძალის ცნებას. განუზომლად დიდია ა. მ. მნიშვნელობა თანამედროვე ტექნიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა მაგ., მოძრაობის მართვის თეორია, კოსმოსური მექანიკა, ავტომატური მართვა და სხვ.

ანალოგი (ბერძ. análogos თანაზომიერი, შესატყვისი, მსგავსი) – საგნების (მოვლენების, პროცესების) მსგავსება ზოგიერთ მათ თვისებებში.

ანალოგია (ბერძ. análogos თანაზომიერი, შესატყვისი, მსგავსი) – შესაბამისობა, შესატყვისობა, მსგავსება; საგნების, მოვლენების, მცნებების, პროცესების ან მათ ერთობლიობათა მსგავსება რაიმე თვისების, ნიშნის, დამოკიდებულების მიხედვით; ამასთანავე თვით ეს საგნები საზოგადოდ განსხვავებულნი არიან. ანალოგიით დასკვნა – ეს არის ცდა მივიღოთ ახალი ცოდნა შესასწავლ თვისებებზე, ნიშნებზე, საგნებს შორის დამოკიდებულებაზე მათი ნაწილობრივი მსგავსების ცოდნაზე დაფუძნებით.

ანალოგია ელექტროდინამიკური – სხვადასხვა ფიზიკურ სისტემაში მიმდინარე რხევითი პროცესები ხშირად აღიწერება ერთი და იმავე მათემატიკური განტოლებებით, რაც საშუალებას იძლევა დავამყაროთ ანალოგია სხვადასხვა ფიზიკური ბუნების სიდიდეებს შორის. ერთ-ერთი ასეთი ანალოგია სრულად დგინდება მექანიკურ და ელექტრულ სისტემებს შორის.

ანალოგია კირხჰოფის – წვრილი დრეკადი ღეროს (საწყის მდებარეობაში წრფივის ან პრიზმატულის) წონასწორობის დიფერენციალური განტოლებების მათემატიკური მსგავსება ერთ წერტილში უძრავად ჩამაგრებული ნივთიერი სხეულის სიმძიმის ძალით მოძრაობის ასაწერ დიფერენციალურ განტოლებასთან.

ანალოგია პრანდტლის – დაგრეხილი პრიზმული ღეროს განივკვეთში წარმოშობილი მხები ძაბვების განაწილების ამოცანის მათემატიკური მსგავსება კვეთის კონტურზე თანაბრად მოჭიმული და მუდმივი წნევის მოქმედებით ოდნავ (სუსტად) ჩაღუნული მემბრანის წონასწორობის ამწერ განტოლებასთან.

ანალოგია ჰიდროდინამიკური – დაგრეხილი პრიზმული ღეროს განივკვეთში წარმოქმნილი მხები ძაბვების განაწილების ამოცანის მათემატიკური მსგავსება ღეროს გვერდითი ზედაპირის იდენტური (ანალოგიური) კედლების მქონე ჭურჭელში იდეალური სითხის ცირკულაციის ამოცანასთან.



ანალოღია (ბერძ. analogeíon<analégesthai თავიდან ბოლომდე წაკითხვა) – ქრისტიანულ ტაძარში მაღალი ვიწრო მაგიდა დახრილი ზედაპირით, რომელზეც იდება ხატი, ჯვარი, სახარება ან სამსახურებრივი წიგნი (ნახ. 1).

ანალციმი (ბერძ. análkimos უძლური, სუსტი) – კარკასული სტრუქტურის წყლიანი ალუმინსილიკატი; მინისებრი ელვარების თეთრი, რუხი ან უფერო (ნახ. 1. ანალციმის გამჭვირვალე კრისტალი ციკლოპების კუნძულებიდან, ქ. აჩი-ტრეცა, ეტნას ვულკანური კომპლექსი, კუნძული სიცილია, კატანიის პროვინცია, იტალიის რესპუბლიკა) მინერალი, რომლის ქიმიური ფორმულაა: $Na(AlSi_2O_6)\cdot H_2O$.



ნახ. 1

ანანურის ციხე (ინგლ. Ananuri Castle) – საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვრული ძეგლი (ნახ. 1. პანორამული ხედი). მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ მხარე მთიულეთში, საქართველოს სამხედრო გზაზე, სოფ. ანანურში, თბილისიდან სამოციოდე კილომეტრზე, არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მთიდან დაშვებულ წამოზიდულ კონცხზე, იქ, სადაც მდ. არაგვს ერთვის მდ. ვეძათხევი (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ზედა და ქვედა ციხე, გალავანი, კოშკები, ღვთისმშობლის ტაძარი, ღვთაების ეკლესია, ეკლესია "მკურნალი", სამრეკლო, რვაკუთხა საკანი და წყალსაცავები.

არქიტექტურული ანსამბლის მთავარი ნაგებობის – ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის სამხრეთ კედელში ჩატანებულ ქვაზე შესრულებული წარწერის მიხედვით, ტაძარი 1689 წელს აუგია არაგვის ერისთავის შვილის მდივანბეგ ბარძიმის დაკვეთით ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბაღსარაშვილს.



ნახ. 1

ციხე შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან – ქვედა ციხისა და ზედა ციხისაგან (ციტადელი). ქვედა ციხე (XVIII ს.) ზედაციხის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე მდებარეობდა. შემორჩენილია ყორე ქვითა და აგურით ნაგები გალავნის კოშკებისა და საცხოვრებელი სახლების კვალი. ამჟამად ეს ტერიტორია მოსახლეობას უკავია. ციტადელი (XVI-XVII სს.) გეგმით ხუთგვერდა ფორმისაა და აქ განლაგებულია ანანურის ციხის ძირითადი ნაგებობები.



ნახ. 2

ღვთისმშობლის ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (23,1x17,2 მ), აშენებულია თლილი ქვის კვადრებით (ნახ. 3. ღვთისმშობლის

ტაძარი). შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. შიგა სივრცეს ქმნის ჯვრის ოთხი მკლავი და ცენტრში აღმართული გუმბათი, რომელიც აღმოსავლეთით ეყრდნობა აფსიდის კუთხეებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ რვაწახნაგოვან სვეტს. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის გვერდებზე ჩრდილოეთით აფსიდიანი სამკვეთლოა, სამხრეთით – მართკუთხა სადიაკვანე. მათ თავზე საიდუმლო ოთახებია. ორივე სადგომში, საკურთხევლის მიმდებარე კედლებში მოწყობილია კიბეები მეორე სართულის ოთახებისაკენ, იქიდან კი კონქის თავზე ასასვლელად. გუმბათის ყელში (ნახ. 4. ღვთისმშობლის ტაძარი. გუმბათის ყელი) გაჭრილია თექვსმეტი სარკმელი.


ნახ. 3

ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები: სამხრეთ კედელზე, სარკმლების ქვემოთ – დღე განკითხვისა, სვეტებზე – წმინდანების, ხოლო პილონებზე – ასურელ მამათა გამოსახულებები. ფასადები საკმაოდ მდიდრულადაა გაფორმებული მოჩუქურთმებული ჯვრებით, სარკმელებით, ლილვებით, რელიეფებით, კარნიზებითა და არშიებით (ნახ. 5. ღვთისმშობლის ტაძარი. ჩრდილოეთის ფასადის პორტალი; ნახ. 6. ღვთისმშობლის ტაძარი. სამხრეთის ფასადის ფრაგმენტი; ნახ. 7. ღვთისმშობლის ტაძარი. დასავლეთის ფასადის მორთულობა).

ზედა ციხის დასავლეთ მონაკვეთში დგას ღვთაების ჯვარგუმბათოვანი ეკლესია (16,4x13,3 მ), ნაშენია ნატეხი ქვითა და აგურით (ნახ. 8. ღვთაების ეკლესია). აგებულია XVI-XVII საუკუნეში. ზედა ციხის აღმოსავლეთ კიდეში კი დგას ეკლესია ”მკურნალი”, რომლის თითქმის მთელი კორპუსი გალავანს გარეთ გადის (ნახ. 9. ეკლესია „მკურნალი“). თარიღდება XVI საუკუნის II ნახევრით. ეკლესია დარბაზული ტიპისაა (11,2x7,1 მ). ზედა ციხის ცენტრში დგას ისრულთაღიანი ხევსურული კოშკი (4,08x4,6 მ), რომელიც ანსამბლის ყველაზე ადრინდელი ნაგებობაა (თარიღდება XIV-XV საუკუნეებით). კოშკი ოთხსართულიანია. იგი მაღალი (18 მ) და ვიწროა, ნაგებია ნატეხი ქვით. განსხვავდება დანარჩენი კოშკებისაგან პროპორციებით, გადახურვის ფორმითა და კონსტრუქციით (ასეთ კოშკებს საქართველოს მთიან ადგილებში აგებდნენ). ანსმბლის ტერიტორიაზე კიდევ 5 თავდაცვითი დანიშნულების კოშკია აგებული სათოფურებითა და სალოდეებით (ნახ. 10. გალავნის კოშკები).


ნახ. 4

ციხის მთელი ტერიტორია შემოზღუდულია საკმაოდ მძლავრი ქვის გალავნით. ანანური ეკუთვნოდა არაგვის ერისთავებს და წარმოადგენდა მათ რეზიდენციას. ანანურის ციხე ძირითადად იცავდა საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ მაგისტრალს. ამავე დროს იგი საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა მეფე-დიდებულთათვის მტრის ძლიერი შემოსევებისას. 1803-1821 წლებში იგი იყო ანანურის მაზრის ცენტრი. 1791 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის (დ. 1720 - გ. 1798 წ.)

მიერ ძეთათვის დაწერილ განწესებაში ანანურის ციხე საქართველოს შვიდ უძლიერეს ციხეს შორის არის მოხსენიებული.



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10

ანარიცხი – მოგების ნაწილი, საიდანაც წარმოება თანხას უხდის სახელმწიფო ბიუჯეტს ან ხარჯავს სხვა საჭიროებისათვის.

ანასტიგმატი – ობიექტივი, რომელშიც პრაქტიკულად გასწორებულია ყველანაირი აბერაცია, მათ შორის ასტიგმატიზმი და გამოსახულების ველის სიმრუდე. ა. შედგება სამი ან მეტი ლინზისგან. თანამედროვე ფოტო-, კინო- და სატელევიზიო ობიექტების უმეტესობა – ანასტიგმატებია.

ანგარი (ფრანგ. hangar ფარდული) – სპეციალური დახურული ნაგებობა თვითმფრინავების სადგომად და შესანახად (ნახ. 1), აგრეთვე მიმდინარე რემონტისა და საექსპლუატაციო მომსახურების ჩასატარებლად. დანიშნულებისა და გამოყენების ხარისხის მიხედვით არსებობს სტაციონალური (მუდმივად მოქმედი აეროდრომებისთვის) და დროებითი (დროებითად მოქმედი აეროდრომებისთვის). ა. ძირითად სასარგებლო ფართობს განსაზღვრავს თვითმფრინავის ტიპი, გაბარიტები და რაოდენობა, აგრეთვე თვითმფრინავის ანგარში მექანიზებული შესაყვანი და გამოსაყვანი მოწყობილობები (საწევარი, ამწე, პლატფორმა). გეგმაში კონფიგურაციის მიხედვით ა. შეიძლება იყოს მართკუთხა (ყველაზე გავრცელებული), მრავალკუთხა, წრიული და ჯვრისმაგვარი ფორმის. სიმაღლე სინათლეში დამოკიდებულია თვითმფრინავის და მისი გადაადგილებისათვის გამოყენებული ურიკის (საწევარის) სიმაღლეზე, მალი კი – თვითმფრინავის ფრთათაშორის განზე, თვითმფრინავების განლაგების სქემაზე, ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსებაზე და სხვ. ანგართმშენებლობაში ძირითადად გამოიყენება კამარისებრი, ჩარჩოსებრი და სივრცითი მზიდი კონსტრუქციები მალით 50-150 მ. კონსტრუქციების მასალად უპირატესობა ენიჭება ლითონს და დაწებებულ მერქანს, იშვიათად რკინაბეტონსა და ვანტურ გადახურვებს. ა. სასურველია იყოს ინტენსიური ბუნებრივი განათება (კედლების ზედა ნაწილებიდან, გადახურვებიდან, ფრონტონებიდან). შესასვლელი ჭიშკარი, როგორც წესი, კეთდება ორფრთიანი გასაწევ-გამოსაწევი ჰორიზონტალურ სწორ ლითონის მიმმართველებზე (საგორავი, საკისარი), რომელიც გამოირჩევა სიმარტივითა და მუშაობაში მაღალი საიმედოობით (არსებობს მრუდწირულ მიმმართველებზე მოძრავი ჭიშკრებიც). ა. ჭიშკარი აუცილებალია იღებოდეს და იკეტებოდეს ავტომატურად. ჭიშკრის ფრთა გათბუნებულია ანგარში სითბოს შენარჩუნების მიზნით. ჭიშკრის გაღების დროს, ზამთრის პირობებში, ცივი ჰაერის მოდინებისაგან დასაცავად, ღიობის ზედა ნაწილიდან უბერავს ცხელი ჰაერის ჭავლი (ჰაერის ფარდა), რომელიც გარე ჰაერს საშუალებას არ აძლევს გავრცელდეს საწარმოს შიგა სივრცეში. ა. აქვს საკუთარი კავშირგაბმულობის, კონტროლის, დაცვის, სატელევიზიო, ელექტრო და ხმამაღლამოლაპარაკე სისტემები, აგრეთვე საწარმოო და საყოფაცხოვრებო კომუნიკაციები.



ნახ. 1

ანგარიშ-ფაქტურა – გამყიდველის მიერ მომზადებული და მყიდველისათვის გაგზავნილი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყიდვა-გაყიდვის გარიგების დეტალებს.

ანგარიშგება – 1. მუშაობის შედეგების დამახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემა; 2. დადგენილ დროში, სპეციალური ფორმების მიხედვით, ორგანიზაციის მიერ ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის ანგარიშის წარდგენა.

ანგარიშგება ტექნიკური – ორგანიზაციის მიერ რაიმე პროცესის (ობიექტის მშენებლობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა, გზის რემონტი, ხიდის რეკონსტრუქცია და ა.შ.) მიმდინარეობის, მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის, დაპროექტების, ექსპერტიზის და სხვ. მონაცემების წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში.

ანგარიში – 1. მარტივი არითმეტიკული მოქმედება; 2. მოხსენება თავისი საქმიანობის შესახებ; 3. საბუთი, რომელიც საფინანსო ურთიერთვალდებულების მდგომარეობას ასახავს; 4. საბუთი, რომელშიც აღნიშნულია გაცემული საქონლის, შესრულებული სამუშაოს და ა.შ. რაოდენობა.

ანგარიში მიმდინარე – დაწესებულების, ორგანიზაციის ან პიროვნების პირად ანგარიშზე ბანკში ფინანსური ოპერაციების მიმდინარეობა გარკვეული დროისათვის.

ანგარიში სამეურნეო – ამა თუ იმ სახის მეურნეობის ისეთი წარმართვა, როდესაც ხარჯები საკუთარი სახსრებით (შემოსავლით) იფარება.



ანგლოსაქსური არქიტექტურა – არქიტექტურული სტილი, რომელიც V–XI საუკუნეებში არსებობდა ინგლისსა (წმინდა მარიამის სახელობის სამრევლო ეკლესია, ს. ბრემორი, ინგლისი) და ნაწილობრივ უელსში. გამოირჩეოდა ნაგებობის კოშკების მართკუთხედოვანი (ზოგჯერ მრავალკუთხედოვანი) ფორმით, რომელიც შემოქობილი იყო ქვის ზოლურებით. ეს სტილი ძირითადად შეიცავდა კელტური არქიტექტურისა და რომაული საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების ნიშნებს.

ანგობი (გალ. gobbe ნისკარტი, პირი) – თეთრი ან ფერადი თიხის თხელი ფენა, რომლითაც იფარება კერამიკული ნაკეთობა გამოწვამდე, გლუვი ზედაპირის მისაღებად.



ანდეზიტი (კეჩ. andi მაღლი თხემი) – ვულკანური წარმოშობის საშუალო მჟავიანობის მთის ქანი, მუქი ნაცრისფერი ან მოწითალო ფერისა (ნახ. 1. ანდეზიტი კობის; დაციტი). მაღალი სიმტკიცისა და მდგრადობის, მჭიდრო, ზოგჯერ ფოროვანი, პორფირული აგებულების საშენი მასალა. ფართოდ არის გავრცელებული ძველ ან თანამედროვე ვულკანურ რაიონებში. საქართველოში მისი საბადოებია: დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და არაგვის ხეობებში, ბორჯომის, ახალქალაქის, თეთრი წყაროს, მარნეულისა და ყაზბეგის რაიონებში. ა. სახელი დაკავშირებულია ანდების მთებთან.

ანდერაიტერი (ინგლ. under ქვემოთ ძვ. ინგლ. wrītan წერა, ამოკვეთა) – პირი, რომელიც სადაზღვევო კომპანიის მიერ უფლებამოსილია გააანალიზოს, მიიღოს დასაზღვევად (გადასაზღვევად) და უარყოს ყველა სახის რისკები, აგრეთვე, კლასიფიცირება გაუკეთოს შერჩეულ რისკებს მათზე ოპტიმალური სადაზღვევო პრემიის მისაღებად. ანდერრაიტერი პასუხისმგებელია სადაზღვევო პორტფელის ფორმირებაზე. მას უნდა ჰქონდეს აუცილებელი

ცოდნა და პრაქტიკა რისკის შესაბამისი ხარისხის, პრემიის განაკვეთისა და დაზღვევის პირობების დასადგენად.

ანდერაიტინგი (ინგლ. under ქვემოთ ძვ. ინგლ. wrītan წერა, ამოკვეთა) – ბოლო გამოშვების ფასიანი ქაღალდების შეძენა მათი გაყიდვის მიზნით.

ანდრონი (ბერძ. andró<anḗr მამაკაცი) – 1. გასასვლელი, კორიდორი რომაულ სახლში; 2. ძვ. საბერძნეთში სათავსი მამაკაცებისათვის, რომელიც იყო სახლის განუყოფელი ნაწილი, სადა (ნახ. 1. ანდრონი თანამედროვე ტრადიციულ ბერძნულ სახლში) ან მორთული მრავალრიცხოვანი მოზაიკებით, ფრესკებითა და ქანდაკებებით.





ანემომეტრი (ბერძ. anemos ქარი და métron გაზომვა) – ჰაერისა და აირის მოძრაობის სიჩქარის საზომი ხელსაწყო ტრიალას ბრუნვათა რიცხვის მიხედვით (ნახ. 1). დარეგისტრირებულ ა. ეწოდება ანემოგრაფი.

ანემორუმბომეტრი – დისტანციური ხელსაწყო საშუალო და მაქსიმალური (უეცარი) ქარის სიჩქარისა და მიმართულების გასაზომად.



ანეროიდი (ბერძ. nērós წყალი, სითხე, ნედლი) – ბარომეტრის სახეობა, რომელიც წარმოადგენს ლითონის გოფრირებულ კოლოფს, რომლიდანაც გამოდევნილია ჰაერი. გარე წნევის ცვალებადობის მიხედვით კოლოფი ფართოვდება ან იკუმშება და ამ პროცესთან მექანიკურად დაკავშირებული ისარი დანაყოფებიან სკალაზე აჩვენებს წნევის სიდიდეს (ნახ. 1. ანეროიდი ბარომეტრი). გამოიყენება ექსპედიციებში წნევის გასაზომად.

ანთება – წვის დაწყება მოკიდების წყაროს ზეგავლენით. მისი სახეებია: აირული განმუხტვის, აკუმულატორული, ბატარეული, ბობინით, ელექტრული, კალორიზატორული, მაგნეტოთი, ნაადრევი, ნაგვიანები, ორმაგი, რკალის, საკონტაქტო მასის, სუსტი, წინსწრებითი და სხვ.

ანთების ავტომატური მოწყობილობა – ავტომატური მოწყობილობა, რომელიც ანთებს საფალიე სანთურას ან უშუალოდ ძირითად სანთურას.

ანთემიონი (ბერძ. anthémion პატარა ყვავილი<ánthos ყვავილი) – 1. ყვავილების ფორმის ბრტყელი ორნამენტი ცხრატყავას, ლოტოსის ფოთლების ან პალმეტის დეკორატიული მოტივებით (ნახ. 1; ნახ. 2. ანთემიონი ავგუსტუსის ფორუმის ფრაგმენტზე; იხ. პალმეტა, ნახ. 1, პოზ. 4). გამოიყენება რელიეფურ ქანდაკებასა და ფერწერაში. დამატებით იხ. პალმეტა; 2. ორნამენტული მოტივი (იხ. ორნამენტული მოტივი "ანთემიონი").





ანთრაციტი (ბერძ. anthrakitēs ნახშირის მსგავსი<ánthrax ნახშირი, ქვანახშირი, კარბუნკული) – შავი ფერის მკვრივი და ლითონისებრ პრიალა საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი (ნახ. 1). მაღალი თბოუნარიანობის, წვის ტემპერატურისა და მცირე ნაცრიანობის გამო წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის ენერგეტიკულ სათბობს. გამოიყენება მეტალურგიულ საწარმოებში, საწვავად, ელექტროდების დასამზადებლად, კარბიდის წარმოებაში, სამსხმელო თერმოანთრაციტად და სხვ.



ანთროპოგენური (ბერძ. anthrōpos ადამიანი და genēs დაბადებული, წარმოშობილი) – ადამიანის მოქმედების, მოღვაწეობის შედეგად შექმნილი (მაგ., ლანდშაფტი, მცენარეულობა, ნიადაგი და სხვ.).

ანთროპოგენური ღვარცოფი – ღვარცოფის ერთ-ერთი გენეტიკური ტიპი, რომლის წარმოქმნაც უშუალოდ უკავშირდება სამეურნეო ზემოქმედების შედეგს. წარმოქმნის კერა ხშირად მიწის ყრილი და წყალსაცავია. მიწის ყრილი ავსებს ღვარცოფის შემადგენლობას მყარი მასით, ხოლო წყალსაცავი – თხიერით. ა. ღ. განმეორებადობა აჭარბებს ბუნებრივი გენეზისის ღვარცოფს. იშვიათად ატარებს ეპიზოდურ ხასიათს. ვრცელდება ლოკალურად და მოიცავს ვაკის ტერიტორიებს.

ანიზოტროპია (ბერძ. ánisos არათანაბარი, არაერთგვაროვანი და trópos მიმართულება, მოსახვევი) – ნივთიერების ფიზიკურ თვისებათა არაერთგვაროვნება სხვადასხვა მიმართულებით. გარემო ერთდროულად შეიძლება იყოს იზოტროპიული რომელიმე თვისების მიმართ, მაგრამ ანიზოტროპიული სხვა თვისების მიმართ. ა. უმთავრესად ახასიათებს კრისტალებს, რაც განპირობებულია მათი აგებულების თავისებურებით. შესაძლოა ანიზოტროპიული მასალა შეიქმნას ხელოვნურადაც (ფანერა, დაწნეხილი მერქანი, საგანგებოდ დამუშავებული მინა და სხვ.).

ანიზოტროპია მაგნიტური – სხეულის მაგნიტური თვისებების არაერთგვაროვნება სხვადასხვა მიმართულებით.

ანიზოტროპიული მასალები – მასალები, რომელთა ფიზიკური თვისებები იცვლება მიმართულებაზე დამოკიდებულებით, ე.ი. მასალები, რომელთაც სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა მექანიკური, ოპტიკური, მაგნიტური და სხვა თვისება აქვს (მაგ., მონოკრისტალები, ბოჭკოვანი და აფსკისმაგვარი მასალები, რკინაბეტონი, მერქანი, პლასტმასები ფენოვანი შემავსებლით, ტექსტოლიტი, გეტინაქსი, მინაპლასტიკი, პიეზოკვარცი, გრაფიტი, კომპოზიტური მასალები). ა. მ. გამოყენება ამცირებს მასალის ხარჯს და აუმჯობესებს კონსტრუქციის ხარისხს. მაგ., ტრანსფორმატორი, რომელშიც გულანად გამოყენებული ტექსტურული ფოლადი, დაახლოებით 20-40%-ით მსუბუქია, ვიდრე ტრანსფორმატორი გულანით ჩვეულებრივი ცხლადგლინული ფოლადისაგან.

ანილინი (სანსკ. nīla მუქი ლურჯი) – უფერული ან მოყვითალო ზეთოვანი სითხე. ქიმიური ფორმულა $C_6H_5NH_2$. გამოიყენება ნედლეულად საღებავის, ასაფეთქებელი ნივთიერების, სამკურნალო პრეპარატის მისაღებად, ქიმიურ, ფარმაცევტულ, პარფიუმერიის, თავდაცვის და მრეწველობის დარგებში.

ანიონი (ბერძ. aniṓn ზემოთ მიმავალი) – ელექტროლიტის ხსნარში ანოდისაკენ მოძრავი უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი (იონი).

ანკერი (ბერძ. ánkyra ღუზა, კაუჭი) – 1. შენობის ცალკეული ელემენტების კედელთან დამაკავშირებელი (კედლის წყობაში ცალი ბოლოთი დატანებული) ლითონის საბმური; 2. რკინის ჭანჭიკი ან კავი, რომლითაც ერთმანეთზე ამაგრებენ ქვის კედლის ნაწილებს; 3. საათის მექანიზმის ნაწილი, რომლითაც უზრუნველყოფილია სვლის თანაბარზომიერება; 4. რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში დამჭერი მოწყობილობა წინასწარ დაძაბული არმატურის ბეტონში (ან ბეტონზე) დასამაგრებლად; 5. გვირაბმშენებლობაში გამოყენებული ანკერული სამაგრი დეტალი ცალკეული ელემენტების კედელთან დასაკავშირებლად, ან გვირაბის ჭერის ან გვერდების ქანის განშრევებისა და ჩამოქცევის თავიდან ასაცილებლად.



ანკერი განმბჯენი – ანკერი შიგა ხრახნით. ჩახრახვნის პროცესში ანკერის ბოლო იშლება და საიმედოდ იჭედება ბუდეში (ნახ. 1). გამოიყენება ნაკეთობის ჩასამაგრებლად შედარებით მყარ მასალაში.



ანკერი სოლისებრი – სამაგრი საშუალება, რომელიც გამოიყენება მძიმე კონსტრუქციის მისამაგრებლად ბეტონისა და აგურის საყრდენზე. არის ცილინდრული ლითონის ღერო (ნახ. 1), რომლის ბოლოზე არსებული სოლი ფართოვდება ანკერის ჩასმის შემდეგ და

საიმედოდ ფიქსირდება ნახვრეტში. ასეთი ანკერები ფართოდ გამოიყენება მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრების ჩარჩოების მონტაჟისთვის.

ანკერი ქიმიური – მაკავშირებელი (ქიმიური წებოვანი მასა) ლითონის სამაგრ ელემენტსა და საფუძვლის მასალას შორის. მუშაობის პრინციპი: ლითონის ღეროს სინთეზური წებოს საშუალებით ჩაეწებება შესაერთებელ საფუძვლებში. ფისი ღრმად ვრცელდება საფუძვლის ფორებში, მყარდება და ქმნის მონოლითს. შეერთების ტექნოლოგია მარტივია: საფუძველი წინასწარ იბურღება, ივსება ფისით და შემდეგ იდგმება მასში ლითონის ელემენტი. შეერთების ეს მეთოდი იმდენად საიმედოა, რომ მას ხიდმშენებლობაშიც კი წარმატებით იყენებენ.

ანკერული სამთო სამაგრი – სამთო სამაგრი, რომლის ძირითადი ნაწილია ლითონის, რკ.ბ.-ის, ხის ან პლასტმასის ღერო (ანკერი), რომელიც შპურში მაგრდება. იგი ემსახურება გაშიშვლებული სამთო მასივის განმტკიცებას, სტაბილიზაციას, მდგრადობის ამაღლებას. მას იყენებენ სამაგრის სხვა სახეობებთან (პოლიგონალური, თაღური; ნაშხეფბეტონი) ერთად. რკ.ბ.-ის და პოლიმერბეტონის ანკერი მიეკუთვნება მიწისქვეშა გამონამუშევრების მუდმივ სამაგრებს. ქანის ადგილობრივი გამოცვენის თავიდან ასაცილებლად ანკერებს შორის გამონამუშევრის კონტურზე კიდებენ ფოლადის ბადეს (უჯრედის ზომებით 5×5 სმ).



ანკერული ჭანჭიკი – ერთგვარი ჭანჭიკი, რომლითაც ამაგრებენ კრონშტეინს კედელზე ან კოლონას (სვეტს, დგარს, მზიდი კონსტრუქციის საყრდენს) – საძირკველზე (ნახ. 1).

ანკეტა (ფრანგ. enquête გამოძიება) – 1. პირველადი ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტი, გარკვეული წესებით ფორმულირებული კითხვებისა და პასუხების (გამონათქვამების) ერთობლიობა; 2. გამოკითხვის ფურცელი, ძირითადი დოკუმენტი ანკეტირების გზით გამოკვლევის ჩატარებისათვის; 3. კითხვარი, რომლის მიზანია რესპონდენტისგან მონაცემების მიღება; 4. პირთა საკვლევი კონტინგენტისათვის განკუთვნილი მკვლევრის მიერ შედგენილი კითხვების სია, რომელიც წარმოადგენს საწყის ემპირიულ მასალას განზოგადებისათვის.

ანკეტირება – სხვადასხვა მოვლენასა და ღონისძიებაზე მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაქციის შესახებ ინფორმაციის მიღების მეთოდი; ა. ითვალისწინებს რესპოდენტების პასუხების ასახვა-რეგისტრაციას, მათ დამუშავებასა და თეორიულ ინტერპრეტაციას. ა. დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენერალური ერთობლიობიდან იმ ნაწილის შერჩევას, რომლის შესწავლაც არის გათვალისწინებული. რესპოდენტების სწორი შერჩევის შედეგად მიღებული მონაცემები მთელი გენერალური ერთობლიობისათვის არის დამახასიათებელი და ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ა. არის წერილობითი, უმთავრესად დაუსწრებელი გამოკითხვის ფორმა. არსებობს რამდენიმე სახის: 1). გამოსაკითხი პირების რაოდენობის მიხედვით (პროცედურის მიხედვით): ინდივიდუალური და ჯგუფური; 2). რესპოდენტებისათვის ანკეტის მიწოდების ხერხის,

ფორმის მიხედვით: დასარიგებელი (კურიერული), საფოსტო და პრესის საშუალებით; 3). რესპოდენტთან კომუნიკაციის ფორმის მიხედვით (ე.ი. გამოკითხვაში ანკეტიორის მონაწილეობის მიხედვით): დასწრებული და დაუსწრებელი (საფოსტო, პრესის საშუალებით); 4). ჩატარების ადგილის მიხედვით განასხვავებენ ანკეტირებას საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო ან სასწავლო ადგილის მიხედვით და ანკეტირებას მიზნობრივ აუდიტორიებში (თეატრისა და კინოს მაყურებლების, გამოფენის დამთვალიერებლების, საავადმყოფოს პაციენტების გამოკითხვა და სხვ.). ა. სოციალური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია. მისი საშუალებით ხდება პირველადი მონაცემების მიღება როგორც სოციალური ფაქტების, მოვლენების, პროცესების, ისე ინდივიდების, სოციალურ ჯგუფთა შეხედულებების, აზრების, განწყობების, შეფასებების, ქცევის მოტივების, ღირებულებითი ორიენტაციებისა და სხვ. შესახებ.

ანკლავი (ძვ. ფრანგ. enclaver გარშემორტყმა, შემოზღუდვა<ლათ. clāvus ლურსმანი ან clāvis გასაღები) – ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიით.



ანკონი – 1. კარის კარნიზის დამჭერი კონსოლი; 2. ოთახებსშორისი კარის ტიპი (ნახ. 1); 3. ორთქლის გემი, რომელმაც პირველად გაიარა პანამის არხი.

ანოდი (ბერძ. ánodos გზა ქვემოთ) – დადებითად დამუხტული ელექტროდი (საპირისპიროა კათოდი).

ანომალია (ბერძ. anōmalía უთანაბრობა, უთანასწორობა) – კანონზომიერების დარღვევა, ნორმისაგან გადახრა. ის შეძლება იყოს: განვითარების, გრავიტაციული, ექსცენტრული, მაგნიტური, მოვლენის, ნამდვილი, ნივთიერების, პიონერული, პრეცესიული, სამხრეთ ატლანტიკური, საშუალო და სხვ.

ანსამბლი (ლათ. insimul ერთდროულად) – 1. არქიტ. შენობების, საინჟინრო ნაგებობების სივრცითი კომპოზიციის ჰარმონიული ერთიანობა; 2. რაიმე ერთიანის შემქმნელი ნაწილების ერთიანობა, შეთანწყობა; 3. მუსიკაში, ქორეოგრაფიაში – შემსრულებელთა კოლექტივი.

ანსამბლი არქიტექტურული – გარკვეულ არქიტექურულ იდეას დამორჩილებული, შენობებისა და ნაგებობების ერთიანი არქიტექტურული კომპოზიცია.

ანტა (ლათ. antae კვადრატული პილასტრი) – ნაგებობის გვერდითი კედლის ოთხკუთხედის ფორმის გასქელებული დაბოლოება (პილასტრი), რომელიც ქმნის წინა პორტიკის განაპირა მხარეებს (ნახ. 1; ნახ. 2. ნაგებობის გეგმა).





ანტაბლემენტი (ანტაბლემანი) (ფრანგ. entablement<table მაგიდა, ფიცარი, თამასა, სურათი) – ანტაბლემანი; კლასიკური არქიტექტურული ორდერის სვეტზე (კოლონაზე) დაყრდნობილი ჰორიზონტალური ნაწილი მზიდი სარტყლის სახით, რომელიც ძირითადად შედგება არქიტრავის, ფრიზისა და კარნიზისაგან (ნახ. 1. ანტაბლემენტი დორიული: 1-არქიტრავი, 2-ფრიზი, 3-კარნიზი). ყოველ ცალკეულ არქიტექტურულ ორდერში ანტაბლემენტს აქვს განსხვავებული პროპორციები და პლასტიკურად სხვადასხვანაირად მუშავდება. კლასიკურ არქიტექტურულ ორდერებში (დორიული, იონიური, კორინთული) სხვადასხვაგვარია. ძველრომაულ და აღორძინების არქიტექტურაში ა. სიმაღლე, როგორც წესი, სვეტის სიმაღლის 1/4-ია. ა. შემადგენელი ნაწილების აღწერა მოცემულია წინამდებარე ლექსიკონში (იხ. არქიტრავი, ფრიზი, კარნიზი).



ნახ. 1

ანტაბლემენტის ტრიგლიფებიანი ფრიზი – არქიტ. სამღარიანი ფილები, განლაგებული ანტაბლემენტის ფრიზზე (ნახ. 1. ტრიგლიფებიანი ფრიზი ათენის პართენონის ანტაბლემენტზე). დამატებით იხ. ტრიგლიფი.

ანტეკოლოგია (ბერძ. antos ყვავილი, oikos სახლი, გარემო და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – ყვავილოვანი მცენარეების გარე სამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა და ყვავილების შიგა სამყაროს შეცნობა.

ანტენა (ლათ. antenna გემის ქანდარა) – მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა რადიოტალღების მიღება და გადაცემა (ნახ. 1). მიღების დროს ანტენა გარდაქმნის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას ელექტრულ დენად და პირიქით – გამოსხივებისას ელექტრულ დენს ელექტრომაგნიტურ ტალღებად. ფიზიკურად ანტენა წარმოადგენს ერთი ან მეტი გამტარისაგან შედგენილ კონსტრუქციას, რომელსაც მიეწოდება ცვლადი ელექტრული სიგნალი და ანტენის ელემენტების ელექტრომაგნიტური აღგზნების შედეგად ელექტრული სიგნალი გარდაიქმნება ელექტრომაგნიტურ ტალღად. ელექტომაგნიტური ტალღების მიღება, შესაბამისად, შებრუნებული პროცესია, ელექტრომაგნიტური ტალღა



მიმღებ ანტენაში აღძრავს შესაბამის ცვლად ელექტრულ დენს. ა. მრავალი სახეობა არსებობს: ბალანსირებული, ბალისტიკური, ბიკონუსური, ბიმეტალური, ბრტყელი, გადამცემი, გარე, გასაბერი, გონიომეტრული, გრძელტალღიანი, დაეკრანებული, დიაპაზონური, დიელექტრიკული, დიფრაქციული, ელიფსური, ერთსხივიანი, ეტალონური, ზემიმართული, ზიგზაგისებრი, თვითმფრინავის, დაკიდებული, კილისებრი, კონუსური, კოშკური, ლინზისებრი, მაგნიტური, მაზონდირებელი, მარაოსებრი, მარყუჟული, მბრუნავი, მიმართული, მიმღები, მიწისქვეშა, მოკლეტალღიანი, მრავალპროგრამიანი, მრავალსხივიანი, მრგვალი, ოთახის, ორპროგრამიანი, ორსადენიანი, პარაბოლური, პელენგატორის, პერისკოპული, პრიზმული, რადიოსამაუწყებლო, რადიოტელესკოპის, რეფლექტორული, რომბისებრი, საავარიო, საბრუნი, სარკიანი, სატელევიზიო, სპირალური, სფერული, სხივური, ტელემეტრული, ტელესკოპური, ტურნიკეტული, ფაზირებული, ფართოდიაპაზონიანი, ფართუზოლიანი, ფერიტის, ფიდერული, ფიუზელაშის, ჩარჩოსებრი, ცილინდრული, ხელოვნური, ჰარმონიკული და სხვ.

ანტენა რეფლექტორი (ინგლ. antenna reflector) – პარაბოლოიდური ამრეკლი ეკრანის ზედაპირის მქონე ლითონის კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება რადიოტალღების მისაღებად და გადასაცემად კოსმოსური სივრციდან. რეფლექტორი (გასაშლელი) შექმნილი იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ავტორთა კოლექტივი აკადემიკოს ელგუჯა მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით) და 1999 წლის 23 ივლისს გაშლილი იქნა ღია კოსმოსში სადგურ "მირ"-ის სპეციალურ კონსტრუქცია «სოფორა»-ზე რუსი და ფრანგი კოსმონავტების მიერ (ნახ. 1). ა. რ. შედგება გამშლელი ძალოვანი რგოლისაგან, რომლის ფუნქციებია ელექტროამძრავებით გაშლა, მასთან დაკავშირებულ, წინასწარ დაძაბულ ცენტრთან ერთად. ცენტრი შედგენილია მოქნილი, ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი, გაჭიმული, რადიანული განლაგების ფურცლებისაგან – წიბოებისაგან. წინასწარ დაძაბულ ფურცლებს თავის სიბრტყეში გააჩნიათ დიდი სიხისტე, ამასთან, ისინი თავისი ზუსტი პროფილით აღწევენ პარაბოლოიდის ზუსტ, დისკრეტულ გეომეტრიას, რომელზეც რეფლექტორის ამრეკლი ეკრანი – მეტალის ტრიკოტაჟის ბადეა დამაგრებული. კოსმოსურ აპარატთან რეფლექტორის ჩამაგრება ხორციელდება ცენტრალური კვანძით, სადაც ასევე მოწყობილია რეფლექტორის გაშლის სინქრონიზატორები. რეფლექტორის ეკრანს გააჩნია ელიფსური მოხაზულობა, რომელიც გამშლელ ძალოვან რგოლთან მიმართებაში ხორციელდება მასზე სხვადასხვა სიგრძის კონსოლური გადმონაშვერების დამაგრებით, რომლებიც წარმოადგენს ცენტრალური რადიალური წიბოების გაგრძელებას. ყოველი წლის 23 ივლისი საქართველოში აღინიშნება როგორც "პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღე".



ანტერიორი (ფრანგ. anterior<ლათ. anterior წინა, წინ) – ტაძრის წინა მხარე, პოსტერიორის საწინააღმდეგო.

ანტეფიქსი (ლათ. antefīxus წინა მხარეს შეკრული) – სახურავის კიდულის გასწვრივ მოთავსებული ბუნებრივი ქვის (მარმარილო, გრანიტი), ხის ან კერამიკის ვერტიკალური დეკორატიული დეტალი, მცენარეული ორნამენტის (ნახ. 1) ან ადამიანის (ცხოველის) ნიღბის გამოსახულებით, რომელიც სახურავიდან გადასაყვანი წყლის ღარის კედლის ფუნქციას ასრულებს. კლასიკურ ნაგებობებში გამოიყენებოდა სახურავის ბურულის ჩამონაჭერის პირაპირების დასაფარავად.



ანტიდამაძველებელი – ნივთიერება, რომლის შეყვანა პოლიმერულ მასალაში ანელებს ყველა იმ პროცესის მიმდინარეობას, რაც იწვევს ამ მასალის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუარესებას.

ანტიდეტონატორი – ქიმიური ნივთიერება, რომელსაც უმატებენ უმნიშვნელო რაოდენობით ძრავის საწვავს დეტონაციური მდგრადობის ასამაღლებლად (მაგ., ტეტრაეთილტყვია).

ანტიდოვლათი – პროდუქტი, რომელსაც მომხმარებლისათვის უარყოფითი ეფექტი მოაქვს.

ანტიდოტი (ბერძ. antí- წინააღმდეგ და didónai მიცემა) – ტოქსიკური ნივთიერება, რომლითაც აწარმოებენ სხეულის (დეტალის) შემოგარსვას ან ადსორბირებას. პრაქტიკაში ფართო გამოყენება პოვა აქტივირებულმა ნახშირმა და თეთრმა თიხამ.

ანტიკვარული (ლათ. antīquus უძველესი, წინანდელი, ძველი დროის) – ძველებური, იშვიათი, ძვირფასი, ჩვეულებრივ, ძვირად ღირებული ნივთი.

ანტიკი (ლათ. antīquus უძველესი, წინანდელი, ძველი დროის) – ანტიკური ეპოქის ხელოვნების ნაწარმოები – კერამიკა, ფიალა, ქანდაკება და სხვ.

ანტიკლინი (ბერძ. antí- წინააღმდეგ და klínein მიყრდნობა, დაყრდნობა, დაფერდება) – ქანების ფენათა ნაოჭი, რომელიც ზევით არის ამობურცული. მისი თაღოვანი ნაწილი ზევითაა მიმართული, ხოლო ფრთები ერთმანეთის საწინააღმდეგოდაა დაქანებული. ა. გულში უფრო ძველი ქანებია, ვიდრე ფრთებში. ღერძული სიბრტყის მდებარეობისა და დახრის მიხედვით ა. შეიძლება იყოს: სწორი, დახრილი, გადაბრუნებული, დაწოლილი, დაყვინთული. ინტენსიური დისლოკაციის დროს ფრთების დაქანება მრავალფეროვანია. მოხაზულობის მიხედვით განასხვავებენ: ხაზობრივ ა. – როცა სიგრძე საგრძნობლად ჭარბობს სიგანეს; ბრაქიანტიკლინს – როცა სიგრძე რამდენადმე მეტია სიგანეზე; გუმბათს – როდესაც სიგრძე და სიგანე დაახლოებით თანაბარია. ანტიკლინის საპირისპიროა სინკლინი – ქანების ნაოჭი, რომელიც ზევიდან ქვევით არის გამობურცული.

ანტიკოროზიული დამუშავება – ნაკეთობის ზედაპირის მარტივი ტექნოლოგიური დამუშავება კოროზიული პროცესების განვითარების საწინააღმდეგოდ (მაგ., ლითონის კონსტრუქციების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით, რომელიც ითვალისწინებს თავდაპირველად ზედაპირის გასუფთავებას ჟანგისგან და შემდეგ საღებავის ერთი ან ორი ფენის დატანას).

ანტიკური ეპოქა (კლასიკური ძველი, კლასიკური პერიოდი, კლასიკური ეპოქა, კლასიკური საუკუნეები) (ლათ. antiquus ძველი) – 1. ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურული ისტორიის პერიოდი, რომელიც მოიცავს ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ცივილიზაციებს, რასაც ერთად აღებულს ეწოდება ბერძნულ-რომაული სამყარო. ეს ის პერიოდია როცა ბერძნული და რომაული საზოგადოება განიცდიდა აღმავლობას და დიდი გავლენა ჰქონდათ მთელ ევროპაზე, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაზე. ანტიკური ცივილიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები ასეთია: ძვ. წ. VIII – ჩვ. წ. V საუკუნის შუა წლები. ეს არის თითქმის თორმეტი საუკუნე. თუმცა დროის ეს ხანგრძლივობა შეიძლება გაიზარდოს, თუკი მივათვლით წინამავალ ოთხ საუკუნეს, რომელსაც კრეტა – მიკენის კულტურა ეწოდება და რომლის წიაღშიც აღმოცენდა ანტიკურობა. ამ ცივილიზაციის ისტორიაში მკვეთრად გამოიყოფა რამდენიმე ლოკალური კულტურა: ბერძნული, რომლის აღმავლობის პერიოდია ძვ. წ. V-IV სს. (კლასიკა) და რომაული, რომლის აღმავლობის ხანა ძვ. წ. II საუკუნეს მოიცავს. გამოყოფენ აგრეთვე ელინისტურ ანუ ალექსანდრიულ ეპოქასაც (ძვ. წ. 330-220 წწ.), როდესაც კულტურის ეპიცენტრმა გადაინაცვლა ალექსანდრიაში. რას მიიჩნევენ ანტიკური ცივილიზაციის მონაპოვრად? უპირველეს ყოვლისა ადამიანში პიროვნული ღირსებების აღიარებას, სულიერების პრიორიტეტს, მეცნიერების, ხელოვნების, მითოლოგიის აღმავლობას, თავისუფლების შეცნობას. ანტიკურობის უდიდეს მიღწევად აბსტრაქტული მეცნიერებების – ფილოსოფიის, ასტრონომიის, მათემატიკის, მექანიკის, მედიცინის, ისტორიის, მართლმსაჯულების, ეკონომიკის აღმოცენებაც ითვლება. სწორედ ანტიკურ ხანაში დაედო დასაბამი ფილოსოფოსთა სკოლას, პლატონის აკადემიას, არისტოტელეს ლიცეუმს, ალექსანდრიულ მუზეუმს (მუსეიონი); შეიქმნა განათლების სისტემა, რათა ახალგაზრდა თაობა დაუფლებოდა მეცნიერებას, ხელოვნებას, საბრძოლო საქმეს. ადამიანში სულიერების აღორძინებამ ბიძგი მისცა მსოფლიო რელიგიების აღმოცენებას, პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლას, რომლის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროთა ცენტრალიზაციისაკენ სწრაფვაც მოიაზრება. ჩვ. წ. I საუკუნეში რომაული იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში თავი იჩინა ქრისტიანობამ, რომელიც მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად IV საუკუნეში ოფიციალურ რელიგიად აღიარეს. ანტიკური ცივილიზაციის მონაპოვარია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული წყობა – დემოკრატია. მისი ძირითადი პრინციპები, რომლებიც ბერძნული ცივილიზაციის აღმავლობის პერიოდში ჩამოყალიბდა, დღემდე ყველა ქვეყნის დემოკრატიულ პარტიათა და მოძრაობათა პროგრამების საფუძვლებად გვევლინებიან. ანტიკური ცივილიზაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისებურებათა შორის ასახელებენ პოლისთა არსებობას. ანტიკური პოლისი იყო დამოუკიდებელი, თვითმართვადი ქალაქი – სახელმწიფო, სადაც სახელმწიფოებრივი წყობა შესაძლოა ყოფილიყო დემოკრატიაც, ტირანიაც, არისტოკრატიაც, ოლიგარქიაც და ა.შ., მაგრამ ნებისმიერი წყობის დროს მკაცრად იყო დაცული პოლისის მოქალაქეთა თანასწორობა და უფლებები. დიდი იყო ანტიკური ცივილიზაციის წვლილი ეკონომიკის განვითარებაში. სწორედ ანტიკურ ეპოქაში აღმოცენდა წარმოების ორგანიზაციის, საკუთრების, ფინანსურ, ფულად თუ სხვა ურთიერთობათა ფორმები; დაარსდა სახელმწიფო ბანკები და ხაზინები. ანტიკურ ხანაში გახდა შესაძლებელი პირველი მსოფლიო იმპერიების წარმოქმნა. ამ მიმართულებით პირველი მოძრაობა დაიწყო ანტიკური ცივილიზაციის დასაბამიდანვე, როდესაც ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დააარსა კოლონიები ხმელთაშუა, შავი, აზოვისა თუ იონიის ზღვათა სანაპიროებზე. ეს პერიოდი (ძვ. წ. VIII–VI სს.) ისტორიაში ცნობილია „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ სახელით. მაგრამ ეს ჯერ კიდევ

არ იყო იმპერია. ყოველი კოლონია დამოუკიდებელი იყო მეტროპოლიისაგან, თუმცა სულიერი, ეკონომიკური თუ ოჯახური ძაფებით მაინც მას უკავშირდებოდა. ამ საკოლონიზაციო მოძრაობამ დიდი როლი შეასრულა მსოფლიო პროგრესის ისტორიაში: განვითარდა ზღვაოსნობა, დაიწყო ინტენსიური მოგზაურობანი, რამაც ხელი შეუწყო განათლების განვითარებას, ხალხთა შორის კულტურულ ურთიერთობას. პირველი დიდი მსოფლიო იმპერიის შექმნა დაკავშირებულია ალექსანდრე III მაკედონელის სახელთან, შეიქმნა ასევე რომაული იმპერია (ძვ. წ. V ს). ანტიკურობამ, როგორც ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურულმა მემკვიდრეობამ, უდიდესი გავლენა იქონია ევროპისა და საერთოდ მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ და რელიგიურ აზროვნებაზე, არქიტექტურაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ფილოსოფიურსა და იურიდიულ შეხედულებებზე. ეს გავლენა დღემდე გრძელდება და ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური მემკვიდრეობის ჰუმანისტურ იდეალებს, რომელიც კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პროგრესულ ძალთა მასაზრდოებელი არსენალი იყო.

ანტიკური ლაქები – ანგობების ნაირსახეობა. მჟავა გარემოში გამოწვისას, თეთრი თიხა იღებს თეთრ ფერს, თუ თიხაში არის რკინის ჟანგი, მაშინ – წითელს, ორივე შემადგენლობის აღდგენითი გამოწვისას – შავს. ანტიკურ ხანაში გამოიყენებოდა ვაზურ მხატვრობაში და კერამიკული ნაკეთობების მოსახატად.

ანტიმეტაბოლიტი (ბერძ. antí- წინააღმდეგ, metá- შემდეგ, შუა, შორის და ballein გადაგდება, გადასროლა) – ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში ნორმალური მეტაბოლური პროცესების განვითარებას, როგორც წესი, ფერმენტებთან მიერთების შედეგად.

ანტიმონიტი – [გერმ. antimonit<გვიანდ. შუაინგლ. antimonie<ძვ. ფრანგ. antimoine<შუასაუკუნ. ლათ. antimōnium (შუა საუკუნეების ალქიმიკოსთა ტერმინი)<წარმომავლობა გაურკვეველია] – 1. სტიბიუმის კრიალა, სტიბნიტი, მინერალი. დამატებით იხ. სტიბნიტი; 2. ქიმიური მარილების კლასი – სტიბიუმის (III) მარილები.

ანტიმონიუმი [გვიანდ. შუაინგლ. antimonie<ძვ. ფრანგ. antimoine<შუასაუკუნ. ლათ. antimōnium (შუა საუკუნეების ალქიმიკოსთა ტერმინი)<წარმომავლობა გაურკვეველია)] – იხ. სტიბიუმი.

ანტიმჟანგავი (ანტიოქსიდანტი) – ბუნებრივი ან სინთეზური ნივთიერება-ინჰიბიტორი, რომელიც აფერხებს სხვადასხვა ორგანული ნაერთის დაჟანგვის პროცესს. მას მიეკუთვნება: ასკორბინის მჟავა, ასკორბილპალმიტატი, ასკორბილსტეარატი, გუაიაკის ზეთი, დიჰიდროკვერცეტინი, დოდეცილგალატი, კალიუმის ლაქტატი, კალიუმის ასკორბატი, კალციუმის ასკორბატი, კვერცეტინი, ლეციტინები, ნატრიუმის ლაქტატი, ოქტილგალატი, ტოკოფეროლი და სხვ.

ანტიმუტაგენი (ბერძ. antí- წინააღმდეგ, ლათ. mūtātiō ცვლილება და ბერძ. genēs დაბადებული, წარმოშობილი) – ნივთიერება, რომელიც ამცირებს მუტაციის სიხშირეს; აბრკოლებს ფიზიკური და ქიმიური აგენტების მუტაგენურ მოქმედებას.

ანტიოქსიდანტი – მოლეკულა, რომელიც აფერხებს სხვა მოლეკულების ოქსიდაციას (დაჟანგვას).

ანტიპანიკური გამღები – კარის გამღების მექანიზმი, რომლის ენა (რაზა) ძალის გამოყენებით გადაადგილდება გასასვლელის მიმართულებით და აღებს კარს იმავე მიმართულებით.

ანტიპირენი (ბერძ. antí- წინააღმდეგ და pŷr ცეცხლი) – კომპონენტი, რომელიც ემატება ორგანული წარმოშობის მასალებს ცეცხლდაცვის მიზნით. მის შემადგენლობაში შედის წვის შემანელებლები (ამონიუმის ფოსფატი, ბორაკი, ამონიუმის ქლორიდი, ნატრიუმის ფთორატი, ნატრიუმის ბიქრომატი, ქლორეთილ-ფოსფატი), სინეგრისტი (მასალა, რომელიც აძლიერებს ძირითადი შემანელებლის მოქმედებას) და სტაბილიზატორი, რომელიც ზღუდავს შემანელებლის ხარჯს. ა. წინააღმდეგობას უწევს მერქნის აალებას და ზღუდავს ზედაპირზე ცეცხლის (ალის) გავრცელებას. ა. გამოყენების მეთოდი დამოკიდებულია დასაცავი მასალის სახეობაზე. გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დიფუზიური, ამოვლებითი, პანელური, ცხელი-ცივი აბაზანა, ვაკუუმი-ატმოსფერული წნევა-ვაკუუმი, ვაკუუმი-წნევა-ვაკუუმი, ზედაპირული წასმა და სხვ. ანტიპირენს აქვს დნობის მაღალი ტემპერატურა, ცეცხლის ზემოქმედებით იშლება და იქცევა უწვად მასად, რომელიც ქაფდება და ფარავს კონსტრუქციის ზედაპირს. ამით ის სითბოს აშორებს ზედაპირს, ამავე დროს ჟანგბადს არ აძლევს საშუალებას, მივიდეს აალებულ კონსტრუქციამდე და საბოლოოდ ხელს უშლის წვის პროცესს.

ანტისანიტარია (ბერძ. antí- წინააღმდეგ და ლათ. sānit (ās) ჯანმრთელობა<sānus ჯანმრთელი) – ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში უსუფთაობა, სიბინძურე.

ანტისანიტარიული – სანიტარიის მოთხოვნილებების საწინააღმდეგო; უსუფთაო.

ანტისეისმური – მიწისძვრის საწინააღმდეგო.

ანტისეისმური ღონისძიებები – სეისმური ნორმების მოთხოვნებზე დაფუძნებული კონსტრუქციული და გეგმარებითი გადაწყვეტების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ნაგებობისათვის ნორმებით რეგლამენტირებულ სეისმომედეგობის დონეს.

ანტისეპტიკი – მომწამლავი ნივთიერება, რომელიც სპობს მიკრობებს და ამით ხელს უშლის ლპობას ცოცხალ ორგანიზმში. ის ორი სახისაა: ზეთოვანი (პეტროლატუმი, პარაფინი, ბიტუმი, გოგირდი, მცენარეული ზეთები, სილიციუმის ორგანული პოლიმერები, პოლიეთილენგლიკოლი) და წყალში ხსნადი (ფთორი, დინიტროფენოლი, ნატრიუმის ქლორიდი, პენტაქლორფენოლი, თუთიის ქრომქლორიდი). ა. ჟღენთენ ისეთ კონსტრუქციებს, სადაც მოსალოდნელია მათი დატენიანება (ხიდები, ანძები, კოშკები, ხიმინჯები, შპალები, ესტაკადები, ტელეგრაფის ბოძები, ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების საყრდენები და სხვ.). წყალში ხსნად ა. არა აქვს სუნი და ფერი, ადამიანისათვის უვნებელია, ამიტომ მათი გამოყენება მიზანშეწონილია დახურულ შენობებში. ზეთოვანი ა. კი ძლიერი მომწამლავი ნივთიერებაა სოკოებისათვის, აქვს არასასიამოვნო სუნი და მავნეა ადამიანებისათვის, ამიტომ ის იხმარება ისეთი კონსტრუქციების დასაცავად, რომლებსაც ექსპლუატაცია უხდებათ ღია ცის ქვეშ, წყალში ან მიწაში. დახურულ შენობებში ანტისეპტირებას ექვემდებარება ძირითადად ფიცრული კონსტრუქციები და კედლისა და სახურავის სამფენოვანი პანელების წებო-ფანერის კარკასები, რომლებსაც მუშაობა უხდებათ ტენიან პირობებში. სამშენებლო მოედანზე მერქნის ა. ხდება წყალში გახსნილი ანტისეპტიკებით ან პასტებით, რომლებიც დაიტანება ზედაპირზე საღებავსაფრქვევით ან ჰიდროპულტით. ანტისეპტირების დაწყებამდე მერქნის ზედაპირი უნდა გაიწმინდოს მტვერისა და ყოველგვარი ჭუჭყისაგან. პრაქტიკაში ყველაზე მეტი პოპულარობით

სარგებლობს წყალში ხსნადი ა., რომლითაც ჟღენთენ მერქანს. ის ხის მასივს უქმნის მაქსიმალურ ანტიბაქტერიულ დონეს და ერთდროულად ცეცხლმედეგობასაც ზრდის, მაგრამ დიდ მატერიალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული (1 მ³ ხის მასალაში შეყავთ 17-20 კგ მარილი). ზოგჯერ კომბინირებულ დაცვასაც მიმართავენ, როცა ერთდროულად იყენებენ სიღრმით გაჟღენთას და ზედაპირულ დაფარვას.

ანტისეპტირება – ხისა და მერქან-ბურბუშელოვანი დეტალების დამუშავება ანტისეპტიკური ხსნარებით – ანტისეპტიკებით, რომელიც ხელს უშლის ბიოლოგიური მავნებლების (სოკო, ობი, ხის ჭიები, მწერები და სხვ) გაჩენას, აგრეთვე უზრუნველყოფს ტენის უარყოფითი ზემოქმედებისაგან დაცვას.

ანტისტატიკი – პლასტმასის დანამატი, რომელიც ამცირებს პოლიმერული მასალის ელექტრიზაციას მისი გადამუშავებისა და ექსპლუატაციის დროს. პლასტმასების დიდი ნაწილი (პოლივინილქლორიდი, პოლისტირენი, პოლიოლეფინი) ადვილად აგროვებს ელექტრულ მუხტს, რადგანაც ისინი ბუნებით დიელექტრიკებია, ამიტომ ასეთი პლასტმასები მოითხოვს ა. დამატებას. ისინი შეიძლება იყოს ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები და ელექტრობის გამტარი შემავსებლები (ჭვარტლი, გრაფიტი, ლითონის ფხვნილი და სხვ.).

ანტიფემა – ძველი საბერძნეთის ტაძრებში უკანა ფასადზე განთავსებული ფრიზი (ზოფორი) (ნახ. 1. ათენის პართენონის ზოფორული ფრიზი); ანტიკურ არქიტექტურაში – ზოლი ან უბრალოდ ფრიზი, რომელიც გამოიყენებოდა კორინთულ და იონიურ არქიტექტურულ ორდერებში უწყვეტად განლაგებული ცხოველების ფიგურული გამოსახულებების ჯაჭვის სახით.



ნახ. 1

ანტიფრიზი (ბერძ. antí- წინააღმდეგ და ძვ. ინგლ. frēosan ყინულად გადაქცევა) – სითხე, რომელსაც გაყინვის დაბალი ტემპერატურა აქვს; იყენებენ ნულ გრადუსზე დაბალი ტემპერატურის პირობებში მომუშავე შიგაწვის ძრავებისა და სხვა დანადგარების გასაცივებლად, თვითმფრინავის ფრთებზე ყინულის ფენის გაჩენის საწინააღმდეგოდ, თვითმფრინავის ფანჯრის მინების დასაცავად გაორთქვლისაგან და სხვ.

ანტიფრიქციული მასალა – მასალა, რომელსაც ახასიათებს დაბალი ხახუნის კოეფიციენტი და გამოიყენება ძირითადად სრიალის ხახუნის პირობებში მომუშავე დეტალების დასამზადებლად (საკისარი, მილისი, სადები და ა.შ.). ა. მ. მიეკუთვნება ბრინჯაო, რუხი თუჯი, ტექსტოლიტი, ფთოროპლასტი 4, ბრინჯაოგრაფიტი, რკინაგრაფიტი და სხვ.

ანტიფრიქციული შეზეთვა – შეზეთვა სოლიდოლით, რომელიც გამოიყენება მექანიზმებში სრიალის ხახუნის და ცვეთის შესამცირებლად.

ანტიფუნგინი (ბერძ. antí- წინააღმდეგ და ლათ. fungus სოკო) – სითხე შენობის ხის ნაწილების დასაცავად ლპობისაგან, რასაც ხის სოკო იწვევს.

ანტიშემომყინავი სისტემა – ელექტრული გამათბობელი სისტემა, რომელიც მონტაჟდება შენობის ბურულზე და უზრუნველყოფს თოვლისა და მინაყინის დნობას ზამთრის პირობებში მუდმივი შეთბობის გზით.

ანტიციკლონი – ჰაერის წნევათა განაწილების არე, რომლის ცენტრში წნევა მაქსიმალურია, ხოლო პერიფერიისკენ თანდათანობით კლებულობს.

ანტიციპაცია (ლათ. anticipatio წინასწარ განჭვრეტა) – 1. რისამე წინასწარ განჭვრეტა, წინასწარ გამოცნობა, ვადაზე ადრე შესრულება, მოვლენის ადრე დადგომა, მოქმედების ადრე დამთავრება; 2. ეკონ. ვალის ამოღება კანონით გათვალისწინებულ ვადაში ან ვადამდელი ფულადი გადასახადი პროცენტების გათვალისწინებით, რომელიც ხდება მევალის რისკით; 3. ასტრ. ვარსკვლავების ხილული არანამდვილი წინსვლითი მოძრაობა.

ანტომონიდი (ლათ. antimōnium) – სტიბიუმის ნაერთები ლითონთან.

ანტონიმი – სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს, როგორებიცაა, მაგ., მთა და ბარი, შავი და თეთრი, ცხელი და ცივი, მაღლა და დაბლა და სხვ.

ანტრეპრენიორი (ფრანგ. entreprendre რაიმეს დაწყება, წამოწყება) – კერძო თეატრის, ცირკის და ა.შ. მფლობელი, არენდატორი.

ანტრეპრიზა (ფრანგ. entreprendre რაიმეს დაწყება, წამოწყება) – კერძო სანახაობითი საწარმო (თეატრი, კინოთეატრი, ცირკი და ა.შ.).



ანტრესოლი (ფრანგ. entresol სართულებს შორის) – 1. შენობის სართულის მოცულობაში ჩაშენებული დამატებითი ნახევარსართული სასარგებლო ფართობის გაზრდის მიზნით (ნახ. 1); 2. შუალედური დონე ან დონეები ნებისმიერი სართულის იატაკსა და ჭერს შორის; 3. დამხმარე სათავსის თავზე მოთავსებული კარადა.

ანტურაჟი (ძვ. ფრანგ. entour ის რაც გარს არტყია, არემარე, ირგვლივ) – გარემომცველ პირობათა ერთობლიობა; გარემო.

ანუიტეტი (ფრანგ. annuité ყოველწლიური შესატანი) – სესხის დაფარვის ფორმა, რომელიც გულისხმობს სესხზე ძირითადი თანხის და პროცენტის თანაბარ წილებით დაფარვას

ანფემი – ლენტური ორნამენტი პალმეტის ან სტილიზებული მცენარის.



ანფილადა (ფრანგ. enfiler აცმა, ერთიმეორეზე აცმა) – ერთ გრძივ ხაზზე განლაგებული, ღიობებით დაკავშირებული ოთახების, დარბაზების და მისთ. რიგი, რომელიც ქმნის გამჭოლ

პერსპექტივას. ინტერიერულმა ა. განსაკუთრებული გავრცელება პოვა ყველა კულტურის საკრალურ არქიტექტურაში. ა. ცნობილი მაგალითებია: პარიზის ვერსალის სასახლე, სანსუსი (ქ. პოტსდამი, გერმანია), ვიურცბურგის რეზიდენცია (ქ. ვიურცბურგი, გერმანია), რომაული ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი (ქ. მერიდა, ესპანეთი) (ნახ. 1) და სხვ.

ანჩისხატი (ინგლ. Anchiskhati Basilica) – ანჩისხატის ღვთისმშობლის ტაძრადმიყვანების ეკლესია, მარიამწმინდა ეკლესია, ზარის ეკლესია – დარბაზული ტიპის სამნავიანი ქრისტიანული ტაძარი (ნახ. 1. ადგილმდებარეობის რუკა; ნახ. 2. საერთო ხედი). მდებარეობს თბილისში, ძველი თბილისის მუნიციპალიტეტში, უძველეს ისტორიულ უბან ზემო კალაში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, იოანე შავთელის ქუჩაზე.

ტაძარს ანჩისხატი მას მერე ეწოდა, რაც 1675 წელს (ზოგიერთი მონაცემებით 1664 წელს) ანჩის ტაძრიდან (სამხრეთი საქართველო) აქ ბექა ოპიზარის (XII საუკუნე) მიერ მოჭედილი, ქართული ჭედურობის ბრწყინვალე ნიმუში, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი (ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში) გადმოასვენეს (ნახ. 3. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი). ეს ხატი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში და მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის სულიერ ცხოვრებასთან. ხატი შემკულია ვედრების კომპოზიციით. მისი თავსართი და დასაკეცი ფრთები მოჭედილია XIV საუკუნეში.



ნახ. 1

ისტორიული ცნობების მიხედვით ტაძარი აგებულია დაჩი უჯარმელის მეფობის დროს ღვთისმშობლის შობის სახელზე VI საუკუნეში (გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით), ეს ბაზილიკა თბილისში შემორჩენილი ყველაზე ძველი საეკლესიო ნაგებობაა. არაბთა ბატონობის პერიოდში ა. იყო საქართველოში ერთადერთი ტაძარი, სადაც ეკლესიის მსახურთ ეძლეოდათ ზარების დარეკვის უფლება, ამიტომ მას „ზარის ეკლესიასაც“ ეძახდნენ. მის ტერიტორიაზე 634 წელს აუშენებიათ საქართველოს კათალიკოსების სასახლე, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ანჩისხატის უბანი ქართველ წარჩინებულთა სამოსახლო იყო. ტაძრის სამხრეთით მეფის სასახლე იყო აგებული. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მეფობაში ანჩისხატთან საერო სკოლა და სასულიერო სემინარია ჩამოყალიბდა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებისას ტაძარი დაზიანდა, რომელიც აღადგინეს XIX საუკუნის დასაწყისში და შენობას დაუბრუნეს XVII საუკუნის სახე.

ანჩისხატის ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა (გარე ზომები: 21,5x13,5 მ), ნაშენია ტუფის თლილი ქვით (თავდაპირველი ფენა), ხოლო კედლების ზედა ნაწილები და ყველა შიგნითა სვეტი აგურისაა (XVII საუკუნის რესტავრაცია). ეკლესია ნავებად იყოფა თაღების საშუალებით. აფსიდი, ნავებს შორის ამოყვანილი ერთ-ერთი თაღედი და ღია ლუნეტები დასავლეთ და ჩრდილოეთ შესასვლელების თავზე



ნახ. 2

ნალისებრი ფორმისაა. თავდაპირველად აქ სამი წყვილი სვეტი ყოფილა (ნაცვლად ახლანდელი ორისა). კედლების ამოსაყვანად გამოყენებულია მოყვითალო ტუფის დიდი კვადრები, ხოლო XVII საუკუნეში აღდგენილი კამარები, თაღები, სვეტები, კედლების ნაწილები და კარნიზები აგურისაა. ტაძრის გეგმა წაგრძელებულ სწორკუთხედის ფორმისაა, რომელიც შიგნით, ბურჯების ორი წყვილით იყოფა სამ ნაწილად (თავდაპირველად აქ ბოძების სამი წყვილი იყო). შუა ნავი განაპირებზე ორჯერ განიერი და მაღალია. იგი გადახურულია ცალკე ორკალთიანი სახურავით და აღმოსავლეთით ნახევარწრიული მოხაზულობის საკურთხევლით მთავრდება. მის მარჯვნივ და მარცხნივ მოთავსებულია ცალკე სადგომები (სამკვეთლო და სადიაკვნე). ისინი გვერდით ნავებს თითო ვიწრო თაღით უკავშირდებიან. ეკლესიაში შესასვლელი სამივე კარი კარგად გათლილი მართკუთხა ძელით – არქიტრავრით არის გადახურული. ჩრდილოეთი და დასავლეთი შესასვლელების (ნახ. 4. შესასვლელი) თავზე ადრეული ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ნალისებრი მოხაზულობის ღია ლუნეტებია (ნახ. 5. კარის თავის ლუნეტი). ასევე ნალისებრი მოხაზულობით არის დასრულებული აღმოსავლეთი ფასადის სამი და დასავლეთი ფასადის ყველა სარკმელი.



ნახ. 3

საინტერესო დეტალია დასავლეთი ფასადის წყობაში ჩადგმული „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიციის ფრაგმენტიანი რელიეფი (ნახ. 6. „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიცია). მასზე შერჩენილია ე.წ. ბოლნური დაზიანებული მნიშვნელოვანია მასზე წარწერითაც.



ნახ. 4

აგურის ორსართულიანი მიეკუთვნება და გალავანსა და ქუჩას. მორთულობის ელემენტის ყვითელი ფერის ფილა ზედა წარწერით (ნახ. 7. რომლის მიხედვით წელს აუშენებია დომენტი სართულზე განთავსებულია ერთი საცხოვრებელი ოთახი

ჯვრისა და ანგელოზის ძლიერ გამოსახულებები. ეს რელიეფი მიკვლეული ასომთავრული

სამრეკლო გვიან ფეოდალურ ხანას ორგანულადაა შერწყმული სამრეკლოს კედელში როლს ასრულებს კონტრასტული ამოკვეთილი სამშენებლო სამრეკლოს სამშენებლო წარწერა), დგინდება, რომ სამრეკლო 1675 კათალიკოსს. სამრეკლოს პირველ ტაძრის მცველთა სადგომები. კიდევ გასასვლელის თაღის (ნახ. 8. სამრეკლოს კარიბჭის გასასვლელის თაღი) ზემოთაა მოთავსებული.



ნახ. 5



ნახ. 6

მიუხედავად მრავალი განახლებისა, ტაძარმა ძირითადად შეინარჩუნა პირვანდელი არქიტექტურული კომპოზიცია და დღესაც თბილისის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.



ნახ. 7



ნახ. 8

ანძა – დგარის სახით ვერტიკალურად დაყენებული საინჟინრო ნაგებობა, რომელსაც საერთო მდგრადობის უზრუნველსაყოფად სიმაღლეზე ადგილ-ადგილ დამაგრებული აქვს საჭიმრები (ნახ. 1). მისი ძირითადი კონსტრუქციული ელემენტებია: ტანი, საძირკველი, ლითონის საჭიმრები და საანკერო საყრდენები, რომლებიც ქმნის ერთიან სივრცით კონსტრუქციას სიმაღლით 200 მ-მდე. ძირითადად მზადდება ლითონის ან ხის მასალისაგან. ტანი გეგმაში შეიძლება იყოს წრიული, სამკუთხა ან ოთხკუთხა ფორმის. აწყობა ხდება იარუსებად (იარუსის სიმაღლე 5-25 მ), რომელთა გადაბმის სიბრტყეში ხორციელდება ანძის ტანზე საჭიმრების მიმაგრება (ნახ. 2). ტანისათვის გამოიყენება ხის მორები (ხის ანძებში) ან ფოლადის პროფილები მილების ან კუთხედების სახით (ლითონის ანძებში), ხოლო საჭიმრებად – ფოლადის ბაგირები ან მავთულები. ანძის ტანის საძირკველთან მიმაგრება ყოველთვის სახსრულია.





ანძური ამწევი – ისრიანი სტაციონარული ასაწყობი ამწე, რომლის დანიშნულებაა ტვირთებისა (საშენის მასალების) და ადამიანების გადაადგილება სიმაღლეზე, მოსაპირკეთებელი და სამონტაჟო სამუშაოების შესრულება შენობის ფასადის გასწვრივ და სხვ. მიეკუთვნება ციკლური მოქმედების მანქანა-მექანიზმების კლასს. პირველი ცნობები ასეთი მანქანების შესახებ თარიღდება X საუკუნით, როცა ხის მორებისგან დამზადებულ ა. ა. (ხელის ამძრავით) იყენებდნენ მაღაროებსა და შახტებში მოპოვებული წიაღისეულის მიწის ზედაპირზე ამოსატანად. ანძური ამწევის ძირითადი კონსტრუქციაა ლითონის (იშვიათად ხის) ხისტი სივრცითი წამწე-ანძა სამკუთხა ან ოთხკუთხა განივკვეთით, რომელიც ამწის გადაადგილებისას ასრულებს სატვირთო პლატფორმის მიმმართველის როლს (ნახ. 1). კონსტრუქცია შეიძლება იყოს თვითმზიდი ან მიმაგრებული კედელზე სპეციალური კრონშტეინების დახმარებით. ამწევ მექანიზმად გამოყენებულია ბაგიროვანი პოლისპასტური მექანიზმები. განასხვავებენ ანძურ ამწევებს: ხისტფეხებიანს (ანძა უძრავია) და ვანტურს (ანძა ბრუნავს საყრდენებში, რომელთაგან ერთ-ერთი შეკავებულია ვანტებით). ძირითადად გამოიყენება სამონტაჟო სამუშაოებზე. ტვირთამწეობა 5-40 ტ.



ნახ. 1

ანჯამა – ღეროთი შეერთებული ლითონის ორი თამასა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდად ან სხვადასხვა დეტალის შესაერთებლად (ნახ. 1). ა. მრავალი სახეობა არსებობს: ზამბარიანი, კარის, კარტისებრი, კარტისებრი სახსნელი, კასრისებრი, კუთხოვანი, ლომბერის, მოკლე ცალფრთიანი, ნახევრადსახსრული, ორსახსრიანი, როიალის, საავეჯო, საბრუნი, სარკმლის, სატაცი, საქუსლე, სახსნელი, სახსრული, სწორი, ფანჯრის, ფასონური, შვერილი, ჩახვეულფრთიანი და სხვ.





ანჯამა ზამბარიანი – ანჯამის სახეობა, რომელიც ზამბარებით ჩამოკიდებული დეტალის (მაგ., კარის) საწყის მდგომარეობაში დასაბრუნებლადაა აღჭურვილი (ნახ. 1. ავეჯის ზამბარიანი ანჯამა).



ანჯამა კარის მანჭვალიანი – ანჯამის სახეობა, რომელიც

შედგება მილის გადანაჭრების, კუთხვილებისა და მათი დასაკავშირებელი მანჭვალისაგან (ნახ. 1). გამოიყენება შედარებით მსუბუქი კარ-ფანჯრებისათვის.

ანჯამა კარტისებრი – ანჯამის სახეობა, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ფრთისაგან შედგება და მხოლოდ დამაკავშირებელი ღეროს გარშემო შეუძლია ბრუნვა.



ანჯამა კუთხოვანი – ანჯამის სახეობა, რომლის ფრთები მოღუნულია გარკვეული კუთხით (მეტწილად 90°-ით) (ნახ. 1).



ანჯამა ლომბერის – ანჯამის სახეობა, რომელიც ორი მოგრძო და ვიწრო ფრთისაგან შედგება (ნახ. 1). გამოიყენება ასაკეცი მაგიდების, სკამების, საკერავი მანქანებისა და მისთ. დამზადებისას.

ანჯამა მალული – ანჯამის სახეობა, რომელიც კონსტრუქციის ორიგინალობის გამო არ ჩანს გარედან, როცა კარი დაკეტილია და, შესაბამისად, არ ცვლის კარის ფასადის დიზაინს. გარდა ამისა, ა. მ. უზრუნველყოფს კარის გაღებას ორივე მხარეს 180°-ით, რაც საშუალებას იძლევა ასეთი ანჯამები გამოყენებული იქნეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც საჭიროა კარის ორმხრივი გაღება (ნახ. 1).





ანჯამა როიალის (პიანინოს) – მაღალი ხარისხის, ზოგჯერ ფერადი ლითონისგან დამზადებული მოკლე ფრთიანი და გრძელი ანჯამა, რომელიც ძირითადად როიალების, პიანინოების და ავეჯის წარმოებაში გამოიყენება (ნახ. 1).

ანჯამა შვერილი – ანჯამის სახეობა, რომლის ფრთების შემაერთებელი ნაწილი გამოშვერილია (გამოწეულია) შესაერთებელი დეტალების ზედაპირებიდან.



ანჯამა ჩაუჭრელი (ანჯამა-პეპელა) – ანჯამის სახეობა, რომელიც გამოიყენება ოთახთშორისი კარისათვის. გამოირჩევა იმით, რომ დაყენებისას არ საჭიროებს კარის ჩარჩოს ძელისა და ფრთის ფიცრის ჩაჭრას (მაგრდება ზემოდან) (ნახ. 1).

ანჯამა ჩახვეულფრთიანი – ანჯამის სახეობა, რომლის ერთი ან ორივე ფრთა მოღუნულია დეტალის უკეთ ფიქსირება-დამაგრებისათვის.

ანჰიდრიდი (ბერძ. ánȳdros უწყლო) – 1. ჟანგბადიანი ნაერთი, რომელიც წყალთან შეერთებით იძლევა მჟავას.

ანჰიდრიტი (ბერძ. ánȳdros უწყლო) – კალციუმის სულფატი, რომლის წყალთან შეერთებით მიიღება თაბაშირი. ნაცრისფერი, თეთრი, რუხი, მოწითალო, მოცისფრო, მოიისფრო, გამჭვირვალე, ზოგჯერ მღვრიე ფერის მინერალი. თანაარსებული მინერალები: თაბაშირი, ჰალიტი, სილვინი. ა. გამოიყენება გოგირდმჟავას მისაღებად და საშენ მასალად. საბადოები: გერმანიაში, რუსეთში, უკრაინაში, საქართველოსა და სხვ.

აორთქლება – ნივთიერების თხევადი (ზოგჯერ მყარი) მდგომარეობიდან აირად მდგომარეობაში გადასვლის პროცესი, რაც, ძირითადად მიმდინარეობს სითბოს ზემოქმედებით.

აორთქლების კუთრი სითბო – ფიზიკური სიდიდე, რომელიც აჩვენებს სითბოს რაოდენობას, რომელიც საჭიროა მივაწოდოთ 1 კგ ნივთიერებას, დუღილის ტემპერატურის დროს, რათა ის გადავიდეს თხევადი მდგომარეობიდან გაზისებრ მდგომარეობაში. განზომილება – ჯ/კგ. ა. კ. ს. გამოითვლება ფორმულით: L = Q/m, სადაც Q – სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა ნივთიერების თხევადი მდგომარეობიდან გაზისებრ მდგომარეობაში გადასაყვანად; m – ნივთიერების რაოდენობა (წონა).

აპადანა (სანს. āpādana ჩასვლა, მოტანა) – აღმოსავლეთ ქვეყნების მეფეთა საზეიმო მისაღები სასახლე, მრავალი სვეტით შემკული და ხის ბრტყელი ჭერით გადახურული [ნახ. 1. პერსეპოლისი (რეკონსტრუქცია), ქ. მარვდაშტი, ირანის ისლამური რესპუბლიკა].

აპარატი (ლათ. apparātus მოწყობილობა, ხელსაწყოები) – მოწყობილობის ან სისტემის დამთავრებული ერთობლიობა რაიმე ფუნქციის შესასრულებლად. ამ ტერმინში იგულისხმება: 1. მექანიზმების ერთობლიობა (ჰიდრო-, ელექტრო-, მექანიკური და სხვ.) ერთიანი დამთავრებული კონსტრუქციული შესრულებით; 2. ერთობლიობა (სისტემა) რაიმე სპეციალური პროცედურების და ფუნქციებისა რომელიმე მეცნიერებაში (მაგ., ლოგიკური აპარატი); 3. ცოცხალი ორგანიზმის ორგანოების ერთობლიობა, საერთო ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ვესტიბულიარული აპარატი); 4. საორგანიზაციო სტრუქტურების ერთობლიობა, რომლებიც ემსახურება განსაზღვრულ დარგს ან რომელიმე დაწესებულებას (მაგ., პრეზიდენტის აპარატი). ზოგადად, სამშენებლო საქმეში, აპარატის მრავალი სახეობა გამოიყენება: აგზნების, ავტომატური, აირსაშემდუღებლო, ამომხაპი, ამოსაჭმელი, ბგერათჩამწერი, ბენზინის, გადამყვანი, გადასატანი, გადასაღები, გამმართველი, გამოორთქვლის, გამოსაშვები, გამოსახდელი, დანებიანი, დისკოიანი, ელექტრომაგნიტური, ვიბრაციული, თეფშებიანი, იონმიმოცვლითი, კონუსური ჩამტვირთავი, ლაბორატორიული, მაგნიტური, მამდიდრებელი, მარეგისტრირებელი, მართვის, მიმყვანი, მიმწოდი, მინის, მკვებავი, ნიადაგჩამჭიდი, ნიჩბოვანი, რენტგენის, რულონური, სააგლომერაციო, სავალი, საკეცი, საკიდი, საკონდიციო, საკონტაქტო, საკონტროლო, სალაპარაკო, სალესი, სამრავლებელი, სამსხვრევი, საპროექციო, საჟღენთი, სარეგულირებელი, სარეცხი, სასიგნალო, სასხურებელი, საფანტმტყორცნი, საფანტჭავლური, საფრეზავი, საფრენი, საფშვნელი, საშემდუღებლო, საშრობი, საჩრდილობელი, საწვიმებელი, საწყვეტი, საჭირხნი, საჭრელი, სახარში, სილაჭავლური, ტელეფონის, უკონუსო ჩამტვირთავი, უნიფიცირებული, ფრთიანი, ფრიქციული, შემომვლები, ჩამრთველი, ჩამტვირთავი, ჩამწყობი, წამყვანი, წკირებიანი, ხელის, ჰაერჭავლური, ჰიდრავლიკური და სხვ.

აპარატი შემომქრევი – გახურებული ორთქლის ქვაბის შიგა ზედაპირიდან ნაცრის, დანალექის, ჟვარტლის მოსაცილებელი მოწყობილობა ორთქლის ნაკადით ან შეკუმშული ჰაერით. ორთქლის წნევა აღწევს 4 მპა (40 კგ/სმ^2) და მეტს.

აპარატურა (ლათ. apparāre მომზადება) – რაიმე სამუშაოს შესასრულებელი აპარატების, ხელსაწყოების ერთობლიობა; ლაბორატორიის, საამქროს, დიდი დანადგარისა და მისთ. მოწყობილობა.

აპარატურული საშუალებები (ლათ. apparāre მომზადება) – ელექტრონული და ფიზიკური კომპონენტები, რომლებიც შედის კომპიუტერის ან სხვა ელექტრონული სისტემის შემადგენლობაში.

აპარელი (ლათ. apparāre მომზადება) – იხ. პანდუსი.

აპარტამენტი (იტალ. appartare განცალკევება, გაყოფა) – 1. მდიდრულად მორთული დიდი ბინა; 2. ოთახების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან ერთ რეზიდენციას; 3. ბინების ბლოკი; 4. კერძო ოთახების ერთობლიობა ძალიან დიდ სახლში.

აპატიტი (ბერძ. apátē სიცრუე, თაღლითობა) – აპლიტის აქცესორული მინერალი, რომელიც შედგება ფოსფორმჟავა კალციუმის, ქლორისა და ფთორისაგან; გამოიყენება სასუქად.

აპერიოდული სისტემა – სისტემა, რომელშიც ენერგიის დიდი დანაკარგის გამო არ აღიძვრება საკუთარი რხევები.

აპერტურა (ლათ. aperīre გახსნა, გაღება) – ოპტიკური სისტემების მოქმედი ხვრეტი, რომელიც განისაზღვრება ლინზების ან დიაფრაგმის ზომით.

აპველინგი (ძვ. ინგლ. uppe უმაღლეს მდგომარეობაში და wel, wæl, well უხვი, ძალიან) – წყალსატევის სიღრმიდან წყლის ქვედა ფენების ამოსვლა ზედაპირზე, როცა ზედაპირული წყლის ფენები ქარის ქროლვის შედეგად ზღვისკენ მიედინება.

აპლანატი (ბერძ. a უარყოფითი ნაწილაკი და plane ხეტიალი, გადახრა, შეცდომა) – ობიექტივი, რომელშიც გასწორებულია სფერული და ქრომატული აბერაციები, კომა და დისტორსია, ხოლო ასტიგმატიზმი გასწორებულია მხედველობის შედარებით მცირე ველისთვის. ა. შედგება ორო აქრომატული ლინზისგან, რომელთა შორის მოთავსებულია დიაფრაგმა.

აპლანატური – უცვლელი, გადაუხრელი.

აპლიკატა (ლათ. applicata გამოყენებული ნივთები) – სივრცეში წერტილის ერთ-ერთი მართკუთხა დეკარტის კოორდინატი, რიგით მესამე (აბსცისის და ორდინატის შემდეგ). აღინიშნება ლათინური ასოთი z.



აპლიკაცია (ლათ. applicāre მიმაგრება, შეერთება) – ნახატის (ორნამენტის) შექმნის ხერხი ფერადი ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით (დაკერებით) (ნახ. 1); ნაკეთობა მხატვრული, ზედნადები ორნამენტებით.

აპლიკე (ლათ. applicāre მიმაგრება, შეერთება) – 1. რამეზე გადაკრული ვერცხლი; 2. ლითონის ნაწარმი, რომელზეც გადაკრულია ვერცხლის თხელი ფენა.

აპლიტი (ბერძ. haplóos მარტივი) – მაგმური, ღიად შეფერილი, ძარღვოვანი ქანი, წვრილმარცვლოვანი გრანიტი. მეტწილად დაკავშირებულია გრანიტებთან და აგებულია კვარცით, ტუტე მინდვრის შპატებითა და იშვიათად მჟავა პლაგიოკლაზებით. ა. აქცესორული მინერალებია: გრანატი, ცირკონი, ტურმალინი, აპატიტი, ორთიტი და სხვა. ის მაგმის დიფერენციაციის პროდუქტია. იყენებენ კერამიკულ წარმოებაში.

აპოგეა (ბერძ. apógaios დედამიწისგან მოშორებული<apó- შორს, მანძილზე, -გან, -დან და gê დედამიწა) – დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ან მთვარის ორბიტის წერტილი, რომელიც დედამიწის ცენტრიდან მაქსიმალურადაა დაშორებული (გადატ. რისამე განვითარების უმაღლესი წერტილი; აყვავება). უახლოეს წერტილს პერიგეა ეწოდება.



აპოდიტერიუმი – ტანსაცმლის გასახდელი ძვ. რომაულ თერმებში (აბანოებში).

აპოთეკა – საწყობი (ზეთის, ღვინის და სხვ.) ძვ. რომაულ სახლში, ხშირად ზედა სართულზე.

აპოთემა (ბერძ. apo მოშორებით შორს და théma შეთავაზება, საწინდარი) – 1. წესიერი მრავალკუთხედის ცენტრიდან მის ნებისმიერ გვერდზე დაშვებული მართობის სიგრძე (ნახ. 1); 2. წესიერ პირამიდაში – გვერდითი წახნაგის სიმაღლე.

აპორტი (ლათ. portāre ტარება, წაღება) – ქონება, რომელიც შედის აქციონერულ საზოგადოებაში საწარმოს აქციების გაყიდვის შემდეგ და რომელიც გათანაბრებულია ფულადი შენატანის განსაზღვრულ თანხასთან; 2. ვაშლის ჯიში.

აპოსტერიორული – ცდაზე, ფაქტზე დამყარებული, ცდიდან გამომდინარე, ცდისეული.

აპოფიგი – კლასიკური სვეტის ზედა და ქვედა ნაწილებში გამონაშვერები სვეტის (კოლონის) ტანის კაპიტელთან და ბაზასთან შეერთების ადგილებში.

აპრეტი (ფრანგ. Appret გამოყვანა, მოპირკეთება) – ნივთიერება (სახამებელი, საპონი, ცხიმი, ცელულოზია ეთერი, სინთეზური ფისი და სხვ.) რომელშიც გაიპოხება (აპრეტირება) მასალა (ქსოვილი, ტრიკოტაჟი) საჭირო თვისებების (სიხისტე, მოქნილობა, ბზინვა, უწვადობა, ტენმედეგობა, ადჰეზია და სხვ.) მისაცემად.

აპრიორული – 1. ცოდნა, რომელიც ცდამდე და მისგან დამოუკიდებლადაა მოცემული ცნობიერებაში და ის თვითონ განსაზღვრავს ცდაში მიღებულ გრძნობად მონაცემებს. ის არის ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელ საყოველთაობის მატარებელი იდეალური ფორმა; 2. ცდისაგან დამოუკიდებელი, იმთავითვე არსებული.

აპროქსიმაცია (ლათ. proximus უახლოესი) – ერთი სიდიდის ან გეომეტრიული ნიმუშის გამოსახვა მეორე, უფრო მარტივი სახით. მაგ., მრუდი წირის შეცვლა ტეხილით, ირაციონალური რიცხვის რაციონალურით, უწყვეტი ფუნქციის წარმოებულის მრავალწევრით, დიფერენციალური განტოლებების სისტემით აღწერილი გამოსაკვლევი წრფივი სისტემის შეცვლა წრფივი განტოლებების სისტემით და სხვ. აპროქსიმაციის საშუალებით ობიექტების რიცხობრივი ან თვისებრივი მახასიათებლების შესწავლა შეიძლება დავიყვანოთ უფრო მარტივი ან უფრო მოსახერხებელი ობიექტების შესწავლაზე. მათემატიკის ზოგი დარგი მთლიანად ეძღვნება აპროქსიმაციას (მაგ., ფუნქციის მიახლოება და ინტერპოლაცია, რიცხვითი მეთოდები).

აჟიო (ბერძ. allágē შეცვლა, გაცვლა) – 1. ფულის ნიშნების, თამასუქებისა და ფასიანი ქაღალდების საბირჟე კურსის აწევა, მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტობით. მაგ., თუ 10 დოლარის ღირებულების აქცია ბირჟაზე 11 დოლარად იყიდება, მაშინ აჟიო შეადგენს 10%-ს; 2. ქაღალდის ფულში გამოხატული ოქროს საბაზრო ფასის ზრდა ქაღალდის ფულის რაოდენობასთან შედარებით; 3. იგივეა, რაც ლაჟი. საპირისპირო – დიზაჟიო.

აჟიოტაჟი (ბერძ. allágē შეცვლა, გაცვლა და āticum ეკუთვნის, დაკავშირებულია) – სპეკულაციური ოპერაციები ბირჟაზე ან ბაზარზე საქონლისა და ფასიანი ქაღალდების ფასების ხელოვნური გაზრდის მიზნით.

აჟურული ხლართი – შუა საუკუნეების ფანჯრის სახიანი ხვეულა, დამზადებული მთლიანი ქვისაგან. მოგვიანებით (XVIII საუკუნიდან) ქვა შეცვალა ლითონმა. აჟურული ხლართის

სახეობებია: გეომეტრიული, ურთიერთგადამკვეთი, ბადისებრი, ლირსული და მრუდწირული.

არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლუატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას.

არააღსადგენი ობიექტი – ობიექტი, რომლისთვისაც განსახილველ სიტუაციაში მუშაობის უნარის აღდგენა არ არის გათვალისწინებული ნორმატიულ-ტექნიკური ან საკონსტრუქტორო დოკუმენტაციით.

არაბესკი (იტალ. arabesco არაბულ სტილში, არაბული) – 1. რთული ნატიფი ორნამენტების საერთო დასახელება, დაფუძნებული გეომეტრიული, მცენარეული და კლასიკური მოტივების შეხამებაზე, რომელიც შეიცავს წარწერებს, ჩანაჭრებს, ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებებს და სხვ. ისლამურ რელიგიაში ა. არის დეკორაცია, რომელიც დამახასიათებელია მეჩეთის მოხატულობისათვის. მაჰმადიანებისათვის ამ ფორმათა შერწყმა ქმნის უსასრულო მოხატულობას, რომელიც გრძელდება წარმოსახვითი სამყაროს ჩარჩოს მიღმა (ნახ. 1. ფერადი არაბესკის ნიმუში თოფქაფის სასახლის ერთ-ერთი კედლის კერამიკულ ფილებზე, ქ. სტამბოლი, თურქეთი); 2. წიგნის მხატვრული სტილიზებული მოსართავი, ზოგჯერ არაბული წერისადმი მიმსგავსებული; 3. მოკლე ნაწარმოებები, თავმოყრილი კრებულში.



არაბინი (არაბილი) (ბერძ. Áraps არაბი, არაბული) – მცენარეული ბლანტი წებოს ნაირსახეობა. მიიღება კარტოფილის სახამებლის ან ფქვილისაგან, მასზე მწვავე ნატრიუმის ან ამიაკის ზემოქმედებით. ძირითადად გამოიყენება ქაღალდის წარმოებაში.

არაბინოგალაქტანი (ბერძ. Áraps არაბი, არაბული და gála რძე) – ბუნებრივი პოლისაქარიდი, რომელიც შედის ციმბირის (დაურიის) ლარიქსის მერქნის შემადგენლობაში. მას მერქნის მოცულობის 15% უჭირავს, ანუ ის საკმაოდ ადვილად მოსაპოვებელი პოლიმერია, რომელსაც თვისება აქვს შექმნას რთული ნაერთები ლითონთან და ოქსიდებთან. ა. წარმოადგენს განშტოებული აგებულების წყალში ხსნად პოლისაქარიდს მაღალი მოლეკულური მასითა და მოლეკულის ზომით 2 ნანომ.(ნანომეტრი). მისი ხსნარი დაბალი სიბლანტისაა, ადვილად აღწევს მცენარეების კაპილარულ სისტემაში და ცხოველურ ქსოვილებში. აქვს ანტიპირენის თვისებები. ქმნის უნიკალურ ნანოკომპოზიტურ კომპლექსებს სხვადასხვა უხსნად მოლეკულებთან, კერძოდ, დიჰიდროკვერცეტინთან და შეუძლია ეს მოლეკულები გადაიტანოს ბიოლოგიური ქსოვილის სიღრმეში. ტექნიკაში ფართოდ გამოიყენება ა. წებვადობის თვისება მაღალხარისხოვანი ქაღალდის წარმოებაში (ამაღლებს სიმტკიცეს). ამჟამად არაბინოგალაქტანი გამოიყენება ადამიანის საკვებ დანამატად, ცხოველთა კვებაში, კოსმეტიკაში, ფარმაციაში, მშენებლობაში, ქაღალდის წარმოებაში, მცენარეთა გაზრდისათვის და სხვ.

არაგაბარიტული – ტვირთი, ნაკეთობა, მოწყობილობა და მისთ., რომელიც არ თავსდება სტანდარტულ კონტეინერში, მისაბმელსა თუ რკინიგზის ვაგონში. ტვირთი, რომელიც აღემატება სიგრძით 13,6 მ, სიგანით 2,50 მ., სიმაღლით 3 მ და წონით 24 ტონას

არაგაბარიტულ ტვირთად ითვლება. ა. და მძიმეწონიანი ტვირთის გადაზიდვას სჭირდება სპეციალური ტექნიკა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ნებართვა.

არაერთგვაროვნება – სისტემის ფიზიკური თვისებების ან ქიმიური შედგენილობის სხვადასხვაობა სხვადასხვა ნაწილში, სხვადასხვა ფაზაში.

არათავისუფალი მექანიკური სისტემა – მექანიკური სისტემა, რომლის შესაძლო მოძრაობები შეზღუდულია ბმებით.

არათავისუფალი მოძრაობა – წერტილის მოძრაობა, როდესაც მასზე დადებული ბმების შედეგად წერტილი იძულებულია იმოძრაოს მოცემულ ზედაპირზე ან წირზე.

არათავისუფალი მყარი სხეული – სხეული, რომლის გადაადგილება თუნდაც ერთი მიმართულებით შეზღუდულია სხვა სხეულით. მოცემული სხეულის გადაადგილების შემზღუდავ სხეულებს ბმები ეწოდება.

არათანაბარი მოძრაობა – მოძრაობის სახეობა, როდესაც მოძრავი წერტილის სიჩქარე დროის ფუნქციაა.

არათანაზომადი სიდიდეები – ორი ერთგვაროვანი სიდიდე (სიგრძე, ფართობი და სხვ.) რომლებსაც არა აქვთ საერთო საზომი (მაგ., კვადრატის გვერდი და დიაგონალის სიგრძეები, წრეწირისა და მისი დიამეტრის სიგრძეები და სხვ.). არათანაზომადი სიდიდეების ფარდობა წარმოადგენს ირაციონალურ რიცხვს.

არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის), სხვისათვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ა. ა. მიეკუთვნება: საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩაიზი, საბადოს დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლება და სხვა ამგვარი არამატერიალური აქტივი.

არამდგრადი (რეაქტიული) ნივთიერება – ნივთიერება, ფეთქებადსაშიშების გარდა, რომელიც სუფთა სახით ან სერიულად წარმოებული განიცდის ძლიერ პოლიმერიზაციას, იშლება, კონდენსირდება ან ხდება თვითრეაქტიული და განიცდის სხვა ძლიერ ქიმიურ ცვლილებებს, აფეთქებასაც კი სითბოს, ხახუნის ან დარტყმითი ზემოქმედებისას, ინჰიბიტორის არარსებობის ან დამბინძურებლის არსებობისას, ან შეუთავსებელ ნივთიერებებთან შეხებისას, არამდგრადი (რეაქტიურლი) ნივთიერებები იყოფა შემდეგ კლასებად: კლასი 1. ნივთიერებები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მდგრადია, მაგრამ მომატებული ტემპარატურისა და წნევისას შეიძლება არამდგრადად იქცეს; კლასი 2. ნივთიერებები, რომლებიც, ჩვეულებრივ, არამდგრადია და ზემოქმედებით ადვილად განიცდის ქიმიურ ცვლილებებს, მაგრამ არ ახასიათებს დეტონაცია. ამ კლასის ნივთიერებები ნორმალური ტემპერატურისა და წნევისას განიცდის ქიმიურ ცვლილებებს ენერგიის სწრაფი გამოთავისუფლებით, ხოლო მომატებული ტემპარატურისა და წნევისას ზემოქმედებით განიცდის ქიმიურ ცვლილებებს; კლასი 3. ნივთიერებები, რომლებიც ადვილად დეტონირებადია, ფეთქებით იშლება ან ფეთქებადი რეაქციები ახასიათებს, მაგრამ ძლიერი აღმზნები წყარო სჭირდება ან რეაქციის დაწყებამდე დახურულ ჭურჭელში უნდა გაცხელდეს. ამ კლასში შედის ნივთიერებები, რომლებიც მგრძნობიარეა მექანიკურ ან თერმულ დარტყმაზე მომატებული ტემპერატურისა

და წნევის პირობებში; კლასი 4. ნივთიერებები, რომლებიც ადვილად დეტონირებადია, ფეთქებით იშლება ან ფეთქებადია ნორმალური ტემპერატურისა და წნევის პირობებშიც. ამ კლასში შემავალი ნივთიერებები მგრძნობიარეა მექანიკურ ან ლოკალიზებულ თერმულ დარტყმაზე ნორმალური ტემპერატურისა და წნევის პირობებში.

არამდგრადი რეჟიმი – პროცესი, როდესაც მექანიზმს, დანადგარს ან სისტემას არ აქვს უნარი შემაშფოთებელი ძალების ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ ავტომატურად – გარე ძალების ან ოპერატორის ჩარევის გარეშე აღადგინოს ნორმალური რეჟიმი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში აგრძელებს განვითარებული პარამეტრების ცვალებადობას მნიშვნელოვან დიაპაზონში.

არამდგრადი წონასწორობა – მექანიკური სისტემის წონასწორობის სახე, რომელიც იმით ხასიათდება, რომ წონასწორობაში მყოფი მექანიკური სისტემის მცირე შეშფოთების შემდეგ სისტემაზე მოქმედი ძალები ცდილობენ დააშორონ იგი საწყის მდებარეობას.

არამეტალები – უბრალო ქიმიური ნივთიერებები, რომელთაც არ ახასიათებთ ბზინვარება, ჭედვადობა და ცუდი ელექტრო- და სითბოგამტარები არიან (მაგ., ქვა, პლასტმასა და სხვ.). ა. მიაკუთვნებენ 22 ელემენტს. მათ შორისაა: ბორი, ნახშირბადი, სილიციუმი, ფოსფორი, გოგირდი, სელენი, დარიშხანი, იოდი, აზოტი, ქლორი, ფთორი, ინერტული გაზები და სხვ.

არამზიდი კონსტრუქცია – კონსტრუქცია, რომელიც გავლენას არ ახდენს შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სიხისტეზე, სიმტკიცესა და მდგრადობაზე. დამატებით იხ. თვითმზიდი კედელი.

არამიდი [ინგლ. aramid აბრევ. aromatic polyamide არომატული პილიამიდი; ბერძ. árōma სანელებელი, ტკბილი საკმაზი, ტკბილი სურნელი, სურნელოვანი ან ტკბილი ბალახი, polýs მრავალი და ammōniakós ამონი (ძველეგვიპტური ღვთაება)] – არომატული პოლიამიდის შემოკლებული დასახელება და წარმოადგენს სინთეზურ ბოჭკოს მაღალი მექანიკური და თერმული სიმტკიცით. ყველაზე მეტად არის გავრცელებული არამიდის პარა- და მეტა-იზომერები – პარაამიდი (Kevlar, Twaron, Sulfron, Teijinconex, Technora) და მეტა-არამიდი (Nomex). არამიდისა და მისგან ნაწარმოები ძირითადი მასალების გამოყენების სფეროებია: სამოქალაქო მშენებლობა, ბაგირები და კაბელები, თერმოპლასტიკური მილები, ტექნიკური ქაღალდი, საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა, კოსტიუმები მეხანძრეებისათვის, თბოსაიზოლაციო მასალები, საბურავები, კონსტრუქციული პლასტიკები და სხვ. შეუცვლელი მასალაა ტყვიაგაუმტარი ჟილეტის დასამზადებლად.

არანივთობრივი აქტივები – საბუღალტრო აღრიცხვის სახე, რომელიც გამოხატავს ფირმის არანივთობრივი აქტივების ღირებულებას. ჩვეულებრივ გამოითვლება როგორც სხვაობა ფუნქციონირებად ფირმისათვის გადახდილ ფასსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის. თუ გასაყიდ ფირმას აქვს კარგი რეპუტაცია, ჰყავს მრავალი მომხმარებელი და კლიენტი, რომლებიც, ალბათ, დარჩებიან მასთან მისი გაყიდვის შემდეგ, ეს შედის მის არანივთობრივ აქტივებში.

არაორგანული – ის, რაც არ შეიცავს ცოცხალ ორგანიზმებს; შეისწავლის არაცოცხალი ბუნების თვისებებს, შემადგენლობას და გარდაქმნებს (მაგ., არაორგანული ქიმია).

არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დამატებული ღირებულების, აქციზი, იმპორტის), რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან მომსახურების გამწევს, რომელიც გადასახადის გადამხდელად იწოდება.

არაპირდაპირი დანახარჯები (ირიბი დანახარჯები) – დანახარჯები, რომელიც ერთდროულად რამდენიმე სახის პროდუქციაზე ნაწილდება, ამიტომ გაწევის მომენტში ცნობილი არაა, რომელი სახის პროდუქციის თვითღირებულებას მიეკუთვნოს და მხოლოდ განაწილების გზით (ანუ არაპირდაპირი გზით) შედის პროდუქციის თვითღირებულებაში. არაპირდაპირი ხარჯების მიბმა უშუალოდ დანახარჯების ერთეულთან ან დანახარჯთა ცენტრთან, შეუძლებელია. მათ მიეკუთვნება საწარმოო და არასაწარმოო ზედნადები ხარჯები. საწარმოო ზედნადებ ხარჯებში შედის: არაპირდაპირი მასალის ხარჯი, არაპირდაპირი შრომითი ხარჯი და დანარჩენი არაპირდაპირი ხარჯები.

არაპირდაპირი ჰიდრავლიკური დარტყმა – მილსადენში სწრაფად მიმდინარე არამდგრადი მილევადი რხევითი პროცესი, რომელიც წარმოიქმნება მილსადენის განივკვეთის უეცარი არასრული (ნაწილობრივი) გადაკეტვისას სითხის ნაკადის მოძრაობის სიჩქარის უეცარი ნაწილობრივი შემცირებით და ხასიათდება წნევის შედარებით ნაკლები მატებით (ამპლიტუდით) დამყარებული რეჟიმის წნევასთან შედარებით.

არასაბაზრო ურთიერთობა – ურთიერთობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკაში ყალიბდება ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების, სახელმწიფო საწარმოებში მტკიცე ფასების დადგენის, სახელმწიფო დაკვეთების შემოღების, მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებისას. არასაბაზრო პირობებში მოქმედებენ საბიუჯეტო დაფინანსების ორგანიზაციები.

არასაოპერაციო ხარჯები – დანახარჯები, რომლებიც მოცემული საწარმოსათვის დამხმარე ხასიათის საქმიანობაზე გაიწევა. სამრეწველო ფირმებში ასეთ ხარჯებს მიეკუთვნება გადახდილი საიჯარო ქირის თანხები, სესხებზე გადახდილი პროცენტები, სასამართლო პროცესებზე გაწეული ხარჯები და სხვ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – მიწა, რომელიც არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.

არასისტემური ერთეული – ერთეული, რომელიც არ შედის არცერთ ერთეულთა სისტემაში, მაგ., სიგრძის ერთეული – საზღვაო მილი, ანგსტრემი; წნევის ერთეული – მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტისა, მილიმეტრი წყლის სვეტისა; იონიზებული გამოსხივების ერთეული – რენტგენი, კიური, რადი და სხვ.

არასტაბილური – არაგამძლე, არამტკიცე, არამყარი, ცვალებადი, არევ-დარეული (მაგ., არასტაბილური მიწოდება, ფასები, ამინდი და სხვ.).

არასტაციონარული სავაჭრო ადგილი (დროებითი შენობა-ნაგებობა) – ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი ასაწყობ-დასაშლელი ან/და მობილური სამშენებლო სისტემა,

რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ აქვს მიწისქვეშა სათავსები, აგრეთვე ამ მიზნით გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

არაძირითადი დოკუმენტი – დოკუმენტი, დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობაში, თუ ის არ არის ძირითადი დოკუმენტი (განმარტებითი ბარათი, განლაგების სქემა, მასალის ხარჯის უწყისი, ფორმების ნახაზები და სხვ.).

არბიტრაჟი [ლათ. arbitrātiōn<arbitrāt(us) გადაწყვეტა, განსჯა<arbiter მოწმე, მსაჯი] – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა, როდესაც საქმეს განიხილავს არა საერთო სასამართლო, არამედ კონკრეტულად ამ დავისათვის მხარეთა შეთანხმებით დანიშნული არბიტრების შემადგენლობა.

არბოლიტი (ფრანგ. arbre ხე, ღერძი და ბერძ. lithos ქვა) – რუსული წარმოების ცემენტიანი ბეტონი, რომელშიც შემვსებად მცენარეული წარმოშობის ორგანული მასალა გამოიყენება. შემადგენლობა: ცემენტი (შემკვრელი), ქიმიური დანამატები (კალციუმის ქლორიდი, კალციუმის ნიტრატი, თხევადი მინა) და ორგანული შემვსები (დანაწევრებული მერქანი, დაქუცმაცებული ბრინჯისა და ბამბის ღეროები). არსებობს ორი სახის: თბოსაიზოლაციო (სიმკვრივე 400-500 კგ/მ³) და კონსტრუქციული (სიმკვრივე 500-850 კგ/მ³). ძირითადად გამოიყენება მზა სამშენებლო ბლოკებისა (ნახ. 1) და ფილების სახით შენობის თვითმზიდი კედლების ან შიგა ტიხრების ასაშენებლად, აგრეთვე თბო- და ბგერასაიზოლაციო მასალად. ა., როგორც საშენი მასალისათვის, მნიშვნელოვანია სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე, რომლის სიდიდე მერყეობს M5-M10-მდე თბოსაიზოლაციოსათვის და M25-M50 (M100-მდეც კი) კონსტრუქციულისათვის. კარგად აქრობს დარტყმით დატვირთვებს, ცუდად იწვის. უარყოფითი თვისება ის არის, რომ ახასიათებს მცირე ტენმედეგობა, რის გამოც ატმოსფერულ ტენთან შეხებაში მყოფი კონსტრუქცია ითხოვს სპეციალურ დამცავ ფენას. ა. ძირითადად გამოიყენება დაბალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, სამეურნეო და საწარმოო შენობების მონოლითური ელემენტების ჩამოსასხმელად.



არბორეტუმი (ლათ. arborētum ხეებიანი ადგილი, ხეების პლანტაცია<ლათ. arbor ხე) – დენდროლოგიური ბაღი, რომლის დანიშნულებაა სხვადასხვა კლიმატური ზონიდან შემოტანილი მცენარეების აკლიმატიზაცია.

არგილითი (ბერძ. árgillos თიხა, თეთრი თიხა) – დანალექი ქანი, ქიმიური და მინერალოგიური შემადგენლობით არ განსხვავდება თიხისგან, თუმცა თიხაზე უფრო მაგარია და არ იხსნება წყალში. გამოიყენება შემვსებად მსუბუქ ბეტონებში.

არგონი (ბერძ. argós უმოქმედო, ზარმაცი) – ინერტული აირი ფერის, გემოსა და სუნის გარეშე. მიიღება ჰაერის ფრაქციული დისტილაციით. გამოიყენება მეტალურგიულ და ქიმიურ პროცესებში ინერტული გარემოს შესაქმნელად (მაგ., ალუმინის, ტიტანის შედუღებისას); შუქტექნიკაში (განმმუხტავი მილაკების დასამზადებლად – ანათებს ლურჯ-ცისფრად); ელექტროტექნიკაში, რადიოტექნიკაში, ბირთვულ ტექნიკაში (იონიზაციის მთვლელები და

კამერები); ზესუფთა ლითონების მისაღებად; აერონავტიკაში – ხელოვნური სასუნთქი ნარევის დასამზადებლად; მედიცინაში (ძირითადად რადიაქტიური იზოტოპები).

არგუმენტი (ლათ. arguere ნათელყოფა, დამტკიცება, დადანაშაულება, გამოცხადება) – 1. დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდე; 2. ფუნქციის არგუმენტი – დამოუკიდებელი ცვლადი, რომლის მნიშვნელობაზეა დამოკიდებული ფუნქციის მნიშვნელობა. მაგ., f(x) ფუნქციის არგუმენტი არის x; 3. კომპლექსური რიცხვის არგუმენტი – კუთხე აბსცისთა ღერძის დადებით მიმართულებასა და კოორდინატთა სისტემის სათავიდან მოცემული კომპლექსური რიცხვის შესაბამის წერტილისაკენ მიმართულ ვექტორს შორის, ათვლილი საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით.

არდაბაგი – 1. შემაღლებული ბაქანი კანკელის წინ (ნახ. 1. არდაბაგი ხობის წმ. სამების საკათედრო ტაძრის ახალი ქვის კანკელის წინ); 2. ხარიხა; ფანჯარა; წყლის მილი; 3. ჯებირი, გოდოლი ცალკე ან ზღუდეზე ისრის სასროლად; 4. სარკმლის ან კარის მოაჯირი.



ნახ. 1

არდგმული – სვეტებზე დაყრდნობილი, თავხე-ნივნივებით გაწყობილი, ნამჯით დახურული ღია ნაგებობა.

არე – იგივე ველი, ფიზიკური სიდიდის გამოყენების, მოქმედების, გავლენის, პროპორციულობის გავრცელების სფერო და სხვ. ის შეიძლება იყოს: აირული, ანიზოტროპიული, არამდუღარე საწრთობი, არასეისმური, აუსტენიტური, აქტიური, ათმდგენი, ბარეტირების, ბეინიტური, გაგლეჯის, გამაუნახშირბადოებელი, გამაჯერებელი, განმტკიცების, გაუხშოების, გაფაშრების, გაფხვიერების, გახურების, გრიგალთა, დაბალი წნევის, დამააზოტებელი, დამააზოტნახშირბადიანებელი, დამცავი, დიათერმული, იზოტროპიული, კოროზიის, კრიზისული, კრისტალური გისოსის დრეკადი დამახინჯების, მანახშირბადიანებელი, მარილის საწრთობი, მარტენსიტული, მაღალი წნევის, მდუღარე საწრთობი, მჟანგავი, მხედველობის, მოქმედების, ნეიტრალური, პერლიტური, პლასტიკური, პროპორციულობის, რეაქციის, სამუშაო, სანაპირო, საფქვავი, საწრთობი, სეიმური, სინქრონიზაციის, შეკუმშვის, შერევის, შერყევის, ჩამონადენის, ცვალებადობის, ცხელი საწრთობი, ხილვადობისა და სხვ.

არეკვლა – ტალღის გავრცელების მიმართულების ცვლილება ამრეკლ ზედაპირზე არეკვლის შემდეგ. კუთხე, რომლითაც ტალღა ეცემა ზედაპირს, მისი არეკვლის კუთხის ტოლია.

არეკო-რკინა (ინგლ. drop-iron) – ტექნიკურად სუფთა რკინა.

არენა (ლათ. harēna ქვიშა, ქვიშიანი ადგილი, ქვიშით მოფენილი საბრძოლო ადგილი) – 1. ძველად რომაული ამფითეატრის ცენტრალური ნაწილი, სადაც მიმდინარეობდა გლადიატორების ბრძოლები; შემდეგში – ნებისმიერი ღია ან დახურული ნაგებობა საჯარო წარმოდგენებისა და ღონისძიებების გასამართად (ნახ. 1. ბლეკპულის კოშკის ცირკის არენა,

ინგლისი; ნახ. 2. განგნიუნგის ყინულის არენა, კორეის რესპუბლიკა); 2. გადატ. მოღვაწეობის სფერო, ასპარეზი.





არენდა (ლათ. reddere დაბრუნება, აღდგენა) – 1. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით; იჯარა; 2. ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (მეარენდე) აძლევს მეორე მხარეს (არენდატორს) ქონებას (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა, საწარმო, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალება და სხვ.) დროებითი სარგებლობისათვის განსაზღვრული ქირით; 3. გადასახადი ასეთი ხელშეკრულების მიხედვით.

არენდატორი (შუასაუკ. ლათ. arendare სესხის დაბრუნება) – პირი, რომელსაც არენდით (იჯარით) აქვს რამე აღებული; მოიჯარე, იჯარადარი, დამქირავებელი.

არეომეტრი (ბერძ. araiys სუსტი, თხელი (თხევადი) და métron გაზომვა) – სითხეებისა და ფხვიერი მასალების სიმკვრივის საზომი ხელსაწყო (ნახ. 1), რომელიც შედგება გამზომსკალიანი მინის ტივტივასა და ტვირთისაგან (ქვევით). ა. იძირება სიმკვრივის გასაზომ სითხეში. მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია არქიმედის კანონზე. სითხის სიმკვრივის ცვალებადობა იწვევს არქიმედის ძალის ცვალებადობას და, შესაბამისად, სხვადასხვა სიმკვრივის სითხეებში ა. ჩაიძირება სხვადასხვა სიღრმეზე.



არეოსტილი (ბერძ. araios იშვიათი და stŷlos სვეტი, ბოძი) – 1. ტაძარი, სადაც სვეტებს შორის შუალედები სვეტის სამნახევარი დიამეტრია; 2. ანტიკური ტაძრის პორტიკი, რომლის სვეტები ისეა განლაგებული, რომ ერთი მეორისაგან დაცილებულია 8 ან 10 მოდულით.
არეტირი – მოწყობილობა, რომლითაც ხდება ზუსტი ხელსაწყოების მგრძნობიარე ნაწილების ამორთვა.

არი (ლათ. ārea ვაკე ადგილის თავისუფალი ნაწილი, ქალაქის თავისუფალი სივრცე, კალო) – მეტრული საზომი ერთეული, რომელიც ტოლია 100 კვ.მ-ის.

არიდული (ლათ. āridus მშრალი, გამომხმარი, უწყლო, მოხალული<ārēre მშრალად ყოფნა) – მშრალი, უწყლო, უნაყოფო, მოსაწყენი გარემო.

არიდული მცენარეულობა – მცენარეულობა, რომელიც გავრცელებულია მშრალი ჰავის პირობებში, სადაც აორთქლებული ტენის რაოდენობა მოსულ ნალექებს აღემატება.

არიერსცენა – სცენის უკანა ნაწილი.

არითმეტიკა(ბერძ. arithmós რიცხვი, დათვლა, რაოდენობა) – მათემატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის რიცხვთა ელემენტარულ ფორმებს (ნატურალური, მთელი, რაციონალური) და მათზე უმარტივეს არითმეტიკულ ოპერაციებს (შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა). ა. საგანია ნატურალური, მთელი, რაციონალური, ნივთიერი, კომპლექსური რიცხვების მცნება. ცალკეული მთელი რიცხვების თვისებების შესწავლას აწარმოებს უმაღლესი მათემატიკა, ან რიცხვთა თეორია. ა. მჭიდროდ არის დაკავშირებული ალგებრასა და გეომეტრიასთან.

არინება (სარინი) – სხვა მხარეს გადაყვანა, გადაგდება, გვერდით შტოსაკენ წამყვანი.

არკა (შუაინგლ. arche<ძვ. ფრანგ. arche ხიდის თაღი<ლათ. arcusა მშვილდი; რკალი; კამარა, თაღი) – იხ. თაღი.



არკატურა (არკატურული სარტყელი, არკატურული ფრიზი) (ლათ. arcus მშვილდი, თაღი, მრუდი) – კედლის სიბრტყეზე გამოყვანილი ყრუ თაღედი, რომელიც დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს (ნახ. 1). გამოიყენება შენობის ფასადის გასაფორმებლად.



ნახ. 1

არკბუტანი (ლათ. arcus მშვილდი, თაღი, მრუდი და ძვ. ინგლ. bēatan დარტყმის მიყენება, ცემა) – გარესაყრდენი თაღი, ნახევარრკალის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც კამარის გამბჯენ ძაბვებს საგანგებო საყრდენებს – კონტრფორტებს გადასცემს და კედლის ან სვეტის სისქის მნიშვნელოვნად შემცირების საშუალებას იძლევა (ნახ. 1. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, საფრანგეთის რესპუბლიკა).

არკოზი (ფრანგ. arkose<სავარაუდოდ, ბერძ. arkhaîos ძველი, უძველესი, დაძველებული) – ქვიშაქვის ნაირსახეობა, რომელიც შედგება მინიმუმ 25% მინდვრის შპატის, კვარცის, ზოგჯერ ქარსის და სხვა კომპონენტებისგან (ნახ. 1). ა. ჩვეულებრივ ყალიბდება მაგმური ან მეტამორფული ქანების გამოქარვით. აქვს მკრთალი-მონაცისფრო ან მოვარდისფრო შეფერილობა. გამოიყენება ცემენტის, მინის, კერამიკის, სამშენებლო დუღაბების და მისთ. წარმოებაში.



არკტილიტი (რუს. арктилит) – რუსული წარმოების ფენოვანი პლასტიკი, რომელიც შედგენილია არყის ხის შპონის, ქსოვილისა და ლითონის ბადის ფენების მრავალჯერადი განმეორებით. ფენების ურთიერთკავშირისათვის იყენებენ ფენოლფორმალდეჰიდურ წებოებს. ა. ძირითადად გამოიყენება გემთმშენებლობაში.

არმაზი მცხეთის – ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, არმაზის ღვთისშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი ქ. მცხეთიდან 1,5 კმ-ზე, არმაზისხევში. მთავარი ნაგებობა დარბაზული ეკლესიაა, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. კომპლექსი აღდგენილი იქნა XXI საუკუნის დასაწყისში (ნახ. 1. აღდგენილი არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია, 2015 წ.). ეკვდერის კარისთავის ასომთავრული წარწერის მიხედვით (ნახ. 2. არმაზის ასომთავრული წარწერა) ეკლესია აშენებულია 1150-1178 წლებს შორის, დასავლეთიდან მას ეკვრის შეისრულთაღიანი კარიბჭე, ჩრდილოეთ მხარეს ეკვდერი და მცირე ზომის საძვალის მსგავსი სადგომია. კომპლექსი ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით. ეკლესიასა და კარიბჭეში შემორჩენილია XII საუკუნის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. ეკლესიის დასავლეთით მდებარე სამრეკლო XVI-XVII საუკუნეებს განეკუთვნება. აქვეა შუა საუკუნეების გალავნისა და სენაკების ნანგრევები.



ნახ. 1



ნახ. 2

არმაზის ციხე (არმაზციხე) (ინგლ. Armazi castle) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ნახ. 1. საერთო ხედი; ნახ. 2. პანორამული ხედი). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, ქ. მცხეთიდან დასავლეთის მიმართულებით 3 კმ-ში, მდ. არმაზისხევის ხეობაში ერთ-ერთ მაღალ მთაზე (ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). თარიღდება XIII-XV საუკუნეებით. ციხე შედგება გალავნისა და კოშკისგან. ნაგებია ნატეხი ქვით. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი სამხრეთ–აღმოსავლეთიდანაა (ნახ. 4. გენგეგმა). გალავანი გეგმით ტრაპეციისმაგვარია (26,0x27,5 მ). გალავანში ჩაშენებული ქვის კოშკი სამხრეთ ნაწილში დგას და წარმოადგენს წიბოებმომრგვალებულ სამკუთხა პრიზმას (გვერდების სიგრძე 13,5 მ). პირველი სართული ყრუა. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა მეორე სართულზე. ამავე



ნახ. 1

სართულზე აქვს მოზრდილი სარკმლებიც. მესამე სართულიც ჰქონდა, მაგრამ დღეს მხოლოდ მისი ქვედა ნაწილია შემორჩენილი. სართულშუა გადახურვები ჩაქცეულია.

არმაზის ციხეს, მოხერხებული ადგილმდებარეობის გამო, გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მცხეთისკენ მიმავალ გზებზე. სახელი „არმაზციხე“ (ბერძნულ-რომაული წყაროებით: ჰარმოზიკე, ჰარმაკტიკა, ჰერმატუს) დაკავშირებულია ქართლის უზენაეს წარმართულ ღვთაება არმაზსთან. იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო მეფეთა რეზიდენცია, მაგრამ VIII საუკუნის პირველ ნახევარში (736-738 წწ.) არაბი ხალიფას მურვან ყრუს შემოსევების შემდეგ სრულად დაინგრა. შემდეგ ურიცხვი მტრების მიერ მრავალჯერ იყო დანგრეული და ქართველების ხელით კვლავ აღდგენილი. ისტორიული ცნობების მიხედვით ციხე XIII-XV საუკუნეებში მოქმედი ნაგებობა იყო. ციხის მახლობლად, არმაზისხევში, XII საუკუნეში ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსიც დაუარსებიათ. XV საუკუნის შემდეგ, სპარსელებისა და თურქების ბატონობის ხანაში, ციხე პრაქტიკულად დაინგრა, გაპარტახდა და აღარც აღუდგენიათ.



ნახ. 2



ნახ. 3

აღსანიშნავია, რომ ქართველმა არქეოლოგებმა 1943-2011 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოაჩინეს გალავნის ნანგრევები, კოშკები, ბურჯები, სამეფო რეზიდენციის ნაგებობანი (სვეტებიანი დარბაზი, ღია და დახურული წყალსადენის სისტემა, აბანო, სამეფო აკლდამები, მავზოლეუმის ნაშთები), მეფის ასულის სამარხ-სარკოფაგი, აგრეთვე დიდი რაოდენობით ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს უნიკალური ნივთები, რაც მიუთითებს მცხეთა-არმაზის მნიშვნელოვან როლზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ძვ.წ. IV საუკუნიდან გვიან ფეოდალურ ხანამდე ქართლის სამთავროსა და საქართველოს უმნიშვნელოვანესი არმაზის ციხე ამჟამად მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი (ნახ. 5-ნახ. 7: ნანგრევები).



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7

არმარი – ძვ. სარკმელი.

არმატურა (ლათ. armātūra ჯავშანი, აბჯარი, აღჭურვილობა<armāre შეიარაღება<arma აბჯარი, იარაღები) – რკ.ბ.-ის კონსტრუქციების შემადგენელი (განუყოფელი) ნაწილი (ფოლადის ღეროვანი ან მავთულოვანი), რომელიც დანიშნულების მიხედვით არის: ა) მუშა (საანგარიშო), რომელიც იღებს გამჭიმ ძალებს; ბ) გამანაწილებელი (კონსტრუქციული), რომელიც აფიქსირებს არმატურის ცალკეულ ელემენტებს საჭირო მანძილებზე და ხელს უწყობს ბეტონში ძალვების თანაბრად გადანაწილებას; გ) სამონტაჟო, რომელიც გამოიყენება ნაკეთობების ასაწევად და ერთმანეთთან დასაკავშირებლად; დ) ცალუღები (საკიდები), რომლებიც გამოიყენება ღუნვად ელემენტებში ცალკეული ღეროების სახით, როგორც განივი არმატურა. რკ.ბ.-ის ელემენტების დასამზადებლად იყენებენ მოქნილი არმატურის ფოლადის ცხლადგლინულ ღეროებს (ნახ. 1. არმატურა: 1-გრძივი; 2-განივი), ბაგირებს, ცივჭიმულ და ცხლადგლინულ მავთულს გლუვი და პერიოდული პროფილით და ხისტ არმატურას – ფოლადის გაგლინული პროფილების სახით. ხის დაწებებულ კონსტრუქციებსა და პლასტმასის ნაკეთობებში გამოიყენება მინაპლასტიკის დაპროფილებული ა. არსებობს არმატურის ბეტონთან კონტაქტის ხუთი სახე: შეერთება ძვრის მაკავშირებლებით, ხახუნი, შეჭიდულობა, ბეტონით მოჭიმვა შეკლებისას და ფოლადის არმატურისა და ცემენტის ცომის ელექტროქიმიური ურთიერთქმედება; 2. ნაკეთობის ჩონჩხედი; 3. მოწყობილობების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ პროცესის სამართავად და დასარეგულირებლად (მაგ., არმატურა ჩამკეტი, მცველი, მილსადენის და სხვ.).



არმატურა ფოლადის A240 – ცხლადგლინული ფოლადის არმატურა გლუვი პროფილით (ყოფილი A-I) დიამეტრით 12 მმ-მდე. მის დასამზადებლად გამოიყენება ფოლადი: Ст3кп, Ст3пс, Ст3сп. A240 (A-I) კლასის დაპროფილებული არმატურის დიამეტრია 6-40 მმ.

არმატურა ფოლადის A400 – ფოლადის დაპროფილებული არმატურა (ყოფილი A-III) თანაბრად განლაგებული ნამვისებრი ნაშვერებით (ნახ. 1. A400 კლასის ფოლადის არმატურის ნაჭდევებიანი პროფილი). მზადდება სტანდარტის (ГОСТ 5781-82) კონსტრუქციული მცირედლეგირებული ფოლადისაგან მარკით 35ГС და 25Г2С მალეგირებელი ელემენტების (მარგანეცი, სილიციუმი) დამატებით. დიამეტრია 6-40 მმ, სიგრძე – 11,7 მ. A400 კლასის არმატურა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოებაში ძირითად მასალას (A500C კლასის ფოლადის არმატურის გამოჩენამდე).



ნახ. 1

არმატურა ფოლადის A500C – ცხლადგლინული თერმულ-მექანიკურად განმტკიცებული საარმატურე ფოლადის კლასი (ГОСТ Р 52544-2006). მზადდება იაფფასიანი ნახშირბადიანი ფოლადისაგან (A3 კლასის არმატურისგან განსხვავებით) მალეგირებელი ელემენტების გარეშე, რაც განაპირობებს მის დაბალ ფასს. ნახშირბადის შემცველობა ფოლადში ნაკლებია 0,22%-ზე. თერმულ-მექანიკური განმტკიცების გამო აქვს მაღალი სიმტკიცის ზღვარი (400 ნ/მმ^2 = 400 მპა), რაც ერთდროულად ზრდის სიმტკიცესა და მოქნილობას. A500C კლასის დაპროფილებული ფოლადის არმატურის ნაჭდევებს (ნახ. 1. A500C კლასის ფოლადის არმატურის ნაჭდევებიანი პროფილი), A400 კლასის ფოლადის არმატურის ნაჭდევებთან შედარებით (იხ. არმატურა ფოლადის A400), არ აქვს გრძივი და განივი წიბოების გადაკვეთის წერტილები, სადაც შესაძლებელია დაღლილობითი ბზარების გაჩენა. გამოირჩევა კარგი საშემდუღებლო თვისებებით, რაც საშუალებას იძლევა შეერთებებში თავისუფლად გამოვიყენოთ რკალური შედუღება (A400-სგან განსხვავებით). არსებობს B500C კლასის (ცივგლინული) ფოლადის არმატურაც (ГОСТ Р 52544-2006).



ნახ. 1

არმატურა არამიდკომპოზიტური (ორგანოპლასტიკი) – პოლიმერული კომპოზიტური ღეროს შედგენილი გრძივი მიმართულებით განლაგებული არამიდის ბოჭკოებისგან.

არმატურა გამავალი – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომელშიც სამუშაო გარემო არ იცვლის მოძრაობის მიმართულებას გამოსასვლელზე შესასვლელზე მიმართულებასთან შედარებით. ა. გ., რომელსაც ჩამკეტის გამტარის განივკვეთი ტოლი ან მეტია შემოსასვლელის მილყელის განივკვეთის ფართობზე ეწოდება სრულგამტარი არმატურა.

არმატურა გამანაწილებელ-შემრევი – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაა სამუშაო გარემოს ნაკადის განაწილება გარკვეული მიმართულებით ან ნაკადების შერევა.

არმატურა დამცველი – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაა მოწყობილობის ავარიული დაცვა პარამეტრების ავარიული ცვლილებისას.

არმატურა კომბინირებული – პოლიმერული კომპოზიტური ღერო შედგენილი ერთდროულად მინისა და ბაზალტის ბოჭკოებისგან.

არმატურა კომპოზიტური – არამეტალური ღეროები შედგენილი მინის, ბაზალტის, ნახშირბადის ან არამიდის გრძივი მიმართულების ბოჭკოებისაგან, გაჟღენთილი თერმოაქტიური ან თერმოპლასტიკური პოლიმერული შემკვრელით. არმატურას, დამზადებულს მინის ბოჭკოებისაგან ეწოდება მინაპლასტიკური არმატურა (ნახ. 1), ბაზალტის ბოჭკოებისგან – ბაზალტპლასტიკური (ნახ. 2), ნახშირბადის ბოჭკოებისგან – ნახშირბადპლასტიკური. ბეტონთან კარგი შეჭიდულობისათვის ა. კ. ზედაპირზე, დამზადების პროცესში, კეთდება სპეციალური წიბოები ან ზედაპირი იფარება ქვიშის მარცვლებით. ა. კ. არა აქვს დენადობის ზღვარი, რის გამოც რღვევას გაჭიმვისას აქვს მყიფე ხასიათი. ასეთი არმატურის უპირატესობაა მცირე წონა, მაღალი სიმტკიცე და კოროზიამედეგობა, რის გამოც მომავალში ის განიხილება, როგორც ფოლადის არმატურის ალტერნატივა.





არმატურა კომპოზიტური პერიოდული პროფილის – კომპოზიტური არმატურის ღერო, რომლის ზედაპირზე, ბეტონთან შეჭიდულობის გაუმჯობესების მიზნით, ღეროს გრძივი ღერძის მიმართ გარკვეული კუთხით, თანაბარი ბიჯით, განთავსებულია დაღარული განივი ნაშვერები.

არმატურა კონსტრუქციული (გამანაწილებელი) – 1. არმატურა, რომელიც იღებს კონსტრუქციაში გაჩენილ შეკლება-გაფართოებისა და ტემპერატურულ ძალვებს. მისი განივკვეთის ფართობი ინიშნება დაარმატურების მინიმალური პროცენტის მიხედვით; 2. არმატურა, რომელიც ეწყობა კონსტრუქციაში არა გაანგარიშებით, არამედ კონსტრუქციული მოსაზრებით.

არმატურა კუთხური – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომელშიც სამუშაო გარემო გამოსასვლელზე იცვლის მოძრაობის მიმართულებას შემოსასვლელ მიმართულებასთან შედარებით.

არმატურა მარეგულირებელი – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაა სამუშაო გარემოს პარამეტრების დარეგულირება მისი ხარჯის ცვლილების გზით.

არმატურა მემბრანული – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომელშიც მოძრავი ელემენტების მჭიდროვდება, გარე გარემოსთან მიმართებით მემბრანის მეშვეობით.

არმატურა მილსადენის – ტექნიკური მოწყობილობა, დაყენებული მილსადენზე ან რეზერვუარზე სამუშაო გარემოს ნაკადის სამართავად (დარეგულირება, განაწილება, გადაკეტვა, შერევა, ფაზაგაყოფა) გამავალი ნაკადის განივკვეთის ფართობის ცვალებადობით.



არმატურა მინაპლასტიკის – კომპოზიტური არმატურა, დამზადებული მინაბოჭკოსა და თერმორეაქტიული ფისებისაგან. მინაბოჭკო ა.მ. ანიჭებს სიმტკიცეს, ხოლო ფისები გამოიყენება შემკვრელად. ასეთი არმატურის უპირატესობაა მცირე წონა, მაღალი სიმტკიცე და კოროზიამედეგობა, რის გამოც მომავალში ის განიხილება, როგორც ფოლადის არმატურის ალტერნატივა (ნახ. 1).

არმატურა მუშა – პერიდული პროფილის არმატურა, რომელიც თავის თავზე იღებს ელემენტში ძირითადი დატვირთვებისგან აღძრულ გამჭიმ (იშვიათად მკუმშავ) ძალვებს და მისი განივკვეთის ფართობი მიიღება გაანგარიშებით. ის შეიძლება იყოს ღეროვანი ხისტი ან მოქნილი ფოლადის ბაგირის სახით.

არმატურა მცველი – მოწყობილობა მილსადენში ან რეზერვუარში აირის წნევის დასაშვებზე მეტად აწევისაგან დასაცავად.

არმატურა სანათი – სხვადასხვა სახის სანათები, მოწყობილობები, რომელიც იხმარება ხელოვნური განათებისთვის.

არმატურა საჩობლო – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის მოძრავი ელემენტების შემჭიდროება გარემოს მიმართ ხდება ნატენი ჩობალებით.

არმატურა სილფონური – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის მოძრავი ელემენტების შემჭიდროება გარემოს მიმართ ხდება სილფონების მეშვეობით.

არმატურა ფაზაგამყოფი – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაა სამუშაო გარემოს ავტომატურად დანაწევრება ფაზებისა და მდგომარეობის მიხედვით.

არმატურა ფოლადის – ფოლადის ღერო ან ბადე ფოლადის მავთულებისგან, რომელიც გამოიყენება დასაარმირებელ მასალად რკინაბეტონისა და არმოქვის კონსტრუქციებში. ა. ფ. ზედაპირი უმეტესად დაპროფილებულია არმატურის ბეტონთან შეჭიდულობის ხარისხის გაზრდის მიზნით. ბეტონის გამაგრების საწყის ეტაპზე არმატურა ხელს უწყობს კონსტრუქციის პირველად მდგრადობას (ქმნის მოცულობით ხისტ კარკასს), ხოლო შემდეგ ერთვება მუშაობაში, თავის თავზე იღებს დატვირთვებისგან კონსტრუქციაში აღძრულ გამჭიმავ ძალებს, ეწინააღმდეგება ბზარების გაჩენასა და ქმნის დატვირთვების მოდების წერტილებში წინაღობისა და სიხისტის ლოკალურ უბნებს. არმოქვის კონსტრუქციებში

არმატურით ხდება მშრალი წყობის მოჭიმვა და შემდეგ ცემენტის ხსნარით მისი ჩამაგრება ადგილზე. ა. ფ. და ბეტონის ერთობლივ მუშაობას განაპირობებს ამ ორი მასალის ხაზოვანი გაფართოების (ტემპერატურული გაფართოების) კოეფიციენტის მნიშვნელობების თანაბრობა, რაც კონსტრუქციას იცავს ტემპერატურის ცვალებადობით დამატებით გაჩენილი გრძივი და განივი ძაბვების არასასურველი ზემოქმედებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ დაპროფილებულ არმატურას ზედაპირზე აქვს გამონაშვერები (წიბოები), დიდი ძაბვების პირობებში ხდება მისი ამოგლეჯა ბეტონიდან, რაც იწვევს სტრუქტურების მსხვილმასშტაბიან კოლაფსს. ამის საწინააღმდეგოდ (ამერიკული გამოცდილება) მიმართავენ სამუშაო არმატურაზე გაცილებით დიდი დიამეტრის კონსტრუქციული ელემენტების მიდუღებას ან ახდენენ კონსტრუქციის ბოლოებში სამუშაო არმატურების გადაღუნვას. დაარმირებისათვის გამოიყენება: ცხლადგლინული, გამოჭიმვით განმტკიცებული, მცირედ ლეგირებული, თერმულად დამუშავებული ღეროვანი და ცივნაჭიმი მავთულოვანი (ჩვეულებრივი და მაღალი სიმტკიცის) ფოლადის არმატურა, აგრეთვე ბაგირები და მაღალი სიმტკიცის არმატურა (წინასწარ დაძაბული კონსტრუქციებისათვის). საარმატურე ფოლადების უმეტესობა ექვემდებარება კოროზიას, რომლის დროს გაჩენილი ჟანგის ფენა (ოქსიდები) იკავებს ბეტონში მეტ მოცულობას, ვიდრე ფოლადი, რომლისგანაც ის წარმოიშვა, ამიტომ ეს ფენა იწვევს შემომსაზღვრელ ბეტონში შიგა წნევას, რასაც, საბოლოო ჯამში, კონსტრუქცია მიჰყავს რღვევამდე.

კოროზია განსაკუთრებით დიდი პრობლემაა ისეთ ბეტონებში, რომლებიც ექვემდებარება მარილიანი გარემოს ზემოქმედებას. ამის საწინააღმდეგოდ მიმართავენ ბეტონში მოსათავსებელი არმატურის ზედაპირის დაფარვას ეპოქსიდური ფისით ან სხვადასხვა კომპოზიტით. მშენებლობაში გამოყენებული საარმატურე ფოლადის კლასები და მარკები მექანიკური მახასიათებლების, ქიმიური შედგენილობის, დამზადებისა და დამუშავების წესის მიხედვით მოცემულია ამა თუ იმ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა გაერთიანების) საცნობარო და ნორმატიულ დოკუმენტაციაში (მაგ., СНиП II-23-81, რუსეთი; EN 10080, DIN 488, ევროკავშირი; BS 4449, დიდი ბრიტანეთი; AS/NZS4671-2001, ავსტრალია; ISO-ს სტანდარტები, ISBN 978-0-87031-930-3, 2014, აშშ და ა.შ.). მექანიკური მახასიათებლების მიხედვით ფოლადის პერიოდული პროფილის არმატურა იყოფა კლასებად და მარკებად [მაგ., რუსული – A-I (A240), A-II (A300), A-III (A400), A-IV (A600), A-V (A800), A-VI (A1000) და ა.შ.].

არმატურა ფოლადის გამანაწილებელი – იხ. არმატურა ფოლადის კონსტრუქციული.



არმატურა ფოლადის განივი – პერიდული ან გლუვზედაპირიანი პროფილის არმატურა, რომელიც იღებს განივ ძალებს და ეწინააღმდეგება ამხლეჩი ძაბვებისაგან აღძრული დახრილი ბზარების წარმოქმნას კონსტრუქციის საყრდენის სიახლოვეს, აგრეთვე შეკუმშული ზონის ბეტონს აკავშირებს გაჭიმული ზონის არმატურასთან.

არმატურა ფოლადის გლუვზედაპირიანი – დაბალი კლასის (რუსული ნორმებით A-I, B-1 და B-2) საარმატურე ფოლადისაგან დამზადებული წრიული განივკვეთის ღერო, რომელსაც გლუვი ზედაპირი აქვს (ნახ. 1). სიგრძე 6-12 მ,

დიამეტრი 3-8 მმ (შეიძლება იყოს 25 მმ-დეც). გამოიყენება რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში, როგორც განივი არმატურა, აგრეთვე ფოლადის შენადუღი ბადეების დასამზადებლად.

არმატურა ფოლადის გრძივი – პერიოდული პროფილის ფოლადის მუშა არმატურა, რომელიც იღებს კონსტრუქციაში აღძრულ გამჭიმ ძალვებს და ეწინააღმდეგება კონსტრუქციის გაჭიმულ ზონაში შვეული ბზარების წარმოქმნას.

არმატურა ფოლადის დახრილი – ღუნვაზე მომუშავე კონსტრუქციის გრძივი მუშა არმატურა, რომლის ბოლოები, საყრდენების ზონაში აღუნულია ზემოთ, ირიბ სიბრტყეებში მოქმედი გამჭიმი ძაბვების მისაღებად.

არმატურა ფოლადის თერმულად დამუშავებული – ნახშირბადმცირე ფოლადისაგან ადიდვითა და შემდეგ გამოწვით დამზადებული, რბილი, გლუვზედაპირიანი მავთული (საქსოვი). მავთულს აცხელებენ გარკვეულ ტემპერატურამდე გარკვეული დროით და შემდეგ ნელ-ნელა აცივებენ. გამოწვის შედეგად ხდება ფოლადის იმ დაძაბულობის მოხსნა, რომელიც წარმოიქმნა მისი წინასწარი დამუშავებისას, რის შედეგადაც მიიღება ერთგვაროვანი წვრილმარცვლოვანი შინაგანი სტრუქტურა. სიმტკიცესთან ერთად აქვს მაღალი პლასტიკურობა და სიბლანტე.

არმატურა ფოლადის მოქნილი – არმატურის სახეობა, რომელსაც მიეკუთვნება მავთულოვანი, ბაგიროვანი, წნული, ფურცლოვანი ან ღეროვანი ფოლადის ღეროები.

არმატურა ფოლადის პერიოდული პროფილის – ღეროები, რომელთა ზედაპირზე, ბეტონთან შეჭიდულობის გაუმჯობესების მიზნით, ღეროს გრძივი ღერძის მიმართ გარკვეული კუთხით, თანაბარი ბიჯით, განთავსებულია დაღარული განივი ნაშვერები. მას აქვს წრიული პროფილი ორი გრძივი წიბოთი და განივი ნაშვერებით, რომლებიც მიემართება სამსვლიანი ხრახნული ხაზით (ნახ. 1). მექანიკური მახასიათებლების მიხედვით ფოლადის პერიოდული პროფილის არმატურა იყოფა კლასებად და მარკებად (მაგ., რუსული – A-II (A300), A-III (A400), A-IV (A600), A-V (A800), A-VI (A1000).



არმატურა ფოლადის სამონტაჟო – პერიოდული ან გლუვზედაპირიანი პროფილის არმატურა, რომელიც ეწყობა მუშა და კონსტრუქციული არმატურების გასაერთიანებლად ბადეებსა და კარკასებში.

არმატურა ფოლადის ცივჭიმული – არმატურის სახეობა, რომელიც იყოფა საარმატურე მავთულად და საარმატურე მავთულოვან ნაკეთობად. რუსული სამშენებლო ნორმების შესაბამისად, საარმატურე მავთული არის ორი კლასის – B-I და B-II. B-I წარმოადგენს ჩვეულებრივ საარმატურე ცივჭიმულ მავთულს, მიღებულს ნახშირბადმცირე ფოლადისაგან. გამოიყენება ჩვეულებრივ (დაუძაბავ) არმატურად; B-II არის მაღალი სიმტკიცის ცივჭიმული ნახშირბადოვანი ფოლადის საარმატურე მავთული დროებითი წინაღობით 180 კგ/მმ^2, დიამეტრით 3-8 მმ. პერიოდული პროფილის საარმატურე მავთულის აღსანიშნავად ინდექს "B"-ს უმატებენ ინდექს "p"-ს, რაც ნიშნავს – დაღარულს (მაგ., Bp-II). ის წარმოადგენს წრიული განივკვეთის ღეროს ხშირად განთავსებული ნაჭდევებით (შენატლეჭებით), რომლებიც

შემოსაზღვრულია ცილინდრული ზედაპირით. საარმატურე მავთულოვანი ნაკეთობები მზადდება წნულის, ბაგირისა და შენადუღი ბადის სახით.

არმატურა ფოლადის ცხლადგლინული – არმატურის სახეობა, რომელიც მიიღება ფოლადის მრგვალი ნამზადის ცხელი გლინვით. იწარმოება მხოლოდ სუფთა ნახშირბადიანი ან ლეგირებული ფოლადისაგან. საჭიროების შემთხვევაში მასალის თვისებების გასაუმჯობესებლად, ღეროვანი ცხლადგლინული არმატურის ფოლადის შემადგენლობაში შეჰყავთ სპეციალური კომპონენტები, როგორიცაა: სილიციუმი, ტიტანი, ქრომი, მანგანუმი და სხვ. ა. ფ. ც. შეიძლება იყოს გლუვზედაპირიანი ან პერიოდული პროფილის.

არმატურა შემვსები – მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად ავსებს განსაზღვრული რაოდენობის წყლით ჩამრეცხ ავზაკს მისი დაცლისა და ჰერმეტულად დახურვის შემდეგ.

არმატურა შექცეული – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაა სამუშაო გარემოს ნაკადის უკუქცევის ავტომატური ბლოკირება.

არმატურა ჩამკეტი – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაა სამუშაო გარემოს ნაკადის გადაკეტვა.

არმატურა წინასწარ დაძაბული – არმატურა, რომელიც კონსტრუქციის დამზადების პროცესში წინასწარ (ექსპლუატაციაში შესვლამდე) იღებს საწყის ძაბვას (იძაბება) და ამ მდგომარეობაში ჩაბეტონდება კონსტრუქციაში.

არმატურა წყალჩასაშვები – მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ჩაშვებას ჩასარეცხი ავზიდან უნიტაზში. არსებობს ხელის და ავტომატური მოქმედების.

არმატურის კარკასი – გრძივი და განივი არმატურის ღეროებით დამზადებული კარკასი, რომელშიც ღეროები გადაკვეთის წერტილში ერთმანეთთან შედუღებითაა დაკავშირებული. კარკასის გრძივი და განივი ღეროები ერთი მიმართულებით შეიძლება იყოს ერთნაირი ან სხვადასხვა დიამეტრის. ა. კ. არსებობს ბრტყელი (ნახ. 1) და სივრცითი (ნახ. 2). ბრტყელ კარკასს აქვს გრძივი და განივი ღეროები განლაგებული ერთ სიბრტყეში და გამოიყენება მცირე სიგანის განივკვეთის რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში, რომლებიც მუშაობს ღუნვაზე ან გაჭიმვაზე, ხოლო სივრცით კარკასებში განივი და გრძივი არმატურები განლაგებულია სხვადასხვა სიბრტყეში.





არმატურის ნორმატიული წინაღობა (R_{sn}) – მიიღება უმცირესი კონტროლირებადი მნიშვნელობების მიხედვით: ა) ღეროვანი არმატურისათვის, მაღალი სიმტკიცის მავთულისა და საარმატურო ბაგირებისათვის – ფიზიკური ან პირობითი დენადობის ზღვარი; ბ) ჩვეულებრივი საარმატურო მავთულებისათვის – ძაბვები, ტოლი 0,75 დროებითი წინაღობისა გაწყვეტაზე, რომელიც განისაზღვრება, როგორც ფარდობა გამწყვეტი ძალვისა არმატურის კვეთის ნომინალურ ფართობთან. არმატურის მითითებული საკონტროლო მახასიათებლები მიიღება შესაბამისი სტანდარტების ან ტექნიკური პირობების შესაბამისად საარმატურო ფოლადზე და გარანტირებულია არანაკლებ 0,95 ალბათობით. ღეროვანი და მავთულოვანი არმატურის ძირითადი სახეობების ნორმატიული R_{sn} წინაღობები მოცემულია ნორმატიულ ლიტერატურაში (მაგ., A240 კლასის ღეროვანი არმატურისათვის R_{sn} = 235 მპა, A300 კლასისათვის – 295 მპა, A400 კლასისათვის – 390 მპა და ა.შ.).

არმატურის საანგარიშო წინაღობა (R_s) – მიიღება ნორმატიულ წინაღობაზე დამოკიდებულებით და ჭიმვაზე პირველი და მეორე ჯგუფის ზღვრული მდგომარეობების მიხედვით გამოითვლება ფორმულით: $R_s = R_{sn} / \gamma_s$, სადაც γ_s არის არმატურის საიმედოობის კოეფიციენტი. არმატურის საანგარიშო R_{sc} წინაღობები კუმშვაზე, პირველი ჯგუფის ზღვრულ მდგომარეობათა მიხედვით გაანგარიშებისათვის, არმატურის ბეტონთან შეჭიდულობის უზრუნველყოფის პირობებში, მიიღება არაუმეტეს 330 მპა, ხოლო A400 კლასის არმატურისთვის – 170 მპა-ის ტოლი. როდესაც არ არსებობს შეჭიდულობა ბეტონსა და არმატურას შორის, R_{sc} მნიშვნელობა ნულის ტოლია. ა. ს. წ. მეორე ჯგუფის ზღვრული მდგომარეობების მიხედვით გაანგარიშებისას $R_{s,ser}$ მიიღება კოეფიციენტით γ_s = 1,0. განივი არმატურის (ცალუღებისა და აღუნული არმატურის) საანგარიშო R_{sw} წინაღობები R_s-თან შედარებით მცირდება მუშაობის პირობების კოეფიციენტებზე γ_{s1} და γ_{s2}-ზე გადამრავლების გზით: ა) γ_{s1} = 0,8 კოეფიციენტზე, არმატურის სახეობისა და კლასის მიუხედავად, რომელიც ითვალისწინებს არმატურაში ძაბვების არათანაბარ განაწილებას განსახილველი კვეთის სიგრძეზე; ბ) A400 კლასის ღეროვანი არმატურისათვის, რომლის დიამეტრი ნაკლებია გრძივი ღეროების დიამეტრის 1/3-ზე და მავთულოვანი არმატურისათვის შედუღებული კარკასების შემადგენლობაში – γ_{s2} = 0,9 კოეფიციენტზე, რომელიც ითვალისწინებს შედუღებით შეერთების შესაძლო მყიფე რღვევას. ზემოხსენებული მუშაობის პირობების γ_{s1} და γ_{s2} კოეფიციენტების გათვალისწინებით განივი არმატურის (ცალუღებისა და აღუნული არმატურის) საანგარიშო R_{sw} წინაღობების მნიშვნელობების ჭიმვაზე მოყვანილია ნორმატიულ ლიტერატურაში, ხოლო R_s, R_{sc}, R_{sw} საანგარიშო წინაღობები, შესაბამის შემთხვევებში, მრავლდება არმატურის მუშაობის პირობების კოეფიციენტებზე.

არმატურის ღეროებს შორის მინიმალური მანძილები – არმატურის ღეროებს შორის (ან არხების გარსებს შორის) მანძილი შუქში კვეთის სიგანეზე და სიმაღლეზე უზრუნველყოფს ბეტონისა და არმატურის ერთობლივ მუშაობას და ინიშნება დაბეტონების მოხერხებულობისა და ბეტონის ნარევის გამკვრივების პირობების გათვალისწინებით; წინასწარ დაძაბული კონსტრუქციებისათვის გათვალისწინებულია აგრეთვე ბეტონის ადგილობრივი მოკუმშვის ხარისხი და დამჭიმ მოწყობილობათა გაბარიტები (დომკრატების,

მომჭერების და ა.შ.). ელემენტებში, რომლებიც მზადდება ვიბროშტამპვის მანქანების ან ხიშტა ვიბრატორების დახმარებით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ მანქანების ელემენტების ან ბეტონის ნარევის გამამკვრივებელი ვიბრატორების თავისუფალი გავლა არმატურის ღეროებს შორის. მანძილი შუქში დაუძაბავი ან საბჯენებზე დაჭიმული დაძაბული არმატურის გრძივ ცალკეულ ღეროებს შორის, აგრეთვე მეზობელი შედუღებული ბრტყელი კარკასების გრძივ ღეროებს შორის, მიიღება არანაკლები ღეროების უდიდესი დიამეტრისა და აგრეთვე: ა) თუ ღეროები დაბეტონების დროს განლაგებულია ჰორიზონტალურად ან დახრილად: არანაკლები 25 მმ – ქვედა არმატურისთვის, არანაკლები 30 მმ – ზედა არმატურისთვის. ქვედა არმატურის განლაგებისას სიმაღლეზე ორზე მეტ რიგში, ღეროებს შორის მანძილი ჰორიზონტალური მიმართულებით (ქვედა ორი რიგის გარდა) მიიღება არანაკლები 50 მმ; ბ) თუ ღეროები დაბეტონების დროს განლაგდებიან შვეულად – არანაკლებ 50 მმ; ბეტონის შემვსების დაფრაქციების სისტემატური კონტროლისას ეს მანძილი შეიძლება შემცირდეს 35 მმ-მდე, მაგრამ ამავე დროს არ უნდა იყოს ნაკლები ბეტონის მსხვილი შემვსების ყველაზე დიდი ზომის 1,5-სა. შეზღუდული პირობების შემთხვევაში დასაშვებია არმატურის ღეროების განლაგება შეწყვილებულად (მათ შორის ღრეჩოს გარეშე). ელემენტებში, ბეტონზე დაჭიმული წინასწარ დაძაბული არმატურით (გარდა უწყვეტად დაარმატურებული კონსტრუქციებისა), არმატურის არხებს შორის მანძილი შუქში უნდა იყოს არანაკლები არხის დიამეტრისა და, ყოველ შემთხვევაში, არანაკლები 50 მმ-სა. (შენიშვნა: პერიოდული პროფილის ღეროებს შორის მანძილი შუქში მიიღება ნომინალური დიამეტრის მიხედვით, შვერილებისა და წიბოების გაუთვალისწინებლად).

არმატურის ჩაანკერება – არმატურის მიერ მასზე მოქმედი ძალის მიღების უზრუნველყოფა საანგარიშო კვეთის გარეთ გარკვეული სიგრძის ჩამაგრებით ან ბოლოებზე სპეციალური ანკერების მოწყობით.

არმოქვის კონსტრუქციები – მშრალი ქვის წყობით აგებული ნაგებობის ნაწილები. ცალობითი ელემენტები (ქვა, ბლოკი, აგური და სხვ.) მზადდება ნახვრეტებით, რომელშიც კედლის აწყობის შემდეგ გაეყრება ფოლადის არმატურა, მოიჭიმება და ჩამაგრდება წყობაში ცემენტის ხსნარის მეშვეობით. ძირითადად გამოიყენება საყრდენი კედლების, დამბების, ნაპირსამაგრი სამუშაოების და მისთ. შესასრულებლად.

არმოცემენტი (ლათ. arma აბჯარი, იარაღები და მვ. ფრანგ. ciment საშენი ხსნარი, დუღაბი, ხის ფისი<ლათ. caementum სამტეხლოს ქვა, უხეში ქვა, დუღაბის მოსამზადებელი ღორღი<caedere ჩეხა, პობა, ჭრა, დანამცეცება) – რკ.ბ.-ის განსაკუთრებული სახეობა, რომლის დასამზადებლად გამოიყენება წვრილი მავთულის ბადეებით დაარმირებული წვრილმარცვლოვანი ბეტონი (ზოგჯერ, დამატებით შეიძლება ღეროვანი არმატურით დაარმირებაც). ბადეების მავთულის დიამეტრია 0,5-1 მმ, ბადის უჯრედის მაქსიმალური ზომაა 10×10 მმ. ბადეები კონსტრუქციის სისქეში განლაგდება რამდენიმე ფენად, რომელთა შორის დაშორება აიღება 3-5 მმ, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ საკმარისად ერთგვაროვანი მასალა. ა.



აკეთებენ თხელ კონსტრუქციებს სისიქით 10-30 მმ (გარსები, ტალღოვანი კამარები, კონოიდები და სხვ.). არმოცემენტის დიდი უპირატესობაა ის, რომ პრაქტიკულად არ ხდება ბზარების გახსნა, რის გამოც შესაძლებელია სრულად გამოვიყენოთ არმატურის ბადის სიმტკიცე.

არმოცემენტის კონსტრუქციები – წვრილი მავთულის ნაქსოვი ან შენადუღი წმინდა ბადეებით დაარმირებული წვრილმარცვლოვანი ბეტონის თხელკედლიანი კონსტრუქციები (ნახ. 1. რომის სპორტის სასახლე, იტალიის რესპუბლიკა). გამოიყენება გუმბათების, გარსების, რეზერვუარების, შენობების აგებისას და სხვ. ა. კ. შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ისეთ ნაგებობებში, სადაც ჰაერის ნორმალური ტენიანობაა და არ არის ქიმიურად აგრესიული გარემო, რადგანაც მისი კოროზიამედეგობა მცირეა. ცეცხლმედეგობა კი გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ რკ.ბ.-ს. ასევე დაუშვებელია ა. კ. გამოყენება დინამიკური დატვირთვების ქვეშ მომუშავე კონსტრუქციებში. ა. კ. მზადდება ლითონის, ხის ან რკ.ბ.-ის მატრიცებში ბეტონის ნარევის მექანიკური გამკვრივებით, ხოლო ცალმხრივ ფორმებში – ბეტონის ნარევის დაშხეფებით (ტორკრეტირებით).

არომატული ნახშირწყალბადები – ბენზოლის ბირთვის შემცველი ნახშირწყალბადები.

არორუტი (ძვ. ინგლ. earh ისარი და ძვ. ნორ. rōt ფესვი, ძირი) – კრახმალი, რომელიც ტროპიკული მცენარეების ფესვებიდან და ნაყოფიდან მიიღება. გამოიყენება სამღებრო სამუშაოებში.

არსებული დასხივების სიტუაცია – სიტუაცია, რომელშიც დასხივება უკვე არსებობს და საჭიროებს მარეგულირებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას კონტროლის განხორციელებაზე.

არსენალი (ფრანგ. arsenal<არაბ. dār ṣinā'ah სახელოსნო, სახლი ხელით სამუშაოებისათვის) – 1. ქარხანა სამხედრო იარაღის წარმოების, რემონტისა და შენახვისათვის; 2. სამხედრო იარაღისა და საჭურვლის საწყობი; 3. გადატ. რისამე დიდი რაოდენობა, მარაგი; 4. სამხედრო იარაღისა და ტექნიკის კოლექცია; 5. განსაზღვრული მიზნებისათვის ხელმისაწვდომი რესურსების ერთობლიობა.

არტანუჯის ციხე (ინგლ. Artanuji Fortress) – ქართული ხუროთმოძღვრების V საუკუნის ძეგლი ართვინის პროვინციაში (ნახ. 1. საერთო ხედი; ნახ. 2. ციხის გალავნის ფრაგმენტი), ისტორიულ მხარე კლარჯეთში (ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორია). მდებარეობს ქალაქ არტანუჯის სიახლოვეს მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე. "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ციხე ვახტანგ გორგასლის ბრძანებით აუგიათ. VIII საუკუნის I ნახევარში არტანუჯის ციხე არაბმა სარდალმა მურვან ყრუმ დაანგრია. IX საუკუნეში



ნახ. 1



განაახლა მეფე აშოტ I კურაპალატმა. მანვე დააარსა აქ ქალაქი და ააგო ეკლესია. X საუკუნეში გამაგრებული და დიდი რაბათის (წინაქალაქი) მქონე არტანუჯი, მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. დღეისათვის კომპლექსში შემავალი ნაგებობებიდან შემორჩენილია: ციხე-გალავანი, წმიდა პეტრესა და პავლეს ეკლესია, ადაქალეს ეკლესია, ჯამედ გადაკეთებული ეკლესია, სხვა ნაგებობანი. კლდის თავზე მდგარი ციხე – არტანუჯის ბობოქარი ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო მატერიალური ნაშთია. მას უჭირავს კლდის მთელი ზედა მოედანი, რომელსაც სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე ძლიერ წაგრძელებული ფორმა აქვს და ციტადელიც, შესაბამისად, სიგრძეშია გაჭიმული დაახლოებით 220 მეტრზე, სიგანე ყველაზე ფართო ადგილას 55 მეტრს აღწევს, ციხის კედლები რელიეფის მოხაზულობას მიჰყვება, მრუდხაზოვანია. როგორც ჩანს, ციცაბო კლდე ისეთ საიმედო დაცვას უზრუნველყოფდა, რომ კედლებში კოშკების ჩართვა საჭიროდ არ მიუჩნევიათ – მათი კვალი არსად ჩანს. ციხის თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბუნებრივი გამოქვაბულები, რომლებიც ციხეს გვირაბებით უკავშირდებოდა. ციხის ქვემოთ ნაქალაქარია, რომლის ადგილზეც თანამედროვე ქალაქ არტანუჯის (თურქ. არდანუჩი) ერთ-ერთი უბანია.



არტახი – ლითონის რგოლი, ცალუღი ან სარტყელი, რომელიც გარშემოეცმევა დეტალს ან კონსტრუქციას მისი სიმტკიცის ან ცვეთამედეგობის გაზრდის მიზნით. არტახებით აღიჭურვება ერთმორიანი ხის ანძის ტანის პირაპირები, გამოსაწვავი ღუმლების კორპუსები, ქვის სამსხვრევების ლილვაკები, საფქვავი წისქვილის დოლები, წყალსადენის მილები (ნახ. 1. უჟანგავი ფოლადის მილსადენის სარემონტო არტახი) და სხვ.

არტბეტონი – თანამედროვე საშენი მასალის სახეობა – ბეტონი ქვიშა-თაბაშირის საფუძველზე, რომელშიც ასევე შედის შემავსებელი, საღებარი და მისართი, რომლებიც ბეტონის ნაკეთობის ზედაპირზე დაიტანება ბათქაშის სახით და აძლევს მას შესანიშნავ ესთეტიკურ სახეს.

არტდეკო (ფრანგ. Art Déco დეკორატიული ხელოვნება) – XX საუკუნის დასაწყისის მიმდინარეობა დეკორაციულ ხელოვნებაში, რომელიც წარმოიშვა საფრანგეთში და ზეგავლენა იქონია იმდროინდელ არქიტექტურაზე, მოდასა და ვიზუალურ ხელოვნებაზე. ეს სტილი უფრო ეკლექტიკურად მიიჩნევა, რომელმაც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან შეაღწია აშშ-ში და ფართოდ გავრცელდა პოვა მშენებლობაში. ამ მიმართულების მშენებლობაში გამოიყენებოდა მასობრივი წარმოების მეთოდები, ხელოვნური საშენი მასალები (მაგ., ბაკელიტი), მუშავდებოდა ნატიფი რთული დიზაინი და სხვ. არტდეკოს ცნობილი პროექტებია: არგაილ ჰოტელი, ლოს-ანჯელესი, აშშ; ემპაიერ სტეიტ ბილდინგი (ნახ. 1), ნიუ-იორკი, აშშ; კრაისლერ ბილდინგი (მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობა 1931 წლიდან 1972 წლამდე), აშშ; მონრეალის უნივერსიტეტის ცენტრალური შენობა (კანადა); არსენალის სტადიონი, ლონდონი (ინგლისი); შორეული აღმოსავლეთის უნივერსიტეტი, მანილა



(ფილიპინები) (ნახ. 2). აღსანიშნავია ამავე პერიოდის ინტერიერის დიზაინი არტდეკოს სტილში (ნახ. 3), რომელიც გამოირჩევა კუბიზმისა და ამპირიზმისადმი მიდრეკილებით, მასში შეიმჩნევა ძველი კულტურების არქაული ხელოვნების ელემენტები, რაც ქმნის სივრცის ჰარმონიულ ერთიანობას.





არტელი (რუს. артель<იტალ. areieri ხელოსნები<arte სამუშაო<ლათ. ars ხელოვნება, ოსტატობა, ხელობა) – ნებაყოფლობითი, ჩვეულებრივ ფიზიკურ პირთა (მოქალაქეთა) დროებითი გაერთიანება სამუშაოების ერთობლივად შესრულების, შრომითი საქმიანობის კოლექტიურ საწყისებზე განხორციელებისათვის. ა. ქონება, საპაიო შენატანების გარდა, ერთიანი განუყოფელი კოლექტიური საკუთრებაა. ცნობილია, მაგ., ოქროს მომპოვებელთა არტელი, მშენებელთა არტელი და სხვ.

არტემიდას ტაძარი (დიანას ტაძარი) (ინგლ. Temple of Artemis) – მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, ბერძნულ ქალღმერთ არტემიდასადმი მიძღვნილი ტაძარი ეფესოში (ნახ. 1. ეფესოს ტაძრის მოდელი, პარკი მინიატურკი, სტამბოლი, თურქეთი.); აგებულია დაახლოებით ძვ. წ. 550 წელს სპარსეთის იმპერიის აქამენიდთა დინასტიის მმართველობის პერიოდში. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა (ქ. სელჩუკი, იზმირის პროვინცია). თავდაპირველი ტაძრისაგან დღემდე არაფერი შემორჩენილა. პირველი ტაძარი ააგეს ძვ. წ. VI–V საუკუნეებში. მშენებლობა დააფინანსა ლიდიის მეფე კრიოსმა. ტაძრის პროექტი, სტრაბონის მიხედვით, დაამუშავა არქიტექტომა ჰარსიფრონმა კნოსიდან (ძველი ქალაქი კუნძულ კრიტაზე), რომლის სიცოცხლეში აშენდა ტაძრის კედლები და სვეტნარი. მშენებლობა გააგრძელა მისმა შვილმა მეთაგენმა, ხოლო დაასრულეს, როგორც წერს ვიტრუვიუსი, არქიტექტორებმა პეონემ და დემეტრემ (ახ. წ. V საუკუნის პირველი ნახევარი). თეთრი მარმარილოსაგან აგებული უზარმაზარი ტაძარი მნახველების გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევდა. ცნობილია, რომ მისი ინტერიერისა და ექსტერიერის მოსაწყობად მოწვეული იყვნენ ბერძნული სამყაროს ცნობილი





ოსტატები და მოქანდაკეები, ხოლო ქალღმერთ არტემიდას ქანდაკება მთლიანად გაკეთებული იყო ოქროსა და სპილოს ძვლისაგან. ტაძრის სიგრძე იყო 105 მ, სიგანე – 52 მ, სვეტების სიმაღლე – 18 მ, სვეტების რაოდენობა – 127. არტემიდას ტაძარი გამოიყენებოდა არა მარტო რელიგიური ცერემონიების ჩასატარებლად, არამედ ის ეფესოს ფინანსურ და საქმიან ცენტრსაც წარმოადგენდა, იყო დამოუკიდებელი ქალაქისაგან და იმართებოდა ქურუმების კოლეგიით. ძვ. წ. 356 წელს, ეფესოს მკვიდრმა ვინმე ჰეროსტრატემ, ტაძარი გადაწვა, თუმცა, შემდეგ მალევე აღადგინეს გადაკეთებული სახით. ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში ალექსანდრე მაკედონელის ძალისხმევით ტაძარი სრულად აღადგინეს პირვანდელი სახით (არქიტექტორი ჰეიროკრატი ან დეინოკრატი). ძვ. წ. 263 წელს ტაძარი გაძარცვეს გოტებმა. IV საუკუნის ბოლოს (რომის იმპერატორ თეოდოსიუს I მმართველობის დროს) დახურეს და დაანგრიეს ქრისტიანებმა ენობრივი კულტის აკრძალვასთან დაკავშირებით. ნანგრევები დაიტაცა ადგილობრივმა მოსახლეობამ, ხოლო რაც დარჩა ამ დიდებული ტაძრისგან – ბუნებამ იავარყო. მხოლოდ XIX საუკუნეში (1869 წელს) გახდა შესაძლებელი არტემიდას ტაძრის ნაკვალევის აღმოჩენა და გათხრების ჩატარება. დღეისათვის ტაძრის ადგილზე დგას მხოლოდ ერთი სვეტი, აღდგენილი ნანგრევებიდან (ნახ. 2).



არტესონადო (სავარ. ბერძ. ártos პური ან ლათ. ars ხელოვნება, ოსტატობა, ხელობა) – მოჩუქურთმებული და მოხატული ხის ასაწყობი ჭერი (ნახ. 1). გავრცელდა შუა საუკუნეების მავრიტანული არქიტექტურიდან.

არტეფაქტი (ლატ. artefactum<arte ხელოვნური და factus გაკეთებული) – 1. ნებისმიერი ხელოვნურად შექმნილი ობიექტი, ადამიანის მოღვაწეობის შედეგი; 2. წარმონაქმნი ან პროცესი, რომლებიც ზოგჯერ თავს იჩენს ორგანიზმის ან მისი ცალკეული ქსოვილების გამოკვლევისას რაიმე ზემოქმედების ან დამუშავების შედეგად და რომლებიც ჩვეულებრივ არ არის დამახასიათებელი ორგანიზმისათვის.

არტეფაქტი არქეოლოგიაში – ობიექტი, რომელმაც განიცადა ადამიანის ზემოქმედება და მოძიებული იქნა გათხრების ან ერთეული, შემთხვევითი მოვლენის შედეგად.

არტეფაქტი კულტურული – ნებისმიერი ხელოვნურად შექმნილი ობიექტი, რომელსაც გააჩნია როგორც განსაზღვრული ფიზიკური მახასიათებლები, ისე ნიშნური სიმბოლური შინაარსი.

არტეფაქტი ლაბორატორიული კვლევების – ეფექტი, რომელიც გამოწვეულია ექსპერიმენტატორის შემთხვევითი ან წინასწარგანზრახული გავლენით ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე.

არტეფაქტი მონაცემთა კოდირების – კომპ. ისეთი კანონზომიერებების გამოჩენა ეკრანზე, რომელიც გათვალისწინებული არ არის საწყის მონაცემთა ბაზაში (მაგ., ზედმეტი დეტალები გამოსახულებაზე, ხმაურის ფონი, გამოსახულების აბერაცია და სხვ.).

არტეფაქტი პროექტების მართვაში – ორგანიზებული საქმიანობის მიუღებელი (გასხვისებული, განრიდებული) შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია პროექტის წარმოების მეთოდოლოგიით (მაგ., დოკუმენტი, ნახაზი, მაკეტი და სხვ.).

არტიკული (ლათ. articulus სახსარი, კიდური, ნაწილი, წევრი, სტატია, მცირე შემაერთებელი ნაწილი) – სავაჭრო ტერმინი, რომელიც მიუთითებს საქონლის ტიპზე, მისი ციფრითა და ასოით აღნიშვნაზე.

არტნუვო (ფრანგ. Art Nouveau ახალი ხელოვნება) – XIX–XX საუკუნეების ფრანგული ხელოვნების დეკორატიულ-ორნამენტული სტილი. ახასიათებს ტალღისებრი მრუდი ხაზები, რომლებიც ინტერიერის დეკორში ერწყმის კონსტრუქციულ ელემენტებს (ნახ. 1). აქცენტი უმეტესად კეთდება მცენარეულ ფორმებზე, რომელიც შესრულებულია ხის ან ლითონის მასალაში. ა. იყენებდა გვიანდელი მე-19 საუკუნის თითქმის ყველა ტექნოლოგიურ ინოვაციას, როგორიცაა გაშიშვლებული ლითონი და ვრცელი უსწორმასწორო ფორმის მინა არქიტექტურაში, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთვის ა. ზედმიწევნით სტილიზებული დიზაინი, რომელიც თავისთავად საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, შეცვალა უფრო სწორხაზოვანმა, მართკუთხა მოდერნიზმმა, რომელიც უფრო იაფი და, როგორც მიიჩნევდნენ, უფრო არაესთეტიკური იყო წმინდა ინდუსტრიული თვალსაზრისით.



საქართველოში, რომელიც ევროპის კულტურული მოვლენების ეპიცენტრიდან მოშორებით მდებარეობდა, მე-20 საუკუნის დასაწყისში მრავალი შესანიშნავი არტნუვოს სტილის შენობა გაჩნდა: სკოლები, სახელოსნოები, კინო-თეატრები, თეატრები, მაღაზიები, ბანკები, საავადმყოფოები და არა მხოლოდ თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც (სოხუმი, გაგრა, ახალი ათონი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, დუშეთი, აბასთუმანი, ბორჯომი და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ ა. საერთაშორისო მიმდინარეობა იყო, ქართულ ა. არქიტექტურაში ადგილობრივი ფორმებია შერწყმული. შედეგად მიღებულ იქნა ორიგინალური სინთეზი ევროპული სტილის ფასადებისა ქუჩის მხარეს (ნახ. 2. სასტუმრო "თბილისი-მარიოტი" რუსთაველის გამზირზე, ქ. თბილისი, საქართველო. აგებულია 1915 წელს) და ქართული ხის აივნებისა ა. დეკორაციებით ეზოს მხარეს. ამ სტილის არქიტექტურა ევროპული ნიმუშების მექანიკური განმეორება არ ყოფილა: აქ ვხვდებით ა. ორნამენტებს





ორიგინალური დაგეგმარებით (ნახ. 3. ყოფილი ძველი უნივერმაღი, ქ. თბილისი, საქართველო. აგებულია 1910 წელს), ავეჯით, მოზაიკით, მოჭიქული მინის პანელებით, ძეგლებით, ბუხრებით, ინტერიერის სხვა დეკორაციებითა და მაღალმხატვრული ფასადებით. ა. გამოირჩეოდა ახალი სტილი ორნამენტების სიმდიდრით, რკალებითა და ხვეული ხაზებით. ეს დეკორატიული სტილი დრამისა და ფანტაზიის ნაზავია და მისი მოტივების წყაროს წარმოადგენს გოტიკური პერიოდის ხელოვნება. არტნუვოს დამახასიათებელი ნიშნებია: ქალთა ფიგურები თხელ კაბებში; ასევე, გრძელი, ტალღოვანი, ესთეტიკური, ასიმეტრიული ხაზები, რომლებიც ხშირად ბუნების საგნებს – ხვიარა მცენარეების ან კვირტების, პატარა ცხოველების ან მწერების ფიგურებს იღებენ, ასევე, დეკორატიული ელემენტები, რომლებიც ცენტრშია გამოკვეთილი. ა. სტილის მთავარი სახვითი პრინციპი შენობის ფუნქციური, უტილიტარული ელემენტების მხატვრული ინტერპრეტაციაა. მისი დეკორი სრულ ჰარმონიაშია ნაგებობის არქიტექტურულ სტრუქტურასთან.

არტურ ეშის სტადიონი (ინგლ. Arthur Ashe Stadium) – ჩოგბურთის ღია სტადიონი ნიუ-იორკში (აშშ), სადაც ყოველ წელს ტარდება "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირი – აშშ-ის ღია პირველობა. გაიხსნა 1997 წელს (ნახ. 1). ტევადობაა 22547 მაყურებელი. ტრიბუნებზე განლაგებულია 90 ლუქსის ტიპის ლოჟა და 5 უმაღლესი კლასის რესტორანი. სტადიონი გეგმით რვაკუთხედის ფორმისაა. მზიდი კონსტრუქციების დასამზადებლად გამოყენებულია მაღალი კლასის რკ.ბ. და ფოლადი, ხოლო კეთილმოწყობისათვის – მერქანი და პლასტმასა. ა. ე. ს. მსოფლიოში ჩოგბურთის ყველაზე დიდი ღია სტადიონია.



არფა (კუთხ. მეგრ.) – ხის სახლის კედელში ვერტიკალურად ჩაყენებული სქელი ფიცარი ან ძელი, რომლის დაღარულ გვერდებში ჯდება ჰორიზონტალურად ამოყვანილი კედლის ფიცრის თავები. მასვე უჭირავს თავხე და იმაგრებს ორმხრივ დაქანებულ სახურავს.

არქაიზმი (ბერძ. arkhaïsmós მოძველებული გამონათქვამი ან სტილი>arkhê დასაბამი, დასაწყისი<árkhein პირველობა, მართვა, ბატონობა) – აღდგენა ძველი ოსტატების შემოქმედებითი ხერხებისა; ხელოვნების ძველი ფორმების მიბაძვა.

არქაიკა (ბერძ. arkhê დასაბამი, დასაწყისი<árkhein პირველობა, მართვა, ბატონობა) – 1. ადრინდელი, პრიმიტიული საფეხური ხელოვნების განვითარებისა; 2. ძველი დროის დამახასიათებელი ნიშნები. ტერმინი, რომელიც იხმარება ძველი ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის მიმართ (ძვ. წ. V-V სს.).

არქეოგრაფია (ბერძ. arkhaîos ძველი, უძველესი, დაძველებული, დასაბამიდან და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – დამხმარე საისტორიო დისციპლინა, რომლის მიზანია ისტორიული ძეგლების შესახებ მასალის მომზადება გამოსაცემად.

არქეოლოგია (ბერძ. arkhaîos ძველი, უძველესი, დაძველებული, დასაბამიდან და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – მეცნიერება, რომელიც კაცობრიობის წარსულს სწავლობს ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობის შემორჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით. არქეოლოგიური ძეგლები ერთადერთი წყაროა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიის შესასწავლად. მას დიდი მნიშვნელობა აქვს დამწერლობიანი ეპოქების ისტორიულად შესასწავლადაც. არქეოლოგიური კვლევის შედეგები ავსებს და აზუსტებს წერილობითი წყაროების ცნობებს. არქეოლოგთა აღმოჩენილია თვით დამწერლობის უძველესი ძეგლებიც. ა. ნივთიერი წყაროების მონაცემთა საფუძველზე ახდენს ძველ საზოგადოებათა კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რეკონსტრუქციას. ვინაიდან ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების ყოველ საფეხურზე ნივთიერი კულტურა და ყოფა კანონზომიერადაა დაკავშირებული სოციალურ–ეკონომიკურ ცხოვრებასთან.

არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, რომელსაც კვლევის საკუთარი მეთოდები აქვს, ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში, თუმცა სიძველეებისადმი ინტერესს უძველესი დროიდანვე იჩენდნენ. ტერმინი „არქეოლოგია“ სიძველეთმცოდნეობის მნიშვნელობით, პირველად გამოიყენა დიდმა ბერძენმა ისტორიკოსმა პლატონმა (ძვ. წ. IV ს.). სიძველეთა შესწავლა საგანგებო ყურადღების საგანი გახდა ძველ რომშიც. დაიწყეს არქეოლოგიური გათხრების წარმოება სამეცნიერო თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პომპეის გათხრებს, რომელიც დაიწყო 1748 წელს და ფართო მასშტაბი მიიღო XIX საუკუნეში. გეოლოგიური თვალსაზრისით არქეოლოგიის მონაცემების ანალიზით შესაძლებელი გახდა კაცობრიობის ისტორიის დაკავშირება დედამიწის ისტორიის პერიოდებთან. დროთა განმავლობაში შრომის იარაღებისა და ნივთიერი კულტურის სხვა ძეგლების შესწავლიდან არქეოლოგია გადავიდა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიულ შესწავლაზე. XIX საუკუნის ბოლოს დადგინდა კავშირი პალეოლითსა და ნეოლითს შორის, გამოიყო გარდამავალი ეპოქა – მეზოლითი.

განსაკუთრებით წარმატებებს მიაღწია კლასიკურმა არქეოლოგიამ. მისი შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური და ამერიკული არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობას ეგვიპტეში, საბერძნეთში, თურქეთში, ირანში, ერაყში, წინა აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში; შედეგად აღმოჩნდა ეგვიპტის, მესოპოტამიის, ეგეოსის უძველესი ცივილიზაციები. ასეთივე ძვ. ადრინდ. მონათმფლობელური ცივილიზაციები აღმოჩნდა XX საუკუნის 20-იან წლებში ინდოეთში და შემდეგ ჩინეთშიც. არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ძირითადად XIX–XX სს.) საქართველოში მოხდა მსოფლიო ისტორიისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩენები (იხ. არქეოლოგია საქართველოში). თანამედროვე არქეოლოგია არქეოლოგიური ძეგლების გათხრების, ფიქსაციის, რესტავრაცია-კონსერვაციის, კლასიფიკაციის, დათარიღებისა და სხვა დროს წარმატებით იყენებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდებს, როგორიცაა: აერო-, ფოტოგადაღება, გეოფიზიკური და ელექტრომაგნიტური მეთოდები, ნიადაგების ქიმიური ანალიზები და სხვ. არქეოლოგიური კვლევების პროცესებში, გარდა არქეოლოგებისა, ჩართულნი არიან გეოლოგები, მშენებლები, ისტორიკოსები, მედიის წარმომადგენლები და სხვ., რომლებიც ერთობლივად აცოცხლებენ საუკუნეების წინათ

არსებულ ცივილიზაციებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის საინტერესო და აუცილებელი მატეანის შექმნაში.

არქეოლოგია საქართველოში – არქეოლოგია საქართველოში XIX საუკუნეში ჩაისახა. მიუხედავად არქეოლოგიური გათხრების მცირე მასშტაბისა, XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოხდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები: სამთავროს სამაროვნისა და საჩხერის ყორღანული სამარხების გათხრები, ყაზბეგის განძის, ახალგორის განძის პოვნა და სხვ. მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა იაშთხვაში აღმოჩენილი აშელის ეპოქის ძეგლი, წონის, კუდაროს, ჯრუჭალას და სხვა პალეოლითური ხანის მღვიმეები, ზედა პალეოლითური მღვიმე–ნამოსახლარები: დევის ხვრელი, საკაჟია და სხვა; აგრეთვე ქვემო ქართლში გამოვლენილი შულავრის ენეოლითური კულტურა. ადრინდელი ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანული კულტურის ძეგლების აღმოჩენასა და შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს, არამედ წინა აზიის არქეოლოგიისათვის. საქართველოს არქეოლოგიურ განვითარებაში ახალი ეტაპი იყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა, რომელმაც შეისწავლა სამთავროს სამაროვანი, არმაზისხევის, ბაგინეთისა და საკუთრივ მცხეთის ძეგლები. მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა დაკავშირებულია ახალმშენებლებთან. აღსანიშნავია მშენებელთა და არქეოლოგთა თანამშრომლობა კოლხეთის დაბლობზე, თრიალეთში, ენგურჰესის ტერიტორიაზე, ალაზნის სარწყავი სისტემის ტრასაზე, რუსთავში, ახალქალაქში, ვარციხეში, ჟინვალსა და ბორჯომის ხეობაში (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი). არქეოლოგიურმა კვლევა–ძიებამ სრულიად ახლებურად წარმოადგინა წინაქრისტიანული ხანის საქართველოს კულტურული და სოციალურ–ეკონომიკური სახე. მცხეთის, ვანის, უფლისციხის, სოხუმის, ფიჭვნარის, ბიჭვინთის, ურბნისისა და სხვა აღმოჩენებმა გვიჩვენა საქართველოში პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბების, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-განვითარების თავისებურებანი, გამოავლინა მრავალფეროვანი ხელოსნური ნაწარმი. ამჟამად, საქართველოს მუზეუმებში (სიმონ ჯანაშიას სახ. სახელმწიფო საქართველოს მუზეუმი; საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; თბილისის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, თელავის, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმები, აგრეთვე ახალციხის, მარტვილის, გურჯაანის, მესტიის, მცხეთის, რუსთავის, ფოთის, ცხინვალის, ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები) თავმოყრილია პალეოლითიდან დაწყებული და გვიანდელ შუასაუკუნეებით დამთავრებული მდიდარი არქეოლოგიური ფონდები.

არქეოლოგიური გათხრები – მიწის გათხრითი სამუშაოები არქეოლოგიური ძეგლის გამოვლენისა და ისტორიული კვლევის მიზნით. თითოეულ გათხრას თავისი სპეციფიკა აქვს. ფიქსაციის გასაადვილებლად თხრილს კვადრატებად ყოფენ; თხრიან ხელით, სხვადასხვა ხელსაწყოთი (ბარი, წერაქვი, დანა, ლანცეტი, ფუნჯი). მექანიზმების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გათხრილი და გადარჩეული მიწის გასატანად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გათხრის პროცესის ყველა საფეხურის დაწვრილებით აღწერას. თხრილის გეგმაზე აღინიშნება აღმოჩენილი ნივთები და ნაგებობანი. გეგმის გარდა, აუცილებელია თხრილის ვერტიკალური ჭრილის ნახაზები, ფოტოსურათები, რომელზეც აისახება კულტურული ფენების თანმიმდევრობა. მათზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დადგინდეს შედარებითი ქრონოლოგია. ხშირად საჭირო ხდება სინჯების აღება პალეობოტანიკური, დენდროქრონოლოგიური, პალეომაგნიტური, ქიმიური და სხვა

ანალიზებისათვის. არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლება აქვთ მხოლოდ სპეციალისტ არქეოლოგებს არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ნებართვის მიღების შემდეგ.

არქეოლოგიური განძი – რაიმე მიზეზით დამალული, უპირატესად მიწაში დაფლული ნივთები, რომლებიც თავისი დროისათვის მატერიალურ ფასეულობას წარმოადგენდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიური განძებიდან ჯერჯერობით უძველესია შუა ბრინჯაოს ხანის ურეკის განძი (ძვ. წ. XVIII-XVI სს.). არქეოლოგიურ განძთა სიმრავლით ცნობილია კოლხური კულტურა (ძვ. წ. XIV-VII სს.), რომელსაც განსაკუთრებით გამოარჩევს ოქროს ნაკეთობანი (ქ. ვანი) და მრავალ ადგილას აღმოჩენილი მონეტათა განძები (მაგ., კოლხური თეთრი).

არქეოლოგიური ძეგლები – ადამიანის მიერ შექმნილ მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც არქეოლოგიური კვლევის საგანს წარმოადგენს. არქეოლოგიურ ძეგლს განეკუთვნება ყველაფერი, რასაც ადამიანის არსებობისა და მოქმედების კვალი ატყვია, მაგ., ნასახლარები, ნასოფლარები, ნაქალაქარები, სამარხები, საყოფაცხოვრებო ნივთები, მონეტები, სამკაულები და სხვ. ა. ძ. შესაძლოა მიწის ზემოთაც აღმოჩნდეს, მაგრამ უპირატესად ისინი მიწითაა დაფარული და მათ გამოსავლენად საჭიროა არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. არსებობს ასევე წყალქვეშმოქცეული არქეოლოგიური ძეგლებიც.

არქეომაგნეტიზმი (ბერძ. arkhaîos ძველი, უძველესი, დაძველებული, დასაბამიდან და Magnēs lithos ქვა მაგნეზიიდან) – გეომაგნეტიზმის დარგი, რომლის საშუალებით ხდება დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებათა დადგენა.

არქივატორი (კომპ.) – კომპიუტერული პროგრამა, რომელიც არქივის ერთ ფაილში ან ფაილების რიგში ათავსებს ერთ ან რამდენიმე ფაილს მათი მოხერხებულად ტრანსპორტირების ან შენახვის მიზნით. არქივის ზომის შემცირებისათვის ასევე შესაძლებელია ფაილების გარკვეული ხარისხით შეკუმშვა მონაცემთა კარგვის გარეშე. თანამედროვე (2016 წ.) პოპულარული არქივატორებია: WinZip, WinRAR, 7-Zip, TAR, PowerArchiver, WinAce, PeaZip, FreeArc, Bandizip, ZipGenius და სხვ.

არქივოლტი (იტალ. archivolto<ლათ. arcus volutus მომჩარჩოებელი რკალი) (რუს. обрамляющая дуга) – ნაძერწი არქიტრავი, მრუდწირული ზოლურა, რომელიც თაღის ან ფანჯრის მოჩარჩოებული მთლიანი ან დანაწევრებული ზედაპირია (ნახ. 1) და თაღის რკალს გამოყოფს კედლის სიბრტყიდან (თაღური კარნიზი).



ნახ. 1

არქიმედეს კანონი – სითხეებისა და აირების სტატიკის კანონი, რომლის თანახმად სითხეში (ან აირში) ჩაშვებულ ყოველ სხეულზე მოქმედებს "ამწევი ძალა" (ამომგდები ძალა), რომელიც მიმართულია ზევით, ტოლია სხეულის მიერ გამოდევნილი სითხის (ან აირის) წონისა და გამოდევნილი მოცულობის სიმძიმის ცენტრშია მოდებული. ზოგჯერ ამ ამწევ ძალას, სითხეში სხეულის მოძრაობისას წარმოშობილი ამწევი ძალისაგან განსხვავებით, არქიმედეს

ძალას ან ჰიდროსტატიკურ ამწევ ძალას უწოდებენ. ა. კ. ჰიდროსტატიკისა და აეროსტატიკის ძირითადი კანონია.

არქიმედეს სპირალი – სპირალი, ბრტყელი მრუდი, M წერტილის ტრაექტორია (ნახ. 1), რომელიც თანაბრად მოძრაობს OV სხივზე სათავით O, ხოლო თვით სხივი თანაბრად მოძრაობს O წერტილის ირგვლივ. მისი განტოლება პოლარულ კოორდინატებში: ρ = kφ, სადაც k არის M წერტილის გადაადგილება UV მიმართულებით და ტოლია სხივის მობრუნებისა 1 რადიანის ტოლი კუთხით, თუ k = 0, მაშინ M წერტილი შეუთავსდება O წერტილს; φ – კუთხე ჰორიზონტალურ x ღერძსა და ტრაექტორიაზე მოძრავი M წერტილის სათავესთან შემაერთებელ სწორ ხაზს შორის; ρ – პოლარული კოორდინატი. სხივის მობრუნებას 2π კუთხით შეესაბამება სპირალის ბიჯი a = OM = MA = 2πk. სხივის ბრუნვით საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მიიღება მარჯვენა სპირალი, საათის ისრის მიმართულებით კი – მარცხენა სპირალი.



არქიმედეს ხრახნი – წყლის ასაქაჩი მანქანა, გამოგონებული არქიმედეს მიერ ძვ. წ. III საუკუნეში. გამოიყენებოდა წყლის მისაწოდებლად ქვევით მდებარე საგუბარიდან ზევით მდებარე სარწყავ არხებში. ის ორივე ბოლოთი ღია ცილინდრული მილია, რომლის ღერძის გასწვრივ დაყენებულია ხრახნულზედაპირიანი ლილვი (ნახ. 1). ა. ხ. თანამედროვე შნეკის პროტოტიპია.



არქიტექტონიკა (ბერძ. architektonikós არქიტექტურისადმი კუთვნილება<árkhein პირველობა, მართვა, ბატონობა და tektōn მშენებელი, ხელოსანი, მუშა, ხურო) – 1. სამშენებლო კონსტრუქციის მუშაობის პრინციპის გამოსახვა არქიტექტურული ფორმით; 2. დეკორატიულ დენდროლოგიაში აღნიშნავს ხის ბარჯის სტრუქტურას; განისაზღვრება მისი ზომით, ფორმით, ტოტების განშტოებითა და განლაგების სილამაზით.

არქიტექტორ-ექსპერტი – არქიტექტორი, რომელიც ახდენს ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილის ექსპერტიზას.

არქიტექტორ-რესტავრატორი – აქტიტექტორი, რომელიც ახდენს არქიტექტურული ძეგლების აღდგენას.

არქიტექტორ-ქალაქთმშენებელი – არქიტექტორი, რომელიც ამუშავებს ქალაქის (რაიონის, დასახლებული პუნქტის) გენერალურ გეგმას და ქალაქთმშენებლობის სხვა დოკუმენტაციას.

არქიტექტორი (ბერძ. architéktōn სამუშაოების ხელმძღვანელი<árkhein პირველობა, მართვა, ბატონობა და tektōn მშენებელი, ხელოსანი, მუშა, ხურო) – შესაბამისი განათლების ცენზის მქონე პირი, რომელიც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ქმნის საარსებო გარემოს გარკვეულ სივრცეში, ფორმასა და ისტორიულ კონტექსტში, პასუხს აგებს ამ გარემოს ასპექტების არქიტექტურის ენით გამოსახვაზე.

არქიტექტურა (ლათ. architectūra<ბერძ. architéktōn სამუშაოების ხელმძღვანელი<árkhein პირველობა, მართვა, ბატონობა და tektōn მშენებელი, ხელოსანი, მუშა, ხურო) – 1. ნაგებობების დაპროექტებისა და მშენებლობის პროფესია ან ხელოვნება; შენობების, ღია სივრცეების, ასევე სხვა ხელოვნური ნაგებობებისა და ბუნებრივი გარემოს დაპროექტება და მშენებლობა ესთეტიკური ეფექტის გათვალისწინებით. ა. ხშირად ითვალისწინებს ავეჯისა და დეკორაციების დაპროექტებასა და შერჩევას, არსებული შენობების ექსპერტიზას, აღდგენასა და მოდენრიზებას; 2. სტილი, რომლის მიხედვითაც დაპროექტებული და აშენებულია ნაგებობა კონკრეტულ პერიოდში, განსაზღვრულ ადგილას (მაგ., პარიზის არქიტექტურა) ან გარკვეული კულტურის ეპოქაში (მაგ., რომანული არქიტექტურა, ვიქტორიანული არქიტექტურა); 3. რთული ან გულმოდგინედ დაპროექტებული ნაგებობა ან ნებისმიერი სხვა რამ; 4. დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესი; 5. გარკვეულ ნაგებობათა ერთობლიობა; 6. კომპიუტერის ან კომპიუტერული სისტემის, სხვა აპარატურული საშუალებებისა და პროგრამული საშუალებების კონცეპტუალური სტრუქტურა და ლოგიკური ორგანიზაცია; 7. ნებისმიერი რამის სტრუქტურა, აგებულება, მოწყობილობა.

არქიტექტურა ბიზანტიური – არქიტექტურა, რომელიც ჩამოყალიბდა იმპერატორ კონსტანტინეს მიერ რომაელი იმპერატორების რეზიდენციის ბიზანტიონში (კონსტანტინოპოლი) გადატანის შემდეგ (ახ. წ. 330). ის არის ბიზანტიის იმპერიის



არქიტექტურა, ასევე ცნობილია, როგორც გვიანდელი რომაული ან აღმოსავლეთ რომის იმპერიის არქიტექტურა. მასში შერწყმულია რომაული და ბერძნული მოტივები, ასევე იგრძნობა სასანიდური და ისლამური არქიტექტურის გავლენა. ბიზანტიის იმპერიამ იარსება ათ საუკუნეზე მეტ ხანს და გახდა საფუძველი შუა საუკუნეების ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, აღორძინებისა და ოსმანური იმპერიის არქიტექტურისა. მაშინ, როცა ბარბაროსების შემოსევების შედეგად რომმა თანდათან დაკარგა ძველი ანტიკური ცხოვრების სიდიადე, კონსტანტინოპოლი გახდა ბრწყინვალე ცივილიზაციის ცენტრი, რომელიც გავრცელდა არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც. ა. ბ. სინთეზი გაუკეთა ელინისტურ, რომაულ და ადრექრისტიანულ სტილებს. დასავლეთში გაბატონდა რომაული სტილი, ხოლო აღმოსავლეთში (1453 წ. ბიზანტიის იმპერიის დაშლამდე) განვითარდა ცენტრალურგუმბათიანი ტაძრის არქიტექტურა, რომელიც შემდეგ გავრცელდა ბალკანეთში, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთში.



ადრეული ბიზანტიური არქიტექტურა ძირითადად რომაული არქიტექტურის გაგრძელებაა. გამორჩეული სტილი თანდათან აღმოცენდა ახლო აღმოსავლეთის მოტივების გავლენითა და



ბერძნული ჯვრის ფორმის დაგეგმვით ეკლესიურ არქიტექტურაში. ქვა დამატებით შეავსო აგურმა და ბათქაშმა, კლასიკური ორდერი – უფრო თავისუფალმა სტილმა [ნახ. 1. შუაბიზანტიური არქიტექტურის ძეგლი – ოსიოს ლუკა (წმინდა ლუკას სახელობის მონასტერი (X ს.), ქ. დისტომოს მახლობლად, საბერძნეთი], მოზაიკამ – ქვაში ნაკვეთი დეკორაციები. ამ არქიტექტურის გამორჩეული ნიშანი ასევე რთული ფორმის გუმბათები გახდა, რომლებიც საშუალებას იძლეოდა გეგმით კვადრატული საეკლესიო ნაგებობებიდან გადასულიყვნენ გუმბათოვანსახურავიან მრგვალ ნაგებობებზე [ნახ. 2. გვიანდელი (XIV ს.) ბიზანტიური არქიტექტურის შედევრი – გრაჩანიცის მონასტერი, სერბეთის რესპუბლიკა; ნახ. 3. წმინდა ანდრიას (აგიოს ანდრეას) მართლმადიდებლური ბაზილიკა პატრასში, საბერძნეთის რესპუბლიკა]. ეს პროცესი დაიწყო იმპერატორ იუსტინიანეს (VI ს. პირველი ნახევარი) მმართველობის პერიოდში და საფუძველი დაუდო ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების მშენებლობას მთელ იმპერიასა და მის ფარგლებს გარეთ (მაგ., წმ. ეკატერინეს მონასტერი



სინაის მთაზე (ეგვიპტე), ჯვრის მონასტერი (საქართველო), სამი ეკლესია ეჩმიაძინში (სომხეთი) და სხვ. იუსტინიანეს ეპოქიდან დაიწყო ძველქრისტიანული ბაზილიკების შეცვლა ახალი ტიპის ნაგებობებით, რომლებიც განსხვავდებოდა ბაზილიკებისაგან სახურავის შუა ნაწილით – ცენტრალურგუმბათოვანი სისტემით. მართალია გუმბათები უკვე ცნობილი იყო ანტიკური ხანიდან (რომი) და ახლო აღმოსავლეთის არქიტექტურიდან (სირია), მაგრამ ისინი ძირითადად ეყრდნობოდა გეგმაში მრგვალი ფორმის საფუძველს. თუ საფუძველი კვადრატის ან მრავალკუთხედის ფორმის იყო, მაშინ გუმბათსა და საფუძველს შორის საიმედო კავშირი არ არსებობდა, რაც ხშირად იწვევდა ასეთი გუმბათების ჩამონგრევასა და რღვევას. ბიზანტიელებმა ეს პრობლემა წარმატებით გადაჭრეს ახალი კონსტრუქციული ელემენტის, ე.წ. აფრების შემოტანით გუმბათის საყრდენ ნაწილში.



ბიზანტიური არქიტექტურული სტილის პირველ ნაგებობებად შეიძლება ჩაითვალოს: გეგმით წესიერი რვაწახნაგა სანათლავი ტაძარი (430 წ.), გალა პლაციდიას ჯვარ-გუმბათოვანი მავზოლეუმი (450 წ.) (ნახ. 4. საერთო ხედი; ნახ. 5. ინტერიერი) და წმ. ვიტალეს ეკლესია (528-547 წწ.) იტალიის ემილია-რომანიას რეგიონის კომუნა რამენაში (ნახ. 6); ეკლესია

ბოსრე სირიაში (513 წ.), ეკლესია ესრე რუსაფეში (შუამდინარეთი, 515 წ.), თუმცა ეს ნაგებობები სრულად არ შეიცავდა ცენტრალურგუმბათოვანი სისტემის ელემენტებს. ა. ბ. პირველი ნაკვთები შედარებით სრულადაა მოცემული წმ. სერგიასა და ვაკხას ეკლესიაში (ქ. კონსტანტინოპოლი, 528-547 წწ.) (ნახ. 7), რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა



გარდამავალს ზემოთ დასახელებულ შენობებსა და ბიზანტიური არქიტექტურის შედევრს – აია-სოფიას ტაძარს შორის (იხ. აია-სოფიას ტაძარი), რომელიც აიგო იმპერატორ იუსტინიანეს დროს (532-537 წწ.). გარდა ჩამოთვლილისა, ბიზანტიური არქიტექტურის მშვენებაა შემდეგი ნაგებობები: წმ. აპოსტოლების (აპოსტოლეიონი) ეკლესია (VI ს.); წმ. ირინეს ეკლესია (IV ს., გადაკეთებული იქნა 532 და 740 წლებში) (ნახ. 8); ღვთისმშობლის ეკლესია (IX ს.) (ქ. კონსტანტინოპოლი); კათოლიკონი (VIII ან IX ს.) (ნახ. 9), წმ. ნიკოდიმისა და წმ. ფეოდორის ეკლესიები (ქ. ათენი); უწმინდესი ღვთისმშობლის, წმ. ილიას, წმ. აპოსტოლების, წმ. დიმიტრის ეკლესიები (ქ. სალონიკი); წმ. სოფიის ტაძარი (ქ. კიევი); ოჰრიდის წმინდა პანტელეიმონის ტაძარი (XI ს., მაკედონია) (ნახ. 10); ეკლესია დაფნის მონასტერში ათენის მახლობლად (XI ს.); ეკლესია წმ. ლუკას მონასტერში ფოკიდაში (საბერძნეთი, XI ს.); სან-მარკოს ტაძარი ვენეციაში (X–XI სს.) (იხ. არქიტექტურა იტალიის, ნახ. 4) და სხვ.



ბიზანტიის იმპერიაში ყველაზე გამოყენებადი საშენი მასალა იყო პლინთი და ბრტყელი გამომწვარი აგური ზომებით 35,5x35,5x5,1 სმ. აღმოსავლეთში, რომელიც მდიდარი იყო კირქვებითა და ტუფით, ამჯობინებდნენ წყობას თლილი ქვით დუღაბზე (სირია, ამიერკავკასია). დუღაბს ამზადებდნენ კირისა და წვრილად დაფქული აგურფხვნილის ნარევისაგან, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი სიმტკიცითა და ჰიდრომედეგობით. ხშირად გამოიყენებოდა შერეული წყობა – სქელ დუღაბზე მოწყობილ პლინფების 3-5 რიგს ენაცვლებოდა თლილი ქვის რამდენიმე რიგი. კედლის ზედაპირი, როგორც წესი, იფარებოდა ბათქაშით. დეკორატიული ეფექტის გასაძლერებლად, ზოგჯერ,



ჰორიზონტალურ წყობაში რთავდნენ მარმარილოს (ან სხვა რომელიმე ძვირფასი თლილი ქვის) რიგებს. გუმბათმშენებლობაში მიმართავდნენ ცალკეული რგოლების თანდათანობით წყობას აგურის დახრილი რიგების საშუალებით. ბიზანტიური აგურის კამარები მკვეთრად განსხვავდებოდა რომაულისაგან, რომელსაც აგებდნენ ხის ქარგილების დახმარებით. კამარების წონის შესამცირებლად ბიზანტიელები წყობის ნაწილში წარმატებით იყენებდნენ ფოროვან მასალებს, კერძოდ კი – ტუფს. დუღაბის მაღალი

სიბლანტის გამო, გუმბათის თუ კამარის მშენებლობა ხდებოდა უწყვეტად და საბოლოო კონსტრუქცია ღებულობდა მონოლითის სახეს. ზედაპირს ფარავდნენ კრამიტით ან ტყვიის ფურცლებით. ისეთ არქიტექტურულ დეტალებს, როგორებიცაა სვეტი, კაპიტელი, ჩასადგმელი პანელი, გისოსი, კედლის მოპირკეთება, იატაკი და სხვ., ამზადებდნენ მარმარილოსა და პორფირისაგან. კაპიტელებს ხშირად ფარავდნენ ოქროს თხელი ფენით. ბაზისათვის იყენებდნენ თეთრ მარმარილოს, რომელიც საოცარ კონტრასტს ქმნიდა ფერადი (წითელი, ლურჯი ან მწვანე) მარმარილოსა და პორფირის სვეტებთან. კამარები, კედლები მოპირკეთებული იყო ძვირფასი ფერადი მოზაიკებითა და სმალტის კუბიკებით. ტაძრების საკურთხეველი, კანკელი, ამბიონი და სანათლავი ემბაზი გამოირჩეოდა მდიდრული შესრულებით – ინკრუსტაციებითა და ჩუქურთმებიანი მარმარილოთი; ზოგჯერ ჩამოთვლილი დეტალები მნახველებს აღაფრთოვანებდა ფუფუნებაში გადასული სიმდიდრით – ოქროთი, ძვირფასი თვლებით, ემალით და მისთ. (მაგ., აია-სოფიას ტაძრის ინტერიერი).

ბიზანტიელმა არქიტექორებმა უარი თქვეს კლასიკურ ორდერებზე და თვითონ შექმნეს ახალი ტიპის სვეტების საყრდენები, კაპიტელები, კარნიზები, ფრიზები და არქიტექტურული პროფილები (სხმულები). კლასიკურისაგან განსხვავებით შემაღლებული თაღის ქუსლი უშუალოდ ეყრდნობოდა კაპიტელს, რისთვისაც იონიური და კორინთული კაპიტელი გახადეს უფრო კომპაქტური, მთლიანი და მოაცილეს მათ ნაშვერები და ჩანაჭრები. გარდა ამისა, თაღის ქუსლსა და კაპიტელს შორის შემოიტანეს დამატებითი მძლავრი ტრაპეციული ფორმის ბლოკი (პულვანი ან პულვინო), რომელიც დატვირთვას გადასცემდა კაპიტელსა და სვეტს. გააერთიანეს რა ეს ბლოკი და კაპიტელი ერთ ფუნქციონალურ ფორმაში, შექმნეს ე.წ. ბალიშისებრი კაპიტელი, რომელსაც გამოარჩევდა დიდი გამომსახველობა და ვარიანტების სხვადასხვაობა.



რომაული ტაძრებისაგან განსხვავებით, ბიზანტიურში სვეტი არ განიხილება როგორც შენობის მთავარი სამშვენისი, რადგან აქ ძირითადი აქცენტი გადატანილია მდიდრული დეკორატიული ელემენტებით მორთულ კედლებსა და გუმბათზე. სვეტების, თაღების, კამარებისა და გუმბათების ერთობლიობა ქმნის თაღოვანი სტილის კონსტრუქციულ ნიშან-თვისებებს. ა. ბ. გააჩნია თავისი სტილის მაღალი



თაღისებრი ფანჯრებიც ფერადი მოზაიკური მინებით. კარებს აკეთებდნენ ბრინჯაოსაგან, რომელსაც ამკობდნენ რელიეფებით, ორნამენტული ვარდულებითა და მასიური ჩარჩოებით. დიდი დიამეტრის გუმბათების მშენებლობამ შესაძლებლობა მისცა ბიზანტიელებს გაეთავისუფლებინათ შენობის ინტერიერი ვებერთელა კედლებისაგან და მნიშვნელოვნად გაეზარდათ შიგა სივრცე. ა. ბ. უდიდეს მიღწევად ითვლება კამაროვანი გადახურვების ურთიერთშერწყმა (ჩაკეტილი, ჯვრისებრი კამარები), აგრეთვე ისრული კამარები და თაღები (სირია, საქართველო), რამაც მინიმუმამდე დაიყვანა

საყრდენი კონსტრუქციების მასა, ხელი შეუწყო საშენი მასალების რაციონალურ განაწილებას, შეამცირა შრომითი და ფინანსური დანახარჯები.

ბიზანტიურმა არქიტექტურამ ძველი ეგვიპტის, ძველი რომის, იტალიისა და ესპანეთის არქიტქექტურებთან ერთად, ფასდაუდებელი როლი ითამაშა მსოფლიო არქიტექტურის განვითარებაში.

არქიტქექტურა ეკოლოგიური (მწვანე არქიტექტურა) (ინგლ. Sustainable architecture) – მიმდინარეობა მშენებლობაში, რომელიც მწვანე დიზაინის ტექნიკას იყენებს. ა. ე. მიზანი, ვრცელი გაგებით, შენობების გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანაა მასში გამოყენებული მასალების, ენერგიისა და დამუშავების ადგილის ეფექტუროზბის გაზრდით.

არქიტექტურა ესპანური – ყველა არქიტექტურული ქმნილება, შექმნილი თანამედროვე ესპანეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე აგებული მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ესპანელი არქიტექტორების მიერ. ისტორიული და გეოგრაფიული მრავალფეროვნების გამო, ა. ე. დაფუძნებულია უძველესი დასახლებების (იბერები, კელტიბერები, კანტაბრები) მიერ შექმნილი არქიტექტურული ძეგლებისა და კულტურის ნაკვალევზე. რეალურად ა. ე. განვითარდა ძვ. წ. II საუკუნიდან რომაელების შემოსვლის შემდეგ, ხოლო 711 წლიდან მუსულმანი მავრიტანელების გაბატონებით (რომელიც გაგრძელდა 8 საუკუნე) იწყება ხელოვნებისა და კულტურის რადიკალური წინსვლა, რასაც ადასტურებს კორდობისა (ომეიადის ხალიფატის დედაქალაქი) და გრანადის (ნასრიდების დინასტიის დედაქალაქი) დაწინაურება ევროპის გავლენიან ცენტრებს შორის. ერთდროულად, XII-XVII საუკუნეებში ხდება ევროპული და არაბული დეკორატიული ხელოვნების შერწყმა (მუდეჰარი). XV საუკუნიდან ესპანურ ამერიკაში ისახება კოლონიური სტილი (რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მექსიკის, ცენტრალური ამერიკისა და სამხრეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროს ხალხების არქიტექტურაზე) და ბაროკო; ესპანეთში ჩნდება აღორძინების არქიტექტურა, ესპანური ბაროკოს მიმართულება – ჩურიგერესკო (იხ. ჩურიგერესკი, ნახ. 1); განვითარების პიკს მიაღწია ნეოკლასიციზმამ. უძველესი და თანამედროვე არქიტექტურული სტილის (მოდერნი, ფუტურიზმი, არტდეკო, არტნუვო, ნეობაროკო და ა.შ.) ნაგებობების სიმრავლემ განაპირობა ის, რომ ესპანეთის მრავალი არქიტექტურული ძეგლი და ქალაქის ნაწილი შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში და ქვეყნების საერთო ჩამონათვალში ესპანეთი რიგით მეორეა იტალიის შემდეგ. ესპანური არქიტექტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია: ალჰამბრა (იხ. ალჰამბრა, ნახ. 1 - ნახ. 7), ხენერალიფე, ალბაისინი, სამეფო კაპელა გრანადაში (გრანადის პროვინცია), ბურგოსის კათედრალი

(ბურგოსის პროვინცია) (ნახ. 1), ქ. კორდობის ისტორიული ცენტრი (ავტონომიური რეგიონი ანდალუსია), ესკორიალი (ავტონომიური რეგიონი მადრიდი), ქ. ოვიედოს და ასტურიის სამეფოს ღირსშესანიშნაობები (ავტონომიური რეგიონი ასტურია), ძველი ქალაქი ავილა (ავილის პროვინცია), ძველი ქალაქი სეგოვია და სეგოვიის აკვედუკი (სეგოვიის პროვინცია), ქ. სანტიაგო-დე-კომპოსტელას ძველი ნაწილი (ავტონომიური რეგიონი გალისია), მუდეხარის სტილი (ავტონომიური რეგიონი არაგონია), ქ. კასერესის ძველი ნაწილი (კასერესის პროვინცია), სევილიის საკათედრო ტაძარი, სევილიის ალკასარი (ქ. სევილია) (ნახ. 2), ქ. სალამანკას ძველი ნაწილი (სალამანკის პროვინცია), პობლეტის მონასტერი (ავტონომიური რეგიონი კატალონია) (ნახ. 3), სანტა-მარია-დე-გვადალუპეს სამეფო მონასტერი (კასერესის პროვინცია), სამოქალაქო შენობა ლონხა-დე-ლა-სედა (ქ. ვალენსია), სან-მილან-დე-ლა-კოგოლიის მონასტრები (ავტონომიური რეგიონი ლა რიოხა), კატალონიური მუსიკის სასახლე და სანტ-პაუს ჰოსპიტალი (ქ. ბარსელონა), ალკალა-დე-ენარესი (მსოფლიოში პირველი საუნივერსიტეტო ქალაქი, ავტონომიური რეგიონი მადრიდი), ქ. სან-კრისტობალ-დე-ლა-ლაგუნა (კუნძ. ტენერიფე, კანარის კუნძულები), ვალ-დე-ბოის რომანული ეკლესიები (ავტონომიური რეგიონი კატალონია), ლუგოს რომაული კედლები (ავტონომიური რეგიონი გალისია), არანხუესის სამეფო სასახლე (ავტონომიური რეგიონი მადრიდი), ტაძარი სანტა-მარია-დელ-მარ (ქ. ბარსელონა) (ნახ. 4), ტაძარი სან-ხუან-დე-ლოს-რეიესი (ქ. ტოლედო) და სხვ.





არქიტექტურა ისლამური – ისლამური ნაგებობები განვითარების პირველ ეტაპზე არც თუ იშვიათად შენდებოდა არსებული ანტიკური და ქრისტიანული ნაგებობების ბაზაზე. შემობრუნება მოხდა VII საუკუნის ბოლოს, როცა იარუსალიმში ააშენეს არაბთა სახალიფოს დიდების განმასახიერებელი მეჩეთები მასჯიდ კუბატ ას-საჰრა (ნახ. 1) და ალ-აქსა, ხოლო VIII საუკუნიდან დაიწყეს მინარეთების მშენებლობა სხვადასხვა ქვეყნებში. საქალაქო ისლამური არქიტექტურა თანდათან გაემიჯნა ბიზანტიურ და ელინისტურ ტრადიციებს



და ჩამოყალიბდა ცალკე მიმდინარეობად, რასაც მოწმობს უამრავი მეჩეთი თუ მინარეთი, აგებული ესპანეთში, დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში, მცირე და ცენტრალურ აზიაში, ინდოეთში, ინდონეზიასა და სხვ.

არქიტექტურა იტალიის – იტალიას აქვს მსოფლიოში ყველაზე ფართო და მრავალგვარი არქიტექტურული სტილი, რომელსაც შეუძლებელია კლასიფიკაცია გაუკეთდეს წლების ან საუკუნეების მიხედვით, რადგან 1861 წლამდე ის წარმოადგენდა ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოებს. თუმცა, სწორედ ამან განაპირობა იტალიის თანამედროვე ტერიტორიაზე უამრავი ეკლექტიკური არქიტექტურული პროექტების თავმოყრა. იტალია ცნობილია თავისი არქიტექტურული მიღწევებით კამარებისა და გუმბათების მშენებლობის დარგში, ძველი რომით, ვენეციით, ფლორენციით, ტურინით, მილანით, სიცილიით, აღორძინების ეპოქითა (XIV–XVI სს.) და სხვ. ის სამშობლოა კლასიციზმის ადრეული ფორმის – პალადიონიზმის, რომელმაც სული შთაბერა ნეოკლასიკურ არქიტექტურას, რომლის მიხედვითაც აგებდნენ მდიდრულ ვილებს დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, აშშ-ში, რუსეთსა და სხვ.

იტალიაშია აგებული ევროპული არქიტექტურის შედევრები, მაგ., კოლიზეუმი (იხ. კოლიზეუმი, ნახ. 1), მილანის ტაძარი (ნახ. 1), მოლე ანტონელიანა ტურინში, ტაძარი სანტა-მარია-დელ-ფიორე ფლორენციაში, ჰერცოგების სასახლე წმ. მარკის მოედანზე ვენეციაში (ნახ. 2), წმ. პეტრეს ტაძარი რომში და სხვ. იტალიის ტერიტორია სავსეა პრაქტიკულად ყველა მიმართულების არქიტექტურული ძეგლებით, როგორებიცაა მუზეუმები, სასახლეები, საცხოვრებელი სახლები, ქანდაკებები, ობელისკები, ეკლესიები, ვილები, მხატვრული გალერეები, სპორტული კომპლექსები, ბაღები, პარკები და ა.შ. პირველები, ვინც სერიოზულად დაიწყო ჩრდილოეთ და ცენტრალურ იტალიაში არქიტექტურული პროექტების განხორციელება, იყვნენ ბერძნები და ეტრუსკები. ისინი აგებდნენ საზოგადოებრივ შენობებს, ტაძრებს, ფორუმებს, ბელღარებს (ავედუკი), ქუჩებს და სხვ. მძიმე სვეტებმა, პორტიკებმა, ქალაქის ჭიშკრებმა, გალავნებმა და მისთ. მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემდეგი პერიოდის რომაულ არქიტექტურაზე, თუმცა ეს ნაგებობები დღემდე შემორჩენილი არ არის (რამდენიმე ნანგრევის გამოკლებით ტოსკანაში), რადგან მაშინ საშენ მასალად გამოიყენებოდა აგური და ხე. ძვ. წ. VIII საუკუნიდან ჩვ. წ.-მდე, სამხრეთ იტალიაში ბერძენი დამპყრობლები შენობებს აგებდნენ თავიანთ სტილში. ბერძნული ტაძრებისათვის

გამოიყენებოდა ქვისა და მარმარილოს დიდი სვეტები, რომელთაგან მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი კალაბრიაში, აპულიასა და სიცილიაში (მაგ., აგრიჯენტოს ნანგრევები, რომელიც შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში).

ძვ. წ. II საუკუნიდან ჩვ. წ.-მდე რომაელებმა გადმოიღეს ბერძნული არქიტექტურის ელემენტები და შექმნეს ახალი არქიტექტურული სტილი. დიდგვაროვანი ფენის სიმდიდრემ და მჭიდროდ დასახლებულმა ქალაქებმა ძველი რომაელები აიძულა მოეძებნათ საკუთარი ახალი (არქიტექტურული) გადაწყვეტები, მაგ., მშენებლობის ტექნოლოგიის და ჰიდრავლიკის კარგმა ცოდნამ (ეტრუსკების დამსახურება იყო), თაღებისა და კამარების კონსტრუქციების გამოყენებამ, შესაძლებლობა მისცა მათ მიეღწიათ არნახული წარმატებებისათვის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების მშენებლობაში, რისი მაგალითებია: რომის ბელღარი (ნახ. 3), დიოკლეტიანესა და კარაკალას თერმები, კოლიზეუმი, უამრავი გრანდიოზული ბაზილიკები და სხვ. ასეთივე ნაგებობები (შემცირებული მასშტაბებით) მრავლად აშენდა რომის იმპერიის სხვა ქალაქებშიც. ადრექრისტიანული და ბიზანტიური არქიტექტურა გამოჩნდა იტალიაში როცა მოხდა რომის პაპის ახალი რეზიდენციის განაშენიანება. ბიზანტია-გოთების ომის შემდეგ კი, აქ აშემდა რამდენიმე შენობა, სასახლე და ეკლესია რომანულ-ბიზანტიურ სტილში. ქრისტიანული კონცეფცია "ბაზილიკა" გამოგონებული იქნა რომში. ის არის გრძელი, გეგმით მართკუთხა, ძველი რომაული სტილის შენობა შემკული მოზაიკებით, სამშვენისებითა და სტატუებით, ხოლო გვიანქრისტიანული ფრესკები შეიძლება ვნახოთ რომის კატაკომბებში.





როდესაც დასავლეთ რომის იმპერია დაეცა (476 წ.), ბიზანტიელები (აღმოსავლეთ რომის იმპერია) ლიდერები იყვნენ კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურის, მუსიკის, ლიტერატურის, მოდის, მეცნიერების, ბიზნესის, ტექნიკის საქმეში. მათ შეინარჩუნეს რომაული არქიტექტურა და ხელოვნება, მაგრამ მისცეს მას აღმოსავლური იერი – გუმბათები გახადეს უფრო დამრეცი და ქანდაკებების ნაცვლად ტაძრებში უპირატესობა მიანიჭეს მოოქროვილ მოზაიკასა და ხატებს. ბიზანტიის გავლენა კარგად არის შემორჩენილი სიცილიაზე (კათედრალური ტაძარი კეფალუ, პალერმოს პროვინცია), ხოლო იტალიაში ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშია წმ. მარკის ბაზილიკა ვენეციაში (ნახ. 4). 800-1100 წლები მოიცავს იტალიაში რომანული არქიტექტურის აღორძინების პერიოდს. ამ წლებში აშენებული იქნა ისეთი შედევრები, როგორებიცაა: პიზას კოშკი მირაკოლის მოედანზე პიზაში (ნახ. 5), ბაზილიკა სან-ამბროჯიო მილანში და სხვ. ტერმინი "რომანული" დამკვიდრდა იმით, რომ არქიტექტურაში მასობრივად დაიწყეს რომაული თაღების, ვიტრაჟების, სვეტების გამოყენება. რომანული არქიტექტურა იტალიაში



მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მხარეების მიხედვით, მაგ., ჩრდილოეთ იტალიის (ლომბარდიის) ფლორენციული, ტოსკანური და პიზის არქიტექტურა გამოირჩეოდა მხატვრულობით, ხოლო სიცილიის – სტრუქტურული სიახლეებით. რომანულმა არქიტექტურამ შეაჩერა ტაძრებისა და ბაზილიკებში ხის გადახურვების გამოყენება და მის ნაცვლად დაიწყეს ცილინდრული და ჯვრისებრი ქვის კამარების გამოყენება, მზიდი კედლების გასქელება, მოსაპირკეთებლად მარმარილოსა და ქვის ფილების გამოყენება (მოზაიკის ნაცვლად) და სხვ., რამაც გრანდიოზულობა და მონუმენტურობა შემატა ამ ეპოქის იტალიურ არქიტექტურას. რომანული არქიტექტურის მთავარი სიახლე იყო აკლდამები, რომელთა მშენებლობა ადრეულ ხანაში დასავლური არქიტექტურისათვის უცნობია.

XII საუკუნიდან, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, იტალიაშიც გამოჩნდა გოტიკური არქიტექტურა (ჩაისახა აღმოსავლეთ საფრანგეთში, ბურგუნდიაში), რომელიც მოიცავდა ოთხ ძირითად ფაზას: ცისტერციანული არქიტექტურა (იხ. ცისტერციანელები), ადრეული გოტიკა (1228-1290 წწ.), მოწიფული გოტიკა (1290-1385 წწ.) და გვიანდელი გოტიკა (1385 წ-დან მე-16 საუკუნემდე). ამ პერიოდის იტალიური გოტიკის ცნობილი ნაგებობებია: ტაძრები სანტა მარია ნუოვა, სანტა კროჩე და სანტა რეპარატა (სანტა-მარია-დელ-ფიორე) ფლორენციაში (ნახ. 6); სიენას, მილანის (ევროპაში უდიდესი ნაგებობა აშენებული მხოლოდ მარმარილოს ქვისაგან), ორვიეტოს ტაძრები და სხვ. XV საუკუნიდან იტალიურ და ფლორენციულ არქიტექტურაში გამოჩნდა რენესანსი (იხ. იტალიური კლასიკა) და მანერიზმი, შემდეგ კი როკოკო და ბაროკო. XVIII-XIX საუკუნეებში შემოვიდა ნეოკლასიციზმი. ვილების, სასახლეების, ტაძრების, ბაღების მშენებლობა დაიწყეს რომაულ და ბერძნულ კლასიკურ სტილში (მაგ., ვილა კაპრა "ლა როტონდა" ვიცენჩაში (ნახ. 7), კანოვას ტაძარი პოსანოში და სხვ.). რომში, მილანში, ტურინში, ფლორენციაში წარმატებით განხორციელდა ბევრი ნაგებობის რეკონსტრუქცია ნეოკლასიკურ სტილში. იტალიის გაერთიანების შემდეგ სხვადასხვა მხატვრული არქიტექტურული სტილი შეერწყა ერთმანეთს და XX საუკუნის დასაწყისში მოხდა ამ ეკლექტიკური სტილის მოდიფიცირება მოდერნად, რომელსაც იტალიაში ეწოდა "ლიბერთი". ამ სტილის ნიმუშებია: არქიტექტურული ძეგლი ჯუზეპე სომარუგა (კასტილიონის მოედნის ავტორი) მილანში, ძეგლი ერნესტო ბაზილეს (მონტეჩიტორიოს მოედნის ავტორი) რომში. 1920-იანი წლებიდან განვითარდა ფუტურისტული არქიტექტურაც (მოედანი კასა-დელ-ფაშო, ქ. კომო; ვილა მალაპარტე, კუნძული კაპრი; ვაგზალი სანტა მარია ნოველა, ქ. ფლორენცია და სხვ.). 1920–30-იან ფაშისტური რეჟიმის წლებში გაჩნდა ნაცისტური (ფაშისტური) არქიტექტურა (მაგ., სამხედრო იტალიური აკლდამა "Innichen-San Candido" სამხრეთ ტიროლში). ომისშემდეგი წლებიდან დღემდე, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, იტალიაშიც დამკვიდრდა თანამედროვე არქიტექტურა თავისი მიმდინარეობებით (არტნუვო, ჰაიტეკი, ნეორაციონალიზმი, ნეობაროკო, ნეოკლასიციზმი და

სხვ.). თანამედროვე იტალიური არქიტექტურული სტილის მაგალითებია: სან-ნიკოლას სტადიონი, ქ. ბარი (ნახ. 8); აუდიტორია პარკო-დელა-მუზიკა და მუსიკალური პარკი, ქ. რომი; მომლოცველთა ეკლესია "პადრო პიო", კომუნა სან-ჯოვანი-როტონდო; ცათამბჯენი "კოშკი დელა", რეგიონი პიემონტი; საცხოვრებელი კომპლექსი გალარტეზეში და ცათამბჯენი "ილინოისი კურბო", ქ. მილანი; "პალასპორტ ოლიმპიკო", ქ. ტურინი და სხვ.

არქიტექტურა ლანდშაფტური – ჰარმონიული შეხამების შექმნის ხელოვნება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ადამიანის მიერ ათვისებულ ტერიტორიებს, დასახლებულ პუნქტებს, არქიტექტურულ კომპლექსსა და ნაგებობებს შორის (ნახ. 1).



ნახ. 1

არქიტექტურა მცირე ფორმების – არქიტექტურის განყოფილება, რომელსაც მიეკუთვნება ფუნქციონალურ-დეკორატიული (მაგ., ღობე, ნახ. 1), მემორიალური (მაგ., საფლავის ქვა, ნახ. 2) ობიექტები; ობიექტები, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქის კეთილმოწყობის ნაწილს (მაგ., ქუჩის სანათურები, ნახ. 3); ინფორმაციის მატარებელი ობიექტები (მაგ., სარეკლამო ფარები, ბანერები, სტენდები).



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3

არქიტექტურა ორგანული – დასავლური არქიტექტურის მიმართულება XX საუკუნის დასაწყისში, რომელმაც გავლენა იქონია თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურაზე. ა. ო.

წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ამერიკელი არქიტექტორის ფ. ლ. რაიტის შემოქმედებასთან (1869-1959 წ.) (ნახ. 1 – ნახ. 4). ა. ო. ძირითადი პრინციპები და კომპოზიციური ხერხები შეესაბამება თითოეული ნაგებობის ინდივიდუალურ ამოცანებსა და მშენებლობის კონკრეტულ პირობებს; ითვალისწინებს ადგილობრივ საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ტრადიციებს; ერთიანობას, მთლიანობას არქიტექტურაში, "თავისუფალ სივრცეს", შენობის შიგა სივრცის ერთიანობას და შეძლებისდაგვარად გაერთიანებას გარე სივრცესთან; არქიტექტურული ფორმების გამარტივებას და გამსხვილებას. პროგრესულ პრინციპებთან ერთად ა. ო. ზოგჯერ პირველ პლანზე ჩნდება მისი უარყოფითი მახასიათებლებიც, როგორიცაა ირაციონალიზმისაკენ გადახრა, ორგანული ბუნების ფორმებისადმი გარე ფორმალური მიმსგავსება და სხვ.









არქიტექტურა რეგიონალური – ადგილობრივი ნაციონალური არქიტექტურა.

არქიტექტურა რელიგიური – ტაძარი [ნახ. 1. შვიდი რელიგიის ტაძარი ქ. ყაზანში (რუსეთის ფედერაცია)], მონასტერი [ნახ. 2. მარტვილის მონასტერი (საქართველო)], სამლოცველო [ნახ. 3. ბოშეს სამლოცველო (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)], ეკლესია (ნახ. 4. თეთრი როტონდა, წმინდა ვაცლავის ეკლესია საზოვიცეში (ჩეხეთის რესპუბლიკა)], სამრეკლო [ნახ. 5. კეიპტაუნის იმედის ციხის სამრეკლო (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)], ბაზილიკა [ნახ. 6. ბაზილიკა სან-პიერო-ა-გრადო პიზაში (იტალიის რესპუბლიკა)], მეჩეთი [ნახ. 7. ყატარის ისლამცოდნეობის ფაკულტეტი და მეჩეთი დოჰაში (ყატარის სახელმწიფო)], სინაგოგა [ნახ. 8. ევროპის უდიდესი სინაგოგა ქ. პლზენში (ჩეხეთის რესპუბლიკა)] რელიგიური გაერთიანების კულტურული ცენტრი და საკრალური სფეროს სხვა ნაგებობანი.



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8

არქიტექტურა რუსული – რუსული არქიტექტურა წარმოიშვა ბიზანტიური არქიტექტურის ფესვებზე და საწყის ეტაპზე განვითარდა კიევის რუსეთის ტერიტორიაზე. 882 წელს კიევი კიევის რუსეთის დედაქალაქი გახდა და X-XII საუკუნეებში, როგორც რუსეთის ცენტრმა, აყვავების პიკს მიაღწია. 1237 წლის მონღოლური შემოსევის შემდეგ ის განადგურდა და დაეცა. მომდევნო საუკუნეებში ის მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრის როლს ასრულებდა და რუსეთის არქიტექტურული ისტორია გაგრძელდა ვლადიმირ-სუზდალის სამთავროში, ნოვგოროდისა და ფსკოვის რესპუბლიკებში, რუსულ სამეფოში, რუსეთის იმპერიაში, საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე რუსეთის ფედერაციაში.





988 წელს ქრისტიანობის მიღების შემდეგ, კიევის რუსეთში აგებული დიადი ტაძრები გახდა აღმოსავლეთსლავური რეგიონის მონუმენტური არქიტექტურის პირველი ნაგებობები. კიევის სახელმწიფოში დამკვიდრებული არქიტექტურული სტილი ძლიერ იყო დამოკიდებული ბიზანტიურ არქიტექტურაზე, რადგან აღმოსავლური მართლმადიდებლური მარტივი ფორმის ეკლესიები აგებული იყო ხისაგან და ბუნებრივია, შუა საუკუნეების შთამბეჭდავი ტაძრების წინამორბედებად ვერ ჩაითვლებოდა. 989 წელს კიევში თავად ვლადიმირის მიერ აშენებული იქნა პირველი ქვის ეკლესია (Десятинная церковь) (ნახ. 1). XI საუკუნის ა. რ. მშვენებაა ჯვარ-გუმბათოვანი მრავალგუმბათიანი კიევის

სოფიის ტაძარი (ნახ. 2), რომელიც აშენდა იაროსლავ ბრძენის ბრძანებით. მშენებლობას აწარმოებდა კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანილი ხელოსნები კიეველ ოსტატებთან ერთად. ის პირველი ძეგლია უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც შევიდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. ამავე პერიოდს (1051 წ.) მიეკუთვნება სრულიად რუსეთის პირველი სამონასტრო კომპლექსის კიევ-პეჩორის ლავრის დაარსება.



რუსულ საეკლესიო არქიტექტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ნოვგოროდის არქიტექტურული სტილის ფორმირებამ XI საუკუნის შუა წლებში, რისი დადასტურებაა ნოვგოროდის წმ. სოფიის ტაძარი (1044-1052 წწ.). მის მკაცრ სქელ კედლებს, პატარა წვრილ ფანჯრებსა და ჩაფხუტისებრ გუმბათებს ბევრი საერთო ჰქონდა დასავლეთ ევროპის რომანულ არქიტექტურასთან. ბიზანტიური მოდელისაგან განსხვავდებოდა ნოვგოროდის სხვა ტაძრები: წმ. ნიკოლოზის (1113 წ.), წმ. ანტონის (1117-1119 წწ.) და წმ. გიორგის (1119 წ.). ნოვგოროდის ხუროთმოძღვრების მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს თეოდორე სტრატილატის სახელობის ტაძარი (1360-1361 წწ.), რომელიც წარმოადგენს ოთხგოდოლიან ერთგუმბათიან კუბის ტიპის ნაგებობას, მორთულს მრავალრიცხოვანი დეკორატიული ელემენტებით (ნახ. 3).



XII-XIII საუკუნეებში რუსეთის მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცა ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო, რომლის უნიკალურობას განაპირობებდა არა მარტო ის, რომ აქ გაგრძელდა ბიზანტიური და სამხრეთრუსული ხუროთმოძღვრების ტრადიციები, არამედ ისიც, რომ რუსული არქიტექტურა გამდიდრდა დასავლეთევროპული იდეებითა და ხუროთმოძღვრული ელემენტებით. პირველად ევროპული ქვის წყობის ტექნიკა გამოყენებული იქნა ზალესიეში (ტერიტორია მდინარეების ვოლგასა და ოკას შორის) იური დოლგორუკის მმართველობის პერიოდში. ამ დროს აშენდა თეთრი ქვის ნაგებობები ვლადიმირში, სუზდალში, იურიევო-პოლსკში, პერესლავლში. ამათგან ჩვენამდე მოაღწია ბორისისა და გლების ეკლესიამ კიდეკშაში და სპასკის ტაძარმა პერესლავსკ-ზალესკში (1152 წ.). ქ. ვლადიმირის არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია უსპენსკის ტაძარი (1158-1160 წწ.), ოქროს ჭიშკარი (1164 წ.) და ეკლესია "Покрова на Нерли" (1165 წ.). 1194-1197 წლებში აიგო დიმიტრის ტაძარი – ქვაზე ამოჭრილჩუქურთმებიანი ძეგლის შედევრი (ნახ. 4); 1220-1230 წლებში – სუზდალის კრემლის ღვთისმშობლის ტაძარი და გეორგიევსკის ტაძარი იურიევო-პოლსკში. ვლადიმირ-სუზდალის რუსული ხუროთმოძღვრების განვითარება დამთავრდა 1237 წელს მონგოლური ურდოების შემოსევის შედეგად.



ნახ. 5

XV–XVI საუკუნიდან რუსეთის კულტურულმა ცენტრმა გადაინაცვლა მოსკოვის სამთავროში, 1475-1479 წლებში აგებული იქნა მოსკოვის უსპენსკის ტაძარი (არქიტ. ა. ფიორავანტი), 1484-1490 წლებში – ბლაგოვეშენსკის ტაძარი, შემდეგ არხანგელსკის ტაძარი (ნახ. 5) და სხვ. დაიწყო მოსკოვის კრემლის კედლებისა და კოშკების მშენებლობა, ხოლო ივანე მრისხანეს გამეფების შემდეგ რუსული არქიტექტურა განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა; გაჩნდა ქვის (ხის ნაცვლად) კარვისებრი გუმბათები. ამ პერიოდის ყველაზე ცნობილი ნაგებობაა ვასილ ნეტარის ტაძარი მოსკოვში (1554-1560 წწ.) (ნახ. 6), აგრეთვე კოლომენსკოეს ამაღლების ეკლესია (1528-1532 წწ.), სმოლენსკის ტაძარი ნოვოდევიჩის მონასტერში (1524-1598 წწ.), უსპენსკის ტაძარი ტროიცკო-სერგიევსკის ლავრაში (1559-1585 წწ.), დონის მონასტრის პატარა ტაძარი (1593 წ.), ღვთისმშობლის ამაღლების ტაძარი რუბცოვოში (1626 წ.) და სხვ. მოსკოვის გარდა ა. რ. ვითარდება რუსეთის სხვა ქალაქებშიც, როგორიცაა იაროსლავლი, როსტოვი, ტვერი და სხვ. ქვის პარალელურად არსებობას განაგრძობს უძველესი რუსული ხის არქიტექტურა (უმეტესად ჩრდილოეთში), განსაკუთრებით კარვისებრი ხის ტაძრები; ასეთებია: კლიმენტის ეკლესია უნას სოფლის სასაფლაოზე (1501 წ.), უსპენსკის ეკლესია ვარზუგში, ეკლესია პანილოვოში (არხანგელსკის ოლქი), უსპენსკის ტაძარი კონდოპოგში (1774 წ.), 22-გუმბათიანი პრეობრაჟენსკის ეკლესია ონეგის ტბის კუნძულ კიჟაზე (1714 წ.) (ნახ. 7) და სხვ.


ნახ. 6


ნახ. 7

XVII-XVIII საუკუნეებში პეტრე დიდის გამეფებამ და სანკტ-პეტერბურგის დაარსებამ დასაბამი მისცა რუსული არქიტექტურის სწრაფ განვითარებას, კერძოდ, იწყება რუსული ბაროკოს ახალი ეტაპი – პეტრეს ბაროკო. ამ სტილის განსაკუთრებულობა იყო მჭიდრო კავშირი არსებულ რუსულ ტრადიციებთან და უკრაინული ბაროკოს გავლენა დასავლეთიდან მოსულ პროგრესულ ტექნოლოგიებთან ერთად. პეტრეს ბაროკო ორიენტირებული იყო შვედურ, გერმანულ და ჰოლანდიურ სამოქალაქო არქიტექტურის ნიმუშებზე, თუმცა პირველი ნაგებობა – პეტრეპავლეს ტაძარი პეტერბურგში, პრაქტიკულად მოკლებული იყო რუსული არქიტექტურის გავლენას. პეტრე დიდმა რუსეთში მოიწვია მსოფლიო დონის არქიტექტორები (ჟ.-ბ. ლებლონი, დ. ტრეზინი, ა. შლიუტერი, ჟ. მ. მონტანა, ნ. მიკეტი, გ. მატარნოვი, ფ. ბ. რასტრელი და სხვ.), რომელთა დახმარებით დაიწყო სანკტ-პეტერბურგის საოცარი მშენებლობა, რომელიც შემდეგ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ამ ეპოქის არქიტექტურის ბრწყინვალე ნაგებობებია (პეტერბურგსა და მის შემოგარენში): ზამთრის სასახლე (ერმიტაჟი), ეკატერინეს სასახლე, პეტერგოფი, ისაკის ტაძარი (ნახ. 8), სამების ტაძარი ალექსანრე ნეველის ლავრაში, თავად ვლადიმირის ტაძარი, ალექსანდრეს სასახლე, სმოლნის ინსტიტუტი, საადმირალო, დიდი თეატრი პეტერბურგში, ნარვის ტრიუმფალური კარიბჭე, სამება-იზმაილოვოს ტაძარი, მიხაილოვოს სასახლე და სხვ., აგრეთვე ბაროკოს

სტილის წმ. ანდრიას სახელობის საკათედრო ტაძარი კიევში (1747-1754 წწ., არქიტ. ბ. რასტრელი). ტაძარი შემაღლებულ ბორცვზე დგას და გადაჰყურებს ისტორიულ პოდილის უბანს. ეს შესანიშნავი, ფერადოვანი სტრუქტურა ქალაქის ყველაზე გამორჩეული, განთქმული ღირშესანიშნაობაა (ნახ. 9). ლეგენდის თანახმად წმ. ანდრია მოციქულმა ჯვარი აღმართა და დიდი ქრისტიანული ქალაქის დაფუძნება იქადაგა სწორედ ამ ადგილას, რომელიც იმ დროს თითო-ოროლა მოსახლესა და სახნავ-სათესებს ეჭირა.



ნახ. 8

XIX-XX საუკუნეებში რუსეთში გაბატონდა ფსევდორუსული არქიტექტურული სტილი (იხ. ფსევდორუსული არქიტექტურა), რომელიც შეცვალა საბჭოთა, ე.წ. სტალინისტურმა არქიტექტურამ (იხ. სტალინისტური არქიტექტურა). მე-20 საუკუნის შუა წლებში რუსეთში მასობრივად განვითარდა ტიპური არქიტექტურა, დაიწყეს საბავშვო ბაღების, სკოლების, პოლიკლინიკების, მაღაზიების, კულტურის სახლების, სპორტული ნაგებობებისა და 4-5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების (ე.წ. ხრუშჩოვკების) მშენებლობა, რომელიც პრაქტიკულად გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე. მართალია ამ პროგრამამ გარკვეული შეღავათი მოუტანა მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანგრეულ ქვეყანას, მაგრამ ის მაინც ვერ განიხილება დადებით მოვლენად მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში.



ამჟამად რუსეთის ცენტრალურ რეგიონებში აქტიურად მიმდინარეობს დასავლური თანამედროვე არქიტექტურის საუკეთესო სტილების გადმოღება და მშენებლობა, გაჩნდა ცათამბჯენები, ფუტურისტული პროექტები და სხვ., რაც რუსეთისათვის უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია არქიტექტურული, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების თვალსაზრისით.

არქიტექტურა საფრანგეთის – საფრანგეთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქიტექტურული ძეგლები გალია-რომის პერიოდს მიეკუთვნება (ძვ. წ. I ს.), რომელთაგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში შემორჩა კორინთული სტილის ტაძარი ნიმეში (ნახ. 1), ცნობილი როგორც "კვადრატული სახლი" (Maison carrée). ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, გალიაშიც (ახლანდელი საფრანგეთის ტერიტორია) გავრცელდა პირველი ქრისტიანული ეკლესიები (ბაზილიკები), მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე არცერთი არ შემორჩენილა. XI საუკუნიდან ქრისტიანული ფანტაზია თანდათან გამოდის ძველი ტრადიციებიდან და იქმნება ახალი



არქიტექტურული ფორმები, რომლებშიც რომაული ელემენტები თითქმის აღარ შეინიშნება. ბაზილიკებში ბრტყელი გადახურვები იცვლება კამარებით, საკურთხევლის სათავსი იღებს ნახევარწრიული ნიშის ფორმას, იცვლება შენობის სიმაღლისა და სიგანის პროპორციები, ყველაფერი კეთდება დახვეწილი გემოვნებით, ტაძრის შიგნით მასიური პილასტრების ნაცვლად ჩნდება მსუბუქი მოხდენილი სვეტები, კაპიტელებს მაქსიმალურად ამსგავსებენ კორინთული და რომაული ორდერების კაპიტელებს, ფასადები უმეტეს შემთხვევებში იმკობა ორი მრავალსართულიანი კოშკით, პორტალის თავზე იჭრება მრგვალი ფანჯრები (ე.წ. "ვარდი"), ტაძრის ცენტრალური ნაწილი იხურება ქვის სფერული გუმბათებით; საშენ მასალად ხშირად გამოიყენება ძვირფასი ქვა გრანიტისა და მარმარილოს სახით.

შუა საუკუნეების ბოლოს მოზაიკური და ფრესკული მხატვრობა თავის კულმინაციას აღწევს. მლოცველთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ტაძრების ფორმის ცვლილება და



ტევადობის (მოცულობის) გაზრდა, შესაბამისად, მცირდება კედლებისა და გადახურვების მასა, ჩნდება ისრისებრი მოხაზულობის თაღები და კამარები, მდგრადობის გასაძლიერებელი კონტრფორტები, ძლიერ იმატებს ნაგებობების სიმაღლე (სწრაფვა ზეცისაკენ). ყოველივე ამას მოჰყვა მშენებლობაში გოტიკური სტილის ჩამოყალიბება, რომლის სამშობლო იყო საფრანგეთი. XII საუკუნეში გოტიკური სტილის ეკლესიები და მცირე ტაძრები ფუნქციონირებდა ილ-დე-ფრანსის მიწებზე (ვექსენი, ვალუა, ბოვუაზი), უაზისა და სენის დეპარტამენტებში (სენ-ლიო-დ'ესერანი, ლონპონი, ანეცა); აშენდა გრანდიზული ტაძრები პარიზში (ნოტრ-დამი), შარტრში (ნახ. 2. საკათედრო ტაძარი ნოტრ-დამ დე შარტრ), რეიმსსა (ნახ. 3. საკათედრო ტაძარი რეიმსში) და ამენაში. XIV-XV საუკუნეებში გვიანგოტიკურმა სტილმა არქიტექტურაში შემოიტანა ფასადების სამკაულები და სამშვენისები მცენარეული სამყაროდან, რამაც პრაქტიკულად დამალა შენობების იერსახე, შემდეგ შემოვიდა აჟურული ფანჯრები, მრუდი გეომეტრიული ფიგურები და ა.შ. მართალია ამ სტილში აგებული შენობები იშვიათობაა, მაგრამ მათი ცალკეული ნაწილები თითქმის ყველგან გვხვდება, ასეთებია: ნოტრ დამის პორტალი რუანაში, ბოვეს ტაძრის გვერდითი პორტალი,





ეკლესია ნოტრ დამ დე ბოვე ბურგ-ან-ბრესეში, მეცას, ტურესა და მოს ტაძრების ზოგიერთი ნაწილი, წმ. ოუენის ეკლესია რუანაში და სხვ.

XV საუკუნიდან (რენესანსის ეპოქა) შენობებში გამოჩნდა ძველი კლასიკური ელემენტები (სვეტის ბაზები, კარნიზები, თაღნარები, სვეტნარები, პალმეტები და სხვ.), რომელმაც კულმინაციას მიაღწია ჰენრი II-ის მმართველობის პერიოდში (XVI ს.) – პორტალები გახდა ნახევარწრიული ფორმის, თაღნარები – ისრისებრი, ფანჯრები – მართკუთხა და

ჯვრისებრი, დაბრუნდა ბერძნული ეკლექტიზმი (კედლების გლუვი ზედაპირები) (მაგ., ანეს ციხის კაპელა). თუმცა ფრანგული აღორძინების ეს ბრწყინვალე სტილი მალევე ჩაანაცვლა მძიმე ფლორენციულმა და ვენეციურმა გემოვნებამ (ზედმეტი მორთულობა, ბევრი კონსოლი, ნაშვერი კარნიზები), რის გამოც ბევრი დიდებული ტაძარი დაემსგავსა გამოქვაბულის სტალაგმიტებს.



1590 წელს დამთავრებულმა წმ. პეტრეს ტაძარმა, რომელმაც მთელი მსოფლიოს აღფრთოვანება გამოიწვია, დიდი გავლენა მოახდინა ფრანგულ არქიტექტურაზეც. მისი მიბაძვით აშენდა იეზუიტური ეკლესიები პარიზში, აგრეთვე სორბონისა (ნახ. 4. სორბონის კაპელა) და ვალ-დე-გრასას ტაძრები. გოტიკური გრანდიოზულობის მისაღწევად ფრანგი არქიტექორები პორტალების მშენებლობისას იყენებდნენ ანტიკურ ორდერებს ერთმანეთის მიყოლებით: ქვევით – დორიულს, მის ზევით – იონიურს და უფრო ზევით – კორინთულს. ამის კარგი მაგალითია პარიზის წმინდა ჟერვეს ეკლესია, რომელიც იმ დროის ყველა ეკლესიის ფასადის ნიმუში იყო და კანონიკური ძალა ჰქონდა (ნახ. 5).

XVI-XVII საუკუნეებში საფრანგეთში გაბატონებული იყო იეზუიტური (დეკორირებული) სტილი, რომლის თვალსაჩინო ნიმუშია პარიზის პანთეონი (ნახ. 6). XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ბევრი ეკლესია-მონასტერი შეიწირა. რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ კი ბურბონებმა დაიწყეს ახალი აღმშენებლობა, რომელიც ფორმითა და შინაარსით ძველ კლასიკას წარმოადგენდა. მისი მაგალითებია: მარია მაგდალინას ტაძარი პარიზში (ანტიკური კორინთული ტაძრის ანალოგი), ნოტრ დამ დე ლორეტე და წმ. ვინსენტ დე პაული (ადრეული ქრისტიანული პერიოდის რომაული ბაზილიკის ანალოგი), წმ. კლოტილდის ბაზილიკა და სხვ.



სატაძრო არქიტექტურის პარალელურად საფრანგეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის ნაგებობებს. სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობებიდან აღსანიშნავია: იმპერატორ ავგუსტის დროინდელი უზარმაზარი საქალაქო ჭიშკრები ნიმასა (Porte de France) და ოტენეში (Porte de St-André), ტრიუმფული თაღები ორანჟესა და კარპანტრაში, აკვედუკები ნიმას მახლობლად (საქვეყნოდ ცნობილი Pont du Gard), ლიონსა და მეცაში, თეატრები ორანჟესა და ვიენაში, ამფითეატრები არლიში, ნიმასა და სენტეში, იმპერატორ იულიანეს თერმები პარიზში, ალექსანდრე III-ის ხიდი პარიზში (ნახ. 7), ვერსალის, ფონტებლოს, ლუქსემბურგის, ლუვრის სასახლეები და სხვ.

ციხესიმაგრეების მშენებლობა საფრანგეთში დაიწყო პირველი ბარბაროსი იმპერატორის კარლოს დიდის მმართველობის პერიოდიდან (VIII ს.) და გრძელდებოდა მე-20 საუკუნემდე. ამ ნაგებობებისათვის დამახასიათებელი იყო ორრიგა მძლავრი გალავნის კედლები კოშკებითა და დონჟონებით, ამბრაზურები, შიდა მართკუთხა კეთილმოწყობილი

საცხოვრებელი. კოშკებში შესასვლელი განთავსებული იყო არა პირველ, არამედ მეორე სართულზე, რაც თავდაცვის მიზნით იყო გადაწყვეტილი. ციხესიმაგრეები გამოირჩეოდა არა მარტო მაღალი თავდაცვისუნარიანობით, არამედ არქიტექტურული გამომსახველობითაც. ამ სიმაგრეებს დღესაც აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველები, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: ვერსალი (XVII ს.) (ნახ. 8), შამბორი (XVI ს.) (ნახ. 9), შენონსო (XI ს.), შანტიი დე შანტილი, პიერფონი, ვინი (XVI ს.), ამბუაზი (IX ს.), უსე (მძინარე მზეთუნახავი) (XI ს.), მონ სენ-მიშელი (VIII ს.), ვენსენი (XIV ს.), ტარასკონი (XV ს.), ფუა (XI ს.) (ნახ. 10), კარკასონი (შუა საუკუნეები), შატობრიანი (X–XI სს.), ფონტებლო, პიუმარტენი (XIII ს.), მალბრუკი, ლანჟე, ლოში, შინონი (XV ს.), კლერმონი, ვო-ლე-ვიკონტი, სენტ-სიუზანი, ფრენე (XVII ს.), არუე, მონჟენანი, ბიზი, ვერერი, კომერსი, ფაიუ (XVIII ს.), ტორანი, ბარანტი, ბესე, ფრანკოვილი, რანდანი (XIX ს.) და სხვ.





საფრანგეთის არქიტექტურაში ორგანულადაა შერწყმული ლირიზმი და ტრაგიკული ეფექტები, ამაღლებული სულიერება და სოციალური სატირა, ფანტასტიკური გროტესკი და ფოლკლორულობა, გოტიკური ხელოვნება, მხატვრობა, ფასადების უნიკალური მორთულობა, მოცულობითი გრანდიოზულობა და პომპეზურობა. ფრანგულმა არქიტექტურამ უდიდესი კვალი დააჩნია ცივილიზაციის განვითარებას და სამართლიანად შედის მსოფლიოს არქიტექტურის ოქროს ფონდში, ხოლო პარიზის ელისეს მინდვრები და ეიფელის კოშკი კაცობრიობის ნამდვილი არქიტექტურული სამშვენისებია.



ნახ. 9



არქიტექტურა ქაღალდის – 1. 1980-იანი წლების კონცეპტუალური მიმართულება არქიტექტურაში; 2. არქიტექტორების თეორიული საქმიანობა, რომელიც ეხება

არქიტექტურული ფორმების დაპროექტებას მიზნის გარეშე (რეალური მშენებლობის გარეშე).

არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა – შენობებისა და ნაგებობების განლაგება გასაშენებელ ტერიტორიაზე, აგრეთვე შენობის სართულიანობის, კონფიგურაციის, გეგმაში ზომების, სიმაღლის, შიგა გეგმარების შერჩევა. ის მოიცავს საცხოვრებელი მიკრორაიონების, საზოგადოებრივი კომპლექსების, სამრეწველო საწარმოების გენერალური გეგმის გადაწყვეტას; ცალკეული შენობებისა და ნაგებობების მოცულობით-გეგმარებითი საკითხების შესწავლას.

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება – ქვეყნის კანონმდებლობით, ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების კომპლექსთა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც ადგენს არქიტექტურული ობიექტის დანიშნულებას, პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, მიწის ნაკვეთზე განთავსებას, აგრეთვე მისი დაპროექტებისა და მშენებლობის ეკოლოგიურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სხვა პირობებს. ა.-გ. დ. გაცემის საფუძველია დამკვეთის განაცხადი და მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი, ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნებართვა, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება, თუ მიწის ნაკვეთი, შესაბამისად, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაა.

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ქვეყნის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

არქიტექტურული აკუსტიკა – აკუსტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის შენობაში ხმის გავრცელების საკითხებს.

არქიტექტურული ანსამბლი – ერთიანი კომპოზიცია, გარკვეულ არქიტექტურულ იდეას დამორჩილებული შენობებისა და ნაგებობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული თანდათან – ხანგრძლივი დროის მანძილზე ან ერთდროულად (ნახ. 1. მავრიტანული პერიოდის არქიტექტურული ანსამბლი სამხრეთ ესპანეთში, ქ. გრანადის აღმოსავლეთ ნაწილში).



ნახ. 1

არქიტექტურული გადაწყვეტა – არქიტექტურული ობიექტის ავტორისეული ჩანაფიქრი – მისი გარე და შიგა გამომსახველობის, სივრცითი, გეგმარებითი და ფუნქციური ორგანიზაციის მიმართ, დაფიქსირებული საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურულ ნაწილში, არქიტექტურული ობიექტის რეალიზაციის მიზნით.

არქიტექტურული გრაფიკა – გრაფიკულ საშუალებათა კომპლექსი, რომელთა დახმარებით არქიტექტურული ობიექტი გამოისახება სიბრტყეზე. ის დაპროექტების განუყოფელი ნაწილია. ა. გ. განიხილავენ გამოსახულების სამ ძირითად სახეს: ორთოგონალურ გეგმილებს (გეგმა, ფასადი, ჭრილი), პერსპექტივას და აქსონომეტრიას. ა. გ. შეიძლება იყოს ხაზოვანი და ჩრდილნათელი, რომელიც თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა მომავალი ნაგებობის მოცულობით-სივრცით ფორმაზე, კომპოზიციაზე, მასალაზე, ფერზე ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა შეფერადება (ნახაზის ჩრდილნათელი მოდელირება ტუშის ან აკვარელის საღებავების მეშვეობით), ნაშხეფი, აპლიკაცია და ფოტომონტაჟი.

არქიტექტურული ეპოქა აზიის – აერთიანებს პერიოდს ძვ. წ. 5000-დან ჩვ. წ. 300 წლამდე და მოიცავს აზიის ხუთივე კუთხეს (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთი და ცენტრალური აზია) სპარსული არქიტექტურის ჩათვლით. ის არის ძალიან





დიდ ფართობზე გაბნეული არქიტექტურული ნაგებობები, რომელთაგან თითოეულს თავის განსხვავებული დეტალი ახასიათებს და მიძღვნილია რომელიმე ადგილობრივი ღმერთისადმი. ამა თუ იმ ხალხის კულტურა წარმოდგენილია არქიტექტურული ფორმით, რომელიც არის არა მარტო აზიური, არამედ ევროპული ტრადიციების ნაზავი. აზიური არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიმუშებია: "ლომების აკლდამა" კნიდაში, ძვ. წ. IV ს., კარია; ჰალიკარნასის მავზოლეუმი ჰალიკარნასში, ძვ. წ. IV ს., კარია; არტემიდას ტაძარი სარდაში, ძვ. წ. IV ს., ლიდია; არტემიდას ტაძარი ეფესოში, ძვ. წ. IV ს., საბერძნეთის რესპუბლიკა (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია); ათენას ტაძარი პრიენეში, იონია, საბერძნეთის რესპუბლიკა (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია) და სხვ. (დასავლეთი აზია) (იხ. არტემიდას ტაძარი); ციხესიმაგრე ჯანბას-კალა, ძვ. წ. IV ს., ძვ. ხორეზმი (ახლანდელი უზბეკეთის ტერიტორია); სამანიდების მავზოლეუმი, IX-X ს., ქ. ბუხარა, უზბეკეთის რესპუბლიკა (ნახ. 1); შახ-ი-ზინდას მავზოლეუმების ანსამბლი, XIV-XV ს., სამარყანდი, უზბეკეთის რესპუბლიკა; მეჩეთი ანაუ, XV ს., თურქმენეთი და სხვ. (ცენტრალური აზია); ჩინეთის დიდი კედელი, ძვ. წ. III ს.-დან ჩვ. წ. XVII ს.-მდე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა; ზეცის ტაძარი, XV ს., ბეიძინი (პეკინი), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ნახ. 2); ტაძარი კინკაკუ-ძი, XIV ს., ქ. კიოტო, იაპონია; ანცზის ხიდი (დიდი ქვის ხიდი), VII ს., პროვინცია ხებეი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა; სამეფო სასახლე და ბუდის სამონასტრო კომპლექსი პოტალა, VII ს., ქ. ლხასე, ტიბეტი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა; იმპერატორის სასახლე

ტოკიოში, XV ს., იაპონია (ნახ. 3) და სხვ. (აღმოსავლეთი აზია); ბუდას ტაძარი ფხა თხატ ლუანგ, XVI ს., ქ. ვიენტიანი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა; ლიტერატურის ტაძარი, XI ს., ჰანოი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა (ნახ. 4); პაჰანას (ბაჰანას) ტაძრები, XI-XIII ს., ქ. მანდალაე, მიანმა; ბუდისტური ტაძარი ანგკორ-ბატ, XII ს., ქ. სიემ-რიპი, კამბოჯის სამეფო; ტაძარი ვატ არუნ, XVII ს., ბანგკოკი, ტაილანდის სამეფო და სხვ. (სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია); თაჯ-მაჰალი, XVII ს., ქ. აგრა, ინდოეთის რესპუბლიკა; მუნიციპალური რაიონი ფატეჰპურ-სიკრი, XVI ს., უტარ-პრადეშის შტატი, ინდოეთის რესპუბლიკა და სხვ. (სამხრეთი აზია).





არქიტექტურული ეპოქა ისლამური – მაღალი წრისა და რელიგიური სტილის არქიტექტურის ფართო სპექტრი (იხ. ისლამური არქიტექტურა), ისლამის დაფუძნებიდან გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურის ბოლომდე (600-1700 წწ.), რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ისლამური კულტურის შენობების დიზაინსა და აგებულებაზე. მისი ძირითადი არქიტექტურული ნაგებობებია: მეჩეთი (იხ. თაჯ-მაჰალი), მინარეთი (იხ. საყივარა), სასახლე, ციხესიმაგრე, აკლდამა, საზოგადოებრივი აბანო, შადრევანი, დამხმარე საყოფაცხოვრებო სათავსი და სხვ.

არქიტექტურული ეპოქა კოლონიური – მოიცავს XVI–XX საუკუნეების პერიოდს, რომელიც ძირითადად შეეხებოდა აფრიკისა და ამერიკის კონტინენტების კოლონიზაციის პროცესს. 1900 წლისთვის აფრიკის მთელი კონტინენტი დაყოფილი იყო ევროპული ქვეყნების (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ესპანეთი, გერმანია, ბელგია, იტალია) კოლონიებად, ხოლო ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციის პროცესი დაიწყო 1513 წელს, როდესაც ხუან პონსე დე ლეონმა მის მიერ დაპყრობილი ფლორიდის ნახევარკუნძული გამოაცხადა ესპანეთის სამფლობელოდ. XVI საუკუნეში პრაქტიკულად ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიებად იქცა მთელი სამხრეთი ამერიკა, XVII საუკუნიდან კი დაიწყო ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციის ეტაპი დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ. მთელი რიგი უარყოფითი მომენტების პარალელურად, კოლონიზაციამ უპირობოდ დიდი როლი ითამაშა აფრიკისა და ამერიკის ხალხების კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების გზაზე, განსაკუთრების ეს ეხება ხელოვნებასა და არქიტექტურას. კოლონიალური პერიოდის შენობებისათვის დამახასიათებელი იყო უბრალოება, მარტივი გეგმა და ფასადები განთავისუფლებული იყო ყოველგვარი

ორნამენტებისა და სამშვენისებისაგან, ხოლო გადახურვებში ჭარბობდა ორფერდა, დიდი ქანობის სახურავები. ძირითადად ორსართულიან სახლებს აგებდნენ ხის, აგურისა და ქვის კონსტრუქციების გამოყენებით. ამ პერიოდის ადრეულ არქიტექტურულად გამორჩეულ ძეგლებს მიეკუთვნება როლფის სახლი ფორტ სმიტში (ვირჯინია, აშშ), წმინდა ლუკას ეკლესია კუნძულ უაიტის რაიონში (აშშ), გლორიან დეის ეკლესია ფილადელფიაში (აშშ) და



სხვ. XVII საუკუნის ბოლოდან ამერიკის კონტინენტზე იწყება ინგლისიდან შემოტანილი გეორგიანული სტილის დამკვიდრება, რომელიც პირველ რიგში გამოირჩეოდა შენობათა პორტალების დეკორირებითა და კლასიკური სტილის კარნიზების ელემენტების შემოტანით. ამ პერიოდის საინტერესო ნიმუშებია "ოლდ სტეიტ ჰაუს"-ი (1728 წ., ბოსტონი, აშშ) და "ინდენენდენს ჰოლი" (1733 წ., ფილადელფია, აშშ). კოლონიურის შემდგომი პერიოდის მნიშვნელოვანი შენობაა კაპიტოლიუმი რიჩმონდში (1789 წ., აშშ) (ნახ. 1), რომლის პროექტის ავტორი იყო თომას ჯეფერსონი – აშშ-ის შტატების მესამე პრეზიდენტი (1801-1809 წწ.). მისი ნამუშევრებიდან ასევე ცნობილია ვირჯინიის უნივერსიტეტის კომპლექსი (ნახ. 2; ნახ. 3). ამპერიოდისათვის დამახასიათებელია პროპორციებზე გადასვლა, რომელიც უახლოვდებოდა ძველი რომისა და XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთის არქიტექტურული ძეგლების პროპორციებს. XIX საუკუნის დასაწყისში ამერიკაში გამოჩნდა ბერძნული სტილი, რომლის პირველი ნიმუში იყო პესილვანიის ბანკი (ნახ. 4) ფილადელფიაში (1801 წ., არქიტექტორი ბ. ლატრობომი, აშშ), რომლის შემდეგ აშშ-სა და კანადაში უამრავი ბერძნული სტილის საზოგადოებრივი ნაგებობა აშენდა. 1860-1880 წლებში, აშშ-ში განვითარდა და დაინერგა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის იდეა, რასაც ხელი შეუწყო ახალი საშენი მასალის – რკინაბეტონის გამოჩენამ (რკინაბეტონისაგან პირველი სახლი აშშ-ში ააგო ინჟინერმა უორდმა 1873-1876 წლებში). XIX საუკუნეში ამერიკაში აღორძინდა რომანული სტილის არქიტექტურა, რასაც ხელი შეუწყო საინჟინრო ტექნიკის, მშენებლობის ტექნოლოგიების განვითარებამ, აგრეთვე ახალი საშენი მასალების შექმნამ (ფოლადი, თუჯი, ალუმინი და სხვ.). ლითონის კარკასებმა საშუალება მისცა არქიტექტორებს დაეწყოთ ცათამბჯენების მშენებლობა. XIX საუკუნის დასაყისიდან ამერიკაში ყველა სახის კულტურამ დაიწყო უპირობო განვითარება და მათ შორის მშენებლობამ – არა მარტო გაჩნდა სხვადასხვა არქიტექტურული სტილი (რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი), არამედ აღორძინდა ძველი ეპოქების (ბერძნული, რომაული, რომანული) არქიტექტურა და შეიქმნა სრულიად ახალი [ფაბრიკული (ინდუსტრიული), ცათამბჯენების მშენებლობა, ორგანიკული და სხვ.] არქიტექტურული სტილები.







არქიტექტურული ეპოქა კოლუმბამდელი – აერთიანებს პერიოდს ძვ. წ. 2000-დან ჩვ. წ. 1600 წლამდე და მოიცავს ამერიკის ორივე კონტინენტზე მცხოვრები ტომების ინკების, ოლმეკების, მაიას, აცტეკებისა და ჩრდილოეთ ამერიკის ხალხების კულტურის გავლენას არქიტექტურაზე, ანუ პერიოდს, ვიდრე ამერიკის კონტინენტზე ევროპელი კოლონიზატორები გამოჩნდებოდნენ. არქიტექტურული ტრადიციები განიხილება საზოგადოებრივი, საცერემონიო, საქალაქო ნაგებობებისა და შენობების მიხედვით, საგზაო სისტემის განვითარებით, მსოფლიოში პირველი დაკიდებული ხიდებით, ქვის დამუშავების უნიკალური ხელოვნებით, საკულტო პირამიდების მშენებლობით, წყალმომარაგების სისტემებითა და სხვ. კოლუმბამდელი არქიტექტურული ეპოქის შესანიშნავი ნიმუშებია: საიდუმლოებით მოცული, ინკების XV საუკუნის ქალაქი მაჩუ-პიქჩუ, კუსკოს რეგიონი, პერუს რესპუბლიკა (იხ. მაჩუ-პიქჩუ); მაიას ხალხის მიერ აშენებული დიდი ქალაქი ჩიჩენ-იცა (იხ. ჩიჩენ-იცა), მექსიკა და სხვ.

არქიტექტურული ეპოქა ნეოლითის (ნეოლითი, ახალი ქვის ხანა) – ნეოლითის ეპოქა დაიწყო დაახლოებით ძვ. წ. 9500 წელს ახლო აღმოსავლეთში და გაგრძელდა 3000 წლის განმავლობაში. ეს იყო ადამიანური ტექნოლოგიების პროგრესის პერიოდი. ამ დროს ჩნდება სამეთუნეო საქმე, სანადირო იარაღები, დაიწყეს საკვების მომზადება, სახლებისა და საკულტო ნაგებობების მშენებლობა (ნახ. 1. მეგალითი), კედლების შებათქაშება, მოხატვა, სასაფლაოების ზედმიწევნით გალამაზება-გაფორმება და სხვ. ამ პერიოდს მიეკუთვნება კაცობრიობის ცივილიზაციის დაწყება, ადამიანებს გაუჩნდათ სულიერების რწმენა და სურვილი, ცხოვრება გაეხადათ მარტივი და სასიამოვნო. ნეოლითი, ეს არის პერიოდი, როდესაც ადამიანი თავის საკვებს მარცვლეულის მოყვანითა და ცხოველთა მოშინაურებით მოიპოვებდა, მიმთვისებელი მეურნეობიდან (ნადირობა, თევზჭერა, შემგროვებლობა) თანდათან გადადიოდა მწარმოებლურ მეურნეობაზე (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა). განვითარდა ქვის დამუშავების ინდუსტრია, გაჩნდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქვის იარაღები – ცული, სატეხი, სათლელი, თოხი, ბარი, წერაქვი, სახეხი, სანაყი და სხვ.



1990 წლებში გერმანელმა არქეოლოგმა კლაუს შმიდტმა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ანატოლიის მხარეში (სირიის საზღვართან ახლოს) აღმოაჩინა ჰებეკლი-ტელეს ადრეული ნეოლითის ხანის ნაგებობა (ნახ. 2. ნეოლითური ნაგებობა ჰებეკლი-ტელეს რეკონსტრუქცია, თურქეთის რესპუბლიკა), რომლის ასაკი დაახლოებით 12 ათასი წლით განისაზღვრა. აღმოჩენილი იქნა მასიური ქვის კედლები და რელიეფური ნახატებით დამშვენებული უზარმაზარი ქვის ტესებრი კოლონები (ნახ. 3, ნახ. 4), რომელთაგან ზოგიერთის წონა 50 ტონას აჭარბებს. ჰებეკლი-ტელეს ისტორია არანაკლებ იდუმალია, ვიდრე პირამიდების, თანაც ის ასაკით 4-5-ჯერ მეტია ძველი პირამიდების ასაკზე, რაც უამრავ კითხვას ბადებს მათი მშენებლობისა და დანიშნულების თაობაზე.







არქიტექტურული ეპოქა ძველი ხმელთაშუაზღვისპირეთის – ამ ეპოქაში შედის შუამდინარეთის, ეგვიპტის, საბერძნეთის, რომისა და ბიზანტიის იმპერიების ცივილიზაციები ძვ. წ. 3000-300 წლებში. ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაცია არის შედეგი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცნობილი იმპერიის არსებობისა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ადამიანების კულტურული განვითარების საქმეში. რბილმა, ჯანმრთელმა კლიმატმა და საზღვაო გზების არსებობამ ხელი შეუწყო ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ მცხოვრები ხალხების დაახლოებას, კულტურული ერთიანობის ჩამოყალიბებას, სამეურნეო და სამშენებლო ცოდნის გაზიარებას და ა.შ. სწორედ ამ ეპოქაში გაჩნდა ცივილიზაციის ისეთი მიღწევები, როგორებიცაა: დამწერლობა, ინჟინერია, ალფავიტი, ლითონების მიღება და დამუშავება, სოფლის მეურნეობა, მხატვრობა და, რაც მთავარია, კლასიკური ორდერული არქიტექტურა თავისი დიდებული ტაძრებით, სვეტებით, კარით, ფანჯრებით, თაღედებით, სვეტნარებით, ქანდაკებებითა და სხვ.

არქიტექტურული ეპოქები – კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების პარალელურად, ვითარდებოდა ადამიანის ცოდნა, გონიერება, აზროვნება, მოთხოვნილობა საცხოვრებელი გარემოს მიმართ და სხვ., რასაც, შესაბამისად, თან ახლდა არქიტექტურის განვითარება: ქვის ხანის არქიტექტურამ გავლენა იქონია ძველ ეგვიპტეზე, ეგვიპტემ საბერძნეთზე, საბერძნეთმა – რომზე, ხოლო ყველაფერმა ერთად – თანამედროვე არქიტექტურაზე. განვლილი ცივილიზაციების არქიტექტურა შეიძლება პირობითად ათ ეპოქად დაიყოს, ესენია: ნეოლითი, ძველი ხმელთაშუაზღვისპირეთი, ისლამური, ძველი ეგვიპტის, აზიის, კოლუმბამდელი, შუა საუკუნეების, კოლონიური, ადრეული მოდერნი და თანამედროვე.

არქიტექტურული კომპოზიცია – განსაზღვრული ჩანაფიქრის მიხედვით შენობის იერის შერწყმა და დაკავშირება მის გარემომცველ გარემოსთან (ნახ. 1. არქიტექტურული კომპოზიცია: მეტროპოლ პარასოლი, ქ. სევილია, ესპანეთის სამეფო).



ნახ. 1

არქიტექტურული კომპლექსი – ერთმანეთთან ფუნქციონალურად დაკავშირებული შენობებისა და ნაგებობების სისტემა.

არქიტექტურული კომპოზიციის თეორია – არქიტექტურის თეორიის ნაწილი, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის არქიტექტურული კომპოზიციის, პრინციპებისა და აგების კანონზომიერებების ელემენტებსა და საშუალებებს.

არქიტექტურული მასშტაბი – არქიტექტურული ელემენტების კომპოზიციური წყობის ხერხი, რომელიც ემყარება შენობის ნაწილების ურთიერთშეფარდებას და ამ შეფარდების ათვისების უნარს. ა. მ. ცნება განსხვავდება მასშტაბის გავრცელებული გაგებისაგან და არ იზომება რიცხობრივად.

არქიტექტურული ნატეხი – არქიტექტურული ელემენტი, განსხვავებული განივი კვეთის – პროფილის მიხედვით, განთავსებული ჰორიზონტალურად (ცოკოლი, კარნიზი, კოლონის ბაზა), დახრილად (ფრონტონების კარნიზი), მრუდწირულად (კამარის არქივოლტი, ნერვიურა) ან ტეხილად (პორტალების და ფანჯრების მოჩარჩოება). ა. ს., ფართოდ გავრცელებული ორდერულ არქიტექტურაში, ემსახურებოდა შენობის არქიტექტურული დეკორის და მხატვრული გამომსახველობის ტექტონიკური საფუძვლების გაძლიერებას. ის პირველად გამოყენებული იყო ძველ საბერძნეთში, იქედან გავრცელდა ძველ რომში, შემდეგ კი აღორძინების ეპოქაში, ფეხი მოიკიდა ევროპაშიც.

თანამედროვე არქიტექტურაში ა. ნ. ნაცვლად, ხის, პლასტმასის, ლითონისა და ბეტონის კონსტრუქციულ ელემენტებში დამკვიდრდა ტერმინი "პროფილი". არსებობს არქიტექტურული ნატეხის მრავალი სახეობა (ნახ. 1. არქიტექტურული ნატეხის ძირითადი სახეები: 1-პლინთი; 2-ლილვი; 3-მეოთხედი ლილვი; 4-ფოსო; 5-ბატიყელა; 6-ქუსლა).

არქიტექტურული ნაწარმოები – არქიტექტურული პროექტისა და არქიტექტურული ობიექტის სახით არსებული არქიტექტურული საქმიანობის შედეგი, რომელიც წარმოადგენს საავტორო უფლებათა ობიექტს.

არქიტექტურული ობიექტი – შენობა, ნაგებობა, შენობებისა და ნაგებობების კომპლექსი, მათი ინტერიერი, კეთილმოწყობის ობიექტები, ლანდშაფტური და საბაღე-საპარკო ხელოვნება, შექმნილი არქიტექტურული პროექტის საფუძველზე.

არქიტექტურული ორდერი – არქიტექტურულ-კომპოზიციური სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს დგარ-კოჭოვანი სისტემის სტრუქტურა, მხატვრული დამუშავება და აგების განსაზღვრული წესი. შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ფუძე, სვეტი (კაპიტელითურთ) და კოჭოვანი სისტემა (ანტაბლემენტი). ცნობილია ხუთი კლასიკური ორდერი: დორიული, იონიური, კორინთული, ტოსკანური და კომპოზიტური (ნახ. 1. კლასიკური ორდერის კაპიტელის ნიმუშები: 1-ტოსკანური, 2-დორიული, 3-იონიური, 4-კორინთული, 5-კომპოზიტური). ორდერის სიმაღლისა და პროპორციების საზომად მიჩნეული იყო მოდული – სვეტის ფუძის დიამეტრის ნახევარი. ა. ო. ფართოდ გამოიყენებოდა შენობებისთვის მხატვრული გამომსახველობის მისანიჭებლად, საკულტო იდეოლოგიის, მსხვილი საზოგადოებრივი ნაგებობებისა და სხვათა როლის ხატოვნად წარმოსაჩენად. ა. ო. საშუალებით შექმნილია შენობის პლასტიკური დამუშავების სხვადასხვა ხერხი.



არქიტექტურული პროექტი – არქიტექტურული საქმიანობის შედეგად დოკუმენტურად დაფიქსირებული არქიტექტორის ჩანაფიქრი – არქიტექტურული ნახაზების ერთობლიობა, სადაც ჩამოყალიბებულია არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების პრინციპი, რომელიც ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, კომპლექსურად წყვეტს ქალაქთმშენებლობით, მხატვრულ-ესთეტიკურ, ფუნქციურ და ტექნიკურ საკითხებს. ის საავტორო უფლების ობიექტია და არ საჭიროებს ლიცენზირებას. ა. პ. არის შემადგენელი და საფუძველი სამშენებლო პროექტისა და დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მშენებლობა; ერთ-ერთი საფუძველია მშენებლობის ნებართვის გაცემისა. აღნიშნულ პროცესში ის შეიძლება საჭიროებდეს შეთანხმებას შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან. არქიტექტურული პროექტი შეიძლება იყოს: ესკიზური და დეტალური (სამუშაო). როგორც წესი, შედგება შემდეგი ნახაზებისაგან: სიტუაციური გეგმა; გენერალური გეგმა; ყველა სართულის გეგმა; ფასადის გეგმა; შენობის გრძივი ჭრილი; შენობის განივი ჭრილი. ასევე, საჭიროებისამებრ, შეიძლება შეიცავდეს: განმარტებით ბარათს, სხვადასხვა კვანძის ნახაზებს, შემადგენელი არქიტექტურული ელემენტების დეტალურ ნახაზებს,

აქსონომეტრიულ ნახაზებს და ა.შ. არქიტექტურული პროექტები იქმნება როგორც ხელით (ფანქრის, ტუშის, სახაზავის დახმარებით), ისე კომპიუტერული გრაფიკის მეშვეობით.

არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა – I, II, III, IV კლასის არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა მოიცავს: 1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს; განმარტებით ბარათს; შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს – მიწის ნაკვეთის ფართობს, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ-1 კოეფიციენტის სიდიდესა და განაშენიანების ფართობს, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის სიდიდესა და განაშენიანების სიმჭიდროვის ფართობს თითოეული სართულის განაშენიანების ფართობის ჩვენებით, მიწის ნაკვეთის გამწვანების კ-3 კოეფიციენტის სიდიდესა და გამწვანების ფართობს, შენობა-ნაგებობის ფართობს, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში: საცხოვრებელი სახლის ფართობს, ბინის ფართობ(ებ)ს, საოფისე ფართობს, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფართობ(ებ)ს, საწარმოო ფართობს, სასაწყობო ფართობს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოების ფართობებს, საზაფხულო (აივნების, ტერასების, ვერანდებისა და ლოჯიების) ფართობებს; 2. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ მიწის ნაკვეთის გეგმას (მაგ.: სადაც შეიძლება ნაჩვენები იყოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელები, მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის განთავსება, მისასვლელი გზები, ავტოსადგომები, ღობეები, გამწვანება და სხვ. ნაწილები), მასშტაბი 1:500; 3. შენობის სახურავის გეგმას (საკადასტრო საზღვრის პროექციის ჩვენებით) და შენობის ყველა სართულის გეგმას საკადასტრო საზღვრის პროექციის, იატაკების ზედაპირების ნიშნულების ჩვენებით, შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულს აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართებით; 4. შენობა-ნაგებობის ფასადებს; 5. განსაკუთრებულ სამშენებლო რეგულირების ზონებსა და ისტორიული დაცვის ზონებში შენობა-ნაგებობის ფასადებს, რომლებზეც მითითებული უნდა იქნეს მათი ძირითადი გაბარიტული ზომები, სიმაღლეები, მათ შორის, სართულების მიხედვით სიმაღლეები, მიწის გადაკვეთის დონეების ჩვენებით აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართებით, ფასადზე განთავსებული ყველა ღიობისა და არქიტექტურული დეტალების ზომების მითითებით, ფასადების (საანგარიშო ზედაპირების) ნახაზებს, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობის ფასადების (საანგარიშო ზედაპირების) სქემატური ნახაზების ჩვენებით (მაგ., ქუჩის განშლა); ფოტომონტაჟს და აქსონომეტრიულ ხედებს არქიტექტურული დეტალების, მოსაპირკეთებელ-სამშენებლო მასალებისა და ფერების განსაზღვრით (როგორც ნაბეჭდი, ისე ციფრული სახით ჩაწერილი კომპაქტდისკზე JPG ფორმატის ფაილებით), ფასადებზე გამოყენებული ყველა სახის მოსაპირკეთებელი მასალის, ფანჯრების, ვიტრაჟების, მოაჯირების თუ სხვა არქიტექტურული ელემენტების დეტალური მითითებით (მათ შორის, გათბობა-კონდიცირების ტექნიკური საშუალებების განთავსების ადგილის მითითებით), ასევე გამოყენებული საღებავების ფერის დაკონკრეტებით კატალოგის მიხედვით; 6. არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალას (შორი და ახლო ხედებით); 7. შენობის მახასიათებელ ჭრილებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, იატაკის ზედაპირის ნიშნულების ჩვენებით, შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულს აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართებით); 8. საჭიროებისამებრ მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმას, მიწის ნაკვეთის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს და ნაგვის ურნების განთავსების ადგილს. არქიტექტურული ნახაზებისათვის გათვალისწინებულია

შემდეგი მასშტაბები: ძირითადი ნახაზებისათვის – 1:50, 1:100 ან 1:200; დეტალური ნახაზებისათვის – 1:1, 1:2, 1:5; 1:10 ან 1:20.

არქიტექტურული პროფილები – მოლიურები, მულიურები; არქიტექტურული ფორმის შემადგენელი ელემენტები. იყოფა ორ ჯგუფად: სწორხაზოვანი (თარო, პლინთი და სხვ.) და მრუდხაზოვანი (ლილვი, ფოსო, ბატიყელა, ქუსლი, სკოცია). ნახ. 1-ზე მოცემული შენობის ფასადზე ნაჩვენებია ორივე ტიპის მარტივი ა. პ. ფანჯრების სახით.



ნახ. 1

არქიტექტურული საქმიანობა – არქიტექტორის შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომლის ამოცანაა: ქალაქთმშენებლობითი ობიექტის, გარემოს ფორმირების, შენობის, ნაგებობის, ინტერიერის პროექტის შედგენა, მასში სივრცობრივ-გეგმარებითი, მხატვრული და ფუნქციური საკითხების გადაწყვეტა, საინჟინრო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა ნაწილების დამუშავების ხელმძღვანელობა, დაპროექტების პროცესის ერთიანი ციკლის ორგანიზება, საავტორო ზედამხედველობის განხორციელება და მშენებლობის გაძღოლა.

არქიტექტურული სახე – ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის წამყვანი იდეის განხორციელება არქიტექტურულ ნაწარმოებში.

არქიტექტურული სტილი – არქიტექტურულ-კონსტრუქციული და მხატვრული ხერხების ისტორიულად ჩამოყალიბებული მდგრადი ერთიანობა, რომელიც შეპირობებულია საზოგადოებრივ-ისტორიული იდეური შინაარსის ერთობლიობით. ტერმინი აღნიშნავს რომელიმე ხალხის, დროის მონაკვეთის, მიმდინარეობის, მიმართულების, სკოლის ხუროთმოძღვრული ხელოვნების მახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას. ზოგჯერ ეს ტერმინი იხმარება იმ ძეგლთა ჯგუფის გამოსაყოფად, რომელთაც აქვთ მკაფიოდ გამოსახული განმასხვავებელი ნიშნები. მსოფლიოში მრავალი არქიტექტურული სტილი არსებობს, რომელთაგან აღსანიშნავია: არტდეკო, არტნუვო, ასტურიული, აფრიკული, ბაროკო, ბაუჰაუზი, ბიდერმაიერი, ბიზანტიური არქიტექტურა, ბლობიტექტურა, ბოზარტი, გოტიკური არქიტექტურა, დეკონსტრუქტივიზმი, ეგვიპტური სტილი, ეკლექტიკური სტილი, ეკოლოგიური არქიტექტურა, ესპანური ნეოკოლონიური, ექსპრესიონიზმი, ვიქტორიანული არქიტექტურა, თანამედროვე არქიტექტურა, ინგლისური სტილი, ინდური სტილი, კუპელჰალე, კლასიციზმი, კონსტრუქტივიზმი, კონსტრუქციული ექსპრესიონიზმი, მოდერნისტული არქიტექტურა, ნაცისტური არქიტექტურა, ნეობაროკო, ნეოკლასიციზმი, ნეომავრიტანული სტილი, ნეორენესანსი, ნიუ-იორკის ხუთეული, ნორდული კლასიციზმი, პოსტმოდერნისტული არქიტექტურა, რენესანსის არქიტექტურა, რაციონალიზმი, რეტროფუტურიზმი, როკოკო, რომანული არქიტექტურა, რომანტიზმის სტილი, საერთაშორისო სტილის, სიცილიური ბაროკო, სტალინისტური არქიტექტურა, სტრიმლაინ-მოდერნი, სუაჰილის არქიტექტურა, ფენ-შუი, ფუნქციონალიზმი, ჩიკაგოს სკოლა, ჩინური სტილი, ჰაი-ტექ არქიტექტურა, ჰელენისტური არქიტექტურა და სხვ.

არქიტექტურული ტრაქტატი – კოდექსი არქიტექტორის უფლებებისა და მოვალეობის შესახებ. პირველი ა. ტ. ეკუთვნის რომაელ არქიტექტორსა და ინჟინერს ვიტრუვიუსს (ძვ. წ. I ს.) – „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“.

არქიტექტურული ფერწერა – მრავალფიგურიანი რთული კომპოზიცია შენობებზე, ნაგებობებზე (ნახ. 1. ჯოვანი პანინი, კოლიზეუმი, XVIII საუკუნის იტალიური არქიტექტურული ფერწერა), თაღებზე, წვეტურებზე (ნახ. 2. არქიტექტურული ფერწერა – „გაუდის ცეკვა“, ოლგა ალექსეევა, 2010 წ.), კამარებსა და გუმბათებზე და სხვ. პერსპექტივაში, აგრეთვე ნაძერწი ჭერები, ლავგარდნები და ყველა სტილის პილასტრები.



ნახ. 1



არქიტექტურული ფორმა – ნაგებობის შესაბამისობა თავის პირდაპირ დანიშნულებასთან, რაც ითვალისწინებს კომპლექსის ზოგად დაგეგმარებას, კონსტრუქციების სიმტკიცესა და მდგრადობას, ეკონომიკურობას. ამ ამოცანის გადაწყვეტის ხასიათის მიხედვით არჩევენ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების, სამრეწველო შენობებისა და ხიდების არქიტექტურას ანსამბლის ერთიანობასთან შეხამებით. მონუმენტური ა. ფ. განვითარების პარალელურად ვითარდება მცირე ფორმების არქიტექტურაც – პატარა ნაგებობები, გამოყენებული ღია სივრცეების ორგანიზაციისათვის და არტიტქტუტული ქალაქთმმშენებლობის ან საბაღე-საპარკო კომპოზიციის შესავსებად (შადრევანი, კიბე, ღობე, შუქფარანი, კაფე, სავაჭრო ობიექტი, ჯიხური, სარეკლამო ბანერი და სხვ.).

არქიტექტურული ჩანართი (ჩადგმა) – მოცულობითი ორნამენტული ან სიუჟეტური სახვადასხვა ფორმის ნაძერწი კომპოზიცია განლაგებული შუაკედლისებში შენობის შიგნით და გარეთ.

არქიტექტურული ჰარმონია – შენობასა და მის ცალკეულ ნაწილებს შორის თანაზომიერება, ჰარმონიულობა, რომელიც იქმნება ცალკეულ ნაწილთა პროპორციულობითა და თანაფარდობით.

არქიტრავი (ეპისტილონი, ეპისტილი) (ბერძ. arkhê დასაბამი, დასაწყისი<ბერძ. árkhein პირველობა, მართვა, ბატონობა და ლათ. trabs კოჭი, მორი) – 1. კლასიკურ არქიტექტურაში ანტაბლემენტის სამი ნაწილიდან ყველაზე ქვედა ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეყრდნობა სვეტის (კოლონის) კაპიტელს (იხ. ანტაბლემენტი, ნახ. 1, პოზ. 1); 2. სამერხული; მზიდი კოჭი, რომელიც უშუალოდ ეყრდნობა სვეტებს ან პილონებს და გადასცემს მას ზევით მდებარე კონსტრუქციების დატვირთვას; 3. კონსტრუქციული კოჭი, რომლის სიგრძე ტოლია ორ მოსაზღვრე სვეტს შორის მანძილის (ბერძ. ეპისტილი). დორიულ და ტოსკანურ კლასიკურ არქიტექტურულ ორდერებში არქირტავი წარმოადგენს ფართო გლუვ ძირითად კოჭს, ხოლო

იონიურ და კორინთულ ორდერებაში – შედგება სამი პატარა ჰორიზონტალური ნაშვერების – ფასციებისაგან.

არქიტრავული გადახურვა – დორიული და ტოსკანური კლასიკური არქიტექტურული ორდერების არქირტავი (სწორხაზოვანი კოჭი), რომელიც ხურავს მალს სვეტებს შორის (იხ. ინტერკოლუმნიუმი).

არყის ხე (არყი) (ლათ. betula) – მიეკუთვნება არყისებრთა ოჯახის ფოთოლმცვივან ხეებისა და ბუჩქების გვარს (ნახ. 1). იზრდება 20 მ სიმაღლემდე. სიმკვრივე 510-770 კგ/მ³. ცნობილია 130-მდე პოლიმორფული სახეობა, რომლებიც გვხვდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში, აგრეთვე სუბტროპიკულ მთებში. საქართველოში 5 სახეობაა. აჭარა-გურიაში მთის ზედა სარტყელსა და სუბალპურ ტანბრეცილ ტყეებში გვხვდება მედვედევის არყი; კოლხეთის ენდემი – მეგრული არყი გავრცელებულია სამეგრელოსა და სვანეთის მთებში; რადეს არყი – კავკასიონის ჩრდილოეთ კალთების ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში; ლიტვინოვის არყი ყველაზე გავრცელებული სახეობაა, დიდი რაოდენობითაა კავკასიონისა და სამხრეთ მთიანეთის კალთებზე, ხოლო მეჭეჭიანი არყი კავკასიაში ყველგან გვხვდება. ა. ხ. სინათლის მოყვარული და ტენის მომთხოვნია. ზოგი სახეობა შედარებით მშრალ პირობებს ეგუება, სიცივისა და ყინვის ამტანია. ცოცხლობს 150 წელზე მეტს. ქმნის წმინდა კორომებს ან შერეულია სხვა მერქნიან მცენარეებთან. მერქანს იყენებენ საფანერო და საავეჯო წარმოებაში. ა. ხ. მერქნის ბოჭკოები შევსებულია თეთრი ფისისმაგვარი ნივთიერებით – ბეტულინით, რომელიც ქერქს აძლევს თეთრ ფერს. მშენებლობაში ა. ხ. გამოიყენება ხარაჩოების, ქარგილების, ყალიბების მოსაწყობად, თუმცა ამჟამად მიმდინარეობს სამეცნიერო სამუშაოები მისი კონსერვაციისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს ეს ჯიში სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლადაც გამოვიყენოთ. მეტად ლამაზი ტეხსტურა აქვს კარელიის არყის ხეს, რომელიც გამოიყენება მხატვრული ნაკეთობების დასამზადებლად.



არყის ხე ბუსუსიანი – ჩვეულებრივი არყის ხის ნაირსახეობა მოყვითალო-მოწითალო შეფერილობით. გამოირჩევა მაგარი და მძიმე, თეთრი მერქნით. გამოიყენება სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში.

არყის ხე კარელიის – ჩვეულებრივი არყის ხის ნაირსახეობა შერეული, დახლართული წლიური შრეებით, რადიალური სხივებითა და მაღალი მექანიკური თვისებებით. გამოიყენება ავეჯის, ანათალი შპონის წარმოებაში, აგრეთვე სახარატო ნაკეთობების დასამზადებლად.



ნახ. 1

არყის ხე მეგრული (კოლხეთის ენდემი მეგრული არყი) – ჩვეულებრივი არყის ხის ნაირსახეობა, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობზე (ნახ. 1).

არყის ხე მეჭეჭიანი – იხ. არყის ხე კარელიის.

არყის ხე რკინისებრი – ჩვეულებრივი არყის ხის ნაირსახეობა. მისი მერქანი ხასიათდება მაღალი მექანიკური თვისებებით. ხარობს შორეულ აღმოსავლეთსა და კარელიაში. გამოიყენება ავეჯის, შპონისა და აღალის წარმოებაში. წარმატებით ცვლის მუხის, იფნის, კოპიტისა და ბზის მერქანს.

არყის ხე ქვისმაგვარი – იხ. არყის ხე რკინისებრი.

არყის ხე ყვითელი – ჩვეულებრივი არყის ხის ნაირსახეობა, რომლის მერქანი ყვითელი ფერისაა.

არყის ხე შავი – იგივეა, რაც დაურიის არყის ხე. ახასიათებს კანისა და ფოთლების მუქი შეფერილობა. გავრცელებულია აღმოსავლეთ ციმბირში, დაურიის მხარეში.

არშია – იხ. კანტი.

არშინი [რუს. аршин<თათრული arshyn იდაყვი (სიგრძის საზომი ერთეული)<ენათესავება ოსმალური თურქული (ოსმალური ენა) arşın<შუასპარსული ārešn იდაყვი (სიგრძის საზომი ერთეული)] – ძველი რუსული სიგრძის ერთეული, რომელიც ხმარებაში შევიდა მე-16 საუკუნეში. 1 არშ = 71,12 სმ.

არშის ციხე (ინგლ. Arsh Castle) – XVI-XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ისტორიულ ხევში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, დაბა სტეფანწმინდიდან 5 კმ-ში, სოფ. არშის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, პლატოზე (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციხე, ეკლესია, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, გვირაბი, წყალსადენი, წმინდა გიორგის ხატი.



ნახ. 1

არშის ციხე, სნოს ციხესთან ერთად, სრულ კონტროლს ამყარებდა თერგისა და სნოს ხეობაზე. იგი ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია 1623 წელს გიორგი სააკაძის მეთაურობით შაჰ-აბასის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებასთან დაკავშირებით. XVII საუკუნიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე ციხე არაგვის ერისთავების მფლობელობაში იყო. შემდაგ მას ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება დაეპატრონა. ციხე ქართველთა საგანძურის სამალავს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ არშის ციხესთან ს. გაიბოტენში მზადდებოდა თოფის წამალი, რომელიც იქვე ინახებოდა და საჭიროების შემთხვევაში სხვა ციხეების დამცველებს ურიგდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისში ციხე ჯერ კიდევ მოქმედი ყოფილა. XX საუკუნის 60-იან წლებში კი, მოხევეების საამაყო ციხე კომუნისტებმა ააფეთქეს და დღეისათვის ნანგრევების სახით არის შემორჩენილი.

არშის ციხე პრაქტიკულად ბუნებრივი წარმოშობისაა. დიდ მთებს შორის პლატოზე მოთავსებული ციხე მიუდგომელი იყო, ამიტომ მას გალავანიც კი არ ჰქონდა შემოვლებული. ადგილები, საიდანაც მტერს ციხეში შეღწევა შეეძლო, ნატეხი ქვითაა ამოშენებული და სქელი სათოფურებიანი კედლებით გამაგრებული. ციხეში მისასვლელი ერთადერთი გზა ჩრდილო-

დასავლეთიდანაა. ტერიტორიაზე შესასვლელი სქელი ფურცლოვანი რკინით მოჭედილი კარი ჩვენამდე კარგადაა მოღწეული. მისი ზომებია: 1,50x0,82 მ. ციხე წყლით მარაგდებოდა 2 კმ სიგრძის კერამიკული წყალსადენის მილებით.



ნახ. 2

ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დგას IX-X საუკუნეების თლილი ქვით ნაგები უაფსიდო დარბაზული ეკლესია ზომებით 9,6x5,2 მ, რომლის დარბაზის შუაში შემორჩენილია ქვიშაქვის 1,3 მ სიმაღლის ოთხწახნაგა ქვასვეტი, რომელიც დაგვირგვინებული ყოფილა ქვის ჯვრით (ამჟამად დაკარგულია).

ციხის ტერიტორიაზე დგას წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ოთხწახნაგა პრიზმის ფორმის ფიქლის ქვებით ნაშენი ნაგებობაა. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით საზარეა – ქვების ორ გროვაზე რკინის ძელია გადებული, რომელზეც დიდი ზარია ჩამოკიდებული.

არხი – 1. ჰიდროტექნიკური ნაგებობა, ხელოვნური მდინარე, სადინარი (ნახ. 1); 2. კავშირგაბმულობაში, სისტემებში გარკვეულ მანძილზე კოდირებული სიგნალების გადამცემ მოწყობილობათა ერთობლიობა; 3. ტელევიზიაში, ამა თუ იმ სამაუწყებლო ორგანიზაციისათვის გამოყოფილი საეთერო სივრცე (მაგ., პირველი არხი, მეცხრე არხი); 4. ცოცხალ ორგანიზმში მილის მსგავსი ა. (მაგ., ყურის არხი, სასუნთქი არხი). არხის მრავალი სახეობა არსებობს: აირის, გადასაშვები, გამომყვანი, გამომშვები, დამხმარე, დაწნევიანი, კაპილარული, კვამლსარინი, კვამლსაკრები, მაერთებელი, მიმყვანი, მოდინების, მუშა, ორთქლგამოსაშვები, ორთქლის, სადერივაციო, სადრენაჟო, სავენტილაციო, საკვამლე, სანაოსნო, სარინი, სარწყავი, შემკრები, შემომვლები, შემშვები, წრიული, წყალსარინი, წყალჩასაშვები, ხე-ტყის საცურებელი, ჰაერმოსაყვანი, ჰაერსადენი, ჰაერსარინი და სხვ.



არხი მისასვლელი – არხი, რომელიც ნავსადგურებთან მცირე სიღრმის უბნის ან მდინარის შესართავის გასაღრმავებლად არის მოწყობილი. მისი დანიშნულებაა ცალკეული დასახლებული პუნქტის ან სამრეწველო საწარმოს ძირითად სანაოსნო გზასთან დაკავშირება.

არხი სავენტილაციო – კედლში ჩაყოლებული ან გადახურვაზე შეკიდებული არხი, რომლის საშუალებითაც ხდება შენობაში სუფთა ჰაერის შემოყვანა და უვარგისის გაძევება ბუნებრივი ან იძულებითი გზით.

არხი შემაერთებელი – არხი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორი ზღვის აუზს ან ერთი ზღვის აუზის ორ ნაწილს, რომლებიც მცირე სიღრმის უბნით ან ხმელეთით არის ერთმანეთისგან გამოყოფილი.

არხი შემოვლითი – არხი, რომელიც ეწყობა შიგა წყლების გზებზე რაიმე წინაღობის (მაგ., მდინარის ან ტბის მცირე სიღრმის უბნები) გვერდის ასავლელად.

არხილი – ძვ. თხელი ბზარი.

არხსათხრელი – მისაბმელი ან თვითმავალი მანქანა, რომელიც გამოიყენება სარწყავი ან ამოსაშრობი არხების, აგრეთვე ტრანშეებისა და კიუვეტების გასაყვანად (ნახ. 1). გრუნტის დასამუშავებელ ორგანოს წარმოადგენს გუთანი, ფარი, როტორი, ფრეზი, მრავალციცხვიანი ჯაჭვი. მცირე ზომის ტრანშეის გასათხრელად, აგრეთვე, გამოიყენება ერთციცხვიანი ექსკავატორი შებრუნებული ნიჩბით.



ნახ. 1

ასაკეცი სკამი – სკამი, რომლის ფორმა და ზომა შეიძლება შემცირდეს გადაადგილების ან შენახვის მიზნით (ნახ. 1).

ასანთი – მერქნისგან დამზადებული პატარა ჩხირი, რომლის თავიც აალებადი ნივთიერებითაა დაფარული. აალება სხვა ნივთიერებაზე ხახუნის შედეგად ხდება. არსებობს ასანთის მრავალი სახეობა: მონადირის (ტენმედეგი), პარაფინის, სასუვენირო, სასიგნალო, სანთლის, სპეციალური, სტეარინის, უალო, უსაფრთხო, ქარისა და სხვ.

ასაფეთქებელი ნივთიერება – 1. მყარი, თხევადი ან აეროვანი ნივთიერებები ან ნივთიერებების ნაერთები, რომლებიც დეტონირებენ მათი პირველადი ასაფეთქებლის, ბუსტერის ან ძირითადი მუხტის სახით გამოყენებისას, ქობინებში, განადგურების მოწყობილობებში და სხვა აპლიკაციებში; 2. ნივთიერებების ქიმიური შენაერთი ან ნარევი, რომელსაც სწრაფი ქიმიური რეაქციის უნარი აქვს, რომლის შედეგად გამოიყოფა დიდი რაოდენობის სითბო და აირი. რეაქცია ვრცელდება ასაფეთქებელ ნივთიერების მუხტზე თბო- და მასისგადამტანი (წვა) ან დარტყმითი ტალღის (დეტონაცია) პროცესებით. ა. ნ. ფუგასურობა ანუ მუშაობის უნარი ფასდება ფარდობით ერთეულებში; სტანდარტულ ა. ნ. მიეკუთვნება ტროტილი, ამონიტი №6, ნიტროშენაერთები (ტრინიტროტოლუოლი, ტეტრილი და სხვ.) და აზოტმჟავას მარილები. გამოიყენება სამხედრო და სამთო საქმეში, მშენებლობაში და სხვ.

ასაფეთქებელი სამუშაოები – სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება აფეთქებით. ამ დროს გამოიყენება ა. ს. ჩატარების შემდეგი მეთოდები: შპურისებრი მუხტების, ჭაბურღილისებრი მუხტების, გამოყრის აფეთქებისა და გარე მუხტების.

ასაწყობ-მონოლითური კონსტრუქციები – ცალკეული ელემენტებისგან შემდგარი კონსტრუქცია (ნახ. 1), რომლის ერთი ნაწილი წინასწარაა დამზადებული ქარხანაში, ხოლო მეორე ნაწილი – ადგილზე, მონოლითური ბეტონის გამოყენებით, რითაც მიიღწევა მთლიანობა (მაგ., რკ.ბ.-ის კარკასულ შენობებში სვეტებისა და რიგელების შეერთების კვანძები). ასაწყობი კონსტრუქციების ელემენტების შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს უპირატესად მაღალი სიმტკიცის ბეტონისა და არმატურისგან დამზადებული წინასწარ

დაძაბული კონსტრუქციები, აგრეთვე კონსტრუქციები მსუბუქი და უჯრედოვანი ბეტონისაგან იქ, სადაც მათი გამოყენება სხვა ნორმატიული დოკუმენტებით შეზღუდული არ არის. ელემენტების გამსხვილება შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა სამონტაჟო მექანიზმების ტვირთამწეობა, დამზადებისა და გადაზიდვის პირობები.



მონოლითური კონსტრუქციებისათვის გაითვალისწინება უნიფიცირებული ზომების გამოყენება, რაც საინვენტარო ყალიბების, აგრეთვე გამსხვილებული სივრცული არმატურის კარკასების გამოყენების საშუალებას იძლევა. ა.-მ. კ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეერთებების სიმტკიცესა და ხანგამძლეობას. ელემენტების კვანძებისა და შეერთებების კონსტრუქციები, სხვადასხვა კონსტრუქციული და ტექნოლოგიური ღონისძიებების მეშვეობით, უნდა უზრუნველყოფდნენ ძალვების საიმედო გადაცემას, პირაპირის ზონაში თვით ელემენტების სიმტკიცეს, აგრეთვე პირაპირში დამატებით ჩაწყობილი ბეტონის კავშირს კონსტრუქციის ბეტონთან. ა.-მ. კ., აგრეთვე მონოლითური კონსტრუქციები ხისტი არმატურით, გაანგარიშდება სიმტკიცეზე, დეფორმაციებზე, ბზარების წარმოქმნასა და გახსნის სიდიდეზე კონსტრუქციის მუშაობის შემდეგი ორი სტადიისათვის: ა) კონსტრუქციის გამოყენების ადგილზე ჩაწყობილი ბეტონის მიერ წინასწარ დასახული სიმტკიცის მიღწევამდე – ამ ბეტონის წონისგან გამოწვეულ და აგების მოცემულ ეტაპზე მოქმედი სხვა დატვირთვების ზემოქმედებაზე და ბ) კონსტრუქციის გამოყენების ადგილზე ჩაწყობილი ბეტონის მიერ წინასწარ დასახული სიმტკიცის მიღწევის შემდეგ – აგების მოცემულ ეტაპზე და ექსპლუატაციის დროს მოქმედ დატვირთვებზე. ასაწყობი კონსტრუქციების ელემენტების გაანგარიშებისას იმ ძალვების ზემოქმედებაზე, რომლებიც წარმოიშობა მათი აწევის, ტრანსპორტირებისა და მონტაჟის დროს, დატვირთვა ელემენტის წონისაგან გაანგარიშებებში უნდა შევიდეს დინამიკურობის კოეფიციენტით, ტოლი: ა) აწევისა და მონტაჟის დროს – 1,40; ტრანსპორტირების დროს – 1,6. დინამიკურობის კოეფიციენტი შეიძლება შემცირდეს სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, მაგრამ მიიღება არანაკლები – 1,25-სა.

ასაწყობ-მონოლითური კოჭოვანი გადახურვა – გადახურვის კონსტრუქცია, რომელშიც გაერთიანებულია ასაწყობი და მონოლითური რკ.ბ.-ის დადებითი თვისებები. ასაწყობი ელემენტებისაგან აგებული გადახურვა წარმოადგენს ყალიბს შემდგომი მშენებლობის ადგილზე დამატებით ჩალაგებული არმატურისა და ბეტონისათვის. მონოლითური ბეტონის გამყარების შემდეგ კონსტრუქცია მუშაობს როგორც ერთიანი. ეს კონსტრუქციები გამოიყენება როგორც ახლად ასაგებ შენობებში, ასევე ექსპლუატაციაში მყოფ ნაგებობებში, როდესაც რეკონსტრუქციისას საჭიროა ცალკეული არსებული ელემენტების ზიდვის უნარის გაზრდა.

ასაწყობი ლენტური საძირკველი – ლენტური საძირკვლის ტიპი, რომელიც შედგება ასაწყობი დაარმატურებული ძირისა და მასზე დასადგმელი კედლის ბლოკებისაგან (ნახ. 1. ასაწყობი ლენტური საძირკველი საძირკვლის ბლოკებისაგან). ნაგებობის სიმტკიცის ასამაღლებლად, სუსტ გრუნტებში მოსალოდნელი დაჯდომის ასაცილებლად და ანტისეისმური ღონისძიებების გასატარებლად, ასაწყობი საძირკვლის გაძლიერება ხდება დაარმატურებული ნაკერებით ან რკ.ბ.-ის სარტყლით, რომელიც ეწყობა შენობის მთელ პერიმეტრზე

საძირკვლის ძირის ან საძირკვლის კედლის ბლოკის თავზე. ქვიშის გრუნტზე საძირკვლის ბლოკების დადგმა ხდება უშუალოდ მოსწორებულ ფუძეზე, სხვა გრუნტების შემთხვევაში კი 10 სმ სისქის ქვიშიან ბალიშზე. საძირკვლის ქვეშ დაუშვებელია ნაყარი ან გაფხვიერებული გრუნტის არსებობა. ქვიშის ბალიშის სიგრძე და სიგანე მიიღება საძირკვლის ზომაზე 20-30 სმ-ით მეტი. მონტაჟის დაწყებამდე შუქურა ბლოკები იდგმება შენობის კუთხეებში და კედლების გადაკვეთის ადგილებში, შემდეგ კი ხორციელდება დანარჩენი ბლოკების დამონტაჟება გაჭიმული თოკების მეშვეობით. პროექტის შესაბამისად, ნიველირით მოწმდება ყველა ნიშნული.



ასაწყობი უკოჭო გადახურვა – შენობის გრძივი და განივი მიმართულებით განლაგებული კაპიტელსზედა ფილების, მალის ფილებისა და სვეტების ერთობლიობა, რომელთა თავზე მოთავსებულია ასაწყობი კაპიტელი.

ასეკურაცია (ინგლ. assekuration) – საქონლის ან რაიმე სხვა ქონების დაზღვევა.

ასენიზაცია (ფრანგ. assainissment) – სიბინძურის გატანისა და უვნებელყოფის ღონისძიებათა სისტემა; რომელიმე ადგილის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება.

ასიდბარი (ინგლ. asidebar) – ბიტუმზე დამზადებული გასაჟღენთი ნივთიერება, რომელიც უძლებს მჟავებისა და მათი ორთქლის ზემოქმედებას. გამოიყენება მერქნის ბაქნებისა და ფენილების გასაჟღენთად.

ასიმეტრია (ლათ. asymmetria არაპროპორციულობა, არათანაზომადობა) – 1. სიმეტრიის არარსებობა ან დარღვევა. არქიტექტურაში განიხილება, როგორც დიზაინის ელემენტი (იხ. მოდერნისტული არქიტექტურა, ნახ. 1); 2. სიმეტრიის საწინააღმდეგო ცნება, რომელიც გულისხმობს შენობის მოცულობითი ელემენტების ნებისმიერი კომპოზიციის ფრაგმენტების ისეთ განაწილებასა და შეთავსებას, როდესაც სიმეტრიის ღერძები ნაწილობრივ ან სავსებით უარყოფილია, და როდესაც კომპოზიცია არ არის გაწონასწორებული სივრცეში ან სიბრტყეზე.

ასიმეტრია ტრიაქსიალური – სიმეტრიის არარსებობა სამივე სივრცითი ღერძის მიმართ.



ასიმეტრიის კოეფიციენტი – ალბათობის თეორიაში – სიდიდე, რომელიც ახასიათებს მოცემული შემთხვევითი სიდიდეების განაწილების ასიმეტრიას.

ასიმპტოტა წირის – წრფე, რომელიც ამ წირს უსასრულოდ უახლოვდება, მაგრამ არ კვეთს. ა. წ. შეიძლება იყოს ჰორიზონტალური, შვეული (ნახ. 1) და დახრილი.

ასკანთიხა – ასკანის (საქართველო) თიხის საბადოს ტუტე ბენტონიტური თიხის სახესხვაობა – თიხური მინერალის ბეიდელიტისა და მონტმორილონიტის წვრილდისპერსიული ნარევი.

ასკანის ციხე (თამარის ციხე) (ინგლ. Askana Castle) – ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე გურიის ს. მთისპირში, მაღალ ფრიალო კლდეზე, ოზურგეთიდან 17 კმ-ზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, მდ. ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, დელემურისა და თაფურიათის მთებს შორის (ნახ. 1. ციხის ნანგრევები; ნახ. 2. ციხის ფრაგმენტი). სავარაუდოდ, ასკანის ციხე IV საუკუნეშია აგებული. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით VIII საუკუნეში ციხეზე ულაშქრია არაბთა სარდალს მურვან ყრუს, მაგრამ ციხე ვერ აუღია. 1774 წელს ციხე ოსმალების ხელში იყო. 1804-1805 წლებში იგი მამია გურიელმა და სოლომონ I-მა დაიბრუნეს. 1828 წლიდან კი ასკანის ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავა.

ციხე ნაგებია ქვითა და კირხსნარით. შესასვლელის მარცხნივ გვირაბია, რომელიც ჩადის მდინარე ბახვისწყალზე. ციხეში შემავალი კარიბჭის მარჯვნივ შეინიშნება ძველი ნაგებობის უტყუარი ნაკვალევი – კლდოვან ქანში გამოკვეთილი საფეხურები; იქვეა ძველი მარანიც. ასკანის ციხე ორი კოშკის, წითელი მარმარილოთი ნაშენი სამლოცველოსა (V-VII საუკუნეების ბაზილიკა) და რამდენიმე ხის ქოხისაგან შედგებოდა. სამლოცველო საკმაოდ დაზიანებულია, ხის ქოხები დანგრეულია. შიდა და გარე ზღუდეთა ირგვლივ მეომართა სადგომი ბაქნებია მოწყობილი; შეინიშნება ციხის კედლებში გამოჭრილი სათოფურები. ციხის გარე ზღუდის დაქანებული კლდოვანი ფერდობის ძირში დიდი ზომის ხის ზედაპირი მოჩანს. აქედან იწყება ბახვის ხეობასთან დამაკავშირებელი, ციხიდან გამავალი საიდუმლო გვირაბი.



ნახ. 1



ნახ. 2

ასკარიტი – აზბესტით გაჟღენთილი ნივთიერება, რომელიც კარგად შთანთქავს ნახშირჟანგს. გამოიყენება ლაბორატორიებსა და მრეწველობაში. ინახება ჰაერისგან იზოლირებულად.

ასლი – დოკუმენტის გადაღებული პირი ისეთი მეთოდით, რომელიც უზრუნველყოფს მის იდენტურობას დედანთან ან დუბლიკატთან. ა. გამოიყენება ერთჯერადად.

ასორტიმენტი (შუაფრანგ. assortir<ძვ. ფრანგ. assorter შერჩევა, დახარისხება, დაჯგუფება; შესატყვისება, მოხდომა<<ლათ. ლათ. ad, ad- -კენ, -ზე, -ში, -მდე, -თან, მიმართ; ახლოს, დაახლოებით და ძვ. ფრანგ. sorte სახეობა, ნაირსახეობა, სახესხვაობა; გვარი, ოჯახი, წარმომავლობა<ლათ. sors ხვედრი, ბედი, ბედისწერა; წილი, მონაწილეობა; წოდება, ხარისხი; თანრიგი) – მრავალსახეობა; სხვადასხვა სახეობისა და ხარისხის გასაყიდი საქონლის მრავალსახეობა. განასხვავებენ მომსახურების, საქონლისა და სავაჭრო ასორტიმენტს.

ასოციაცია [შუასაუკ. ლათ. associatio(n-)<ლათ. associare ერთიანობა, მოკავშირე, მიერთება<sociare გაერთიანება<socius კომპანიონი] – იურიდიულ ან ფიზიკურ პირთა გაერთიანება, კავშირი, ამხანაგობა (მაგ., მშენებელთა, ადვოკატთა, ბანკების, დამსაქმებელთა, იურისტთა და სხვ.), შექმნილი სამეურნეო, პოლიტიკური, სამეცნიერო და სხვა მიზნების მისაღწევად.

ასპარეზი – 1. ადგილი, სადაც სპორტული პაექრობები ტარდება; 2. ძვ. ქართ. – მინდორი.

ასპიდი [ბერძ. iaspis (iaspidos) იასპი, ეშმი (პატიოსანი თვალი)] – იასპი (ეშმა), შავი ფიქალი, რომლისაგანაც ამზადებენ გრიფელით საწერ პატარა დაფას.

ასპიდის ფიქალი – თიხოვანი ფიქალის მკვრივი სახესხვაობა; ადვილად იშლება თხელ მაგარ ფილებად. გამოიყენება გრიფელის (ასპიდური) დაფების დასამზადებლად და როგორც სახურავის მასალა.

ასპირატორი (ლათ. aspīrātus სუნთქვა<spīrāre ამოსუნთქვა, ბერვა) – საწარმოო პირობებში ჰაერის სინჯის ასაღები ხელსაწყო მისი შემადგენლობისა და დამტვერიანების გამოსაკვლევად.

ასპირაცია (ლათ. aspiratio ჩასუნთქვა) – სავენტილაციო პროცესი, მცირე ზომის მშრალი ნაწილაკების წატაცებისათვის სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მოწყობილობების სამუშაო ზონიდან, ჰაერის ნაკადის მეშვეობით. ასეთი სისტემა აღჭურვილია ჰაერსატარების განტოტვილი ქსელით, ფილტრებითა და სალექრებით. გამოიყენება ხორბლეულის, ხის გადასამუშავებელ და საშენი მასალების საწარმოებში, აგურის ქარხნებში, კვების მრეწველობაში, კარიერებსა და სხვ. ა. განსხვავდება ვენტილაციისაგან იმით, რომ სავენტილაციო სისტემა ახდენს ჰაერის ნაკადის მიმართულების მართვას, ასპირაციულ სისტემაში კი ჰაერი გამოიყენება ნაწილაკების მატარებლად და საბოლოო ჯამში, მცირე ნაწილაკების სისტემიდან მოსაცილებლად. არსებობს ასპირაციის ორი სახეობა: მონობლოკური და მოდულური.

ასპირაცია მოდულური – ასპირაციის ეფექტური სისტემა, რომელიც დაპროექტდება და მონტაჟდება დამკვეთის მიერ დასახული კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად, რისთვისაც საჭიროა ასპირაციის სისტემისა და ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებლების შეთავსებადობა. ასეთი სისტემის ძირითადი ელემენტები და კვანძებია: ვენტილატორი, ჰაერსატარი, საჭრელი მოდული, სეპარატორი, ჰაერის ფილტრები და წნეხები ან წნეხ-კონტეინერები.

ასპირაცია მონობლოკური – ასპირაციის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა მოწყობილობა განლაგდეს მავნე ნაწილაკების გამოყოფის სიახლოვეს და უზრუნველყოფს მის მარტივად მიერთებას ასპირაციის ცენტრალურ სისტემასთან. ა. მ. უპირატესობაა მობილურობა და ავტონომიურობა.

ასპიტაკი – ძვ. ოქროს ფიცარი.

ასრიალება – ხახუნის შემცირების შედეგად დისკოების, საბურავების ერთ ადგილზე ბრუნვა და, მაშასადამე, მოძრაობის (გადაცემის) შეფერხება.

ასტამურა (ხვეწი) [ინგლ. scraper (for smoothing wood)] – სპეციალურად ორმხრივ გალესილი, 2 მმ სისქის ფოლადის ფირფიტა, რომლის ფორმა სხვადასხვაა ხელით და ჩარხზე მუშაობისათვის. გამოიყენება გაშალაშინებული ზედაპირის მოსასწორებლად.

ასტრაგალი (ბაგეტი) (ბერძ. astrágalos მალა, კოჭი) – 1. რთული არქიტექტურული პროფილის (ხის, პლასტმასის, ლითონის, ქვის და სხვ.) ბრტყელი ან ნახევარწრიული ფორმის ნაკეთობა, რომელსაც ლილვაკის სახე აქვს. გამოიყენება კარის თამასად (ნახ. 1. ხის T-სებრი ასტრაგალი), პლინთუსად და სხვ.; 2. კლასიკურ არქიტექტურულ ორდერში თაროიანი არქიტექტურული ნატეხი ლილვაკის სახით (ზოგჯერ ღეროს სახით), რომელიც განლაგებულია სვეტის კაპიტელის ქვეშ და გამოყოფს მას სვეტის ტანისგან (ნახ. 2).





ასტროიდა (ბერძ. astroeides) – წირი, რომელსაც აღწერს C(r) წრეწირის (პატარა წრეწირი) P წერტილი, როცა ეს მოძრავი წრეწირი (რადიუსით r) შიგნიდან გორავს R რადიუსის უძრავ წრეწირზე (დიდი წრეწირი) და რადიუსებს შორის არსებობს დამოკიდებულება: r = R/4. ასტროიდას აქვს ოთხკუთხა ვარსკვლავის ფორმა (ნახ. 1). ასტროიდას ნებისმიერი წერტილის მხების მონაკვეთის (AB) სიგრძე, რომელიც მოთავსებულია საკოორდინატო ღერძებს შორის, ყოველთვის უძრავი წრეწირის რადიუსის ტოლია.



ასტრონომია (ბერძ. astron ვარსკვლავი და nomos კანონი) – მეცნიერება მნათობთა (ცის სხეულთა) აგებულების, ფიზიკური ბუნებისა და მოძრაობის კანონების შესახებ.

ასტურიული სტილი – ესპანეთში XI საუკუნის I ნახევრის რომანულისწინა არქიტექტურის ხანა. ა. ს. დამახასიათებელია ესპანეთის ჩრდილოეთ ოლქების საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის. ინარჩუნებს ვესტგოთების სამეფოს ეპოქის არქიტექტურული ძეგლების თვისებებს.



ასულეჰო-აზულეჟო – შორენკეცი, მოჭიქული მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილა შემკული ნახატით ან ორნამენტის დეტალებით (ნახ. 1. ასულეჰო-აზულეჟოს კერამიკული ფილებით მორთული კიბე და

მოაჯირი). გავრცელებულია ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში.

ასფალტბეტონი – ხელოვნური საშენი მასალა, რომელიც მიიღება რაციონალურად შერჩეული და სპეციალურად მომზადებული მინერალური მასალების (ღორღი, ქვიშა, მინერალური ფხვნილი) და ბიტუმის ნარევის გამკვრივებით. ნარევი მზადდება ცხელ მდგომარეობაში. გამოიყენება საავტომობილო გზებისა (ნახ. 1. გზაზე ასფალტბეტონის საფარვლის დაგების პროცესი) და აეროდრომების საფარის მშენებლობაში, აგრეთვე სამრეწველო ობიექტების იატაკების მოსაწყობად.



ნახ. 1

ასფალტენები – ნავთობის ყველაზე მაღალმოლეკულური კომპონენტები – მყარი მყიფე ნივთიერებები შავი ან მურა ფერის; ინერტულ ატმოსფეროსი რბილდება და 200-300°C ტემპერატურაზე გადადის პლასტიკურ მდგომარეობაში. სიმკვრივე – 1100 კგ/მ³. ელემენტური შემადგენლობა: C (80-86%), H (7-9%), O (2-10%), S (0,5-9%), N (2%-მდე), აგრეთვე მიკრორაოდენობით – V, Ni, Fe, Ca, Mg, Cu და სხვ. ლითონები. ა. გამოიყენება, როგორც მავულკანიზებელი აგენტი, კოროზიისა და რადიკალური რეაქციების ინჰიბიტორი, კომპოზიტური პოლიმერული მასალების შემვსები, ნედლეული V და Ni-ის მისაღებად, გუდრონებისა და ბიტუმების წარმოებაში, ჰიდროსაიზოლაციო და საბურულე მასალების დასამზადებლად და სხვ.

ასფალტი [ბერძ. ásphalton<გვიანდ. ლათ. asphaltum<ბერძ. asphaltos ასფალტი, ბიტუმი (არაბერძნული წყაროებიდან, შესაძლებელია სემიტურიდან)] – რუხი ფერის ფისისებრი მასა, რომლითაც ფარავენ გზების, ქუჩების, ტროტუარების, მოედნების ზედაპირს. წარმოადგენს ბიტუმის ნარევს (50-60% ბუნებრივ და 13-60% ხელოვნურ ასფალტში) მინერალურ ნივთიერებებთან (კირქვა, ქვიშნარი და სხვ.). გამოიყენება აგრეთვე ჰიდრო- და ელექტროსაიზოლაციო და სახურავის მასალებისათვის და სხვ. არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის. ხშირად ასფალტს უწოდებენ ასფალტბეტონს – ხელოვნურ ქვის მასალას, რომელიც მიიღება ასფალტბეტონური ნარევის შემკვრივებით. ბუნებრივი ა. შედგება ნავთობის მძიმე ფრაქციის ან მისი ნარჩენებისაგან და გვხვდება ფენოვანი ძარღვიანი ბუდობის სახით იმ ადგილებში, სადაც ნავთობი ბუნებრივად ამოდის მიწის ზედაპირზე. ხელოვნური ა. არსებობს სამგვარი: ცხელი, თბილი და ცივი. ცნობილია მოდიფიცირებული ა., რომელსაც უმატებენ ავტომობილის საბურავების გადამუშავებულ პროდუქტს. დღეისათვის ა. შეუცვლელი მასალაა საავტომობილო გზების მოსაწყობად. მისი ზედაპირი თანაბარია და უხმაურო, ადვილად რემონტდება, ირეცხება და იგვება, აქვს საბურავებთან კარგი შეჭიდების უნარი, სწრაფად მყარდება, რაც საშუალებას იძლევა დაგებისთანავე გაეშვას ექსპლუატაციაში და სხვ.

ასფალტი "პიჩ-ლეიკი" – ასფალტის სახეობა, რომელიც მოიპოვება რესპუბლიკა ტრინიდად და ტობაკოს კუნძულ ტრინიდადის სამხრეთ-დასვლეთ ნაწილში განლაგებულ ბიტუმის ტბა "პიჩ-ლეიკ"-ში, ქ. ლა ბრეას სიახლოვეს. ფართობი 40 ჰა აღწევს, ხოლო მაქსიმალური სიღრმე დაახლოებით 80 მ-ს. შეიცავს სუფთა თხევად ასფალტს, რომლის მარაგი დაახლოებით 6 მილიონ ტონად არის შეფასებული. წარმოადგენს მსოფლიოში ბუნებრივი ასფალტის უდიდეს რეზერვუარს. ტბის წარმოქმნა დაკავშირებულია სიღრმულ რღვევებთან.

ასფალტი ბუნებრივი – მაგარი ადვილადდნობადი შავი ფერის მბრწყინავი მასა. სიმკვრივე – 1100 კგ/მ^3, დნობის ტემპერატურა – 20-100°C. შეიცავს ზეთებსა (25-40%) და ასფალტურ ფისოვან ნივთიერებებს (60-75%). ქიმიური ელემენტების შემცველობა შემდეგია: ნახშირბადი – 80-85%, წყალბადი – 10-12%, გოგირდი – 0,1-10% და ჟანგბადი – 2-3%. წარმოიქმნება ნავთობის მძიმე ფრაქციის ან მისი ნარჩენებისაგან მსუბუქი მდგენელების აორთქლებისა და ჟანგვის შედეგად, ჰიპერგენეზის გავლენით. გვხვდება ფენოვანი ძარღვული ბუდობების სახით, აგრეთვე გაჟღენთილი ფენებისა და ტბების სახით იქ, სადაც ნავთობი ბუნებრივად ამოდის მიწის ზედაპირზე. ასეთ ქანებში ა. შემცველობა 2-20%-ია. საქართველოში ცნობილია ნატანების, ელდარისა და შირაქის ასფალტის საბადოები, გაგრის ასფალტოვანი ქანები და სხვ. საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი საბადოებია: ვენესუელაში, საფრანგეთში, იორდანიაში, კანადაში, ისრაელში, კუნძულ ტრინიდადზე და სხვ.

ასფალტი სირიული – უმაღლესი ხარისხის ასფალტი, მოპოვებული მკვდარი ზღვის სანაპიროებიდან და ფსკერიდან. ჯერ კიდევ ძველი რომაელები უწოდებდნენ მკვდარ ზღვას ასფალტის ზღვას (Palus Asphaltites). ასირიელები, ფინიკიელები და ეგვიპტელები ფართოდ იყენებდნენ ასფალტის ჰიდროსაიზოლაციო და შემკვრელ თვისებებს სახლებისა და გემების მშენებლობაში. ა. ს. გამოირჩევა სიმაგრით, სიმყიფით და თითქმის არ შეიცავს მინერალურ მინარევებს, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს მხატვრული საღებავებისა და ლაქების საწარმოებლად.

ასფალტი ხელოვნური (ასფალტბეტონის ნარევი) – ბიტუმისა და დაქუცმაცებული მინერალური შემვსების (კირქვა, ღორღი, ქვიშა, მინერალური ფხვნილი) ნარევი. ბუნებრივი ასფალტისგან განსხვავებით, ხელოვნური ასფალტი შეიცავს პარაფინისა და ნავთობის ზეთებს. განასხვავებენ ცხელ, თბილ და ცივ ხელოვნურ ასფალტს. ცხელი შეიცავს ბლანტ ბიტუმს, რომლის ჩაწყობა და შემკვრივება ხდება 120°C-ზე მეტ ტემპერატურაზე; თბილი – მცირედ ბლანტი ბიტუმითა და შემკვრივების ტემპერატურით 40-80°C; ცივი – თხევადი ბიტუმით, რომლის შემკვრივება ხდება –30°C-მდე ტემპერატურაზე. ა. ხ. გამოიყენება იატაკების, მოედნების, ტროტუარების, გზების, აეროდრომების და სხვ. მოსაწყობად.

ასფალტის მასტიკა – ბიტუმოვანი ემულსიის ნარევი სხვადახვა დანამატებთან.

ასფალტის ნაფხვენი – ძველი ასფალტის საფარის გადამუშავების პროდუქტი; წარმოადგენს ბიტუმის ნარჩენების ნაფხვენს. გამოიყენება საგზაო მშენებლობაში.

ასფალტსაგები – საგზაო მანქანა, რომელიც ანაწილებს, აგებს და ნაწილობრივ ან სრულად ამჭიდროვებს ასფალტბეტონის ნარევს (ნახ. 1). ა. განსხვავდებიან მწარმოებლობით, სავალი და მუშა ორგანოების კონსტრუქციით. ძალური დანადგარი ძირითადად დიზელის ძრავებია, ხოლო მუშა ორგანოების (ვიბრატორების) ამძრავი – ჰიდრავლიკური.



ატენის სიონი (ინგლ. Ateni Sioni Church) – ატენის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი (ნახ. 1). მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში ქ. გორიდან 12 კმ-ის დაშორებით, მდინარე ტანას შუა წელზე, მის მარცხენა ნაპირზე. VII საუკუნის მეორე ნახევრის ეს ნაგებობა იმეორებს მცხეთის ჯვრის არქიტექტურულ ტიპს, თუმცა რამდენადმე შეცვლილი პროპორციებით.



ნახ. 1

ცენტრალურგუმბათოვანი ტაძარი (სიმაღლე 22 მ, სიგრძე 24 მ, სიგანე 19 მ) აგებულია გრანდიოზულ ხელოვნურ ბაქანზე, რომლის ფართობი 800 მ^2-ია. ნაგებობის ეზო, კონტრფორტებით გამაგრებული გალავნით სამი მხრიდან არის შემოვლებული, ხოლო ჩრდილო კედელი ქარაფოვანი კლდის მძლავრ მასივს გასდევს და ტაძრის ხელოვნურ ბაქანს უერთდება. ნაგებობის ფასადები მოპირკეთებულია მომწვანო-მონაცრისფერო ქვიშაქვის თლილი კვადრებით. ფასადები და გუმბათის ყელი გამშვენებულია სარკმელთა ჩუქურთმიანი თავსართებითა და რელიეფური ქანდაკებებით. ტაძარში შესვლა შესაძლებელია სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარით. შიგა სივრცე იმკობა ორი სხვადასხვა პერიოდის მხატვრობით. ატენის სიონის ფასადზე და ინტერიერში შემორჩენილია მრავალრიცხოვანი ლაპიდარული (ქვაზე ამოკაწრული) და ფრესკული წარწერები, რომელთაგან უძველესი VIII ს. პირველი ნახევით თარიღდება. არის IX და XI საუკუნეთა წარწერებიც. მოხატულობის შესრულების დრო XI-XIII ს. მიეკუთვნება და მკაფიოდ ეროვნული ხასიათისაა. რადგან ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა, ამიტომ ღვთისმშობლის სახეს მთავარი ადგილი უჭირავს, მისი ცხოვრების ფრაგმენტები კი სცენების ვრცელი ციკლით არის წარმოდგენილი (ნახ. 2. ხარების ფრესკის ფრაგმენტი – გაბრიელ მთავარანგელოზი; ნახ. 3. ფრესკა. იოსების სიზმარი). ატენის სიონი არა მარტო ხუროთმოძღვრების, არამედ მასში დაცული კედლის მხატვრობის თვალსაზრისითაც სრულიად გამორჩეული ძეგლია. ატენის სიონის მოხატულობა ფეოდალური ხანის ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებია. ტაძარში დაცულია საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ფრესკის ფრაგმენტი.



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

ატენის ციხე (საცივის ციხე, ორბელიანის ციხე) (ინგლ. Ateni Fortress) – X-XI საუკუნეების ციხესიმაგრე გორის მუნიციპალიტეტში, ატენის ხეობაში, ს. ატენში (ნახ. 1. საერთო ხედი). X საუკუნეში ციხე კლდეკარის ძლიერი ერისთავების საკუთრება იყო. XI საუკუნის დასაწყისიდან, ბაგრატ III-ის გამეფების შემდეგ, იგი მეფის გამგებლობაში გადადის. მრავალი საუკუნის განმავლობაში, შინაურმა თუ გარეშე მტრებმა ბევრჯერ სცადეს ციხის დაუფლება, მაგრამ ვერავინ შეძლო მისი აღება (თვით ირანის შაჰმა თამაზმა 1554 წელს საქართველოზე მეოთხე ლაშქრობისას ციხე ბრძოლით ვერ აიღო. მხოლოდ შინაური გამცემლის დახმარებით, მას შემდეგ, რაც მეციხოვნეებს გადაუკეტეს წყალსადენი, ციხე დანებდა). XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში გამაჰმადიანებულმა ქართლისა (1633-1658 წწ.) და ქართლ-კახეთის (1648-1656 წწ.) მეფემ როსტომმა, შინაურ ფეოდალებთან ბრძოლისას, აიღო ციხე და პრაქტიკულად მიწასთან გაასწორა. ამის შემდეგ მას მეპატრონე აღარ ჰყოლია და დაკარგა თავისი ისტორიული ღირებულება.

Не удается отобразить связанный рисунок. Возможно, этот файл был перемещен, переименован или удален. Убедитесь, что ссылка указывает на правильный файл и верное размещение.

გეგმით მართკუთხედის ფორმის (38,4x17,2 მ) ციხე ნაგებია ნატეხი ქვით. შედგება ჩრდილოეთის პატარა და სამხრეთის დიდი ნაწილებისაგან. შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდანაა. აგებულია კლდის მიუვალ ქიმზე, რომელსაც ერთ მხარეს საცივისხევი ჩამოუდის, მეორე მხარეს კი – აბანოსხევი. იგი ძნელად მისადგომია, ზომით კი დიდი არ არის. კედლები მაღალი და მტკიცე ჰქონია. ციხის ქვედა ნაწილში საკმაოდ მოზრდილი წყალსაცავები ყოფილა მოწყობილი. წყალი თიხის მილებით ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ხევიდან მოედინებოდა. შესასვლელი ჩრდილოეთითაა. ბურჯებით გამაგრებული გალავნის შიგნით მეციხოვნეთა სადგომები, წყალსაცავი და სხვა ნაგებობებია.

ატესტაცია (ლათ. attestacio მოწმობა) – 1. ვინმეს საქმიანი კვალიფიკაციის, ცოდნის დონის განსაზღვრა, დასკვნა უნარის, ღირსების, ქცევის შესახებ; 2. მოხელის პროფესიული ჩვევების,

კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შესაბამისობის შეფასება დაკავებულ (ან დასაკავებელ) თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებთან; 3. უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არაფორმალური/სპონტანური გზით შეძენილი სახელობო განათლების მქონე პირთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურება; 4. მუშაკის ცოდნის დონის, კვალიფიკაციის განსაზღვრა, დადგენა იმისა, შეესაბამება თუ არა მუშაკის ცოდნის დონე და კვალიფიკაცია მის მიერ დაკავებულ თანამდებობას, რომელზეც იგი პრეტენზიას აცხადებს. მუშაკის შრომის ანაზღაურების კატეგორიების დადგენა მისი კვალიფიკაციის მიხედვით; 5. დასკვნა, გამოხმაურება მუშაკის საქმიანი თვისებებისა და ცოდნის თაობაზე.

ატიკი [ლათ. atticus<ბერძ. attikós ატიკური (უკავშირდება ათენის ირგვლივ განლაგებულ რაიონებს)] – კლასიკურ არქიტექტურაში ანტაბლემენტის თავზე განლაგებული კედელი, რომელიც პარაპეტისაგან განსხვავდება მეტი სიმაღლითა და პლასტიკური დანაწევრების ხასიათით. ა. სიბრტყე ხშირად გამოიყენება წარწერებისა და რელიეფების მოსათავსებლად (მაგ., სატრიუმფო თაღის ატიკი). ნეოკლასიციზმისა და არტდეკოს არქიტექტურაში ატიკი ეწოდება შენობის ქვედა ნაწილს ან ყრუ მაღალ პარაპეტს მთავარი კარნიზის თავზე, ხოლო XIX საუკუნის ფრანგულ არქიტექტურაში – საცხოვრებელ სართულს შენობის დახრილი სახურავის ქვეშ.

ატიკური ბაზა – კლასიკური სვეტის (კოლონის) სტანდარტული ბაზა (ვიტრუვიუსის მიხედვით).

ატიკური იარუსი – გუმბათის ნაწილი.

ატიპია – არატიპურობა, ნორმიდან გადახრა.

ატლანტი (ტელამონი, ატლასი) (ბერძ. Atlantos) – 1. არქიტექტურული ელემენტის შვეული საყრდენი მამაკაცის ქანდაკების სახით, რომელიც ასრულებს დეკორატიულ ან ფუნქციურ როლს შენობის, აივნის, კარნიზის და სხვ. დასაყრდნობად (ნახ. 1. დავია-ბარჯელინის სასახლის შესასვლელი ტელამონებით, ქ. ბოლონია, იტალიის რესპუბლიკა). განთავსებულია სვეტის ან პილასტრის ადგილზე. რომაულ არქიტექურაში ასეთ ქანდაკებას ტელამონს უწოდებენ. ბერძნული მითოლოგიით ატლანტი იყო გოლიათი, რომელსაც ცის თაღი მხრებზე ედგა. ატლანტი ითვლება ამტანობისა და მოთმინების სიმბოლოდ; 2. ძველბერძნულ მითოლოგიაში: ტიტან იაპეტესა და კლიმენეს (ოკეანური აზიის) შვილი; პრომეთეს, ეპიმეთესა და მენეთეს ძმა. ატლანტიკის ოკეანე ნიშნავს "ატლასის ზღვას", ხოლო ატლანტიდა – "ატლასის კუნძულს".



ატმომეტრი (ინგლ. atmometers<ბერძ. atmos ანაორთქლი, ჰაერი და métron გაზომვა) – ხელსაწყო წყლის აორთქლების სიჩქარის გასაზომად.

ატმოსფერო (ბერძ. atmos ანაორთქლი, ჰაერი და sphaira სფერო, ბირთვი) – 1. დედამიწის აირისებრი გარსი, გარემომცველი გარემო; 2. წნევის არასისტემური ერთეული. ატმოსფერო ტექნიკური (აღნ. "ატ") – 1 კგ ძალის მიერ გამოწვეული წნევა, რომელიც თანაბრად არის განაწილებული 1 სმ^2 ფართობის მქონე ზედაპირის ნორმალის გასწვრივ: 1 ატ = 1 კგ/სმ^2 = 98066,5 პა = 0,0980665 მპა = 735,559 მმ ვერცხ. წყ. სვ. = 104 მმ წყ.სვ. = 980665 დინ/სმ^2 = 0,980665 ბარი. ა. ფიზიკური (აღნ. "ატმ") - 760 მმ ვერცხ. წყ. სვ.-ის დაწნევა; 1 ატმ = 760 ვერცხ.წყ.სვ. = 10332 მმ წყ.სვ. = 101325 პა = 0,101325 მპა = 1,0332 კგ/სმ^2 = 1,0332 ატ = 1013250 დინ/სმ^2 = 1,01325 ბარი. არსებობს ატმოსფეროს სახეები: აქტიური, აღმდგენი, გაიშვიათებული, დამაზოტებელი, დამანახშირბადიანებელი, დამჟანგავი, დამცავი, ეგზოთერმული, ენდოთერმული, ინერტული, კოტრელის, ნეიტრალური, საკონტროლებელი, სნუკის, სუძუკის და სხვ.

ატმოსფერო დედამიწის – ჰაერის გარემო დედამიწის ირგვლივ, რომელიც ბრუნავს მასთან ერთად, მასით ≈ 5,5·10^{15}ტ. მისი შემადგენლობა დედამიწის ზედაპირთან: 78,1% აზოტი, 21% ჟანგბადი, 0,9% არგონი, ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით ნახშირორჟანგი, წყალბადი, ჰელიუმი, ნეონი და სხვ. აირები.

ატმოსფერომედეგი ცეცხლდამცავი ნივთიერება – ნივთიერება, რომელიც გარკვეულ ზღვრებში, უზრუნველყოფს ატმოსფერული ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნაკეთობის ხანგრძლივ ცეცხლდაცვას.

ატმოსფერომედეგობა – შენობის, ნაგებობის, კონსტრუქციის, ნაკეთობის, მასალისა და სხვათა თვისება შეინარჩუნოს თავისი პირველადი ტექნიკური მახასიათებლები და სტრუქტურა ხანგრძლივი ერთობლივი ატმოსფერული ზემოქმედების (მზე, წვიმა, ქარი, სეტყვა, ქარბორბალა, შუქი, რადიაცია, ტემპერატურის ცვლილება) შემდეგ. ფასდება დროითი მაჩვენებლებით (საათი, დღეღამე, თვე, წელი) ან ბალებში სპეციალური სკალის მიხედვით.

ატმოსფერული შრობა – ხის მასალის შრობა ბუნებრივ პირობებში, რომელიც წარმოებს ღია საწყობში ან ფარდულში. ის შრობის უძველესი და უმარტივესა სახეა. მასალა (ფიცარი, ძელი, ძელაკი) ეწყობა თაკარებად შპაცების გარეშე (უწყვეტ რიგებად) ან შპაცების გამოყენებით (ფიცრების ნაწიბურებს შორის შუალედების – შპაცების დატოვება) (ნახ. 1). აუცილებელია მაცირკულირებელი ჰაერი თანაბრად გარს ევლებოდეს მასალის ზედაპირს. მერქნის ა.შ. დროს საჭიროა მუდმივი კონტროლი – სისტემატურად კონტროლდება მასალის ტენიანობა და ვიზუალურად აკვირდებიან შრობის შედეგად წარმოქმნილ დეფექტებს. იმ შემთხვევაში, თუ შეინიშნება ფიცრების ბოლოების ან გვერდების დაბზარვა, რაც მიგვანიშნებს შრობის პროცესის ინტენსიურობას, მაშინ აწარმოებენ თაკარაში ჰაერის მიწოდების შეზღუდვას გვერდითი ფარების მოწყობით. ა.შ. უარყოფითი მხარეა სეზონურობა და პროცესის დიდი დრო, რომელიც ზოგჯერ თვეობით განისაზღვრება, მაგრამ მისი დაბალი ღირებულება და მშრალი მასალის მიღება სიმტკიცისა და ფერის დაკარგვის გარეშე ამ მეთოდს მეტად გავრცელებულს ხდის ხის დამმუშავებელ მრეწველობაში. ა.შ. ფართოდ იყენებენ დახერხილი ხის მასალის შესაშრობად პროდუქციის სეზონური გადატვირთვისას (საზღვაო პორტებში), აგრეთვე ისეთ ადგილებში, სადაც ხელი არ მიუწვდებათ კამერულ შრობაზე.



ატომიზატორი (შუაინგლ. attomos, athomus<ინგლ. atomizer<ბერძ. atomus გაუყოფელი და -ize ბოლოსართი) – ხელსაწყო წყლის, სუნამოს ან სხვა სითხეების წვრილად გასაფრქვევად.

ატრაქცია (ლათ. attrahere მიზიდულობა) – 1. გეოდეზიაში, შვეულის გადახრა რაიმე მძიმე მასის მიზიდულობის ძალით; 2. ძალა, რომლის ზემოქმედებით ობიექტები მიისწრაფიან (მიიზიდებიან, მოძრაობენ) ერთმანეთისაკენ; 3. ადგილი, რომელიც იზიდავს მნახველებს რაიმე საინტერესოს სანახავად; 4. ხარისხი ან განსაკუთრებულება, რომელიც იწვევს ინტერესს, სიმპათიას ან სურვილს.

ატრაქციონი [ლათ. attractio(n-)<attrahere მიზიდულობა] – 1. საცირკო პროგრამის ეფექტური ნომერი, რომელიც განსაკუთრებით ბევრ მაყურებელს იზიდავს; 2. სახალხო სეირნობის ადგილებში (ბაღებში, სკვერებში, პარკებში, ეზოებში, მოედნებზე) მოწყობილი გასართობი: კარუსელი, საქანელა, ტირი და სხვ.

ატრიბუცია (ლათ. attributio მიკუთვნება) – 1. მწერლობის, ხელოვნების, ხუროთმოძღვრების ანონიმურ ნაწარმოებთა ავტორის დადგენა; 2. ნაწარმოების მიკუთვნება მისი ნამდვილი ავრტორისათვის; 3. ნაწარმოების ნამდვილობის დადგენა.

ატრიუმი (ლათ. ātrium ძველი რომაული სახლის მთავარი ოთახი ან ცენტრალური ეზო; ოთახი, რომელშიც მოთავსებულია კერა, ბუხარი) – 1. რომაული სახლის ცენტრალური ნაწილი, გადახურვის ცენტრში ღიობით, რომლის გარშემო განლაგებულია ძირითადი სადგომები. თავდაპირველად ატრიუმის შუაგულში მოთავსებული იყო კერა. შემდეგში ატრიუმი რომაული სახლის ერთ-ერთ საზეიმო დარბაზად იქცა; თანამედროვე ატრიუმი არის ნაგებობაში მოქცეული ან შენობებით შემოსაზღვრული თავისუფალი მაღალი სივრცე შემინული ჭერით (ნახ. 1. რობერტ და არლენ კოგოდების სახელობის შიდა ეზო სმითსონის ინსტიტუტის ნაციონალური პორტრეტების გალერეაში, ქ. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, აშშ); 2. სვეტებით გარშემორტყმული ეზო ადრექრისტიანულ ან შუა საუკუნეების ეკლესიის წინ; 3. შემოზღუდული კიბე-გზების, კიბეების, ლიფტების, ლიფტის შახტების, მოძრავი კიბეების (ესკალატორების), მილსადენების, ელექტრო, ჰაერის კონდიცირების ან სხვა მოწყობილობების ღიობებისგან განსხვავებული, ორი ან ორზე მეტი სართულის დამაკავშირებელი ღიობი, რომელიც ზემოდან დახურულია (გადახურულია) და არ განიმარტება, როგორც მოლი. ამ განმარტებაში ნახსენებ სართულებში არ იგულისხმება თავშეყრის ადგილებში მდებარე აივნები და ანტრესოლები.


ნახ. 1

აუდიოვიზუალური ნაწარმოები – ნაწარმოები, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებებისაგან ხმის თანხლებით ან/და უამისოდ, ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობით ან/და სმენით. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე, ვიდეო, დიაფილმები და სხვ.).

აუდიტი [შუაინგლ. audite<ლათ. audītus გრძნობა ან სმენა<audī (re) რომ მოისმინო და -tus სუფიქსი] – აუდიტორული ფირმის მიერ განხორციელებული შემოწმება სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების,

დაბეგვრის, სამეურნეო საფინანსო საქმიანობის და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასა და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, აგრეთვე, საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის ექსპერტიზა, რომელსაც ატარებს არასაუწყებო დამოუკიდებელი აუდიტორები.

აუდიტორი (ლათ. auitor მსმენელი) – აუდიტის ჩამტარებელი ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად, ლიცენზიის საფუძველზე ან აუდიტორული ფირმის მეშვეობით.

აუდიტორია (სამაყურებლო დარბაზი) (ლათ. audītōrius სმენასთან დაკავშირებული<audītor მსმენელი<audīre გაგონება) – სპეციალურად მოწყობილი დიდი ოთახი ან დარბაზი, სადაც მომხსენებელი ზეპირად გამოდის მსმენელების წინაშე (ნახ. 1). ა. დიდი ნაწილი უჭირავს მსმენელებს, რომლებიც ორიენტირებული არიან ერთი მიმართულებით. როგორც წესი, ა. აქვს ერთი ამაღლებული ნაწილი – სცენა, რომლის წინ დგას ტრიბუნა ან კათედრა. სცენის უკან მოწყობილია დაფა ჩანაწერებისათვის ან ეკრანი ვიდეოინფორმაციისათვის. არის საშუალება პლაკატების განსათავსებლადაც. ა. აქვს დიდი ფანჯრები და მაღალეფექტური განათების სისტემა. აუდიტორიით (აუდიტორიებით) აღჭურვილია ყველა უმაღლესი სასწავლებელი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცენტრი. სკოლებში ა. უწოდებენ სააქტო, თეატრებში და კინოთეატრებში – სამაყურებლო დარბაზს.



აუდიტორული დასკვნა – აუდიტორის მიერ სათანადო წესით შედგენილი, ხელმოწერით და ბეჭდვით დამოწმებული ოფიციალური საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია დასკვნა სამეურნეო სუბიექტის ანგარიშგების უტყუარობის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის სისრულისა და მოქმედ კანონმდელობლობასთან და დადგენილ ნორმატივთან მისი შესაბამისობის შესახებ. ექსპერტიზის სახით გაწეულ აუდიტორულ მომსახურებაზე ფორმდება საექსპერტო დასკვნა ან აქტი. აუდიტორული კონსულტაციები სამეურნეო სუბიექტებს შეიძლება გაეწიოთ ზეპირად ან წერილობით სათანადო ცნობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის გაფორმებით.

აუდიტორული საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს), აუდიტორული მომსახურების გაწევას, აგრეთვე აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას. აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს) ახორციელებს აუდიტორი და აუდიტური ფირმა სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აუდიტორული მომსახურება მოიცავს ბუღალტრულ მომსახურებას, ექსპერტიზას და საკონსულტაციო მომსახურებას საფინანსო, დაბეგვრისა და სამეურნეო კანონმდებლობის სხვა სფეროებში. ა. ს. ხორციელდება სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ სამეურნეო სუბიექტების ფინანსური კონტროლისგან დამოუკიდებლად.

აუდიტორული შემოწმება (აუდიტი) – შემოწმება, რომელიც ტარდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში (სავალდებულო აუდიტი), აგრეთვე სამეურნეო სუბიექტის ინიციატივით (საინიციატივო აუდიტი) სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად, მოიწვიონ აუდიტორი (აუდიტური ფირმა) სამეურნეო სუბიექტის აუდიტორული შემოწმებისთვის. აუდიტორის შრომა ანაზღაურდება დამკვეთის ხარჯზე.

აუდიტური ფირმა – საწარმო, რომელსაც აქვს ქვეყნის ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია და რომლის ერთადერთი საწესდებო მიზანია აუდიტორული საქმიანობა. ა. ფ. და მის ფილიალს აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ მათში ერთი აუდიტორი მაინც მუშაობს.

აუზი – 1. ხელოვნური წყალსატევი. დანიშნულების მიხედვით არის სალექი, საწმენდი, წყალსაკრები, ჰესის საწნეო, სადღეღამისო რეგულირებისა და მათანაბრებელი; 2. ფენობრივი დანალექი სასარგებლო წიაღისეულის უწყვეტი გავრცელების დახშული არე; 3. ცურვის ან ბანაობისთვის განკუთვნილი წყლით სავსე კონტეინერი. იგი შეიძლება მოეწყოს როგორც მიწის ზედაპირს ზემოთ, ისე მიწაში. აუზის საშენ მასალად გამოიყენება ტორკრეტირებისთვის განკუთვნილი ბეტონი, მეტალი, პლასტმასა ან ბოჭკოვანი მინა. სახლში არსებულ აუზს კერძო აუზი ეწოდება და იგი ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: გამოიყენება განმტვირთვ-დასვენებისა და ფიზიკური დატვირთვის მიზნით. ის შეიძლება იყოს ღია (ნახ. 1) ან დახურული. არსებობს სხვა ტიპის აუზებიც, მაგ., პოლივინილქლორიდისაგან დამზადებული გასაბერი აუზი (ნახ. 2), რომლებიც ძირითადად ღია ცის ქვეშ გაგრილების მიზნით გამოიყენება, საბავშვო აუზი, პლაჟისებრი აუზი, სპა-აუზი (აღჭურვილი გათბობის სისტემით), ჯაკუზი (ყველაზე უფრო კომფორტული და ძვირადღიებული ა. აღჭურვილი ტუმბოთი, რომელიც გრილ ჰაერს ურევს თბილ ან ცხელი წყლით სავსე აუზში) და სხვ.



ნახ. 1



აული (თურქ. aulis) – 1. წარსულში მომთაბარე, დღეს ბინადარი დასახლება შუა აზიაში; 2. ჩრდილო კავკასიაში განლაგებული დასახლება, სოფელი.

აუსტენიტი [ინგლ. austenite<ინგლისელი მეტალურგის სერ უილიამ რობერტ-ოსტენის (1843-1902 წწ.) სახელის მიხედვით] – 1. ნახშირბადის მყარი ნარევი რკინის არამაგნიტური ფორმით, მდგრადი მაღალი ტემპერატურის პირობებში. არის ზოგიერთი ტიპის ფოლადის შემადგენელი ნაწილი; 2. რკინისა და მისი შენადნობების მაღალტემპერატურული წახნაგდაცენტრებული ნაერთი; 3. ფოლადებსა და თუჯში ერთ-ერთი ძირითადი ფაზა; უმეტეს შემთხვევებში, როგორც თერმოდინამიკური ფაზა, არსებობს მხოლოდ მაღალი

ტემპერატურის პირობებში; მაღლად ლეგირებულ ფოლადებსა და თუჯში – ოთახის ტემპერატურის პირობებში, ხოლო ლეგირებულ ფოლადებსა და თუჯში ა. არის ნახშირბადის მრავალკომპონენტიანი მყარი ნადნობისა და რკინის ლეგირებული ელემენტების ერთობლიობა.

აუტეკოლოგია (ინგლ. outecology<out გარეთ, ბერძ. oikos სახლი, გარემო და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – ეკოლოგიის განყოფილება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის დამოკიდებულებას გარემოსთან.

აუტრაიტი (ინგლ. outright<out გარეთ და right<ძვ. ინგლ. riht პირდაპირი, სწორი, კეთილი, მართალი) – მარტივი ვადიანი სავალუტო გარიგება, რომელიც ითვალისწინებს ფულის გადახდას მონაწილე მხარეების მიერ მკაცრად განსაზღვრული "ფორვარდის" კურსით.

აუტსაიდერი (ინგლ. outsider<out გარეთ და side გვერდი, ფრთა) – 1. საწარმო, ძირითადად მცირე და საშუალო, რომელიც არ შედის მონოპოლისტურ გაერთიანებაში; 2. შეჯიბრებაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე გასული სპორტსმენი ან გუნდი; 3. გადატ. ჩამორჩენილი.

აუქციონი (ლათ. auction გამრავლება ან გაყიდვა საჯარო ვაჭრობაზე; ლათ. augere მომატება; ლათ. auctionis გაზრდა) – 1. ცალკეული ნივთის ან ნივთების გარკვეული რაოდენობის (პარტიების) საჯარო გაყიდვა წინასწარ დათქმულ ადგილას და დროს, როდესაც მომავალი მესაკუთრე ვლინდება ყველაზე მეტი საფასურის გადახდით; 2. ბროკერების საშუალებით ფასიანი ქაღალდებით ბირჟაზე ვაჭრობა; 3. საგარეო ვაჭრობაში გავრცელებული საქონლის ლოტებად ან ცალკეულ ნივთად გასაღების ხერხი, როდესაც პოტენციური მყიდველისთვის საქონელი ან ნიმუში გამოფენილია დასათვალიერებლად; 4. ქონების იძულებითი გაყიდვის ფორმა ვალების დაფარვის მიზნით; 5. საჯარო ვაჭრობა.

აუცილებელი გზის უფლება – მეზობელი ნაკვეთის გამოყენების უფლება აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის-, გაზ- და წყალმომარაგების ქსელთან კავშირი.

აუცილებელი და საკმარისი პირობა – პირობა, რომლის შესრულებისას მოცემული მტკიცებულება სწორია, ხოლო შეუსრულებლობისას – არასწორია.

აუცილებელი პირობა – პირობა, რომლის შეუსრულებლობისას მოცემული მტკიცებულება არ შეიძლება სწორი იყოს.

აფეთქება – 1. დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის ენერგიის გათავისუფლება შეზღუდულ მოცულობაში. მყარ გარემოში აფეთქება იწვევს მექანიკურ ზემოქმედებას სხეულზე, რასაც თან სდევს მისი რღვევა და მსხვრევა. საშენი მასალების მოპოვების, გვირაბების, არხებისა და გზების გაყვანის სამუშაოების წარმოების დროს აფეთქების ტექნოლოგია არის მთის ქანების კონტროლირებადი რღვევა, გადაადგილება და სტრუქტურისა და ფორმის შეცვლა. ენერგიის წყაროს წარმოადგენს ასაფეთქებელი ნივთიერება. აფეთქების სახეებია: ავარიული, ატომური (ნახ. 1), ბუფერული, დაყოვნებული, დემოგრაფიული, ელექტრული, მასობრივი, მეორეული, მიმართული, მოცულობითი, მრავალსერიული, ნაადრევი, პირველადი, სერიული, ფიზიკური, ქიმიური, ცეცხლოვანი (ნახ. 2. ცეცხლოვან აფეთქებათა დემონსტრაცია ავიაციურ ჩვენებაზე), წყალქვეშა და სხვ.; 2. აირების უეცარი ძლიერი გაფართოების შედეგი, რომელსაც თან ახლავს დარტყმითი ტალღა

ან შემომზღუდავი მასალების ან ნაგებობების ნგრევა, ან ორივე ერთად. აფეთქება შეიძლება გამოიწვიოს ქიმიურმა ცვლილებებმა, როგორებიცაა: სწრაფი დაჟანგვა, დეფლაგრაცია ან დეტონაცია, მოლეკულების დაშლა და სწრაფად მიმდინარე პოლიმერიზაცია (ჩვეულებრივ, დეტონაციები); ფიზიკურმა ცვლილებებმა, როგორიცაა: მაღალი წნევის რეზერვუარების გახეთქა და ატომურმა ცვლილებებმა (ბირთვული გახლეჩა ან შეერთება).





აფეთქება ავარიული – აფეთქება, რომელიც მოხდა წარმოების ტექნოლოგიის დარღვევის, მომსახურე პერსონალის ან დაპროექტების სტადიაზე დაშვებული შეცდომის შედეგად.

აფეთქება დემოგრაფიული – ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება და ამის შედეგად – დედამიწის მოსახლეობის ზრდა, რასაც ხელი შეუწყო მედიცინაში მიღწევებმა, საქმიანობისა და ყოფის კომფორტულობის ამაღლებამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ და პროდუქტიულობის ზრდამ. შობადობის მაღალი დონე დამახასიათებელია მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში (აფრიკა, ცენტრალური ამერიკა, ახლო და შუა აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ინდოეთი და ჩინეთი).

აფეთქება მიმართული – აფეთქების სახეობა, რომლის დროსაც მთის წარმონაქმნი გადაადგილდება წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით, გარკვეულ მანძილზე.

აფეთქება მოცულობითი – აირჰაერის, მტვერჰაერის ან მტვერაირის ღრუბლის დეტონაციური ან დეფლარგაციული აფეთქება.

აფეთქება მტვერჰაერის ნარევის – აფეთქება, როდესაც საწყისი იმპულსი წარმოქმნის მტვერს, რაც მომდევნო ძლიერ აფეთქებას იწვევს.

აფეთქება ფიზიკური – აფეთქება, გამოწვეული ნივთიერების ფიზიკური მდგომარეობის ცვლილებით.

აფეთქება ქიმიური – ნივთიერების სწრაფი ქიმიური გარდაქმნით გამოწვეული აფეთქება, რომლის დროსაც პოტენციალური ქიმიური ენერგია გადადის აფეთქების გაფართოებადი პროდუქტების თბურ და კინეტიკურ ენერგიაში.

აფეთქებადი ნივთიერებები – ქიმიური ნაერთები ან ნარევები, რომლებსაც გარე იმპულსის (დარტყმა, სითბო) ზემოქმედებით დიდი სიჩქარით გავრცელებადი ქიმიური რეაქციის უნარი აქვთ აირადი პროდუქტების წარმოქმნით და სითბოს გამოყოფით, რასაც თან ახლავს დარტყმითი ტალღის გაჩენა. ასეთი ნივთიერებებია: ამონალი, ამონიტი, დენთი, დეტონიტი, დინამიტი, ტეტრაზენი, ტრინიტროფენოლი, ტრინიტრიქსილოლი, ტროტილი

(ტრინიტროტოლუოლი), მრგვინავი ვერცხლისწყალი, ნიტროგლიცერინი, ნიტროცელულოზა, ჰექსოგენი და სხვ.

აფეთქებათა მიზეზი – შენობა-ნაგებობებში სახანძრო უსაფრთხოების პირობების დაუცველობა, სათავსში აფეთქებასაშიში აირების დაგროვება, ელექტროხელსაწყოების ტექნიკური გაუმართაობა, ხანძარი, მიწისძვრა, ავარია, თხევადი ან აირადი საწვავის გაჟონვა და სხვ.

აფეთქებასაშიში წარმოებები (Е კატეგორიის) – მიეკუთვნება წარმოებები რომელშიც: ა) წვადი აირებისა და აფეთქებასაშიში მტვრის ისეთი კონცენტრაციაა, რომ მათ შეუძლიათ შექმნან აფეთქებასაფრთხო ნარევი სათავსის მოცულობის 5%-ზე მეტ მოცულობაში იმ პირობით, რომ, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ აფეთქება (შემდგომი წვის გარეშე); ბ) გამოიყენება ნივთიერებები, რომლებიც წყალთან, ჟანგბადთან ან ერთმანეთთან ურთიერთზემოქმედებით შეიძლება აფეთქდნენ (შემდგომი წვის გაგრძელების გარეშე). Е კატეგორიას მიეკუთვნება: სუფთა ლითონების ელექტროლიზის მეთოდით მიღება, წყალბადის გარემოში ლითონების აღდგენა, წყალბადის, აცეტილენის და კალციუმ-კარბიდის საწყობები და სხვ.

აფეთქებახანძარსაშიში წარმოებები (А კატეგორიის) – მიეკუთვნება წარმოებები, რომელშიც: ა) გამოიყენება ნივთიერებები, რომელთაც უნარი აქვთ აფეთქდნენ ან დაიწვან წყალთან, ჟანგბადთან ან ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებით; ბ) წვადი აირების აალების ქვედა ზღვარი ჰაერის მოცულობის 10%-ზე ნაკლებია; გ) გამოყენებულია წვადი სითხეები, რომელთა ორთქლის აფეთქების ტემპერატურა 280°C-მდეა და ამ სითხეებს, ან აირებს შეუძლიათ შექმნან აფეთქებასაშიში ნარევი სათავსის მოცულობის 5%-ზე მეტ მოცულობაში. А კატეგორიას მიეკუთვნება წარმოებები, სადაც მიიღება ან გამოიყენება გოგირდნახშირბადი, ეთერები, აცეტონი, ბენზინი, ბენზოლი და სხვ.

აფეთქებახანძარსაშიში წარმოებები (Б კატეგორიის) – მიეკუთვნება წარმოებები, რომელშიც გამოიყენება წვადი აირები, რომელთა აალების ქვედა ზღვარი ჰაერის მოცულობის 10%-ზე მეტია; ბ) წვადი სითხეების ორთქლის აფეთქების ტემპერატურა 280-დან 610°C-მდეა; გ) სითხეები წარმოების პირობებში ხურდებიან აფეთქების ტემპერატურამდე და ზემოთ; დ) წვადი მტვრისა და ბოჭკოების აალების ქვედა ზღვარი 65 გ/მ^3 და ნაკლებია; დაცულია პირობა, რომ ამ აირებს, სითხეებს და მტვერს შეუძლიათ შექმნან სათავსის მოცულობის 5%-ზე მეტ მოცულობაში აფეთქებასაშიში ნარევი. Б კატეგორიას მიეკუთვნება ამიაკის საკომპრესორო სადგურები, დეტალების ნავთით რეცხვის პროცესი, გოგირდისა და ჟანგბადის საწყობები, სპირტოვანი და ზეთოვანი საღებავების საწყობები და სხვ.

აფეთქებითი სამუშაოები – სამუშაოები, რომელიც სრულდება აფეთქებით ბუნებრივ (სამთო ქანები, მერქანი, ყინული) ან ხელოვნურ (ბეტონი, ლითონი, ქვის ან აგურის წყობა) მასალებზე კონტროლირებადი რღვევის და გადაადგილების, ან სტრუქტურის და ფორმის შეცვლის მიზნით. ა. ს. ხორციელდება ასაფეთქებელი ნივთიერებებით აფეთქების საწყისი იმპულსის მისაცემად ბიკფორდის ზონარის ან ელექტროდეტონატორის საშუალებით. ა. ს. გამოყენების არე საკმაოდ ფართოა, თუმცა ძირითადია სამთო საქმე, ჰიდროტექნიკური და სატრანსპორტო მშენებლობა.

აფეთქების სიჩქარე – ფეთქებადი ნივთიერების მუხტში ფეთქებადი გარდაქმნის რეაქციის გავრცელების ხაზოვანი სიჩქარე.

აფეთქების ხვედრითი სიმძლავრე – ფეთქებადსაშიში სისტემის მოცულობის ერთეულში, დროის გარკვეულ შუალედში, გამოყოფილი ენერგია.

აფინაჟი (ფრანგ. affinage გაწმენდა) – ძვირფასი ლითონების (ოქრო, პლატინა, ვერცხლი) მინარევებისაგან გამოყოფის პროცესი, მაღალი სინჯის საბოლოო პროდუქტის მიღების მიზნით.

აფინური (ლათ. affinis მონათესავე) – მოსაზღვრე, მეზობლური.

აფრა – 1. პანდატივი, ყურე; სფერული სამკუთხედის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც მართკუთხა ფუძიდან გუმბათოვანი გადახურვისკენ გადასვლის საშუალებას იძლევა, ავსებს ოთხკუთხა სადგომის კედლებზე ამოყვანილ თაღებს შორის კუთხეებში დარჩენილ სივრცეს (ნახ. 1). აფრა, როგორც კონსტრუქციული და მხატვრული სისტემა, პირველად გამოიყენეს ბიზანტიელმა ხუროთმოძღვრებმა VI საუკუნეში (აია-სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში). საქართველოში ჩნდება VIII-IX საუკუნეებში და ცვლის მანამდე გავრცელებულ ტრომპებს. საბოლოოდ კი X საუკუნიდან მკვიდრდება; 2. ბოყვი; ფიცრული სახლის კედელში ვერტიკალურად დაყენებული, ერთი ან ორი მხრიდან გრძივად ამოღარული სქელი ფიცარი ან დგარი. ნაღარში დატანებულია კედლის ფიცრის თავები; 3. იალქანი – ხომალდის ან ნავის ანძაზე მიმაგრებული საგანგებო ტილო (ნახ. 2) ხომალდის ასამოძრავებლად ქარის ძალის გამოყენებით.



ნახ. 1



აფრაკი – ძვ. პირმრუდე ფიცარი.

აფრიანი კამარა – 1. სფერული ზედაპირის ვერტიკალური სიბრტყეებით წაკვეთილი სხეულის ფორმის კამარა (ნახ. 1); 2. აფრებზე დაყრდნობილი კამარა; 3. სფერული გადახურვა საყრდენი კედლების სიბრტყეში წაკვეთილი გვერდებით.



ნახ. 1

აფრისი – იხ. ტილო.

აფსიდა (აფსიდი) (ბერძ. hapsís თაღი, კამარა) – შენობის ნაწილი, გეგმით წრიული ან მრავალწახნაგოვანი ფორმის მოცულობა, რომელიც გადახურულია წრიული [ნახ. 1. XI-XII საუკუნეების რომანული სტილის ტაძრის – კატალ. Sant Marçal de Terrassola – აფსიდა, ალტ-პანადესის კომარკა (რაიონი), ტორელავიტის მუნიციპალიტეტი, კატალონია, ესპანეთის სამეფო] ან მრავალწახნაგა ნახევარგუმბათით (კონქით). ქრისტიანულ ტაძარში აფსიდა ჩვეულებრივ აღმოსავლეთისკენაა მიმართული და მასში მოთავსებულია საკურთხევლის ნაწილი. საეკლესიო არქიტექტურაში აფსიდების რაოდენობის მიხედვით გვხვდება ერთაფსიდიანი, ორაფსიდიანი, სამაფსიდიანი, ოთხაფსიდიანი და ა.შ. ტაძრები. ქრისტიანულ ტაძრებში იგივეა, რაც ექსედრა.



ნახ. 1

აფსკი (ფირი) – 1. რაიმე ზედაპირზე სხვა ნივთიერებისაგან წარმოქმნილი თხელი ფენა; 2. ბუნებრივი ან ხელოვნური მასალისაგან დამზადებული რულონური (ფურცლოვანი) სახის მასალა, რომელიც სხეულის ზედაპირის დასაფარად გამოიყენება. ფორმალურად აფსკებს მიეკუთვნება ფურცლოვანი და რულონური მასალები სისქით 0,25 მმ-მდე და სიგანით მეტი 100 მმ-ზე. ნაკლები სიგანის აფსკს ლენტი ეწოდება. აფსკის სპეციფიკურ მაჩვენებლად ითვლება თანაფარდობა მასასა და ზედაპირს შორის. არსებობს აფსკის სახეები: აირის, აცეტატის, დამცავი, დენგამტარი, ელასტიკური, ზედაპირული, ზეთის, ინერტული, მაგნიტური, მაპასიურებელი, მქრქალი, ნახევრადგამტარიანი, ორგანული, სამხოლოებელი, საპნის, სითხის, სინთეზური, წყლისა და სხვ.

აფსკური მასალები – თხელი ფურცლოვანი მოქნილი მასალები ბუნებრივი (ცხოველის ბუშტები, ნაწლავის აფსკი) ან სინთეზური (პოლისტირენი, პოლიამიდი) წარმომავლობით. შეიძლება იყოს ორგანული და არაორგანული წარმოშობის. ორგანული ა. მ. განსხვავდება იმავე პოლიმერის საფუძველზე დამზადებული ქსოვილებისაგან უფრო მაღალი წყალმედეგობით, ჰაერგაუმტარებლობით, შუქგამტარობით, ელექტროსაიზოლაციო თვისებებით, არ აქვს ფორები, იაფია. სინთეზური აფსკები მიიღება თერმოპლასტიკური პოლიმერებისაგან: 1) ლითონის გლუვ ზედაპირზე პოლიმერის ხსნარის დასხმით, შემდეგში ზედაპირიდან გამხსნელის აორთქლებით (ეთერცელულოზას აფსკი); 2) ლითონის გლუვ ზედაპირზე პოლიმერის ხსნარის დასხმითა და გადნობით (პოლიამიდური აფსკები); 3) მილში დაწნეხის გზით, რომელიც სწრაფად გამოედინება ფილერში (ნახვრეტში) და დაიტანება ლითონის ან მერქნის ზედაპირზე დაჭირხნილი ჰაერის დახმარებით (პოლიეთილენური, პოლისტირენული აფსკები); 4) პლასტიფიცირებული პოლიმერის კალანდვრით (აფსკური ვინიპლასტი); 5) ნამზადისაგან თხელი აფსკის მექანიკური ჩამოთლით (შპონი) შემდგომი კალანდვრით (პოლიტეტრაფთორეთილენური აფსკი); 6) პოლიმერის ხსნარების კოაგულაციით (ცელოფანი) და სხვ. მოლეკულების სტრუქტურისა და უნარის – გამოშრობისას შევიდნენ ქიმიურ რეაქციაში, ა. მ. იყოფა ორ ჯგუფად: გარდაქმნადი და არაგარდაქმნადი. გარდაქმნადს მიეკუთვნება სინთეზური რეაქციული ოლიგომერები (ალკიდური, ეპოქსიდური, ფენოლ-ალდეჰიდური, პოლიეთერული ფისები) და მცენარეული ზეთები, რომლებსაც თვისება აქვთ გაცხელების, დაჟანგვის, კატალიზატორების ზემოქმედებით ან სხვ. ფაქტორებით, გამყარდეს მტკიცე და არადნობადი აფსკების სახით.

არაგარდაქმნადი ა. მ. (ცელულოზას ეთერები, ზოგი პოლიაკრილატი, პერქლორვინილური ფისები, ბიტუმი) ქმნის აფსკებს გამხსნელის აორთქლების ან მდნობელის გაცივების შედეგად. არაგარდაქმნადი ა. მ. უპირატესობა გარდაქმნადებთან – დიდი სისწრაფე და გამოშრობის დაბალი ტემპერატურა, ნაკლი – დაბალი ქიმიური მედეგობა.

აფტერშოკი (ინგლ. aftershock) – ძლიერი მიწისძვრის მომდევნო სუსტი ბიძგი მთავარი კერის მახლობლად; განმეორებითი ბიძგი.

აქატი (ბერძ. achatēs) – მინერალი, კვარცის მალულკრისტალური სახესხვაობა, კაჟმიწა. ქიმიური ფორმულა SiO_2. წარმოადგენს ქალცედონის წვრილბოჭკოვან აგრეგატს ფენოვანი სტრუქტურითა და შეფერილობის ზოლური განაწილებით (ნახ. 1). იუველირები აქატს უწოდებენ აგრეთვე ზოგიერთი ტიპის ქალცედონს. ა. წარმომავლობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის (არსებობს მოსაზრება, რომ ის არის კაჟმიწის პოლიმერიზაციის პროდუქტი ქალცედონის მიღებამდე). ქიმიური შედგენილობით, კვარცისა და კაჟმიწის მსგავსად, აქვს არაერთგვაროვანი სტრუქტურა მინარევების დიდი რაოდენობით. შედის როგორც ამოფრქვეულ, ისე დანალექ ქანებში. გამოიყენება საიუველირო საქმეში როგორც სანაკეთო და ნახევრადძვირფასი ქვა. ანტიკური ხანიდან ითვლება წარმატების თილისმად. არსებობს აქატის სახეობები: ბრაზილიური (თხელი კონცენტრირებული ფენებით), დისკოსებრი, ვარდისფერი, ვარსკვლავისებრი, თეთრი, ირიზირებული, ლურჯი, მერქნისებრი, მონაცისფრო-მოცისფრო, მწვანე, ყავისფერი, შავი (მაგიური), ცისფერი (საფირის), ჭვრიტიანი, ხავსისებრი და სხვ. საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს (ახალციხის) აქატის საბადო.



აქაფება – 1. სითხის (ხსნარის) ზედაპირზე ბუშტოვანი მასის ქარმოქმნის პროცესი; 2. თხევადი მასალის მოცულობაში გაზრდა ფოროვანი სტრუქტურის წარმოქმნით მოცულობაში აირის ან ორთქლის შეყვანით ან გამოყვანით.

აქროლა – გაცხელებისას ნივთიერების უშუალო გადასვლა მყარი მდგომარეობიდან აირადში თხევადი ფაზის გვერდის ავლით. ტექნიკაში გამოიყენება მყარი ნივთიერების გასაწმენდად მინარევებისაგან, აგრეთვე კოსმოსური აპარატების სითბური დაცვისათვის.

აქრომატული – რაც სინათლის სხივს არ შლის შემადგენელ ნაწილებად (მაგ., აქრომატული ობიექტივი).

აქრომატული ფერი – უფერო ფერი. მას მიეკუთვნება: თეთრი, შავი და ყველა ელფერის რუხი.

აქსელერატორი (ლათ. accelerātiōn<accelerāre სწრაფად წასვლა<celerāre დაჩქარება<celer ჩქარი, სწრაფი) – 1. მოწყობილობა, რომელიც აწესრიგებს საწვავი ნარევის მიწოდებას კარბურატორიდან შიგაწვის ძრავას ცილინდრებში ბრუნვათა რიცხვის შესაცვლელად; 2. პედალი (ფეხის ბერკეტი), რომელიც ამოქმედებს ამ მოწყობილობას; 3. ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ინვესტიციებისა და შემოსავლების ცვალებადობას შორის. ინვესტიციის ნამატის ფარდობა შემოსავლის ნამატთან.

აქსელერომეტრი (ლათ. accelerātiōn<accelerāre სწრაფად წასვლა<celerāre დაჩქარება<celer ჩქარი, სწრაფი და ბერძ. métron გაზომვა) – ხელსაწყო მოძრავი ობიექტის აჩქარების გასაზომად. გამოიყენება მფრინავ ობიექტებში. მუშაობის პრინციპი ეფუძნება ინერციის კანონებს. არის ორი ტიპის: ხაზოვანი და კუთხური აჩქარებების გასაზომი.

აქსესუარი (ფრანგ. accessoire<შუასაუკ. ლათ. accessorius დამატებითი) – 1. მცირე ზომის ნივთი, რომელიც შეიძლება დაემატოს სხვა ნივთს, რათა ის გახდეს უფრო მიმზიდველი, სასარგებლო და უნივერსალური; 2. რისამე კუთვნილება; 3. თეატ. წვრილ-წვრილი სასცენო ნივთი.

აქსიალური (ინგლ. axial<ლათ. axis- ღერძი, ბორბალი და -al ბოლოსართი) – ღერძული.

აქსიალური ვექტორი (ღერძული ვექტორი) – ვექტორი, რომლის მიმართულება იცვლება კოორდინატთა მარჯვენა სისტემიდან მარცხენაზე გადასვლისას ან მარცხენიდან მარჯვენაზე გადასვლისას. ასეთ ვექტორს აგრეთვე ფსევდოვექტორს უწოდებენ. ა. ვ. მაგალითებია: ორი ვექტორის ვექტორული ნამრავლი; ვექტორული კუთხური სიჩქარე.

აქსიალური ძალთა ველი – ძალთა ველი, რომელშიც ძალების ფუძეები წრფეებია, რომლებიც მართი კუთხით კვეთენ რაიმე წრფეს (ღერძს).

აქსიომა (ბერძ. axiōma აღიარებული დებულება) – დებულება, რომლის ჭეშმარიტება თავისთავად ცხადია, უეჭველია და დასაბუთება არ სჭირდება. ტერმინი "აქსიომა" პირველად შემოიღო არისტოტელემ და მათემატიკაში შევიდა ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსებისაგან. ეს ტერმინი მეცნიერებიდან სასაუბრო ენაშიც დამკვიდრდა, როგორც თავისთავად ცხადი დებულების სინონიმი. აქსიომას ზოგჯერ პოსტულატს ან პრინციპს უწოდებენ.

აქსიომატიკა – აქსიომათა სისტემა ძირითად ობიექტებთან (საგნებთან) და მათ შორის ძირითად დამოკიდებულებებთან ერთად. მაგ., ყოველ ზუსტ მეცნიერებას (გეომეტრია, არითმეტიკა, მასალათა გამძლეობა, ალბათობის თეორია, სტატიკა და ა.შ.) გააჩნია თავისი აქსიომების სისტემა (ერთობლიობა). აქსიომატიკას წაეყენება სამი ძირითადი მოთხოვნა: არაწინააღმდეგობა, დამოუკიდებლობა და სისრულე.

აქსიომატური მეთოდი – მეცნიერული თეორიის აგების ხერხი, რომლის დროსაც თეორიას საფუძვლად უდებენ გარკვეულ საწყის დებულებებს; ამ დებულებებს უწოდებენ თეორიის აქსიომებს, ხოლო თეორიის ყველა დანარჩენი წინადადება მიიღება, როგორც აქსიომების ლოგიკური შედეგი.

აქსისი (ლათ. axis ღერძი, ღერო, ბორბალი) – 1. წარმოსახვითი სწორი ხაზი, რომლის ირგვლივ ბრუნავს სხეულის ტანი; 2. ღერძულა ხაზი, რომელიც განსაზღვრავს თაღის სიმრუდეს; 3. ფიქსირებული საყრდენი ხაზი კოორდინატების გასაზომად; 4. კონსტრუქციის ცენტრალური ნაწილი, რომელზეც მიერთებულია სხვა ნაწილები; 5. წარმოსახვითი სწორი ხაზი, რომელიც გადის სიმეტრიულ მყარ ტანში და მასზე დაყრდნობილი რაიმე სიბრტყე, ამ ხაზზე ბრუნვით, წარმოქმნის მყარ სხეულს; 6. წარმოსახვითი სწორი ხაზი, რომელიც რაიმეს ჰყოფს ტოლ ან დაახლოებით ტოლ ნაწილებად, უმეტესად მეტი სიგრძის მიმართულებით.

აქსოიდა (ინგლ. axoid) – მყარი სხეულის უძრავი წერტილის გარშემო ბრუნვისას დროის ყოველ აღებულ მომენტში სხეულს აქვს ბრუნვის მყისი ღერძი, რომელიც დროის სხვადასხვა მომენტისათვის სხვადასხვაა, მაგრამ ყველა ღერძი გადის მოცემულ უძრავ წერტილზე. ამიტომ დროის სასრულ შუალედში ბრუნვის მყისი ღერძების ერთობლიობა ქმნის კონუსურ ზედაპირს, რომელსაც აქსოიდა ეწოდება (ნახ. 1). უძრავი წერტილის გარშემო სხეულის ბრუნვის მყისი ღერძების გეომეტრიულ ადგილს კოორდინატთა უძრავი სისტემის მიმართ ეწოდება უძრავი აქსოიდა, ხოლო კოორდინატთა მოძრავი სისტემის მიმართ – მოძრავი აქსოიდა.



აქსონომეტრია (ბერძ. axōn ღერძი და metreō ვზომავ) – გრაფიკული პროცედურა, რომელიც ახდენს გამოსახულების გენერირებას სამგანზომილებიან იბიექტად. არსებობს ორი სახის:





იზომეტრია, როდესაც მონაკვეთის სამივე კოორდინატი იცლება ერთნაირად (ნახ. 1. შენობის ხედი იზომეტრიაში) და დიმეტრია – იცვლება მხოლოდ 2 კოორდინატი (ნახ. 2. დეტალის ჭრილი დიმეტრიაში). ა. არ უნდა ავურიოთ აქსონომეტრულ პროექციაში, რომელიც მიეკუთვნება ორთოგონალურ აქსონომეტრიას.

აქსონომეტრული პროექცია – ნახაზზე სხეულის გამოსახვის მეთოდი სამ განზომილებაში პარალელური პროექციების მეშვეობით.

აქტი (ლათ. actus მოქმედება) – 1. სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული ოფიციალური დოკუმენტი (კანონი, ბრძანებულება, დეკრეტი, დადგენილება და ა.შ.); 2. ზოგადი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებს (არის თუ არა ისინი იურიდიულად სავალდებულო). არსებობს აქტის სახეები: აღწერის, კომერციული, მიღება-ჩაბარების, მიღების, სადეფექტო, ტექნიკურ-განმკარგულებელი, ტექნიკური გამოძიების, ტექნიკური დათვალიერების, ფინანსური და სხვ.

აქტივაცია (ფრანგ. aktivation<ლათ. aktivus მოქმედი) – 1. რაიმე პროცესის ინტენსიფიკაცია, რომელიც სისტემის სტაბილური მდგომარეობიდან გამოყვანით მიიღწევა; 2. რისამე მოქმედების გაძლიერება ან ამოქმედება; 3. ნივთიერების, საგნების დასხივება ბირთვული ნაწილაკებით.

აქტივაციის ენერგია – მინიმალური ენერგია, რომელიც სჭირდება ნაწილაკებს, რათა მათი დაჯახებისას დაიწყოს ქიმიური რეაქცია.

აქტივების გადახდილი ნაწილი – 1. აქციების მფლობელის წილი საწარმოს კაპიტალში; 2. მარჟა ან სხვაობა ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულებასა და მათგან მიღებული სესხის სიდიდეს შორის.

აქტივების ღირებულება – აქტივების შეძენის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა გადახდილი მოსაკრებლისა ან საბაჟო გადასახადისა.

აქტივი (ლათ. activus მოქმედი) – 1. საკუთრების ობიექტი (ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდი, მანქანა-დანადგარი, შენობა-ნაგებობა, საბანკო ანაბარი, პატენტი, ინვესტიცია და სხვ., რომელიც შეფასებულია ფულში და ეკუთვნის ინდივიდს ან ფირმას. დასავლეთის პრაქტიკაში – აგრეთვე საქმიანი რეპუტაცია); 2. სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი შემოსავლების სიჭარბე საზღვარგარეთ გაწეულ ხარჯებთან შედარებით; 3. წარმოების ბალანსის ნაწილი, რომელშიც შედის ყველა სახის მატერიალური ფასეულობანი (ფული, საქონელი და სხვ.) და მოთხოვნები; 4. რაიმე ორგანიზაციის, კოლექტივის ყველაზე მოწინავე და მოქმედი ნაწილი.

აქტინომეტრი – მზის პირდაპირი რადიაციის გასაზომი ხელსაწყო.

აქტიური მონიტორინგი – მიმდინარე საქმიანობა იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა საშიში საწარმოო ფაქტორებისა და საფრთხეების თავიდან ასაცილებელი და დამცავი მართვის სისტემის გამოყენების ღონისძიებები დადგენილ კრიტერიუმებს.

აქტუარი (ლათ. actuarius) – 1. მათემატიკური სტატისტიკის სპეციალისტი, რომელიც დაკავებულია სადაზღვევო შენატანების, პენსიების, ტარიფების, სადაზღვევო რისკების, რეზერვების, ვალდებულებების და ა.შ. გაანგარიშებით.

აქცეპტანტი [ლათ. acceptans (acceptantis) მიმღები] – პირი, რომელიც იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს წარმოდგენილი ანგარიშის, თამასუქის მიხედვით.

აქცეპტი (ლათ. acceptus მიღებული) – 1. თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე; 2. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა; 3. გადამხდელის მიერ გაკეთებული წარწერა თამასუქზე, რომ იგი კისრულობს გაანაღდოს ეს თამასუქი დროულად; 4. ბანკის თანხმობა გადასაპირებელ თამასუქზე აღნიშნული თანხის გადახდის გარანტიის შესახებ.

აქცია (ფრანგ. action<ლათ. action მოქმედება, გამოსვლა) – 1. ფასიანი ქაღალდი, გამოშვებული აქციონერთა საზოგადოების მიერ, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს, მიიღოს დივიდენდი აქციონერთა საზოგადოების მოგებიდან. შემოსავლის სიდიდის მიხედვით განასხვავებენ ჩვეულებრივ და პრივილეგიურ (შეღავათიან) აქციებს. ჩვეულებრივი ა. მფლობელებისათვის შემოსავლები მერყეობს მოგების ნორმის შესაბამისად, პრივილეგირებულისათვის კი განაწილებული შემოსავლები არ იცვლება – იგი წინასწარ დადგენილი, ფიქსირებული სიდიდეა; 2. რაიმე პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული ქმედება (შეკრება, დემონსტრაცია, მიტინგი და სხვ.); 3. საქონლის მიწოდება მყიდველის, მოვაჭრის, დიტრიბუტორის, მეწარმისათვის; ინვენტარი.

აქცია სახელობითი – აქცია, რომლის მოძრაობა ფიქსირებულია აქციონერთა საზოგადოების აქციების რეგისტრაციის ბლანკზე. აქციონერთა საზოგადოების წესდება შეიძლება მოიცავდეს დამატებით წესებს, რომელიც არეგულირებს საზოგადოების მიერ გამოშვებული სახელობითი აქციების მოძრაობას.

აქცია ჩვეულებრივი – აქცია, რომლის მფლობელსაც ენიჭება აქციონერის ყველა ქონებრივი და პიროვნული უფლება: ა) დივიდენდის მიღების უფლება კორპორაციის მოგების სიდიდის მიხედვით; ბ) კორპორაციის მართვაში მონაწილეობის უფლება კრებებზე ხმის მიცემის გზით; გ) ქონებრივი ნაწილის მიღების უფლება კრედიტორებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში. უფლების რეალიზაცია ხდება აქციის სიდიდის პროპორციულად.

აქციები ბონუსური – აქციები გადაცემული ანდერრაიტერისათვის (გამოშვების გარანტი) საკომისიოს სახით მომსახურებისათვის.

აქციები გაორმაგებული – ორი კომპანიის ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც იმართება ერთი და იმავე საინვესტიციო კომპანიის მიერ და იყიდება, როგორც გამთლიანებული.

აქციები ვინკულირებული – სახელობითი აქციები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, მხოლოდ მათი გამომშვები სააქციო საზოგადოების თანხმობით. ისინი გამოიშვება იმ მიზნით, რათა გავიგოთ ვინ წარმოადგენს აქციონერს და აუცილებლობის შემთხვევაში გამოირიცხოს პირთა გარკვეული კატეგორია მათი რიცხვიდან.

აქციები კონვერტირებადი – აქციები, რომლებიც შეიძლება გადავცვალოთ პრივლეგირებულ ან ჩვეულებრივ აქციებზე დადგენილი ფასით განსაზღვრულ ვადაში. კონვერსიის პირობები, პრივილეგიები და მათი მოქმედების ვადა დაწვრილებით მიეთითება პროსპექტში.

აქციები კუმულაციური – პრივილეგირებული აქციები, რომელთა მფობელებს შესაძლოა გადაეხადოთ დივიდენდები, რომლებიც დაგროვდა მრავალი წლის მანძილზე და რომლის გასტუმრება კორპორაციამ ვერ შეძლო ცუდი ფინანსური მდგომარეობის გამო.

აქციები ოქროს – აქციები ხმის განსაკუთრებული უფლებით, რომლებიც განსაზღვრულ პირობებში გამოშვებისას დათქმული ვადის განმავლობაში (3 წლამდე) აძლევს მის მფლობელს ვეტოს დადების უფლებას აქციონერთა კრების გადაწყვეტილებებზე. კერძოდ, ცვლილებების შეტანაზე საზოგადოების წესდებაში, მისი რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შემთხვევაში; სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ქონების დაგირავების, იჯარით გაცემის, გაყიდვის, გასხვისების უფლებას. ა. ო. შესაძლებლობას იძლევა შევინარჩუნოთ სახელმწიფო კონტროლი სააქციო საზოგადოებაზე.

აქციები წარმომდგენზე – აქციები, რომელთა უფლებამოსილი მფლობელია მათი წარმომდგენი. უფლებათა გადაცემა ასეთი აქციების მიხედვით წარმოებს დოკუმენტის ფაქტობრივი გადაცემით. აქციები წარმომდგენზე გამოიცემა მხოლოდ მათი სრული ანაზღაურებისას.

აქციების ერთობლივი შემოსავალი – დივიდენდების ჯამს დამატებული აქციების კურსის ცვლილება.

აქციების საკონტროლო პაკეტი – გამოშვებული აქციების მთლიანი თანხის ის ნაწილი, რომელიც მის მფლობელს სააქციო საზოგადოებაში ხმების გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებს.

აქციზი (ინგლ. excise, შუაჰოლანდ. excijs, accijs<ლათ. accensare გადასახადი) – საერთო-სახელმწიფოებრივი არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება ან იმპორტი იბეგრება აქციზით, თუ ეს საქონელი განთავისუფლებული არ არის გადასახადისაგან.

აქციის კურსი – ფასი, რომლითაც მოცემულ მომენტში ხდება კონკრეტული აქციონერთა საზოგადოების აქციების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟებზე, სასაქონლო ბირჟების საფონდო განყოფილებებში, ბანკებსა და საბროკერო კანტორებში. აქციის კურსი უპირატესად დამოკიდებულია დივიდენდის განაკვეთსა და სასესხო პროცენტის განაკვეთს შორის თანაფარდობაზე. მაგ., თუ დივიდენდის განაკვეთი უდრის 18%-ს, ხოლო სასესხო პროცენტის განაკვეთი – 12%-ს, მაშინ აქციის კურსი შეადგენს მისი ნომინალური ფასის 150%-ს, ანუ აქცია 100 დოლარის ნომინალური ფასით ეღირება არანაკლებ 150 დოლარისა. ა. კ. დინამიკაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

აქციონერთა საზოგადოება (სააქციო საზოგადოება) – იურიდიული პირი, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ნომინალური ღირებულება დგინდება კანონმდებლობით. საზოგადოების ყველა დოკუმენტი აღირიცხება საზოგადოების წიგნში, რასაც ადასტურებს ყველა დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ხელის მოწერით. ა. ს. უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ცვლის წესდებას, ამტკიცებს გეგმებს, ირჩევს აქციონერთა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს. საერთო კრებაზე კენჭისყრა ტარდება პრინციპით: ერთი აქცია – ერთი ხმა. აქციონერთა მთავარი მოვალეობაა გადაიხადონ შესატანი განსაზღვრული აქციის მისაღებად. მათი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებების მიმართ შემოიფარგლება აქციების შესაძენად გადახდილი თანხით, ანუ წილით სააქციო საზოგადოების კაპიტალში, ხოლო მათი წილი მოგებაში განისაზღვრება აქციის ნომინალური ღირებულების შესაბამისად. არ შეიძლება მიეცეთ აქციონერებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. საწესდებო კაპიტალი და აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება სათანადოდ რეგისტრირებული სააქციო საზოგადოების წესდებით.

აქციონერი – 1. აქციის მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი; 2. სერტიფიკატის მფლობელი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების, კაპიტალისა და მიღებული მოგების ნაწილზე, ასევე დირექტორების არჩევასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის მიღების იურიდიულ უფლებას.

აღალი – 1. სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ცოცხალი გამწევი ძალის მეშვეობით მოდის მოძრაობაში; 2. ურმებისა და საზიდრების ქარავანი.

აღაჯა (კუთხ. მეგრ.) – ხის შენობის სარტყელი; ძვირფას მერქნიანი ხე, სახლის თავხე.

აღდგენადობა – ნაკეთობის პარამეტრების დასაშვები (ხშირ შემთხვევაში – საწყისი) მნიშვნელობების აღდგენის შესაძლებლობა მტყუნებებისა და უწესივრობების მოცილების შედეგად (მაგ., მწყობრიდან გამოსული ნათურის შეცვლა რადიომიმღებში). ა. შეფასება ხდება ნაკეთობის აღდგენილი პარამეტრის შედარებით ამ პარამეტრის საწყის (ნორმატიულ) მნიშვნელობასთან. განასხვავებენ ნაკეთობებს აღდგენადსა და აღუდგენელს.

აღდგენის კოეფიციენტი – პირობა, რომელიც დარტყმის დროს ითვალისწინებს ნივთიერი წერტილისა და ზედაპირის ფიზიკურ თვისებებს. ეს პირობა ი. ნიუტონმა გამოსახა შემდეგი ჰიპოთეზის სახით: უძრავ ზედაპირზე ნივთიერი წერტილის დარტყმის შემდეგ მიღებული სიჩქარის ნორმალური მდგენელის სიდიდისა და დარტყმამდე სიჩქარის ნორმალური მდგენელის სიდიდის ფარდობა არის ფიზიკური მუდმივა. ამ მუდმივას ეწოდება აღდგენის კოეფიციენტი (k). იგი იცვლება 0-სა და 1-ს შორის, ე.ი. $0 \le k \le 1$. თუ $k = 0$, მაშინ დარტყმას ეწოდება სავსებით არადრეკადი. თუ $k = 1$, მაშინ დარტყმას ეწოდება სავსებით დრეკადი. თუ $0 < k < 1$, მაშინ დარტყმას დრეკადი ეწოდება.

აღმართი – გზა, რომელიც ზევით მიემართება.

აღმგზნები – აღგზნების მდგომარეობაში მომყვანი, მექანიზმის (ორგანიზმის) მოქმედების გამაძლიერებელი; მაგ., თვითმავალ შასიზე დამონტაჟებული მოწყობილობა, რომელიც ბეტონის ნარევს ტრანსპორტირებისას კონსისტენციას უნარჩუნებს.

აღმგზნები ძალა – გარე ძალა, რომელიც დროის ფუნქციაა და იწვევს ამორტიზაციის სისტემის იძულებით რხევებს, რომელზეც ეს ძალები მოქმედებს. მოძრაობა, იძულებით მინიჭებული ამორტიზაციის სისტემის რაიმე წერტილისათვის, არის რხევების კინემატიკური აღგზნების მიზეზი. ეს რხევები წარმოიშობა ისევე, როგორც, ვთქვათ განსახილველ სისტემაზე როცა მოქმედებს რაიმე ეკვივალენტური აღგმზნები ძალა. აღმდგენი ძალები ჩნდება ამორტიზაციის სისტემის გადახრისას წონასწორობის მდგომარეობიდან და მიისწრაფვის დააბრუნოს ის საწყის მდგომარეობაში. აღმდგენი ძალები წრფივად ან არაწრფივად დამოკიდებულია სისტემის გადაადგილებასთან და არა მარტო გავლენას ახდენს სისტემის მოძრაობაზე, არამედ თვითონ არის დამოკიდებული ამ მოძრაობაზე. ამორტიზაციის სისტემის რხევითი თვისებები ძირითადად დაფუძნებულია აღმდგენი ძალების არსებობაზე.

აღმოჩენა – 1. მატერიალურ სამყაროში ობიექტურად არსებული, მაგრამ ადრე უცნობი კანონზომიერების, თვისების ან მოვლენის დადგენა; 2. ახლად დადგენილი მნიშვნელოვანი დებულება.

აღნაგობა – 1. მიწის ნაკვეთის გადაცემა ვადიან სარგებლობაში ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლებით. ასევე, ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება. ა. უფლების ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ორმოცდაცხრამეტ წელს; 2. მთის ქანების მარცვლოვანი შემადგენლობა (წვრილმარცვლოვანი, მსხვილმარცვლოვანი, ბოჭკოვანი და სხვა); 3. ადამიანის ფიზიკური გარეგნობა, შესახედაობა, ტანადობა; 4. იგივეა, რაც აგებულება.

აღორძინება – რენესანსი, პირობითი ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში. გამონაკლისს წარმოადგენდა იტალიის რესპუბლიკა, სადაც ადრინდელი აღორძინება იწყება XIV

საუკუნეში. ტერმინი "აღორძინება" შეპირობებულია ბურჟუაზიის აღმოცენების ეპოქის უდიდესი ინტერესით ანტიკური კულტურის მატერიალისტური (ფილოსოფიაში) და რეალისტური (ხელოვნებაში) ელემენტებისადმი.

აღრიცხვა – რაიმეს რაოდენობის, შეჯამების პროცესი რეალური რაოდენობის დადგენის მიზნით; მატერიალური და ფინანსური საშუალებების გაანგარიშება. მისი სახეებია: ალბათობათა, გეგმიანი, დიფერენციალური, ვარიაციული, ვექტორული, ზღვართა, ინტეგრალური, მარაგთა, მატრიცული, ოპერაციული, პირველადი, სასრულ სხვაობათა, ტენზორული და სხვ.

აღსადგენი ობიექტი – ობიექტი, რომლისთვისაც განსახილველ სიტუაციაში მუშაობის უნარის აღდგენა გათვალისწინებულია ნორმატიულ-ტექნიკური ან საკონსტრუქტორო დოკუმენტაციით.

აღწარმოება (კვლავწარმოება) – ერთი და იმავე პროდუქციის ხელახალი წარმოება.

აღჭურვილობა – ტექნოლოგიური და სხვა დამხმარე მანქანა-დანადგარებითა და ნაკეთობებით წარმოების აღჭურვა ანუ მოწყობილობა.



ნახ. 1

აყალო – იგივე თიხა.

აყარი – იხ. ხარიხა.

აყრდნობილი სვეტი – კედლის სვეტი, პილასტრი (ნახ. 1); ვერტიკალური გამონაშვერი კედლის სიბრტყიდან, რომელიც იმეორებს რომელიმე ორდერის სვეტის მწყობრს და წარმოადგენს დეკორაციულ ელემენტს ან კედლის კონსტრუქციულ შესქელებას.

აშლარი (შუაინგლ. ascheler<ძვ. ფრანგ. aisselier ფიცარი; განივი კოჭი<ლათ. axilla<axis ფიცარი, თამასა) – 1. ოთხკუთხა სამშენებლო ქვა, რომელსაც, როგორც წესი, მართკუთხა პარალელეპიპედის (კუბოიდის), იშვიათად კი ტრაპეციის ფორმა აქვს და რომლის ყველა წახნაგი მოჭრილია მაღალი ან მეტ-ნაკლებად მაღალი სიზუსტით. შედეგად, ერთმანეთზე მიბჯენილ ასეთ ქვებს შორის შესაძლებელია დუღაბის მხოლოდ ძალიან თხელი შემაკავშირებელი ფენის მოთავსება; 2. ასეთი ქვების ერთობლიობა; 3. პირველ პუნქტში აღწერილი ქვის წყობის სახეობა (ნახ. 1. ერთ-ერთი კედლის ფრაგმენტი, მზის ღმერთ ინტის სახელობის ტაძარი კორიკანჩა, ქ. კუსკო, პერუს რესპუბლიკა). დამატებით იხ. კედლის ქვის წყობა "აშლარი".



აჩაჩა (აჩაჩი) – ძველებური ქართული სახვნელი იარაღი (კავი), რომელიც ძირითადად გავრცელებული იყო ფშავსა და ქართლ-კახეთში. შედგებოდა მაგარი ჯიშის მერქნისგან დამზადებული კავიანი მხარის (რვილის), ქუსლკბილას, ერქვანის, ხმალას, სახნისის, საკვეთელისა და სოლებისაგან. მხარი ქუსლში იყო ჩამჯდარი ან ხელნაში გაყრილი. ფშაური აჩაჩა კახურზე დიდი ზომისა იყო და გამწევი ძალაც მეტი სჭირდებოდა. ფშაურში ყევარ ხარს აბამდნენ, კახურში – უღელს. აჩაჩათი მუშაობას 2-3 კაცი სჭირდებოდა და დღეში შეიძლებოდა 0,3-0,4 ჰა მიწის მოხვნა. ამ ტიპის სახვნელი იარაღი გავრცელებული იყო მთელ კავკასიაში. ტიპოლოგიურად აჩაჩა ენათესავება ძველ აღმოსავლურ (შუმერულ, ბაბილონურ, ასურულ) და ხმელთაშუა ზღვის სახვნელებს.

აჩქარება – წერტილის სიჩქარის ვექტორის რიცხვითი მნიშვნელობისა და მიმართულების ცვალებადობის სისწრაფის მახასიათებელი. სწორხაზოვანი მოძრაობის დროს საშუალო აჩქარება ტოლია Δv სიჩქარის ნაზრდის ფარდობისა Δt დროის იმ მონაკვეთთან, რომელშიც მოხდა ეს ზრდა: $w = \Delta v/\Delta t$. აჩქარება პირდაპირპროპორციულია ამ წერტილზე მოქმედი ძალის და უკუპროპორციულია მისი მასის. აჩქარების ვექტორი ემთხვევა ძალის მოქმედების ვექტორს. მრუდხაზოვანი მოძრაობის დროს აჩქარება შედგება მხები და ნორმალური აჩქარებებისაგან. აჩქარების სახეებია: აბსოლუტური, დამატებითი, დროში რეგულირებადი, თანაბარი, კორიოლისის, კუთხური, მოქცევის, მხები, ნორმალური, რადიალური, საშუალო, საწყისი, სიმძიმის ძალის (თავისუფალი ვარდნის), ტანგენციური, ტრანსვერსალური, უარყოფითი, ფარდობითი, ღერძისკენული, ცენტრიდანული, ცენტრისკენული, ცვლადი, წარმტანი, წირითი და სხვ.

აჩქარება გადატანითი მოძრაობისას – მყარი სხეულის ნებისმიერი წერტილის აჩქარება სხეულის გადატანითი მოძრაობისას.

აჩქარება კორიოლისის (მაბრუნებელი აჩქარება) – წერტილის აჩქარება რთული მოძრაობის დროს; იგი ტოლია ათვლის მოძრავი სისტემის ვექტორული კუთხური სიჩქარისა და განსახილველი მოძრავი წერტილის ფარდობით სიჩქარის გაორკეცებული ვექტორული ნამრავლისა.

აჩქარება მხები (ტანგენციური აჩქარება) – წერტილის აჩქარების გეგმილი წერტილის ტრაექტორიის მხებზე, რომლის სიდიდე ტოლია წერტილის სიჩქარის წარმოებულისა დროით ($Wt=dv/dt$); იგი ახასიათებს სიჩქარის სიდიდის ცვლილებას.

აჩქარება ნორმალური (ცენტრისკენული აჩქარება) – წერტილის აჩქარების გეგმილი წერტილის ტრაექტორიის მთავარ ნორმალზე, რომლის სიდიდე ტოლია წერტილის სიჩქარის სიდიდის კვადრატის განაყოფისა ტრაექტორიის სიმრუდის რადიუსის სიგრძეზე. იგი ახასიათებს სიჩქარის მიმართულების ცვლილებას. წრეწირზე მოძრაობისას ნორმალური აჩქარება გამოითვლება ფორმულით: $W = W^2 \cdot r$, სადაც W – ბრუნვის კუთხური სიჩქარეა, r – წრეწირის რადიუსი. წრფივი მოძრაობისას $W_n = 0$.

აჩქარება საშუალო – ვექტორი, რომელიც ტოლია დროის რაიმე შუალედში ვექტორული სიჩქარის ნაზრდის ფარდობისა დროის ამ შუალედის სიდიდესთან.

აჩქარება სიმძიმის ძალის – აჩქარება, რომლითაც სხეული ვარდება დედამიწაზე სიმძიმის g ძალის გავლენით.

აჩქარება ტანგენციური – იხ. აჩქარება მხები.

აჩქარება ფარდობითი – რთული მოძრაობის დროს წერტილის აჩქარება ათვლის მოძრავი სისტემის მიმართ.

აჩქარების მყისი ცენტრი – თავის სიბრტყეში მოძრავი ბრტყელი ფიგურის წერტილი, რომლის აჩქარება მოცემულ მომენტში ნულის ტოლია.

აჩქარებული მოძრაობა – წერტილის მოძრაობა მხები აჩქარებით, რომლის მიმართულება ემთხვევა სიჩქარის მიმართულებას. თუ მხები აჩქარების სიდიდე მუდმივია და მიმართულებით ემთხვევა სიჩქარის მიმართულებას, მაშინ მოძრაობას ეწოდება თანაბარაჩქარებული, თუ მიმართულია სიჩქარის მიმართულების საწინააღმდეგოდ, მაშინ მოძრაობას ეწოდება თანაბარშენელებული.

აჩხორვა – ძვ. რაიმეს ურიგოდ წყობა.

აცეტატი (ლათ. acetum ძმარი, ძმარმჟავას მარილი) – ძმარმჟავას მარილები და ეთერები; მარილები – კრისტალური პროდუქტები, რომელიც გამოიყენება საფეიქრო მასალების შესაღებად, მედიცინაში კატალიზატორების დასამზადებლად; ეთერები – აქროლადი სითხეები ხილისა და ყვავილის სუნით. გამოიყენება, როგორც გამხსნელი, კინოფირების წარმოებაში, პარფიუმერიაში, კვების მრეწველობაში, პოლიმერული მასალების დასამზადებლად (იხ. ვინილაცეტატი, ეთილაცეტატი).

აცეტატის ბოჭკო – ხელოვნური ბოჭკო, რომელიც მიიღება ცელულოზას აცეტატისგან. გამოდის უწყვეტი ძაფის ან შტაპელის სახით. გამოიყენება ტრიკოტაჟის ნაწარმის (ტეთრეული, ტანსაცმელი), "ელასტიკი"-ის ტიპის ქსოვილის წევადი ნაწარმის, სასარჩულე ქსოვილების და სხვ. დასამზადებლად.

აცეტილენი [ინგლ. acetylene<ლათ. acet (um) ძმარი და ინგლ. ethylene ეთილენი] – ნახშირწყალბადით (C_2H_2) გაჯერებული უფერო შხამიანი აირი უსიამოვნო სუნით. დუღილის ტემპერატურა – 83,8°C. შეკუმშვისას ფეთქდება. ინახავენ აირბალონებში, რომელიც ავსებულია დიატომური მიწით (კიზელგურით) ან გააქტიურებული ნახშირით. სიმკვრივე 1,171 კგ/მ^3. ჰაერთან ნარევში (2,3-80,7% მოცულობის მიხედვით) ფეთქებადსაშიშია. ნორმალურ პირობებში ჰაერზე მსუბუქია, ცუდად იხსნება წყალში. აცეტილენი გამოიყენება: ლითონების საჭრელად და შესადუღებლად; ავტონომიურ სანათებში კაშკაშა, თეთრი შუქის მისაღებად, სადაც ის წარმოიქმნება კალციუმის კარბიდისა და წყლის შერევით (კარბიდის სანათური); ასაფეთქებელი ნივთიერებების მისაღებად (აცეტილენიდი); ძმრის მჟავას, ეთილის სპირტის, გამხსნელების, პლასტმასების, კაუჩუკის, სურნელოვანი ნახშირწყალბადების მისაღებად და სხვ.

აცეტონი (ლათ. acetum ძმარი) – უფერო, აქროლადი სითხე სპეციფიკური სუნით. ადვილად ერევა წყალში და ორგანულ გამხსნელებში; თვითონ კარგად ხსნის ორგანულ ნივთიერებებს (აცეტილცელულოზა, ნიტროცელულოზა, რეზინი, ცვილი) და ზოგიერთ მარილებს (კალციუმის ქლორიდი, კალიუმის იოდიდი). მრეწველობაში ა. პირდაპირი ან ირიბი გზით მიიღება პროპენისაგან. აცეტონისგან ტუტეების თანხლებით და ქლორის (იოდის) ზემოქმედებით მიიღება ქლოროფორმი (იოდოფორმი). წარმოადგენს ბევრი ქიმიური პროდუქტის სინთეზის მასალას, როგორიცაა: ძმრის ანჰიდრიდი, კეტენი, დიაცეტონური

სპირტი, მეთიზილის ჟანგი, მეთილიზობუტილკეტონი, მეთილმეთაკრილატი, დიფენილპროპანი და სხვ. ა. გამოიყენება შემდეგი ნივთიერებების მისაღებად: ლაქები, ასაფეთქებელი ნივთიერებები, წამლის პრეპარატები, წებოები კინოფირებისათვის, აეროზოლები ინსტრუმენტების ზედაპირების გასაწმენდად, აცეტილენის შესანახად, როგორც გამხსნელი და სხვ. ა. უარყოფითი თვისებებია: ადვილად აალებადია, ხოლო –20°C ტემპერატურაზე ფეთქდება; ადვილად ორთქლდება და წარმოქმნილი ღრუბელი შეიძლება გაუთვალისწინებლად მოხვდეს აალების წყაროსთან (ნაპერწკალი, ცეცხლი). ა. აქვს გამაღიზიანებელი და ნარკოტიკული მოქმედება, აავადებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, გროვდება ორგანიზმში და თავს იჩენს მისი ტოქსიკური ზემოქმედება. ა. შერევა წყალში იწვევს ჟანგბადის მნიშვნელოვან შემცირებასა და ფლორის დაღუპვას.

აციდომეტრია (ლათ. acidus მჟავე და ბერძ. métron გაზომვა) – ხსნარებში მჟავათა შემცველობის მოცულობითი განსაზღვრის მეთოდი.

აწევის ისარი – მრუდწირული კონსტრუქციის (კამარა, თაღი და მისთ.) ღერძის აწევის მაქსიმალური სიმაღლე მისი საყრდენების შემაერთებელი წრფის მიმართ.

აწყობა – დეტალებისა და კვანძებისაგან მანქანების, დაზგების, ნაგებობების მონტაჟი. ის შეიძლება იყოს: აგრეგატული, ავეჯის, ავტომატური, ანტენის, დეტალების, ელექტრონული, ვიზუალური, თანამიმდევრული, თერმული, იარაღის, კვანძური, კონვეიერული, მანქანის, მდოვრე, ნაკადური, რეზონანსული, სადისტანციო, სელექციური, სტაციონარული, უხმაურო და სხვ.

აწყობილი სახურავი – სახურავის სისტემა, რომლის შემადგენლობაში შედის: ბურული, გამასწორებელი ფენა, გამათბუნებელი, ორთქლიზოლაცია, ფენილი.

აწყოლი – ძვ. კარს იქითა და აქეთა წირთხლები.

აწყურის ციხე (ინგლ. Atskuri Castle) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს სამცხეში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ აწყურთან, ბორჯომიდან 30 კილომეტრში (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა).

ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, აწყური ბევრჯერ გამხდარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველთა გმირული ბრძოლის ასპარეზი და მრავალი თავდასხმისათვის გაუძლია. მთელ საქართველოში განთქმული იყო აწყურის ღვთისმშობლის ხატი, ხოლო აწყურის ტაძრის (განთავსებული იყო ციხის მიმდებარედ) საეპისკოპოსო კათედრა, ათაბაგთა ბატონობის დროს, სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის მეთაური კათედრა იყო.



ნახ. 1

1259-1260 წლებში, მეფე დავით ულუს მონღოლების წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ, როცა ის თავშესაფრად სამცხეს გადავიდა, მტერი ჰულაგუიანთა სახელმწიფოს

ილხანის არღუნ ყაენის მეთაურობით ამ მხარეს შეესია და აყწურის ციხეც ააოხრა. XIII საუკუნის ბოლოს მომხდარმა მიწისძვრამ აწყურის ტაძარი დაანგრია, მაგრამ მალევე აღადგინეს, როგორც მესხეთის მთავარი სალოცავი. 1477 წელს მესხეთი (მათ შორის აწყურის ციხეც) ირანის შაჰმა უზუნჰასანმა დაარბია. იგივე გაიმეორა 1486 წელს ირანის შაჰმა იაყუბ ყაენმა, რომელმაც უამრავი ტყვე წაასხა ირანს და ნადავლის სახით სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატიც (ნახ. 3. აწყურის ღვთისმშობლის ხატი) წაიღო (სამცხის მთავარს მანუჩარ ათაბაგს ამ ხატის აწყურში დასაბრუნებლად დიდძალი ვერცხლი გადაუხდია). XVI საუკუნის 40-იან წლებში ციხე ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. 1546 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ სამხრეთისკენ გაილაშქრია; სამცხე ვერ დაიბრუნა, მაგრამ აწყურის ღვთისმშობლის ხატი გამოიტაცა და ციხისჯვარში დაასვენა, 1553 წელს კი იმერეთში გადააბრძანა. 1770 წელს აწყურის ციხეს რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი შემოეწყო, მაგრამ მისი აღება ვერ მოხერხდა (რუსმა გენერალმა ტოტლებენმა მოღალატურად მიატოვა ბრძოლა). 1829 წლის 2 სექტემბრის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ აწყური, ახალციხის საფაშოს ნაწილთან ერთად, კვლავ შემოუერთდა საქართველოს (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) და განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან.



ნახ. 2


ნახ. 3

ციხე აღმართულია უზარმაზარ კლდეზე, საიდანც თავს დაჰყურებს და აკონტროლებს მთელ მიდამოს. უდაო, რომ მშენებლებმა მოხერხებულად გამოიყენეს მაღალი და ძნელად მისადგომი კლდოვანი რელიეფი და შექმნეს სამშენებლო თვალსაზრისით რთული და მტრისთვის ძნელად ასაღები ნაგებობა. ციხეში შესვლა კლდეში გამოკვეთილი ვიწრო გვირაბით შეიძლებოდა. შიგა ნაგებობა იმდენად ძნელად მისადგომი იყო, რომ მტერი გვირაბში შეჭრის შემდეგაც ვერ დაიმორჩილებდა ადვილად. კლდეებთან შერწყმული ციხის კედლები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ მნახველზე, თითქოს ისინი ბინებრივი, განუყოფელი ნაწილებია და ძნელი გასაგებიც კია, როგორ მოახერხეს ძველმა კირით-ხუროს ოსტატებმა ასეთი ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტა.


ნახ. 4

ციხის მიმდებარედ არსებული აწყურის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარიც პრაქტიკულად დანგრეულია (ნახ. 4. აწყურის საკათედრო ტაძრის ნანგრევები). იგი თავის დროზე მთელ საქართველოში უდიდესი იყო ფართობის მხრივ (თვით სვეტიცხოვლის ტაძარსაც ჭარბობს).

ამჟამად გუმბათი და გადახურვის კამარები ჩამოქცეულია, კედლების გარე პერანგი ჩამოძარცვულია და სხვ. საბედნიეროდ გადარჩენილია გედლების გარე რელიეფების ნაწილი, საკურთხევლის კუთხეების მორთულობა (ნახ. 5. ტაძრის საკურთხევლის მორთულობები), კედლის შიდა სვეტები ბურთულებიანი თავსამკაულებით (ნახ. 6. ტაძრის სვეტების მორთულობები) და სხვ.

ამჟამად მიმდინარეობს აწყურის ციხისა და აწყურის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები.



ნახ. 5



ნახ. 6

ახალი არქიტექტურა [ინგლ. New Objectivity (architecture)] – XX საუკუნის 20-30-იანი წლების, გერმანულენოვანი ევროპის, არქიტექტურული მიმდინარეობა, რომელიც შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა (ნახ. 1. ფირმა "ვისოლის" ბენზინგასამართი სადგური ქ. გორში, საქართველო; ნახ. 2. სამედიცინო ცენტრი კლივლენდში, ოჰაიოს შტატი, აშშ). მას ხშირად ახალ შენებასაც (Neues Bauen) უწოდებენ. ა. ა. ძირითადი მიმართულება ექსპრესიონიზმის დინამიზმი და მინისა და მკაცრი გეომეტრიული კომპოზიციების გამოყენება (გამჭვირვალობისა თუ ფერის ეფექტისთვის) გახდა. ახალმა საგნობრიობამ მრავალი გერმანული ქალაქი განაახლა, გააუმჯობესა საცხოვრებელი ბინების კომფორტულობა, გარემოს კეთილმოწყობა, ბუნებასთან კავშირი და სხვ. ახალი არქიტექტურის შემოქმედი არქიტექორები იყვნენ: ვ. გროპიუსი, ა. მაიერი, ჰ. პოლციგი, ბ. ტაუტი, ი. ვილსი, ი. ოუდი, ელ ლისიცკი, ლე კორბუზე და სხვ.





ნახ. 2

ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტი – ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მიღებულია (დამტკიცებულია) ევროკომისიის ახალი და გლობალური მიდგომის შესაბამისი დირექტივის საფუძველზე და რომელსაც აქვეყნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

ახალი მშენებლობა – მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება.

ახალი ქალაქი– ქალაქების ან კომუნების ერთობლიობა, რომელიც ძირითადად პოლიტიკური ნებით იქმნებოდა მოკლე დროში ნაკლებად დასახლებულ ან საერთოდ დაუსახლებელ ადგილას. ანტიკურ ხანაში ქალაქების გაშენება უკავშირდებოდა ცივილიზაციათა ტერიტორიულ გაფართოებას. ბევრი ქალაქი ხმელთაშუა ზღვის აუზში სწორედ ამ გზით შეიქმნა ბერძნების (მცირე აზია, იტალია, სიცილია), კართაგენლებისა (ჩრდილოეთ აფრიკა, იბერიის ნახევარკუნძული) და რომაელების (ჩრდილოეთ აფრიკა, გალია) მიერ. ასეთი ქალაქებია: ალექსანდრია (ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა), მარსელი (საფრანგეთის რესპუბლიკა), კართაგენი (ესპანეთის სამეფო) და სხვ. შუა საუკუნეების ფეოდალურ სამფლობელოებში ახალი ქალაქების აგება ფეოდალისთვის ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების საშუალება იყო. რენესანსის პერიოდში ევროპაში ხელისუფლება თანდათან ცენტრალიზებას განიცდის და მას უკვე სჭირდება ვრცელი სტრატეგიული ტერიტორიების გაკონტროლება და ამ ტერიტორიებზე ურბანული ქსელების ორგანიზება, რაც მათ ძალაუფლებას გაამყარებს. ასეთი ქალაქებია: ვიტრი-ლე-ფრანსუა, შარლევილი, რიშელიე (საფრანგეთის რესპუბლიკა), სანკტ-პეტერბურგი (რუსეთის ფედერაცია) და სხვ. ევროპელების მიერ ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციას მოჰყვა ახალი ქალაქების შექმნა, რომლებიც ხშირად ატარებდნენ მეტროპოლიის, დამაარსებლის ან რომელიმე პერსონის სახელს: კართაგენი (კოლუმბიაში), ახალი ორლეანი, ახალი ამსტერდამი, ვაშინგტონი, ნიუ იორკი აშშ-ში და მრავალი სხვ. XIX საუკუნეში ახალი ქალაქები დიდი სისწრაფით ვითარდება სამრეწველო რეგიონებში მაღაროელთა დასასახლებლად, ხოლო XX საუკუნის შუაწლებიდან იწყება დიდი აგლომერაციების შექმნა პერიფერიებზე მდებარე ქალაქებით, რაც ამცირებს ცეტრალიზებას და ქალაქებს მულტიპოლარულს ხდის (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი).

ახალი შუამთა (ინგლ. New Shuamta) – XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ხახულის ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს კახეთის მხარეში, თელავის მუნიციპალიტეტში, ქ. თელავის დასავლეთით 7 კმ-ში, ცივგომბორის მთის კალთაზე (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, სამრეკლო, გალავანი.

ახალი შუამთის მონასტრის ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავი ხახულის ღვთისმშობლის ხატი იყო. იგი დაბრძანებული ყოფილა ტაძრის კანკელის წინ. განნკაცების და უბიწოდ ჩასახვის დოგმატის გამომხატველი (ოდიგიტრიის) ჩვილედი ღვთისმშობლის ფერწერული სახე ოქროთი და ძვირფასი ქვებითაა მოჭედილი (იაგუნდი, ფირუზი, ალმასები და მარგალიტები). ხატს ზურგზე 44 წმიდა ნაწილი აქვს. დღეს ეს ხატი თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახლმწიფო მუზეუმის საგანძურშია დაცული.

მონასტერი დაფუძნდა XVI საუკუნის 50-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ძველი შუამთის მონასტერი დაცარიელდა. ახალი მონასტერი კახეთის მეფის ლევანისა (1520-1574 წწ.) და მისი

მეუღლის, თინათინის მიერ დაარსდა, რომელიც მონაზვნად აღიკვეცა და ამ მონასტერშია დაკრძალული. სახელწოდება მონასტერმა ადგილმდებარეობიდან მიიღო – მას სამი მხრიდან მთები აკრავს, თავად კი მთათაშუა მდებარე ვაკეზეა აგებული. XVI საუკუნის მიწურულს დედოფალ თინათინის ასულს თეკლა მონაზონს ეკლესიისათვის მთავარანგელოზთა ეგვტერი მიუშენებია და შეწირულობებიც უბოძებია. 1637 წელს კახეთისა (1733-1744 წწ.) და ქართლის (1744-1762 წწ.) მეფე თეიმურაზ II-ს მონასტრისათვის ბაჟი შეუწირავს (ბაჟი იმ სავაჭრო ქარავანთაგან, რომლებიც გომბორის გზას გაივლიდნენ). XVII საუკუნის II ნახევარში ტაძარი კახეთის (1744-1762 წწ.) და ქართლ-კახეთის (1762-1798 წწ.) მეფეს ერეკლე II-ს განუახლებია, რასაც მოწმობს ტაძრის კარის არქიტრავის ქვაზე არსებული მხედრული წარწერა. 1899 წელს მონასტერი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – კირიონს აუღორძინებია, თუმცა მალევე დაუხურავთ და ბავშვთა სახლად გადაუკეთებიათ. მხოლოდ 1990 წელს აღდგა ახალ შუამთაში სამონასტრო ცხოვრება.



ნახ. 1

მონასტრის მთავარი ტაძარი აგურითაა ნაგები. ტაძრის ხილვისას, უწინარეს ყოვლისა, მისი აზიდული პროპორციები იპყრობს ყურადღებას. გეგმაში მართკუთხა (ნახ. 3. გეგმა) მაღალგუმბათიან ნაგებობას (12,9x17,8 მ, სიმაღლე 24,2 მ) ფასადებზე ჯვრით დაგვირგვინებული დეკორი ამშვენებს. ტაძარი თავდაპირველად მთავარი კორპუსისა და გარშემოსავლელისგან შედგებოდა. პირველი საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი, მეორე კი შესამჩნევად დაზიანებულია. მთავარი კორპუსის შიდა სივრცის შემქმნელი ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე რვაწახნაგა პრიზმული გუმბათია აღმართული (ნახ. 4. გუმბათის ყელი), რომელიც აღმოსავლეთით საკურთხევლის კუთხეებს, ხოლო დასავლეთით თავისუფლად მდგომ ორ სვეტს ეყრდნობა. კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდება აფრების მეშვეობით, ზედ აფრებზე კი პატარა ტრომპებია გამოყვანილი.



ნახ. 2

აღმოსავლეთის მონაკვეთი სამნაწილიანი საკურთხევლისაგან შედგება. ცენტრში აფსიდია ბემით, გვერდებზე კი – სადიაკვნო და სამკვეთლო. სამივე სათავსე ერთმანეთთან კარებითაა დაკავშირებული. ასევე, გვერდითი სათავსები კარებითაა დაკავშირებული დარბაზთან. აღნიშნუკლი გვერდითი სათავსები ღრმა აფსიდებით მთავრდება და თითო სარკმლით ნათდება. ტაძარში შესასვლელი დასავლეთიდან (ნახ. 5. დასავლეთი ფასადი), სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა.

მთავარ ტაძარს ორი პატარა ეგვტერი აკრავს, ხოლო მონასტრის ეზოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ოთხსართულიანი სამრეკლოა (ნახ. 6. სამრეკლო) აღმართული.

მონასტრის ეზოში დაკრძალულია ცნობილი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე (დ. 1786 - გ. 1846 წ.).



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6

ახალშენი – 1. ქალაქის ან სოფლის ტიპის პატარა დასახლება; 2. ახლად გაშენებული ტყე.

ახარისხება – თავის თავზე გამრავლება, ხარისხში აყვანა, მაგ., $X \cdot X = X^2$, $Y \cdot Y \cdot Y = Y^3$ და ა.შ.

ახლო წესრიგი – ატომებისა და მოლეკულების მოწესრიგებული განლაგება ატომთშორისი მანძილების საზღვრებში; ახასიათებს ამორფულ ნივთიერებებს და სითხეებს.

აჯორნო (იტალ. agiorno) – ხელოვნური განათება, დღის განათების იმიტაცია.

აჰუ (აღმოსავლეთპოლინეზიური ენა ahu) – აღდგომის კუნძულის (რაპანუის) სკულპტურების (მოაი, ადამიანის ფორმის მონოლითური, გიგანტური ფიგურა) ე.წ. პლატფორმა, რომელზეც ერთიმეორის მიყოლებით დგანან ქანდაკებები (ნახ. 1. აჰუ ტონგარიკი და მასზე მდგომი 15 მოაი). სკულპტურები, როგორც წესი, ოკეანიდან კუნძულის სიღრმისკენ იყურებოდნენ აჰუ აკივის 7 ფიგურის გარდა (ნახ. 2), რომელთა მზერა ოკეანისკენ იყო მიმართული და მოგზაურებს კუნძულის მოძებნაში ეხმარებოდნენ. აჰუს სიმაღლე დაახლოებით 1,20 მ-ია. კუნძულზე ცნობილია 250-ზე მეტი აჰუ. დამატებით იხ. მოაი.

Не удается отобразить связанный рисунок. Возможно, этот файл был перемещен, переименован или удален. Убедитесь, что ссылка указывает на правильный файл и верное размещение.



Бъь. 2

ბ

ბაბილონის გოდოლი (ინგლ. Tower of Babel) – 1. საკულტო გიგანტური წმინდა ტაძარი, რომლის თავზეც იდგა ღმერთ მარდუქის სახელობის ტაძარი. ბაბილონის გოდოლის ისტორია შემოგვინახა თიხის ფირფიტებმა (რომლებიც არქეოლოგებმა გათხარეს ბაბილონში და ასურულ-ბაბილონური სამეფოს სხვა ქალაქებში), აგრეთვე ბერძენი ისტორიკოსების ჩვენამდე მოღწეულმა ცნობებმა. გოდოლი ცამდე იყო აზიდული და რამდენიმე გიგანტური ტერასისგან შედგებოდა [ნახ. 1. ბაბილონის გოდოლი, ნიდერლანდელი მხატვრის, პიტერ ბრეიგელის ნახატი (დაახლოებით 1563 წ.)]. შვიდი კოშკი ერთმანეთზე იყო დადგმული. ფუნდამენტი 90 მეტრი სიგანის იყო და გოდოლიც მთლიანად იმავე სიმაღლის იყო. პირველი სართული 33 მეტრს აღწევდა, მეორე 18 მეტრს და დანარჩენი ოთხი კი 6-6 მეტრს. სულ ბოლო სართული 15 მეტრის სიმაღლის იყო და წარმოადგენდა მარდუქის სახელზე აგებულ ტაძარს. იგი დაფარული იყო ოქროთი და მოპირკეთებული ცისფრად მოჭიქული აგურით. ეს ტაძარი მზეზე ცისფერ-ოქროსფრად ლივლივებდა და რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან ჩანდა. ძველი ებრაული მითის თანახმად, მსოფლიო წარღვნის შემდეგ ადამიანებმა განიზრახეს სენაარის მიწაზე (მესოპოტამია, იგივე შუამდინარეთი) ქალაქისა და ისეთი კოშკის აშენება, რომელიც ცას მისწვდებოდა. ადამიანის თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა აურია მათ ენა და გაფანტა მთელ დედამიწაზე. დაუმთავრებელ ქალაქს ეწოდა ბაბილონი. მითში თავისებურად აისახა ბაბილონის ზიკურათების (სატაძრო-რელიგიური დანიშნულების გიგანტური შენობები) მშენებლობა და მასში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მონაწილეობა; 2. გადატ. უწესრიგოდ მოფუსფუსე ბრბო, აურზაური, არეულობა.



ბაბილონის დაკიდებული ბაღები (სემირამიდას ბაღები) (ინგლ. Hanging Gardens of Babylon) – შუამდინარეთის ქალაქ ბაბილონში (ახლანდელი ალ-ჰილლა, ერაყის რესპუბლიკა) ქალდეური ბაბილონის მეფე ნაბოფალასარის მემკიდრის ნაბუქოდონოსორ II მიერ აგებული მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი (ნახ. 1. ერთ-ერთი რეპროდუქცია). ბ. დ. ბ. აგებული იქნა დედოფალ ამიტიდასათვის ძვ. წ. VI საუკუნეში (ამიტიდა იყო მიდიის ბელად კაშტარიტის შვილის კიაქსარის ასული). ბაღებმა დაახლოებით 2 ასწლეულს გაუძლო, რის შემდეგადაც ის განადგურდა. შენობას ჰქონდა პირამიდის ფორმა და შედგებოდა 4 იარუსისაგან. თითოეულ იარუსს იჭერდა 25 მეტრი სიმაღლის სვეტები. ულამაზესი მცენარეები კი მიდიიდან იქნა ჩამოტანილი. იმისათვის, რომ სარწყავ წყალს არ გაეჟონა, ყველა იარუსის ზედაპირი იფარებოდა ჯერ ლერწმით, შემდეგ კი მასზე დიდ ფენად იყრებოდა ნოყიერი მიწა, სადაც ირგვებოდა მრავალი სახის ხე, ბუჩქი, ყვავილი და ბალახი. ბაღები ირწყვებოდა ევფრატის წყლით, რომელსაც იქ საგანგებო წყალსაქაჩი ბორბლებითა და ტყავის ჭურჭლით აჰქონდათ 24 საათის განმავლობაში. ბ. დ. ბ. მართლაც სამოთხეს ჰგავდა

ცხელ ბაბილონში, ის მარად მწვანე იყო. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ბაღები ჰაერში ეკიდა. ძვ. წ. IV საუკუნეში ის ალექსანდრე მაკედონელის რეზიდენცია იყო. სწორედ აქ გაატარა



ალექსანდრემ სიცოცხლის ბოლო წუთები. ბ. დ. ბ. გაშენებას ხშირად შეცდომით მიაწერენ დედოფალ შამურატს, რომელიც ნაბუქოდონოსორამდე ორასი წლით ადრე განაგებდა ბაბილონს. მას ბერძნები სემირამიდას უწოდებდნენ. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ შექმნილ ბაღებს ბევრი სემირამიდის ბაღებად მოიხსენიებს. ბაბილონის დაკიდებული ბაღებიდან დღეს არაფერია დარჩენილი, მაგრამ მის სიდიადეზე წარმოდგენას გვაძლევს ძველ ასურულ რელიეფზე გამოსახული ბაბილონური შენობა-ნაგებობები.

ბაბიტი (ინგლ. babbit<ამერიკელი გამომგონებლის ი. ბაბიტის სახელის მიხედვით) – შედარებით ძველი და ამჟამად ფართოდ გამოყენებული ანტიფრიქციული ძნელდნობადი (2320°C) პლასტიკური არაერთგვაროვანი შენადნობი კალისა და ტყვიის საფუძველზე სტიბიუმის, სპილენძის და სხვ. ელემენტების დანამატით. ის უზრუნველყოფს საკისრის თანაბრად მიბრჯენას და მუშაობას როგორც ლილვთან, ისე საყრდენთან. აქვს ხახუნის დაბალი კოეფიციენტი. გამოიყენება მაღალ დატვირთვებზე და სიჩქარეებზე მომუშავე საკისრების ზედაპირების დასაფარავად.

ბაგა – 1. ძვ. სახლის მოდაბლო სარკმელი; 2. ყველაზე პატარა ბავშვების აღსაზრდელი დაწესებულება.



ბაგეტი (ფრანგ. baguette ჩხირი) – 1. დაპროფილებული, ჩუქურთმიანი ან მოვარაყებული ხის თამასა ჩარჩოსათვის (ნახ. 1); 2. ნახევარწრიული ფორმის მცირე ზომის ნივთი, ნაკეთობა (მაგ., ქალის ხელჩანთა მოკლე თასმით); 3. იხ. ასტრაგალი.

ბაგინი – ძვ. ებრაელთა სალოცავი; ბომონი, საკერპო.

ბაგირგადახვევა – ბაგირების გადახვევის სქემა, რომელზეც აისახება ამა თუ იმ მექანიზმის მართვის ბაგირული სისტემის მოწყობა.

ბაგირგზა (საბაგირო გზა) – ტვირთისა და მგზავრების სატრანსპორტო მოწყობილობა, რომელშიც ვაგონეტების, ვაგონების, გონდოლების, კაბინებისა და სავარძლების გადასაადგილებლად გამოიყენება გამწევი ან გამწევ-მზიდი ბაგირი, გაჭიმული ორ საყრდენს შორის (ნახ. 1) ისეთნაირად, რომ მოძრავი კაბინა-გონდოლები არ ეხებოდეს მიწის ზედაპირს. ბ. შეიძლება იყოს სამგზავრო ან სატვირთო. სამგზავრო ძირითადად გამოიყენება მთაგორიანი



რელიეფის მქონე დასახლებულ პუნქტებში, ხოლო სატვირთო – სასარგებლო წიაღისეულის გადასაზიდად მოპოვების ადგილიდან გადასამუშავებელ (გამამდიდრებელ) ქარხნებამდე. ვიწრო გაგებით ტერმინ "საბაგირო გზა"-ს ქვეშ იგულისხმება არასაგზაო და არასაქალაქო სატრანსპორტო ტრასები, გაჭიმული ჰაერში, მაშინ როცა ფართო გაგებით, საბაგირო გზებს მიეკუთვნება სხვა ტიპის სატრანსპორტო სისტემებიც ბაგიროვან გამწევზე, რომელიც შეიძლება იყოს საქალაქო (მაგ., ფუნიკულიორი) ან საგზაო (მაგ., საბაგირო ტრამვაი სან-ფრანცისკოში, აშშ). საქართველოში ბაგირგზები მუშაობს ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ჭიათურა, კასპი, ბორჯომი; დ. ხულო; კურორტებზე: ბაკურიანი, ნუნისი, გუდაური, აბასთუმანი, მესტია.

ბაგირი – ფოლადის მავთულისგან (ნახ. 1), ნართისგან, სინთეზური, მინერალური (ნახ. 2) ან მცენარეული ბოჭკოებისგან (ნახ. 3) დამზადებული დრეკადი ნაკეთობა, რომელიც შეიძლება იყოს ხვეული (გრეხილი), არახვეული (არაგრეხილი) და წნული. პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია ფოლადის ბ. დიამეტრით 60 მმ-მდე. არსებობს ბაგირის უამრავი სახეობა, როგორებიცაა: ამყოლი, ამწევი, გადაგრეხილი, განმტვირთავი, გაფისული, გვარლის, დამცველი, დამჭერი, დამჭიმავი, მავთულის, მამოძრავებელი, მზიდი, მიმმართველი, მისაბმელი, მოქნილი, მრავალწნული, მრგვალწნული, მუშა, მცენარეული, საბუქსირო, საზიდი, სატვირთე, საწევი, სპირალური, ფასონურწნული, ფოლადის, ქერელის (გაფისული და გაუფისავი), ღია, შემაერთებელი, ჩაკეტილი, წამყვანი, ხვეული, ხისტი და სხვ.



ნახ. 1



ნახ. 3

ბაგირი საიზოლაციო – ბაგირი მოქნილი დიელექტრიკისაგან, განკუთვნილი საგნების სიმაღლეზე ასაწევად და დასაშვებად საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზებზე ძაბვის ქვეშ მუშაობისას. წარმოადგენს ძირითად მაიზოლირებელ დამცავ საშუალებას.

ბაგირხერხი – მოწყობილობა ბუნებრივი ქვის მოპოვება-დამუშავებისათვის, რომლის მჭრელი ორგანოა ფოლადის ბაგირი (ნახ. 1).



ნახ. 1

ბაგრატის ტაძარი (ინგლ. Bagrati Cathedral) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი (ნახ. 1. პანორამული ხედი). მდებარეობს იმერეთის მხარეში, ქ. ქუთაისში, უქიმერიონის გორაზე (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი, გალავანი, სამსართულიანი კოშკი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარიბჭეები, ეზოში გაბნეული ტაძრის ფასადებისა და შიდა კედლების ორნამენტით შემკული დეტალები და ფრაგმენტები.



ბაგრატის ტაძარი აგებულია 1003 წელს, ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მეფობაში, რასაც ადასტურებს ჩრდილოეთ კედლის წარწერა, სადაც იატაკის დაგების თარიღია მითითებული („...ქორონიკონი იყო 223“). ეს წარწერა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში არაბული ციფრების ხმარების უძველესი ნიმუშია წარმოდგენილი. ტაძარი ბაგრატ მეფისა და მისი დედის, ეგრის-აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის ასულის, გურანდუხტ დედოფლის შემწეობით აშენდა. XVII საუკუნემდე ძეგლი უვნებლად იდგა (ცნობებს გვაწვდის რუსი ელჩების, ტოლჩანოვისა და იევლევის ჩანაწერები). ტაძარი დამშვენებული ყოფილა ოქრო-ვერცხლის, იაგუნდისა და სხვა ძვირფასი ქვებით მოჭედილი ძვირფასი ხატებით. დღესასწაულებზე მეფე-დედოფალი ამალითურთ დასავლეთის პატრონიკეზე (მეორე სართულზე) იმყოფებოდნენ და წირვას ისმენდნენ. 1669 წელს ახალციხიდან შემოსულმა ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს ქუთაისის ციხე, მიიტაცეს ბაგრატის ტაძრის სიმდიდრე და მერე, 1691 წელს, როცა არჩილ მეფის (დ. 1647 - გ. 1713 წ.) მეთაურობით ქართველებმა ციხის განთავისუფლება განიზრახეს, თოფის წამლის გამოყენებით ააფეთქეს, ჩამოიქცა გუმბათი, შეირყა კედლები, ტაძრის მოკაზმულობა და მარმარილოს პერანგი



ნახ. 2

მოხსნეს და ოსმალეთში გაზიდეს, ხოლო რაც ნგრევას გადაურჩა, 1740 წლიდან, იარაღის საწყობად გადააქციეს. 1770 წელს იმერეთის მეფემ (1752-1784 წწ.) სოლომონ I-მა ციხე დაიბრუნა, მაგრამ ბრძოლების დროს ტაძრის ძველ დაზიანებებს ახალიც დაემატა, რაც რუსი გენერლის ტოტლებენის არტილერიის „დამსახურება“ იყო. ოსმალებმა ღამით, ქართველი ტყვეების გარეშე, ჩუმად დატოვეს ციხე, ქართველი ტყვეები კი ოსმალეთის ნაცვლად რუსეთის გზას გაუყენეს. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ამ ტყვეებს შორის იყო, მოგვიანებით ბოროდინოს ბრძოლის გმირის, რუსეთის არტილერიის სარდლის, გენერალ ალექსანდრე კუტაისოვის მამა.

ძეგლი წარმოადგენს ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში საეტაპო მნიშვნელობის ტაძარს, როგორც თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, ისე ისტორიული და სიმბოლური მნიშვნელობითაც. ბაგრატის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (ნახ. 3. გეგმა). თექვსმეტწახნაგა გუმბათი თავისუფლად მდგარ ოთხ მძლავრ სვეტს ეყრდნობოდა, ჯვრის შვერილი მკლავები გარედან მართკუთხა, შიგნით კი (აღმოსავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს) – ნახევარწრიული აფსიდებით იყო დასრულებული. შიგნითვე დასავლეთის მკლავს შემოუყვებოდა პატრონიკე – გალერეა, სადაც წირვა-ლოცვისა და დღესასწაულების დროს მეფე-დედოფალი და დიდებულები იდგნენ. საკურთხევლის ორივე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნე იყო. მშენებლობის დამთავრებამდე ძეგლს ჩრდილო-დასავლეთიდან სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, ხოლო XI საუკუნის I ნახევარში სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეები მიაშენეს. ფასადების გასაფორმებლად გამოყენებული დეკორატიული თაღების სისტემა ფასადებს ერთმანეთთან აკავშირებდა.



ნახ. 3

აღსანიშნავია აღმოსავლეთი ფასადი – ხუთი დეკორატიული თაღითა და ორი ღრმა ნიშით. დასრულებული სახე აქვს სარკმელთა მოჩუქურთმებულ საპირეებსა და "სათაურებს". უხვადაა მოჩუქურთმებული კარიბჭეები (ნახ. 4. სამხრეთი კარიბჭე; ნახ. 5 - ნახ. 7. სამხრეთი კარიბჭის ფრაგმენტები). ძირითადი ნაგებობის ორნამენტს გრაფიკულობა, ხოლო კარიბჭეთა შემკულობას ღრმა, პლასტიკური კვეთა ახასიათებს. შიგნითა ბაზისები და სვეტისთავები რელიეფური გამოსახულებებითა და ჩუქურთმებით იყო შემკული, კედელ-კამარებსა და იატაკს მოზაიკა ამკობდა (იატაკზე დღესაც მოჩანს მისი ფრაგმენტები, რომელიც ძალიან ჰგავს იშხნის ტაძრის იატაკის მოზაიკას) (ნახ. 8. შემორჩენილი ძველი იატაკის მოზაიკა). სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია ფრესკის კვალი – ღვთისმშობლის გამოსახულება. ტაძრის ინტერიერსა და ეზოში აწყვია ქვაზე ნაკვეთი, რელიეფებითა და ორნამენტით შემკული დეტალები და ფრაგმენტები, რომლებიც ტაძრის შიგა კედლებსა და ფასადებს ამშვენებდა. ბაგრატის ტაძრის დახვეწილი პროპორციები, გარე მასების ჰარმონიულობა, გრანდიოზული შიგა სივრცე, ფასადების კომპოზიცია,



ნახ. 4

მრავალფეროვანი მორთულობა და რთული ტექნიკური ამოცანების დაძლევა მოწმობს შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის მაღალ დონესა და მშენებლების ოსტატობას. ბაგრატის ტაძარი უამრავჯერ იქნა დანგრეული და იავარქმნილი მომხვდური მტრების მიერ (ნახ. 9. ბაგრატის ტაძარი რესტავრაციამდე), თუმცა ყოველთვის ხდებოდა მისი აღდგენა (ნახ. 10. განახლებული ბაგრატის ტაძრის გუმბათის ფრაგმენტი).

XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით, მოხდა ტაძრის სრული რეაბილიტაცია და დიდებული ბაგრატის ტაძარი კვლავ ამაყად გადაჰყურებს ქუთაისსა და მთელ საქართველოს უქიმერიონის გორიდან, როგორც განვითარებული შუა საუკუნეებიდან დღემდე, გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო.

1994 წელს ბაგრატის ტაძარი გელათის მონასტერთან ერთად შეტანილ იქნა UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, მაგრამ 2017 წელს, ძეგლის რესტავრაციისას დაშვებული გადაცდომების გამო, სიიდან ამოიღეს.



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10

ბადახში (ლალი) – წითელი ფერის ძვირფასი ქვა, რომელიც მოიპოვება ტაჯიკეთისა და ავღანეთის მომიჯნავე რეგიონის ბადახშანის ტერიტორიაზე. საქართველოში ძველთაგან დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რასაც მოწმობს ბადახშის ქვებით შემკული ძველი ქართული ნივთები.

ბადე – ერთგვაროვანი უჯრედოვანი სისტემა, ბრტყელი მეჩხერქსოვილი ან წნული მავთულოვანი ნაკეთობა, რომელიც გამოიყენება ფხვიერი მასალების დასახარისხებლად ზომის (სისხოს) მიხედვით ან მათ გამოსაცალკევებლად სითხეებისა და აირებისაგან (ნახ. 1). არსებობს ბადის სხვადასხვა სახეები: ანაბეჭდების, აზბესტის, არმატურის, ასაწყობი ლითონის, ბოჭკოების, გოფრირებული, გრეხილი ლითონის, დამცავი, დისლოკაციური, თითბრის, კარბიდული, ლითონური, მაგროვებელი, მაეკრანებელი, მავთულის, მინის, მმართველი, მოქანავე, მრუდწირული, მფოლხავი, მცოცავი, ნაქსოვი ლითონის, საბათქაშე, სამიზნის, სანიველირო, საფილტრავი, სვეტების, შენადუღი, შენადუღი ლითონური, ჩამიწებული, ცემენტიტის, წნული ლითონის, ძაფებისა და სხვ.



ბადე არმატურის – რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში არმატურის ერთ-ერთი სახეობა (იხ. ბადე, ნახ. 1). ბადის ღეროების დიამეტრის მიხედვით არსებობს ბ. ა. მძიმე და მსუბუქი. მძიმეს მიეკუთვნება ბადე, რომელსაც აქვს ერთი მიმართულებით 12 მმ და მეტი დიამეტრის ღეროები; მსუბუქს – გრძივი და განივი მიმართულებით ღეროები 3-10 მმ დიამეტრით. მუშა არმატურის განლაგების მიხედვით განასხვავებენ: ბადეებს მუშა არმატურით ერთი მიმართულებით და გამანაწილებელი არმატურით მეორე მიმართულებით და ბადეებს, მუშა არმატურით ორივე მიმართულებით. მზადდება ბ. ა. შემდეგი ტიპის: 1) მძიმე, მუშა არმატურით გრძივი მიმართულებით, რომლის დიამეტრი მეტია გამანაწილებელი არმატურის დიამეტრზე; 2) მძიმე, მუშა არმატურით ორივე მიმართულებით; 3) მძიმე, მუშა არმატურით განივი მიმართულებით, რომლის დიამეტრი მეტია გამანაწილებელი არმატურის დიამეტრზე; 4) მსუბუქი, განივი ღეროებით ბადის მთელ სიგანეზე; 5) მსუბუქი,

შერეული განივი ღეროებით. ღეროების ერთმანეთთან გადაბმა ხდება წვრილი მავთულის ნასკვით ან შედუღებით.

ბადე მრგვინავი – იხ. ბადე ცხავის.



ბადე მინაბოჭკოს – მინის ბოჭკოსგან დამზადებული ბადე. გამოიყენება მაარმირებელ მასალად კედლების შიგა და გარე საბათქაშე სამუშაოებისათვის, თხევადი იატაკების მოსაწყობად, ღრეჩოების შესავსებად ჭერზე, კედლებზე შეფითხვნის და სამღებრო სამუშაოების დაწყებამდე, თაბაშირმუყაოს პირაპირების შესავსებად, თვითწებვადი ლენტის დასამზადებლად ნავთობ- და აირსადენების, რეზერვუარების, ტევადობების იზოლაციისათვის. მზადდება რულონების სახით (ნახ. 1), შეფუთული ქაღალდში ან პოლიეთილენის აფსკში.

ბადე მოდულური – სიბრტყეზე განლაგებული საკოორდინაციო ღერძების ერთობლიობა.

ბადე რაბიცა (ბერჰარდის ბადე) (გერმ. *Rabitzgewebe* გერმანელი გამომგონებლის კარლ რაბიცას სახელის მიხედვით) – ლითონის წნული ერთმაგი ბადე ფოლადის მავთულისაგან ერთჯერადი გადახლართვით (ნახ. 1). უჯრედის ფორმის მიხედვით განასხვავებენ რომბულს (რომბის მახვილი კუთხე 60°) და კვადრატულს. ზედაპირის მიხედვით – საფარვლის გარეშე, მოთუთიებული მავთულისაგან, პოლიმერული საფარვლით. გამოიყენება ტერიტორიის შემოსაღობად, თბოსაიზოლაციო სამუშაოებში, ნაპირსამაგრ ნაგებობებში, შახტებსა და საბადოებში სამთო გამონამუშევრების გასამაგრებლად, მდინარეების ნაპირებზე ჯებირების მოსაწყობად და სხვ. მომხმარებელს მიეწოდება დახვეული რულონების სახით (ნახ. 2).





ბადე ფასადის – სამშენებლო ბადე დამზადებული ბრტყელი დეფიბრილებული პოლიეთილენის ძაფებისაგან, რომლებსაც მინიჭებული აქვს ულტრაიისფერი სხივებისადმი მდგრადობის უნარი (ნახ. 1; ნახ. 2). გამოირჩევა ქიმიური მდგრადობით ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ, ეკოლოგიურად სუფთაა და ადვილად ჭრადია. გამოიყენება სამშენებლო ობიექტებზე სიმაღლიდან სამშენებლო ნარჩენების, ინსტრუმენტების, ნაგავის ჩამონაცვენებისაგან ტერიტორიის დასაცავად, სარესტავრაციო და მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოებისას სამუშაო ზონის იზოლირებისათვის, მშენებარე ობიექტისათვის ესთეტიკური სახის მისაცემად, სპორტული მოედნების დროებითი შემოღობვისათვის (სამთო-სათხილამურო ტრასა, ჩოგბურთის კორტი, გოლფის მოედანი) და სხვ.



ნახ. 1



ნახ. 2

ბადე შენადუღი – სამშენებლო ბადის სახეობა, რომელიც დამზადებულია ერთმანეთთან შედუღებული, ურთიერთმართობულად განლაგებული მოთუთიებული მავთულებისაგან (ნახ. 1). დასამზადებლად გამოიყენება სპეციალური დაზგა წერტილოვანი შედუღებისათვის. მასალად ძირითადად გამოიყენება მცირედ ლეგირებული ფოლადის მავთული დიამეტრით 10 მმ-მდე. გამოყენების სფერო: ბეტონის ფილების წარმოება, საგზაო სამოსი, კედლების მობათქაშება, ქვის წყობა, მინის წარმოება, იატაკები, ფრინველების, ცხოველების გალიები და ვოლიერები, ღობეები, სავენტილაციო ხვრელები, წყალსაწრეტები, გაბიონები და სხვ.



ნახ. 1

ბადე ცხავის (მგრგვინავი) (რუს. грохотная сетка) – სამშენებლო ბადის სახეობა, რომელიც დამზადებულია ურთიერთგადახლართული მსხვილი არმატურის ღეროებისაგან (ნახ. 1). გამოიყენება ვიბროსაცრებში, ქვასამსხვრევებში, შავი და ფერადი მადნების დასახარისხებლად, შენობათა ფასადებზე წინაფრების მოსაწყობად ტროტუარებზე ხალხის უსაფრთხოებისათვის, შემომზღუდავი კონსტრუქციებისა და ღობეების მოსაწყობად და სხვ.



ნახ. 1

ბადელეიტი (ინგლ. baddeleyite<ინგლისელი გეოლოგის ჟოზეფ ბადელის სახელის მიხედვით) – უბრალო ოქსიდების ქვეკლასის მინერალი, ცირკონიუმის ორჟანგი. აპატიტებისა და მაგნეტიტების საბადოს ტიპური წარმომადგენელი. ქიმიური ფორმულა – ZrO_2; დნობის ტემპერატურა – 2700°C; ფერი: უფერო, ყვითელი, მწვანე, მოწითალო-ყავისფერი, ყავისფერი, შავი. გამოიყენება ნედლეულად კერამიკულ მრეწველობაში, აგრეთვე ცეცხლგამძლე საშენი მასალების წარმოებაში



ნახ. 1



ბადია – 1. ქუსლიანი დიდი ჯამი, საწვნე ჭურჭელი; 2.

სამთო საქმეში – ჭურჭელი, რომელსაც იყენებენ ჭაურებისა და შურფების გაყვანისას ტვირთის ჩასაშვებად და ამოსატანად; 3. მაღალი სიმტკიცის ფოლადისაგან დამზადებული ჭურჭელი (ბუნკერი), რომელიც გამოიყენება ბეტონისა და სამშენებლო დუღაბის მისაწოდებლად მაღლივ მშენებლობაზე, აგრეთვე ჩვეულებრივ სამშენებლო ობიექტებზე. არსებობს ორი სახის: შვეული (ნახ. 1) და საბრუნი (ნახ. 2). საბრუნი ბადიის შევსება ბეტონით ხდება ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ხოლო ტრანსპორტირება – შვეულში. ის საშუალებას იძლევა მიეწოდოს ბეტონი ადგილზე მიმართულად და თანაბრად, ადვილად რეგულირდება დახრა, შესაძლებელია მისი გამოყენება დაბალი სიმაღლის სართულებზე და სხვ., ხოლო შვეული ბადია გამოიყენება დიდი რაოდენობის ბეტონის მისაწოდებლად; შევსება წარმოებს ზევიდან, დაცლა – ქვედა სპეციალური ხვრელიდან, რომელიც აღჭურვილია საბრუნი ღარით.

ბადიმი – ღვინის ჭურის ხის სარქველი, პირსაფარი, რომელზედაც დაიგლისება აზელილი აყალო მიწა. დასამზადებლად გამოიყენება ნაძვი, ცაცხვი, წიფელა ან თელა. ბ. სამი სახისაა: მთლიანი (შედარებით პატარა ჭურებისათვის), ორნაწილიანი და შედგენილი რამდენიმე ფიცრისაგან. ყველა ტიპის ბადიმს შუაში ნახვრეტი აქვს მაჭრის დუღილისას ჰაერის გამოსასვლელად.

ბადისახე – 1. ძვ. რკინის ფანჯარა; 2. ფანჯარაზე დამონტაჟებული, სხვადასხვა დანიშნულების, ლითონის, პლასტმასის, ხის და სხვ. ბადე.

ბადისებრი ნახჭი (მოხატულობა) – განმეორებადი ორნამენტული მოტივი, უმეტესად რომბული.

ბადური (კუთხ. მეგრ.) – ჭერის ბადისებრი სამაგრი; კედლის ფიცრების შემკვრელი შვეული ფიცარი, რომლის დახმარებითაც იგება კედელი.

ბავენიტი [ინგლ. bavenite<ადგილ ბავენოს (პიემონტი, იტალია) სახელის მიხედვით] – შედარებით იშვიათი მინერალი, ბერილიუმის ალუმინსილიკატი. შედის ბერილიუმის პოლიმინერალურ საბადოებში. ქიმიური ფორმულა – $Ca_4[Be_2Al_2Si_9O_{26}](OH)_2$; ფერი – თეთრი, მწვანე, მოვარდისფრო, ყავისფერი; სიმკვრივე – 2700 კგ/მ^3.

ბაზა (ბაზისი) (ბერძ. básis ფუძე, საყრდენი, კვარცხლბეკი) – 1. კლასიკურ არქიტექტურაში სვეტის, კოლონის, პილასტრის, პილონის ქვედა დაპროფილებული ან ბრტყელი საყრდენი ნაწილი (ნახ. 1. სვეტის ბაზა; ნახ. 2. რომის პანთეონის კოლონის გრანიტის ბაზა, ქ. რომი, იტალიის რესპუბლიკა); 2. სხვადასხვა სამშენებლო კონსტრუქციის საყრდენი ნაწილი (მაგ., თაღის ბაზა); 3. რაიმეს საფუძველი, ძირი; 4. საბაზო ზედაპირი დეტალის მექანიკური დამუშავებისას; 5. თვლებიან ორღერძიან სატრანსპორტო საშუალებებში მანძილი წინა და უკანა ღერძებს შორის; 6. მონაცემთა ბაზა, მონაცემთა მოწესრიგებული ერთობლიობა, რომელიც ინახება, გროვდება და შემდგომ დამუშავდება ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში; 7. სპეციალური თავმოსაყრელი ადგილი ან დასაყრდენი პუნქტი, მასზე განლაგებული იარაღით, საბრძოლო მასალითა და სურსათის მარაგით (მაგ., ტურისტული ბაზა, სამხედრო ბაზა); 8. საწყობი; საქონლის, სურსათის, მასალის შესანახი ადგილი; 9. საზოგადოებრივ-წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც მოცემული საზოგადოების ზედნაშენის წარმოშობის საფუძველია.



ნახ. 1



ნახ. 2

ბაზაკლოს ტუფის საბადო – ტუფის საბადო დმანისის რაიონში, 67 კმ-ის დაცილებით რაიონული ცენტრიდან, 1500 მ–ის სიმაღლეზე. შემცხვარი ტუფი სხვადასხვა შეფერილობისაა: მონაცრისფერო-მომწვანო, მოყავისფრო-მოიისფრო, მუქი ყავისფერი და ა.შ. პროდუქციის გამოსავალი მთის მასივიდან შეადგენს 36,5%. მის შემადგენლობაში შედის სილიციუმის, ალუმინის, რკინის, ტიტანის, კალციუმის, მანგანუმის, ფოსფორის, ნატრიუმის, კალიუმისა და გოგირდის ჟანგეულები. ბუნებრივი ქვა კარგად მუშავდება. გაპრიალების შემდეგ იძენს გლუვ ზედაპირს. მოცულობითი მასა – 1900-2900 კგ/მ^3; წყალშთანთქმა – 1,27-9,20%; ფორიანობა – 0,5-0,6%. სიმტკიცე კუმშვაზე: მშრალ მდგომარეობაში – 631-1416 კგ/სმ^2; წყალგაჟღენთილ მდგომარეობაში – 573-1387კგ/სმ^2; გაყინვა-გალღობის 25 ციკლის შემდეგ – 505-1369 კგ/სმ^2; დარბილების კოეფიციენტი – 0,72-0,96; სიმკვრივე 750-1600 კგ/მ^3. გამოიყენება შენობების მოსაპირკეთებლად, აგრეთვე საშენ მასალად ბუნებრივი ქვის სახით.

ბაზალტი (ლათ. basaltes, basanites<ბერძ. basanos სასინჯი ქვა, რკინისშემცველი ქვა) – ფართოდ გავრცელებული კაინოტიპური (საღი) შავი ფერის ფუძევულკანური ქანი. ძირითადი კომპონენტია სილიციუმის დიოქსიდი: SiO_2, სიმკვრივე 2,24 გრ/სმ^3. მედეგია მჟავების და ტუტეების მიმართ. ჩვეულებრივ ბ. ამა თუ იმ რაოდენობით გვხვდება ვულკანური მინა. ბ. მინით მდიდარ სახესხვაობას ჰიალობაზალტი ეწოდება, ხოლო სრულკრისტალურს და რამდენადმე მსხვილმარცვლოვანს – დოლერიტი. ბ. ადვილად ღღვება. ღღობილ ბაზალტს



იყენებენ მჟავაგამძლე ქიმიური აპარატურის, მილების, ძლიერი დენის ელექტროიზოლატორების დამზადებისათვის და სხვ. ნორმალური რიგის ბაზალტში ორ ტიპს გამოყოფენ: ოლივიანიანს და უოლივინოს, ანუ ტოლეიტურს. ბ. კარგი საშენი მასალაა (ნახ. 1). იყენებენ ღორღისა და საცალო (ბორდიურის) ქვის დასამზადებლად, ასევე ნაგებობათა მოსაპირკეთებლად; მკვრივია, კარგად იხეხება, რის გამო მას ძველი დროიდან (ეგვიპტე, ასურეთი, გვიანდელი რომი, ბიზანტია) იყენებდნენ ქანდაკებებისათვის. საქართველოში საშენ ქვად ბაზალტს ძველთაგანვე ხმარობდნენ (ბრინჯაოს ხანის მეგალითური ნაგებობანი). შუა საუკუნეების ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში ძირითადი საშენი ქვა ბაზალტი იყო. ბაზალტითაა აგებული სამშვილდისა და დმანისის ციხესიმაგრეები, მანგლისის ტაძარი, რუისის, წუნდის, აბელიის ეკლესიები, თირის მონასტერი, ნადარბაზევის კომპლექსი და სხვ. ბ. ამზადებდნენ ეკლესიათა და სხვა

ნაგებობათა სახურავის ფილებს. საქართველოში გავრცელებული შედარებით ძველი (იურული, ცარცული, პალეოგენური) ბ. (ბაზალტური პორფირიტები) ცნობილია მთიან აფხაზეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმ-იმერეთსა და აჭარა-გურიაში; ახალგაზრდა ბ. (ზედამესამეულ-მეოთხეული) გვხვდება სამხრეთ საქართველოში ასპინძა-ახალქალაქის, ნინოწმინდა-წალკისა და დმანის-თეთრი წყაროს რაიონებში. ბაზალტისაგან მიიღება საწარმოო ტექნოლოგიური საქსოვი ბოჭკო, უნიკალური ძაფი, რომელიც კარგი მდგრადობით გამოირჩევა. მისგან შეიძლება დამზადდეს კოროზიამედეგი არმატურა, ნებისმიერი სახის მილი, შიფერი, კრამიტი, მატარებლის ხუნდები, შვერილები და სხვ.

ბაზალტის ძაფი – ვულკანური ქანის ბაზალტისგან დამზადებული ძაფი. იწარმოება ბაზალტის ღორღის დნობით ღუმლებში მაღალ ტემპერატურაზე, რომლის შედეგად მიიღება ფაფის მსგავსი მასალა, საიდანაც გამოიწელება ბაზალტის ძაფი. ბ. ძ. შესაძლებელია ნებისმიერი ფორმისა და დანიშნულების კომპოზიტური მასალისა და კონსტრუქციის შექმნა, რომელიც 3-3,5-ჯერ უფრო მტკიცე და მსუბუქია, ვიდრე ფოლადის კონსტრუქციები. პირველ შემთხვევაში, თუ ფილები მოუხეშავი და მძიმეა, ძაფის დაწნეხვის შედეგად ნებისმიერი ფორმისა და ზომის ფილის დამზადებაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ბაზალტის ბოჭკო 300-დან 1000°C ტემპერატურამდე ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს არ იცვლის. ასეთი უნიკალური თვისებების გამო, მისი გამოყენების სფერო, პრაქტიკულად, შეუზღუდავია. გამოიყენება კოსმოსური თანამგზავრებისა და ხომალდების დასამზადებლად, სამშენებლო ინდუსტრიაში; ბაზალტის ძაფით შესაძლებელია არმატურისა და ნებისმიერი სახის მილის დამზადება. ხოლო იქ, სადაც დაარმირებულ ასფალტსა და ბეტონს ვიყენებთ, ბაზალტის ძაფი შეუცვლელია. ის ჩვეულებრივი არმატურისგან განსხვავებით, კოროზიამედეგია. საქართველო მდიდარია ვულკანური ქანის ბაზალტით და მისი წარმოება ქვეყნისათვის პერსპექტიულია.

ბაზანიტი (ბერძ. basanos სასინჯი ქვა, რკინისშემცველი ქვა) – ექსტრუზიული ვულკანური კლდოვანი მთის ქანი, რომელიც სიმაგრით გრანიტს ჩამოჰგავს. მინერალის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით შედის მინდვრის შპატი (ნეფელინი ან ლეიციტი), აგრეთვე პლაგიოკლაზი, ავგიტი, ოლივინი, რკინა-ტიტანის ჟანგეულები (ილმენიტი და მაგნეტიტი) და სხვ. გვხვდება კონტინენტებზე და ოკეანეების კუნძულებზე. უძველესი დროიდან გამოიყენებოდა რთული ფორმის ნივთებისა და ორნამენტების დასამზადებლად.

ბაზარზე განთავსება – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, პროდუქტის ბაზარზე პირველადი მიწოდება წარმოების, იმპორტის, იჯარის, ლიზინგის ან სხვა გზით, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის. ბაზარზე განთავსებად არ ითვლება შემთხვევა, როდესაც: ა) მწარმოებელმა პროდუქტი საკუთარ წარმომადგენლობას მიაწოდა; ბ) პროდუქტი მიწოდებულია შემდგომი დახვეწის (მაგ., აწყობის, შეფუთვის, გადამუშავების ან ეტიკეტირების) მიზნით; გ) პროდუქტი არ არის ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე; დ) პროდუქტი წარმოებულია ერთ ქვეყანაში მეორე ქვეყანაში ექსპორტის მიზნით; ე) პროდუქტი განკუთვნილია სადემონსტრაციოდ; ვ) პროდუქტი განთავსებულია ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე დასაწყობების მიზნით და არ არის ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის, თუ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დასაწყობებისათვის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბაზარი (ძვ. ქულბაქი) – 1. საბაზრო ეკონომიკაში აღწარმოების მთელი პროცესის მომცველი ფენომენი, ეკონომიკური სივრცე, სადაც თვითრეგულირების მექანიზმის საფუძველზე

ყალიბდება ურთიერთობა საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის; 2. საქონლის არსებულ და პოტენციურ მომხმარებელთა ერთობლიობა; წარმოების ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ფასების მექანიზმის საშუალებით უზრუნველყოფს წარმოებისა და მომსახურების ურთიერთობას. განვითარებულ საზოგადოებაში ბ. სულაც არ არის კონკრეტული ადგილი. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის თანამედროვე საშუალებათა მეშვეობით გარიგების განხორციელება ხდება მყიდველთან უშუალო კონტაქტის გარეშე. საქონლის რეალიზება და მყიდველამდე მიტანა ტრანსპორტირების მეშვეობითაა შესაძლებელი, ხოლო მყიდველთა შეკვეთების მიღება წარმოებს ტელეკომუნიკაციებისა და სხვა საინფორმაციო არხების მეშვეობით. ბ. მიიჩნევენ ხელშეკრულებასაც ყიდვა-გაყიდვის შესახებ; საქმიანი ოპერაციების ერთობლიობასაც; მოცემული საქონლის მწარმოებელ ქვეყანასაც (მაგ., კანადის მარცვლეულის ბაზარი) და ბოლოს ბ. საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მიწოდების და მოთხოვნის ადგილია. ბ. ახასიათებს 5 ძირითადი ნიშანი: 1) თავისუფალი შესვლა და თავისუფალი გასვლა; 2) ფასების თავისუფალი თამაში; 3) ბაზარზე მატერიალური, ფინანსური და ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება ნაკლებად მომგებიანიდან უფრო მომგებიან სივრცეში; 4) ბ. უნდა უზრუნველყოს პრაქტიკულად თანაბარი შესაძლებლობა; 5) თავისუფალ ბაზარზე გამორიცხულია რაიმე პრივილეგია გამყიდველთა რომელიმე ჯგუფისათვის, მით უფრო, ცალკეული გამყიდველისათვის. ეს მოდელი, იდეალური ბ. მოდელია, რომელიც დაფუძნებულია თავისუფალ კონკურენციაზე და თითოეული გამყიდველისა და მყიდველის ერთნაირ შესაძლებლობებზე და რომელიც პრაქტიკაში, სინამდვილეში არ არსებობს. ბ. მრავალი სახე არსებობს, ესენია: ადგილობრივი, არალეგალური, გაჯერებული, დეფიციტური, თავისუფალი, კონკურენტული, კონტროლირებადი, ლეგალური, ლოკალური, მსოფლიო, მონოპოლიური, მოჭარბებული, ნაციონალური, ოლიგოპოლიური, რეალური, რეგიონული, რეგულირებადი, საბითუმო, საერთაშორისო, სამუშაო ძალის, საქონლის, საფინანსო, საცალო, შავი, შერეული, ჩაკეტილი, წონასწორული და სხვ. ანსხვავებენ ასევე მომწოდებლისა და მომხმარებლის ბაზარს.

ბაზარი გამყიდველის – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მოთხოვნა აღემატება მიწოდებას, მონოპოლიზმის მაღალი დონე მონოპოლიურ ფასებს წარმოქმნის და ბაზრის კონტრაჰენტებს თავს ახვევს სამეურნეო ხელშეკრულებათა დისკრიმინაციულ პირობებს.

ბაზარი ვალუტის – მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ვალუტებისა და უცხოურ ვალუტებში გამოხატული საგადასახადო დოკუმენტების – ჩეკების, თამასუქების, აკრედიტივებისა და ა.შ. ყიდვა-გაყიდვას. ეს პროცესი ხორციელდება ვალუტების გაცვლის ფორმით და მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დადგენილი კურსის შესაბამისად. ვალუტის ბაზარი, როგორც ინსტიტუციური მექანიზმი, ბანკების, სავალუტო განყოფილებების ერთობლიობაა. სავალუტო ოპერაციების ძირითად ნაწილს, ცენტრალური ბანკის ლიცენზიის საფუძველზე, ახორციელებს სავალუტო ბანკი.

ბაზარი თავისუფალი კონკურენციის – გამყიდველებისა და მყიდველების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ გარიგებებს მსგავსი სასაქონლო პროდუქტებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც არცერთი ცალკეული მყიდველი ან გამყიდველი არ ახდენს დიდ გავლენას მიმდინარე ფასების დონეზე.

ბაზარი ინვესტიციის – საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირებისა და საინვესტიციო საქონლის ყიდვა-გაყიდვის სფერო. ინვესტიციის ბაზარი ემსახურება

საინვესტიციო პოტენციალის მობილიზება-ორგანიზებას, საინვესტიციო საქონლის ფინანსურ, მატერიალურ და ინტელექტუალურ უზრუნველყოფას.

ბაზარი კაპიტალის – კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირების სფერო, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების აკუმულაციასა და გადანაწილებას, ძირითადი კაპიტალის მოძრაობას, ხელს უწყობს მოგების მაქსიმიზაციასა და ეკონომიკაში პროპორციების შენარჩუნებას. კაპიტალის ბაზარზე თავს იყრის სახელმწიფო და კერძო ფირმების ფულადი დანაზოგები, რომლებიც საკრედიტო საშუალებების სახით წარიმართება კვლავწარმოების განვითარებისათვის. ერთდროულად კაპიტალი თავმოყრილია კრედიტორის ხელში ფასიანი ქაღალდების სახით. ბ. კ. მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზარს, საშუალო და გრძელვადიანი კრედიტის ბაზარს, ვალუტის ბაზრის განსაზღვრულ ნაწილს და ინვესტიციის ბაზარს. ბ. კ. სცილდება ცალკეული ქვეყნების საზღვრებს და მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ბაზარი კონკურენტული – ბაზარი, სადაც მრავალი წვრილი გამყიდველი და მყიდველია. ისინი ახორციელებენ თავიანთ ოპერაციებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და არ შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ ფასზე.

ბაზარი ლიკვიდური – ბაზარი, სადაც გარიგებები ყიდვა-გაყიდვის შესახებ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ხორციელდება.

ბაზარი მეორეული – მიმოქცევაში გაშვებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ან ყიდვა დილერების ან ბროკერების მიერ.

ბაზარი მომსახურების – მატერიალური და არამატერიალური მომსახურების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა. ეკონომიკურ ურთიერთობებში მომსახურების მრავალი სახე გამოიყენება. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მისი ისეთი სახეები, როგორიცაა ნოუ-ჰაუ და სალიცენზიო მომსახურება, ინჟინირინგი, ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეიტინგი, სატრანსპორტო, ტურისტული, სადაზღვევო მომსახურება და სხვ.

ბაზარი მყიდველის – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მიწოდება აღემატება მოთხოვნას, რის გამოც ფასი ეცემა.

ბაზარი საფრახტო – სატრანსპორტო პროდუქციის მიმოქცევის სფერო. არსებობს ღია და დახურული ბ. ს. ღია ბაზარზე საზღვაო გადაზიდვის ფასი მსოფლიო ფასს უთანაბრდება და თავისუფლად წესდება მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებადობის გავლენით. მის წილად მოდის საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვის მოცულობის არაუმეტეს 10-15%-ისა. ტვირთის დანარჩენი რაოდენობა გადაიზიდება დახურული საფრახტო ბაზრის მეშვეობით, რომელიც დაცულია ღია ბაზრის ზემოქმედებისაგან სპეციალური სახელმწიფო აქტებით.

ბაზარი საქონლის – მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა. იგი მოიცავს წარმოების საშუალებებისა (შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, დანადგარები, ნედლეული, სათბობი და სხვ.) და საბოლოო მოხმარების საგნების (ყოველდღიური, ხანგრძლივი მოხმარების) ფართო სპექტრს და, შესაბამისად, იყოფა ცალკეულ, უფრო ვიწრო ბაზრებად.

ბაზარი სახელმწიფო დაწესებულებების – ფედერალური მთავრობის ან ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციები, რომლებიც არენდით ან შესყიდვით იძენენ საქონელს თავისი ძირითადი ფუნქციის ძალაუფლების განსახორციელებლად.

ბაზარი ფასიანი ქაღალდების – ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სფერო, რომლის საშუალებითაც ხდება საწარმოთა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებისა და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაცია ეკონომიკაში ინვესტირებისათვის.

ბაზარი ფიასკო – სიტუაცია, რომლის დროსაც ბაზარს არ ძალუძს ეკონომიკურ არჩევანთან დაკავშირებული პროცესების იმგვარად კოორდინირება, რომ უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

ბაზარი შრომის – სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სისტემა, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. მასზე უშუალოდ აისახება ეკონომიკური რეფორმის ძირითადი შედეგები. შრომის ბაზარი უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას. მისი ძირითადი ფუნქციაა წარმოებისა და მომსახურების სფეროების შესაბამისი ადამიანური რესურსებით დროული და ოპტიმალური უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის ფუნქციონირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები განსხვავებული ხასიათისაა (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური) და შრომის ბაზარზე მათი გადაკვეთით გარკვეულწილად ფოკუსირდება ქვეყანაში არსებული ვითარება.

ბაზარი შუალედური გამყიდველების – პიროვნებებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლების შეისყიდიან საქონელს სხვა მომხმარებელზე გაყიდვისათვის ან არენდით გადასაცემად სარგებლის მიღების მიზნით.

ბაზარი ჩაკეტილი – ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მყიდველის კურსი გამყიდველის კურსს უტოლდება.

ბაზარი ცალმხრივი – ბაზარი, სადაც მხოლოდ მყიდველის კურსის კოტირება ხდება.

ბაზილიკა (ბერძ. basilikē მეფის სახლი) – 1. წაგრძელებული, გეგმით მართკუთხედის ფორმის შენობა, ან ბოძების (სვეტების) რიგებით დაყოფილი სამ ან ხუთ გრძივ ნაწილად (ნავად). აფსიდით დაბოლოებული შუა ნავი ცალფერდა სახურავებით გადახურულ გვერდითა ნავებზე განიერი და მაღალია. სინათლე შემოდის მისი კედლების ზედა ნაწილში დაყოლებული სარკმლებიდან (ნახ. 1). ადრინდელ ქრისტიანულ ბაზილიკას ხშირად დასავლეთი მხრიდან ეკვრის დიდი, გეგმით მართკუთხა ატრიუმი. ატრიუმსა და ძირითად ეკლესიას შორის, შესასვლელის წინ, მოთავსებულია ნართექსი; ხოლო საკურთხევლის აფსიდსა და ნავებს (ნეფებს) შორის განივი ნავი – ტრანსეპტი. რომაულ და ადრინდელ ქრისტიანულ ბ. გამოყენებული იყო ხის ნივნივებიანი ღია გადახურვა, რომელიც მოგვიანებით კამაროვანი გადახურვით შეიცვალა. ბ. ძველ საბერძნეთში უწოდებდნენ კარიბჭეს, სადაც სხდომებს ატარებდა ათენის არქონტი – ბაზილევსი, ძველ რომში – სასამართლოსა და სავაჭრო გარიგებათა შენობას (პორციუსის ემილიუსის,



იულიუსის, ულპიუსის, მაქსენციუსის ბაზილიკები). შემდეგში ბ. გახდა ადრინდელ ქრისტიანულ ტაძრის ძირითადი ტიპი (ნახ. 2. ბაზილიკა, ქ. ფლორენცია, იტალიის რესპუბლიკა). ის განვითარებული სახით გვხვდება ბიზანტიურ, რომანულ, გოტიკურ, აგრეთვე, აღორძინების ხანის ბაროკოს ხუროთმოძღვრებაში. ელინისტურ ქალაქებში საზოგადოებრივი ბაზილიკები ძვ. წ. მე-2 საუკუნიდან ჩნდება. რომის იმპერიის გაქრისტიანების შემდეგ ტერმინის მნიშვნელობა განივრცო და მიუთითებს ვრცელ, მნიშვნელოვან ეკლესიაზე, რომელსაც პაპის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის რელიგიური ცერემონიების ჩატარების უფლება მიეცა. ეს უმაღლესი და უმნიშვნელოვანესი სალოცავი ადგილებია წმინდა რომის კათოლიკურ ეკლესიაში, რომელსაც შემდეგ იერარქიით მოჰყვება საკათედრო ტაძრები, ეკლესიები და ბოლოს კაპელები. შესაბამისად, ეს სიტყვა დღეს ინარჩუნებს ორმაგ მნიშვნელობას – არქიტექტურულსა და ეკლესიასტიკურს. საქართველოში ბ. გავრცელებული იყო უმეტესად ადრინდელ ფეოდალურ ხანაში. ქართულ ბ. არ აქვს ატრიუმი, ნართექსი და ტრანსეპტი. კონსტრუქციულად დამახასიათებელია კამაროვანი გადახურვა, მასიური ბოძები ან თაღები, საშენ მასალად გამოყენებულია ქვა, საქართველოში შემუშავდა აგრეთვე ბ. თავისებური ვარიანტი, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა სამეკლესიანი ბ. უწოდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ბაზილიკები (ბოლნისის სიონი, ურბნისი, ხაშმი, ანჩისხატი, წყაროსთავი და სხვ.) V-VI საუკუნეებს განეკუთვნება; 2. არქიტექტურული სტილი, უგუმბათო ნაგებობა.



ბაზილიკური შენობა – გრძივ ნაწილებად (ნავებად) გაყოფილი შენობა, რომელთაგან შუა შედარებით მაღალია და ნათდება მის ზედა ნაწილში მოქცეული სარკმლებით.

ბაზისი (ბერძ. basis ფუძე, საფუძველი) – იხ. ბაზა.

ბაზისის ლილვი – არქიტექტურული ნატეხი, რომელიც მოთავსებულია სვეტის (კოლონის) ან კედლის ცოკოლის თავზე.

ბაზისური მეთოდი – ლოკალური ხარჯთაღრიცხვის შედგენის მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთეული ფასდებების კრებულები და ლოკალური ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომენტისათვის არსებული ინფლაციის კოეფიციენტი ან ინდექსი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სტატისტიკის სამსახური ყოველთვიურად აქვეყნებს.

ბაზისური მომსახურება – მომსახურების სახე, რომელიც აკმაყოფილებს მყიდველის (დამკვეთის) ძირითად მოთხოვნებს (მაგ., სანარდო სამშენებლო ორგანიზაციის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების ხარისხიანი და დროული შესრულება). ორგანიზაციას შეუძლია დამკვეთს შესთავაზოს, ბაზისურის პარალელურად, სხვა დამატებითი მომსახურებაც, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს.

ბაზისური ფასი – საქონლის ყველაზე დაბალი გასაყიდი ფასი.

ბაზიტი – იგივეა, რაც ფუძე, ქანი.

ბაზმა – ზეთის პატარა სანათი; ლამპარი.

ბაზო – ჩარჩო, რომელშიც რაიმეს დეტალია ჩასმული (მაგ., კარის ბაზო, ფანჯრის ბაზო და სხვ.).

ბაზრის სეგმენტი – მომხმარებელთა ჯგუფი, რომელიც ერთნაირად რეაგირებს მარკეტინგულ ქმედებებზე.

ბაზრობა – სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების, კომერსანტების, მწარმოებლების, ცალკეული პირების პერიოდული თავშეყრის ადგილი, ძირითადად, საქონლის გამოფენილი ნიმუშების მიხედვით საბითუმო გაყიდვისა და ყიდვისათვის.

ბათიალური (ბერძ. bathos ღრმა) – ის, რაც მიეკუთვნება მსოფლიო ოკეანის ღრმა ნაწილს, ანუ რაც დევს (არსებობს) მატერიკებსშორის შელფსა და აბისალურ ზონას შორის.

ბათიალური არე (ინგლ. batial area<ბერძ. bathos სიღრმე) – ოკეანის, ზღვის სიღრმე 200-დან 2000 მ-მდე.

ბათილამა – გაუქმების წიგნი, ხელწერილი; ვალდებულების რაიმე გზით განაღდების საბუთი.

ბათილი – ძალადაკარგული, გაუქმებული.

ბათიმეტრია (ბერძ. bathos სიღრმე და métron გაზომვა) – 1. წყლის სიღრმის გაზომვა; 2. წყლის აუზების (ოკეანე, ზღვა, წყალსაცავი, მდინარე და სხვ.) წყალქვეშა ნაწილის რელიეფის შესწავლა ბათიმეტრიული გადაღებების საფუძველზე, ანუ ბ. არის წყალქვეშა ტოპოგრაფიის ან ჰიპსომეტრიის ეკვივალენტი.

ბათისკაფი (ბერძ. bathos სიღრმე და skaphē მცურავი ცეცხლი) – თვითმავალი წყალქვეშა აპარატი ოკეანოგრაფიული და სხვა სახის კვლევებისათვის დიდ სიღრმეებზე.

ბათისფერო (ბერძ. bathos სიღრმე და sphaira სფერო, ბირთვი) – წყალქვეშა დაკვირვებისათვის განკუთვნილი ფოლადის სფერული კამერა.

или удален. Убедитесь, что ссылка указывает на правильный файл и верное размещение.

ბათმანი (თურქ. Batman) – ფიცრებისაგან შეკრული ცილინდრული ფორმის მარცვლეულის საწყაო მასის ერთეული (ნახ. 1). საქართველოში შემოსულია ირანიდან. ირანული ბათმანი უდრიდა 3კგ, ხოლო ოსმალური 7,3 კგ. ეთნოგრაფიულ ყოფაში მარცვლეულის საწყაოდ ხმარობდნენ ხის ჭურჭლებს, რომლებშიც გარკვეული რაოდნეობის ბათმანი ჩაეტეოდა. აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში თავად ჭურჭელმაც ბათმანის სახელწოდება მიიღო.

ბათოლითები (ბერძ. bathos სიღრმე და lithos ქვა) – 1. სიღრმული მაგმური ქანების განლაგების ფორმა; 2. დედამიწის ღრმა ფენებში დალექილი გრანიტული სამთო ქანების დიდი მასივი.

ბათომეტრი (ბერძ. bathos სიღრმე და métron გაზომვა) – ამა თუ იმ სიღრმიდან ამოღებული წყლის სინჯის საკვლევი ხელსაწყო.

ბათუმის საკათედრო ტაძარი (ინგლ. Batumi Cathedral) – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ბათუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ქ. ბათუმის ცენტრალურ ნაწილში. ტაძარი შენდებოდა 1898-1903 წლებში მოქალაქეთა შემოწირულობების ხარჯზე. დღეისათვის ეს მართლმადიდებლური ტაძარი, თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც კათოლიკური ეკლესია, ამიტომ იგი აგებულია გვიანი გოტიკის სტილში (ნახ. 2. საერთო ხედი). 1998 წლიდან ტაძარი ემსახურება ქართულ მართლმადიდებელ მრევლს. იგი თავისი ვიტრაჟული გოტიკური სარკმლებით, სკულპტურული კომპოზიციებით, ცეცხლოვანი დეკორაციებითა და ინტერიერით (ნახ. 3. ინტერიერი) არა მარტო ბათუმის, არამედ მთელი საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ტაძრის მშენებლობის დამთავრებაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მეცენატს სტეფანე ზუბალაშვილს.



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3

ბათქაში – განსაკუთრებული ხსნარით (წყალში გახსნილი გაჯი ან ქვიშისა და კირის ნარევი) შელესილი შრე ჭერის, კედლის, ტიხრისა და სხვა ზედაპირების მოსაპირკეთებელად (ნახ. 1). გამოიყენება გლუვი ან რელიეფური ზედაპირის მისაღებად. მისი დანიშნულებაა კონსტრუქციების დაცვა ტენის, გამოფიტვისა და ცეცხლისაგან, აგრეთვე ჰაერშეღწევადობისა და ბგერაგამტარობის შემცირება. ბათქაშის მრავალი სახეობა არსებობს: აკუსტიკური,

ბრტყელი, გაჯის, გლუვი, გრანიტის, ვარცხნილი, თბილი, კირის, მარმარილოს, მქისე, მშრალი (ზედაპირზე აკრავენ ქარხანაში წინასწარ დამზადებულ მოსაპირკეთებელ ფურცლებს), ნაშხეფი, სველი (ზედაპირი შელესილია საბათქაშე ხსნარით), სუფთა, სხმული, ფერადი, ცემენტისა და სხვ.

ბათქაში მინერალური – ბათქაში, რომლის შემადგენლობაში შედის: პორტლანდცემენტი, კირის ჰიდრატი, ფხვიერი (ან მარცვლოვანი) მარმარილო (ან სხვა მინერალური მასალა, მაგ., გაბრო, გრანიტი, ქვიშაქვა, მდინარის ხრეში და სხვ.) და მსუბუქი ბუნებრივი შემავსებელი (ტუფი, ნიჟარქვა, ვულკანური წიდა და მისთ.). გამოიყენება სამშენებლო შიდა და გარე საფარის (ქვა, აგური, ბლოკი, ბეტონი) მობათქაშებისა და მოსწორებისათვის, აგრეთვე კედლების ასაშენებლად. მინერალური ბათქაშის სახეებია: ქურქი (ნახ. 1), ლაფნიჭამია (ნახ. 2), ბაირამიქსი (მარმარილოს შემავსებელზე) (ნახ. 3), ვენეციური (ნახ. 4), დეკორატიული (ნახ. 5), კერამიკული (ნახ. 6), თიხოვანი, ანტრაციტიანი, მარმარილოს (ნახ. 7), ღრმაფაქტურული (ნახ. 8), საშუალოფაქტურული, წვრილფაქტურული, ნაშხეფი (ნახ. 9), კენჭებიანი (ნახ. 10) და სხვ.



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10

ბათქაში მოზაიკური დეკორატიული – ბათქაში, რომელშიც შემავსებლად გამოყენებულია მარმარილოს, კვარცის, მალაქიტის ან ლაზურიტის ნაფხვენი, ხოლო შემკვრელად –

აკრილური ფისები (სინთეზური ფისები მირებული აკრილური ან მეტაკრილური მონომერების პოლიმერიზაციით ან თანაპოლიმერიზაციით) მარკით: ESW 60-20, ESW 60-5, CA–60SA/12C, AK–50X/60C, XF10, XF15, XF25, XF70, Crystic Stonecast R935PA (პოლიეთერული ფისი აკრილური მოდიფიკაციის), CRYSTIC 406 PA V0.1 და სხვ. იგი წარმოადგენს აკრილური ფისისა და ქვის ნაფხვენის ნარევს დაფასოებულ მდგომარეობაში. ასეთი მასალით შესაძლებელია მივიღოთ უნიკალური კომპოზიციები კედლის ზედაპირების და ინტერიერების მოსართავად (ნახ. 1. მოზაიკური ბათქაში (მარმარილოს ნაფხვენით) ცნობილი იყო, ჯერ კიდევ, ძველ რომსა და საბერძნეთში, სადაც მას იყენებდნენ ტაძრებისა და სასახლეების გასამშვენიერებლად. შემდეგ იგი ფართოდ გავრცელდა ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ბ. მ. დ. შემავსებელი მარცვლების ზომის მიხედვით შეიძლება იყოს: თხელფაქტურული (ნახ. 1), წვრილფაქტურული (ნახ. 2), საშუალოფაქტურული (ნახ. 3) ან მსხვილფაქტურული (მითითებულია შეფუთვაზე) (ნახ. 4). მარცვლების ზომებზე დამოკიდებულია არა მარტო მიღებული ზედაპირის სახე, არამედ მასალის ხარჯი, რაც მეტია მარცვლების ზომა, მით მეტია ბათქაშის ხარჯი. მსხვილფაქტურული ბათქაშის გამოყენება რეკომენდებულია შენობის ფასადებისა (ნახ. 5. სახლის ფასადის მოპირკეთება მოზაიკური ბათქაშით) და ცოკოლის სართულების (ნახ. 6. ცოკოლის სართულის მოპირკეთება მოზაიკური ბათქაშით) მოსაპირკეთებლად. ზოგადად, მოზაიკური ბათქაში უპირატესად გამოიყენება არასაცხოვრებელ სათავსებში (სააბაზანო, დერეფანი, ჰოლი, კიბის უჯრედი და სხვ.) (ნახ. 7. მოზაიკური ბათქაში თაღებისა და ღიობების მოსართავად; ნახ. 8. ფაქტურული დეკორატიული ბათქაში).



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8

ბათქაში პოლიმერული – ბათქაში, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ელასტიკური მასალა – პოლიურეთანი, ეპოქსიდური ფისი ან აკრილი. მისი ძირითადი სახეებია: აკრილური (ნახ. 1), სილიკონური (ნახ. 2), სილიკატური (ნახ. 3) და სილოქსანური (ნახ. 4). მზადდება წყალზე (აკროლური, პოლივინილაცეტატური, ბუთან-სტირენული) ან უწყლოდ



ნახ. 1



ნახ. 2

(პოლიურეთანული, ეპოქსიდური). მიუხედავად მინერალურ ბათქაშთან შედარებით მაღალი ფასისა, პოლიმერული ბათქაში წარმატებით გამოიყენება, რადგან კარგად იცავს კედლის ზედაპირს მექანიკური დაზიანების, ტემპერატურის, ტენის, ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან, იძლევა სასიამოვნო ფერთა გამას, ადვილად ირეცხება, აქვს შესანიშნავი ბგერა- და თბოსაიზოლაციო თვისებები, მედეგია მზის სხივებისა და დაბალი ტემპერატურის მიმართ, არ უჩნდება ბზარები, გამოირჩევა ცეცხლ- და ხანმედეგობით და სხვ.



ნახ. 3



ნახ. 4

ბათქაში სტრუქტურული – ბათქაში, რომელსაც აქვს არაერთგვაროვანი მარცვლოვანი მასას სახე სხვადასხვა წვრილი ქვების, მარცვლების, კვარცის, ქარსის, მერქნის ბოჭკოს და მისთ. დანამატით. შემკრავ ნივთიერებად გამოიყენება ლატექსი, კალიუმის სილიკატი ან ცემენტ-კირის ნარევი წყლის ან გამხსნელის საფუძველზე. არსებობს წვრილმარცვლოვანი და მსხვილმარცვლოვანი. კარგი პლასტიკური თვისებების გამო, სტრუქტურული ბათქაში ადვილად დაიტანება ნებისმიერი სახის ზედაპირზე (აგური, ბეტონი, მერქანი, თაბაშირმუყაო, ცემენტი, ლითონი, კომპოზიტი, კერამიკა და სხვ.). უმეტესად გამოიყენება აბაზანის, ჰოლის, ჭერის, მოაჯირის, ფასადის მოსაპირკეთებლად. თუ სამუშაო მიმდინარეობს დახურულ სათავსში, მაშინ უპირატესობა ენიჭება ბათქაშს წყლის საფუძველზე (არ აქვს სუნი). მომხმარებელს მიეწოდება შეფუთული სახით თეთრი ფერის. მოხმარების პროცესში სასურველი ფერის პიგმენტის დამატებით მიიღება პრაქტიკულად ნებისმიერი გამის ბათქაშის ზედაპირი(ნახ. 1 - ნახ. 6: სტრუქტურული ბათქაშის სახეები; ნახ. 7. საცხოვრებელი ბინის კედელი სტრუქტურული ბათქაშით; ნახ. 8. დეკორატიული სტრუქტურული ბათქაში ნატურალური ტყავის ზედაპირის იმიტაციით).



Бзь. 1



Бзь. 2



Бзь. 3



Бзь. 4



Бзь. 5



Бзь. 6



ნახ. 7



ნახ. 8

ბათქაში მშრალი – კედლის მოსაპირკეთებელი საშენი მასალა თხელი ფურცლების (ფირფიტების) სახით. ბათქაშის ფილები მიემაგრება კედელს წებოს, ლურსმნების ან სპეციალური დეტალების მეშვეობით.

ბაია-ზურმუხტი – მოყვითალო-მომწვანო, ძალიან დიდი სიმკვრივის ალმასის კომერციული ტერმინი.

ბაიბეკი (ინგლ. buyback გამოსყიდვა) – იხ. უკუგამოსყიდვა.

ბაიონეტი (ფრანგ. baïonnette<საფრანგეთის ქ. ბაიონის სახელის მიხედვით) – 1. დეტალების სწრაფად შესასრულებელი შეერთება, რომელშიც ერთი დეტალი დაისმება მეორე დეტალზე (ნახ. 1); 2. დანისმაგვარი მჩხვლეტავ-მჭრელი იარაღი, რომელიც მაგრდება შაშხანის ლულაზე (ნახ. 2).





ბაიპასი (ინგლ. bypass შემოვლება, შემოვლა) – სტაციონალური დენადი აირებისთვის განკუთვნილი მილსადენებისგან შექმნილი შემოვლითი ხაზი ან გადასაშვები სარქველი (გვერდითი ნახვრეტი).

ბაიტი (კომპ.) (ინგლ. byte) – ციფრული ინფორმაციის რაოდენობის ერთეული, რომელიც რვა ბიტისაგან შედგება და გამოსახავს ცალკეულ ასოს, რიცხვს ან სპეციალურ სიმბოლოს. ბ.

ციფრული მონაცემების უმცირესი ერთეულია კომპიუტერის მეხსიერებაში, რომლის აღქმა და დამუშავება ხდება როგორც ერთი მთლიანის. ტერმინი პირველად 1956 წელს გამოიყენა გერმანული წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერმა ვერნერ ბუჰოლცმა. ერთეულთა საერთაშორისო სისტემის (SI) (ფრანგ. Système International d'Unités) მიხედვით, თვლის ათობითი სისტემის პრეფიქსებით მიღებული ბაიტის ჯერადი ერთეულებია: კილობაიტი (კბ) [ინგლ. kilobyte (kB)] – 10^3 ბაიტი, მეგაბაიტი (მბ) [ინგლ. megabyte (MB)] – 10^6 ბაიტი, გიგაბაიტი (გბ) [ინგლ. gigabyte (GB)] – 10^9 ბაიტი, ტერაბაიტი (ტბ) [ინგლ. terabyte (TB)] – 10^{12} ბაიტი, პეტაბაიტი (პბ) [ინგლ. petabyte (PB)] – 10^{15} ბაიტი, ექსაბაიტი (ებ) [ინგლ. exabyte (EB)] – 10^{18} ბაიტი, ზეტაბაიტი (ზბ) [ინგლ. zettabyte (ZB)] – 10^{21} ბაიტი, იოტაბაიტი (იბ) [ინგლ. yottabyte (YB)] – 10^{24} ბაიტი. საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (სეკ) (ინგლ. International Electrotechnical Commission (IEC) თანახმად თვლის ორობითი სისტემის პრეფიქსებით მიღებული ბაიტის ჯერადი ერთეულებია: კიბიბაიტი (კიბ) [ინგლ. kibibyte (KiB)] – 2^{10} ბაიტი, მებიბაიტი (მიბ) [ინგლ. mebibyte (MiB)] – 2^{20} ბაიტი, გიბიბაიტი (გიბ) [ინგლ. gibibyte (GiB)] – 2^{30} ბაიტი, ტებიბაიტი (ტიბ) [ინგლ. tebibyte (TiB)] – 2^{40} ბაიტი, პებიბაიტი (პიბ) [ინგლ. pebibyte (PiB)] – 2^{50} ბაიტი, ექსბიბაიტი (ეიბ) [ინგლ. exbibyte (EiB)] – 2^{60} ბაიტი, ზებიბაიტი (ზიბ) [ინგლ. zebibyte (ZiB)] – 2^{70} ბაიტი, იობიბაიტი (იიბ) [ინგლ. yobibyte (YiB)] – 2^{80} ბაიტი.

ბაიცი – 1. ბუნებრივი წარმოშობის, იაფი, მოყავისფრო საღებავი, რომელიც ჰუმუსმჟავების ორგანულ მარილს წარმოადგენს; 2. ხის ანტისეპტიკი გამხსნელის (წყლის) ბაზაზე; იდეალურად ავსებს ფორებს, უზრუნველყოფს მასალის გრძელვადიან დაცვას ბიომავნებლებისაგან. გამოიყენება შიგა და გარე სამღებრო სამუშაოებისათვის, ავეჯის წარმოებაში და სხვ.

ბაკარა (ფრანგ. baccarat<საფრანგეთის ქ. ბაკარას სახელის მიხედვით) – საუკეთესო ხარისხის ბროლი, რომელიც 1816 წლიდან იწარმოება საფრანგეთის ქალაქ ბაკარაში.

ბაკელიტი (ინგლ. bakelite<ბელგიელი მეცნიერის ლ. ბაკლენდის სახელის მიხედვით) – ხელოვნური ფისი, ფენოლის ფორმალდეჰიდთან პოლიკონდენსაციის პროდუქტი ტუტის კატალიზატორის მონაწილეობით. სითბოს ცუდი გამტარია, დიდ წინააღმდეგობას უწევს ხახუნსა და დარტყმით დატვირთვებს, მოქნილია, კარგად ემორჩილება მექანიკურ დამუშავებას და უძლებს 300°C ტემპერატურას. შესანიშნავი დადებითი თვისებების გამო ბ. შეუცვლელი მასალაა მრეწველობაში. მისი გამოყენების სფეროა: ფანერი (ნახ. 1. დაბაკელიტებული ფანერი), მერქანბურბუშელოვანი ფილები (შემკვრელი), ავეჯი, ავეჯის ფურნიტურა, წებო БФ (ბაკელიტ-ფენოლური), მეტროს ესკალატორის საფეხურები, ინსტრუმენტის სახელური, ელექტროტექნიკური ნაკეთობები (ჩამრთველი, ამომრთველი, გადამრთველი, ელექტრომრიცხველი), სამხედრო ტექნიკის დეტალები, სამზარეულოს მოწყობილობები, სუვენირები, სასპორტო ინვენტარი და სხვ.



ბაკი – ლითონის დიდი სათავსი სითხის შესანახად; ავზი (ნახ. 1. თხევადი საწვავის ბაკი); 2. წინაერდო; 3. საზღვ. გემბანის წინა ნაწილი, სადაც მოთავსებულია საღუზე მოწყობილობა, სასამსახურო სათავსები და სხვ.





ბალაგანი (სპარს. balahana აივანი, ზედა ოთახი) – 1. სახელდახელოდ აგებული ხის ქოხი (ნახ. 1. ბალაგანი იაკუტიური), ფარდული, ბარაკი და მისთ., რომელიც გამოიყენება საწყობად, სავაჭროდ, მცირე საწარმოდ და სხვ.; 2. დროებითი ნაგებობა სახალხო თეატრალური სანახაობისათვის; 3. გადატანითი მნიშვნელობით რაიმე არასერიოზული, სახუმარო და უხამსი მოვლენა.



ბალავარი – კედლის საყრდენი ლენტური საძირკველი (ნახ. 1. ბალავარი ყორე ქვისაგან), რომელიც შედგება რიყის ან გათლილი ქვებისა და დუღაბისაგან (კირი, ცემენტ-ქვიშა და სხვ.).

ბალავერი – იხ. ბალავარი.

ბალანსი (ფრანგ. balance საწონი) – 1. წონასწორობა, თანაბრობა; 2. ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, გამოხატული ფულადი ფორმით, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მოვლენას მისი მხარეების შედარების ან დაპირისპირების გზით; განასხვავებენ საგადასახდელო, სავაჭრო, საქონლისა და მომსახურების, ფინანსური ოპერაციების და ა.შ. ბალანსებს; 3. შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი; 4. შემადგენლობის, განთავსებისა და ფორმირების წყაროების მიხედვით საწარმოს საშუალებების მდგომარეობის ფულადი მაჩვენებლებით ამსახველი ნაერთი უწყისი.

ბალანსი საგადასახდელო – სტატისტიკური ანგარიში, რომელიც ასახავს დროის გარკვეული პერიოდში (ყოველკვარტალურად) ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს. მასში აისახება ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. საგადასახდელო ბალანსი შედგება 2 ძირითადი ანგარიშისგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. მიმდინარე ანგარიშში ასახულია მიმდინარე ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, კერძოდ, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, შრომითი და საინვესტიციო შემოსავლები, მიღებული და გაცემული ტრანსფერები. ფინანსური ანგარიში ასახავს რეზიდენტემის მიერ

საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციებს (კრედიტი) და არარეზდენტების მიერ ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს (დებეტი). ისინი იყოფა როგორც: პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები.

ბალანსი სავაჭრო – საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ბალანსი, რომელიც გამოხატავს სასაქონლო ოპერაციების დადებით ან უარყოფით სალდოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ბალანსირება (ფრანგ. balancer გაწონასწორება) – მანქანების მბრუნავი ნაწილების გაწონასწორება დებალანსის აღმოფხვრით. ასეთი ნაწილებია როტორი, მქნევარა, მუხლა ლილვი. განასხვავებენ დინამიკურ და სტატიკურ ბალანსირებას.

ბალანსირი (ფრანგ. balancier ქანქარა) – ორ- ან ერთმხრიანი ბერკეტი, რომელიც ასრულებს მოქანავე მოძრაობას უძრავი ღერძის მიმართ. გამოიყენება ძალების გადასაცემად (ან გასათანაბრებლად) მასთან მიერთებულ წევებსა და ბარბაცებზე ტუმბოებში, საბურღ დაზგებში, სასწორებში და სხვ.



ნახ. 1

ბალანსური მერქანი – მრგვალი ან ნაპობი სორტიმენტი ცელულოზისა და მერქნის მასის საწარმოებლად (ნახ. 1).

ბალასტერი – რკინიგზის საგზაო მანქანა, რომელიც ბალასტს ანაწილებს შპალების ქვეშ ბალასტური პრიზმის მთელ სიგანეზე, აძლევს მას საჭირო მოხაზულობას და ასრულებს ლიანდაგის აწევისა და შეზუსტების სამუშაოებს.

ბალასტი (კელტ. bal ქვიშა და lasd, lad ტვირთი, სიმძიმე) – 1. გადახურვებში წონის გასაზრდელად დიდი ქვების ან მოკირწყვლის სისტემები, რომლებიც არ არის მიწებებული ან მექანიკურად მიმაგრებული სახურავის ფენილზე; 2. რკინიგზის შპალების ქვეშ დაგებული მაგარი ჯიშის კლდოვან-ნატეხოვანი მასალის (ქვიშა, ხრეში, ღორღი და სხვ.) ბალიში ვიწრო ფენის სახით, რომელიც ქმნის დრეკად ფუძეს შპალებისათვის, უზრუნველყოფს ლიანდაგის მდგრადობას და მოძრავი შემადგენლობის (მატარებლის) ვაგონების მდოვრულ სვლას (ნახ. 1. რკინიგზის ლიანდაგის ბალასტი); 3. ტვირთი, ამწე-სატრანსპორტო მექანიზმების ისრის ამწევი ძალისა და მდგრადობის რეგულირებისათვის; 4. ტვირთი (თხევადი ან ფხვიერი) მოთავსებული გემზე მისი სანაოსნო თვისებების გასაუმჯობესებლად.



ნახ. 1

ბალასტური სისტემა – რბილი სახურავის ბრტყელ ზედაპირზე დამაგრების სისტემა, რომელიც ხასიათდება მზიდუნარიანობის, გადამტანობის მაღალი მაჩვენებლით. მსგავსი სისტემა აგრეთვე გამოიყენება ექსპლუატაციაში მყოფ სახურავებზე. ის ხელმისაწვდომია, იოლი შესასრულებელია და არ აზიანებს ძირითად ჰიდროსაიზოლაციო ხალიჩას. გარდა

ამისა, უზრუნველყოფს მის დამატებით დაცვას მექანიკური დაზიანებისა და ულტრაიისფერი სხივებისგან.



ნახ. 1

ბალახანა – შენობის ზედა სართულის სათავსი აზერბაიჯანსა და შუა აზიაში.

ბალდახინი (იტალ. baldacchino აბრეშუმის ქსოვილი ბაღდადიდან) – 1. გავალაკი; უძრავ ან გადასატან ბოძებზე (ლატნებზე) დამაგრებული ქსოვილის ჩარდახი, საჩრდილობელი; 2. ქვაში, ხეში, ლითონში შესრულებული არქიტექტურული ფორმა – ჩარდახი კოლონებზე ან ბოძებზე (მაგ., სამეფო ტახტის თავზე) (ნახ. 1. ბალდახინი სან პიეტროს ბაზილიკაში, 1624-1633 წწ., ავტ. ლორენცო ბერნინი); 3. დროებითი ქსოვილის ჩარდახი საკურთხევლის თავზე ან სტაციონალური – დამზადებული ქვის, ხის, ლითონისაგან და დაყრდნობილი სვეტებზე (ბოძებზე); 4. მიცვალებულის გასასვენებელი ჩარდახიანი ეტლი.

ბალზამ-ფისი – წიწვოვანი ჯიშის ხის ცხოველმოქმედების პროდუქტი. წარმოადგენს ეთერისა და ფისის რთულ ნაერთს. ყვითელი ან მუქი ყავისფერი, სურნელოვანი, სქელი, ზეთოვანი სითხე, რომელიც ჰაერზე მყარდება. გროვდება ხის ფისსავალ გზებში და გამოედინება ხის მექანიკური დაზიანების ადგილებიდან. ფართოდ გამოიყენება ოპტიკური ხელსაწყოების დასამზადებლად (სათვალე, ბინოკლი, მიკროსკოპი, ტელესკოპი და სხვ.), რასაც განაპირობებს მასში მზის სხივის გარდატეხის კუთხის ტოლობა მინის გარდატეხის კუთხესთან.

ბალი (ინგლ. number<ლათ. numerus რიცხვი, რაოდენობა) – 1. პირობითი ერთეული მოვლენის ინტენსიურობის შესაფასებლად განსაზღვრული სკალით (მაგ., ქარის ქროლვის, ზღვის ღელვის, მიწისძვრის, სასწავლებელში მოწაფეების მოსწრების, სპორტულ შეჯიბრში შედეგების, გამოფენებზე ცხოველების და სხვ.); 2. დიდი საცეკვაო საღამო; 3. საშუალო სიმაღლის ნაყოფიანი ხე გაზაფხულის ხილით.



ნახ. 1

ბალიასინა (ბერძ. balaústion ბროწეულის ყვავილი) – ფიგურული ბოძკინტები, რომელიც გამოიყენება აივნის, ტერასის, კიბის, სახურავის და ა.შ. გამჭოლი შემოღობვისათვის (ნახ. 1. ბალიასინის სხვადასხვა ნიმუშები).



ბალინიტი – მერქანფენოვანი ფურცლოვანი პლასტიკის სახეობა, რომელიც მიიღება ქიმიურად გაკეთილშობილებული (მწვავე ნატრში გამოტუტული) და ფენოლფორმალდეჰიდურ

ფისში გაჟღენთილი არყის ხის შპონისაგან. ფურცლოვანი ბ. სისქეა 1-6 მმ, ფილისებრის – 10-60 მმ. გამოიყენება მოსაპირკეთებელი სამუშაოებისათვის, აგრეთვე საამორტიზაციო ქვესადებების, მოქნილი შტამპების, ჩარჩოების დასამზადებლად და სხვ.

ბალისტა [ლათ. ballista<ბერძ. ballo (გადა)ვისვრი] – ცივი იარაღი, ქვის ან ისრის (ნახ. 1) სატყორცნი არბალეტი; ლოდსარტყოცნი მანქანა, რომელსაც იყენებდნენ ციხე-სიმაგრის კედლების დასანგრევად (ნახ. 2).





ბალიუსტრა (ფრანგ. balustrade<balustre ბალიასინა) – კლასიკური იონიური ორდერის კაპიტელის გვერდითი ნაწილი გრაგნილის სახით.

ბალიშა ლავა – ერთმანეთზე მორგებული ბალიშისებრი, სფერული, ელიფსოიდური და სხვა მსგავსი ფორმის მაგმური სხეულების დაზვავების შედეგად წარმოშობილი მაგმურა ქანი.

ბალიში – ძელის ქვეშ ან სვეტის თავზე საყრდენად გამოყენებული ხის, რეზინის, ლითონის, პლასტმასის ნაჭერი, რომლის დანიშნულებაა ერთი ელემენტიდან ძალა თანაბრად გადაანაწილოს მეორე ელემენტზე. ცნობილია ბალიშის სხვადასხვა სახე: ამორტიზაციის, ბეტონის, ბუფერის, ლიანდაგის, რესორის, რვილის, საქუსლის, საყრდენი, ქვიშის, ფიბრის, ღორღის, ცემენტაციის, წიდის, ხის, ხრეშის, ჰაერისა და სხვ.

ბალკერი (ინგლ. bulk დაყრა, ჩაყრა და carrier გადამზიდავი) – სპეციალური ნავი ფხვიერი მასალის გადასატანად.

ბალკონი (იტალ. balcone<ლათ. balcus ხარაჩო, ხე-ტყე, კოჭი) – 1. შენობის ფასადის ზედა სართულებზე ღია ან დახურული კონსოლური ბაქანი მოაჯირით; 2. მაყურებელთა ადგილი თეატრში (ზედა ან ქვედა იარუსი); 3. მოაჯირებით შემოსაზღვრული შვერილი გემის გემბანზე; 4. იგივეა, რაც აივანი.



ბალონი (იტალ. pallone ბურთი) – სფეროს, ცილინდრის ან წვეთის ფორმის კორპუსის მქონე სატრანსპორტო ლითონის (მინის) ტარა, სფერული ან შეღუნული ფსკერით, რომელსაც აქვს ერთი ან ორი ხახა (ყელი) ვენტილის, შტუცერის, მილტუჩის დასაყენებლად. გამოიყენება შეკუმშული, გათხევადებული ან წნევის ქვეშ გახსნილი აირადი ნივთიერებების შესანახად ან გადასატანად (ნახ. 1.

საყოფაცხოვრებო მოხმარების გაზის ბალონის ნაირსახეობები).

ბალუსტრადა (ფრანგ. balustrade მოაჯირი<ბერძ. balaustain ველური ბროწეულის ყვავილი) – აივნის, ტერასის, კიბის, სახურავის და ა.შ. მცირე სიმაღლის შემოღობვა, რომელიც შედგება ბალიასინების რიგისაგან, ზემოდან შეერთებული ერთმანეთთან მოაჯირით ან ჰორიზონტალური კოჭით (ნახ. 1). პირველად ბ. გამოყენებული იყო ასირიელების მიერ შენობის ფასადის დეკორში (ფანჯრის ღიობებში). ევროპულ არქიტექტურაში გამოჩნდა XV საუკუნიდან. მშენებლობის გარდა, წარმატებით გამოიყენება ავეჯის წარმოებაში.



ბამბა – მრავალწლოვანი მცენარის გვარი ბალბისებრთა ოჯახისა. სინათლის მოყვარული მცენარე. ზრდის ოპტიმალური ტემპერატურაა 25-30°C. ბამბის ბოჭკოსაგან ამზადებენ ქსოვილებს, ტყავს, რეზინსა და სხვ. თესლიდან ხდიან ზეთს, რომელსაც კვების მრეწველობასა და ტექნიკაში იყენებენ, ხოლო გადამუშავების ნარჩენებს – ცხოველთა საკვებად. ბამბა ყველაზე იაფი და გავრცელებული ბუნებრივი ბოჭკოა.

ბამბა ბაზალტის – თბოსაიზოლაციო მასალა, რომელიც შედგება ბაზალტის თხელი ბოჭკოსაგან (ნახ. 1). მიიღება ვულკანური ქანის გადნობით 1500°C ტემპერატურაზე ნადნობის შემდგომი ნაბერით, შემკრავი და წყლის მომცილებელი კომპონენტების დამატებით. გამოიყენება თბოსაიზოლაციო მასალად.





ბამბა კაოლინის – მაღალტემპერატურული (1100-1250°C) თბოსაიზოლაციო მასალა, რომელიც გამოიყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგში. სიმკვრივე 80 კგ/მ^3. წარმოების ნედლეულია ტექნიკური თიხამიწა და კვარცის ქვიშა. მდგრადია ვიბრაციის მიმართ, ინერტული – წყლისა და წყლის ორთქლის მიმართ, აქვს მაღალი ელექტროსაიზოლაციო თვისებები, რომელიც პრაქტიკულად არ იცვლება 700-800°C ტემპერატურამდე. მომხმარებელს მიეწოდება რულონების ან სხვადასხვა ფორმის ნაკეთობის სახით.

ბამბა ქვის – ბაზალტის ან სხვა მინერალების ბოჭკოებისგან დამზადებული თბოსაიზოლაციო მასალა (ნახ. 1. მინერალური ქვის ბამბა).



ბამბა ცელულოზის (ეკობამბა) – მერქნის ბოჭკოვანი მასალა (ნახ. 1). მზადდება მაკულატურისაგან. შემადგენლობაში შედის: 80% საგაზეთო ქაღალდი და 20% არააქროლადი დანამატები (ანტისეპტიკები და ანტიპირენები).



ბამბის ფუთა – ბუნებრივი თესლის ბოჭკო, რომლის შესაფუთად გამოყენებულია მრეწველობაში ნებადართული მასალები: უხეში ტილო/ჯვალო, დაწნული პოლიპროპელინი, პოლიეთილენი, ბამბის ან ფურცლოვანი პოლიეთილენის ქსოვილი. იგი შეკრულია ფოლადის, სინთეტური ან მავთულის სალტეებით. ასევე, შეიცავს ბამბის ნაძენძს (ბამბის თესლიდან ამოღებული ნაძენძები) და მისსავე მტვერს (გაწმენდის შემდეგ დარჩენილი ნივთიერებები).

ბამბის ფუთა მჭიდროდ შეფუთული – ბამბის ფუთა, რომლის შეფუთვის სიმჭიდროვე, სულ მცირე, 360 კგ/მ^3-ია, ხოლო ზომები: სიგრძე – 140 სმ ± 20 მმ, სიგანე – 54 სმ ± 20 მმ, სიმაღლე – 70-90 სმ.

ბამბუკი (მალ. Mambu) – ხისებრი მარცვლოვნების სახელწოდება. არსებობს მისი 1200-მდე სახეობა. ძირითადად განასხვავებენ ორ ტიპს: ღეროვანს (ნახ. 1) და ბალახისმაგვარს (Olyreae). ღეროვანი ბამბუკის სიმაღლე შეიძლება იყოს 38 მ, რომლის ღეროს დიამეტრი 25 სმ-ია. ბამბუკი გავრცელებულია დედამიწის ორივე ნახევარსფეროში, თუმცა მისი სამშობლო უცნობია. ძალზე განვითარებული ფესვთა სისტემა აქვს, რაც სწრაფად გამრავლების საშუალებას აძლევს. ყვავილობს 25 წელიწადში ერთხელ. სწრაფად იზრდება. მაგ., დაფიქსირებულია იაპონური მადაკეს ზრდა დღეღამეში 120 სმ. ღეროვანი ბ. პრაქტიკულად ხუთივე კონტინენტზე გვხვდება, ხოლო ბალახიმაგვარი – მხოლოდ ტროპიკებში. ევროპაში ბამბუკი შემოტანილი იქნა ჩინეთიდან და იაპონიიდან და ძირითადად დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. ამჟამად მისი იმპორტი წარმოებს აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან. ბამბუკის, როგორც სასოფლო-სამეურნეო მცენარის კულტივაცია მხოლოდ იტალიაში ხდება. ბ. იაპონელები საკვებადაც იყენებენ, ხოლო, რადგანაც მისი ფესვები ბლომად შეიცავს სილიციუმის მჟავას (H_2SiO_3), რომელიც აუცილებელია თმების, კანის და ძვლების ნორმალური განვითარებისათვის, მას ფართოდ მოიხმარენ ტრადიციულ აღმოსავლურ მედიცინაში. მშენებლობაში ბ. ღეროებს ყველაზე მეტად იყენებენ ტაილანდსა და ჩინეთში სახლების, მცირემალიანი ხიდების, გადახურვის გისოსიანი კონსტრუქციების დასამზადებლად. საქართველოში გავრცელდა XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩინური მადაკე, იაპონური მადაკე, მოსო და სხვ., სულ 20 სახეობა. უმთავრესად იზრდება შავი ზღვის სანაპირო რაიონებში. ზოგადად, ბ. უამრავ საყოფაცხოვრებო და სამომხმარებლო ნივთს ამზადებენ. ასეთებია: ავეჯი, სათხილამურო ჯოხები, ქუდები, დაწნული კალათები, ფარდები, კვების ჩხირები, ქვაბები, ფლიაგები, კონტეინერები, სათევზაო ჯოხები,



ხელჯოხები, სალამურები, ფლეიტები, ბანსურები, საჰაერო თოფები, ისრის ბუნიკები, სამურაის მშვილდისრები, შუბები, კიბეები, წყალსადენის მილები. ჩინეთში და იამაიკაზე ბამბუკი ძირითადი მასალაა ქაღალდის წარმოებაში. ბ., როგორც მარადმწვანე დეკორატიული მცენარე, ხშირად გამოიყენება ძვირფასი სასახლეებისა და რეზიდენციების ეზოების კეთილმოწყობაში.

ბანაკი – 1. ცის ქვეშ გაშლილი დროებითი სადგომი; 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაჯგუფება.

ბანას ტაძარი (ინგლ. Bana Temple) – ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ მხარე ამიერ ტაოში [ნახ. 1. მესხეთის მხარეები VIII-X საუკუნეებში), ერზერუმის პროვინციაში, შენკაიას რაიონში, სოფელ ფენეკის დასავლეთით 2 კმ-ში (ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკა)]; (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). ტაძრის სტილისტიკური ანალიზი ადასტურებს, რომ აგებულია არაუგვიანეს VII საუკუნისა, რადგან ტაძარს ტეტრაკონქის ფორმა აქვს, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებაში შემდეგ აღარ გვხვდება. IX-X საუკუნეების მიჯნაზე ტაო-კლარჯეთის მთავრის დავით I კურაპალატის (876-881 წწ.) ვაჟს, ქართველთა სამეფოს დამაარსებელს ადარნასე II-ს კვირიკე ბანელის ხელით (ბანას პირველი ეპისკოპოსი) ტაძარი გადაუკეთებია. ტაძარი მრგვალ ბორცვზეა აგებული. ბანაც მრგვლად აღიქმება, თუმცა რეალურად მრავალწახნაგა იყო. სამსართულიანი და რთული კომპოზიციის ტაძარი ეკლესიისა და მრგვალი გალერეისგან შედგებოდა (ნახ. 3. ბანას ტაძარი აფეთქებამდე). პირველი სართული 28-წახნაგა გახლდათ, რომელიც მოგვიანებით, სავარაუდოდ, XVI საუკუნეში, თურქების შემოსევის დროს შეუცვლიათ. დიდი ზომის მაღალ ტეტრაკონქს გარს ეკვრის თითქმის 40 მ დიამეტრის მრავალწახნაგა გარშემოსავლელი. შუაში აღმართულია ცილინდრული გუმბათის ყელი. ტეტრაკონქის მკლავებს შორის განლაგებულია გუმბათქვეშა ბურჯები – პილონები, სადაც სამ იარუსად მოწყობილი სადგომებია (პატრონიკენი), ხოლო ოთხივე აფსიდის ქვემოთა ნაწილი, ჩვეულებრივი მთლიანი კედლის ნაცვლად, გამჭოლი თაღებით გარშემოსავლელისაკენ იხსნება. შენობის სიმაღლე 30 მ-ს აღემატება. ტაძრის ხუროთმოძღვრული დეტალები და მორთულობა ტექნიკური ოსტატობითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა. აფსიდებისა და პატრონიკეთა მალებში მოთავსებული მრგვალი სვეტები შემკულია ვოლუტებიანი სვეტისთავებით, ფასადის მთელ პერიმეტს მისდევს დეკორატიული თაღები, თაღებს ზემოთ კი მცენარეული ჩუქურთმებია. დიდი თურქობის პერიოდიდან (XI საუკუნის 80-იანი წლები) ბანას ტაძარიც მტრის ხელში



ნახ. 1

აღმოჩნდა, მხოლოდ თამარის მეფობის დროს (1184-1213 წწ.) მოხდა მისი დაბრუნება. XVI საუკუნიდან ტაძარს ისევ თურქები დაეპატრონენ. ოსმალეთის იმპერიამ ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) ბანას ტაძარი ციხესიმაგრედ და იარაღის საწყობად გადააქცია, რასაც მოჰყვა აფეთქებები და გუმბათის ჩამოქცევა. 1902 წელს კი ტაძარი პრაქტიკულად განადგურდა. ბანა თავის დროზე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრსა და ზოგჯერ მეფეთა სამყოფსაც წარმოადგენდა (აქ დაკრძალულია საქართველოს მეფეები ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) და ვახტანგი (1442-1446 წწ.). ამჟამად ბანას ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი (ნახ. 4. ბანას ტაძრის ნანგრევები).



ნახ. 1

ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

ბანდი – წვრილი თოკი ან თასმა.



ბანერი (ფრანგ. baniere დროშა, ალამი, ტრანსფარანტი) – 1. სარეკლამო ხასიათის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთა მოსაზიდად, ინფორმირებისათვის და პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად. ტერმინ ბანერის ქვეშ მოიაზრება მართკუთხა ჩარჩოზე გადაჭიმული ქსოვილური ტილო გამოსახულებით ან ინფორმაციული შინაარსის სარეკლამო ტექსტით (ნახ. 1); ზოგჯერ შენობების, ტრიბუნების, მასობრივი ღონისძიებების გასაფორმებლად საჭირო დიდი ზომის ბანერის წონის შესამცირებლად, ტილოს ცვლიან ბადით, რაც ერთდროულად ამცირებს ტილოს იალქნის ეფექტს.

ბანერის მასალად გამოიყენება: ქაღალდი, პოლიქლორვინილი, ვინილი, პოლიეთილენი, სინთეზური ქსოვილები და სხვ. სამსახურის ვადის გასაზრდელად, ხშირად ბანერის ზედაპირს ფარავენ გამჭვირვალე ლაქით; 2. ვებგვერდზე განთავსებული სარეკლამო შეტყობინება, რომელიც შეიძლება იყოს უძრავი ან ანიმაციური.

ბანი – 1. ერდო; გადაუხურავი (ან გადახურული), ერთი, ორი ან სამი მხრიდან კედლებით შემოსაზღვრული და ღია მხრიდან (მხარეებიდან) საჭიროებისამებრ მოაჯირით შემოკავებული ფართობი (ნახ. 1), აგრეთვე ისეთი ბრტყელი სახურავი ან ბრტყელი სახურავის ნაწილი, რომლის ზედაპირი მოპირკეთებულია ისე, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება სამყოფად. ბანზე შესაძლებელია მოეწყოს მარკიზი და საჩრდილობელი; 2. ერთ-, ორ- ან მრავალსართულიანი ხელოვნური ჰორიზონტალური ტერასული ნაგებობა (ოროკო, დარიჯი, საქვე, ბაქანი, დუქანი) მთაგორიან რელიეფზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად. შენდება მიწის გამოთხრით – ფერდობის გამოკაფვით, სადაც შემდეგ იგება ქვის კედლები, რომლის სიმაღლეს განსაზღვრავს ფერდობის დახრილობა. აშენების შემდეგ ხდება ფართობის გასუფთავება, გაწმენდა, მოსწორება-განოყიერება. ტერასული ნაკვეთების ექსპლუატაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მორწყვას. თუ მას ბუნებრივად მომდინარე წყალი არ უდგება, მაშინ აქტიურად გამოიყენება წყარო-ნაკადულები, რომლებიც ერთი ტერასიდან გადის დანარჩენებზე. ტერასებზე ძირითადად შენდება ვაზი და ხეხილი.



ბანიანი სახლი – ბრტყელი სახურავით, ბანით გადახურული სახლი.

ბანკეტი (ნიდერლ. banket მიწის ზვინული) – 1. წაგრძელებული მსუბუქი უზურგო მერხი რბილი საჯდომით ერთი ან რამდენიმე ადამიანისათვის (ნახ. 1); 2. დაბალი მიწის ნაყარი გაჭრილი გზის ზედა ნაპირის გასწვრივ; 3. ქვაბულის ირგვლივ მოწყობილი მიწის დაბალი ზვინული ფერდების წვიმის წყლისაგან დასაცავად (ჩარეცხვის საწინააღმდეგოდ); 4. სვეტის გამსხვილებული საყრდენი ნაწილი, დაყენებული საძირკვლის შენაჭერზე, სვეტის საყრდენის განსაზღვრულ დონეზე დასაფიქსირებლად; 5. ამაღლებული ბაქანი გემზე კომპასის, შორსმზომისა და მისთ. დასაყენებლად; 6. სამხედრო არქიტექტურაში, გამაგრებული ციხე-სიმაგრის ბრუსტვერის შიგა მხარეზე მოწყობილი ადამიანის სიმაღლის მიწის ზვინული თოფიდან სროლის გასაადვილებლად; 7. საზეიმო სუფრა რაიმე კერძო ან საზოგადოებრივი მოვლენის აღსანიშნავად.



ბანკი (ინგლ. bank<ძვ. ინგლ. hōbanca სავარძელი) – განსაკუთრებული ეკონომიკური ინსტიტუტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ფულადი სახსრების თავმოყრა, კრედიტების გაცემა, ფულადი ანგარიშსწორებები, მიმოქცევაში განსაზღვრული სახეობისა და რაოდენობის ფულის გაშვება, ფასიანი ქაღალდების ემისია და სხვ. ბანკი წარმოიშვა საქონლურ-ფულად ურთიერთობათა განვითარების შედეგად. მსოფლიოს წამყვანი ბანკებია:

ინგლისის ბანკი (დაარსდა 1694 წ., რეზერვები 323 მილიარდი ფუნტი სტერლინგი, ლონდონი, ინგლისი); მსოფლიო ბანკი (შეიქმნა 1944 წ. 45 სახელმწიფოის მიერ ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების ხელმოწერის შედეგად, ვაშინგტონი, აშშ. ამჟამად ბანკი აერთიანებს 188 ქვეყანას); ევროპის ცენტრალური ბანკი (დაარსდა 1998 წ., რეზერვები 526 მილიარდი ევრო, მაინის ფრანკფურტი, გერმანია); ჩინეთის საწარმოო და კომერციული ბანკი (Industrial and Commercial Bank of China), კაპიტალი 234 მლრდ. დოლარი; ჩინეთის სამშენებლო ბანკი (China Construction Bank), კაპიტალი 226 მლრდ. დოლარი; "ეიჩ-ეს-ბი-სი" (HSBC Holdings plc), ბრიტანული ბანკი, კაპიტალი 185 მლრდ. დოლარი; უელს ფარგო (Wells Fargo), ამერიკული საფინანსო ჯგუფი, კაპიტალი 165 მლრდ. დოლარი; ჯიპი-მორგან ჩეიზი (JPMorgan Chase), ამერიკული საფინანსო კომპანია, კაპიტალი 164 მლრდ. დოლარი; ჩინეთის ბანკი (Bank of China), ჩინეთის ყველაზე ძველი ბანკი, კაპიტალი 143 მლრდ. დოლარი; სიტიგრუპი (Citigroup), ამერიკული საფინანსო ორგანიზაცია, კაპიტალი 140 მლრდ. დოლარი; ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკი (Agricultural Bank of China), კაპიტალი 135 მლრდ. დოლარი; ამერიკის ბანკი (Bank of America), კაპიტალი 133 მლრდ. დოლარი; იტაუ უნიბანკო (Itau Unibanco), ბრაზილიური ბანკი, კაპიტალი 95 მლრდ. დოლარი და სხვ

ბანკი ინოვაციური – კომერციული ბანკი, სპეციალიზებული ინოვაციური პროექტების ანუ სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის (დაწყებული საცდელი ნიმუშების დაპროექტებიდან და შექმნიდან, დამთავრებული მათი მასობრივად დანერგვით) დაფინანსებასა და დაკრედიტებაზე, რომელთა ვადები, წესები და პირობები დგინდება დასაფინანსებელი სამუშაოების მასშტაბის, სტადიებისა და ხასიათის მიხედვით. გამოიყენება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დაკრედიტება. შესაძლებელია ინვესტიციური დაფინანსებაც იმ კომპანიების აქციების შეძენის გზით, რომლებიც ამუშავებენ და ნერგავენ რაიმე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ იდეას, აგრეთვე დაკავებული არიან ობლიგაციების ხანგრძლივი ვადით გავრცელებითა და დასაფინანსებელი პროექტის განხორციელებით დაინტერესებულ პირებს შორის. ბ. ი. სხვა ბანკებისაგან გამოირჩევა შემდეგი თავისებურებებით: საკრედიტო დაბანდების უკან დაბრუნების მაღალი რისკით; არსებითი განსხვავებით არა მხოლოდ ვადებში, არამედ სესხების მოცულობაში; მეანაბრის სახსრების დაცვის უზრუნველყოფისათვის დამატებითი გარანტიების აუცილებლობით და სხვ.

ბანკი იპოთეკური – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს იპოთეკურ კრედიტს და უშვებს უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილ გირავნობის სიგელს.

ბანკი კომერციული – საბანკო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულია დეპოზიტების მიღებაზე, მოკლევადიანი კრედიტებისა და კლიენტების საანგარიშსწორებო მომსახურებაზე.

ბანკი საემისიო – სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულება, ცენტრალური ბანკი, რომელსაც მინიჭებული აქვს საბანკო ბილეთების გამოშვების, ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და სავალუტო კურსის რეგულირებისა და კონტროლის, ოფიციალური ოქროს სავალუტო რეზერვის დაცვის მონოპოლიური უფლება.

ბანკი საინვესტიციო – 1. სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც ახდენს გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მობილიზაციას და შემდეგ გასცემს მას ობლიგაციების ან სხვა სახის სასესხო ვალდებულობათა გამოშვებისა და გავრცელების გზით; 2. ეწევა სხვადასხვა კომპანიის ფასიანი ქაღალდების პირველად განთავსებას და ახორციელებს

საბროკერო ოპერაციებს კლიენტთა დავალებით; 3. დაწესებულება, რომელიც აფინანსებს და აკრედიტებს კაპიტალურ დაბანდებებს.

ბანკი ცენტრალური – სახელმწიფო დაწესებულება, რომლის ძირითადი მოვალეობაა: ქვეყანაში ფულადი მიმოქცევის, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების კონტროლი, ფულის ემისიის მოცულობის განსაზღვრა, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ინფლაციის ზომიერი მაჩვენებლის უზრუნველყოფა, ვალუტის კურსის სტაბილურობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, კომერციული ბანკების ზედამხედველობა, საგარეო ვალის მომსახურება და მთავრობის დაკრედიტება.

ბანკირი – ბანკის მფლობელი, მსხვილი აქციონერი ან ფულადი კაპიტალის მენეჯერი და მესაკუთრე, რომელიც დახელოვნებულია საბანკო ოპერაციების წარმოებაში.

ბანკნოტი (ინგლ. banknote ბანკნოტა) – 1. საბანკო ბილეთი, საკრედიტო ფულის უმაღლესი ფორმა, რომელსაც უშვებს საემისიო ბანკი და რომელიც ცვლის ლითონის ფულს მიმოქცევაში. ბ. ემისიის უფლება აქვს ქვეყნის ცენტრალურ ბანკს. მსოფლიოში უძველეს ბანკნოტად ითვლება VIII საუკუნის ჩინური ბანკნოტი (ტანის დინასტია). ამჟამად ყველაზე მაღალი მსყიდველობითი უნარიანობით გამოირჩევა ბრუნეისა და სინგაპურის 10 000 დოლარიანი კუპიურები (ეკვივალენტია 8 000 ამერიკული დოლარის); 2. ბანკირის თამასუქი, რომლის წარმომდგენსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ფულის მიღება.

ბანკროტი (იტალ. banco სკამი და rotto გაღარიბებული მევალე) – ვალის გადახდის უნარმოკლებული, გაკოტრებული პირი, მევალე.

ბანური გადახურვა – ბანი, ბრტყელი გადახურვა; შენობის უქანობო სახურავი (ნახ. 1).



ნახ. 1

ბაობაბი (ლათ. Adansonia digitata) – ტროპიკული გიგანტური ხე ბალბისებრთა ოჯახისა (ნახ. 1). იზრდება სუბ-საჰარული აფრიკის ცხელ სავანებში. აქვს ძალზე მსხვილი ღერო, რომლის გარშემოწერილობა 25 მ-ს აღწევს, სიმაღლე 18-25 მ-ს. მისი ზრდის ტემპს განაპირობებს გრუნტის წყლების არსებობა ან წვიმის ნალექების რაოდენობა. ცოცხლობს დაახლოებით 1500 წელს. ბაობაბის სქელი ქერქისაგან იღებენ ბოჭკოს და ამზადებენ თოკსა და უხეშ ქსოვილებს. მერქნისგან – ნავებსა და ქაღალდს. მის ფოთლებსა და ნაყოფს ადამიანები გამოიყენებენ საკვებად და სამკურნალოდ. ბაობაბის წითელი წვნიანი რბილობი, ნაყოფი, ფოთლები, ტოტები და თვით ღეროც კი მნიშვნელოვანი საკვებია ცხოველებისთვის.



ნახ. 1



ნახ. 2

ბაპტისტერიუმი (ლათ. baptisterium<ბერძ. baptistērion ჩაყვინთვა, მონათვლა) – ეკლესიაზე მინაშენი ან ცალკე მდგომი გუმბათიანი მრგვალი ან რვაკუთხოვანი ფორმის არქიტექტურული ნაგებობა ბავშვების მოსანათლად. გავრცელებული იყო იტალიაში (რომი, ფლორენცია) IV საუკუნიდან (ნახ. 1. პიზას ბაბტისტერიუმი, 1153-1265 წწ., იტალია). ბ. შიგნით მოთავსებული იყო მოსანათლი ემბაზი, რომლის ზომები თავდაპირველად საკმაოდ დიდი იყო (აკეთებდნენ ავზის სახით), ხოლო IX საუკუნის შემდეგ მისი ზომები მცირდება, რადგან მოსახლეობა ინათლებოდა თოთო ასაკში. მან მიიღო დიდი ფიალას სახე, რომელსაც ამზადებდნენ სპილენძისაგან და იყო გადასატანი.

Не удается отобразить связанный рисунок. Возможно, этот файл был перемещен, переименован или удален. Убедитесь, что ссылка указывает на правильный файл и верное размещение.

ბაჟი – სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფულადი მოსაკრებელი. ბ. წესდება განსაზღვრული დოკუმენტების (მინდობილობა, ნაჩუქრობის ბარათი და სხვ.) გაცემისათვის და გარკვეული საქონლის საზღვარგარეთ გატანის ან საზღვარგარეთიდან შემოტანისათვის.

ბარათი ვირტუალური – მატერიალური ფორმის არმქონე ბარათი, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე ემიტენტის მიერ უსაფრთხოების ზომების დაცვით ბარათის მფლობელისათვის მიწოდებული რეკვიზიტების (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობას, რომლის საშუალებით ბარათის მფლობელს შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით.

ბარათი კომერციული – სადებეტო ან საკრედიტო ბარათი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს განკარგოს იურიდიული პირის ან მეწარმე ფიზიკური პირის ანგარიში და შეასრულოს ოპერაციები.

ბარათი საგადახდო – ბანკის მიერ გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტი (საკრედიტო, სადებეტო, წინასწარი გადახდის, პლასტიკური) რომლის საშუალებით ხდება საქონლის (მომსახურების) საფასურის გადახდა, ნაღდი ფულის მიღება, ვალუტის გადაცვლა, ფულადი გზავნილის განხორციელება და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ოპერაციების შესრულება.

ბარათი სადებეტო – საბანკო ბარათი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტსა და ბარათის მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს მის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხები, ასევე ისარგებლოს ოვერდრაფტით.

ბარათი საკრედიტო – საბანკო ბარათი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ოპერაციები განახორციელოს საკრედიტო ხაზის ფარგლებში.

ბარათი წინასწარი გადახდის – საბანკო ბარათი, რომელიც არ საჭიროებს ბარათის მფლობელის ან ბარათის შემმენის სახელზე საბარათე ანგარიშის გახსნას. აღნიშნული ბარათით ოპერაციები სრულდება მხოლოდ წინასწარ ჩარიცხული თანხის ფარგლებში.

ბარაკი (ფრანგ. hutte ქოხი, ფაცხა) – მარტივი კონსტრუქციის ერთსართულიანი დროებითი საცხოვრებელი ნაგებობა ჯარისკაცებისათვის.

ბარაკონი (ინგლ. Barracon) – XVIII საუკუნის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლი, ბარაკონის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ქვემო რაჭის მხარეში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ წესთან, მდინარეების, ლუხუნისა და რიონის შესართავთან.



ნახ. 1

აგებულია 1753 წელს როსტომ რაჭის ერისთავის ბრძანებით ოსტატ ავთანდილ შულავრელის მიერ. გეგმით მართკუთხა ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ტიპისაა მინაშენთა გარეშე. გუმბათი (ნახ. 2. გუმბათის ყელი) აღმოსავლეთით ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ სვეტს. ნაშენია სოფელ იწიდან მოზიდული ქვით და გარედან უხვადაა შემკული ძველებური ქართული ტაძრებისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმებით (ნახ. 3. ორნამენტული მოტივი „ჯვარი გირლიანდით“). კედლებს და ტაძარში შესასვლელი კარის (ნახ. 4. მთავარი შესასვლელი) ტიმპანს ამშვენებს ძველი ქართული წარწერები (ნახ. 5. წარწერა შესასვლელის ტიმპანზე). ამ უღამაზეს ძეგლს განცვიფრებაში მოჰყავდა დამთვალიერებლები და სტუმრები თავისი სიდიადითა და მშვენიერებით. არავინ ელოდა, რომ ასეთ მთებში სამთავისისა და მცხეთის ტაძრის ბადალს ნახავდა. ბარაკონის ჩრდილო-აღმოსავლეთით თამარ მეფის მიერ აშენებული ეკლესია მდებარეობდა, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, ნანგრევებად არის ქცეული. აღსანიშნავია, რომ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე იყო რაჭის პირველი ერისთავის რატი ლიპარიტის ძის კარის ეკლესია, სადაც ორასი წლის წინ სასულიერო წიგნები იბეჭდებოდა.



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5

ბარანკოსი (ესპ. baranco ხრამი) – ღრმა ღარი, რომელიც ვულკანური კონუსის ფერდობს სერავს. ბ. რადიალურად ეშვება მწვერვალიდან ძირისაკენ. წარმოიქმნება კალთების ჩამორეცხვის შედეგად.

ბარაჟი (ფრანგ. barrage დაბრკოლება) – 1. ჰაერში აშვებული და ფოლადის გვარლებით დაბმული აეროსტატების ღობურა; 2. შახტებისა და კარიერების დაცვის ხერხი წყალგაუმტარი მოწყობილობების საშუალებით.

ბარატრია (ბერძ. prattein კეთება, შესრულება, მართვა უწესოდ) – გემის კაპიტნის ან ეკიპაჟის ბოროტგანზრახული მოქმედება ტვირთის პატრონის საზარალოდ. ბ. რისკი ექვემდებარება დაზღვევას.



ბარბაკანი (ფრანგ. barbacane<კელტ. bar წინ და bach ზღუდე, გალავანი) – საფორტიფიკაციო მცირე ზომის ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა ციხე-სიმაგრის შესასვლელის დამატებითი დაცვა (ნახ. 1. ვარშავის ბარბაკანი, პოლონეთი). უმეტესად წარმოადგენდა კოშკს

გამოტანილს ციხის კედლებს (გალავანს) გარეთ, რომელიც დაკავშირებული იყო ციხესიმაგრესთან მოარშიებული კედლებით (გასასვლელით) ან ხიდით (თუ ბ. აშენებული იყო ხიდის დასაცავად). გავრცელდა XV–XVI საუკუნეებში საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

ბარბაცა – მრუდხარა-მცოცი მექანიზმის ნაწილი, რომელიც დგუშის ან მცოცის წინსვლით მოძრაობას გარდაქმნის მრუდხარას ან მუხლა ლილვის ბრუნვით მოძრაობად. ბარბაცა ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მარტივი სახის ყბებიან სამსხვრევში.

ბარბოტაჟი (ხუფხუფი) – აირის ან ორთქლის დისპერსირება სითხის ფენაში გატარებით. გამოიყენება გამდნარი შენადნობების ასარევად.

ბარბოტირება (ინგლ. bubble<შუაინგლ. bobel<შუაგერმ. bubbele ბუშტი) – აირის ბუშტუკების გატარება სითხის ფენაში. გამოიყენება სითხეების გასაცხელებლად ორთქლით (ხდება აგრესიული სითხეებისა და აბრაზიული პულპის შერევა). აირის გატარება სითხეში წარმოებს წვრილნახვრეტებიანი 3-6 მმ) მილების (ბარბოტირების), აბსორბერული საცრებისებრი ან ხუფისებრი თეფშებისა და რექტიფიკაციული კოლონების მეშვეობით. ბ. პროცესში სითხე-აირის საზღვარზე იქმნება დიდი ფაზათშორისი ზედაპირი, რაც უზრუნველყოფს თბოცვლის სწრაფ ინტენსიფიკაციას. ბარბოტირება გამოიყენება ჩამდინარი წყლების გასაწმენდად, ნადნობებისა და ნარევების გადარევისათვის, გამხსნელის აირთან შერევისათვის, აბსორციული, რექტიფიკაციული, ფლოტაციური პროცესების ჩასატარებლად და სხვ.

ბარბოტირი (ინგლ. bubbler<შუაგერმ. bubbele ბუშტი და -er ბოლოსართი) – მოწყობილობა, სითხის ფენაში აირის ან ორთქლის ბუშტუკების გატარებისათვის. დისპერჰირება მიმდინარეობს სითხეში ჩაძირული სპეციალური კონსტრუქციული ელემენტებით – დახვრეტილი მილებით, ნასვრეტებიანი თეფშებით, ხუფებითა და სხვ.

ბარდა (ლათ. pisum) – 1. შენობის სიგრძივი დეტალის გეომეტრიული სამშვენისი ბურთულების გრძელი რიგის სახით; 2. სასოფლო-სამეურნეო კულტურა - ერთწლოვანი (მრავალწლოვანი) მცენარის გვარი პარკოსანთა ოჯახისა.

ბარდანი – ბლომად დადებული თოვლის ფანტელები.

ბარდოლინი (იტალ. bardolino<იტალიის რეგიონ ვენეტოს სახელის მიხედვით) – 1. ბიტუმის ჯავშანი (კრამიტი), რომლის შუა ფენა დრეკადი მინაბოჭკოა, ზედა ფენა – მინერალური წანაყარი, ხოლო ქვედა – კაჟმიწის ქვიშა. გამოიყენება ქანობიანი სახურავის მოსაწყობად (ნახ. 1); 2. წითელი ღვინო იტალიის რეგიონ ვენეტოდან.



ბარელი (ლათ. barriclus პატარა კასრი) – თხევადი და ფხვიერი მასალის საწყაო დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში. 1 ბ = 42 ამერიკულ გალონს = 159 ლიტრს.

ბარელიეფი (ფრანგ. bas relief დაბალი რელიეფი) – სკულპტურული გამოსახულება სიბრტყეზე, რომლის ყველა ნაწილი სიბრტყიდან თავისი მოცულობის ნახევარზე ნაკლებად არის ამოწეული (ნახ. 1. ბარელიეფი დონის მონასტრის კედელზე. ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია, 1591 წ.).



ნახ. 1



ბარი – 1. ლითონის დიდი ნიჩაბი მიწის სამუშაოების შესასრულებლად. შედგება რკინის ნიჩბისა და ხის (ლითონის) სახელურისაგან, რომელსაც ბოლოზე აქვს ტაბიკურა (ნახ. 1); 2. პატარა რესტორანი ან ნაწილი რესტორნისა, სადაც სტუმრებს დახლთან უმასპინძლდებიან; 3. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილი პატარა კარადა; 4. მთათაშუა დადაბლებული ადგილი, მოიცავს ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე მთისწინეთს; 5. წნევის სისტემის გარეშე ერთეული, რომელიც 105 ნ/მ²-ის ტოლია. ეკვივალენტურია 750,08 მმ სიმაღლისა და 0°C ტემპერატურის მქონე ვერცხლისწყლის სვეტის წნევისა.



ნახ. 1

ბარიერი (ფრანგ. barrière კარიბჭე; საგუშაგო, სადარაჯო) – 1. დაბალი ზღუდე, ტიხარი; 2. სპორტში დოღის, ხტომის, სირბილის დროს გადასალახავი საგანგებო დაბრკოლება; 3. თავისუფლად გავლის შემაფერხებელი ზღუდე (ნახ. 1. საავტომობილო გზის დროებითი ბარიერი).



ნახ. 1

ბარიკადა (ფრანგ. barricade ხერგილი, ბარიკადა) – 1. ქუჩებსა და ხიდებზე ბრძოლის დროს თავდასაცავად შექმნილი ხერგილები (ნახ. 1) სხვადასხვა ხელმისაწვდომი საგნისაგან (მიწით სავსე ტომრები, მორები, ავეჯი, კასრები, საზიდრები და სხვ.); 2. კედლებიანი ნაგებობა იატაკითა და სახურავით, რომელიც განკუთვნილია აფეთქების დროს სწრაფად გამოშვებული ენერგიის შესაკავებლად. იგი მთლიანად ჩაკეტილია ან ნიავდება ნაწილობრივ, ან სრულად; ან სხვაგვარი ბუნებრივი ან ხელოვნური ზღუდე ფეთქებადი ნივთიერებებისგან დასაცავად.

ბარიკადა ბუნებრივი – მიწის ბუნებრივი თავისებურებანი, მაგ.: გორაკები ან საკმარისი სიმკვრივის მორები, რომლებიც გარს აკრავს დასაცავ დახურულ სივრცეებს, მაგრამ არ ჩანს ფეთქებადი ნივთიერებების შემცველი საწყობიდან ან შენობიდან მაშინაც კი, როდესაც ხეებს ფოთლები გაცვენილი აქვს.

ბარიკადა ხელოვნური – ხელოვნური ბორცვი (მიწაყრილი) ან ჯებირი, სულ მცირე, 90 სმ-ის სისქით.

ბარის ტყე – ვაკეზე განფენილი ტყეები, კერძოდ კოლხეთის დაბლობის ტყეები, და აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეები. დანარჩენი ტყეები მიეკუთვნება მთის ტყეებს.

ბარიტი (ბერძ. barys მძიმე) – მძიმე შპატი ბარიუმის მინერალის სულფატების კლასიდან. ქიმიური ფორმულა – $BaSO_4$. სუფთა სახით უფერო, გამჭვირვალე ან თეთრი მასალაა, თუმცა ჩვეულებრივად რკინის ჟანგეულების, სულფიდების ზემოქმედებით იღებს სხვადასხვა ფერს. სიმკვრივე 4,3-4,7 გრ/სმ^3. მისი თანამდევი მინერალებია: ფლიორიტი, კალციტი, კვარცი, გემატიტი, ჰალკოპირიტი, სტიბნიტი (ანტიმონიტი), გალენიტი, სფალერიტი, მარკაზიტი. გამოიყენება ბარიუმის მარილების, თეთრას, ემალის, ჭიქურის ნედლეულად; რეზინის, აფსკის, ლინოლეუმის, ქაღალდის დამზადებისას შემავსებელად; საბურღი დუღაბის სიმტკიცის ასამაღლებლად. ბ. გამჭვირვალე კრისტალები ფართოდ გამოიყენება ოპტიკურ ხელსაწყოებში და რენტგენის გამოსხივებისაგან დასაცავად. საბადოები გავრცელებულია ინგლისში, რუმინეთში, იტალიაში. საქართველოში ბარიტის მოპოვება ხდება იმერეთში (ჩორდი, წყალტუბო).

ბარიუმი (ბერძ. barýs მძიმე და -ium ბოლოსართი) – რბილი, ვერცხლისფერ-თეთრი ლითონი. აღინიშნება სიმბოლოთი Ba. ადვილად იჟანგება ჰაერზე, ენერგიულად რეაგირებს წყალთან, გახურებისას ადვილად აალდება, ინახავენ ნავთში. ბ. და მისი შენადნობები გამოიყენება რადიოტექნიკაში, ქაღალდის წარმოებაში, საკისრებისათვის კომპონენტად, ტიპოგრაფიულ შენადნობებში, ემალის, ჭიქურის დასამზადებლად, რეზინის შემავსებლად, შედის თეთრი საღებავის შემადგენლობაში, შთანთქავს რენტგენის სხივებს და სხვ.

ბარიუმსულფატი ($BaSO_4$) – გოგირდმჟავა ბარიუმის მარილი; გვხვდება მინერალ ბარიტის სახით.

ბარიუმქლორიდი – მარილი; უფერო კრისტალები. ქიმიური ფორმულა – $BaCl_2$.



ბარიცენტრი (ბერძ. barýs მძიმე და ლათ. centrum ცენტრი) – გეომეტრიული ფიგურის სიმძიმის ცენტრი.

ბაროგრაფი (ბერძ. báros წონა და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – ატმოსფერული წნევის ცვალებადობის უწყვეტი რეგისტრაციის ავტომატურად ჩასაწერი ხელსაწყო (ნახ. 1. ბაროგრაფი: 1-ანერიდული კოლოფები; 2-კალამი; 3-დოლი ქაღალდის ლენტით). ანეროიდული ბ. შედგება: გოფრირებული კოლოფების კომპლექტისაგან, რომელიც

განიცდის დეფორმაციას ატმოსფერული წნევის ზემოქმედებით, გადამცემი მექანიზმის, საათის მექანიზმიანი დოლის და კორპუსისაგან. ჩვენების ჩაწერა ხდება დოლზე დახვეულ ლენტზე კალმის მეშვეობით.

ბაროკო (იტალ. barocco უცნაური, საოცარი, გადაჭარბებისკენ მიდრეკილი<პორტ. pérola barroca მარგალიტი წუნით) – XVI–XVIII საუკუნის ევროპული კულტურის დამახასიათებელი სტილი, რომელიც წარმოიშვა გვიანი აღორძინების ეპოქაში იტალიის ქალაქებში (რომი, მანტუია, ვენეცია, ფლორენცია) XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში. ის განიხილება, როგორც დასავლური ცივილიზაციის კლასიციზმისა და რაციონალიზმის ხელოვნების სტილის საწინააღმდეგო მიმართულება, რომელსაც არქიტექტურის პლასტიკური ფორმები, ფერწერა, ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები მაღალფარდოვან, საზეიმო ხასიათს უქმნის; თამამად არღვევს კლასიკური კანონების პირობით საზღვრებს და მხატვრული შინაარსის გამოსავლენად ქმნის არქიტექტურის ახალ საშუალებებს, ახალ კომპოზიციურ ხერხებს.



ბაროკოსათვის დამახასიათებელია კონტრასტულობა, დაძაბულობა, სახეების დინამიკურობა, აფექტურობა, დიდებულობა, გრანდიოზულობა, რეალურობისა და ილუზიის შერწყმა; ხშირად გვხვდება გაშლილი სვეტნარები, ფასადებსა და ინტერიერებში ქანდაკებების, ვოლუტების, პილასტრების სიუხვე; გუმბათებს მიცემული აქვთ რთული ფორმები, ზოგჯერ საფეხურებიანი (როგორც, მაგ., წმინდა პეტრეს ტაძარს რომში). ბაროკოს დამახასიათებელი დეტალებია – ტელამონი (ატლანტი), კორიატიდა, მასკარონი. იტალიურ არქიტექტურაში ბაროკოს სტილის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია კარლო მადერნა (1556-1629 წწ.), რომელმაც ააგო რომის სანტა-სუსანას (წმინდა-სუსანას) ეკლესია ბრწყინვალე ფასადით; ლორენცო ბერნინი – გააფორმა წმინდა პეტრეს ტაძრის ინტერიერი და გარე მოედანი, აგრეთვე კარლო ფონტანა, კარლო რაინალდი, გვარინო გვარინი და სხვ. 1693 წელს მიწისძვრით დანგრეულ სიცილიაში გაჩნდა ძველი ბაროკოს ახალი სტილი – სიცილიური ბაროკო, რომლის სტილში აგებულ შენობებში ნეფიდან შემოსულმა სინათლის სხივმა დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა შიგა სივრცეში. ესპანური ბაროკოს ანუ ჩურიგერესკოს (არქიტექტორ ჩურიგერას სახელის მოიხედვით), რომელიც ასევე გავრცელდა სამხრეთ ამერიკაში (ულტრაბაროკო), შესანიშნავი ნიმუშია წმინდა იაკობის ტაძარი ესპანეთის ქ. სანტიაგო-დე-კომპოსტელაში (ნახ. 1); საფრანგეთში, სადაც ბაროკოს სტილი შედარებით ნაკლებად განვითარდა და სადაც მას "ბაროკოულ კლასიციზმს" უწოდებდნენ, შეიძლება ამ სტილს მივაკუთვნოთ რამდენიმე ნაგებობა: ვერსალის სასახლე თავისი პარკით, ლუქსემბურგის სასახლე (ნახ. 2), საფრანგეთის აკადემიის შენობა პარიზში და სხვ. მოგვიანებით, XVIII საუკუნის დასაწყისში ფრანგებმა შექმნეს თავისი სტილი, ბაროკოს სახესხვაობა – როკოკო,



ნახ. 2

რომელმაც მოიცვა არა მარტო არქიტექტურა, არამედ ავეჯი, ტანსაცმელი, წიგნები, მხატვრობა და სხვ. ის შემდეგ სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში; ბელგიაში ბაროკოს მიეკუთვნება ანსამბლი გრანდ-პლაცი ბრიუსელში და დიდი მხატვრის, რუბენსის სახლი ანტვერპენში (ნახ. 3); რუსეთში – პეტერგოფი (ნახ. 4); გერმანიაში – ახალი სასახლე სან-სუსი პოტსდამში და არქიტექტურული კომპლექსი ცვინგერი დრეზდენში; ავსტრიაში – შენბრუნის სასახლე ვენაში (ნახ. 5); ბელორუსიაში – სოფიას ტაძარი პოლოცკში (ნახ. 6) და ა.შ.



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6

ბარომეტრი (ბერძ. báros წონა და métron გაზომვა) – ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო.

ბაროტრავმა (ბერძ. báros წონა და trauma დაზიანება) – დაზიანება, გამოწვეული ატმოსფერული წნევის მკვეთრი მერყეობით.

ბარჟა (ბერძ. baris ეგვიპტური ნავი) – ფართო ბრტყელძირიანი სატვირთო გემი, რომელიც ბუქსირით მოძრაობს; კარჭაპი. გამოიყენება დიდი გემების დატვირთვა-განტვირთვისათვის.

ბარტერი (ფრანგ. barraterie ბრძოლა, ჭიდილი) – პირდაპირი საქონელგაცვლა ფულადი ანგარიშსწორების გარეშე (ნატურალური გაცვლა).

ბარტიზანი (ძვ. ფრანგ. bretesche ხის პარაპეტი ციხეზე<შოტლ. bratticing დროებითი ბრუსტვერი, ზღუდარი) – 1. ციხის გალავნის კუთხეზე ამოყვანილი მრგვალი ან ოთხკუთხა საყარაულო კოშკი (ნახ. 1). ძირითადად გავრცელებული იყო შოტლანდიაში XIV-XVII საუკუნეებში; 2. დარეზერვებული პარაპეტი.





ნახ. 1

ბარძიმი (გრაალის თასი) – ძვიფასი ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი) ან ბრილისაგან დამზადებული მაღალფეხიანი სასმისი (ნახ. 1), ქრისტიანული ეკლესიის "სიწმინდის ჭურჭელთაგანი". იხმარება ზიარების რიტუალის შესასრულებლად. საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ბედიის მონასტრის ბარძიმი X საუკუნის ოქროს ბარძიმი) (იხ. ბედიის მონასტერი, ნახ. 2).

ბარხანი (ყაზახ. бархан ქვიშის ბორცვი) – რელიეფის დადებითი ფორმა, დიუნის სახესხვაობა. წარმოადგენს უდაბნოს კონტინენტურ დიუნას, ქარით მოტანილსა და მცენარეებით გაუმაგრებელი ფხვიერი ქვიშის ბორცვს (ნახ. 1). მყარ გრუნტზე დაგროვებული ცალკეული და ჯგუფური ბარხანები ქვიშის ნაკლებობისას დაბალია (0,5-დან რამდენიმე მეტრამდე), მაგრამ შეიძლება 100 მ-ზე მეტ სიმაღლესაც მიაღწიოს. ბ. დამახასიათებელია ნახევარმთვარისებრი და ნამგლისებრი მოხაზულობა, გრძელი და დამრეცი (5-15°), საქარე და ციცაბო (30-33°) ქარზურგა ფერდობები, რომლებიც ქარის მიმართულებით წაგრძელებულ "რქებში" გადადის. ქვიშით ერთიანად დაფარულ ფერდობებზე ქარის სხვადასხვა რეჟიმის პირობებში ბ. სხვადასხვა ფორმა ეძლევა. ბ. წელიწადში რამდენიმე სანტიმეტრიდან ასეულ მეტრამდე იცვლის ადგილს. მოძრავ დიუნებსა და ბარხანებს დიდი ზიანი მოაქვთ, რადგან ქვიშის დიდი მასები ფარავს საზოგადოების მიერ კეთილმოწყობილ ტერიტორიებს (მინდვრებს, ბაღებს და ა.შ.). ბ. უჭირავს ქვიშიანი უდაბნოს მცენარეულობით ღარიბი უბნები. ის ბევრია საჰარაში, აგრეთვე შუა აზიის უდაბნოებში – ყარაყუმსა და ყიზილყუმში.



ბარჯა – ბარჯგი, ბოძკინტი; სახლის მცირე საყრდენი ძელი.

ბარჯგი – იგივეა, რაც ბარჯა (იმერეთსა და გურიაში გავრცელებული კუთხ. ტერმინი).

ბარჯი (ხოჭი, ჭვილთი, ხეჩაკალი) – 1. ბლაგვი დაბოლოებიანი და კაუჭიანი ჭოკი, რომელიც გამოიყენება იალქნიანი ნავების, კატარღებისა და პატარა გემების შესაკავებლად ნავსადგომიდან გასვლისას და მასთან მიახლოებისას; 2. კაპიანი ჯოხი; სათევზე ხოჭი.

ბასმა (თათრ.) – 1. ლითონის (ვერცხლის, სპილენძის, ოქროს) თხელი ფურცლები ზედ ამოტვიფრული ნახატით; 2. ლითონის ფირფიტა (ან ბეჭედი), რომელზეც გამოსახული იყო თათართა ხანი; წარმოადგენდა რწმუნების სიგელს; 3. თმის შავი საღებავი, გამოყენებული ინასთან ერთად; 4. უზბეკური სამზარეულოს კერძი.

ბასრი – მეტად მჭრელი; მახვილი, მოპირული, ალესილი, გალესილი, მკვეთი, მკვეთელი, პირალმასი, პირბასრი, გამახვილებული, გამოწკეპილი (ბარ-საკვეთი), გამოპირული (გამოპირული ცელი), წაწვეტებული, წაწვეტილი.

ბასტეა (გერმ. bastei ბასტიონი) – ციხე-სიმაგრის ტიპის ხანგრძლივად თავდასაცავი ნაგებობა (ნახ. 1. XVI საუკუნის ბასტეა ს. მეჯიბოჟში, ხმელნიცკის ოლქი, უკრაინა). გაჩნდა XVI საუკუნეში არტილერიის განვითარების შედეგად და იყო საშუალედო ეტაპი გამაგრებულ კოშკსა და ბასტიონს შორის. ბ. წარმოადგენდა კლასიკურ კოშკზე დაბალ, ფართო, მრავალიარუსიან ნაგებობას არტილერიის განსათავსებლად. ცალკეული ქვემეხი შესაძლებელი იყო განელაგებინათ ბრტყელ სახურავზეც. ბ. აშენებდნენ გეგმაში წრის, ნახევარწრის ან მრავალწახნაგას სახით. წრიულს აგრეთვე უწოდებდნენ რონდელს. ბ. კედელში გაკეთებული იყო ნახვრეტები ქვემეხის ლულის გასაყოფად. მშენებლობისათვის ძირითადად გამოიყენებოდა ბუნებრივი ქვა და თიხის აგური.



ნახ. 1

ბასტიდი (ფრანგ. bastide) – XII-XIV საუკუნეებში საფრანგეთის სამხრეთ რაიონებში მცირე გამაგრებული სოფელი (ნახ. 1. სენტ-ოლეს ბასტიდის კედლები, საფრანგეთის რესპუბლიკა) გარსშემოვლებული კოშკებიანი ზვინულით, უეცარი თავდასმებისაგან, სოფლის დასაცავად. შუა საუკუნეებში ბ. უწოდებდნენ აგრეთვე 2-3 სართულიან თავდაცვით ხის კოშკებს. ბ. წარმოადგენდა გეგმით მართკუთხა ტერიტორიას ურთიერთგადამკვეთი ქუჩების დაგეგმარებით.



ნახ. 1



ფაქტობრივად ის იყო გარდამავალი საფეხური ფეოდალურ ციხესიმაგრესა და რენესანსული პერიოდის ქალაქებს შორის.

ბასტიონი (გვიანდ. ლათ. bastillio ვაგებ სიმაგრეს) – 1. გეგმაში მრავალკუთხა (წრიული) მოხაზულობის

საფორტიფიკაციო ნაგებობა ციხე-სიმაგრის კუთხეში (ნახ. 1); 2. ბურჯი, ციხე-სიმაგრის გამონაშვერი.

ბატარეა (ფრანგ. batterie<battre ცემა, დარტყმა, დამტვრევა) – 1. ერთი ტიპის ხელსაწყოების, აპარატების, მოწყობილობების გაერთიანებით მიღებული სისტემა; 2. ძირითადი საცეცხლე საარტილერიო ქვეგანაყოფი. ჩვეულებრივ შედის საარტილერიო დივიზიის შემადგენლობაში; 3. გამაგრებული ადგილი, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე ქვემეხის პოზიციას; 4. პარალელურად ან მიმდევრობით შეერთებული ორპოლუსიანი ელემენტების ერთობლიობა, რომელიც იძლევა მუდმივ ელექტროდენს.

ბატი შექცეული – არქიტექტურული ნატეხი, შენობის კარნიზების, ზოლურების და სხვა ელემენტების გრძივი გეომეტრიული სამკაული, შედგენილი წრის ორი რკალისაგან და მიმართული ქვედა მხარეს (იხ. ბატიყელა, ნახ. 1, მარცხენა ნახაზი).

ბატიკი (მალ. batik გაფერადებული ქსოვილი) – ქსოვილის მოხატვის ტექნიკა, ამ წესით მოხატული ჭრელი ქსოვილი.

ბატისტი (ფრანგ. batiste<ცნობილი ფლამანდიელი ფეიქრის ბატისტას სახელის მიხედვით) – თხელი, ნახევრადგამჭვირვალე სელის ან ბამბის ტილოს ხლართებიანი ქსოვილი.

ბატიყელა – 1. არქიტექტურული ნატეხი, კარნიზების, ზოლურების და სხვა ელემენტების გრძივი გეომეტრიული სამკაული, შედგენილი წრის ორი რკალისაგან, შეერთებული ასო Γ-ეს მსგავსად და მიმართული ზედა მხარეს. არსებობს მისი ორი სახეობა: შებრუნებული და ქუსლა (ნახ. 1: ბატიყელა შექცეული – მარცხნივ და ქუსლა – მარჯვნივ).



ბატონის ციხე (მეფე ერეკლეს სასახლე) (ინგლ. Batoni Castle) – გვიანდელი ფეოდალური ხანის ქართული საერო ხუროთმოძღვრების კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ძეგლი (ნახ. 1. საერთო ხედი. აღმოსავლეთის კარიბჭე). მდებარეობს კახეთის მხარეში, ქ. თელავის ცენტრში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: კახეთის მეფეთა სასახლე, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, არჩილ მეფის კარის ეკლესია, გალავანი, აბანო, გვირაბი.

ისტორიული წყაროების მიხედვით გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის პირველმა მეფემ კვირიკე დიდმა (1010-1037 წწ.) ქალაქ თელავში ააგო სასახლე და იგი სატახტო ქალაქად აქცია. არსებული ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსი, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს აუშენებია კახეთისა (1661-1663 წწ.) და იმერეთის (1664-1675, 1678-1679, 1690-1691, 1695-1696 და 1698 წწ.) მეფეს არჩილ II. მშენებლობის პირველ ეტაპზე აგებული იყო სასახლე (ნახ. 2. სასახლე), აღმოსავლეთის კარიბჭე (ნახ. 1. აღმოსავლეთის კარიბჭე), არჩილის კარის ეკლესია (ნახ. 3. არჩილ მეფის კარის ეკლესია) და აბანო, ხოლო მეორე ეტაპზე (XVIII



საუკუნის მეორე ნახევარი) – ერეკლე მეორის კარის ეკლესია (ნახ. 4. ერეკლე მეფის კარის ეკლესია), გალავანი კუთხის მრგვალი კოშკებით (ნახ. 5. გალავანი კუთხის კოშკებით) და დასავლეთის კარიბჭე (ნახ. 6. დასავლეთის კარიბჭე). მკვლევარ თ. ალდამიძის მოსაზრებით სასახლის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის კახეთის მუსულმან გამგებელს დავით იმამყულიხანს (ერეკლე I-ის შვილი), რაზეც მიუთითებს სასახლის არქიტექურაში სპარსული მოტივების სიუხვე.

ციხის გალავანი (აგებულია ერეკლე მეფის მიერ 1753 წელს) გეგმაში წაგრძელებული უწესო მართკუთხედის ფორმისაა და აგებულია შუა საუკუნეებში კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი რიყის ქვითა და კირის დუღაბით. იგი 3 ჰექტრამდე ფართობს შემოზღუდავს. კედლის სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 10-12 მეტრს აღწევს. გალავანი შემკულია მრგვალქონგურებიანი სათოფურებით რომელსაც ეზოს მხრიდან აქვს სავალი ბილიკი, ხოლო ორივე კუთხეში – ორ- და სამსართულიანი კოშკები. სამხრეთის გალავანი შუა ნაწილში წინ არის გამოწეული, რათა ამ მხრიდან მომდგარი მტრის მოქმედებისათვის ედევნებინათ თვალი. ტერიტორია ორ ნაწილად ყოფილა გაყოფილი. ეს მდგომარეობა შენარჩუნებულია დღესაც, მაგრამ გამყოფი გალავანი განახლებულია. ციხის ტერიტორიაზე შესვლა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჭიშკრებიდან წარმოებდა. აღმოსავლეთის ჭიშკარი დგას სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკთან ახლოს. მის მეორე სართულზე საცხოვრებელი ოთახია შეისრული გადახურვით, ოთხივე მხარეს ფანჯრებით, სამხრეთის კედელში დატანებული ბუხრითა და აღმოსავლური აივნით. დასავლეთის კარიბჭე კი გალავნის ცენტრში მდებარეობს. იგი ამ გალავნის საერთო სიბრტყიდან წინაც არის გამოტანილი და გალავანზე საგრძნობლად მაღალიცაა. კარიბჭე ორსართულიანია. პირველ სართულში კარია კამაროვანი გადახურვით, ხოლო ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს აქვს მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. კარიბჭის მეორე სართული ბაქანია, რომელიც სამი – სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხარიდან მაღალი მრავალქონგურებიანი კედლებით არის შემოზღუდული, რომელსაც ასევე სათოფურები აქვს დატანებული. ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსი არა მხოლოდ მეფეთა საცხოვრებელი ანსამბლი იყო, არამედ მას დიდი სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა - აღნიშნული ისტორიული გალავანი მეფე ერეკლეს დროს ქალაქს შემოსევებისაგან იცავდა და მოსახლეობისათვის მტკიცე თავდაცვით საშუალებას წარმოადგენდა.





ნახ. 3



ნახ. 4

სასახლის ძირითად ბირთვს წარმოადგენს “საელჩო დარბაზი”, რომელსაც სამი მხრიდან (ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი) შემოუყვება ორსართულიანი დერეფანი (ნახ. 7. საელჩო დარბაზი). გადმოცემით, სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის ოთახში დაიბადა და გარდაიცვალა მეფე ერეკლე II.



ნახ. 5

სამეფო კარის აბანო ციხის ტერიტორიას ორად გამყოფ კედელზე სამხრეთის გალავნის შეერთების კუთხეშია აშენებული. იგი სასახლიდან საკმაოდ მოშორებით დგას. აბანო სრულად არ არის ჩვენამდე მიღწეული – შემორჩენილია მხოლოდ საბანაო აუზი და საქვაბე. ის წყლიანი იატაკის ქვეშ მოწყობილი ღუმლით ცხელდებოდა. მოსახლეობა ამ აბანოს დრესაც ერეკლეს აბანოს უწოდებს.

ციხის ტერიტორიაზე არსებული ორი ეკლესიიდან ერთი არჩილის კარის ეკლესიაა (ნახ. 3), თუმცა ის არჩილ მეფემდე ბევრად ადრე, X–XI საუკუნეებში ყოფილა აშენებული. მეორე ეკლესია, ერთნავიანი აფსიდიანი ნაგებობა (ნახ. 4), კი შედარებით ახალია. ის აუშენებია 1753 წელს ერეკლე მეფეს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. ფასადები შემკულია კედლის სიღრმეში ჩამჯდარი “გოლგოთიანი” ჯვრებით. სახურავის ქვეშ სათოფურებიცაა მოწყობილი, რაც ამ ნაგებობის არამარტო საკულტო, არამედ თავდაცვით დანიშნულებებზეც მეტყველებს.



ნახ. 6

ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსი დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახის სარესტავრაციო-საკონსერვაციო და სარემონტო სამუშაოებს დაექვემდებარა. ამის მიუხედავად, ძეგლი, მცირედი სახესხვაობით, მის პირვანდელ სახეს (ავთენტურობას) ინარჩუნებს (ნახ. 8 - ნახ. 10).

ძეგლის ისტორიული წყაროებით გამყარებული დეტალური არქიტექტურული ანალიზის, მათი გეგმარებითი სტრუქტურის, მხატვრულ-კომპოზიციური ღირსებების, დროისა და მოთხოვნების შესაბამისი ნიშან-თვისებების, ნაგებობათა მშენებლობის ისტორიის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ ბატონის ციხე დღემდე შემორჩენილი ერთადერთი სამეფო სასახლეა საქართველოში და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენს.



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10

ბაუჰაუზი (გერმ. bau შენობა და haus სახლი) – მშენებლობისა და მხატვრული დაგეგმარების უმაღლესი სკოლა გერმანიაში (1919-1933 წწ.), რომელიც ითვლება მოდერნისტული არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სკოლად. ეყრდნობოდა რა ფუნქციონალიზმის მიმდინარეობებს, ბაუჰაუზის სკოლაში ჩამოყალიბდა პლასტიკურ ხელოვნებაში ფორმაწარმოქმნის თანამედროვე უნივერსალური პრინციპები.

ბაქან-სცენა – ამაღლებული ადგილი შენობაში, რომელიც გამოიყენება სალოცავად, მუსიკალური ნაწარმოების შესასრულებლად, სპექტაკლის ან სხვა გასართობი ღონისძიების წარმოსადგენად (ნახ. 1); განსაკუთრებული სტუმრებისათვის განკუთვნილი მთავარი მაგიდა; ამაღლებული ადგილი ლექტორებისა და გამომსვლელებისათვის; კრივის და საჭიდაო რინგები; მრგვალი თეატრალური სცენები და ა.შ., რომლის თავზე არ არის ფარდები, დეკორაციები ან სასცენო ეფექტები გარდა განათებისა და ხმის მოწყობილობებისა. ბაქან-სცენა შეიძლება იყოს დროებითი, რომელიც მონტაჟდება არაუმეტეს 30 დღით.



ნახ. 1

ბაქანი – 1. ეზოში, ბაღ-პარკებში გამოყოფილი მცირე მოედანი სათამაშოდ, საცეკვაოდ და ა.შ.; 2. მიწაყრილით შექმნილი ნიადაგიდან ამაღლებული თარაზული სიბრტყე; 3. კიბის სვლებს შორის მოქცეული მცირე მოედანი; 4. ძირითადი ობიექტის მომსახურებისათვის საჭირო

დამხმარე ჰორიზონტალური ფართობი; 5. ოროკო; "კლდეში მცირე ვაკე რამ" (საბა); 6. სამგზავრო მატარებლების მოკლევადიანი გასაჩერებელი მოედანი, რომლის ზედაპირის



ნიშნული მატარებლის კიბის ქვედა საფეხურის ან მატარებლის იატაკის დონეზეა (ნახ. 1). არსებობს შემდეგი ტიპის ბაქანი: ამწევი, ამწის, ბორტიანი, გამყოფი, გასატვირთავი, გასაშვები, დაკიდებული, დენადობის, ელემენტარული, კიბის, კოშკის, მამოწმებელი, მართვის, მთავარი, მიმღები, მიერთების, მოქანავე, მოძრავი, ოქტაედრული, საამწყობო, საბრუნი, სადოზირებელი, სამგზავრო, სამხედრო, სამომსახურო, სამონტაჟო, სამუშაო, სამუხრუჭო, სატვირთავ-გასატვირთავი, სატვირთავი, სატვირთო, საფეხუროვანი, საწონი, ტვირთსაყარი, ტრაპის, უბორტო, ჩასატვირთავი, წამწისქვეშა, წევის, წყალსაცემი, ჭერისა და სხვ.

ბაქტერია (ძვ. ბერძ. bakterion ჩხირი) – 0,1-10 მიკრონის სიგრძის, სფეროსებრი, ჩხირისებრი ან სპირალისმაგვარი პროკარიოტული ერთუჯრედიანი მიკრობი. ბაქტერიები დედამიწაზე ყველგან არსებობს – მიწაში, მჟავე, ცივ, ცხელ წყაროებში, რადიოაქტიურ ნარჩენებში, ზღვის წყალში და დედამიწის წიაღში. სავარაუდოდ, მათი სახეობა რამდენიმე მილიონს აღემატება. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნივთიერებათა ცვლაში დედამიწაზე. მრეწველობაში გამოიყენება ისეთ პროცესებში, როგორიცაა საკანალიზაციო წყლების გაწმენდა, ყველის და რძის პროდუქტების წარმოება და სხვ., თუმცა ხშირად უარყოფით თვისებებსაც ავლენენ (მაგ., აზიანებენ მერქანს, შლიან ბეტონს, დუღაბს, მონაწილეობენ ლითონების ჟანგვის პროცესში და სხვ.). ბაქტერიების შემსწავლელ მეცნიერებას ბაქტერიოლოგია ეწოდება. ის მიკრობიოლოგიის განშტოებას წარმოადგენს. ბაქტერიებს შეისწავლიან მიკროსკოპის გამოყენებით.

ბაქტერიოლიზინები – ბიოლოგიური წარმოშობის ნივთიერებები.

ბაქტერიოსკოპია (ბერძ. bakterion ჩხირი და skopeîn ყურება, შესწავლა) – ბაქტერიების კვლევა მიკროსკოპის საშუალებით.

ბაქტერიული – ის, რაც შექმნილია ბაქტერიების ცხოველმოქმედების შედეგად.

ბაქტერიციდები (ბერძ. bakterion ჩხირი და ლათ. caedo ვკლავ) – ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ ბაქტერიების მოსპობას.

ბაღდადური კედელი – თხელი ფიცრებითა და ტკეჩით ნაგები და ბათქაშით შელესილი მსუბუქი კედელი.

ბაღი – ხელოვნების ნიმუში, დიდ ტერიტორიაზე გაშენებული მცენარეების, ყვავილების, ბილიკების, წყაროების, მცირე ნაგებობების, ხეივნების და სხვ. ერთობლიობა, რომელიც ულამაზეს გარემოს ქმნის. ის განიხილება, როგორც ისტორიის საგანგებო წყარო. ბ. ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისას წარმოიშვა. ბაღის თავდაპირველი დანიშნულება იყო საცხოვრებელთან სასარგებლო მცენარეების მოყვანა. კულტურის განვითარების კვალობაზე, ნარგავებმა თანდათან მოხდენილი სახე მიიღო. დღეისთვის ბაღებს ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ეკისრება.

ყველაზე მეტი ბ. გაშენებულია დიდ ბრიტანეთში, რომელთაგან უდავოდ საუკეთესოა 121 ჰა-ზე გაშლილი ლონდონის ბოტანიკური ბაღი. აქ არის მსოფლიოში უდიდესი ვიქტორიანული სტილის სათბური და ცნობილი პალმის სახლი (ნახ. 1. კიუს სამეფო ბოტანიკური ბაღები, ქ. ლონდონი, ინგლისი). კიუს ბაღში 7 მილიონამდე სახეობის მცენარეა დაცული, რომლის შესწავლას 650 მეცნიერი ემსახურება. პირველი ბ., რომლებიც უტილიტარულ მიზანს არ ემსახურებოდა და სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდა, გაჩნდა ძველ აღმოსავლეთში, სადაც ბაღი კლიმატური პირობების გამო დიდ როლს ასრულებდა. ბრწყინვალე ტროპიკული მცენარეების წყალობით ბაღმა ხელოვნების ისეთი უმდიდრესი მასალა მიაწოდა, რომ მან უნებლიეთ დაიმსახურა აღმოსავლეთის ხალხთა სიმპათიები და მათი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. აღმოსავლურ საბაღო სისტემაში ორ სტილს გამოყოფენ: არიულს და სემიტურს. არიული წარმოშობის ენერგიული და მებრძოლი ხალხი, აწყობდა უზარმაზარ ბაღებს და პარკებს, სადაც ზოგჯერ ცხოველებსაც ათავისუფლებდნენ. "ცხოველთა ბაღები" - "პარადიზები" ბუნებრივ ტყედ აღიქმებოდა, რომლის შექმნისა და შენარჩუნებისათვს წყალი საკმაოდ შორი მანძილიდან გამოჰყავდათ. სემიტური წარმოშობის ხალხი, რომელთაც კარჩაკეტილი ცხოვრებისაკენ ჰქონდათ მიდრეკილება, სახლებთან აწყობდნენ მაღალი კლდით შემოღობილ პატარა ბაღებს, სადაც ისინი არა მარტო ულამაზეს მცენარეებს და ყვავილებს, არამედ ხელოვნების ნაწარმოებებსაც ათავსებდნენ. სემიტური ტიპის უძველესი ბაღის ყველაზე გრანდიოზული ნიმუშს წარმოადგენდა "ბაბილონის დაკიდებული ბაღები", რომელიც ნაბუქოდონოსორ II-ის ბრძანებით ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში მიდიის მეფის ასულის დედოფალ ამიტას პატივსაცემად გაუშენებიათ. მიუხედავად ამისა, ტრადიციისამებრ ამ ბაღებს სემირამიდას ბაღებს უწოდებენ. კლასიკურად არის მიჩნეული ძველი საბერძნეთისა და რომის საბაღო სტილი. თავდაპირველად ელადის ბაღები ხილისა და ბოსტნეული მცენარეების ნაკრებს წარმოადგენდა, მაგრამ თანდათან ნარგავთა მოწყობისას ესთეტიკური მხარე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ძველ ათენში საზოგადოებრივი ბაღებიც არსებობდა. ღრმა წარსულიდანვე ბაღთან იყო დაკავშირებული თითქმის ყველა რწმენა, ყველა თქმულება,

რომლითაც კაცობრიობის წინაპრებს საოცარ ბაღში მიუჩინა ღმერთმა ადგილი, ამ ბაღს "ედემი" ეწოდებოდა, რაც ძველ ებრაულად განცხრომას, ნეტარებას ნიშნავს. სპარსულ პარდაიზმს, მოგვიანებით დაესესხნენ ბერძნებიც. პარდაიზმი იქცა მიწიერ და ზეციურ სამოთხედ. ბიბლიის მიხედვით, მიწიური სამოთხის სინონიმად. ინდური მითოლოგია და სამოთხეც ასევე ბაღშია თავმოყრილი. ყველაზე მდიდრული საიქიო სამოთხე კი შექმნა მუჰამედმა. ბაღი, რომელიც ქრისტიანებისათვის საწყისი იყო, მაჰმადიანებისთვის ის ცხოვრების გზის დასასრულს წარმოადგენდა.

XVI საუკუნის მეორე ნახევარი და XVII საუკუნის დასაწყისი ფრანგული საპარკო ხელოვნების ჩასახვის ხანაა. საბოლოო კლასიციზმი მკაფიოდ გამოვლინდა ლენორტის შემოქმედებაში – ვერსალის ბაღში (ნახ. 2. ვერსალის ბაღები, ქ. პარიზი, საფრანგეთის რესპუბლიკა). ვერსალის სახით ლენორტმა შექმნა საპარკო შედევრი, რომელშიც ბრწყინვალედ გამოავლინა შემოქმედებითი ნიჭი და მონდომება. ლენორტის შემდეგ მისი სტილი ბაღებში გაჩნდა ყველგან, საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში (ნახ. 3. ბაღი კოიკენჰოფი, იგივე ევროპის ბაღი, ქ. ლისე, ნიდერლანდების სამეფო) და თვით იტალიაშიც. საფრანგეთში პეტრე I-ის მოგზაურობობის შემდეგ რუსეთში შეიქმნა პეტერგოფის ბაღები და პეტრეს ბაღი ქ. მოსკოვში. უამრავი უმშვენიერესი ბაღი მარგალიტებადაა მიმობნეული მთელ მსოფლიოში, რომელთაგან სანიმუშოა: იაპონია [ნახ. 4. ცის ვაზის (გლიცინიის) გვირაბი კავაჩი ფუძის ბაღებში, ქ. კიტაკიუსიუ, იაპონია], ჩინეთი, კორეა, ფილიპინები, ახალი ზელანდია, აშშ (ნახ. 5. იაპონური ბაღი ჰანტინგტონის ბოტანიკურ ბაღებში, ქ. სან-მარინო, კალიფორნია, აშშ), კანადა (ნახ. 6. ბუჩარტების ბაღები, ბრენტვუდ ბეი, კუნძული ვანკუვერი, კანადა) და სხვ.





საქართველოში ძველად მხატვრული ბაღების არსებობის თაობაზე ცნობები ძირითადად წერილობით წყაროებში მოიპოვება. ძველი კოლხეთის მხატვრული ბაღების შესახებ მასალებს გვაწვდის ძველი ბერძნული თქმულება არგონავტებზე. პოემაში აღწერილი ბაღი ანტიკური კულტურის ნიშნად არის მიჩნეული, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ბაღებს კოლხეთში უფრო დიდი ისტორია აქვს. ვარაუდობენ, რომ მებაღეობის განვითარებისთვის აღმოსავლეთ საქართველოში ხელი უნდა შეეწყო ძველი ასურეთისა და ბაბილონის საბაღო-საპარკო ხელოვნების კულტურას, რომელმაც განვითარების უმაღლეს დონეს ქრისტეს შობამდე VII–VI საუკუნეებში მიაღწია. ძველ საქართველოში ბაღის შესატყვის სიტყვებად იყენებდნენ ტერმინებს – "სამოთხე" და "წალკოტი". სამოთხესა და წალკოტში დეკორატიული მცენარეების გარდა ხეებიც იზრდებოდა. ხოლო ვარდებისათვის ცალკე ადგილი იყო გაკეთებული. ძველად მცენარეები ტოპონიმიკაშიც აისახებოდა. ბიჭვინთის, როგორც

ქართული, ასევე ბერძნული სახელი პიტიუნტი, ფიჭვიდან მომდინარეობს, ვარციხის – ვარდიციხიდან. თბილისის ერთ-ერთი ისტორიულ უბანში სეიდაბადში უძველესი დროიდან სამეფო ბაღები ყოფილა გაშენებული, სადაც ქართველი მეფეები სპარსეთისა და ოსმალეთის სამეფო კარის წარმომადგენლებს იღებდნენ. ბაღები ირწყვებოდა მეფის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. საქართველოში დღეისათვის საუკეთესო ბაღებია გაშენებული ბათუმში (ნახ. 7. ბათუმის ბოტანიკური ბაღი, საქართველო), თბილისში, სოხუმში, ქუთაისში, წინანდალსა და სხვ.





ბაღი დაკიდებული – ხელოვნურად მოწყობილი დეკორატიული (ნახ. 1. დაკიდებული ბაღი იზოლა-ბელას კუნძულზე, ლაგო-მაჯორეს ტბა, იტალიის რესპუბლიკა) ან ნაყოფიერი ბაღი, აგებული იარუსებად ხელოვნურ ტერასებზე, სახურავებზე, გალერეებზე, სპეციალურ ქვის საყრდენებზე და სხვ.





ბაღი მოდულებიანი – ყვავილნარის, ბაღის მცირე სივრცის ან პარკის ფრაგმენტის გაფორმების ხერხი, დამყარებული განმეორებით მოდულის გეომეტრიულ სისტემაზე (ნახ. 1). მაგ., კვადრატები, მართკუთხედები, ტრაპეციები და სხვ., შევსებული სხვადასხვა ან ერთგვაროვანი ყვავილებითა და ბალახით, რომლებსაც ირგვლივ შემოწყობილი აქვს კერამიკული ან სხვა სახის ფილები.

ბაღჩა – პატარა შემოღობილი ნაკვეთი სახლის წინ.

ბაყი – მესერი, წნული ღობე.

ბაშტე – კუთხ. ბოსელი, გომი, გომური. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საზამთრო სადგომი თუშეთში.

ბაცილა (ლათ. bacillus ჩხირი) – სპორის წარმომქმნელი ჩხირისებრი ბაქტერია.

ბაწარი – 1. მატყლისაგან ან ბამბისაგან დამზადებული საქსოვი ძაფი; 2. მატყლის მსხვილი ძაფი; 3. ტომრის პირის წასაკრავი; ძველად ქალამნის ან ჯღანის შესაკრავი თოკი – მსხვილი ღაზლა (დამატებით იხ. ღაზლა); 3. შინ დართული მატყლის ძაფი, მკედი (და არა თოკი), ძაფი საწინდედ; 4. ნაკრძალი ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს, მდინარე ბაწარას ხეობაში.

ბგერა – დრეკადი გარემოს ნაწილაკების რხევითი მოძრაობა, რომელიც ტალღებად ვრცელდება აირისებრ, თხევად და მყარ გარემოში. ბგერის ფიზიკური ცნება არ შემოიფარგლება ადამიანის სმენადობის შესაბამისი სიხშირის ბგერით. ადამიანი შეიგრძნობს 16-დან 20000 ჰც-მდე სიხშირის ბგერებს. 16 ჰერცზე დაბალ ბგერებს ინფრაბგერა ეწოდება, 20000 ჰერცზე მაღალი სიხშირისას (ბგერას, რომელიც ადამიანის ყურისათვის მისაწვდომი დიაპაზონის მიღმაა) – ულტრაბგერა. როდესაც ბ. ყურს მიაღწევს, დაფის აპკის რხევას იწვევს და ბგერა გვესმის. ბგერითი ტალღა მყარ სხეულშიც გადის, სითხეშიცა და აირშიც. ის მხოლოდ ვაკუუმში (ცარიელ სივრცეში) ვერ ვრცელდება. ბგერითი ტალღა ჰაერში 330 მ/წმ სიჩქარით ვრცელდება, თუმცა, ტემპერატურის ცვლილებასთან ერთად ეს სიდიდეც იცვლება. ბგერა დაახლოებით მილიონჯერ ნელა ვრცელდება, ვიდრე სინათლე. მყარი ზედაპირი ბგერას ირეკლავს. თუ კლდის წინ, გარკვეულ მანძილზე დავდგებით და დავიყვირებთ, რამდენიმე წამში არეკლილი ბგერა მოგვესმება. ეს ექოა. გემებზე წყალქვეშა ექოს იყენებენ იმის გამოსათვლელად, თუ რა მანძილია ფსკერამდე (ან სხვა ობიექტამდე). ამ მოწყობილობას სორანი ეწოდება. ის ბგერით იმპულსებს გზავნის და ზომავს ამ იმპულსების დაბრუნებაზე დახარჯულ დროს. რაც უფრო მალე დაბრუნდება არეკლილი ბგერა, მით მცირეა ამა თუ იმ ობიექტამდე მანძილი. როდესაც რაიმე ირხევა, ეს რხევა ამა თუ იმ სიხშირით მიმდინარეობს. სიხშირე წარმოადგენს ერთ წამში შესრულებულ რხევათა რაოდენობას. ბგერის სიხშირეს ჰერცით (ჰც) ზომავენ. სიმს, რომელიც წამში 1000–ჯერ ირხევა, 1000 ჰც სიხშირე აქვს. რაც უფრო მაღალია ბგერის სიხშირე, მით მაღალია ბგერა და მით უფრო წვრილი ხმა გვესმის ყურში. არსებობს ბგერის სახეები: ანარეკლი, დიფუზიური, მეორე, მკაფიო, მკვეთრი, ჟღრიალა, რიტმული, ყრუ, ძირითადი, წივანა, წკრიალა, წმინდა, წყვეტილი და სხვ.

ბგერაგამტარობა – მასალის თვისება, გაატაროს ბგერა თავის ტანში. თუ მასალის მასა დიდია, მაშინ ბგერითი ტალღების ენერგია არაა საკმარისი მასში გასავლელად და მასალა ნაკლებად ატარებს ხმას. ნაკლებად ბგერაგამტარია ფოროვანი და ბოჭკოვანი მასალები, რადგან ბგერის ენერგია შთაინთქმება ან იფანტება ფორებისა და მასალის ზედაპირებზე.

ბგერათამრთმევი – 1. ბგერათა ვიბრაციის აღმქმელი ელექტრომოწყობილობა; 2. იხ. ადაპტერი.

ბგერათგანმხოლოება – შენობაში ხმაურის წინააღმდეგ მიმართული კონსტრუქციული ღონისძიება – კედლებში, სართულშუა და ჭერის გადახურვებში ხმის გაუმტარი შრეების შექმნა.

ბგერაიზოლაცია – ღონისძიებების კომპლექსი ხმაურის დონის შესამცირებლად, რომელიც ვრცელდება სათავსში გარედან. შემომზღუდავი კონსტრუქციების ბგერასაიზოლაციო თვისებების რაოდენობრივი მხარე ფასდება დეციბელებით. გადახურვებში ბგერაიზოლაციის აუცილებლობას განაპირობებს კონსტრუქციული მასალების მახასიათებლები. ტერმინი ბგერაიზოლაცია ყოველთვის გაიგივებული იყო ტერმინთან ხმაურიზოლაცია, თუმცა ბოლო წლებში ინტერნეტის გვერდებზე ტერმინი ბგერაიზოლაცია უმეტესად მიეკუთვნება ხმაურისაგან დაცვას სათავსში, ხოლო ხმაურიზოლაცია – ხმაურისაგან დაცვას ავტომობილებში.

ბგერასაიზოლაციო მასალა – 1. ბოჭკოვანი აგებულობის დრეკადი მასალა, რომელიც გამოიყენება დარტყმითი და ვიბრაციული ხმაურის საიზოლაციოდ. ის წარმოადგენს ელასტიკურ აირშევსებულ პლასტმასისა და რეზინის საფენს. ასეთი მასალების მოქმედების მექანიზმი დამოკიდებულია ბგერითი რხევების ენერგიის სითბოში გადასვლაზე, რომელიც დაფუძნებულია დეფორმირებადი ელემენტების შიგა ხახუნზე (მაგ., ბოჭკოების) ან თვით მასალის დრეკად დეფორმაციებზე (რეზინის საფენები); 2. ბაზალტის ქვის ბამბა (მინერალური ბამბა), რომელიც საშუალებას იძლევა შევინარჩუნოთ სასურველი ტემპერატურა და შევამციროთ ენერგოდანახარჯები შენობის გათბობისა და კონდიცირებისას. გააჩნია კარგი ხანძარსაწინააღმდეგო თვისებები. ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოა და ეკოლოგიურად სუფთაა; 3. მინაბამბა (მინის ბამბა) – შესანიშნავი თბო- და ხმის საიზოლაციო მასალა, რომელიც დამზადებულია მინის ბოჭკოს საფუძველზე. გამოდის რულონის ან ბრიკეტის სახით; 4. აკუსტიკური მემბრანა; 5. პლასტმასის ნაირსახობები: ქაფპლასტი, ფიჭაპლასტი, პოლისტირენი, პოლიურეთანი და სხვ.

ბგერაშთანთქმადი მასალა – მასალა დიდი რაოდენობის ღია, ერთმანეთთან შეერთებული ფორებით, რომელთა მაქსიმალური დიამეტრი არ აღემატება 2 მმ-ს (ასეთი მასალების საერთო ფორიანობა 75%-ზე მეტია). ბ. მ. აქვს მარცვლოვანი ან უჯრედოვანი აგებულება. სიმკვრივე არ აღემატება 500 კგ/მ^3-ს. ბგერა ხვდება მასალის ფორებში და გავლისას თავის ენერგიას გადასცემს მასალას. მასალის ფორების კედლებზე ან ბოჭკოებთან ხახუნის შედეგად, ის ბგერით ენერგიას გარდაქმნის თბურ ენერგიად.

ბგერაშთანთქმადობა – მასალის უნარი შთანთქოს მასზე დაცემული ბგერა. ბ. დამოკიდებულია მასალის ზედაპირის ხასიათსა და ფორიანობაზე. მასალა კრიალა ზედაპირით, ბგერების მნიშვნელოვან ნაწილს აირეკლავს (სარკის ეფექტი). თუ მასალას აქვს ღია ფორები, მაშინ ბგერითი რხევები შედის მასში (რბილი ავეჯი, ხალიჩები, სპეციალური მოპირკეთება და შელესვა) და შთანთქავს ხმაურს.

ბგერაშთანთქმადობის რევერბერაციული კოეფიციენტი – ბგერაშთანთქმადობის კოეფიციენტი გაზომილი სარევერბერაციო კამერაში მასალაზე ბგერის ქაოტურად დაცემის დროს.

ბგერაშთანთქმის კოეფიციენტი – აურეკლავი ბგერითი ენერგიის შეფარდება ზედაპირზე დაცემული ბგერების ენერგიასთან.

ბდღვირი – ჰაერში დამდგარი დიდი მტვერი.

ბებრის ციხე (ბელტის ციხე) (ინგლ. Bebris Castle) – XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ციხესიმაგრე (ნახ. 1. საერთო ხედი; ნახ. 2. პანორამული ხედი).

მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, ქ. მცხეთის ჩრდილოეთით 2 კმ-ში, მდინარე არაგვის მარჯვენა სანაპიროზე (ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ზედა ციხე (ციტადელი) და ქვედა ციხე. ციხესიმაგრის საერთო ფართობი დაახლოებით 1500 კვ.მ-ია, შიდა ეზოსი კი 600 კვ.მ. მცხეთის ირგვლივ არმაზციხის, წიწამურისა და სარკინეს გარდა, შესაძლოა, სხვა ციხესიმაგრეებიც



ნახ. 1

იყო, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ბებრის ციხემ მოაღწია; მისი ნანგრევები დღესაც ამაყად გადასცქერის არაგვის ხეობას. ციხე მეტად კომპაქტურად არის აგებული შემაღლებულ კონცხზე. კომპლექსში განლაგებული შენობებიდან ძირითადია მთავარი ციტადელი, რომელსაც სამხრეთით პატარა ეზო აკრავს. ციტადელის გეგმა სამკუთხედის მსგავსია. მის ყოველ კუთხეში თითო კოშკი დგას, ყველაზე დიდი, სამხრეთ-დასავლეთის კოშკისაგან შემორჩენილია სამი სართული. სამივე დაზიანებულია. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კოშკები თითქმის ტოლია. ჩრდილოეთის კოშკის სამი სართულია შემორჩენილი, აღმოსავლეთისა – მხოლოდ საძირკველი. აღმოსავლეთ კოშკის შიგნით მოგვიანებით ცილინდრული კოშკი ჩაუშენებიათ, კოშკებში სართულშუა გადახურვა ხის იყო. სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთის კოშკებს აქვს თავისებური (სავარაუდოა ისრის სატყორცნი) საბრძოლო ხვრელები, რომლებიც შიდა მხრიდან განიერი (საშუალოდ 2 მ), მაღალი (დაახლოებით 2,5 მ) და ღრმაა (საშუალოდ 1,5 მ), გარედან კი ვიწრო (0,3 მ) და დაბალი (1 მ). ციხის ქვედა ეზოს აღმოსავლეთ კუთხეში ციტადელის კოშკების მსგავსი ოთხკუთხა კოშკი დგას. ქვედა ციხის ეზო ფერდობზე იყო მოთავსებული და ვრცელი ტერიტორია ეკავა. გალავნის აღმოსავლეთის ბოლოში მდგარა ოთხკუთხა კოშკი, რომელიც ზემოთ აღწერილი კოშკების მსგავსი იყო. ციხის კედლები, ადრეული ციხეების მსგავსად, გემოვნებითაა აშენებული თანაბარი ზომის ნატეხი ქვით კირის ხსნარზე.



ნახ. 2



ნახ. 3

ბეგი (თურქ. beg, bey მბრძანებელი, მთავარი, ბატონი) – 1. მიწის მაღალი კაშხლის, რკინიგზის ყრილის, არხის ან კარიერის ფერდობზე გაკეთებული საფეხური, რომლის დანიშნულებაა ფერდობის მდგრადობის გადიდება და მისი დაცვა ატმოსფერული წყლით წარეცხვისაგან; 2.

მცირე სიგანის ბაქანი, რომელზეც სამუშაოები არ ხდება; 3. გვაროვნული და ფეოდალური დიდკაცობის ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთ ქვეყნებში.

ბედიის მონასტერი (ინგლ. Bedia Cathedral) – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ბედიის ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიურ ოლქში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, გალიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, 25 კმ-ის დაშორებით სოფელ ბედიაში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, ეპისკოპოსის საცხოვრებელი, კარიბჭე-სამრეკლო და ჯვარგუმბათოვანი ტაძარი.

ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III (978-1014 წწ.) 999 წელს. ამ ტაძარს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამჟამინდელი ნაგებობა ბაგრატისეულის ნაშთებზეა დაშენებული XIII საუკუნის მეორე ნახევარში.


ნახ. 1

ბედიის ტაძარი აღმართულია სამი მხრიდან კლდეებით შემოსაზღვრული გორაკის თავზე. მეოთხე მხარეს, დასავლეთით, გორაკის ფერდობს გავაკებული მოედანი უერთდება, რომელზედაც აგებული იყო ეპისკოპოსის სასახლე და კარიბჭე-სამრეკლო. კომპლექსს გარშემო დაახლოებით 300 მ სიგრძისა და 0,6-0,8 მ სისქის გალავანი შემოუყვებოდა (გალავნის უმეტესი ნაწილი ამჟამად დანგრეულია).

მონასტრის ცენტრალური ნაგებობაა ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ სახის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი, რომელსაც გეგმაში მართკუთხედში ჩაწერილი ჯვრის ფორმა აქვს. ტაძრის ცენტრში, ჯვრის მკლავების გადაკვეთით შექმნილ კვადრატზე, აფრების საშუალებით ამოყვანილია თოთხმეტწახნაგა გუმბათი, რომელშიც ამავე რაოდენობის სარკმელებია გაჭრილი. გარედან ტაძარი სუფთად გათლილი ქვიშაქვითაა ნაგები კირის ხსნარზე. ტაძრის დასავლეთის მხარეს შემორჩენილია მინაშენის ნაშთები. ტაძარი მნიშვნელოვნად გადაკეთებულია XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე და XV საუკუნეში. სამრეკლო XII-XIV საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო ეპისკოპოსის სასახლე აშენდა XV საუკუნეში. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის სამი ფენა, რომელიც X-XI, XIII-XIV და XVI-XVII საკუნეებით თარიღდება. ტაძრის მდიდრული სამკაულიდან შემორჩენილია ლითონზე პლასტიკის იშვიათი ნიმუში, ბაჯაღლო ოქროს ბარძიმი (თასი) (ნახ. 2. ოქროს ბარძიმი), რომელიც დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. მხატვრულ-სტილისტური ანალიზით ბარძიმი დამზადებული უნდა იყოს საქართველოში 989-999 წლებში (გ. ჩუბინიშვილი).

ბედიის მონასტერში შემონახული ლაპიდარული, ფრესკული, ჭედური წარწერები, მორთულობები (ნახ. 3. ფასადის მორთულობა ჯვრით), რომლებიც ტაძრის ფასადებზე, ინტერიერში, სამონასტრო კომპლექსის სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებსა და საეკლესიო ნივთებზეა მოთავსებული, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახავენ. ბედიის საეპისკოპოსო საუკუნეების განმავლობაში შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ცნობილია ბედიის სამონასტრო კომპლექსის საკმაოდ მდიდარი წიგნთსაცავი, სადაც ხდებოდა საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა, ძველ ხელნაწერთა

განახლება-რესტავრაცია, წიგნსაცავის შევსება ახალი მასალებითა და სხვა საგანმანათლებლო საქმიანობა.

ბედიის მონასტერში დასაფლავებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III და დედამისი – დედოფალი გურანდუხტი.



ნახ. 2



ნახ. 3

ბედლენდი (ინგლ. bad lands ცუდი მიწები) – მეტისმეტად დასერილი, მიწათმოქმედებისთვის გამოუსადეგარი რელიეფი.

ბეთანიის მონასტერი (ბეთანია) (ინგლ. Betania Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სასულიერო სტატუსი – მამათა მონასტერი) (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი). მდებარეობს ქართლში, ქ. თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით, ნასოფლარ კვესეთთან, ტყეში, მდინარე ვერეს ხეობაში (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, მცირე ეკლესია, ბერების საცხოვრებელი სენაკები.



ნახ. 1

ბეთანიის მონასტერი უკვე არსებობდა XI საუკუნეში (აქ იყო ორბელიანთა საგვარეულო საძვალე). ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარი გუმბათოვანი ტაძარი აიგო XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე იმ ადგილას, სადაც X-XI საუკუნეებში პატარა აგურის ეკლესია იდგა. 1196 წელს იოანე ორბელიანის მეუღლემ რუსუდანმა, მთავარი ტაძრის გვერდით წმინდა გიორგის სახელობის მცირე დარბაზული ეკლესია ააგო. XIII საუკუნიდან მონასტერი სამეფო კუთვნილებაში გადავიდა. ისტორიული ცნობები მონასტრის შესახებ ძალზე მწირია, მხოლოდ შემორჩენილი ჩუქურთმები, ფრესკები და წარწერები გვაუწყებენ იმას, რომ მონასტერი მრავალჯერ დანგრეულა და აღდგენილა. ერთი პერიოდი სრულიად მიტოვებულიც ყოფილა. 1851 წელს



ნახ. 2

გრიგოლ ორბელიანს (ქართველი თავადი და პოეტი) ნადირობისას შემთხვევით აღმოუჩენია ბეთანიის სამონასტრო კომპლექსი, ხოლო რუს მხატვარს გ. გაგარინს, თავისი ხარჯებით, ჩაუტარებია გაწმენდითი სამუშაოები და აღმოუჩენია თამარ მეფის ფრესკა.

მონასტრის მთავარი ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა. გუმბათი ოდნავაა გადანაცვლებული აღმოსავლეთისკენ და მნიშვნელოვნადაა ზემოთ აზიდული. სამხრეთი შესასვლელის წინ ვარსკვლავისებრი კამარით გადახურული კარიბჭეა. ტაძარი გარედან მოპირკეთებულია თლილი ქვით, ხოლო კედლებისა და გუმბათის ყელის აგურის წყობა გვიანდელი რესტავრაციის დროინდელია. აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილი ტრადიციული ნიშები მოჩუქურთმებული თავსართით უკავშირდება შუა სარკმელს. მოჩუქურთმებულია სარკმლის საპირეებიც. ინტერიერში განათების მთავარ წყაროს გუმბათის ყელში განლაგებული თორმეტი სარკმელი წარმოადგენს. ამას ემატება ოთხივე მკლავში მოთავსებული სამ-სამი სარკმელი. განსაკუთრებით მორთული კი საკურთხევლის ფასადია. დასავლეთიდან ეკლესიას მიშენებული აქვს წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის მცირე ეკლესია (ნახ. 4. მცირე ეკლესია). აღნიშნული ძეგლი თამარის პერიოდს განეკუთვნება. ამ დროის ძეგლებში (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი და სხვ.) უკვე საბოლოოდ შემუშავდა ქართული გუმბათოვანი ეკლესიების კანონიკური სახე: ტაძრის გეგმა დამოკლდა და კვადრატს მიუახლოვდა, ოთხი ცალკე მდგომი სვეტის ნაცვლად დარჩა ორი, საკურთხევლის კედლებთან შერწყმული აღმოსავლეთის სვეტი. დასავლეთის მკლავში სვეტები აღარ არის, მას ორივე მხარეს მხოლოდ თითო თაღოვანი მალი აქვს. შეიცვალა პროპორციები: შენობის კორპუსი რამდენადმე დადაბლდა, ხოლო გუმბათის ყელი კიდევ მეტად დაგრძელდა. ტაძრის ყველა ფასადი დატვირთულია ქვაზე ნატიფად და მაღალი ოსტატობით შესრულებული ჩუქურთმებითა და ორნამენტული ხვეულებით, რომლებიც განუმეორებელ ხიბლს მატებენ ტაძარს (ნახ. 5. აღმოსავლეთის ფასადის მოჩუქურთმებული სარკმელი; ნახ. 6. სამხრეთის ფასადის სარკმლის ქვედა საპირეს კვანძი; ნახ. 7. აღმოსავლეთის ფასადის მოჩუქურთმებული ჯვრისებრი სარკმელი; ნახ. 8. მონასტრის წყარო) და მნახველს უმძაფრებს მშვენიერების აღქმისა და შეცნობის სურვილს. მორთულობის კულმინაციაა უხვად შემკული გუმბათის ყელი.



ნახ. 3


ნახ. 4

ბეთანიის მხატვრობა 1207 წლით თარიღდება. ტაძარი მთლიანად მოხატული ყოფილა, რაზეც მიუთითებს შემორჩენილი ფრესკების ნაშთები. ოდესღაც ბეთანიის მოხატულობა არაჩვეულებრივად მდიდრული და მშვენიერი იყო – ფრესკების საღებავები ძალზე ძვირფასია, ფერები ცოცხალი და ღრმაა: მკვეთრი ალისფერი სინგური, მუქი-ლურჯი ფერის ლილა-ქვა (ამ ფერითაა შევსებული თითქმის ყველა ფრესკის ფონი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში), აურიპიგმენტი, ჟანგმიწის მდიდრული ნაკრები, ოქრო –

მეფეთა პორტრეტებზე. საერთოდ ღრმა, მრავალგვაროვან ფერთა დიდებული პალიტრაა. ოდესღაც აქ მხოლოდ ათორმეტი დღესასწაული კი არ იყო წარმოდგენილი, არამედ ზედმიწევნით იყო გამოსახული უფლის ვნებისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დღესასწაულთა ციკლები. ბეთანიის ფრესკებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩრდილოეთის კედლის ფრესკა, რომლის მოხატულობა შესრულებულია თამარ მეფის სიცოცხლეში, გიორგი-ლაშას თანამოსაყდრედ გამოცხადების ხანაში. კედელზე გამოსახულია მეფე გიორგი III, წმიდა თამარ მეფე და მეფე ლაშა-გიორგი [ნახ. 9. ლაშა-გიორგის, თამარ მეფის და გიორგი III-ის ფრესკა (რესტავრაციამდე); ნახ. 10. მეფე გიორგი III-ის, თამარ მეფის და მეფე ლაშა-გიორგის ფრესკა (რესტავრაციის შემდეგ)]. ბეთანიის ეკლესიაში არსებული თამარ მეფის რიგით მეორე ფრესკა, ერთ-ერთია საქართველოში არსებული მისი ოთხი ფრესკიდან (ვარძია, ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი).







ნახ. 7





ნახ. 9



ნახ. 10

ბეთლემის გამოქვაბული (ინგლ. Bethlehem Cave) – გამოქვაბული ხევში (სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტი), მყინვარწვერის მასივზე, მწვერვალიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ განშტოებულ ბეთლემის ქედზე (გერგეთისა და აბანოს მყინვარების აუზთა გამყოფი), სადაც მოწყობილია წმიდა სამების სახელობის მცირე მართლმადიდებლური სალოცავი. 1999 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, მყინვარწვერზე მთასვლელთა დახმარებით, მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის წინამძღვრობით, სასულიერო პირები ავიდნენ და იქ, ზღვის დონიდან დაახლოებით 4000 მეტრზე (ერთი მონაცემით დაახლ. 4100 მ, მეორით კი 3800 მ), წმიდა სამების სახელობის მცირე ტაძარი მოაწყვეს (ნახ. 1. ტაძრის შიდა ხედი). იქვე პირველი წირვაც აღავლინეს. იკურთხა 2000 წლის ქრისტეშობის დღესასწაულზე.



ნახ. 1

სალოცავი მდებარეობს მსოფლიოში არსებულ მართლმადიდებელ ტაძართა შორის ზღვის დონიდან ყველაზე მაღალ ადგილას. გამოქვაბული გამოკვეთილია ციცაბო, მოწითალო ფერის ანდეზიტის კლდეში (კლდის ძირიდან 300 მ სიმაღლეზე). ძველად, გამოქვაბულში ასასვლელად კარიდან გადმოკიდებული იყო 5,5 მ სიგრძის რკინის ჯაჭვი. სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება რკინის ფირფიტებით შეჭედილი ბეთლემის კარი, სპილენძის შანდალი, საეკლესიო ინვენტარი, მონეტები. გამოქვაბულის კედელზე ამოკვეთილი წარწერის ფრაგმენტები პალეოგრაფიულად X-XI საუკუნეებით თარიღდება. ბეთლემის შესახებ ხალხში შემონახული თქმულება საფუძვლად დაედო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის პოემა "განდეგილს". არსებობს გადმოცემა, რომ ბეთლემის გამოქვაბულში მოსეს კარავი და მაცხოვრის აკვანი ინახებოდა. იქ წმინდა და ღმერთშემოსილი მამები VI საუკუნიდან აღასრულებდნენ ბერულ ღვაწლს. საინტერესოა, რომ მცხეთის მახლობლად მდებარეობს მეორე "ბეთლემის გამოქვაბული" – სალოცავი. ძველი თქმულების თანახმად, აქ ლოცულობდა ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო და აქვე იყო მისი მოსასვენებელი.

ბეთლემის კიბე – 120 საფეხურიანი კიბე-ქუჩა თბილისში, ქვემო კალაში (კლდისუბანში), რომელიც დამრეც ფერდობზე აღმართული ქვემო ბეთლემის ეკლესიიდან კლდეს აჰყვება და ზემო ბეთლემთან მთავრდება. კიბის პროექტი 1850 წ. თბილისის საგუბერნიო არქიტექტორმა ტიმოთე ბელოიმ შეადგინა. პროექტში კიბეს მიუყვებოდა სვეტებზე მოწყობილი სახურავი, მაგრამ პროექტი ბოლომდე არ განხორციელდა და ამასთან, კიბის ტრასაც ნაწილობრივ შეიცვალა.

ბეიდელიტი (ინგლ. beidellite პირველად ნაპოვნი ადგილის – ბეიდელის მიხედვით, კოლორადოს შტატი, აშშ) – მონტმორილონიტის ჯგუფის, ფენოვანი სილიკატების ქვეკლასის მინერალი; შედის ვულკანური თიხის შემადგენლობაში. ფერი – თეთრი, რუხი, ყვითელი. ქიმიური ფორმულა $Na_{0,5}Al_2[Si_{3,5}Al_{0,5}O_{10}](OH)_2 \cdot nH_2O$; სიმკვრივე – 2000-2300 კგ/მ^3; სიმაგრე მოოსის სკალით – 1-2. გამოიყენება ადსორბენტად (წყლის გაწმენდისას რადიოაქტიური ნარჩენების მოსაცილებლად), საბურღი ხსნარების დასამზადებლად, კერამიკის, რეზინის, ქაღალდის, საღებავების წარმოებაში და სხვ.

ბეინიტი (ინგლ. bainite<ამერიკელი ფიზიკოსის ე. ბეინის სახელის მიხედვით) – აუსტენიტის შუალედური გარდაქმნის შედეგად წარმოქმნილი ფოლადის (რკინანახშირბადიანი შენადნობი) სტრუქტურა; ნემსისებრი ტროოსტიტი. ბ. შედგება ნახშირბადით გადამეტნაჯერი ფერიტისა და რკინის კარბიდის ნაწილაკების ნარევისაგან. აუსტენიტის გადამეტცივებისას 500-350°C ტემპერატურაზე წარმოიქმნება ზედა ბეინიტი, ხოლო 350-200°C – ქვედა ბეინიტი.

ბეისიკი (ლათ. basis საფუძველი, ძირი) – დაპროგრამების ენა.

ბელეტაჟი (ფრანგ. bel კარგი და étage სართული) – 1. შენობის მეორე, მთავარი სართული, რომლის ოთახები უფრო მაღალია, ვიდრე პირველი სართულისა და რომელიც ძირითადად საცხოვრებლადაა განკუთვნილი (ნახ. 1); 2. კინოთეატრის, თეატრისა და მისთ. მაყურებელთა დარბაზის პარტერისა და ამფითეატრის თავზე მოთავსებული პირველი იარუსი (ნახ. 2).





ბელვედერი (იტალ. belvedere მშვენიერი ხედი) – 1. შემაღლებულ ადგილზე განლაგებული ცალკე მდგომი ნაგებობა (ნახ. 1) ან ნაგებობის დამაგვირგვინებელი ნებისმიერი ფორმის ზედნაშენი კოშკის, გუმბათის, ღია გალერეის და მისთ. სახით, ყველა მხრიდან ღია, სვეტებზე დაყრდნობილი გუმბათოვანი გადახურვის მქონე ნაგებობა, საიდანაც იშლება შემოგარენის ხედი; 2. ცალკეული სასახლეების დასახელება [სასახლე ვარშავაში, ზემო ბელვედერი ვენის სასახლეთა კომპლექსში (ნახ. 2), რომის პაპის სასახლე ვატიკანში და ა.შ.].




ბელი [ინგლ. bell<ამერიკელი (წარმოშობით შოტლანდიელი) გამომგონებლის ა. ბელის სახელის მიხედვით] – ელექტრონიკაში, რადიოტექნიკაში, აკუსტიკაში ენერგიებისა და სიმძლავრეების მიმართებების გასაზომი ლოგარითმული ერთეული. პრაქტიკაში გამოიყენება ბელის მეათედი (დეციბელი – დბ).

ბელიტი – ორკალციუმიანი სილიკატი $2CaO \cdot SiO_2$, ერთ-ერთი ძირითადი ხელოვნური მინერალი, რომელიც მიიღება ცემენტის კლინკერის გამოწვის დროს. კლინკერში მნიშვნელობითა და რაოდენობით (20-30%) მეორე მინერალია. ის ნელა მაგრდება, მაგრამ საბოლოოდ აღწევს დიდ სიმტკიცეს.

ბელტინგი (ლათ. balteus ღვედი, სარტყელი) – მძიმე, ძალიან მჭიდრო და გამძლე ქსოვილი, რომელიც გამოიყენება ტრანსპორტიორის ლენტის დასამზადებლად.

ბელღარი (რუსხმული, აკვედუკი) – 1. ხიდი, რომელიც აგებულია ხევზე, მდინარეზე, გზაზე, რკინიგზაზე წყლის გადასაყვანად; 2. ქვის, აგურის, თუჯის, ბეტონის მაღალი ნაგებობა – წყალსატარი (არხი, მილი), რომლითაც წყალი თვითდინებით მიემართება დასახლებული პუნქტებისაკენ, სარწყავი და ჰიდროენერგეტიკული სისტემებისაკენ. ასეთი ნაგებობა შედგება საძირკვლისა და სანაპირო ბურჯებისაგან, რომლებზეც ეყრდნობა წყლის გადამყვანი მილები ან ეწყობა ღარები, კიუვეტები, არხები (ნახ. 1). ბ. მშენებლობა დაიწყეს ძვ. წ. VII საუკუნეში (ძვ. რომი, ეგვიპტე, ახლო აღმოსავლეთი, საბერძნეთი) დიდი ქალაქების წყალმომარაგებისათვის. დღეისათვის ყველაზე გრძელ ბელღარს მიეკუთვნება: Catskill (190 კმ, ნიუ-იორკი, აშშ) და Colorado River (400 კმ, ლოს-ანჯელესი, აშშ). დიდი რაოდენობის ბ. აშენებული ინგლისში ისეთი ქალაქების წყალმომარაგებისათვის, როგორებიცაა მანჩესტერი, ლივერპული, ბირმინგემი და სხვ.



ბელღოჯი – ძვ. ფუღურო კლდეში; ხვრეტი კედელში.

ბემა (ბერძ. bēma ნაბიჯი, შემაღლებული ადგილი) – 1. ძვ. საბერძნეთში ამაღლებული ადგილი ორატორებისათვის (ნახ. 1); ადრექრისტიანულ ტაძარში ამაღლებული ადგილი სასულიერო პირებისათვის; 2. რომაულ ტაძრებში განსაკუთრებული ამაღლებული წმინდა ადგილი ეპისკოპოსისათვის; 3. ძვ. რომში – სიგრძის საზომი ტოლი ერთი ნაბიჯისა; 4.



ნახ. 1



ნახ. 2

ქრისტიანულ ტაძარში ნახევარსვეტებით გამოყოფილი და კანკელით შემოსაზღვრული აფსიდის წინა სივრცე, რომელიც გვირგვინდება თაღით. საკურთხეველთან ერთად ამაღლებულია 1, 2 ან 3 საფეხურით (ნახ. 2. სმოლენსკის სამოციქულო ტაძრის ბემა, რუსეთის ფედერაცია). ექსტერიერში მას საკუთარი ორქანობიანი სახურავი აქვს.

ბემონი – ძვ. მაღალი ხარისხი.

ბენგალიური ცეცხლი (ინდოეთის ისტორიული რაიონის – ბენგალიის სახელის მიხედვით) – პიროტექნიკაში გამოყენებული წვადი შემადგენლობა, რომელიც შეიცავს ბარიუმის ნიტრატს (განმჟანგველი), ალუმინის ან მაგნიუმის ფხვნილს, რკინის ან ფოლადის ნაქლიბს (საწვავი) და დექსტინს ან სახამებელს (ცემენტატორი). ანთებისას ბ. ც. იწვის ნელა, კაშკაშა, მბრწყინავი ნაპერწკლების გაფრქვევით, რომელიც ქრება ჰაერშივე.



ბენდვაგენი (ფრანგ. bande ჯგუფი და wagon ვაგონი) – 1. ძვ. ვაგონი, რომელიც გამოიყენებოდა ჯგუფის გადასაყვანად აღლუმის, პროცესიის წარმატებული პოლიტიკური კომპანიის დროს (პირველად ნახსენებია 1899 წელს აშშ პრეზიდენტის ტეოდორ რუზველტის შრომებში); 2. ოთხთვალა გერმანული ურიკა (ნახ. 1); 3. ლენტური ტრანსპორტიორი, რომელიც დაყენებულია რელსებზე მოძრავ მაღალ ურიკაზე. გამოიყენება ღია სამთო კარიერის დამუშავებისას ქანების ტრანსპორტირებისათვის.

ბენზინი (გერმ. benzin<არაბ. lubān jāwī საკმეველი კუნძულ იავადან) – ალიფატური (ცხიმოვანი) რიგის თხევადი ნახშირწყალბადების ნარევი, რომელიც მიიღება ნავთობის კრეკინგით (მისი მიღება შეიძლება აგრეთვე ნახშირიდან, ფიქალებიდან). ბ. არსებობს რამდენიმე ხარისხის: საავიაციო, საავტომობილო და სხვ. ფართოდ გამოიყენება შიგაწვის ძრავებისათვის საწვავად თვითმფრინავებში,

ავტომობილებში და სხვ., აგრეთვე გამხსნელად – რეზინისა და ქიმიურ მრეწველობაში. ბ., როგორც საწვავი, პირველად გამოყენებული იქნა XIX საუკუნის ბოლოს, როცა დაიმლერმა შექმნა შიგაწვის ბენზინის ძრავა. საავტომობილო ბენზინის მრავალი სახეობა არსებობს, რომელსაც განსაზღვრავს ოქტანური რიცხვი. რაც მაღალია ოქტანური რიცხვი, მით უფრო მაღალია ბ. ხარისხი. ყველა ეთილირებულ ბენზინს უმატებენ სხვადასხვა ფერის საღებავის დანამატს, შესაბამისად, მისი შეფერილობაც სხვადასხვაა: A-72 – ვარდისფერი, A-76 – ყვითელი, AI-93 – ნარინჯისფერ-წითელი, AI-98 – ლურჯი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ბენზინის მარკებს სხვადასხვა დასახელება აქვს: Italian Grade motor gasoline, german Grade motor gasoline, unleaded midgrade motor gasoline, unleaded motor gasoline (91RON, 92RON, 95RON), leaded motor gasoline (97RON)], winter grade motor gasoline, summer grade motor gasoline და სხვ.

ბენზინი გალოშის (ბენზინი კალოშის) – ნავთობის გადამუშავების პროდუქტი, რომელიც შერეული შემადგენლობის გამხსნელია არომატული ნახშირწყალბადების შემცველობით (0,5-2,5%). გამოიყენება რეზინის, ლაქების, ზეთოვანი საღებავებისა და საღებრების, მინანქრების, ბიტუმის, წებოს, პოლიეთილენის წარმოებაში; აგრეთვე ელექტრომოწყობილობების, საკისრების, ტყავეულის, ქსოვილების, არმატურის ცხიმგაცლისათვის და სხვ.

ბენზინის კრეკინგი – ნავთობის დამატებითი გადამუშავება. ნავთობის ჩვეულებრივი გადამუშავების დროს მიიღება მხოლოდ 1020% ბენზინი, ამიტომ ბენზინის რაოდენობის გასაზრდელად, ნავთობის უფრო მძიმე ან მეტი დუღილის ტემპერატურის უნარის მქონე ფრაქციებს აცხელებენ მათში შემავალი მოლეკულების, ბენზინის შემადგენლობაში შემავალი მოლეკულების ზომამდე დაყვანის მიზნით. ამ პროცესს კრეკინგს უწოდებენ, მისი წყალობით ნავთობიდან 70% ბენზინის მიღება შეიძლება.

ბენზინის პიროლიზი – კრეკინგი 700-800°C ტემპერატურაზე. კრეკინგი და პიროლიზი საშუალებას იძლევა ნავთობიდან ბენზინის ჯამური რაოდენობა გაიზარდოს 85% -მდე.

ბენზინსაჭრისი – აპარატი ლითონის გასახურებლად ჟანგბადით ჭრის დროს, რისთვისაც გამოიყენება თხევადი საწვავი (ნავთი, ბენზინი და სხვ.).

ბენზოლი (ფრანგ. benzol<benzoic acid ბენზოის მჟავა და -ol ბოლოსართი, გამოყენებული ქიმიური შენაერთის ფორმირებისათვის) – უბრალო არომატული ნახშირწყალბადი C_6H_6, უფერო სითხე. დუღილის ტემპერატურა – 80,1°C; დნობის ტემპერატურა – 5,5°C; აფეთქების ტემპერატურა – –11°C; სიმკვრივე – 878,6 კგ/მ^3. ჰაერთან ქმნის აფეთქებადსაშიშ ნარევს (1,5-8% ბ. მოცულობის მიხედვით). ბ. მომწამვლელი ნივთიერებაა; ჰაერში მისი ზღვრული კონცენტრაცია დახურული სათავსებისათვის შეადგენს 20 მგ/მ^3. ის ძვირფასი ნედლეულია საღებავის, წამლის, პოლიმერის, ასაფეთქებელი ნივთიერების და სხვ. წარმოებაში. გამოიყენება, როგორც გამხსნელი (ცხიმის, ფისის, კაუჩუკის), იშვიათად – როგორც ძრავას საწვავის კომპონენტი.

ბენთალი (ბენთოსი) (ბერძ. benthos სიღრმე) – წყალსატევის უბანი, სადაც დასახლებულია გრუნტზე ან გრუნტში მობინადრე ორგანიზმები.

ბენიფიციარი (ლათ. beneficus სიკეთის კეთება) – პირი, რომლის სასარგებლოდაც იხდიან ფულს და გასცემენ აკრედიტივს; სადაზღვევო პოლისის მიმღები.

ბენტონიტი (ინგლ. bentonite<აშშ-ის ფორტ ბენტონის სახელის მიხედვით) – ამერიკაში გავრცელებული სახელწოდება ისეთი თიხებისა, რომლებიც წარმოიქმნენ ვულკანური მინის ფერფლის დალექვის თანადროული გამოფიტვის გზით. უფრო ხშირად უწოდებენ მონტმორილონიტის ჯგუფს, რომელშიც გაერთიანებულია მინერალები: ბეიდელიტი, ნონტროლიტი, საპონიტი და სხვ. ქიმიური ფორმულა – $Al_2[Si_4O_{10}](OH)_2 \cdot nH_2O$; სიმკვრივე – 760-879 კგ/მ^3. წყლის ზემოქმედებით ჯირჯვდება და წარმოქმნის მკვრივ გელს, რომელიც ხელს უშლის ტენის გატარებას. ბენტონიტის გამოყენების სფეროებია: სამშენებლო მრეწველობა, წყლის არხებისა და კაშხლების ეკრანირება, საბურღი ხსნარები, სამსხმელო წარმოება მეტალურგიაში, ნავთობპროდუქტებისა და რკინის მადნების გადამუშავება, კერამიკა, კოსმეტოლოგია, ფარმაკოლოგია, აკვარიუმებისა და ტერარიუმების დეკორირება, ღვინის წარმოება, კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.



ბენუარი (ფრანგ. baignoire პირდაპირი თარგმანით – აბაზანა) – სცენის დონეზე ან ოდნავ მაღლა განლაგებული ლოჟების რიგი თეატრში (ნახ. 1).



ბენჩი (ინგლ. bench<ძვ. ინგლ. hōbanca დივანი) – 1. აბრაზიული ტერასა, რომელიც აბრაზიის შედეგად წყალსაცავის ნაპირზე წარმოიქმნება ტალღების მოქმედებით; 2. ეთიოპიის სამხრეთში მცხოვრების ბენჩის ხალხის სალაპარაკო ენა; 3. თანამედროვე სკამის ტიპი (Structube) დამზადებული მაგარი ჯიშის მერქნისაგან (ნახ. 1).

ბენჩმარკინგი (ინგლ. benchmark ათვლის დასაწყისი) – პროცესი, რომლის საშუალებით საწარმო (ფირმა) პერმანენტულად ახორციელებს თავისი მახასიათებლების შედარებას ბიზნესის ლიდერებთან მსოფლიო მასშტაბით და ახდენს თვითშეფასებას, რათა მიიღოს საკუთარი ბიზნესმახასიათებლების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია.

ბერა – 1. ორმხრივ მოღობილი საქონლის შესარეკი (ჩვეულებრივ ცხვრის სათვლელად ან საწველად); 2. ძელი ასპარეზზე, რომლის გადაღმა მოჭიდავენი ისვენებენ ან მორბენალნი იწყებენ შეჯიბრს; 3. ხერგილი; გზის ჩასაკეტი მოწყობილობა.

ბერვა – მეტალ. ლითონსადნობ ღუმელში აირის მიწოდება ლითონის დნობის ფიზიკურ-ქიმიური პროცესის უზრუნველყოფის ან ინტენსიფიკაციისათვის.

ბერთოლეს მარილი (ფრანგი ქიმიკოსის კ. ლ. ბერთოლეს სახელის მიხედვით) – კალიუმის ქლორატი $KClO_3$, წყალში ხსნადი უფერო კრისტალები. დნობის ტემპერატურა $t_{დნ}$ = 370°C. ძლიერი დამჟანგავი (გახურებისას იშლება ჟანგბადის გამოყოფით). გამოიყენება ასანთისა და ასაფეთქებელი ნივთიერების წარმოებაში.

ბერილიზაცია – ფოლადისა და სხვა შენადნობების ზედაპირული დიფუზიური გაჯერება ბერილიუმით. ბ. შედეგად იზრდება ფოლადის სიმაგრე, ცეცხლ- (800-1100°C) და კოროზიამედეგობა.

ბერილიუმი [ინგლ. beryllium<ძვ. ფრანგ. beryl<ლათ. beryllus<ბერძ. beryllos<შესაძლოა სანკრისტ. vaidurya- მიხედვით ან ქალაქ ველურის Velur (თანამედროვე ქ. ბელური Belur, სამხრეთ ინდოეთი) სახელის მიხედვით] – სალი, მსუბუქი, მყარი, ნაცრისფერი ლითონი. სიმბოლო – Be; სიმკვრივე – 1848 კგ/მ3; დნობის ტემპერატურა – 1278°C; დუღილის ტემპერატურა 2970°C. ბ. 1798 წელს აღმოაჩინა ფრანგმა ფიზიკოსმა ლუინიკოლა ვოკლენმა, ხოლო სუფთა ლითონური ბერილიუმი მიღებული იქნა 1898 წ. ფრანგი ფიზიკოსის ლებოს მიერ. ცნობილია ბერილიუმის 30-მდე მინერალი, რომელთაგან მხოლოდ ექვსი ითვლება შედარებით უფრო გავრცელებულად: ბერილი, ქრიზობერილი, ბერტრანდიტი, ფენაკიტი, ჰელვინი, დანალიტი. სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ძირითადად ბერილს. ბერილიუმის (ბერილის) ნაირსახეობები ითვლება ძვირფას ქვებად: აკვამარინი – ცისფერი, მომწვანო-ცისფერი, მოცისფრო-მწვანე; ზურმუხტი – მუქი-მწვანე, ნათელი-მწვანე; ჰელიოდორი – ყვითელი; არსებობს ბერილიუმის (ბერილის) სხვა ნაირსახეობები, რომლებიც ფერებით განსხვავდებიან (მუქი-ლურჯი, ვარდისფერი, წითელი, ღია-ცისფერი, უფერული და სხვა). ბერილს ფერს აძლევს მინარევები. ლითონური ბერილიუმი ოთახის ტემპერატურაზე შედარებით ნაკლებად შედის რეაქციაში; არ რეაგირებს წყალთან და მის ორთქლთან და არ იჟანგება ჰაერით 600°C ტემპერატურამდე. ბ. ფხვნილი ცეცხლის მოკიდებისას იწვის ნათელი ალით. ადვილად იხსნება მჟავეების (გოგირდმჟავა, მარილმჟავა, აზოტმჟავა) წყლის ხსნარებში. ბერილიუმის შენადნობები სპილენძთან, ალუმინთან, მაგნიუმთან, ნიკელთან, ცირკონიუმთან, ტანტალთან ფართოდ გამოიყენება ხელსაწყოთმშენებლობაში, საავიაციო, კოსმოსურ, ლაზერულ და ბირთვულ ტექნიკაში დეტალებისა და თბოგამტარი ცეცხლგამძლე მასალების დასამზადებლად. ბ. და მისი ნაერთები გამოიყენება რენტგენის მილაკებისა და ნეონის სანათი მილების წარმოებაში. ბერილიუმის მფრინავი და ხსნადი ნართები, მათ შორის მტვერი, მაღალტოქსიკურია. ახასიათებთ ნათლად გამოხატული ალერგიული და კანცეროგენული მოქმედება. ბერილიუმშემცველი ჰაერის შესუნთქვა იწვევს სასუნთქი გზების მძიმე დაავადებას –ბერილიოზს, ამიტომ ბერილიუმთან და მის ნაერთებთან მუშაობისას აუცილებელია უსაფრთხოების მოთხოვნების მკაცრი დაცვა.

ბერკეტი – მცირე ძალის საშუალებით დიდი ძალის გასაწონასწორებელი უმარტივესი მექანიზმი (მაგ., აზარმაცი, ოწინარი). არებობს მისი სახეობები: ამწევი, არატოლმხარა, ასამუშავებელი, ბურთიანი, გადამრთველი, გამომრთველი, გასართი, დამჭიმი, დამხრელი, დასაჭერი, ისრის, კვლის, კლავიშის, კორექტორის, მართვის, მგორავი, მიმმართველი, მოქანავე, მოყვანილი, მუხლა, მუხრუჭის, ორმხარა, საბეჭდი, საბრუნი, საკონტროლო, სარეგისტრო, სარინი, საყენებელი, საჩერებელი, საწერი, საჭერი, საჭის, ტეხილი, ტოლმხარა, ფეხის, ღუზის, შემზღუდველი, შიგა, შუალედური, ჩამკეტი, ჩამრთველი, წამტაცი, ხელის, ხრუტუნა და სხვ.

ბერკლიუმი (ბერკელიუმი) (ინგლ. berkelium<აშშ-ის ქ. ბერკლის სახელის მიხედვით) – რადიოაქტიური ტრანსურანული აქტინოიდების ჯგუფის ქიმიური ელემენტი მიღებული ხელოვნური გზით (ქ. ბერკლის ლოურენსის სახელობის ნაციონალური ლაბორატორია, კალიფორნია, აშშ; მეცნიერები: სტენლი ტომპსონი, გლენ სიბორგი, ალბერტ გიორსო და კენეტ სტრიტ უმცროსი). სიმბოლო – Br; ატომური ნომერი 97, ყველაზე მდგრადი იზოტოპის

მასის ნომერი 247. სიმკვრივე: 13250 კგ/მ³ (ბეტა Br), 14780 კგ/მ³ (ალფა Br); დნობის ტემპერატურა – 986°C (ბეტა Br); დუღილის ტემპერატურა – 2627°C (ბეტა Br). გამოიყენება ატომურ ტექნიკაში.



ბერმი – ჰორიზონტალური მოედანი მიწის, ქვის, კაშხლის, არხის, გამაგრებული ნაპირის, კარიერის და ა.შ. ნაყარის ფერდობზე ან ნაყარის ფუძესა (საავტომობილო გზა ან რკინიგზა) და რეზერვს (წლალგამყვანი არხი) შორის, ზევით მდებარე ნაგებობისათვის მდგრადობის მისაცემად და ატმოსფერული წყლების ზემოქმედებისაგან დასაცავად, აგრეთვე ნაგებობის საექსპლუატაციო პირობების გასაუმჯობესებლად. ბ., ძირითადად, განკუთვნილია სატრანსპორტო გზების მოსაწყობად (სატრანსპორტო ბერმა) (ნახ. 1) ან დანადგარ-მოწყობილობათა დასაცავად (დამცავი ბერმა).



ბერსო (ფრანგ. bercer ნანაობა, ქანაობა) – კამაროვანი ხეივანი ხის ან ლითონის ნახევარწრიული კარკასით, რომელზეც გაშვებულია მცენარეთა (ცაცხვი, რცხილა, სურო და სხვ.) ვარჯი. ზრდის შედეგად ეს ვარჯი ქმნის უწყვეტ მწვანე გვირაბს (ნახ. 1). ბ. ჩამოჰგავს პერგოლას, მაგრამ უფრო მასიურია, გრძელია და აქვს მჭიდრო მწვანე საფარი. ბ. ბოლოში ხშირად აგებენ ფანჩატურს. გავრცელებული იყო ბაღებისა და პარკების არქიტექტურულ კომპოზიციებად ჯერ კიდევ ბაროკოს ეპოქაში.

ბერტოლიდები (ფრანგი ქიმიკოსის კ.ლ. ბერტოლეს სახელის მიხედვით) – ცვლადი შემადგენლობის ქიმიური ნაერთები; ბ. წარმოქმნის უამრავი შემთხვევა იქნა დაფიქსირებული ლითონის შენადნობებში, აგრეთვე ჟანგეულებში (ოქსიდებში), სულფიდებში, კარბიდებში, ჰიდრიდებსა და სხვ. (იხ. აგრეთვე დალტონიდები).

ბერძნული ცეცხლი (თხევადი ცეცხლი) – წვადი თხევადი ნარევი, რომელსაც თავდაპირველად შუა საუკუნეებში იყებდნენ ბიზანტიელები საზღვაო ბრძოლებში. ბ. ც. პროტოტიპი, სავარაუდოდ, გამოყენებული იყო როდოსის კუნძულის დაცვისას ძვ. წ. 190 წელს. საკუთრივ ბერძნული ცეცხლი გამოიგონა ინჟინერმა კალინიკემ 673 წელს (ქ, ჰელიოპოლი, სირია), რომელმაც შექმნა ანთებული სითხის სატყორცნი დანადგარი. ეს მექანიზმი წარმოადგენს სპილენძის მილს (სიფონს), რომლიდანაც ხმაურით გამოიტყორცნება თხევადი ნარევი. გამომგდებ ძალად გამოიყენება შეკუმშული ჰაერი ან სამჭედლო საქშენი. ბ. ც. სითხის მომზადების ტექნოლოგია დაკარგულია, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ნავთობს მოიპოვებდნენ ტამანის ნახევარკუნძულზე. ბერძნული ცეცხლი თითქმის მე-16 საუკუნებდე გამოიყენებოდა ევროპაში, ვიდრე ის არ ჩაანაცვლა ცეცხლსასროლმა იარაღმა.

ბერძნული ჯვარი – 1. ძველებური ბიზანტიური ჯვრის ფორმა თანაბარი სიგრძის მკლავებით; 2. ორნამენტული ემბლემა; 3. ბიზანტიული ცენტრული ტაძრის გეგმა.

ბესემერება (ბესემერის პროცესი) – თხევადი თუჯის სხმულ ფოლადად გადამუშავების პროცესი შეკუმშული ჰაერის გატარებით (გაქრევით).

ბესტსელერი (ინგლ. best საუკეთესო და seller გამყიდველი) – 1. საბირჟო საქონელი, რომელზეც განსაკუთრებულად მაღალი მოთხოვნაა; 2. წიგნი, რომელსაც განსაკუთრებული კომერციული წარმატება აქვს, დიდი ტირაჟით გამოდის და დროებით ან მუდმივად (ასეთ შემთხვევაში იხმარება ტერმინი სტედისელერი – steady seller) სარგებლობს მკითხველის აღიარებით.

ბეტა-გამოსხივება – რადიაქტიური იზოტოპების ბეტა-დაშლის დროს გამოსხივებული ელექტრონების ან პოზიტრონების ნაკადი, რომელიც მოძრაობს სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარით (250 000 კმ/წმ). მაქსიმალური გარბენის მანძილი ჰაერში შეადგენს 18 მ. მისი მუხტი უარყოფითია. ალფა-ნაწილაკთან შედარებით ახასიათებს შეღწევადობის გაცილებით დიდი უნარი, ნაკლები მასა (დაახლოებით 7 300-ჯერ), ნაკლები ენერგია და ამის გამო იონიზაციის ნაკლები უნარი.

ბეტა-დეფექტოსკოპია – მეთოდი, ლითონის თხელ ნაკეთობებში უცხო ჩანართების აღმოსაჩენად, რომელიც წარმოებს ბეტა-სხივების გატარებით.

ბეტა-ცელულოზა – 17,5%-იან ნატრიუმის ტუტის ხსნარში გახსნილი ცელულოზა.



ბეტონგამანაწილებელი – თვითმავალი საგზაო მანქანა ბეტონის ნარევის მისაღებად და გასანაწილებლად მოცემული სისქის ფენებისა და გზის პროფილის მიხედვით (ნახ. 1).



ბეტონდამგები – მოწყობილობა, რომელიც ბეტონის ნარევს აწვდის ყალიბში და მისი ბუნკერი აღჭურვილია მკვებავითა და მომსწორებელ-გამნაწილებელი მოწყობილობით (ნახ. 1).

ბეტონების კლასიფიკაცია – ბეტონების დახარისხება ძირითადი თვისებების მიხედვით. ეს თვისებებია: 1. სიმკვრივე (მოცულობითი მასა); 2. სიმტკიცე; 3. დანიშნულება; 4. შემკვრელი ნივთიერების სახეობა. ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ბ. კ. სიმკვრივის მიხედვით: 1) განსაკუთრებით მძიმე ანუ ზემძიმე ბეტონი 2500 კგ/მ^3 და მეტი; 2) მძიმე (ჩვეულებრივი) ბეტონი 1800-2500 კგ/მ^3; 3) მსუბუქი – 500-1800 კგ/მ^3 (ზოგჯერ შემსუბუქებული 1800-2200 კგ/მ^3); 4) თბოსაიზოლაციო ანუ განსაკუთრებით მსუბუქი ბეტონი 500 კგ/მ^3-მდე. ბეტონის სიმკვრივე დიდადაა დამოკიდებული შემვსებზე. მაგ., ზემძიმე ბეტონში გამოიყენება ბარიტი, მაგნეზიტი, თუჯის და ტყვიის საფანტი, ფოლადის ბურბუშელა და ღერო.

ჩვეულებრივ ანუ მძიმე ბეტონში შემვსებად გამოიყენება მკვრივი ქანი: გრანიტი, ბაზალტი, კირქვა და ა.შ. მსუბუქ ბეტონში გამოიყენება ბუნებრივი ან ხელოვნური ფოროვანი მსუბუქი მასალა. მსუბუქი ბეტონის დამზადება შეიძლება უქვიშოდ, მარტო მსხვილი შემვსებით (მსხვილფოროვანი ბეტონი); განსაკუთრებით მსუბუქ ბეტონს მიეკუთვნება უჯრედოვანი ბეტონი (აირბეტონი, ქაფბეტონი), რომელიც მიიღება შემკვრელის, დაფქული დანამატის და წყლის ნარევის სპეციალური მეთოდით აფუების შედეგად. უჯრედოვან ბეტონში შემვსებად რეალურად გამოდის ხელოვნურად შექმნილ უჯრედებში მყოფი ჰაერი. ევრონორმების (EN 206-1) შესაბამისად, ბეტონების კლასიფიკაცია სიმკვრივის მიხედვით შემდეგია: 1) მძიმე ბეტონი, აღნიშვნა C, სიმკვრივე 2000-2600 კგ/მ^3; 2) განსაკუთრებით მძიმე, აღნიშვნა HC, სიმკვრივე 2600 კგ/მ^3-ზე მეტი და 3) მსუბუქი, აღნიშვნა LC (LC 1,0; LC 1,2; LC 1,4; LC 1,6; LC 1,8 და LC 2,0), სიმკვრივე 800-2000 კგ/მ^3. სიმტკიცის მიხედვით (კუმშვაზე) ბეტონი იყოფა შემდეგ მარკებად: ზემძიმე – 100-200 კგძ/სმ^2 (10-20 მპა); მძიმე – 100-800 კგძ/სმ^2 (10-80 მპა); მსუბუქი – 10-400 კგძ/სმ^2 (1-40 მპა) და თბოსაიზოლაციო ბეტონი – 10-200 კგძ/სმ^2 20 მპა). ევრონორმების (EN 206-1) შესაბამისად ბეტონების კლასიფიკაცია სიმტკიცის მიხედვით შემდეგია: მძიმე და ზემძიმე ბეტონის სიმტკიცის კლასები: C 8/10, C 12/15, C 16/20, C 20/25, C 25/30, C 30/37, C 35/45, C 40/50, C 45/55, C 50/60, C 55/67, C 60/75, C 70/85, C 80/95, C 90/105, C 100/115. მსუბუქი ბეტონის სიმტკიცის კლასები: LC 8/9, LC 12/13, LC 16/18, LC 20/22, LC 25/28, LC 30/33, LC 35/38, LC 40/44, LC 45/50, LC 50/55, LC 55/60, LC 60/66, LC 70/77, LC 80/88 (შენიშვნა: ინდექსებში მეორე ციფრი აღნიშნავს ბეტონის კუბურ სიმტკიცეს მპა-ში). დანიშნულების მიხედვით ბეტონი არსებობს: 1) მძიმე (ჩვეულებრივი) – შენობებისა და ნაგებობების ბეტონის და რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების დასამზადებლად; 2) ჰიდროტექნიკური – ჰიდროტექნიკური ნაგებობისათვის; 3) საგზაო – საგზაო ნაგებობისათვის; 4) ბიოლოგიური – გამოსხივებისაგან დამცავი ბეტონი; 5) ცეცხლმედეგი; 6) დეკორატიული; 7) ქიმიური – მჟავა- და ტუტეგამძლე ბეტონი; 8) სწრაფმყარებადი და სხვ. შემკვრელი ნივთიერების მიხედვით ბეტონი არის: 1) ცემენტიანი – ჰიდრავლიკურ შემკვრელზე; 2) თაბაშირიანი – თაბაშირის შემკვრელზე; 3) სილიკატური – ჰაერულ ან ჰიდრავლიკურ კირზე; 4) პოლიმერბეტონი – ორგანულ პოლიმერზე ან ფისზე.

ბეტონი (ფრანგ. béton ბეტონი<ლათ. bitūmen მინერალური ფისი; ასფალტი) – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშენი მასალა, რომელიც დამზადებულია ღორღის (ხრეშის), ქვიშის, ცემენტისა და წყლის ნარევისაგან. სიმკვრივის მიხედვით არის: განსაკუთრებით მძიმე (ზემძიმე), მძიმე, მსუბუქი და ზემსუბუქი; შემკვრელი მასალის მიხედვით: ცემენტის, კირის, წიდის, სილიკატური, თაბაშირის, ასფალტბეტონი, პოლიმერბეტონი და სხვ.; დანიშნულების მიხედვით: ჩვეულებრივი (სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა), ჰიდროტექნიკური, საგზაო, თბოსაიზოლაციო, დეკორატიული, სპეცდანიშნულების (ქიმიურად მდგრადი, ცეცხლმედეგი, ყინვამედეგი, წყალშეუღწევი, გამოსხივებისგან დასაცავი და სხვ.); შემვსების მიხედვით: მკვრივი (მძიმე ბეტონები), ფოროვანი (მსუბუქი ბეტონები) და სპეციალური (მხურვალმედეგი ან ქიმიური გარემოსადმი მედეგი); სტრუქტურის მიხედვით: მკვრივი სტრუქტურის (შემვსებებს შორის სივრცე მთლიანად შევსებულია გამყარებული მჭიდა მასალით), ფოროვანი, დაფოროვნებული, უჯრედოვანი და მსხვილფოროვანი; გამყარების პირობების მიხედვით: ბუნებრივი გამყარების, თბური დამუშავების (ატმოსფერული წნევისას), ავტოკლავური დამუშავების (მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში); შემვსების სისხოს მიხედვით: ჩვეულებრივი მსხვილ და წვრილ შემვსებებზე და წვრილმარცვლოვანი, მკვრივი სტრუქტურის, დამზადებული ცემენტის მჭიდა მასალისა და

წვრილი, მკვრივი შემვსების – ქვიშის გამოყენებით. მზიდი რკ.ბ.-ის კონსტრუქციებისათვის გამოყენებული ბ. შემოკლებულად იწოდება: მძიმე ბ. (მჭიდა მასალა – ცემენტი, შემვსებები – მკვრივი სტრუქტურის დამსხვრეული მთის ქანი, ღორღი ან მდინარის ხრეში და კვარცის ქვიშა); მსუბუქი ბ. (მჭიდა მასალა – ცემენტი, შემვსებები – ფოროვანი, ბუნებრივი (პემზა, ტუფი, ნიჟარქვა), ხელოვნური (კერამზიტი, წიდა და სხვ.) მსხვილი და წვრილი. ბეტონის ხარისხის ძირითადი მაჩვენებელია მისი სიმტკიცე კუმშვაზე, რომლის მიხედვითაც დადგინდება ბეტონის კლასი და მარკა. ბ. ხისტი მასალაა, მისი სიმტკიცე კუმშვაზე რამდენჯერმე მეტია გაჭიმვის სიმტკიცეზე. გამჭიმი ძაბვების მისაღებად ახდენენ ბ. დაარმირებას ფოლადის ღეროებით და მიიღება რკინაბეტონი. რკინაბეტონში არმატურას აწყობენ ისე, რომ გამჭიმი ძაბვები გადაეცეს არმატურას, მკუმშავი კი – ბეტონს. ბეტონისა და არმატურის ერთობლივი მუშაობა განპირობებულია მათი კარგი შეჭიდულობითა და ტემპერატურული გაფართოების თითქმის ერთნაირი კოეფიციენტით. ამასთან ბ. იცავს არმატურას კოროზიისაგან. თუმცა ამ ბოლო წლებში გამოჩნდა და გამოიყენება არალითონური არმატურა (ძირითადად პოლიმერული კომპოზიტი), რომელსაც კოროზია არ ემუქრება. უშუალოდ მშენებლობაზე დამზადებულ კონსტრუქციას მონოლითური ეწოდება, ხოლო ქარხანასა და პოლიგონზე დამზადებულსა და შემდგომ დამონტაჟებულს სამშენებლო მოედანზე – ანაკრები.

ბეტონი ავტოკლავური – საქარხნო პირობებში ავტოკლავში, ორთქლის, მაღალი ტემპერატურისა და წნევის ქვეშ გამაგრებული ბეტონი.

ბეტონი არქიტექტურული – სამშენებლო ბეტონი (ნარევი) ცემენტ-ქვიშის, მინერალებისა და არაორგანული დანამატების საფუძველზე. ასეთი ბეტონი ითავსებს საყრდენი, მზიდი და დეკორატიული საშენი მასალის თვისებებს და მხატვრული და ესთეტიკური ღირებულება აქვს. არქიტექტურული ბეტონის სინონიმებია: ბეტონპოლიმერი, პოლიმერბეტონი, აკრილბეტონი, არტბეტონი, მხატვრული ბეტონი, ბეტონი დეკორატიული.

ბეტონი გოგირდიანი – კომპოზიტური მასალა, რომელშიც შემვსებად გამოყენებულია ჩვეულებრივი გოგირდით შეკრული ქვის ნატეხები. გოგირდის შემკვრელის, ანუ მატრიცის, მოდიფიცირებას ახდენენ პლასტიფიკატორით. ბ. გ. სწრაფად მაგრდება, აქვს კარგი სიმტკიცე, ამიტომ იგი გამოიყენება მინერალური მჟავების ავზებისათვის, სამრეწველო შენობის იატაკებისათვის, მილებისათვის (მათ შორის კანალიზაციის), ხიდის ფენილის სარემონტო სამუშაოებისათვის და ა.შ. ის არასაკმარისად მდგრადია წყლიან გარემოში, ციკლური გაყინვა-გალღობის დროს. წვადი მასალაა – ჟანგბადთან ყოფნისას იწვის და გოგირდის დიოქსიდად გარდაიქმნება. ახასიათებს გაზრდილი ცოცვადობა (ორჯერ მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ ცემენტიან ბეტონებს). ყველაფერი ეს ხელს უშლის გოგორდიანი ბეტონის გამოყენებას საცხოვრებელ და საყოფაცხოვრებო შენობებში.

ბეტონი დამცავი – 1. ბეტონის შრე რკ.ბ.-ს კონსტრუქციის ზედაპირიდან უახლოესი არმატურის ზედაპირამდე; 2. ბეტონი მძიმე.

ბეტონი დაშტამპული – იხ. ბეტონი დაწნეხილი.

ბეტონი დაწნეხილი – მონოლითური ბეტონის სახე (ნახ. 1), რომლის შემჭიდროება წარმოებს მასზე დიდი წნევით მოქმედი გარეგანი ძალის გავლენით. მაგ., გვირაბის ფარის ხერხით გაყვანისას მუდმივი სამაგრის აგების დროს ფარის უკანა ნაწილში – კუდში ეწყობა ლითონის სექციური ყალიბი და ამ ყალიბსა და ქანს შორის სივრცე ივსება ჩვეულებრივი ბეტონით. ამის

შემდეგ ბეტონის მიმწოდებელი ხვრელები იკეტება და ფარის დომკრატების საშუალებით ბეტონი იწნეხება. სამაგრი ძლიერ მტკიცე გამოდის და სწრაფად იღებს სიმტკიცეს. გამოიყენება ბეტონი შემადგენლობით 1:2:3, რომლის ჯდომის კონუსის სიდიდეა არანაკლები 8-10 სმ და შემავსებელი მასალის მარცვლების დიამეტრი არ აღემატება 35 მმ-ს.



ბეტონი დეკორატიული – შენობის ან ნაგებობის მოსაპირკეთებელი სპეციალური ბეტონი. მიიღება ჩვეულებრივი ბეტონის ნარევში პიგმენტის (ოხრა, მუმია, სურინჯი და სხვ.) დამატებით ან ფერადი ცემენტის გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ფერადი შემვსები – ტუფი, წითელი კვარციტი, ფერადი მარმარილო, გრანიტი, კირქვა და სხვ. დეკორატიული ბეტონის სიმტკიცეა 15-20 მპა. პიგმენტი საშუალებას იძლევა მივიღოთ ბეტონის ფერის ფართო გამა: წითელი (რკინის ჟანგი), მწვანე (ქრომის ჟანგი), იისფერი (მანგანუმის ჟანგი), შავი (მაგნიუმის ზეჟანგი, მური), თეთრი (ცარცი, კირქვა), ყვითელი (ოხრა) და სხვ. სიმკვრივის გასაზრდელად და ზედაპირის ფერის გამომსახველობისათვის ბ. დ., ჩვეულებრივთან შედარებით, ზრდიან ცემენტის ხარჯს. მაგ., 10 მმ-მდე სიმსხოს შემვსებისათვის ცემენტის ხარჯი შეადგენს 450-500 კგ/მ^3. ზედაპირის ფაქტურის შენარჩუნებისათვის იყენებენ ჰიდროფობიზატორს და წმინდად დაფქულ დანამატებს. ზოგჯერ ბეტონის ზედაპირს ჟღენთენ პოლიმერით. ბ. დ. წვრილ შემვსებად გამოიყენება სუფთა კვარცის ქვიშა, მსხვილ შემვსებად – ღია ფერის კირქვა და დოლომიტი, ასევე იყენებენ მარმარილოს, ღორღის, გრანიტის, ტუფისა და სხვა ქანის ნამსხვრევ ქვიშას. ბეტონის ფერზე გავლენას ახდენს შემვსების მხოლოდ წვრილი ნაწილაკი, რომლის ზომა არ აღემატება 0,3 მმ-ს. შემვსები უნდა იყოს ატმოსფერომედეგი, ჰქონდეს კარგი შეჭიდულობა ცემენტის ქვასთან. მოზაიკური ბეტონის შემვსები გარდა ამისა, უნდა იყოს ცვეთამედეგი. დეკორატიულ ბეტონს, გარდა ფერის და ფაქტურის შენარჩუნებისა, მოეთხოვება სიმკვრივე, სიმტკიცე, ყინვამედეგობა. ბ. დ. გამოიყენება შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციული ელემენტების არქიტექტურული მოპირკეთებისათვის, როგორებიცაა კედელი, იატაკი, კიბე, ბაღისა და პარკის გზა და ბილიკი, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი, ბარელიეფი, ძეგლი და სპეციალური დანიშნულების ნაკეთობა.

ბეტონი ვაკუუმირებული – ახლადჩაწყობილი ბეტონის სახეობა, რომელშიც ზედმეტი წყლისა და ჩათრეული ჰაერის ნაწილაკები მოცილებულია ვაკუუმირებით (ჰაერის გაიშვიათებით). წყლის რაოდენობა ბეტონის ნარევში დასაშვებია იყოს ცემენტის მასის 20%-მდე. ზედმეტი წყალი ბეტონის გამაგრების პროცესში ორთქლდება და იწვევს ბზარებისა და ფორების გაჩენას, რაც ამცირებს ბეტონის სიმტკიცეს, სიმკვრივეს, წყალუჭონადობას და აუარესებს საექსპლუატაციო მაჩვენებლებს. ვაკუუმირებას აწარმოებენ ფარების საშუალებით ჰორიზონტალურად (სართულშუა გადახურვა, კამარა, გუმბათი და სხვ.) და შვეულად (სვეტი, კედელი და სხვ.). ვაკუუმირების შემდეგ ბეტონის ფენა ექვემდებარება ვიბრაციით დამუშავებას.

ბეტონი ზემტკიცე – ბეტონის სახეობა, რომლის სიმტკიცე 125 მპა-ზე მეტია. ასეთი ბეტონების წარმოება განაპირობა ბოლო წლებში მიღწეულმა წარმატებებმა ბეტონის ტექნოლოგიაში.

დამუშავდა და ფართო გავრცელება პოვა ახალმა ეფექტურმა შემკვრელებმა, ბეტონისა და შემკვრელის მოდიფიკატორებმა, აქტიურმა მინერალურმა დანამატებმა და შემავსებლებმა, ბოჭკოებით დაარმირებამ, სამშენებლო კომპოზიტების მიღების ახალმა ტექნოლოგიურმა საშუალებებმა და მეთოდებმა. არსებითად გამდიდრდა ჩვენი წარმოდგენა ბეტონის სტრუქტურასა და თვისებაზე, სტრუქტურაწარმოქმნის პროცესზე, გაჩნდა თვისებების პროგნოზირებისა და მასალის მახასიათებლების აქტიური მართვის შესაძლებლობა. წარმატებით ვითარდება ბეტონის კომპიუტერული დაპროექტება და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვა. ზემტკიცე ბეტონის თვისება ნორმირდება კუმშვის სიმტკიცის მაჩვენებლით. ევროსტანდარტი EN 206 ითვალისწინებს ბეტონის სიმტკიცის B115 კლასს, ნორვეგიული ნორმა – B105 კლასს, იაპონური და ინგლისური – B80, რუსული ნორმა – B60-ია, ამერიკული ნორმებით ზემტკიცე ბეტონის სიმტკიცის ზედა ზღვარი მითითებული არ არის. თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიაში ზემტკიცე ბეტონების წარმოებაში გამოჩნდა უნივერსალური რეაქტიული ფხვნილის კომპონენტი – სპეციალური მაღალი სიმტკიცის ფიბროშევსებული დუღაბი მიკროკაჟბადისა და სუპერპლასტიფიკატორის შემადგენლობით, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ ბეტონი კუმშვის სიმტკიცით მეტი 200 მპა-ზე. ზემტკიცე ბეტონი ეკონომიკურად მეტად ეფექტური საშენი მასალაა, რადგან ამცირებს კონსტრუქციის განივკვეთსა და მასას, არმატურის ხარჯს, საძირკვლის წონას და ა.შ. მაგრამ მისი გამოყენება სეისმურ რეგიონში – საქართველოში პრობლემატურია კონსტრუქციების დიდი სიხისტეების გამო და სათანადო მეცნიერულ შესწავლასა და ნორმატიული დოკუმენტაციის დამუშავებას საჭიროებს.

ბეტონი ზემძიმე – მკვრივი აგებულების, ცემენტის შემკვრელსა და მკვრივ შემვსებზე (ქვიშა, ბარიტი, მაგნეზიტი, ლიმონიტი, თუჯი, ტყვიის საფანტი და სხვ.) შედგენილი, მსხვილმარცვლოვანი, გამყარების ყოველგვარ პირობებში დამზადებული ბეტონი. სიმკვრივე – მეტი 2500 კგ/მ^3-ზე; სიმტკიცე – 10-20 მპა.

ბეტონი თაბაშირიანი – თაბაშირზე დამზადებული ბეტონი, რომელიც გამოიყენება შენობის შიგა ტიხრების, ჭერისა და კედლის შიგა შელესვისათვის. ამ ბეტონის სახესხვაობაა თაბაშირცემენტიანი ბეტონი, რომელიც უფრო მეტად გამოიყენება (მცირე-სართულიანი სახლის კონსტრუქციები, სამშენებლო ბლოკები და სხვ.), რასაც განაპირობებს მისი მაღალი წყალმედეგობა.

ბეტონი კაჟოვანი შემვსებით – ბეტონი, რომელიც დამზადებულია ნორმალური წონის შემვსებებით, რომლებიც ძირითადად შედგება კაჟმიწისგან ან კალციუმის და მაგნეზიის კარბონატისგან განსხვავებული კომპონენტებისგან, რომელთაგან 40%-ზე მეტი კვარცი, თიხოვანი ფიქალი ან კაჟია.

ბეტონი კარბონატული შემვსებით – ბეტონი, ძირითადად, კალციუმის ან მაგნეზიის კარბონატის შემცველი შემვსებებით, როგორებიცაა: კირქვა ან დოლომიტი. შეიცავს 40%-ს ან მასზე ნაკლებ კვარცს, თიხოვან ფიქალს ან კაჟს.

ბეტონი კონსტრუქციული – ბეტონი, რომელიც გამოიყენება მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად.

ბეტონი მაგნეზიურ შემკვრელზე – მაგნიუმის ოქსიქლორიდზე მიღებული ბეტონის სახეობა. ის არ საჭიროებს გამაგრების დროს ტენიან გარემოს, აქვს ძალიან მაღალი ცეცხლმედეგობა და დაბალი თბოგამტარობა, კარგი ცვეთამედეგობა და სიმტკიცე კუმშვასა და ღუნვაზე.

ასეთი ბეტონი ადვილად მიიღება სხვადასხვა სახეობის, არაორგანული (ღორღი, ქვიშა, მარმარილოს ფხვნილი, კირქვა, კაოლინი, გრანულირებული წიდა, მაგნიუმის სულფატი და პიგმენტი) და ორგანული (ნახერხი, ბურბუშელა, დაფქული რეზინი, პლასტმასისა და მუყაოს ნარჩენები და სხვ.) შემავსებლისაგან. მაგნეზიურ ბეტონს ახასიათებს ელასტიკურობა, მაღალი ადრეული სიმტკიცე, სიმსუბუქე, მედეგობა სხვადასხვა ზეთის, ლაქისა და საღებავის, ორგანული გამხსნელის, ტუტეებისა და მარილების (სულფატების ჩათვლით) მიმართ, აქვს ბაქტერიოციდული თვისება. არამდგრადია წყლისა და ზოგი მჟავას მიმართ. იწვევს ფოლადისა და ალუმინის კოროზიას. გამოიყენება ინდუსტრიულ, სავაჭრო და საცხოვრებელი შენობის იატაკის მოჭიმვისათვის ხალიჩოვანი მასალისა და ლინოლეუმის ქვეშ, კედლების თბოსაიზოლაციოდ, საბათქაშე მასალად და სხვ.

ბეტონი მაღალი სიმტკიცის – განსაკუთრებით მკვრივი, მტკიცე და მონოლითური ბეტონი სიმტკიცით 50-100 მპა. ასეთი ბეტონის მისაღებად გამოიყენება: მაღალი სიმტკიცის ცემენტი და შემვსები, დაბალი წყალცემენტის ფარდობა, ცემენტის ზღვრულად დასაშვები ხარჯი, სუპერპლასტიფიკატორი და კომპლექსური დანამატები, ბეტონის შემადგენელი კომპონენტების ხარისხიანი არევა და შემკვრივება და ბეტონის გამაგრებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა. შემვსები უნდა იყოს სუფთა, კარგი მარცვლოვანი (გრანულომეტრიული) შედგენილობით და ნაკლები ცარიელობით, არ უნდა შეიცავდეს სუსტ მარცვლებს. მსხვილი შემვსების სიმტკიცე 20%-ით მეტი უნდა იყოს ბეტონის სიმტკიცეზე. ბეტონის სიმტკიცის ზრდასთან ერთად შემვსების გავლენა მის სტრუქტურაზე და თვისებებზე იზრდება. ყველა შემვსებს აქვს ზღვარი, უფრო მეტი სიმტკიცის მიღება ძნელია და ეკონომიურად გაუმართლებელია, რადგან ბეტონის სიმტკიცის მცირე მატებისათვის საჭიროა ცემენტის ხარჯის მნიშვნელოვანი გაზრდა. ჩვეულებრივ ეს ხდება, როდესაც ბეტონის სიმტკიცის ზღვარი ჭიმვაზე მიუახლოვდება შემვსების სიმტკიცეს. განსაკუთრებით მტკიცე ბეტონებისათვის უნდა გამოვიყენოთ მაღალი სიმტკიცის შემვსები დიაბაზის, ბაზალტის, გრანიტის და სხვა ქანებიდან. წყალცემენტის ფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 0,4-ს. მაღალი მარკის ბეტონებში გარანტირებული მკვრივი და მტკიცე სტრუქტურის შექმნისათვის ცემენტის ხარჯი იზღუდება: მასიურ ნაგებობებში – 500 კგ/მ^3-მდე, ანაკრებ რკ.ბ.-ის მცირე ზომის ნაკეთობაში – 600 კგ/მ^3-მდე. ცემენტის ხარჯს ეფექტურად ამცირებს სუპერპლასტიფიკატორის გამოყენება, რომელიც ამაღლებს ბეტონის ნარევის ძვრადობას (პლასტიკურობას) და შემკვრივების ხარისხს. ბეტონის გამაგრების დასაჩქარებლად გამოიყენება ტემპერატურის აწევის და დაწევის რბილი რეჟიმი (50-60°C) და გარემოს მაღალი ფარდობითი ტენიანობა (100%). მაღალი მარკის ბეტონის გამოყენება ამცირებს რკ.ბ.-ის ნაკეთობის (კონსტრუქციის) მასასა და მასალატევადობას, არმატურის ხარჯს, საძირკვლის მოცულობას, ხანგამძლეობას, ხანძარმედეგობასა და სხვ.

ბეტონი მაღალფუნქციური – ბეტონი, რომლის ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამება სპეციალურ ფუნქციურ და უნივერსალურ მოთხოვნებს, რომელიც ვერ მიიღწევა ჩვეულებრივი ტრადიციული კომპონენტების, არევის მეთოდების, ჩაწყობის, მოვლისა და გამაგრების პირობებში.

ბეტონი მაღალხარისხოვანი – ბეტონის ახალი სახეობა, რომელშიც გაერთიანებულია არსებული ბეტონების საუკეთესო საექსპლუატაციო თვისებები (ექსპლუატაციის ვადა დაახლოებით 500 წელია). მისი კრიტერიუმებია: მაღალი სიმტკიცე (R28 – 60-120 მპა); დაბალი წყალჟონადობა (W12 და მეტი); მაღალი ყინვამედეგობა (F400 და მეტი); მაღალი

ცვეთამედეგობა (არაუმეტეს 0,4 გ/სმ²); მაღალი ქიმიური მედეგობა; დრეკადობის მაღალი მოდული; დაბალი აბსორბციულობა; დიფუზიის დაბალი კოეფიციენტი; ბაქტერიოციდულობა და ფუნგიციდობა; დეფორმაციის რეგულირებადი მაჩვენებლები. მაღალი ხარისხის ბეტონის ტექნოლოგია დაფუძნებულია წარმოების ყველა ეტაპზე ბეტონის სტრუქტურაწარმოქმნის მართვაზე. ამისათვის გამოიყენება მაღალი მარკის პორტლანდცემენტი ან კომპოზიციური შემკვრელი, ბეტონის სტრუქტურისა და თვისების კომპლექსური ქიმიური მოდიფიკატორები, აქტიური დისპერსიული მინერალური კომპონენტები და შემავსებლები, გამაფართოებელი დანამატები, დაბალი წყალმოთხოვნის შემკვრელი. ბეტონის წარმოებისას გამოიყენება ინტენსიური ტექნოლოგია, ზუსტი დოზირება, ნარევის გულმოდგინე არევა და ჰომოგენიზაცია, მისი ხარისხიანი ჩაწყობა და მოვლა. აუცილებლობის შემთხვევაში იყენებენ ნარევის მექანიკურ-ქიმიურ აქტივიზაციას. მაღალხარისხოვანი ბეტონისაგან ამზადებენ ყველაზე საპასუხისმგებლო კონსტრუქციებსა და ნაკეთობებს.

ბეტონი მონოლითური – ბეტონის კონსტრუქცია, რომელიც მზადდება უშუალოდ მისი განლაგების ადგილზე (ნახ. 1). ის შეიცავს: ყალიბის დამზადებას, რომელიც სივრცეში ქმნის მომავალი კონსტრუქციის მოხაზულობას, არმატურის ჩაწყობას, კონსტრუქციის დაბეტონებასა და გამაგრებადი ბეტონის მოვლას. მონოლითური ბეტონი და რკ.ბ, როგორც წესი, ეკონომიურია, განსაკუთრებით შენობისა და ნაგებობის მიწისქვეშა ნაწილში, მასიური კედლის კონსტრუქციაში, საგზაო და ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში. ის ხელსაყრელია საქართველოში – სეისმურ რეგიონში, რადგან მონოლითურ-კარკასული მშენებლობა გაცილებით სეისმომედეგია, ვიდრე ასაწყობი. მონოლითური მშენებლობა არქიტექტორ-მშენებელს აძლევს დიდ შემოქმედებით თავისუფლებას დააპროექტოს და ააშენოს ორიგინალური ფორმის შენობა-ნაგებობა. ყალიბი შეიძლება იყოს მერქნის (ფიცრის, ფანერის), ლითონის, პოლიმერსაფარიანი მერქნის, რკ.ბ.-ის. ზოგჯერ ყალიბად გამოიყენება რკ.ბ.-ის ფილა, რომელიც შემდეგ ხდება მონოლითური კონსტრუქციის ნაწილი. არმატურა ეწყობა პროექტის შესაბამისად. მის შესაერთებლად გამოიყენება შედუღება. რიგ შემთხვევაში იხმარება წინასწარ დამზადებული არმატურის კარკასი. საპასუხისმგებლო კონსტრუქციაში იყენებენ ე.წ. ხისტ არმატურას – კუთხოვანის, შველერის, ორტესებრის და სხვ. სპეციალური ნაგლინის სახით. ხშირ შემთხვევაში არმატურის კარკასი იკვრება წვრილი სანასკვი მავთულის საშუალებით. დიდი ნაკეთობის ან კონსტრუქციის დაბეტონება ხდება ცალკეულ ბლოკებად, მათ შორის სამუშაო ნაკერების მოწყობით. ბლოკი დაბეტონდება უწყვეტად, ამ შემთხვევაში ბეტონის ყოველი მომდევნო ულუფა ეწყობა და შემკვრივდება მანამ, სანამ შეიკვრება წინა ჩაწყობილი ბეტონი. ბეტონის ნარევი მზადდება ბეტონსამრევ კვანძში ან ქარხანაში და მიაქვთ ჩაწყობის ადგილზე. ბეტონის ნარევის ტრანსპორტირება, ჩაწყობა და შემდგომი მოვლა განსაზღვრავს ბეტონის ხარისხს, სამშენებლო-ტექნიკურ თვისებებს და კონსტრუქციის ხანმედეგობას. ბეტონის ნარევის ტრანსპორტირება ხორციელდება ღარების დახმარებით, ტრანსპორტიორებით, ბადიებით, ვაგონეტებით, ავტოთვითმცლელებით, ავტობეტონსარევებით და მილსატუმბით. ღარებით, ტრანსპორტიორებით და მილსადენებით ბეტონის ნარევის გადატანა



შესაძლებელია მცირე მანძილზე. დიდ მანძილზე ნარევის გადასატანად გამოიყენება ბადიები და ავტომანქანები. ბადიის ტრანსპორტირება ხორციელდება რკინიგზის პლატფორმით, ავტომანქანით, ამწით ან ამ საშუალებების კომბინაციით. ჩვეულებრივ პირობებში ბეტონის ნარევი კომპაქტურად ეწყობა და შემკვრივდება სიღრმული ან ზედაპირული ვიბრატორის დახმარებით. ვიბრაციის გამოყენებით მიიღება უკეთესი ზედაპირის ბეტონი და მტკიცე სამუშაო ნაკერი. ახალჩაწყობილ ბეტონს იცავენ გამაგრების ადრეულ სტადიაზე ტენიანობის დაკარგვისაგან და ინახავენ იმ ტემპერატურაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ცემენტის ჰიდრატაციას.

ბეტონი მჟავამედეგი – ბეტონი, რომელიც მიიღება მჟავამედეგ ცემენტსა და მჟავამედეგ შემვსებზე. ნარევს უმატებენ თხევად მინას. გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაში; ცვლის ძვირადღირებულ მასალებს: ფურცლოვან ლითონს, კერამიკას, თლილ ქვას და სხვ. ბ. მ. სიმტკიცე 3 დღე-ღამის შემდეგ არის 11-12 მპა, ხოლო 28 დღე-ღამის შემდეგ – 15 მპა.

ბეტონი მრავალკომპონენტიანი – ბეტონი, რომელშიც ცემენტთან ერთად გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების კომპლექსური ქიმიური დანამატი, აქტიური მინერალური შემავსებელი, გამაფართოებადი კომპონენტი. ნედლეულის ფართო ბაზა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სხვადასხვა სტრუქტურის, თვისებისა და დანიშნულების ბეტონი. ბ. მ. შესაძლებლობა ყველაზე მეტად მჟღავნდება, ე.წ. მაღალხარისხოვან ბეტონში, რომელიც მზადდება კომპოზიტურ შემკვრელზე, დაბალი წყალცემენტის ფარდობით, სპეციალური კომპლექსური დანამატით, განსაკუთრებით წმინდა მინერალური შემვსებით, გაფართოებადი კომპონენტით და რეგულირებადი ინტენსიური ტექნოლოგიით. ასეთი ბეტონი გამოირჩევა მაღალი სიმტკიცით, ხანმედეგობითა და ექსპლუატაციაში საიმედოობით.

ბეტონი მსუბუქი – მკვრივი აგებულების, ცემენტის შემკვრელზე და მსუბუქ მსხვილ ან წვრილ შემვსებზე (ტუფი, პერლიტი, კერამზიტი, ვერმიკულიტი, არბოლიტი და სხვ.) შედგენილი, მსხვილმარცვლოვანი, გამყარების ყოველგვარ პირობებში დამზადებული ბეტონი (ნახ. 1). სიმკვრივე – 500-1800 კგ/მ³; სიმტკიცე – 1-40 მპა. ფორიანობის შექმნის მეთოდის მიხედვით ცნობილია ბ. მ. შემდეგი სახეები: მსუბუქი ბეტონი მსუბუქ (ფოროვან) შემვსებზე; მსხვილფოროვანი უქვიშო ბეტონი, რომელიც მზადდება ერთფრაქციულ მკვრივ ან ფოროვან შემვსებზე უქვიშოდ; უჯრედოვანი ბეტონი, რომლის სტრუქტურა შექმნილია ხელოვნური უჯრედებით (0,2-2 მმ), რომლებიც ცვლიან შემვსების მარცვლებს. დანიშნულების მიხედვით ბ. მ. არსებობს: თბოსაიზოლაციო (რომელთა დანიშნულებაა თერმული წინააღმდეგობა მიანიჭოს გადამღობ კონსტრუქციას); კონსტრუქციული (რომელიც იღებს დატვირთვებს) და კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო (რომელიც აერთიანებს წინა ორ თვისებას). ბ. მ. ჩვეულებრივი მძიმე ბეტონისაგან განსხვავდება მსუბუქი შემვსების გამო, რომელსაც აქვს ნაკლები სიმკვრივე და გაცილებით ნაკლები სიმტკიცე. შემვსებზე დამოკიდებულებით (მსუბუქი, მკვრივი) მკვეთრად იცვლება ბეტონის ნარევის წყალმოთხოვნილება და წყალშემცველობა, იცვლება ბ. მ. ძირითადი თვისებებიც. მსუბუქ ბეტონში წ/ც ფარდობა 1-მდეა (ზოგჯერ შეიძლება მეტიც იყოს).



მსუბუქი ბეტონის სიმტკიცე დამოკიდებულია წყლის ხარჯზე. წყლის რაოდენობის მატება ოპტიმალურამდე ზრდის ბეტონის სიმტკიცეს, შემდგომი ზრდა კი – ამცირებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წყლის ზედმეტი ხარჯი ნაკლებ მავნეა, ვიდრე მისი დაკლება. წყლის ოპტიმალური რაოდენობა დამოკიდებულია შემვსებისა და შემკვრელის წყალმოთხოვნილებაზე, ნარევის შემკვრივების ინტენსიურობასა და ბეტონის შედგენილობაზე. შემვსების წყალმოთხოვნილება კი დამოკიდებულია მის მარცვლოვან შემადგენლობასა და ღია ფორების რაოდენობაზე. ბეტონის სიმკვრივე დამოკიდებულია: შემვსების სიმკვრივეზე და მის მარცვლოვან შემადგენლობაზე, წყლისა და ცემენტის ხარჯსა და შემკვრივების მეთოდზე. თბოსაიზოლაციო თვისება კი – შემვსების ფორიანობასა და მის ხასიათზე ბ. მ. დიდი ფორიანობის გამო, ნაკლებად ყინვამედეგია, მაგრამ მაინც საკმარისი იმისათვის, რომ მისგან ავაგოთ შენობა-ნაგებობანი. ყინვამედეგობის ასამაღლებლად ბეტონში შეჰყავთ ჰიდროფობული დანამატი. შემკვრელის სახეობის შერჩევა ხდება გამაგრებისა და სხვა პირობის გათვალისწინებით, მაგრამ საერთო კრიტერიუმი არის მაღალი მარკის ცემენტის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა შევამციროთ სიმკვრივე. შემვსებად გამოიყენება ბუნებრივი ან ხელოვნური ფოროვანი მასალა სიმკვრივით არაუმეტეს 1200 კგ/მ^3 ქვიშისათვის (მარცვლების სიმსხო 5 მმ-მდე) და არაუმეტეს 1000 კგ/მ^3 ხრეშის ან ღორღისათვის (მარცვლების სიმსხო 5-40 მმ). ბ. მ. ბუნებრივი ფოროვანი შემვსები მიიღება ფოროვანი ქვის ქანების – პემზის, ვულკანური წიდისა და ტუფის, ფოროვანი და ნიჟაროვანი კირქვისა და სხვათა დამტვრევით. ხელოვნური ფოროვანი შემვსები კი მიიღება წარმოების ნარჩენების (მაგ., წიდის) ან სილიკატური მასალების თერმული დამუშავებით. შემვსების სახეებია: თერმოზიტი, აგროპოლიტი, კერამზიტი, პერლიტი, ვერმიკულიტი და სხვ. მსუბუქ ბეტონს დიდი გამოყენება აქვს მშენებლობაში. მისგან ამზადებენ შენობის კედლებს და გადახურვებს, დაძაბული რკინაბეტონისაგან – ხიდის მალებს, წამწეებს, სავალი ნაწილის ფილებს და სხვ., თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ბ. მ. ფორების არსებობა ხელს უწყობს არმატურის კოროზიას და მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად უმჯობესია მძიმე ბეტონების გამოყენება.

ბეტონი მსხვილფოროვანი – ბეტონი, რომელიც მიიღება შემკვრელის (ჩვეულებრივ ცემენტის), მსხვილი შემვსების (ხრეში ან ღორღი) და წყლის ნარევის გამაგრების შედეგად (ქვიშის გარეშე). ცემენტის ქვა აკავშირებს მსხვილი შემვსების ცალკეულ მარცვლებს და ასეთ ბეტონს ზოგჯერ უქვიშოს უწოდებენ. მსხვილ შემვსებად ძირითადად გამოიყენება ფოროვანი, იშვიათად მკვრივი ხრეში ან ღორღი. ცემენტის ხარჯი 1მ^3 ბეტონზე 70-150 კგ-ია. მკვრივ შემვსებზე მიღებული ბეტონის სიმკვრივეა 1700-1900 კგ/მ^3, ფოროვან შემვსებზე დამზადებულის – 500-700 კგ/მ^3. ბეტონის ოპტიმალური შედგენილობა განისაზღვრება სტანდარტული ნიმუშების გამოცდის შედეგებით. რადგან უქვიშო ბეტონში წარმოიქმნება ერთმანეთთან დაკავშირებული ფორები, ამიტომ ამ ბეტონისაგან აგებული შენობის კედლები თბოიზოლაციის თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა შეილესოს ორივე მხრიდან. იშვიათ შემთხვევაში ნარევში შეაქვთ მცირე რაოდენობის ქვიშა, იმ ანგარიშით, რომ ცემენტის, ქვიშის და წყლის ჯამური რაოდენობა ნაკლები იყოს მსხვილი შემვსების მარცვლებს შორის ცარიელობაზე. ასეთ ბეტონს მცირექვიშიანს უწოდებენ.

ბეტონი მცირექვიშიანი – ბეტონი, რომელშიც ცემენტის, ქვიშისა და წყლის ჯამური რაოდენობა ნაკლებია მსხვილი შემვსების მარცვლებს შორის ცარიელობაზე.

ბეტონი მძიმე (ჩვეულებრივი ბეტონი) – მკვრივი აგებულების, ცემენტის შემკვრელსა და მკვრივ შემვსებზე (ქვიშა, ხრეში, ღორღი, გრანიტი, ბაზალტი, კირქვა და სხვ.) შედგენილი, მსხვილმარცვლოვანი, გამყარების ყოველგვარ პირობებში დამზადებული ბეტონი (ნახ. 1). სიმკვრივე – 2200-2500 კგ/მ^3; სიმტკიცე – 10-80 მპა. შედგენილობის და ნედლეულის შერჩევით შეიძლება მივიღოთ საჭირო წყალუჟონადობის, ყინვამედეგი, სწრაფგამაგრებადი, მაღალი სიმტკიცისა და სხვა კომპლექსური თვისებების ბეტონი, რომელიც შეესაბამება პროექტის მოთხოვნას. ბ. მ. გამოიყენება სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სხვადასხვა ნაკეთობასა და კონსტრუქციაში, ჰიდროტექნიკურსა და საგზაო მშენებლობაში, საინჟინრო და სპეციალურ ნაგებობებში.



ნაკეთობა და კონსტრუქცია შეიძლება დამზადდეს ქარხანაში ან დაბეტონდეს უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე (მონოლითური ბეტონი). როგორც წესი, ბეტონში იყენებენ ადგილობრივ შემვსებს. მათ არჩევენ იმ თვალსაზრისით, რომ მიიღონ საჭირო თვისების ბეტონი ცემენტის მინიმალური ხარჯით. ბეტონის ნარევის სათანადო ადვილჩაწყობადობას უზრუნველყოფენ წყლის ოპტიმალური ხარჯით, ბეტონის სიმტკიცეს კი – წყალცემენტის ფარდობისა და ცემენტის ხარჯის სწორი შერჩევით.

ბეტონი მხურვალმდგრადი – სპეციალური შემადგენლობის მაღალი ტემპერატურის ამტანი ბეტონი, რომელიც ტემპერატურის გავლენით არ განიცდის დეფორმაციას.

ბეტონი მხურვალმედეგი – ბეტონის სახეობა, რომელსაც შეუძლია მაღალი ტემპერატურის პირობებში შეინარჩუნოს თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. შემვსებად იყენებენ ცეცხლმედეგ მასალებს: შამოტს, ანდეზიტს, დიაბაზს, ბრძმედის წიდას, კორუნდს, ქრომის მადნებს, მაგნეზიტურ და თიხის აგურის ნამტვრევებს და სხვ. შემკვრელად გამოიყენება პორტლანდცემენტი, წიდაპორტლანდცემენტი, თიხამიწიანი ცემენტი და თხევადი მინა. მხურვალმედეგობის ხარისხის მიხედვით ბ. მ. იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1. მაღალმხურვალმედეგი (უძლებს 1770°C და მეტ ტემპერატურას); 2. მხურვალმედეგი (ცეცხლგამძლეობა 1580-1770°C); 3. მხურვალგამძლე (უძლებს 1580°C-ზე ნაკლებ ტემპერატურას). ბ. მ. შემვსების სახეობაზე დამოკიდებულებით, შეიძლება იყოს განსაკუთრებით მძიმე (სიმკვრივით 3200 კგ/მ^3-მდე), მძიმე (2500-2800 კგ/მ^3) და მსუბუქი (ნაკლები 2500 კგ/მ^3-ზე). ბეტონის დამზადებისას აუცილებელი პირობაა წყლის ან თხევადი მინის რაოდენობის მინიმალურობა. კონუსის ჯდომა აიღება არაუმეტეს 2 სმ-ისა. ადუღაბებისათვის ჩვეულებრივ საჭიროა 170-190 ლიტრი წყალი 1 მ^3 ბეტონზე. გამოიყენება საცეცხლე ღუმლების, ორთქლის ქვაბების, ატომური რეაქტორების, საკვამლე მილებისა და სხვ. ასაგებად.

ბეტონი პლასტიკური – ბეტონის სახეობა, რომელშიც მჭიდა მასალად გამოყენებულია სინთეზური პოლიმერული ფისები; წვრილ და მსხვილ შემვსებად – მსუბუქი მინერალური მასალები (ქვიშა, ხრეში, ღორღი და წვრილად ნაფქვავი დანამატები). ბ. პ. სტრუქტურის მიხედვით შეიძლება იყოს მკვრივი, ფორებიანი, უჯრედოვანი და ამის შესაბამისად, მძიმე (წყალშეუღწევი და ქიმიურად მედეგი), მსუბუქი (თბოსაიზოლაციო) და განსაკუთრებულად მსუბუქი (კერამზიტბეტონი, უჯრედოვანი პერლიტქაფპლასტბეტონი).

ბეტონი პლასტიფიცირებული – ბეტონი პლასტიფიკატორებისა და სუპერპლასტიფიკატორების გამოყენებით (ცემენტის მასიდან 0,1-0,7% რაოდენობით), რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს ბეტონის ნარევის წყალმოთხოვნილება, გაიზარდოს ადვილჩაწყობადობა, ბეტონის სიმტკიცე ან შემცირდეს ცემენტის ხარჯი 15-20%-ით.

ბეტონი პოლიმერსილიკატური – თხევადი მინის საფუძველზე დამზადებული, პოლიმერის დამატებით მიღებული ბეტონი. გამოირჩევა მაღალი ქიმიური მედეგობით ნავთობპროდუქტებისა და ორგანული გამხსნელების (აცეტონი, ბენზოლი, ტოლუოლი) მიმართ. გამოიყენება მჟავების შესანახი რეზერვუარების დასამზადებლად, საძირკვლების სარემონტოდ, ბეტონისა და რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში პირაპირების, ბზარებისა და დეფექტების შესავსებად, სამშენებლო კონსტრუქციების, საკვამლე მილებისა და სხვადასხვა აპარატურის ამონაგებად, კამარების, სახურავების, დიაფრაგმების კონსტრუქციულ მასალად, ქიმიურად მედეგი მონოლითური იატაკების მოსაწყობად და სხვ.

ბეტონი პოლიმერცემენტის – ბეტონი, დამზადებული ცემენტისა და პოლიმერული ნივთიერებისაგან (ცემენტის მასის 5-15%) შედგენილი შერეული შემკვრელით. პოლიმერად გამოიყენება წყალში ხსნადი ფენოლფორმალდეჰიდური ფისი ან პოლიმერების წყლის დისპერსიები (პოლივინილაცეტატი, სინთეზური კაუჩუკი, აკრილი და სხვ.). გამოიყენება სამრეწველო შენობების იატაკების მოსაწყობად, აეროდრომის ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის დასაბეტონებლად, მოსაპირკეთებელ სამუშაოებში (მათ შორის კერამიკული, მინისა და ქვის ფილების კედელზე მისაწებებლად), წყლის და ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარების მოსაწყობად და სხვ.

ბეტონი რადიოაქტიური გამოსხივებისაგან დამცავი – ბეტონი, რომლის შემვსებად გამოიყენება მძიმე მასალები: ბარიტი, მაგნეტიტი, ლიმონიტი და ლითონი თუჯის საფანტის, არმატურის ნაჭრების, ლითონის ბურბუშელის და სხვათა სახით, შემკვრელად კი პორტლანდცემენტი. ბეტონის სიმკვრივე იცვლება 2500-5000 კგ/მ^3 ფარგლებში. მარკებია: 100; 150; 200.

ბეტონი რომაული (ინგლ. Roman concrete ან opus caementicium) – საშენი მასალა, რომელიც გამოიყენებოდა მშენებლობაში გვიანდელი რომის რესპუბლიკის ეპოქაში (ძვ. წ. 133-27 წწ.) რომის იმპერიის დაცემამდე (476 წ.). თანამედროვე პორტლანდცემენტზე დამზადებული ბეტონისგან განსხვავებით, რომაული ბეტონისათვის გამოიყენებოდა ჰიდრავლიკური ცემენტი; შემკვრელად – წყალთან შერეული, შეძლებისდაგვარად წვრილად დაფქული ვულკანური ფერფლი (პუცოლანი), თაბაშირი, კირი ბუნებრივი ან ხელოვნური კერამიკის (პემზა, აგური) დანამატით; შემავსებლად – გარეცხილი ქვიშა და ღორღი. ბ. რ. გამოირჩეოდა საკმარისი სიმტკიცით, რასაც პირველ რიგში განაპირობებდა ვულკანური ფერფლი, რომელიც ხელს უშლიდა ბეტონის მასივში ბზარების განვითარებას. სწორედ ასეთი ბეტონის გამოყენებით გახდა შესაძლებელი იმ პერიოდისათვის მსოფლიოში ყველაზე დიდი დიამეტრის (≈ 43 მ.), რომის პანთეონის დაუარმირებელი, ნახევარწრიული ფორმის, გუმბათის მშენებლობა (117-128 წწ.). ბ. რ. შემავსებლად გამოიყენებოდა მსხვილმარცვლოვანი ღორღი, რის გამოც ობიექტზე მას აწყობდნენ და არა ასხამდნენ. როგორც წესი, ბეტონის ზედაპირს აპირკეთებდნენ ქვით, აგურით, ხოლო ინტერიერებს დამატებით ალამაზებდნენ ნაძერწით, მარმარილოს თხელი ფილებით, ფრესკებითა და სხვ.

ბეტონი საგზაო – ბეტონის სახეობა, რომელსაც იყენებენ საავტომობილო გზების მშენებლობაში. ბ. ს. უნდა იყოს მტკიცე, ცვეთა-, ყინვა- და ატმოსფერომედეგი. ერთფენიანი და ორფენიანი ბეტონის საფარისათვის გამოიყენება არანაკლებ 400 მარკის საგზაო პორტლანდცემენტი (სამკალციუმიანი ალუმინატის 10%-ზე ნაკლები შემცველობით), ბეტონის გზების საფუძვლისათვის – არანაკლებ 300. სასურველია საგზაო პლასტიფიცირებული ან ჰიდროფობული ცემენტის გამოყენება. ზედა ფენისათვის გამოიყენება მხოლოდ გარეცხილი ღორღი ან ხრეში, რომელშიდაც თიხოვანი, მტვროვანი და ლამიანი ნაწილაკების მასითი რაოდენობა არ აღემატება 1,5%-ს (ქვედა ფენისათვის – 2%-ს). ღორღი აუცილებელია იყოს მაღალი სიმტკიცის: ამოფრქვეული ქანიდან – არანაკლებ 120 მპა, დანალექი ქანიდან – არანაკლებ 80 მპა, ქვედა ფენისა და საფუძვლისათვის ამოფრქვეული ქანიდან – 80 მპა-ზე მეტი, დანალექი ქანიდან – 60 მპა-ზე მეტი. ხრეშის ან ღორღის მარცვლების უდიდესი ზომაა არანაკლები: ზედა ფენისათვის 20 მმ, ქვედა ფენისათვის – 40 მმ, საფუძვლისათვის – 70 მმ. ბ.ს. ყინვამედეგობისა და ნარევის ხარისხის ასამაღლებლად მასში შეჰყავთ ზედაპირულად აქტიური დანამატი: სუპერპლასტიფიკატორი, ორგანულ-მინერალური, ჰაერჩამთრევი და სხვ. დანამატის ხარჯი ისეთია, რომ უზრუნველყოს ბეტონის ნარევში საჭირო რაოდენობის ჰაერის ჩართვა. რეკომენდებულია ჩათრეული ჰაერის შემდეგი შემცველობა (მოცულობითი): შემვსების მაქსიმალური სიმსხოს (40-70 მმ) დროს – (4,5±1)%, მარცვლების უმცირესი (-20 მმ) სიმსხოს დროს – (5,5±1)%. საგზაო საფარის დეკორატიული მიზნისათვის ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების, გამყოფი ზოლების, პარკის ბილიკებისა და ქალაქის კეთილმოწყობის ელემენტების დასამზადებლად გამოიყენება ფერადი ბეტონი. ასეთი ბეტონი მიიღება ნარევში ტუტე და შუქმედეგი პიგმენტის (ცემენტის მასის 8-10%) დამატებით (ოხრა, მუმია, სურინჯი და სხვ.) ან ფერადი ცემენტის გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ფერადი შემვსები, მაგ., ტუფი, წითელი კვარციტი, მარმარილო და სხვ.

ბეტონი სადრენაჟო – ბეტონის სახეობა, დამზადებული მსხვილ შემვსებზე, რომელშიც წვრილი შემვსები საერთოდ არ შედის, ან მცირე რაოდენობითაა, ხოლო ცემენტის რაოდენობა საპროექტოზე ნაკლებია, რათა ცემენტის ცომმა მთლიანად არ შეავსოს ფორები და სიცარიელეები ბეტონის მასივში.

ბეტონი სასაქონლო – 1. ბეტონი, რომელიც იწარმოება საქარხნო პირობებში და მიეწოდება სამშენებლო ობიექტს მზა სახით; 2. ბეტონი გასაცემი (ნაწილობრივი) სიმტკიცით, რომლის დროსაც ნაკეთობა შეიძლება მიეწოდოს მომხმარებელს მშენებლობის პერიოდში საპროექტომდე ზრდადი სიმტკიცის ანგარიშით. ბეტონის გასაცემი სიმტკიცე წლის თბილ დროში შეადგენს საპროექტო სიმტკიცის 50-70%-ს, ცივში – 70-90%-ს.

ბეტონი სილიკატური – ბეტონის სახეობა, რომელიც მიიღება კირკაჟმიწოვანი მჭიდა ნივთიერების, არაორგანული შემვსებისა და წყლისაგან შედგენილი ნარევის ავტოკლავში თბოტენიანი დამუშავებით. ორთქლით დამუშავების პროცესში ნარევი მყარდება (მასში ჰიდროსილიკატებისა და კალციუმის სხვა ნაერთების წარმოქმნის შედეგად) და იძენს სიმტკიცეს კუმშვისას 60 მპა-მდე, ან ზოგჯერ მეტსაც. ბ. ს. დამზადებისას მჭიდა ნივთიერებად იყენებენ ჰაერკირჩინის ან ჰიდრავლიკური რკინისა და სილიციუმის ორჟანგის შემცველი მასალის (კვარცის ქვიშა, ვულკანური ქანი და სხვ.) წმინდად დაფქულ ნარევს, შემვსებად კი ბუნებრივ ან ხელოვნურ (კარბონატულ, წიდისა და სხვ.) ქვიშას, აგრეთვე მსხვილ შემვსებს. თავისი თვისებებით ბ. ს. უახლოვდება პორტლანდცემენტის

საფუძველზე დამზადებულ ბეტონს (სიმკვრივე 1800-2200 კგ/მ³, ყინვამედეგობა – 75-200 ციკლი).

ბეტონი სპეციალური – ბეტონი, რომელიც მზადდება სპეციალური შემკვრელის, სპეციალური შემვსების, სპეციალური ქიმიური დანამატ-მოდიფიკატორისა და ზოგჯერ სპეციალური არმირების გამოყენებით. ამასთან ერთად, რიგ შემთხვევაში აუცილებელია ბეტონის დამზადების სპეციალური საშუალება და მეთოდი. ბეტონის მრავალგვარობა, როგორც კომპოზიტური მასალისა, ყველაზე მეტად ვლინდება სპეციალურ ბეტონებში. ეს ბეტონები გამოირჩევა სამშენებლო-ტექნიკური თვისებების დიდი მრავალფეროვნებით: მაღალი სიმტკიცით, სწრაფგამაგრებადობით, მჟავა- და ცეცხლმედეგობით, რადიოამრეკლი და რადიოიზოლატორის თვისებებითა და სხვ.

ბეტონი სტანდარტული – ბეტონი, რომლის საჭირო თვისებები განსაზღვრულია სტანდარტით (საწარმოო ნორმით).

ბეტონი სულფატმედეგი – ბეტონი, რომელიც დამზადებულია სპეციალურ ცემენტზე (მჟავამედეგი, გოგირდიანი, ფოსფატური, გაფართოებადი, დამძაბავი, მაგნეზიური და სხვ.). ბეტონისათვის მეტად საშიშია სულფატების (გოგირდმჟავას ნაერთების) შემცველი წყალი (თბილისის მიწისქვეშეთში არსებული წყლების აბსოლუტური უმრავლესობა), რომელიც ბეტონის ნელი ფილტრაციის გამო დროთა განმავლობაში შლის მას. აგრესიული მოქმედება მნიშვნელოვნად ძლიერდება, თუ წყალი წნევით მოქმედებს ბეტონის კონსტრუქციაზე. ამ შემთხვევაში, მცირე წნევის დროსაც, გახსნილი აგრესიული ნივთიერების რაოდენობა, რომელიც აღწევს ცემენტის ქვაში, ბევრად აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც აღწევს მასში დიფუზიის შედეგად. ამიტომ კონსტრუქციაში, რომელიც იმყოფება წნევის ქვეშ, კოროზიული პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. სულფატების შემცველი წყლის აგრესიული მოქმედების შედეგად ბეტონი იჯირჯვება, კონსტრუქციაზე ჩნდება ბზარები. დაშლის ასეთი ხასიათი განპირობებულია იმით, რომ ცემენტის ქვასთან სულფატების ურთიერთქმედებისას ქიმიური რეაქციები მიმდინარეობს რთული კომპლექსური ნაერთების – კალციუმის ჰიდროსულფოალუმინატების წარმოქმნით, ამიტომ მნიშვნელოვანია თბილისის პირობებში მიწისქვეშა მშენებლობა ვაწარმოოთ სულფატმედეგ ცემენტზე (უშვებს რუსთავის ცემენტის ქარხანა) დამზადებული სულფატმედეგი ბეტონით. ბეტონის სულფატმედეგობა მაღლდება ცემენტში პუცოლანის დამატებით ან სულაც ცემენტის ნაწილის შეცვლით პუცოლანით. საშუალო და სუსტ აგრესიულ გარემოში სულფატმედეგი ბეტონის ალტერნატივაა მაღალი სიმკვრივის წყალუჭონადი ბეტონი.

ბეტონი სწრაფმყარებადი – ბეტონის სახეობა, რომელიც ნორმალურ პირობებში გამაგრებისას შედარებით მაღალ სიმტკიცეს აღწევს ადრეულ ასაკში – 1-3 დღეში. ის მიიღწევა სწრაფმყარებადი ცემენტის გამოყენებით ან ცემენტის გამაგრების დაჩქარების სხვა ხერხით. ბეტონის სიმტკიცის ზრდაზე ადრეულ ასაკში ყველაზე მეტი გავლენა აქვს შემკვრელის თვისებებს და წყალცემენტის ფარდობას, აგრეთვე ნარევის მომზადების ტექნოლოგიას. ბეტონის გამაგრების დამაჩქარებელი დანამატებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია კალციუმის ქლორიდი, რომელიც უზრუნველყოფს უკეთეს შედეგს, სხვა დანამატებთან შედარებით. მისი გამოყენება რეკომენდებულია პუცოლანურ, წიდაპორტლანდცემენტსა და ნელამაგრებად პორტლანდცემენტზე დამზადებულ ბეტონებში.

ბეტონი უტილიზებული – ბეტონის სახეობა, დამზადებული რეციკლირებულ შემკვრელზე, შემვსებსა და წყალზე.

ბეტონი უჯრედოვანი – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელიც მზადდება ფორწარმომქმელის მეშვეობით აქაფებული შემკვრელის, კაჟმიწა კომპონენტისა და წყლის ნარევის გამყარებით (ნახ. 1). საწყისი ნარევის აქაფებისას წარმოიქმნება დამახასიათებელი "უჯრედოვანი" სტრუქტურა თანაბარგანაწილებული ჰაერული ფორებით, შედეგად უჯრედოვან ბეტონს აქვს დაბალი სიმკვრივე და მცირე თბოგამტარობა. უჯრედოვანი ბეტონის ფორიანობა შედარებით ადვილად რეგულირდება მომზადების პროცესში, რის შედეგადაც მიიღება სხვადასხვა სიმკვრივისა და დანიშნულების ბეტონი. შემკვრელად გამოიყენება პორტლანდცემენტი, კირი, თაბაშირი, ხოლო კომპონენტად – დაფქული კვარცის ქვიშა, წანატაცნაცარი და მეტალურგიული წიდა. კომპონენტი ამცირებს შემკვრელის ხარჯს და ბეტონის შეკლებას, რაც ეკონომიკურად და ეკოლოგიურად სასარგებლოა. ბ. უ. სამი ჯგუფი არსებობს: 1) თბოსაიზოლაციო (სიმკვრივე 500 კგ/მ^3-მდე, სიმტკიცე 0,5-1,5 მპა; 2) კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო (სიმკვრივე 500-900 კგ/მ^3, სიმტკიცე 2,5-7,5 მპა; 3) კონსტრუქციული (სიმკვრივე 900-1200 კგ/მ^3, სიმტკიცე 7,5-15 მპა). სიმტკიცის კლასი კუმშვაზე B0,35-B12,5-ის ფარგლებში. ბეტონის მისაღებად გამოიყენება შემკვრელის როგორც ბუნებრივი გამაგრება, ისე მისი გააქტიურება გაორთქვლით (ავტოკლავური დამუშავებით). როდესაც შემკვრელად გამოყენებულია კირი, მაშინ ავტოკლავური დამუშავება აუცილებელია. ფოროვანი სტრუქტურის მიღების მეთოდის (შემკვრელის აქაფება) მიხედვით არჩევენ: აირბეტონს, აირსილიკატს, ქაფბეტონსა და ქაფსილიკატს. აირბეტონი და აირსილიკატი მიიღება შემკვრელის ცომის აფუებით იმ აირით, რომელიც გამოიყოფა შემკვრელსა და ქაფწარმომქმნელ ნივთიერებას შორის ქიმიური რეაქციის შედეგად. ყველაზე ხშირად ქაფწარმომქმნელია ალუმინის ფქვილი, რომელიც რეაქციაში შედის კალციუმის ჰიდროქსიდთან და გამოყოფს წყალბადს. ქაფბეტონი და ქაფსილიკატი კი მიიღება შემკვრელის ცომის შერევით წინასწარ მომზადებულ მდგრად ტექნიკურ ქაფთან. უჯრედოვანი ბეტონის თვისებას განსაზღვრავს ფორიანობა, შემკვრელის სახეობა და გამაგრების პირობები. უჯრედოვანი ბეტონის მოცულობის 60-85% შედგება 0,2-2 მმ ზომის დახურული ცემენტის ქვის ფორებისაგან (უჯრედებისაგან), რომლებიც დახშულია ჰაერისათვის, მაგრამ ღიაა წყლისათვის. ამიტომ უჯრედოვანი ბეტონის წყალშთანთქმა საკმაოდ მაღალია და ყინვამედეგობა, შესაბამისად, დაბალი, მკვრივი სტრუქტურის ბეტონთან შედარებით. ცემენტის ქვის ჰიდროფილურობა და დიდი ფორიანობა განაპირობებს მაღალ სორბციულ ტენიანობას, რაც გავლენას ახდენს უჯრედოვანი ბეტონის თბოსაიზოლაციო თვისებაზე, ამიტომ გადამღობ კონსტრუქციაში გამოყენების შემთხვევაში, ის დაცული უნდა იქნეს წყალთან კონტაქტისაგან ან მოხდეს მისი ჰიდროფობიზაცია. უჯრედოვანი ბეტონის სიმტკიცე დამოკიდებულია მის საშუალო სიმკვრივეზე და იცვლება 1,5-15 მპა-ის ფარგლებში. დრეკადობის მოდული ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი ბეტონისა, ე.ი. უფრო დეფორმაციულია. გარდა ამისა უჯრედოვან ბეტონს ახასიათებს მომატებული შეკლება და ცოცვადობა. ბ. უ. და მისგან დამზადებული ნაკეთობანი ხასიათდება კარგი ბგერასაიზოლაციო თვისებით, ცეცხლმედეგია და ადვილად მუშავდება (იხერხება,

იბურღება, ილურსმნება). უჯრედოვანი ბეტონის გამოყენების სფეროა: გადამღობი კონსტრუქციები (კედელები) საცხოვრებელი და სამრეწველო შენობისათვის; მზიდი კონსტრუქციები – დაბალსართულიანი და არამზიდი – მაღალსართულიანი კარკასული შენობებისათვის. ასევე გავრცელებულია კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო უჯრედოვანი ბეტონი. არმატურის კოროზიისაგან დასაცავად მას ფარავენ ცემენტ-ბიტუმის ან ცემენტ-პოლისტირენის მასტიკით.

ბეტონი ფერადი – ბეტონი, რომელიც მიიღება ნარევში ტუტე და შუქმედეგი პიგმენტის (ცემენტის მასის 8-10%) დამატებით (ოხრა, მუმია, სურინჯი და სხვ.) ან ფერადი ცემენტის გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ფერადი შემვსები (ტუფი, წითელი კვარციტი, მარმარილო და სხვ.).

ბეტონი ფოსფატურ ცემენტზე – ფოსფატურ ცემენტზე დამზადებული ბეტონი, რომელიც სწრაფად მაგრდება და გამოიყენება სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების სარემონტოდ (ავტოსტრადა, მილგაყვანილობა, ანაკრები რკინაბეტონის ნაკეთობა და სხვ.). ამონიუმფოსფატის ცემენტის შედგენილობა საშუალებას იძლევა 45 წუთში მივიღოთ დაახლოებით 30 მპა სიმტკიცის ბეტონი. სილიკატფოსფატური ცემენტი იკვრება 30 წუთში და 4 საათის შემდეგ აქვს 50 მპა-ზე მეტი სიმტკიცე კუმშვაზე. ნატრიუმის ჰექსამეტაფოსფატის საფუძველზე დამზადებული შემკვრელი, მაგნიუმის ოქსიდთან ერთად, შეიძლება გამოვიყენოთ ცეცხლგამძლე ბეტონისათვის, ელექტროღუმლის აგურით ამოგებისათვის და სხვ. 1200°C ტემპერატურაზე გამაგრებისას 24 საათში მიიღება მდგრადი მასალა, სიმტკიცით 65 მპა და მეტი.

ბეტონი ქიმიურად მდგრადი – საერთო სახელწოდება ისეთი ბეტონების ჯგუფისა, რომლებიც თვისებებს ინარჩუნებს ქიმირად აგრესიულ ნივთიერებათა (ტუტე, მჟავა, ორგანული გამხსნელები და მისთ.) ზემოქმედების პირობებშიც. მისი ძირითადი სახეობებია: მჟავაგამძლე ბეტონი, პოლიმერბეტონი, ასფალტბეტონი და სხვ.

ბეტონი შემსუბუქებული – იგივეა, რაც მსუბუქი ბეტონი. სიმკვრივე 1800-2200 კგ/მ^3, შემვსებად გამოყენებულია როგორს მკვრივი, ასევე ფოროვანი საშენი მასალა.

ბეტონი შეუკლები – ჩვეულებრივი ბეტონი, დამზადებული შეუკლები, გაფართოებადი და დამძაბავი ცემენტისაგან, რომლის დანიშნულებაა თავიდან იქნეს აცილებული ბეტონისა და რკ.ბ.-ის კონსტრუქციაზე შეკლებითი დეფორმაციის მავნე გავლენა. ამ ცემენტის შემადგენლობაში შედის მინერალური სისტემები, რომელიც გამაგრების პროცესში ფართოვდება. შედეგად მცირდება ან მთლიანად კომპენსირდება შეკლების დეფორმაცია

ბეტონი ცემენტ-პოლიმერის – ცემენტიანი ბეტონი მაღალმოლეკულური ორგანული ნაერთების დამატებით. დანამატი შედის წყლიანი დისპერსიის სახით, რომელიც არის პოლიმერის ემულსიური პოლიმერიზაციის პროდუქტი. ეს პოლიმერებია: ვინილაცეტატი, ვინილქლორიდი, სტირენი, ლატექსები და სხვა წყალში ხსნადი კოლოიდები. პოლიმერის გამოყენება ბეტონში საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ მისი სტრუქტურა და თვისება საჭირო მიმართულებით, ავამაღლოთ მასალის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ცემენტ-პოლიმერის ბეტონი ხასიათდება ორი აქტიური შემადგენლით: მინერალური შემკვრელისა და ორგანული ნივთიერებისაგან. შემკვრელი ნივთიერება წყალთან ერთად ქმნის ცემენტის ქვას, რომელიც კრავს შემვსების მარცვლებს ერთიან მონოლითად. პოლიმერი კი ბეტონიდან წყლის შემცირების შესაბამისად, ფორის, კაპილარის, ცემენტისა და შემვსების

ზედაპირზე ქმნის თხელ აფსკს, რომელსაც აქვს კარგი ადჰეზია და ხელს უწყობს შემვსებსა და ცემენტის ქვას შორის შეჭიდულობის ზრდას, აუმჯობესებს ბეტონის მონოლითურობას და მინერალური ჩონჩხის მუშაობას, რის შედეგადაც ბეტონი იძენს განსაკუთრებულ თვისებებს: მეტ სიმტკიცეს ღუნვასა და გაჭიმვაზე, ყინვაგამძლეობას, ცვეთამედეგობასა და წყალშეუღწევადობას ჩვეულებრივ ბეტონთან შედარებით. ბეტონში შეყვანილი პოლიმერული მასალის რაოდენობა დგინდება წინასწარი გამოცდით. ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს დანამატის გავლენას ცემენტ-პოლიმერის ბეტონზე, არის პოლიმერცემენტის ფარდობა. დანამატის ოპტიმალური რაოდენობა პოლივინილაცეტატის შემთხვევაში, შეადგენს ცემენტის მასის 20%-ს. ლატექსის გამოყენებისას, რომ არ მოხდეს პოლიმერის კოაგულაცია, შეგვყავს სტაბილიზატორი (სოდა, ამონიუმის კაზეინატი და სხვ.). ცემენტ-პოლიმერული ბეტონი მზადდება იმავე ტექნოლოგიით, როგორითაც ჩვეულებრივი ცემენტიანი ბეტონი. გამოიყენება გზების, იატაკების მოსაწყობად, მოსაპირკეთებელ სამუშაოებში, კოროზიამედეგ გადახურვებსა და სხვ.

ბეტონი ცემენტიანი – ბეტონებში ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობა, რომელთა შორის ძირითადია პორტლანდცემენტი. ცემენტიანი ბეტონის სახეობებია: დეკორატიული ბეტონი, რომელიც მზადდება თეთრი და ფერადი ცემენტით; სულფატმედეგი ბეტონი – მზადდება სულფატმედეგი ცემენტით (აუცილებელია თბილისის მიწისქვეშეთის გარემოში); ძაბვადი ცემენტით დამზადებული ბეტონი და სპეციალური დანიშნულების ბეტონი, რომელიც მზადდება თიხამიწოვან, კომპოზიციურ და სხვა სპეციალურ ცემენტზე.

ბეტონი წვრილმარცვლოვანი – წვრილ შემვსებზე (ქვიშაზე) შედგენილი საშუალო სიმკვრივის (1800 კგ/მ^3) ბეტონი. ქვიშის მარცვლების ზომები იცვლება 0,15-2,5 მმ-ის ფარგლებში. წყალცემენტის ფარდობა – 0,3-0,4. გამოიყენება თხელკედლიანი (არმოცემენტის) კონსტრუქციების დასამზადებლად. სიმტკიცე 16-28 მპა.

ბეტონი წვრილმარცვლოვანი კომპოზიტური – მაღალეფექტური მრავალკომპონენტიანი ბეტონი, რომელშიც გამოყენებულია კომპოზიტური შემკვრელი ნივთიერება – მასალის სტრუქტურის, თვისებისა და ტექნოლოგიის ქიმიური მოდიფიკატორების კომპლექსი; აქტიური მინერალური კომპონენტები – სუპერწმინდა გამაფართოებელი და სხვა სპეციალური დანამატი. შემადგენლობის მრავალკომპონენტიანობა საშუალებას იძლევა ეფექტურად ვმართოთ მასალის სტრუქტურის წარმოქმნა ტექნოლოგიის ყველა ეტაპზე, უზრუნველვყოთ დამზადებული ნაკეთობისა და კონსტრუქციის მაღალი ხარისხი. კომპოზიტური შემკვრელი არის პორტლანდცემენტის ან სხვა შემკვრელის რეგლამენტირებულ პირობებში ფიზიკურ-ქიმიური აქტივიზაციის პროდუქტი, იმ ქიმიურ მოდიფიკატორთან ერთად, რომელიც შეიცავს წყალდამწევ კომპონენტს, მინერალურ დანამატს და აუცილებლობის შემთხვევაში სპეციალურ დანამატს, რათა მივიღოთ განსაკუთრებული თვისების შემკვრელი. აქტიურ კომპონენტად გამოიყენება: ქიმიური მოდიფიკატორის კომპლექსი; დისპერსიული შემავსებელ-გამზავებელი; ულტრადისპერსიული შემავსებელ-შემამკვრივებელი და აქტივატორი; კომპონენტები, რომლებიც მართავენ სტრუქტურის მოცულობის ცვლილებას; კომპონენტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ვმართოთ ბეტონის ნარევის რეოლოგია და გამაგრების პროცესი, ქიმიურ მოდიფიკატორებთან ერთად; კომპონენტები, რომლებიც ბეტონს აძლევს სპეციალურ თვისებას; დისპერსიული ბოჭკოვანი კომპონენტი და კომპონენტები, რომლების არეგულირებენ მასალის შინაგან სითბოგამოყოფას. კომპოზიტური შემკვრელი,

მოდიფიკატორის შედგენილობა და აქტიური კომპონენტი შეირჩევა ბეტონის დანიშნულებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების მიხედვით, ბეტონის შედგენილობისა და საწყისი შემადგენლების – შემკვრელისა და შემვსების თვისებების გათვალისწინებით. სიმტკიცე იზრდება კომპოზიტური შემკვრელის რაოდენობის გაზრდით. ყველაზე მეტი სიმტკიცე აქვს ცემენტის ქვას. მაგრამ ამ შემთხვევაში შესამჩნევად იზრდება მასალის შეკლება, რაც აძნელებს დიდი ზომის ნაკეთობის დამზადებას და მოითხოვს განსაკუთრებული ზომების მიღებას შეკლების კომპენსაციისათვის. ცემენტის ხარჯის გაზრდას მივყავართ მასალის გაძვირებისაკენ; ამ ხარჯის შესამცირებლად ცემენტის ნაწილი უნდა შეიცვალოს აქტიური მინერალური შემავსებლებით: ნაცრით, დაფქული წიდით, მიკროკაჟმიწით და სხვა მსგავსი მასალით, რომელიც საშუალებას იძლევა დავარეგულიროთ გამაგრებად ბეტონში სტრუქტურაწარმოქმნა. ამ მასალების შეყვანა, შეჯერებული უნდა იყოს სხვა კომპლექსურ ქიმიურ მოდიფიკატორთან. შეკლების მნიშვნელოვანი შემცირება მიიღწევა კომპოზიტური შემკვრელით, განსაკუთრებით გაფართოებადი ნივთიერებით და წყალცემენტის ფარდობის შემცირებით, აგრეთვე მიკროკაჟმიწის დანამატის შეყვანით სუპერპლასტიფიკატორთან ერთად. მიკროკაჟმიწის შეყვანა ზრდის წვრილმარცვლოვანი ბეტონის გაჯირჯვებას ტენიან გარემოში, ამიტომ, მიკროკაჟმიწიან წვრილმარცვლოვან ბეტონში უნდა ვერიდოთ ტენიანობის ციკლურ ცვლილებას, რომ კონსტრუქციაში არ გაჩნდეს მიკრობზარები. საწყისი ნედლეულისა და ბეტონის ოპტიმალური შერჩევა საშუალებას იძლევა მივიღოთ შეუკლებადი წვრილმარცვლოვანი კომპოზიტური ბეტონი, რომელსაც აქვს მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური მაჩვენებლები: სიმტკიცე 2 დღის ასაკში აღწევს 30-50 მპა-ს, 28-ე დღეს – 100-150 მპა-ს, წყალუჟონადობა W12 და მეტს, წყალშთანთქმა 1-2%-ს და ყინვამედეგობა F300 და მეტს. ბეტონს აქვს დეფორმაციულობის რეგულირებადი მაჩვენებელი, მათ შორის 14-28 დღის ბუნებრივი გამაგრების დროს შეკლების კომპენსაცია, დაბალი ცვეთადობა და მაღალი აირგამტარობა. რეალურ პირობებში ასეთი ბეტონის ექსპლუატაციის ვადა აღემატება 100 წელს, მათ შორის მკაცრი კლიმატის პირობებშიც.

ბეტონი ჰიდროტექნიკური – მძიმე, ჩვეულებრივი ბეტონის სახესხვაობა (ნახ. 1). ხასიათდება წყალუჟონადობით, დაბალი სითბოგამოყოფით, წყალ-, ყინვა- და ქიმიურმედეგობით. გამოიყენება ნაგებობებისათვის, რომლებიც პერიოდულად ან მუდმივად წყალშია. ბ. ჰ. მძიმე ბეტონის სახესხვაობაა, რომელიც, ჰიდროტექნიკური ნაგებობის კონსტრუქციის ექსპლუატაციის პირობებიდან გამომდინარე, რამდენიმე სახედ იყოფა. წყლის დონის მიხედვით არსებობს ჰიდროტექნიკური ბეტონის სახეები: წყალქვეშა ბეტონი (მუდმივად იმყოფება წყალში); ცვალებადი ზონის ბეტონი (პერიოდულად განიცდის წყლით შემორეცხვას); წყალზედა ბეტონი (მდებარეობს წყლის ცვალებადი ზონის ზევით). კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის მიხედვით ბ. ჰ. შეიძლება იყოს მასიური და არამასიური. კონსტრუქციაში მდებარეობის ადგილის მიხედვით დაბალი სითბოგამოყოფით გარეთა და შიდა ზონის. მასიური ნაგებობის შიდა ზონის ბეტონი, რომელიც არ განიცდის წყლის დაწნევას და განლაგებულია გარე ზედაპირიდან არანაკლებ 2 მ-ზე, წარმოადგენს ჩვეულებრივ მძიმე ბეტონს. კონსტრუქციაზე წყლის წნევის მოქმედების მიხედვით განირჩევა სადაწნევო და ჩვეულებრივი (უდაწნევო) ბ. ჰ. ჰიდროტექნიკური ნაგებობის დაპროექტებისას



ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები გაითვალისწინება. თუ კონსტრუქცია რამდენიმე ზონაშია განლაგებული, მაშინ მოთხოვნები ბეტონზე მიიღება ყველაზე ცუდი ზონისათვის. მუშაობის პირობებისა და სახეობების მიხედვით ჰიდროტექნიკურ ბეტონი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: სიმტკიცე (კუმშვა, ღერძული გაჭიმვა), ყინვამედეგობა, წყალუჟონადობა, წყალშთანთქმადობა, ხაზობრივი ჯდომა, გაჯირჯვება, ცვეთამედეგობა და ბზარმედეგობა. ბეტონის გამაგრების ასაკი, რომელიც აკმაყოფილებს სიმტკიცის მოთხოვნას კუმშვისა და გაჭიმვის კლასზე და წყალუჟონადობაზე, მასიური ჰიდრომელიორაციული ნაგებობისათვის და მდინარის ჰიდროტექნიკური კონსტრუქციებისათვის არის 180 დღე, საზღვაო და სამდინარე სატრანსპორტო ანაკრები ან მონოლითური და თხელკედლიანი ჰიდრომელიორაციული კონსტრუქციებისათვის – 28 დღე, საპროექტო მარკის ყინვამედეგობისათვის მისაღებია 28 დღე, მასიური ნაგებობებისათვის "თბილ" ყალიბში – 60 დღე. ჰიდროტექნიკური ბეტონის კლასი კუმშვაზე (რუსული ნორმებისათვის) შემდეგია: B3,5; B5; B7,5; B10; B12,5; B15; B20; B25; B35; B40; B45; B50; B55; B60; შეიძლება შუალედური B22,5 და B27,5 კლასის ბეტონის გამოყენებაც. კლასი ღერძულ გაჭიმვაზე: B(t)0,4; B(t)0,8; B(t)1,2; B(t)1,6; B(t)2,0; დაძაბული, წვრილმარცვლოვანი და მსუბუქი ბეტონებისათვის – B(t)2,4; B(t)2,8; B(t)3,2; მარკა ყინვამედეგობაზე: F50; F75; F100; F150; F200; F300; F400; F500; F600; F800; F1000 (ყინვამედეგობაზე მოთხოვნა წაეყენება მხოლოდ იმ ბეტონს, რომელიც იმყოფება წყლის დონის ცვალებად ზონაში, ან წყლის დონიდან 2 მ სიმაღლეზე და აგრეთვე წყალზედა ზედაპირულ ბეტონს); მარკა წყალუჟონადობაზე: W2, W4, W6, W8, W10, W12, W14, W16, W18, W20. სადაწნევო კონსტრუქციის ბეტონისათვის მარკა ინიშნება იმ ანგარიშით, რომ მივიღოთ წყალუჟონადი ბეტონი. წყალქვეშა ბეტონისათვის გამოიყენება ყველაზე წყალმედეგი პუცოლანური და წიდაპორტლანდცემენტი. წყლის ცვალებადი ზონის ბეტონისათვის, რომელიც ყველაზე მძიმე საექსპლუატაციო პირობებშია, საუკეთესოა სულფატმედეგი პორტლანდცემენტი. წყალზედა ბეტონისათვის რეკომენდებულია პორტლანდცემენტი, დანამატიანი პორტლანდცემენტი და წიდაპორტლანდცემენტი. შიდა ზონის ბეტონისთვის გამოიყენება დაბალთერმული პუცოლანური და წიდაპორტლანდცემენტი. შეიძლება პორტლანდცემენტისა და დანამატიანი პორტლანდცემენტის გამოყენებაც. სულფატურ-აგრესიული წყლისათვის აუცილებელია სულფატმედეგი პორტლანდცემენტის გამოყენება. ინერტულ შემვსებად გამოიყენება: ბუნებრივი ან ხელოვნური ქვიშა სიმსხოს მოდულით 1,5-3,5 მმ; ამოფრქვეულ ან დანალექ ქანებიდან მიღებული ღორღი მარცვლების ზომებით 5-220 მმ, სიმტკიცით 60-100 მპა. ბეტონის ხანგამძლეობა დამოკიდებულია წ/ც ფაქტორზე, რომელიც მიიღება 0,5-0,7-ის ფარგლებში.

ბეტონი ჰიდროტექნიკური სხმული – ბეტონი, რომლის ნარევი მზადდება ცემენტის, წყლისა და წვრილი ქვიშისაგან (სიმსხო ნაკლები 0,16 მმ-ზე), რომლის შემცველობა ნარევში 15%-ია. მათ ემატება წყალდამჭერი (ბეტონიტური თიხა) და მიკროშემვსები (კერამზიტის მტვერი, მიკროკაჟმიწა, წანატაცნაცარი და სხვ.). ასეთ ბეტონს მაღალი დენადობა აქვს და ჩაწყობისას არ საჭიროებს მექანიკურ ზემოქმედებას, ამიტომ მას მიზანმიმართულად იყენებენ თხელკედლიან, ჭარბად დაარმირებულ, რთული კონფიგურაციის კონსტრუქციაში, სადაც ბეტონის ჩაწყობა რთულია, აგრეთვე წყლის არხის მონოლითური მოპირკეთებისათვის, სარწყავი სისტემის ანაკრები კონსტრუქციის დამზადებისათვის და სხვ. ბ. ჰ. ს. ორგანული მინერალების დანამატით (სუპერ- და ჰიპერპლასტიფიკატორით), საშუალებას იძლევა შემცირდეს წყლის ხარჯი არანაკლებ 20%-ით, ამაღლდეს ბეტონის სიმტკიცე ორი მარკით ან

შემცირდეს ცემენტის ხარჯი 15-35%-ით, მივიღოთ დუღაბი კონუსის განშლით 180-260 მმ და ბეტონი კონუსის ჯდომით 20-24 სმ და მეტი, შენარჩუნდეს წყალცემენტის ფარდობა, შემცირდეს შრომატევადობა ვიბრირების გამორიცხვით, გაიზარდოს ყინვამედეგობა 25-40%-ით, წყალუჯონადობა – 2-4 საფეხურით, ამაღლდეს ბეტონისა და რკ.ბ.-ის მედეგობა აგრესიული გარემოს მიმართ.

ბეტონი ჰიდროტექნიკური წვრილმარცვლოვანი – ბეტონი, რომელშიც შემვსების მაქსიმალური ზომაა 10 მმ. იგი შეიძლება ჩაეწყოს ტორკრეტირებით. სატყორცნიდან გამომავალ მშრალ ნარევს ემატება წყალი და დაიტანება ზედაპირზე. ასეთი ბეტონი ხასიათდება მაღალი სიმკვრივით, სიმტკიცით, წყალუჯონადობითა და ყინვამედეგობით. გამოიყენება წყალსატევისა და არხის ფილტრაციის საწინააღმდეგო მოპირკეთების, თხელკედლიანი პანელების, ტროტუარის ფილების, წყლის ავზების, ჰიდროტექნიკური ნაგებობის დეფორმაციული ნაკერის ამოქოლვისთვის და ა.შ. ჰიდროტექნიკური ნაგებობის, აეროდრომის საფარის, არხის მოპირკეთების რემონტისათვის გამოიყენება სწრაფმყარებადი წვრილმარცვლოვანი ბეტონი თხევადი მინის შემკვრელზე, პოლიმერბეტონი და ბეტონპოლიმერი, რომლებიც ხასიათდება დიდი სიმტკიცით, სიმკვრივით, ცვეთა- და ქიმიური მედეგობით, კარგი ადჰეზიური თვისებებით.



ბეტონიერი – მანქანა, რომელიც მექანიკურად ურევს ერთმანეთს ბეტონის შემადგენელ ნაწილებს (ნახ. 1).

ბეტონის ადვილჩაწყობადობა – ნარევის თვისება შეავსოს ყალიბი და შემკვრივდეს თავისი სიმძიმის ძალის ან გარე მექანიკური მოქმედების შედეგად. ამის მიხედვით არჩევენ პლასტიკურ და ხისტ ნარევებს. პლასტიკური ბეტონის ნარევის ადვილჩაწყობადობა განისაზღვრება კონუსის ჯდომით, რომელიც იზომება სანტიმეტრობით. ამის მიხედვით, ბეტონის ნარევებია: ხისტი – 0, მცირეძვრადი – 2-4 სმ; ძვრადი – 4-12 სმ; სხმული – 12 სმ და მეტი.

ბეტონის აირწარმომქმნელი დანამატი – ბეტონის დანამატი, რომლის დასამზადებლად გამოიყენება ალუმინის ფხვნილი და მეთილსილიკონი. პირიქით, ბეტონის სტრუქტურის შემკვრივებისათვის უმატებენ კალციუმის ნიტრატს, რკინის ქლორიდს, რკინის სულფატს, ალუმინის სულფატს, სხვადასხვა შედგენილობის ფისსა და სხვ.

ბეტონის ამონიუმიური კოროზია – ბეტონის კოროზია ამონიუმის მარილების ხსნარებთან ურთიერთქმედებისას.

ბეტონის ანარევი – ციკლური მოქმედების ბეტონსარევში ახლადმომზადებული ბეტონის რაოდენობა.

ბეტონის ასაკი – ასაკი, რომელიც შეესაბამება ბეტონის კლასს სიმტკიცის მიხედვით კუმშვასა და გაჭიმვაზე. ინიშნება დაპროექტებისას, კონსტრუქციაზე საპროექტო დატვირთვების მოდების რეალური ვადებიდან გამომდინარე, აგების ხერხისა და ბეტონის გამყარების

პირობების გათვალისწინებით. ამ მონაცემების არარსებობის შემთხვევაში ბეტონის კლასი დგინდება 28 დღის ხნოვანების მიხედვით. ასაწყობი კონსტრუქციების ელემენტებში ბეტონის გასაშვები სიმტკიცე ინიშნება კონკრეტული სახეობის კონსტრუქციებისათვის, სათანადო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბეტონის ბალიში – ამა თუ იმ სახის ნაგებობის ან კონსტრუქციის საყრდენი ელემენტი, რომელიც ბეტონისგანაა (ან რკ.ბ.-ისგან) დამზადებული.

ბეტონის გამაგრება – პროცესი, რომლის დროს ბეტონის ბლანტი მასა გადადის მყარ მდგომარეობაში. ის გრძელდება ბეტონის მომზადებიდან 28 დღის განმავლობაში ანუ ბეტონი საპროექტო მარკას (კლასს) აღწევს ამ პერიოდში. ბეტონის გამაგრებისათვის ნორმალურ ტემპერატურულ გარემოდ პირობითად ითვლება 15-20°C. ტემპერატურის დაწევისას ბეტონის სიმტკიცე იზრდება ნელა, ვიდრე ნორმალურზე. ნულზე ნაკლები ტემპერატურის დროს ბეტონის გამაგრება პრაქტიკულად ჩერდება, თუ მას არ დავუმატებთ მარილს, რომელიც ამცირებს წყლის გაყინვის წერტილს. ბეტონი, რომელსაც დაწყებული აქვს გამაგრება და გაიყინება, გალღობის შემდეგ სითბოში აგრძელებს გამაგრებას, თუ ის არ იყო დაზიანებული გამაგრების დაწყებისთანავე. მაღალ ტემპერატურაზე ბეტონი მაგრდება უფრო ჩქარა, ვიდრე ნორმალურზე, განსაკუთრებით ტენიან გარემოში. რადგან მაღალ ტემპერატურაზე ბეტონის სწრაფი გამოშრობისაგან დაცვა ძნელია, ამიტომ 80°C-ზე მეტად მისი გაცხელება არ შეიძლება. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მისი დამუშავება წყლის ორთქლით გაჯერებულ, სპეციალურ ჰერმეტულ კამერაში 90-100°C-ზე ან ავტოკლავში წნევის ქვეშ. ბეტონის გამაგრებაზე დიდი გავლენა აქვს მისი მოვლის ორგანიზაციას, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში. მოვლის მიზანია შეიქმნას ბეტონის გამაგრებისათვის სათანადო პირობები, საჭირო ტენიანობის გარემოს შენარჩუნებით. ამისათვის ბეტონს ფარავენ პოლიმერული აფსკით, აყრიან ქვიშას ან ნახერხს, რომელსაც მუდმივად ასველებენ, იყენებენ სინთეზური მასალის ლეიბებს, ზედაპირს ფარავენ წყლით ან იყენებენ ბეტონის გამოშრობისაგან დაცვის სხვა მეთოდებს ჰიდრატაციის პროცესისა და სიმტკიცის ზრდის შენელების თავიდან ასაცილებლად. ადრეულ ასაკში ბეტონის გამოშრობა იწვევს შეკლების მნიშვნელოვან დეფორმაციას, ჩნდება მიკრობზარები. შემდეგში სათანადო პირობების შექმნით სტრუქტურის გამოსწორება არ ხერხდება, ამიტომ ბეტონის სათანადო მოვლა ადრეულ ასაკში, აუცილებელი პირობაა ხარისხიანი ბეტონის მისაღებად.

ბეტონის გამაგრების დამაჩქარებელი დანამატი – ბეტონის დანამატი, რომელიც აჩქარებს ბეტონის გამყარების პროცესს. ასეთი დანამატებია: კალციუმის ქლორიდი, ნატრიუმის სულფატი, კალციუმის ნიტრიტნიტრატქლორიდი და სხვ. ისინი ბეტონის ნარევს ემატება განსაზღვრული რაოდენობით, რადგან უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ მასზე. მაგ., კალციუმის ქლორიდი ხელს უწყობს არმატურის კოროზიას, ამიტომ მისი დანამატი რკ.ბ.-ში შეზღუდულია 2%-მდე, ხოლო გამოყენება წინასწარდაძაბულ არმატურასთან და თხელკედლიან კონსტრუქციაში აკრძალულია. უკანასკნელ დროს მიღებული იქნა ბეტონის უქლორო გამამაგრებლები – ალუმინატი, კალციუმის ფორმიატი, კარბონატი, ჰალოიდი, ტრიეთანოლამი, ფორმალდეჰიდი და სხვ. რომლებიც აჩქარებენ და ამაღლებენ ბეტონის სიმტკიცეს 7 დღეში 20-40%-ით

ბეტონის გამტაროება – ბეტონის თვისება გაატაროს აირი ან სითხე წნევის გრადიენტის არსებობისას (რეგლამენტირება ხდება წყალშეუღწევობის W მარკის მიხედვით), ან უზრუნველყოს წყალში გახსნილი ნივთიერებების დიფუზიური გატარება წნევის

გრადიენტის არარსებობისას (რეგლამენტირება ხდება დენის სიმკვრივისა და ელექტროპოტენციალის დადგენილი სიდიდეებით).

ბეტონის განყალიბების სიმტკიცე – ბეტონის სიმტკიცის მინიმალური მნიშვნელობა, როდესაც შესაძლებელია მისი განყალიბება.

ბეტონის გაჭიმვის სიმტკიცე გახლეჩვისას – განისაზღვრება ევრონორმების (EN 12390-6) მიხედვით. ანბანური აღნიშვნა – f_{ct} გაჭიმვის სიმტკიცე გახლეჩისას განისაზღვრება 28 დღის ასაკში. დამახასიათებელი სიმტკიცე გაჭიმვაზე გახლეჩის დროს გამოცდის შედეგების მიხედვით უნდა იყოს მეტი ან ტოლი მოცემულ სიმტკიცეზე.

ბეტონის გაჭიმვის სიმტკიცე ღუნვისას – განისაზღვრება ევრონორმების (EN 12390-5) მიხედვით. ანბანური აღნიშვნა – f_{tb} გაჭიმვის სიმტკიცე ღუნვისას განისაზღვრება 28 დღის ასაკში. დამახასიათებელი სიმტკიცე გაჭიმვაზე ღუნვის დროს გამოცდის შედეგების მიხედვით უნდა იყოს მეტი ან ტოლი მოცემულ სიმტკიცეზე.

ბეტონის დამცავი შრე – რკ.ბ.-ის კონსტრუქციის ბეტონის შრე გარე ზედაპირსა და კონსტრუქციაში მოთავსებული არმატურის ახლომდებარე ზედაპირს შორის. ის უზრუნველყოფს ბეტონისა და არმატურის ერთობლივ მუშაობას კონსტრუქციის მუშაობის ყველა სტადიაზე, აგრეთვე არმატურის დაცვას გარე ატმოსფერული, ტემპერატურული და სხვა მსგავსი ზემოქმედებისაგან. გრძივი მუშა არმატურისათვის (დაუძაბავი და საბჯენებზე დაჭიმვის გზით დაძაბული) დამცავი შრის სისქე უნდა იყოს არანაკლებ ღეროს ან ბაგირის დიამეტრისა და არანაკლები (ზომები მმ-ში): ფილებში და კედლებში სისქით: 100-მდე ჩათვლით – 10; 100-ზე მეტი – 15. კოჭებში და წიბოებში კვეთის სიმაღლით: 250-ზე ნაკლები – 15; 250 და მეტი – 20; სვეტებში – 20; საძირკვლის კოჭებში – 30. საძირკვლებში: ასაწყობში – 30; მონოლითურში, რომელსაც აქვს ბეტონის მომზადება – 35; მონოლითურში, რომელსაც არა აქვს ბეტონის მომზადება – 70. B7,5 და უფრო დაბალი კლასის დაფოროვნებული და მსუბუქი ბეტონებისაგან დამზადებულ ერთფენოვან კონსტრუქციებში დამცავი შრე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მმ, ხოლო გარე საკედლე პანელებში (ფაქტურის შრის გარეშე) – არანაკლებ 25 მმ-სა. უჯრედოვანი ბეტონის ერთფენოვან კონსტრუქციებში დამცავი შრე ყველა შემთხვევაში მიიღება არანაკლებ 25 მმ-სა. განივი, გამანაწილებელი და კონსტრუქციული არმატურის დამცავი ბეტონის შრის სისქე მიიღება არანაკლებ აღნიშნული არმატურის დიამეტრისა და არანაკლებ (მმ-ით): 250 მმ-ზე ნაკლები სიმაღლის განივკვეთიანი ელემენტებისათვის – 10; 250 მმ-ის ტოლი და მეტი სიმაღლის განივკვეთიანი ელემენტებისათვის – 15. B7,5 და უფრო დაბალი კლასის მსუბუქი და დაფოროვნებული ბეტონების ელემენტებში და უჯრედოვანი ბეტონების ელემენტებში კვეთის სიმაღლის მიუხედავად, განივი არმატურის დამცავი ბეტონის შრის სისქე მიიღება არანაკლებ 15 მმ-ისა. წინასწარ დაძაბული ელემენტების ბოლოებში, ძაბვების გადაცემის ზონაში დამცავი ბეტონის შრის სისქე უნდა შეადგენდეს არანაკლებ: A-IV, A-IIIB კლასის ღეროვანი არმატურისათვის – 2d; A-V, A-VI, AT-VII კლასის ღეროვანი არმატურისათვის – 3d; არმატურის ბაგირებისათვის – 2d (აქ d მმ-შია). გარდა ამისა, დამცავი ბეტონის შრე ელემენტის სიგრძის მითითებულ მონაკვეთზე უნდა იყოს არანაკლები 40 მმ-სა ყველა კლასის ღეროვანი არმატურისათვის და არანაკლები 20 მმ – საარმატურო ბაგირებისათვის. საყრდენთან განლაგებულ კვეთებში დამცავი ბეტონის შრე, ანკერებიანი ან უანკერო დაძაბული არმატურისათვის, დასაშვებია დაინიშნოს ისეთივე, როგორც მალში. წინასწარ დაძაბულ ელემენტებში, ბეტონზე დაჭიმული

და არხებში განლაგებული გრძივი არმატურით, მანძილი ელემენტის ზედაპირიდან არხის ძირამდე უნდა იყოს არანაკლები 40 მმ-სა და არანაკლები არხის სიგანისა. გარდა ამისა, მითითებული მანძილი ელემენტის გვერდით წახნაგამდე უნდა იყოს არანაკლები არხის სიმაღლის ნახევრისა. დაძაბული არმატურის განლაგებისას ღარებში ან ელემენტის კვეთის გარედან, დამცავი ბეტონის შრის სისქე, რომელიც წარმოიქმნება ტორკრეტირების შედეგად ან რაიმე სხვა ხერხით, მიიღება არანაკლებ 20-მმ-სა. მთლიანი არმატურის ღეროების, ბადეების ან კარკასების ყალიბებში თავისუფლად ჩაწყობის მიზნით, რომლებიც გაიმართებიან ნაკეთობის მთელ სიგრძეზე ან სიგანეზე, მათი ბოლოები დაშორებული უნდა იყოს ელემენტის წახნაგებიდან: 9 მეტრამდე ნაკეთობის შესაბამისი ზომისას – 10 მმ, 12 მ-დე – 15 მმ, ხოლო 12 მ ზევით – 20 მმ.

ბეტონის დანამატები – ნივთიერებები, რომელიც გამოიყენება ბეტონში ცემენტის ეკონომიისა და ნარევის თვისებების რეგულირებისათვის. არსებობს ორი სახის: ქიმიური დანამატი, რომელიც ემატება ბეტონს მცირე რაოდეობით (0,1-2% ცემენტის მასიდან) და მიზანშეწონილად ცვლის ბეტონის ნარევის და ბეტონის თვისებას და წმინდად დაფქული დანამატი (5-20%) ცემენტის ეკონომიისა და ბეტონის მკვრივი მასის მისაღებად. ქიმიური დანამატის გამოყენება ყველაზე უნივერსალური, ხელმისაწვდომი და მოქნილი მეთოდია ბეტონის ტექნოლოგიის მართვისა და მისი თვისების რეგულირებისათვის. თუ ადრე მშენებლობაში დანამატად გამოიყენებოდა ცალკეული ქიმიური პროდუქტი და წარმოების მოდიფიცირებული ნარჩენი, ამჟამად უფრო პრიორიტეტულია სპეციალურად ბეტონისათვის დამზადებული დანამატები, როგორებიცაა, მაგ.: პლასტიფიკატორი, სუპერპლასტიფიკატორი, ჰიპერპლასტიფიკარორი, ჰაერჩამთრევი, ჰიდროფობულ-მაპლასტიფიცირებელი, გაყინვის საწინააღმდეგო, აირწარმომქმნელი, შეკვრის შემანელებელი, მინერალური, ორგანულ-მინერალური, ინერტული, კაჟმიწა, კალმატრონი და სხვ. ერთი და იმავე დანამატი სხვადასხვა დოზის დროს იწვევს სხვადასხვა მოქმედებას, შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ბეტონის გამაგრება. მაგ., სუპერპლასტიფიკატორის ზედმეტი რაოდენობა, აყოვნებს ბეტონის გამაგრებას. ბეტონის გამაგრების დამაჩქარებელი დანამატის $CaCl_2$-ის დიდი დოზა იწვევს არმატურის კოროზიას, ამიტომ რკ.ბ.-ში მისი რაოდენობა იზღუდება 2%-მდე. ზოგიერთ დანამატს აქვს მრავალფუნქციური მოქმედება, მაგ., მაპლასტიფიცირებელი და ჰაერჩამთრევი, აირწარმომქმნელი და მაპლასტიფიცირებელი და სხვ. ამ შემთხვევაში დანამატის კლასიფიცირებას ახდენენ უფრო მეტად გამოსახული მოქმედების ეფექტის მიხედვით. ბ. დ. შეირჩევა სამშენებლო ლაბორატორიაში გამოცდების გზით.

ბეტონის დანამატი აირწარმომქმნელი – ნივთიერება (ალუმინის ფხვნილი, პენოსტრომი, პოლიჰიდროსილოკსანი და სხვ.), რომელიც ცემენტის ჰიდრატაციის პროდუქტებთან ქიმიური ურთიერთქმედებით წარმოქმნის აირებს.

ბეტონის დანამატი დამაფორიზებელი – ნივთიერება (ფისი, წებო, სულფონოლი, კანიფოლის საპონი, ადიმენტი, პერამინი და სხვ.), რომელიც მიზანმიმართულად უწყობს ხელს ბეტონის მასივში ჰაერის ფორების წარმოქმნას.

ბეტონის დანამატი კოლმატრონული – ნივთიერება (დიეთილენგლიკოლის, ტრიეთილენგილოლის, პოლიამინის ფისები; ბიტუმის ემულსია, რკინის სულფატი, რკინის ქლორიდი, რკინის ნიტრატი, კალციუმის ნიტრატი, ალუმინის სულფატი და სხვ.), რომელიც ბეტონის ფორებს ავსებს წყალში უხსნადი პროდუქტებით.

ბეტონის დანამატი მაპლასტიფიცირებელი – ნივთიერება (პლასტიფიკატორები, ლიგნოსულფონატები და სხვ.), რომელიც ზრდის ბეტონის ნარევის ძვრადობას.

ბეტონის დანამატი მასტაბილიზირებელი – ნივთიერება (გიპანი, მეთილცელულოზა წყალხსნადი, ბენტონიტური თიხა, ადიმენტი, ზიკა პუმპი და სხვ.) რომელიც ამცირებს ბეტონის ნარევის განშრევადობას.

ბეტონის დანამატი პენეტრონ ადმიქსი – ამერიკული წარმოების ბეტონის დანამატი, რომელიც გამოიყენება წყლისა და აგრესიული გარემოს მიმართ ბეტონის ნარევის მედეგობის ასამაღლებლად. დოზირების ნორმა შეადგენს ცემენტის მასის 0,8-2,3%. პენეტრონ ადმიქსის წყალში გარეული ფხვნილი (პროპორციით 1:1) ბეტონის ნარევს ემატება უშუალოდ მიქსერში. ბეტონი ხდება პრაქტიკულად წყალგაუმტარი და მედეგი ყოველგვარი აგრესიული გარემოს მიმართ. გამოიყენება გრუნტთან და წყალთან შეხებაში მყოფი რკ. ბ.-ის კონსტრუქციების დასამზადებლად, აგრეთვე სახურავებში და საგზაო მშენებლობაში. პენეტრონის ფირმის სხვა ჰიდროიზოლაციური ქიმიური დანამატებია: ქსაიპექს ადმიქს ც-1000, ქსაიპექს მოდიფაიტი, პენეტრონ პლუსი, პენეკრიტი, პენეპლაგი (ახდენს წყლის დინების ჰიდროლოკალიზებას 40 წმ-ში), პენესილ PRO, პენებარი (ჰიდროგაფართოებადი ზონარი, ნაკერების ჰიდროიზოლაციისათვის) და სხვ.

ბეტონის დანამატი ქაფწარმომქმნელი – ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერება (სულფონოლი, საპონინი SDO-L, Mapeplast LA, მერქნის საპნიანი ფისი და სხვ.) საჭირო ჯერადობისა და მედეგობის ტექნიკური ქაფის მისაღებად, რომელიც ბეტონის ნარევის კომპონენტებთან შერევისას იძლევა ბეტონის უჯრედოვან და დაფორიზებულ სტრუქტურას.

ბეტონის დანამატი ყინვასაწინაღო – ნივთიერება (პოტაში, ლიგნოპანი, ამიაკის წყალი, ბეტონსანი, ცემენტოლი, შარდოვანა, ნატრიუმის ნიტრატი და სხვ.), რომელიც ამცირებს წყლის გაყინვის ტემპერატურას ბეტონის სამუშაოების წარმოებისას ზამთრის პირობებში.

ბეტონის დანამატი წყალდამჭერი – ნივთიერება (თიხა, გიპანი, მეთილცელულოზა, პოლიოქსიეთილენი, პოლიეთილენოქსიდი და სხვ.), რომელიც ამცირებს წყლის გამოდევნას ბეტონის ნარევიდან.

ბეტონის დანამატი წყალმარედუცირებელი – ნივთიერება (სუპერპლსტიფიკატორი და კომპლექსური დანამატები მის საფუძველზე), რომლის დამატებით მიიღება საჭირო ჩაწყობადობის ბეტონი წყლის მინიმალური ხარჯით.

ბეტონის დანამატი ჰაერჩამთრევი – ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერება (აეროპლასტი, პოლიპლასტი, ადიმენტი, ვინსოლი, მეგალიტი და სხვ.), რომელიც უზრუნველყოფს ბეტონის მასის შერევის პროცესში წვრილდისპერსიული ჰაერის ჩათრევას და ბეტონში მის თანაბრად განაწილებას.

ბეტონის დანამატი ჰიდროფობული – ნივთიერება (ფენილეტოქსისოლოქსანი, ნატრიუმის ალუმინმეთილსილიკონატი, ადიმენტი, ზიკაგარდი, თუთიის სტეარატი, სემენტოლი, ნატრიუმის ეთილსილიკონატი და სხვ.), რომელიც ბეტონის ფორებს და კაპილარებს ანიჭებს ჰიდროფობურ (წყალუკარების) თვისებებს.

ბეტონის დიაფრაგმა – იხ. ბეტონის ეკრანი.

ბეტონის დინამიკური სიმტკიცე – ბეტონის დროებითი წინაღობის ზრდა დიდი ინტენსივობისა და ხანმოკლე დინამიკური დატვირთვების (დარტყმა, აფეთქება) მოქმედებისას. რაც ნაკლებია მრღვევი დინამიკური დატვირთვის მოქმედების დრო ნიმუშზე, მით მეტია ბეტონის სიმტკიცის დინამიკურობის კოეფიციენტი, რომელიც არის კუმშვაზე დინამიკური დროებითი წინაღობის ფარდობა პრიზმულ სიმტკიცესთან.

ბეტონის დროებითი წინაღობა – ბეტონის დინამიკური სიმტკიცე. განისაზღვრება ლაბორატორიულ პირობებში ბეტონის სტანდარტული ნიმუშების გამოცდით ხანმოკლედ მოქმედი დატვირთვების მოქმედებისას.

ბეტონის ეკრანი (ბეტონის დიაფრაგმა) – თვითმზიდი ბეტონის გარსი ან მემბრანა, დაკონსტრუირებული კვერცხის ნაჭუჭის ანალოგურად.

ბეტონის ექსპლუატაციის გარემო – ექსპლუატაციის პროცესში ბეტონზე მოქმედი ქიმიური, ფიზიკური და მექანიკური ზემოქმედების ერთობლიობა.

ბეტონის ექსპლუატაციის ვადა – დროის ხანგრძლივობა ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებში, რომლის განმავლობაში ბეტონის ხარისხი პასუხობს პროექტის მოთხოვნებს.

ბეტონის ვაკუუმირება – ბეტონის ნარევის შემკვრივება მისგან ჭარბი წყლის მოცილებით. ხორციელდება ვაკუუმ-ფარის მეშვეობით, რომელსაც უშუალოდ ადებენ ახლად დაბეტონებულ კონსტრუქციას. ბ. ვ. აჩქარებს განყალიბების პროცესს, ამაღლებს ბეტონის სიმტკიცესა და ყინვამედეგობას, ამცირებს ცემენტის ხარჯს. პორტლანდცემენტზე დამზადებული მასიური ბეტონის ნაკეთობის ვაკუუმირების დრო, ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში, შეადგენს 40-45 წთ-ს.

ბეტონის თბოგამტარობა – ფიზიკური სიდიდე, რომელიც ახასიათებს ბეტონში ტემპერატურის ცვლილების (გათანასწორების) სიჩქარეს არათანაბარ სითბურ მოვლენებში. მისი სიდიდე მერყეობს დიდ ფარგლებში 0,08-1,74 ვტ/(მ.კ.). ბეტონის თბოგამტარობის კოეფიციენტი იზრდება სიმკვრივის ზრდისას და მცირდება ფორიანობის გაზრდით. ბეტონის სტრუქტურა შეიცავს მყარ ფაზას და ჰაერულ ან წყლის ფორებს. ჰაერის თბოგამტარობა გაცილებით ნაკლებია მყარი ფაზის თბოგამტარობაზე, ამიტომ, რაც მეტია ბეტონის ფორიანობა ან ნაკლებია სიმკვრივე, მით ნაკლებია მისი თბოგამტარობა. ფორების წყლით შევსების შედეგად ბ. თ. იზრდება, რადგან წყლის თბოგამტარობა 25-ჯერ მეტია ჰაერის თბოგამტარობაზე. ბეტონის გაყინვისას თბოგამტარობა კიდევ უფრო იზრდება, რადგან ყინულის თბოგამტარობა ოთხჯერ მეტია წყლის თბოგამტარობაზე. ბეტონის ტემპერატურის გაზრდით ბ. თ. რამდენადმე იზრდება. ძალიან წვრილი დახურული ფორიანობის ბეტონს აქვს ნაკლები თბოგამტარობა, რადგან მასში სითბოგადაცემა მცირდება. ბეტონის წყლით გაჟღენთის და გაყინვის შედეგად ბ. თ. ხარისხი იცვლება სიმკვრივეზე დამოკიდებულებით. სიმკვრივის შემცირებით ამ ფაქტორების გავლენა იზრდება.

ბეტონის თბოფიზიკური თვისება – რკ.ბ.-ის კონსტრუქციებისა და ნაგებობების საიმედო ექსპლუატაციისათვის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელშიც შედის: თბოგამტარობა, თბოტევადობა და ტემპერატურული დეფორმაცია. შემომზღუდავი კონსტრუქციის მასალის თბოფიზიკური თვისება განსაზღვრავს შენობის თბურ დაცვას, მზიდი კონსტრუქციის მასალის თბოფიზიკური თვისება – მის ქცევას ხანძრის ან სხვა ფაქტორების მოქმედების

შედეგად. ეს თვისებები გაითვალისწინება შენობების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების დაპროექტებისას.

ბეტონის თვითდაძაბვა – კუმშვის ძაბვა, რომელიც წარმოიშობა კონსტრუქციის ბეტონში ცემენტის ქვის გაფართოებით გამყარების პროცესში, როცა ეს გაფართოება შეზღუდულია (რეგლამენტირება ხდება ბეტონის თვითდაძაბვის Sp მარკის მიხედვით).

ბეტონის კაჟმიწა დანამატი – ბეტონის დანამატი, რომელიც ამაღლებს ბეტონის სიმკვრივეს, სიმტკიცეს, წყალუჟონადობასა და ხანმედეგობას. კაჟმიწა წარმოადგენს კაჟისშემცველი ნადნობის ნარჩენს (ფეროსილიციუმი, კრისტალური კაჟმიწა და სხვ.). კაზმის დნობის და 1800°C-ზე უფრო მაღალ ტემპერატურის დროს კვარცის აღდგენისას წარმოიქმნება აირისებრი კაჟბადი, რომელიც გაცივებისა და ჰაერთან კონტაქტისას იჟანგება SiO_2-ად და განიცდის კონდენსაციას კაჟმიწის უწვრილეს ნაწილაკებად. მიკროკაჟმიწაში SiO_2 შეადგენს 85-98%-ს. კაჟმიწის ნაწილაკებს აქვთ მცირე ზომები (0,1-0,5 მკმ) და დიდი ხვედრითი ზედაპირი (18-25 $მ^2/გ$). მიკროკაჟმიწა გამოირჩევა დიდი წყალმოთხოვნილებით: თანაბარპლასტიკურ ნარევში 1 კგ მიკროკაჟმიწის შეყვანა იწვევს წყლის ხარჯის გაზრდას 1 ლიტრით. ამიტომ მას იყენებენ სუპერპლასტიკატორთან ერთად, რათა შეამციროონ წყლის ხარჯი. მიკროკაჟმიწის ხარჯი ბეტონში ცემენტის მასის 5-15%-ია, რაც ნაკლებია, ვიდრე სხვა მინერალური დანამატის გამოყენებისას. მაღალი დისპერსიულობის გამო მიკროკაჟმიწის ნაყარი სიმკვრივე შეადგენს მხოლოდ 150-200 $კგ/მ^3$, რაც აძნელებს მის ტრანსპორტირებას, ამიტომ ბეტონის წარმოებაში ჩვეულებრივ იყენებენ წინასწარ გრანულირებულ ან ბრიკეტირებულ მიკროკაჟმიწას, რაც არსებითად ამსუბუქებს მის ტრანსპორტირებასა და გამოყენებას.

ბეტონის კარბონიზაცია – ცემენტის ქვის ნახშირმჟავა გაზთან ურთიერთქმედების პროცესი, რომელიც იწვევს ბეტონის თხევადი ფაზის ტუტიანობის შემცირებას.

ბეტონის კვეთის სამუშაო სიმაღლე – მანძილი ბეტონის ელემენტის კვეთის შეკუმშული ზონის კიდიდან გაჭიმული გრძივი არმატურის სიმძიმის ცენტრამდე.

ბეტონის კლასი – ბეტონის სიმტკიცის (კუმშვაზე და გაჭიმვაზე) კონტროლირებული მინიმუმი, რომლის ალბათობის საიმედოობა არის 0,95. მიიღება 18-20°C ტემპერატურისა და არანაკლები 90% ფარდობითი ტენიანობის პირობებში გამყარების 28-ე დღეს. გამოსაცდელი ნიმუშების რაოდენობა განისაზღვრება ერთგვაროვანი ელემენტების ერთობლიობიდან შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით, ხოლო ლაბორატორიული გამოცდები წარმოებს სპეციალური სახელმწიფო სტანდარტების დაცვით. ღერძულ გაჭიმვაზე ბეტონის Bt კლასი სიმტკიცის მიხედვით განისაზღვრება ანალოგიურად, ოღონდ შესაბამისი ნიმუშის გამოცდით გაჭიმვაზე; ნიმუშის სამუშაო ნაწილის (კვადრატული განივკვეთის პრიზმა) ზომები მიიღება: 100×100×400, 150×150×600 და 200×200×800 მმ, ან გამოითვლება ემპირიული ფორმულებით. ნორმებში მოცემულია ბეტონის კლასები გაჭიმვაზე Bt0.8-დან Bt3.2-მდე. მზიდ სამშენებლო კონსტრუქციებში ძირითადად გამოიყენება: ჩვეულებრივ (დაუძაბავ) ღუნვად ელემენტებში – ბეტონები B15-B30 კლასის; შეკუმშულ ელემენტებში (მაგ., სვეტებში) – B20-B40; წამწეებში, კამარებში და თაღებში – B30-B50. წინასწარდაძაბულ კონსტრუქციებში ბ. კ. ინიშნება გამოყენებული არმატურის კლასის მიხედვით. მაგ., A–IV კლასის არმატურისათვის არა უმცირესი B15-ისა, A–VI – არა უმცირესი B30-ისა. B7.5 -ზე ნაკლები კლასის მძიმე და წვრილმარცვლოვანი ბეტონის გამოყენება მზიდ სამშენებლო კონსტრუქციებში, სამშენებლო ნორმებით დაუშვებელია.

ბეტონის კომპლექსური დანამატი – ბეტონის დანამატი, რომელიც გამოიყენება მრავალფუნქციური მოქმედების ეფექტის მისაღებად. მასში ჩართულია რამდენიმე კომპონენტი (მაგ., დანამატი, რომელიც ერთდროულად ათხევადებს ბეტონის ნარევს და აჩქარებს ბეტონის გამაგრებას). შექმნილია ბ. კ. დ. მრავალი სახეობა, რომელიც ბეტონის ტექნოლოგიისა და თვისებების მართვის საშუალებას იძლევა. პირობითად, ასეთი დანამატის ოთხი ჯგუფი არსებობს: I – ზედაპირულ-აქტიური ნივთიერების ნარევი; II – ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებისა და ელექტროლიტის ნარევი; III – სუპერ-პლასტიფიკატორის საფუძველზე მიღებული კომპლექსური დანამატი; IV – რთული, მრავალკომპონენტიანი კომპლექსური დანამატი. კომპლექსური დანამატი გამოდის მზა პროდუქტის სახით, ან მზადდება უშუალოდ ბეტონსარევ კვანძში ცალკეული კომპონენტებისაგან, რაც მოითხოვს დამატებით მოწყობილობასა და ხარჯს.

ბეტონის კონსტრუქციები და ნაკეთობები – შენობებისა და ნაგებობების ელემენტები, შესრულებული უარმატურო ან სუსტად დაარმირებული (კონსტრუქციული) ბეტონისაგან. რადგანაც ასეთი კონსტრუქციები ცუდად მუშაობენ ჭიმვაზე, ამიტომ მათ იყენებენ მხოლოდ კუმშვაზე მომუშავე კონსტრუქციებში. ბეტონის ყველაზე გავრცელებული კონსტრუქციებია: საძირკვლები, კედლის ბლოკები, სვეტები, თაღები, ხიდის ბურჯები, საგზაო და ტროტუარის ფილები, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ელემენტები და სხვ. კონსტრუქციულად მასიურ ნაგებობებს (მაგ., კაშხლებს, დიდი ზომის საძირკვლებს, საყრდენ კედლებს), როგორც წესი, აგებენ მონოლითური ბეტონისაგან.

ბეტონის კონსტრუქციების გაძლიერება – იხ. რკინაბეტონის კონსტრუქციების გაძლიერება.

ბეტონის კონტროლირებადი პერიოდი – დროის პერიოდი, რომლის განმავლობაში ბეტონის მოთხოვნითი სიმტკიცე მიიღება მუდმივი წინა საანალიზო პერიოდის ვარიაციის კოეფიციენტთან შესაბამისობით.

ბეტონის კოროზია – ბეტონის თვისებებისა და მახასიათებლების გაუარესება მისი შემადგენლობიდან ხსნადი ნაწილების გამორეცხვის (გამოტუტვის) შედეგად (პირველი სახის კოროზია); კოროზიის პროდუქტების წარმოქმნა, რომლებსაც არა აქვთ მჭიდა თვისებები (მეორე სახის კოროზია); მცირედხსნადი კრისტალური მარილების დაგროვება, რომელიც ზრდის ბეტონის მოცულობას მყარ ფაზაში (მესამე სახის კოროზია). რკინაბეტონის კოროზია არის რკ.ბ.-ის რღვევა ბეტონისა და (ან) არმატურის კოროზიის შედეგად. კოროზიის გამომწვევი ქიმიური შედგენილობის მიხედვით გამოყოფენ სულფატურს, მაგნეზიურს, მჟავას, ნახშირმჟავას, ტუტეების, ამონიუმის და სხვა სახის კოროზიას.

ბეტონის კუმშვის სიმტკიცე – განისაზღვრება ევრონორმების (EN 12390-3) მიხედვით. სიმტკიცის ანბანური აღნიშვნა კუბური ნიმუშების გამოცდისას – $fc.cube$, ცილინდრული ნიმუშებისათვის – $fc.cyl$. განსაკუთრებულ შემთხვევებში ბეტონის სიმტკიცე შეიძლება განისაზღვროს უფრო ადრე, ვიდრე 28 დღის ასაკში, ან არასტანდარტულ გარემოში (მაგ., გასათბობ კამერაში შენახვისას). გამოცდების შედეგად მიღებული ნორმატიული სიმტკიცე უნდა იყოს ტოლი ან მეტი მოცემულ სიმტკიცეზე.

ბეტონის მარკა – სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს ბეტონის ხარისხს ყინვამედეგობის, წყალშეუღწევობის, საშუალო სიმკვრივისა და თვითდაძაბვის თვისებების მიხედვით.

ბეტონის მარკა თვითდაძაბვის მიხედვით – Sp0,6 -Sp4. რიცხვები უჩვენებს გაფართოებადი ბეტონისაგან გაჭიმული არმატურის მიერ ბეტონში აღძრულ წინასწარი მკუმშავი ძაბვის სიდიდეს მპა-ში. ეს მარკა ინიშნება თვითძაბვად კონსტრუქციებში წაყენებული ბზარმედეგობისა და სიხისტის მოთხოვნების მიხედვით.

ბეტონის მარკა საშუალო სიმკვრივის მიხედვით – D800-დან D2500 კგ/მ^3-მდე. ამ მარკის გათვალისწინება ხდება კონსტრუქციებისათვის, რომელთაც სხვა მოთხოვნებთან ერთად წაეყენებათ თბოიზოლაციის მოთხოვნებიც.

ბეტონის მარკა ყინვამედეგობის მიხედვით – F50-დან F500-მდე. აქ რიცხვი უჩვენებს გაყინვა-გალხობის ციკლების იმ რაოდენობას, რომლის შემდეგ ბეტონის სიმტკიცე შედარებით უმნიშვნელოდ მცირდება (15%-მდე). ამ მარკის გათვალისწინება ხდება კონსტრუქციებისათვის, რომელთაც მუშაობა უხდებათ ტენიან გარემოში.

ბეტონის მარკა წყალშეუღწევობის მიხედვით – W2-დან W12-მდე. რიცხვი აღნიშნავს წყლის ჰიდროსტატიკურ დაწნევას კგძ/სმ^2-ობით, რომლის დროსაც 150 მმ სისქის ნიმუშში არ აღინიშნება წყლის გაჟონვა. ამ მარკის გათვალისწინება ხდება ისეთი კონსტრუქციებისათვის, რომელთაც მუშაობა უხდებათ წყლის დაწნევის ქვეშ (რეზერვუარები, სადაწნევო მილები და სხვ.).

ბეტონის მიმდინარე კონტროლი – მზა ბეტონის ნარევის პარტიის ან კონსტრუქციის სიმტკიცის კონტროლი, როდესაც ფაქტიური სიმტკიცე და ერთგვაროვნება (ვარიაციის კოეფიციენტი) გაანგარიშდება პარტიის კონტროლის შედეგებით.

ბეტონის მინერალური დანამატი – ბუნებრივი ან ტექნოლოგიური ნედლეულის (ნაცარი, დაფქული წიდა, მთის ქანი, მიკროკაჟმიწა და სხვ.) ფხვნილი. შემვსებისაგან განსხვავებით აქვს წვრილი მარცვლები (0,16 მმ-ზე ნაკლები); არ იხსნება წყალში და ფაქტიურად ბეტონის მყარი ფაზის წვრილი შემავსებელია. ეწყობა (ლაგდება) ცემენტთან ერთად შემვსების სიცარიელეში, რითაც ამკვრივებს ბეტონის სტრუქტურას და რიგ შემთხვევაში ცემენტის ხარჯის შემცირების საშუალებასაც გვაძლევს. ამიტომ ბ. მ. დ. ხშირად უწოდებენ მინერალურ შემვსებს. თუ ამ დანამატს შევაფასებთ ცემენტისა და ბეტონის სტრუქტურაზე გავლენით, მაშინ დისპერსიულობის მიხედვით ის შეიძლება დავყოთ როგორც ცემენტის გამზავებელი და როგორც – შემამკვრივებელი. გამზავებელს, მაგ., ნაცარს, აქვს ცემენტთან მიახლოებული გრანულომეტრიული შედგენილობა (ხვედრითი ზედაპირი 0,2-0,5 მ^2/გ), შემამკვრივებელს კი მაგ., მიკროკაჟმიწას, აქვს ცემენტზე 100-ჯერ უფრო წვრილი მარცვალი (ხვედრითი ზედაპირი 20-30 მ^2/გ) და წარმოადგენს მეტად ეფექტურ დანამატს, რადგან შეუძლია შეავსოს ცემენტის მარცვლებს შორის სიცარიელე და აქვს რეაქციისადმი მაღალი უნარი. მინერალური დანამატი არის აქტიური და ინერტული. აქტიურს უნარი აქვს წყლის თანდასწრებით იმოქმედოს კალციუმის დიოქსიდთან ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, წარმოქმნას ნაერთი, რომელსაც ექნება შემკვრელის თვისება. დანამატის თვისებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს აგრეთვე, მარცვლოვან შედგენილობას, რომელიც განსაზღვრავს ხვედრით ზედაპირს და, შესაბამისად, მის რეაქციულ თვისებას ან ბეტონის სტრუქტურის შემკვრივების შესაძლებლობას. ინერტული დანამატი (მაგ., საჩხერის დაფქული კვარცის ქვიშა) რომელიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ცემენტის კომპონენტებთან რეაქციაში არ შედის, გარკვეულ შემთხვევაში (მაგ., ავტოკლავური გამაგრებისას) ამჟღავნებს რეაქციულ თვისებას. ინერტულ დანამატს ხშირ შემთხვევაში იყენებენ ბეტონის მყარი ფაზის მარცვლოვანი შედგენილობის

და სიცარიელის რეგულირებისათვის: შემვსები (ცემენტი) – მინერალური დანამატი ბეტონის ნარევისა და ბეტონის თვისების რეგულირების მიზნით. ბუნებრივი მინერალური დანამატი მიიღება ბუნებრივი ვულკანური (ტუფი, პემზა, ტრასი) ან დანალექი ქანების (დიატომიტი, ტრეპელი, ოპოკა) წმინდად დაფქვით. ამ დანამატებმა ფართო გამოყენება პოვეს ცემენტის წარმოებაში. მათი ნაკლია მაღალი წყალმოთხოვნილება.

ბეტონის მოზაიკური ფილა – გახეხილი ბეტონის ფილა, რომლის შემვსებად გამოიყენება სხვადასხვა ფერის მარმარილოს (გრანიტის) ნაფხვენი. ფილები განკუთვნილია იატაკის დასაგებად საწარმოო სათავსში, კიბის უჯრედში, ვესტიბიულში, ტროტუარზე და მისთ.

ბეტონის მსუბუქი შემვსები – მსუბუქ ბეტონებში გამოყენებული შემვსები. მათი კლასიფიკაცია ასეთია: 1. ღორღი ბუნებრივი მთის მჩატე ქანიდან (პემზა, ვულკანური ტუფი და ლავა, ნიჟარქვა და სხვ.); 2. წარმოების ნარჩენი: ა) საწვავის წიდა; ბ) ბრძმედის გრანულირებული წიდა; გ) ნაცრის ხრეში; 3. ხელოვნური ფოროვანი შემვსები: ა) კერამზიტი, თიხის აფუებით მიღებული (ხრეში, ღორღი, ქვიშა); ბ) თერმოზიტი – წიდის პემზა; გ) აგლოპორიტი, შეცხობილი საწვავის ან ნაცრის; დ) აფუებული მთის ქანი (პერლიტი, შუნგეზიტი); 4. პოლიმერული ფოროვანი შემვსები (სტრიპორი და სხვ.). ხელოვნური ფორიანი შემვსები უფრო კარგი ხარისხისაა, ვიდრე საწვავის წიდა და საშუალებას გვაძლევს მივიღოთ უფრო მტკიცე, მდგრადი მსუბუქი ბეტონი. მსუბუქი ფორიანი შემვსების სიმკვრივე ნაკლები უნდა იყოს 1000 კგ/მ^3-ზე; ფორიანობა შეადგენს 40-75%, მათ შორის უმრავლესობა შეერთებულია ერთმანეთთან და ღიაა წყლის შეღწევისათვის. დახურული ფორიანობა არ აღემატება 10-20%; ცარიელობა დამოკიდებულია მის მარცვლოვან შემადგენლობაზე და შეადგენს 30-45%, როგორც ჩვეულებრივი ქვიშისა და ღორღის. მსუბუქ ბეტონში მსხვილი შემვსები (ხრეში, ღორღი) გამოიყენება სტანდარტული 5-10, 10-20, 20-40 ფრაქციის, ხოლო მსუბუქი ქვიშა, მიიღება მსხვილი ფრაქციის დამტვრევით ან სპეციალური გამოწვით. შემვსების ფორიანი სტრუქტურა 50-100-ჯერ ამცირებს მის სიმტკიცეს. მსუბუქი შემვსების გავლენა ბეტონის თვისებებზე განისაზღვრება მისი თვისებების კომპლექსით, აგებულების თავისებურებით, ბეტონის შედგენილობით. დიდი გავლენა აქვს არა მარტო მთლიან ფორიანობას, არამედ მის ხასიათსაც: წვრილფორიანი შემვსებით მიიღება უფრო მაღალი სიმტკიცისა და ცემენტის ნაკლები ხარჯის ეკონომიკური ბეტონი. ზოგი შემვსების მარცვლების მკვრივი და მაგარი გარსი აუმჯობესებს შემვსების თვისებას (მაგ., კერამზიტი) და მის ეფექტურ გამოყენებას ბეტონში.

ბეტონის ნარევი – სათანადოდ შერჩეული და კარგად არეული ბეტონის კომპონენტები, შეკვრის დაწყებამდე და გამაგრებამდე. ბ. ნ. თვისებებზეა დამოკიდებული არა მარტო ოპტიმალური სტრუქტურის ბეტონის ფორმირება საჭირო ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით, არამედ შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარების და მანქანების შერჩევა, ბეტონის ნარევის დამზადების, ტრანსპორტირებისა და ჩაწყობა-შემკვრივებისათვის. ბ. ნ. უნდა ჰქონდეს ორი აუცილებელი თვისება: 1. უნდა იყოს ადვილჩაწყობადი; 2. ტრანსპორტირებისა და ჩაწყობის დროს შეინარჩუნოს ის ერთგვაროვნება, რომელიც მომზადებისას ჰქონდა, ე.ი. არ განშრევდეს. არსებობს ბ. ნ. ორი ძირითადი სახე: ძვრადი (პლასტიკური) და ხისტი. ისინი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან ვიზუალურად, შედგენილობითა და აგებულებით. კარგად დამზადებული ძვრადი ნარევი წარმოადგენს პლასტიკურ მასას, რომელშიც შემვსების მარცვლები იმყოფება შეტივტივებულ მდგომარეობაში, ცემენტის ცომის მთლიან სივრცეში. ძვრადი ბეტონის

ნარევს უნარი აქვს შეავსოს ყალიბი საკუთარი სიმძიმის ძალის მოქმედებით ან მცირე მექანიკური ზემოქმედების შედეგად. ხისტი ბ. ნ. წარმოადგენს შემვსების მარცვლების ცალკეული აგრეგატებისაგან შედგენილ მასას, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ცემენტის სქელი წებოთი. ხისტი ნარევი, პლასტიკურისაგან განსხვავებით, მკვრივდება მხოლოდ გარეგანი ზემოქმედების შედეგად (ვიბრირება, დაწნეხა, ცენტრიფუგირება და სხვ.). ხისტ ბეტონს აქვს შემდეგი უპირატესობა: ცემენტის ერთი და იმავე ხარჯის დროს ხისტი ბ. ნ. სიმტკიცე მეტია, ვიდრე ძვრადის; ბეტონი უფრო მკვრივი, წყალუჭონადი და ყინვამედეგია; გამაგრება ადრეულ ასაკში სწრაფად მიმდინარეობს რაც ამაღლებს ყალიბის გამოყენების სიჩქარეს. ამასთან ერთად, ხისტი ნარევის გამოყენება ქმნის გარკვეულ ტექნოლოგიურ და საწარმოო სირთულეს: საჭირო ხდება უფრო მძლავრი მოწყობილობის გამოყენება მისი იძულებითი გადაადგილებისა და შემკვრივებისათვის; იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება; მეტ ყურადღებას მოითხოვს წარმოების ტექნოლოგიური ოპერაციების კონტროლი და სხვ. ბ. ნ. თვისებები ასევე დამოკიდებულია ქვიშისა და ღორღის სახეობაზე და მარცვლოვან შედგენილობაზე, მათ ცარიელობაზე, მარცვლების ხვედრით ზედაპირზე, წყალშეკავების უნარზე და სხვ.

ბეტონის ნარევის საკონტროლო შემადგენლობა – ბეტონის ნარევის ან ბეტონის განსაზღვრული ნორმირებული შემადგენლობა დანამატების გარეშე.

ბეტონის ნარევის სიხისტე – განისაზღვრება ვიბრირების იმ დროთი, რომელიც აუცილებელია სპეციალურ ჭურჭელში ფორმირებული ნარევის კონუსის გასწორებისა და შემკვრივებისათვის.

ბეტონის ნარევის შემკვრივება – ჩაწყობილი ბეტონისათვის საჭირო ფორმის მიცემის პროცესი. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბეტონისა და რკ.ბ.-ის კონსტრუქციების წარმოებაში, რადგან შეუმკვრივება მკვეთრად ამცირებს ბეტონის სიმტკიცეს. ბეტონის ნარევის შემკვრივების მეთოდებიდან ყველაზე მეტადაა გავრცელებული ვიბრირება. ქარხანაში ნაკეთობის ფორმირება ხდება სპეციალურ ვიბრომოედანზე, მონოლითური ბეტონის კონსტრუქციაში შემკვრივება კი ხდება უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე სიღრმითი (ძვრადი ბეტონის ნარევი) ან ზედაპირული ვიბრატორებით. ხისტი ნარევის შესამკვრივებლად გამოიყენება მიტვირთვა, ვიბროწნეხა და ვიბროშტამპვა. მილების დასაყალიბებლად ხშირად მიმართავენ ცენტრიფუგირებას. ცნობილია ბეტონის ნარევის შემკვრივების სხვა მეთოდებიც, თუმცა მოთხოვნა ყველასათვის ერთნაირია – მათ უნდა უზრუნველყონ ბეტონის ნარევის შემკვრივების სათანადო ხარისხი. ჩვეულებრივი მძიმე ბეტონის შემკვრივების კოეფიციენტი, ე.ი. რეალური სიმკვრივის ფარდობა საანგარიშოსთან, უნდა იყოს არანაკლებ 0,98 და უახლოვდებოდეს ერთს. მაღალი და რთული კონფიგურაციის ნაკეთობების შემკვრივებისათვის გამოიყენება ვიბრირების დარტყმითი მეთოდი (ბეტონის ნარევით შევსებული ლითონის ყალიბის აწევა და დაცემა მცირე სიმაღლიდან). არსებობს ბეტონის ნარევის შემკვრივების არავიბრაციული მეთოდები, როგორიცაა: ჩამოსხმა (მაღალი ძვრადობის ბეტონებისათვის), ჩატკეპნა (დაბალი წყალშემცველობისა და დაბალი წყალცემენტის ფარდობის მქონე ბეტონებისათვის), ცენტრიფუგვა (მილებისათვის) და სხვ.

ბეტონის ნახშირმჟავა კოროზია – ბეტონის კოროზია წყალში არსებულ აგრესიულ ნახშირმჟავასთან ურთიერთქმედებით.

ბეტონის ნორმატიული წინაღობა – ბეტონის პრიზმის წინაღობა ღერძული კუმშვისას Rbn (პრიზმული სიმტკიცე) და წინაღობა ღერძული გაჭიმვისას Rbtn. ბეტონის ნორმატიული Rbn წინაღობა (დამრგვალებული) დამოკიდებულია ბეტონის კლასზე კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით, ხოლო გაჭიმვაზე Rbtn, იმ შემთხვევაში, როდესაც ბეტონის სიმტკიცე გაჭიმვაზე არ კონტროლდება, მიიღება, შესაბამისად, ბეტონის კლასისა, კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით. ბ. ნ. წ. ღერძულ გაჭიმვაზე Rbtn, როდესაც ბეტონის სიმტკიცე გაჭიმვაზე წარმოებაში კონტროლდება, მიიღება ტოლი გარანტირებული სიმტკიცისა (კლასისა) ღერძულ გაჭიმვაზე.

ბეტონის ორგანულ-მინერალური დანამატი – ბეტონის დანამატი, რომელიც მიიღება იმ ორგანული და მინერალური კომპონენტების ერთ სისტემაში გაერთიანებით, რომლებსაც აქვს კონკრეტული მადეფიცირებელი ეფექტი. წვრილდისპერსიული მინერალური დანამატი ამაღლებს პლასტიფიკატორის მოქმედების უნარს, ხელს უწყობს მინერალური შემვსების დადებით ზემოქმედებას ბეტონის ნარევსა და ბეტონის სტრუქტურაზე. არსებობს ბეტონის სტრუქტურისა და თვისების კომპლექსური ორგანულ-მინერალური მრავალფუნქციური მოდიფიკატორი, რომელშიც შედის სუპერპლასტიფიკატორი, მიკროკაჟმიწა და ფხვნილისებრი პროდუქტი ნაყარი სიმკვრივით 750-800 კგ/მ^3, რომლის გრანულების ზომა 100 მკმ-ია. გამაგრების რეგულატორად მასში გამოყენებულია ფოსფორორგანული კომპლექსონი. ამ დანამატის გამოყენებისას ბეტონის ნარევის შენახვის ხანგრძლივობა იზრდება და საშუალება გვეძლევა მივიღოთ 100 მპა და მეტი სიმტკიცის ბეტონი, დაბალი წყალგამტარობით და მაღალი ხანმედეგობით. ეს დანამატი გამოდის, როგორც წესი, ფხვნილის სახით, რაც აიოლებს მის შეყვანას ბეტონის ნარევში. გასათვალისწებელია ის, რომ ბეტონის ტექნოლოგიაში დანამატის გამოყენება მოითხოვს დამატებით ხარჯს. უნდა გაკეთდეს დანამატის საწყობი, სატრანსპორტო მაგისტრალი, დანამატის მოსამზადებელი კვანძი, დამატებითი დოზატორი. ზოგი დანამატი საკმაოდ ძვირია და დეფიციტური. ამიტომ, დანამატი, პირველ რიგში, უნდა გამოვიყენოთ იქ, სადაც მოგვცემს ყველაზე მეტ ტექნიკურ-ეკონომიკურ ეფექტს.

ბეტონის პანელი – პანელი კონსტრუქციული არმატურით, რომლის სიმტკიცე ექსპლუატაციის სტადიაში უზრუნველყოფილია მარტო ბეტონით. ბ. პ. მიეკუთვნება აგრეთვე პანელი, რომელშიც მუშა არმატურა მოთავსებულია მხოლოდ შეზღუდულ უბნებზე (მაგ., ღიობის ზღუდარში, კონსოლურ გამონაშვერში, საყრდენ ზონაში, ადგილობრივი დატვირთვისაგან გამოწვეულ ძაბვების კონცენტრაციის ზონებში) და ვერტიკალურ მუშა არმატურას არ საჭიროებს.

ბეტონის საანგარიშო წინაღობა – საანგარიშო წინაღობა მიიღება ბეტონის ნორმატიული წინაღობისაგან პირველი (Rb, Rbt) და მეორე (Rb,ser, Rbt,ser) ჯგუფის ზღვრული მდგომარეობებისთვის ნორმატიული წინაღობების გაყოფით ბეტონის შესაბამის საიმედოობის კოეფიციენტებზე γ_{bi} – კუმშვის და γ_{bt} – გაჭიმვის შემთხვევაში, რომლებიც ბეტონის სახეობებზე დამოკიდებულებით აიღება სამშენებლო ნორმების მიხედვით. ბეტონის საანგარიშო წინაღობები Rb, Rbt, Rb,ser, Rbt,ser (დამრგვალებული) ბეტონის კლასისაგან დამოკიდებულებით სიმტკიცის მიხედვით კუმშვაზე და ღერძულ გაჭიმვაზე მოყვანილია ნორმატიულ ლიტერატურაში. ბ. ს. წ. Rb და Rb პირველი ჯგუფის ზღვრული

მდგომარეობებისათვის მცირდება (ან იზრდება) ბეტონის მუშაობის პირობების γ_{bi} კოეფიციენტებზე გამრავლების გზით, რომლებიც ითვალისწინებს ბეტონის თვისებების თავისებურებებს, ზემოქმედების ხანგრძლივობას, დატვირთვის განმეორების მრავალჯერადობას, კონსტრუქციის მუშაობის პირობებსა და სტადიას, დამზადების ხერხებს, კვეთის ზომებს და ა.შ. ბეტონის საანგარიშო $R_{b,ser}$ და $R_{bt,ser}$ წინაღობები მეორე ჯგუფის ზღვრულ მდგომარეობათა მიხედვით გაანგარიშებებში, შეჰყავთ ბეტონის მუშაობის პირობების კოეფიციენტით $\gamma_{bi} = 1$. მსუბუქი ბეტონის ცალკეული სახეობებისთვის დასაშვებია საანგარიშო წინაღობის სხვა მნიშვნელობების მიღება, თუ ეს შეთანხმებულია დადგენილი წესით.



ბეტონის საკედლე ქვები – მძიმე ან მსუბუქი ბეტონისაგან დამზადებული ბლოკები ცემენტის, კირის ან თაბაშირის შემკვრელზე. მზადდება ზომებით 288×138×138-დან 390×190×188 მმ-მდე, მასით არაუმეტეს 32 კგ. არის ღრუტანიანი (ნახ. 1) ან მთლიანი საცარიელეების გარეშე. ქვის წინაპირი შეიძლება შეღებილი იყოს რელიეფური ნახატით ან დაფარული დეკორატიული ფენით. ბ. ს. ქ. იყოფა შვიდ მარკად: 25-დან 200-მდე. 25 და 35 მარკის ქვები მზადდება მსუბუქი ბეტონისაგან მსუბუქ შემვსებზე.

ბეტონის საკონტროლო ნიმუშების სერია – მზა ბეტონის ნარევიდან დამზადებული ნიმუშების სერია (რაოდენობა), რომელიც მაგრდება ექსპლუატაციის შესაბამის პირობებში და გამოიყენება ერთი სახეობის ბეტონის ფაქტობრივი სიმტკიცის დასადგენად.

ბეტონის სამუშაო ნაკერი – პირაპირის სიბრტყის არე, უკვე გამყარებულ ბეტონსა და ახლად ჩაწყობილ ბეტონს შორის. ის ნაკეთობაში შესუსტებული ადგილია და ამიტომ უნდა მოეწყოს კონსტრუქციის ისეთ კვეთებში, რომლებიც ვერ ან ძალზე მცირედ იმოქმედებს სიმტკიცეზე.

ბეტონის სამუშაოები – სამუშაოები, შესრულებული მონოლითური ბეტონისა და რკ.ბ.-ის კონსტრუქციებისა და ნაგებობების ასაგებად. მასში შედის: ბეტონის მომზადება, მიტანა სამშენებლო მოედანზე, ჩაწყობა, განაწილება ყალიბებში, ზედამხედველობა გამყარების პროცესში, ხარისხის კონტროლი (ნიმუშების დამზადება და გამოცდა). ბეტონი, როგორც წესი, მზადდება ბეტონის ქარხნებში ან გადასაადგილებელ ბეტონსაზელ დანადგარებში. ბეტონის ნარევის მიწოდება და განაწილება კი ხდება თვითმოძრავი ბეტონდამგები მანქანებით ან ლენტური კონვეიერებით. გამყარების ძირითადი მეთოდია – ვიბრირება, რომელიც ზრდის ბეტონის მასის დენადობას და ჩაწყობა ხორციელდება საკუთარი წონის ხარჯზე.

ბეტონის სიმკვრივე – 1. ბეტონის უმნიშვნელოვანესი თვისება, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის სიმტკიცეზე, დეფორმაციაზე, თბოგამტარობაზე, ყინვამედეგობაზე, წყალუჟონადობასა და სხვ. ბეტონის ნარევსა და გამაგრებულ ბეტონის სიმკვრივეებს შორის საკმაო განსხვავება არსებობს. ბეტონის ნარევი შეიძლება ჩაითვალოს სრულიად მკვრივად, თუ იგი სწორადაა გაანგარიშებული, მჭიდროდაა ჩაწყობილი და არ შეიცავს ჰაერს. ბეტონის ნარევის სიმკვრივის ხარისხი ფასდება $K_{სიმკ} = \gamma_ნ/\gamma_ს$, კოეფიციენტით, სადაც $\gamma_ნ$ და $\gamma_ს$ – ბეტონის

ნარევის ნამდვილი და საანგარიშო სიმკვრივე. ჩვეულებრივ ცდილობენ, რომ სიმკვრივის კოეფიციენტი იყოს $K_{სიმკ} = 1$, მაგრამ ბეტონის ნარევში ჰაერის ჩათრევისა და სხვა ფაქტორების გავლენით ხშირად $K_{სიმკ}$ = 0,96-0,98. გამაგრებულ ბეტონში წყლის ნაწილი ქიმიურადაა დაკავშირებული ცემენტთან, დარჩენილი ე.წ. თავისუფალი წყალი რჩება ფორებში ან აორთქლდება, ამიტომ ბეტონი არასდროს არ არის აბსოლუტურად მკვრივი. ექსპერიმენტული კვლევებით დადგენილია, რომ 28 დღის ბეტონის მაღალი სიმკვრივე შეადგენს 85-90%, საშუალო – 75-85%, ხოლო დაბალი – 75%-ზე ნაკლებს. ბეტონის სიმკვრივის გაზრდა შეიძლება შემვსების გრანულომეტრული შედგენილობის სწორი შერჩევით, რომელიც შეამცირებს სიცარიელეს მათ შორის, რაც ცემენტის ხარჯის შემცირების საშუალებას მოგვცემს. სიმკვრივის გასაზრდელად უმჯობესია მაღალი სიმტკიცის (პორტლანდცემენტი, თიხამიწოვანი და შეუკლები ცემენტი) ან დიდი აბსოლუტური მოცულობის (პუცოლანური პორტლანდცემენტი) ცემენტის გამოყენება. გარდა აღნიშნულისა, ბეტონის სიმკვრივის გაზრდა სხვა გზებითაც შეიძლება, მაგ.: წყალცემენტის ფარდობის შემცირებით (მიიღწევა პლასტიფიკატორების გამოყენებით), ცემენტის მარკის გაზრდით, ბეტონის ნარევის ვიბრირებით, ცენტრიფუგირებით, დაწნეხითა და სხვა მექანიკური მეთოდით. ევრონორმების (EN 12390-7) მიხედვით ბეტონის სიმკვრივე განისაზღვრება გამომშრალ მდგომარეობაში (რიცხვითი მნიშვნელობები იხ. „ბეტონების კლასიფიკაცია“). თუ ბეტონის სიმკვრივე წინასწარაა მოცემული, მაშინ მისი გადახრა მოცემული მნიშვნელობიდან უნდა იყოს ±100 კგ/მ^3-ის ფარგლებში; 2. ბეტონის მახასიათებელი, რომელიც ტოლია მისი მასის ფარდობისა მოცულობასთან. რეგლამენტირება ხდება ბეტონის საშუალო სიმკვრივის D მარკის მიხედვით.

ბეტონის სიმტკიცე – ბეტონის უნარი გაუძლოს გარეშე მექანიკურ ზემოქმედებას. ბეტონი იშლება დატვირთვის შედეგად იმ შემთხვევაში, როდესაც ელემენტის მთელ განივკვეთში გადაილახება მასალის სიმტკიცის ზღვარი ანუ ერთი ნაწილის მეორისაგან მოგლეჯის წინაღობა. დაშლას დაძაბულობის ადგილებში, წინ უსწრებს მიკრობზარების გაჩენა, რაც იწვევს ბეტონის სტრუქტურის თანდათანობით შესუსტებას. კუმშვისას ბეტონი იშლება მოქმედი დატვირთვის მართობი მიმართულებით. ბეტონის $R_ბ$ სიმტკიცე გარკვეულ დროში და გამაგრების ნორმალურ პირობებში (ტემპერატურა 20±3°C და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 90-100%) დამოკიდებულია ორ ძირითად ფაქტორზე – ცემენტის $R_ც$ სიმტკიცეზე (აქტიურობაზე) და წყალცემენტის ფარდობაზე (წ/ც). ბ. ს. პირდაპირ პროპორციულია ცემენტის სიმტკიცის. ბ.ს. წყალცემენტის ფარდობაზე დამოკიდებულებას კი ჰიპერბოლის სახე აქვს, რომელიც აიხსნება შემდეგი მიზეზებით: ცემენტი გამაგრების დროს იერთებს თავისი მასის 10-20% წყალს. ამასთან, ბეტონის ნარევი რომ პლასტიკური იყოს, მას უმატებენ გაცილებით მეტ წყალს (ცემენტის მასის 40-70%, წ/ც = 0,4-0,7), რადგან თუ წ/ც ≤ 0,2, მაშინ ბეტონის ნარევი იქნება თითქმის მშრალი და მისი ჩაწყობა კონსტრუქციაში და ნაკეთობაში იქნება შეუძლებელი. ზედმეტი წყალი, რომელიც რეაქციაში არ შედის ცემენტთან, რჩება ბეტონში წყლის წვეთების სახით ან აორთქლდება და დატოვებს თავის ადგილზე ჰაერის ფორებს. ორივე შემთხვევაში ფორების არსებობა ასუსტებს ბეტონს: რაც მეტი იქნება იგი, ე.ი. რაც მეტია წყალცემენტის ფარდობა, მით ნაკლებია ბ. ს. ამგვარად, წყალცემენტის ფარდობის კანონი გვიჩვენებს მის დიდ გავლენას ბეტონის სიმკვრივესა და სიმტკიცეზე. ეს დამოკიდებულება ვრცელდება მხოლოდ წ/ც-ის გარკვეულ საზღვრებში. ძალიან დაბალი წყალცემენტის ფარდობისას, ცემენტის და წყლის დიდი ხარჯის შემთხვევაშიც კი, არ მიიღება ადვილჩაწყობადი და აუცილებელი სიმკვრივის ბეტონი, ამიტომ დამოკიდებულება

ირღვევა წ/ც ფარდობის შემცირებით ბ. ს. არა თუ იზრდება, არამედ მცირდება. ამ შემთხვევაში ბ. ს. კლებაში გარკვეულ როლს თამაშობს ის, რომ ცემენტის ჰიდრატაცია ნორმალურად სრულად მიმდინარეობს მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა გვაქვს წყლის ზედმეტი (2-3-ჯერ) ხარჯი, ვიდრე საჭიროა ცემენტის ჰიდრატაციისათვის. ამ ზედმეტი წყლის შემცირება გარკვეული საზღვრების ქვემოთ, იწვევს ცემენტის არასრულ ჰიდრატაციას და, შესაბამისად, ბ. ს. შემცირებას. სიმტკიცის დამოკიდებულება წ/ც-ის ფარდობაზე დაცულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბეტონი მზადდება ერთნაირ მასალაზე, ნარევი ერთი და იმავე ძვრადობისაა და გამოიყენება ბეტონის არევის, მომზადებისა და ჩაწყობის ერთნაირი მეთოდი. ბ. ს. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცემენტის სახეობა, შემვსების ფორმა და ზედაპირის ხასიათი, მომზადების მეთოდი და სხვ. ფაქტორები. წიდაპორტლანდცემენტის, პუცოლანური და ბელიტური პორტლანდცემენტის გამოყენების შემთხვევაში ბ. ს. 28 დღის ასაკში ერთიდაიმავე წყალცემენტის ფარდობით, შეიძლება იყოს 15-20%-ით ნაკლები, ვიდრე ჩვეულებრივ პორტლანდცემენტზე დამზადებული ბეტონისა. ხრეშზე დამზადებული ბ. ს. ჩვეულებრივ 10-20%-ით ნაკლებია, ღორღზე დამზადებულ ბეტონის სიმტკიცეზე (ერთნაირი წ/ც-ით), იმიტომ, რომ ღორღის კუთხოვანი ფორმა და ხორკლიანი ზედაპირი უკეთ ეჭიდება ცემენტის დუღაბს. რამდენადმე ნაკლები სიმტკიცე აქვს წვრილ ქვიშაზე დამზადებულ ბეტონს. მნიშვნელოვანი გავლენა ბ. ს. აქვს ქიმიურ დანამატებს. შემვსების სიმტკიცეს არ აქვს მნიშვნელობა, თუ იგი მეტია ცემენტის ქვის სიმტკიცეზე. ამ შემთხვევაში ბეტონი იშლება ყველაზე ნაკლები სიმტკიცის – ცემენტის ქვის საზღვარზე.

ბეტონის სიმტკიცის საზომი – ხელსაწყო, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ბეტონის ნაკეთობის ფიზიკურ-მექანიკური თვისება, გამოვავლინოთ არაერთგვაროვნება, ცუდად შემკვრივების ზონა და სხვ. მოქმედების პრინციპი დაფუძნებულია დრეკადი ასხლეტის მეთოდზე და გამოიხატება უკუასხლეტის სიდიდის გაზომვით, რომელიც ხდება ბეტონის ზედაპირზე ხელსაწყოს საცემის დარტყმის შედეგად და არის ბეტონის სიმტკიცის ირიბი მახასიათებელი (ნახ. 1). ბეტონის სიმტკიცე დგინდება დამოკიდებულების "ასხლეტის სიმაღლე – ბეტონის კუმშვის სიმტკიცის" მიხედვით. ეს დამოკიდებულება წინასწარ დადგენილია ბეტონის პარალელური გამოცდით სკლერომეტრით და წნეხით. Beton Condtrol-ის გამორჩეული თავისებურებაა ხელსაწყოს კორპუსზე გასაშუალებული სატარირო ცხრილების არსებობა, რომელიც ითვალისწინებს დარტყმის მიმართულებას. ხელსაწყოს მახასიათებლებია: დარტყმის დიდი ენერგია – ზამბარის შეკუმშვის ძალა – 70 ნ; ინდენტორის ბურთულის ჩაჭდევის დიდი ფართობი – 25±5 მმ²; ჩაჭდევის სამუშაო ზედაპირის და ინდენტორის დიდი სისალე.



ბეტონის ტემპერატურული დეფორმაცია – ბეტონის ნაკეთობის ფორმისა და მოცულობის ცვლილება ტემპერატურის გავლენით. ბეტონი გახურებისას ფართოვდება და გაცივებისას იკუმშება. ბეტონის წრფივი გაფართოების ტემპერატურული კოეფიციენტი საშუალოდ შეადგენს $10 \cdot 10^{-6}$. მისი სიდიდე იცვლება და დამოკიდებულია შემვსებისა და შემკვრელის თვისებაზე, ბეტონის შედგენილობაზე. ბეტონში ცემენტის ქვის შემცველობის ზრდით კოეფიციენტი იზრდება. მაგ., ცემენტის ქვის გაფართოების კოეფიციენტი $\alpha = 13{,}1 \cdot 10^{-6}$, 1:3 შედგენილობის დუღაბის – $\alpha = 10{,}4 \cdot 10^{-6}$. კოეფიციენტზე გარკვეულ გავლენას ახდენს

შემვსების სახეობა. გრანიტის ღორღზე დამზადებული ბეტონის ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტი $\alpha = 9{,}8 \cdot 10^{-6}$, კერამზიტის ბეტონის – $\alpha = 7{,}4 \cdot 10^{-6}$, ხოლო კირქვის ბეტონის – $\alpha = 8{,}6 \cdot 10^{-6}$. ტემპერატურის ცვლილება 0-დან 50°C-მდე უმნიშვნელოდ მოქმედებს მშრალი ბეტონის გაფართოების კოეფიციენტზე. ტენიანი ბეტონის ტემპერატურულ დეფორმაციას თან ერთვის შეკლება ან გაფართოება. წყლით გაჟღენთილი ბეტონის გაყინვისას მის დეფორმაციაზე დიდ გავლენას ახდენს ფორებში ყინულის წარმოქმნა, რის შედეგადაც კუმშვის დეფორმაციის ნაცვლად შეიძლება წარმოიქმნას გაფართოების დეფორმაცია, რომელსაც იწვევს ყინულის წნევა. ბ. ტ. დ. ახლოსაა ფოლადის დეფორმაციასთან, რაც უზრუნველყოფს მათ საიმედო ერთობლივ მუშაობას რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში.



ბეტონის ფორიანობა – ბეტონის მასის ფორებით შევსების ხარისხი, ანუ ბეტონის მოცულობის რა ნაწილია დაკავებული ფორებით. განპირობებულია ნარევში თავისუფალი წყლისა და ჰაერის არსებობით, რაც უზრუნველყოფს სიმტკიცის შემცირებას, განსაკუთრებით ცემენტის ქვისა და შემვსების მარცვლების საზღვარზე. ბ. ფ. მით მეტია, რაც მეტია წყლის ხარჯი 1 $მ^3$ ბეტონზე და რაც უფრო დაბალია ბეტონის ნარევის შემკვრივების ხარისხი. რა სიმკვრივისაც არ უნდა იყოს ბეტონი, მასში ყოველთვის არის ფორები.

ბეტონის ქარხანა – მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ბეტონის ნარევის მომზადების ტექნოლოგიური პროცესის ყველა ოპერაციას: ნედლეულის მიღება და შენახვა საწყობებში; ნარევის კომპონენტების ტრანსპორტირება ბეტონის კვანძის სახარჯავ ბუნკერებში და მათი დოზირება; კომპონენტების შერევა და მზა ნარევის გაცემა მომხმარებელზე. დანიშნულების, სიმძლავრისა და ობიექტების თავისებურების მიხედვით ბ. ქ. არის: სტაციონარული (ნახ. 1. მოთუთიებული სტაციონარული ბეტონის ქარხანა MB-110K) მუდმივმოქმედი, რომელიც უშვებს სასაქონლო ბეტონის ნარევს; ნახევრადსტაციონარული (ინვენტარული) და მობილური. სიმძლავრის მიხედვით: დიდი წარმადობის – მეტი 250 ათასი $მ^3$ წელიწადში, საშუალო – 150 ათასი $მ^3$-მდე და მცირე – 50 ათასი $მ^3$-მდე. ბეტონის ქარხნის ყველა თანამედროვე ტექნოლოგიურ სქემას საფუძვლად უდევს კომპლექსური მექანიზაციისა და ყველა პროცესის ავტომატიზაციის იდეა.



ბეტონის ქიმიური დანამატი – ქიმიური ნივთიერება, რომელიც ემატება ბეტონის შედგენილობას არევის პროცესში მცირე რაოდენობით (ცემენტის მასასთან შეფარდებით), ბეტონის ან ნარევის თვისებების შესაცვლელად. ევრონორმების მიხედვით ქიმიური დანამატები უნდა შეესაბამებოდეს EN 934-2 სტანდარტს. დასაშვებია ორი ტიპის მინერალური დანამატი: ინერტული და აქტიური. მინერალური დანამატი არ უნდა

შეიცავდეს მავნე მინარევებს ისეთი რაოდენობით, რომელიც გამოიწვევს არმატურის კოროზიასა და გავლენას მოახდენს ბეტონის ხანმედეგობაზე.

ბეტონის ყინვამედეგობა – ყინვამედეგობა ხასიათდება გაყინვა-გალღობის ციკლის იმ რიცხვით, რომელიც შეიძლება აიტანოს ბეტონის (28 დღის) ნიმუშებმა ისე, რომ მათ არ მოაკლდეთ სიმტკიცის 25%-ზე და მასის 5%-ზე მეტი. მძიმე ბეტონის ყინვამედეგობის მარკებია: F50, F100, F150, F200, F300. მას არჩევენ კლიმატური პირობებისა და წყლის დონის ცვალებადობის გათვალისწინებით. დიდი ყინვამედეგობით ხასიათდება მაღალი სიმკვრივის ბეტონი. ბ. ყ. დამოკიდებულია მის აგებულებაზე. მკვრივ ბეტონში არსებობს სხვადასხვა ზომის ფორი. წვრილი ფორი (მიკროფორი, ზომა 10^{-5} სმ) წყლისათვის შეუღწევადია. მათში ჩვეულებრივ არის ბმული წყალი, რომელიც არ იყინება ძალიან დაბალ ტემპერატურაზეც კი (–70°C-მდე). ასეთი მიკროფორები ყინვამედეგობაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს. უფრო მნიშვნელოვანია მსხვილი ფორები (მაკროფორები), რომელიც წარმოიშობა იმ წყლისაგან, რომელიც ქიმიურ რეაქციაში არ შედის ცემენტთან და აქვს 10^{-5} სმ-ზე მეტი ზომა. ბეტონის მაკროფორიანობა მცირდება და ყინვამედეგობა იზრდება წ/ც ფარდობის შემცირებით და ბეტონის ასაკის ზრდით. ჩვეულებრივ საკმარისი ყინვამედეგობის ბეტონი მიიღება, როცა ბეტონში წ/ც ფარდობა 0,5-ზე ნაკლებია, რაც თანამედროვე დანამატების (სუპერპლასტიფიკატორების) გამოყენებით არის შესაძლებელი. ბეტონის ყინვამედეგობის ზრდის ეფექტური საშუალებაა ჰაერჩამთრევი დანამატების გამოყენება, რომელიც ამცირებს ფორების საერთო მოცულობას. ამ შემთხვევაში ბეტონის სიმტკიცე პრაქტიკულად არ მცირდება, რადგან ჩათრეული ჰაერის უარყოფითი გავლენა (1% ჰაერი ბეტონის სიმტკიცეს ამცირებს 3%-ით) კომპენსირდება წყალცემენტის ფარდობის შემცირებით.

ბეტონის ყინვამედეგობის ასამაღლებელი დანამატი – ბეტონის დანამატი, რომელიც გამოიყენება ბეტონის ნარევის გაყინვის საწინააღმდეგოდ (ნატრიუმის ქლორიდი, კალციუმის ქლორიდი და სხვ.). ეს დანამატები წყლის გაყინვის წერტილს დაბლა სწევენ და ახდენენ ბეტონის გამაგრებას უარყოფით ტემპერატურაზე. რაც ნაკლებია გამაგრების ტემპერატურა, მით მეტი (ცემენტის მასის 10%-მდე) უნდა იყოს დანამატი.

ბეტონის შედგენილობის დაპროექტება – ბეტონის შემადგენელი კომპონენტების შერჩევა. ის შეიცავს: 1. ბეტონის მიმართ იმ მოთხოვნის გათვალისწინებას, რომელიც განპირობებულია მისი სახეობის, ექსპლუატაციის თვისებისა და კონსტრუქციის დამზადების ტექნოლოგიით; 2. ბეტონის კომპონენტების შერჩევას მათთვის დამახასიათებელი აუცილებელი თვისების მონაცემების გათვალისწინებით; 3. ბეტონის წინასწარი შედგენილობის განსაზღვრას; 4. შედგენილობის სასინჯ ნარევზე შემოწმებას; 5. დაბეტონებაზე კონტროლს; 6. წარმოების პროცესში შედგენილობის კორექტირებას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს წარმოების პროცესში შემვსების თვისების ცვლილებით ან სხვა ფაქტორებით. ბ. შ. დ. ახდენენ იმ დამოკიდებულების საფუძველზე, რომელიც არსებობს ბეტონის სიმტკიცესა და ცემენტის მარკას შორის; წყალცემენტის ფაქტორის, გამოყენებული მასალის ხარისხისა და ბეტონის ნარევის წყლის ხარჯის მიხედვით. ბეტონის მასალების თვისების ყველა მაჩვენებელი მიიღება მათი გარკვეული მეთოდიკით გამოცდის შედეგად. ცემენტის მინიმალური ხარჯი მიიღწევა წვრილი და მსხვილი შემვსების სწორი შერჩევით. მათი რაოდენობის განსაზღვრისათვის გამოიყენება ოპტიმალური თანაფარდობა ქვიშასა და ღორღს შორის. თანამედროვე მეთოდით გაანგარიშების დროს ჩვეულებრივ იყენებენ ღორღის (ხრეშის) მარცვლების დუღაბით გაწევის კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად

აღემატება დუღაბის რაოდენობა სიცარიელეს ღორღში (ხრეშში). კოეფიციენტის შემოტანამ გაამარტივა შედგენილობის გაანგარიშება, გახადა იგი უფრო საიმედო, რადგან კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა ირჩევა ბეტონის სტრუქტურის წარმოქმნის ფიზიკური არსიდან.

ბეტონის შეკვრის შემნელებელი დანამატი – ბეტონის დანამატი, რომელიც გამოიყენება ბეტონის შეკვრის პროცესის შესანელებლად. ასეთი დანამატებია: შაქრის დურდო, ნიტრილტრიმეთილენფოსფორული მჟავა და მის საფუძველზე დამზადებული სულფიდსაფუარის დურდო, ნატრიუმის ეთილსილიკონი მომატებული დოზით და სხვ.

ბეტონის შეკლება – ბეტონის მოცულობის შემცირება ბეტონის გამაგრებისას ჰაერზე ან არასაკმარის ტენიან გარემოში. ბეტონის შეკლების საერთო სიდიდე შედგება ტენიანობის, კონტრაქციული და კარბონიზაციური დეფორმაციისაგან. ტენიანობის შეკლება გამოწვეულია ცემენტის ქვაში ტენის განაწილებით, გადაადგილებითა და აირთქლებით. ეს შეკლება ძირითადია ბეტონის სრულ შეკლებაში. კონტრაქციული შეკლება გამოწვეულია იმით, რომ ცემენტი და წყალი შედის ქიმიურ რეაქციაში და ახალწარმონაქმნის მოცულობა ნაკლებია ცემენტისა და წყლის მოცულობაზე. მცირდება წყლის მიერ დაკავებული მოცულობა, იქმნება ჰაერული ფორები. ეს შეკლება ვითარდება მაშინ, როდესაც ბეტონი ჯერ კიდევ პლასტიკურია, ამიტომ ამ პროცესში მასალა არ განიცდის შესამჩნევ დასკდომას. კარბონიზაციული შეკლება გამოწვეულია კალციუმის ჰიდროჟანგის კარბონიზაციით და ვითარდება თანდათანობით ბეტონის ზედაპირიდან სიღრმეში. ყველაზე მეტ შეკლებას განიცდის ცემენტის ქვა. შემვსების შეყვანა მკვეთრად ამცირებს შეკლებას. მძიმე ბეტონის ნაკეთობის საშუალო წლიური შეკლება შეადგენს 0,0002-0,0004 ანუ 0,2-0,4 მმ/მ. ბეტონის შეკლება მცირდება ცემენტის და წყლის ხარჯის შემცირებით, წ/ც ფარდობის დაწევით. შეკლება იზრდება ბეტონის ასაკთან ერთად და გარემოს ტენიანობის შემცირებით. ბეტონის სწრაფი გამოშრობა, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, იწვევს მნიშვნელოვან და არაერთგვაროვან შეკლებას და შეუძლია გამოიწვიოს მასალის ზედაპირზე შეკლებითი ბზარები. ამის ასაცილებლად ბეტონს ამზადებენ ნაკლები ცემენტის ხარჯით, უზრუნველყოფენ გამაგრების ტენიან რეჟიმს, აწყობენ სპეციალურ ნაკერს, მასიურ ნაგებობაში ბეტონს აწყობენ ცალკეულ ბლოკებად, იყენებენ ქიმიურ დანამატებს და სხვ. გამაგრების პროცესში ბეტონის მოცულობის დასარეგულირებლად გამოიყენება სხვადასხვა კომპლექსური დანამატი.

ბეტონის შემადგენლობა – საანგარიშო-ექსპერიმენტალური შემცველობა ბეტონში შემკვრელის (ცემენტი), შემვსებისა (მსხვილი და წვრილი ინერტული მასალები) და წყლისა. განისაზღვრება ნარევის საცდელი ადუღაბების გზით საკონტროლო ნიმუშების დამზადებით, გამყარებითა (მოცემული რეჟიმით) და გამოცდით.

ბეტონის შემადგენლობის გაანგარიშება – ბეტონის კომპონენტების რაციონალური შერჩევის პროცესი საჭირო თვისებების ბეტონის მისაღებად. ბ. შ. გ. უამრავი მიახლოებითი ხერხი არსებობს, იმიტომ, რომ ბეტონის გაანგარიშების ზუსტი მათემატიკური მეთოდი არ არსებობს ბეტონის მასის რთული სტრუქტურის გამო, ამიტომ, ბ. შ. გ. ხდება ემპირიული – ცდების შედეგად მიღებული ფორმულებით. ბეტონის შედგენილობის გაანგარიშებისათვის საჭიროა ვიცოდეთ: ბეტონის მარკა $R_{ბ(28)}$, ცემენტის მარკა $R_{ც}$, ბეტონის ნარევის ძვრადობა ან სიხისტე (კონუსის დაჯდომა), შემვსების (ქვიშის, ხრეშის, ღორღის) სიმკვრივე და ნამდვილი

სიმკვრივე, ქვიშის მარცვლების სისხოს მოდული და ხრეშის (ღორღის) კენჭების უდიდესი სისხო და ცარიელობა. გაანგარიშების შედეგად უნდა დადგინდეს: წყალცემენტის ფარდობა, წყლის, ცემენტის, ქვიშისა და ხრეშის (ღორღის) ხარჯი. მიღებული შედეგების შემოწმება ხდება საკონტროლო ნიმუშების დამზადებითა და გამოცდით.

ბეტონის შემვსების ცარიელობა – ბეტონის მარცვლოვან შედგენილობასთან უშუალოდ დაკავშირებული სიდიდე, რომელიც განისაზღვრება შემვსების მჭიდროდ ჩაწყობის შესაძლებლობით. ცარიელობაზე გავლენას ახდენს მარცვლების ფორმა. ცარიელობა შემვსების მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რადგან გარკვეული დოზით განსაზღვრავს ცემენტის ხარჯს (რაც მეტია ცარიელობა, მით მეტი ცემენტია საჭირო მის შესავსებად) და ბეტონის სხვა თვისებებს. შემვსების ცარიელობა ზოგადად იცვლება 25-50%-ის ფარგლებში. ბეტონში სასურველია ისეთი შემვსების გამოყენება, რომელიც შედგება რამდენიმე ფრაქციისაგან და აქვს რაც შეიძლება ნაკლები ცარიელობა.

ბეტონის შეუღწევადობა – სითხეების და აირებისათვის მეტად მნიშვნელოვანი თვისება, რომლის თავიდან ასაცილებლად ბეტონს ფარავენ სპეციალური აფსკებით.

ბეტონის ცენტრიფუგირება – მილისებრი განივკვეთის რკ.ბ.-ისა (ნახ. 1) და ბეტონის ელემენტების დამზადება სპეციალურ დაზგებზე (ნახ. 2), სადაც დოლაბების ბრუნვისას წარმოქმნილი ცენტრიდანული ძალის ზემოქმედებით ბეტონი ძლიერ მკვრივდება და იღებს მნიშვნელოვან სიმტკიცეს.





ბეტონის ცეცხლმედეგობა – ბეტონის ნაკეთობის უნარი, ხანძრის პირობებში, შეინარჩუნოს მზიდნუნარიანობა, აგრეთვე წინააღმდეგობა გაუწიოს გამჭოლი ხვრელების (ღიობების) წარმოქმნას და მასალის კრიტიკულ ტემპერატურამდე გაცხელებას. ბეტონი ცეცხლგამძლე მასალაა, მაგრამ 250°C-ზე მეტი ტემპერატურის ხანგრძლივი მოქმედებისას მისი სიმტკიცეზე იკლებს 50%-მდე.

ბეტონის ცოცვადობა – პროცესი, რომლის დროსაც ბეტონში პლასტიკური დეფორმაციები ვითარდება მაბვის სიდიდის შეუცვლელად.

ბეტონის ცოცვადობის დეფორმაცია – ბეტონის დეფორმაციის თანდათანობითი ზრდა დროში მუდმივი დატვირთვის ქვეშ. ცოცვადობის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ბეტონის

და გარემოს ტენიანობა. წყალში მოთავსებული ბეტონის ცოცვადობა გაცილებით ნაკლებია მშრალი ბეტონის ცოცვადობაზე. ცოცვადობა იწვევს სამშენებლო კონსტრუქციის ჩაღუნვის მნიშვნელოვან ზრდას. ის უარყოფითად მოქმედებს წინასწარ დაძაბულ რკ.ბ.-ის მუშაობაზე, რადგან ამცირებს წინასწარი დაძაბვის სიდიდეს. ბ. ც. დ. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს დატვირთვის პირველ დღეებში, შემდეგ კი თანდათანობით იკლებს. ძაბვის ზრდასთან ერთად ცოცვადობაც იზრდება, დაწყებული 0,4-0,5R-დან, დეფორმაცია ვითარდება არაწრფივად. ხოლო თუ ძაბვა გადააჭარბებს 0,8R-ს, მაშინ დეფორმაციამ შესაძლოა ბეტონის დაშლა გამოიწვიოს. ერთი და იმავე ძაბვის დროს გაჭიმვის ცოცვადობა მეტია, ვიდრე კუმშვისა. ცოცვადობაზე მოქმედებს: ცემენტის სახეობა და ხარჯი, წყალცემენტის ფარდობა, შემვსების სახეობა და ზომები, ბეტონის შემკვრივების ხარისხი, დატვირთვის სიდიდე და ხანგრძლივობა, გარემოს ტემპერატურა, ტენიანობა და სხვ. ცოცვადობის დეფორმაცია იზრდება ცემენტის ხარჯისა და წ/ც ფარდობის ზრდით, შემვსების ზომების შემცირებისა და დეფორმაციულობის მატებით (მაგ., მსუბუქი ფორიანი შემვსების გამოყენების დროს). მსუბუქი ბეტონის ცოცვადობა იმავე სიმტკიცის მძიმე ბეტონის ცოცვადობაზე მეტია.

ბეტონის წყალუჭონადობა – ბეტონის თვისება, არ გაატაროს ნიმუშში გარკვეული წნევის წყალი. ის ბეტონის მნიშვნელოვანი ფიზიკური თვისებაა და დამოკიდებულია ბეტონის სიმკვრივესა და სტრუქტურაზე. ბ. წ. შეიძლება ავამაღლოთ მისი ზედაპირის დაფარვით მკვრივი დუღაბით, რისთვისაც გამოიყენება პნევმატიკური მეთოდი (ტორკრეტირება). სითხეები, რომლებსაც აქვთ ერთზე ნაკლები სიმკვრივე და მცირე სიბლანტე (ნავთი, ბენზინი, საპოხი ზეთი და სხვ.), ბეტონში გაიჟონება წყალზე თავისუფლად. მძიმე ნავთობპროდუქტების შესანახ ცისტერნების ბეტონის ზედაპირს სამჯერ ფარავენ თხევადი მინით, რომელსაც ამაგრებენ კალციუმის ქლორიდის ხსნარით. ბენზინისა და ნავთის გაჟონვისაგან დასაცავად ბეტონის ზედაპირს ფარავენ პლასტმასის აფსკით, ან ბეტონს ამზადებენ სპეციალურ გაფართოებად ან შეუკლებ ცემენტზე.

ბეტონის ხანგამძლეობა – ბეტონის სამსახურის ვადა კონკრეტულ კლიმატურ პირობებში და ექსპლუატაციის რეჟიმში, საექსპლუატაციო თვისებების შენარჩუნებით. რკ. ბ.-ის კონსტრუქციებისათვის გათვალისწინებულია ხანგამძლეობის 3 ხარისხი: პირველი შეესაბამება არანაკლებ 100 წლის სამსახურს, მეორე არანაკლებ – 50, მესამე არანაკლებ – 20 წელს. ხანგამძლეობა განისაზღვრება მასალის ფიზიკური, მექანიკური და ქიმიური თვისების ერთიანობით. იგი ფასდება ექსპლუატაციის კონკრეტული პირობის გათვალისწინებით.

ბეტონის ჰაერჩამთრევი დანამატი – ბეტონის დანამატი, რომელიც გამოიყენება ბეტონისა და დუღაბის ყინვამედეგობის ასამაღლებლად. ეს დანამატი ოდნავ ამცირებს ბეტონის სიმტკიცეს (1% ჰაერი ბეტონის სიმტკიცეს კუმშვისას ამცირებს 3%-ით), ამიტომ მისი ბეტონში დიდი რაოდენობით შეყვანა პლასტიფიცირების მიზნით არასასურველია. ბეტონში ჩათრეული ჰაერის შემცველობა შეადგენს ჩვეულებრივ 4-5%-ს. ამ შემთხვევაში ბეტონის სიმტკიცე პრაქტიკულად არ მცირდება, რადგან ჩათრეული ჰაერის უარყოფითი გავლენა კომპენსირდება ცემენტის ქვის სიმტკიცის ამაღლებით, რაც გამოწვეულია წ/ც ფარდობის შემცირებით, დანამატის მაპლასტიფიცირებადი ეფექტის გამო. დანამატი ბეტონის ფორებისა და კაპილარების ჰიდროფობიზაციას ახდენს, ჰაერის ბუშტუკები კი სარეზერვო მოცულობაა, წყლის გაყინვის შედეგად წარმოქმნილი შინაგანი დაძაბულობის შესამცირებლად. შედეგად

იზრდება ბეტონის წყალუჟონადობა და ყინვამედეგობა. ჰაერჩამთრევი დანამატის გამოყენება უფრო ეფექტურია ბეტონებში ცემენტის დაბალი ხარჯით.

ბეტონის ჰიდროსაიზოლაციო მემბრანა – ბეტონის არაჰიდროფობური კრისტალური საიზოლაციო დანამატი. წყალთან შერევისას ბ. ჰ. მ. შედის რეაქციაში და წარმოიქმნება მილიონობით ნემსისებრი კრისტალი. ეს კრისტალები იზრდება და ავსებს კაპილარულ ფორებს, მიკრობზარებსა და ნაპრალებს ბეტონში, ბლოკავს წყლის ნაკადს. პროცესი უზრუნველყოფს უწყვეტ ჰიდროიზოლაციას წლების განმავლობასში. ბ. ჰ. მ. ამცირებს ჰიდროიზოლაციის ხარჯებს 40%-მდე, ამცირებს რემონტის ხარჯებს, ზრდის საიმედოობას, უსაფრთხოა სასმელ წყალთან კონტაქტის შემთხვევაში, აჩვენებს უმაღლესი დონის წყალგაუმტარობას, ავლენს თვითჰერმეტიზაციის თვისებას, ახანგრძლივებს ბეტონის საექსპლუატაციო ვადას, იცავს არმატურას კოროზიისაგან, უძლებს მაღალ ჰიდროსტატიკურ წნევასა და სხვ. მისი გამოყენება რეკომენდებულია: ყველა სახის ბეტონისათვის, მიწისქვეშა პარკინგის, ჭის, კაშხლის, ხიდის ბურჯის, სარდაფის, გვირაბის, საცურაო აუზის, რეზერვუარის, საძირკვლის, ბეტონის ფილისა და მისთ. ჰიდროსაიზოლაციოდ.

ბეტონის ჰიდროსაიზოლაციო ჰერმეტიკი (Hidrostop[tm]) – წყლის ბაზაზე დამზადებული გამჭვირვალე მისასხურებელი სითხე, რომელიც ქმნის წყლის არეკვლის ეფექტს ბეტონის, აგურის, სამშენებლო ხსნარისა და ქვის წყობის ზედაპირზე. Hidrostop-ის ჰერმეტიკი მუშაობს უკეთესად და ძლებს უფრო დიდხანს, ვიდრე ჩვეულებრიცი ჰერმეტიკი, რადგან იგი შეიცავს სილანისა და სილოქსანის ნაერთის უნიკალურ ნარევს, რომელიც ქიმიურ რეაქციაში შედის საძირკვლის მასის სიღრმეში არსებულ სილიკატებთან. ამ რეაქციის შედეგად ზედაპირის სტრუქტურაში წარმოიქმნება უხსნადი, წყლის ამრეკლი ბარიერი, რომელიც არ სცილდება მას, არ უფერულდება, არ სკდება, არ იქერცლება. მოპირკეთებული ფენა გარეგნულად უხილავია და უნარჩუნებს ზედაპირს მის პირვანდელ სახეს და სუნთქვის შესაძლებლობას. Hidrostop-ი ეკონომიკურია სხვა ჰერმეტიკებთან შედარებით, საუკეთესოდ ირეკლავს და არ უშვებს წყალს კონსტრუქციასთან, ზედაპირს არ უცვლის იერსახეს, მდგრადია მჟავებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების მიმართ, არმატურას იცავს კოროზიისაგან, ხელს უშლის ჟანგის ლაქების, ობისა და ხავსის წარმოქმნას, ზედაპირზე დატანისას არ მოითხოვს სპეციალურ ხელსაწყოებსა და სხვ. გამოიყენება ჰიდროიზოლაციის აღდგენისა და დაცვის სისტემასთან ერთად.

ბეტონის ჰიდროფობულ-მაპლასტიფიცირებელი დანამატი – ბეტონის დანამატი, რომელიც გამოიყენება აგრესიულ გარემოში ბეტონისა და დუღაბის ჰიდროფობური მედეგობის გაზრდისათვის, ბეტონის ხანმედეგობის ასამაღლებლად და უჯრედოვანი ბეტონის ზედაპირის ჰიდროფობიზაციისათვის. მას მიეკუთვნება კაჟბადორგანული სითხეები: ნატრიუმის მეთილსილიკონატი, ნატრიუმის ეთილსილიკონატი და ეთილჰიდროსილიკონის სითხე.

ბეტონიტი (ბეტონის ქვა) – სხვადასხვა ზომისა და წონის ჩვეულებრივი ან დაარმატურებული ხელოვნური ქვა (ნახ. 1). ბ. სილიკატური ცემენტისგან მზადდება, მაგრამ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (აგრესიული წყლების არსებობისას) მათ სპეციალური



ნახ. 1

ცემენტის გამოყენებით ამზადებენ. ზოგჯერ გამომწვარ ქანებსაც იყენებენ.

ბეტონპოლიმერი – ბეტონი, გამყარების შემდეგ გაჟღენთილი მონომერებით ან თხევადი ოლიგომერებით, რომლებიც შესაბამისი დამუშავების შემდეგ (მაგ., გახურება), გადადის მყარ პოლიმერებში და ავსებს ბეტონში არსებულ ფორებსა და დეფექტებს. ჩვეულებრივი ბეტონის დიდი ნაკლია მასში ფორების, ბზარების, კაპილარებისა და სხვადასხვა მიკროდეფექტების არსებობა, რომელიც ამცირებს ბეტონის სიმტკიცეს, ხანმედეგობასა და მედეგობას აგრესიულ გარემოსადმი. ბეტონის თვისებები შეიძლება გავაუმჯობესოთ, თუ ფორებსა და კაპილარებს შევავსებთ სხვა მასალით, ამისათვის ბეტონის ან რკინაბეტონის ნაკეთობა სპეციალურად უნდა დავამუშაოთ. ეს ითვალისწინებს ნაკეთობის გამოშრობას, ვაკუუმირებას, სპეციალური



მასალით გაჟღენთას და პოლიმერიზაციას. ბეტონის შრობა საჭიროა იმისათვის, რომ მასალის დეფექტები გავათავისუფლოთ წყლისაგან, რათა უკეთ შევავსოთ ის. ვაკუუმირება ბეტონიდან დევნის ჰაერს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ზოგი მონომერის პოლიმერიზაციაზე. ზოგ შემთხვევაში სასურველ შედეგს აღწევენ ვაკუუმირების გარეშეც. გაჟღენთისათვის გამოიყენება პეტროლატუმი, განზავებული ფისი, ორგანული ზეთი, გოგირდი, ბიტუმი და სინთეზური ფისით მოდიფიცირებული ბიტუმი. ამ ნივთიერებიდან ბევრი არ მოითხოვს შემდგომ დამუშავებას და ნაკეთობა მყისიერად შეიძლება გამოვიყენოთ. ბეტონის სტრუქტურისა და თვისების საფუძვლიანი შეცვლისათვის გამოიყენება თხევადი მონომერი (მეთილმეტაკრილატი ან სტირენი), პოლიმერი (ეპოქსიდური და პოლიეთერის ფისი) და სხვადასხვა კომპოზიცია მათ საფუძველზე. გაჟღენთის სიღრმე დამოკიდებულია გამჟღენთი ნივთიერების შემადგენლობაზე, კერძოდ, სიბლანტეზე და ბეტონის გაჟღენთის მიმართულებაზე. ბლანტი ნივთიერებანი (ბიტუმი, პეტროლატუმი) ბეტონს ჟღენთენ 1-3 სმ სიღრმეზე, თხევადი მონომერები (სტირენი, მეთილმეტაკრილატი – 10-20 სმ-ზე. ბეტონის გასაჟღენთი მონომერის რაოდენობა დამოკიდებულია მის ფორიანობაზე. მკვრივი ბეტონის სრული გაჟღენთისათვის საჭიროა მასის 2-5% მონომერი, მოცულობის – 4-10%. დუღაბის გასაჟღენთად 30-70%-ით მეტი მონომერია საჭირო, ვიდრე ბეტონისათვის. მსუბუქი ფორიანი ბეტონი კი გაცილებით მეტ (30-50%) მონომერს მოითხოვს გასაჟღენთად. თხევადი მონომერის გამოყენებისას ახდენენ მის პოლიმერიზაციას უშუალოდ ბეტონში. პოლიმერიზაცია ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით, მონომერის ბუნების გათვალისწინებით. ყველაზე გავრცელებულია თერმოკატალიზური მეთოდი, როდესაც მონომერში შეჰყავთ პოლიმერიზაციის ინიციატორი ნივთიერება, შემდეგ ნაკეთობას ახურებენ 70-120°C-მდე (მონომერის სახეობის მიხედვით), ის მჭიდროდ შეავსებს ყველა ფორს და დეფექტს და რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიქმნება მყარ პოლიმერად. ამ დამუშავების შედეგად პირველ შემთხვევაში ვაღწევთ ბეტონის ხანმედეგობის და უჟონადობის გაზრდას, თუ მას ვჟღენთ ბლანტი მასალით, პოლიმერიზაციის გარეშე, მაგ., ბიტუმით; მეორე შემთხვევაში ვიღებთ ახალ მასალას, რომელიც თავისი თვისებებით საგრძნობლად სჯობს საწყის ბეტონს, თუ მას ვჟღენთ მონომერით, რომელიც პოლიმერიზაციას განიცდის ბეტონის მასაში და ავსებს ყველა დეფექტს. ასეთმა მასალამ მიიღო სახელწოდება ბეტონპოლიმერი (ნახ. 1. ბეტონპოლიმერის

იატაკი პოლიურეთანის საფუძველზე). მისი თვისება დამოკიდებულია ბეტონისა და პოლიმერის თვისებასა და დამუშავების ტექნოლოგიაზე – რაც მტკიცეა პოლიმერი და რაც მეტია მისი რაოდენობა ბეტონში, მით მეტია ბ. სიმტკიცე, რომელიც აღწევს 200 მპა-ს და მეტს. გაჟღენთის დროს, პოლიმერი და ცემენტის ქვა არ ურთიერთქმედებენ, მაგრამ ცალკეული პოლიმერი ქიმიურ რეაქციაში შედის ბეტონის კომპონენტთან. პოლიმერი ავსებს ცემენტის ქვის სტრუქტურას, შემვსების კონტაქტის ზონას და ათასობით მაფით აკავშირებს ბეტონის უბნებს, ზრდის ბზარმედეგობასა და სიმტკიცეს. ბეტონში წარმოქმნილი პოლიმერის ბადე შეიძლება განვიხილოთ, როგორც დისპერსიული დაარმირება. პოლიმერიზაციის დროს მონომერი ცდილობს შემცირდეს მოცულობაში, რაც იწვევს მასალის მინერალური ნაწილის მოჭიმვას. შედეგად იქმნება მასალის წინასწარ დაძაბვის სახესხვაობა, რაც ასევე ხელს უწყობს მისი სიმტკიცისა და ბზარმედეგობის გაზრდას. ბეტონის თანამიმდევრული დამუშავება პოლიმერით საშუალებას იძლევა დავარეგულიროთ მისი დეფორმაციულობა, არსებითად გავზარდოთ ხანმედეგობა, ცვეთამედეგობა და სხვა თვისებები. განსაკუთრებით იზრდება ბეტონის მედეგობა აგრესიულ გარემოში. პოლიმერბეტონის გამოყენება, პირველ რიგში, მიზანშეწონილია ისეთი კონსტრუქციებისათვის, რომლებსაც მუშაობა უხდებათ მკაცრ კლიმატურ ან აგრესიულ გარემოში ან თუ საჭიროა ბეტონს ჰქონდეს განსაკუთრებული თვისება (აირშეუღწევადობა, ცვეთამედეგობა, ელექტროიზოლაცია, ელექტროგამტარობა, დეკორატიული სახე და სხვ.). ბეტონპოლიმერი ფართოდ გამოიყენება ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების აღდგენისა და სარემონტო სამუშაოების დროს.

ბეტონსაზელი – იხ. ბეტონსარეველა.

ბეტონსაზიდი (ბეტონის ბადია) – ბეტონსარიგებელი საკიდი ან გადასატანი მოწყობილობა, რომლითაც ბეტონის ნარევი მიეწოდება დამყალიბებელ პოსტებზე საკმაოდ მოშორებულ მანძილზე. ბ. არის კონუსური ფორმის ბუნკერი საკიდ-საყრდენი ლითონკონსტრუქციით სატრანსპორტო ხაზებზე დასაყენებლად ან ამწის კავზე დასაკიდად (ნახ. 1). ის აღჭურვილია ხელის ან პნევმოჩამკეტით.



ნახ. 1



ბეტონსამტვრევი – ინსტრუმენტი ბეტონის, ასფალტის, აგურის, გრანიტისა და მისთ. დასამსხვრევად (ნახ. 1). გამოიყენება სამშენებლო, სარემონტო, საავარიო-აღდგენითი, საავარიო-სამაშველო და სპეციალური სამუშაოების შესასრულებლად. კომპლექტში შედის სხვადასხვა ტიპის საცმი:



ბეტონისა და გრანიტისათვის – გამჟღენთ-წერტილოვანი საჩხვლეტი, ღოჯი-საჩხვლეტი, აგურისათვის – ღოჯი-ნიჩაბი, ასფალტისათვის – ფართო ღოჯი-ნიჩაბი და სხვ.

ბეტონსარეველა (ბეტონსარევი) – დანადგარი ბეტონის ნარევის მოსამზადებლად კომპონენტების (ცემენტი, წყალი, ქვიშა, ხრეში) შერევით მბრუნავ ან უძრავ დოლში (ვარცლში). ბ. კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ექსპლუატაციის პირობების მიხედვით ბ. არის გადასაადგილებელი, რომელიც უზრუნველყოფს მის უწყვეტ შერევას ტრანსპორტირებისას და სტაციონარული (ნახ. 1); მუშაობის რეჟიმის მიხედვით – ციკლური (პერიოდული) და უწყვეტი; შერევის მეთოდის მიხედვით – თავისუფალი (გრავიტაციული), იძულებითი და კომბინირებული.

ბეტონსასხმელი – ღარი, შლანგი ან მილი ბეტონის ნარევის მისაწოდებლად.



ბეტონსატუმბი – დანადგარი, რომელიც აწარმოებს ბეტონის გადაქაჩვას ავტობეტონსაზიდიდან მილსადენებში (სპილოს ხორთუმის მსგავს კონსტრუქციაში) და მიწოდებას დაგების ადგილზე (ნახ. 1). მოქმედების პრინციპის მიხედვით არის დგუშიანი და როტორული.

ბეტონჩასაგები – თვითმავალი მანქანა ბეტონის ნარევის ჩასაგებად საავტომობილო გზების საფარის მოწყობისას (ზოლის სიგანე 3,5-7 მ). გამოიყენება აგრეთვე, ბეტონის ნარევის სწრაფი და თანაბარი ჩაწყობისათვის სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად. არსებობს პორტალური, ნახევრად პორტალური და ხიდური ტიპის, მუხლუხა და პნევმატიკურ თვლებზე გადასაადგილებელი, ლაზერული (ნახ. 1. ლაზერული ბეტონჩამწყობი), უნივერსალური (ნახ. 2. ამერიკული უნივერსალური ბეტონჩამწყობი) და სხვ. ბ. აქვს სიხშირული გარდამქნელი, რომელიც უზრუნველყოფს სვლის სიმდოვრეს, ასევე ბუნკერის ასაწევ-დასაწევი მექანიზმი, რაც საშუალებას იძლევა, განხორციელდეს ბეტონის ნარევის ჩამოსხმა სხვადასხვა დონეზე (მაგ., კასეტურ ფორმებში, გადასაყირავებელ ქვეშებზე და სხვ.). ბეტონჩასაგების გამოყენება შესაძლებელია ისეთ ობიექტებზე, როგორებიცაა: ხიდი, გამყოფი ბარიერი, რთული კომუნიკაცია, საქვეითო გადასასვლელი, სადრენაჟე გზაგამტარი, ჯებირი, კლუმბი, ჩამდინარი არხი, საგზაო ბორდიური და ა.შ.



ნახ. 1



ბეღელი – 1. მიწის დონიდან აწეული, სვეტებზე შემდგარი ხის ნაგებობა მარცვლეულის (პური, ქერი, სიმინდი, ჭვავი, ფეტვი, ლობიო, ცერცვი) შესანახად; 2. კუთხ. საკულტო ემბლემისა და სახატე ჭირნახულის შესანახი შენობა ფშავ-ხევსურეთში.

ბეღო – ფარდული, სადაც გალეწვამდე ძნას აწყობდნენ შესანახად; "საძნე სახლი" (საბა).

ბეშთაქი – მონუმენტური პორტალი, ღრმა ნიში ტაძრის მთავარ ფასადზე (ნახ. 1). გავრცელებულია შუა აზიის ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში.



ნახ. 1

ბეჩო – 1. ღრუ ადგილი, ბუნაგი; 2. უღელტეხილი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მესტიის მუნიციპალიტეტში; 3. ისტორიული თემი ზემო სვანეთში.

ბეწვბზარი – ფოლადის ნაკეთობის ნაკლი, წვრილი (თმისებრი) მკაფიო მოხაზულობის ბზარის სახით, რომელიც განლაგებულია გაგლინულ ან ჭედვად დეფორმირებად ნაკეთობებში ფოლადის დენადობის გასწვრივ.

ბეწვმილი – იხ. კაპილარი.

ბეჭედი – 1. ლითონის, ხის ან რეზინის ტვიფარი (შტამპი) პირუკუღმა ამობურცული წარწერით; 2. თითზე წამოსაცმელი სამკაული.

ბზა (ლათ. Búxus) – ბზისებრთა ოჯახის ორლებნიან მცენარეთა გვარის წარმომადგენელი. მარადმწვანე დაბალი ხე ან ბუჩქი (ნახ. 1. ბზის დეკორატიული ბუჩქები). 70-მდე სახეობა გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ, ნაწილობრივ ზომიერი ჰავის ზონაში ფილიპინების, კალიმანტანის, მცირე ზონდის, მადაგასკარისა და სოკოტრას კუნძულებზე, აფრიკაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში, დასავლეთ ინდოეთში, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიაში. კავკასიაში ბუნებრივად გვხვდება ორი სახეობა – კოლხური და ჰირკანული ბზა. საქართველოში მოშენებულია ოთხი უცხოური სახეობა: ჩვეულებრივი, წვრილფოთოლა, იაპონური და ბალეარული. ცოცხლობს 500-600 წელს, იზრდება ნელა. მისი მაგარი და მძიმე მერქანი გარეგნულად სპილოს ძვალს წააგავს. კარგად პრიალდება. ტოტებისა და ფოთლებისაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს, ქერქი გამოიყენება მედიცინაში. მშენებლობაში ბზის მერქანი გამოიყენება ხის მზიდ კონსტრუქციებში სადებების, ქვესადებების, ზედების, შუადების, წირწკიმალების, სოგმანების და სხვ.

დასამზადებლად. დამატებით იხ. ბზა ჩვეულებრივი და ბზა კოლხური.

ბზა კოლხური (კავკასიური პალმა, უწოდებენ ასევე პალმის ხეს) (ლათ. Búxus colchica) – ბზისებრთა ოჯახის, ბზის გვარის მარადმწვანე ყვავილოვანი მცენარე (ბუჩქი ან ხე). აქვს სწორმდგომი ღერო. ხარობს კოლხეთის დაბლობზე და საქართველოს სხვდასხვა მხარეებში (ნახ. 1. კოლხური ბზის ტოტები ფოთლებითა და ნაყოფებით, ს. სორი, რაჭა, საქართველო). გვხვდება ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს სახეობა განიცდის გავრცელების არეალის მკვეთრად შემცირებას. შეტანილია საქართველოს "წითელ წიგნში".

ბზა ჩვეულებრივი (მარადმწვანე ბზა) (ლათ. Búxus sempervírens) – ბზისებრთა ოჯახის, ბზის გვარის მარადმწვანე ყვავილოვანი მცენარე (ნახ. 1; ნახ. 2. ჩვეულებრივი ბზის ტოტი), რომელსაც ფართოდ იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში. კარგად იტანს ყოველწლიურ სხვლას და ვარჯის ფორმირებას. რგავენ ეულად, ჯგუფად, ბორდიურად და სხვ. წარმოებაში ჩვეულებრივი ბზის მერქანს ზოგჯერ პალმის ხესაც უწოდებენ. ხარობს დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. გავრცელებულია სამხრეთ ინგლისიდან სამხრეთით მაროკოს ჩრდილოეთამდე და აღმოსავლეთით ჩრდილოეთ ხმელთაშუაზღვის რეგიონიდან თურქეთამდე.





ბზარი – 1. მკვრივ საგანზე მცირედი განახეთქი, მთლიანობის დამრღვევი ორგანზომილებიანი დეფექტი, რომელიც თავისუფალ ზედაპირებს წარმოქმნის; 2. მერქნის მანკი, ბოჭკოების გასწვრივ შიგა ძაბვების ზემოქმედებით მერქნის გაგლეჯის შედეგი. ბ. არღვევს მერქნის მთლიანობას, ამცირებს სიმტკიცეს, ზოგჯერ კი მერქანს საერთოდ უვარგისს ხდის მშენებლობისათვის. სახეობის მიხედვით ბზარების დახარისხებას აზრი აქვს მხოლოდ მსხვილი სორტიმენტებისათვის, მცირედისთვის კი მას იხილავენ, როგორც ერთიან მანკს. გამოყოფენ განივ და ანატკეჩ ბზარებს. ზოგადად სამშენებლო კონსტრუქციებსა და ნაკეთობებში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის ბზარები: ამოჭმის, ბეწვა, ბლანტი, გაგლინული, განვითარებადი, განივი, გრძივი, გულგულის, გულნაბზარი, დაღლილობის, დეფორმაციის, ზედაპირული, თერმული, თმისებრი, კრისტალთშორისი, კუთხის, მაგისტრალური, მარცვალთშორისი, მეორეული, მყიფე, ნახლეჩი, რადიალური, სიღრმისეული, ტექტონიკური, ტორსული, ყინულის, შეკრული, შეშრობის, ცივი, ცხელი, ძაბვის, წინმსწრები, წრთობის, ხეხვისა და სხვ.; 3. ბეტონის ან რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში ტანის მთლიანობის დარღვევა ნახეთქების სახით. მისი გამომწვევი მიზეზებია: ბეტონის შეკლება, არათანაბარი შრობა, ტემპერატურული გაფართოება, ხანძარი, შენობის

საძირკვლების დაჯდომა, საპროექტოზე მეტი სიდიდის შიდა გამჭიმავი და ღუნვის ძაბვების გაჩენა, შეცდომები დაპროექტებისას, გაუთვალისწინებელი სიტუაციები და სხვ. კონსტრუქციების (ან მათი ნაწილების) ბზარმედეგობისადმი წაყენებული მოთხოვნები, მუშაობის პირობებისა და გამოყენებული არმატურის სახეობის მიხედვით, იყოფა სამ კატეგორიად: I კატეგორია – ბზარების წარმოქმნა დაუშვებელია; II კატეგორია – დასაშვებია შეზღუდული სიგანის ბზარების ხანმოკლე გახსნა, შემდგომი საიმედოდ დახურვის პირობით; III კატეგორია – დასაშვებია შეზღუდული სიგანის ბზარის ხანმოკლე და ხანგრძლივი გახსნა. ბზარის ხანმოკლე გახსნად ითვლება მუდმივი, ხანგრძლივი და ხანმოკლე დატვირთვების ერთობლივი მოქმედებისას მათი გახსნა, ხოლო ხანგრძლივ გახსნად – გამოწვეული მხოლოდ მუდმივი და ხანგრძლივი დატვირთვების ზემოქმედებისას. რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის ბზარმედეგობის მოთხოვნათა კატეგორიები და ბზარის გახსნის სიგანის დასაშვები სიდიდეები ნორმალური პირობებისათვის მოყვანილია საცნობარო ლიტერატურაში.



ბზარი ანატკეჩი – მერქნის მანკი, მზარდი ხის ტანის გულში გაჩენილი ბზარი, რომელიც მიმართულია წლიური რგოლების გასწვრივ (ნახ. 1). გადანაჭერში ჩანს, როგორც რკალისმაგვარი ბზარი და რომელიც შევსებული არ არის ფისით.

ბზარი განვითარებული – რკ.ბ.-ის ან ხის კონსტრუქციებში გაჩენილი ბზარი, რომლის გახსნის სისქე 1 მმ-ზე მეტია.



ბზარი გულნაბზარი – მერქნის მანკი, მზარდი ხის ტანის გულში გაჩენილი ბზარი, რომელიც მიმართულია რადიალურად გულიდან პერიფერიისაკენ და არ აღწევს ტანის ზედაპირს (ნახ. 1).

ბზარი ტორსული – ხის ბზარი, რომელიც მხოლოდ ტორსში გამოდის და არა აქვს გამოსასვლელი გვერდებსა და ზედაპირზე.

ბზარი ყინულის – მერქნის მანკი, მზარდი ხის ტანში ტემპერატურის მკვეთრი დაცემის დროს წარმოქმნილი ბზარი. მისი გამომწვევი შეიძლება იყოს ხეზე მეხის დაცემაც.

ბზარი შეკრული – ბზარი, რომლის სიგანე არ აღემატება 2 მმ-ს.

ბზარი შეშრობის – მერქნის მანკი, გარე ბზარი, რომელიც წარმოიშობა მერქნის შრობის პროცესში და მიმართულია ზედაპირიდან გულისაკენ (ნახ. 1). გადანაჭერში ზოგჯერ ჩამოჰგავს გულნაბზარს და ანატკეჩს.

ბზარწარმოქმნა – მყარ სხეულებზე (ბეტონი, მთის ქანი, მერქანი და სხვ.) ძალის ზემოქმედების შედეგი (მაგ., ამ პრინციპზეა აგებული გაზრდილი სიჩქარეების მქონე სამუშაო ორგანოებით აღჭურვილი ვიბრაციული წისქვილის მუშაობა).

ბზეფილა – დაწნეხილი ბზისაგან დამზადებული ფილა. გამოიყენება თბოსაიზოლაციო მასალად.

ბზინვარება – სწორი, გლუვი ზედაპირის თვისება, სარკისებურად აირეკლოს სინათლის სხივი.



ბიგბეგი – რბილი კონტეინერები ფხვიერი ტვირთების ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის. გამოიყენება აგრეთვე მეორეული ნედლეულის დასაწყობებისა და საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნაგვის გასაზიდად (ნახ. 1). ბიგბენი შესაფუთად ყველაზე ეკონომიური სახეობაა მცირე წონისა და ნებისმიერი ფორმის მიღების უნარის გამო.

ბიგი – რაიმეს გასამაგრებლად დაყენებული, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული დგარი. ის შეიძლება იყოს: გადასატანი, გა(ნ)მბჯენი, დამყოლი, დროებითი, მაღაროს, მორის, მუხლა, რკინაბეტონის, საკონტროლო, სამაგრი, სასიგნალო, ფოლადის, ხის, ჰიდრავლიკური და სხვ.



ნახ. 1

ბიგი მაღაროს – მაღაროს გვირაბის გვერდებისა და ჭერის სამაგრი ბიგი, რომელიც ძირითადად ხის მორებისაგან მზადდება (ნახ. 1. მაღაროს გვირაბის ბიგი). შესაძლებელია რ.ბ.-ის ან ფოლადის ბიგის გამოყენებაც.



ბიდე (ფრანგ. bidet პატარა ცხენი, პონი) – აბაზანის ნიჟარის ნაირსახეობა (ნახ. 1) ადამიანის გენიტალიების დაბანა-გასუფთავებისათვის. აქვს თბილი წყლის წყარო

და გადინების სისტემა. შეიქმნა საფრანგეთში XVII საუკუნეში.

ბიდერმაიერი (გერმ. biedermeier<bieder უგულო, გულუბრყვილო) – XIX საუკუნეების ცენტრალურ ევროპაში (გერმანია, ავსტრია) არქიტექტურის, ინტერიერის დიზაინის, ლიტერატურის, მუსიკის, მოდის, სახვითი ხელოვნების მიმდინარეობა. ბიდერმაიერისათვის დამახასიათებელი იყო დიზაინის, ბუნებისა და საყოფაცხოვრებო დეტალების ნატიფი, დახვეწილი, გულმოდგინე გამოსახულება, რომელმაც თავისი ადგილი იპოვა არქიტექტურაში, გამოყენებით ხელოვნებაში, გრაფიკაში, ავეჯში, მოდასა და სხვ. ეს სტილი რომანტიზმის განშტოებაა, რომელმაც შეცვალა ამპირი, ამიტომაა, რომ მას ზოგჯერ ამპირისა და რომანტიზმის ნარევს უწოდებენ. ბიდერმაიერის არქიტექტურა გამოირჩეოდა სიმარტივითა და ელეგანტურობით (ნახ. 1. ბიდერმაიერის სტილის შენობა, ვენა, ავსტრია), რისი მაგალითებიცაა ცნობილი გერმანელი მხატვრების იაკობ ალტასა და კარლ შპიცვეგის ფერწერული ტილოები. ბიდერმაიერის ნეოკლასიკურმა არქიტექტურამ შექმნა ტენდენციები, რომელმაც შემდეგში გადამწყვეტი როლი ითამაშა იუგენდსტილ-მოდერნის, არტნუვოს, ბაუჰაუზისა და ზოგადად მე-20 საუკუნის არქიტექტურული სტილებისა და მიმდინარეობების ჩამოყალიბებაში.



ბიდი (ინგლ. bid წინადადება, განცხადება, ფასის შეთავაზება) – საქონლის ყიდვის კონკრეტული შეთავაზება ან კონტრაქტის დადება; საქონლის ყიდვის ვალდებულება კონკრეტული ფასის მიხედვით; ფასის წანამატი აუქციონზე; ფასიანი ქაღალდების, დეპოზიტების განაკვეთი.

ბიდონვილი (ფრანგ. bidon სითხის კონტეინერი და ville ქალაქი) – ღარიბ-ღატაკთა ქოხმახები ქალაქის გარეუბნებში.



ბიდონი (ფრანგ. bidon სითხის კონტეინერი) – თავსახურიანი ლითონის ან პლასტმასის ჭურჭელი სითხეებისათვის (ნახ. 1).

ბიენალე (იტალ. biennale<ლათ. bis ორჯერ და annuus წელიწადი) – დიდი სამხატვრო გამოფენა, ფესტივალი ან შემოქმედებითი კონკურსი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. მსოფლიოში ცნობილი ბიენალებია: ვენეციის, ფლორენციის (იტალია), ბერლინის (გერმანია), ბეიძინის, შანხაის, ჰონგ კონგის, გუანჩჟოუს (ჩინეთი), სან-პაულუს (ბრაზილია), ვროცლავის (პოლონეთი), ბუქარესტის (რუმინეთი), მელბურნის, სიდნეის (ავსტრალია), მონრეალის, ვანკუვერის (კანადა), ბაშვიკის (ბრუკლინი, ნიუ იორკი, აშშ), ჰავანის (კუბა), სტამბოლის (თურქეთი), ჯაკარტის (ინდონეზია), ლივერპულის (ინგლისი), ტაიპეის (ტაივანი), ზაგრების

(ხორვატია), მოსკოვის (რუსეთი), პარიზის (საფრანგეთი), ნიუ ორლეანის (აშშ), კობეს (იაპონია), კოჩის (ინდოეთი) და სხვ.

ბიეფი (ფრანგ. bieф) – წყალსატევის, მდინარის ან არხის ნაწილი, რომელიც ეკვრის წყალსატბორ ნაგებობას (კაშხალს, რაბს). განასხვავებენ ზედა და ქვედა ბიეფს. ზედა ბიეფი მდებარეობს წყალაღმა, წყალსატბორი ნაგებობის წინ; ქვედა ბიეფი – წყალდაღმა, წყალსატბორი ნაგებობის შემდეგ. ორი ან რამდენიმე წყალსატბორი ნაგებობით წარმოქმნილ და წყლის სისტემის ან წყალსადინარის წყალგამყოფ უბანზე მდებარე ბიეფს გამყოფ ბიეფს უწოდებენ.

ბიეფი გამყოფი – ბიეფი, რომელიც მდებარეობს ორი ან რამდენიმე წყალსატბორი ნაგებობით წარმოქმნილ და წყლის სისტემის ან წყალსადინარის წყალგამყოფ უბანზე.

ბიეფი ზედა – აკვატორია კაშხლიდან მდინარის ზემო წელის მიმართულებით, რომელიც მდინარის ნაგებობით გადაკეტვისას შეტბორილი წყლით იფარება და სადაც გროვდება მყარი ნატანი (ნახ. 1).



ნახ. 1



ნახ. 1

ბიეფი ქვედა – აკვატორია კაშხლიდან მდინარის ქვემო წელის მიმართულებით (ნახ. 1).

ბივრილი (ბერილი) (ბერძ. bēryllos ძვირფასი ქვა ზღვის ტალღის ფერი) – ცისფერი, ხასხასა მწვანე, ვარდისფერი, ოქროსფერი, თეთრი, ყვითელი, მოყვითალო ფერის სილიკატების ჯგუფის მინერალი. სხვადასხვა ფერის ბივრილს სხვადასხვა სახელი ჰქვია: მწვანე გამჭვირვალე ბივრილს ზურმუხტი ეწოდება; გამჭვირვალე მოცისფრო ლურჯს – აკვამარინი; ვარდისფერს – ვოროზიევიტი; ოქროსფერ ყვითელს ღია მწვანე ელფერით – ჰელიოდორი. გამოიყენება ძვირფასი თვლების დასამზადებლად და ბერილიუმის მისაღებად.

ბიზანტიური ხელოვნება – ტერმინი, რომლითაც აღინიშნება აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის იმპერიის) ხელოვნების ნიმუშები დაახლოებით V საუკუნიდან XV საუკუნის შუაწლებამდე (კონსტანტინოპოლის დაცემამდე 1453 წ.). ტერმინი შეიძლება გამოიყენებოდეს ბიზანტიის იმპერიის თანამედროვე ქვეყნების მიმართებაში, რომლებიც მასთან საერთო კულტურის მატარებლები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ არ შედიოდნენ მის შემადგენლობაში [ბულგარეთი, სერბეთი და უკრაინა (კიევის რუსეთი)]. ბ. ხ. იყოფა პერიოდებად: 1. ადრექრისტიანული პერიოდი (ე.წ. წინაბიზანტიური კულტურა), I-III სს.; 2. ადრებიზანტიური პერიოდი, იმპერატორ იუსტინიანე I "ოქროს საუკუნე" (აია-სოფიას ტაძრის არქიტექტურა, კონსტანტინოპოლი, საბერძნეთი; სან-ვიტალეს ბაზილიკის მოზაიკები, გალა პლაციდიას მავზოლეუმი, სანტ-აპოლინარე-ნუოვო, სანტ-აპოლინარე-ინ-

კლასე, საარქიეპისკოპოსო კაპელა ქ. რავენაში, იტალია და სხვ.), IV-VII სს.; 3. ხატმებრძოლობის პერიოდი, როცა იმპერატორ ლეონ III ისავრიელმა გამოსცა ედიქტი ხატების აკრძალვის შესახებ, VIII-IX სს.; 4. მაკედონური აღორძინების პერიოდი (867-1056 წწ.), ბიზანტიური ხელოვნების აღმავლობის კლასიკური პერიოდი; 5. კომნენოსური (ალექსი I კომნენოსი – ბიზანტიის იმპერატორი 1081-1118 წლებში) აღორძინების პერიოდი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1081 წლიდან 1185 წლამდე; 6. პალეოლოგიური აღორძინების პერიოდი, როცა მოხდა ელინისტური ტრადიციების აღორძინება, 1261-1453 წწ.

ბიზნესგეგმა – დოკუმენტი, რომელშიც ფორმულირებულია საწარმოს მიზნები უახლოეს 3-5 წლის განმავლობაში, რომელიც უნდა შეიცავდეს: საწარმოს საქმიანობის აღწერას, ისტორიას, ფირმის საკვანძო თანამდებობაზე მყოფი პირების შესახებ მონაცემებს; ბაზრისა და საწარმოს ბიზნესსეგმენტის დახასიათებას; შესაძლო ძირითად მომხმარებლებისა და იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლითაც საწარმო აპირებს შეთავაზებული საქონლის სავარაუდო მყიდველის დარწმუნებას (მარკეტინგისა და გაყიდვების გეგმა); საწარმოს კონკურენტული უპირატესობების საფუძველს (კონკურენტების შესაძლებლობებთან შედარებით წარმატებების მიღწევის უპირატესობის არგუმენტაცია); მიზნებს, რომლის მიღწევასაც აპირებს საწარმო 3-5 წლის შემდეგ: ბაზრის წილი, გაყიდვების მოცულობა, მოგების მოცულობა, მოთხოვნა ფულად სახსრებზე, ტექნოლოგიის გაუმჯობესება; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას; ფულად სახსრებზე მოთხოვნის და მათი წყაროების ზედმიწევნით ანალიზს, რომელიც მოიცავს აგრეთვე ყველაზე ცუდი ვარიანტის ანალიზს.

ბიზნესი (ინგლ. business საქმე, მეწარმეობა) – 1. ადამიანის საქმიანობა, რომლის მიზანია შემოსავლის მიღება თავისი ცოდნის, გამოცდილების, საკუთარი კაპიტალის გამოყენების დახმარებით; ეს არის ადამიანის შესაძლებლობის გამოყენება ეკონომიკის კუთხით. ბიზნესმენის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი არის მოგების მიღება. მოგება გვიჩვენებს ბიზნესმენის საქმიანობის ეფექტიანობას; 2. საქმის გაძღოლის სისტემა და ადამიანებისათვის საჭირო პროდუქციის, მომსახურების წარმოება; 3. წარმოების სისტემა, რომელსაც ვქმნით ჩვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; 4. ფულისგან ფულის კეთების უნარი; 5. სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ბანკის, იურიდიული კონსულტაციის, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საგამომცემლო, სასწავლო-საარმზრდელო, სასპორტო, გასართობი და სხვა სახის საწარმოსა თუ დაწესებულების შექმნა. არსებობს წვრილი (საოჯახო), მცირე, საშუალო და მსხვილი (დიდი) ბიზნესი.

ბიზნესის დაავანსება – ფულადი სახსრების მოზიდვა, ბიზნესპროექტების, ოპერაციების, რეალიზებისა და საბოლოო განხორციელებისათვის. დაავანსება შეიძლება განახორციელოს პროექტის დამკვეთმა, პოტენციურმა მყიდველმა, იმპორტიორმა, სახელმწიფო ორგანოებმა, კონკრეტულმა დაინტერესებულმა პირებმა (ინვესტორებმა). ბ. დ. შეიძლება შეფასდეს, როგორც ბიზნესგეგმის განხორციელებისთვის ფულის წინასწარი გადახდა.

ბიზნესის სტრატეგია – კომპანიის კონკურენტებთან ბრძოლის გეგმა. იგი აყალიბებს კომპანიის დამოკიდებულებას მის გარე სამყაროსთან (საზღვრავს რა პროდუქციას და ტექნოლოგიას დაამუშავებს, სად და ვისთან გაასაღებს თავის პროდუქციას, როგორ მიაღწევს უპირატესობას კონკურენტებზე და სხვ.).

ბიზნესმენი – მეწარმე, კომერსანტი, საქმოსანი, რომელიც ბიზნესს ეწევა.

ბიზნესპროცესი – ერთმანეთთან დაკავშირებული საქმიანობების ან ამოცანების სტრუქტურული ერთობლიობა, რომლის შედეგად იქმნება გარკვეული პროდუქტი ან მომსახურება მომხმარებლის ან მომხმარებელთა ჯგუფისთვის.

ბიკროელასტი – მოდიფიცირებული ბიტუმის საბურულე და ჰიდროსაიზოლაციო მასალა. გამოიყენება მცირექანობიანი სახურავის ბურულის მოსაწყობად და შენობებისა და ნაგებობების საძირკვლების ჰიდროსაიზოლაციოდ. შედგება მტკიცე, არალპობადი ორგანული საფუძვლისაგან (მინაქსოვილი, მინატილო, პოლიესთერი), რომელზეც ორი მხრიდან დატანილია მაღალხარისხიანი მოდიფიცირებული ბიტუმის შემკვრელი. თავისუფლად იღუნება –1°C ტემპერატურამდე და თბომედეგია +85°C ტემპერატურამდე.



ბიკფორდის ზონარი – იგივეა რაც ცეცხლგამტარი ზონარი (ნახ. 1).

ბილიკი – ვიწრო საცალფეხო გზა პარკში, ტყეში, მინდორში, მთაში, კლდეზე და სხვ.

ბილიონი – რიცხვი 10^9, ე.ი. მილიარდი (ფრანგებისათვის, ამერიკელებისათვის, ძველად რუსებისათვის), ან რიცხვი 10^{12}, ე.ი. ათასი მილიარდი (გერმანელებისათვის, ინგლისელებისა და სხვა ხალხებისათვის).

ბიმეტალი (ლათ. bis ორჯერ და metallum ლითონი) – მასალა, რომელიც შედგება ორი მტკიცედ შეერთებული სხვადასხვა მეტალის ან შენადნობის ფენისაგან (ნახ. 1. ბიმეტალი: ცენტრში – თითბერი, გარე რგოლი – სპილენძ-ნიკელის შენადნობი). ბ. გამოიყენება ძვირფასი და დეფიციტური მასალების ეკონომიის მიზნით, აგრეთვე ისეთი მასალების მისაღებად, რომელსაც საწყისი მეტალების შერწყმული თვისებები აქვს. ბ. დამზადება მიმდინარეობს ერთდროულად 2 მეტალის გლინვითა და დაწნეხით, გალვანური მეთოდით, აგრეთვე დადუღებით ელექტრო ან პლაზმური გაცხელების გზით. პრაქტიკაში გავრცელებული ბიმეტალებია: ფოლადი და ალუმინი, ტიტანი და მოლიბდენი და სხვ.



ბინა – 1. საცხოვრებელი სახლი, სათავსი, სამყოფი, სადგომი; 2. საცხოვრებელი სახლის შემადგენელი ნაწილი დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ერთ ოჯახზეა გათვალისწინებული და შეიცავს საცხოვრებელ ოთახსა (ოთახებს) და დამხმარე სათავსებს (სამზარეულოს, სანიტარულ კვანძს და სხვ.); 3. ცალკე საცხოვრებელი სადგომი სახლში, თავშესაფარი; 4. მწყემსების საცხოვრებელ-სამუშაო ადგილი.

ბინა მრავალბინიან სახლში – მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების საგანი, რომელიც შეიძლება იყოს ერთ სისტემაში გაერთიანებული (ურთიერთდაკავშირებული) მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა ან იზოლირებული სათავსი (სათავსების ერთობლიობა), რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის.

ბინადარი – მკვიდრი მცხოვრები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა – მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება.

ბინარული (ლათ. binarius ორმაგი) – 1. ორი ნაწილისაგან შემდგარი, ორმაგი; 2. მათემატიკაში – ორობითი (თვლა).

ბინის მესაკუთრე – უძრავი ქონების კომპლექსში სათავსის მესაკუთრე ან თანამესაკუთრე.

ბინის საერთო ფართობი – ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული, ერთ სისტემაში გაერთიანებული (ურთიერთდაკავშირებული) მომიჯნავე სათავსები, იზოლირებული სათავსი ან/და იზოლირებული სათავსების ფართობთა ჯამი.



ნახ. 1

ბინოკლი (ფრანგ. binocle<ლათ. bini წყვილი, ორი და oculus თვალი) – ხელში დასაჭერი ორი პარალელურმილიანი ოპტიკური ხელსაწყო შორი საგნების კარგად დასანახავად; დურბინდი (ნახ. 1).

ბიო (ბერძ. bios სიცოცხლე) – რთული სიტყვის ნაწილი, რომელიც უჩვენებს მის მიმართებას სიცოცხლის, სასიცოცხლო პროცესებისა და ბიოლოგიისადმი (მაგ., ბიონიკა, ბიოქიმია).

ბიოგაზი (ბერძ. bios სიცოცხლე და ფრანგ. gaz გაზი<ბერძ. chaos ქაოსი) – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის გაზების (აირების) ნარევი, რომელიც წარმოიქმნება ორგანული ნარჩენების დაშლით. ბიოგაზი მიიღება სპეციალურ დანადგარებში და გამოიყენება საწვავად ბიოღუმლებში.

ბიოგენეზი (ბერძ. bios სიცოცხლე და genesis წარმოშობა) – 1. თეორია, რომელიც ხსნის ცოცხალი ორგანიზმების წარმოქმნას მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმებისაგან; 2. ორგანული შენაერთების წარმოქმნა ცოცხალი ორგანიზმების მიერ.

ბიოგენური – ის, რაც შექმნილია ორგანული ნივთიერებების (ცოცხალი ორგანიზმების) ქიმიური გარდაქმნების შედეგად; რასაც ბიოლოგიური წარმომავლობა აქვს; 2. ის, რაც მასტიმულირებელ ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე.

ბიოგეოგრაფია (ბერძ. bios სიცოცხლე, gê დედამიწა და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირზე სხვადასხვაგვარი ბიოცენოზის, აგრეთვე ცხოველების, მცენარეებისა და მიკროორგანიზმების გავრცელებისა და განსახლების კანონზომიერებებს.

ბიოდრენაჟი (ბერძ. bios სიცოცხლე და ფრანგ. drainage საწრეტი, ჩასადენი) – არხების სისტემა ნამუშევარი ტუმბოს წყლისა და სიბინძურის გასაწმენდად ჭაობის მცენარეების მეშვეობით. ბ. გამოიყენება ავტოსადგომების მიმდებარე ტერიტორიებისათვის. დრენაჟის ქვებს შორის

რგავენ ტენის მოყვარულ მცენარეებს, რომლებიც ნთქავენ ტენს და ფილტრავენ დაბინძურებულ წყალს.

ბიოზი (ბერძ. bios სიცოცხლე) – რთული სიტყვების ბოლოსართი, აღნიშნავს სიცოცხლესთან მიმართებას (მაგ., ანაბიოზი, სიმბიოზი და ა.შ.).

ბიოკომპოზიტი (ბერძ. bios სიცოცხლე და ლათ. compositus ერთად აღებული) – 1. კომპოზიტური მასალა, რომელიც შიცავს ბიოლოგიური გზით მიღებულ რამდენიმე ფაზას; 2. კომპოზიტური მასალა, მიღებული მატრიცისა (ფისი) და ბუნებრივი ბოჭკოსაგან. ასეთი მასალები ხშირად ჩამოგავს ცოცხალი მასალების სტრუქტურას. მატრიცის ფაზა ფორმირდება პოლიმერებით, რომლებიც მიიღება განახლებადი და განუახლებელი რესურსებით. მატრიცა ბოჭკოებს იცავს მექანიკური დაზიანებისაგან და გარემოს არ აძლევს გაუარესების საშუალებას. ბიოლოგიური ბოჭკოები წარმოადგენენ ბიოკომპოზიტის ძირითად კომპონენტებს, რომლებსაც ბიოლოგიური წარმომავლობა აქვთ მაგ., ბამბა, სელი, კანაფი, გადამუშავებული მერქანი, ქაღალდი, მაკულატურა, ცელულოზა და სხვ. ბ. ეკოლოგიურად სუფთა მასალაა და წარმატებით გამოიყენება საავტომობილო, სარკინიგზო, სამხედრო, სამშენებლო და აეროკოსმოსურ მრეწველობაში, აგრეთვე ყოფაცხოვრებაში. ბიოკომპოზიტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი მდგომარეობს შემდეგში: მცენარეული ნედლეულის მომზადება, ლიგნინის ფერმენტაცია დამშლელი სოკოებით, მერქნის ნაწილაკების შრობა და დოზირება, პაკეტის ფორმირება, მისი ცივად შემკვრივება, ცხლად დაწნეხვა, მზა ფილის კონდენსატით დამუშავება, მარკირება.

ბიოკოროზია (ბერძ. bios სიცოცხლე და ლათ. corrosio ამოჭმა) – საშენი მასალების დაზიანების პროცესი ცოცხალი ორგანიზმების (ბაქტერიები, სოკოები, ობი, მწერები, მიკროორგანიზმები და სხვ.) ცხოველმოქმედებით. მინერალური საშენი მასალების ბიოდაზიანება გამოწვეულია ამ მასალების შემადგენელ კომპონენტებს შორის შეჭიდულობის დარღვევით, რასაც იწვევს მიკრობული წარმოშობის ორგანული მჟავების ზემოქმედება. მიკროორგანიზმები შეიძლება კონტაქტში იყოს კონსტრუქციის, როგორც გარე, ასევე შიგა ზედაპირებთან (ფოროვან მასალებში). ბ. იწვევს არამარტო ორგანული მასალების ლპობას (მერქანი, ბიტუმი და სხვ.), არამედ ბეტონის და ლითონის დაშლასაც.

ბიოლითი (ბერძ. bios სიცოცხლე და lithos ქვა) – სხვადასხვა ორგანული ნარჩენებისაგან შემდგარი მთის ქანი. ის ორი სახისაა: წვადი (კაუსტობიოლიტი) – მური, ქვანახშირი, ტორფი და სხვ., და უწვადი – ცარცი, კირი, დიატომიტი და ა.შ.

ბიოლოგიური ნარჩენები – ბიოლოგიური ქსოვილები და ორგანოები, დარჩენილი სამედიცინო და ვეტერინალური საოპერაციო პრაქტიკის, სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტის, მსხვილფეხა რქიანი ცხოველის, ფრინველის კვდომის შედეგად, აგრეთვე სხვა ნარჩენები, მიღებული ცხოველური წარმოშობის საკვები და არასაკვები პროდუქტების გადამუშავებისას; ბიოტექნოლოგიური მრეწველობის ნარჩენები.

ბიოლოგიური საგანგებო სიტუაცია – საგანგებო სიტუაცია, რომელსაც იწვევს ცოცხალი არსებები და ორგანიზმები.

ბიოლოგიური ტბორი – 1. წყალსაცავი, ჩამდინარი წყლების ბიოლოგიური გაწმენდისათვის ბუნებრივ პირობებში; 2. ნაგებობა საქალაქო, სამრეწველო ან ზედაპირული ჩამდინარი წყლების გაწმენდისათვის, რომელიც ხორციელდება ორგანული და მინერალური

მინარევების დაჟანგვით ატმოსფერული ჰაერის ჟანგბადის გამოყენებით. ის მიმდინარეობს ბუნებრივი ან ხელოვნური აერაციის პირობებში. ბ. ტ. გეგმარდება 3-5 საფეხურად და არანაკლებ ორ, პარალელურ რეჟიმში მომუშავე განყოფილებად. საქალაქო ჩამდინარი წყლები ბ. ტ. გაწმენდის შემდეგ ექვემდებარება დაქლორვას. ტბორის სექციის სიგრძისა და სიგანის თანაფარდობა მიიღება 20:1. თუ ტბორის სიღრმე არ არემატება 2 მ-ს, მაშინ წყლის შემოსასვლელსა და გასასვლელს შორის დონეთა სხვაობაა 10-15 მ. ბ. ტ. წყლის მასის შესვლამდე ხდება ჩამდინარი წყლების უხეში მექანიკური გაწმენდა ცხაურებში გატარებით.

ბიომედეგი მერქანბოჭკოვანი (მერქანბურბუშელოვანი) ფილა – მერქანბოჭკოვანი (მერქანბურბუშელოვანი) ფილა, რომელსაც აქვს ამაღლებული მედეგობა სოკოების, ბაქტერიებისა და მწერების მიმართ.

ბიომედეგობა – მასალებისა და ნაკეთობების თვისება ხანგრძლივად გაუწიოს წინააღმდეგობა სოკოებისა და ბაქტერიების ზემოქმედებას, რომელიც იწვევს ლპობას ან სხვა მრღვევ ბიოლოგიურ პროცესს. ბიომედეგობის უზრუნველყოფა აუცილებელია მცენარეული წარმოშობის მასალებისათვის.

ბიომეტრია (ბერძ. bios სიცოცხლე და métron გაზომვა) – ბიოლოგიის დარგი, რომელიც ამუშავებს ექსპერიმენტებისა და გამოკვლევების შედეგებს.

ბიომი (ინგლ. biome<ბერძ. bios სიცოცხლე და ლათ. oma ბოლოსართი, რომელიც აღნიშნავს ერთობლიობას) – 1. დედამიწის რეგიონი, რომელიც გამოირჩევა გამოირჩევა თავისი კლიმატით, ფლორითა და ფაუნით; 2. მცენარეთა და ცხოველთა იმ სახეობების ერთობლიობა, რომელიც თავმოყრილია გარკვეულ რაიონში; 3. სხვადასხვა ორგანიზმების ჯგუფების და მათი საცხოვრებელი გარემოს ერთიანობა განსაზღვრულ ლანდშაფტურ ან გეოგრაფიულ ზონაში; 4. ბიოგეოგრაფიული დარაიონების ერთეული.

ბიონიკა (ბერძ. bios სიცოცხლე და elektron ქარვა) – მეცნიერება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების აგებულებისა და ფუნქციების შესწავლის საფუძველზე წყვეტს საინჟინრო პრობლემებს. ბიონიკა სინთეზური მეცნიერებაა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ანატომიას, ფიზიოლოგიას, ფიზიკას, მათემატიკას, ქიმიას, ელექტრონიკას, ტექნიკასა და სხვა დარგებს. ცხოვრებამ პრაქტიკულად დაამტკიცა ცოცხალი ორგანიზმებისათვის დამახასიათებელ პროცესთა მოდელირების ეფექტურობა და სტიმული მისცა ცოცხალ სისტემათა აგებულებისა და ფუნქციის უფრო ფართო შესწავლას და მიღებულ მონაცემთა გამოყენებას ახალი მოწყობილობების, მექანიზმების, კონსტრუქციების შესაქმნელად. ადამიანისა და ცხოველის ნერვული სისტემის საიმედოობის მექანიზმთა შესწავლა საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა ტექნიკურ სისტემათა საიმედოობა. პერსპექტიულია ცხოველთა ორიენტაციის, ლოკაციისა და ნავიგაციის პრინციპების შესწავლა და გამოყენება ავიაციაში, კოსმონავტიკაში, საზღვაო და წყალქვეშა ფლოტში. ორგანიზმთა მორფოლოგიური თავისებურებების გამოკვლევამ ახალი ტექნოლოგიური იდეები მისცა კონსტრუქტორებს, არქიტექტორებს, მშენებლებს. მაგ., იტალიელმა არქიტექტორმა პიერ ლუიჯი ნერვიმ ხის ფოთლის კონსტრუქციის პრინციპი გამოიყენა ტურინის საგამოფენო დარბაზის გადახურვისას: ასი მეტრის მალი საყრდენების გარეშე გადახურეს არმოცემენტის მსუბუქი კონსტრუქციით, რომლის სისქეა 4 სანტიმეტრი. აქ გამოყენებული სამაგრები



ზუსტად ისეა განაწილებული, როგორც ფოთლის დაძარღვაში. ცდილობენ შექმნან აგრეთვე თვითმარეგულირებელი "მსუნთქავი" კედლები – ფოთლის ბაგეების ანალოგი და სხვ.

ბიონიკური არქიტექტურა (ბიოტეკ არქიტექტურა) – მიმდინარეობა არქიტექტურასა და დიზაინში, რომელიც იდეებს ბუნებრივი (ბიოლოგიური) ფორმებისგან სესხულობს. მიმდინარეობამ ჩამოყალიბება დაიწყო XXI საუკუნის დასაწყისში, და, შესაბამისად, ადრეულ პროექტებში ფორმის ძიება პრაქტიკულობას უსწრებს წინ. ბ. ა. ეწინააღმდეგება ტრადიციულ მართკუთხა განლაგებასა და დაპროექტების სქემებს, იყენებს რა მრუდ ფორმებსა და ზედაპირებს, რომელიც ბიოლოგიური და ფრაქტალური გეომეტრიის კონსტრუქციებისთვისაა დამახასიათებელი (ნახ. 1. ბიონიკური არქიტექტურა, 2018 წ., ავტორი ვიტალი სობჩენკო, ქ. ხარკოვი, უკრაინა).

ბიოპოლიმერები (ბერძ. bios სიცოცხლე და polymers მრავალგვარი<poly- ბევრი და -mer ნაწილი) – ბუნებრივი ნაერთები, რაც ყველა ცოცხალი ორგანიზმის აგებულების საფუძველს წარმოადგენს.

ბიორეაქტორი – ხელსაწყო, რომელიც ახდენს კულტივირებული უჯრედებისა და მიკროორგანიზმების გარემოს მიკრობიოლოგიურ სინთეზს. გამოიყენება ბიოტექნოლოგიურ მრეწველობაში წამლების, ვაქცინების, ფერმენტების, სახამებლის, პოლისაქარიდების, ნავთობდესტრუქტორების და სხვ. მისაღებად.

ბიოსაწვავი – საწვავი, მიღებული მცენარეული, ცხოველური, ცოცხალი ორგანიზმის ცხოველმოქმედების ან სამრეწველო ორგანული ნარჩენების გადამუშავების შედეგად. განასხვავებენ თხევად ბ. (შიგაწვის ძრავებისათვის – ეთანოლი, მეთანოლი, ბიოდიზელი), მყარს (შეშა, ბრიკეტები, საწვავი გრანულები, ნაფოტები, ჩალა) და გაზისებრს (სინთეზ-გაზი, ბიოგაზი, წყალბადი). წარმოების ტექნოლოგიის მიხედვით არსებობს პირველი თაობის (ნედლეულად გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურები ცხიმების, სახამებლის და შაქრის დიდი შემცველობით), მეორე თაობის (არასაკვები კულტივირებული მცენარეების ნარჩენები, ბალახეულობა, მერქანი) და მესამე თაობის (წყალმცენარეები) ბიოსაწვავი. ამჟამად ბიოსაწვავის წილი თხევადი საწვავის მოთხოვნის მსოფლიო ბაზარზე შეადგენს დაახლოებით 3%-ს (ძირითადი მწარმოებლებია აშშ და ბრაზილია).

ბიოსეპტიკი (წვეთოვანი ბიოფილტრი) (ბერძ. bios სიცოცხლე და sēptós დამპალი, გახრწნილი) – ავტონომიური კანალიზაციის თანამედროვე სისტემა ქალაქგარეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის (ნახ. 1). მუშაობის პრინციპი შემდეგია: ჩამდინარი წყალი თავიდან ხვდება მინაპლასტიკისაგან დამზადებული ბიოსეპტიკის პირველ ნაკვეთურში, სადაც მსხვილი ნაწილაკები ილექება, ბინძური წყალი სუფთავდება ცხიმებისა და აქტიური ნივთიერებებისაგან. შემდეგ სითხე წვრილი ნაწილაკებით გადადის მეორე ნაკვეთურში, სადაც განმეორებით ხორციელდება გაწმენდა (ანაერობული რეაქტორით). დარჩენილი ნალექი ბრუნდება პირველ ნაკვეთურში. შედარებით სუფთა წყალი მეორედან გადადის მესამე ნაკვეთურში – ძლიერ ბიოფილტრში და ამის შემდეგ გაწმენდილი წყალი (95%-ით) ხვდება სადრენაჟო სისტემაში.



გამოირჩევა ეკოლოგიურობით, ხანგამძლეობით, ექსპლუატაციის სიმარტივითა და საიმედოობით.

ბიოსინთეზი (ბერძ. bios სიცოცხლე და synthesis სინთეზი) – ცოცხალ ორგანიზმში შედარებით მარტივი ნივთიერებებიდან რთული ორგანული ნივთიერების წარმოქმნის პროცესი.

ბიოსფერო (ბერძ. bios სიცოცხლე და sphaira სფერო, ბირთვი) – 1. დედამიწაზე სიცოცხლის გავრცელების არე. მოიცავს ატმოსფეროს ქვედა ფენას, ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს ზედა ფენას, რომელთაც არ განუცდიათ ტექნოგენური ზემოქმედება; 2. დედამიწაზე სიცოცხლის გავრცელების არე – ადამიანის ბინადრობის ერთადერთი ადგილი. ბ. შეუცვლელი გარემოა, რაც განაპირობებს მის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველ დამოკიდებულებას; 3. ორგანიზმებით დასახლებული გარემო. მოიცავს ატმოსფეროს ქვედა ფენებს ოზონის შრეებამდე. მისი სისქე 10-25 კმ-ია და აპკის სახით აკრავს დედამიწას.

ბიოტექი (არქიტექტურული ბიონიკა) (ინგლ. biotech ბიოტექნოლოგია) – თანამედროვე არქიტექტურული მიმდინარეობა, რომელიც ბუნებრივ პრინციპებს ეყრდნობა. ამ სტილის ნაგებობები სულ უფრო უახლოვდებოდა ორგანულ, ცოცხალ ბიოლოგიურ ფორმებს, რომლის მაგალითებია: მექსიკელი არქიტექტორის, ჰავიერ სენოსიანის "ნაუტილუსი" – ნიჟარის ფორმის საცხოვრებელი სახლი (ნახ. 1), სიდნეის ოპერის თეატრი, ნორმან ფოსტერის ცნობილი ნაგებობა – ლონდონის "სენტ მერი ექსი", რომელსაც შემთხვევით არ შეარქვეს "სიმინდის ტარო" (ნახ. 2), ლონდონის მერიის შენობა და სხვ. ნამდვილ ტექნოლოგიურ ნახტომს, გარღვევას თანამედროვე არქიტექტურაში წარმოადგენს დევიდ ფიშერის "დინამიკური ცათამბჯენები" (ნახ. 3), სადაც სართულები არა მარტო ცენტრალური ღერძის გარშემო მოძრაობს, რითიც განათების უფრო ეფექტიანი გამოყენება ხერხდება, არამედ ისინი აგრეთვე აღჭურვილია მზისა და ქარის ტურბინებით, რაც ამ ნაგებობების სრულ ენერგოდამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. ბიოტექის არქიტექტურა წარმოაჩენს ფილოსოფიურ კონცეფციას, რომლის არსი მდგომარეობს ადამიანისთვის ისეთი საცხოვრებელი გარემოს შექმნაში, სადაც გაერთიანებული იქნება ბიოლოგიის, საინჟინრო საქმის და არქიტექტურის პრინციპები. სწორედ ეს უწყობს ხელს ასეთი ნაგებობების ეკოლოგიურობას. მაგ., შენობებში აყენებენ მზისა და ქარის ბატარეებს, წვიმის წყლის შესაგროვებელ კოლექტორებს, აწყობენ ტერასებს მწვანე ნარგავებისთვის, ითვალისწინებენ ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. მწვანე არქიტექტურის პრინციპების შესაბამისად, იდეალში, მომავლის საცხოვრებელი უნდა წარმოადგენდეს ავტონომიურ თვითკმარ სისტემას,



ნახ. 1





რომელიც ორგანულადაა ჩაწერილი ბუნებრივ გარემოში და ჰარმონიულად თანაარსებობს მასთან.

ბიოტიტი (ბერძ. bios სიცოცხლე და ītes ბოლოსართი<ფრანგი მეცნიერის ჟ. ბიოს სახელის მიხედვით) – ქანწარმომქმნელი მინერალი სილიკატების ჯგუფისა, რკინა-მაგნეზიური ქარსი. შედის გრანიტისა და ბევრი სხვა ამოფრქვეული და მეტამორფული ქანის შემადგენლობაში. გამოიყენება ელექტროსაიზოლაციო მასალად.

ბიოტუალეტი (ბერძ. bios სიცოცხლე და ფრანგ. toilette<toile ტილო<ლათ. tēla ქსოვილი) – სანტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ფეკალური მასის გადასამუშავებლად ორგანულ სასუქად ბიოლოგიური ჟანგვის პროცესის მეშვეობით.

ბიოფიზიკა (ბერძ. bios სიცოცხლე და physis ბუნება) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს.

ბიოქიმია (ბერძ. bios სიცოცხლე და chemeia ქიმია) – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ორგანიზმის შედგენილობას, მასში შემავალი ნაერთების სტრუქტურას, თვისებებსა და ლოკალიზაციას.

ბიოქორი (ბერძ. bios სიცოცხლე და chōra სივრცე) – ბიოსფეროს ერთ-ერთი ძირითადი ქვედანაყოფი.

ბიოლუმელი – ღუმელი, რომელიც მუშაობს ბიოლოგიურ საწვავზე და არ საჭიროებს კვამლსადენის მოწყობას. საწვავად გამოიყენება მცენარეული წარმოშობის ბიოეთანოლი, რომლის წვას არ ახლავს კვამლი და ჭვარტლი.

ბიოცემენტი (ბერძ. bios სიცოცხლე და ძვ. ფრანგ. ciment საშენი ხსნარი, დუღაბი, ხის ფისი<ლათ. caementum სამტეხლოს ქვა, უხეში ქვა, დუღაბის მოსამზადებელი დამსხვრეული ქვა<caedere ჩეხა, პობა, ჭრა, დანამცეცება) – საშენი მასალა, რომელიც მიიღება კალციუმის კარბონატის მიკრობიოლოგიური პრეციპიტაციით, რისთვისაც გამოიყენება ბაქტერიები (Sporosarcina pasteurii), ქვიშა, კალციუმის ქლორიდი და შარდოვანა. მშენებლობის გარდა გამოიყენება მედიცინაში ხერხემლის ტრამვის სამკურნალოდ (არტახების ჩამოსასხმელად).

ბიოციკლი (სასიცოცხლო გარემო) (ბერძ. bios სიცოცხლე და kyklos წრე) – ბიოსფეროს სამი დიდი ქვედანაყოფი: ზღვა, ხმელეთი და შიგა წყალსატევები.



ბიპირამიდა [ლათ. bis ორჯერ და ბერძ. pyramis (pyramidos)<ეგვიპტ. piromi პირამიდა] – მრავალწახნაგა, რომელიც წარმოადგენს საერთო ფუძის მქონე ორი პირამიდის ერთობლიობას, როცა ამ პირამიდების წვეროები მდებარეობენ საერთო ფუძის შემცველი სიბრტყის სხვადასხვა მხარეს (ნახ. 1).

ბირთვისის ციხე (ინგლ. Birtvisi Castle) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ციხის კომპლექსი (ნახ. 1. პანორამული ხედი).

მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, დაბა თეთრიწყაროს ჩრდილო-აღმოსავლეთით 13 კმ-ში სოფელ ტბისიდან 3,5 კმ-ში (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციხე, კოშკები, ეკლესია, წყალსაცავი, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები.



ნახ. 1

ბირთვისი აუღებელ ციხესიმაგრედ ითვლებოდა, მისი მფლობელი (ბარათაშვილები) კი პოლიტიკურად ბატონობდა მთელ ალგეთის ხეობაზე. მიუვალ კლდეებს შორის შექმნილი ბუნებრივი სიმაგრე დაცულია ციხის კედლებით და დაახლოებით ერთ კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. ყველაზე მაღალ კლდეზე სათვალთვალო ცილინდრული კოშკი, ე.წ. "შეუპოვარი" (ნახ. 3. კოშკი „შეუპოვარი“) დგას, რომლის კედლები სათოფურებითაა აღჭურვილი. ციხეში შესასვლელი ისეთი ვიწროა, რომ ერთი ადამიანი ძლივს ეტევა, თანაც ჩაკეტილია კარიბჭით.



ნახ. 2



ნახ. 3

ბირთვისის ციხე არ არის მარტო ერთი ნაგებობა. ძნელად მისადგომი მაღალი მთების შუაში ხელოვნურად შექმნილია სივრცე, რომელიც დაცულია მთებს შორის ამოშენებული კედლებით. ციხეს, ნაგებობების გარდა, გააჩნდა ხელოვნურად შექმნილი პატარა ეზო და წყალსაცავი, რაც ციხის მცველებს საშუალებას აძლევდა დიდი ხნით გაეძლოთ ნებისმიერი ალყისათვის. არსებობის განმავლობაში ციხეს უამრავი გადამთიელი და დამპყრობელი ესხმოდა თავს, მაგრამ ციხის აღება მხოლოდ შუააზიელმა ემირმა თემურ ლენგმა და ირანის სეფიანთა დინასტიის მმართველმა შაჰ-თამაზმა შეძლეს (ისიც გამცემლის დახმარებით).

ბირთვული და რადიაციული ობიექტი – ობიექტი (ნაგებობებისა და აღჭურვილობის ჩათვლით), სადაც ხორციელდება მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მუშაობა.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება – ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანისა და გარემოს დაცვას მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან.

ბირთვული ენერგეტიკა – ენერგეტიკის ქვესისტემა, რომელიც ენერგიას აწარმოებს ატომურ ელექტროსადგურებში, რისთვისაც გამოიყენება მართული ჯაჭვური ბირთვული რექცია (უმეტესად ურანის და პლუტონიუმის).

ბირჟა (ლათ. boursa საფულე, ქისა) – იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სასაქონლო, სავალუტო, ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის ორაგნიზებულ ფუნქციონირებას.

ბირჟა ვალუტის – ბაზრის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც წარმოებს უცხოური ვალუტების კურსის კოტირება.

ბირჟა კერძო – აქციონერთა კომპანია ან ჩაკეტილი კორპორაცია, რომლებშიც გარიგებების დადება მხოლოდ მათ წევრ აქციონერებს შეუძლიათ.

ბირჟა სასაქონლო – საბირჟო ვაჭრობის მოწყობისა და რეგულირების მიზნით შექმნილი ორგანიზებული საბითუმო ბაზარი, სადაც ვაჭრობა ხორციელდება საჯაროდ, წინასწარ დადგენილი წესით, განსაზღვრულ ადგილზე და ვადაში.

ბირჟა საფონდო – ორგანიზებული ბაზარი, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობისა და დადებული გარიგებების შესრულების ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

ბირჟა შრომის – სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც რეგულარულად ახორციელებს მუშაობის დაწყების მსურველ უმუშევარ პირთა, აგრეთვე მათი დამქირავებლის მსურველთა რეგისტრაციას, შუამავლურ ოპერაციებს, შრომითი ხელშეკრულებების დადებას დამქირავებელსა და რეგისტრირებულ უმუშევარს შორის გარკვეული ვადით და სხვ.

ბირქი – იხ. ფლისკინა.

ბისექტორი (ლათ. bissector ორად გამყოფი) – ხელსაწყო, რომელიც ბრტყელ კუთხეს შუაზე ჰყოფს.

ბისექტორული სიბრტყე (ორწახნაგა კუთხის) – სიბრტყე, რომელიც გადის ორწახნაგა კუთხის წიბოზე და ამ კუთხეს შუაზე ყოფს. ბ. ს. არის ბრტყელი კუთხის ბისექტრისის სივრცითი ანალოგი. ზოგჯერ მას ბისექტორს უწოდებენ.

ბისექტრისა (ლათ. bis ორჯერ და secare განკვეთა) – სწორი ხაზი, რომელიც კუთხეს შუაზე ყოფს; ბ. ნებისმიერი წერტილი თანაბრადაა დაშორებული კუთხის გვერდებიდან. სამკუთხედის სამივე ბისექტრისა ერთ წერტილში იკვეთება, რომელიც ამ სამკუთხედში ჩახაზული წრის ცენტრს წარმოადგენს.

ბისკვიტი (იტალ. biscotto გამომწვარი, გამომცხვარი ორჯერ) – 1. მოუჭიქავი ფაიფური ან კერამიკა (გამოიყენება ქანდაკებაში); 2. მცირე ზომის ხის ნაჭერი, რომლითაც აერთებენ ხის ორ დიდ ნაჭერს; 3. პატარა, რბილი, მრგვალი ნამცხვარი, როგორც წესი, ხრაშუნა, ბრტყელი და ტკბილი.

ბიტი (კომპ.) (ინგლ. bit) – ტერმინი მიღებულია ინგლისური ფრაზის - binary digit (ორობითი ციფრი) შემოკლებით. ის პირველად გამოიყენეს 1948 წელს და არის ციფრული ინფორმაციის და კომპიუტერის მეხსიერების უმცირესი ერთეული, რომელსაც ორი შესაძლო ორობითი მნიშვნელობიდან შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი: "0" ან "1" ("გამორთული" ან "ჩართული", "არა" ან "კი", "მცდარი" ან "ჭეშმარიტი", "დაბალი" ან "მაღალი"). ერთეულთა საერთაშორისო სისტემის (SI) (ფრანგ. Système International d'Unités) მიხედვით, თვლის ათობითი სისტემის პრეფიქსებით მიღებული ბიტის ჯერადი ერთეულებია: კილობიტი (კბიტი) [ინგლ. kilobit (kbit ან kb]) – 10^3 ბიტი, მეგაბიტი (მბიტი) [ინგლ. megabit (Mbit ან Mb)] – 10^6 ბიტი, გიგაბიტი (გბიტი) [ინგლ. gigabit (Gbit ან Gb)] % – 10^9 ბიტი, ტერაბიტი (ტბიტი) [ინგლ. terabit (Tbit ან Tb)] – 10^{12} ბიტი, პეტაბიტი (პბიტი) [ინგლ. petabit (Pbit ან Pb)] – 10^{15} ბიტი, ექსაბიტი (ებიტი) [ინგლ. exabit (Ebit ან Eb)] – 10^{18} ბიტი, ზეტაბიტი (ზბიტი) [ინგლ. zettabit (Zbit ან Zb)] – 10^{21} ბიტი, იოტაბიტი (იბიტი) [ინგლ. yottabit (Ybit ან Yb)] – 10^{24} ბიტი. საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (სეკ) [ინგლ. International Electrotechnical Commission (IEC)] მიხედვით თვლის ორობითი სისტემის პრეფიქსებით მიღებული ბიტის ჯერადი ერთეულებია: კიბიბიტი (კიბიტი) [ინგლ. kibibit (Kibit)] – 2^{10} ბიტი, მებიბიტი (მიბიტი) [ინგლ. mebibit (Mibit)] – 2^{20} ბიტი, გიბიბიტი (გიბიტი) [ინგლ. gibibit (Gibit)] – 2^{30} ბიტი, ტებიბიტი (ტიბიტი) [ინგლ. tebibit (Tibit)] – 2^{40} ბიტი, პებიბიტი (პიბიტი) [ინგლ. pebibit (Pibit)] – 2^{50} ბიტი, ექსბიბიტი (ეიბიტი) [ინგლ. exbibit (Eibit)] – 2^{60} ბიტი, ზებიბიტი (ზიბიტი) [ინგლ. zebibit (Zibit)] – 2^{70} ბიტი, იობიბიტი (იიბიტი) [ინგლ. yobibit (Yibit)] – 2^{80} ბიტი.

ბიტულინი – მასალა არაქსოვილურ პოლიესთერის ან მინაბოჭკოს საფუძველზე. მის ორივე მხარეზე დატანილია ბიტუმის მემბრანა პოლიპროპილენის დანამატით. ზედა (მუშა) მხარეზე ბიტუმი დაფარულია ტალკის ფენით, ხოლო ქვედა ფენა დაგების დროს იფარება ცხელი აფსკით.

ბიტუმი (ლათ. bitūmen ასფალტი) – ფისოვანი ნივთიერებათა (ასფალტი, გუდრონი, ნავთობი) საერთო სახელწოდება, მყარი ან ფისისმაგვარი პროდუქტი (ნახ. 1), რომელიც შედგება ნახშირწყალბადებისა და მისით ნაწარმოები აზოტის, წყალბადის, გოგირდისა და ლითონის შემცველი ნარევებისაგან. წყალში არ იხსნება, ნაწილობრივ იხსნება ბენზოლში, ქლოროფორმში, გოგირდწყალბადში და სხვა ორგანულ გამხსნელებში. ბუნებრივი ბ. ცხელი მთის მადნის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მიეკუთვნება ჩვეულებრივი ნავთობის პროდუქტები, რომლებიც მიიღება მადნის ქიმიური და ბიოქიმიური განჟანგვით. ასეთებია: ასფალტი, კერიტი, მალტი, იზოკერიტი და სხვ. მოპოვება წარმოებს კარიერული ან შახტური მეთოდით (ბიტუმის შემცველი ქვიშა). ხელოვნური (ტექნიკური) ბიტუმი – ნავთობის, ქვანახშირისა და ფენების გადამუშავების შემდეგ ნარჩენი პროდუქტია. შემადგენლობა ანალოგიურია ბუნებრივის. მშენებლობაში გამოყენებული ბიტუმის სახეებია: ბუნებრივი, გააქტიურებული, გათხელებული, ექსტრაჰირებული, თხევადი, ნავთობის, ნარჩენი, ნაქრევი, ნელსქელებადი, საგზაო, სამშენებლო, საშუალოდ სქელებადი, სქელი, სწრაფსქელებადი, ფიქლის, ძლიერ აქტიური და სხვ.


ნახ. 1

ბიტუმი ბუნებრივი – მიიღება ბიტუმოვანი ქანების გამოხარშვით ან ორგანულ გამხსნელებში გახსნით. სუფთა სახით იშვიათად გვხვდება. ბიტუმოვანი კირქვებისა და დოლომიტის

ქანები გამოიყენება აგრეთვე წვრილი ფხვნილების სახით, ასფალტოვანი მასტიკისა და ასფალტბეტონებისათვის.

ბიტუმი საგზაო – ჰეტეროორგანული ნაერთი, რომელიც მიიღება ნავთობმომპოვებელი მრეწველობის პროდუქტების გადამუშავებით. განსაზღვრული თვისებების შესაძენად ბიტუმს უმატებენ სხვადასხვა სახის გამხსნელ ნივთიერებას. გამოიყენება საავტომობილო გზის ასფალტის საფარის ქვედა შრედ (საფუძვლად). ბ. ს. საექსპლუატაციო მახასიათებლებზე პირდაპირაა დამოკიდებული გზის საფარის სიმტკიცე და ხანგამძლეობა.

ბიტუმი სამშენებლო – უნივერსალური, მყარი ჰიდროსაიზოლაციო მასალა, რომელიც მიიღება ნავთობისა და მისი ნარევების (ასფალტთან და ზეთების ექსტრაქტებთან) პირდაპირი გადამუშავების შედეგად ნარჩენი პროდუქტების დაჟანგვით. გაცხელებისას გადადის თხევად მდგომარეობაში და გაცივების შედეგად ინარჩუნებს სასურველ ფორმას. გამოირჩევა სიიაფით, სამშენებლო კონსტრუქციებთან კარგი შეჭიდულობით, პლასტიკურობით, მაღალი ჰიდროსაიზოლაციო თვისებებით, წყალუჭონადობით. გამოიყენება, როგორც წასასმელი მასალა საძირკვლების, ბრტყელი გადახურვების, მილსადენების, საკანალიზაციო და დამხმარე გვირაბების, შახტების, ხიდების, სარდაფების, კედლების, პანელებსშორისი პირაპირების, აუზების, აივნების, წყალშემკრები ჭებისა და არხების და მისთ. ჰიდროიზოლაციისათვის. ბ. ს. ხარჯი 1 მ^2 ზედაპირზე საშუალოდ შეადგენს 0,8-2 კგ-ს. მომხმარებელს მიეწოდება პოლიეთილენის ტომრებში ჩაწყობილი ბრიკეტების სახით.

ბიტუმიზაცია – 1. ბიტუმის დაჭირხნა წნევის (5-8 მპა) საშუალებით ბზარიან და ქვიშიან გრუნტებში, წყალშეუღწევადობის გაზრდის მიზნით; 2. ორგანული ნივთიერების დაშლა, რომლის დროსაც იზრდება მაღალმოლეკულური ნაერთების შემცველობა.

ბიტუმის ემულსია – ემულგატორის წყლის ხსნარი, რომელშიც ბიტუმი იმყოფება დისპერსიულ მდგომარეობაში.

ბიტუმის მასტიკა – გათხევადებული ბიტუმისა და სხვადასხვა დანამატების ნარევი.

ბიტუმის მოდიფიკაცია – ბიტუმის მახასიათებლების გაუმჯობესება პოლიმერულ დანამატებთან შერევის გზით.

ბიტუმის პლასტიკი – გამოიყებება საბურულე მასალის, ჰიდროსაიზოლაციო ფენის დასაწებებლად და კონსტრუქციული ელემენტების შემოგოზვისათვის კოროზიის საწინააღმდეგოდ, ელექტრო- და რადიოაპარატურის დეტალების, აკუმულატორების დასამზადებლად და სხვ. საბურულე ცხელი ბ. პ. შედგენილობაა: ბიტუმის ნარევი და შემავსებელი (აზბესტი); ცივის – ბიტუმის ხსნარი მწვანე ზეთში (ნავთობის პროდუქტი), შემავსებელი და დანამატები (ოლეინმჟავა). ბიტუმ-რეზინის ცხელ მასტიკებს უმატებენ უჭიქურო რეზინის ფხვნილს წებვადობის ასამაღლებლად, აგრეთვე მაპლასტიფიცირებელ ნივთიერებებს დენადობის გასაუმჯობესებლად (კანიფოლი).



ნახ. 1

ბიტუმმზიდი – სპეციალურ ცისტერნიანი სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი თხევადი ბიტუმის მასალების გადასაზიდად ტემპერატურით 200°C-მდე. ბ.

აღჭურვილია გასაცხელებელი დანადგარებით ან გამათბობლებით დიზელის საწვავზე ან ნავთზე, თერმომეტრებით, ცისტერნის შევსების დონის საზომით, აგრეთვე ლითონის სახელურებით ბიტუმის ჩამოსაცლელად. ბ. ბიტუმის გასაშლელ და ზედაპირის მოსასწორებელ მანქანასთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ავტოგუდრონატორი გზების, აეროდრომებისა და ა.შ. მშენებლობაში (ნახ. 1). თანამედროვე ბ. მოცულობაა 3-25 მ^3.

ბიტუმსაქაჩი დანადგარი – სპეციალური ბიტუმის ტუმბო ან ტუმბოიანი დანადგარი, რომლის საშუალებით წარმოებს ბიტუმის გადაქაჩვა საბიტუმო ბაზის ან ასფალტბეტონის ქარხნის საზღვრებში.

ბიტუმსაცავი – ბიტუმისა და ბიტუმისებრი მასალების შესანახი და გასაცხელებელი (80-100°C-მდე) ბეტონის რეზერვუარი ტევადობით 100-3000 ტ, ძირითადად მიწისქვეშა განლაგებით. არსებობს დროებითი და სტაციონარული ბიტუმსაცავი, შესაბამისად, 0,3-1,0 მ და 3 მ სიღრმით. ბიტუმსაცავი უშუალოდ საცავის გარდა ითვალისწინებს დამატებითი მოწყობილობების არსებობას (გამაცხელებელი, ბიტუმის გადასაქაჩი, ტუმბო და სხვ.). საცავიდან ობიექტამდე ცხელი ბიტუმი მიეწოდება ბიტუმზიდის მეშვეობით მაქსიმუმ 25-30 კმ მანძილზე. სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით აუცილებელია ბიტუმის საცხელებელი დანადგარი მოცილებული იყოს ბიტუმსაცავიდან გარკვეულ მანძილზე.

ბიუვეტი (ფრანგ. buvette ჩამოსასხმელი დაწესებულება) – მინერალურ წყაროზე მოწყობილი ნაგებობა, საიდანაც უშუალოდ იღებენ სასმელ მინერალურ წყალს.

ბიუსტი (ლათ. bustum კრემაციის ადგილი, საფლავის ძეგლი) – ადამიანის ზედა ნაწილის (გულმკერდის ჩათვლით) გამოსახულება მრგვალ ქანდაკებაში. ჩამოყალიბებული სახე მიიღო ძველ რომში, სადაც ბიუსტს დასადგმელი გაუკეთეს, შემდეგ ფართოდ გავრცელდა აღორძინების ეპოქასა და მომდევნო პერიოდში. პორტრეტული ბიუსტის ცნობილი მოქანდაკეებია: დონატელო, ჯოვანი ლორენცო ბერნინი (იტალიის რესპუბლიკა), ფრანსუა ოგიუსტ რენე როდენი, ჟან ანტუან ჰუდონი (საფრანგეთის რესპუბლიკა), სამუელ გალბერგი (რუსეთის ფედერაცია), იაკობ ნიკოლაძე (საქართველო) (ნახ. 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ბიუსტი) და სხვ.


ნახ. 1

ბიუჯეტი (ფრანგ. budget<ძვ. ფრანგ. bougette ტყავის ჩანთა) – 1. სახელმწიფოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს, საოჯახო მეურნეობის და ა.შ. შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა დროის გარკვეულ პერიოდში, ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში; 2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმა. არსებობს ბიუჯეტის სხვადასხვა სახეები: ადგილობრივი, სახელმწიფო, ფედერალური, სამინისტროს, საწარმოს და სხვ.

ბიფორა (ბიფორი) (იტალ. bifora<ლათ. bis ორი, ორმაგად და foris კარს მიღმა, გარეთ<fores კარი) – რომანულ-გოტიკური

არქიტექტურის ეპოქის ორფრთიანი ფანჯარა, რომლის ღიობი ორადაა გაყოფილი შუა სვეტით და დაგვირგვინებულია წრიული ან ისრისებრი მოხაზულობის თაღებით, რომელთა განაპირა ქუსლები ეყრდნობა შუა სვეტის ანალოგიურ ნახევარსვეტებს, ხოლო ფანჯრის მთელი ღიობი დაგვირგვინებულია ერთი საერთო თაღით – ტიპმანით, რომლის სივრცე შევსებულია წრიული ან ფიგურული ნახვრეტებით ან სხვა დეკორატიული ელემენტებით (ნახ. 1. ბიფორა. პალაცო კაპრანიკა, ქ. რომი, იტალიის რესპუბლიკა).

ბიქრომატი – ორქრომიანი მჟავას მარილი; თანამედროვე დასახელება – დიქრომატი.

ბიშოფიტი (ფრანგ. bichofite<გერმანელი ქიმიკოსისა და გეოლოგის კ. გ. ბიშოფის სახელის მიხედვით) – 1. მაგნიუმის ქლორიდის (ან სხვა მარილების) ბუნებრივი წყალხსნარი; 2. გრანულირებული ლიპყინულის საწინააღმდეგო მასალა (გაყინულ გზებზე მოსაყრელად).

ბიჭვინთის ტაძარი (ინგლ. Pitsunda Cathedral) – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ბიჭვინთის საეპისკოპოსოს ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი (ნახ. 1. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან). მდებარეობს აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტში, დაბა ბიჭვინთაში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გუმბათიანი ტაძარი, ნაქალაქარი, დარბაზული ეკლესია, პატარა ეკლესიები, სამლოცველოები, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები.



ნახ. 1



ნახ. 2

გადმოცემის თანახმად, ბიჭვინთაში (ბერძენი ჰეროდოტეს ნაწერების მიხედვით „დიდი პიტიუნტი“) ჯერ კიდევ I საუკუნეში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა (წმინდა ანდრიას საყდარი). III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრი იყო, რასაც მოწმობს ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა 325 წელს ქ. ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. საუკუნეების განმავლობაში ბიჭვინთაში მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი (აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენცია), რომელიც XVI საუკუნის შუა ხანებში, ჩრდილო კავკასიელ მთიელთა შემოსევების შემდეგ, გელათში გადაიტანეს. გელათში გადაიტანეს ბიჭვინთის ტაძრის საგანძურიც. კერძოდ, ბიჭვინთის ღვთისმშობლის ვერცხლის ჭედური ხატი (ზომები: 41x33 სმ), რომელიც შემკობილია ძვირფასი ქვებით. მასზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, ხატი მორთულია კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის მიერ 1568 წელს, ასევე ლევან დადიანისა (1661-1680 წწ.) და მისი მეუღლის, თამარის მიერ (1661-1668 წწ.). მეორე ხატი (ბიჭვინთის ღვთისმშობელი), ინახებოდა ქუთაისის საკათედრო

ტაძარში. ის ოდნავ დიდია პირველ ხატზე და მთლიანად მარგალიტითა და ძვირფასი ქვებითაა შემკული იმავე ლევან დადიანის მიერ. XVII საუკუნეში ტაძარი მიტოვებული იყო და არ ფუნქციონირებდა. XVIII საუკუნეში ტაძარს მეხი დაეცა და ძლიერ დაზიანდა.

ბიჭვინთაში ჯერ კიდევ IV საუკუნეში არსებულა მდიდრულად მორთული ბაზილიკური ტიპის ეკლესია. V საუკუნეში ამ ბაზილიკის ნანგრევებზე აუგიათ დიდი, სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც შვერილი ხუთწახნაგოვანი აფსიდი ჰქონია. მის დასავლეთით ყოფილა VI-VII საუკუნეების მცირე ტაძარი. X-XI საუკუნეების მიჯნაზე კი, ამ ეკლესიების მახლობლად, დღემდე მოღწეული გუმბათიანი ტაძარი აუგიათ.



ნახ. 3

ბიჭვინთის ტაძარი, ისევე როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ძეგლები, ქართული ხუროთმოძღვრების ორგანული ნაწილია, თუმცა შეინიშნება ბიზანტიური არქიტექტურის გავლენა. ტაძარი გეგმით წაგრძელებული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს, ხოლო დასავლეთით, ქართული ეკლესიებისათვის იშვიათი – ნართექსი (დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ტაძრულ არქიტექტურაში ტაძრის მთავარ შესასვლელთან დასავლეთის მხრიდან მიშენებული სათავსი ან კაპელა მათთვის, ვისაც მლოცველთა მთავარ სადგომში შესვლის უფლება არ ჰქონდა) სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩაშენებული პატარა საძვალით. ჯვრის დასავლეთ ნავში განთავსებულია სამმხრივი პატრონიკე (ტაძარში მეორე იარუსზე, ანტრესოლის მსგავსად მოწყობილი ვიწრო ბაქანი დიდგვაროვანი სტუმრებისათვის).



ნახ. 4



ნახ. 5

ფართო და მრგვალი გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის აფსიდის კედლების შვერილ კედლებსა და თავისუფლად მდგარ ორ სვეტს. ტაძარი ნაგებია მონაცვლეობით ნაწყობი აგურისა და გათლილი ქვის ჰორიზონტალური რიგებით. გუმბათის ყელი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი. ტაძრის ინტერიერი (ნახ. 3. ინტერიერი; ნახ. 4. გუმბათის ყელის ფრაგმენტი შიგნიდან) მთლიანად მოხატული ყოფილა, მაგრამ XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ის შელესეს, შეათეთრეს ფასადები, შეცვალეს გუმბათის ფორმა, რის გამოც

ნაგებობამ სახე იცვალა, დამახინჯდა და ძველი მოხატულობა (ნახ. 5. მოზაიკა) განადგურდა, განადგურდა ასევე ნართექსის საძვალე და მის კედლებზე არსებული XVI საუკუნის მოხატულობა.

XX საუკუნის 60-იან წლებში ქართველი სპეციალისტების (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ცინცაძე) ხელმძღვანელობით, ტაძარში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, მოიხსნა შელესილობა, გამოიცვალა სახურავი, მოწესრიგდა ეზო და ტაძარს თავდაპირველი იერსახე აღუდგა.

ბიჯი – 1. სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში, შეადგენდა ორ ნაბიჯს (დაახლოებით 1,4 მეტრს); 2. რაიმეს განმეორებადი ან ცვლადი ზომა (მაგ., ხრახნის ბიჯი – ქანჩის გადაადგილების ზომა მისი ერთი სრული შემობრუნებისას; სვეტებს შორის ბიჯი – დაშორება სვეტებს შორის სამრეწველო საამქროს გრძივი მიმართულებით და სხვ.).

ბიჯსაზომი – 1. ცილინდრული სწორკბილიანი ან ირიბკბილიანი თვლების ძირითადი ბიჯის საზომი ხელსაწყო; 2. კუთხვილის ბიჯის საზომი ხელსაწყო; 3. ადამიანების ნაბიჯების ავტომატურად აღმრიცხველი ხელსაწყო (იყენებენ თვალზომითი აგეგმვისას).

ბლაგვი – 1. მათემ. კუთხე, რომლის გრადუსული ზომა მეტია 90°-ზე და ნაკლებია 180°-ზე; 2. ცუდად მჭრელი ასალესი ცივი იარაღი.

ბლანკი (ფრანგ. blanc თეთრი, სუფთა) – 1. დაწესებულების ტიტულის მქონე თაბახის ფურცელი; 2. ნაბეჭდი ქაღალდის ფურცელი, რომელზეც დატოვებულია თავისუფალი ადგილები შესავსებად.

ბლანტი – მოსქო, წებოვანი სითხე; წევადი, ჭიმვადი; მწებვარე, წებვადი, წებოიანი; შემწოვი; საფლობი.

ბლანფიქსი (ფრანგ. blanc fixe მუდმივად თეთრი) – თეთრი, მეტად გამძლე გოგირდმჟავა ბარიუმის საღებავი.

ბლაუ გაზი – თხევადი გაზი, მიღებული ნავთობის გამოხდით. გამოიყენება გასანათებლად, გასათბობად და ლითონების დასამუშავებლად (შესადუღებლად, საჭრელად).

ბლენდა (გერმ. blenden დაფარვა) — 1. მაღაროს გასანათებელი ხის ფარანი, რომელიც შიგნიდან გამოკრულია ლითონის ფურცლით; 2. ფოტო-კინო ობიექტივის დამცავი საშუალება.

ბლინდაჟი (გერმ. blind ბრმა, მუქი) – რკ.ბ.- ის კონსტრუქციებით ან მიწაწყრილი მორებით გადახურული სანგარი.

ბლიუმინგი (ბლუმინგი) (გერმ. blume ყვავილი) – დიდმწარმოებლური საგლინავი დგანი, რომლის დანიშნულებაა დიდი განივკვეთის და მასის (1-12 ტ) ფოლადის ბლუმის გამოწნეხა მისი შემდგომი გლინვისთვის. გამოიყენება ფოლადის გაგლინული პროფილების დასამზადებლად, როგორიცაა ორტესებრი, შველერი და სხვ., ზოგჯერ – სლაბის გასაგლინავად. თანამედროვე ბლუმინგის წარმადობაა 6 მლნ. ტ-მდე ბლუმი წელიწადში.

ბლობიტექტურა (ბლობ-არქიტექტურა, ბლობიზმი) (ინგლ. blobe ბუშტი და ლათ. architectūra არქიტექტურა) – არქიტექტურული მიმართულება, რომელსაც შენობა-ნაგებობების ორგანული, ამებასმაგვარი ფორმა ახასიათებს. განვითარდა 1990-იანი წლებიდან. ეფუძნება დაპროექტებაში კომპიუტერული დიზაინის პროგრამების გამოყენებას. ბლობიტექტურის შესანიშნავი მაგალითებია: გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში (ესპანეთი), "წყლის პავილიონი" ნიდერლანდებში, "კუნსტჰაუზი" გრაცში (ავსტრია), "ალიანც არენა" მიუნხენში (იხ. სტადიონი, ნახ. 5) და ბიბლიოთეკა ბერლინში (გერმანია), სელფრიჯის უნივერსამის შენობა ბირმინგემში (ინგლისი) (ნახ. 1) და სხვ.



ბლოკ-კონტეინერი – ქარხნული დამზადების მოცულობითი ელემენტი. შეიძლება იყოს ჩაკეტილი, ღია ან ტრანსფორმირებადი. ის არის მობილური შენობებისა და ნაგებობების კონტეინერული ან ასაწყობ-დასაშლელი ტიპის სივრცითი კონსტრუქციული ელემენტი (მაგ., მოდულური შენობების). მზადდება მოცულობითი ფოლადის კონსტრუქციებისაგან პანელური ან კარკასული კედლებითა და გადახურვით (ნახ. 1). ხშირად აკეთებენ ასაწყობ-დასაშლელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების გამარტივების მიზნით. სამსახურის ვადა შეადგენს 15-20 წელს.



ბლოკ-ფორმა – 1. სივრცითი კონსტრუქცია, რომელიც შედგება ფოლადის ფარების, კარკასის, სამაგრებისა და მოწყობილობებისაგან, ცალკე მდგარი კონსტრუქციების (საძირკვლები, კოლონები) დასაბეტონებლად (ნახ 1. ბლოკ-ფორმა სვეტებისათვის). მონტაჟი და დემონტაჟი ხორციელდება ამწე მექანიზმების მეშვეობით; 2. ჰორიზონტალური სივრცითი კონსტრუქცია მსუბუქი სამშენებლო ბლოკების ფორმირებისათვის (ნახ. 2). შედგება უჟანგავი ფოლადის ფურცლებისაგან მოპირკეთებული კამერის, თერმოდანადგარის, ჩასატვირთი, გამოსაგდები და კამერის დასახური მოწყობილობებისაგან. კამერა მუშაობს საფეხუროვანი ტექნოლოგიური პროცესის პრინციპით, რომელიც მთავრდება მოცემული ზომის ბლოკის (ბლოკების) დამზადებით.





ბლოკი (ინგლ. blok ხის ტანი, მორი) – 1. კონსტრუქციულად ასაწყობი ელემენტი ან ნაკეთობა, ძირითადად ქარხნული წესით დამზადებული, რომელიც გამოიყენება თანამედროვე ინდუსტრიულ მშენებლობაში (იხ. ბლოკი მოცულობითი, ბლოკი საკედლე); 2. ბორბლის ფორმის ტვირთამწე მანქანის მარტივი მექანიზმი ან დეტალი წრიული ღარით ბაგირის, გვარლის, ჯაჭვის ან ძაფის დასახვევად; 3. მექანიზმების, მანქანების, დანადგარების, ხელსაწყოების და ა.შ. ან მათი ნაწილების (დეტალების) ერთობლიობა, გაერთიანებული დანიშნულების, განლაგების და ა.შ. მიხედვით; 4. წიგნის ბლოკი – თანამიმდევრობით დალაგებული წიგნის ფურცლები შეკრული ძაფით, მავთულით ან წებოთი და მომზადებული წიგნის ყდაში ჩასასმელად; 5. შახტის ველის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებელი განიავებისათვის აქვს სავენტილაციო გვირაბთა ქსელი და შემოსაზღვრულია შახტის ქვედა და ზედა საზღვრებით, ან მეზობელი ბლოკების საზღვრებით, ან მეზობელი ბლოკის და შახტის ველის საზღვრებით. ბლოკებს აერთიანებს მთელი ჰორიზონტისათვის საერთო მთავარი საბიდი შტრეკი. ზოგადად ბლოკის მრავალი სახეობა არსებობს: აკუმულატორების, ამომხსნელი, ამოსაღები, ანტენის, აწყობის, ბეტონის, გაშლის, დამხსომებელი, ელემენტთა, ელექტროკვების, ელექტრომალოვანი, თვითამუშავების, თიხატკეპნილი, თუნის, კარის, კბილანების, კვების, კომუტაციის, კონდენსატორთა, მასიური, მაღალი სიხშირის, მაძლიერებელი, მეხსიერების, მიმღები, მმართველი, პერფორატორის, რკინაბეტონის, სათავო, საკედლე, საკომუტაციო, სინქრონიზაციის, ფანჯრის, ფუნქციური, ღრუ, ღუმელთა, ცემენტის, ცილინდრთა და სხვ.

ბლოკი ბეტონის (ბეტონიტი, სიღრუეებიანი ბლოკი, ცემენტის ბლოკი, ბეტონის აგური) – ბეტონისაგან ჩამოსხმული ნაკეთობები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში. არსებობს მასიური და სიღრუეებიანი (იხ. ბლოკი საკედლე, ნახ. 1; ნახ. 2), დაბალი და მაღალი სიმკვრივის. მზადდება ცემენტისა და შემავსებლისაგან, რომელთა სახეობა განსაზღვრავს ბლოკის სიმკვრივეს და სიმტკიცის მახასიათებლებს. დაბალი სიმკვრივის ბლოკები შეიძლება დამზადდეს სამრეწველო ნარჩენების გამოყენებით, მსუბუქი ბეტონის ბლოკები კი აირბეტონის ან მსუბუქი შემავსებლების მეშვეობით.

ბლოკი ბეტონის მსუბუქი – მასიური ან სიღრუეებიანი ცალობითი სამშენებლო ბლოკი დამზადებული მსუბუქ შემავსებელზე (ნახ. 1. მსუბუქი სამშენებლო ბლოკი დედალ-მამალი საჭერლებით). გამოირჩევა სიმსუბუქითა და მაღალი თბო- და ბგერასაიზოლაციო თვისებებით, ამიტომ წარმატებული საშენი მასალაა თვითმზიდი კედლების ასაშენებლად. შემავსებლად გამოიყენება: პემზა, წიდა, კერამზიტი, ტორფი, პერლიტი, ქაფპლასტი, ქაფპოლიურეთანი, პოლისტირენი და სხვ.



ნახ. 1

ბლოკი გამანაწილებელი – ფუნქციური ბლოკი, რომელიც შეიცავს გამანაწილებელი და ჯგუფური მიზნებით დამცავ აპარატებს და აქვს პანელი გამტარების განთავსებისა და შეერთებისათვის.

ბლოკი გამთანაბრებელი – ბლოკი, რომელიც ათანაბრებს დატვირთვებს ბაგირის ორ ტოტს შორის.

ბლოკი კლინკერული – იაფი სამშენებლო ბლოკი, რომელშიც შემავსებლად გამოყენებულია კლინკერული წიდა.

ბლოკი კომუნიკაციების – ასაწყობი ერთეული, რომელშიც შედის მილსადენები, საყრდენები, გარე ზემოქმედებისაგან დაცვის საშუალებები და სხვა მოწყობილობები.

ბლოკი მოცულობითი – კონსტრუქციული სამონტაჟე ელემენტი, რომელიც წარმოადგენს შენობის მოცულობის ნაწილს. ასეთი ბლოკი ძირითადად გამოიყენება ასაწყობი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში (სანტექნიკური კაბინა, ოთახი, ბინა), იშვიათად – სამოქალაქო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტების ასაგებად (საავადმყოფო სათავსი, ტრანსფორმატორის ქვესადგური). ბ. მ. მასალად გამოიყენება რკ.ბ., ლითონი, ხე, პლასტმასა. ყველაზე დიდი გავრცელება პოვა რკ.ბ.-ის ბლოკებმა. დამზადების მიხედვით არსებობს მონოლითური და შედგენილი (ცალკეული პანელებისაგან). სახლების მშენებლობაში ბ. მ. გამოყენებისას მონტაჟს აწარმოებენ ისრიანი ან ჰიდროამწეთი, იშვიათად – შვეულმფრენით.

ბლოკი პემზის – მასიური ან სიღრუეებიანი ცალობითი სამშენებლო ბლოკი დამზადებული პემზაზე (ნახ. 1. პემზის სამშენებლო ბლოკი დედალ-მამალი საჭერლებით). გამოირჩევა სიმსუბუქითა და მაღალი თბო- და ბგერასაიზოლაციო თვისებებით. ითვლება ძვირფას საშენ მასალად თვითმზიდი კედლების ასაშენებლად.



ნახ. 1

ბლოკი რადიატორის – რადიატორის ელემენტი, რომელსაც აქვს რამდენიმე სვეტი ერთ სხმულში.

ბლოკი საბაგირო – მბრუნავი ელემენტი ერთი ან რამდენიმე ღარით ბაგირისათვის მიმართულების მისაცემად (ნახ. 1).



ნახ. 1

ბლოკი საკედლე – კონსტრუქციული ასაწყობი ელემენტი კედლის ასაშენებლად. არსებობს მასიური (ნახ. 1) და სიღრუებიანი (ნახ. 2). დასამზადებლად გამოიყენება მსუბუქი, უჯრედოვანი ან მძიმე ბეტონი, აგური, ბუნებრივი ქვა, კერამიკა, კერამზიტი, სილიკატური ბეტონი, ბრძმედის წიდა. წვრილი ბლოკები მზადდება ზომით 19×19×38 სმ, რომელსაც ძირითადად იყენებენ სამოქალაქო და სასოფლო ბინათმშენებლობაში, ხოლო მსხვილი (მასიური ბეტონის) – გამოიყენება ტიპური მრავალსართულიანი შენობების ასაგებად.



ნახ. 1



ბლოკი სამშენებლო – ქარხნული წესით დამზადებული კონსტრუქციული ასაწყობი ელემენტი ან ნაკეთობა გამოყენებული მშენებლობაში. მისი სახეობებია: მძიმე ან მსუბუქი ბეტონის, ქაფბეტონის, გაზობეტონის, გაზოსილიკატური, პოლისტირენის, ქაფპოლისტირენის, კერამიკის, არბოლიტის, კლინკერული, კედლის, მოცულობითი, საცხოვრებელი, საყალიბე, საძირკვლის, თბოსაიზოლაციო, თბოეფექტური, საბაგირო, რადიატორის, სავენტილაციო, ლიფტის და სხვ. მათ დასამზადებლად გამოიყენება: კვარცის ქვიშა, ხრეში ან ღორღი (ფრაქციით 5-20 მმ), ფოლადის ან მინაპლასტიკის არმატურა, პემზა, წიდა, პორტლანდცემენტი, წყალი და სხვ. ქიმიური დანამატები. ტერმინში „სამშენებლო ბლოკი“, ძირითადად, მოიაზრება მძიმე ან მსუბუქი ბეტონისაგან დამზადებული ცალობითი ბლოკი, რომლის სტანდარტული ზომებია: 10x20x40 მმ, 15x20x40 მმ (ნახ. 1; ნახ. 2: არბოლიტის ტიხრის ბლოკი), 20x20x40 მმ, 30x20x40 მმ (ნახ. 3, ნახ. 4: არბოლიტის კედლის ბლოკი). მიღებულია, რომ ზომები უნდა იყოს 50 მმ მოდულის ჯერადი. ბლოკების დამზადება, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია სამშენებლო ობიექტზეც. ბლოკის საპირე ზედაპირი შეიძლება იყოს გლუვი ან დაღარული. ბ. ს. გამოყენების ძირითადი სფეროებია: საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გარე შემომზღუდავი კონსტრუქციები (თვითმზიდი ან მზიდი კედლები) სათავსის შიგნით ნორმალური თბო- და ტენიანობითი რეჟიმით. აგრესიული გარემოს არსებობის შემთხვევაში კედლის შიდა ზედაპირი დაცული უნდა იყოს აგრესიული ფაქტორების ზემოქმედებისაგან. მასალის მიხედვით ბ. ს. არსებობს: აგურის, კერამიკული, წვრილმარცვლოვანი, მსუბუქი უჯრედოვანი ბეტონის, არბოლიტის და ბუნებრივი თლილი ქვის; დანიშნულების მიხედვით: საძირკვლის, კედლის (ჩვეულებრივი, საპირე ერთმხრივი, საპირე ორმხრივი) და თბოსაიზოლაციო; კონსტრუქციის მიხედვით: მასიური ან სიღრუეებიანი (წონის შესამცირებლად და თბოტექნიკური პარამეტრების გასაზრდელად).



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

ბლოკი სამშენებლო კოტებით – ბეტონის კედლის ცალობითი ბლოკი, რომელსაც ზედა მხარეს „მამალი“, ხოლო ქვედა მხარეს – „დედალი“ კოტა აქვს (ნახ. 1). წყობის პროცესში კოტები ერთმანეთს მჭიდროდ ჩამოეცმება და მიიღება ამაღლებული მდგრადობისა და საიმედოობის კედელი.



ნახ. 1

ბლოკი სამშენებლო საჭერლებით – ბეტონის კედლის ცალობითი ბლოკი, რომელსაც ერთ ბოლოში „დედალი“, ხოლო მეორეში – „მამალი“ საჭერელა აქვს (ნახ. 1. სამშენებლო ბლოკი საჭერლებით. ისრით ნაჩვენებია „მამალი“ საჭერელა; ნახ. 2. სამშენებლო ბლოკი საჭერლებით. ისრით ნაჩვენებია „დედალი“ საჭერელა), რომლებიც კედლის ზედაპირის მართობულად წყობის პირაპირებში ბლოკების ურთიერთძვრას ეწინააღმდეგება. ასეთი ბლოკების გამოყენება უზრუნველყოფს კედლის ზედაპირის თანაბრობასა და ვერტიკალურობას.



ნახ. 1



ნახ. 2

ბლოკი საყალიბე – ჩაკეტილი ან ღია სივრცითი ყალიბი, აწყობილი პანელების ან ცალკეული ფარების მეშვეობით. განასხვავებენ ხის, ლითონის ან პლასტმასის საყალიბე ბლოკებს.

ბლოკი საცხოვრებელი – ბლოკური საცხოვრებელი სახლის ავტონომიური ნაწილი, რომელშიც შედის ერთი ბინა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამხმარე სათავსები.



ნახ. 1

ბლოკი საძირკვლის – მასიური რკინაბეტონის სხვადასხვა ზომის, მართკუთხედის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი (ნახ. 1). მასა – 240-1960 კგ; ტექნიკური მახასიათებლები: წყალმედეგობა – W2; ყინვამედეგობა – F50; გამოყენებული ბეტონის კლასი – B3,5-B12; სიმკვრივე – 2200-2500 კგ/მ³. ზედა მხარეს ბლოკს აქვს ერთი ან ორი სამონტაჟო მარყუჟი. ექსპლუატაციის ვადაა, მინიმუმ 60 წელი (დამოკიდებულია ბლოკის ბეტონის კლასზე, მარკიანობასა და გრუნტულ გარემოზე). საძირკვლის ბეტონის ბლოკების გამოყენების სფეროებია: მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა საძირკვლები; სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების მზიდი კედლები (უმეტესად სარდაფის); ესტაკადები, ხიდები, საყრდენი კედლები, პანდუსები და მისთ.

ბლოკირება – მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს აპარატის, მანქანის ან სქემის (ელექტრული) სამუშაო ელემენტების დამაგრებას განსაზღვრულ მდგომარეობაში, რაც შენარჩუნდება მაბლოკირებელი ზემოქმედების მოხსნის შემდეგაც. ბ. ზრდის მოწყობილობის მუშაობის მომსახურებასა და საიმედოობას ტრანსპორტზე, ენერგოსისტემაში, აგრეთვე საწარმოს სხვადასხვა ხელსაწყოებსა და აპარატებში, ელსადგურებში და ქვესადგურებში. ბ. განხორციელება ხდება მექანიკური, ოპტიკური, მაგნიტური ან ელექტრო (სქემა) კავშირების საშუალებით და წყდება ზემოქმედების მიწოდებით, რომელიც აპარატის ან მანქანის ნაწილს აბრუნებს საწყის მდგომარეობაში (ბლოკირებამდე), ან გადაჰყავს ახალ დასაშვებ მდგომარეობაში. ბლოკირება შეიძლება იყოს აბსოლუტური, ავტომატური, დამცავი, ელექტრული, მექანიკური, ნახევრად ავტომატური, პირობითი, სიგნალის, უბნის, უპირობო, უსაფრთხოების, შიგა და სხვ.

ბლოკირებული საცხოვრებელი სახლი – დაბალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახეობა თითოეულ ბინაში დამოუკიდებელი შესასვლელითა და ბინის მიმდებარე ნაკვეთით. ბ. ს. ს. შეიძლება იყოს: ერთსართულიანი; ორსართულიანი ბინებით ორ დონეზე (კოტეჯის ტიპის); ორსართულიანი ბინების განლაგებით სართულებზე; სამსართულიანი. ბინების მოხერხებული კავშირი მიმდებარე ნაკვეთებთან, ეკონომიურობა და კონსტრუქციული უპირატესობა ბ. ს. ს. ხდის პერსპექტიულს დაბალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.



ბლოკჰაუზი (ნიდერლ. bloc ბლოკი და huus სახლი) – 1. სათვალთვალო ან თავდაცვითი ნაგებობა (ქვის, ბეტონის, ხის), საიდანაც სროლა შეიძლება ერთ ან რამდენიმე მხარეს; 2. სახლი აგებული მოარშიებული მორებისაგან (ნახ. 1).

ბლუმი (გერმ. blume ყვავილი) – კვადრატულგანივჭრილიანი ნამზადი, რომელსაც იღებენ ბლუმინგში ფოლადის ზოდების გაგლინვით (ნახ. 1. ფოლადის ბლუმის ნამზადი).



ნახ. 1

ბმა – სხეულის ან მექანიკური სისტემის თავისუფალი გადაადგილების შემზღუდავი პირობა. ჩვეულებრივ ეს შეზღუდვები დაკავშირებულია სხეულებს შორის შეხების პირობებით, რაც იმაში გამოისახება, რომ სხეულის ან სისტემის წერტილების კოორდინატები, ამ კოორდინატების წარმოებულები დროით და დრო მოძრაობის განმავლობაში უნდა აკმაყოფილებდნენ რაიმე დამატებით პირობებს, გამოსახულს ტოლობით ან უტოლობით. ბმის ცნება შემოიღო ფრანგმა მათემატიკოსმა ჟან ფურიემ (1798 წ.). ბმის სახეებია: ადსორბციული, ატომთშორისი, ატომური, განივი, გრადიენტული, გრძივი, დრეკადი, ელექტროვალენტური, ერთმაგი, იონური, კინემატიკური, კოვალენტური, თანავალენტური, კუთხური, მარტივი, მოლეკულათშორისი, მოლეკულური, მოძრავი, ორმაგი, პოლარული, სემიპოლარული, სუსტი, ფიზიკურ-ქიმიური, ქიმიური, ძლიერი, ხისტი, ჰომეოპოლარული და სხვ.

ბმა არასტაციონარული (რეონომური ბმა) – ბმა, რომელიც ცხადად არის დამოკიდებული დროზე. მაგ., იგი გამოისახება ტოლობით: $f(x,y,z,t) = 0$.

ბმა არაჰოლონომური – იხ. ბმა კინემატიკური.

ბმა გეომეტრიული (ჰოლონომური ბმა) – ბმა, რომელიც ცხადად არ არის დამოკიდებული მექანიკური სისტემის წერტილების სიჩქარეზე, ე.ი. არ ზღუდავს სიჩქარეს. გამოისახება ტოლობით: $f(x,y,z) = 0$.

ბმა დამჭერი (ორმხრივი ბმა) – ბმა, გამოსახული განტოლებით, რომელიც აკავშირებს მექანიკური სისტემის წერტილების კოორდინატებს (შეიძლება მათ წარმოებულებსაც დროით) და დროს.

ბმა იდეალური – ბმა, რომლისთვისაც სისტემის წერტილებზე მოქმედი რეაქციის ძალების მიერ შესრულებული შესაძლო მუშაობათა ჯამი ნებისმიერ შესაძლო გადაადგილებაზე ნულის ტოლია.

ბმა კინემატიკური (არაჰოლონომური ბმა) – ბმა, რომელიც დამოკიდებულია მექანიკური სისტემის წერტილების სიჩქარეზე, ე.ი. ზღუდავს მათ სიჩქარეს.

ბმა ორმხრივი – იხ. ბმა დამჭერი.

ბმა რეონომური – იხ. ბმა არასტაციონარული.

ბმა სკლერონომური – იხ. ბმა სტაციონარული.

ბმა სტაციონარული (სკლერონომური ბმა) – ბმა, რომელიც ცხადად არ არის დამოკიდებული დროზე.

ბმა ჰოლონომური – იხ. ბმა გეომეტრიული.

ბმის აქსიომა – ყოველი არათავისუფალი სხეული შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისუფალი სხეული, თუ პირობით მოვაშორებთ მასზე დადებულ ბმებს და მათ ნაცვლად მოვდებთ ამ ბმების რეაქციის ძალებს.

ბმის რეაქცია – ბმების მოქმედება არათავისუფალ სხეულზე გამოისახება ძალებით (ქმედებისა და უკუქმედების პრინციპის თანახმად), რომლებსაც ბმის რეაქციები ეწოდება. ბმის რეაქცია მიმართულია მოცემული სხეულის იმ მოძრაობის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ეს ბმა ეწინააღმდეგება.

ბმის რეაქციის ძალა – ძალა, რომლითაც ბმა მოქმედებს მოცემულ სხეულზე რაიმე მიმართულებით ამ მყარი სხეულის გადაადგილების საწინააღმდეგოდ.



ბობინა (ფრანგ. bobine კოჭა) – 1. სხვადასხვა მანქანაში: კოჭი, დოლი ან ლილვი, რომელზეც ეხვევა მავთული, ძაფი, ქსოვილი და სხვ. (ნახ. 1); 2. შიგაწვის ძრავებში: ინდუქციური კოჭი, რომელიც დაბალი ძაბვის დენს გარდაქმნის მაღალი ძაბვის დენად; 3. კინოს საპროექციო აპარატის მრგვალი კოლოფი ან მაგნიტოფონის გორგოლაჭი, რომელზეც ეხვევა ფირი.

ბოგა (ბოგირი) – ძვ. მცირე ხიდი.

ბოდბის მონასტერი (ინგლ. Bodbe Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების IV საუკუნის უმშვენიერესი ძეგლი, წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი და საეპისკოპოსო ცენტრი (ნახ. 1. ბოდბის მონასტრის ადგილმდებარეობის რუკა; ნახ. 2. საერთო ხედი) კახეთში, ბოდბეში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში. კომპლექსში შედის: ტაძარი, სამრეკლო, გალავანი, მონაზონთა სენაკები, აგრეთვე წმინდა ნინოს წყარო, რომელსაც მორწმუნეები სამკურნალო თვისებებს ანიჭებენ. ბოდბეს მონასტერს გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს სულიერ ცხოვრებაში, რადგან აქ განისვენებს ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინო. წმინდა ნინოს დროიდან მოკიდებული ბოდბის მონასტერი ქართველ მეფეთა და დიდებულთა უპირველესი ზრუნვის საგანი იყო. ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი ქართული ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულების „მოქცევაი ქართლისაის“ II ნაწილის („ნინოს ცხოვრება“) მიხედვით წმინდანის საფლავი მიწის ქვეშაა მოქცეული და უშუალოდ საფლავზე დგას ეკლესია. ამასვე ადასტურებს მირიან მეფის ანდერძი და XII საუკუნეში მოღვაწე არსენ ბერის მონათხრობი.



ნახ. 1

ბოდბეში, მეფე მირიანის მიერ IV საუკუნეში აგებულ თავდაპირველ სალოცავს (ეკლესიას) ჩვენამდე არ მოუღწევია. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა გაამშვენა და გააფართოვა ტაძარი, ხოლო სამნავიანი ბაზილიკის სახე მან VIII-IX საუკუნეებში მიიღო. მონასტერის გამშვენიერებაში დიდი წვლილი მიუძღვის დავით აღმაშენებლის ძეს, მეფე დემეტრე I. აქ ხდებოდა კახთა მეფეების კურთხევა. სხვათა შორის, ბოდბის ტაძარში თეიმურაზ I აღსაყდრებას თავად შაჰ-აბასიც კი დასწრებია. ბოდბის მონასტერი ოდითგანვე არა მარტო სულიერ, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა. XVII საუკუნიდან აქ მოქმედებდა სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც გარდა საღვთისმეტყველო საგნებისა, საერო მეცნიერებებიც ისწავლებოდა. აქვე იყო საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი წიგნთსაცავი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ბოდბეში დიდი მამათა მონასტერი არსებობდა. 1889 წელს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ეწვია ამ მონასტერს და მისი ბრძანებით დედათა მონასტერი გაიხსნა. აქვე ამოქმედდა ქალთა სასწავლებელი. 1906 წელს რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის განკარგულებით ბოდბეს I კლასის მონასტრის წოდება მიენიჭა. 1924 წელს კომუნისტებმა მონასტერი დახურეს, რომელიც კვლავ აღდგა 1991 წელს.



ნახ. 2



ნახ. 3

მონასტრის ეზო გალავნითაა შემოზღუდული. მთავარი შესასვლელი დასავლეთიდანაა. მთავარი ტაძარი ქვედა ტერასაზე მდებარეობს, ხოლო სამონასტრო ნაგებობები მისგან ჩრდილოეთით – ზედა ტერასაზე. ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი (ნახ. 3. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, სადაც დაკრძალულია წმინდა ნინო) სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ნაგებობის გეგმა აღმოსავლეთით სრულდება სამი შვერილი ნახევარწრიული აფსიდით, დასავლეთიდან ბაზილიკას აკრავს ნართექსი. საშენ მასლად ძირითადად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის აგური (27x27x6, 26x26x6 და 24x24x6 სმ). ფასადებზე ბაზილიკის კუთხეები გამოყვანილია შირიმის გრძელ-მოკლედ დალაგებული კვადრებით. ეკლესიის შუა ნავი გვერდითა ნავებზე მაღალი და განიერია, იგი ორფერდა სახურავითაა გადახურული. გვერდითა ნავებს ცალფერდა სახურავი აქვს. ტაძრის სადა და მკაცრი ფასადები ხასიათდება მასათა



ნახ. 4

პროპორციული შეთანხმებითა და სისადავით. ინტერიერის კედლების მოხატულობა ზეთის საღებავებითაა შესრულებული და წარმოდგენილია წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები. მონასტრის ერთ-ერთ სიწმიდეს წარმოადგენს ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. მონასტრის ტერიტორიაზე განთავსებულია დედათა საცხოვრებელი სენაკები (ნახ. 4. დედათა საცხოვრებელი სენაკი) და დამხმარე ნაგებობები. ეზოს ამშვენებს არაჩვეულებრივი ბაღი (ნახ. 5. მონასტრის ბაღი), რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ქართული საბაღე არქიტექტურის წარმატებულ ნიმუშად. 1862-1885 წლებში მონასტრის ტერიტორიაზე ააგეს სამსართულიანი სამრეკლო (ნახ. 6. სამრეკლო), რომელიც, ასევე, გამორჩეულია ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში.

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე ბოდბეში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის შედეგადაც შენობა განთავისუფლდა გვიანდელი სამშენებლო ფენებისაგან და შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა ტაძრის ავთენტურობის აღდგენა.



ნახ. 5



ნახ. 6

ბოვი – შახტური ტიპის (შვეული) საწვავი ღუმელი თუჯის გამოსადნობად და ფერადი მადნეულის გამოსაწვავად. საწვავად ძირითადად გამოიყენება კოქსი ან ანტრაციტი, რომელთა წვისას მაღალი ტემპერატურა მიიღება ჰაერის ბერვის მეშვეობით (ჰაერსაბერი მანქანებით). ბ. განსხვავდება ბრძმედისაგან იმით, რომ მასში არ ხდება თუჯის შედგენილობის შეცვლის ქიმიური რეაქცია. საჭიროებისამებრ მისი გაჩერება ადვილია, ვიდრე ბრძმედის, შედარებით მცირე გაბარიტების გამო. ბ. წარმადობა დაახლოებით 1-3,5 ტონაა სთ-ში. ბოვში წარმოებული თუჯი დაბალი ხარისხისაა, ამიტომ მას გამოიყენებენ მეორეხარისხოვანი ელემენტების დასამზადებლად (საპირწონეები, ბალასტის ბლოკები, ვიწროლიანდაგიანი ვაგონეტების ბორბლები და სხვ.).

ბოზე-აირი – კლასიკური იდეალური აირის კვანტურ-მექანიკური ანალოგი. აირი შედგება უმცირესი ნაწილაკების – ბოზონებისაგან, რომელთაც აქვთ მთლიანი სპინი და ემორჩილება ბოზე-აინშტაინის სტატისტიკას. ბოზემ შექმნა სტატისტიკური მექანიკა ფოტონების აირისათვის, ხოლო აინშტაინმა განავითარა ის მასიური ნაწილაკებისათვის. მანვე აღმოაჩინა, რომ ბოზონების იდეალური აირი, კლასიკური იდეალური აირისაგან

განსხვავებით, დაბალ ტემპერატურაზე წარმოქმნის კონდენსაციურ მდგომარეობას – ე.წ. ბოზე-აინშტაინის კონდენსატს.

ბოიენტი (ინგლ. buoyant<ძვ. ინგლ. boye ტივტივა) – 1. ბაზრის მდგომარეობა, რომელსაც არახელსაყრელი ეკონომიკური პირობების გამო ფასების სწრაფი ზრდა ახასიათებს; 2. რაიმეს უნარი იტივტივოს სითხის ან აირის ზედაპირზე; 3. წარმატებული ვაჭრობა ან მოქმედება.

ბოილ-მარიოტის კანონი – იდეალური გაზის ერთ-ერთი ძირითადი კანონი, რომლის თანახმად მუდმივი ტემპერატურის პირობებში მოცემული იდეალური გაზის ხვედრითი მოცულობა v უკუპროპორციულია p წნევის, ანუ მუდმივი ტემპერატურის პირობებში მოცემული გაზის წნევის ნამრავლი ხვედრით მოცულობაზე მუდმივი სიდიდეა – pv = const.

ბოილერი (ინგლ. boiler ქვაბი, მადუღარა) – 1. მილოვანი თბოგადამცემი, რომელიც გამოიყენება წყლის გასაცხელებლად ორთქლით ან ცხელი წყლით. ორთქლით გაცხელებისას ბ. მილებში გაედინება გასაცხელებელი წყალი, ხოლო მილებს შორის სივრცე ივსება ცხელი ორთქლით. ცხელი წყლით გაცხელებისას კი – მილებს შორის სივრცე ივსება ცხელი წყლით; 2. საოჯახო ბ. – ცხელი წყლის მისაღები დანადგარი ელექტროენერგიის (ნახ. 1. საოჯახო ელექტრობოილერი), გაზის, თხევადი ან მყარი საწვავის გამოყენებით; 3. ქსელის წყლის შემთბობი, ორთქლის ან წყლის თბომცვლელი, რომელიც ქვაბის ორთქლის ან ქვაბის წყლის სითბოს იყენებს სხვა პარამეტრების მქონე ცხელი წყლის მისაღებად. ბოილერი შეიძლება იყოს ქვაბში ჩაშენებული ან ცალკე მდგარი.



ბოკონი – 1. მორის ბოძები, რომლებზეც დაყრდნობილია ფიცრული სახლის საძირკვლის დირეები; 2. იგივე ძელსაჯდომი.

ბოლნისის მამათა მონასტერი (ინგლ. Bolnisi Fathers Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ბოლნისის ელიას მთის წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა სახელობის მამათა მონასტერი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ბოლნისის ცენტრიდან 2 კილომეტრში – ბოლნისის სიონისკენ მიმავალ გზაზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მამათა მონასტერი, სამრეკლო, სატრაპეზო, მარანი.

მშენებლობა მიმდინარეობდა 2008-2015 წლებში. ეკლესია, კვარცხლბეკივით ამაღლებულ მთაზეა აგებული. გადმოცემით, ამ ადგილს წმინდა ელიას მთას ეძახდნენ. აქ ოდითგანვე ტაძარი იდგა, რომელიც წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ყოფილა. ბოლნელი ეპისკოპოსის მეუფე ეფრემის (გამრეკელიძე) ლოცვა-კურთევით, ნატაძრალზე აიგო მოციქულების სახელზე ტაძარი და აქვე დაფუძნდა მამათა მონასტერი.

გასულ საუკუნეში, ბოლნისში მცხოვრები ბერძნები აღნიშნავდნენ პეტრე-პავლობის დღესასწაულს. მათი საქართველოდან წასვლის შემდეგ შეწყდა აქ ხალხის მსვლელობაც და ღვთისმსახურებაც. ტაძარიც ნანგრევებად იქცა. მხოლოდ დარჩენილი ბერძენი და, ნაწილობრივ ქართველი, მოსახლეობა ანთებდნენ სანთლებს და საკლავს კლავდნენ. ამას ხელს უწყობდა ამ ადგილის ადგილმდებარეობა, საიდანაც ბოლნისის შემოგარენის საუკეთესო ხედები იშლება. ყველა აქ ამომსვლელი აღფრთოვანებულია.

კომპლექსის ირგვლივ ორმაგი გალავანია გარშემორტყმული. ტაძრის მშენებლობის დროს ბოლნისიდან ყოველდღიურად ამოდიოდა ხალხი და მონაწილეობას ღებულობდნენ ამ საღვთო საქმეში. უამრავ ადამიანს, მოსახლეობას ერთობლივად აქვს მონაწილეობა მიღებული. თითოეული ქვა, რომ იტყვიან, ხელით არის დადებული. ის არის ძვირფასი, რომ ამ ტაძრის მშენებლობამ ბევრი ადამიანი ტაძრისკენ მოაბრუნა და თვითონვე განიცადეს ის სულისკვეთება, რითაც ჩვენი წინაპრები ტაძრებს აშენებდნენ. ტაძრის მშენებლობაში თავად ადგილობრივი მოახლეობა იყო ჩართული. ტაძრის საკურთხეველი მოხატა ხატმწერმა მიქაელ ღოღობერიძემ.

2017 წლის ზაფხულში, დამოუკიდებელმა მკვლევარ-დიზაინერმა კახაბერ ხმელიძემ ახლადაშენებული ტაძრის ეზოში, აღმოაჩინა უძველესი სამშრიანი (კომპოზიტური) კერამიკული ნაკეთობის ნარჩენები (ნახ. 2. ძველი ქართული უნიკალური სამშრიანი კერამიკული ნაკეთობის ფრაგმენტი: 1-კერამიკა, 2-გამომწვარი თიხა; წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა სახელობის მამათა მონასტრის ეზო, ქ. ბოლნისის მახლობლად, საქართველო). ნაკეთობა წარმოადგენს თანამედროვე კლასიკური კომპოზიტური სამფენიანი კონსტრუქციის სახეობას, რომლის გარე შრეები გამომწვარი თიხისაა, ხოლო შუა კერამიკული შრის დანიშნულება ალბათ ნაკეთობის სიმტკიცის გაზრდა იყო. ნაპოვნი ექსპონატის მრუდი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ეს მასალა გამოიყენებოდა დიდი ტევადობის ქვევრების დასამზადებლად. კარგი იქნება თუ შესაბამისი უწყებების მკვლევარები გარკვეულ დროს დაუთმობენ აღნიშნულ ფაქტს, შეისწავლიან ნაკეთობას და ექსპერიმენტალური კვლევების საფუძველზე დაადგენენ მის ასაკს. დიდია ალბათობა იმისა, რომ ექსპონატის ადგილი საქართველოს რომელიმე მუზეუმი გახდეს.



ნახ. 1



ნახ. 2

ბოლნისის სიონი (ინგლ. Bolnisi Sioni Cathedral) – V საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ბაზილიკა საქართველოში (ნახ. 1. საერთო ხედი). ტაძარზე არსებული წარწერების მიხედვით აშენებულია 479-493/494 წლებში. მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბოლნისიდან 8 კმ-ის დაშორებით, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე. VIII საუკუნეში ტაძარზე აღმოსავლეთიდან მცირე სამლოცველო მიაშენეს (ნახ. 2. ხედი აღმოსავლეთიდან). დროთა განმავლობაში დაინგრა ჩრდილოეთის თაღებიანი სტოა-გალერეა. 1634 წელს სპარსელების შემოსევის შედეგად ტაძარი ძლიერ დაზიანდა, დაზიანება ძირითადად შეეხო კამარებსა და დასავლეთის კედელს, რომელიც XVII საუკუნეში როსტომ

მეფისა (ქართლის მეფე 1633-1658 წლებში; მანამდე ირანის მმართველის შაჰ აბასის გვარდიის სარდალი, ისპაჰანის მოურავი) და მარიამ დედოფლის ბრძანებით აღადგინეს. ამ დროს იქნა გაჭრილი დასავლეთის კარიც. ამავე საუკუნის ბოლოს ქართლის მეფის გიორგი XI-ის ბრძანებით ბოლნისელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა ეკლესია კვლავ შეაკეთა, მოახატვინა და ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით სამრეკლოც აღმართა (ნახ. 3. სამრეკლო). ამის შესახებ გვამცნობს სამრეკლოზე განთავსებული წარწერა. ბოლნისის სიონი ქართულ ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა შორის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი სამნავიანი ბაზილიკაა შვერილი ნახევარწრიული აფსიდით, ღია თაღოვანი გალერეით ჩრდილოეთ ფასადის გაყოლებით (მთელს სიგრძეზე), მეორე მცირე თაღოვანი გალერეით და სანათლავი ოთახით (ბაპტისტერიუმით) სამხრეთის მხარეს. ნაგებია მომწვანო ფერის კარგად თლილი კვადრებით. დასავლეთი კედლის საშენ მასალაში ჭარბობს აგური, რაც გვიანი ხანის რესტავრაციის შედეგია. ნავები გაყოფილია ჯვრისებრი განივკვეთის მქონე ბოძების ხუთი წყვილით (ნახ. 4. ტაძრის გეგმა). სამივე ნავი გადახურულია საერთო ორკალთიანი სახურავით. შუა ნავი სხვებზე მაღალი და განიერია. შუა ნავი სრული კამარით, ხოლო გვერდითა ნავები ნახევარკამარებით იყო გადახურული. ტაძარში შესასვლელი იყო არა დასავლეთიდან (დღევანდელი კარი XVII საუკუნეშია გაჭრილი), არამედ ერთი სამხრეთიდან, ორი კი ჩრდილოეთიდან. აქვს სადიაკვნე და სამკვეთლო – მღვდელთმსახურებისთვის საჭირო დამატებითი სადგომები საკურთხევლის სამხრეთით და ჩრდილოეთით (ჩნდება VI საუკუნიდან).





ნახ. 2



ნახ. 3

შესასვლელების თავზე ღია ლუნეტებია, თაღებსა და კამარებს ნალისებრი მოხაზულობა აქვთ (გავრცელებული იყო მხოლოდ VII საუკუნემდე). პირველად ვხვდებით სკულპტურული და ორნამენტული სამკაულის გამოყენებას.

ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით შემკულია ჩრდილოეთის გალერეა, ნავის პილასტრების და სანათლავის ცალკეული ბაზისები და სვეტისთავები. შთამბეჭდავი მონუმენტურობით გამორჩეულ ინტერიერში (ნახ. 5. ინტერიერი) დიდი ყურადღება ეთმობა შიგა სივრცის მხატვრულ გადაწყვეტას. ტაძარი მორთულია გასაოცარი რელიეფური ქანდაკებებით: ხარის თავით, ფრინველთა თუ ცხოველთა გამოსახულებით, აგრეთვე სხვადასხვაგვარი გეომეტრიული და მცენარეული (ნახ. 6. ჩუქურთმა) ჩუქურთმებით (ნახ. 7. ჩუქურთმა). ბოლნისის ტაძრის

ფასადებმა შემოგვინახა დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი უძველესი ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებიც უძველესია იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ იუდეის უდაბნოში 1952 წელს აღმოჩენილი პალესტინის ქართული მონასტრის წარწერების შემდეგ. ერთი წარწერა მოთავსებულია აღმოსავლეთის ფასადზე, საკურთხევლის სარკმლის თავზე, მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვრის გარშემო (ნახ. 8. ბოლნისის სიონის V საუკუნის წარწერა). წარწერა ივანე ჯავახიშვილმა V საუკუნის დამლევითა და VI საუკუნის დასაწყისით დაათარიღა, რაც დაადასტურა 1937 წელს გათხრების დროს აღმოჩენილმა ოთხსტრიქონიანმა მეორე წარწერამაც. ეს წარწერა მოთავსებული ყოფილა ჩრდილოეთით მარცხენა კარის თავზე გადებულ ქვაზე. ამჟამად ეს ქვა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (ადგილზე კი ასლია ჩასმული). მესამე წარწერა მოთავსებულია ჩრდილოეთით მარჯვენა კარის თავზე და ეხება ტაძარზე კარის შებმის ამბავს. ყველა წარწერა ლაპიდარულია და შესრულებულია მსხვილი მთავრული (მრგლოვანი) ასოებით.



ნახ. 5





ნახ. 8

ბოლნური ჯვარი (ინგლ. Bolnisi cross) – ქრისტიანული ჯვარი, რომლის თანაბარი ზომის მკლავები ბოლოსკენ ფართოვდება. ხშირად წარმოდგენილია წრეში ჩახაზული ფორმით. საქართველოში მისი ყველაზე ადრეული და ამავე დროს ყველაზე ცნობილი გამოსახულება ბოლნისის სიონის ტაძრის ფასადის ქვაზეა გამოსახული და V საუკუნით თარიღდება (ნახ. 1). სწორედ მას უკავშირდება ბოლნური ჯვრის სახელწოდებაც. ჯვრის ირგვლივ ამოკვეთილია

უძველესი ქართული ასომთავრული (მრგლოვანი) წარწერა. სავარაუდოდ, ჯვრის ეს ფორმა იმპერატორ კონსტანტინე დიდს უნდა უკავშირდებოდეს. დღეს ბოლნური ჯვარი ერთ-ერთი ქართული ეროვნული სიმბოლოა და გამოყენებულია ეროვნულ სიმბოლიკაში (მათ შორის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გერბსა და დროშაზე). მისი მცირედ სახეცვლილი ფორმა კი საქართველოს ე.წ. ხუთჯვრიანი დროშის შემადგენელი ნაწილია. ბოლნური ჯვრის განსაკუთრებით ფართო გავრცელების არეალია ქვემო და შიდა ქართლი (ნახ. 2. კირბის წმინდა სამების სახელობის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე გრეხილით შექმნილ მედალიონში ჩაწერილი ბოლნური ჯვარი, საქართველო; ნახ. 3. ქვეშის ეკლესია, საქართველო), ქუთაისი (ნახ. 4. ბოლნური ჯვარი უქიმერიონის ციხის კედელზე, ქ. ქუთაისი, საქართველო); მცხეთა (ნახ. 5. ბოლნური ჯვარი მცხეთის ჯვრის მონასტრის ფასადზე), სამცხე, გვხვდება აგრეთვე აჭარაში (ბობოყვათი), სამეგრელოში (ნოქალაქევი), აფხაზეთსა (მრამბა, წებელდა) და სხვა მხარეებში.

ზოგადად, პირველი ცივილიზებული ხალხი, რომელიც ფართოდ იყენებდა ჯვარს როგორც სიმბოლოს, იყვნენ ძველი ეგვიპტელები (მაგ., ჯვარი „ანხი“ – სიცოცხლისა და ღმერთების სიმბოლო; ჯვარი „ანუ“– ზეციური ღმერთი); ასირიელები (რგოლში ჩასმული ჯვარი განასახიერებდა მზის ღმერთ აშურას ერთ-ერთ ატრიბუტს); ინდოელები (ჯვარს გამოსახავდნენ თავსაბურავებსა და ღმერთ კრიშნას ხელებზე); სამხრეთ ამერიკელი მუისიკის ხალხს სჯეროდა, რომ ჯვარი ახდენდა მავნე სულების განდევნას და ათავსებდნენ მას ახალშობილის საწოლში და სხვ. მსოფლიოში გავრცელებული ისტორიული ჯვრის სახეებია: ასირიული, ძველეგვიპტური, კელტური, ბერძნული, ლათინური, მართლმადიდებლური, პაპის, ბოლნური, ბიზანტიის, სომხური, მალტური, ტევტონური, წმინდა ნინოს, იერუსალიმის, ბასკური, მაკედონიური და სხვ.



ნახ. 2



ნახ. 4

ბომონი – იხ. საკერპე.

ბონა – ტივტივა მორი, მცურავი ზღუდე მდინარეებზე და ზღვის უბეებში.

ბონდი – 1. საქვეითო (საცალფეხო, საფეხმავლო) დაკიდებული ხიდი, რომლის მზიდ ნაწილს წარმოადგენს ფოლადის ბაგირები გაჭიმული ერთი ნაპირიდან მეორემდე, ხოლო სავალ ნაწილად გამოყენებულია ფიცრული ფენილი (ნახ. 1. საფეხმავლო ხიდი მდ. გუბისწყალზე, ხონის მუნიციპალიტეტი, საქართველო); 2. ძვ. გაბმული ხიდი.



ნახ. 1

ბონდირებული ტვირთი – იმპორტული საქონლის ტვირთი საბაჟოს საწყობში, რომლისთვისაც ჯერ არც ბაჟია გადახდილი და არც საბაჟო ფორმალობებია დაცული.

ბონდჰოლდერი (ინგლ. bond კავშირი და holder საჭერი) – აქციების, ფასიანი ქაღალდების მფლობელი.

ბონიტეტი (ლათ. bonitas კეთილხარისხოვნობა) – მოსაჭრელად განკუთვნილი ტყის ხარისხიანობის მაჩვენებელი ბონიტეტის კლასი, სპეციალური სატაქსაციო ცხრილის მეშვეობით, დგინდება ხეების რაოდენობის, სიმაღლისა და დიამეტრის მიხედვით. ის დამოკიდებულია აგრეთვე ჰავაზე, ნიადაგზე, მოვლაზე.

ბონიფიკაცია (ლათ. bonus კეთილი, კარგი და facio კეთება) – დანამატი საქონლის ფასზე, თუ საქონლის ხარისხი ხელშეკრულებით დადგენილზე მაღალი აღმოჩნდება.

ბონსაი (იაპ. bon ფიალა და sai დარგვა) – ჯუჯა მცენარეების ხელოვნური გამოყვანა, რომლებისაგან იაპონელებმა შექმნეს მინიატურული ბაღები (ნახ. 1).



ნახ. 1

ბორა – ადგილობრივი ძლიერი ქარი, რომელიც ქრის დაბალი სიმაღლის მთებიდან (100 მ-მდე) თბილი ზღვის მიმართულებით.

ბონუსი (ლათ. bonus კეთილი, კარგი) – 1. დამატებითი გასამრჯელო, პრემია; 2. თანხა, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით გადაეცემა სახელმწიფოს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს ან სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობის და გაზის მარაგების აღმოჩენისას, ანდა ნავთობისა და გაზის მოპოვების გარკვეული დონის მიღწევისას ან სხვა შემთხვევებში.

ბორაზონი – იხ. ელბორი



ნახ. 1

ბორანი – 1. ერთმანეთთან შეერთებული ორი ბრტყელძირა ნავი (ნახ. 1); 2. სრუტეებზე, ზღვებზე რკინიგზის ვაგონების, ავტომობილების, საქონლის, ხალხის გადასაყვანი სპეციალური გემი.

ბორატები – ბორმჟავას მარილები, რომელიც გამოიყენება წყლის დასარბილებლად, სარეცხი ფხვნილების დასამზადებლად და სხვ.

ბორბალი – 1. ამა თუ იმ მასალისაგან დამზადებული წრიული რგოლი (წრე), რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო და ამოძრავებს ავტომობილს (ნახ. 1), ვაგონს, ეტლს და სხვა გადასაადგილებელ საშუალებებს; 2. ღვედური ან ბაგირული გადაცემის დეტალი (ნაწილი); თვალი, რომლის ფერსოს აქვს ცილინდრული ან დაპროფილებული (სოლური ღვედებისთვის) ფორმა. ბორბალი შეიძლება იყოს ამყოლი, ამძრავი, არქიმედეს, ბაგირის, დამჭიმი, კონუსური, ლითონის, მიმმართველი, პლასტმასის, სათადარიგო, სამუშაო, სამუხრუჭო, საფეხურიანი, საღვედე, საჭის, სხმული კონსტრუქციის, ფრიქციული, შედგენილი კონსტრუქციის, ღაროვანი, ცილინდრული, წამყვანი, წიბოებიანი, ხისა და სხვ.



ბორბოჭკოვანა – კომპოზიტი, რომელიც შედგება პოლიმერისა (მოდიფიცირებული ეპოქსიდური და პოლიამიდური შემკვრელი) და ბორის ბოჭკოებისაგან (მატრიცა). გამოირჩევა მაღალი სიმტკიცით ჭიმვის, ძვრისა და ჭრის დროს, დაბალი დენადობით, მაღალი სიმაგრითა და დრეკადობის მოდულით, თბო- და ელექტროგამტარობით. ბორის უწყვეტი ბოჭკოს გარდა, გამოიყენება კომპლექსური გადახლართული ბორმინაძაფი, რომელიც მას აძლევს ფორმის მდგრადობას. ბორმინაძაფის გამოყენება ამსუბუქებს მასალის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესს. ბორბოჭკოვანას აქვს მაღალი წინაღობა დაღლილობისადმი, მდგრადია რადიაციის, წყლის, ორგანული გამხსნელებისა და საპოხ-საწვავი მასალების მიმართ.

ბორდიური [შუაინგლ. bordure<ძვ. ფრანგ. bordure ნაწიბური, ნაკერი, ფარის კიდე, საზღვარი<შუა ზემოგერმანული bort გვერდი (განსაკუთრებით გემისა), მხარე] – 1. გზის, ტროტუარის, მოედნის, ბილიკის, გაზონის და მისთ. გამომყოფი თვალსაჩინო ზოლი (ნახ. 1), რომელიც შესრულებულია ბუნებრივი თლილი ქვით, ხელოვნური ქვით, ბეტონით, პლასტმასით, ლითონით და სხვ.; 2. საბაღე-საპარკე ხელოვნების ერთ-ერთი სახე – ვიწრო ზოლი ტანმორჩილი მცენარეებისა (სიმაღლით 1 მ-მდე), რომელიც შემოზღუდავს ბილიკსა და ყვავილნარს პარკებსა და ბაღებში. გამოიყენება



ნახ. 1

ხშირფოთოლა მცენარეები, რომლებიც კარგად ექვემდებარება გაკრეჭას (ბზა, შინდი, ტუია, ვარდი, ზამბახი და სხვ.); 3. შპალერის ვიწრო დეკორატიული ზოლი; ქსოვილის, ხალიჩის, შპალერის კიდეებზე შემოვლებული ზოლი; არშია; 4. პოლიგრ. სამკაული ტექსტის გარშემო.

ბორდიური კუთხის – 1. ძირითადად მართკუთხა პროფილის კერამიკული ან თლილი ქვის ბორდიური, რომელიც გამოიყენება სველი სათავსების მოსაწყობად; 2. ბეტონის მართკუთხა პროფილის ბორდიურების რიგი, შენობის ირგვლივ მოწყობილი სარინელის გარე კიდის ჩასაკეტად.

ბორდიური მაგისტრალური – ზომების მიხედვით ყველაზე დიდი, ბეტონის ან თლილი ქვის ბორდიური, რომელიც გამოიყენება მაგისტრალურ ტრასებზე ქალაქებს შორის, ხიდებზე და გზაჯვარედინებზე. საქართველოში მზადდება სამი ზომის: 1000x300x180; 1000x450x150 და 1000x450x180 მმ.

ბორდიური პარაპეტის – საგრძეზე დალაგებული ქვის ან ბეტონის ბორდიურების რიგი, რომელიც შენობის ან მისი ნაწილების პარაპეტის მოვალეობას ასრულებს.

ბორდიური საბაღე – ბეტონის ან თლილი ქვის ბორდიური, რომელიც გამოიყენება კერძო საბაღე ფართობებისა და საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოსაწყობად. საქართველოში მზადდება ორი ზომის: 1000x200x80 და 500x200x80 მმ. ნახევარი მეტრის სიგრძის ბ. ძირითადად გამოიყენება ნაკვეთში მრუდი დეკორის (ხაზების) გამოსაყვანად.

ბორდიური საგზაო – ბეტონის ან თლილი ქვის ბორდიური, რომელიც გამოიყენება საქალაქო გზების, ეზოებისა და საპარკე ზონების კეთილმოსაწყობად. საქართველოში მზადდება ერთი ზომის: 1000x300x150 მმ.

ბორდიური ფასადის – სპეციალური მოსაპირკეთებელი ქვის ან ბეტონის თხელი ბორდიურების რიგი, რომელიც ვიზუალურად გამოყოფს შენობის ცოკოლს ფასადისაგან.

ბორეა (ბორეასი) – იხ. ბორიო.

ბორი (ლათ. Borum) – უფერო, რუხი, წითელი კრისტალური ან მუქი ამორფული ნივთიერება. ცნობილია მისი 10-ზე მეტი ალოტროპიული მოდიფიკაცია. ბორი წარმოადგენს ტრივიალურ მეტალოიდს, რომელიც დიდი რაოდენობით გვხვდება ბორაქსის და ალექსისტის აქროლად საბადოებში. სიმბოლო – B; სიმკვრივე – 2080 კგ/მ^3; დნობის ტემპერატურა – 2076°C; დუღილის ტემპერატურა – 3928°C; სიმაგრე მოოსის სკალით 9,5. ამორფული ბორი – მურა ფერის ფხვნილია, კრისტალური ბორი კი შავი ფერისაა, რომელიც საკმაოდ მძიმეა და ოთახის ტემპერატურაზე სუსტი გამტარია. ბორი მყიფე და ძალიან მაგარი ნივთიერებაა (ჩამორჩება მხოლოდ ალმასს, ნახშირბადის ნიტრიდს, ბორის ნიტრიდს, ბორის კარბიდს, ბორი-ნახშირბად-სილიციუმის შენადნობს, სკანდიუმ-ტიტანის კარბიდს). გამოიყენება დანამატების სახით ნახევარგამტარების ინდუსტრიაში, კომპოზიტურ მასალებში, ხოლო მისი ნაერთები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ როგორც მსუბუქი სტრუქტურული მასალები, ინსექტიციდები (მწერების საწინააღმდეგოდ), კონსერვანტები და რეაგენტები ორგანული სინთეზისათვის. პირველად მიღებულ იქნა 1808 წელს ფრანგი ფიზიკოსის ჟოზეფ ლუი გეი-ლუსაკის და ლუი ჟაკ ტენარის მიერ, ბორის ანჰიდრიდის B_2O_3-ის გახურებით ლითონურ კალიუმთან ერთად. ელემენტარული ბორი ბუნებაში არ გვხვდება. ის შედის ბევრ ნაერთში და ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით მცირე

კონცენტრაციებით ბოროსილიკატების და ბორატების სახით, ასევე იზომორფული მინარევების სახით შედის ბევრი ამოფრქვეული და დანალექი ქანის მინერალებში. არის ნავთობში და ზღვის წყალში, მარილიან ტბებში, ცხელ წყაროებსა და ვულკანურ ტალახში. ბორის მინერალების ძირითადი ფორმებია: ბოროსილიკატები (დატოლიტი, დანბურიტი) და ბორატები (ბურა, აშარიტი, ჰიდრობორაციტი, ინიოიტი, კალიბორიტი). ბორის ბოჭკოები წარმატებით გამოიყენება თანამედროვე პოლიმერული კომპოზიტური მასალების მატრიცების დაარმირებისათვის, სუფთა ბორი – მეტალურგიაში, როგორც მიკრომალეგირებელი ელემენტი (მნიშვნელოვნად ზრდის ფოლადების გლინვადობას), ბორის ნაერთები – გაზოდინამიკური საკისრების დასამზადებლად, ბორ-ნახშირბად-სილიციუმი – აბრაზიულ მასალად, ბორმჟავა (H_3BO_3) – ატომურ ენერგეტიკაში, ბორწყალბადები – სარაკეტო საწვავად და სხვ.

ბორიო – ძლიერი და მძაფრი ქარი, წარმოიქმნება უმთავრესად წლის ცივ პერიოდში და მკვეთრ აცივებას იწვევს.

ბორობუდური (ბარაბუდური) – მაჰაიანა ბუდიზმის IX საუკუნის მონუმენტი ინდონეზიის კუნძულ იავას ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ მაგელანგის სიახლოვეს (ნახ. 1. პანორამული ხედი). მონუმენტი შედგება ერთმანეთზე ნაგები ექვსი მართკუთხა და სამი წრიული პლატფორმისაგან (ნახ. 2. პანორამული ზედხედი) და შემკულია 2 672 რელიეფური პანელითა და ბუდას 504 ქანდაკებით. მთავარი გუმბათი მდებარეობს ზედა პლატფორმის ცენტრში. მას ირგვლივ გარს აკრავს მოჩუქურთმებული ზარის ფორმის სტუპები (ნახ. 3), რომლებშიც განთავსებულია ფეხმორთხმული ბუდას 72 ქანდაკება. მონუმენტი მეუფე ბუდას უწმინდესი სალოცავი და ბუდისტ პილიგრიმთა ერთ-ერთი უმთავრესი მოსალოცი ადგილია. მდებარეობს ქალაქ ჯოკიაკარტიდან 40 კმ-ით ჩრდილოეთით, ორ ტყუპ ვულკანსა (სუნდორო-სუმბინგი და მერბაბუ-მერაპი) და ორ მდინარეს (პროგო და ელო) შორის, შემაღლებულ ადგილას. ბ. ნაგებია, როგორც ერთი, ცალკეული დიდი სტუპა. მისი ხედი სიმაღლიდან ვაჯრაიანა ბუდიზმის გიგანტური მანდალის ფორმას იღებს, რაც ერთდროულად განასახიერებს ბუდისტურ კოსმოლოგიასა და აზროვნების ბუნებას. საძირკველი კვადრატულია, დაახლოებით 118 მეტრი ყოველ მხარეს. აქვს ცხრა პლატფორმა, რომელთაგან ქვედა ექვსი მართკუთხაა, ზედა სამი კი წრიული. ზედა პლატფორმებზე განლაგებულია ოცდაორი პატარა სტუპა, რომლებიც გარს ერტყმის ერთ დიდ ცენტრალურ სტუპას. თითოეული სტუპა სათუთად ნაკვეთია და გამოირჩევა მრავალი დეკორატიული ნახვრეტით. ბუდას ქანდაკებები (ნახ. 4) ჩამწკრივებულია გამოკვეთილი შესასვლელების მიღმა. მონუმენტის სამი დანაყოფი განასახიერებს ბუდისტური კოსმოლოგიის სამ "სამეფოს", რომელთაც ეწოდებათ



ნახ. 1



ნახ. 2

კამადჰატუ (სურვილების სამყარო), რუპადჰატუ (ფორმების სამყარო) და ბოლოს არუპადჰატუ (უფორმო სამყარო). საძირკვლის, მთავარი და ზედა ნაწილების 4:6:9 სიმაღლის პროპორციის შესაბამისად, ბ. მშენებლობისათვის ახლომდებარე ქვის კარიერიდან 55 000 კუბური მეტრი ანდეზიტის ქვა იქნა მიზიდული. ქვები ზომებად დაიჭრა, შემდეგ გადაიტანეს მშენებლობის ადგილზე და ერთმანეთზე დააწყვეს კირხსნარის გარეშე. ქვების შესაერთებლად გამოყენებულია კოპები, კბილანები და მაკრატლები. ბარელიეფები შეიქმნა მშენებლობის დასრულების შემდეგ, ადგილზე. მონუმენტი აღჭურვილია კარგი სადრენაჟო სისტემით, რაც აუცილებელი იყო დატბორვის თავიდან ასაცილებლად არეალის ატმოსფერული ნალექების მაღალი მაჩვენებლის გამო. ყველა კუთხესთან დაყენებულია 100 საწვეთური და თითოეული მათგანისთვის მიცემულია უნიკალური, გიგანტის ფორმის გორგულია. მთავარი სტრუქტურა შეიძლება დაიყოს სამ კომპონენტად: საძირკვლად, მთავარ ნაწილად და ზედა ნაწილად. საძირკვლის ზომებია 123×123 მ და 4 მეტრიანი კედლები. მთავარი ნაწილი შედგება ხუთი მართკუთხა პლატფორმისგან, რომელთაგან თითოეულის სიმაღლე თანდათან მცირდება. პირველი ტერასა საძირკვლის კიდეს 7 მეტრითაა დაცილებული. ყოველი მომდევნო ტერასა წინა კიდეს 2 მეტრით შორდება, რაც თითოეულ სართულზე ვიწრო კორიდორს ტოვებს. ზედა ნაწილი შედგება სამი წრიული პლატფორმისაგან, რომელთაგან თითოეულ ეტაპზე კონცენტრულ წრეებად ჩამწკრივებულია სტუპები. ცენტრში აღმართულია მთავარი გუმბათი, რომელიც მონუმენტის უმაღლესი მწვერვალია და მიწის ზედაპირიდან 35 მეტრ სიმაღლეზეა. ოთხივე მხრიდან, მწვერვალისკენ მიემართება კიბეები, რამდენიმე თაღოვანი შესასვლელითა და აღმართული ლომის 32 ქანდაკებით. ბორცვის ფერდობებზე არსებული კიბეები მონუმენტს ასევე აკავშირებს შედარებით დაბლა არსებულ ვაკესთან. მონუმენტი ამჟამად ინდონეზიის ყველაზე პოპულარული ტურისტული ღირსშესანიშნაობაა.





ბორპლასტიკი – კომპოზიტური მასალა, რომელშიც შემავსებლად გამოყენებულია ბორის ბოჭკოები, ჩანერგილი თერმორეაქტიულ პოლიმერულ მატრიცაში. ეს ბოჭკოები შეიძლება იყოს მონოძაფის ან ჩალიჩის სახით, რომელიც გადახლართულია მინის ბოჭკოებით ან ლენტით, რომელშიც ბორის ძაფები გადახლართულია სხვა ძაფებით. ასეთი ძაფების დიდი სიმტკიცის გამო, მიღებული მასალა გამოირჩევა მაღალი მექანიკური თვისებებით (ბორის ბოჭკობს აქვთ ძალიან მაღალი სიმტკიცე კუმშვისას შედარებით სხვა მასალის ბოჭკოებთან) და მედეგობით აგრესიული გარემოს მიმართ, თუმცა დიდი სიმყიფის გამო ძნელდება მისი დამუშავება და, შესაბამისად, რთული ფორმის ნაკეთობების დამზადება. გარდა აღნიშნულისა, ბორის ბოჭკოების გამოყენება ჩვეულებრივ კონსტრუქციებში შეზღუდულია

დიდი ფასის გამო (დაახლოებით 400 ამერიკული დოლარი 1 კგ – 2018 წლის ფასებით). ბორპლასტიკებს უმეტესად იყენებენ საავიაციო და კოსმოსურ ტექნიკაში.

ბორტი (ძვ. ფრანგ. bord კიდე; ძვ. სკანდ. borth ფიცარი, მაგიდა) – 1. ხელოვნური ქვების (ბლოკების) ჩამოსასხმელი ფორმის ელემენტი, რომლის დანიშნულებაა შექმნას ნაკეთობის გარე პერიმეტრის ნაწილი ქვეშის სიბრტყის მიღმა; 2. ხომალდის კორპუსის გვერდითი ზედაპირი; 3. სატვირთო ავტომობილის ძარის გვერდითი ვერტიკალური ნაწილი; 4. ალმასის ფხვნილი ან სამრეწველო (ტექნიკური) ალმასი, რომელიც გამოიყენება ცეცხლგამძლე მასალის საჭრელად; 5. ნებისმიერი კონკრეტული საჰაერო ხომალდი, როგორც აღრიცხული ერთეული და მართვის ობიექტი (მაგ., "ბორტი 1977 ითხოვს დაჯდომას"); 6. ფიცარზე დაწერილი ხატის გვერდითი ნაწილი; 7. ტანსაცმლის (პალტო, პიჯაკი, ფრაკი და სხვ.) დეტალი; 8. საბილიარდე მაგიდის კიდე.

ბორჯღალი – ქართული წარმართული სიმბოლო, გამოყენებული ქართული ფულის, ლარის სიმბოლიკაში (ნახ. 1) და საქართველოს მოქალაქის პასპორტზე. ბ. მზის სიმბოლოა. ის განსხვავდება ქიმთა (სხივთა) რაოდენობით, საქართველოში ყველაზე გავრცელებულია 7-ქიმიანი ბ., რომელიც სიმბოლურად განასახიერებს კოსმოსს და წარმართულ ქართულ პანთეონში არსებული შვიდი წმინდა მნათობის ხატოვანი ნიმუშია. მათი ქართული სახელებია: მთოვარე (მთვარე), ჯუმა (მერკური), მთიები (ვენერა), მარიხი (მარსი), დიო (იუპიტერი), ზუალი (სატურნი) და ჰელიო (მზე). ბორჯღალი წრიული ფორმის მრავალფრთიანი გამოსახულებაა. წარმომავლობით ეს არის თავისი ღერძის ირგვლივ დატრიალებული სვასტიკური ჯვარი – საკმარისია სვასტიკას (უძველესი ინდო-ირანული სოლარული სიმბოლო) თუნდაც ერთი ფრთა მიემატოს, ის ბორჯღალად იქცევა. ბორჯღალის მზიური სიმბოლიკითაა გაჯერებული ქართული ორნამენტიკა. ბ. ოდითგანვე წმინდა ჩუქურთმად ითვლებოდა და ერთ-ერთი ყველაზე საკრალური ლოგოგრამა იყო. მას აქტიურად იყენებდნენ ძველი სახლების, კერების და დარბაზების მოჩუქურთმების დროს. ბ. ორნამენტს ხშირად შევხვდებით ძველი ქართული სახლების აივნებზე, კარიბჭეზე, შრომისა და საბრძოლო იარაღებზე. ბორჯღალს უკავშირებდნენ მზეს, ბორბალს. ტერმინ "ბორჯღალის" ეტიმოლოგია მრავალგვარია. მაგ., ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში მოხსენიებულია როგორც „წარმომქმნელი“; მეგრულად "ბარჩხალი" – ნათება, ელვარება, კაშკაში. დღევანდელ სალაპარაკო მეგრულში “ბჟა ბარჩხალია” – იტყვიან მცხუნვარე, მოკაშკაშე, სხივებდაფენილ მზეზე, საერთოდ მნათობებზე (ზოგი მკვლევარის აზრით “ბორჯღალ” დროის სვლას, ჟამის წამღებს, მარადისობას ნიშნავს. დრო ტრიალებს ისე, როგორც დედამიწა მზის გარშემო და ამ წრებრუნვით დრო გადის ულევად. მარადიულობის განსახიერებაა. აქვე აღსანიშნავია, რომ “ღალ” (ი) მეგრულად მდინარესაც აღნიშნავს, ანუ გამდინარეა, რომელიც მუდმივ მოძრაობაშია); ძველი ქართულის მიხედვით ბ. ნიშნავს “ფესვს, საძირკველს”, აქედან არის ნაწარმოები მისი გვიანდელი ფორმა “ბურჯი”. სიტყვა “ღალ” ნიშნავს „წმინდა (ჯანსაღ) ნაყოფს”, „მოსავალს“, „გამოსავალს“, „ბარაქას“. მაშასადამე ბორჯღალი სიტყვა-კომპოზიტია და ნიშნავს – ბურჯის (ბორჯი), იგივე ფესვის – გამოსავალს, „წმინდა ნაყოფს“, ბარაქას. იკითხება, როგორც ბურჯიდან (ბორჯი), იგივე წმინდა ფესვიდან, აღმოცენებული „წმინდა“ (ჯანსაღი) ნაყოფი; ბ. ასევე ეწოდება ირმის რქასა და ხის ისეთ მსხვილ ტოტს, რომელიც მდიდარია შედარებით წვრილი ტოტებით.

ირმის რქა ოდითგანვე მიიჩნეოდა სიცოცხლის ხის სიმბოლოდ, ხოლო მისი ცვლა ქართულ მითოლოგიაში უკვდავების მინიშნება იყო.

ბოსელი – მსხვილფეხა საქონლის სადგომი.

ბოსკეტი (ფრანგ. bosquet<ძვ. გერმ. busc ბუჩქი) – დეკორატიული მიზნებით გაშენებული ხშირი ხეების ან ბუჩქების ჯგუფი ბაღში, რომელიც შემოსაზღვრულია ცოცხალი ღობით. ბაროკოს ეპოქაში ბოსკეტის შიგა სივრცეს ეწოდებოდა კაბინეტი ან მწვანე დარბაზი.

ბოტანიკური ბაღი – 1. მწვანე მასივი სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარებისათვის ბოტანიკის, მემცენარეობისა და დასახლებული ადგილების გამწვანების მიზნით (ნახ. 1. მალენის ბოტანიკური ბაღები,





ავსტრალიის კავშირი); 2. ფართობი, რომელზეც გაშენებულია გამორჩეული, ენდემური, იშვიათი ჯიშის მცენარეები. ასეთებია მაგ., მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შემოტანილი კაქტუსები და სხვა სუკულენტები (ნახ. 2. სუკულენტური მცენარეები ჰენბერის ბოტანიკური ბაღში, ქ. ვენტიმილია, იტალიის რესპუბლიკა), ტროპიკული (ნახ. 3. ფაირჩილდის



ტროპიკული ბოტანიკური ბაღი, ქ. კორალ-გეიბლსი, აშშ), ალპური და სხვა ეგზოტიკური მცენარეები. ბოტანიკურ ბაღში, ასევე შეიძლება განთავსებული იყოს ბალახოვანი ბაღები, სათბურები, წყალსატევები, ჩანჩქერები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები და სხვ. თანამედროვე ბოტანიკური ბაღების წარმოშობა შეიძლება დავუკავშიროთ ევროპულ შუა საუკუნეების სამკურნალო ბაღებს. პირველი ასეთი ბაღი დაარსდა იტალიური რენესანსის პერიოდში, მე-16 საუკუნეში. სამკურნალო მცენარეების მიმართ ასეთი დაინტერესება მე-17 საუკუნის ევროპის ბაღებში სხვა ქვეყნებიდან ახალი მცენარეების შემოტანისა და მათი კვლევის ინტერესით შეიცვალა, რამაც განაპირობა ბოტანიკის თვითდამკვიდრება მედიცინისაგან დამოუკიდებლად. მე-18 საუკუნის მიწურულს ევროპული იმპერიალიზმის სწრაფი აღმავლობის პერიოდში ბოტანიკური ბაღები დაარსდა ტროპიკულ ქვეყნებშიც [ნახ. 4. ამაზონის ვიქტორიები (გიგანტური წყლის შროშანები) სერ სევოსაგურ რამგოლამის ბოტანიკურ ბაღში (პამპლემუსის ბოტანიკური ბაღი), მავრიკის რესპუბლიკა], რომელთა საკვანძო ცენტრიც იყო კიუს სამეფო ბოტანიკური ბაღები

ლონდონში. თითოეული ბოტანიკური ბაღი ცალკეული ქვეყნის მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობაა (ნახ. 5. გეტებორგის ბოტანიკური ბაღი, შვედეთის სამეფო), სადაც სტუმრებისათვის ხშირად ეწყობა ტურისტულ ტურები, საგანმანათლებლო და ხელოვნების გამოფენები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, თეატრალური და მუსიკალური წარმოდგენები და სხვ. საქართველოში ბოტანიკური ბაღები ფუნქციონირებს თბილისში (იხ. თბილისის ბოტანიკური ბაღი), ბათუმში (იხ. ბაღი, პოზ. 7), ქუთაისში, ზუგდიდში, სოხუმსა და ბაკურიანში.





ბოფორტის სკალა – ქარის ძალის გასაზომი სკალა მიწისზედა საგნებზე ქარის მოქმედებისა და ზღვის ღელვის მიხედვით (ამჟამად მიღებულია 17-ბალიანი სკალა).



ბოქლომი – კარზე ჩამოსაკიდი საკეტი (ნახ. 1). არის სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების. გარდა სახლის შიდა და გარე კარებისა, გამოიყენება გარაჟების, სარდაფების, კონტეინერების, სატვირთო მანქანების, რკინიგზის ვაგონებისათვის და სხვ. ისეთ ადგილებში, სადაც საჭიროა მაღალი დონის უსაფრთხოება, ბოქლონებს ამზადებენ ნაწრთობი ფოლადისაგან.

ბოქსი (ძვ. ინგლ. box ხის კონტეინერი<გვიანდ. ლათ. buxis<ბერძ. pyxis ხის ყუთი) – 1. იზოლირებული პალატა, ჰერმეტული კამერა, ავტომობილის ცალკე სადგომი; 2. კონტეინერი ბრტყელი ძირით, სახურავითა და გვერდებით, რომელსაც აქვს კვადრატული ან მართკუთხა ფორმა; 3. კომპიუტერის ეკრანის ნაწილი, სადაც თავსდება მომხმარებლის ინფორმაცია; 4. საჯირომო ფართობი; 5. ცალკე უბანი ან დახურული მოცულობა დიდ შენობაში, თეატრში, სპორტულ ბაზაზე ან სასამართლოში ადამიანების (მნახველები, სტუმრები, მსახიობები, სპორტსმენები, მოწმეები) იზოლირებულად განსათვსებლად; 6. ქალაქგარეთა პატარა სახლი მონადირეებისა და მეთევზეებისათვის; 7. მექანიზმის ნაწილის დამვავი გარსაცმი; 8. საფოსტო ყუთი, სადაც მომხმარებელს შეუძლია გაგზავნოს ან მიიღოს კორესპონდენცია; 9. ერთგვარი ტყავი, დაქრომვით გამოყვანილი.

ბოქსიტი [ფრანგ. bauxite<საფრანგეთის ქ. ლე ბოს (Les Baux) სახელის მიხედვით] – ალუმინის ჰიდროჟანგებით მდიდარი დანალექი ან ელუვიური ქანი, რომელიც შემადგენლობითა და თვისებებით ალუმინის მადნების კონდიციებს შეესაბამება. ბოქსიტის გადამუშავებით ალუმინის გარდა მიიღება ცეცხლგამძლე მასალები.

ბოყვი – 1. ლითონის ფორმა შევსებული გამდნარი ლითონით, რომელშიც ის იქცევა ზოდად; 2. ხე ნეკერჩხლის გვარისა; 3. ხის ქერქის ჭურჭელი; 4. კუთხ. მეგრ. სახლის კედლის სამაგრი, ორმხრივ ამაღლებული ფიცრების დასამაგრებლად.

ბოძი – 1. რისამე ქვეშ შედგმული საყრდენი ძელი, ბოძკინტი, დგარი, სადგარი, საკავი, ბიგა; 2. ძვ. მცირე სვეტი.

ბოძკინტი – ამა თუ იმ დანიშნულების პატარა ზომის ბოძი.

ბოჭკო – მოქნილი, მტკიცე, გრძელი, ძაფისმაგვარი ტანი, რომლის სიგრძე მნიშვნელოვნად აღემატება განივკვეთის ზომებს. არსებობს ნატურალური (ბუნებრივი), მცენარეული (ბამბა, სელი, ჯუთი), ცხოველური (მატყლი, აბრეშუმი), მინერალური (აზბესტი) წარმოშობის და ქიმიური, რომელიც თავის მხრივ იყოფა ხელოვნურ და სინთეზურ ბოჭკოებად. ხელოვნური მიიღება მაღალმოლეკულური ბუნებრივი ნაერთის – ცელულოზასაგან. ცელულოზა იწარმოება მერქნისაგან ან ბამბეულის მრეწველობის ნარჩენებისაგან, ცხოველური და მცენარეული ცილებისაგან (ზეინი, კაზეინი). სინთეზური ბ. მზადდება სინთეზური პოლიმერებისაგან: პოლიამიდი, პოლიეთილენტერეფთალატი, პოლიაკრირნიტრილი, პოლიურეთანი, პოლივინილის სპირტი, პოლივინილქლორიდი, პოლიონეფილები და სხვ. ბ. შეიძლება დამზადდეს, როგორც გრძელი უწყვეტი ძაფის სახით, ისე მოკლე ბოჭკოების სახით (შტაპელური). კონსტრუქციული პლასტმასების წარმოებაში (მინაპლასტიკი, მინატექსტოლიტი) მაარმირებლად ფართოდ გამოიყენება მინის ბოჭკო. არსებობს ბოჭკოს მრავალი სახეობა: აზბესტის, კაპრონის, კიდური, მერქნის, მინერალური, მცენარეული, პოლიეთილენის, პოლისტირენის, საფეიქრო, სელის, სინთეზური, ტექნიკური, ქიმიური, ქოქოსის, შტაპელის, ცხოველური, წმინდა, ხელოვნური და სხვ.

ბოჭკო ქიმიური – საფეიქრო ბოჭკო, რომელიც მიიღება ბუნებრივი ან ორგანული პოლიმერებისაგან. საწყისი ნედლეულის მიხედვით ბ. ქ. იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ხელოვნური (ჰიდრატცელულოზა, აცეტილცელულოზა, ცილა) და სინთეზური ბოჭკოები (კარბოჯაჭვური, ჰეტეროჯაჭვური). ზოგჯერ, ქიმიურ ბოჭკოებს მიაკუთვნებენ აგრეთვე, მინერალურ ბოჭკოებს, რომელიც მიიღება არაორგანული შენაერთებისაგან (მინის, ლითონის, ბაზალტისა და კვარცისაგან). კარბოჯაჭვურ ბოჭკოებს მიეკუთვნება: პოლიაკრილნიტრილური (ნიტრონი, ორლონი, აკრილანი, კაშმილონი, კურტელი, დრალონი, ვოლპრიულა), პოლივინილქლორიდული (ქლორინი, სარანი, ვინონი, რივილი, თევირონი), პოლიეთილენური (სპექტრა, დაინემა, თექმილონი), პოლივინილსპირტული (ვინოლი, მთილანი, ვინილონი, კურალონი, ვინალონი) და პოლიპროპილენური (ჰერკულონი, ულსტრენი, ნაიდენი, მერაკლონი); ჰეტეროჯაჭვურ ბოჭკოებს მიეკუთვნება: პოლიეთერული (ლავსანი, ტერილენი, დაკრონი, ტეტერონი, ელანა, ტერგალი, ტესილი), პოლიამიდური (კაპრონი, ნაილონ-6, პერლონი, დედერონი, ამილანი, ანიდი, როდია-ნაილონი, ნიპლონი, ნომექსი, კერმელი) და პოლიურეთანული (სპანდექსი, ლაიკრა, ვაირინი, ესპა, ნეოლანი, სპანცელი, ვორინი). მრეწველობაში ბ. ქ. გამოდის შტაპელის, ჩალიჩის, კომპლექსური ძაფისა და მონოძაფის სახით.

ბოჭკოვანი ცემენტის სამოსი – ხელოვნური ბოჭკოებით დაარმირებული პროდუქტი, დამზადებული არაორგანული ჰიდრავლიკური ან სილიკატ-კალციუმის შემკვრელისაგან, რომლის ფორმირებაც ხდება ქიმიური რეაქციით და დაარმირებულია ორგანული ან არაორგანული, ან ორივე, არააზბესტური ბოჭკოებით. დასაშვებია დანამატების გამოყენება, რომლებიც ზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას და აუმჯობესებს მის თვისებებს. ბ. ც. ს. აქვს გლუვი ან ტექსტურული ზედაპირი და განკუთვნილია ექსტერიერის კედლისათვის.

ბოკვი – 1. რაიმე ნაგებობის, შენობის საყრდენი ბოძი (ხმარობენ იმერეთში); 2. ბაგირის მისამაგრებელი რკინის პალო (ნახ. 1).



ნახ. 1



ბრა (ფრანგ. bras ხელი) – 1. კედელზე მისამაგრებელი ერთ ან რამდენიმე ელექტრონათურიანი არმატურა; ინტერიერის დეკორატიული ელემენტი (ნახ. 1); 2. კედლის შანდალი.

ბრაკერაჟი (მვ. ინგლ. broco გადამყიდველი, ღვინით მოვაჭრე) – მზა საქონლის ხარისხის შემოწმება ოფიციალური საქონელმცოდნეების მიერ; ცუდი ხარისხის ნაწარმის გადარჩევა; წუნდება.

ბრანდმაუერი (გერმ. brandmauer სახანძრო კედელი<brand ხანძარი და mauer კედელი) – 1. კაპიტალური ხანძარსაწინაღო (ცეცხლგამძლე) კედელი, რომელსაც აგებენ უწვადი მასალისაგან შენობებს (სათავსებს) შორის. მისი დანიშნულებაა ხელი შეუშალოს ცეცხლის გავრცელებას შენობის ნაწილებს შორის; 2. ორ სახლს შორის აშენებული ქვის კედელი შესაძლო ხანძრის ლოკალიზების მიზნით; 3. გარე რეკლამის სახესხვაობა: პლაკატი განთავსებული შენობის ტორსულ კედელზე (ბრანდმაურული პანო); 4. ინფორ. პროგრამული ან აპარატული ბარიერი ორ ქსელს შორის, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს მხოლოდ ავტორიზებული ქსელთაშორისი შეერთება. ბ. იცავს ინტერნეტთან შეერთებულ კორპორატიულ ქსელს გარე შეღწევისაგან და გამორიცხავს კონფიდენციალურ ინფორმაციასთან წვდომას. პრაქტიკაში მას ზოგჯერ ქსელთაშორის ეკრანსაც უწოდებენ.



ბრანდსპოიტი (ნიდერლ. brandspuit სახარძრო ტუმბო) – 1. მოწყობილობა (ლითონის კონუსური მილი) დაყენებული სახანძრო შლანგის ბოლოზე წყლის ჭავლის ფორმირებისა და

მიმართულების მისაცემად (ნახ. 1); 2. გადასატანი ტუმბო, რომელსაც იყენებენ გემზე ცეცხლის ჩასაქრობად, აგრეთვე გემბანის გასარეცხად, სასმელი წყლის ჩასასხმელად და სხვ.

ბრაქისტოქრონი (ბერძ. brachistos უმოკლესი და chronos დრო) – უსწრაფესი დაშვების მრუდი. მისი მოძებნის ამოცანა დასვა გ. გალილეიმ, კერძოდ: შვეულ სიბრტყეში მდებარე ზედა და ქვედა წერტილების შემაერთებელ ბრტყელ წირებს შორის ვიპოვოთ ის მოხაზულობა (ნახ. 1), რომლის გასწვრივაც მხოლოდ სიმძიმის ძალის მოქმედებით ზედა წერტილიდან უსაწყისო სიჩქარით მოძრავი ნივთიერი წერტილი უმოკლეს დროში მიაღწევს ქვედა წერტილს (ეს წერტილები არ მდებარეობენ ერთ ვერტიკალზე). ამ წირის აღმოჩენა საფუძვლად დაედო ვარიაციათა აღრიცხვის შექმნასა და განვითარებას.



ბრეზენტი (ფრანგ. préceinte გარსი) – მტკიცე აფრისი, გაჟღენთილი ცეცხლგამძლე, წყალ- და ლპობასაწინააღმდეგო ნივთიერებებით. ფერი ღია ყვითელიდან ყავისფრამდე (ცეცხლგამძლე გაჟღენთვით) ან ღია მწვანედან გაჯერებულ მწვანემდე (წყალსაწინაღო გაჟღენთვით). აფრისს ამზადებენ ბუნებრივი მცენარეული ან სინთეზური ბოჭკოსაგან. ბ. სიმკვრივეა 300-900 გ/მ^2. გამოიყენება გადასაფარებელი მასალის, კარვის, ტენტის, ზურგჩანთის, სპეციალური ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ა.შ. დასამზადებლად.

ბრეკვატერი (ინგლ. break დამსხვრევა და water წყალი) – იხ. ტალღამტეხი.

ბრემსბერგი (გერმ. bremse მუხრუჭი და berg მთა) – 1. მოწყობილობა ტვირთის დასაშვებად დახრილ სიბრტყეზე (ნახ. 1). იყენებენ ხე-ტყის დამზადებისას, სამთო, სამშენებლო და სხვ. სახის სამუშაოების შესასრულებლად; 2. მიწისქვეშა დახრილი გვირაბი, რომელიც არ გამოდის მიწის ზედაპირზე და რომელიც მექანიკური მოწყობილობების საშუალებით ემსახურება ტვირთის ჩაშვებას ჰორიზონტის ზედა დონიდან ქვედამდე.



ბრენდის მართვა – ბრენდის ინდივიდუალური ნიშნების შექმნა, მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად ამ ნიშნების ცვლილება და საჭიროების შემთხვევაში ანტიკრიზისული გეგმის შედგენა. ბრენდის ფორმირებისას კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს – უნდა თუ არა მას ბაზარზე ლიდეროზა. ბ. მ. არსებობს ე.წ. "პოზიციურობის პრინციპი", რომლის თანახმადაც პირველი კომპანია, რომელიც მომხმარებლის ცნობიერებაში თავის პოზიციას დაიკავებს, მას ვეღარასოდეს დაკარგავს.

ბრენდმენეჯერი (ინგლ. brand საქარხნო მარკა, ეტიკეტი, სორტი და manager მმართველი, ხელმძღვანელი) – პასუხისმგებელი მენეჯერი ფირმის მარკეტინგული გეგმისა და სტრატეგიული ნიშნის შემუშავებაში.

ბრექჩია (იტალ. breccia მარმარილო ნატეხებისაგან<გერმ. brechen მსხვრევა) – დაკუთხული ნატეხებით აგებული შეცემენტებული ქანი (ნახ. 1. არაბიდას ბრექჩია ჯასპერის ქვის სამტეხლოდან, სან-ლორენსუს რაიონი, სეტუბალის ოლქი, პორტუგალია). ნატეხების სიმსხოა – 2 მმ და მეტი. შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს ერთგვაროვანი (მონომიქტური) და არაერთგვაროვანი (პოლიმიქტური). განარჩევენ ვულკანურ, დანალექ და ტექტონიკურ ბრექჩიებს. ვულკანური ბ. წარმოიქმნება ლავის ნაკადის დინების პროცესში თხევადი ლავის მიერ მისივე უკვე გამყარებული ქერქის მსხვრევისა და შეცემენტების შედეგად (ლავური ბრექჩია), ვულკანურ-ნამსხვრევი მასალის დაგროვების გზით (ტუფური ბრექჩია) და ვულკანურ მხარეებში ტალახის ნაკადების ნალექების (ლახარების) დიაგენეზისით. დანალექი ბ. წარმოიქმნება კონტინენტურ პირობებში დელუვიონის, ქვატალახიანი ღვარების ნატანისა და ფიზიკური გამოფიტვის შედეგად წარმოქმნილი მასალის შეცემენტებით. კარსტული მღვიმეების ჩაქცევისას ჩნდება კარსტული ბრექჩია.



ბრიგადა – 1. მუშათა კოლექტივი შემდგარი 2 ან მეტი ადამიანისაგან ბრიგადირის ჩათვლით; 2. XVIII საუკუნის რუსეთში უფროსი ოფიცრის ჩინი (პოლკოვნიკსა და გენერალს შორის). რუსეთის საიმპერატორო არმიაში ბრიგადირის ჩინი შემოიღო პეტრე I-მა; საზღვაო ფლოტში ამ ჩინს შეესაბამებოდა კაპიტან კომანდორი; სამოქალაქო სამსახურში – სამოქალაქო მრჩეველი (статский советник); 3. XVII საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთში ლათინური ტერმინი brigandarius აღნიშნავდა მოხეტიალე დაქირავებული რაზმის უფროსს. ეს ტერმინი დღემდეა შემორჩენილი საფრანგეთის ნაციონალურ პოლიციაში; 4. ბრიტანულ არმიაში ბრიგადირი უფროსი ოფიცრის უმაღლესი ჩინია, რომელიც შემოიღეს 1928 წელს. ბრიგადირი ხელმძღვანელობს ბრიგადას, რომელიც შედგება სამი ბატალიონისაგან და თავის რიგებში ითვლის 3000-მდე სამხედრო მოსამსახურეს. ბრიგადირის ჩინი არსებობს სხვა ქვეყნებშიც, როგორებიცაა: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ქვეყნები (უელსი, შოტლანდია, ირლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია), შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკა, ინდოეთის რესპუბლიკა, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (ჩრდილოეთ კორეა), ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა. ბრიგადის გენერლის ჩინი კი სხვა ქვეყნებშიც არის გავრცელებული.

ბრიგადირი – 1. ბრიგადის ხელმძღვანელი; 2. XVIII საუკუნის რუსეთში – სამხედრო ჩინი, საშუალო პოლკოვნიკსა და გენერალს შორის.

ბრიზანტულობა – ასაფეთქებელი ნივთიერების მახასიათებელი: გარემოზე ზემოქმედების უნარი გამოიწვიოს ლოკალური ნგრევა აფეთქებისას. დამოკიდებულია ასაფეთქებელი ნივთიერების შედგენილობაზე, სიმკვრივეზე, ფიზიკურ მდგომარეობაზე, დანაწევრების ხარისხსა და სხვ.

ბრიზი (სანაპირო ქარი) (ფრანგ. brise ნიავი) – ადგილობრივი სუსტი ქარი, რომელიც ქრის დღისით ზღვიდან ხმელეთისკენ, ღამით – პირიქით.

ბრიზოლი – ბიტუმ-რეზინოვანი საიზოლაციო მასალა. მიიღება ნავთობის ბიტუმის და რეზინის მარცვლების შერევით. სისქე – 2 მმ, რულონის ფართობი 25 მ²-მდე. გამოიყენება მიწაში მილების კოროზიისაგან დასაცავად.

ბრიკეტი (ფრანგ. briquette<brique აგური) – 1. ქვანახშირის ან სხვა ბიომასის საწვავი მყარი ნივთიერების (ნახშირი, ტორფი, ნახერხი, ხის ბურბუშელა, ქაღალდი და სხვ.) დაწნეხილი ბლოკი, რომელიც გამოიყენება საწვავად და ცეცხლის გასაჩაღებლად (ნახ. 1. მერქნის ნახერხის ბრიკეტები ღუმელში შესაკეთებლად). ტერმინი დაკავშირებულია ფრანგულ ენასთან და ნიშნავს აგურს; 2. საკვები, დაწნეხილი ფილის სახით; 3. მყარი დოზირებული სამკურნალწამლო ფორმა.



ბრიკეტირება – რაიმე მასალისაგან ბრიკეტების დამზადება დაწნეხის მეთოდით შემკვრელების დამატებით ან დანამატების გარეშე.

ბრიკქსონი – იხ. პარკეტის წყობა ნაძვისებრი.

ბრილიანტი (ფრანგ. briller ბრწყინვა) – ალმასი, რომელსაც დამუშავების, ე.წ. ბრილიანტური დაწახნაგების საშუალებით აძლევენ სპეციალურ ფორმას. ბრილიანტური დაწახნაგება მაქსიმალურად გამოავლენს ქვის ბუნებრივ ელვარებას. დაწახნაგებული ბრილიანტი ორი შეთავსებული პირამიდის ფორმისაა, მათგან ერთი (ზედა) წაკვეთილია (ნახ. 1. დაწახნაგებული ბრილიანტი). გვირგვინისა და პავილიონის წახნაგები განლაგებულია რამდენიმე რიგად. გავრცელებულია წახნაგთა სამრიგოვანი განლაგება (ე.წ. სამმაგი ბრილიანტური დაწახნაგება). კლასიკური დაწახნაგების დროს ბრილიანტს 56 გვერდითი წახნაგი აქვს. წახნაგები იმგვარადაა განლაგებული, რომ სხივთა კონა, რომელიც ქვის ზედაპირს ეცემა, სრულ შინაგან არეკვლას განიცდის და ალმასში მაღალი დისპერსიის გამო სპექტრის ფერად სხივებად იშლება, ამიტომ არეკვლილ სინათლეში ბრილიანტი ნაირფერად ელვარებს. ბრილიანტის მასას ზომავენ კარატებით. დამუშავებულ ქვებს იყენებენ სამკაულად. დამატებით იხ. ალმასი.



ბრილიანტური ნახატი – ხის კედლის ფაქტურული დამუშავების ტიპი.

ბრინელის მეთოდი – მასალის სიმაგრის განსაზღვრის მეთოდი გამოსაცდელ ზედაპირზე ნაწრთობი ფოლადის ბურთულას ჩაწნევით, განსაზღვრული დატვირთვისას. სიმაგრის რიცხვი ბრინელის მიხედვით (HB) არის დატვირთვის (კგძ) ფარდობა ანაბეჭდის (მმ²) ფართობთან.

ბრინჯაო – შენადნობი სპილენძის საფუძველზე, რომელსაც უმთავრესად დამატებული აქვს კალა, ალუმინი, ბერილიუმი, სილიციუმი, ტყვია, ქრომი და სხვ., გარდა თუთიასა და ნიკელისა. უძველესია კალიანი ბრინჯაო. მისი დამზადება და გამოყენება ადამიანმა ჯერ კიდევ ახ. წ.-მდე 3000 წლის წინ იცოდა (ბრინჯაოს ხანა). შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში სპილენძს სხვადასხვა რაოდენობით უმატებდნენ დარიშხანს, სტიბიუმს, ტყვიას, თუთიას, მაგრამ ყველაზე გავრცელებული მაინც კალიანი ბრინჯაო იყო. საქართველოში ბრინჯაოს დამზადება და გამოყენება ახ. წ.-მდე დაახლოებით 2000 წლის წინ დაიწყეს [ნახ. 1. ბრინჯაოს

კაცის ქანდაკება "თამადა" (სურათზე გაზრდილი ასლია ნაჩვენები), რომელიც აღმოჩენილი იქნა დასავლეთ საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას. ექსპონატი მიეკუთვნება ძვ. წ. VII საუკუნეს]. კალიანი ბ. შეიცავდა 14-18% კალას (ზოგჯერ მეტსაც). ასეთი რთული შედგენილობის შენადნობიდან ნივთებს ჭედვითა და ჩამოსხმით ამზადებდნენ. კალიან ბ. საუკეთესო სამსხმელო თვისებების გამო ფართოდ იყენებდნენ



საომარი და სამეურნეო იარაღის (შუბი, მახვილი, სატევარი, ცული), მონეტების, მხატვრული ნაკეთობებისა და სამკაულიების დასამზადებლად. შუა საუკუნეებში ბრინჯაოსაგან ეკლესიის ზარებს ასხამდნენ. ასეთი ბ. 20%-მდე კალას შეიცავდა. XIX საუკუნიდან დაიწყეს ბ. გამოყენება მანქანათმშენებლობაში (საკისრების მილისების, კბილანების, არმატურისა და სხვათა დასამზადებლად). ამ დარგისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბ. ანტიფრიქციულ (ანტიფრიქციული მასალები) და ანტიკოროზიულ თვისებებს. XX საუკუნეში დაიწყეს ალუმინიანი ბ. დამზადება, რომელიც საუკეთესო თვისებებით გამოირჩეოდა, შემდეგ კი ბერილიუმიანი და კადმიუმიანი, რომელიც სიმტკიცით ფოლადს არ ჩამოუვარდებოდა. საუკეთესო თვისებებისაა აგრეთვე სილიციუმიანი ბ., რომელიც მაღალი პლასტიკურობის გამო ადვილად მუშავდება წნევით. ბ. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე მანქანათმშენებლობაში, საავიაციო და სარაკეტო ტექნიკაში. არსებობს ბრინჯაოს შემდეგი სახეობები: ალუმინიანი, ბერილიუმიანი, ვოლფრამიანი, თუთიანი, კადმიუმინიანი, კალა-თუთია-ტყვიიანი, კალამცირე, კალაუხვი, კალაფოსფოროვანი, კალოვანი, მანგანუმიანი, მჟავაგამძლე, ნიკელიანი, საზარბაზნე, საზარე, საკისრის, სამანქანო, სამონეტო, სამსხმელო, სამხატვრო, სარკისებრი, სილიციუმიანი, სპეციალური, ტიტან-ალუმინიანი, ტყვიიანი, უკალო, ფოსფორიანი და სხვ.

ბრინჯაოგრაფიტი – ფორებიანი ლითონკერამიკული მასალა, რომელიც შედგება ბრინჯაოს (სპილენძი – საფუძველი, კალა – 8,5-9%) და თანაბრად განაწილებული გრაფიტის ნაწილაკებისაგან (1,5-3%); ამ მასალის ფორები შევსებულია ზეთით. ბ. ამზადებენ სრიალის საკისარის მილისს. ფორებში ზეთის არსებობა საშუალებას იძლევა საკისარი ვამუშაოთ დამატებითი გაპოხვის გარეშე.

ბრინჯაოს ხანა – საზოგადოების განვითარების ისტორიულ–კულტურული პერიოდი, როდესაც საბრძოლო და სამუშაო იარაღების დასამზადებელი ძირითადი მასალა იყო ბრინჯაო. ბრინჯაოს ხანას წინ უსწრებდა ენეოლითი. ბ. ხ. მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდს მოიცავდა. ბრინჯაოს უძველესი (ძვ. წ. IV ათასწლ.) ნაწარმი აღმოჩენილია სამხრეთ ირანში, თურქეთსა და შუამდინარეთში. ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლოდან ბრინჯაო გავრცელდა ეგვიპტეში, III ათასწლეულის ბოლოდან – ინდოეთში, II ათასწლეულიდან – ევროპაში, II ათასწლეულის შუახანიდან – ჩინეთში. ამერიკაში ბრინჯაოს ხანას დამოუკიდებელი ისტორია აქვს; იქ მეტალურგიული ცენტრი პერუსა და ბოლივიის ტერიტორიაზე იყო (VI-X სს. ე.წ. გვიანი ტიუანაკოს კულტურა). ცენტრალურ აფრიკაში ბრინჯაოს წარმოების დამოუკიდებელი კერები უნდა აღმოცენებულიყო არა უგვიანეს ძვ. წ. I ათასწლეულისა. ბრინჯაოს ხანაში განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი ისტორიული

განვითარების უთანაბრობამ. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (შუამდინარეთი, ელამი, ეგვიპტე, სირია) ვითარდებოდა კლასობრივი საზოგადოებები და უძველესი სახელმწიფოები. ძვ. წ. III-II ათასწლეულებში მწარმოებლური მეურნეობის ამ ცენტრებს გარეთაც გარცელდა და შეიქმნა ახალი ცივილიზაციები: ჰარაფის კულტურა ინდოეთში, ინის სახელმწიფო ჩინეთში, ხური-მითანის, ხეთებისა და სხვ. სახელმწიფოები წინა აზიაში; კრეტა-მიკენის კულტურა ევროპაში. ევრაზიის უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ცენტრი ბრინჯაოს ხანაში იყო კავკასია. ბრინჯაოს ხანა აქ სამ ეტაპად იყოფა: ადრეული (ძვ. წ. III ათასწლ.), შუა (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) და გვიანი (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ.). კავკასიაში გამოიყოფა ადრებრინჯაოს ხანის თავისებური მატერიალური კულტურები: კოლხეთის დაბლობზე, ჩრდილო–დასავლეთ კავკასიაში (ე.წ. მაიკოპის კულტურა) და ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც ძირითადად გავრცელებული იყო ცენტრ. და აღმ. ამიერკავკასიაში, ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, ანატოლიაში, ჩრდილო ირანში. შუა ბრინჯაოს ხანაში კავკასიაში რამდენიმე დამოუკიდებელი კულტურა იქმნება: თრიალეთის, სევან-უზერლიქის, თაზაქენთ-ყიზილვანქის, დას. საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის კულტურები. ფიქრობენ, რომ ამ დროს იქმნებოდა ტომთა დიდი კავშირები, რომლებსაც ეს ცალკეული კულტურები შეესაბამებოდა. გვიანბრინჯაოს ხანის მასალები კავკასიაში ორგანულად უკავშირდება როგორც წინამორბედ, ისე მომდევნო პერიოდის ძეგლებს და ადგილობრივი კულტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს. გვიანბრინჯაოს ხანაში კავკასიაში მოხდა დიდი სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ძვრები. საწარმოო ძალთა და წარმოების საშუალების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შედეგი იყო რკინის აღმოჩენა და ათვისება (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ.), რამაც რევოლუციური როლი შეასრულა საზოგადოების განვითარების ისტორიაში. მოხდა შრომის მესამე დანაწილება. ხელოსნობა გამოეყო მიწათმოქმედებას. გაცხოველდა აღებ-მიცემობა. გაღრმავდა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესი, მომზადდა საფუძვლები კლასობრივ საზოგადოებათა ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოების შექმნისათვის. ბრინჯაოს ხანის საქართველოში ინტენსიურად ვითარდება დასახლებული ტომების კულტურა, რომელიც თავის მხრივ ყალიბდება ენეოლითურ კულტურაზე. ქვემო ქართლში მდ. ხრამის ნაპირებზე გამოვლინდა ძვ. წ. V–VI ათასწლეულების ათეული ნასოფლარი: საცხოვრებელი ბორცვები არუხლო, შულავერი, იმირის გორა; დასახლებანი: ტერასებზე – სადახლო, კონცხზე – წოფი, მთის კალთებზე – ამირანის გორა. ნასოფლარი არუხლო არის ხელოვნური ბორცვი ზომებით 100×150 მ, სიმაღლით 6 მ. გათხრებმა გამოავლინეს წრიული ფორმის ალიზის შენობათა ნაშთები. ნასოფლარებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება მეგალითურ ნაგებობათა თითქმის ყველა სახეობანი. მაგ., თეთრიწყაროსა და წალკის რაიონებში შემორჩენილია შვეულად დაყენებული მონოლითები – მენჰირები, აფხაზეთის მხარეში, სოფლებში: ეშერი, აზაანთა, ოთხარა, აჭანდარა – დოლმენები. მნიშვნელოვანია ციკლოპური ციხეებიც (ნორდევანი, გუმბათი, სანთა, აშკალა, ბეშთაშენი და სხვ.), რომლებიც მრავლადაა შემორჩენილი. მათი მშენებლობისათვის გამოყენებული საშენი მასალა და ტექნიკა კონსერვატულია და ვრცელდება ბრინჯაოს ხანიდან ფეოდალურ ეპოქამდე. აღმოჩენილია ბ. ხ. უამრავი თიხის ჭურჭელი (შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი, ნაცრისფერი და წითლად შეღებილი), რომლებზედაც საღებავით, ამოკაწვრისა და ჩხვლეტის მეთოდების გამოყენებით დატანილია ქართული ორნამენტები, აგრეთვე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ლარნაკები, ფიალები, დოქები, სარწყულები, თეფშები, სამშვენისები, შრომისა და საბრძოლო იარაღები და სხვ.,

რომლებიც ძირითადად ქართულია, თუმცა ზოგჯერ ახლოს დგას ხეთო-მიტანურ წრესთან, საერთოდ კი წინა აზიის ხელოვნების ტრადიციებთან.

ბრისტოლი – მაღალი ხარისხის ქაღალდის ფურცლების დაწებებით დამზადებული მუყაო.



ბროკატელო – 1. ჭრელი იტალიური მარმარილო (ნახ. 1. მარმარილო ბროკატელო); 2. ავეჯზე გადასაკრავი მძიმე აბრეშუმის ფართოსახიანი ქსოვილი.

ბროკერი (ინგლ. broker მაკლერი, შუამავალი) – შუამავალი მყიდველსა და გამყიდველს შორის საკრედიტო და კომერციული, სავალუტო და სადაზღვევო ოპერაციების დროს ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებისას.

ბროლი – მინის განსაკუთრებული სახეობა ("კრისტალი"), რომელშიც ტყვიის ჟანგის (PbO) წონითი შემცველობა 18-40%-ია. თანამედროვე ტყვიის კრისტალი, რომელიც ისტორიულად აგრეთვე ცნობილია, როგორც სილიციუმის მინა (საწყისი ნედლეულია სილიციუმის



დიოქსიდი), შეიცავს მინიმუმ 24% PbO. ტყვიის ჟანგის (ოქსიდის) დამატება ზრდის სხივის გადატეხისა და დისპერსიის მაჩვენებელს (საიუველირო ტერმინოლოგიით – "ფერების თამაში", "ცეცხლი"), აგრეთვე მინის პლასტიკურ თვისებებს; ბარიუმის ჟანგის დამატება კი, ძირითადად, ზრდის სხივის გადატეხის მაჩვენებელს. დაკუთხვა, სხვა ძვირფასი ქვების ანალოგიურად, ბროლს აძლევს შესაძლებლობას სრულად გამოამჟღავნოს ის თვისებები, რომელიც დაკავშირებულია სხივის გადატეხისა და დისპერსიის მაღალ მაჩვენებელთან (ნახ. 1. ბროლის ფუჭერი). ადრე ბროლის ჭურჭელი გამოიყენებოდა სასმელების შესანახად, მაგრამ როდესაც ცნობილი გახდა ტყვიის მავნებლობა ჯანმრთელობისათვის, მან ეს ფუნქცია დაკარგა. გამოჩნდა ალტერნატიული მასალა კრისტალური მინის სახით, რომლის წარმოებაში რკინის ჟანგის ნაცვლად გამოიყენება ბარიუმის, თუთიის ან კალიუმის ჟანგი. უტყვიო კრისტალს სინათლის სხივის გადატეხის ისეთივე მაჩვენებელი აქვს, როგორც ტყვიის კრისტალს, მაგრამ უფრო მსუბუქია და გამოირჩევა დისპერჰირების დაბალი უნარით. ტერმინი ტყვიის კრისტალი ტექნიკური მიზეზებით არაა ზუსტი ტყვიის მინის აღსაწერად, რადგან მინა ამორფული მყარი ნივთიერებაა და არ აქვს კრისტალური სტრუქტურა. ტერმინის გამოყენება რჩება პოპულარული ისტორიულად და კომერციული მიზნით. ტერმინის შენარჩუნებას ხელი შეუწყო ვენეციურმა სიტყვამ cristallo, რომლითაც მოიხსენიებდნენ მთის ბროლს. ევროკავშირში "კრისტალური" პროდუქტების მარკირება რეგულირდება ევროსაბჭოს დირექტივით 69/493/EEC, რომლითაც მასალის თვისებებისა და ქიმიური შედგენილობის მიხედვით განსაზღვრულია ოთხი კატეგორია. მინის ნაკეთობას,



რომელიც შეიცავს არანაკლებ 24% ტყვიის ჟანგს, შეიძლება ეწოდოს "ტყვიის კრისტალი", ხოლო პროდუქტი ტყვიის ჟანგის ნაკლები შემცველობით ან მინა სხვა ლითონების ჟანგეულების შემცველობით, უნდა დაფიქსირდეს, როგორც "კრისტალი" ან "ბროლი". აღსანიშნავია, რომ ბროლს შეფერილობის მიხედვით, სხვადასხვა სახელი აქვს, მაგ., იისფერი ბროლის სახელია ამეთვისტო (იხ. ამეთვისტო, ნახ. 1), ბოლისფერის – რაუხტოპაზი (ნახ. 2), შავის – მორიონი (ნახ. 3), ყვითელის – ციტრინი (ნახ. 4) და სხვ.





ბროჭი – ძვ. ონკანი.

ბრტყელ ძალთა სისტემა – ძალთა სისტემა, რომელთა ფუძეები ერთ სიბრტყეში მდებარეობს.

ბრტყელ ძალთა სისტემის წონასწორობა – ბრტყელ ძალთა სისტემა წონასწორობაშია, როცა ერთ სიბრტყეში მდებარე ძალთა ნებისმიერი სისტემის ნაკრები ვექტორი და ნაკრები სკალარული მომენტი, ამ სიბრტყის რომელიმე წერტილის მიმართ, ტოლია ნულის.

ბრტყელი – ერთნაირი სისქის ნაკეთობის სწორი და თანაბარი ზედაპირი.

ბრტყელი დაძაბული მდგომარეობა – სხეულის მოცემულ სიბრტყეში დაძაბული მდგომარეობა, რომლის დროსაც ამ სიბრტყის პარალელურ ყველა კვეთში ძაბვა ნულის ტოლია. ამ სიბრტყეს დაძაბულობის სიბრტყე ეწოდება.

ბრტყელი კვეთის ჰიპოტეზა – ღეროს განივი კვეთი ბრტყელი დეფორმაციამდე, ბრტყელი რჩება დეფორმაციის შემდეგაც და მართობულია კოჭის გაღუნული ღერძისადმი.

ბრტყელი მოძრაობა (ბრტყელ-პარალელური მოძრაობა) – მყარი სხეულის მოძრაობა, რომლის დროსაც ამ სხეულის ყველა წერტილის ტრაექტორია წარმოადგენს პარალელურ სიბრტყეებში მოთავსებულ ბრტყელ წირებს ანუ სხეულის ყოველი წერტილი მოძრაობს რაიმე უძრავი სიბრტყის პარალელურ სიბრტყეში.

ბრტყელი მრუდი – მრუდი, რომლის ყველა წერტილი განლაგებულია ერთ სიბრტყეზე. ასეთი მრუდებია: ელიფსი, პარაბოლა, ჰიპერბოლა, ციკლოიდა, სინუსოიდა და ევოლვენტა. მათ ხშირად ლეკალოს მრუდებსაც უწოდებენ, რადგან მათ ლეკალოს დახმარებით ხაზავენ.



ბრტყელტუჩა – საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტი მართკუთხა კვეთის პირამიდული ფორმის ტუჩებით (ნახ.

1). გამოიყენება მცირე ზომის ლითონის დეტალების წატაცებისა და ღუნვისათვის.

ბრუდერჰაუზი (ინგლ. bruder კვერცხებზე მჯდომი და house სახლი) – სპეციალური შენობა, სადაც ინკუბატორის წიწილებს ზრდიან ბრუდერებში.

ბრუნვა – 1. ღერძის გარშემო – მოძრაობა, რომლის დროსაც მყარი სხეულის ბრუნვის ღერძზე მდებარე ყველა წერტილი არის უძრავი, ხოლო სხეულის დანარჩენი წერტილები აღწერს წრეწირებს, რომელთა ცენტრები მდებარეობს ბრუნვის ღერძზე; 2. წერტილის გარშემო – სხეულის მოძრაობა, რომლის დროსაც მისი ერთი წერტილი უძრავია, ხოლო ყველა დანარჩენი მოძრაობს სფერულ ზედაპირებზე ცენტრით O წერტილში.

ბრუნვა თანაბარი – ბრუნვა მუდმივი კუთხური სიჩქარით.

ბრუნვა თანაბრად ცვლადი – ბრუნვა მუდმივი კუთხური აჩქარებით.

ბრუნვათა წყვილი – მყარი სხეულის რთული მოძრაობა, რომელიც შედგება პარალელური ღერძების გარშემო ორი ბრუნვითი მოძრაობისაგან ისეთი კუთხური სიჩქარეებით, რომლებიც სიდიდით ტოლია და მიმართულია ურთიერთსაწინააღმდეგოდ.

ბრუნვითი ზედაპირი – ზედაპირი, რომელიც მიიღება ბრტყელი წირის ბრუნვით ამ წირის სიბრტყეში მდებარე ღერძის გარშემო; მაგ., სფერული ზედაპირი, წრიული ცილინდრი, წრიული კონუსი.

ბრუნვითი მოძრაობა – ა) ბრუნვითი მოძრაობა ღერძის ირგვლივ – მყარი სხეულის ისეთი მოძრაობა, როცა მისი რომელიმე ორი წერტილი ყოველთვის უძრავია. ცხადია, უძრავი იქნება ამ ორ წერტილზე გამავალი წრფეც. ამ წრფეს ბრუნვის ღერძი ეწოდება. სხეულის ყოველი წერტილი, რომელიც არ მდებარეობს ბრუნვის ღერძზე, აღწერს წრეწირს, რომელიც ბრუნვის ღერძის მართობ სიბრტყეშია, მისი ცენტრი კი ბრუნვის ღერძზეა. მყარი სხეულის ბრუნვითი მოძრაობის კინემატიკური მახასიათებლებია კუთხური სიჩქარე (ω) და კუთხური აჩქარება (ε), ხოლო დინამიკური მახასიათებლებია ბრუნვის ღერძის მიმართ მოძრაობის რაოდენობის მომენტი და კინეტიკური ენერგია; ბ) ბრუნვითი მოძრაობა წერტილის ირგვლივ (სფერული მოძრაობა) – მყარი სხეულის მოძრაობა, როცა მისი ერთ-ერთი 0 წერტილი უძრავია, ხოლო დანარჩენი წერტილები მოძრაობენ იმ კონცენტრული სფეროების ზედაპირებზე, რომელთა ცენტრი უძრავ 0 წერტილშია. მყარი სხეულის ბრუნვა უძრავი წერტილის ირგვლივ ხასიათდება სამი კუთხით: φ, ψ, θ (ეილერის კუთხეებით).

ბრუნვის განტოლება – განტოლება, რომელიც განსაზღვრავს მყარი სხეულის მობრუნების კუთხეს, როგორც დროის ფუნქციას: $\varphi = f(t)$ (იხ. უძრავი ღერძის ან უძრავი წერტილის გარშემო ბრუნვის განტოლებები)

ბრუნვის კუთხე (მობრუნების კუთხე) – ორწახნაგა კუთხე, რომელსაც ქმნის დროის გარკვეულ შუალედში ბრუნვის ღერძზე გამავალი ნახევარსიბრტყეები, როცა ერთი ნახევარსიბრტყე უძრავია, ხოლო მეორე ნახევარსიბრტყე სხეულთან ერთად ბრუნავს.

ბრუნვის კუთხური სიჩქარე – სიდიდე, რომელიც ახასიათებს მყარი სხეულის მობრუნების კუთხის ცვლილებას. მყარი სხეულის უძრავი ღერძის გარშემო ბრუნვისას კუთხური სიჩქარის სიდიდე ტოლია სხეულის მობრუნების კუთხის წარმოებულისა დროით ($\omega = d\varphi/dt$). ეს სიდიდე წარმოიდგინება ვექტორით, რომელიც მდებარეობს ბრუნვის ღერძზე და მისი

გეზი ისე უნდა შევარჩიოთ, რომ სხეული ვექტორის მიმართ ბრუნავდეს "დადებითი" მიმართულებით.

ბრუნვის მიმართულება – ბრუნვის მიმართულება ღერძის გარშემო (თუ შევხედავთ ღერძის გასწვრივ დადებითი მიმართულებიდან): ა) ბრუნვის მარჯვენა მიმართულება, როცა ბრუნვა წარმოებს საათის ისრის ბრუნვის მიმართულებით. ბ) ბრუნვის მარცხენა მიმართულება, როცა ბრუნვა წარმოებს საათის ისრის ბრუნვის საწინააღმდეგო მიმართულებით.

ბრუნვის მყისი ღერძი – წრფე, დაკავშირებული მყარ სხეულთან, როდესაც ეს სხეული ასრულებს ბრტყელ მოძრაობას ან ბრუნავს უძრავი წერტილის გარშემო, ამასთანავე ამ წრფის წერტილების სიჩქარე დროის აღებულ მომენტში ნულის ტოლია.

ბრუნვის მყისი ცენტრი (სიჩქარეთა მყისი ცენტრი) – მყარი სხეულის ბრტყელი მოძრაობის დროს ბრუნვის მყისი ღერძის კვალი მოძრაობის სიბრტყეზე. მყისი ეწოდება იმიტომ, რომ თითოეული ასეთი წერტილის მდებარეობას შეესაბამება დროის გარკვეული მომენტი და არა დროის შუალედი.

ბრუნვის ღერძი – მყარ სხეულთან დაკავშირებული წრფე, რომელიც ამ სხეულის ბრუნვის დროს უძრავი რჩება.

ბრუნვის ცენტრი – მბრუნავი სხეულის ღერძი (წერტილი), რომლის გასწვრივ (ამ მასში) სხეულს არა აქვს ბრუნვის სიჩქარე (სიჩქარე ნულის ტოლია).



ბრუნსაკეტი – ნაკეთობა, კარის ან ფანჯრის დასაკეტად ერთი მხრიდან სახელურის მობრუნებით (ნახ. 1).

ბრუსტვერი (გერმ. brust მკერდი და wehr დაცვა) – 1. საფორტიფიკაციო ნაგებობა – მიწაყრილით ან ქვებით შექმნილი შემაღლებული ადგილი, ზღუდე, რომლის დანიშნულებაა მოხერხებული სროლა, თავდაცვა ტყვიებისა და ჭურვებისაგან, აგრეთვე შენიღბვა; ემსახურება საბრძოლო პოზიციის შექმნას და წარმოადგენს დამატებით წინაღობას მოწინააღმდეგის შტურმის შემთხვევაში (ნახ. 1. შეჯავშნული ბრუტსვერი "შვედე" პეტერბურგის სამხრეთი ფარვატერის დასაცავად, 1863 წ., რუსეთის ფედერაცია); 2. დამცავი კედელი სამხედრო არქიტექტურაში.



ბრუტალიზმი (ინგლ. brutalism<brutal მკაცრი და -ism ბოლოსართი<ლათ. brutus უხეში) – თანამედროვე არქიტექტურის და ხელოვნების სტილი, მოდერნიზმის ერთ-ერთი განშტოება, აღმოცენებული XX საუკუნის 50-იან წლებში დიდ ბრიტანეთში, რომელიც მშენებლობაში კოლოსალური მასშტაბებით იყენებდა დაუმუშავებელ და უხეშ მასალებს, მათ შორის ბეტონსა და ფოლადს. განსაკუთრებით პოპულარული გახდა სამთავრობო და

საგანმანათებლო მშენებლობაში. ძირითადად გავრცელდა ინგლისურენოვან ქვეყნებში (ინგლისი, აშშ, კანადა, ავსტრალიის კავშირი), ევროპაში (საფრანგეთის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, ბულგარეთის რესპუბლიკა), საბჭოთა კავშირში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში (იაპონია, ინდოეთის რესპუბლიკა, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა, ფილიპინების რესპუბლიკა, ისრაელის სახელმწიფო და სხვ.).



ამ სტილის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ინგლისელ არქიტექტორებს ელისონ და პიტერ სმითსონებს, თუმცა მათი სულიერი მამა გახლდათ შვეიცარიული წარმოშობის ფრანგი არქიტექორი ლე კორბუზე). ბრუტალისტური შენობებისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია განმეორებადი კუთხური გეომეტრიები, რომელთა ზედაპირზე შეგნებულადაა დატოვებულია ხის ყალიბების უხეში ტექსტურა. თუმცა ყველა ბრუტალისტური შენობა ბეტონით არ იქმნება. შენობამ ბრუტალისტური ეფექტი შეიძლება მიიღოს მისი კონსტრუქციის მასალის და ექსტერიერის ფორმისა და ფასადის მოუხეშავი, ერთი შეხედვით დაუმთავრებელი იერით, რისთვისაც შეიძლება გამოყენებული იყოს აგური, მინა, ლითონი. ბრუტალისტური პროექტებისათვის დამახასიათებელია სტრუქტურისა და დამხმარე კომუნიკაციების (ლიფტი, კიბე, სანკვანძის მომმარაგებელი წყლის ავზი და სხვ.) შენობის ექსტერიერში გამოტანაა.



ბ., როგორც არქიტექტურული სტილი, ასოცირდებოდა სოციალურ უტოპიურ იდეოლოგიასთან, რომელსაც მისი დიზაინერები უჭერდნენ მხარს. კრიტიკოსთა აზრით, ბრუტალიზმის ეს აბსტრაქტული ბუნება სტილს აუცხოებს და არაკომუნიკაბელურს ხდის, მიუხედავად იმისა, რომ სტილის მხადამჭერები მას ინტეგრირებულობასა და დაცულობას მიაწერდნენ. ბრუტალიზმს ასევე აკრიტიკებენ მის გარშემო სოციალური, ისტორიული და არქიტექტურული გარემოს უგულვებელყოფის გამო, რაც უკვე გაშენებულ ურბანულ გარემოს კონტრასტულობასა და არაბუნებრიობას სძენდა. ბრუტალისტური მიმდინარეობა ასევე დაემთხვა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ქალაქების დაკნინებას (ერთფეროვნებას), რამაც ასევე ხელი შეუწყო, როგორც იდეოლოგიის, ისე არქიტექტურული სტილის არაპოპულარობას. ბრუტალიზმის სტილის მნიშვნელოვანი შენობებია: გუგენჰეიმის მუზეუმი ქ. ნიუ იორკში, აშშ (1956 წ.) (ნახ. 1); საქალაქო ცენტრი ქ. სიაუნიატსალოში, ფინეთის რესპუბლიკა (1952 წ.); საცხოვრებელი ერთეული მარსელში, საფრანგეთის რესპუბლიკა (1952 წ.); მენეჯმენტის ინსტიტუტი ქ. აჰმადაბადში, ინდოეთის რესპუბლიკა (1965 წ.); პარლამენტის კომპლექსი ქ. დაკაში, ბანგლადეშის სახალხო



რესპუბლიკა (1961 წ.) (ნახ. 2); სატანვარჯიშო დარბაზი პრეფექტურა კაგავაში, იაპონია (1964 წ.); გეიზელ ლაიბრერის ბიბლიოთეკა, კალიფორნიის უნივერსიტეტი, ქ. სან-დიეგო, აშშ (1970 წ.); ონკოლოგიური ცენტრი ქ. მოსკოვში, რუსეთის ფედერაცია (1979 წ.) (ნახ. 3); ახალი ამბების საინფორმაციო ცენტრი (РИА Новости) ქ. მოსკოვში, რუსეთის ფედერაცია (1980 წ.) და სხვ.

ბრუტო (იტალ. brutto უხეში) – 1. სამშენებლო ელემენტის განივკვეთის ფართობი შესუსტების გარეშე; 2. საქონლის წონა შესაფუთი მასალის ან ტარის მასასთან ერთად; 3. უხეში.

ბრძანებულება – ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დადგენილება.

ბრძმედი – შახტური ტიპის შვეული მეტალურგიული ღუმელი, რომლის დანიშნულებაა რკინის მადნიდან თუჯის, აგრეთვე სხვა სამრეწველო ლითონების (მაგ., ტყვია, სპილენძი) გამოდნობა. მასში მიმდინარეობს ძირითადად აღდგენითი პროცესები და მისი მუშაობა დაფუძნებულია კაზმისა და აირის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობის პრინციპზე. საბრძმედე ღუმელში მადანი, ფლიუსი და საწვავი (ქვანახშირი) მიეწოდება ღუმლის ზედა ნაწილში, ხოლო ჟანგბადით გამდიდრებული ჰაერი – ქვევიდან, რაც უზრუნველყოფს ქიმიური რეაქციის მიმდინარეობას ღუმლის მთელ მოცულობაში. ბრძმედული ღუმლები პირველად გაჩნდა I საუკუნეში ჩინეთში და შემდეგ კი შუასაუკუნეების ევროპის დასავლეთის ქვეყნებში (ბელგია, ინგლისი, გერმანია).

ბრწყინვა (ციალი) – სინათლის სხივების ძლიერი უკუქცევის, ბზინვადობის, ბრჭყვიალის პროცესი.

ბრწყინვალება – ელვარება, ბრწყინვა, კაშკაში.

ბრჭყვიალი – ნაირფრად ელვარება, ბზინვა.

ბრჯენი (კრონშტეინი) – 1. არქიტექტურულად დამუშავებული კონსოლი, რომელიც შენობის გამოწეული ნაწილების ან ქანდაკების საყრდენს წარმოადგენს (ნახ. 1); 2. კონსოლური საყრდენი დეტალი ან კონსტრუქცია, რომლის დანიშნულებაა ვერტიკალურ სიბრტყეზე (კედელზე ან სვეტზე) რაიმე ნაკეთობის ან ნივთის (მაგ., ტელევიზორის, აკუსტიკური სისტემისა და სხვ.) დამაგრება (ნახ. 2).





ბუაზერი (ფრანგ. boiserie პანელებით შემოსვა<bois მერქანი, ხე) – ხის რელიეფური, დეკორატიული პანელი ან ინტერიერის შემოსვა ასეთი პანელებით. გავრცელდა საფრანგეთში მე-18 საუკუნიდან (ნახ. 1).

ბუბკო – წებო, დამზადებული სახამებლის, ფქვილისა და წყლის ნარევისაგან. გამოიყენება შპალერის, ტყავეულის დასაწებებლად.



ნახ. 1

ბუგელი – 1. ფოლადის რგოლი ხიმინჯის თავზე, რომელიც ჩასობისას იცავს მას რღვევისაგან (ნახ. 1); 2. დენმიმღების სადგმელი (ტრამვაის, ტროლეიბუსის), რომელიც მოძრაობს საკონტაქტო მავთულზე და იქიდან იღებს დენს; 3. რგოლი ხომალდის ანძაზე გემთსართავებისათვის.

ბუდე – სხვადასხვა დეტალის ჩასასმელი ადგილი; მაგ., ბურთულას, კლიტის, ლინზის, ნემსის, საკისრის, სარქვლის, შტეფსელის, ჩობლის, წირწკიმალის, სოგმანის და სხვ.

ბუდინაჟი (ფრანგ. boudin ლილვაკი, გასქელება) – შრეებში მოქცეული მკვრივი ქანის ფენების ან ძარღვების დანაწევრება ცალკეულ ლინზებად და ბლოკებად.

ბუდობი – წიაღში მნიშვნელოვანი რაოდენობის ნავთობისა და გაზის ბუნებრივი თავმოყრა.

ბუდრუგანა – 1. ჯიხური, პატარა ბინა; 2. სოფლის მოშორებით აგებული წნელის ან ფიცრის მცირე ნაგებობა, უმთავრესად ქიზიყში. იყენებდნენ საცხოვრებლად კალოობის დროს რამდენიმე კვირით მინდვრად გასული ოჯახის წევრები, ასევე ანეულის ხვნაზე – გუთნისდედა და მეხრეები, გვიან კი – საზამთროდ ჩამოსული მწყემსები.

ბუდუარი (ფრანგ. boudoir<bouder ჭირვეულობა) – ქალის პატარა ლამაზად მოწყობილი ოთახი მდიდრულ სახლში, დასვენებისა და არაოფიციალური სტუმრების მისაღებად.

ბუერი (ინგლ. ice ყინული და ძვ. ინგლ. boat ნავი, გემი, ხომალდი) – ხის ფიცარნაგი დამაგრებული ციგურებზე ან ბორბლებზე იალქნითა და საჭით ყინულზე საციგურაოდ (ნახ. 1) ან სწორ მოედანზე სარბოლად; 2. მცირე ზომის ერთანძიანი ბრტყელძირა იალქნიანი ნავი.

ბუთა – იხ. ტიგელი.

ბუი (ნიდერლ. boei სიგნალი) – სხვადასხვა ფორმისა და ფერის წყლის ზედაპირზე მცურავი მსხვილი სასიგნალო ტივტივა მეჩეჩების, წყალქვეშა ქვების ან სხვა მხრივ სახიფათო ადგილების აღსანიშნავად, აგრეთვე რაიმე საგნის (მაგ., ღუზა) ადგილმდებარეობის დასაფიქსირებლად (ნახ. 1). ზოგჯერ ბუიზე აყენებენ მანათობელ სანათურს, ბგერა- და რადიოსიგნალის გადასაცემ მოწყობილობასა და სხვ.



ბუკი – 1. დიდი მრგვალი კუნძი, მორი; 2. სპარსულად – დიდი საყვირი; 3. კუთხ. სკა, გეჯა.

ბულატი (სპარს. pulad ფოლადი) – ბულატის ფოლადი, მაღალნახშირბადიანი სხმული ფოლადი, რომელიც განსაკუთრებული სტრუქტურით, მაღალი სიმტკიცით, დრეკადობით, სისალითა და ზედაპირის მოხატულობით (ნახჭით) გამოირჩევა. შუა საუკუნეებში (ე.წ. "დამასკოს ფოლადი") და ნაწილობრივ ჩვენს დროში, ბულატისგან ამზადებდნენ და ამზადებენ განსაკუთრებული სიმტკიცისა და სიმახვილის ცივ იარაღს – ხმალს, ხანჯალს, დაშნას, დანასა და სხვ.

ბულდოზერი – მიწისმთხრელი სატრანსპორტო მანქანა. წარმოადგენს საკიდ მოწყობილობას დანიანი ფარის სახით მუხლუხა ტრაქტორებზე (ნახ. 1) ან თვლიან გამწეებზე და როგორც საცვლელი სამუშაო ორგანო, გამოიყენება ავტოგრეიდერებზე, ექსკავატორებზე და სხვა საგზაო-სამშენებლო მანქანებზე. განასხვავებენ საერთო დანიშნულების და სპეციალურ ბ. სავალი ნაწილის მიხედვით არის მუხლუხა და თვლებიანი. ფარის კონსტრუქციის მიხედვით – მობრუნებადი და არამობრუნებადი. მობრუნებად ფარიან (ვერტიკალურ სიბრტყეში 80-მდე, ჰორიზონტალურ სიბრტყეში 60°-მდე) ბ. უწოდებენ უნივერსალურს. მართვის სისტემის მიხედვით არის ბაგირული და ჰიდრავლიკური. ბ. მოჭრილ გრუნტს გადაადგილებს 200 მ-მდე მანძილზე. გამოიყენება ძირითადად მოსასწორებელ სამუშაოებზე, ტრანშეების ამოსავსებად, მცირე თხრილების მოსაწყობად, ინერტული საშენი მასალების დასატვირთად კონვეიერებზე. ბულდოზერი ერთ-ერთი პოპულარული საგზაო მანქანაა.



ბულევტერიუმი – ელინიზმის ეპოქაში სენატის შენობის დასახელება ძველ საბერძნეთში.



ბულენგრინი (ინგლ. bowl ჯამი და green მწვანე) – სპორტული ტიპის სპეციალური გაზონი, რომლის შუა ნაწილი ჩაწეულია ბრტყელი მთხრებლის სახით (ნახ. 1). გამოიყენება პარკებისა და ბაღების განაშენიანების სივრცითი აღქმის გასაძლიერებლად.

ბული (ფრანგ. boule<ხეზე ჭრის ფრანგი ხელოვნის ა.

ბულის სახელის მიხედვით) – წითელი ხის ავეჯის სტილი დამახასიათებელი ინკრუსტაციით. შესრულებულია ხის, ბრინჯაოს, სპილოს ძვლის, კუს ბაკნისა და ზოგი სხვა მასალისგან.



ნახ. 1

ბუნა – 1. რეგულაციური ნაგებობა (ნახევარსაგუბარი, განივი ჯებირი), რომელიც ნაპირს (ნახ. 1) ან ჰიდროტექნიკურ ნაგებობას იცავს წარეცხვისაგან; 2. მორებისაგან შედგენილი მცურავი ჯაჭვი სავაჭრო ნავსადურის რომელიმე უბნის გადასაღობად.



ბუნგალო (ჰინდი banglā სახლი) – 1. ერთსართულიანი სახლის ინდური დასახელება, რომელიც ხმარებაში შემოვიდა ინდოეთში ბრიტანელების ბატონობის პერიოდში; 2. ერთსართულიანი მსუბუქი სააგარაკე შენობა ვერანდებით (ნახ. 1). უმეტეს შემთხვევაში ამ ტერმინით აღნიშნავენ ნაგებობას აშშ-ში, სადაც სიტყვა "ბუნგალოს" ქვეშ იგულისხმება ქალაქგარეთა საცხოვრებლის განსაზღვრული კონსტრუქცია და გეგმარება. სამხრეთის ზოგიერთ ქვეყანაში ბ. გამოიყენება, როგორც საცხოვრებელი ბინა ან საოჯახო სახლი, ევროპაში – როგორც ორსართულიანი ნაგებობა მიწის ნაკვეთითა (ბაღით) და მზის აბაზანების მისაღები ტერასით.



ნახ. 1

ბუნება (სამყარო) – ადამიანთა საზოგადოების ბუნებრივი არსებობის ერთობლიობა, გარემოს ობიექტური ნაწილი. ბუნება ფართო გაგებით არის ყველაფერი არსებული, მთელი სამყარო მისი ფორმების მრავალფეროვნებით. ტერმინი "ბუნება" გამოიყენება ისეთი ცნებების გვერდით, როგორებიცაა: მატერია, უნივერსუმი, ორგანული და არაორგანული სამყარო. ის წარმოადგენს პლანეტა დედამიწის მინერალურ (მკვდარ), მცენარეულ (ფლორა) (ნახ. 1. შემოდგომის ტყე) და ცხოველურ (ფაუნა) სამყაროს, ანუ იმას, რაც ადამიანის ხელით არ არის შექმნილი.

ბუნების დაცვა – ბიოსფეროს, ბუნებრივი რესურსების და ა.შ. დაზოგვა, გაფრთხილება; ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია ცოცხალი (მცენარეთა და ცხოველთა სამყარო) და არაცოცხალი (ნიადაგი, წყალი, ატმოსფერო და სხვ.) ბუნების დაცვის, მისი რაციონალური გამოყენებისა და აღდგენისაკენ. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მრეწველობის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ინტენსიურად განვითარების, სოფლის მეურნეობისა და ყოფაცხოვრების

ქიმიზაციის, მოსახლეობის ურბანიზაციისა და სხვა ფაქტორების გავლენით მკვეთრად გაძლიერდა ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე; აშკარა გახდა ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის, გარემოსა და მთლიანობაში მთელი ბიოსფეროს შეუქცევადი დაბინძურებისა და ცვლილებების საშიშროება.

ბუნების ძეგლი – ეროვნული მნიშვნელობის მქონე მცირე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები. ბ. ძ. შეიძლება იყოს მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ტყის კორომი და სხვ.

ბუნებრივ-ანთროპოგენული ობიექტი – ბუნებრივი ობიექტი, სამეურნეო ან სხვა საქმიანობის შედეგად შეცვლილი ან ხელოვნური ობიექტი, რომელსაც აქვს ბუნებრივი ობიექტის თვისებები ან რეკრეაციული და დაცვითი მნიშვნელობა.

ბუნებრივი – რაც ბუნებას ეკუთვნის, ნამდვილი, კანონზომიერი.

ბუნებრივი აირი (გაზი) – 1. საწვავი ნახშირწყალბადების (მეთანი 92-98% და მისი ჯგუფის აირები, ნაჯერი ნახშირწყალბადები) და არასაწვავი აირების ნარევი, რომელიც მოიპოვება მიწის წიაღიდან, მომზადებულია შორეული ტრანსპორტირებისათვის, გამოიყენება სათბობად ან ნედლეულად და აქვს თბოუნარიანობა სულ ცოტა 31,8 მეგჯ/მ³ (7600 კკალ/მ³); 2. აირი, რომელიც სამთო ქანებისა და მათში არსებული მინერალური მარცვლების ფორებსა და სიცარიელეებს ავსებს. გვხვდება დედამიწის ქერქში თავისუფალ მდგომარეობაში, აგრეთვე ხელსაყრელი პირობების



დროს წარმოქმნის მსხვილ აიროვან დაგროვებებს თხევადი სახით წყალში და ნავთობში. ბ. ა. საბადოებში ძირითადად შედგება მეთანისაგან, ხოლო ნავთობ და აირკონდენსატურ საბადოებში მეთანის გარდა, შეიცავს უფრო მძიმე ნახშირწყალბადებს (პროპანი, ეთანი, ბუტანი, პენტანი). აირის საბადოების დამუშავებას აწარმოებს გაზის სარეწები – მრეწველობა, რომელიც წარმოადგენს რთულ, დიდ ტერიტორიაზე განლაგებულ მეურნეობას. საშუალო მასშტაბის გაზის სარეწებისათვის არსებობს ათეულობით ჭაბურღილები, რომლებიც ასეულობით კვ.მ. ტერიტორიაზეა განლაგებული. ხშირად გამოიყენება ჭაბურღილების ჯგუფური განლაგება (ნახ. 1), რომლის დროსაც გაადვილებულია მათი მომსახურება, შესაძლებელია შეგროვების, აღრიცხვისა და პროდუქციის დამუშავების პროცესების კომპლექსური ავტომატიზაცია.

ბუნებრივი ბიტუმი – ამორფული ჰიდროფობური მასალა, რომელიც მიიღება ასფალტისა და ორგანული გამხსნელის გამოხარშვით.

ბუნებრივი განათება – სათავსების განათება გარე შემომზღუდავ კონსტრუქციებში მოწყობილ შუქღიობებიდან შემოსული პირდაპირი ან არეკლილი ცის შუქით.

ბუნებრივი განათების უთანაბრობა – სათავსის დამახასიათებელი ჭრილის საზღვრებში ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობის შეფარდება მის უმცირეს მნიშვნელობასთან.

ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტი – საანგარიშო წერტილში თანაბრად მოკაშკაშე ციდან უშუალოდ გამოსული და შეუვსებელი შუქღიობით სათავსში შემოღწეული შუქით შექმნილი ბუნებრივი განათებულობის შეფარდება გარე ჰორიზონტალურ ზედაპირზე ცის კამარის მიერ შექმნილი განათებულობის ერთდროულ მნიშვნელობასთან. ორივე შემთხვევაში პირდაპირი მზის შუქის მონაწილეობა გამორიცხულია; შეფარდების შედეგი გამოისახება პროცენტებში.

ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტი – სათავსის საანგარიშო წერტილში ცის პირდაპირი ან არეკლილი შუქით შექმნილი ბუნებრივი განათებულობის შეფარდება მთლიანად გახსნილი ცის კამარის შუქით შექმნილ გარე ჰორიზონტალური განათებულობის ერთდროულ მნიშვნელობასთან; გამოისახება პროცენტებში.

ბუნებრივი განათებულობის მარაგის კოეფიციენტი – საანგარიშო კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტისა და ექსპლუატაციის პროცესში განათებულობის მნიშვნელობების შემცირებას შუქგამტარი სინათლის ღიობებისა და სანათი არმატურის გაჭუჭყიანებისა და დაძველების, აგრეთვე სათავსის ზედაპირების ამრეკლავი თვისებების გაუარესების გამო.

ბუნებრივი გარემო – 1. კაცობრიობის ბინადრობისა და საწარმოო საქმიანობის გარემოს ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი – გარემოს ნაწილი; 2. ბუნებრივი გარემოს ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენული ობიექტების ერთობლიობა.

ბუნებრივი გარემოს კომპონენტები – დედამიწა, წიაღი, ნიადაგი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ატმოსფერული ჰაერი, მცენარეული და ცხოველური სამყარო და სხვა ორგანიზმები, აგრეთვე ატმოსფეროს ოზონის ფენა და დედამიწის ახლო კოსმოსური სივრცე, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ხელსაყრელ პირობებს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისთვის.

ბუნებრივი დამამიწებელი – მიწაში ჩაღრმავებული შენობებისა და ნაგებობების ლითონის ან რკ.ბ.-ის კონსტრუქციები.

ბუნებრივი დასხივება – ბუნებრივი გამოსხივებით მიღებული დასხივება.

ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემა – ბუნებრივი გარემოს ობიექტურად არსებული ნაწილი, რომელსაც აქვს სივრცითი-ტერიტორიული საზღვრები და რომელშიც ცოცხალი (მცენარეები, ცხოველები და სხვ. ორგანიზმები) და მისი არაცოცხალი ელემენტები ურთიერთქმედებენ, როგორც ერთიანი ფუნქციური სისტემა და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნივთიერებათა და ენერგიის ცვლით.

ბუნებრივი ვენტილაციის სისტემა – კონსტრუქციული ელემენტებისაგან შემდგარი ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც სათავსში ჰაერის საჭირო სისუფთავეს უზრუნველყოფს.

ბუნებრივი ირიბბოჭკოიანობა – მერქნის მანკი, ბოჭკოების ტანგენციალური დახრილობა, რომელიც წარმოადგენს ბოჭკოების სპირალურ განლაგებას ხის ღერძის ირგვლივ (დახერხილ მასალაში ტანგენციალურ ზედაპირზე ბოჭკოების დახრილ განლაგებას). განისაზღვრება ხის ტანზე ბზარების მიხედვით. ის ზრდის მერქნის სიმტკიცეს ახლეჩის დროს; ხელს უწყობს გრძივ შეკლებას და დაბრეცას.

ბუნებრივი მთის ქანი – გენეტიკური (წარმოშობის) თვალსაზრისით ბ. მ. ქ. იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: 1. პირველადი ანუ ამოფრქვეული; 2. მეორეული ანუ დანალექი; 3. სახეშეცვლილი ანუ მეტამორფული. ეს ძირითადი ჯგუფები კიდევ იყოფა შემდეგნაირად: პირველადი ანუ ამოფრქვეული ქანები: ა) სიღრმითი მასიური: გრანიტი, სიენიტი, გაბრო; ბ) ზედაპირული მასიური: ანდეზიტი, ბაზალტი, პორფირი და სხვ.; გ) ფხვიერი ნამსხვრევი: პემზა, ვულკანური წიდა და ფერფლი; დ) ფხვიერი შეცემენტებული: ტუფი, პემზა და სხვ.

ბუნებრივი ობიექტი – ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემა, ბუნებრივი ლანდშაფტი და მათი შემადგენელი ელემენტები, რომლებმაც შეინარჩუნეს ბუნებრივი თვისებები.

ბუნებრივი რესურსები – 1. ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რამდენადაც ადამიანის ცხოვრების დონე მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფასა და მათი გამოყენების ხასიათზე. ბ. რ. ქვეშ იგულისხმება: მადნები, ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ხე-ტყე, წყალი, საკვები პროდუქტები; 2. ბუნებრივი გარემოს კომპონენტები, ბუნებრივი ობიექტები და ბუნებრივ-ანთროპოგენული ობიექტები, რომლებიც სამეურნეო ან სხვა საქმიანობისას გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ენერგიის წყარო, სამომხმარებლო ღირებულების წარმოების პროდუქტები და მოხმარების საგნები.

ბუნებრივი ფოროვანი შემვსები – მიიღება ფოროვანი ქანების პემზის, ვულკანური წიდის, ტუფის, ფოროვანი და ნიჟაროვანი კირქვებისა და სხვათა დამტვრევით.

ბუნებრივი ფუძე – ბუნებრივი განლაგების პირობებში მყოფი შენობის ფუძე-გრუნტი, რომელიც იტანს მასზე მოსულ ყველა სახის დატვირთვას ყოველგვარი ხელოვნური გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე. ასეთს მიეკუთვნება გრანიტის, ბაზალტის, ქვიშაქვების, კირქვებისა და მისთ. გრუნტი.

ბუნებრივი ქვის საშენი მასალები – მასალები სამთო ქანებისაგან, რომლებიც გამოიყენება ქვის წყობის, მოპირკეთების, ბურულის, გზის საფარისათვის და ა.შ. დამუშავების მიხედვით იყოფა შემდეგ სახეებად: ქვიშა და ხრეში, მიღებული ფხვიერი სამთო ქანების გაცრითა და გარეცხვით; ყორე ქვა, მოპოვებული კირქვების, ქვიშაქვების და სხვ. ჯდენადი ქანების დამუშავებით (აფეთქებით); ღორღი, მიღებული სამთო ქანების მსხვრევით; დახერხილი ქვები და ბლოკები მსუბუქი სამთო ქანებისაგან (ტუფი, ნიჟარქვა და სხვ.), მოსაპირკეთებელი ქვები (მარმარილო, გრანიტი, გაბრო და სხვ.), ფილები და ფასონური ნაკეთობები.

ბუნებრივი ხანძრები – ტყის, ყანის, ველისა და ტორფის ხანძარი.

ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაცია – კოსმოსური ხასიათის განსაკუთრებული მოვლენა. მაგ., უცხო სხეულის (ასტეროიდის ან სხვა რომელიმე კოსმოსური ობიექტის) შეჯახება დედამიწასთან. ამ შემთხვევაში პოტენციური საფრთხისა და ზარალის შეფასებისათვის სარგებლობენ ე.წ. "ტურინის" სკალით, რომლის მიხედვითაც დედამიწასთან

მოახლოების გამო, კოსმოსური ობიექტების მხრიდან, საფრთხის ხარისხი იზომება 0-დან 10 ბალამდე.

ბუნიკი – 1. საყრდენი სვეტის ქვედა ნაწილი, რომელიც თანაბრად ანაწილებს დაწნევას ძირზე; 2. მანქანების დასაყენებელ-გასასწორებელი საყრდენი; 3. რისამე წვეროზე წამოსაცმელი ამოღრუებული საგანი (ნახ. 1. საბრძოლო ისრის წვერზე წამოსაცმელი ნაჭედი სამფრთიანი ბუნიკი); 4. ხიმინჯის წამახვილებულ წვეროზე წამოსაცმელი ფოლადის ნაკეთობა (ნახ. 2); 5. მრგვალი ან ცილინდრის ფორმის ლითონი, რომელიც ქარქაშის (ხმლის, ხანჯლის, დანის და სხვ.) ბოლოზეა წამოცმული; ბ. გავრცელებული სახეებია: ბალისტიკური, დამცავი, დოინჯის, კაბელის, კონუსისებრი, მოსახსნელი, მუხლუხის, მუხრუჭის, ნაბურცის, ორკაპა, პოლუსის, საკონტაქტო, სამაგრი მილის, საყრდენი, შიგა, ხიმინჯისა და სხვ.





ბუნკერი (შოტლ. bonkar ყუთი, მკერდი) – 1. ხვიმირი; წაკვეთილი პირამიდის ფორმის დიდი ყუთი, საშენი მასალის დროებით შესანახი ტევადობა, რომელიც შეიძლება იყოს ლითონის (ნახ. 1), ბეტონის, ხის. მას ათავსებენ მასალების ტრანსპორტირების საწყის და საბოლოო ტექნოლოგიურ პოსტებზე, გადატვირთვის ადგილებზე და უზრუნველყოფს ციკლური და უწყვეტი მანქანების სტაბილურ მუშაობას. ბუნკერის ქვედა, გამოსაშვები ნაწილი აღჭურვილია ჩამკეტითა და მკვებავით; 2. კარგად გამაგრებული მიწისზედა ან მიწისქვეშა თავდაცვითი ნაგებობა (ნახ. 2. "სტალინის ბუნკერი" სამარაში, რუსეთის ფედერაცია).





ნახ. 2

ბურბუშელა – ამა თუ იმ სახის მასალის დამუშავებისას მიღებული სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნარჩენი (ნახ. 1. ხის ბურბუშელა), ან სპეციალური დანიშნულებისათვის დაქუცმაცებული მასალა.



ბურგი (გერმ. burg ციხესიმაგრე<ძვ. ლათ. burgus თავშესაფარი) – შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში – გამაგრებული კოშკი, ციხესიმაგრე.

ბურთულა – 1. ბურთის მოყვანილობის პატარა საგანი; 2. ტექნიკაში საკისრის დეტალი.

ბურთულსაკისარი – გორვის საკისარი, რომლის შიგა და გარე რგოლებს შორის განლაგებულია ბურთულები (ნახ. 1). ახასიათებს მცირე ხახუნის კოეფიციენტი, დიდი ტვირთამწეობა, მონტაჟისა და მომსახურების სიადვილე, შემზეთი მასალის უმნიშვნელო ხარჯი; თუმცა, დიდი ბრუნვის სიხშირეებისა და დატვირთვებისას აქვს დაბალი ხანგამძლეობა და დიდი გარე დიამეტრი, დარტყმითი დატვირთების შეზღუდული ათვისება. გამოიყენება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან.



ნახ. 1

ბური – 1. სიცხის დროს ჰაერში დამდგარი მტვერი; 2. ანაორთქლი, ბურუსი.

ბურული – 1. სახურავის (დახურვის) ზედა ელემენტი, რომელიც იცავს შენობას ყველა სახის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან; 2. ძვ. ბურვილი – დაფარებული. მშენებლობაში გამოიყენება შემდეგი სახის ბურულები: აზბესტცემენტის, დაპროფილებული ფოლადის, თიხაჩალის, თუთიის, ისლის, კრამიტის, ლერწმის, მეტალოკრამიტის, მინის, მუყაოს, რკინის, სოლყავრის, ტოლის, ტყვიის, ფიცრის, ფურცლოვანი ლითონის, ქვადაფის, ყავრის, შიფერის, ჩალისა და სხვ.

ბურული გუდრონის – ჰიდროსაიზოლაციო ბურული ბიტუმის ან ასფალტის მასტიკის საფუძველზე.

ბურული ნარიმანდიანი – ბურული ფურცლოვანი და რულონური მოთუთიებული ფოლადისაგან, აგრეთვე ფოლადისაგან პოლიმერული საფარვლით, რომლებშიც სახურავის ცალკეული ელემენტების (ფურცლების) შეერთებები (გადაბმები) განხორციელებულია ნარიმანდის მეშვეობით (ნახ. 1).



ბურული რადიუსისებრი – სახურავის კეხის ნაწილი, რომლის კონსტრუქცია შესრულებულია ნახევარწრის სახით.

ბურული რბილი – ტოლით, რუბეროიდით და სხვა რბილი მასალით დაფარული სახურავი (ნახ. 1.რუბეროიდის რბილი ბურული მასტიკაზე).





ბურული ფოტოვოლტაიკური (ფოტოვოლტური) – სახურავის ბურული, შემდგარი ბრტყელი ფოტოვოლტაიკური (ფოტოვოლტური) მოდულებისგან, რომლებიც მართკუთხედის ფორმის შედგენილი (კომპოზიტური) ფურცლებია (ნახ. 1), რომლითაც ხდება მზის და კოსმოსის ენერგიების აკუმულირება.



ნახ. 1

ბურულის განაკიდი – ბურულის ფერდობის გარე ქვედა ზოლი, რომელიც გამოდის კედლის გარე კონტურისა და შენობის ლავგარდნის საზღვრებიდან (ნახ. 1).

ბურულის საფუძველი – სახურავის მზიდი ელემენტების, თბოიზოლაციის ან მოჭიმვის ზედაპირი, რომელზეც დატანილია ჰიდროსაიზოლაციო ხალიჩის (რულონი, მასტიკა) შრე.

ბურულის შენაღარი – ბურულის საფარი სახურავის დახრილი ზედაპირების შეერთების ადგილზე, რომელიც უზრუნველყოფს წვიმის წყლის უჟონადობასა და გადაყვანას წყლის შემკრებ ღარში (ნახ. 1; ნახ. 2. 1-ბურულის ფურცელი; 2-სამაგრი; 3-შენაღარის თამასა; 4-ხის ფენილი; 5-სავენტილაციო ძელაკი; 6-ჰიდროსაიზოლაციო ფენილი; 7-საყრდენი ძელი; 8-ნივნივი).



ნახ. 1



ბურუსი – ჰაერში წვრილ-წვრილ წვეთებად დამდგარი ორთქლი, რაც ჰაერს გამჭვირვალობას უკარგავს.

ბურღვა – დეტალში მრგვალი ნახვრეტის (ბუდის) ამოღების პროცესი, რომელიც სრულდება ხელით ან სპეციალური საბურღი ჩარხით. საბურღი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს მექანიკური (ხელის), ელექტრული ან პნევმატიკური.



ბურღვა ჰიდრავლიკური – მთის ქანის ბურღვა წყლის თხელი ჭავლის ენერგიის გამოყენებით. პროცესისათვის გამოიყენება ჰიდრავლიკური მანქანა, რომლის სამუშაო ორგანოდან (როგორც წესი, კონუსური ფორმის ლითონის მილიდან) რამდენიმე ათასი ატმოსფერული წნევისა და ზებგერითი სიჩქარის წყლის ჭავლი გამოიტყორცნება (ნახ. 1. ჰიდრავლიკური საბურღი დანადგარი).



ბურღი – 1. გრძივი ღერძის მქონე საჭრელი ინსტრუმენტი ბრუნვითი მოძრაობით, მასალაში ნახვრეტების გასაკეთებლად ან არსებული ნახვრეტის გასაფართოებლად. სამუშაო ნაწილის კონსტრუქციის მიხედვით არსებობს: ხრახნული (სპირალური) – ყველაზე გავრცელებული სახეობა, დიამეტრით 0,1-80 მმ, სამუშაო ნაწილის სიგრძით 275 მმ-მდე; ბრტყელი (ფრთეულა) – დიდი დიამეტრის და სიღრმის ნახვრეტებისათვის; ფორსტნერის – ბრტყელის გაუმჯობესებული ვერსია საჭრისი-ფრეზის დამატებით; საცენტრებელი (ღრმა ბურღვისათვის, ცალმხრივი ჭრის, საზარბაზნე, საიარაღე, რგოლური). დასამუშავებელი მასალის მიხედვით [ნახ. 1. ბურღის ზოგი სახეობა: A-ლითონის; B-ხის; C-ბეტონის; D-ხის პირველი (უძველესი) ბურღი; E-უნივერსალური ლითონის და ბეტონის; F-ფურცვლოვანი ლითონის; G-უნივერსალური ლითონის, ხის და პლასტმასის. ბოლოები: 1, 2-ცილინდრული; 3-SDS-plus; 4-ექვსწახნაგა; 5-ოთხწახნაგა; 6-სამწახნაგა; 7-სჭვალსახრახნისათვის]: უნივერსალური, ლითონებისა და შენადნობების; ბეტონის, აგურის, ქვის; კომპოზიტური მასალების; მინის, კერამიკისა და ხის დასამუშავებელი. გასაბურღი ნახვრეტის ფორმის მიხედვით: ცილინდრული და კონუსური. კუდის ნაწილის კონსტრუქციის მიხედვით: ცილინდრული, კონუსური, სამ-, ოთხ- და ექვსწახნაგა, SDS. დამზადების მიხედვით: მთლიანი, შენადუღი, მყარშენადნობიანი ფირფიტებით (ან შესაცვლელი ფირფიტებით) და მყარშენადნობიანი თავით (საჭრეთელით). ბურღვის ხარისხზე გავლენას ახდენს ბურღის სპირალის დახრის კუთხე, მასალა, პროცესის ტექნოლოგია, გარემო და სხვ; 2. პერფორატორების საბურღი იარაღი – წამოსაცმელი მჭრელი თავი (ბუნიკი), რომელიც წარმოადგენს ოთხწახნაგა ღეროს ღერძული ხვრეტით დიამეტრით 6-12 მმ, დამზადებულია სპეციალური ფოლადისაგან და თერმულადაა დამუშავებული.

ბურღის მრავალი სახეობა არსებობს: ალმასის, გასაშლელი, გვირგვინა, ელექტრული, ზარბაზნის, თერმული, თოფის, კალმისებრი, კოვზა, მიწის, მრავალსაჭრისიანი, პირამიდული, პნევმატიკური, სამთო, სამსხვრევი, სარტყამი, სახეხისებრი, სვეტიანი, სპირალური, ტურბინული, ფრეზ-ფრთეულა, ღრუ, შედგენილი, შტანგური, ჩარხის, ცენტრული, ცილინდრული, ხრახნული, ხუროსა და სხვ.



ბურჯ-ხალიფა (ხალიფას კოშკი) (ინგლ. Burj Khalifa<ბერძ. púrgos კოშკი და არაბ. khalīfa მემკვიდრე<khalafa წარმატების მიღწევა, მემკვიდრეობით მიღება) – სტალაგმიტის ფორმის, 163 სართულიანი, მსოფლიოში ყველაზე მაღალი (828 მ) შენობა დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) (ნახ. 1). პროექტის ავტორია ამერიკელი არქიტექტორი ედრიან სმიტი. მშენებლობისათვის სპეციალურად იქნა დამუშავებული მხურვალმედეგი სპეციალური მარკის ბეტონი. ბეტონის გარდა ძირითადად გამოყენებულია ფოლადი და მინა, აგრეთვე სხვა თანამედროვე საშენი მასალები. ცათამბჯენში განთავსებულია ოფისები, სასტუმროები (1-39, 111-121, 125-135 და 139-154 სართული), საცხოვრებელი ბინები (44-72 და 77-108 სართული), სპორტული დარბაზები, საცურაო აუზები, სავაჭრო ცენტრები, სალონები, რესტორნები, გადასახედი მოედნები (43-76, 122, 124 და 148 სართული) და მრავალი სხვ. შენობას ემსახურება 47 სწრაფმავალი ლიფტი. შენობის თავზე დადგმული კოშკი ასრულებს დეკორატიულ და სატელეკომუნიკაციო ფუნქციებს.


ნახ. 1

ბურჯი – დატვირთვების საძირკველზე გადამცემი მასიური მზიდი კონსტრუქცია (საბჯენი, საყრდენი, მასიური ბოძი, კოშკი და სხვ.) (ნახ. 1. ხიდის ბურჯი); 2. კონტრფორტის ტიპი შუა საუკუნეების ტაძრულ არქიტექტურაში.

ბუსოლი (ფრანგ. boussole კომპასი) – ხელსაწყო ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომად (გეოდეზიური აგეგმვისას, საარტილერიო სროლის დროს).

ბუსტერი (ინგლ. booster<boost აწევა; წნევის, ძაბვის მომატება) – დამხმარე მოწყობილობა მანქანის ან მექანიზმის სამუშაო ძალვისა და სიჩქარის გასაზრდელად, განსაკუთრებით დიდი დატვირთვის მოქმედებისას (მაგ., ორთქლმავალში, თვითმფრინავში, სარაკეტო ტექნიკაში, ელექტროტექნიკაში და სხვ.).

ბუსტილატი – წებო სინთეზურ საფუძველზე, რომელიც გამოიყენება იატაკებზე ლინოლეუმის, ხალიჩების, პოლივინილქლორიდის ფილებისა და მისთ. დასაგებად.

ბუტადიენ-ნიტრილური კაუჩუკი (დივინილ-ნიტრილური კაუჩუკი) – ბუტადიენისა და აკრილნიტრილის თანაპოლიმერიზაციის პროდუქტი. სიმკვრივე 940-1020 კგ/მ^3. მზადდება ღია ყავისფერი ლენტის, ბრიკეტის, ნაფხვენის სახით. მედეგია მინერალური ზეთის, ცხიმის,

ბენზინის მიმართ. ხასიათდება ყინვამედეგობით. ბუტადიენ-ნიტრილური კაუჩუკი გამოიყენება ზეთისა და ბენზინისადმი მედეგი რეზინის ნაკეთობების დასამზადებლად, როგორებიცაა შუასადები, ამორტიზატორი, მამჭიდროებელი, მემბრანა, ქსოვილი, დარეზინებული ელემენტი, სახელო და სხვ.

ბუტადიენი (დივინილი) – არაზღვრული ნახშირწყალბადი CH_2; უფერო აირი დამახასიათებელი სუნით; დუღილის ტემპერატურა – $t_{დუღ}$ = –4,5°C; დნობის ტემპერატურა – $t_{დნ}$ = –108,9°C; სიმკვრივე – 650 კგ/მ³ –6°C ტემპერატურაზე. ჰაერთან ქმნის ფეთქებადსაშიშ ნარევს (1,6-10,8% ბუტადიენი); ზღვრული დასაშვები რაოდენობა ჰაერში 100 მლგ/მ³; ადვილად განიცდის პოლიმერიზაციას და თანაპოლიმერიზაციას. გამოიყენება სინთეზური კაუჩუკის წარმოებაში.

ბუტაფორია (იტალ. buttafuoria მოჩვენებითი, ყალბი) – 1. თეატრალური წარმოდგენისათვის საჭირო საგნები; 2. მაღაზიის ვიტრინებში გამოსაფენი ყალბი საგნები, ნამდვილი გასაყიდი საქონლის შემცვლელი.



ბუტიკი (ფრანგ. boutique პატარა მაღაზია, სავაჭრო) – მცირე ფართობის მაღაზია, სადაც მოდური საფირმო სამოსი და ნაირგვარი აქსესუარი იყიდება (ნახ. 1).

ბუტილკაუჩუკი – სინთეზური კაუჩუკი, იზობუტილენის და მცირე რაოდენობის (1-5%) იზოპრენის თანაპოლიმერიზაციის პროდუქტი. მზადდება ღია ყვითელი ფერის ბრიკეტების სახით. სიმკვრივე 910 კგ/მ³. ახასიათებს მაღალი მედეგობა ქიმიური რეაგენტების, ულტრაიისფერი სხივების, ოზონის მიმართ; კარგი დიელექტრიკია. ჭვარტლით გაჯერებული ბ. რეზინის სიმტკიცე მეტია 20 მპა-ზე; მედეგია დაძველების მიმართ; გამოირჩევა აირგაუმტარობით. გამოიყენება მჟავა- და ტუტემედეგი რეზინისსაფუძვლიანი ქსოვილის, ხელთათმნის, შუასადების, სახელოს, საბურავის კამერის, ელექტროსაიზოლაციო მასალისა და სხვ. დასამზადებლად.

ბუტონი – 1. ორნამენტული მოტივის სახეობა (იხ. ორნამენტული მოტივი "ყვავილის ბურთი"); 2. სვეტის კაპიტელის ტიპი, რომელსაც ლოტოსის ყვავილის ფორმა აქვს (იხ. კაპიტელი ლოტოსისებრი).

ბუტრესი (ძვ. ფრანგ. bouterez საყრდენი თაღი) – ნაგებობის გარეთა მხარის გასამაგრებელი და მისი მდგრადობის გასაუმჯობესებელი ქვის ან აგურის კონსტრუქცია, რომელიც გამოშვერილია კედლიდან და იღებს განმბჯენ ძალას. გარდა პრაქტიკულისა, ბუტრესს ხშირად დეკორატიული დანიშნულებაც აქვს (ნახ. 1. ბუტრესი, ქ. რომი, იტალია).



ნახ. 1

ბუფერი (ინგლ. buff დარტყმების შემსუბუქება) – 1. დარტყმის შესარბილებელი სამარჯვი; 2. ზამბარებიანი მოწყობილობა ლოკომოტივზე, ვაგონზე, ავტომობილსა და სხვ. – დაჯახების, დარტყმის შესასუსტებლად (მაგ., ლოკომოტივსა და ვაგონს შორის, ვაგონებს შორის); 3. შუალედური რგოლი კონფლიქტის ორ მხარეს შორის.

ბუფერული მარაგი – საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, მინიმალური მარაგი. ბ. მ. მიეკუთვნება საბრუნავ კაპიტალს და ფინანსდება მოკლევადიანი დავალიანებებიდან და კაპიტალიდან, რომელიც წარმოადგენს მარაგის წყაროს. ასეთი მარაგი უნდა იყოს მუდმივი და გამოითვლება საწარმოო სტრუქტურის, სამეურნეო საქმიანობის სავარაუდო შედეგების, ფირმის ნედლეულითა და მასალებით მომარაგების დონის, ნედლეულის ფასების მდგომარეობის მიხედვით.

ბუფეტი – 1. სუფრის ჭურჭლეულის, საუზმეულისა და სასმელების შესანახი კარადა; 2. სასადილოებსა და რესტორნებში: მაგიდა ან დახლი, სადაც ყიდიან საუზმეულსა და სასმელებს (ნახ. 1); 3. სასაუზმე ან პატარა სასადილო (ავტო-, აერო- და რკინიგზის სადგურებში, წარმოება-დაწესებულებებში, სანახაობით ადგილებში და სხვ.).



ბუქსაობა – სატრანსპორტო მანქანის სავალი თვლების ადგილზე ბრუნვა (ან მუხლუხების მოძრაობა), რომელსაც თან არ სდევს მანქანის გადაადგილება.

ბუღალტერია (გერმ. buch წიგნი და halten დაკავება, დაჭერა, შენახვა) – სამეურნეო ოპერაციების ამსახველი ჩანაწერების შესრულების გარკვეული, მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობა. იგი არის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ინფორმაციის, მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შეფასება, რეგისტრაცია, ანალიზი და გადაცემა დაინტერესებული მომხმარებლებისათვის მათთვის მისაღები ფორმით, მოცულობითა და პერიოდულობით, დასაბუთებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბუღალტრული აღრიცხვა – სამეურნეო სუბიექტების აქტივების, კაპიტალისა და ვალდებულებების არსებობისა და მოძრაობის, სამეურნეო ოპერაციებისა და მათი შედეგების შესახებ ინფორმაციის ერთიანი, უწყვეტი, ურთიერთდამოკიდებული და მოწესრიგებული ასახვა, ანალიზი, კლასიფიკაცია და განზოგადება, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

ბუღაური – 1. სვეტისთავი ან მისი ზედა ნაწილი; 2. სახურავის ჭერის სიმაგრისათვის გადადებული დიდი და მსხვილი კოჭი.

ბუშელი (ფრანგ. boissel ჭურჭელი) – ფხვიერი მასალის საწყაო. აშშ-ში 1 ბ = $35{,}239 \cdot 10^{-3}$ მ^3 = 35,239 ლ; დიდ ბრიტანეთში 1 ბ = $36{,}369 \cdot 10^{-3}$ მ^3 = 36,369 ლ.

ბუჩარდა – ლითონის ჩაქუჩი პირამიდულკბილებიანი ორმხრივი დასარტყმელი სიბრტყეებით (ნახ. 1). გამოიყენება ქვების დასამუშავებლად ზედაპირისათვის მხატვრული (ხორკლიანი) სახის მისაცემად.



ბუჩქი – მერქნიანი მცენარე, რომელიც ძირიდანვე იტოტება (მაგ., ვარდის ბუჩქი, იასამნის ბუჩქი, მოცხარის ბუჩქი და სხვ.).

ბუჭულა – "პატარა წისქვილი" (საბა).

ბუხარი – სახლის კედელში დატანებული ქვის ან აგურის ღია (უკარო) კვამლსადენიანი ღუმელი. მისი ძირი, სადაც ცეცხლი ინთება, გაწყობილია ცეცხლგამძლე ქვით. ზოგჯერ საკვამურის შუა ტანიდან დაშვებულია საკიდელი (ჯაჭვი). ბ. "შუბლი" თაღოვანია, წინ წამოწეული და ხშირად რელიეფური ჩუქურთმით შემკული. მოსაპირკეთებლად, ძირითადად რბილი ქვა გამოიყენება. ბუხრის თავი თაროსებრია და სანთლის, ჭრაქის და სხვათა დასადგმელად იყენებენ. ქართულ საცხოვრებელში ბუხარი არსებითად იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც შუა სახლში მოთავსებული კერა (შუაცეცხლი). ბუხრის დიდი ღირსებაა ის, რომ ის ხელს უწყობს შენობის კარგ ვენტილაციას. მისი ნაკლია დიდძალი საწვავის ხარჯვა და გათბობის დაბალეფექტურობა. ბუხარი გავრცელებულია მსოფლიოს უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით კავკასიასა და ჩრდილოეთის ქვეყნებში. თანამედროვე საცხოვრებლებში ბუხარი ზოგჯერ დეკორაციულ დანიშნულებას ასრულებს. ბ. სრულფასოვნად რომ იმუშაოს, მას პროპორციების სრული დაცვა სჭირდება. ბ. ავკარგიანობისათვის უმთავრესია წინპირისა და ზურგის დაყენების ოსტატობა: წინპირის საკვამლე მხარე გულამოღებულია, ზურგი კი ოდნავ უკანაა გადაწეული, რაც ხელს უწყობს კვამლის დაუბრკოლებლივ მოძრაობას ქვევიდან ზევით. ბუხრის მრავალი სტილი არსებობს, მაგ.: სკანდინავიური, პოლონური, გერმანული, ქართული (ნახ. 1), რუსული (ნახ. 2), მინიმალისტური, ჩინური, იაპონური და სხვ. კლასიკური ინტერიერისთვის უმჯობესი ტრადიციული, მარმარილოთი მოპირკეთებული, ბუხარია.



ნახ. 1



ნახ. 2

ბუხარი დეკორატიული – ბუხარი, რომელსაც არ აქვს კვამლსავალი მილი.

ბუხრიკა (პატარა ბუხარი) – ღუმელი, კერა, აგებული მშრალად დალაგებული ქვებისაგან შემკრავის გარეშე. კვამლი გამოდის უშუალოდ სათავსში და გაიწოვება კარებიდან, ფანჯრებიდან ან კედელში სპეციალურად გაკეთებული ნახვრეტიდან. გავრცელებული იყო საქართველოს მთიან რაიონებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, შუა აზიის ქვეყნებსა და სხვ.

ბუხტა – 1. წრეებად, ცილინდრებად ან რვიანის სახით დაწყობილი გვარლი; 2. ზღვის პატარა ყურე, როგორც წესი, დაცული ქარისაგან, რომელიც გამოიყენება გემების სადგომად.

ბჭე – 1. დიდი კარი, შესასვლელი; 2. ზღუდე, გალავანი, რომელშიც განიერი შესასვლელია მოწყობილი; 3. ზღურბლი, კარის გადასასვლელზე გადადებული დირე, კარის ჩარჩოს ქვედა ნაწილი; 4. იხ. კარიბჭე.

გ

გაბარიტი (ფრანგ. gabarit მოდელი, შაბლონი) – საგნების, მოწყობილობებისა და ნაგებობების ზღვრული გარშემოწერილობა – ზომები. შეიძლება განვიხილოთ გ. საკუთრივ კონსტრუქციის, ელემენტის, მანქანის, რომელიც ყოველთვის მუდმივია (მაგ., მემანქანის კაბინის ან მანქანის ძარის სიმაღლე, მუხლუხების სიგრძე და სიგანე და ა.შ.) და მანქანის სამუშაო ორგანოების გ., რომელთა მდგომარეობა მუშაობის დროს იცვლება. მუდმივი გ. უნდა იყოს მინიმალური, რაც ამცირებს მანქანის მასას და ზრდის მის მობილურობას. გაბარიტს შეიძლება მიეკუთვნოს მანქანის შესვლის კუთხე და კლირენსი.

გაბარიტული – განსაზღვრული ზომის ტვირთი, ნაკეთობა, მოწყობილობა და მისთ., რომელიც თავსდება სტანდარტულ კონტეინერში, მისაბმელსა თუ რკინიგზის ვაგონში.

გაბატონებული ჯიში – ხის ჯიში, რომლის წილად მოდის ტყის კორომის მერქნის მარაგის დიდი ნაწილი.

გაბიონი (იტალ. gabbione<ლათ. gabia გალია, უჯრედი) – ყუთისმაგვარი კონსტრუქციის ორმაგი გრეხის მეთოდით მოქსოვილი ფოლადის მავთულის ბადე, რომელიც ქვით ან კენჭით არის სავსე (ნახ. 1). გ. დაყოფილია ტიხრებით, რომლებიც უზრუნველყოფს კონსტრუქციის სიმტკიცეს და აიოლებს სამუშაოებს ქვების ჩაწყობისას. მშენებლობის დამთავრების შემდეგ გაბიონური ნაგებობა ხდება უფრო მტკიცე, მასში მიმდინარეობს მტვრისა და გრუნტის ნაწილაკების აკუმულირება, რაც მცენარეთა აღმოცენების საშუალებას იძლევა და ის ლანდშაფტის ბუნებრივ ელემენტად გვევლინება, ამასთანავე ხასიათდება კარგი წყალგამტარობითა და ნიადაგის დაწევის შემთხვევაში შეუძლია შეინარჩუნოს პირვანდელი ფორმა. გ. კონსტრუქცია ბევრად ეკონომიკურია, ვიდრე რკ.ბ.-ის კონსტრქცია. გამოიყენება მდინარის კალაპოტის დასაცავად



ნახ. 1

წარეცხვისაგან, სხვადასხვა სახის გეოეროზიული პროცესების შესაჩერებლად, გზების, რკინიგზისა და მილსადენების მიწაყრილების მოწყობისას, საძირკვლების გასამაგრებლად, ხიდების ბურჯებთან მდინარის ფსკერის გამორეცხვისაგან დასაცავად, ლანდშაფტების კეთილმოწყობის, მდინარის კალაპოტის მიმართულების შენარჩუნების ან შეცვლის მიზნით, კაშხლების, ზვავსაშიში ფერდობების

დატერასებისა და სტაბილიზაციისათვის, საავტომობილო (ნახ. 2) და სარკინიგზო ტრასების დასაცავად ზვავებისა და ქანების დაცურებებისაგან, სარეგულაციო და ნაპირების გასამაგრებელ ნაგებობათა მოსაწყობად და სხვ.

გაბრიაძის კოშკი – უნიკალური საათიანი კოშკი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ქ, თბილისის ცენტრში, მარიონეტების თეატრის გვერდით. ავტორია ცნობილი ქართველი მხატვარი, მწერალი, თეატრისა და კინოს რეჟისორი რეზო გაბრიაძე. კოშკი აგებული იყო ავტორის მიერ 2010 წელს.



ნახ. 1

ყოველი საათის ბოლოს, მოხატული კარებიდან გამოდის ანგელოზი და პატარა ჩაქუჩით ზარს რეკავს. მცირე თოჯინების თეატრი თავად კოშკშიც არის განთავსებული და დღეში ორჯერ, 12:00 საათსა და 19:00 საათზე, შესაძლებელია საოცარი თოჯინური წარმოდგენის – „ცხოვრების წრებრუნვის“ ნახვა. კოშკის ქვედა მხარეს ორი კერამიკური პანოა განთავსებული, რომლის შემადგენელი რამდენიმე ასეული ფილა რეზო გაბრიაძემ საკუთარი ხელით დაამზადა და მოხატა. კოშკი თანამედროვე თბილისის არქიტექტურული ღირშესანიშნაობაა.

გაბრო (იტალ. gabbro<ლათ. glaber გლუვი) – მაღალი სიმტკიცის, უხეშმარცვლიანი მუქი ფერის (შავიდან მუქ მწვანემდე) ინტრუზიული მაგმური ქანი. ქიმიურად ბაზალტის მსგავსია. ძნელი დასამუშავებელია (ნახ. 1). სიმკვრივე – 2,9-3,1 კგ/მ^3. მისი ძირითადი მინერალებია: ძირითადი პლაგიოკლაზი, მონოკლინური პიროქსენი, რომბული პიროქსენი, რქის კრიალა, კვარცი. მინერალების შემადგენლობის მიხედვით არსებობს გაბროს სამი სახეობა: ანორთოზიტი (ლაბრადორიტი; შედგება ძირითადად პლაგიოკლაზისაგან), ნორიტი და ტროქთოლიტი. მისი საბადოები გვაქვს საქართველოში (კვაიშურა, გურიის ტყე, ჯორყვალი, რიკოთი, ზემო აფხაზეთი). ცნობილია უკრაინული შავი გაბრო, რომელიც გრანიტის ქვესახეობაა, გამოირჩევა განუმეორებელი თვისებებით; მოიპოვება უკრაინის ქ. ჟიტომირის ოლქის სოფელ ბუკში; ერთფეროვანი სიშავის წყალობით მსოფლიო სარიტუალო ინდუსტრიაში მოიპოვა ლიდერის რეპუტაცია და საყოველთაო აღიარება. ჩინური ანალოგისაგან განსხვავებით ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით არ ხუნდება და არ იჟანგება, არის ყინვა- და კაწვრაგამძლე, პირვანდელ სიბრწყინვალეს ინარჩუნებს არაერთი ათწლეული, ერთგვაროვანი სტრუქტურის წყალობით მასზე იხატება პორტრეტის ზუსტი ასლი ჭორფლებისა და ლაქების გარეშე.

Не удается отобразить связанный рисунок. Возможно, этот файл был перемещен, переименован или удален. Убедитесь, что ссылка указывает на правильный файл и верное размещение.

გაგატი – იხ. გიშერი.

გაგლეჯა (გაწყვეტა) – მკვეთრი მოძაობით რაიმე ნაკეთობის მთლიანობის დარღვევა და ნაწილებად დაყოფა.

გადაადგილება – 1. წერტილის, წერტილთა სისტემის ან სხეულის მდებარეობის შეცვლა. გადაადგილება განისაზღვრება ვექტორით, რომლის სათავე წერტილთა საწყის

მდებარეობაშია, ხოლო ბოლო – გადაადგილებული წერტილების საბოლოო მდებარეობაში; 2. მექ. მიმართული მონაკვეთი, რომელიც აერთებს მოძრავი ნივთიერი წერტილის მდებარეობას დროის ორი მომენტისათვის; 3. მათემ. ნივთიერი წერტილის რადიუს-ვექტორების სხვაობა მოცემული ათვლის სისტემის მიმართ დროის ბოლო და საწყისი მომენტებისათვის; გამოისახება წერტილის ტრაექტორიის ქორდის სახით იმავე სისტემის მიმართ; 4. სამშენებლო მექანიკაში – კონსტრუქციის წერტილების ხაზოვანი გადახრა, კვეთის მობრუნების კუთხეები, აგრეთვე ამ სიდიდეების კომბინაცია, რომელიც ახასიათებს კონსტრუქციის მდებარეობის შეცვლას ძალოვანი დატვირთვების, ტემპერატურის ზემოქმედების ან საყრდენების დაჯდომის გავლენით. გადაადგილება შეიძლება იყოს შემდეგი სახის: განზოგადებული, განივი, გრძივი, ვერტიკალური, ვექტორთა პარალელური, მარტივი, ნატანის, პოლუსების, რთული, სასრული, სხეულის, უსასრულოდ მცირე, უქმი, ფარდობითი, ღერძული, შენობის, შესაძლო, ცენტრიდანული, ცენტრისკენული, ხვრელების, ხრახნული, ჰორიზონტალური და სხვ.

გადაბმა – აგურის წყობაში რიგების წანაცვლება (დაძვრა) ერთმანეთის მიმართ კედლის სიმაგრის გასაზრდელად. განასხვავებენ გრძივ, განივ და შვეულ გადაბმას.

გადაბმულობა – მექანიზმი, რომელიც აერთებს წამყვან და მიმყოლ ლილვებს და პირველი მეორეს გადასცემს მაბრუნ მომენტს (მაგ., ძრავის ლილვის შეერთება რედუქტორის შემავალ ლილვთან). ასეთ გადამბულობას გადაბმულობის ქურო ეწოდება. არსებობს გადაბმულობის სახეები: ბუნიკიანი, დისკოიანი, ელასტიკური, ელექტრომაგნიტური, კბილა, კონუსური, მთავარი, მშრალი, სველი, ფრიქციული, შეკრული, ცენტრიდანული, ხისტი, ხრუტუნა, ჰიდრავლიკური და სხვ.

გადაზიდვა – გადაზიდვა ნებისმიერი საშუალებით საწყობის ან გამოყენების ადგილის მიმართულებით.

გადაზღვევა – ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის დროსაც დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. ამ დროს თავდაპირველი მზღვეველი (გადამცემი კომპანია) ჩვეულებრივ დამზღვევის როლში გამოდის, რითაც ამცირებს თავისი რისკის (ან საერთოდ, ნულზე დაჰყავს) დონეს.

გადაიარაღება – სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობა ნაგებობის საექსპლოატაციო ხარისხის გასაუმჯობესებლად და ცვეთის აღმოსაფხვრელად (კაპიტალური რემონტი, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია).

გადამგდები – მილსადენის ფასონური დეტალი, რომელიც უზრუნველყოფს მოძრავი სითხის ნაკადის მიმართულების ცვლილებას. დამზადების ხერხის მიხედვით არსებობს: მოღუნული, ძლიერ მოღუნული, შენადუღი და შენადუღ-დაშტამპული.

გადამეტწვა (გადაწვა) – ლითონის ნაკეთობის გამოუსწორებელი დეფექტი, რომელის ჩნდება მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებით (დნობის ტემპერატუტის სიახლოვეს) ჟანგვით გარემოში. ახასიათებს ჟანგიანი ჩანართების გაჩენა, რაც იწვევს ლითონის სიმტკიცისა და პლასტიკურობის შემცირებას.გ. შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე, ლითონური კრისტალების ნაპირებზე თხელი შუა შრის გადნობამ.

გადამკეტი მანქანა – მანქანა ადგილობრივი გამონაშვერების და ჩაღრმავებების გასწორებისათვის ფურცლოვანი ნაკეთობის ზედაპირზე, აგრეთვე მავთულის გამოჭიმვისას.

გადამრთველი – 1. მოწყობილობა რაიმეს გადასართავად მუშაობის სხვა რეჟიმში. ელექტროტექნიკაში ყველაზე გავრცელებული ხელსაწყო (ნახ. 1. სამფაზიანი ავტომატური გადამრთველი); 2. დაპროგრამაში – პროგრამის ინტერფეისის გრაფიკული სამომხმარებლო ელემენტი, რომელიც მომხმარებელს ფართო არჩევითობის საშუალებას აძლევს. არსებობს გადამრთველის მრავალი სახეობა: ანტენის, არხების, აწყობის, ბატარეის, ბერკეტიანი, ბიჯური, გადასაყვანი, დაშუნტვის, დიაპაზონთა, დისტანციური, დოლური, ელექტრონული, ერთპოლუსიანი, ვერცხლისწყლიანი, ზამბარიანი, იონური, მატრიცული, მეხის, მკვეთი, მფაზავი, პაკეტური, პნევმატიკური, პოლუსთა, რევერსიული, სამუხრუჭო, საფეხუროვანი, სელექტორული, სინქრონული, ტალღის, ღილაკიანი, ცოცია, ძალური, ხაზის, ჯგუფური და სხვ.



გადამტანი გარემო – სითხე, რომელთანაც შერეულია მყარი ფხვიერი მასალა და რომლის ენერგიის მეშვეობით ხდება მისი ჰიდროტრანსპორტირება (მზიდი სითხე).

გადამტვირთავი – მექანიზმი, რომლის საშუალებითაც წარმოებს ტვირთების მოხსნა და გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე. გამოიყენება რკინიგზის სატვირთო ვაგონის, კონტეინერის, ავტომისაბმელის დასაცლელად.

გადამყვანი ძელები – შპალების სახესხვაობა, რომელიც გამოიყენება საისრო გადამყვანების საფუძვლად და მათ დასამაგრებლად. სიგრძე 3-5,5 მ. განივკვეთის ზომების მიხედვით გ. მ. იყოფა სამ ტიპად: I – მთავარი ლიანდაგებისათვის; II – მცირედ მოქმედი მთავარი, მიმღებ-გამშვები და დამახარისხებელი გორაკებისათვის; III – სამრეწველო საწარმოებთან მისასვლელი ლიანდაგებისათვის; ხოლო განივკვეთის ფორმის მიხედვით არსებობს ჩამოგანული (ჩამოგანული აქვს ოთხივე გვერდი) და ჩამოუგანავი (ჩამოგანული აქვს ორი მოპირდაპირე გვერდი).

გადამწოდი ტემპერატურის – დეტალი, საკონტროლო გარემოში ტემპერატურის გასაზომად.

გადარიცხვა – უნაღდო ანგარიშსწორება ორგანიზაციებს (ან ინდივიდუალურ მეწარმეებს) შორის საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

გადარჩენა – ადამიანთა იძულებითი გადაადგილება სათავიდან გარეთ, მათზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების ან ამ ზემოქმედების გაჩენის უშუალო საფრთხის შემთხვევაში. ის ხორციელდება დამოუკიდებლად, სახანძრო დაცვის დანაყოფების ან სპეციალურად მომზადებული პერსონალის დახმარებით საევაკუაციო და საავარიო გამოსასვლელების გავლით.

გადასარბენი – ლიანდაგის ნაწილი, რომელიც განლაგებულია ორ მომიჯნავე სადგურს შორის.

გადასატანი ეკრანი – სპეციალური ეკრანი, რომელიც იცავს მომუშავეებს სარემონტო სამუშაოთა იმ უბნებზე, სადაც მოუხერხებელია სტაციონარული ეკრანის გამოყენება.

გადასახადები და მოსაკრებლები – საბიუჯეტო შემოსავლების უზრუნველყოფისათვის ქვეყანაში დაწესებული შემდეგი ძრითადი გადასახადები: დამატებით ღირებულების, მოგების, საშემოსავლო, ქონებისა და აზარტული თამაშების ბიზნესის.

გადასახადების ადმინისტრირება – გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

გადასახადი – თანხა, რომელსაც კერძო პირი და საწარმო უხდის სახელმწიფოს. აკრეფილი გადასახადები ისეთ რაიმეზე იხარჯება, რაც მთელი ქვეყნისთვის სასარგებლოა, მაგ., თავდაცვა, არმია, საზღვაო და საჰაერო ფლოტი, ჯანდაცვა, განათლება, გზები და სხვ. ერთ-ერთი ძირითადი გადასახადი საშემოსავლო გადასახადია. მოსახლეობამ თავისი შემოსავალის (გამომუშავებული ფულის) გარკვეული პროცენტი სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს. დიდი შემოსავლის მქონე ადამიანი მეტ საშემოსავლო გადასახადს იხდის. კომპანია მოგებული თანხის შესაბამის პროცენტს უხდის სახელმწიფოს. ეს იმ პირდაპირი გადასახადების მაგალითია, რომელიც სავალდებულოა კერძო პირისა და საწარმოსათვის. პირდაპირი გადასახადით შეიძლება დაიბეგროს მემკვიდრეობით მიღებული ქონებაც. არსებობს გადასახადები, რომლებიც საქონლისა და მომსახურების ფასს ემატება. ევროპაში ამგვარი გადასახადის ძირითადი სახეობა დამატებული ღირებულების გადასახადია (დღგ), ხოლო აშშ-ში – ბრუნვის გადასახადი. ასეთი გადასახადები, რომლებსაც ირიბი გადასახადები ჰქვია, ხარჯებს ბეგრავს და არა შემოსავალს. ირიბი გადასახადების მეშვეობით შესაძლოა ადამინის ქცევა შეიცვალოს. მაგ., თუ მთავრობას გარემოს დაბინძურებასთან საბრძოლველად სურს, რომ მძღოლებმა არაეთილირებული ბენზინი მოიხმარონ, ის ეთილირებულ ბენზინზე დაწესებულ გადასახადს გაზრდის, ხოლო თუ იმით არის დაინტერესებული, რომ მოსახლეობა თამბაქოს წევას გადააჩვიოს, თამბაქოს ნაწარმზე გაზრდის გადასახადს და ა.შ.

გადასახადი არაპირდაპირი (ირიბი) – 1. გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც უშუალოდ შედის ფასებისა და ტარიფების სტრუქტურაში. ამ გადასახადს იხდის მყიდველი. პირდაპირი გადასახადისაგან განსხვავებით, იგი არ არის დაკავშირებული გადასახადის გადამხდელის შემოსავლებთან. არაპირდაპირი გადასახადია: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი და სხვ.; 2. გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც დაწესებულია ფასზე ან ტარიფზე დანამატის სახით. მწარმოებელი საქონლის (მომსახურების) ფასში ითვალისწინებს აღნიშნულ დანამატს და სავაჭრო ამონაგებიდან შეაქვს შესაბამისი საგადასახადო თანხა. ირიბი გადასახადის ფაქტობრივი გადამხდელია მომხმარებელი. ირიბი გადასახადის გავრცელებული სახეებია: აქციზი, ფიქსირებული და საბაჟო გადასახადი; 3. გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვ.), რომელიც დადგინდება მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით. საქონლის შეძენისას არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრება საქონლის (სამუშაოს მომსახურების) მიმწოდებელს, რომელიც იწოდება გადასახადის გადამხდელად.

გადასახადი იმპორტზე – საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული არაპირდაპირი გადასახადის სახე; გამოიყენება იმპორტის მოცულობისა და სტრუქტურის რეგულირებისათვის.

გადასახადი მოგების – საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომლითაც იბეგრება საქართველოსა და უცხოური საწარმოები. საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით, გარდა კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება: საბიუჯეტო, საერთაშორისო ან საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა; ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები; საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება; საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება; 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს; 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში; საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ ფინანსური ოპერაციებიდან ან ფინანსური მომსახურებიდან ან საქართველოს არარეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება; საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება; თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული მოგება; არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას; სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციითა და აღნიშნული ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული მოგება და ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული მოგება; სამედიცინო დაწესებულებების (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც მოხმარდება რეინვესტირებას (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა); 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება; ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული მიწის ნაკვეთის ღირებულება. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული მოგება.

გადასახადი პირად ქონებაზე – საკუთრებაზე გადასახადის ნაირსახეობა, ადგილობრივი გადასახადი, რომლითაც იბეგრება წმინდა შემოსავალი (დავალიანების გამოკლებით). ქონების შეფასება ხდება საბაზრო ღირებულების მიხედვით. ამ გადასახადით არ იბეგრება: ავტომობილი და სხვა სატრანსპორტო საშუალება, საავტორო უფლება, პატენტი, ავეჯი, საოჯახო ჭურჭელი, ხელოვნების ნაწარმოები, ანუიტეტი, დაზღვევის პოლისი, წიგნების კერძო კოლექცია, მარკები.

გადასახადი პროგრესული – გადასახადი, რომლის საშუალო განაკვეთიც მაღლდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

გადასახადი პროპორციული – გადასახადი, რომლის საშუალო განაკვეთი შემოსავლის მიუხედავად უცვლელი რჩება.

გადასახადი რეგრესული – გადასახადი, რომლის საშუალო განაკვეთიც შემოსავლის ზრდასთან ერთად ეცემა.

გადასახადი სააქციზო – არაპირდაპირი გადასახადის ერთ-ერთი სახეობა. წესდება ისეთ საქონელზე, რომელსაც ახასიათებს ორი ძირითადი თავისებურება: 1. ფასისგან დამოუკიდებლად იყიდება განუსაზღვრელი რაოდენობით; 2. არის შეუცვლელი სამომხმარებლო საქონელი. იგი შედის საქონლის (შაქარი, ჩაი, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და სხვ.) ფასში, აგრეთვე სატრანსპორტო, კომუნალურ და სხვა მომსახურების ტარიფებში. გ. ს. სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

გადასახადი საშემოსავლო – გადასახადი, რომელსაც იხდის რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური (იურიდიული) პირი, რომლის დაბეგვრის ობიექტია გამოთვლილი შემოსავალი, როგორც სხვაობა კალენდარული წლის ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხას შორის.

გადასახადი უარყოფითი – დოტაცია, სუბსიდია.

გადასახადი უარყოფითი საშემოსავლო – სახელმწიფო ანაზღაურების სისტემა იმ ოჯახებისათვის, რომელთა შემოსავალი დაუბეგრავი საშემოსავლო გადასახადის მინიმუმზე ნაკლებია.

გადასახადი ფისკალური – საბაჟო გადასახადი, დადგენილი უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შევსების მიზნით; როგორც წესი, იბეგრება ის სამომხმარებლო საქონელი, რომელსაც მოცემულ ქვეყანაში არ აწარმოებენ.

გადასახადი წმინდა – სხვაობა გადასახადების აკრეფით მიღებულ შემოსავლებსა და სამთავრობო ტრანსფერულ გადასახდელებს შორის.

გადასახსნელი ქანები (გადახსნა) – გეოლოგიური გარემოს ან ტექტოგენური წარმონაქმნების ნაწილი, რომელიც ზევიდან ფარავს სასარგებლო შრეს და ექვემდებარება მოცილებას (გადახსნას).

გადასვლა – ერთი მდებარეობიდან ან მდგომარეობიდან მეორეში გადანაცვლების პროცესი. ის შეიძლება იყოს: თანდათანობითი, იზომერული, ინტერკომბინაციური, კვანტური, მდოვრე, მყარი, პირობითი, სპონტანური, უპირობო, უქმი, ფაზური, ძაბვისა და სხვ.

გადასხმა – წყალგადასაშვები არმატურის კვანძი, ზედმეტი წყლის გადასაღვრელად სანიტარულ-ტექნიკური ხელსაწყოდან, მასში წყლის მაქსიმალური დონის მიღწევისას.

გადაღობვა ბორდიურებით – გზის ან ხიდის ვაკისის ელემენტი, რომელიც აფიქსირებს სავალი ნაწილის საზღვარს და ზღუდავს სატრანსპორტო საშუალების გადასვლას მისი საზღვრების იქით (ნახ. 1). გამოიყენება აგრეთვე ეზოებში, ბაღებში, სკვერებში, პარკებსა და მისთ. ყვავილნარების, ბილიკების, მოედნებისა და ა.შ. გადასაღობად.



ნახ. 1

გადაღუნვის წერტილი – ბრტყელი წირის ისეთი M წერტილი, რომლის მახლობლობაში მოთავსებული წირი მდებარეობს M წერტილში გამავალი მხების სხვადასხვა მხარეს. წირის სიმრუდე გადაღუნვის წერტილში ნულის ტოლია.

გადაცემა – მექანიზმი, რომელიც გამოიყენება მანქანებში მოძრაობის გადასაცემად. შეიძლება განხორციელდეს სიჩქარის, ძალის ან მომენტის სიდიდისა და მიმართულების ან მოძრაობის სახის (მაგ., ბრუნვითი – მიწოდებითში) შეცვლა. არსებობს გადაცემის სხვადასხვა სახეები: ავტომატური, ალის, ასაჩქარებელი, ბაგირული. ბერკეტული, ბოლო, ბრტყელღვედური, გვერდული, დამატებითი, დიფერენციალური, ელექტრული, ენერგიის, ეპიციკლური, ექსცენტრიკული, ირიბკბილა, კარდანული, კბილანური, კონუსური, კუთხური, ლარტყული, ლენტური, მთავარი, მოქნილი, მოძრაობის, მრუდმხარა, მუხლუხა, ორსაფეხურიანი, პირდაპირი, პლანეტარული, რედუქტორული, რევერსული, საავარიო, უსაფეხურო, უხმაურო, ფრიქციული, ცვლადი, ცილინდრული, ძალური, ჭიახრახნული, ჯაჭვური, ხისტი, ხრახნული, ჰიდრავლიკური, ჰიდროდინამიკური, ჰიპოიდური და სხვ.

გადაცემა ექსცენტრიკული – მრუდმხარული გადაცემის სახეობა, როცა მისი რადიუსი შედარებით მცირეა მრუდხარას რადიუსზე. გამოიყენება ორთქლის მანქანებში და მრავალი სახის სხვა მანქანა-დანადგარში.

გადაცემა კბილანური – მოძრაობის გარდაქმნელი მექანიზმი კბილებიანი ბორბლის (კბილანას) ან კბილებიანი ლარტყის მეშვეობით. ამ მექანიზმის იმ რგოლს, რომელიც ამა თუ იმ ამძრავით მოდის მოძრაობაში, წამყვანი ეწოდება, ხოლო მეორეს – ამყოლი. ღერძების ურთიერთგანლაგების მიხედვით არსებობს კბილანური გადაცემის სახეები: ცილინდრული, კონუსური და ჭიახრახნული.





გადაცემა რევერსული – გადაცემის სახეობა, რომელიც სათანადო მოწყობილობების გამოყენებით ბრუნვათა მიმართულების ცვლის საშუალებას იძლევა (ნახ. 1).

გადაცემა ფრიქციული – გადაცემის სახეობა (კინემატიკური წყვილი), რომელიც ფრიქციული მოწყობილობითაა აღჭურვილი (ნახ. 1) და ხახუნის ძალების მეშვეობით გადაცემს მექანიკურ ენერგიას. ის შეიძლება იყოს მშრალი, სველი ან შეზღუდული. მათგან უმჯობესია სველი გადაცემა, რადგან ის საგრძნობლად ზრდის კვანძისხანგამძლეობას. გამოიყენება ამწეებში, სატრანსპორტო საშუალებებში და სხვაგან, სადაც საჭიროა ამძრავი მოწყობილობის ხშირი ჩართვა-გამორთვა.





გადაცემა ჭიახრახნული – გადაცემის სახეობა, რომელშიც ჩამონტაჟებულია ჭიახრახნული წყვილი (კბილანა და ჭიახრახნი). გადაცემა მნიშვნელოვნად ზრდის მგრეხ მომენტს და, შესაბამისად, ამცირებს კუთხურ სიჩქარეს. წამყვანი რგოლია ჭიახრახნი. გამოიყენება ამწეებში, რედუქტორებში, ჯალამბრებში და სხვ. (ნახ. 1).



გადაცემა ჰიპოიდური – კონუსური კბილანური გადაცემის სახეობა, სადაც კბილანებს, გარდა განივი სრიალისა, აქვთ გრძივი სრიალის საშუალება (ნახ. 1). გამოიყენება დიდი სიმძლავრეების გადაცემისას. გამოირჩევა უხმაუროობით, თუმცა საჭიროებს ცვეთის საწინააღმდეგოდ ხშირ გაპოხვას.

გადაცემათა კოლოფი – მექანიზმი, რომელიც აწესრიგებს გადაცემათა რიცხვს, ანუ ბრუნვის სიჩქარეს ან მიწოდების სიჩქარეს.

გადაცემათა რიცხვი (გადაცემათა ფარდობა) – წამყვანი რგოლის სიჩქარის ფარდობა ამყოლი რგოლის სიჩქარესთან. ბრუნვითი მოძრაობისას $i = w_1/w_2 = n_1/n_2 = R_2/R_1 = z_2/z_1$, სადაც i არის ერთმანეთთან ჩაბმაში მყოფი ბორბლების გადაცემათა რიცხვი; w_1, n_1, R_1, z_1 და w_2, n_2, R_2, z_2 – შესაბამისად, წამყვანი და ამყოლი ბორბლების კუთხური სიჩქარე (w), ბრუნთა რიცხვი (n), ბორბლის რადიუსი (R) და კბილანური გადაცემისას კბილთა რიცხვი (z).

გადაცემის თანაფარდობა – მექანიზმის წამყვანი და მიმყოლი რგოლების კუთხური სიჩქარეების ან ბრუნვის სიხშირეების ფარდობა. თანამიმდევრობით შეერთებული რამდენიმე გადაცემის საერთო გადაცემის თანაფარდობა, მათი ცალკეულ გადაცემათა თანაფარდობის ნამრავლის ტოლია.

გადაცემის რიცხვი – კბილანურ გადაცემაში: კბილათვლის კბილთა რიცხვის შეფარდება კბილანის კბილთა რიცხვთან; ჭია გადაცემაში: კბილათვლის კბილთა რიცხვის შეფარდება ჭიას შესავლების რიცხვთან; ჯაჭვურ გადაცემაში: დიდი ვარსკვლავას კბილთა რიცხვის შეფარდება პატარა ვარსკვლავას კბილთა რიცხვთან; ღვედურ გადაცემაში: დიდი ბორბლის დიამეტრის შეფარდება პატარა ბორბლის დიამეტრთან; ფრიქციულ გადაცემაში (თუ ის

არარეგულირებადია): დიდი საგორავის დიამეტრის შეფარდება პატარა საგორავის დიამეტრთან.

გადაცემის ფარდობა – მექანიზმის ორი მბრუნავი რგოლის კუთხურ სიჩქარეთა ფარდობა.

გადაცივება – 1. გარდაქმნის წონასწორულ ტემპერატურაზე დაბლა გაცივება; 2. სითხის გაცივება კრისტალიზაციის ტემპერატურაზე დაბლა; 3. ორთქლის გაცივება მისი სუბლიმაციის ტემპერატურაზე დაბლა.

გადაწვა – ლითონის ან ლითონთა შენადნობის თერმული დამუშავების შეუქცეველი დეფექტი, რომელიც მარცვლის საზღვრების დაჟანგვაში ან შემოდნობაში ვლინდება. პროცესი მიმდინარეობს გახურებაზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე.

გადახდისუნარიანობა – სახელმწიფოს, იურიდიული ან ფიზიკური პირის უნარი დროულად და სრულად შეასრულოს მისი საგადასახდელო ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ სავაჭრო, საკრედიტო ან სხვა ფულადი ხასიათის ოპერაციებიდან.

გადახდისუუნაროება– სახელმწიფოს ან კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, როდესაც მათ არ შეუძლიათ დროულად დაფარონ თავიანთი ფინანსური ვალდებულებები.

გადახრა – დაუმთხვევლობა, დარღვევა, განსხვავება. ის შეიძლება იყოს: აბსოლუტური, გვერდული, დასაშვები, ზედა, ზღვრული, კუთხური, ვარდნილი სხეულის, საალბათო, სტანდარტული, სხივის, ფარდობითი, ქვედა, ღერძის, შვეულისა და სხვ.

გადახრა აბსოლუტური – საშუალო მნიშვნელობისაგან გადახრის აბსოლუტური სიდიდე.

გადახურება – ლითონის გახურების რეჟიმის დარღვევა უფრო მაღალ ტემპერატურაზე დაყოვნების გამო.

გადახურვა – შენობის ერთ-ერთი ძირითადი კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც მას სართულებად ყოფს და დატვირთვებს კაპიტალურ კედლებს ან სვეტებს გადასცემს. დანიშნულების მიხედვით არსებობს სართულშუა, სარდაფის და სხვენის გადახურვა; კონსტრუქციების მიხედვით: ხშირწიბოვანი, ანაკრები (მსხვილპანელოვანი, პანელური, კოჭოვანი), მონოლითური რკ.ბ.-ის, ასაწყობ-მონოლითური, კესონური, კარვისებრი, აგურის თაღოვანი, გარსული და სხვ. ყველა ტიპის გადახურვა (რკ.ბ.-ის, ლითონის, ხის, მინის, პლასტმასის) უნდა აკმაყოფილებდეს სიმტკიცის, ცეცხლმედეგობის, ხანგამძლეობის, ბგერა-, ჰიდრო- და თბოიზოლაციის ნორმატიულ მოთხოვნებს.

გადახურვის დისკო – ჰორიზონტალური დიაფრაგმა, რომელსაც უნარი აქვს მიიღოს ჰორიზონტალურ სიბრტყეში მოქმედი ძალები და გააერთიანოს ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციები ერთიან სივრცით სისტემაში (ნახ. 1. სართულშუა გადახურვის სიხისტის დისკო).



ნახ. 1

გადახურული მოლის შენობა – გარკვეული რაოდენობის

მფლობელებისა და დამკავებლეებისთვის განკუთვნილი ცალკე შენობა, სადაც მდებარეობს საცალო ვაჭრობის მაღაზიები, სწრაფი კვების ადგილები, გასართობი მოწყობილობების ადგილები, სამგზავრო ტრანსპორტის ტერმინალები, ოფისები და სხვა მსგავსი გამოყენებები (ნახ. 1. ქ. ბათუმის მოლი, საქართველო). აქ მფლობელობაში არსებული ორი ან ორზე მეტი სივრცის მთავარი შესასვლელი გადის ერთ ან ერთზე მეტ მოლში. მიდგმული შენობები არ ითვლება გადახურული მოლის შენობის ნაწილად. ტერმინი „გადახურული მოლის შენობა“ გულისხმობს ღია მოლის შენობებსაც.



ნახ. 1

გადაჯერება – ჭარბი კონცენტრაცია ხსნარში ან ორთქლში არსებული ნივთიერებისა ხსნადობის ზევით, ანუ კონცენტრაციის მეტობა შესაბამის გაჯერებულ ხსნარში ან გაჯერებულ ორთქლში მოცემულ პირობებში; ხსნარის ან ორთქლის არამდგრადი მდგომარეობა.

გადნობა – იხ. დნობა.

გაერთიანებული ენერგოსისტემა – ენერგოსისტემათა ერთობლიობა, გაერთიანებული სისტემათაშორისი კავშირებით პარალელური მუშაობისათვის საერთო ოპერატიული მართვით ერთიანი სადისპეტჩერო პუნქტიდან. გ. ე. ამცირებს ენერგეტიკული დატვირთვის არათანაბრობას ცალკეული ენერგოსისტემების დღეღამური მაქსიმუმების დროში არათანხვედრის გამო, რომლებიც მდებარეობს დროის სხვადასხვა სარტყლებში, რის გამოც ცალკეული ენერგოსისტემა აღარ არის დამოკიდებული ჰიდროლოგიურ და კლიმატურ პირობებზე, აგრეთვე, გამორიცხავს დიდი სიმძლავრის სარეზერვო ელექტროსადგურების მშენებლობის აუცილებლობას.

გაერთიანებული სადგური – შენობებისა და ნაგებობების კომპლექსი სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მგზავრთა მომსახურებისათვის.გ. ს. შეიძლება იყოს რკინიგზისა და ავტობუსების, ავტობუსების და სამდინარო, რკინიგზის და საზღვაო და ა.შ. ტრანსპორტის ერთი სახეობა, ჩვეულებრივ, არის ძირითადი, დანარჩენი – მიბმული. გ. ს. პრინციპული სქემა განისაზღვრება ძირითადი ტრანსპორტის სახეობის შესაბამისი ნაგებობით. გაერთიანება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა სადგურების განთავსებით ერთი მეორის გვერდით, ბლოკირებით ან ყველა ძირითადი შენობის ერთ სივრცეში გაერთიანებით.

გავალაკი – ბალდახინი, სალხინებელი. ბოძებზე თუ ლატნებზე დამაგრებული უძრავი ან მოძრავი ჩარდახი (მაგ., სამეფო ტახტის, ტრაპეზის თავზე და სხვ).

გავიტი – იხ. ჟამატუნი.

გაზგოლდერი (ფრანგ. gaz გაზი და ინგლ. holder დამჭერი) – 1. ბუნებრივი და თხევადი აირების მიმღები, შესანახი და გამანაწილებელი სტაციონალური რეზერვუარი. ძირითადად ამზადებენ ლითონის ან რკ.ბ.-ისაგან. განლაგების მიხედვით არსებობს მიწისზედა (იშვიათად მიწისქვეშა); კონსტრუქციის მიხედვით – ვერტიკალური ცილინდრული, ჰორიზონტალური ცილინდრული (ნახ. 1), სფერული (ნახ. 2) და წვეთისებრი;

ექსპლუატაციის პირობების მიხედვით – სტაციონალური, გადასატანი, მცურავი და სატრანსპორტო; აგების მეთოდების მიხედვით – მონოლითური ან ასაწყობ-მონოლითური. როგორც წესი, ყველა გ. აღჭურვილია შიგა წნევის საკონტროლო მოწყობილობით. გაზის წნევა გაზგოლდერში არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მპა-ს.





გაზებო (ინგლ. gazebo<ლათ. gaze მზერა, ყურება) – ალტანკა; სკვერის (ბაღის) ნაგებობა, სამზერი მოედანი, ან ბელვედერი, შესრულებული კოშკის, გუმბათის, საბაღე სახლის სახით შემაღლებულ ადგილზე, მიმდებარე რელიეფის თვალთახედვისათვის. ის არის მსუბუქი აჟურული კონსტრუქცია, გაწყობილი მაგიდით, სკამებითა და სხვა საბაღე ავეჯით. გამოიყენება დასასვენებლად, აგრეთვე მზისა და წვიმისგან თავის შესაფარებლად (ნახ. 1). ძირითადად ამზადებენ ხის, პლასტმასისა და ლითონის კონსტრუქციებისაგან.



გაზი (ფრანგ. gaz გაზი<ბერძ. chaos ქაოსი) – 1. ლითონის ორტუჩა სადურგლო ხელსაწყო (მარწუხი), რაც იხმარება რისამე ამოსაძრობად; 2. ფიზიკური სხეული, რომლის ცალკეული ნაწილაკები ძალიან სუსტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და თავისუფლად მოძრაობისას მიისწრაფვის დაიკავოს მთელი სივრცე, რომელშიც არის მოქცეული (მაგ., ჟანგბადი, წყალბადი, აზოტი); 3. საერთო სახელწოდება გაზისებრი ან ორთქლისებრი საწვავი ნივთიერებებისა, რომელთაც იყენებენ გასანათებლად, გასათბობად და სხვ.; 4. იხ. აირი.

გაზის გამანაწილებელი სისტემა – ქონებრივი კომპლექსი, რომელიც შედგება ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული ობიექტებისაგან, რომლებიც განკუთვნილია გაზის ტრანსპორტირების, განაწილებისა და მომხმარებლებისათვის მისაწოდებლად.

გაზის მეურნეობის საწარმო – საწარმო, რომელიც ახორციელებს დასახლებული პუნქტების გაზმომარაგების სისტემების ექსპლუატაციას.

გაზის მიწოდების დაბლოკვა – გაზის მიწოდების სრული შეწყვეტა.

გაზის მიწოდების პუნქტი (წყარო) – გაზგამანაწილებელი სისტემის ელემენტი (მაგ., გაზის მარეგულირებელი სადგური), რომელიც ემსახურება მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის გამანაწილებელ ქსელში გაზის მიწოდებას.

გაზის მოწყობილობა – ქარხნული წესით დამზადებული ნაკეთობები, რომლებიც გამოიყენება გაზის გამანაწილებელი ქსელის შემადგენელი ნაწილების სახით.

გაზის საქვაბე – საქვაბე, რომელშიც მხოლოდ ბუნებრივი გაზი იწვის.

გაზის სახიფათო კონცენტრაცია – გაზის კონცენტრაცია (გაზის მოცულობითი წილი), რომელიც ტოლია გაზის ფეთქებადობის ქვედა ზღვრის 20%-ისა.

გაზის ქსელი (გაზგამანაწილებელი) – გარე გაზსადენების სისტემა გაზის მიწოდების პუნქტიდან მომხმარებელთან მისი შეყვანის ადგილამდე, აგრეთვე ნაგებობები, მოწყობილობები და მათი აღჭურვილობა.

გაზიფიკაცია (გაზიფიცირება) (ფრანგ. gaz გაზი და ლათ. facio ვაკეთებ) – 1. პროცესი, რომლითაც ორგანულ ან წიაღისეულ ნახშირბადის შემცველ მასალებს (ქვანახშირი, მურა ნახშირი, წვადი ფიქალი, შეშა, მაზუთი, კოქსი, გუდრონი და სხვ.) გენერატორებში გადააქცევენ ნახშირბადის მონოჟანგად, წყალბადად და ნახშირბადის ორჟანგად. ეს მიიღწევა მასალის გაცხელებით მაღალ ტემპერატურაზე (>700 °C) წვის გარეშე ჟანგბადისა და ორთქლის კონტროლით. მიღებულ გაზის ნარევს ეწოდება სინთეზ-გაზი, გაზ-პროდუცენტი ან გენერატორის გაზი და საკუთრივ წარმოადგენს საწვავს. მყარი საწვავი წიაღისეულის გაზიფიკაციის პროცესების ერთობლიობას ეწოდება პიროლიზი, ხოლო არასრულ წვასა და სრულ ჟანგვას – კონვერსია. ნავთობის მძიმე ნარჩენების გაზიფიკაცია ხორციელდება 1400-1500°C ტემპერატურის, ატმოსფერული ან 4-8 მპა წნევის ქვეშ მჟანგველის – ჰაერის თანხლებით, ზოგჯერ კი კატალიზატორების (ბოქსიტი, მჟავე თიხა, ნიკელი, კობალტი) გამოყენებით. გაზიფიკაციით მიღებული გენერატორის გაზი გამოიყენება საწვავად, ხოლო მინარევებისაგან (H_2S, CS_2, CO_2) გაწმენდის შემდეგ ამიაკის, მეთანოლისა და ნახშირწყალბადების საწარმოებლად; 2. საცხოვრებელი სახლების, კომუნალური და სამრეწველო საწარმოთა უზრუნველყოფა საწვავი გაზით.

გაზკბილა – საზეინკლო ხელსაწყო, მავთულების საჭრელი ბრტყელტუჩა; მილის, ქანჩისა და ქუროს დამჭერი, გადასაღუნი, გადასახვევი, მოსაჭერი (ნახ. 1).



გაზმომარაგება (აირმომარაგება) – 1. გაზის მრეწველობის შემადგენელი ნაწილი; 2. საწვავი (ბუნებრივი) აირის მომხმარებელამდე მიწოდება გაზსადენებით, რომლის სიგრძე შეიძლება იყოს ათასობით კილომეტრი (მაგ., "ურენგოი – პომარი – უჟგოროდი"-ის გაზსადენის სიგრძე 4451 კმ-ია). გაზსადენის ხაზზე აყენებენ გადამქაჩ სადგურებს, სადაც გაზი იკუმშება კომპრესორში 20-50 ატმ-მდე და ამ წნევის გავლენით გადაიქაჩება მომდევნო სადგურამდე და ა.შ.

გაზმომხმარებელი მოწყობილობა – მოწყობილობა, რომელიც მოიხმარს გაზს საწვავის ან ნედლეულის სახით.

გაზმოწყობილობა – მარეგულირებელი, ჩამკეტი, მცველი არმატურა, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებები, სანთურები, აგრეთვე, გაზის ხელსაწყოები

და აპარატები, რომლებშიც გაზი გამოიყენება საწვავად ორთქლისა და ცხელი წყლის მისაღებად, საკვების მოსამზადებლად და გათბობისათვის, აგრეთვე ტექნოლოგიურ ნედლეულად.

გაზოვანი ტრაქტი – საქვაბის ნაწილი შემომავალ გაზის მილყელსა და სანთურას შორის, რომლითაც მიეწოდება ან არსებობს გაზი.

გაზოლინი (გაზოილი) (ფრანგ. gaz გაზი და ლათ. oleum ზეთი) – 1. ნავთობის გამოხდის შედეგად მიღებული საწვავი სითხე; 2. ბენზინის სახელწოდება აშშ-ში.

გაზომეტრი (ფრანგ. gaz გაზი და ბერძ. métron გაზომვა) – 1. ჭურჭელი, რომლის საშუალებითაც გროვდება აირადი ნივთიერებები და იზომება მოცულობა; 2. დანადგარი გაზის რაოდენობის განსაზღვრისათვის; 3. გაზმიმღები ჭურჭელი (რეზერვუარი), აირების დაჭერისა და შენახვისათვის, რომელიც გამოიყენება ქუჩებისა და სახლების გასანათებლად (ნახ. 1. მე-19 საუკუნეში აგებული გაზომეტრი, გამოიყენებოდა 1984 წლამდე, ქ. ვენა, ავსტრია); 4. ჭურვი წვადი გაზის რაოდენობის დასადგენად.



ნახ. 1

გაზომვის დამოწმება – პროცედურა, რომელიც მოიცავს გაზომვის საშუალების გარეგან დათვალიერებას, დამოწმების ნიშნის დატანას ან დამოწმების მოწმობის გაცემას, რომელიც ადასტურებს, რომ გაზომვის საშუალება შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

გაზომვის ერთეული – ფიზიკური სიდიდის სპეციფიკური მნიშვნელობა, რომელიც მიღებულია მეტრული კონვენციის შესაბამისად და რომლითაც ერთგვაროვანი სხვა ერთეულების სიდიდეები შეედარება ერთმანეთს ამ სპეციფიკური სიდიდის მიმართ მათი მნიშვნელობის დამოკიდებულების გამოსახატავად.

გაზომვის ერთეულის ეტალონი – გაზომვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია ფიზიკური სიდიდის ერთეულის ზომის აღწარმოების, შენახვისა და გადაცემისათვის.

გაზომვის პირველადი დამოწმება – დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმება, რომელიც მანამდე არ ყოფილა დამოწმებული, მისი ექსპლუატაციაში პირველად გაშვებამდე, ასევე შეკეთებული გაზომვის საშუალების დამოწმება შეკეთების შემდეგ ექსპლუატაციაში გაშვებამდე.

გაზომვის საშუალება – ტექნიკური საშუალება, რომელიც გამოიყენება გაზომვისათვის და რომელსაც აქვს ნორმირებული მეტროლოგიური მახასიათებლები.

გაზომვის საშუალების მიკვლევადობა – კონკრეტული გაზომვის საშუალების შესახებ ინფორმაცია, რომლითაც დგინდება ამ გაზომვის საშუალების კავშირი შესაბამის გაზომვის ერთეულის ეტალონთან შედარებების (დაკალიბრების) უწყვეტი ჯაჭვის მეშვეობით, რომელთაგან თითოეულს აქვს ცნობილი განუსაზღვრელობა.

გაზომვის საშუალების ტიპი – დოკუმენტაციის შესაბამისი კონკრეტული კონსტრუქციის გაზომვის საშუალების დასრულებული (სრულფასოვანი) მოდელი.

გაზონი (გერმ. gaso მდელო) – ბაღებში, სკვერებში, ქუჩებში განსაზღვრულ ფართობზე დეკორატიული მიზნით დათესილი ბალახი, ჩვეულებრივ მოკლედ შეკრეჭილი (ნახ. 1). არსებობს გაზონის სახეები: მდელოსი, პარტერული, მავრიტანული, სხვადასხვაბალახიანი და სპორტული.



გაზონი მავრიტანული – ჭრელყვავილებიანი გაზონი, რომელიც შექმნილია ყვავილოვანი მცენარეების ერთიანობით მრავალწლიან ბალახთან. მისი გაკრეჭა ხდება წელიწადში ერთხელ (ნახ. 1). სახელწოდება დაკავშირებულია ესპანეთის მუსულმანურ მართველობასთან (XII-XV სს.) კორდობას ხალიფატში, სადაც გ. მ. ყველაზე მეტად იყო გავრცელებული.



გაზონი მდელოსი – გაუმჯობესებული ბუნებრივი ბალახის საფარი, რომლის ზედაპირის 30-50%-ის გაკრეჭა ხდება წელიწადში ერთხელ.

გაზონი პარტერული – გაზონი, გამწვანებული ობიექტის ყველაზე მეტად გამოსაჩენ, საზეიმო ადგილას (ნახ. 1). გამოირჩევა ერთგვაროვანი შეფერილობით, სიმჭიდროვით, ბალახის სიმაღლითა და ყვავილების არარსებობით.





გაზონი სპორტული – გაზონი მჭიდრო ელასტიკური ბელტებიანი საფარით, რომელზეც დათესილია გათელვამდგრადი მრავალწლიანი მცენარეები (ნახ. 1).

გაზონი სხვადასხვაბალახიანი – გაზონი, ბალახის სხვადასხვა ბუნებრივი სიმაღლით, მაგრამ არაუმეტეს 60-80 სმ.

გაზოტრონი [ფრანგ. gaz გაზი და tron (ელექ)ტრონი] – ელექტროვაკუუმური აირგანმუხტვის ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება ცვლადი დენის მუდმივად გარდასაქმნელად.

გაზსადენების დაცვა კოროზიისაგან – ღონისძიებათა კომპლექსი მიწისქვეშა ფოლადის გაზსადენების დასაცავად ნიადაგისა და მოხეტიალე დენების კოროზიული ზემოქმედებისაგან.

გაზსადენების ელექტროქიმიური დაცვა კოროზიისაგან – მიწისქვეშა ფოლადის გაზსადენების კათოდური, სადრენაჟო და პროტექტორული დაცვა, რომელთა მიზანია, შესაბამისად, გაზსადენებზე კათოდური პოლარიზაციის უზრუნველყოფა, მოხეტიალე დენების დაბრუნება მათ გამომწვევ წყარომდე (რკინიგზის, ელექტროფიცირებული საქალაქო ტრანსპორტის წევის ქვესადგურები) ან გაზსადენის ნაცვლად თვით პროტექტორის (ანოდური ელექტროდის) დაშლა.

გაზსადენი – საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა გაზის (ძირითადად ბუნებრივი გაზის) ტრანსპორტირება გაზსადენის მეშვეობით (ნახ. 1). გაზი გაზსადენსა და გამანაწილებელ ქსელს მიეწოდება გარკვეული წნევით, რომლის სიდიდე დამოკიდებულია მილის დიამეტრზე, მილგაყვანილობის მარშრუტის რელიეფზე, გადამქაჩ სადგურებს შორის მანძილზე და სხვ. არსებობს გ. ორი ძირითადი ჯგუფი: მაგისტრალური (გაზის ტრანსპორტირებისათვის დიდ მანძილებზე; წნევა მილსადენში 2,5-10 მპა) და გამანაწილებელი ქსელები (გაზის მისაწოდებლად მომხმარებლებისათვის; წნევა მილსადენებში 0,005-1,2 მპა). მილების ჩაწყობის სახეობის მიხედვით გ. შეიძლება იყოს: მიწისზედა, მიწისქვეშა და წყალქვეშა. გ. ტრასა მუდმივად უნდა იმყოფებოდეს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. გაზსადენის კატეგორიებია: I კატეგორია – მაგისტრალური გაზსადენი; II კატეგორია – გაზმომარაგების (გაზგანაწილების) სისტემების მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენი; III კატეგორია – გაზმომარაგების (გაზგანაწილების) სისტემების დაბალი წნევის გაზსადენი.



გაზსადენი გამანაწილებელი – გარე გაზსადენი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის მიწოდებას გაზის მომარაგების წყაროდან სასერვისო ხაზების გაზსადენებამდე.

გაზსადენი მკვებავი – გამანაწილებელი გაზსადენის ნაწილი, რომელიც გაყვანილია დასახლებული პუნქტის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

გაზსადენი სასერვისო ხაზის – გაზსადენი, რომელიც გაყვანილია გამანაწილებელ გაზსადენთან მიერთების ადგილიდან მომხმარებლის ტერიტორიის საზღვრამდე.

გაზსადენი შემყვანი – გაზსადენი, რომელიც გაყვანილია სასერვისო ხაზთან მიერთების ადგილიდან შენობის გარე კონსტრუქციამდე. ის არ ეკუთვნის გაზის გამანაწილებელ ქსელს.

გაზსადენი შიგა – გაზსადენი, რომელიც გაყვანილია შენობის გარე კონსტრუქციიდან შენობის შიგნით განლაგებულ გაზმომხმარებელი მოწყობილობის შეერთების ადგილამდე. ის არ მიეკუთვნება გაზის გამანაწილებელ ქსელს.

გაზსადენის იზოლაცია (პასიური დაცვა) – მიწისქვეშა ფოლადის გაზსადენის ანტიკოროზიული საფარი, რომელიც გამორიცხავს ნიადაგთან მილის ლითონის შეხებას.

გაზსავსები პუნქტი – მცირე საწარმო (საამქრო), რომლის დანიშნულებაა გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების მიღება უპირატესად საავტომობილო ტრანსპორტით, მათი შენახვა და მომხმარებლებისათვის მიწოდება ბალონებით, აგრეთვე, ბალონების რემონტი, ტექნიკური შემოწმება და შეღებვა.

გაზსავსები სადგური – საწარმო (საამქრო), რომლის დანიშნულებაა გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზის მიღება რკინიგზის, წყლის, საავტომობილო და მილსადენი ტრანსპორტით, მათი შენახვა და მომხმარებლებისათვის მიწოდება ავტოცისტერნებითა და ბალონებით, აგრეთვე, ბალონების რემონტი, ტექნიკური შემოწმება და შეღებვა.

გაზსაშიში ადგილი – შენობები, ნაგებობები, ტერიტორიის უბნები, მოცულობები, არეები, არხები, ჭები, შახტები და ა.შ., სადაც სამუშაო ზონის ჰაერში შესაძლებელია მავნე და ფეთქებადსაშიში გაზების კონცენტრაცია ზღვრულ დასაშვებ ნორმაზე მეტად ან არასაკმარისია ჟანგბადის შემცველობა.

გაზსაშიში სამუშაო – სამუშაო, რომელიც ტარდება დაგაზიანებულ გარემოში ან რომლის წარმოებისას შესაძლებელია გაზის გაჟონვა.

გათბობა – სათავსში ოპტიმალური ტემპერატურის მიღწევა და შენარჩუნება იმ დონეზე, რომელიც პასუხობს საყოფაცხოვრებო თბური კომფორტის ან ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნებს.გ. ქვეშ იგულისხმება აგრეთვე ამ ფუნქციის შემსრულებელი მოწყობილობები და სისტემები. მშენებლობაში გამოყენებულია გათბობის შემდეგი სახეები: ადგილობრივი, აირული, ელექტრული, ელექტრორკალური, თბური ტუმბოებით, კალორიფერული, კონვექციური, მაზუთიანი, ორთქლით, ორთქლწყლით, რეცერკულაციური, სხივური, უშუალო, ღუმლით, ცენტრალური, წყლით, ჰაერით და სხვ.

გათბობა კონვექციური – გათბობის სახეობა, როდესაც სითბო გადაეცემა ცხელი და ცივი ჰაერის მოცულობების გადაადგილებით. ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ სათავსში სითბო ნაწილდება არათანაბრად (ჭერთან მაღალი და იატაკთან დაბალი ტემპერატურა), რაც აძნელებს განიავების პროცესს თბური ენერგიის კარგვის გარეშე.

გათბობა პანელური – გათბობის სახეობა, რომლის დროს სითბო გასათბობ სათავსს გადაეცემა კედელში, ტიხარში ან იატაკში განლაგებული გათბობის პანელების გახურებული ბრტყელი ზედაპირით. გათბობის პანელებს ამზადებენ ბეტონისაგან, რომელშიც მოთავსებულია გასახურებელი ელემენტები – ფოლადის მილები. მილებში ხდება თბოშემცველების (ცხელი წყალი, ორთქლი, ჰაერი) ცირკულაცია. გ. პ. გამოყენება მიზანშეწონილია მსხვილპანელურ მშენებლობაში.

გათბობა სხივური – გათბობის სახეობა, როდესაც სითბო გადაეცემა ძირითადად გამოსხივებით, ნაკლებად – კონვექციით. გამთბობი ხელსაწყოები თავსდება გასათბობი ზონის ქვეშ ან ზემოთ (დამონტაჟებულია იატაკში ან ჭერში, კედლებზე ან ჭერის ქვეშ). გარდა ზემოთჩამოთვლილისა, არსებობს სხივური გათბობის სხვა სახეობებიც: ცეცხლჰაერის, ორთქლის, წყლის, ჰაერის, ინფრაწითელი სხივების, დინამიკური და სხვ.

გათბობა წყლით – ყველაზე მეტად გავრცელებული გათბობის სისტემა, რომელიც გამოიყენება საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და სამრეწველო შენობებში და რომელიც სითბოს გამოყოფს ცხელი წყლის მეშვეობით გასათბობ სათავსებში განთავსებული სათბობი მოწყობილობებიდან. წყლით გათბობის სისტემაში შედის: წყალგამაცხელებლები, სათბობი მოწყობილობები (რადიატორები, კონვექტორები, პანელები და მისთ.), მილგაყვანილობები, გაფართოებადი ჭურჭელი გაცხელებისას წყლის გაზრდილი მოცულობის მისაღებად, საცობრეგულირებადი არმატურა. გ. წ. შეიძლება იყოს ბუნებრივი, როცა წყლის ცირკულაცია ხდება სისტემაში წყლის ტემპერატურისა და სიმკვრივის სხვაობით წყალგამაცხელებელსა და

გათბობის საყოფაცხოვრებო არმატურას შორის და მექანიკური, როცა წყლის მიმოცვლა ხდება მილგაყვანილობაზე დამონტაჟებული საცირკულაციო ტუმბოს ხარჯზე.

გათბობა ჰაერით – გათბობის სისტემა, სადაც თბოგადამტანის (ჰაერის) გაცხელება ხდება ცეცხლის მეშვეობით.

გათბობის სისტემა – ტექნიკური ელემენტების ერთობლიობა, გათვალისწინებული სითბოს რაოდენობის მიღების, გადატანისა და გადაცემისათვის, რომელიც საჭიროა მოცემულ დონეზე ტემპერატურის შესანარჩუნებლად. გ. ს. ძირითადი კონსტრუქციული ელემენტებია: სითბოს წყარო (ელემენტი სითბოს მისაღებად), თბოგამტარები (სითბოს გადამტანი ელემენტი სითბოს წყაროდან გამათბობელ ხელსაწყოებამდე) და გამათბობელი ხელსაწყოები (სათავსში სითბოს გამცემი ელემენტი). თბოგამტარებში სითბოს გადატანა წარმოებს სითხის (წყალი, ანტიფრიზი) ან აეროვანი სამუშაო გარემოთი (ორთქლი, ჰაერი, სათბობის წვის პროდუქტები). გათბობის სისტემა შეიძლება იყოს შემდეგი ტიპის: გაზის, გეოთერმული, შეშაზე, მაზუთზე, მზის ენერგიის, ნახშირის, ტორფის, ელექტრული, წყლის, ჰაერის, ორთქლის, კომბინირებული, სხივური, კონვექციული, ბუნებრივი და ხელოვნური ცირკულაციის, ადგილობრივი, ცენტრალური, ერთმილიანი, ორმილიანი და სხვ.

გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირები – ნახშირწყალბადების ნარევი (ძირითადად პროპანი და ბუტანი), რომლებიც შედარებით მცირე წნევის ან ტემპერატურისას თხევად, ნორმალურ პირობებში კი აირად მდგომარეობაშია.

გაკვამლიანება – შავი ფერის კერამიკული სამხატვრო ნაკეთობების მიღების ხერხი.

გაკოტრება – ფინანსური კრახი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს შეუძლებლობით დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები და სხვა ვალდებულებები. სასამართლოს მიერ გ. ოფიციალურად გამოცხადების დღიდან კომპანია კარგავს თავისი ქონების განკარგვის უფლებას.

გალავანი – ქალაქის, ციხის, ეზოს, ცალკეული არქიტექტურული კომპლექსის (სასახლის, მონასტერის და ა.შ.) გარშემო შემოვლებული, ჩვეულებრივ, ქვის ან აგურის კედელი; ზღუდე (ნახ. 1. ციხე-დარბაზი კომტალი კარკასონის ციხე-ქალაქში, კარკასონის ოლქი, საფრანგეთის რესპუბლიკა; ნახ. 2. სიღნაღის ციხე-ქალაქის გალავანი, საქართველო). გალავნის სისტემაში ჩართული იყო სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო ელემენტები – საბრძოლო კოშკები, ქონგურები, სალოდეები (დუროები), შესასვლელი კარიბჭეები. გალავანი, ჩვეულებრივ, იმ ადგილებში ეწყობოდა, სადაც ქალაქს საქარავნო ან სხვა გზები ადგებოდა. მაგ., თბილისის გალავანში იყო შესაბამის დასახლებულ პუნქტებში მიმავალი გზებისაკენ მიმართული განჯის, კოჯრის, დიღმის კარები; 2. თავდაცვითი ნაგებობის ტიპი XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, ჩვეულებრივ, გეგმით კვადრატული ან სწორკუთხა. ეს იყო კედელშემოვლებული ეზო, რომელსაც ჰქონდა ფართო ჭიშკარი და კოშკები (სხვა ნაგებობთან ერთად ზოგიერთ გალავანში გვხვდება აგრეთვე მცირე ეკლესია). მტრის შემოსევის დროს გალავანში თავს აფარებდა სოფლის ან კუთხის მთელი მოსახლეობა საქონლიანად.



ნახ. 1



ნახ. 2

გალალითი (ბერძ. gala რძე და lithos ქვა) – სინთეზური პლასტიკური მოყვითალო ფერის ნივთიერება, რომელიც მიიღება კაზეინისა და ფორმალდეჰიდის ურთიერთმოქმედებით. არ აქვს სუნი, არ იხსნება წყალში, არ იწვის, ბიოლოგიურად დაუშლელია, გამოირჩევა ანტისტატიკურობითა და ანტიალერგიულობით. ადვილად ექვემდებარება მექანიკურ დამუშავებას, კარგად იხეხება, პრიალდება. ძირითადად გამოიყენება საყოფაცხოვრებო ნივთების (სახელური, სავარცხელი, ფოლაქი, ქოლგის ტარი, საწერი კალამი, როიალის კლავიშები და ა.შ.) დასამზადებლად, ხოლო მაღალი ხარისხის გალალითი – სპილოს ძვლის, ქარვის, რქის მასალის საიმიტაციოდ; სამშენებლო საქმეში – ფურცლების, ფარების, მილების, წნელების სახით და სხვ.

გალაქვა – ელემენტის ზედაპირზე თხევადი ლაქსაღებავის ფენის დატანის პროცესი, რომელიც სრულდება ხელით ან მექანიკურად.

გალე (ფრანგ. galle<ფრანგი მხატვრის ემილ გალეს სახელის მიხედვით) – გაუმჭვირი მრავალფენიანი მინის ნაკეთობა.

გალენიტი (ლათ. galena ტყვიის კრიალა, ტყვიის ნადნობის წიდა) – სულფიდების ჯგუფის მოლურჯო, შავი ან ტყვიისებრ ნაცრისფერი მინერალი. შეიცავს 86% ტყვიას, აგრეთვე ვერცხლის, თუთიისა და სხვ. ლითონების მინარევებს. ქიმიური ფორმულა – PbS. სიმკვრივე – 7200-7600 კგ/მ^3. ტყვიის უმნიშვნელოვანესი მადანი. ბუნებაში გვხვდება მკვრივი მარცვლოვანი მასის სახით სფალერიტთან, პირიტთან, ხალკოპირიტთან, კვარცთან, ფლუორიტთან, კარბონატებთან ერთად. გამოიყენება კერამიკული ნაკეთობების მოჭიქურებისათვის, ხის მასალის გასაჟღენთად, კოსმეტიკაში, აირულ დეტექტორად უკაბელო კავშირგაბმულობაში, რადიოტექნიკაში დიოდების დასამზადებლად და სხვ. აღსანიშნავია, რომ ტყვიის შემცველობის გამო გალენიტის მტვრის ჩასუნთქვა საშიშია ჯანმრთელობისთვის.

გალერეა (ლათ. galeria<galilaea ეკლესიის პარმაღი) – 1. შენობის სხვადასხვა ნაწილის დამაკავშირებელი გრძელი ნათელი სათავსი, რომელიც ერთი ან ორივე გრძელი გვერდიდან შემოსაზღვრულია სვეტების, კამარების, თაღების, გარსების რიგით; სვეტნარი ან თაღედი (ნახ. 1. ერმიტაჟის სურათების გალერეა, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია); 2. მიწისქვეშა გადასასვლელი ციხესიმაგრეებში ან შახტებში. 3. თეატრ. ქანდარა, მაყურებელთა დარბაზის ზედა იარუსი; 4. ბევრი სამხატვრო მუზეუმის სახელი; 5. ჩამოქცევის საწინააღმდეგო ნაგებობა (ძირითადად რკინაბეტონის ნახევრადგვირაბი), რომელიც იცავს რკინიგზის ან საავტომობილო გზის მონაკვეთებს სამთო ჩამოქცევებისაგან; 6. საეკლესიო არქიტექტურაში, სართული ნეფს ზევითა და ტრიფორიუმსა და პატრონიკეს ქვევით.



ნახ. 1



გალერეა ტაძრის – შუა საუკუნეების არქიტექტურაში, გალერეა განაპირა ნეფების თავზე, რომელიც გამოდის ცენტრალური ნეფის სივრცეში (ნახ. 1. გალერეა რამანათჰასვამის ტაძრის ცენტრალურ ნეფში, ინდოეთის რესპუბლიკა).

გალესვა – აშენებული კედლის, იატაკის, ჭერის ან კონსტრუქციის ზედაპირის დაფარვა დუღაბით, ცემენტის ხსნარით, გაჯით, თაბაშირითა და მისთ.

გალვანიზაცია (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით) – მუდმივი ელექტრული დენის გამოყენება სამკურნალო ან ტექნიკური მიზნებისათვის.

გალვანიზება – 1. ელექტრული დენის გატარება რამეში; 2. რაიმე საგნის ზედაპირის ლითონით დაფარვა ელექტროლიზის საშუალებით.

გალვანოგლიფია (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით და ბერძ. gayphe ჭრა, ამოჭრა) – გალვანოპლასტიკის საშუალებით რელიეფურ გამოსახულებათა მიღების წესი.

გალვანოკაუსტიკა (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით და ბერძ. kaustikos მწველი) – 1. ქსოვილების მოწვა გალვანური დენით; 2. სურათის ამოტვიფრვა ლითონზე გალვანური დენის მეშვეობით.

გალვანოკაუტერი (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით და ბერძ. kauter გავარვარებული რკინა) – ლითონის ბუნიკი, წვერი, რომლითაც აწარმოებენ ქსოვილების მოწვას.

გალვანომეტრი (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით და ბერძ. métron გაზომვა) – მაღალმგრძნობიარე ელექტროსაზომი ხელსაწყო, რომელიც რეაგირებს დენის ძალის ან ელექტრული ძაბვის მცირე სიდიდეებზე. უფრო ხშირად გ. გამოიყენება ნულოვანი ინდიკატორების სახით, ანუ ელექტრულ წრედში დენის ან ძაბვის ინდიკაციის არარსებობაზე. განასხვავებენ მუდმივი და ცვლადი დენის გალვანომეტრებს.გ. მოძრავი ელემენტი, რომელიც მოთავსებულია გალვანომეტრის მუდმივი მაგნიტის ველში, შეიძლება იყოს მარყუჟი მავთულების რამდენიმე ხვიით, მარყუჟი მავთულის ერთი ხვიით ან გამტარი დაჭიმული როგორც სიმი. გამტარში გამავალი დენი ურთიერთქმედებს მუდმივი მაგნიტის ველთან და წარმოშობს მბრუნავ მომენტს, რომელიც იწვევს გ. მოძრავი ნაწილის მობრუნებას და ისრის შესაბამის გადაადგილებას. სარკისებურ გ. მოძრავ ნაწილში ისრის მაგივრად ამაგრებენ მინიატურულ სარკეს, ხოლო ანათვლების სკალას განათავსებენ 1,5-2 მ მანძილით გალვანომეტრიდან, ამიტომ მოძრავი ნაწილის ძლიერ მცირე კუთხური გადაადგილებებიც იწვევს სინათლის სხივის მნიშვნელოვან გადახრას, რაც აირეკლება სარკიდან და რომელსაც მონიშნავენ სკალაზე. ბალისტიკური გ. მოძრავი ნაწილის ინერციის მომენტი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივის. მას იყენებენ ელექტრობის რაოდენობის გასაზომად შედარებით ხანგრძლივი იმპულსების დროს. დენის ძალის და ცვლადი დენის ძაბვის 5 კჰც-მდე სიხშირისას, მცირე სიდიდეების გასაზომად, გამოიყენება ცვლადი დენის ვიბრაციული გ., რომლებსაც აქვთ ცვლადი დენის მუდმივად გარდამქმნელები. არსებობს გალვანომეტრის სახეები: აპერიოდული, ბალისტიკური, ელექტროდინამიკური, ელექტრომაგნიტური, ვიბრაციული, მაგნიტოელექტრული, სარკული, სითბური, ტანგენციალური და სხვ.

გალვანოპლასტიკა (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით და ბერძ. plastikē პლასტიკა) – 1. ლითონის დალექვა მისი მარილების ხსნარიდან რაიმე საგნის ზედაპირზე ლითონის ზედაპირის მისაღებად; 2. ლითონის ზუსტი ასლის მიღება ელექტრული დალექვის მეთოდით ლითონის ან არალითონის ორიგინალზე. გავრცელებულია გალვანოსტერეოტიპებისა და გრამფირფიტების შტამპების დასამზადებლად.

გალვანოსკოპი (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით და ბერძ. skopeîn ყურება, შესწავლა) – უმარტივესი ხელსაწყო წრედში მუდმივი დენის გამოსამჟღავნებლად და მისი მიმართულების გასარკვევად.

გალვანოსტეგია (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით და ბერძ. stegō ვფარავ) – ნაკეთობაზე დამცავი ან დეკორატიული ლითონის საფარების დატანა ელექტროლიტური მეთოდით. მას წინ უსწრებს ზედაპირის გაუცხიმოვნება, ამოჭმა, გახეხვა და გაპრიალება. გ. აწარმოებენ გალვანურ აბაზანაში, სადაც ანოდად გამოიყენება ლითონი, რომელიც იხსნება ელექტროლიტში და რომელიც კომპენსაციას უკეთებს დალექილ ლითონს, ხოლო კათოდად – თვით ნაკეთობა. გალვანური დაფარვის ხარისხი და გ. პროცესის სიჩქარე განისაზღვრება ელექტრული დენის სიმკვრივით (ამპერებში ნაკეთობის დასაფარი ზედაპირის 1 დმ²-ზე), ელექტროლიტის შედგენილობითა და ტემპერატურით. ძირითადად გამოიყენება ლითონის ზედაპირის დასაცავად კოროზიისაგან.

გალვანოტექნიკა (იტალ. galvano<იტალიელი მეცნიერის ლ. გალვანოს სახელის მიხედვით და ბერძ. technē ხელოვნება, ოსტატობა) – გამოყენებითი ელექტროქიმიის დარგი, რომელიც

იკვლევს ლითონების დალექვას მათი მარილების ხსნარებიდან ელექტროლიზის გზით. დალექვა შეიძლება მოხდეს ლითონურ ან არალითონურ ნაკეთობის ზედაპირზე.

გალვანური ელემენტი – ელექტრული დენის წყარო, რომელშიც ელექტროქიმიური რეაქციის შედეგად გამოიყოფა უშუალოდ ელექტრული ენერგია. გ. ე. შედგება უარყოფითი (თუთია) და დადებითი (სპილენძი, ნახშირი, ლითონის ჟანგი) ელექტროდებისაგან, რომლებიც ჩაძირულია თხევად ან პასტისმაგვარ (ე.წ. მშრალი გ. ე.) ელექტროლიტის ხსნარში. აღდგენითი რეაქციის შედეგად დადებით ელექტროდზე და დაჟანგულ უარყოფითზე წარმოიქმნება ელექტრული დენი. გ. ე. ელექტრომამოძრავებელი ძალა დამოკიდებულია ელექტროდების მასალაზე და ელექტროლიტების შედგენილობაზე, ხოლო დენის ზღვრული ძალა – ელექტროდების ფორმაზე და ელექტროქიმიური რეაქციის სიჩქარეზე. მშრალი გ. ე. ელექტრომამოძრავებელი ძალა ტოლია 1,25-1,6 ვ-ის. გამოიყენება როგორც უმნიშვნელო სიმძლავრეების ელექტროკვების ავტონომიური წყარო.

გალვანური საფარველი – ლითონის აფსკი სისქით მკმ-დან მმ-ის მეათედამდე, რომელიც დაიტანება ელექტროლიტური დალექვის მეთოდით ნაკეთობის ზედაპირზე მისი კოროზიისა და მექანიკური ცვეთისაგან დაცვის მიზნით, დეკორატიული მოპირკეთების, აგრეთვეზედაპირის ფიზიკური და ქიმიური თვისებების სპეციალური უზრუნველყოფისათვის. უპირატესად გავრცელებულია გალვანური მონიკელება და მოქრომვა.



გალია – 1. მავთულის ან რკინის ბადით შემოზღუდული სადგომი ცხოველებისა და ფრინველებისათვის (ნახ. 1); 2. მდინარე პოსა და ალპებს შორის მდებარე უძველესი ისტორიული რეგიონი იტალიაში.

გალილეა (ბერძ. galiláia<ძვ. ებრ. galil ოლქი, რგოლი) – 1. პორტიკი ან კაპელა, მიშენებული ტაძრის დასავლეთ ნაწილზე; 2. პორტიკი ან გასასვლელი, რომელიც შუა საუკუნეთა მონასტრებში ეკლესიას აკავშირებდა გარე ატრიუმთან, შიდა ეზოსა და სასაფლაოსთან; 3. ისტორიული ოლქი ისრაელის ჩრდილოეთით, ლიბანის საზღვართან. დასავლეთიდან აკრავს ხმელთაშუა ზღვა, სამხრეთიდან ისრაელის ველი, ხოლო აღმოსავლეთიდან – იორდანიის ველი. გალილეაში გაატარა ბავშვობა და სიყრმე იესო ქრისტემ. ის ქრისტეს მოციქულთა უმრავლესობის სამშობლოა.

გალიორკინის მეთოდი – დრეკადი სხეულების სტატიკისა და დინამიკის ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია შესაძლო გადაადგილებათა საწყისებზე.

გალიპოტი (ფრანგ. galipot<ძვ. ფრანგ. garipot ნაძვის სახეობა) – 1. ფისი, რომელიც სდის წიწვოვანი ჯიშის მერქანს ჭრილობიდან. შეიცავს სკიპიდარს, კანიფოლსა და წყალს. გამოიყენება ლაქების დასამზადებლად; 2. ფისის სახეობა, რომელიც გამოიყენება მასტიკად გემთმშენებლობაში.



ნახ. 1

გალიტი (ბერძ. háls მარილი) – ქვამარილი, უფერო, გამჭვირვალე, იშვიათად მოწითალო ან ლურჯი მინერალი NaCl. სიმკვრივე 2100-2300 კგ/მ^3. ბუნებაში წარმოიქმნება ე.წ. მარილოვანი ქანების სახით – ლაგუნებისა და მარილოვანი ტბების დანალექებით. გაწმენდილი სახით არის სუფრის მარილი. გამოიყენება სოდის, ქლორის, მარილმჟავასა და ნატრიუმის მარილების მისაღებად.

გალიუმი – მოვერცხლისფრო-თეთრი რბილი ლითონი. ქიმიური თვისებებით ჩამოჰგავს ალუმინს, გამოიყენება: ლითონშორისი ნაერთების (ზეგამტარი) და ადვილად ლღობადი შენადნობების მისაღებად (სასიგნალო მოწყობილობისათვის), სპეციალური მინებისა და სარკეების დასამზადებლად; გამმართველებსა და ნათურებში; თერმომეტრებისა და მანომეტრების შესავსებად (ვერცხლისწყლის ნაცვლად); სპეციალურ ფიზიოთერაპიულ ნათურებში; ელექტრონული მილაკების კათოდებში; თერმორეგულატორებში, სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. გ. და მისი ნაერთები ტოქსიკურია ვერცხლისწყლის მსგავსად.

გალონი (ლათ. galletum პატარა ვედრო) – თხევადი და ფხვიერი მასალების საწყაო დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში. ინგლისური გალონი = 4,546 ლ, ამერიკული გალონი = 3,785 ლ, არგენტინული გალონი = 3,80 ლ. გალონის 1/8 ნაწილს ეწოდება პინტა. 1 ამერიკული ბარელი = 42 ამერიკულ გალონი = 159 ლ.

გალოპრილი – ხე, რომელსაც ქერქი აქვს შემოცლილი.

გამა (ბერძ. gamma სახელწოდება ბერძნული ანბანის მესამე γ ასოსი) – 1. ფერების ერთობლიობის ხასიათი ფერწერაში (მაგ., ნათელი გამა, თბილი გამა და ა.შ.); 2. რადიოაქტიურ ნივთიერებათა მიერ გამოშვებული უხილავი სხივები, რომლებიც აღწევს გაუმჭვირ საგნებში.

გამა-გამოსხივება – ელექტრომაგნიტური ტალღების ნაკადი, რომელიც გარემოში ვრცელდება ვაკუუმში სინათლის ტოლი სიჩქარით – 300 000 კმ/წმ. ის თან ახლავს ალფა- და ბეტა-გამოსხივებას კვანტების ანუ ცალკეული ულუფების სახით; აქვს შეღწევადობის ყველაზე დიდი უნარი, ხოლო იონიზაციის მხრივ საშუალედო მდგომარეობა. წყალში გავლისას იწვევს ყოველი მე-300 წყლის მოლეკულის იონიზაციას. ელექტრული მუხტი არ აქვს. გამოიყენება სხვადასხვა ხელსაწყოში, როგორებიცაა: გამადეფექტოსკოპები, სამედიცინო და კვების მრეწველობის დანადგარები (პროდუქტების დაკონსერვებისას); აგრეთვე ფიზიკისა და საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, ექსპერტიზის ბიუროები და სხვ.

გამადეფექტოსკოპი – γ-სხივებით გაშუქების შედეგად დეფექტების აღმოჩენა ლითონის სხმულებში, ზოდებში, შედუღებულ ნაკერებში და სხვ. ემყარება γ-სხივების შთანთქმის გაზომვას. მუშაობისას აუცილებელია შრომის უსაფრთხოების დაცვა.

გამართულობა – სამშენებლო კონსტრუქციების, მოპირკეთების, საინჟინრო სისტემების მდგომარეობა, რომლის დროსაც ნაგებობის ფუნქციები, ასევე გარეგნული სახე, ექსპლუატაციის სიმარტივე და სხვ. პასუხობენ მათ წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს.

გამაფუნქცია – G(x) ფუნქცია, ფაქტორიალის განზოგადოებული ცნება; მთელი დადებითი x-ის შემთხვევისათვის ტოლია: 1·2·3·…·(x-1) = (x-1)! = G(x).

გამაცელულოზა – ტექნიკური ცელულოზის ფრაქცია, შედგენილი ცელულოზის დაშლის პროდუქტებისაგან, რომლებიც იხსნება 17,5%-იან მწვავე ნატრიუმის ხსნარში შემდგომი გამორეცხვით.

გამაგრება ნაპირის – მდინარის, ზღვის, ტბის, დამბის, წყალსატევის, არხის ნაპირების გამაგრების პროცესი სხვადასხვა მეთოდისა და მასალის გამოყენებით (მაგ., ნაყარი ქვებით, ბეტონის ხელოვნური ქვებით, ხიმინჯებით, საყრდენი კედლებით, შპუნტებით, ცემენტაციით და სხვ.) (ნახ. 1. მდინარის ნაპირის გამაგრება გაბიონით).



ნახ. 1

გამავალი ხარჯები (ამოწურული ხარჯები) – დანახარჯები, რომლებიც პროდუქციის დამზადებაზე დაიხარჯა, მზა პროდუქციაში "განივთდა" და მეორედ წარმოებაში ვეღარ შევა. გ. ხ. იმავე წარმოების დანახარჯებს წარმოადგენენ და დანახარჯების შემდგომი კლასიფიკაცია, მართვა და კონტროლი, როგორც ასეთი, სწორედ ამ ხარჯებზე ვრცელდება.

გამამტკნარებელი – წყლის გამამტკნარებელი მოწყობილობა. დისტილაციური გამამტკნარებლები, რომელთა საშუალებითაც იღებენ დედამიწის მტკნარი წყლის მარაგის დაახლოებით 96%; არსებობს ერთ- და მრავალსაფეხურიანი. გ. მილისებრი ამაორთქლებლით წყლის გახურება და აორთქლება პირველ საფეხურზე ხორციელდება ორთქლის ქვაბში გენერირებული ორთქლით; ყოველ შემდეგ საფეხურზე ორთქლი ხურდება წინა საფეხურზე წარმოქმნილი "მეორადი" ორთქლით. პირველი საფეხურის გამახურებელი ორთქლის კონდენსატი ბრუნდება ქვაბში, ხოლო დანარჩენ საფეხურებზე წარმოქმნილი კონდენსატი მიემართება მომხარებელთან. მრავალსაფეხურიან გამამტკნარებლებში მარილიანი წყალი მყისიერი ადუღებით თანდათანობით მიეწოდება კამერებს დაქვეითებული წნევით, სადაც ნაწილობრივ ორთქლდება; კონდენსატი გროვდება ქვეშზე (საქვეშეზე), საიდანაც ტუმბოთი გადაიქაჩება.

გამამყარებელი – პლასტმასისა და ბეტონის დანამატი, რომლის დანიშნულებაა დააჩქაროს ნაკეთობის გამყარების დრო.

გამართვა – 1. ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც გათვალისწინებულია საინჟინრო მოწყობილობების ექსპლუატაციის ინსტრუქციებით; 2. მანქანის მომზადება მუშაობისათვის: დაკომპლექტება, დამონტაჟება, გაწყობა, საცდელი გაშვება, რეგულაცია და სხვ.

გამართვა მანქანის – მანქანის ერთობლივი რიგგარეშე დარეგულირება, გამართვის მომზადება (ლითონსაჭრელი დაზგების, ჩარხების, ტუმბოების, კომპრესორების და სხვ.).

გამაღიზიანებელი მოქმედების ნივთიერებები – მჟავები, ტუტეები, აგრეთვე ქლორ-, ფთორ-, გოგირდ- და აზოტშემცველი ნაერთები (ფოსგენი, დიფოსგენი, ამიაკი, გოგირდისა და აზოტის ოქსიდები, გოგირდწყალბადი, V-გაზი), ბერილიუმი, გალიუმი, ვერცხლისწყალი და სხვ. ბიოლოგიურ ქსოვილებთან კონტაქტის შემთხვევაში აღნიშნული ნივთიერებები იწვევენ ანთებით რეაქციას, პირველ რიგში, ზიანდება სუნთქვის ორგანოები, კანი და თვალის ლორწოვანი გარსი.

გამაძლიერებელი – მოწყობილობა, რომელიც ზრდის (ამაღლებს) რომელიმე სიდიდეს ენერგიის გარეშე წყაროს მეშვეობით. განასხვავებენ ელექტრული დენის, ძაბვის, ძალის, წნევისა და სხვათა გ., რომლებსაც ფართოდ იყენებენ ავტომატიკაში, რადიოტექნიკაში, მომუშავე მანქანების ამძრავებში სხვ. გამოყენებული ენერგიის წყარო შეიძლება იყოს ელექტრულ-მაგნიტური, ჰიდრავლიკური, პნევმატიკური და სხვ.

გამაძლიერებელი სადები – დაპროფილებული ფოლადის ელემენტი, რომელიც მოთავსებულია მთავარი პროფილის ძირითად კამერაში საექსპლუატაციო დატვირთვების მისაღებად.

გამდიდრება – სასარგებლო არამადნეული წიაღისეულის პირველადი გადამუშავების პროცესი, რომლის დროსაც ხდება ფუჭი, არამტკიცე მასალის მოცილება სხვადასხვა მეთოდით. არსებობს გამდიდრების სხვადასხვა სახეობა: ბაქტერიული, გრავიტაციული, ელეტრონული, ელექტრომაგნიტური, მაგნიტური, მადნის, მეორადი, მექანიკური, ნახშირის, პირველადი, სამუშაო ნარევის, სველი, ფლოტაციური, ქიმიური, ჰაერული და სხვ.

გამდიდრება იდეალური – წიაღისეულის გამდიდრების პროცესი, როცა მინერალური ნარევიდან გამოყოფილ სასარგებლო კომპონენტების თითოეულ პროდუქტში არ არის სხვა მეორადი, დამანაგვიანებელი ნაწილაკები. ასეთი გამდიდრების ეფექტურობა შეადგენს 100%-ს ნებისმიერი კრიტერიუმით.

გამდიდრება ნაწილობრივი – წიაღისეულის გამდიდრების პროცესი, როცა სასრგებლო ნაწილი გასუფთავებულია ადვილად მოსაცილებელი დამანაგვიანებელი ნაწილაკებისაგან.

გამდიდრებადობა (გამდიდრების უნარი) – სასარგებლო წიაღისეულის კომპონენტების შესაძლო სრული დაყოფის ხარისხის შეფასება გამდიდრებისას.

გამდიდრების ხარისხი – სასარგებლო წიაღისეულისა და გამდიდრების პროდუქტის ხარისხი, რომელსაც განსაზღვრავს სასარგებლო კომპონენტების, შენარევების, თანამდევი ელემენტების შემცველობა, აგრეთვე ტენიანობა და მარცვლების სიმსხო.

გამერი – იხ. გამირი.

გამერქნება – მცენარეული წარმოშობის მასის შემადგენელი უჯრედების გაზრდა-გარდაქმნა მერქნული თვისებების მქონე ნივთიერებად.

გამზავებელი – ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სქლადსრესილი საღებავი შემადგენლობების განზავებისა და მშრალი მინერალური საღებავების გახსნისათვის. გამხსნელებისაგან განსხვავებით, შეიცავს აფსკის წარმომშობ ნივთიერებას. ყველაზე მეტად გავრცელებულ გ. წარმოადგენს ემულსიური სისტემა "წყალი ზეთში". იგი გამოიყენება თუთიისა და ლითოფონის გახსნა-განზავებისათვის, სხვადასხვა ფერადი სქლადსრესილი საღებავი შედგენილობებისათვის და ა.შ. ასეთი გ. რაოდენობა შეადგენს საღებავი შემადგენლობის მასის არაუმეტეს 22-40%-ს. თუ გ. ეს რაოდენობა საკმარისი არაა სამუშაო კონსისტენციის საღებავი შედგენილობის მისაღებად, მაშინ საჭიროა საღებავ შედგენილობას დაემატოს გამხსნელი.



ნახ. 1

გამზირი – ქალაქის სწორი, განიერი და გრძელი ქუჩა (ნახ. 1. აღმაშენებლის გამზირი, ქ. თბილისი, საქართველო).

გამინება (ვიტრიფიკაცია) – სითხის გადასვლა მინისებრ მდგომარეობაში. ახასიათებთ ამორფულ ნივთიერებებს და მას ადგილი აქვს მაშინ, როცა ნივთიერების ელემენტალურ ნაწილაკებს (ატომები, მოლეკულები, ბლოკები) შორის იქმნება საკმარისი რაოდენობის ბმები რაღაც ზღვრულ ტემპერატურაზე. ამასთან დაკავშირებით, ამორფული სხეულებისთვის არსებობს ზღვრული ტემპერატურა (გამინების ტემპერატურა), რომლის ქვევითაც ნივთიერება ხდება მინისებრი (მყარი), ხოლო ამ ტემპერატურის ზევით – თხევადი.

გამირი (გამერი) – 1. ერთმანეთისგან დაშორებული გასწვრივი ხეების შემაერთებელი ხარიხა; 2. სახლის ჭერის ან იატაკის ქვეშ გადებული ხის ძელი (მორი), რომელზედაც აჭედებენ ფიცრებს; 3. რკინის რკალი; 4. კავი, ჩანგალი.

გამკვრივება – 1. სიმკვრივის მატება; 2. წნეხისა და შეცხობის პროცესებში ფხვნილოვან მასალებში ჯამური ფორიანობის შემცირება.

გამმართველი – მოწყობილობა, რომელიც ცვლად დენს გარდაქმნის მუდმივ დენად. მისი მრავალი სახეობა არსებობს: აირიანი, აკუსტიკური, არგონიანი, გაზოტრონული, გერმანიუმის, ელექტროლიტური, ელექტრონმილაკიანი, ვენტილური, ვერცხლისწყლიანი, ვიბრაციული, თირატრონული, იგნიტრონული, იმპულსური, იონური, კაჟბადიანი, კენოტრონული, კონტაქტული, კრისტალური, მაგნიტური, მექანიკური, მრავალფაზიანი, მშრალი, ნახევრადგამტარიანი, რკალური, სამფაზიანი, სელენიანი, ტანტალიანი, ძრავა-გენერატორული და სხვ.

გამოგონება – ამოცანის ახალი (მნიშვნელოვანი სიახლის შემცველი) ტექნიკური გადაწყვეტა სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში, რომელიც იძლევა დადებით ეფექტს. გამოგონება დაცულია საავტორო უფლებითა და პატენტით.

გამოდნობა – მადნიდან ლითონის გამოყოფის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მაღალ ტემპერატურაზე.

გამოთვლა – საწყისი მონაცემებიდან რაიმე ალგორითმით რიცხვითი შედეგის მიღება.

გამოთვლითი ტექნიკა – 1. ტექნიკური და მათემატიკური საშუალებების ერთობლიობა, გამოყენებული გამოთვლების და ინფორმაციის დამუშავების მათემატიკური პროცესის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის; 2. ტექნიკის დარგი, დაკავებული გამოთვლითი მანქანების, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების დამუშავებით, დამზადებით და ექსპლუატაციით.

ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგის განვითარების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილს, რომლის სახელთანაა დაკავშირებული XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული მიმართულების – ავტომატური მართვის თეორიის შექმნა.

გამომთვლელი მანქანა – მოწყობილობა, რომლის მიზანია ინფორმაციის დამუშავების და გამოთვლის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. პირველი გამომთვლელი მანქანა (საანგარიშო) გამოიგონეს ჩინელებმა ძვ. წ. V ს-ში.

გამომუშავება – პროდუქციის რაოდენობა მოცემული ღირებულების ნატურალურ გამოსახულებაში, რომელიც წარმოებულია მომუშავეთა მიერ სამუშაო დროის ფარგლებში.

გამომუშავების ნორმა – პროდუქციის რაოდენობა, რომელიც უნდა აწარმოოს მუშამ დროის ერთეულში. იგი შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელია.

გამოორთქლა – ხსნარების კონცენტრირება გამხსნელის ნაწილობრივი აორთქლების გზით. წარმოებს გამოსაორთქლ დანადგარებში.

გამორეცხვა საყრდენის – ამა თუ იმ საყრდენის, საძირკვლის გამორეცხვა გამავალი წყლების მეშვეობით, რამაც შეიძლება ავარიული სიტუაცია გამოიწვიოს.

გამოსადეგობის ვადა – ობიექტის მუშაობის კალენდარული ხანგრძლივობა ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთ-ერთი ზღვრული მდგომარეობის დადგომამდე.

გამოსადეგობის ვადა დანიშნული – ობიექტის ექსპლუატაციის კალენდარული ხანგრძლივობა, რომლის შემდეგ მისი გამოყენება დანიშნულების მიხედვით უნდა შეწყდეს.

გამოსადეგობის ვადა საშუალო – გამოსადეგობის ვადის მათემატიკური ლოდინი.

გამოსავალი – ნედლეულის გადამუშავებისას მიღებული პროდუქციის ოდენობის შეფარდება დახარჯული ნედლეულის რაოდენობასთან, გამოხატული პროცენტებში.

გამოსავალი მოცულობითი – მზა პროდუქციის მოცულობის შეფარდება დახარჯული ნედლეულის მოცულობასთან, გამოხატული პროცენტებში.

გამოსავალი რაოდენობრივი – ნედლეულიდან მზა პროდუქციის გამოსავალი რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით (მაგ., მორის დანაწევრებისას ფიცრის მთლიანი რაოდენობა ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინების გარეშე).

გამოსავალი სასარგებლო – რაიმეს გადამუშავებისას მიღებული სასარგებლო პროდუქციის რაოდენობის შეფარდება დახარჯული ნედლეულის რაოდენობასთან, გამოხატული პროცენტებში.

გამოსავალი სუფთა – პროდუქციის პროცენტული გამოსავალი სუფთა ზომების მიხედვით.

გამოსაწვავი ღუმელი – სხვადასხვა მასალის გამოსაწვავი ღუმელი სამუშაო ტემპერატურით 700-1300°C ცეცხლმედეგი თიხის, კირქვის, მაგნეზიტის, დოლომიტის, ცემენტის შიხტის, ლითონის მადნის გამოსაწვავად შავ და ფერად მეტალურგიაში. კონსტრუქციის მიხედვით არის შახტური, მრავალქვედიანი, მილისებრი, მბრუნავი. ცალკეულ შემთხვევებში გამოწვა შეიძლება მიმდინარეობდეს გამოსაწვავი ღუმლის მდუღარე ფენით. მაღალტემპერატურული (1000°C და ზევით) გამოსაწვავი ღუმელი გამოიყენება ცეცხლმედეგი აგურის, ფაიფურის და ქაშანურის ნაკეთობების, ჭურჭლის, სანიტარულ-ტექნიკური ნაწარმის, აპარატურის დეტალების ზედაპირზე დატანილი ემალისა და საღებავების დასაფიქსირებლად. კონსტრუქციულად გ. ღ. შეიძლება იყოს კამერიანი, წრიული, გვირაბისმაგვარი, კონვეიერული და ა.შ.

გამოსაჭიმი ხელსაწყო – თავისუფლად მბრუნავი ბლოკი (თვალი) ღვედური ან ბაგირული გადაცემის ამყოლი შტოს რეგულირებისათვის, დაჭიმვისათვის.

გამოსახულება – ობიექტი, სახე, მოვლენა, რომელიც რაღაც ხარისხით მსგავსია გამოსახულის, ან მისი შექმნის პროცესი. მსგავსება მიიღწევა გამოსახულების მიღების ფიზიკური კანონების (მაგ., ოპტიკური გამოსახულება) შესაბამისად ან გამოსახულების შემქმნელის შრომის შედეგად (მაგ., ნახატი, ქანდაკება, სცენური სახე). ვიწრო გაგებით, გამოსახულება არის მხატვრული ან გრაფიკული ნაწარმოები. გამოსახულების სახეებია: ანალიზური, ასტიგმატური, ბუნდოვანი, დამახინჯებული, ელექტრონული, კოლინეარული, კონტრასტული, ლაპლასის, მათემატიკური, მიკროგრაიული, მოძრავი, ნარჩენი, ნახევარტონური, ნეგატიური, ოპტიკური, ორგანზომილებიანი, პერსპექტიული, პირდაპირი, პოზიტიური, რადიოლოკაციური, რასტრული, სამგანზომილებიანი, სარკული, სრულფეროვანი, სტერეოფერადი, სტიგმატური, ტელევიზიური, ფარული, ფერადი, ფესქვეშა, შავ-თეთრი, შექცეული, წარმოსახვითი, წერტილოვანი და სხვ.

გამოსხივება – ენერგიის გამოსხივებისა და გავრცელების პროცესი სივრცეში ან მატერიალურ გარემოში ტალღებისა და ნაწილაკების სახით. არსებობს მისი სახეები: აირების, აკუსტიკური, ალფა-გამოსხივება, არამაიონიზებელი, ბეტა-გამოსხივება, გამა-გამოსხივება, გვერდითი, გრავიტაციული, დედამიწის, დიპოლური, ელექტრომაგნიტური, ელექტრონული, თერმოიონური, იმპულსური, ინდუცირებული, ინფრაწითელი, კვადრუპოლური, კორპუსკულური, კოსმოსური, კოჰერენტული, ლუმინესცენციური, მეორეული, მიკროტალღური, მიმართული, მონოქრომატული, ნეიტრონული, რადიოაქტიური, რადიოტალღათა, რადიუმის, რბილი, რეზონანსული, რელიქტური, რენტგენული, სივრცითი, სითბური, სინათლის, სპონტანური, ტემპერატურული, ტერაჰერცული, ულტრაიისფერი, შავი, შემღწევი, ძრავისა და სხვ.

გამოსხივება თბური – სხვადასხვა ტემპერატურის მქონე ორ სხეულს შორის მათი გამყოფი სივრცის გავლით ენერგიის გადაცემის პროცესი. გამოსხივების გზით სითბო ჩვეულებრივ გადაეცემა გარკვეული დიაპაზონის სიხშირისა და სიგრძის ელექტრომაგნიტური ტალღების სახით. გამოსხივებით თბოგადაცემის ხასიათი დამოკიდებულია გამომსხივებელი და შთანმთქმელი სხეულების ტემპერატურაზე, მასალასა და ზედაპირების თვისებებზე.

გამოსხივება ინფრაწითელი – 1000°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე გაცხელებული სხეულის გამოსხივების სპექტრში უხილავი სხივების ნაკადის 76-750 მკრ-ის სიგრძის ტალღა. სხეულების მიერ ინფრაწითელი სხივების შთანთქმას თან ახლავს ელექტრომაგნიტური ენერგიის სითბურ ენერგიად გარდაქმნა.

გამოსხივება კორპუსკულური – ალფა, ბეტა, ნეიტრონული და პროტონული მაიონიზებელი გამოსხივება (ყველა დანარჩენი გამოსხივება ტალღური ბუნებისაა).

გამოსხივება მაიონიზებელი – ფოტონებისა და ელემენტარული ნაწილაკების ნაკადი, რომლის თვისებაა ნივთიერების იონიზება. ზემაღალი ენერგიის გ. მ. შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს კონსტრუქციული მასალების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, რასაც ყოველთვის ითვალისწინებენ ატომური ელექტროსადგურების მშენებლობაში, აგრეთვე ნახევარგამტარების საწარმოებში, სადაც პერსონალს მუშაობა უხდება რადიაციის პირობებში. ტექნიკაში მაიონიზებელ გამოსხივებას იყენებენ მრეწველობისა და ყოფაცხოვრების სხვადასხვა დარგში, როგორიცაა: ინტროსკოპია (აეროპორტებში ხელბარგისა და ტვირთის შემოწმება), სტერილიზაცია, ლუმინესცენციური ნივთები, სახანძრო გადამწოდები, რადიოიზოტოპური სიგნალიზატორები გამყინვარების

ფიქსაციისათვის, აგრეგატები საავიაციო ძრავების გაშვებისათვის, კვების წყაროდ ზოგიერთი ტიპის იზოტოპური ელექტროგენერატორებისათვის, ჰაერის იონიზაციისათვის და სხვ.

გამოსხივება მიკროტალღური – ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც მოიცავს დეციმეტრული, სანტიმეტრული და მილიმეტრული დიაპაზონის რადიოტალღებს. დიდი ინტენსივობის გ. მ. გამოიყენება სხეულების უკონტაქტო გაცხელებისათვის (მაგ., მიკროტალღური ღუმელი ლითონების თერმული დამუშავებისათვის), რადიოლოკაციაში და სხვ., ხოლო დაბალი ინტენსივობის – კავშირგაბმულობის საშუალებებში (მაგ., რაცია, ფიჭური ტელეფონი და სხვ.).

გამოსხივება ნეიტრონული – ნეიტრალური ელემენტარული ნაწილაკების (ნეიტრონების) ნაკადი, რომლის საწყისი სიჩქარეა 15 000 კმ/წმ. ახასიათებს მატერიაში მაღალი გამავლობის უნარი.

გამოსხივება რადიოაქტიური – არასტაბილური ატომგულის შედგენილობის ან აგებულობის სპონტანური ცვლილება ელემენტარული ნაწილაკების, გამა-კვანტების ან ატომური ფრაგმენტების გამოსხივების (ამოფრქვევის) შედეგად. რადიოაქტიური დაშლის პროცესს რადიოაქტიურობა ეწოდება, ხოლო თვის ატომს – რადიოაქტიური.

გამოსხივება ულტრაიისფერი – თვალით უხილავი ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომლის ტალღის სიგრძე 400-10 ნანომ.ფარგლებშია. ულტრაიისფერი სხივები განფენილია ხილული სპექტრის იისფერი სხივების შემდეგ. განასხვავებენ ახლო (400-200 ნმ) და შორეულ ანუ ვაკუუმურ ულტრაიისფერ სხივებს (200-10 ნმ). ულტრაიისფერი გამოსხივების წყაროებია – მაღალტემპერატურული პლაზმა, ელექტრული ამჭქარებელი, ზოგი ლაზერი, მზე, ვარსკვლავები და სხვ.



ნახ. 1

გამოტანილი ფილა – უბრალო ან დაპროფილებული თარო მნიშვნელოვანი ზომის ნაშვერით, რომელიც ზოგი ტიპის არქიტექტურული კომპოზიციის (ორდერის კარნიზის) მთავარი ნაწილია (ნახ. 1).

გამოტანის კონუსი – რელიეფის აკუმულაციური ფორმა ხეობების სათავეებთან, ხევებში, ხეობებში, მდინარის მიმდებარე ველებზე. მისი მახასიათებელია დახრილი კონუსის ფორმა (ნახ. 1). შედგება წვრილი და მსხვილი გაფხვიერებული ნატეხების გროვისაგან – წყლის დინების დროებითი და მუდმივი გამონატანით (პროლუვიუმი). დანალექის კონცენტრაცია სივრცეში გამოწვეულია კალაპოტის მკვეთრი გაფართოებითა და ნაკადის ტრანსპორტუნარიანობის შემცირებით. მთიან რაიონებში გ. კ. ფართოდ არის გავრცელებული მდინარის ძირითადი ველების ფსკერზე, შუამთიანეთის ქვაბულებში და წინამთიანეთის მდელოებზე. მცირე და საშუალო წყალშემკრებებზე გ. კ. ფორმირებაში მნიშვნელოვან და ზოგჯერ გადამწყვეტ როლს ღვარცოფული ნაკადი



ნახ. 1

თამაშობს.

გამოტუმბვა – მყარი ნივთიერების ერთი ან რამდენიმე კომპონენტის ხსნარში გადაყვანა წყლით ან ორგანული გამხსნელით.

გამოფენა – ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის მიღწევათა საჯარო დემონსტრირება (ნახ. 1).

გამოფისვა – წიწვოვანი ხეების დაკეჭვნა ფისის მისაღებად.

გამოფიტვა – მთის ქანების რღვევის პროცესი ატმოსფეროს, გრუნტის, ზედაპირული წყლების და ორგანიზმების მექანიკური და ქიმიური ზემოქმედების შედეგად. გამოფიტვა შეიძლება იყოს: აკუმულაციური, გრუნტის, კრისტალის, ნახშირის, ნიადაგის, ორგანული, ფიზიკური, ფიჭისებრი, ქანის, ქიმიური, ყინვისმიერი და სხვ.

გამოფიტული ქერქი – სამთო ქანის ფხვიერი ზედაპირული ფენა, რომელსაც წარმოქმნის გამოფიტვა. როგორც წესი, მას აქვს თიხოვანი შედგენილობა.

გამოფრქვევა (გამობოლქვა არაკონტროლირებადი) – როდესაც ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერები გამონთავისუფლდება ტექნოლოგიური მოწყობილობის, დაცვის სისტემების, რეზერვუარების გარსაცმის ნაწილობრივი ან სრული ნგრევით. მას შეიძლება ახლდეს ხანძარი, აირ- და მტვერჰაერის ნარევების აფეთქება, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს მოწყობილობის განმეორებით ნგრევას და მეზობელი ობიექტების დაზიანებას.

გამოქარვა – სამთო ქანებისა და მისი შემადგენელი მინერალების ფიზიკური და ქიმიური დაშლის პროცესების ერთობლიობა, რასაც იწვევს ტემპერატურის ცვალებადობა, გაყინვის, ატმოსფერული ნალექებისა და ორგანიზმების ზემოქმედება. გ. შეიძლება ქანში გავრცელდეს სიღრმეში 500 მ-მდე. არსებობს გამოქარვის ოთხი ძირითადი სახეობა: ფიზიკური ან მექანიკური (ხახუნი, ყინული, წყალი, ქარი); ქიმიური; ბიოლოგიური (ორგანული) და რადიაციული (მაიონიზებელი).

გამოქვაბული (ქვაბი) – თავისუფალი ადგილი (ფოსო, ღრუ) დედამიწის ქერქის ზედა ნაწილში, რომელიც დედამიწის ზედაპირს უკავშირდება ერთი ან რამდენიმე გამოსასვლელი ხვრელით (ღიობით). გ. შეისწავლის სპელეოლოგია, ხოლო ხელოვნურ (ანთროპოგენურ) გამოქვაბულებსა და მიწისქვეშა ნაგებობებს (ქვასატეხი, შტოლნი, საქალაქო კომუნიკაციები) – სპელესტოლოგია. წარმოშობის მიხედვით არსებობს გამოქვაბულის სახეობები: ტექტონიკური, ეროზიული, ყინულოვანი, ვულკანური და კარსტული (ყველაზე დიდი ჯგუფი).

გამოყენება (მასალის) – მყარი, თხევადი და აეროვანი მასალების გამოყენება სამუშაო პროცესში.

გამოყენებითი მექანიკა – ნივთიერი სხეულის მექანიკა, რომელმაც ტექნიკური გამოყენება პოვა.

გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა (კომპ.) (ინგლ. application software) – კომპიუტერული პროგრამა ან პროგრამების ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის რაიმე კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. გ.პ.უ. განეკუთვნება: ტექსტური პროცესორები (Microsoft Word, Pages, LibreOffice Writer, Google Docs და სხვ.),

ელექტრონული ცხრილები (Microsoft Excel, Numbers, Libreoffice Calc, Google Sheets და სხვ.), საბუღალტრო პროგრამები (QuickBooks, TurboCASH, FreshBooks, ორის ბუღალტერია, SuperaFin, ინფობუღალტერი და სხვ.), ვებ-ბრაუზერები (Google Chrome, Mozilla Firefox, Safari, Opera, Microsoft Edge და სხვ.), მონაცემთა მართვის სისტემები (Oracle Database, Microsoft Access, Microsoft SQL Server, MySQL, SQLite, CUBRID და სხვ.), სხვადასხვა გრაფიკული რედაქტორი (Adobe Photoshop, Paint.NET, GIMP, Pixlr, Snapseed, CorelDRAW, Adobe Illustrator, DrawPlus, Inkscape, PaintShop Pro და სხვ.), ვიდეოთამაშები და სხვ.

გამოყვანა (მოსახვა) – ნაგებობის, მისი ცალკეული ელემენტების დამუშავების პროცესი (მოპირკეთება, შეღებვა, შელესვა, გაპრიალება და სხვ.).

გამოშრობა – მასალიდან (სხეულიდან) ტენის მოშორების პროცესი ბუნებრივად ან ხელოვნურად.

გამოშრობის კოეფიციენტი – დატენიანების დროს კედელში შეღწეული წყლის რაოდენობის შეფარდება, ამავე ფართიდან აორთქლებული წყლის რაოდენობასთან.

გამოცდა – 1. მასალის, ნივთიერების, მოქმედების, წარმოების, კონსტრუქციის და სხვათა შემოწმება რისამე ღირსების გამოსარკვევად; 2. გამოკითხვა ცოდნის შემოწმების მიზნით; 3. დეტალების, კონსტრუქციების, ნაკეთობების, ნაგებობებისა და სხვათა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა ლაბორატორიული ან ნატურალური გამოკვლევების ჩატარების გზით. არსებობს გამოცდის სახეები: აკუსტიკური, ახლეჩაზე, ბურთულით, გაგლეჯაზე, გადაღუნვაზე, გადაყირავებაზე, გამძლეობაზე, გაჭიმვაზე, გრეხაზე, გრუნტის, დამსხვრევაზე, დანადგარის, დარტყმაზე, დარტყმით, დატვირთვით, დაღლილობაზე, დაცულობაზე, დინამიკური, დეფორმაციულობაზე, დენადობაზე, თელვაზე, კვლევითი, კოროზიული, კუმშვაზე, კუმშვაზე დარტყმით, ლაბორატორიული, მანქანის, მასალის, მდგრადობაზე, მედეგობაზე, მექანიკური, მისაღები, მოდელის, მოქიმვაზე, მუხრუჭების, მხურვალმტკიცობაზე, ნატურული, საავარიო, საგზაო, საექსპლუატაციო, საველე, საიმედოობაზე, საკომუტაციო, საკონტროლო, სამონტაჟო, საპასპორტო, საფრენი, საქარხნო, სითბური, სიმაგრეზე, სიმტკიცეზე, სიმძლავრეზე, სისალეზე, სკლეროსკოპული, სტატიკური, სტენდური, ტექნოლოგიური, ტროპიკული, ქიმიური, ღუნვაზე, ცვეთაზე, ცეცხლმედეგობაზე, ცივშტამპური, ცივწნეხური, ძრავას, წევითი, წინასწარი, წყალუჟონადობაზე, ჭედადობაზე, ჭრაზე, ხანგამძლეობაზე, ჰიდრავლიკური და სხვ.; 4. მანქანის კონსტრუქციული და საექსპლუატაციო თვისებების ექსპერიმენტული განსაზღვრა.

გამოცდა მანქანების – მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობის გამოცდის ძირითადი სახეებია: საექსპლუატაციო, სამეცნიერო და სპეციალური. საექსპლუატაციო გამოცდების დანიშნულებაა განისაზღვროს და შეფასდეს მანქანების მუშაობის ხარისხი ტიპურ პირობებში. სამეცნიერო გამოცდების დროს წარმოებს დინამიკური და ერგონომიკული პროცესებისა და მაჩვენებლების კვლევა. სპეციალური გამოცდები ტარდება განსაკუთრებულ პირობებში (არქტიკული, ტროპიკული, მაღალმთიანი, უდაბნო). ამას გარდა ტარდება მიღება-ჩაბარების და პერიოდული (საკონტროლო) გამოცდები. მანქანებისა და მოწყობილობების გამოცდები შეიძლება იყოს ნატურული და სტენდური.

გამოცდის არამრღვევი მეთოდები – მასალებისა და კონსტრუქციების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრა ნაკეთობის დაურღვევლად ან ნიმუშების ამოჭრით. ეფუძნება ზოგი ფიზიკური სიდიდის (აკუსტიკური, ელექტრული, მექანიკური, მაგნიტური და სხვ.)

დამოკიდებულებას მასალების განსაზღვრულ თვისებებთან. ეს დამოკიდებულება მყარდება ექსპერიმენტულად ყოველი მასალისათვის ცალ-ცალკე. არამრღვევი მეთოდებით გამოცდის უპირატესობებია: გამოცდის სიმარტივე, შედეგების მიღების სისწრაფე, გამოცდის მრავალჯერადი განმეორებადობა და სხვ.

გამოცდის მრღვევი მეთოდები – მასალებისა და კონსტრუქციების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრა ნაკეთობის დარღვევით. ძირითადად გამოიყენება ბეტონისა და რკ.ბ.-ის ქარხნებში დამზადებული ბეტონის ან ნაკეთობების საკონტროლო ნიმუშების, აგრეთვე ცეცხლმედეგობაზე ნატურული კონსტრუქციების, სამეცნიერო დაწესებულებებში შექმნილი ახალი კონსტრუქციებისა და დეტალების გამოსაცდელად და სხვ.

გამოცემა – ავტორის, საავტორო ან მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელის, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის თანხმობით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვების ან გაქირავების გზით იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს.

გამოწალდვა (ტყის გაწმენდა) – ტყეში 3-5 წელიწადში ერთხელ ხეების ჭრა.

გამოწელვა – რაიმეს უფრო წვრილში გატარების, გათრევის პროცესი, მისი განივკვეთის ზომების შემცირების მიზნით. გამოიყენება ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში დაკალიბრებული მავთულის, არმატურის ან ნაგლინის მისაღებად.

გამოწვა – სხვადასხვა მასალის გახურება და დაყოვნება მაღალ ტემპერატურაზე (გამოსაწვავ ღუმლებში) მისთვის საჭირო თვისებების მინიჭების მიზნით (მაგ., თიხების, ცეცხლგამძლე მასალების, კერამიკის, ცემენტის კლინკერის და სხვ.). გამოწვით დაჟანგვას მიმართავენ რკინის მადნიდან გოგირდის, აქროლადი ნივთიერებებისა და სხვა მინარევების მოსაშორებლად, ხოლო აღდგენითს – რკინის მადნიდან სუსტი მაგნიტური მინერალების მაგნიტურში გადასაყვანად შემდგომი მაგნიტური გამამდიდრებელი სეპარაციის მიზნით. ფერად მეტალურგიაში გამოწვას იყენებენ ძვირფასი ფრაქციების გამოსაცალკავებლად. ზოგჯერ გამოწვას უთავსებენ შეცხობას შემდგომი დამუშავების გასაადვილებლად. სილიკატურ წარმოებაში გამოწვის მეშვეობით იღებენ თიხის აგურს, შემკვრელ მასალებს, თიხის, კერამიკის, ფაიფურის, ქაშანურის ჭურჭელს, სანიტარულ-ტექნიკურ ნაწარმს, მანქანებისა და აპარატების დეტალებს.

გამოწვა იზოთერმული – ლითონის (ფოლადი, თუჯი) გამოწვის სახე, რომელიც მიმდინარეობს ლითონის გახურებით აუსტენიტურ მდგომარეობამდე (იხ. აუსტენიტი), დაყოვნებით ამ ტემპერატურაზე, გაცივებით 600-700°C-მდე, ისევ დაყოვნებით აუსტენიტის საბოლოო გაბნევამდე და შემდეგ გაცივებით ოთახის ტემპერატურამდე.

გამოწნეხა – ჭედვის ოპერაცია, ნამზადის გასქელების მიზნით სიგრძის ხარჯზე.

გამოწრთობა – არახელსაყრელი პირობებისადმი გამძლეობის გამომუშავების პროცესი.

გამოჭიმვა (გამოწელვა) – მეთოდი, რომელიც გულისხმობს ფოლადის არმატურის განმტკიცებას (სიმტკიცის ამაღლებას) ცივ მდგომარეობაში. ამ დროს მის ზედაპირზე წარმოიქმნება ცივნაჭედი, რომელიც ამცირებს პლასტიკურობას და ზრდის სიმტკიცის ზღვარს. არმატურის გ. განმტკიცება ხორციელდება სპეციალურ დაზგებზე ჰიდრავლიკური ან მექანიკური ამძრავით.

გამოჭრა – მყარი ტანის ან ფურცლოვანი მასალის მექანიკური, ლაზერული და პლაზმური დამუშავების ერთ-ერთი სტადია.

გამოხარშვა – ქსოვილის გამოყვანის ერთ-ერთი პროცესი.

გამოხდა – პროცესი, როდესაც სხვადასხვა ქიმიური ნივთიერის მიღების (გამოყოფის) მიზნით ხდება ძირითადი ნივთიერის დაშლა (მაგ., წყლის დაშლა). გამოხდა შეიძლება მიმდინარეობდეს გაუხშოებულ სივრცეში, ვაკუუმში, ღია ატმოსფეროში, კამერაში, საქვაბეში, მაღალ ტემპერატურაზე და სხვ.

გამოხდა მერქნის – მერქნის მშრალი გამოხდა ვაკუუმში მაღალი ტემპერატურისას (400-500°C), როდესაც მიიღება სხვადასხვა ნივთიერებები (ნახშირი, ეთილის სპირტი, ძმარმჟავა, ფისები და სხვ.).

გამტარი – ნივთიერება, რომელიც ატარებს (გადასცემს) სითბოს, ელექტრობას, ბგერას. ფიზიკაში გამტარი ეწოდება ისეთ ნივთიერებას ან სხეულს, რომელიც შეიცავს თავისუფალ (ან მაკროსკოპული გადაადგილების საშუალების მქონე) მუხტს. მეტალის გამტარებში, როგორიცაა სპილენძი ან ალუმინი თავისუფალ მუხტს ელექტრონი წარმოადგენს. ყველა გამტარში არის მუხტი, რომელიც მოძრაობას იწყებს, როდესაც გამტარის ბოლოებზე არის ელექტრული პოტენციალების სხვაობის მოდული მეტი ნულზე. დამუხტული ნაწილაკების ამ მოწესრიგებულ მოძრაობას ელექტრული დენი ეწოდება (ერთეული ამპერი). ტიპური გამტარებია მეტალები. ელექტროსადენების დასამზადებლად ძირთადად სპილენძი ან ალუმინი გამოიყენება. ვერცხლი საუკეთესო გამტარია, მაგრამ გაცილებით ძვირია. ოქრო გამოიყენება ზედაპირებს შორის მაღალი ხარისხის გამტარებლობის მისაღწევად. არსებობს აგრეთვე არამეტალი გამტარები, მაგ., გრაფიტი და მარილის ხსნარები. როგორც წესი, კარგ გამტარებს მიეკუთვნება – პლაზმა. გამტარი შეიძლება იყოს: ბაგირული, მარყუჟისებრი, მიმმართველი, სინათლის, ღრუ, ცუდი, ხის, ხისტი და სხვ.

გამტარუნარიანობა – 1. რისამე გატარების უნარი; 2. კავშირგაბმულობის არხის გამტარობის უნარი – ინფორმაციის გადაცემის უდიდესი სიჩქარე. იზომება 1 წამში ორმაგი სიმბოლოს გადაცემის რაოდენობით. გადაცემის სიჩქარე დამოკიდებულია არხის ფიზიკურ და დაბრკოლებების სტატიკურ თვისებებზე, სიგნალების გადაცემისა და მიღების ხერხებზე და ა.შ.; 3. ელექტროგადამცემი ხაზების გამტარობის უნარი, ელექტროგადამცემი ხაზის ძირითადი მახასიათებელი, განსაზღვრავს მაქსიმალურ სიმძლავრეს, რომლის გადაცემა შესაძლებელია ხაზზე ყველა შემზღუდველი პირობების გათვალისწინებით (მდგრადობა, გამტარის გადახურება და ა.შ.). გ. დამოკიდებულია ძაბვაზე ხაზის თავსა და ბოლოში, მის სიგრძესა და ტალღურ მახასიათებლებზე (ტალღური წინაღობა და ფაზის ცვლილების კოეფიციენტი).

გამტკნარება წყლის – წყლიდან მასში გახსნილი მარილების მოშორება, წყლის სასმელად ან ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენების მიზნით. გ. წ. შესაძლებელია დისტილაციით, გაყინვით, იონური მიმოცვლით ან ელექტროლიზით.

გამქირავებელი – ქირავნობის ურთიერთობის მონაწილე პირი, ნივთის მესაკუთრე.

გამყარება (გამკვრივება) – სითხის სრული ან ნაწილობრივი გადასვლა მყარ მდგომარეობაში. გამყარების ყველაზე უფრო ტიპური შემთხვევაა სითხიდან კრისტალების გამოყოფა.

გამყარების დრო – ბეტონის ნარევის გამყარების დრო, რომლის განმავლობაში ბეტონი კარგავს პლასტიკურობას და იძენს აუცილებელ სიმტკიცეს.

გამყარების პრინციპი – დეფორმირებად სხეულზე მოდებული ძალების წონასწორობა არ ირღვევა ამ სხეულის გამყარებისას. ამ პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ აბსოლუტურად მყარ სხეულზე მოქმედი ძალების წონასწორობის პირობა უნდა შესრულდეს დეფორმირებად სხეულზე მოდებული ძალებისთვისაც.

გამშენებელი – ფიზიკური (იურიდიული) პირი ან სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელსაც, დადგენილი წესით, მიღებული აქვს მიწის ნაკვეთი და ორგანიზაციას უკეთებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და რემონტს საკუთარი საცხოვრისისათვის, არენდით გასაცემად ან გასაყიდად.

გამძლეობა (ამტანობა) – მასალებისა და კონსტრუქციების უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს განმეორებად (ციკლურ) დატვირთვებს, აგრეთვე რღვევასა და შეუქცევად პლასტიკურ დეფორმაციებს (იხ. სიმტკიცე).

გამწვანება – მწვანე ნარგავების შექმნისა და გამოყენების ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. აქვს სანიტარულ-ჰიგიენური, საინჟინრო-ტექნიკური, ხანძარსაწინააღმდეგო და ესთეტიკური მნიშვნელობა.

გამწვანებული ტერიტორია – მიწის ნაკვეთი, რომლის ტერიტორიის არანაკლებ 80%-ისა დაკავებულია მცენარეული საფარით, ღია სათამაშო მოედნით, ბილიკებით ან ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი მოპირკეთებული გრუნტის ზედაპირით, სადაც შესაძლებელია მოწყობილი იყოს დასასვენებელი (გასართობი) ადგილები (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვ.).

გამჭოლი – რაც რისამე შიგნით გაივლის (მაგ., გამჭოლი ხვრეტი, გამჭოლი კონსტრუქცია და სხვ.).

გამჭოლი გაყვანილობა – ისეთი ზომის ნახვრეტი იატაკის, იატაკ-ჭერის ან კედლის ანაწყობის ორივე მხარეს, რომელშიც გაყვანილობა გავა.

გამჭოლი გაყვანილობის ცეცხლშემჩერებელი სისტემა – ცეცხლმედეგობის ხარისხიანი იატაკის, იატაკ-ჭერის ან კედლის ანაწყობებისგან შემდგარი ანაწყობი, რომელსაც კვეთს ერთი ან ერთზე მეტი გაყვანილობა. გადაკვეთის ადგილას მოწყობილია მასალები ან მექანიზმები, ან ორივე, წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში ცეცხლის გავრცელების შესაფერხებლად.

გამჭუჭყიანებლები (დამაბინძურებლები) – ნივთიერებები, რომლებიც აბინძურებენ ბუნებრივი გარემოს კომპონენტებს (მაგ., ავტომობილებისა და სამრეწველო საწარმოების გამონაბოლქვები, ჩამდინარი წყლები, გოგირდისა და ნახშირბადის ოქსიდები, ქიმიურად ინდიფერენტული გამხსნელები, ბენზინი, ბენზოლი, მეთილის სპირტი, ტყვია და ა.შ.). ბუნებრივ გარემოში ისეთი დამაბინძურებლის გამოყოფის პროცესს, რომელიც ბუნებისათვის არაა დამახასიათებელი, დაბინძურება ეწოდება.

გამხსნელი – ინდივიდუალური ქიმიური ნაერთი (ნარევი), რომელიც სხვადასხვა ნივთიერების გახსნის უნარით ხასიათდება. გასახსნელ ნივთიერებებთან იძლევა ცვალებადი

შედგენილობის ერთგვაროვან სისტემებს – ხსნარებს. არაორგანული გამხსნელებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია წყალი, ორგანულებიდან – მარტივი და რთული ეთერები, კეტონები, ამინები და სხვ.

გამხსნელი გვირაბი – მიწის ზედაპირიდან საბადომდე გაყვანილი გვირაბი.

განათება – 1. არქიტექტურულ-სამშენებლო და შუქტექნიკური ხერხების ერთობლიობა სხივური ენერგიის გამოყენებისათვის უტილიტარული და მხატვრული მიზნით; 2. სხივური ენერგიის ხილული ნაწილის გამოყენება, სინათლის მიღება. განათების მრავალი სახეობა არსებობს: აირვარვარული, აირული, ანარეკლი, არაპირდაპირი, აცეტილენური, ბუნებრივი, გარე, გლობალური, დიფუზიური, დღის, ელექტრული, ზედა, კარბიდული, კომბინირებული, ლოკალიზებული, ლუმინესცენციური, მეორეული, მოციმციმე, ნახევრად ანარეკლი, საავარიო, საგარანტიო, სამუშაო, სასიგნალო, ქუჩის, შიგა, შუქდიოდური, ჭერული, ხელოვნური და სხვ.

განათება ავარიული – განათება, სამუშაო განათების ავარიული გამორთვის დროს მუშობის გაგრძელებისათვის (უსაფრთხოების განათება) ან ხალხის საევაკუაციოდ სათავსიდან (საევაკუაციო განათება).

განათება ბუნებრივი – მზის, მთვარის ან სხვა ბუნებრივი მანათობელი წყაროთი მიღებული სინათლე.

განათება გვერდითი ბუნებრივი – სათავსის ბუნებრივი განათება გარე კედლების ღიობებიდან.

განათება კომბინირებული – საერთო და ადგილობრივი განათების ერთობლიობა.

განათება ლოკალური – შენობის ან ნაგებობის ნაწილის, ცალკეული არქიტექტურული ელემენტის (პილონის, შესასვლელის სხვ.) განათება საერთო განათების არარსებობის შემთხვევაში.

განათება საევაკუაციო – განათება, რომელიც ეწყობა საწარმოო განათების ავარიული გამორთვის შემთხვევაში, შენობებიდან ხალხის ევაკუაციისათვის იმ შემთხვევაში, თუ ხალხის რაოდენობა 50 ან მეტია.

განათება საერთო – ერთი და იმავე ტიპისა და სიმძლავრის ნათურების ერთ სიმაღლეზე განლაგებით მიღებული განათება, რომელიც სათავსში ქმნის ერთნაირ ფონს.

განათება შეთავსებული – ბუნებრივი დღის განათებისა და დამატებით ხელოვნური განათების ერთობლიობა.

განათება ხელოვნური – განათება, რომელიც მიღებულია ხელოვნური სინათლის წყაროთი (მაგ., ელექტროგანათება).

განათებადობა – განათებული ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოსული სინათლის (შუქის) ოდენობა. განათებადობის ერთეულია ლუქსი და ფოტი.

განათებულობა – მოცემულ ზედაპირზე დაცემული სინათლის ნაკადის სიმკვრივე.

განაკვეთი – 1. გადასახადის ნორმა დასაბეგრავ ობიექტზე; 2. გარკვეული პირობებით განსაზღვრული და ზემდგომი ორგანოებით დამტკიცებული, შრომის ანაზღაურების ნორმა, ხელფასი; 3. საშტატო ერთეული.

განაკვეთი დისკონტის – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მომავალი შემოსავლების დღევანდელ ღირებულებაში გარდასაქმნელად.

განაკვეთი თანამდებობრივი – საშტატო ერთეულით განსაზღვრული თანამდებობის პირის ხელფასი – ანაზღაურება.

განაკვეთი სატარიფო – სატარიფო ცხრილით (განაწესით) დადგენილი ხელფასის რაოდენობა, გამოსახული ფულად ერთეულებში.

განაკვეთი ხელფასის – საშტატო ერთეულით გათვალისწინებული ხელფასის ოდენობა, გამოსახული ფულად ერთეულებში.

განაკიდი – შენობის შვეულ კედლებზე გადაცილებული სახურავი, რომელიც განლაგებულია ჰორიზონტალურად გარე კედლების კონტურის გარეთ (ნახ. 1).



ნახ. 1

განაკიდი ფრონტონური – შენობის შვეულ კედლებზე გადაცილებული სახურავი, რომელიც განლაგებულია დახრილად გარე კედლების კონტურის გარეთ.

განატანების მოძრაობა – ატმოსფერული წნევის დროს ღია არხებში და ღარებში წყლის ენერგიის მეშვეობით მყარი ფხვიერი მასალების გადატანის შემთხვევა.

განაყოფი – 1. ერთი რიცხვის მეორეზე გაყოფის შედეგი; 2. მითითებული მახასიათებლის ან ხარისხის ოდენობა ან სიდიდე.

განაშენიანება – პროცესი, რომელიც დაკავშირებულია დასახლებული პუნქტის რაოდენობრივ ზრდასთან.

განაშენიანების დასარეგულირებელი ხაზი – განაშენიანების საზღვრების მოხაზულობა, რომლის გარეთაც არ უნდა გახდეს ასაშენებელი ან დასაპროექტებელი შენობა-ნაგებობების კონტური. მისი დაშორება წითელი ხაზებიდან მიიღება 3-6 მ, რაც საშუალებას იძლევა სწორად გადავწყვიტოთ რიგი არქიტექტურულ-მხატვრული და სანიტარულ-ჰიგიენური ამოცანები.

განაშენიანების რეგულირების გეგმა – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ან მიწათსარგებლობის დეტალური გეგმის საფუძველზე დასახლებათა ტერიტორიის ან მისი ცალკეული ნაწილისათვის აზუსტებს მიწათსარგებლობის ფუნქციურ ზონებს ქვეზონების სახით, განსაზღვრავს განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობა-ნაგებობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები) – მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომლის მიღმაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები; მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) შეიძლება დადგინდეს ერთი ან რამდენიმე წითელი ხაზი.

განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) – მიწის ნაკვეთისათვის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომელზეც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები.

განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობა – ტერიტორიებისა და განაშენიანებული გარემოს ჩამოყალიბებული ან ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით განსაზღვრული ურთიერთმიმართება, სტრუქტურა და მახასიათებელთა სისტემა.

განაშენიანებული მიწის ნაკვეთის გამოყენების სახეობა – მიწის ნაკვეთის არსებული ან ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით განსაზღვრული გამოყენების სახეობა.

განაშენიანებული ტერიტორია – დასახლების ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებით განსაზღვრულ ნებისმიერ ზონას, გარდა გარემოს დამცავი, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სამხედრო დანიშნულების ზონას.

განაცხადი – ოფიციალური ხასიათის წინასწარი განცხადება, მოთხოვნა.

განაწესი – 1. იურიდიული დოკუმეტი ამა თუ იმ იურიდიული პირის უფლება-მოვალეობათა შესახებ; 2. დადგენილი, დაწესებული, დაკანონებული (განწესება, განწესებული); 3. სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებაში მიღებული დადგენილება გარკვეული წესების ან წესრიგის დაცვის შესახებ.

განაწესი საწარმოო – წერილობითი განკარგულება სამუშაოს წარმოებაზე, ადგილის, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დროის, მათი წარმოების პირობების, ბრიგადის შემადგენლობისა და სამუშაოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნაზე. მომსახურე პერსონალი სრულად ემორჩილება გ. ს. მოთხოვნებს.

განაჭერი – თაროს (ქუსლის) წარბის გლუვი პროფილის მოჩუქურთმებული დამუშავება ორნამენტის მოტივით, რომელიც მეორდება მთელ სიგრძეზე.

განახერხი – აჟურული გამჭოლი ჩუქურთმა ხეზე, შესრულებული სპეციალური ხერხით. განახერხით აფორმებენ კარნიზებს, საპირეებს, ფრონტონის ფიცრებს, არშიებს, თამასებსა და სხვ. ხის ხუროთმოძღვრებაში.

განგაში – ემოციური მდგომარეობა, რომელიც ჩნდება გაურკვეველი საშიშროების პირობებში – შფოთიანი ხმაური, მღელვარება, აურზაური და სხვ.

განგაშის გადამოწმების ფუნქცია – ცეცხლის აღმომჩენი და განგაშის ავტომატური სისტემის ფუნქცია ცრუ განგაშის შესამცირებლად, რომლის საშუალებითაც კვამლის აღმომჩენი ატყობინებს შესაბამის სამსახურს საავარიო ვითარების შესახებ დროის მინიმალურ პერიოდში ან ადასტურებს საავარიო ვითარებას მოცემული დროის განმავლობაში, რის

შედეგაც ავტომატურად ხდება მათი საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, რაც ნიშნავს, რომ განგაშის სიგნალი უტყუარი იყო.

განგაშის გასავრცელებელი მოწყობილობა – სახანძრო განგაშის სისტემის შემადგენელი ნაწილი, მაგ., ზარი, საყვირი, ეკრანი სინათლის ან ტექსტისათვის, რომელიც გამოსცემს ხმოვან, ტაქტილურ ან ვიზუალურ სიგნალებს ან მათ კომბინაციებს.

განგაშის მრავალბლოკიანი მოწყობილობა – განგაშის ორი ან მეტი ერთბლოკიანი მოწყობილობა, რომლებიც ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთის გააქტიურება იწვევს ყველა ინტეგრალური ან დამოუკიდებელი ხმოვანი განგაშის სისტემის ამუშავებას. ის ასევე შეიძლება შედგებოდეს განგაშის ერთბლოკიანი მოწყობილობისგან, რომელიც დაკავშირებულია სხვა აღმომჩენ სისტემებთან ან ხელით მართვად სახანძრო განგაშის კოლოფთან.

განგაშის სიგნალი – სიგნალი, რომელიც მიანიშნებს საავარიო მდგომარეობაზე, რაც მყისიერ რეაგირებას მოითხოვს, მაგ., ცეცხლის მიმანიშნებელი სიგნალი.

განედი – კუთხე, პლანეტის ცენტრიდან მოცემულ წერტილამდე გავლებულ ხაზსა და ეკვატორის სიბრტყეს შორის, რომელიც იცვლება 0-დან 90°-მდე ეკვატორის ორივე მხარეს. ის არის ერთ-ერთი კოორდინატი სფერულ კოორდინატთა სისტემის რიგში, რომელიც ადგენს დედამიწის ზედაპირის წერტილების მდებარეობას (გეოგრაფიული კოორდინატები, გეოდეზიური კოორდინატები), ციურ სფეროებსა (ციური კოორდინატები) და მზის, მთვარისა და პლანეტების ზედაპირზე (ჰელიოცენტრული კოორდინატები, სელენოგრაფიული კოორდინატები, პლანეტოგრაფიული კოორდინატები). გეოგრაფიული განედი არის კუთხე, რომელსაც ქმნის მოცემული წერტილის შვეული ეკვატორის სიბრტყესთან – მანძილი დედამიწის ზედაპირის რომელიმე წერტილამდე ეკვატორის ჩრდილოეთით ან სამხრეთით, გამოხატული გრადუსებით. წერტილების გეოგრაფიული განედი, რომელიც განფენილია ჩრდილოეთ ნახევარფეროში (ჩრდილოეთი განედი) მიჩნეულია დადებითად, ხოლო წერტილების განედი სამხრეთ ნახევარსფეროში (სამხრეთი განედი) – უარყოფითად. გარდა ამისა, ეკვატორთან მიახლოებულ განედებს უწოდებენ "დაბალს", ხოლო პოლუსებთან ახლოს მდებარე განედებს – "მაღალს". ადგილის განედის განსაზღვრა შესაძლებელია ისეთი ასტრონომიული ხელსაწყოების დახმარებით, როგორებიცაა სექსტანტი და გნომონი (პირდაპირი გაზომვა), აგრეთვე შესაძლებელია GPS-ისა და GLONASS-ის სისტემების გამოყენებაც (ირიბი გაზომვა).

განვადება – გასაყიდი ნივთის საფასურის გადანაწილება რამდენიმე ვადაზე.

განვითარება – 1. ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა; 2. გაზრდა, გაფართოება, გაძლიერება.

განზოგადებული იმპულსი – ნივთიერ წერტილთა სისტემის კინეტიკური ენერგიის კერძო წარმოებული განზოგადებული სიჩქარით (როცა კინეტიკური ენერგია გამოსახულია როგორც განზოგადებული კოორდინატის, დროისა და განზოგადებული სიჩქარის ფუნქცია).

განზოგადებული კოორდინატები – ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ისეთი პარამეტრები, რომელთა საშუალებითაც დროის ყოველ მომენტში ცალსახად განსაზღვრულია სისტემის მდებარეობა.

განზომილება – ფიზიკური სიდიდეების დამოკიდებულების ფორმა იმ სიდიდეებზე, რომლებიც მიღებულია ძირითად სიდიდეებად. ყველაზე უფრო მიზანშეწონილია ამ დამოკიდებულების გამოსახვა L სიგრძის, M მასისა და T დროის მიხედვით.

განზომილებათა თეორია – იმ ფორმულების სახის განსაზღვრის მეთოდი, რომლებიც ამა თუ იმ ფიზიკურ სიდიდეებს შორის დამოკიდებულებას გამოსახავენ. მეთოდი დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ამ დამოკიდებულების ხასიათი არ უნდა შეიცვალოს გამოყენებულ ერთეულთა მასშტაბების შეცვლისას. თუ ადგილი აქვს ტოლობას ფიზიკური სიდიდეების რომელიმე კომბინაციებს შორის, მაშინ ტოლობის ორივე ნაწილს უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე განზომილება.

განი – 1. ნივთის, დეტალის, ელემენტის და მისთ. სიგანე; 2. აგურის მოკლე გვერდი.

განიავება – 1. ნებისმიერ სივრცეში ან სივრციდან კონდიცირებული ან არაკონდიცირებული ჰაერის ბუნებრივი ან მექანიკური მიწოდების ან გაწოვის პროცესი; 2. ჰაერის განდევნა სათავსიდან და მისი შეცვლა ახლით სარკმლის, ფანჯრის, კარის გაღებით ან გამწოვი ვენტილატორის ჩართვით. გ. უზრუნველყოფს ადამიანისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნას. ის შეიძლება იყოს: ადგილობრივი, აღმავალი, ბუნებრივი, გამჭოლი, დიაგონალური, მიწისქვეშა, ნაწილობრივი, საჭირხნი, შემწოვი, ცენტრალური და სხვ.

განიავება დარეგულირებული – სათავსის განიავების უზრუნველყოფა კონსტრუქციული ელემენტების (კარი, ფანჯარა, სარკმელი, სარქველი და სხვ,) გაღების გზით.

განიერი (ფართო) – რასაც დიდი სიგანე აქვს.

განივა – 1. ფანჯრის ქვის ან ხის ჰორიზონტალური სარტყელი; 2. ხის კარკასული კონსტრუქციის ელემენტი.

განივი – კონსტრუქციის სიგრძის მართობული; განზე, სიგანეზე, გარდიგარდმო განთავსებული (კვეთი, სიბრტყე, ფართობი), რისამე სიგანეზე გადამკვეთი.

განივი დატვირთვა – ღეროს ღერძის ან ფილის შუალედური სიბრტყის მართობულად მიმართული დატვირთვა.

განივი კვეთი (განივკვეთი) – რისამე განივი ზომა.

განივი კვეთის ნომინალური ფართობი – განივი კვეთის ფართობი, ეკვივალენტური გლუვი მრგვალი ღეროს განივი კვეთის ფართობისა, რომელსაც იგივე დიამეტრი აქვს.

განივი კვეთის ცვალებადობის კოეფიციენტი (k) – ხის ცვლადკვეთიან კოჭების დეფორმაციისას განივი კვეთის ცვალებადობის გამთვალისწინებელი კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება ფორმულით: $k = (0,15 + 0,85h_0/h)$, სადაც h_0 არის კოჭის განივი კვეთის სიმაღლე საყრდენებზე; h – კოჭის განივი კვეთის მაქსიმალური სიმაღლე. მუდმივი განივი კვეთის კოჭებისათვის k = 1.

განივი რიგი – კედლის წყობაში აგურის რიგი, მიმართული მოკლე გვერდით გარეთ.

განივი ღერო – რკ.ბ.-ის კონსტრუქციებში – ღუნვადი ელემენტების შედუღებული კარკასით დაარმატურების შემთხვევაში განივი არმატურის სახელწოდება.

განივი ძალა – შიგა ძალა, რომელიც განსახილავ კვეთაში ღეროს ღერძის მართობულია.

განივი ძალის ეპიურა – ღეროს სიგრძის გასწვრივ განივი ძალების სიდიდეების ცვლილების გრაფიკული გამოსახულება.

განკარგვა – ნივთით თავისუფალი მანიპულირება და მისი სამართლებრივი ბედის განსაზღვრის უფლება (გაყიდვა, გაქირავება, განათხოვრება, გაჩუქება, ანდერძით გადაცემა და სხვ.).

განლაგება – იგივეა, რაც მოწყობილობის შეთანწყობა-დაგეგმარება.

განლექვა – პოლიდისპერსული სუსპენზიის ნელი დალექვის თვისების მქონე წვრილი ნაწილაკების დაცილება სწრაფად დალექვის თვისებების მქონე (უფრო მსხვილი და მძიმე) ნაწილაკებისაგან.

განმაგნიტება – დამამაგნიტებელი ველის მოხსნის შემდეგ ფერომაგნიტურ სხეულში დამაგნიტებულობის შემცირება.

განმბჯენი – 1. თაღოვანი, დაკიდებული და ჩარჩოსებრი კონსტრუქციების საყრდენ კვანძებში მოქმედი ჰორიზონტალური ძალა, რომელსაც იღებს კონსტრუქციის შემკრავი (შემკოჭი) ან გადაეცემა უშუალოდ საყრდენებზე; 2. ხისტი სამონტაჟე მოწყობილობა, რომელიც მუშაობს მხოლოდ კუმშვაზე და გამოიყენება კონსტრუქციის ორი ელემენტის შიგა მხარეზე გადაადგილების საწინააღმდეგოდ (ნახ. 1).



განმბჯენიანი კონსტრუქცია – კონსტრუქცია, რომელშიც გარე დატვირთვების მოქმედების შედეგად აღძრული საყრდენი რეაქციების მდგენელები არის არა მხოლოდ შვეული, არამედ ჰორიზონტალური (განმბჯენი) მიმართულებისაც (მაგ., კამარა, თაღი და სხვ.).

განმზავებელი – სითხეები, შეყვანილი ლაქების შედგენილობაში, რომლებიც სუფთა სახით არ ხსნიან აფსკწარმომქმნელ ნივთიერებებს, მაგრამ გამხსნელებთან ნარევში უზრუნველყოფენ ლაქსაღებავის აფსკის განსაზღვრულ კონსისტენციას და წარმოქმნის სიჩქარეს. ერთი ტიპის ფისების გამხსნელი შეიძლება იყოს განმზავებელი სხვებისთვისაც.

განმმუხტველი – ელექტროტექნიკური მოწყობილობა ორი ან რამდენიმე ელექტროდის სახით განცალკევებული დიელექტრიკული (განმმუხტავი) მონაკვეთებით, რომელთა გამტარობა მკვეთრად იცვლება, როცა ელექტროდებს შორის პოტენციალთა სხვაობა რაღაც კონკრეტულ სიდიდეს აღწევს (ე.წ. გარღვევის ძაბვა). გამოიყენება ელექტროტექნიკაში, რადიოელექტრონიკაში, ავტომატიკაში. არსებობს განმმუხტავის სახეობები: აირსავსე, ალუმინის, ანოდური, ასინქრონული, ბურთულა, დამცველი, დისკოიანი, ვენტილური, მაგნიტური, მბრუნავი, მეხის, მილოვანი, მმართველი, ნაპერწკლური, ნემსოვანი, რქოვანი, სინქრონული და სხვ.

განმტვირთავი თაღი – თაღი, რომელიც, ჩვეულებრივ, კედლის წყობაშია დაყოლებული და შენობის ზედა ნაწილების დატვირთვას ცალკე მდგომ საყრდენებს გადასცემს ან პირიქით, ცალკეული საყრდენების დატვირთვებს საძირკველს გადასცემს.

განმტკიცება – მასალის ან ნაკეთობის ხარისხის გაუმჯობესება სპეციალური ოპერაციების გამოყენების გზით, რომლის დროსაც იზრდება რღვევისადმი წინააღმდეგობა. გამოიყენება გ. მექანიკური, თერმული, ქიმიური და სხვა ხერხი (ზედაპირული, მოცულობითი ან კომბინირებული). მაგ., საარმატურე ფოლადის გ. შეიძლება განხორციელდეს ცივი გამოჭიმვის (გამოწელვის) ან თერმული ხერხით.

განჟანგვა – ჟანგბადის მოცილების პროცესი თხევად ლითონებში.

განრიგი (განრიგება) – გრაფიკი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას რისამე შესრულების დროის, ადგილისა და თანამიმდევრობის შესახებ.

განრჩილვა – ნარჩილი შეერთების განცალკევება მისი გაცხელებით სარჩილის დნობის ტემპერატურაზე ზევით.

განსაზღვრა – 1. განხილვის საგნის დაზუსტება, მისი ერთმნიშვნელოვანი დახასიათება (რეალური განსაზღვრა); 2. მოქმედება, უკვე ცნობილი მონაცემებისაგან როგორ მივიღოთ განსახილველი საგანი (ცნება). ამ შემთხვევაში გ. იღებს განმსაზღვრელი თანაფარდობების სისტემურ სახეს (სქემა, ტოლობა).

განსაკუთრებით საშიში წარმოება – მონაკვეთი, დანადგარი, საამქრო, საცავი, საწყობი, სადგური ან სხვა წარმოება, სადაც ერთდროულად ხდება პოტენციურად საშიში ნივთიერებების გამოყენება, წარმოება, გადამუშავება, შენახვა ან ტრანსპორტირება.

ანსაკუთრებულად ტენიანი სათავსი – სათავსი, სადაც ჰაერის ფარდობითი ტენიანობა უახლოვდება 100% (ჭერი, კედლები, იატაკი და ამ შენობაში მყოფი საგნები დაფარულია ტენით).

განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა – ქვეყნის კანონის შესაბამისად, განსაზღვრული განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა.

განსაკუთრებული ხარჯები – ხარჯებია, რომლებიც გამოწვეული იყო ჩვეულებრივი საქმიანობისაგან განსხვავებული სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციებისაგან, რომლებიც რეგულარულად არ ხდება და შემთხვევითი ხასიათისაა. ასეთია, აქტივების ექსპროპრიაცია, ზარალი სტიქიური უბედურებისაგან (მიწისძვრა, ხანძარი და სხვ.), გადახდილი ჯარიმები.

განსახლება – მოსახლეობის, ეკონომიკური და სხვა სახის აქტივობების გადანაწილება ქვეყნის, რეგიონის, რაიონის, დასახლების ტერიტორიაზე.

განტვირთვა – 1. მიწოდებული საქონლის (მასალა, კონსტრუქცია, ნივთიერება და სხვ.) გადმოტვირთვა სატრანსპორტო საშუალებიდან მომხმარებლის მიერ მითითებულ ადგილზე; 2. ერთი კონსტრუქციის მეორეზე ზემოქმედების საექსპლუატაციო პირობების შეცვლა, რასაც თან ახლავს დაძაბულობის დონის შემცირება; 3. დასვენება, დაღლილობის მოხსნა, ძალების აღდგენა. ტექნიკაში არსებობს განტვირთვის სახეები: გვერდული, დროებითი, თვითდინებითი, კაპიტალური, მყისი, ნაწილობრივი, ორმხრივი, ფსკერული, შუბლა, ცალმხრივი, წნეხის, ჯგუფური და სხვ.

განტოლება (ლათ. aequātus გავაკეთოთ თანაბარი) – 1. არგუმენტთა იმ მნიშვნელობების მოძებნის ამოცანის ანალიზური ჩაწერა, რომლისთვისაც ორი მოცემული ფუნქციის მნიშვნელობანი ტოლია. არგუმენტებს, რომლებზეც დამოკიდებულია ეს ფუნქციები, ეწოდება უცნობები, ხოლო უცნობების მნიშვნელობებს, რომელთათვისაც ფუნქციების მნიშვნელობანი ტოლია – ამონახსნები (ფესვები); უცნობების ამ მნიშვნელობების შესახებ ამბობენ, რომ ისინი მოცემულ განტოლებას აკმაყოფილებს. განტოლებების ერთობლიობას, რომლებისთვისაც მოსაძებნია უცნობების მნიშვნელობები, რომლებიც ერთდროულად დააკმაყოფილებენ ყველა ამ განტოლებას, განტოლებათა სისტემა ეწოდება. ხოლო უცნობების მნიშვნელობებს, რომლებიც ერთდროულად დააკმაყოფილებს სისტემის ყველა განტოლებას – სისტემის ამონახსნები; 2. ტოლობა, რომელიც ცვლადს შეიცავს.

განტოლება ბიკვადრატული – $ax^4+bx^2+c = 0$ სახის განტოლება, სადაც x ცვლადია, ხოლო a, b და c ნებისმიერი ნამდვილი რიცხვია, $a\neq0$.

განტოლება ირაციონალური – განტოლება, რომელიც რადიკალის ნიშნის ქვეშ ცვლადს შეიცავს.

განტოლება კვადრატული – $ax^2+bx+c = 0$ სახის განტოლება, სადაც x ცვლადია, ხოლო a, b და c ნებისმიერი ნამდვილი რიცხვია, $a\neq0$.

განტოლებათა სისტემა – ერთი და იმავე ცვლადის შემცველი განტოლებათა სასრული სიმრავლე.

განუზომელი – ძალიან დიდი.

განურჩეველი წონასწორობა – წონასწორობის მდგომარეობა, როდესაც სხეული რაიმე ძალის მოქმედებით იღებს მცირე გადახრას წონასწორობის მდებარეობიდან და ამ ძალის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ინარჩუნებს საწყის მდებარეობას.

განფენა (გაშლა) – იხ. ევოლვენტა.

განფენილობა – 1. მანძილი (სამი განზომილებიდან ერთ-ერთი: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე); 2. რაიმეს განლაგება სიგრძეში რაიმე მანძილზე; 3. სივრცე. განფენილობა შეიძლება იყოს მოცულობითი, ფენის, წირისა და სხვ.

განყალიბება – ყალიბის მოხსნა მონოლითური ბეტონის ნაკეთობებისაგან ან რკ.ბ.-ის კონსტრუქციებისაგან.

განყენებული – 1. საერთო ნიშან-თვისებათა შემცველი; 2. რეალურ სინამდვილეს დაშორებული; იდეის სახით ნაფიქრალი, მაგრამ ფიზიკურად არარსებული; 3. ხელოვნებასთან დაკავშირებული რამ, რომელიც წარმოაჩენს არა გარეგან სინამდვილეს, არამედ ცდილობს ამ ეფექტის შექმნას ფორმების, ფერებისა და სხვათა გამოყენებით.

განყოფილება – დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, სასწავლებლის, ჟურნალის, გაზეთის, წიგნის და მისთ. თემატურად გაერთიანებული ნაწილი. განყოფილების მრავალი სახეობა არსებობს: გამოსახარში, დამამზადებელი, მახარისხებელი, საამკინძაო, საბარგო, საექსპერიმენტო, საკვლევი, სამონტაჟო, სამანქანო, სამსხვრევი, სამსხმელო, სამუშაო,

სარეცხი, სატელეგრაფო, საფუთავი, საღუმლე, საყალიბო, საწონი, ჩამოსასხმელი, ცნობათა და სხვ.

განშრევება (შრეებად დაშლა) – რაიმეს შრეებად დაშლის პროცესი.

განჩინება – სასამართლოს გადაწყვეტილების ერთ-ერთი ფორმა.



განჩუ – თიხათაბაშირი, გაჯი, ალებასტრი; სამშენებლო თიხათაბაშირი, რომელიც მიიღება თაბაშირის მერგელების გამოწვით 160-250°C ტემპერატურაზე და შემდეგში მისი გადაქცევით ფხვნილად. მასალა გამოირჩევა მაღალი მექანიკური სიმტკიცით და წყალმედეგობით. ფართოდ არის გავრცელებული შუა აზიაში, ძირითადად უზბეკეთში, სადაც იყენებენ ჩუქურთმების ამოჭრას განჩუზე (ნახ. 1) და კავკასიაში – არქიტექტურულ ნაგებობათა გასაფორმებლად.

განწესი – 1. სპეციალურ ბლანკზე შედგენილი დავალება სამუშაოების უსაფრთხო ჩატარებაზე, რომელიც განსაზღვრავს მის შინაარს, ადგილს, დაწყებისა და დამთავრების ვადებს, უსაფრთხოების აუცილებელ ზომებსა და ბრიგადის შემადგენლობას; 2. დოკუმენტი, განკარგულება რაიმე სამუშაოს შესრულების ან რისამე გაცემა-გაგზავნის შესახებ.

განჯინა – სურსათ-სანოვაგის ან ნივთების შესანახი კედლის კარადა.

გაორთქვლა – 1. ორთქლში გატარება, შეორთქვლა, გათუთქვა, დამდუღვრა, მოწალვა; 2. ხის მასალის ტენთბოდამუშავება შრობის პროცესში; 3. ბეტონისა და რკ.ბ.-ის ნაკეთობების ტენთბოდამუშავება ჰიდრატაციისა და გამყარების პროცესების დაჩქარების მიზნით. პროცესის საერთო ხანგრძლივობა შეადგენს 7-13 სთ-ს, წინასწარი დაყოვნების – 0,5-3 სთ-ს, ხოლო დაყოვნების – 2-6 სთ-ს.

გაპეწიანება – ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვის დეკორატიული გამოყვანა. ასეთი გლუვი, მქრქალი ქვის გაპეწიანებული ფაქტურა გამოიყენება იატაკებსა და კიბის საფეხურებზე.

გაპოხვა – სხეულის ზედაპირზე ტექნიკური საპოხი მასალის (მინერალური, სინთეზური, ორგანული) დატანის პროცესი.

გაპრიალება – ნაკეთობის ზედაპირის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი. გ. მიზანია მაღალი სისუფთავის (სარკისებრი) ზედაპირის მიღება. იგი ნაკეთობათა დამუშავების საბოლოო ოპერაციაა. ლითონებსა და ზოგიერთ სხვა მკვრივ მასალას აპრიალებენ ტყავის, თექის, ქეჩისა და მისთ. ელასტიური ქარგოლებით, რომლებზეც მიყრილია აბრაზიული ფხვნილი ან წასმულია საპრიალებელი პასტა. ქვას აპრიალებენ სახეხ ჩარხებზე დატენიანებული ქეჩის ქარგოლებით, რომელთა ზედაპირზე ფხვნილის ფენაა შეზელილი. მერქნის გ. რბილი ტამპონის წრიული მოძრაობით ნამზადის ზედაპირს ფარავენ თხევადი ფენით, რომელიც დამზადებულია ბუნებრივი ფისისაგან და გახსნილია აქროლად ორგანულ გამხსნელში.

გაჟღენთა – ფოროვან სხეულში თხევადი ნივთიერების შეყვანის პროცესი (მაგ., მერქნის გაჟღენთა ანტისეპტიკური ნივთიერებებით).

გარანტი (ლათ. guarantia თავდები) – პიროვნება, ორგანიზაცია, სახელმწიფო, რომელიც იძლევა გარკვეულ გარანტიებს და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას.

გარანტია (ფრანგ. garantir უზრუნველყოფა, დაცვა) – თავდებობა, სამართლებრივი პრინციპებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ვალდებულებათა შესრულებას უზრუნველყოფს.

გარაჟი (ავტოფარეხი) – სათავსი შენობაში ან ცალკე მდგომი ნაგებობა სატრანსპორტო საშუალებებისათვის.



გარგულია – რაიმე ძალზე უცნაური დეკორატიული ელემენტი (ნახ. 1), რომელიც გამოიყენებოდა დეკორატიულ ქანდაკებებში ეკლესიების, მონასტრების, ტაძრებისათვის და სხვ. ხშირად მას წყალსადინარის დანიშნულებაც ჰქონდა.

გარდამავალი სტილი – არქიტექტურული სტილი რომაულ და გოტიკურ სტილებს შორის.

გარდატეხა – 1. სხივის მიმართულების შეცვლა ერთი ფიზიკური გარემოდან მეორეში გადასვლისას; 2. მკვეთრი ცვლილება რისამე განვითარების დროს (მაგ., ზრდის, ენერგიის, ბუნებრივი მოვლენისა და სხვ.).

გარდაქმნა – მასალის ფაზური მდგომარეობის ცვლილება, რომელსაც გარე ზემოქმედება იწვევს. გარდაქმნის სახეებია: ათერმული, ალოტროპიული, აუსტენიტური, ბგერის, ბეინიტური, დიფუზიური, ევტექტიკური, ევტექტოიდური, იზოთერმული, იზოთერმული მარტენსიტული, მაგნიტური, მარტენსიტული, მასიური, მონაცემების, მონოტექტიკური, მუდმივი დენის, ნორმალური, პერიტექტიკული, პერიტექტოიდული, პერლიტური, პოლიმორფული, სისტემის, სტრუქტურული, უდიფუზიო, უკუმარტენსიტული, ფაზური, ფეთქებადი მარტენსიტული, ფერიტული, შეურჩეველი, შუალედური, ძვრით, ცვლადი დენის, ხსნარისა და სხვ.

გარდერობი (შუაინგლ. warderobe<ძვ. ჩრდილოფრანგული warderobe<ძვ. ფრანგ. garderobe ტანსაცმლის შესანახი ადგილი<garder დაცვა, თვალყურის დევნება, მოვლა და robe მოსასხამი, გრძელი მოშვებული ტანსაცმელი; ძარცვა, ნადავლი) – 1. საცხოვრებელი ბინის ნაწილი, ოთახი, კუთხე, კარადა, საკუჭნაო, სადაც მაცხოვრებლები (სტუმრები) ტანსაცმელს, ქოლგას ან ფეხსაცმელს დროებით ტოვებენ; 2. სივრცე სახელმწიფო, კულტურულ და სასწავლო დაწესებულებების ფოიეში (სამინისტრო, თეატრი, სკოლა და მისთ.), სადაც სტუმრები ზედა ტანსაცმელს დროებით ტოვებენ.

გარდინა (ლათ. cortina მომრგვალება, წრე) – თხელი გამჭვირვალე ქსოვილის რბილი ფარდა, რომლის სიგანე, როგორც წესი, ორჯერ და მეტად აჭარბებს ფანჯრის კარნიზის სიგრძეს.

გარე არქიტექტურული განათება – შენობებისა და ნაგებობების, მონუმენტალური ხელოვნების ნაწარმოებისა და ქალაქის ლანდშაფტის ელემენტების ფასადების ხელოვნური განათება მათი მხატვრული გამომსახველობის ხაზგასმისათვის, რომელიც უპასუხებს მხედველობითი აღქმის ეკოლოგიის მოთხოვნებსა და სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტურობას.

გარე გაზსადენი – გაზსადენი მაგისტრალური გამანაწილებელი სადგურიდან გაზის მომხმარებლებამდე (შენობებისა და ნაგებობების გარე კედლებამდე).

გარე გზა-კიბე – გზა-კიბე, რომელიც ერთ მხარეს მაინც არის გახსნილი. აქ არ იგულისხმება ნაგებობის აუცილებელი სვეტები, კოჭები, სახელურები და მოაჯირები. მომიჯნავე ღია ფართობები წარმოადგენს ეზოებს, შიგა ეზოებს ან საზოგადოებრივ გზებს. სხვა მხრიდან გარე გზა-კიბე გახსნილი არ არის.

გარე დაფინანსება – სესხები და სხვა სახის ფონდები, რომელთაც საწარმო გარედან იღებს.

გარე ელექტროდანადგარი – ღია ტერიტორიაზე მყოფი ელექტროდანადგარი (მათ შორის ბადით შემოფარგლული, გადმოხურული და მსგავსად დაცული გ. ე.).

გარე კედელი – მზიდი ან არამზიდი კედელი, რომელიც, განსხვავებით ცეცხლმედეგი კედლისაგან, შენობის შემომსაზღვრელი ნაწილია და მისი დახრა თარაზული სიბრტყის მიმართ 60 ან მეტი გრადუსია.

გარე კედლის კონვერტი – გარე კედლის სისტემა ან ანაწყობი, ასევე, გარე კედლის მოსაპირკეთებელი მასალები, რომლებიც შენობის სტრუქტურულ ნაწილებს, მათ შორის, ჩარჩოსა და შესამოს მასალებს და შიგა კონდიცირებად სივრცეს გარემო ეფექტების მავნე ზემოქმედებისგან იცავს.

გარე კედლის საფარი – მასალა ან მასალების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება გარე კედლების გარეთა მხარეს წყალმედეგი ზღუდისა და იზოლაციის შესაქმნელად, ან ესთეტიკური მიზნით. გარე კედლის საფარად გამოიყენება მოსაპირკეთებელი ფილები და სისტემები, სამოსი, გარე იზოლაცია, არქიტექტურული გაფორმება და დეკორაციები, ლავგარდნები (კარნიზები), სოფიტები, წინიდანები (ფრონტალური ფიცრები), წყალსადინარი ღარები და წყალარინი მილები.

გარე მოსამზადებელი სამუშაოები – სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზების, ელექტრომომარაგების, წყალსადენის, ფეკალური და სანიაღვრე კანალიზაციის მოწყობა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დროებითი (ან მუდმივი) საცხოვრებლებისა და სასაწყობო ფართების მშენებლობა.

გარე საიზოლაციო და მოპირკეთების სისტემა – არასტრუქტურული, არამზიდი გარე კედლების საფარი სისტემა, რომელიც შედგება უკანასაყრდენზე მიწებებით ან მექანიკურად, ან ორივე მეთოდით დამაგრებული საიზოლაციო დაფისგან, მთლიანად გაძლიერებული უკანასაყრდენისა და ტექსტურირებული დამცავი მოსაპირკეთებელი საფარისგან.

გარემო – 1. ორგანიზაციის ფუნქციონირების პირობები და მის საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების (ცვლადების) ერთობლიობა. მას ყოფენ შიდა და გარე გარემოდ. შიდას განეკუთვნება მიზნები, სტრუქტურები, ამოცანები, ტექნოლოგიები და ადამიანები. გარე

გარემო თავის მხრივ იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: პირდაპირი ზემოქმედების და ირიბი ზემოქმედების ძალები. პირველი ჯგუფი აერთიანებს მიმწოდებლებს, მომხმარებლებს, კონკურენტებს, შრომით რესურსებს, სახელმწიფოებრივი რეგულირების კანონებსა და დაწესებულებებს. მეორე ჯგუფში მოიაზრება ეკონომიკის მდგომარეობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, ჯგუფურ ინტერესთა გავლენა და სხვა ქვეყნებში არსებითი მოვლენები. გ. იყოფა მრავალ სახეობად: პოლიტიკური, სოციალური, ინსტიტუციური, ფიზიკური, ეკონომიკური და კულტურული. გ. ცნებაში ერთნაირად მნიშვნელოვანია კულტურული და ეთნიკური სფეროები, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სამკურნალო დაწესებულებები, საავადმყოფოები და სხვა მსგავსი დაწესებულებები; 2. რაიმეს გარემომცველი ადგილი, მიდამო, არემარე; 3. ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენული ობიექტებისა და ანთროპოგენული ობიექტების, აგრეთვე მათი ურთიერთქმედების ერთობლიობა; 4. გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს ბუნებით მოსარგებლე; 5. ადამიანის ბინადრობისა და საწარმოო საქმიანობის გარემომცველი ბუნებრივი მატერიალური სამყარო. ის მოიცავს როგორც ბუნებრივ, ისე ადამიანის მიერ შექმნილ ხელოვნურ (ტექნიკურ) გარემოს.

გარემო აგრესიული – 1. სიცოცხლისათვის საშიში გარემო (მაგ., ჰაერი მინერალური სასუქების საწყობში, აგრესიული სითხეები და სხვ.); 2. სამშენებლო კონსტრუქციების ექსპლუატაციის გარემო, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ამ კონსტრუქციების სიმტკიცეზე, ხანგამძლეობაზე, ხანმედეგობაზე, ტექსტურასა და სხვ. ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე. გ. ა. განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ლითონის, ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებზე – იწვევს არმატურისა და ფოლადის კოროზიას, შლის ბეტონის სტრუქტურასა და სხვ. ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის მათი სამუშაო გარემოს აგრესიულობა, ევრონორმების მიხედვით (EN 206-1), ფასდება კლასებით, რომლებიც თავის მხრივ ინდექსებად იყოფა: 1) გარემო აგრესიულობის გარეშე – X0 (უარმატურო და ჩასატანებელი დეტალები ბეტონისათვის: ყველა სახის გარემო გარდა გაყინვა-გალხობის ზემოქმედებისა ან ქიმიური აგრესიისა. რკ.ბ.-სათვის: ძალიან მშრალი); 2) კოროზია კარბონიზაციის შედეგად – XC1 (მუდმივად მშრალი ან მუდმივად ტენიანი), XC2 (ტენიანი, პერიოდულად მშრალი), XC3 (ზომიერად ტენიანი), XC4 (მონაცვლეობითი დატენიანება და გამოშრობა); 3) ქლორიდებით გამოწვეული კოროზია (ზღვის წყლის გარდა) – XD1 (ზომიერი ტენიანობა), XD2 (ტენიანი, პერიოდულად მშრალი), XD3 (მონაცვლეობითი დასველება და გამოშრობა); 4) ზღვის წყლით გამოწვეული კოროზია – XS1 (მარილების მოქმედება, მაგრამ ზღვის წყალთან კონტაქტის გარეშე), XS2 (მუდმივად იმყოფება წყალში), XS3 (მოქცევის ზონა, ტალღების, მარილიანი შხეფების მოქმედება); 5) კოროზია, გამოწვეული ცვალებადი გაყინვით და გალხობით – XF1 (ზომიერი წყალგაჯერება ანტიშემომყინავის გარეშე), XF2 (ზომიერი წყალგაჯერება ანტიშემომყინავის გამოყენებით), XF3 (ძლიერი წყალგაჯერება ანტიშემომყინავის გარეშე), XF4 (ძლიერი წყალგაჯერება ანტიშემომყინავის გამოყენებით); 6) ქიმიური აგრესია – XA1 (აგრესიული აგენტების უმნიშვნელო მოქმედება), XA2 (აგრესიული აგენტების ზომიერი მოქმედება), XA3 (აგრესიული აგენტების ძლიერი მოქმედება).

გარემო ადამიანური – განიხილება როგორც ბიოსფეროს შემადგენელი ნაწილი.

გარემო გეოლოგიური – ლითოსფეროს (დედამიწის ქერქის) ზედა ნაწილი. გ. გ. მოიცავს მთის ქანებს, მიწისქვეშა წყლებს, ბუნებრივ აირსა და მიკროორგანიზმებს, რომლებიც იმყოფებიან

ურთიერთქმედებაში და დინამიკურ წონასწორობაში. გ. გ. აქვს განსაზღვრული ფიზიკური, გეოქიმიური, ბიოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები, რომლებიც ფასდება ეკოლოგიური ხარისხით. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზანია გარემოზე ტექნოგენური პროცესების ზემოქმედების თავიდან აცილება ან შემცირება.

გარემო დისპერსიული – გარემო, რომელიც შეიცავს დისპერსიულ ნივთიერებებს (მაგ., მერქნის ფქვილის ნაწილაკები, მტვერი, კვამლი და სხვ.).

გარემო დრეკადი – გარემო, რომელიც დრეკადია და შეუძლია გარეგანი ფორმის შეცვლა ამა თუ იმ ზეგავლენის შედეგად.

გარემო ერთგვაროვანი – გარემო, რომელიც შედგება ერთგვაროვანი ნივთიერებისაგან.

გარემო ნეიტრალური – გარემო, რომლის წყალბადის მაჩვენებელი pH=7 (ანუ წყალბადისა და ჰიდროქსილის იონების რაოდენობა გათანაბრებულია). ის არ შედის არავითარ ქიმიურ რეაქციაში.

გარემო ტექნოლოგიური (ანთროპოგენული გარემო, ანთროპოსი) – ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად ხელოვნურად შექმნილი გარემო.

გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედება – სამეურნეო და სხვა საქმიანობის ზემოქმედება, რომლის მოქმედება იწვევს გარემოს ხარისხის ნეგატიურ ცვლილებებს.

გარემოზე დასაშვები ზემოქმედების ნორმატივები – ნორმატივები, რომლებიც დადგენილია გარემოზე სამეურნეო და სხვა საქმიანობის ზემოქმედების მაჩვენებლების შესაბამისად და რომელთა დაცვისას სრულდება გარემოს ხარისხის ნორმატივები.

გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედება – გარემოში ნებისმიერი უარყოფითი ან დადებითი ცვლილება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ბუნებით მოსარგებლე ორგანიზაციის საქმიანობის, მისი პროდუქციის ან მომსახურების შედეგს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება – საქმიანობის სახე გარემოზე სამეურნეო და სხვა საქმიანობის ზემოქმედების პირდაპირი, ირიბი და სხვა შედეგის გამოვლენის, ანალიზისა და აღწერის მიზნით.

გარემოზე მიყენებული ზიანი – დაბინძურების შედეგად გარემოს ნეგატიური ცვლილება, რომელიც იწვევს ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემის რღვევას, დეგრადაციას და ბუნებრივი რესურსების დაზიანება-გამოფიტვას.

გარემომცველი ხმაურის საშუალო დონე – საშუალო კვადრატული, საშუალო შეწონილი, ბგერითი წნევის დონე, რომელიც იზომება დღეღამის, ან იმ დროის განმავლობაში, სანამ რომელიმე ადამიანი რჩება შენობაში (რომელი პერიოდიც ნაკლები იქნება).

გარემოს დაბინძურება – გარემოში ნივთიერების ან ენერგიის გამოყოფა, რომლის თვისებები, მდებარეობა ან რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს გარემოზე.

გარემოს დასნებოვნება ბაქტერიული საშუალებებით – წყალმომარაგების და კანალიზაციის ობიექტების ექსპლუატაციის, ცალკეული საწარმოებისა და სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების, კვების მრეწველობის საწარმოში მუშაობის ტექნოლოგიის სანიტარიულ-ჰიგიენური წესების უხეშად დარღვევა. ბაქტერიული ფაქტორი მოქმედებს

ადამიანის (ცხოველის) ორგანიზმში დაავადების გამომწვევი მიკრობების მოხვედრის შემთხვევაში. მათი დამაზიანებელი მოქმედება მჟღავნდება განსაზღვრული დროის (საინკუბაციო პერიოდის), ხშირად 2-5 დღის შემდეგ.

გარემოს დაცვა – ყოველივე იმის დაცვა, რაც გარს არტყია ადამიანს: ბუნებრივი გარემო, ქალაქი, სოფელი, საწარმო, საცხოვრებელი, ტყე, მდინარე, კარიერი და სხვ. "ბუნების დაცვა" და "გარემოს დაცვა" ურთიერთდაკავშირებული და განუყოფელი ტერმინებია.

გარემოს დაცვის აქტიური პროფილაქტიკური ღონისძიებები – 1. საწარმოო კვამლის, აირების და ჩამდინარი წყლების წინასწარი გაწმენდა ატმოსფეროს ჰაერში გამოყოფამდე; 2. ტექნოლოგიური პროცესებისა და აპარატურის სრულყოფა.

გარემოს დაცვის პასიური პროფილაქტიკური ღონისძიებები – სამრეწველო საწარმოსა და დასახლებულ პუნქტს შორის დამცავი ზონის მოწყობა, მწვანე ნარგავების გაშენება, მავნე გამონაბოლქვების გატყორცნა მილიდან ატმოსფეროს მაღალ ფენებში და სხვ.

გარემოს ხარისხის ნორმატივები – გარემოს მდგომარეობის შეფასების მიზნით ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა მაჩვენებლების შესაბამისად, დადგენილი ნორმატივები, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს ხელსაყრელი გარემოს არსებობას.

გარეპირი – კამარის წინა და უკანა სიბრტყეები.

გარესახრახნი – კუთხვილსაჭრელი ინსტრუმენტი გარე კუთხვილის ხელით ან ლითონსაჭრელ ჩარხზე მოსაჭრელად. მოჭრის პროცესში გ. და ნაკეთობა ერთდროულად ასრულებენ ბრუნვით მოძრაობას კუთხვილის გრძივი ღერძის ირგვლივ და ხდება თანაბარი ბიჯით კუთხვილის მოჭრა. გ. მზადდება ინსტრუმენტალური სწრაფმჭრელი ფოლადებისაგან. გარე ფორმის მიხედვით განასხვავებენ მრგვალ (ნახ. 1), კვადრატულ, ექვსკუთხა, მილისებრ და სხვა სახის გარესახრახნებს.



ნახ. 1

გარეუბანი (გარეთუბანი) – 1. დასახლებული პუნქტი ქალაქის პერიფერიულ (განაპირა) ნაწილში; 2. ფეოდალური ხანის თბილისის უბანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კალას ჩრდილოეთითა და დასავლეთით, მისი გალავნის გარეთ.

გარეცხვა – საშენი მასალისგან გამაჭუჭყიანებელი ჩანართების მოცილება, რაც ამაღლებს მის ხარისხს (მაგ., გარეცხილი ქვიშა, ხრეში). ამ მიზნით იყენებენ სხვადასხვა დანადგარს წყალში გარეცხვით: სპირალურ კლასიფიკატორს, დოლურ და ვიბრაციულ გამრეცხს და სხვ.

გარნიერიტი (ფრანგ. garniérite<ფრანგი გეოლოგის ჟ. გარნიეს სახელის მიხედვით) – რთული და ცვალებადი შემადგენლობის ნიკელის სილიკატი. ქიმიური ფორმულა $H_2O(Mg, Ni)_3Si_4O_{10}(OH)_2$; სიმკვრივე – 2300-2800 კგ/მ^3. შედგენილობაში შედის რკინის, ქრომის, ალუმინისა და მანგანუმის მინარევები. ფერი – მწვანე. წარმოადგენს მადანს, საიდანაც იღებენ ნიკელს.

გარნიზონი (ფრანგ. garnison<garnir მომარაგება, შეიარაღება) – მუდმივად ქალაქში ან ციხესიმაგრეში მყოფი სამხედრო ნაწილი და დაწესებულება.

გარნისაჟი (ფრანგ. garnissage<garnir მომარაგება, შეიარაღება) – მყარი დამცავი ფენა; წარმოიქმნება ისეთი მეტალურგიული აგრეგატის კედლების შიგა (სამუშაო) ზედაპირზე, რომლებიც განიცდიან ინტენსიურ გაცივებას. გაჩენის მიზეზია სამუშაო ზედაპირზე კაზმის და ცეცხლგამძლე მასალის ფიზიკურ-ქიმიური ურთიერთქმედება.

გარნიტური (ლათ. grānārium მარცვალსაცავი) – 1. მოწყობილობა საქვაბე აგრეგატის საკვამლე მომსახურებისათვის: საძრომი (კვამლსადენის საწმენდად), სათვალთვალე (ქვაბის მუშაობაზე დასაკვირვებლად), ღიობი (საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოებისა და შემომქრევი ხელსაწყოების დასაყენებლად), საბრუნი ჩამკეტები, შიბერები და დეტალები (რომლებზეც ეყრდნობა საქვაბე აგრეგატის ელემენტები); 2. ერთი დანიშნულების მქონე საგნების (მაგ., ავეჯის, თეთრეულის) სრული კომპლექტი; 3. პოლიგრ. სხვადასხვა ზომის, მაგრამ ერთნაირი მოხაზულობისა და ხასიათის შრიფტის კომპლექტი.

გარსაცმი – მანქანის გამოშვერილი ან მოძრავი ნაწილების დამცავი შემოზღუდვა (შემოღობვა), მაგ., ტვიფრის, ვენტილატორის, ლითონის, რადიატორის, რკინის, ღვედური გადაცემის, ღუმლის, ძრავის, ჰიდროტურბინისა და სხვ.

გარსთა მომენტური თეორია – გარსთა თეორია, რომელიც ითვალისწინებს გარსის კვეთებში მღუნავი და მგრეხი მომენტების არსებობას.

გარსთა უმომენტო თეორია – გარსთა თეორია, რომელიც არ ითვალისწინებს გარსის კვეთებში მღუნავი და მგრეხი მომენტების არსებობას.

გარსი – 1. ტანის გეომეტრიული ფორმა, რომელსაც ერთი ზომა (სისქე) გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე ორი დანარჩენი. გარსის ტიპის კონსტრუქციებს იყენებენ სამშენებლო საქმეში, ავიაციაში, გემთმშენებლობაში და სხვ. გ. მშენებლობაში უძველესი დროიდან არის ცნობილი გუმბათებისა და კამარების სახით. მასალად გამოიყენება: ქვა, დაწებებული მერქანი (ნახ. 1. ხის წიბოვანი გუმბათი), ლითონი, რკ.ბ., პლასტმასი. გ. ძირითადი ღირსებაა მასალის ეკონომიურობა, მაღალი სიხისტე და სიმტკიცე, რაც საშუალებას იძლევა გადაიხუროს დიდი ფართობები; ნაკლი – დამზადებისა და გაანგარიშების სირთულე; 2. აირისებრი ფენა, რომელიც გარს ერტყმის პლანეტებს, ვარსკვლავებს და სხვა ასტრონომიულ ობიექტებს; 3. პროგრამული უზრუნველყოფის მოდული, რომელიც უზრუნველყოფს ინტერფეისს ოპერატიული სისტემის ფუნქციების მომხმარებელთან ურთიერთკავშირისათვის. ზოგადად, გარსი შეიძლება იყოს: აბრეშუმის, ადიაბატური, აირის, ამოზნექილი, ასაწყობი, გამჭვირვალე, გაუმჭვირი, დამრეცი, დამცავი, დიათერმული, ელექტრონული, თხელკედლიანი, იონური, კელიფიტური, მონოლითური, მცველი, პლასტმასის, პნევმატიკური, პოლიგონალური, რეზინის, რკინაბეტონის, რქისებრი, ფოლადის, ქვის, ყინულის, შეუვსებელი, ჩაზნექილი, ცილინდრული, ძაბრის, წყლის, ხის, ჰაერისა და სხვ.



გარსი პოლიგონალური – ასაწყობი გარსის სახეობა, რომელიც შედგება სამკუთხა ან ტრაპეციული გეგმის მქონე დადებითი გაუსის სიმრუდის გარსების კომბინაციისაგან (ნახ. 1). ცალკეული გარსები ეყრდნობა წინასწარ მოწყობილ კარკასზე, ხოლო მთლიანად გარსის კონტური – ფოლადის ან რკ.ბ.-ის თაღებს ან რიგელებს, რომლებიც სახსროვნადაა დამაგებული კოლონებზე (თაღებზე). გამოიყენება სხვადასხვა არქიტექტურულ-კონსტრუქციული ფორმის ნაგებობის გადახურვისას. დასამზადებლად უპირატესობა ენიჭება ალუმინის, ფოლადისა და ხის მასალებს, იშვიათად რკ.ბ.-ს.



გარსული ფორმა – ერთჯერადი ჩამოსასხმელი ფორმა ორი, ერთმანეთთან დამაგრებული, რელიეფური ნახევარფორმისაგან კედლის სისქით 6-10 მმ. გ. ფ. მზადდება ნარევისაგან, რომელიც შედგება წვრილმარცვლოვანი კვარცის ქვიშისა და გამამყარებლისაგან – ფენოლფორმალდეჰიდის ფხვნილისებრი თერმორეაქტიური ფისისაგან (პულვერბაკელიტი), რომელიც მიიღება სპეციალურ ავტომატურ და ნახევრადავტომატურ მანქანებზე. თერმორეაქტიური ფისი ლღვება გახურებისას და გარს შემოერტყმება ქვიშის მარცვლებს, შემდგომი გახურებისას კი მყარდება და წარმოქმნის ქვიშის მყარ გარსს. ნახევარფორმების შეწყვილება ხდება ფიქსატორით, კავების, ჭახრაკების ან შეწებების მეშვეობით. გარსული ფორმით იღებენ სხმულს მასით 100 კგ-მდე და ჩამოსხმულ მოდელებს. ფორმების ნარევის ხარჯი 8-10-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩამოსხმისას ქვიშა-თიხის ფორმის გამოყენებით.

გარსშემოსავლელი – შენობის ნაწილი ღია ტერასის ან გალერეას სახით, რომელიც გარს ერტყმის ნაგებობას (მაგ., ეკლესიას).

გარღვევის ტალღა – ტალღა, წარმოქმნილი კალაპოტში მიმართული წყლის ნაკადის ფრონტზე, რომელსაც, როგორც წესი, აქვს ე.წ. "ქოჩორის" მნიშვნელოვანი სიმაღლე, მოძრაობის სიჩქარე და აქვს დიდი დამანგრეველი ძალა.

გასავლელთან მისადგომი გზა – გასასვლელთან მისადგომის გასასვლელისკენ მიმართული მონაკვეთი.

გასავლელი – გასასვლელთან მისადგომის შემოუზღუდავი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს გასასვლელისაკენ სავალ ბილიკს.

გასათბობი მოცულობა – მოცულობა, შემოსაზღვრული გარე კედლების, ჭერისა და იატაკის შიგა ზედაპირული ფართობით.

გასაკონტროლებელი ფართობი – შენობაში მდებარე სივრცე, სადაც ინახება, ნაწილდება, გამოიყენება ან იყიდება საფრთხის შემცველი ნივთიერებები, რომელთა რაოდენობა არ აღემატება ერთი გასაკონტროლებელი ფართობისთვის მაქსიმალურად დასაშვებ რაოდენობას.

გასასვლელთან მისადგომი – გასასვლელი საშუალებების სისტემის მონაკვეთი, რომელიც შენობის ან ნაგებობის ნებისმიერი დაკავებული ნაწილიდან გასასვლელისკენ მიემართება.

გასასვლელთან მისადგომის გზა-კარი – ოთახიდან, ფართობიდან ან სივრციდან გამომავალი კარი ან მისადგომი წერტილი გასასვლელისკენ სავალი გზის გასწვრივ, სადაც გასასვლელი გზა შედის შუალედურ ოთახში, დერეფანში, გასასვლელთან მისადგომ შემოუზღუდავ კიბეზე ან პანდუსზე.

გასასვლელთან მისადგომის კიბე-გზა – შიგა კიბე-გზა, მაგრამ არა აუცილებელი შიგა გასასვლელის კიბე-გზა.

გასასვლელთან მისადგომის პანდუსი – შიგა პანდუსი, მაგრამ არა აუცილებელი შიგა გასასვლელის პანდუსი.

გასასვლელი – ტერიტორია ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის, რომელშიც შედის სავალი ნაწილი, გზისპირი, კიუვეტი და გამაგრებული ბეგი.

გასასვლელი საშუალებები – შვეული და თარაზული გასასვლელისკენ სავალი უწყვეტი და ჩაუხერგავი გზა შენობის ან ნაგებობის ნებისმიერი დაკავებული ნაწილიდან საზოგადოებრივ გზამდე. გასასვლელი საშუალებები შედგება სამი განსხვავებული და დამოუკიდებელი ნაწილისგან: გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი.

გასასვლელის გზა-დერეფანი – გასასვლელის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შენობის ან ნაგებობის ინტერიერის სხვა სივრცეებისაგან გამიჯნულია ცეცხლმედეგობის კოეფიციენტის მქონე კონსტრუქციით, ღიობის დამცავებით და უზრუნველყოფს სავალ დაცულ გზას ჰორიზონტალური მიმართულებით შენობიდან გამოსასვლელისკენ ან საზოგადოებრივი გზისკენ.

გასასვლელის შემომზღუდავი – გასასვლელის კომპონენტი, რომელიც შენობის ან ნაგებობის ინტერიერის სხვა სივრცეებისაგან გამიჯნულია ცეცხლმედეგობის კოეფიციენტის მქონე კონსტრუქციით, ღიობის დამცავებითა და უზრუნველყოფს სავალ დაცულ გზას შვეული ან ჰორიზონტალური მიმართულებით შენობიდან გამოსასვლელამდე ან საზოგადოებრივ გზამდე.

გასასვლელის შიგა ეზო – შიგა ეზო ან ეზო, საიდანაც ერთი ან მეტი გასასვლელი გადის საზოგადოებრივ გზაზე.

გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი – გასასვლელთან მისადგომის მონაკვეთი, რომლის გადაკვეთა აუცილებლია შენობაში მყოფთათვის, სანამ ორ დამოუკიდებელ გასასვლელამდე მიაღწევენ. შემხვედრი ბილიკები ქმნის საერთო სავალ ბილიკს. გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკები დასაშვები სავალი მანძილის საზღვრებში უნდა იყოს მოქცეული.

გასაღები – 1. რაიმე საკეტის მოსარგები, გამხსნელი სამარჯვი; 2. ნაკეთობა, რომელიც სხვადასხვა ზომის ქანჩისა და ჭანჭიკის მოსაჭერად ან მოსაშვებად გამოიყენება. არსებობს გ. მუდმივი ზომისა და დასარეგულირებელი გარკვეულ ზღვრებში; 3. მუს. სანოტო დგანის დასაწყისში დასმული ნიშანი (ვიოლინოს გასაღები, ბანის გასაღები).

გასაშუალოება – ტექნოლოგიური პროცესის სტაბილიზაციისა და პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად ნარევის მასაში კომპონენტების თანაბარი განაწილება.

გასტარბაიტერი (გერმ. gast სტუმარი და arbeiter მუშა) – სამუშაოს საშოვნელად სხვა ქვეყანაში ჩასული პიროვნება.

გაუთვალისწინებელი სამუშაოები – სამუშაოები, რომელთა მოცულობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ობიექტის მშენებლობის პროცესში და ფინანსდება ხარჯთაღრიცხვაში არსებული სპეციალურად ლიმიტირებული რეზერვით (გაუთვალისწინებელი ხარჯებით).

გაუმართაობა – სამშენებლო კონსტრუქციის, შენობის, ნაგებობის ნდგომარეობა, რომლის დროსაც, აღებულ მომენტში, მათი ძირითადი ან მეორეხასისხოვანი პარამეტრები არ პასუხობენ თუნდაც ერთ წაყენებულ მოთხოვნას.

გაუმართაობის შეტყობინება – სახანძრო განგაშის სისტემის ან ავარიის აღმომჩენი მოწყობილობის მიერ გამოცემული შეტყობინება წრედში ან სისტემის სხვა კომპონენტში დაფიქსირებული გაუმართაობის შესახებ.

გაუნახშირბადოება – ნახშირბადის შემცველობის შემცირება ფოლადის ნაწარმისა და ნაკეთობის ზედაპირულ შრეებში, რომელიც ხდება ჟანგბადისა და წყალბადის შემცველ გარემოში გახურებისას (ცხელი ჰაერი, ღუმლის გაზი), რომლებთანაც ნახშირბადი შედის რეაქციაში და წარმოქმნის გაზისებრ პროდუქტებს. უმეტეს შემთხვევაში გ. არაა სასურველი, რადგანაც ცვლის ფოლადის თვისებებს, კერძოდ, ართულებს წრთობას.გ. თავიდან ასაცილებლად გახურებას ახდენენ გაზის დაცულ გარემოში ან ვაკუუმში. გ. ეწოდება ასევე ლითონის ქიმიურ-თერმული დამუშავების ნაირსახეობას, სადაც ნახშირბადი მავნე მინარევია.



გაუსის სიმრუდე – ზედაპირის გამრუდება მისი რაიმე წერტილის გარშემო. ის არის ზედაპირის შიგა გეომეტრიის ობიექტი, კერძოდ, არ იცვლება იზომეტრიული ღუნვისას. ორგანზომილებიანი ზედაპირის რაიმე წერტილში ნორმალურ სიმრუდეებს მთავარი მიმართულებებით (მთავარი სიმრუდეები) თუ აღვნიშნავთ r_1 და r_2-ით, მაშინ სიდიდეს $R = r_1 \cdot r_2$ ეწოდება გაუსის სიმრუდე ან უბრალოდ ზედაპირის სიმრუდე. ზედაპირის სიმრუდე შეიძლება იყოს: ნულოვანი (ცილინდრი ან სიბრტყე), დადებითი (სფერო) და უარყოფითი (ჰიპერბოლოიდი) (ნახ. 1. გაუსის სიმრუდეები: მარცხნიდან – უარყოფითი, ნულოვანი და დადებითი).

გაუფასურება – ეროვნული ვალუტის ღირებულების დაცემა უცხოურ ვალუტასთან შედარებით.

გაუცხიმოება (ცხიმგაცლა) – დასამუშავებელი ლითონის ზედაპირიდან ცხიმის მოშორება, რომელიც ხორციელდება დეტალების ტუტიან ხსნარებში ამოვლებით ან ელექტროლიტური ამოჭმით, შემდეგ წყალში გარეცხვითა და გაშრობით.

გაუწყლოება (დეჰიდრირება) – 1. წყლის გაცლა; თავისუფალ (შეკავშირებულ) მდგომარეობაში მყოფი წყლის გამოყოფა ნივთიერებისა ან კრისტალჰიდრატებისაგან კრისტალიზებული წყლის გაცხელებით, ორთქლის წნევის დაწევით ან წყლის წამრთმევ ნივთიერებათა გამოყენებით; 2. რაიმესაგან წყლის მოშორების (მოცილების) პროცესი. გ.

სრულდება გაფილტვრით, ცენტროფუგირებით, შრობით და სხვ. გაუწყლოება ფართოდ გამოიყენება სამთო, საშენი მასალების, ქიმიურ, კვების მრეწველობის საწარმოებში და სხვ.

გაფართოება (გაშლა) – რაიმეს გადიდების, გაძლიერების, გაღმავების პროცესი (მაგ., შენობის ტემპერატურული ბლოკის გაფართოება, წარმოების მოცულობის გაფაერთოება, სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება და სხვ). არსებობს გაფაროების სახეები: ადიაბატური, თერმული, იზობარული, იზოენტროპიული, იზოთერმული, მდოვრე, მკვეთრი, მოცულობითი, მრავალჯერადი, ნარჩენი, პოლიტროპიული, სითბური, უეცარი, წრფივი და სხვ.

გაფართოება ადიაბატური – გაფართოების სახეობა, რომელიც მიმდინარეობს სითბოს მიწოდების გარეშე, შიგა ენერგიის ხარჯზე.

გაფართოება იზობარული – გაფართოების სახეობა, რომელიც ხდება გარედან სითბოს მიწოდებით მუდმივი წნევის პირობებში.

გაფართოება იზოენტროპიული – იხ. გაფართოება ადიაბატური.

გაფართოება იზოთერმული – გაფართოების სახეობა, რომელიც ხდება მუდმივი ტემპერატურის პირობებში.

გაფართოება ნარჩენი – სხვაობა საწყის ზომებსა და იმ ზომებს შორის, რომელიც ექნება გაცხელების შემდეგ საწყის ტემპერატურამდე გაცივებულ მასალას (სხეულს).

გაფართოება პოლიტროპიული – აირის გაფართოების პროცესი, რომელიც ხასიათდება განტოლებით $PV^n = const$, სადაც n იცვლება $-\infty$-დან $+\infty$-მდე.

გაფილტვრა – მყარი ნაწილაკებისა და სითხისგან შედგენილი ნარევის (სუსპენზიის) დაყოფა. დასაყოფად სუსპენზიას ფილტრში ატარებენ. ფილტრზე დარჩენილ მასას ნალექი ეწოდება, ხოლო მასში გასულ სითხეს – ფილტრატი.

გაფორმება – 1. ოთახის მოწყობა და მოპირკეთება; 2. სურათის ჩარჩოები, სკამის ზურგით კედლის დაზიანებისგან დასაცავი ზოლები (კედელზე), იატაკი-კედლის თამასები (პლინთუსები), მოაჯირის სახელურები, კარისა და ფანჯრის ჩარჩოები და სხვა მსგავსი გასაფორმებელი ან დამცავი დეტალები; 3. პირადი საკუთრების (ავტომობილი, ბინა, მიწის ფართობი და სხვ.) დაკანონება საჯარო რეესტრში ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში.

გაფორმების ეკონომიკური ზონა – შემოსავლების სამსახურის სპეციალურად შექმნილი საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც ხორციელდება საქონლის გაფორმება.

გაფრთხილება ღვარცოფული საშიშროების შესახებ – შეტყობინება რომელიმე რაიონში ღვარცოფის შესაძლო ჩამოწოლის შესახებ, რაც ეფუძნება პროგნოზს ან ექსპერტთა დასკვნას პროგნოზულ ნიშან-თვისებებეზე დაყრდნობით. გაფრთხილება ღვარცოფული საშიშროების შესახებ ხორციელდება ღვარცოფსაწინააღმდეგო სამსახურის მიერ, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – დროებითი სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომელიც განლაგებულია ღვარცოფის მაღალი ათვისებისა და აქტივობის რაიონებში. უკანასკნელ პერიოდში ღვარცოფული საშიშროების შესახებ პრაქტიკაში მკვიდრდება შეტყობინების გადაცემა

რადიოთი და ტელევიზიით ამინდის პროგნოზთან ერთად. სიგნალი მოძრავი ღვარცოფული ნაკადის შესახებ გადაიცემა რადიოშეტყობინების დახმარებით.

გაფრქვევა – თხევადი ან დისპერსიული ნივთიერების გაფანტვის პროცესი. ცნობილია მისი სახეები: აირის, ვიბრაციული, იონური, კონუსური, ლითონის, მაგნიტური, მაგნეტრონული, სათბობის, საღებავის, სხივური, ულტრაბგერითი, ცხელი, წინაკამერული, წყლის, ჭავლური და სხვ.

გაფუებული ვინილის კედლის საფარი – (და)წნული ქსოვილის სარჩულიანი კედლის საფარი, გაფუებული ვინილის ფუძე და გაუფუებელი ვინილის საცმი. კედლის საფარის საერთო სისქეა 1,4-1,8 მმ.

გაფუებული ვინილის ფუძე-შრე – ერთგვაროვანი ვინილის შრე, რომელიც შეიცავს საქრევ აგენტს (ქაფწარმომქმნელს). დამუშავებისას საქრევი აგენტი იშლება შემადგენელ ნაწილებად, რის შედეგადაც წარმოიქმნება ჩაკეტილი უჯრედები და შრე ფუვდება.

გაფხვიერება – დაფქვნის, დაფშვნის, დანაწევრების პროცესი, რომლის შემდეგაც მასალის ფორიანობის კოეფიციენტი იზრდება.

გაფხვიერების კოეფიციენტი – მონგრეული მადნის მოცულობის ფარდობა ხელუხლებელი მასივის პირვანდელ მოცულობასთან.

გაყვანილობა გამჭოლი – ისეთი ზომის ნახვრეტი იატაკის, ჭერის ან კედლის ანაწყობის ორივე მხარეს, რომელშიც სხვადასხვა კომუნიკაციური გაყვანილობა გადის.

გაყვანილობის ცეცხლსაჩერი – გამჭოლი გაყვანილობის ან მემბრანის გაყვანილობის ცეცხლსაჩერი.

გაყინული გრუნტის კუმშვადობის კოეფიციენტი – დატვირთვის ქვეშ მყოფი გაყინული გრუნტის ფარდობითი დეფორმაცია.

გაშავება (მოსევადება) – ფოლადის ნაკეთობის ზედაპირზე ჟანგის ფურჩის (ფენის, აფსკის) შექმნა კოროზიამედეგობის ასამაღლებლად ან დეკორატიული მიზნით. გ. აწარმოებენ ფოლადის ნაკეთობის ჩაძირვით გამდნარ მარილში ან დამუშავებით წყლით განზავებულ ტუტეებში, მჟავებში, მარილებში.

გაშალაშინება (მიჯიფთვა) – ხის ნაწარმის სწორი ან გლუვი ზედაპირის გასწორების პროცესი გაშალაშინებით, რომელიც სრულდება სპეციალური ხელსაწყოს – შალაშინის ან ჩარხის მეშვეობით.

გაშენება – ქალაქებსა და სოფლებში შენობების, ბაღების, ბულვარების, ქარსაფარი ზოლების, ვენახების, სამთო-სათხილამურო კურორტების და მისთ. განთავსების წესრიგი. არსებობს გაშენების სახეები: ანსამბლური, თავისუფალი, მთლიანი, მწკრივული, მჭიდრო, პერიმეტრული, ტყის და სხვ.

გაშენების კოეფიციენტი – შენობებისა და ნაგებობების მიერ დაკავებული ფართობის შეფარდება ნაკვეთის სრულ ფართობთან.

გაშენების სიმჭიდროვის კოეფიციენტი – შენობისა და ნაგებობის ყველა სართულის საერთო ფართობის შეფარდება ნაკვეთის მთლიან ფართობთან.

გაშენების შემჭიდროება – საცხოვრებელი ფართობის რაოდენობის გაზრდა ტერიტორიის ერთეულზე არსებული გაშენების რეკონსტრუქციის პირობებში. მიიღწევა: შენობებს შორის არსებული ადგილის გაშენებით, გაშენების სართულიანობის გაზრდით, ძველი გაშენების დანგრევითა და მის ადგილზე ახლის მოწყობით, უფრო შემჭიდროებული გაშენებით, ეზოებისა და გასასვლელების სივრცის შემცირებით, უშენი ადგილების გაშენებითა და სხვ.

გაშლა – 1. სიბრტყეზე გამოსახული გეომეტრიული ტანის ზედაპირი; 2. რაიმე საგნის, ნივთის ნებისმიერი ნახაზი; 3. მრავალპირიანი ლითონის საჭრელი ინსტრუმენტი ნახვრეტების დასამუშავებლად. არსებობს გაშლის სახეები: აზიმუტური, გაჭიმული, დახვეულის, ელექტრონული, ელიფსური, ევოლვენტური, ზედაპირის, იზოქრონული, კადრის, მაქოს, მექანიკური, მწკრივად, ოპტიკური, პარაბოლური, რადიალური, რგოლისებრი, რულონის, საძირკვლების, სინქრონული, სიხშირული, სპირალური, სხივების, ფუნქციის, ცენრტული, ციკლოიდური, წრიული, წრფივი, ჰიპერბოლური და სხვ.

გაჩარხვა – ბრუნვის გარე ზედაპირების ჭრით დამუშავება სახარატო დაზგებზე, სადაც მთავარ სამუშაო (ბრუნვით) მოძრაობას უმეტესად ასრულებს ნამზადი, ხოლო მიწოდების მოძრაობას – საჭრისი.

გაცემის ხაზი – მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტის, აგრეთვე, აირის მიწოდებას რეზერვუარიდან სარიგებელ სვეტამდე.

გაცივება – ტანის ან გარემოს ტემპერატურის დაწევის პროცესი. გამოყენებითი თვალსაზრისით მიიღწევა განსაზღვრული რაოდენობის სითბოს გაცემით. წარმოებაში და ტექნიკაში ხელოვნურ სიცივეს ძირითადად იღებენ სამაცივრო დანადგარებისა და საცივებელი აგენტების მეშვეობით. შედარებით ხანმოკლე ხელოვნური ცივი გარემოს შესაქმნელად კი გამოიყენება სიცივის აკუმულატორები და მშრალი ყინული. გაცივების სახეებია: აორთქლებით, ბუნებრივი, დაპროგრამებული, დნობის, ზეთში, თერმოსიფონური, ინდივიდუალური, იძულებითი, მდუღარე შერეში, მეორეული, ნელი, სითხეში, უწყვეტი, ღრმა, ღუმლიანად, შენელებული, ცხელი, შხაპით, ძრავით, წინასწარი, წყლით, წყალში, წყვეტილი, ჭავლით, ხელოვნური, ჰაერზე და სხვ.

გაცივება ზომიერი – მაცივარაგენტების საშუალებით –50°C-მდე გაცივების პროცესი.

გაცივება ღრმა – გაცივების პროცესი აირთა ნარევების დასაყოფად ჯერ გათხევადების, და შემდეგ, რექტიფიკაციის გზით. ღრმა გაცივების პროცესების ტექნიკური გამოყენების მაგალითად გამოდგება ჰაერის დაყოფა ჟანგბადად და აზოტად, კოქსის აირის დაყოფა, ნავთობის პიროლიზის აირების დაყოფა შემადგენელ ნაწილებად და მისთ. რექტიფიკაციის პროცესების ჩასატარებლად აუცილებელია აირთა ნარევების წინასწარი გათხევადება და, შესაბამისად, აირების გათხევადება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ღრმა გაცივების ძირითადი ტექნიკური დანიშნულება.

გაცხრილვა (გაცხავება) – ფხვიერი მასალების დაყოფა კლასებად სისხოს მიხედვით, ანუ ფრაქციონირება ნაჭრების (ნაწილაკების) ზომების მიხედვით მექანიკურ მოწყობილობებზე გაცხრილვით.

გაძგიფვა – წყალსატევის ან მდინარის ზედაპირზე უძრავი ყინულსაფრის წარმოქმნა; პერიოდი, როცა მდინარეზე უძრავი ყინულსაფარია.

გაძლიერება – 1. კონსტრუქციის მზიდუნარიანობის ან სიხისტის გაზრდა მისი განივი კვეთის ან მუშაობის სქემის შეცვლით; 2. ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სამშენებლო კონსტრუქციების, შენობებისა და ნაგებობების მზიდუნარიანობისა და საექსპლუატაციო თვისებების ამაღლებას მთლიანად, მათ შორის ფუძე-გრუნტების, ფაქტიურ მდგომარეობასთან ან საპროექტო მაჩვენებლებთან შედარებით; 3. სასარგებლო სიგნალის გაზრდისა და გადაცემული ენერგიის (ელექტრომაგნიტური, აკუსტიკური, მექანიკური, ელექტრული, მაგნიტური, კვანტური, ოპტიკური და სხვ.) ამაღლების პროცესი გარეშე წყაროს ენერგიის ხარჯზე.

გაწელვა – წნევით დამუშავების ოპერაცია, რომელიც ნამზადის წასაგრძელებლად ხდება და ერთდროულად განივკვეთის ფართობის შემცირებით მიმდინარეობს.

გაწმენდა (გასუფთავება) – 1. ტექნოლოგიური ოპერაცია, რომლითაც ხდება მასალის ან გარემოს განთავისუფლება მინარევების, დაბინძურების, წინა დამუშავების ნარჩენებისაგან და სხვ. სამშენებლო კონსტრუქციებისა (ლითონის, ხის, რკინაბეტონის, პლასტმასის) და ნაკეთობების გასუფთავების ყველაზე გავრცელებული სახეობაა – ზედაპირული გაწმენდა; 2. მოწყობილობების კომპლექსი ბუნებრივი წყლის გადამუშავებისათვის, რათა მას მიეცეს სასმელი წყლის თვისებები; 3. ხილული თუ უხილავი, ნებისმიერი ტიპის დაბინძურების მოცილების პროცესი; 4. დაბინძურების მოცილება დანადგარიდან. არსებობს გაწმენდის შემდეგი სახეები: აირების, გვირაბის, გოგირდმჟავური, კონცენტრატის, მილსადენის, ნახშირის, ნიტრობენზოლური, ორთქლფაზური, საკანალიზაციო ქსელის, საკვამლე მილის, საფანტჭავლური, სელექციური, სველი, სილაჭავლური, სხმულის, ღუმლის, ცენტრიდანული, წინასწარი, წყალშემკრები ჭის, წყლის, ჰაერისა და სხვ.

გაწონასწორებულ ძალთა სისტემა – ძალთა სისტემა, რომლის მოქმედებისას მყარი სხეულის მდგომარეობა უცვლელი რჩება (სხეული უძრავია ან მოძრაობს ინერციით).

გაწყლოვანება – ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა (წყალსაღები ნაგებობა, წყალსაცავი, არხი, წყალსატარი და ა.შ.), რომელიც დამატებით ავსებს ბუნებრივი წყალსადინარების ქსელს (მაგ., მდინარის) და უზრუნველყოფს უწყლო და ნაკლებწყლიანი რაიონების გაწყლოვანებას. ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული და ეფექტური გაწყლოვანების მეთოდია – გამაწყლოვანებელი არხების მოწყობა, რომლებსაც წყალი მიეწოდება თვითდინებით ან წყალსაწევი სადგურებიდან.

გაწყლოვანებული ქანი – ქანი, რომელიც შეიცავს თავისუფალ წყალს.

გაჭიმვა – ღეროს (ძელის) გრძივი დეფორმაციის სახე, რომელსაც ადგილი აქვს ღეროს გრძივი ღერძის გასწვრივ გამჭიმი ძალის მოდებისას. ამ დროს ღეროში გრძივი ძალების ზემოქმედებით ხდება ღეროს გეომეტრიული სიგრძის გაზრდა. სამშენებლო კონსტრუქციებისათვის ძირითადად გ. ორი სახე არსებობს: ცენტრალური (ძალა მოდებულია ღეროს გრძივი ღერძის გასწვრივ) და ექსცენტრული (ძალა მოდებულია ღეროს გრძივი ღერძიდან გადანაცვლებულად). ზოგადად შეკუმშული ელემენტის გაანგარიშება სიმტკიცეზე წარმოებს ფორმულით: $\sigma = N_გ/A_ნ \le R_გ$, სადაც σ – გაჭიმვის ძაბვა; $N_გ$ – მოქმედი

გამჭიმავი ძალა; $A_б$ – ღეროს განივკვეთის ნეტო ფართობი (შესუსტებების გათვალისწინებით); R_g – მასალის საანგარიშო წინაღობა გაჭიმვაზე. გაჭიმვაზე მუშაობს სამშენებლო კონსტრუქციების ბევრი ელემენტი: წამწის ქვედა სარტყელი და გისოსის ელემენტები, კამარის შემკრავი, კოჭის ქვედა სარტყელი, ბაგირები, ვანტები და სხვ.

გახსნა (გაღება, გაშლა, განზავება) – 1. რაიმე დახურულის ან შეკრულის გახსნა-გაღების ოპერაცია-მოქმედება (მაგ., კარადის კარის გახსნა, ფანჯრის გაღება); რაიმე მოჭერილის მოშვების პროცესი (მაგ., ჭანჭიკის ქანჩის მოშვება); გახსნა-განზავების პროცესი (მაგ., საღებავის განზავება გამხსნელით, ლაქის გახსნა აცეტონით); 2. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების სისტემა.

გახურება (გაცხელება) – ნივთიერების (სხეულის), რაიმე მიზნით, ტემპერატურის აწევის პროცესი (მაგ., სადურგლო წებოს გათბობა მოხმარების წინ, ფარის გახურება გალაქვის წინ). ცნობილია გახურების სახეები: ადგილობრივი, აირით, ალით, არათანაბარი, არამჟანგავი, გამჭოლი, განმეორებითი, დაპროგრამებული, დიელექტრიკული, ელექტროკონტაქტური, ელექტრული, ელექტრონულ-სხივური, ვაკუუმური, ზედაპირული, იზოთერმული, ინდუქციური, კონდუქციური, კონვექციური, კონტაქტური, ლოკალური, მაღალსიხშირული, მდუღარე შრეში, ორსტადიანი, პირდაპირი, პლაზმური, რადიაციული, უწყვეტი, ღუმლის, წინასწარი, ჭავლური, ჰაერით და სხვ.

გაჯერება – მერქნის, ქსოვილის, დუღაბისა და მისთ. გაჟღენთა სპეციალური ხსნარებითა და ემულსიებით მათთვის განსაზღვრული თვისებების მისანიჭებლად (ბიომედეგობა, ტენმედეგობა და სხვ.).

გაჯერების ზღვარი – იხ. ჰიგროსკოპულობის ზღვარი.

გაჯერების ფიზიოლოგიური დეფიციტი – სხვაობა ჰაერის მაქსიმალურ და აბსოლუტურ ტენიანობებს შორის 375°C ტემპერატურაზე.

გაჯეტი (ინგლ. gadget სამარჯვი, საკუთნო, ტექნიკური სიახლე, სამშვენისი) – მცირე ზომის მექანიკური ან ელექტრონული მოწყობილობა ან ინსტრუმენტი, რომელიც განსაკუთრებულად მახვილგონივრული და ნოვატორულია (მაგ., ჯიბის კომპიუტერი, ფიჭური ტელეფონი დამატებითი ფუნქციებით, ავტოკალამი ელექტრონული მომსახურების ნაკრებით და სხვ.).

გაჯი – 1. ჰაერული შემკვრელი ნივთიერება, რომელიც მიიღება ბუნებრივი თიხათაბაშირიანი ქანებისაგან, 150-250°C ტემპერატურაზე გამოწვით. სიმკვრივე – 800-1000 კგ/მ³; სიმტკიცე კუმშვაზე 20 მპა-მდე. შეკვრის დასაწყისია 3-5 წუთი, ხოლო დასასრული 30-40 წუთი. გაჯისაგან მზადდება სალესი და წყობის დუღაბები და სამშენებლო ნაკეთობები. გ. ტრანსპორტირება და შენახვა აუცილებელია დახურული ტარით, რადგან ტენის მოქმედებით კარგავს აქტივობას; 2. მვ. მიწა-ცარცი.

გაჯირჯვება – ტექნოლოგიური დამუშავების პროცესში მასალის მოცულობის ზრდა (მაგ., მერქნის გაჯირჯვება ტენის გავლენით).

გეგმა – 1. შენობის სართულის თარაზული ჭრილის გრაფიკული გამოსახულება (ნახ. 1); 2. წინასწარ

указывает на правильный файл и верное размещение.

მოფიქრებული რამ, რაც უნდა განხორციელდეს; 3. დაგეგმარების საპროექტო გადაწყვეტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის ამსახველი გენერალური ნახაზი; 4. მუშაობის განრიგი ვადებისა და დანახარჯების მიხედვით.



გეგმა არქიტექტურული – შენობის, შენობების კომპლექსის, დასახლებული პუნქტის ან მათი ნაწილის ჰორიზონტალური პროექციის გამოსახულება შესრულებული განსაზღვრულ მასშტაბში (ნახ. 1. ოშკის ტაძრის გეგმა). გეგმაზე შესაძლებელია ნაჩვენები იქნეს კედლების, გადახურვების, საყრდენების, სვეტების კონსტრუქცია, ავეჯისა და მოწყობილობების განლაგება ინტერიერში, საწარმოო სათავსებში ტექნოლოგიური პროცესების სქემა, ქალაქის სატრანსპორტო ქსელის განაწილება და ა.შ.

გეგმა გენერალური – 1. მთავარი, ძირითადი გეგმა, განვითარების მაგისტრალური მიმართულება (მაგ., წარმოების განვითარების); 2. დასახლებული ადგილის ან მისი ნაწილის დაგეგმარების ამსახველი გამოსახულება.

გეგმა კალენდარული – მოქმედების გეგმა, განაწილებული დღეების მიხედვით.

გეგმა პერსპექტიული – განვითარების გეგმა მომავალი პერიოდისათვის.

გეგმა სამრეწველო (ფინანსური) – გეგმა, რომელიც წარმოების განვითარების, მოქმედების ყველა ძირითად მაჩვენებელს მოიცავს (მაგ., ხელფასის ფონდი, პერსონალის რაოდენობა, პროდუქციის რაოდენობა, საბრუნავი ფონდები და სხვ.).

გეგმა საწარმოო – წარმოების განვითარების გეგმა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

გეგმა სიტუაციური – ადგილზე ან მშენებარე ნაგებობაზე მიერთებული არსებული ობიექტის განლაგების მაჩვენებელი.

გეგმა-გრაფიკი – მოქმედების პერიოდულობის გეგმა, დროის გარკვეულ მონაკვეთში.

გეგმაზომიერი – გეგმის შესაბამისი, მოწესრიგებული.

გეგმარებითი დავალება – დაგეგმვაზე უფლებამოსილი სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვისა და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს.

გეგმარებითი რეგიონი – ისტორიულ-კულტურული ან ეკონომიკური ნიშნით გაერთიანებული, ან სპეციალური სივრცით-ტერიტორიული ამოცანების გადასაწყვეტად ფორმირებული რაიონების ტერიტორიების ერთობლიობა.

გეგმარებითი სტრუქტურა – ტერიტორიის, შენობის ან ნაგებობის სქემატური მოდელი, რომელიც ასახავს მისი ცალკეული ნაწილების განთავსების თავისებურებებს და მათ შორის კავშირს.

გეგმილი (პროექცია) – გეომეტრიული გამოსახულება მიღებული ფიგურის დაგეგმილებით სიბრტყეზე ან რაიმე სხვა ზედაპირზე. ფიგურის გეგმილი არის მისი ცალკეული წერტილების გეგმილთა ერთობლიობა. განიხილავენ გეგმილის სამ სახეობას: ცენტრალურს (პერსპექტივა), პარალელურს და მართკუთხას (ორთოგონალურს).

გეგმილი სამგანზომილებიანი – ნახაზის გეგმილის (პროქციის) ტიპი.

გეგმური გამოყენების კოეფიციენტი – ექსპლუატაციის პერიოდის ნაწილი, რომლის განმავლობაში ობიექტი არ უნდა იმყოფებოდეს გეგმურ ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე.

გეგუთის ციხე-დარბაზი (გეგუთის სასახლე) (ინგლ. Geguti Royal Palace; Geguti Palace) – ფეოდალური ხანის საქართველოს საერო არქიტექტურის VIII საუკუნის ძეგლი (ნახ. 1, ნახ. 2: სასახლის ნანგრევების საერთო ხედი; ნახ. 3, ნახ. 4: სასახლის ნანგრევების ფრაგმენტები). მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გეგუთში, ქუთაისის სამხრეთით, მე-7 კმ-ზე, რიონის ნაპირას. ნანგრევებს 2000 $მ^2$-ზე მეტი ფართობი უჭირავს. 1953-1956 წლებში სარესტავრაციო-კვლევით სამუშაოთა შედეგად, შესაძლებელი გახდა სასახლის ხუროთმოძღვრული ფორმების დადგენა. ციხე-დარბაზში რამდენიმე სამშენებლო ფენა გამოირჩევა. ყველაზე ადრინდელი ნაწილი (VIII-IX საუკ.) გეგმით მარტივი, ერთოთახიანი, დიდბუხრიანი ე.წ. ზამთრის "სანადირო სასახლეა" (ნახ. 5. „სანადირო სასახლის" ესკიზი). მოგვიანებით, იგი მრავალ ფუნქციას ასრულებდა.

აგურით ნაგები ოთხიარუსიანი მეფეთა სადგომი აღმართული იყო ქვით ნაგებ სამმეტრიან ცოკოლზე (XII ს.). მთავარ ნაწილს წარმოადგენდა 14 მ-იანი გუმბათით დაგვირგვინებული ოთხმკლავიანი დარბაზი, რომლის ირგვლივ საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სათავსები (საწოლი ოთახი, სალარო, საგანძური, აბანო და სხვ.) იყო განლაგებული. ნაგებობას გარედან ეკვროდა კედლებიდან გამოწეული მასიური ბურჯები. XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება მთავარი ნაგებობის დასავლეთით მდებარე შენობა და სასახლის ეკლესია. გადმოცემის თანახმად, გეგუთი თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა.



1



ნახ. 2





ნახ. 4



ნახ. 5

გეზენკი – მიწისქვეშა შვეული გვირაბი, რომელიც უშუალოდ მიწის ზედაპირზე არ გამოდის. ზოგჯერ გ. დახრილ მდგომარეობაში გაჰყავთ. იყენებენ სასარგებლო წიაღისეულის ჩასაშვებად ზედა ჰორიზონტიდან ქვედა ჰორიზონტამდე, აგრეთვე სავენტილაციოდ და მომუშავეთა მიმოსვლისათვის.გ. შახტაში აერთებს სხვადასხვა საფეხურებს. გეზენკში მუშაობა სახიფათო სამუშაოებს განეკუთვნება.

გეზი – 1. ძვ. უფრთო ისარი; 2. წყლის გასავალი; 3. მიმართულება (მაგ., სვლაგეზი).

გეიზერი (ისლანდ. geyser<geysa გადმოთქრიალება, წასკდომა) – ვულკანების ახლოს მიწისქვეშა გამთბარი წყლებისა და ორთქლის პერიოდულად (ან უწვვეტად) ზედაპირზე შადრევნის სახით ამოფრქვევა (ნახ. 1). გ. სიუხვით გამოირჩევა ისლანდია და კამჩატკის ნახევარკუნძული (რუსეთის ფედერაცია).



ნახ. 1

გეისონი (ბერძ. geison განაშვერი, შვერილი) – ანტიკურ ნაგებობებში კარნიზის ზედა ნაწილი (სიბრტყე კარნიზის კიმატიონებს შორის). ორქანობიან სახურავში ჰორიზონტალური გეისონი, ორ დახრილთან ერთად, ქმნის სამკუთხა ფრონტონის ჩარჩოს (ნახ. 1).

გელა – ხის ან რკინის ჯოხი, ძალაყინი, ცეცხლის საჩხრეკი.

გელაზი – ბაზალტის ქვისაგან გამოთლილი ბორბალი, ზეთის სახდელი დიდი მრგვალი ქვა.

გელათის აკადემია (ინგლ. The Gelati Academy) – ძველი ქართული სასულიერო სასწავლებელი (იხ. გელათის მონასტერი, ნახ. 6). დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით. დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწოდ შეკრიბა სწავლული ქართველები, რომელთა შორის იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. თანამედროვენი გელათის აკადემიას "ასუად ათინად" ("აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად") იხსენიებდნენ. აკადემიის სათავეში იდგა მოძღვართ-მოძღვარი. სასწავლო პროგრამა ძირითადად გეომეტრიის, ფილოსოფიის, რიტორიკის, გრამატიკისა და ასტრონომიის შესწავლას ითვალისწინებდა. გელათის აკადემიაში დაუწერია არსენ იყალთოელს სჯულისკანონი, იოანე პეტრიწს – ნემესიოს ემესელის თხზულება "ბუნებისათჳს კაცისა". განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნულიდან თარგმნილი იოანე ქსიფილინოსის ჰაგიოგრაფიული კრებული, რომლის ორიგინალი დაკარგულია. სამეცნიერო-მთარგმნელობითი მოღვაწეობა გელათის აკადემიაში მომდევნო საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა, თუმცა საგრძნობლად შენელდა. XIII საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ ჰიმნოგრაფი არსენ ბულმაისიმისძე, ფილოსოფოსი და რიტორი პეტრე გელათელი. XIV საუკუნეში გელათში ქართველ სწავლულთა ძალისხმევით შეიქმნა მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლი "გარიგება ჴელმწიფის კარისა" და საისტორიო წყარო "გელათური ქორონიკონი".

გელათის მონასტერი (ინგლ. Gelati Monastery) – შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (ნახ. 1. საერთო ხედი; ნახ. 2. პანორამული ხედი). მდებარეობს იმერეთის მხარეში, ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით 11 კმ-ზე, მდინარე წყალწითელას ხეობაში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძარი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, სამრეკლო, აკადემია, გალავანი.



ნახ. 1

სიტყვა „გელათი“ დაკავშირებულია ბერძნულ სიტყვასთან „ღენიპი“ – ანუ „გენა“. რაც ნიშნავს შობას. აქედან გადმოვიდა ქართულში სახეცვლილებით – „გაენატოს“. გაენათი წამოსულია „გენა“-დან და პირდაპირ უკავშირდება ღვთისმშობლის შობას. ცნობილია, რომ ქუთათური მღვდელმთავარი ატარებს გაენათელის ტიტულს (დეკანოზი იოსებ გოგოლაძე).

მონასტერი დაარსებულია 1106 წელს საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის თაოსნობით. მანვე იმავე წელს დააარსა ქართული განათლების ცენტრი და ფილოსოფიური აზროვნების კერა – გელათის აკადემია (იხ. გელათის აკადემია). ცნობა ტაძრის აგების შესახებ შემორჩენილია დავით აღმაშენებლის ანდერძში. გელათის მონასტერი სამეფო სახლის საკუთრება და საძვალე იყო, ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა სამეფოს პოლიტიკურ ცენტრთან – ქუთაისთან. აქ დასაფლავებული არიან სრულიად საქართველოს მეფეები: დავით IV აღმაშენებელი, დემეტრე I (დ. 1093 - გ. 1156 წ.) და გიორგი III (დ. ? - გ. 1184 წ.); იმერეთის მეფეები: ბაგრატ III (დ. 1495 - გ. 1565 წ.), გიორგი II (დ. 1514 - გ. 1583 წ.), გიორგი III (დ. ? - გ. 1639 წ.), გიორგი VI (დ. - გ. 1720 წ.), ალექსანდრე V (დ. 1703/1704 - გ. 1752 წ.), სოლომონ I (დ. 1735 - გ. 1784 წ.) და სხვ. XII-XV საუკუნეებში გელათის მონასტერს მინიჭებული ჰქონდა სრული ავტონომია, აღიარებდა მხოლოდ მეფის უმაღლეს უფლებას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც კი არ ჰქონდა არავითარი სახელისუფლო ძალა (გარდა მღვდლების კურთხევისა). გელათის მონასტერში მეფეს ჰყავდა თავისი პირადი წარმომადგენელი. მონასტრის უფროსი მონაზვნები და მოძღვართმოძღვარი სამეფო დარბაზის წევრებად ითვლებოდნენ. XIII-XIV საუკუნეებში ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაკნინების გამო (მონღოლების, თემურლენგის შემოსევები, გამწვავებული შინაფეოდალური საადგილმამულო ბრძოლები) გელათის მონასტრის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება შეფერხდა. მისი ძველი მდგომარეობა ნაწილობრივ აღადგინა საქართველოს მეფემ (1299-1302; 1318-1346 წწ.) გიორგი ბრწყინვალემ. საქართველოს პოლიტიკური დაშლის (XV საუკუნის II ნახევარი) შემდეგ გელათის მონასტერი დასავლეთ საქართველოს მეფეების ხელში გადავიდა. 1510 წლის 23 ნოემბერს იგი გადაწვა იმერეთში შემოჭრილმა ოსმალთა ჯარმა.



ნახ. 2



ნახ. 3

იმერეთის მეფეებმა ბაგრატ III-მ და გიორგი II-მ გელათის მონასტერში დიდი მასშტაბის სამეურნეო და სამშენებლო სამუშაოები ჩაატარეს – კაპიტალურად შეაკეთეს და მოხატეს ტაძრები, განაახლეს გაუქმებული და მიტოვებული ეკლესია-ეკვდერები, შესწირეს მონასტერს ახალი მამულები. ბაგრატ III-ს თანამედროვენი გელათის "მეორედ აღმშენებელს" უწოდებდნენ. მას მხარში ედგნენ გელათის ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ევდემონ ჩხეტიძე. XVI საუკუნის 20-იან წლებში ბაგრატ III-მ გელათის მონასტერში საეპისკოპოსო კათედრა დააარსა, რამაც გარკვეულად აამაღლა მონასტრის პოლიტიკური-მორალური და ეკონომიური მდგომარეობა.

XVI საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს. XVIII საუკუნიდან გელათის მონასტერში დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები გასწიეს იმერეთის მეფეებმა გიორგი

VI-მ, ალექსანდრე V-მ, სოლომონ I-მა, სოლომონ II-მ და გელათის ეპისკოპოსებმა. რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810 წ.) შემდეგ გელათის მონასტერი საეკლესიო სენიორიიდან სახელმწიფო დაწესებულებად – გუბერნიის მონასტრად იქცა.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის თაოსნობით, გელათის მონასტერში დიდი შემოქმედებითი საქმიანობა გაჩაღდა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მამულიშვილები: არსენ იყალთოელი (1050-1127 წწ.), იოანე პეტრიწი (XI-XII სს.), არსენ ბულმაისიმისძე (XIII ს.), პეტრე გელათელი (XII ს.), ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578 წწ.), ექვთიმე საყვარელიძე (1578-1616 წწ.), გედეონ ლორთქიფანიძე (XVII ს.), ანტონ I (1720-1788 წწ.), ზაქარია გაბაშვილი (დაახლოებით 1705-1780 წწ.) და სხვა. გელათის მონასტერში ინახებოდა მდიდრულად მორთული და მინიატიურებით შემკული ქართული ხელნაწერები, რომელთა დიდი ფონდი აქ ძველთაგანვე არსებობდა, აგრეთვე ქართული ჭედური ხელოვნების ბევრი შესანიშნავი ნიმუში (მაგ. ხახულის ღვთისმშობლის ხატი).



ნახ. 4

ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა (ნახ. 3. მთავარი ტაძრის გეგმა) სიმაღლით 34 მ, ფართობით 1260 კვ. მ. თექვსმეტწახნაგა განიერი და მაღალი გუმბათი, მკლავებზე გარდამავალი თაღების მეშვეობით, დაყრდნობილია აღმოსავლეთის აფსიდების შვერილებსა და დასავლეთის პილონებზე. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრებითაა განხორციელებული. გუმბათის ყელში თანაბარი დაშორებებით 16 სარკმელია გაჭრილი, საიდანაც შუქი უხვად იჭრება ტაძრის შთამბეჭდავ შიდა სივრცეში. ცენტრალური სივრცის შემქმნელი ჯვრის მკლავები განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. აღმოსავლეთ მხარეს სამი წახნაგოვანი შვერილი აფსიდაა. შუა განიერ აფსიდში საკურთხევლია განთავსებული, რომელიც ღრმა ბემისა და ნახევარწრიული აფსიდისაგან შედგება. მარჯვნივ სადიაკვნეა, მარცხნივ – სამკვეთლო. ტაძრისათვის სხვადასხვა დროს მიუშენებიათ: დასავლეთ მხარეს – სტოა, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კი ეკვდერები. დასავლეთი მკლავის მეორე სართულზე ოროთახიანი პატრონიკეა მოწყობილი, რომელიც ნათდებოდა ორ-ორი სარკმლით და უკავშირდებოდა სტოას სამი კარით (ამჟამად ამოქოლილია). სამხრეთის მკლავზე მიშენებულია ეგვტერი და კარიბჭე. საერთოდ, სამხრეთი მინაშენის ფასადი გამოირჩევა თავისი საზეიმო იერითა და მორთულობებით. ჩრდილოეთი მკლავის მინაშენი ყველაზე რთული ნაწილია ტაძრისა, რადგან აქ ოთხი სამშენებლო ფენა შეინიშნება



ნახ. 5



ნახ. 6

გარედან ტაძარი მოპირკეთებულია ეკლარის თლილი ქვით. ფასადები დამუშავებულია რთული რიტმის დეკორატიული თაღედით და თითქმის სრულიად მოკლებულია ჩუქურთმებს. კედელ-კამარები ერთიანად დაფარულია სხვადასხვა დროის მონუმენტური მხატვრობის ნიმუშებით (ნახ. 4. გელათის ტაძრის ინტერიერი). საკურთხევლის კონქში XII საუკუნის, ბრწინვალედ შესრულებული, მსოფლიო მნიშვნელობის მოზაიკაა, რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და მთავაანგელოზები მიქელი და გაბრიელი (ნახ. 5. გელათის მოზაიკა). დასავლეთ სტოაში XII საუკუნის უნიკალური ფრესკაა. მასში გამოცემულია მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების ამსახველი სიუჟეტები, რომელიც უნიკალურია მსოფლიო სამხატვრო ხელოვნებაში. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე შემონახულია დავით აღმაშენებლის ერთადერთი ფრესკა (ნახ. 6. დავით აღმაშენებლის ფრესკა), რომელსაც ერთ ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს, ხოლო მეორეში – გრაგნილი. აქვეა იმერეთის სამეფო ოჯახის წევრების ფრესკები, ხოლო სამხრეთი ეკვდერის კედელზე – საქართველოს მეფის (1246-1259 წწ.) დავით ნარინის ორი პორტრეტი, რომელიც XIII საუკუნეშია შესრულებული. მოხატულობა რამდენჯერმეა განახლებული. არის ჭედურობისა და მინანქრული ხელოვნების ნიმუშები.



ნახ. 7

მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით, XII საუკუნის წმ. გიორგის სახელობის გუმბათიანი ეკლესიაა. გეგმითა და ფორმებით იგი მთავარ ტაძარს იმეორებს, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა (ნახ. 7. წმინდა გიორგის ეკლესია). დასავლეთის თაღის ქვეშ შესრულებული წარწერა გვაუწყებს, რომ ეკლესიის კედლები მოუხატვინებია დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსს ედემონ ჩხეტიძეს (XV ს.). მისი ფრესკა დასავლეთის კედელზეა იმერეთის მეფის ბაგრატ III-სა და მისი მეუღლის გვერდით. ტაძრის შესასვლელი მოჩარჩოებულია ლამაზი რელიეფური ორნამენტით. მხატვრობის ნაშთი შეინიშნება კარიბჭის სამხრეთ ნაწილში.



ნახ. 8

მთავარი ტაძრიდან 9 მ-ზე აღმართულია XIII–XIV საუკუნეების წმ. ნიკოლოზის სახელობის ორსართულიანი ეკლესია (ნახ. 8. წმინდა ნიკოლოზის ეკლესია). გეგმით მართკუთხა ქვედა სართული ოთხივე მხარეს თაღებითაა გახსნილი, ხოლო მეორე სართული ჯვარისებრი მოხაზულობის პატარა ეკლესიაა.

მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით სამსართულიანი სამრეკლოა, რომლის ქვედა ნაწილი, თაღებით გახსნილი ქვის ფანჩატური, წყაროზეა დაშენებული. მის თავზე პატარა სათავსია, ხოლო სულ ზემოთ – გუმბათიანი სამრეკლო (ნახ. 9. სამრეკლო). მათგან პირველი ორი სართული მონასტრის მშენებლობის დროინდელია, ხოლო მესამე სართული XIV საუკუნეშია დამატებული.



ნახ. 9

გელათის სამონასტრო კომპლექსში შედის აგრეთვე აკადემია, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. გალავნის

გასწვრივ განლაგებულია ბერების საცხოვრებელი, სატრაპეზო და სხვა დამხმარე სამეურნეო ნაგებობები.

გელათის მონასტრის გალავნის სამხრეთით, მთავარ შესასვლელში, დავით აღმაშენებლის საფლავია (ნახ. 10. საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის საფლავი).


ნახ. 10

გელათის მონასტრის ზღუდის გარეთ დაახლოებით 150 მ-ზე, მის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ-შემორჩენილია სოხასტერის მონასტრის (საყუდებულ ბერთა სამყოფელი) ეკლესიების, კოშკის ტიპის საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობათა ნანგრევები. მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით მაღალ კონცხზე წმ. საბას სახელობის დარბაზული ეკლესიის (X-XI სს.) ნანგრევებია. მის მახლობლად, გზის გაღმა, წმ. ილიას სახელობის ეკლესიაა. მოშორებით, მდინარე წყალწითელის ხეობაში, ე.წ. "დავითის კონცხზე", მტრის თავდასხმისაგან მონასტრის დამცველი დიდი მრგვალი კოშკის ნანგრევებია.

გელათის მონასტერი 1994 წლიდან შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

გელი (ლათ. gelare გაყინვა, გაქვავება) – ნახევრად მყარი კოლოიდურ-დისპერსიული სხეული, რომელიც ფორმირდება კოლოიდური ხსნარების კოაგულაციისას. აგრეთვე, შეიძლება წარმოიშვას გაჟღენთისას (მაგ., ჟელატინის გაჟღენთვისას წყალში, კაუჩუკის გაჟღენთვისას ბენზინში და სხვ.).

გემა (ლათ. gemma ძვირფასი ქვა, მარგალიტი, ფერადი თვალი) – ჩაღრმავებული (ინტალიო) ან ამობურცული (კამეო) რელიეფური ძვირფასი ქვა ზედ ამოკვეთილი წარწერით ან გამოსახულებით. ქვაზე კვეთა ცნობილი იყო უძველესი დროიდან ძველ რომში (ძვ. წ. VIII სუკუნიდან ახ. წ. V საუკუნემდე), ძველ საბერძნეთში (ძვ. წ. VI ს.) და შუამდინარეთში (ძვ. წ. IV ს.). შუა საუკუნეებში (ისტორიული პერიოდი ანკიკურსა და ახალ დროებას შორის – V-XVII სს.) გ. გამოიყენებოდა საეკლესიო ჭურჭლის, წიგნების დასამზადებლად, მღვდლების შესამოსად და სხვ. ანტიკურ პერიოდში გ. ატარებდნენ ტანსაცმლის შესაკარავად, ძვირფას ჩანჩოში ჩასმულ მედალიონებად, ბეჭდებად, ავგაროზებად. გ. დასამზადებლად გამოიყენებოდა სხვადასხვა მასალა. როგორც წესი, გემას ნაკეთობის ქვედა ფენაში ათავსებდნენ უფრო მუქი ფერის მასალას, რათა მის ფონზე კარგად გამოჩენილიყო ზედა ფენის გამჭვირვალე მოჩუქურთმებული ძვირფასი ქვა (სარდონიქსი, აქატი, გემატიტი, ძოწი, სარდიონი და სხვ.).

გემი – საცურაო-სატრანსპორტო საშუალება ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად. არსებობს გ. სხვადასხვა სახეები: აფრიანი, არათვითმავალი (ბარჟა), ატომური,

თვითმავალი, მშრალი ტვირთისათვის, საბუქსირო, საკრეისერო, სამგზავრო, სატვირთო, საპატრულო, სასწავლო, სავაჭრო, სატაკელაჟო, სამხედრო, წყალქვეშა, ხე-ტყის საზიდი და სხვ.

გემოლოგია (შუაინგლ. gemme<ძვ. ინგლ. gimm ძვირფასი ქვა, ძვირფასეულობა; თვალი<ლათ. gemma კვირტი, ძვირფასი ქვა, ძვირფასი თვალი და ლათ. -logia<ბერძ. lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ძვირფას ქვების წარმომავლობას, თვისებებს, სტრუქტურას, მოპოვებას, გამოყენების სფეროსა და ა.შ.

გემსართავი – ბაგირი, ტროსი, ფოლადის, სინთეზური ან მცენარის ბოჭკოსაგან დამზადებული თოკი, გვარლი, რაც გემზე გამოიყენება.

გენეზი (ბერძ. genesis ჩასახვა, წარმოშობა, განვითარება) – რთული სიტყვის ბოლო ნაწილი, რომელიც აღნიშნავს წარმოშობას, აღმოცენებას.

გენერალური დამპროექტებელი – საპროექტო ორგანიზაცია ან ფირმა, რომელიც პასუხისმგებელია საპროექტო და საძიებო სამუშაოების კომპლექსის შესრულებაზე დამკვეთთან ხელშეკრულების საფუძველზე.

გენერალური მოიჯარე – ორგანიზაცია, ფირმა, რომელიც საკუთარი რისკით, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, აწარმოებს კაპიტალურ მშენებლობას. საიჯარო კონტრაქტი, სამშენებლო სამუშაოებთან ერთად, ითვალისწინებს ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟსა და გამართვას.

გენერატორ-ძრავა – ელექტრული გენერატორი, რომელიც ბრუნავს ელექტრული ძრავისგან. გამოიყენება უპირატესად ცვლადი დენის გარდასაქმნელად მუდმივში და ცვლადი დენის სიხშირის შესაცვლელად.

გენერატორი (ლათ. generator წარმომშობი) – მოწყობილობა, აპარატი, მანქანა, რომელიც გამოიმუშავებს ელექტრულ ენერგიას ან გარდაქმნის ერთი სახის ენერგიას მეორე სახის ენერგიად, ან წარმოქმნის ელექტრულ, ელექტრო-მაგნიტურ, სინათლის და ბგერით სიგნალებს – რხევებს, იმპულსებს (მაგ., ორთქლის გენერატორი, აცეტილენის აირის გენერატორი და სხვ.). არსებობს გენერატორის სახეები: აირული, აირული აირტურბინული ძრავის, ამუშავების, არმსტრონგის, ასინქრონული, ბგერითი სიხშირის, გამზომი, გამოძახების, განივი ველის (აგზნების), გარე აგზნების, გაშლის, დარტყმითი, დინატრონული, დოკუმენტაციის, ელექტრონმილაკიანი, ელექტრონული, ელექტროსტატიკური, ვან დე გრააფის, თბური, თერმოელექტრული, თვითაგზნებადი, იმპულსურ ძაბვათა, იმპულსური, ინდუქტორული, ინდუქციური, კარბიდის, კვანტური, კვანტურ-ოპტიკური, კვარციანი, კლაპის, მაგნეტრონული, მაგნიტოდინამიკური, მაგნიტოსტრიქციული, მავალებელი, მართკუთხა იმპულსების, მარქსის, მთავარი, მოწესრიგებული აქტივობის, მუდმივი დენის, ორთქლის, პიეზოელექტრული, პირსის, რადიოიზოტოპული თერმოელექტრული, რადიოსიხშირული, რეაქტიული, რელაქსაციური, რკალიანი, რხევათა, საავტომობილო, საანგარიშო, სამუხტავი, საშემდუღებლო, სელექტორული იმპულსების, სინქრონული, სინქროსიგნალების, სტანდარტულ სიგნალთა, სტრობიმპულსების, ტაქტური იმპულსების, ტექსტის, ტონური, ტრანზიტრონული, უკუკავშირიანი, უნიპოლარული, ფაზაგამყოფი, შემთხვევით რიცხვთა, ცვლადი დენის,

ცრუშემთხვევით რიცხვთა, ძაბვის, წევის, წყალაირის, ხერხისებრ რხევათა, ჰარტლის, ჰარტმანის და სხვ.

გენერატორი გამზომი – ელექტრომაგნიტური სიგნალის გენერატორი რადიოელექტრონული მოწყობილობების შემოწმებისა და აწყობისათვის.

გენერატორი დოკუმენტაციის – პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის ავტომატურ ამოღებას საწყისი კოდიდან ან შემსრულებელი მოდულიდან.

გენერატორი ელექტრული – მოწყობილობა სხვადასხვა სახის ენერგიის (მექანიკური, ქიმიური, სითბური, სინათლის) ელექტრულად გარდასაქმნელად. თითქმის მთელი ენერგია, რომელიც გამოიყენება სახალხო მეურნეობაში, მიიღება მექანიკური ენერგიის გარდაქმნის შედეგად. ქიმიური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულად გალვანური ელემენტებით, სითბური უშუალოდ ელექტრულად – თერმობატარეებში და მაგნიტოჰიდროდინამიკურ გენერატორებში, სინათლის ენერგია – ფოტოელემენტებში.

გენერატორი კვანტური – საერთო დასახელება ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროებისა, რომლებიც მუშაობენ ატომებისა და მოლეკულების იძულებით გამოსხივებაზე (ამ პრინციპის თეორია დაამუშავა ა. ეინშტეინმა). გამოსხივებული ტალღის სიგრძეზე დამოკიდებულებით, კვანტური გენერატორის სახელებია: მაზერი (მიკროტალღური დიაპაზონი), ლაზერი (ოპტიკური დიაპაზონი), რაზერი (რენტგენული დიაპაზონი) და გაზერი (გამა-დიაპაზონი).

გენერატორი მუდმივი დენის – ელექტრული მანქანა, რომელიც მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის მუდმივი დენის ელექტროენერგიად. გამოიყენება საქალაქო ელექტროტრანსპორტზე (ტრამვაი, ტროლეიბუსი, სარკინიგზო ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, საყოფაცხოვრებო ტექნიკაში და სხვ.

გენერატორი ორთქლის – თბოცვლადი აპარატი ატმოსფერულზე მაღალწნევიანი წყლის ორთქლის მისაღებად პირველადი თბომატარებლის ხარჯზე, რომელიც მიეწოდება აპარატს ბირთვული რეაქტორიდან.

გენერატორი საავტომობილო – მოწყობილობა, რომელიც მანქანის ძრავის მუხლა ლილვის ბრუნვით მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად. გამოიყენება ავტომობილის ელექტრომოხმარების ნაწილების (ანთების სისტემა, შუქტექნიკა, საბორტო კომპიუტერი, დიაგნოსტიკის სისტემა, აკუმულატორი და სხვ.) მკვებავად.

გენერატორი ცვლადი დენის – ელექტრული მანქანა, რომელიც მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის ცვლადი დენის ელექტროენერგიად. გამოიყენება ჰიდროელექტროსადგურების ტურბინებში, ჰიბრიდულ და შიგაწვის ძრავიან ავტომობილებში, თბომავლებში, სამშენებლო მანქანებში, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და სხვ.

გენერატორი ჰარტმანის (დანიელი მეცნიერის ი. ჰარტმანის სახელის მიხედვით) – აკუსტიკური რხევების აირჭავლური გამომსხივებელი. შედგება საქშენისაგან, რომლისგანაც ზებგერითი სიჩქარით გამოიტყორცნება აირი და დამრეცი რეზონატორისაგან, რომელიც მოთავსებულია ამ აირის ნაკადში. ნაკადში წარმოიქმნება შემკვრივებისა და გაუხშოების პერიოდული რხევები, რომლებთანაც ურთიერთქმედებით რეზონატორი ასხივებს აკუსტიკურ რხევებს.

გენკანი [შუაჩინური ენა hwen-kwæn ბუდისტურ ცოდნაში შესვლა (მეტაფორულად "წინა კარი"] – იაპონიაში სახლის წინკარში გამოყოფილი ადგილი, სადაც შემსვლელნი ფეხსაცმელს იხდიან და ალაგებენ.

გეო (ბერძ. gê დედამიწა) – რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი, აღნიშნავს მიწასთან, დედამიწასთან კავშირს.

გეოაკუსტიკა (ბერძ. gê დედამიწა და akoustikós სმენასთან დაკავშირებული) – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ქერქში ტალღების გავრცელებას.

გეობადეები – რულონური მასალები უჯრედოვანი სტრუქტურით, რომლის ელემენტები (მაღალი სიმტკიცის თოკი ან თოკის ძნული) დაკავშირებულია ერთმანეთთან გადახლართვით ან დაწნეხით. არსებობს კომპოზიციური გ. დამზადებული არაქსოვილური მასალებისაგან (პოლიმერული ძაფი ან ლენტი), რომლებსაც ახასიათებთ მაღალი სიმტკიცე და მცირე დეფორმადობა. გამოიყენება სუსტი გრუნტების, ავტოგზების (ნახ. 1), რკინიგზის ვაკისების, აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლების დასაარმირემლად, აგრეთვე სამშენებლო კონსტრუქციებისა და ჰიდრონაგებობების განმტკიცებისათვის, ნავთობისა და გაზის მილსადენების საიზოლაციო შრის დაარმირებისათვის და სხვ.



გეობოტანიკა (ბერძ. gê დედამიწა და botanikós მცენარესთან დაკავშირებული<botánē მცენარე, საძოვარი, საქონლის საკვები<bóskein გამოკვება) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის მცენარეულ საფარს.

გეოგრაფია (ბერძ. gê დედამიწა და gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთიანი კომპლექსი, რომელიც შეისწავლის დედამიწის გეოგრაფიული გარსის განვითარების კანონზომიერებებს, სტრუქტურას, ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემათა ფუნქციონირებასა და ურთიერთკავშირს, რომელიც ამუშავებს რაციონალურ ბუნებათსარგებლობის პრინციპებს, საზოგადოების ოპტიმალურ ტერიტორიულ ორგანიზაციასა და ეკოლოგიურად მდგრადი ცხოველმოქმედი გარემოს ფორმირებას. შეისწავლის დედამიწაზე არსებული ობიექტებისა და სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცით-დროით ასპექტებს. გეოგრაფიული კვლევის მნიშვნელოვანი ობიექტია ადამიანის და ბუნების ურთიერთგავლენა, გეოგრაფიული გარემოს კომპონენტების განაწილებისა და ურთიერგავლენის კანონები ლოკალურ, რეგიონულ, ეროვნულ, კონტინენტურ, ოკეანურ და გლობალურ დონეებზე. გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების შესწავლის ზოგადი ობიექტია გეოგრაფიული გარსი, ანუ ლანდშაფტური გარსი, რომელშიც შედის: ლითოსფერო, ჰიდროსფერო, ატმოსფერო და ბიოსფერო. გეოგრაფიული გარსის განვითარება იცვლება დროსა და სივრცეში. გეოგრაფიაში გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება: ფიზიკური გეოგრაფია და საზოგადოებრივი გეოგრაფია. ფიზიკური გეოგრაფია შეისწავლის დედამიწის ზედაპირის ბუნებას, არკვევს ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების მიზეზებსა და მათი განვითარების კანონზომიერებებს; საზოგადოებრივი გეოგრაფია გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემის

ნაწილია, რომელიც შეისწავლის დედამიწაზე არსებული ანთროპოგენული ობიექტებისა და სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცით-დროით ასპექტებს. მისი შესწავლის ზოგად ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი საზოგადოებრივი მოვლენა, პროცესი და სისტემა, რომელსაც გააჩნია ან შეიძლება პოტენციურად გააჩნდეს სივრცითი სტრუქტურა. ფიზიკური გეოგრაფიის დარგებია: ბიოგეოგრაფია, გეომორფოლოგია, გესპელეოლოგია, გლაციოლოგია, კარტოგრაფია, კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, პალეოგეოგრაფია, ნიადაგების გეოგრაფია, ტოპოგრაფია, ფიტოგეოგრაფია, გეოინფორმაციული სისტემა. საზოგადოებრივი გეოგრაფია მოიცავს დარგებს, როგორებიცაა: ეკონომიკური გეოგრაფია, პოლიტიკური გეოგრაფია, კულტურული გეოგრაფია, სოციალური გეოგრაფია და ისტორიული გეოგრაფია, ხოლო მეცნიერებათაშორის გეოგრაფიულ დისციპლინებში შედის: ისტორიული გეოგრაფია, ეთნოგეოგრაფია, ანთროპოგეოგრაფია, ლინგვისტური, ისტორიული, სამედიცინო, ვეტერინარული, სამხედრო, რეკრეაციული და მრეწველობის გეოგრაფიები.

გეოგრაფიული ატლასი – წიგნივით აკინძული ან ერთად თავმოყრილი რუკების სისტემატური კრებული, რომელსაც თან ერთვის განმარტებითი ტექსტი.

გეოგრაფიული გარემო – ადამიანთა საზოგადოების გარემომცველი დედამიწის ბუნებრივი გარემოს (გეოგრაფიული გარსი) ის ნაწილი, რომელიც გარდაქმნილია ადამიანის მიერ და რომელთანაც საზოგადოება უშუალოდაა დაკავშირებული თავისი შრომითი საქმიანობით.

გეოგრაფიული კოორდინატები – სიმაღლე, გრძედი და განედი, რომლებიც განსაზღვრავენ წერტილის (პუნქტის) მდებარეობას დედამიწის ზედაპირზე.

გეოგრაფიული ობიექტი – ბუნებრივი თუ ანთროპოგენური წარმოშობის უძრავი ქონების ერთეული, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობების საგანია.

გეოგრაფიული პოლუსები (ჩრდილოეთი და სამხრეთი) – დედამიწის ბრუნვის წარმოსახვითი ღერძის მიერ დედამიწის ზედაპირის გადაკვეთის მათემატიკური წერტილები. გეოგრაფიულ პოლუსებში თავს იყრის ყველა მერიდიანი. იქ არ არის გეოგრაფიული გრძედი, ჩვეულებრივი ჰორიზონტის მხარეები, დღე-ღამის მონაცვლეობა, რადგან თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში მზე არ ჩადის და არ ამოდის. გეოგრაფიული პოლუსები უმოძრაოდ არ არიან დედამიწის ზედაპირის მიმართ, ისინი ნელა გადადგილდებიან დღეღამური ბრუნვის მიმართულებით და შემოხაზავენ სპირალისებურ მრუდს. ჩრდილოეთ პოლუსი ყინულით დაფარულ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეზეა. მას პირველად მიაღწია ამერიკელმა მკვლევარმა რობერტ პირიმ (1909 წლის 6 აპრილი). სამხრეთ პოლუსი ანტარქტიდაზეა, წყნარი ოკეანის სანაპიროს მახლობლად. მას პირველმა მიაღწია ნორვეგიელმა მკვლევარმა რ. ამუნდსენმა (1911 წლის 14 დეკემბერი).

გეოგრაფიული რუკა – დედამიწის ზედაპირის ან მისი ნაწილის შემცირებული და განზოგადებული გამოსახულება სიბრტყეზე (ქაღალდზე, ეკრანზე, მონიტორზე და სხვ.). რუკაზე გეოგრაფიული ობიექტების შემცირების ხარისხს გვიჩვენებს მასშტაბი.

გეოდეზია (ბერძ. gê დედამიწა და daizō ნაწილებად დაყოფა) – საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებათა დარგი, რომელიც დედამიწის გეომეტრიული ელემენტების ასტრონომიულ-გეოდეზიური, გრავიმეტრიული და წმინდა ასტრონომიული გაზომვებისა

და დაკვირვებების, განაზომთა მათემატიკური დამუშავებისა და გამონათვალთა გრაფიკული გამოხაზვის (გეგმები, რუკები, პროფილები) საშუალებით შეისწავლის დედამიწის ნამდვილ სახესა და ოდენობას დროთა ვითარებაში მათი ცვალებადობის გათვალისწინებით; განსაზღვრავს დედამიწის ტოპოგრაფიულ ელემენტთა სივრცულ განლაგებასა და ზომას; გეომეტრიულად სწორი გადაწყვეტის თვალსაზრისით ამოხსნის სახალხო მეურნეობისა და სამხედრო საქმის ისეთ ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია საინჟინრო ნაგებობათა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა კვლევა-ძიება-ტრასირებასთან, დაპროექტებასთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციასა და სამხედრო სტრატეგიასთან. დედამიწის ხილული ზედაპირი ურთულესი სახისაა და მუდამ იცვლება. მისი რელიეფის გამოსახვა მათემატიკური ფორმულებით შეუძლებელია, დედამიწის ხილული ზედაპირის წერტილთა კოორდინატების უშუალოდ ამ ზედაპირზე განსაზღვრა – მიუღწეველი. გეოდეზია ძირითადად წყვეტს სამ ამოცანას: დედამიწიდან გამოყოფს მთავარ ნაწილს – მშვიდ ზედაპირს, რომელიც ზედმიწევნით გამოსახავს დედამიწის საერთო სახეს; საერთო სახის ზედაპირს იყენებს დედამიწის ხილულ ზედაპირზე მიღებულ განაზომთა რედუცირებისა და მათემატიკური დამუშავებისათვის (განისაზღვრება ყოველი წერტილის ორ-ორი კოორდინატი); იგივე ზედაპირს გამოიყენებს წერტილთა სიმაღლეების ათვლისათვის, როგორც გამოსავალს წერტილთა მესამე კოორდინატის დასადგენად.

გეოდეზია კოსმოსური – კოსმოსის ეპოქაში ჩამოყალიბებული სამეცნიერო დარგი, რომელსაც დასაბამი მიეცა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების დღიდან (1957 წლის 4 ოქტომბერი). გ. კ. საკუთარი პროგრამის შესაბამისად, დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა საშუალებით მოპოვებული მასალების გეოდეზიური თვალთახედვით დამუშავების საფუძველზე იკვლევს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: დაკვირვების ადგილების გეოცენტრული კოორდინატების განსაზღვრის საფუძვლეზე დედამიწის ფორმისა და ზომის დადგენა; კონტინენტების გეოდეზიური ურთიერთდაკავშირება; მზის დაბნელებისა და მთვარის მიერ ვარსკვლავების დაფარვის მასალების გეოდეზიური თვალთახედვით დამუშავება და სხვ.

გეოდეზია საინჟინრო – გეოდეზიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ინსტრუმენტებსა და გაზომვის მეთოდებს, გამოყენებულს საინჟინრო ნაგებობების მშენებლობაში. მასში შედის: ტერიტორიის დაკვალვა, ობიექტის დაკვალვის ბადე, შენობის მიბმა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური გეგმარება, ნიველირება, კონსტრუქციების საპროექტო მდგომარეობის შემოწმება, დეფორმაციების დაფიქსირება და ა.შ.

გეოდეზიური დაკვალვა – სამშენებლო მოედნის დაყოფა კვადრატებად ან მართკუთხედებად. ხორციელდება სამშენებლო მოედნის გეოდეზიური გეგმის მიხედვით და დგება იმავე მასშტაბში, რომელშიც სამშენებლო გენერალური გეგმაა შესრულებული. დაკვალვის გეგმაში მოცემულია მიბმის სახელმწიფო ქსელი და კონკრეტულად განსახილველი ობიექტის მიბმა არსებულ შენობასთან ან ნაგებობასთან. გეოდეზიური გეგმის შესაბამისად, განისაზღვრება ნაგებობის მდებარეობა ადგილზე და ხდება ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიბმა. გ. დ. სამშენებლო ობიექტის მდებარეობის განსაზღვრისათვის კეთდება სამშენებლო ბადე და წითელი ხაზები (ან გაშენების სარეგულირებელი სხვა ხაზები). ბადის ძირითადი ფიგურის გვერდის ზომა შეიძლება იყოს 20-200 მ. სამშენებლო ბადის გაფორმებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგი პირობები: 1) ძირითადი შენობები და ნაგებობები მოქცეული უნდა იყოს ბადის შიგნით; 2) ბადის ხაზები უნდა გადიოდეს ასაშენებელი

ობიექტის ძირითადი ღერძების პარალელურად და რაც შეიძლება მათთან ახლოს; 3) დაძლეული უნდა იქნეს ყველა წინააღმდეგობა, რომელიც ხელის შემშლელია ხაზოვანი გაზომვებისათვის.

გეოდეზიური მიბმა – ტერიტორიაზე დამაგრებული წერტილების, შენობა-ნაგებობების და მათი ელემენტების მდებარეობის განსაზღვრა მიღებულ კოორდინატთა სისტემაში. მშენებლობის დაწყებისათვის (მიწის და სხვა სამშენებლო სამუშაოები) აუცილებელია მოხდეს ტერიტორიის დაკვალვა, რომელიც ითვალისწინებს: 1) საყრდენი გეოდეზიური ქსელის შექმნას, სამშენებლო მოედნის დაყოფას კვადრატებად წვეროების დამაგრებით (რეპერების მეშვეობით) და ტერიტორიის სამოწმებელ ნიველირებას; 2) შენობებისა და ნაგებობების დაკვალვას ადგილზე, შენობის მიბმას საყრდენ გეოდეზიურ ქსელთან ან არსებულ მეზობელ შენობასთან; 3) შენობის ირგვლივ შემოვლების (ფიცრის დროებითი ზოლი) მოწყობას, ღერძების დამაგრებას. აუცილებელი გეოდეზიური სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენება ხელსაწყოები: ნიველირი, თეოდოლიტი, ელექტრული ტახომეტრი, ზენიტ-ხელსაწყო და ლაზერული ამგები.

გეოდეზიური ნიშანი – ხის, ლითონის ან რკინაბეტონის ნაგებობა გეოდეზური პუნქტის ცენტრზე, რომელიც ემსახურება ობიექტის დამიზნებას და ინსტრუმენტის დაყენებას მიწის ზევით კუთხურ და ხაზოვან განზომილებაში. არსებობს შემდეგი სახის: პირამიდა (ინსტრუმენტი ყენდება მიწაზე), ტური (მთაში), მარტივი ნიშანი (ინსტრუმენტი ყენდება 12 მ-მდე სიმაღლეზე) და რთული ნიშანი (12 მ-ზე ზევით).

გეოდეზიური რეფრაქტომეტრი – ხელსაწყო, გამოყენებული გეოდეზიურ გაზომვებში.

გეოდეზიური საკონტროლო-საზომი აპარატურა – გეოდეზიური ხელსაწყოებისა და მოწყობილობების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება შენობის, ნაგებობის, მიწის ზედაპირისა და სამთო ქანების დეფორმაციებზე ნატურული გეოდეზიური დაკვირვებისათვის.

გეოდეზიური სამუშაოები – ხაზოვანი, კუთხური, მაღლივი გაზომვები და ნახაზების აგება, რომლებიც წარმოადგენს მშენებლობაში საწარმოო პროცესების განუყოფელ ნაწილს და შეიცავს გეოდეზიური დაკვალვის საფუძვლებს მშენებლობისათვის; გეოდეზიური კონტროლი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების გეომეტრიულ სიზუსტის დასადგენად და გეოდეზიური დაკვირვება მშენებარე შენობა-ნაგებობების დეფორმაციებზე.

გეოდეზიური სიგრძის საზომი – ხაზის სიგრძის გასაზომი გეოდეზიური ოპტიკური ხელსაწყო. არსებობს სხივური, ლაზერული, ბგერითი და სხვ. გამოიყენება სამშენებლო საქმეში, აერონავიგაციაში, ფოტოხელოვნებაში, სამხედრო ტექნიკასა (სნაიპერულ შაშხანებში, ბომბდამშენ სისტემებში) და ა.შ.

გეოდეზიური სიმაღლის საზომი (ალტიმეტრი) – გეოდეზიური ხელსაწყო სიმაღლის ან გადამეტების განსაზღვრისათვის. იყენებენ მშენებლები, გეოლოგები, ალპინისტები, მფრინავები, მეცნიერები და სხვ. მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია სიმაღლის მატების შესაბამისად, ჰაერის წნევის დაცემაზე, რაც აისახება ბარომეტრის დანაყოფებიან სკალაზე.

გეოდეზიური სიმრუდე – სიმრუდის ვექტორის გეგმილი მხებ სიბრტყეზე, ანუ ზედაპირზე წირის გეოდეზიური სიმრუდე ტოლია მხებ სიბრტყეზე წირის გეგმილის სიმრუდისა. ზედაპირის გაღუნვის დროს წირის გეოდეზიური სიმრუდე არ იცვლება.

გეოდეზიური ქსელი სპეციალური დანიშნულების – საყრდენი გეოდეზიური ქსელის სახესხვაობა, რომელშიც ადგილზე გეომეტრიული პუნქტების მდებარეობის და დამაგრების პირობების განსაზღვრის სიმკვრივე და სიზუსტე დგინდება საინჟინრო ძიების პროგრამით, მშენებლობის კონკრეტული ობიექტის გაანგარიშების საფუძველზე.

გეოდეზიური ცენტრირი – გეოდეზიური ხელსაწყო, გამოყენებული წერტილების შვეული დაპროექტებისათვის ერთი ზედაპირიდან მეორეზე.

გეოდეზიური წირი – ზედაპირზე მდებარე წირი, რომლის ყოველ წერტილში გეოდეზიური სიმრუდე უდრის ნულს, ანუ ეს არის ზედაპირზე წირი, რომლის საკმაოდ მცირე რკალები წარმოადგენს მათ ბოლოებს შორის უმოკლეს გზას ამ ზედაპირზე. ასეთი წირებია: სიბრტყეზე – წრფე, წრიულ ცილინდრზე – ხრახნწირი, სფეროზე – დიდი წრეწირი. გ. წ. ის თვისება აქვს, რომ მისი მთავარი ნორმალი წარმოადგენს ზედაპირის მთავარ ნორმალს.გ. წ. პირველად გვხვდება იოჰან ბერნულისა და ეილერის შრომებში.

გეოდინამიკა (ბერძ. gê დედამიწა და dýnamis ძალა) – გეოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ენდოგენური პროცესების შესწავლას, რომლებიც წარმოიშობა დედამიწის პლანეტარული ევოლუციის შედეგად. ამისათვის იგი კომპლექსურად იყენებს კვლევის გეოლოგიურ, გეოფიზიკურ და გეოქიმიურ მეთოდებს. გეოდინამიკა მჭიდროდაა დაკავშირებული გეოფიზიკასთან, გეოქიმიასთან, პეტროლოგიასთან, ტექტონიკასთან. იგი ემყარება საერთო ფიზიკისა და ქიმიის კანონებს. ფართოდ იყენებს ასევე პლანეტოლოგიურ ცნობებს.გ. იკვლევს ლითოსფეროს ფილების მოძრაობის მექანიზმს, რის საფუძველზე სწავლობს დინამიკურ პირობებს.

გეოდინამიკა ზოგადი – გეოდინამიკა, რომელიც სწავლობს დედამიწის შიდა გარსებს.

გეოდინამიკა ისტორიული – გეოდინამიკა, რომელიც შეისწავლის გეოლოგიურ წარსულის გეოდიმანიკურ გარემოებსა და მისი აღდგენის პროცესებს.

გეოდინამიკა კერძო – გეოდინამიკა, რომელიც შეისწავლის დედამიწის გარეგან გარსებს.

გეოდინამიკა რეგიონული – გეოდინამიკა, რომელიც ლითოსფეროს ფილებს დედამიწის ზედაპირის კონკრეტულ ტერიტორიებზე.

გეოთერმია (ბერძ. gê დედამიწა და thérmē სითბო, სიცხე) – გეოფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქში და მთლიანად დედამიწაში მიმდინარე თბურ პროცესებს.

გეოთერმული გრადიენტი – სამთო ქანების ტემპერატურის მატება მუდმივი ტემპერატურის ზონიდან ყოველ 100 მ ჩაღრმავებაზე; საშუალოდ მიიღება 3°C.

გეოთერმული ელექტროსადგური – ნაგებობათა და მოწყობილობათა კომპლექსი, რომელთა მეშვეობითაც დედამიწის ცხელი წყაროების თბური ენერგია გამოიყენება ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად და თბომომარაგებისათვის. გეოთერმული წყლების ტემპერატურა შეიძლება აღწევდეს 200°C და მეტს.გ. ე. შედის: ნაბურღი ჭაბურღილები, რომლებსაც ზედაპირზე გამოაქვთ წყლის ორთქლი ან გადახურებული ორთქლი; აიროვანი და ქიმიური გაწმენდის მოწყობილობები; ელექტროენერგეტიკული დანადგარები; ტექნიკური წყალმომარაგების სისტემა და ა.შ. გ. ე. შედარებით იაფი და მარტივი მოსაწყობია, მაგრამ

მიღებულ ორთქლს აქვს დაბალი პარამეტრები, რაც აქვეითებს ეკონომიურობას.გ. ე. აგება გამართლებულია იქ, სადაც თერმული წყლები ახლოსაა დედამიწის ზედაპირთან.

გეოიდი (ბერძ. geoeidḗs დედამიწისმაგვარი<<gê დედამიწა და -oeidēs მსგავსი, მსგავსება, ფორმა<eîdos სახე, ფორმა) – დედამიწის საერთო სახის გამომხატველი წარმოდგენითი ფიგურა, რომელიც წარმოიქმნება, თუ მშვიდ მდგომარეობაში მყოფი მსოფლიო ოკეანისა და მასთან დაკავშირებული ზღვების საშუალო დონის მქონე ზედაპირს ხმელეთის ქვეშ ისე გავაგრძელებთ, რომ ამ ზედაპირის ყოველ წერტილში შვეულ ნორმალს წარმოადგენდეს.გ. ზედაპირი ხასიათდება მთლიანობით, ამობურცულობითა და ჰორიზონტალურობით (ნახ. 1). გ. ზედაპირს ადგენენ მიახლოებით, დედამიწის აგებულების შესახებ არსებული წარმოდგენების გათვალისწინებით და იყენებენ როგორც დამხმარე ზედაპირს დედამიწის ფიზიკურ ზედაპირზე მიღებულ განაზომთა რეფერენც-ელიფსოიდის ზედაპირზე რედუცირებისათვის და ორთომეტრიული სიმაღლეების ასათვლელად. თითოეული სახელმწიფო გ. ზედაპირად იღებს მისი ტერიტორიისათვის გამოსადეგ დონებრივ ზედაპირს.



გეოკარკასი (ბერძ. gê დედამიწა და ფრანგ. carcasse ჩონჩხი) – გეოგისოსის ნაირსახეობა, რომელიც ჭადრაკულად ერთმანეთთან შედუღებული ბადეა არაქსოვილური ლენტებისაგან (ნახ. 1). გამოიყენება ფერდოებისა და გზაგამტარების კონუსების ეროზიასაწინააღმდეგო დაცვისათვის, აგრეთვე საყრდენი კედლების მოწყობისა და სუსტი ფუძეების დაარმატურებისათვის.



გეოკრიოლოგია (ბერძ. gē დედამიწა, kryos სიცივე და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – გეოლოგიურ მეცნიერებათა დარგი მზრალი ქანების (ნიადაგის, გრუნტის) შესახებ. შეისწავლის დედამიწის ქერქში დამზრალი შრეების წარმოქმნას, განვითარებასა და არსებობის პირობებს; მზრალი ან გაყინვისა და ლღობის პროცესში მყოფი ქანების აგებულებას, შედგენილობას, თვისებებს და მათთან დაკავშირებულ გეოფიზიკურ, გეოლოგიურ, გეომორფოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ მოვლენებს.

გეოლოგია (ბერძ. gê დედამიწა და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის ქერქის შემადგენლობას, აგებულებასა და ისტორიას. გეოლოგიის სახეებია: გამოყენებითი, გეოკრიოლოგია, გეოფიზიკა, გეოქიმია, დინამიკური, ვულკანოლოგია, ზოგადი, თეორიული, ისტორიული, მაღაროს, ნავთობის, პალეონტოლოგია, რეგიონული, საველე, საინჟინრო, სასარგებლო წიაღისეულის, საშახტო, სეისმოლოგია, სტრატიგრაფია, ტექტონიკური, ფიზიკური, ჰიდროგეოლოგია და სხვ.

გეოლოგია საინჟინრო – გეოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ქერქის ზედა ჰორიზონტებსა და მათ დინამიკას საინჟინრო-სამშენებლო საქმეში გამოყენების თვალსაზრისით. გ. ს. ქანების შედგენილობას, სტრუქტურას, ტექსტურასა და სხვა თვისებებს განიხილავს გრუნტის თვალსაზრისით, შეიმუშავებს ნაგებობისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედების შედეგად განვითარებული პროცესებისა და მოვლენების პროგნოზს და მათი მავნე გავლენის თავიდან აცილების მეთოდებს.

გეოლოგიური გარემო – ლითოსფეროს ზედა ნაწილი, რომელიც არის მრავალკომპონენტიანი დინამიკური სისტემა (სამთო ქანები, მიწისქვეშა წყლები, აირები, ფიზიკური ველები – გრავიტაციული, ელექტრომაგნიტური და სხვ.) და რომელთა საზღვრებშიც ხორციელდება საინჟინრო-სამეურნეო (მათ შორის საინჟინრო-სამშენებლო) მოქმედება.

გეოლოგიური მარაგი – მიწის წიაღში განლაგებული საბადოს ან მისი ნაწილის საერთო მარაგი.

გეოლოგიური რუკა – რუკა დედამიწის ქერქის რომელიმე უბნის გეოლოგიური აგებულების გამოსახულებით (სამთო ქანების, მათი ასაკის, სიღრმეზე განლაგების და ა.შ.). გეოლოგიური რუკები იყოფა წვრილ (1:500 000 და უფრო წვრილი), საშუალო (1:100 000, 1:200 000), მსხვილმასშტაბიან (1:50 000 და უფრო მსხვილი) და დეტალურ (1:10 000 და უფრო მსხვილი) რუკებად.

გეოლოგიური სახიფათო მოვლენები – მეწყერების, ღვარცოფების (სელური ნაკადი), კარსტული მოვლენების შედეგად მიწის ზედაპირის ჩავარდნა, აბრაზია, ეროზია, ქვათა ცვენა (ქვების ნაკადი).

გეომატი (ინგლ. geomat გეოსინთეზური მასალა) – მოცულობითი რულონური წყალგამტარი სტრუქტურები (რეგულარულად ან ქაოტურად განლაგებული ბოჭკოები, კონსტრუქციები ზოლებისაგან ფიჭას სახით და სხვ.), დამზადებული სინთეზური ან ბუნებრივი ელემენტებისაგან და შეერთებული ერთმანეთთან თერმული, მექანიკური ან სხვა ხერხით. გამოიყენება მდგრადი მცენარეული საფარის მოსაწყობად წყალსაცავების ფერდოებზე, მდინარეებისა და გზების ნაპირებზე (ნახ. 1), დრენაჟების გასაუმჯობესებლად, შენობის ფუძეების გაძლიერებისათვის და სხვ.



გეომემბრანა (ბერძ. gê დედამიწა და ლათ. mĕmbrāne თხელი კანი, გარსი, აპკი) – რულონური მასალა პოლიმერის ან ბიტუმისაგან დაბალი წყალშეღწევადობით (ნახ. 1). გამოიყენება ორთქლ-, ჰიდრო- და აირსაიზოლაციოდ მიწისქვეშა სამშენებლო კონსტრუქციებისათვის, ფილტრაციის საწინააღმდეგო ეკრანების მოსაწყობად და სხვ.



ნახ. 1

გეომეტრია (ბერძ. gê დედამიწა და métron გაზომვა) – მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სხეულთა ფორმის სიდიდესა და მდებარეობას სიბრტყეზე ან სივრცეში. პირობითად გეომეტრიაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ქვედარგები: ელემენტარული გეომეტრია – წერტილების, წრფეებისა და სიბრტყეების, ასევე სიბრტყეებზე ფიგურებისა და სივრცეში სხეულთა გეომეტრია. მოიცავს პლანიმეტრიასა და სტერეომეტრიას; ანალიზური გეომეტრიაა – კოორდინატული მეთოდის გეომეტრია. შეისწავლის წრფეებს, ფიგურებსა და გარდაქმნებს, რომლებიც მოცემულია ალგებრული ტოლობებით აფინურ ან დეკარტის კოორდინატებში, და მისთ.; დიფერენციალური გეომეტრია – შეისწავლის დიფერენციალური ფუნქციებით მოცემულ წრფეებსა და ზედაპირებს; ტოპოლოგია – ზოგად ფორმებში უწყვეტობის მცნებათა შემსწავლელი მეცნიერება. გეომეტრიის სამშობლოდ ითვლება ძველი ბაბილონი და ეგვიპტე, ხოლო შემდეგ მის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა საბერძნეთმა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ: პითაგორა, ჰიპოკრატე ქიოსელი, ევკლიდე, არქიმედე, ერასტოსთენე და სხვ. XVII საუკუნიდან იწყება ანალიტიკური და არაევკლიდური გეომეტრიის განვითარება და ევროპული მათემატიკური სკოლის აღზევება (ეილერი, პასკალი, მონჟი, დეკარტი, ფერმა, დეზარგი, ლობაჩევსკი, ბოია და სხვ.). არსებობს გეომეტრიის სახეები: ალგებრული, ანალიზური, არაევკლიდური, აფინური, დაწყებითი, დიფერენციალური, ევკლიდეს, ლობაჩევსკის, მრავალგანზომილებიანი, მეტრული, მხაზველობითი, ნატურალური, პლანიმეტრია, სამთო, საპროექტო, სტერეომეტრია, სფერული, ტოპოლოგია, უმაღლესი და სხვ.

გეომეტრიული აჟური – 1. კარის, ფანჯრის, მაგიდის ფეხის, აივნის ან კიბის მოაჯირის და მისთ. აჟურული დეკორის ტიპი (ნახ. 1); 2. ქსოვილური ორნამენტის ტიპი (ნახ. 2).





გეომეტრიული ოპტიკა – ოპტიკის ნაწილი, რომელიც განიხილავს სინათლის გავრცელების კანონებს გამჭვირვალე გარემოში სხივური სინათლის ენერგიის წარმოდგენების საფუძველზე. იგი მართებულია იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია სინათლის

დიფრაქციის უგულებელყოფა. გ. ო. კანონებს იყენებენ მიკროსკოპების, ტელესკოპების, სპექტრალური ხელსაწყოების, საპროექციო მოწყობილობების, ფოტო- და კინოკამერებისა და სხვ. ოპტიკური სისტემების გაანგარიშებისას.

გეომექანიკა (მთის ქანების მექანიკა) (ბერძ. gê დედამიწა და mechane მანქანა, იარაღი) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მთის ქანების ფიზიკურ-მექანიკურ კანონებს, დაძაბულ მდგომარეობას, დეფორმაციებსა და რღვევის პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს ბუნებრივი ან ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენით.

გეომორფოლოგია (ბერძ. gê დედამიწა, morphé ფორმა და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – მეცნიერება ხმელეთის რელიეფის, ოკეანეებისა და ზღვების ფსკერის შესახებ (სახე, წარმოშობა, ასაკი, განვითარების ისტორია). გამოყოფენ გეომორფოლოგიის დამოუკიდებელ დარგებს: ზოგადს, კერძოს, პალეოგეომორფოლოგიას, გამოყენებითსა და სხვ.

გეონომია (ბერძ. gê დედამიწა და nomos კანონი) – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ენდოგენურ პროცესებს.



ნახ. 1

გეორგიანული არქიტექტურული სტილი – ფართო მნიშვნელობის ტერმინი, რომელიც მოიცავს ინგლისური არქიტექტურის სხვადასხვა მიმართულებას გვიანი რენესანსის პერიოდში (ოთხი გიორგის მეფობის პერიოდი, 1114-1830 წლები). ამ სტილისათვის დამახასიათებელი იყო შენობების სიმეტრიული დაგეგმარება (ნახ. 1). ფასადები სრულდებოდა წითელი (დიდი ბრიტანეთი) ან სხვადასხვა ფერის აგურისაგან (აშშ, კანადა) და შებათქაშებული იყო თეთრი ორნამენტებით. ორნამენტებად, როგორც წესი, გამოიყენებოდა ოსტატურად გამოყვანილი თაღები და პილასტრები. სინქრონულად განლაგებილი ფანჯრები ერთნაირი ზომების იყო. შენობას ამშვენებდა მდიდრული საზეიმო შესასვლელი სვეთებითა და პილასტრებით. სხვადასხვა ფერად შეღებილი შესასვლელი კარების თავზე კეთდებოდა გამოსაღები ფანჯრები. შენობებს ყველა მხრიდან ჰქონდა ცოკოლის სართული.



ნახ. 1

გეორგინარიუმი – გეორგინების ბაღი (ნახ. 1). გეორგინების სამშობლოა მექსიკის მთიანი რაიონები. ჯერ კიდევ ძველი აცტეკები მის ბოლქვებს საკვებად იყენებდნენ. ევროპაში ძირითადად იყენებენ ძვირფას დეკორატიულ მცენარედ, რომელიც ხანგრძლივად ყვავის. აქვს შეუზღუდავი ფერთა გამა და არ მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას.

გეოსინთეზური მასალები – მასალები, მთლიანად ან ნაწილობრივ დამზადებული სინთეზური ან ნატურალური პოლიმერებისაგან, რომლებიც გამოიყენება გეოტექნიკაში გრუნტების ან სხვადასხვა სამშენებლო კონსტრუქციის ტექნიკური მახასიათებლების გასაზრდელად.

გეოსტაციონარული ორბიტა (გეოსინქრონული ეკვატორული ორბიტა) – წრიული ორბიტა, რომელიც განთავსებულია დედამიწის ეკვატორის თავზე, 35 786 კმ სიმაღლეზე და მასზე თანამგზავრის მოძრაობა დედამიწის ბრუნვის თანხვედრილია. ასეთ ორბიტაზე გაყვანილი თანამგზავრი დედამიწის ნებისმიერი წერტილის მიმართ უძრავია, რაც მეტად მოსახერხებელია კავშირგაბმულობისათვის.

გეოსფეროები (ბერძ. gê დედამიწა და spháira სფერო, ბირთვი) – სხვადასხვა სიმკვრივის და ქიმიური შემადგენლობის დედამიწის კონცენტრირებული გარსები. პერიფერიიდან დედამიწის ცენტრის მიმართულებით განასხვავებენ: ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, დედამიწის ქერქს, დედამიწის მანტიასა და მის ბირთვს. სამი ზედა გარსი უშუალოდ ჩანს. ატმოსფეროს ქვედა ნაწილს, ჰიდროსფეროსა და დედამიწის ქერქის ზედა ნაწილს, ცოცხალი მატერიის ჩათვლით, აერთიანებენ ბიოსფეროს სახელით. დედამიწის ქერქის ქვეშ (70 კმ-მდე) განლაგებულია: მანტია (სისქით დაახლოებით 2900 კმ) და დედამიწის ცენტრში ბირთვი რადიუსით დაახლოებით 3500 კმ.

გეოტექნოლოგია (ბერძ. gê დედამიწა, technē ხელოვნება, ოსტატობა და lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – დედამიწის წიაღიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ფიზიკური, ფიზიკურ-ქიმიური, ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური მეთოდები. გეოტექნოლოგიის მაგალითებია: ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაცია, ბაქტერიული გამოტუტვა, გოგირდის დნობა, სუბლიმირებული ნივთიერების გამოხდა, თერმული წყლებიდან და ვულკანური გამონატანებიდან მინერალური პროდუქტების გამოყოფა, ნავთობის თერმული მოპოვება და სხვ.



გეოტექსტილი (ბერძ. gê დედამიწა და ლათ. textile ქსოვილი, მატერი) – სინთეზური ბოჭკოსაგან მიღებული ტილოს სახის მასალა, რომელიც გამოიყენება საგზაო მშენებლობაში და აქვს სამი ძირითადი ფუნქცია: მემბრანის, არმატურისა და სადრენაჟო (ნახ. 1).

გეოტექტონიკა (ბერძ. gê დედამიწა და tektonikós მშენებლობის ხელოვნება) – გეოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის ზედა მანტიის სტრუქტურას, მოძრაობას, დეფორმაციებსა და განვითარებას მთლიანად დედამიწის განვითარებასთან კავშირში.

გეოტექტურა (ბერძ. gê დედამიწა და tectura საფარი) – დედამიწის რელიეფის ყველაზე მსხვილი ფორმები: მატერიკები და ოკეანური ღრმულები.

გეოფიზიკა (ბერძ. gê დედამიწა და physikē ბუნება) – მეცნიერებათა კომპლექსი, რომელიც სწავლობს როგორც მთლიანად დედამიწის ფიზიკურ თვისებებს, ისე ფიზიკურ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს მის მყარ (ლითოსფერო), თხევად (ჰიდროსფერო) და აიროვან

(ატმოსფერო) გარსებში და რომელიც იმყოფება მუდმივ ურთიერთქმედებაში. გ. შემადგენლობაში შედის: გეომაგნეტიზმი (მეცნიერება დედამიწის მაგნიტური ველის შესახებ); მეტეოროლოგია; ოკეანოლოგია (მეცნიერება მსოფლიო ოკეანის შესახებ ზღვის ფიზიკის ჩათვლით); ხმელეთის ჰიდროლოგია; დედამიწის წიაღის ფიზიკა და სხვა მეცნიერებები. ამასთან ერთად ასხვავებენ ისეთ გამოყენებით გეოფიზიკურ მეცნიერებებს, როგორიცაა დაზვერვითი და სარეწი გეოფიზიკა.

გეოფიზიკური სახიფათო მოვლენები – მიწისძვრა, ვულკანის მოქმედება.

გეოფონი (ბერძ. gê დედამიწა და phone ბგერა) – დედამიწის ქერქში გავრცელებული ბგერითი ტალღების მიმღები. გამოიყენება სამთო ქანების აკუსტიკური დაზვერვისათვის, სამთო-სამაშველო სამუშაოებისას და სხვ. უფრო ხშირად გამოიყენება გ., რომელიც ვიბროგრაფის პრინციპით მოქმედებს. გეოფონს, რომელშიც გარკვეული სიგრძის ბგერითი ტალღების დამჭერი ელემენტი – პიეზოკვარცის კრისტალია, ეწოდება პიეზოგეოფონი.

გეოქიმია (ბერძ. gê დედამიწა და chēmeia ქიმია) – დედამიწის ქერქში ქიმიური ელემენტების გავრცელება-კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება.

გერბი (პოლ. herb<შუა ზემოგერმანული erbe მემკვიდრეობა<ლათ. herb ბალახი, მწვანე ნარგაობები) – ადამიანის, ოჯახის, კორპორაციის, ქალაქის, ქვეყნის განმასხვავებელი ჰერალდიკური ემბლემა, რომელიც გადაეცემა მემკვიდრეობით. გერბზე გამოსახულია საგნები, რომლებიც სიმბოლურია მფლობელისათვის. გერბების შემსწავლელ მეცნიერებას ჰერალდიკა ეწოდება. არსებობს გერბების სახეობები: საგვარეულო (სათავადაზნაურო, მადაბურის, გლეხური და სამოქალაქო), რანგის (დიდი, საშუალო, პატარა) და კორპორატიული (ორდენის, კლუბის, სასწავლებლის, საამქროს, ორგანიზაციის, სამხედრო ქვედანაყოფის, ფირმებისა და კონცერნების). საქართველოს სახელმწიფო გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრის ბუნიკიანი ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული, ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი. ფარის თავზე გამოსახულია ივერიული (ქართული) გვირგვინი. ვაზის სტილიზებული ჩუქურთმის საფუძველზე ფარისმტვირთველი ორი ოქროს ლომი დგას. საფუძველზე გადმოფენილია ვერცხლ-მეწამული სადევიზე ბაფთა (ავერსი – ვერცხლი, რევერსი – მეწამული). ბაფთის ვერცხლის ველზე სევადისფერი ქართული მხედრული ანბანით წარწერილია დევიზი: "ძალა ერთობაშია". ბაფთაზე, სადევიზე წარწერის თავსა და ბოლოში, გამოსახულია მეწამული ჰერალდიკური ჯვრები. არსებობს მცირე სახელმწიფო გერბიც, რომელიც წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს. ფარის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. ფარზე ივერიული (ქართული) გვირგვინია.



გერგეტის სამება (ინგლ. Gergeti Trinity Church) – XIV საუკუნის I ნახევრის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლი, გერგეტის ყოვლადწმიდა სამების

სახელობის ტაძარი (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი). მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ მხარე ხევში, მდ. ჩხერის ნაპირას, ზღვის დონიდან 1800 მ-ზე (ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ეკლესია, სამრეკლო, გალავანი.



ნახ. 1

ისტორიული წყაროების თანახმად (თეიმურაზ ბაგრატიონი), ადრე, გერგეტის სამების ტაძრის ადგილას, სამების მთაზე ჯვარი ყოფილა აღმართული. ტაძრის აშენების შემდეგ საქართველოს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ (1318-1346 წწ.) ტაძრის მოვლა-პატრონობა გერგეტელებს დაავალა, რასაც ისისნი მრავალი საუკუნის განმავლობაში კეთილსინდისიერად ასრულებდნენ. გერგეტის სამება „მცხეთის სამკაულის“ სახიზარს წარმოადგენდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე აქ ესვენა ქართველი ქრისტიანების ერთ-ერთი უწმინდესი რელიკვია – წმინდა ნინოს ჯვარი, რომლის ფლობის პატივს ტაძარი სვეტიცხოველთან და თბილისის სიონთან ერთად ინაწილებდა. აქვე იწერებოდა მატიანე „მოსახსენებელი სულთაი“ – დოკუმენტების კრებული ხევისა და საქართველოს ისტორიის შესახებ.

გერგეტის სამების ეკლესია (ნახ. 4. სამების ეკლესია) გეგმით მართკუთხა (11.9x15.6 მ) ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა (ნახ. 5. გეგმა). ნაგებია გათლილი ანდეზიტის კვადრებითა და აგურით, აქვს ორი შესასვლელი – სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

ტაძრის შიდა სივრცეს ძირითადად ცენტრალური ჯვრის მკლავები და მათზე აღმართული გუმბათი ქმნის. ჯვრის მკლავებიდან გვერდითებს ორჯერ აღემატება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ღრმა მკლავები. თვითონ გუმბათი კი აღმოსავლეთით დაყრდნობილია საკურთხევლის კედლის შვერილებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ სვეტზე. სამი მკლავი ოთხკუთხაა, აღმოსავლეთის კი აფსიდითაა დასრულებული, სადაც განთავსებულია საკურტხეველი, რომლის ცენტრშიც დგას მართკუთხა ტრაპეზი. აფსიდის მარცხნივ და მარჯვნივ, ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციის თანახმად, სადიაკვნე და სამკვეთლოა. მათ ზემოთ, მეორე სართულზე კი სამალავი ოთახებია, რომლებშიც შესვლა სადიაკვნეს კამარებში მოწყობილი ხვრელიდანაა შესაძლებელი. სამალავების მოწყობამ გამოიწვია გუმბათის ყელის ამაღლება (ნახ. 6. გუმბათის ყელი), ტაძრის პროპორციებთან მიმართებაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გარედან ასეთი ასიმეტრიულობა არ იგრძნობა. გუმბათის ყელი



ნახ. 2

ათწახნაგოვანია. თითოეული წახნაგი ცალ-ცალკეა და თაღებითაა შემოფარგლული. სარკმლების შემომყოლ ორნამენტოვან არშიას გარს უვლის შეწყვილებული ლილვი, რომელიც ეყრდნობა ბურთულებიან კვადრატებს. გუმბათზე სარკმელთა რაოდენობა ხუთია, ისინი ათ წახნაგზე თითოს გამოტოვებით მდებარეობენ, მათ შორის კი ცრუ სარკმლებია განლაგებული.

სამრეკლო (ნახ. 7. სამრეკლო), რომლის პირველი სართული გალავანში ჩაშენებულ კარიბჭესაც წარმოადგენდა, აგებულია XIV საუკუნის II ნახევარში. გეგმაში მისი ზომებია: 6,07x6,9 მ. მეორე სართული რვაწახნაგა თაღოვანი ფანჩატურია. თაღებს ზემოთ გასდევს ორ ლილვს შორის მოქცეული მოჩუქურთმებული არშია. არშიის ზემოთ, წიბოებზე, ჩუქურთმიანი კუწუბოებია დასმული. მათ ზემოთ გაყოლებულია ორ ლილვს შორის მოქცეული ფრიზი. ფრიზის თავზე მარტივი ლავგარდანია. გალავანი შედარებით გვიანი პერიოდისაა და ძველი გალავნის საძირკვლის გაყოლებაზეა აგებული.

ფასადები და გუმბათის ყელი, აგრეთვე ორსართულიანი სამრეკლოს ფასადებიც მოჩუქურთმებულია (ნახ. 8- ნახ. 10: ჩუქურთმები).

გერგეტის სამების ეკლესია ლანდშაფტთან შერწყმითა და მიმზიდველი კომპოზიციით იმგვარადაა განლაგებული მაღალი მთის წვერზე, რომ თერგის ხეობიდან შთამბეჭდავად იკითხება მყინვარწვერის ფონზე მკვეთრად გამოკვეთილი ტაძრისა და სამრეკლოს სილუეტები, რომლისთვის თვალის მოწყვეტა თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც, ადრიდანვე, ხევის უმთავრეს სალოცავს, რომელიც ხშირად მთის თეთრ ღრუბლებთანაა შენივთებული, თავისი მშვენიერების გამო "ხევის პატარძალს" უწოდებენ.



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10

გერი – მერქნის მანკი, როკი, დარჩენილი ხის ტანზე ამოსული ტოტის კვდომის (ან ზრდის შეწყვეტის) შედეგად. ღრმად ჩადის ტანში მახვილი კუთხით, აქვს გაწელილი ოვალის სახე და არღვევს მასალის მთლიანობას, ძლიერ ამცირებს მის სიმტკიცეს გაჭიმვასა და ღუნვაზე.

გეტერი (ბერძ. heteros სხვა, მეორე, სხვადასხვა) – ნივთიერება, რომელიც ვაკუუმურ მოცულობაში შთანთქავს აირებს (ინერტულის გარდა) და ბოჭავს მათ ქიმიური შთანთქმის ხარჯზე. გამოიყენება ვაკუუმის

გასაუმჯობესებლად ელექტროვაკუუმურ ხელსაწყოებში, ვაკუუმურ ტუმბოებში და სხვ.

გეტინაქსი – ქაღალდისა და სინთეზური ფისებისაგან (ფენოლი, ეპოქსიდი) დამზადებული ელექტროსაიზოლაციო დაწნეხილი ფენოვანი პლასტიკი. მასალა გამოირჩევა დაბალი მექანიკური სიმტკიცით, სიიაფით. ადვილად მუშავდება საჭრელი ინსტრუმენტებით. ძირითადად გამოიყენება იაფფასიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაშტამპული ფირფიტების დასამზადებლად (ნახ. 1).

გეტო (იტალ. ghetto ძვ. ვენეციაში ებრაელთა რაიონი) – 1. ადამიანთა იძულებითი დასახლებისათვის გამოყოფილი ნაწილი ქალაქისა; 2. ძველად იტალიისა და აღმოსავლეთის დიდ ქალაქებში ებრაელთა განსაკუთრებული უბნები, რომლის გარეთ ებრაელებს არ ჰქონდათ დასახლების უფლება.

გეჯა – გულამოღებული მოკლე მორი, რომელიც გამოიყენება ცხოველებისათვის წყლის ჩასასხმელად ან საჭმლის ჩასაყრელად, სარეცხის გასარეცხად და სხვა დანიშნულებისამებრ.

გვაიაკი კაიმენური – იხ. კუმარუ.

გვაიაკოლი [ინგლ. guaiacol<ესპ. guayacán და -ol(eum) ზეთი] – უფერო, თავისებური სუნის, ადვილად დნობადი კრისტალი, რომელიც მუქდება ჰაერზე და სინათლეში. კარგად იხსნება ეთანოლში, ეთერში, ქლოროფორმში, ცივი ძმრის მჟავაში, ტუტეებში და ცუდად – წყალში და პეტროლეინის (გაზოლინის) ეთერში. შედის მშრალი ფოთლოვანი და წიწვოვანი მერქნის მშრალი გამოხდის პროდუქტში. გამოიყენება სურნელოვანი ნივთიერებების სინთეზისათვის.

გვალვა – ხანგრძლივი უწვიმობა და დიდი სიცხე.

გვარლი – საერთო დასახელება თოკ-ბაგირული ნაკეთობისა, რომელიც დამზადებულია ბოჭკოვანი მასალის ან ფოლადის მავთულისაგან (ნახ. 1. ფოლადის გვარლი). ის შეიძლება იყოს სხვადასხვა დანიშნულების: ამწევი, აქსელერატორის, ბამბის, განმტვირთავი, დამჭიმი, კევლარ-არამიდის, მანილური (ფილიპინების კუნძულებზე ზრდადი ქოქოსის ფოთლების ბოჭკოების), მზიდი, მისაბმელი, პოლიამიდის, პოლიეთილენის, პოლიესთერის, პოლიპროპენის, სადგომის (მცურავი საშუალებების), საბუქსირო, სატვირთო, საწევი, საჭის, ფოლადის მავთულის, წამტაცი, ჯუტისა და სხვ.



გვარჯილა – ნიტრატების ჯგუფის მინერალების კრებითი სახელი. თითოეული მინერალის სახელს განსაზღვრავს კათიონი – ნიტრატის გვარჯილა, კალიუმის გვარჯილა, ამონიუმის გვარჯილა და სხვ.

გვერგვი (სალტე, საყელური, კირკალი) – 1. სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ნაკეთობა (დეტალი), რომელიც გამოიყენება რაიმეს ირგვლივ შემოსავლებად მოჭერის მიზნით; 2. ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად.

გვერდელა – მერქნის მანკი, ხის ტანის ძირის ნაწილში აგებულობის ცვალებადობა გვიანი მერქნის წლიური რგოლების შესქელებით ან გამუქებით (ნახ. 1. ადგილობრივი გვერდელა).



გადანაჭერზე ჩანს, როგორც რკალისმაგვარი, იშვიათად რგოლური მუქი ფერის უბნები; დახერხილი მასალის გვერდით ზედაპირებზე – ასეთივე ფერის ზოლები. ახასიათებს გაღუნულ და დახრილად მდგარ ხის ტანს და ყველა როკს. ხშირად თან სდევს გულგულას გადანაცვლება (ნახ. 2. გულგულას გადანაცვლება: .A შეშრობის ბზარი; .B მთლიანი გვერდელა; .C გადანაცვლებული გულგულა; .D ფისოვანი ჯიბე). ამაღლებს მერქნის სიმტკიცესა და სიმაგრეს კუმშვის და სტატიკური ღუნვისას,



ხელს უშლის მერქნის მექანიკურ დამუშავებას, ამცირებს დარტყმით სიბლანტეს ღუნვისას და სიმტკიცეს გაჭიმვისას, მკვეთრად ზრდის შეშრობას ბოჭკოების გასწვრივ, რაც მიზეზი ხდება ახლეჩისა და გრძივი დაბრეცის, ეწინააღმდეგება გაჟღენთვას, აუარესებს გარეგნობას. განასხვავებენ შემდეგ სახეებს: ადგილობრივი გვერდელა – წვრილი რკალისებრი უბნების ან ზოლის სახით, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე წლიურ რგოლს; მთლიანი გვერდელა – მნიშვნელოვანი უწყვეტი უბნების სახით, განლაგებული გულგულისაგან ერთ მხარეს და მოიცავს განივკვეთის ნახევარს ან მეტ ფართობს.

გვერდი – 1. სხეულის ტანის მარჯვენა ან მარცხენა ნაწილი (მაგ., კარადის გვერდი); 2. ხაზი, რომელიც გეომეტრიულ სხეულს საზღვრავს (მაგ., კვადრატის გვერდი); 3. საწერი ქაღალდის ფურცლის ერთ-ერთი მხარე; 4. ინტერნეტში – საიტის შემადგენელი ნაწილი: ვებგვერდი, მთავარი გვერდი, ოფიციალური გვერდი და სხვ.

გვერდითი ბუნებრივი განათება – სათავსების განათება გარე კედლების შუქღიობებიდან შემოსული პირდაპირი ან არეკლილი ცის შუქით.

გვერდითი სადრენაჟო არხი – წყალმომცილებელი მცირე განივკვეთის ღია არხი, რომელიც აგროვებს გვირაბში შემოღწეულ მიწისქვეშა წყლებს და მიმართავს მას ძირითადი წყალშემკრები ღარისაკენ.

გვერდითი შესასვლელი – შუა საუკუნეების არქიტექტურაში ციხე-სიმაგრის, მონასტრის, ქალაქის დამცავი კედლის მცირე ზომის გვერდითი ან უკანა ჭიშკარი (კარი).

გვერდობი – დაქანებული ადგილი.

გვირაბგამყვანი ფარი – მოძრავი მექანიზებული სამაგრი, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას სამთო წნევის და ქანების გამონგრევისაგან გვირაბების, მაღაროების და სხვათა აგების (გაყვანის) დროს.

გვირაბი (ფრანგ. tonnelle ღრმულისებრი ქსელი) – მიწისქვეშა საინჟინრო ჰორიზონტალური, ვერტიკალური ან დახრილი ნაგებობა, რომლის სიგრძე გაცილებით აღემატება მისი განივკვეთის ზომებს და დედამიწის ზედაპირთან დაკავშირებულია ერთი ან რამდენიმე შესასვლელით (ნახ. 1. რიკოთის გვირაბი, საქართველო). დანიშნულების მიხედვით გვირაბი შეიძლება იყოს გამხსნელი, განფენილი, დამატებითი, კანალიზაციის, კაპიტალური, მთავარი, მოსამზადებელი, საბარგო, სადაზვერვო, საველე, სავენტილაციო, საექსპლუატაციო, სამთო, სამშენებლო, სატრანსპორტო, საქვეითო, საშრობი, საწმენდი, სპეციალური, ღია, შუალედური, ძირითადი, ჰიდროტექნიკური, ხე-ტყის დასაცურებელი და სხვ. გამოიყენება ტრანსპორტის მოძრაობისათვის, წყლის გასატარებლად, საქალაქო-სამეურნეო ქსელების გასაყვანად, სამთო-მომპოვებელი სამუშაოებისათვის და სხვ. კაპიტალურობის მიხედვით გვირაბები მიეკუთვნება I კლასის ნაგებობებს. მსოფლიოში ყველაზე გრძელი სამგზავრო ან ტვირთის გადასაზიდი გვირაბებია: გუანჯოუს მეტროპოლიტენის მე-3 ხაზი, სიგრძე 60,400 მ (ყველაზე გრძელი ჩქარი სატრანზიტო გვირაბი) (ჩინეთი); გოთარდის საბაზო გვირაბი (ნახ. 1), სიგრძე 57,104 მ (გეოდეზიური ხაზის მიხედვით ყველაზე გრძელი სატრანზიტო გვირაბი) (შვეიცარია); ბეიძინის მეტროს მე-10 ხაზი, სიგრძე 57,100 მ (ჩინეთი); სეიკანის გვირაბი, რომელის აკავშირებს კუნძულებს: ხონსიუსა და ხოკაიდოს, სიგრძე 53,850 მ (იაპონია); ევროგვირაბი ლა-მანშის სრუტის ქვეშ, სიგრძე 50,450 მ და სხვ.



გვირაბი გამხსნელი – მიწის ზედაპირიდან საბადომდე გაყვანილი გვირაბი.

გვირაბი განფენილი – გამხსნელი, მოსამზადებელი და საწმენდი გვირაბები.

გვირაბი დაზვერვითი – გვირაბი, რომელიც გაყვანილია მარგი წიაღისეულის დაძიების მიზნით.

გვირაბი დამატებითი – შახტის ველის გახსნისათვის განკუთვნილი გვირაბი: კვერშლაგი, ბრმა ჭაური, გეზენკი.

გვირაბი დახრილი – დახრილად გაყვანილი გვირაბი: ჭაური, ბრემსბერგი, დაქანებული, სასვლელი, სასულე.

გვირაბი დახრილი საესკალატორო – ნაგებობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მიწისზედა ვესტიბიულსა და მიწისქვეშა სადგურს. მისი დახრის კუთხე ჰორიზონტთან შეადგენს 30°-ს.

გვირაბი ვერტიკალური – ვერტიკალურ გვირაბებს მიეკუთვნება ჭაური, გეზენკი, ბრმა ჭაური, შურფი.

გვირაბი კაპიტალური – 1. გვირაბი, რომელიც შახტს დედამიწის ზედაპირთან აკავშირებს და ძირითადად გამოიყენება სატრანსპორტო მიზნით; 2. დამატებითი გამხსნელი გვირაბი, თუ ის შახტის ველის მთლიანი მარაგის გამომუშავებას მთელი დროით ემსახურება. მაგ., თუ კვერშლაგი (გეზენკი) ემსახურება შახტის ველს და მისი სამსახურის ვადა შახტის არსებობის

ვადის ტოლია, მას უწოდებენ კაპიტალურ კვერშლაგს. თუ კვერშლაგი მხოლოდ ერთ ან ორ მოსაზღვრე პანელს (საბრემსბერგო ან საქანობო) ემსახურება, ასეთ კვერშლაგს პანელურს უწოდებენ.

გვირაბი ლა-მანშის (ევროგვირაბი) (ინგლ. Channel Tunnel, შემოკლ. Chunnel; ფრანგ. Tunnel sous la Manche) – რკინიგზის გვირაბი, რომელიც ლა-მანშის სრუტის ქვეშ გადის. აკავშირებს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა და კონტინენტურ ევროპას, კერძოდ ინგლისის კენტის საგრაფოს სანავსადგურო ქალაქ ფოლკსტონის ჩრდილოეთ გარეუბან ჩერიტონსა (ფოლკსტონის ტერმინალი) და საფრაგეთის დეპარტამენტ პა-დე-კალეში მდებარე კომუნა კოკელს (კალეს ტერმინალი, ნახ. 1. ავტომობილების ჩატვირთვა ტრანსპორტის გადასაზიდ მატარებელში). ეს არის საგზაო მაგისტრალი, რომელიც შედგება ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულების გვირაბების, ასევე მომსახურე (დამხმარე) გვირაბისაგან (ნახ. 2. ევროგვირაბში შესასვლელი საფრანგეთის მხრიდან, კომუნა კოკელში, სანავსადგურო ქალაქ კალესთან ახლოს) მაგისტრალის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 50,5 კმ, მათ შორის ≈38 კმ მოქცეულია ზღვის ქვეშ (ზღვის ქვეშ გაყვანილი ყველაზე გრძელი გვირაბის მონაკვეთი მსოფლიოში), უღრმესი ნაწილი მოთავსებულია ზღვის ფსკერიდან დაახლ. 75 მ-ზე, ზღვის დონიდან კი ≈115 მ-ზე. გვირაბებში მოძრაობენ: სარკინიგზო მომსახურება – Eurostar-ის მგზავრთა გადასაყვანი მაღალი სიჩქარისა და სარკინიგზო მომსახურება – Eurotunnel Shuttle-ის საგზაო ტრანსპორტის გადასაზიდი მატარებლები (ნახ. 3), ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სატვირთო მატარებელი. სამგზავრო მატარებლის [ნახ. 4. ელექტრომატარებელი – British Rail Class 374 (იგივე Eurostar e320) ლონდონის წმინდა პანკრასის სახელობის მატარებლის სადგურში) სიჩქარე 300 კმ/სთ-ს აღწევს და მისი საშუალებით ლონდონიდან პარიზში ჩასვლა დაახლოებით 2 საათსა და 15 წუთში, ლონდონიდან ბრიუსელში კი 2 საათსა და 01 წუთშია შესაძლებელი (კომპანია Eurostar International Limited-ის 2017 წლის მონაცემებით). აღსანიშნავია, რომ საკუთრივ გვირაბში ტრანსპორტი დაახლოებით 20-30 წუთის მანძილზე მოძრაობს. ლა-მანშის გვირაბის მშენებლობის წარმატებული პროექტი განახორციელა და მის მართვას აწარმოებს კომპანია Groupe Eurotunnel SE (ან უბრალოდ Eurotunnel). მშენებლობა დაიწყო 1987 წლის 15 დეკემბერს და დასრულდა 1993 წლის 10 დეკემბერს. ლა-მანშის გვირაბი 1994 წლის 6 მაისს გახსნეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელისაბედ II-მ და საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა. დამატებით იხ. გვირაბი.









გვირაბი მიწისქვეშა – მიწის ნიშნულის ქვემოთ გაყვანილი, შეკრული კონტურის გვირაბი.

გვირაბი მოსამზადებელი – გვირაბი, რომელიც საბადოს ჰყოფს ამოსაღებ ველებად, უბნებად და ბლოკებად.

გვირაბი საექსპლუატაციო – გვირაბი, რომელიც ემსახურება მარგი წიაღისეულის მოპოვებას. დანიშნულების მიხედვით არსებობს: გამხსნელი, მოსამზადებელი, საწმენდი და კამერული. ადგილს, საიდანაც იწყება გვირაბის გაყვანა, საწყისი, ხოლო საწინააღმდეგოს – ბოლო მხარე ეწოდება.

გვირაბი სატრანსპორტო – გვირაბი, რომლის დანიშნულებაა საავტომობილო, სარკინიგზო და სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტის (მაგ., მატარებლები მაგნიტურ ან საჰაერო ბალიშზე) გატარება (ნახ. 1). არსებობს ჩვეულებრივი და შეთავსებული (მაგ., საავტომობილო და სარკინიგზო ერთად). ზოგჯერ ასეთ გვირაბებში ორგანიზაციას უკეთებენ საფეხმავლო და საველოსიპედო მოძრაობას.გ. ს. მიეკუთვნება აგრეთვე, გვირაბები სამრეწველო და ჰიდროტექნიკურ კომპლექსებში, დიდი ქალაქების აეროპორტების, სავაჭრო ცენტრების, ავტო- და რკინიგზის სადგურების მისადგომებთან და სხვ.



ნახ. 1

გვირაბი საწმენდი – გვირაბი, სადაც უშუალოდ წარმოებს მარგი წიაღისეულის ამოღება.

გვირაბი ძირითადი – შახტის ველის გახსნისათვის განკუთვნილი გვირაბი: შტოლნი, ვერტიკალური და დახრილი ჭაურები.

გვირაბი ჰორიზონტალური – ჰორიზონტალურად გაყვანილი გვირაბი: შტრეკი, კვერშლაგი, შტოლნი, ორტი, გამკვეთი.

გვირაბის გამაგრება – სამაგრის დადგმის პროცესი. სამაგრი შეიძლება იყოს ხის, ლითონის, ბეტონის, რკ.ბ.-ის, ბუნებრივი ან ხელოვნური ქვის, ანკერული და კომბინირებული.

გვირაბის პირი – მიწის ზედაპირიდან გაყვანილი გვირაბის საწყისი ნაწილი.

გვირაბის სამაგრი – გვირაბში ამოყვანილი ხელოვნური საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა გვირაბის განივკვეთის ზომების დაცვა და ხელოვნურად შექმნილ თავისუფალ სივრცეში მისი გარემომცველი ქანის ნატეხების ვარდნის თავიდან აცილება.

გვირგვინი (ინგლ. corona) – 1. დარბაზის ტიპის ქართული საცხოვრებელი სახლის კარვის ფორმის გადახურვა, რომელიც მიიღება ზევით თანამიმდევრობით შემცირებული ოთხკუთხედების ან მრავალკუთხედების წყობით; 2. ჯარგვალი, ჩაჭრით შეუღლებული მორების ან ძელებისგან შედგენილი მართკუთხედი ან მრავალკუთხედი (ნახ. 1); 3. შენობის



ნახ. 1

ფასადზე კედლის ღიობის ზემოთ განლაგებული მცირე ლავგარდანი, ხანდახან ეყრდნობა კონსოლებს, ხშირად აქვს ფრონტონი; 4. დაწნული ეკალი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის წინ თავზე დაადგეს როგორც მეფის გვირგვინი; 5. ყვავილებისაგან დაწნული თავზე დასადგამი ნაკეთობა; 6. ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით მორთული თავზე დასადგამი სამეფო ნაკეთობა (ნახ. 2. ქართული სამეფო გვირგვინი); 7. არქიტექტურული ნატეხი, ანტიკურ კლასიკურ ატქიტექტურაში სწორხაზოვანი (ნახ. 3) ან წრიული ფორმის სკულპტურული ორნამენტი, ხშირად მცენარეული და ლენტური ელემენტებით. გამოიყენებოდა ტაძრებისა და მდიდრული შენობების ფასადების გასაფორმებლად; 8. მორებისგან აგებული კედლის ერთი რიგი.





გზა – 1. ადგილსავალი ფეხით და ტრანსპორტით მოსიარულეთათვის, მათ შორის სალიანდაგო და საბაგირო. გზები დანიშნულებისა და მოწყობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს: ბეტონის, გრუნტის, დაკიდებული, კარიერის, კლაკნილი, მაგისტრალური, მთის, მისადგომი, მისასვლელი, მოასფალტებული, მოკირწყლული, მორსათრევი, მოხრეშილი, რიყის ქვის, საბაგირო, სათადარიგო, სასოფლო, სატრანზიტო, საურმე, საქვეითო, საჰაერო, სეზონური, ღორღის, ყინულოვანი, ხე-ტყის საზიდი და სხვა; 2. მიმართულება, გეზი.

გზა საავტომობილო – საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებით და გაბარიტებით (ნახ. 1) . საავტომობილო გზების ცნებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები, გაერთიანებულია: ა) მიწის ვაკისი, რომლის ძირითადი ელემენტებია: სავალი ნაწილი, გვერდულები, საველოსიპედო და საცალფეხო ბილიკები, კიუვეტები, წყალამრიდი ნაგებობები და სხვ.; ბ) ხელოვნური ნაგებობები (ხიდები, გვირაბები, ესტაკადები, გზაგამტარები, ვიადუკები, აკვედუკები, სატრანსპორტო კვანძები, წყალგამტარი ნაგებობები, საყრდენი კედლები, ნაპირსამაგრი, ნაპირდამცავი, წყლის ნაკადმიმმართველი, სარეგულაციო ნაგებობები და სხვ.); გ) განთვისების ზოლები და მის ფარგლებში არსებული სხვა საგზაო ნაგებობანი; დ) მოძრაობის მართვისა და რეგულირების, ტექნოლოგიური კავშირის, საინფორმაციო საშუალებების, განათების მოწყობილობათა ელემენტები და სხვა ნაგებობანი, მათ შორის სპეციალური დანიშნულების სატელეფონო კავშირები, რომლებიც საჭიროა საავტომობილო გზების ნორმალური მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისათვის; ე) საავტომობილო გზების ზედა საჰაერო სივრცე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დადგენილი გაბარიტების ფარგლებში; ვ) თოვლდამცავი და ხმაურდამხშობი მოწყობილობანი, სატყეო თოვლდამცავი ზოლები, ზვავსაწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო და წყალამრიდი ნაგებობანი, გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები და ავარიის საწინააღმდეგო ჯიბეები, რომლებიც შეიძლება განლაგებული იყოს განთვისების ზოლის გარეთ; ზ) საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის შენობა-ნაგებობანი. არსებობს ს.გ. სამი კატეგორია: I. საერთაშორისო მნიშვნელობის; II. შიგასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის; III. ადგილობრივი მნიშვნელობის. საქართველოზე გამავალი E-60 ავტომაგისტრალი (E-70-თან ერთად) ქვეყნის დასავლეთ-აღმოსავლეთ (ბათუმი-ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი) ნაწილს აერთიანებს, ხოლო საერთაშორისო საავტომობილო გზების ქსელში ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს წარმოადგენს. ამჟამად (2018 წ.) საქართველოში ფუნქციონირებს: საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა – 1455 კმ; შიგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა – 5446 კმ; ადგილობრივი მნიშვნელობის გზა – 15415 კმ; 4 ზოლიანი ჩქაროსნული ავტომაგისტრალი – 80კმ; ხიდები – 4632 ერთ. (საერთო სიგრძე 85 კმ); გვირაბები – 16 ერთ. (საერთო სიგრძე 9,9 კმ); თოვლდამცავი გალერეები – საერთო სიგრძე 3 კმ.



ნახ. 1

გზა-კიბე – კიბეების ერთი ან მეტი მარში, შენობის გარეთ ან შიგნით, დამაკავშირებელი ბაქნებითა და მოედნებით, რომლებიც ქმნის უწყვეტ გადასასვლელს ერთი დონიდან მეორეზე.

გზაბოძალი – მებოძირი, გზაჯვარედინი, გზასაყარი.



ნახ. 1

გზაგამტარი – ხიდი სახმელეთო გზების გადაკვეთაზე. უზრუნველყოფს მოძრაობას სხვადასხვა დონეზე (ნახ. 1).

გზატკეცილი – ურელსო ტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი მკვრივსაფარიანი გზა (ხრეშით მოფენილი, დატკეპნილი, ასფალტიანი და სხვ.).



გზაჯვარედინი – ორი ან მეტი გზის გადაკვეთის ადგილი (ნახ. 1); ჩრდილოეთ ამერიკაში: გზა, რომელიც კვეთს მთავარ გზას ან აერთებს ორ მთავარ გზას.

გზის გეომეტრიული პარამეტრები – მიწის ვაკისის, სავალი ნაწილის, გამყოფი ზოლის, გვერდულის გამაგრების ზოლის, გვერდულის და კიუვეტის სიგანეები; გზის სავალი ნაწილის ქვეშ საგზაო სამოსის კონსტრუქციული ფენების სისქეები; კიუვეტის სიღრმე; გრძივი და განივი ქანობების, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მრუდეების და ხილვადობის არის სიდიდეები, ხელოვნური ნაგებობების სიგრძეები და გაბარიტები.

გზის გვერდული – ზოლები სავალი ნაწილის ორივე მხარეს, რომელიც გზის სამოსის საყრდენია და გათვალისწინებულია ტრანსპორტის გასაჩერებლად.

გზის გვერდული – საავტომობილო გზის ელემენტი სავალ ნაწილსა და მიწის ვაკისის წარბას შორის, რომელიც გათვალისწინებულია განაპირა ზოლის, სატრანსპორტო საშუალებების იძულებით გაჩერებისათვის საჭირო ზოლის, ღობურების და მოძრაობის ორგანიზაციის სხვა ტექნიკური საშუალებების განსათავსებლად.

გზის დამცავი ნაგებობები – ნამქერსაწინააღმდეგო; ზვავსაწინააღმდეგო; ზვავწარმოქმნის საწინააღმდეგო, ქვათაცვენის საწინააღმდეგო, მეწყერსაწინააღმდეგო, ნაპირსამაგრი, ხმაურდამხშობი და სხვა ნაგებობები.

გზის დეფექტების (დეფექტური) უწყისი – ადგილზე გზის გარკვეულ მონაკვეთზე შესასრულებელი საგზაო სამუშაოთა ჩამონათვალის მოცულობების და შესრულების მეთოდის კომისიურად განსაზღვრით შედგენილი უწყისი.

გზის დიაგნოსტიკა – გზების ტექნიკური, სატრანსპორტო და საექსპლუატაციო მდგომარეობის განსაზღვრა, გამოკვლევის ჩატარების გზით.

გზის ინფრასტრუქტურა გზის ინფრასტრუქტურა – გზის კეთილმოწყობის, ავტოტრანსპორტის და მგზავრების სერვისის ობიექტები.

გზის კეთილმოწყობა – საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის ნაწილი, რომელიც მოიცავს დასასვენებელ, გადასახედ და მანქანების დასადგომ მოედნებს, წყაროებს, ავტომანქანების გასაჩერებლებს, პავილიონებს და სხვ.

გზის მახასიათებელი მაჩვენებლების მონაცემთა ბანკი – გზების და მათზე განლაგებული საინჟინრო ნაგებობების, სათანადოდ დამტკიცებულ მახასიათებელთა ტექნიკური, საექსპლუატაციო და სატრანსპორტო მაჩვენებლების მონაცემთა ბანკი.

გზის სამოსი – საავტომობილო გზის ნაწილი, შემდგარი საფარის, ფუძისა და ქვენაფენი შრისაგან, დადებული მიწის ვაკისზე, რომელსაც გადაეცემა დატვირთვები ტრანსპორტისაგან. განასხვავებენ ხისტ (ცემენტ-ბეტონის) და არახისტ (ღორღი, ქვიშა, ბიტუმი) გზის სამოსს.

გზის საპროექტო დოკუმენტაცია – საავტომობილო გზის საინჟინრო ნაგებობათა კომპლექსის ან მისი რომელიმე კომპონენტის მოვლა-შეკეთების (მიმდინარე შეკეთება, პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია) სრულყოფის (რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის) ან განვითარების (ახალი გზის) სამშენებლო სამუშაოთა ნახაზები, მოცულობები და ღონისძიებების აღმნუსხველი დოკუმენტაცია.

გზის საპროექტო მაჩვენებელი – გზის ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლები, რომლებიც შეესაბამება ბოლო პერიოდში განხორციელებული საგზაო სამუშაოების შედეგად მიღწეულ მონაცემებს.

გზის სარემონტშორისო ვადები – კალენდარული ხანგრძლივობა (წლებში), რომლის განმავლობაშიც საგზაო სამუშაოების ამა თუ იმ სახეობის განხორციელების შედეგად საავტომობილო გზა ინარჩუნებს დაწესებული რეჟიმით ავტოტრანსპორტის მოძრაობის უზრუნველყოფის საიმედოობას.

გზის საფარი – გზის სამოსის ზედა ფენა (ან ფენები).

გზის საშენი მასალა – საშენი მასალები, გამოყენებული საგზაო მშენებლობაში – ქვიშა, ღორღი, ხრეში, ცემენტი, ბეტონი, მერქანი, ფისი, ბიტუმი, ასფალტი, ქვა და ა.შ.

გზის ტექნიკური კატეგორია – გზების კლასიფიკაცია ტექნიკური მაჩვენებლების მიხედვით. საავტომობოლო გზები ტექნიკური დონის მიხედვით იყოფა ხუთ კატეგორიად. კლასიფიკაციის საფუძვლის სახით აღებულია საავტომობილო გზების მნიშვნელობა, მოძრაობის ინტენსიურობა დღეღამეში ან წლიური ტვირთდაძაბულობა და სხვა მაჩვენებლები. I და II კატეგორიებს განეკუთვნება სახელმწიფო დანიშნულების საავტომობილო გზები, რესპუბლიკური დანიშნულების ძირითადი მაგისტრალური გზები, დიდი ქალაქებიდან პორტებთან მისასვლელები. III კატეგორიას განეკუთვნება რესპუბლიკური და რეგიონული დანიშნულების ძირითადი გზები, მისასვლელები დასახლებულ პუნქტებთან. IV კატეგორიას განეკუთვნება რეგიონული და რაიონული დანიშნულების საავტომობილო გზები, ადგილობრივი დანიშნულების გზები, ზოგადი ქსელის, სამრეწველო საწარმოების, მსხვილი სამშენებლო ობიექტების გზები. V კატეგორიას განეკუთვნება ადგილობრივი დანიშნულების გზები, ქუჩები და დასახლებული პუნქტების, ადგილობრივი, რაიონული დანიშნულების გზები.

გზის ჩამონაჭერი – მიწის ფართობი კიუვეტებს იქით გამოყოფის ზოლის საზღვრამდე, რომელიც გამოიყენება შემოსავლელ გზად და მასალების დასაწყობებისათვის გზის სარემონტო სამუშაების დროს.

გზის წყალამრიდი ნაგებობები – კიუვეტები, სამთო არხები, სავალი ნაწილიდან წყლის მოცილების სპეციალური ბეტონის ტელესკოპიური გადამშვებით აღჭურვილი ღარები, მიწის ვაკისის ფერდობების გამორეცხვის საწინააღმდეგო ნაგებობები და დრენაჟები.

გზის წყალგამტარი ნაგებობები – მილები, ხიდები, აკვედუკები, დიუკერები, სელედუკები და ფონები, რომლებიც ზედაპირულ წყლებს, სარწყავ არხებს და მდინარეებს ატარებენ გზის ერთი მხრიდან მეორისაკენ.

გზის ხელოვნური ნაგებობები – წყალგამტარი ნაგებობები, ესტაკადები, ვიადუკები, გზაგამტარები, აივნები, საყრდენი კედლები, გვირაბები და სხვ.

გზისპირი – გზის გვერდითი, განაპირა მხარე, სავალი ნაწილის ნაპირი.

გიბსიტი (ჰიდროარგილიტი) (ინგლ. Gibbsite ამერიკელი მინერალების კოლექციონერის ჯ. გიბსის სახელის მიხედვით) – მეორეული წარმოშობის უფერული, მომწვანო, მოწითალო ან ცისფერი მინერალი. სიმკვრივე – 2300-2400 კგ/მ^3. ქიმიური ფორმულა – $Al(OH)_3$. ჩნდება ალუმინსილიკატების ჰემოგენური გამოფიტვის ხარჯზე ტროპიკული ჰავის პირობებში; გვხვდება ჰიდროთერმული გზით წარმოქმნილიც. შედის ბოქსიტების შემადგენლობაში და ალუმინის წარმოების ძირითადი მადანია.

გიგა – ფიზიკური სიდიდის ერთეულის თავსართი, რომელიც შეესაბამება 1 მლრდ. საწყის ერთეულს (მაგ., 1 გიგაბაიტი = 1 073 741 824 ბაიტს).

გიგანტი – ძალიან დიდი ზომის, დიდი მასშტაბის.

გიგანტომანია [ბერძ. gigas (gigantos) გიგანტი და mania მისწრაფება] – მეტისმეტი, გაუმართლებელი მისწრაფება ყოველგვარი გრანდიოზულობისაკენ.

გიზის დიდი პირამიდა (ხუფუს პირამიდა ან ხეოფსის პირამიდა) (ინგლ. Great Pyramid of Giza) – ფარაონ ხუფუს [ან ხეოფსის (ბერძ.), ძვ. ეგვიპტის ისტორიის ძველი სამეფოს ხანის (იხ. ძველი ეგვიპტის არქიტექტურა) მმართველთა მე-4 დინასტიის ფარაონი, მეფობდა ძვ. წ. XXVII-XXVI სს.-ის მიჯნაზე ან ძვ. წ. XXVI ს.-ში (ერთ-ერთი ვერსიით დაახლ. ძვ. წ. 2551-2528 წწ.)] პირამიდა – მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან უძველესი ნაგებობა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი მეტწილად თავდაპირველი სახით (ნახ. 1). პირამიდის ერთ-ერთ შიდა კამერაში არსებული ნიშნებზე დაყრდნობით მიიჩნევა, რომ ის ძველი ეგვიპტის ოქროს ხანის პერიოდში, ძვ. წ. XXVI საუკუნეში, აიგო, როგორც ძველი სამეფოს ხანის მეოთხე







დინასტიის ფარაონის, ხუფუს განსასვენებელი აკლდამა, ეგვიპტის მაშინდელი დედაქალაქის, მემფისის შემოგარენში, ახლანდელი დედაქალაქის, კაიროს სიახლოვეს, ქალაქ გიზის მოსაზღვრედ, გიზის პლატოზე, მდ. ნილოსის ნაპირზე. გიზის ნეკროპოლისში (ან გიზის პირამიდების კომპლექსში – შესულია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, 1979 წ.) (ნახ. 2; ნახ. 3) შემავალი ეს უზარმაზარი პირამიდა დაახლოებით 3800 წლის განმავლობაში ითვლებოდა ყველაზე მაღალ ხელოვნურ ნაგებობად დედამიწაზე (ინგლისში ლინკოლნის სახელობის ტაძრის აშენებამდე, დაახლ. ახ. წ. 1300 წ.). პირამიდა გეგმით კვადრატული ფორმისაა. მშენებლობაზე დაიხარჯა ≈2300000 კირქვისა და გრანიტის ლოდი, რომელთა უმრავლესობა, როგორც ჩანს, იჭრებოდა შორიახლოს მდებარე სამტეხლოებში, ხოლო ყველაზე დიდი ზომის გრანიტის ქვები (≈25-დან 80 ტ-მდე) მოჰქონდათ 800 კილომეტრით დაშორებული ქ. სიენეს (ახლანდელი ასუანი) სამტეხლოდან. ზედაპირი მთლიანად კირქვის თეთრი ფილებით იყო მოპირკეთებული, თუმცა დროთა განმავლობაში ეს "პერანგი" განადგურდა და მხოლოდ რამდენიმე ლოდი შემორჩა პირამიდის ბაზის ირგვლივ (ნახ. 4. პირამიდის საფუძველზე დაყრდნობილი მოპირკეთების ქვები). პირამიდის ახლანდელი ფიზიკური მახასიათებლები შემდეგია: სიმაღლე – ≈139 მ (თავდაპირველად იყო 147 მეტრამდე), გვერდის სიგრძე საფუძველთან – 230,4 მ (მეცნიერები თვლიან, რომ თითოეული გვერდის პირვანდელი სიგრძე იყო ≈233 მ; გვერდების სიგრძეებს შორის ყველაზე დიდი სხვაობა მხოლოდ 20 სმ-ია), ფერდის დახრილობა – 51°50', ზედაპირის ფართობი – ≈53000 მ^3, მოცულობა – ≈2600000 მ^3, ქვის ბლოკების საშუალო მოცულობა – ≈1,147 მ^3, ქვის ბლოკების საშუალო მასა – ≈2,5 ტ, პირამიდის წონა – დაახლოებით 6 მლნ. ტ. როგორც ცნობილია, პირამიდის მშენებლები არ იყენებდნენ რაიმე დახვეწილ და განვითარებულ იარაღებს, არ გააჩნდათ ლითონის სპეციალური შენადნობით დამზადებული რაიმე ინსტრუმენტი, მაგ., არ ჰქონდათ ქვის ზუსტი დამუშავებისთვის აუცილებელი, მაღალი გამძლეობის მასალისაგან დამზადებული მრგვალი ხერხები და სხვა მსგავსი იარაღები, ლოდების გადაბმისთვის კი არავითარ დუღაბს არ იყენებდნენ. ვარაუდობენ, რომ დიდი პირამიდის, სხვა პირამიდებისა და ობელისკების წვეროზე მოთავსებული იყო დიორიტის, გრანიტის ან კირქვისგან დამზადებული პირამიდისავე ფორმის ქვა – პირამიდიონი (ბენბენი, ბენბენეტი), რომელთაგან არცერთი არაა შემორჩენილი. პირამიდაში შესასვლელი განთავსებული იყო 15 მეტრის სიმაღლეზე. შესასვლელიდან 9 მეტრში გზა ორად იყოფოდა, აქედან ერთი უცნობი დანიშნულების იყო, ხოლო მეორე – აღმავალი (სიგრძე 40 მ) და დიდი გალერეით (სიგრძე 46,68 მ, სიმაღლე 8,6 მ) (ნახ. 5) ზევით ადიოდა სამეფო კამერაში. დიდი გალერეის დასაწყისში გზის ერთი ტოტი (ჰორიზონტალური გვირაბი) მიემართებოდა დედოფლის კამერისაკენ. აღსანიშნავია, რომ ამ კამერებში (ოთახებში) პირამიდის შიგნით მოწყობილია სავენტილაციო

არხები სიგანით 20-25 სმ. პირამიდის მშენებლობას ხელმძღვანელობდა სამეფო კარის ხუროთმოძღვარი, ფარაონ ხუფუს მამის, ფარაონ სნეფრუს [ან სნოფრუს, ასევე სორისს (ბერძ.), ძვ. ეგვიპტის ისტორიის ძველი სამეფოს ხანის ფარაონთა მე-4 დინასტიის დამაარსებელი, მეფობდა ძვ. წ. XXVII ს.-ში, XXVII-XXVI სს.-ის მიჯნაზე ან ძვ. წ. XXVI ს.-ში (ერთ-ერთი ვერსიით დაახლ. ძვ. წ. 2575-2551 ან 2550 წწ.)] შვილიშვილი ჰემიუნუ. პირველი მეცნიერი და სწავლული, რომელმაც პირამიდები მოინახულა, ისტორიის მამა, ბერძენი ჰეროდოტე იყო, რომელიც აღფრთოვენებით საუბრობს პირამიდებზე და რომლის ჩანაწერებმაც ისტორიას შემოუნახა უნიკალური მასალა, მიძღვნილი ეგვიპტური კულტურისა და ხელოვნებისადმი. იხ. აგრეთვე ძველი ეგვიპტის არქიტექტურა.

გიკორი (კარია) (ლათ. Carya) – ფოთლოვანი ჯიშის ხის გვარი კაკლისებრთა ოჯახიდან. იზრდება ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში. ცნობილია მისი ოცამდე სახეობა. გამოიყენება ხელსაწყოების სახელურების დასამზადებლად.

გილოში [ფრანგ. guillochis აღნიშნავდა ორნამენტს ან guilloche ჩუქურთმის (ორნამენტის) საკვეთი ინსტრუმენტი] – 1. არქიტექტურული ორნამენტი, რომელიც შექმნილია ორი ან მეტი დაწნული ლენტის მსგავსი ნახჭისა და ზოგჯერ მის ნასკვებს შორის მოთავსებული სხვადასხვა დეკორატიული ფიგურებისაგან; ფართოდ გამოიყენებოდა კლასიკურ არქიტექტურაში (ნახ. 1. ბერძნული გილოში ნიდერლანდების ომის დოკუმენტაციის ინსტიტუტში, ქ. ამსტერდამი, ნიდერლანდების სამეფო), მაგ. ნაძერწი სამშვენისების დასამზადებლად. გილოში აგრეთვე გვხვდება რომანულ, რენესანსისა და ნეოკლასიციზმის არქიტექტურაში; 2. ორნამენტული თარგი, რომელიც იქმნება რაიმე ზედაპირზე ურთიერთგადახლართული მრუდე ხაზების გამოყვანით (მაგალითად მეტალოდამუშავებაში); 3. იხ. ორნამენტული მოტივი "გილოში" (ნახ. 1-ნახ. 5).



გიმნაზია – კლასიკურ საბერძნეთში ნაგებობა ან სათავსი ფიზიკური ვარჯიშებისათვის (სატანვარჯიშო მოდანი); შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებში და ნიშნავდა სკოლას, საშუალო განათლების მისაღებ სასწავლებელს, სადაც რეალური სასწავლებლისგან განსხვავებით, ასწავლიდნენ კლასიკურ ენებს (ბერძნულსა და ლათინურს).

გირაგი – ხელსაწყო, რომელშიც რაიმე საგანს ამაგრებენ (ნახ. 1), რათა შემდეგ დაამუშაონ (მაგ., გირაგი საზეინკლო სამუშაოების ჩატარებისათვის).

გირავნობა – მოძრავი ნივთებისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორს ჰქონდეს სხვა მევალეებთან შედარებით ამ ნივთებითა და სიკეთეებით მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატესი უფლება.

გირავნობის სიგელი – უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე ბანკის მიერ გაცემული სავალო მოწმობა.

გირაო – სავალო ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფილია კონკრეტული უძრავი ქონებით (მიწა ან შენობა-ნაგებობა). სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხი. იმ შემთხვევაში, თუ მევალემ აღებული ვალდებულება არ შეასრულა, გირაოს საფუძველზე კრედიტორს უფლება აქვს მიითვისოს საგირავნო ქონება. საგირავნო ურთიერთობები რეგულირდება კანონით გირაოს შესახებ.

გირაცია (ლათ. gȳrātiōn სპირალურად მოძრაობა) – 1. სხეულის რხევით-წრიული მოძრაობა; 2. სინათლის პოლარიზაციის სიბრტყის ბრუნვა, რომელიც არის ანიზოტროპიულ კრისტალებში ოპტიკური ეფექტის ერთ-ერთი მაგალითი. პოლარიზებული სინათლის სხივის რხევის სიბრტყე ოპტიკურად აქტიურ კრისტალში იცვლის თავის ორიენტაციას – ბრუნავს.გ. კუთხის სიდიდე დამოკიდებულია კრისტალის სტრუქტურასა და მასში გამავალი სხივის სიგრძეზე. ყველაზე დიდი ოპტიკური აქტიურობით გამოირჩევა თხევადი კრისტალები. გ. მოვლენას ყოველთვის იწვევს ოპტიკურად აქტიური გარემოს ასიმეტრიული ელექტრონული აგებულება. ზოგიერთ კრისტალებში შესაძლებელია გირაციის მართვა, რაც წარმატებით გამოიყენება ოპტიკურ ხელსაწყობსა და სისტემებში.

გირვანქა – 1. მასის ერთეული მრავალ ქვეყანაში, რომელსაც აქვს განსხვავებული სიდიდე – 317,62-დან 560 გრამამდე; 2. მასის ძირითადი ერთეული ინგლისურ საზომთა სისტემაში, უთანაბრდება 0,4536 კგ-ს, სააფთიაქო და სამონეტო გირვანქა – 0,3732 კგ-ს; 3. მასის ერთეული რუსულ სისტემაში, რომელიც გაუქმდა 1918 წელს. 1 გირვანქა = 1/40 ფუთს = 32 ლოტს = 0,4095 კგ-ს; 4. ზოგი ქვეყნის ფულის ერთეული, მაგ., ინგლისური გირვანქა სტერლინგი, ეგვიპტური გირვანქა და სხვ.

გირლანდა (ფრანგ. garlande ყვავილების გვირგვინი) – იხ. ყვავილწნული.

გირო (ლათ. gȳrus<ბერძ. gýros წრე, რგოლი, ბეჭედი<gȳrós მრგვალი) – რთული სიტყვის ნაწილი, რომელიც მიუთითებს მის კავშირს მბრუნავ მოძრაობასთან მოძრავი ღერძის გარშემო, რომელიც უძრავ წერტილზე გადის (მაგ., გიროსკოპი).



გიროთეოდოლიტი (ბერძ. giros წრეში ტრიალი; theaomai ვუყურებ და dolichos გრძელი) – გეოდეზიური და მარკშეიდერული ხელსაწყო (ნახ. 1) ჭეშმარიტი (გეოგრაფიული) აზიმუტების დასადგენად ადგილობრივი საგნების მიმართულებთ. შედგება გირობლოკისგან, რომლის ძირითადი ნაწილი – მძიმე გიროსკოპი, არის ჭეშმარიტი მერიდიანის მიმართულების მაფიქსირებელი, და

კუთხესაზომი ნაწილისაგან ავტოკოლიმაციური სისტემის მქონე ოპტიკური თეოდოლიტის სახით.

გიროკომპასი (ლათ. gȳrus<ბერძ. gýros წრე, რგოლი, ბეჭედი<gȳrós მრგვალი და ლათ. com- - თან, ერთად და pāssus ნაბიჯი) – კომპასი, რომელშიც ისრის როლს გიროსკოპი ასრულებს.

გიროორიენტატორი (ბერძ. giros წრეში ტრიალი და ისლანდ. trathk გათელვა) – გიროსკოპული ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ხდება ობიექტის ადგილმდებარეობის დადგენა.

გიროსკოპი (ლათ. gȳrus<ბერძ. gýros წრე, რგოლი, ბეჭედი<gȳrós მრგვალი და skopós დამკვირვებელი) – ფრანგი მეცნიერის ჟან ბერნარ ლეონ ფუკოს 1852 წელს გამოგონებული მექანიკური მოწყობილობა (ნახ. 1), რომელიც შედგება სწრაფად მბრუნავი დისკოს (როტორის), მისი ღერძისა და კარდანული სახსრისაგან. როტორის დისკი (1) ღერძის მეშვეობით (2) მოძრავადაა მიმაგრებული კარდანული სახრის (3) შიგა რგოლთან, რომელიც თავის მხრივ ასევე მოძრავადაა მიმაგრებული კარდანული სახსრის (3) გარე რგოლთან (გიროსკოპის ჩარჩოსთან). როტორის ბრუნვის ღერძის მიმართულება დამოკიდებული არ არის კარდანული სახსრის გარე ჩარჩოს ორიენტაციაზე. გ. ძირითადი ფუნქციაა დედამიწის გრავიტაციის გამოყენებით სივრცეში ორიენტაციის დადგენა, მოძრაობის მიმართულების განსაზღვრა და წონასწორობის შენარჩუნება. მოქმედების პრინციპის მიხედვით არსებობს ძირითადად ორი სახის გიროსკოპი: მექანიკური [მაგ., როტორული გიროსკოპი, პიეზოელექტრული გიროსკოპი, ვიბრაციული გიროსკოპი, მიკროელექტრომექანიკური სისტემის გიროსკოპი (გამოიყენება პორტატიულ ელექტრონულ მოწყობილობებში, მაგ., ტაბლეტური კომპიუტერები, სმარტფონები, სმარტსაათები და სხვ.] და ოპტიკური (მაგ., ლაზერული გიროსკოპი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი გიროსკოპი და სხვ.). თანამედროვე გიროსკოპების ფორმები, ზომები, მოქმედების პრინციპი და სიზუსტე განსხვავებულია და ისინი გამოიყენებიან სანავიგაციო სისტემებში, ფართო სპექტრის ელექტრონულ მოწყობილობებში და სხვ.



გიროსკოპი სიმეტრიული – გიროსკოპი, რომლისთვისაც უძრავ წერტილში ინერციის ელიფსოიდი წარმოადგენს ბრუნვის ელიფსოიდს, ანუ ერთგვაროვანი სიმეტრიული ტანი, რომელიც ასრულებს სწრაფ ბრუნვას სიმეტრიის ღერძზე მდებარე წერტილის მიმართ.

გიროსკოპული ეფექტი – გიროსკოპის საკუთარი ბრუნვის ღერძის იძულებითი ბრუნვის დროს ინერციის ძალის მომენტის წარმოქმნა.

გიროტაქომეტრი (ბერძ. giros წრეში ტრიალი; tachos სიჩქარე და métron გაზომვა) – კუთხური სიჩქარის გიროსკოპული საზომი.

გისონი – პარაპეტი; სახურავის, აივნის, ხიდის, სანაპიროსი და მისთ. შემომზღუდავი დაბალი კედელი, რომელიც მეტნაწილად ყრუ ზღუდეს წარმოადგენს.

გისოსი (ცხაურა) – 1. დამცავი ან გამყოფი ორნამენტული კონსტრუქცია, დამზადებული ლითონის წნელისაგან; 2. ცხავის სამუშაო ნაწილი, რომელიც გამცრელ ზედაპირს წარმოადგენს. არსებობს გისოსის სახეები: ამრეკლი, გადამღობი, დამცავი, კარის, კედლის, კრისტალური, ლითონის, მასწორებელი, მოაჯირის, მცველი, რკალსაქრობი, რომბული, სამილე, სანჯღრევი, სივრცული, ფანჯრის (ნახ. 1), ღობის, ცეცხლრიკები, წამწის, წყალსარინის, წყალშემკრების, ხისა და სხვ.



გიტარდა (ფრანგ. guitarde) – ფრანგული სამერცხული (იხ. სამერცხული კოშკური).

გიშერი (ინგლ. jet<ძვ. ფრანგ. jaiet<ბერძ. gagatēs<ტერმინის წარმომავლობა დაკავშირებულია მცირე აზიის ქალაქ "გაგაი"-ს სახელთან) (შავი ქარვა, შავი იასპი; გაგატი) – ქვანახშირის სახესხვაობა, ჯდომადი მთის ქანი, ერთგვაროვანი, მკვრივი, ბლანტი, მბრწყინავი მასალა, სანახელავო ქვა, რომელიც ადვილად ექვემდებარება მექანიკურ დამუშავებასა და გაპრიალებას; ლიგნიტის სახესხვაობა. სიმკვრივე – 1300-1400 კგ/მ^3; სიმაგრე მინერალოგიური სკალის მიხედვით – 3-3,5. წარმოშობა დაკავშირებულია ზღვის ფსკერის მეზოზოიური და კაინოზოიური დანალექების გარდაქმნებთან, გამოწვეული მერქნის მეტამორფოზის გავლენით. გვხვდება ცალკეული გროვების, ნატეხების სახით ქვიშაქვებში, მერგელებში, მცირედ მეტამორფოზულ ქანებში და სხვ. ფართოდ გამოიყენება საიუველირო საქმეში. გაგატისაგან დამზადებული სამკაულები ძალზედ პოპულარული იყო ვიქტორიანულ ინგლისში.


ნახ. 1

გიშის ეკლესია (გიშის ღვთისმშობლის საყდარი) (ინგლ. Gishi Church) – X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქრისტიანული ტაძარი ისტორიულ ჰერეთში (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს საქართველოს ყოფილ ტერიტორიაზე საინგილოში, სოფელ გიშის აღმოსავლეთით მაღლობზე, მდ. გიშის (ახლანდელი ქიშჩაი) წყლის ხეობაში, ქ. შაქიდან 4-5 კმ-ის დაშორებით (აზერბაიჯანის რესპუბლიკა). თვით გიში, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის, ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო და წუქეთის საერისთაოს ცენტრი გახლდათ, იგივე გრიგოლისძეთა, რეზიდენცია. მეცნიერული კვლევების თანახმად (პ. იოსელიანი) მეფე ვახტანგ გორგასალს V საუკუნეში გაუხსნია აქ ეპარქია, ხოლო VII საუკუნეში არჩილ მეფეს დაუარსებია გიშის საეპისკოპოსო კათედრა.


ნახ. 1

კუპელჰალეს (გუმბათიანი) ტიპის მცირე ზომის (6,9x7,7 მ) საყდარი (ტაძარი) ნაშენია, უხეშად დამუშავებული, ადგილობრივი ფორებიანი შირიმის თლილი ქვით და მშვენივრად არის დაცული. ეკლესია ერთგანყოფილებიანი

წაგრძელებული დარბაზია, რომელიც წრიული მოხაზულობის აბსიდითაა დაბოლოებული. ეკლესიის კედლის სისქე ერთ მეტრს აღემატება. ნაშენებია უხეშად ნათალი ფორიანი – შირიმის ქვით და კირის დუღაბით; საშენ მასალად ნაწილობრივ რიყის ქვებიცაა გამოყენებული.

ნაგებობა შიგნით და გარეთ მთლიანად შელესილი ყოფილა კირის ხსნარით. დასავლეთიდან კარიბჭის კედელზე მიშენებული ყოფილა სამრეკლო, რომლის მასიური კვადრატული კვეთის (1,0x1,0 მ) პილონები დღესაცაა შემორჩენილი. საყდარს გარშემო ქვის დიდი გალავანი ჰქონია შემოვლებული. საყდრისა და გალავნის შემოგარენში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებია შემორჩენილი.

გუმბათი სწორედ იმ ფორმისაა (კონუსური) რომელიც საერთოდ ახასიათებს ქართულ ეკლესიებს. გუმბათის ცილინდრული ყელი ტაძრის პროპორციებთან შედარებით მაღალია და მასში 6 სარკმელია გაჭრილი. სარკმლის საპირეები ყელზეც და კედლებზეც მარტივი სწორხაზოვანი ლილვებითაა მორთული. ანალოგიური დეკორაციული ლილვებითაა დამშვენებული გუმბათის ყელის ზედა და ქვედა ნაწილებიც. ტაძარში შესასვლელი და გუმბათი XIX საუკუნეშია განახლებული. გადაკეთებისა და შელესილობის მიუხედავად, შეინიშნება ძველი ეკლესიის კვალი.

გიშრისფერი – ძალიან შავი.

გლანცგოლდი (გერმ. glanz თვალის გადავლება და gold ოქრო) – "თხევადი ოქრო", ბლანტი სითხე ფაიფურის მოსახატავად.

გლანცზილბერი (გერმ. glanz თვალის გადავლება და silber ვერცხლი) – "თხევადი ვერცხლი", ბლანტი სითხე ფაიფურის მოსახატავად.

გლასისი (ფრანგ. glacis ფერდი, ქანობი) – 1. შუა საუკუნეებისა და ადრეული თანამედროვე საფორტიფიკაციო ნაგებობების გარე თხრილის წინ გაკეთებული დამრეცი მიწის ნაყარი, რომელიც აუმჯობესებდა ციხე-სიმაგრის მხრიდან ცეცხლის დაშენის პირობებს, უზრუნველყოფდა სიმაგრის კარგად შენიღბვას და აუმჯობესებდა თავდაცვას (ნახ. 1. ფორტი მაკ-ჰენრი, ქ. ბალტიმორი, მერილენდის შტატი, აშშ); 2. საფორტიფიკაციო ნაგებობის ირგვლივ არსებული ცარიელი სივრცე, რომელიც განთავსებულია მიწის ნაყარის წინ ან ამ ნაყარის განადგურების შემთხვევაში იკავებს მის ადგილს. სიმაგრის ქალაქად ფორმირების დროს ეს სივრცე ხშირად გარდაიქმნებოდა ქალაქის რომელიმე მოედნად ან მის ადგილას ჩნდებოდა გამწვანებული ბაღი; 3. დაჯავშნული საბრძოლო მანქანის კორპუსის დახრილი წინა მხარე, რომელიც ხშირად შედგებოდა ზედა და ქვედა ნახევრებისგან.



გლაუკონიტი (ბერძ. glaukos ღია მწვანე) – ცვალებადი ქიმიური შემადგენლობის ჰიდროქარსების ჯგუფის მწვანე ან მოცისფრო-მწვანე მინერალი. გამოიყენება ხისტი წყლის დასარბილებლად, ნიადაგის სასუქად, საღებავების დასამზადებლად.

გლაციოლოგია (ლათ. glacies ყინული და ბერძ. lógos სიტყვა, გამონათქვამი, თანაფარდობა) – მეცნიერება ბუნებრივი სისტემების შესახებ, რომელთა თვისება და დინამიკა ყინულითაა განსაზღვრული. მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ჰიდროსფეროში, ატმოსფეროსა და ლითოსფეროს ზედა ფენებში არსებული ბუნებრივი ყინულები, მათი განვითარების დინამიკა, გარემოსთან ურთიერთკავშირი, ყინულის რეჟიმი და მათი როლი დედამიწის ბუნებრივი გარემოს ევოლუციაში.

გლედიჩია (ლათ. gleditschia) – ხის ჯიში, რომელიც გავრცელებულია ამერიკის კონტინენტზე და კასპიისპირეთში. ცნობილია თორმეტამდე სახეობა. ამერიკული გ. ტანმაღალი ხეა, გული მოვარდისფრო აქვს, მაგარია და წყალში საკმაოდ გამძლე. კასპიის გ. ტანდაბალი ხეა (13 მ-მდე). მერქანი მოყვითალო ფერის აქვს. მაგარია, მაგრამ ადვილად ლპება. საქართველოში გავრცელებულია სხვადასხვა სახელით: ქაჯეკალა, ღობის ეკალი, რუსული ეკალი, ქაცვი-ეკალი, დიდი ეკალი, საწოვარა (იმერეთი); ხეეკალა, ხელურსმანა, ლურსმანა, ჭოტი ხე (კახეთი); დიდეკალა (ქიზიყი) და სხვ.

გლეტჩერი (გერმ. gletscher<ლათ. glacies ყინული) – ყინულის მასა, რომელიც წარმოიქმნება მარადთოვლიან მთებში და სიმძიმის ძალის გავლენით თანდათანობით ეშვება ქვევით, დაბლობებში; ხეობის მყინვარი.

გლიეჟი (მიწის წიდა, პორცელანიტი) – გამომწვარი ქანი, წარმოქმნილი მიწისქვეშა ხანძრების შედეგად ქვანახშირის ფენებში. გამოიყენება კირის, თაბაშირის, ცემენტის აქტიურ ჰიდრავლიკურ მინერალურ დანამატად (პორტლანდცემენტში არაუმეტეს 15%, ხოლო პუცოლანურ პორტლანდცემენტში – 25-40%).

გლინვა – ლითონების წნევით დამუშავება, რომლის დროსაც ორ მბრუნავ გლინს შორის ლითონის დეფორმაციის პროცესი მიმდინარეობს. საგლინავი წარმოების პროდუქციაა: რელსები, მილები, პროფილები, ფურცლები და სხვ.



გლინული – 5-10 მმ დიამეტრის მქონე ცხლადგლინული მავთული (ნახ. 1), რომელსაც ამზადებენ საგლინავ დაზგებზე. ძირითადი მასა მიდის ცივჭიმული მავთულის დასამზადებლად (0,01 მმ-მდე). ფოლადის გ. ამზადებენ გლუვ არმატურას საკიდებისათვის (რკ.ბ.-ის კონსტრუქციებისათვის) და ზამბარებს.



გლიპტიკა (ფრანგ. glyptique<ბერძ. glyptikós გრავირება; ქვაზე კვეთა) – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახე, ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებზე მხატვრული ჭრის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხელოვნება (ნახ. 1).

გლიპტოთეკა (ბერძ. glyptos ამოჭრილი, ამოკვეთილი და thēkē

ყუთი) – 1. ქანდაკებათა ან ჩუქურთმებიანი ქვების კოლექცია; 2. ქანდაკების მუზეუმი.

გლიფთალი – თერმორეაქტიული, ელასტიური და წებვადი ხელოვნური ფისი, მიღებული გლიცერინის საფუქძველზე. მედეგია თბური დაძველებისადმი. კარგად იხსნება აცეტონში, სპირტისა და ბენზოლის ნარევში და სხვა გამხსნელებში. ძირითადად გამოიყენება ელექტროსაიზოლაციო ლაქების დასამზადებლად.

გლიცერინი (ბერძ. glukeros ტკბილი) – სამატომიანი სპირტების უმარტივესი წარმომადგენელი, ცხიმებისა და სხვა ლიპიდების სტრუქტურული კომპონენტი, ბლანტი გამჭვირვალე ჰიგროსკოპული სითხე. ფორმულა $C_3H_5(OH)_3$. მიიღება პროპილენის დაქლორვითა და შემდეგი გადამუშავებით. გლიცერინის გამოყენების არეა: ქაღალდისა და ტყავის, ლაქსაღებავების, ქიმიური, კვებისა და სამედიცინო მრეწველობა; საფეიქრო, პლასტმასისა და თამბაქოს წარმოება, სოფლის მეურნეობა; ელექტრო- და რადიოტექნიკა და სხვ.

გლობალური (ფრანგ. global საერთო<ლათ. globus სფერო, ბურთი) – 1. საერთო, მთლიანი, ერთად აღებული; 2. მთელი მსოფლიოს მომცველი.

გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სისტემა (გლობალური პოზიციონირების სისტემა) [ინგლ. Global Positioning System (GPS)] – აშშ-ის გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემა. იგი გვაწვდის ადგილმდებარეობის განსაზღვრის, ნავიგაციისა და განრიგის სერვისებს მსოფლიო მასშტაბით. მუშაობს ნებისმიერ ამინდში, დღესა თუ ღამეში, ყველგან დედამიწაზე ან დედამიწასთან ახლოს. GPS შედგება სამი ნაწილისაგან: დედამიწის ორბიტის გარშემო მოძრავი 32-მდე თანამგზავრის, დედამიწაზე ოთხი საკონტროლო სადგურისა და მომხმარებლის კუთვნილი GPS მიმღებისაგან.

გლობალური საგანგებო სიტუაციები – საგანგებო სიტუაცია, რომელიც თავის შედეგებით მოიცავს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას.

გლობულარული (ფრანგ. globulaire<ლათ. globulus ბურთულა) – ბურთულისებრი, ბურთისებრი.

გლობულინები (ლათ. globulus ბურთულა) – ბუნებაში დიდად გავრცელებული მცენარეული და ცხოველური ცხიმები.

გლობუსი (ლათ. globus სფერო, ბურთი) – დედამიწის მოდელი; კარტოგრაფიული გამოსახულება სფეროს ზედაპირზე (ნახ. 1).



გლორიეტა (ფრანგ. glorïette<ლათ. glōria სახელი, დიდება, პატივი) – შედარებით მცირე, სვეტნარებიანი ღია საპარკო ნაგებობა, რომელიც, როგორც წესი, მდებარეობს შემაღლებულ

ადგილას ან განთავსებულია ჰორიზონტის ჩამკეტ სივრცეში (ნახ. 1. გლორიეტა შონბრუნის სასახლის პარკში, ქ. ვენა, ავსტრია). პირველად გაჩნდა საფრანგეთში XVII საუკუნის მეორე ნახევარში.

გლოსარიუმი (გლოსარი) (ლათ. glossarium<ბერძ. glossa ენა) – 1. ტექსტის ლექსიკონი, რომელშიც მოძველებული და გაუგებარი სიტყვებია ახსნილი; 2. კანონებისა და იურიდიული აქტების განმარტებათა კრებული.

გლუვი საყრდენი – საყრდენი, რომლის რეაქციას აქვს მხოლოდ ნორმალური მდგენელი.

გლუვი სხეული – სხეული, რომლის რეაქციაც ყოველთვის მისი ზედაპირის ნორმალის გასწვრივაა მიმართული.

გლუვი ტრაექტორია – ტრაექტორია, რომლის მხები რეაქცია ნულის ტოლია.

გლუვი წირი – წირი, რომელსაც ყველა წერტილში აქვს უწყვეტად ცვალებადი მხები.

გლუკოზა – 1. ორგანული ნაერთი, მონოსაქარიდი ჰექსოზების ჯგუფიდან, უფერო კრისტალური ნივთიერება სუნის გარეშე. გვხვდება ხილისა (ყურძენი), კენკროვნების წვენსა და თაფლში. ის ცოცხალი ორგანიზმის ზრდისთვის აუცილებელი ენერგეტიკული წყაროა. ქიმიური ფორმულა $C_6H_{12}O_6$; სიმკვრივე – 1540 კგ/მ^3. გ. დეპონირდება მცენარეებში ხდება სახამებლის სახით, ხოლო გლუკოზის პოლიმერი – ცელულოზა წარმოადგენს მცენარეთა უჯრედოვანი გარსის ძირითად შემადგენელს.

გლუტინი [ლათ. gluten (glutinis) წებო] – ცხოველური წებო, რომელიც ხრტილების, მყესებისა და მისთ. მოხარშვით მიიღება.

გლჰატუნი – სომხეთის მთიან რეგიონებში დარბაზის ტიპის საცხოვრებელი; დედაბოძზე დაყრდნობილი ქვის ნაგებობა გვირგვინიანი გადახურვით.

გნეისი [გერმ. Gneiss მეტამორფული ქანის ტიპი<ალბათ შუა ზემოგერმანული gneist ნაპერწკალი<ძვ. (ასეთ შემთხვევებში ძველი ძვ.-დ გადავაკეთოთ ყველგან) ზემოგერმანული gneisto ნაპერწკალი (ქვის ბრჭყვიალების გამო)] – გრანიტის სახესხვაობა (ნახ. 1), დედამიწის ქერქში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, ფიქლებრივი სტრუქტურის მქონე მეტამორფული ქანი, რომელიც შედგება, უპირატესად, კვარცის, მინდვრის შპატებისა და ქარსისაგან. დედამიწის ქერქის სიღრმეში ის დიდი წნევის და მაღალი ტემპერატურის პირობებში ქანების მეტამორფიზმის შედეგად ჩნდება. მაგმური ქანის შეცვლით მიღებულ გნაისს ორთოგნაისს უწოდებენ, დანალექი ქანების შეცვლით გაჩენილს კი – პარაგნაისს. გნაისებს მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით დედამიწის ქერქის აგებულებაში. მათი დიდი ნაწილი არქეულ ან პროტეროზოური გეოლოგიურ ერას მიეკუთვნება. საქართველოში გვხვდება პალეოზოური ერის გნაისები. სამშენებლო თვისებები იგივეა, რაც გრანიტის; გამოიყენება საძირკვლისა და ცოკოლის წყობისათვის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოსაპირკეთებლად და სხვ.



გნომონი (ბერძ. gnōmōn მზის საათი) – 1. უძველესი ასტრონომიული ხელსაწყო, რომლითაც არკვევდნენ მზის სიმაღლეს ჰორიზონტიდან; 2. მზის საათი.



გობელენი (ფრანგ. gobelin<ფრანგი მატყლის მღებავის ჟ. გობელენის სახელის მიხედვით) – ავეჯის გადასაკრავად, მოფარდაგების ან სხვა მიზნისათვის განკუთვნილი ქსოვილი (ნახ. 1), რომელიც თავდაპირველად (XVII-XVIII სს.) ხელით ნაკეთობას წარმოადგენდა და გარკვეულ სიუჟეტს ასახავდა.

გობი – 1. თეფშის მსგავსი დიდი ზომის ამოთლილი ან შეკრული ხის ჭურჭელი; 2. უდაბნოს, ნახევრად უდაბნოს და მშრალი სტეპის გავრცელებული არე ჩინეთსა და მონღოლეთში.

გოგირდი – ყვითელი ფერის, სუსტი ტოქსიკური მოქმედების, მყარი ნივთიერება. გვხვდება ამორფულ და სხვადასხვა კრისტალურ მდგომარეობაში. გოგირდის მტვრის გარემოში ხანგრძლივად ყოფნა იწვევს თავის ტკივილს, დაღლილობას, კანის დაავადებებს (კერძოდ, ეგზემას).

გოგირდმჟავა – ძლიერი ორფუძიანი მჟავა (H_2SO_4). ჩვეულებრივ პირობებში კონცენტრირებული გოგირდმჟავა – მძიმე ზეთისმაგვარი უფერო და უსუნო სითხე. ტექნიკაში გოგირდმჟავას უწოდებენ როგორც მის წყლის ნარევს, ისე გოგირდის ანჰიდრიდთან SO_3 ნარევსაც. სიმკვრივე 1,84 ტ/მ^3. კარგად იხსნება წყალში. მე-20 საუკუნემდე გ. ხშირად უწოდებდნენ შაბიამანს (როგორც წესი ეს იყო კრისტალური ჰიდრატი, რომელიც კონსისტენციით ზეთს ჩამოჰგავდა) ან შაბიაბნის ზეთს. აქედანაა მისი მარილების სახელწოდებებიც (კერძოდ კი კრისტალური ჰიდრატების). გ. წარმოქმნის მარილების ორ რიგს: საშუალოს – სულფატებს და მჟავეს – იჰიდროსულფატებს, ასევე ეთერებს. ცნობილია პეროქსომონოგოგირდმჟავა (ან კაროს მჟავა) H_2SO_5 და პეროქსოდიგოგირდმჟავა $H_2S_2O_8$. გახურებისას იშლება CO_3-ის გამოყოფით, რომელიც ჰაერში წყლის ორთქლთან წარმოქმნის გ. თეთრ ბოლს, რომლის ჩასუნთქვა იწვევს მწვავე და ქრონიკულ მოწამვლას. გამოყენების სფერო: ლითონდამამუშავებელი, სასუქების, ფეთქებადი ნივთიერებების წარმოება, ნავთობის მრეწველობა, ელექტროლიტი ტყვიის აკუმულატორებში, სხვადასხვაგვარი მინერალური მჟავებისა და მარილების მიღება, ტექსტილისა და ტყავის გადამამუშავებელ დარგებში, ორგანული სინთეზის რეაქციები (დეჰიდრატაცია, ჰიდრატაცია, სულფირება, ალკილირება, ფისების აღდგენა ფილტრებში დისტილირებული წყლის წარმოებაში) და სხვ. გ. მსოფლიო წარმოება მიახლოებით 160 მლნ. ტონას შეადგენს წელიწადში. ყველაზე მსხვილი მომხმარებელია – მინერალური სასუქების წარმოება.



გოდოლი –1. ძვ. დონჟონი, კოშკი. შენობის საერთო მოცულობიდან მკვეთრად გამოყოფილი, გეგმაში ჩვეულებრივ კვადრატული, მრავალკუთხა ან წრიული მოხაზულობის ნაწილი, რომლის სიმაღლე საგრძნობლად სჭარბობს ფუძის ზომებს. ასეთივე პროპორციების მქონე ცალკე მდგომი ნაგებობა; 2.

წრიულგეგმიანი კოშკი (ნახ. 1. დუნაგორის ციხის გოდოლი, ს. დულინი, ირლანდია).



გოდორი – წნელის ან ტკეჩის მოზრდილი მაღალი ჭურჭელი (ნახ. 1. დაწნული მრგვალი გოდორი თავსახურავით). გამოიყენება სიმინდის, ლობიოს, ციტრუსის, ჩაის ფოთლის, თხილის, ცერცვისა და მისთ. ჩასაყრელად და გადასატანად.

გოეთიტი (ინგლ. goethite<გერმანელი მწერლის იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს სახელის მიხედვით) – მუქი ან მოყვითალო-ყავისფერი მინერალი, რკინის ჰიდრატირებული ჟანგი. გვხვდება ბოჭკოვანი კრისტალების ბოჭკოს სახით.

გომი – მსხვილფეხა რქიანი საქონლის ზამთრის სადგომი.

გომიზი – ძვ. ხის წებო.

გონდოლა (იტალ. gondola<ბერძ. kontoúra პატარა ნავი) – 1. დახურული ვაგონი საჯდომი ადგილებით 2-8 მგზავრისათვის; 2. ერთნიჩბიანი გრძელი და ბრტყელძირა ვენეციური ნავი, რომელსაც აქვს აწეული ფიგურული ცხვირი და მაღალი კიჩო (ნახ. 1); 3. დირიჟაბლის (ნახ. 2), აეროსტატის, სტრატოსტატის ნაწილი ("კალათი"), რომელშიც თავსდება ეკიპაჟი, აგრეთვე მექანიზმები, ხელსაწყოები და სხვ. 4. რკინიგზის უსახურავო თვითსაცლელი ნახევარვაგონი.







გონიო (ბერძ. gōnia კუთხე) – 1. მყარი სხეულის ბრტყელ წახნაგებს შორის კუთხის გამზომი ხელსაწყო (ნახ. 1. კუთხის საზომი ციფრული გონიო). გამოიყენება კრისტალოგრაფიაში, გეოდეზიაში, მშენებლობასა და სხვ.; 2. კურორტი შავი ზღვის პირას, აჭარაში, გონიო-კვარიათის უბანში, თურქეთის საზღვართან ახლოს.

გონიომეტრია (ბერძ. gōnia კუთხე და métron გაზომვა) – 1. ტრიგონომეტრიის შესავალი ნაწილი, რომელიც სწავლობს კუთხეების გაზომვის ხერხებს; 2. კრისტალოგრაფიის ნაწილი, რომლის საგანია კრისტალების გაზომვის ხერხებისა და მეთოდების შემუშავება.

გონიოს ციხე (აფსაროსი) (ინგლ. Gonio Fortress) – ისტორიული ციხესიმაგრე აჭარაში, ბათუმის უბან გონიოში, შავი ზღვის ნაპირზე, მდინარე ჭოროხის შესართავთან, მარცხენა მხარეს (ნახ. 1. საერთო ხედი). ამ რეგიონში აღმოცენდა კოლხური ბრინჯაოს კულტურა და პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები – დაიაენი და კულხა (ძვ. წ. XIII-VIII საუკ.). ანტიკური წყაროების თანახმად აფსაროსის დაარსება არგონავტების ექსპედიციას უკავშირდება. მათ მიერ აიეტის ვაჟის აფსირტეს მოკვლას და ამ ადგილას დაკრძალვას. თუმცა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით უძველესი დასახლება აქ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. საკუთრივ ციხე აქ რომაელებმა I საუკუნის 70-იან წლებში ააგეს. II საუკუნეში აქ რომაელთა ლეგიონები იდგა და იგი საკმაოდ ძლიერი, კეთილმოწყობილი, გამაგებული ციხე-ქალაქი იყო. გონიოს ციხე XII საუკუნის შემდეგდროინდელი სახელწოდებაა. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია I-III საუკუნეების ნაგებობები: აბანოები, ყაზარმები, პრეტორიუმი, კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის სისტემები, ჭები და ა.შ. საუკუნეების მანილზე ჯერ რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია და იტალიის ქალაქ-რესპუბლიკები (გენუა და სხვ.) დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრისადმი. 1547 წელს ციხე ოსმალებმა დაიკავეს და მათ მფლობელობაში იყო 1878 წლამდე, როდესაც სან-სტეფანოს ზავით აჭარასთან ერთად რუსეთის იმპერიას გადაეცა.

ციხე გეგმით დიდი ზომის მართკუთხედია (195×245 მ). ყოველ მხარეს თითო ჭიშკარი აქვს, გალავანი 18 კოშკითაა (ნახ. 2. კუთხის კოშკი) გამაგრებული. კუთხის კოშკები უფრო დიდია. გონიოს ციხე უხერშად გათლილი ქვის კვადრებითაა ნაგები. შეინიშნება რამდენიმე სამშენებლო ფენა. პირველი ფენა (III-V სს.) გამოირჩევა კარგი დამუშავებითა და წყობით, მეორე ფენის კოშკებიანი კედლები (VI-VII სს.) შედარებით დაბალი ხარისხისაა, მესამე ფენა კი ოსმალების ბატონობის პერიოდს განეკუთვნება (XVI ს.).

სავარაუდოდ გონიოს ციხეში მდებარეობს ქრისტეს 12 მოციქულიდან ერთ-ერთის, წმინდა მათეს საფლავი.



ნახ. 1



ნახ. 2

Не удается отобразить связанный рисунок. Возможно, этот файл был перемещен, переименован или удален. Убедитесь, что ссылка указывает на правильный файл и верное размещение.

გონტი – სოლისებრი ფიცარი გრძივი ღარით ტორსულ ნაწილში (ნახ. 1).

გორა – 1. მრგვლად ამაღლებული ადგილი, დიდი ბორცვი; 2. ზვინი, გროვა რისამე; 3. ძვ. მარცვლეულისა და სითხის საწყაო ლეჩხუმში.



გორგალი – დახვეული მავთულის სახით მიწოდებული საარმატურე ფოლადი (d < 14 მმ), რომლის 80%-ის დამუშავება (გასწორება, დაჭრა) ხდება მრავალოპერაციულ ავტომატიზებულ დაზგაზე. გორგალის სახით გვხვდება აგრეთვე ბაგირები, გვარლები და სხვ. (ნახ. 1)

გორგოლა – 1. პატარა ბორბალი; 2. პატარა ბურთულა.

გორგოლაჭი – 1. ცილინდრული, კონუსური ან კასრისებრი ფორმის სხეული, რომელიც სხვადასხვა მასალისაგან მზადდება და აქვს მრავალგვარი დანიშნულება: ამომრთველი, გასართი, დამჭიმი, დასაჭერი, კუთხვილსაკეჭნი, ლენტმიმმართველი, მათანაბრებელი, მგორავი, მიმმართველი, მიმჭერი, მიმყოლი, მოქანავე, საბრუნი, სავალი, საპრიალებელი, საყრდენი, ფრიქციული, ჩამრთველი, წამყვანი და სხვ.; 2. პატარა ბორბალი, თვალი; 3. ურმის, საზიდარის, ეტლისა და სხვა მატარებლის ბორბალი; 4. მოქანავე ტანი ბურთულსაკისარში.

გორგოლაჭსაკისარი – გორვის საკისარი ცილინდრული, კონუსური ან კასრისებრი ფორმის გორგოლაჭებით (ნახ. 1. ორრიგა რადიალური სფერული გოგოლაჭსაკისარი). მისი ნაირსახეობებია: ნახევარღერძის, ნემსოვანი, რადიალური, სფერული, ცილინდრული, კონუსური, გასახსნელი, ხვეულგორგოლაჭებიანი და სხვ.



ნახ. 1



ნახ. 1

გორელიეფი (ფრანგ. haut relief<haut მაღალი და relief რელიეფი, ამოზნექილობა) – სკულპტურული სამკაული, მაღალი ბარელიეფი, რომელიც საკუთარი მოცულობის ნახევარზე მეტადაა ამოწეული ფონის ზედაპირიდან (ნახ. 1). ზოგიერთი ელემენტი შეიძლება მთლიანად მოცილებული იყოს სიბრტყეს. გორელიეფის მეშვეობით გამოსახავენ მრავალფიგურებიან სცენებსა და პეიზაჟებს არქიტექტურულ ნაგებობებსა და შენობებზე.

გორვა – ორი მყარი ზედაპირის ან წირის ფარდობითი მოძრაობა, როდესაც მათი ელემენტები ეხება მიმდევრობით და მათი მყისი ფარდობითი მოძრაობები წარმოადგენს ბრუნვას იმ

ღერძების გარშემო, რომლებიც მდებარეობენ შესაბამის საერთო მხებ სიბრტყეებში. ამ ზედაპირების ან წირების შეხების წერტილების ფარდობითი სიჩქარეები ნულის ტოლია.

გორვის სიჩქარე – მგორავი მყარი სხეულის კუთხური სიჩქარე იმ სხეულის მიმართ, რომელზეც იგი მიგორავს.

გორვის ხახუნი – რეალური (დეფორმირებადი) სხეულის გორვისადმი წინაღობა (იხ. ხახუნი).

გორვის ხახუნის კოეფიციენტი – კოეფიციენტი, რომლის რიცხვითი სიდიდე ტოლია იმ მონაკვეთის სიგრძისა, რომელზეც გადაადგილდება საყრდენის ნორმალური რეაქციის ფუძე გორვის დროს დეფორმაციის შედეგად.

გორის საკათედრო ტაძარი (ინგლ. Gori Cathedral Temple) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, გორის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, გორის მუნიციპალიტეტში, ქ. გორში (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა).



ნახ. 1

აგებულია 1806-1810 წლებში, როგორც კათოლიკური ეკლესია. 1920 წ. ძლიერ დააზიანა მიწისძვრამ. ის ჯვარგუმბათოვანი ტიპის ტაძარია ზომებით გეგმაში 24×15,6 მ, სიმაღლე 25 მ. ნაგებია აგურით. აქვს მაღალი, განიერი და მართკუთხა შესასვლელი დასავლეთის მხრიდან. შენობის გეგმა (ნახ. 3. გეგმა) ჩაწერილი ჯვარია, რომლის მკლავები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა წაგრძელებული.



ნახ. 2

აღმოსავლეთი მკლავი სრულდება ღრმა ნახევარწრიული კონქიანი აფსიდით, რომელშიც განთავსებულია საკურთხეველი, დანარჩენი მკლავები მართკუთხაა. მკლავების გადაკვეთის ადგილას, დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ სვეტზე და აფსიდის კუთხის პილასტრებიან შვერილებზე ორსაფეხურიანი ნახევარწრიული თაღებით დამყარებულია გუმბათი. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა აფრების მეშვეობითაა გადაწყვეტილი. აფსიდის მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულია სამკვეთლო და სადიაკვნე, რომლებიც ბემაში გაჭრილი თითო გასასვლელით უკავშირდებიან აფსიდს, ხოლო დასავლეთით გაჭრილი თითო კარით - შენობის დანარჩენ სივრცეს. სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე თითო ნახევარწრიული თაღით გახსნილი ღია პატრონიკეა, რომელიც დასავლეთ ნაწილში, მთელ სიგრძეზე, მეორე იარუსის დონეზე, მიჰყვება ინტერიერს.



ნახ. 3

შესასვლელის თავზე, აგრეთვე სამკვეთლოსა და სადიაკვნეს აღმოსავლეთით, პატრონიკეების ჩრდილოეთითა და სამხრეთით გაჭრილია სარკმლები. ყველა სარკმელი გარეთ

ვიწროვდება. აფსიდის ორივე მხარეს, პატრონიკეების გადახურვებზე რვაწახნაგა სამრეკლოებია აგებული, რომელთაგან თითოეულს ოთხ-ოთხი თაღი აქვს. სამრეკლოები დასრულებულია ნახევარსფერული გუმბათებით. 2000–იან წლებში ეზოში აშენდა ახალი, სამსართულიანი სამრეკლო და გალავანი.

აღმოსავლეთის ფასადზე საკურთხევლის აფსიდის წინ, ცენტრში ორსაფეხურიან ცოკოლზე დგას პორტიკი, რომლის დაპროფილებულკაპიტელებიან მრგვალ სვეტებს ეყრდნობა რთული ლავგარდნით შემკული არქიტრავი.


ნახ. 4

გუმბათის ყელი (ნახ. 4. გუმბათის ყელი) მდიდრულადაა მორთული 12 მოჩარჩოებული თაღოვანი სარკმლებით. არეები სარკმლებსა და დეკორატიულ თაღებს შორის შევსებულია რელიეფური წრეებით. დეკორატიული თაღების თავზე სიბრტყეთა მონაცვლეობით შექმნილია ფრიზის ზოლი. ფრიზისა და ლავგარდანს შორის ადგილი წრიული ვარდულებით არის შემკული. გუმბათის ყელს აგვირგვინებს კბილანებიანი რთულპროფილიანი ლავგარდანი. ასეთივე რთულპროფილიანი ლავგარდნითაა დასრულებული ეკლესიის ყველა ფასადი.

ტაძარი გადახურულია მოთუთიებული თუნუქით. ინტერიერი მოხატულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

გორის ციხე (ინგლ. Gori Fortress) – VIII-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ისტორიული ციხესიმაგრე შიდა ქართლის მხარეში, ქ. გორის ცენტრში, მაღალ კლდოვან ბორცვზე (ნახ. 1. საერთო ხედი; ნახ. 2. პანორამული ხედი; ნახ. 3. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციტადელი, "ცხრაკარა" და ციხის ეკლესია.

გორის ციხის ნანგრევებზე სხვადასხვა დროის მრავალი ფენა განირჩევა, მაგრამ თვით ძველი ქალაქის კვალი თითქმის მთლად წაშლილია ახალი განაშენიანებით. გორის ადრეული ხანის ისტორიაზე ცნობებია არ მოგვეპოვება, მაგრამ 1946 წელს ჩრდილოეთის ფერდობის ჩამოზვავებამ ისტორიის ერთი მეტად საყურადღებო ფურცელი გაგვიშალა: გამოჩნდა ანტიკური ხანის კედლის შესანიშნავი წყობა, რომელიც ძვ. წ. პირველი ათასეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება. ისტორიულ წყაროებში გორი პირველად VII საუკუნის პირველი ნახევრიდან იხსენიება. ზოგიერთი


ნახ. 1

ისტორიული წყაროს მიხედვით ქალაქი გორი მეფე დავით აღმაშენებლის დროს ასენდა (XII საუკუნის დასაწყისი).

XIII საუკუნის მეორე ნახევარში მონღოლებთან ბრძოლით დასუსტებულ საქართველოს კავკასიის მთების გაღმა ბინადარი ოსები შემოესიენ და გორი აიღეს. ისინი XIV საუკუნის 20-იან წლებში განდევნა მეფემ გიორგი ბრწყინვალემ. შემდეგ პერიოდში გორის ციხე მრავალჯერ იქნა დარბეული სპარსელებისა თუ ოსმალების მიერ. გორის ციხე ზარბაზნებითაც ყოფილა შეიარაღებული. 1474 წლიდან გორი სპარსელების ხელშია, თუმცა მალევე, ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478/79-1505 წწ.) სხვა ციხეებთან ერთად გორის ციხეც დაიბრუნა. XVI საუკუნეში სპარსეთის სეფიანთა დინასტიის მეორე შაჰმა თამაზმა (1524-1576 წწ.) მეოთხე შემოსევისას (1554 წ.) აიღო იგი, მაგრამ მომდევნო წლებში დაიბრუნა ქართლის მეფე სიმონ I-მა (1556-1569 და 1578-1599 წწ.). შემდეგი საუკუნის დასაყისში ციხეს კვლავ სპარსელები დაეპატრონენ (შაჰ-აბასი), თუმცა მათ მიერ დანიშნულმა გამაჰმადიანებულმა როსტომ მეფემ (ქართლის მეფე 1633-1658, კახეთის მეფე 1648-1656 წწ) ციხე სწრაფად აღადგინა, გაამაგრა და დღეს არსებული ციხის მეტი ნაწილი სწორედ როსტომის დროს არის აგებული. 1633 წელს იტალიელი მისიონერის კრისტოფორო დე კასტელის (1597-1659 წწ.) ნახატის მიხედვით ირკვევა, რომ დღეს არსებული ციხის მეტი ნაწილი სწორედ როსტომის დროს არის აგებული. XVIII საუკუნის დასაწყისში გორის ციხე ოსმალებს ეჭირათ. იგი დაიბრუნა ზემო ქართლის სადროშოს სარდალმა და გორის მოურავმა გივი ამილახვარმა (1689-1754 ან 1757 წწ.) შემდეგ ისევ სპარსელებმა (ნადირ-შახი) დაიპყრეს. XVIII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს კი დაიბრუნა კახეთისა (1733-1744 წწ.) და ქართლის (1744-1762 წწ.) მეფემ თეიმურაზ II-მ. XIX საუკუნიდან (საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ) გორის ციხემ პრაქტიკულად დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა. ამჟამად ციხიდან დარჩენილია მხოლოდ ის, რაც 1920 წლის ძლიერ მიწისძვრას გადაურჩა. ციხეს ოთხი მეტრის სიმაღლის და ხუთი მეტრის სიგანის, წყლით სავსე თხრილიც ჰქონია შემოვლებული. ციხის კედლები გორაკის რელიეფს მიჰყვება, რის გამოც მას უსწორო ფორმა აქვს. გეგმა დაგრძელებულია აღმოსავლეთ-



ნახ. 2



ნახ. 3

დასავლეთის ღერძზე. მდინარე ლიახვი წინათ გორაკს აღმოსავლეთის მხარეს ჩაუდიოდა, ეს გამოუყენებიათ მშენებლებს და სიმაგრის კედლები მდინარემდე ჩამოუყვანიათ. გორის ციხის შემორჩენილ ქვედა ყრუ კედლებს გასამაგრებლად სხვადასხვა დროს გარედან მიაშენეს კონტრფორტები (ნახ. 4. ციხის კედელი კონტრფორტებით). დღევანდელი სახე ციხემ 1774 წელს მიიღო, როდესაც იგი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე მეორემ.

გორის ციხე შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: ზედა პლატოზე მდებარე ოვალური ციტადელისა და დასავლეთის ფერდობზე ნაგები „ცხრაკარასაგან“. ციტადელის სამხრეთით და აღმოსავლეთით დამხმარე გალავნებია. სამხრეთის კედლის შუაში მოთავსებულია გვიანდელი ხანის კამაროვანი ჭიშკარი (ნახ. 5. კარიბჭე). ციხესიმაგრე ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით (ნახ. 6. ციხის კედელი; ნახ. 7. ციხის კედელი). ადრინდელ ფენებში თლილი ქვაა ნახმარი. ზოგან აგურიცაა გამოყენებული. გეგმით ოვალურ ციტადელს (180x40 მ; კედლების სიმაღლე შიგნიდან 1-3 მ, გარედან 10 მ-მდე; კედლის სისქე საშუალოდ 2 მ) დასავლეთიდან შედარებით უკეთ შემონახული ნაწილი – "ცხრაკარა"-ს ერთმანეთისაგან 15 მ-ით დაშორიშორებული კედლები ეკვრის (ნახ. 8. „ცხრაკარას“ კედელი). იგი ფერდობს ჩაუყვება, მდ. ლიახვისკენ ეშვება და ქვემოთ ნახევარწრედ იკვრება. ციხის ეს მონაკვეთი შვიდ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი, რომლებიც ერთმანეთს საფეხურებიანი გასასვლელებით უკავშირდება (ნახ. 9. ციხის გასასვლელები). ციხის მასიურ კედლებში ჩაშენებული იყო ნახევარწრიული ფორმის კოშკები (ნახ. 10. ციხის კედლის კოშკი), რომელთა პირველი სართული საცხოვრებლად, ხოლო მეორე და მესამე სართულები საბრძოლველად (გაჭრილი იყო სათოფურები) გამოიყენებოდა.



ნახ. 4

„ცხრაკარას“ აღმოსავლეთ მონაკვეთში განთავსებული მცირე დარბაზული ტიპის (12,0x7,0 მ) ეკლესია თარიღდება XI-XII საუკუნეებით. ნაგებია თლილი ქვით. გადახურული ყოფილა ცილინდრული კამარით, რომლის საბჯენი თაღი ჩრდილოეთით გრძივი კედლების წყვილ პილასტრებს ეყრდნობოდა. აქვე შემორჩენილია მაღალი დეკორატიული თაღის ფრაგმენტები.

ციხეს ჰქონდა მდ. ლიახვზე ჩასასვლელი გვირაბი წყლის ამოსაზიდად და წყალსაცავი.



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10

გორიჯვარი (გორიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი) (ინგლ. Goridzvari) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ქალაქ გორის პირისპირ, თრიალეთის მთებსა და მტკვრის სანაპიროზე, ამოზიდულ მთის წვერზე მდებარე ძველისძველი ტაძარი (ნახ. 1. პანორამული ხედი; ნახ. 2. საერთო ხედი).



გადმოცემის თანახმად, გორიჯვრის მონასტერი აგებულია IV საუკუნეში და მის საძირკველში წმინდა გიორგის თავის ქალა განისვენებდა. გორიჯვარი ცნობილია საკურთხევლის ხის ჯვრით, რომელიც IV საუკუნის დასაწყისში მთის წვერზე აღუმართავთ. ჯვრის სიგრძე 188 სმ-ია, სიგანე 94 სმ. შეძერწილია ვერცხლის ოქროცურვილი ფირფიტებით, რომლებზეც ჭედური სურათებია (ნახ. 3. გორიჯვრის ჯვარი). ჯვარს აქვს საბურავი (ქუდი), რომელიც შექმნილია XIII

საუკუნეში. ჯვრის ცენტრალური ხატება ეძღვნება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ხოლო დანარჩენ ნაწილებზე გამოხატულია წმინდა გიორგის ცხოვრებისა და წამების კომპოზიციები. თითოეულს თან ახლავს მოკლე განმარტებები ასომთავრული წარწერებით. ჯვარზე კიდევ 14 კომპოზიციაა. ეს ჯვარი წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება. წმინდა ნინოს დიდი მონდომებით სამი ხის ჯვარი აღიმართა მცხეთას, თხოთის მთაზე და უჯარმას; ამ ჯვრების მონარჩენი ნაჭრებიდან კი შეიქმნა გორიჯვრის ჯვარი. საქართველოს მეფე ალექსანდრე პირველმა (მეფობდა 1411-1442 წწ.) გორიჯვრის ხის ჯვარი ვერცხლის ფირფიტებით შეამკობინა. ჯვარი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. გორიჯვრის აღდგენილ ეკლესიაში კი ამ ჯვრის გალვანური პირია მოთავსებული.



ისტორიული მასალების თანახმად, გორიჯვარზე ორი სალოცავი მდგარა, რომელთაგან ერთი VIII-IX საუკუნის ნაგებობა იყო. მეორე კი – გვიანი ხანის ნაგებობას წარმოადგენდა (დასტურდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად). 1920 წლის მიწისძვრამ პრაქტიკულად მთლიანად დაანგრია გორიჯვარი და 1978-1988 წლებში მოხდა მონასტრის ტაძრის, სამრეკლოსა (ნახ. 4. სამრეკლო) და გალავნის აღდგენა დღევანდელი სახით. ტაძრის მოხატულობა ეკუთვნის მხატვარ ნოდარ აბრამიშვილს.



ნახ. 3



ნახ. 4

გოტიკა (იტალ. gotico გოტიკური<გერმანული ტომის გოტების სახელის მიხედვით) – ევროპის ხელოვნების განვითარების პერიოდი, რომელსაც გოტიკური ეწოდა. დაკავშირებულია ვაჭრობის, ხელოსნობის განვითარებისა და ზოგიერთ ქვეყანაში მონარქიის დამკვიდრების ხანასთან (XII საუკუნის ბოლო, XIII და XIV საუკუნეები). გოტიკური არქიტექტურისთვის დამახასიათებელია ტანწერწეტა, ზეცისკენ მისწრაფებული ტაძრები და საზეიმო ხასიათის რატუშები, წაისრული ფორმები, ახალი კონსტრუქციები (არკბუტანი, კონტრფორტი, ნერვიურიანი კამარა და სხვ.), ვიტრაჟები, ქანდაკების, არქიტექტურისა და ფერწერის ღრმა სინთეზი და სხვ.

გოტიკური არქიტექტურა – არქიტექტურული სტილი შუა საუკუნეების ევროპაში. ამ სტილით იყო აშენებული ამ პერიოდის რელიგიური და საერო ძეგლები და მაღალი კლასის საცხოვრებლები. ამჟამად ის ყველაზე თვალსაჩინოდ ტაძრებშია წარმოდგენილი. გოტიკური არქიტექტურა დაიბადა საფრანგეთში XII საუკუნის მეორე ნახევარში (ნახ. 1. გოტიკური არქიტექტურის შედევრი – სენ-პიერ დე ბოვეს ტაძარი, საფრანგეთი) და სწრაფად გავრცელდა იტალიაში (ნახ. 2. კათოლიკური ტაძარი დუომო მილანში), გერმანიაში (ნახ. 3. მარია ლააჰის სააბატო ლააჰის ტბის ნაპირას), ესპანეთში, ბელგიაში, ინგლისსა (ნახ. 4. კენტებურის ტაძარი) და სხვა ქვეყნებში XVI საუკუნის შუა ხანებამდე, იმ დრომდე, სანამ იტალიური რენესანსის გავლენით ნეოკლასიკური სტილი განვითარდა. სიტყვა "გოტიკური" ამ არქიტექტურულ სტილს მოგვიანებით ეწოდა და თავდაპირველად დამაკნინებელი კონოტაციის მატარებელი იყო. "გოტიკური" ხელოვნება იყო გუტების, ანუ ბარბაროსების ხელოვნება, რომლებმაც დაივიწყეს რომაული ტექნიკა და წესები. თუმცა დღეისთვის ბევრი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ეს ხელოვნება არ იყო რომაულ სტილს მოწყვეტილი და როგორც არქიტექტურული, ისე ფილოსოფიური თვალსაზრისით შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება. კაპეტინგების მეფობის პერიოდში გოტიკური არქიტექტურა განსკუთრებით პოპულარული გახდა. ამ პერიოდში მოსახლეობის დემოგრაფიული გაზრდა მოითხოვდა რელიგიური ნაგებობების გაფართოებას, რადგან დიდი იყო მორწმუნეთა რიცხვი. ამავე პერიოდში ვითარდება ქალაქები და ვაჭრობა, რაც იწვევს ახალი სოციალური კლასის, მდიდარი ბურჟუაზიის აღმოცენებას. გოტიკური სტილის გავრცელების საფუძველი გახდა ჩრდილოეთ საფრანგეთის საეპისკოპოსებს შორის კონკურენცია: ყოველ ეპისკოპოსს სურდა უფრო ლამაზი და დიდი ტაძარი, ვიდრე მის მეზობელს ჰქონდა. ამგვარად განვითარდა ახალი სტილი ჯერ საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში, შემდეგ კი დასავლეთ ევროპაში, ყველა ქვეყანაში თავისებური ნიუანსებით.



ნახ. 3



ნახ. 4

გოფრი (ფრანგ. gaufre ვაფლი) – სავარცხლისებრი ან ტალღისებრზედაპირიანი ლითონის, ხის (ნახ. 1) ან პლასტმასის (მინაპლასტიკის) ფურცელი, რომელიც გამოიყენება სახურავის, კედლის, ტიხრის, მოაჯირის დასაფარავად ან მილების (ნახ. 2) დასამზადებლად.





გოფრირება – ლითონის (ფოლადის, ალუმინის და სხვ.) და არალითონის (პლასტმასის, შიფერის, მუყაოს და სხვ.) ფურცლოვანი მასალების მოღუნვა მათი ზედაპირებისათვის ტალღოვანი ფორმის, ტრაპეციული, წრიული, სამკუთხა და სხვა პროფილის მისაცემად სიმტკიცის ამაღლების მიზნით.

გოფრირებული რკინა – ტალღოვანი პროფილის ლითონის ფურცელი.

გოჯილა – დახერხილი მასალის თაკარებად დაწყობის ერთ-ერთი სახეობა, რომელშიც მასალა ეწყობა ნაპირებზე, ხოლო თაკარის ცენტრი თავისუფალია, რაც ბუნებრივი შრობის პროცესს აჩქარებს.

გრაალის თასი – იხ. ბარძიმი.

გრადაცია (ლათ. gradatio თანდათანობითი ამაღლება<gradus ხარისხი; საფეხური, ნაბიჯი; გრადუსი) – თანამიმდევრობა, რაიმეს განლაგების თანდათანობა, დაყოფა, ერთიდან მეორეზე გადასვლის საფეხურები.

გრადიენტი [ლათ. gradiens (gradientis) მოსიარულე] – ვექტორი, რომელიც გვიჩვენებს მოცემული სკალარული ველის φ(P) უსწრაფეს ცვლილებას, სადაც P არის სივრცის წერტილი,

რომელიც აღინიშნება g = gradφ(P). არსებობს გრადიენტის სახეები: არეკვლის, აეროთერმული, გამოსავალი, გეოთერმული, დაწნევის, ველის, კონუსური, კონცენტრაციის, კუთხური (კონუსური), პოტენციალის, რადიანული, რომბული, სიჩქანის, ტემპერატურის, ფილტრაციის, ფუნქციის, ძაბვის, წრიული, წრფივი, ჰიდრავლიკური და სხვ.

გრადიენტი ტემპერატურის – მასალაში (ნივთიერებაში) სხვადასხვა წერტილის ტემპერატურის სხვაობის მაჩვენებელი.

გრადიენტი ტენიანობის – მასალაში (ნივთიერებაში) სხვადასხვა წერტილის ტენიანობის სხვაობის მაჩვენებელი.

გრადუსი (ლათ. gradus ხარისხი; საფეხური, ნაბიჯი; გრადუსი) – 1. ტემპერატურის (სხვადასხვა ტემპერატურული სკალის) აღმნიშვნელი სიდიდე. განასხვავებენ შემდეგი სკალების გრადუსს: კელვინის (K), ცელსიუსის (°C), რეომიურის (°R), ფარენგეიტის (°F); 2. ბრტყელი კუთხის ერთეული, ტოლი მართი კუთხის 1/90 ნაწილისა ან, შესაბამისად, წრეწირის 1/360-ის; აღინიშნება ° ნიშნით. 1° = 60′ = 3600″, სადაც ′ არის კუთხური წუთის აღნიშვნა, ″ – კუთხური წამის; 3. სხვადასხვა სიდიდის პირობითი ერთეული – წყლის სიხისტე, გოგირდმჟავას (ბომეს გრადუსი) ან სპირტის კონცენტრაცია, სითხეების სიბლანტე (წყლის სიბლანტესთან მიმართებაში 20°C ტემპერატურაზე – ენგლერის გრადუსი) და ა.შ.

გრავიმეტრი (ლათ. gravis მძიმე და ბერძ. métron გაზომვა) – სიმძიმის ძალის საზომი ხელსაწყო. იყენებენ მადნეულის ძიებისას.

გრავიმეტრია (ლათ. gravis მძიმე და ბერძ. métron გაზომვა) – გეოფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სიმძიმის ძალის განაწილებას დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა წერტილში.

გრავირება (ფრანგ. graver ამოჭრა) – მყარ მასალებზე (ლითონი, ქვა, ძვალი და სხვ.) წარწერის, ნახატის, მოხატულობისა და ა.შ. დატანა საჭრელი საგრავიურო იარაღით. გ. მეტალზე ასევე წარმოებს მჟავების ზემოქმედებით (ამოჭმით). გრავირებას იყენებენ საბეჭდი ფორმების დამზადებისას საფეიქრო მრეწველობაში, საიუველირო ნაკეთობების მოსართავად და სხვ.

გრავიტაცია (ლათ. gravitas სიმძიმე) – მსოფლიო მიზიდულობა, უნივერსალური ურთიერთქმედება მატერიის ნებისმიერ სახეთა შორის. არარელატივისტური სხეულების (რომელთა სიჩქარე სინათლის სიჩქარეზე ბევრად ნაკლებია) სუსტი გრავიტაცია ემორჩილება ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონს. გრავიტაციასთანაა დაკავშირებული უამრავი ფიზიკურ-მექანიკური მოვლენა, როგორიცაა გრავიტაციული კონდენსაცია (კოსმოსური სხეულების ფორმირების პროცესი); გრავიტაციული არამდგრადობა (ვარსკვლავების, გალაქტიკების წარმოქმნის საწყისი ფაზა); გრავიტაციული კაშხალი (ბეტონის ან ქვის კაშხალი, რომლის მდგრადობა ძვრის ძალების მიმართ უზრუნველყოფილია კაშხლის ძირში ხახუნის ძალებით); გრავიტაციული მუდმივა (პროპორციულობის კოეფიციენტი ნიუტონის მიზიდულობის კანონში – $G = (6{,}67259 \pm 0{,}00085) \cdot 10^{-11}$ ნ·მ^2/კგ^2; გრავიტაციული ენერგია (იგივე პოტენციალური ენერგია, განპირობებული სხეულების გრავიტაციული ურთიერთქმედებით); გრავიტაციული გამდიდრება (მაღალი სიმკვრივის მინერალების გამოცალკევება ფუჭი ქანებისაგან წყალში ან ჰაერში – ჰიდროციკლონებში, დამლექ მანქანებში, რაბებში და სხვ.); გრავიტაციული ველი (რომლის მეშვეობით ხორციელდება სხეულების გრავიტაციული ურთიერთქმედება); გრავიტაციული კუმშვა, რომლის დროსაც გამოიყოფა ენერგია (უკიდურესად სწრაფი კუმშვისას ადგილი აქვს გრავიტაციულ

კოლაფსს); გრავიტაციული ტალღები (ცვლადი გრავიტაციული ველი); გრავიტაციული კაროტაჟი (შეისწავლის და გამოავლენს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს); გრავიტაციული ტრანსპორტი (ტვირთების ტრანსპორტირების ხერხი საკუთარი წონის ძალის ზემოქმედებით – მაგ., დახრილ ღარში და სხვ.).

გრავიტაციული ველი – მიზიდულობის ძალის ველი. სივრცე სხეულის ირგვლივ, რომლის მასას შეუძლია მიიზიდოს სხვა სხეული. ამ სხეულის მიზიდულობის ძალის განაყოფი მეორე სხეულის მასასთან, არის გრავიტაციული ველის ძალა. დიდი მასის სხეულს, მაგ., ისეთის როგორიც დედამიწაა, აქვს მძლავრი გრავიტაციული ველი, და მის ზემოქმედებას სხვა სხეულებზე, ეწოდება გრავიტაციული ველი (ანუ მიზიდულობა). სუსტი გრავიტაციული ძალა არსებობს უმცირეს ნაწილაკებს შორისაც კი.

გრავიურა (ფრანგ. gravure<graver ამოჭრა) – 1. ფიცარი ან ფირფიტა, რომელზეც ამოჭრილია რელიეფური გამოსახულება პოლიგრაფიული ანაბეჭდის მისაღებად; 2. გრავირებული ფიცრის ან ფირფიტის ანაბეჭდი; 3. გრავირებით (რელიეფური ამოჭრით) მხატვრული გამოსახულების შექმნის ხელოვნება.



გრაიფერი (გერმ. greifer<greifen ჩავლება, ჩაჭიდება) – ამწევი მექანიზმის ტვირთჩამჭიდი მოწყობილობა თვითჩამკეტი ყბებით (საგდულით). გამოიყენება როგორც ნაყარი მასალების (ქვიშა, ხრეში, გრუნტი, ნახშირი, ბურბუშელა და სხვ.), ასევე მორების, მილების, ლითონის ჯართისა და სხვ. გადასატვირთად (ნახ. 1).

გრამ-ძალა – ძალის ერთეული ერთეულთა ტექნიკურ სისტემაში და უდრის 0,001 კილოგრამ-ძალას. გრამ-ძალა არის ძალა, რომელიც 1 გ მასას 980,665 სმ/წმ^2 აჩქარებას ანიჭებს. თანაფარდობა გრამ-ძალასა და ნიუტონს შორის: 1გძ = 9,80665·10^{-3} ნ.

გრამა – რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი. ნიშნავს გრაფიკულ გამოსახულებას, ჩანაწერს (მაგ., ფონოგრამა, ტელეგრამა, კარდიოგრამა და სხვ.).

გრამი – მასის ძირითადი ერთეული ერთეულთა CGS სისტემაში და უდრის 0,001 კგ -ს. ქართული აღნიშვნა – გ, საერთაშორისო – g.

გრამონიტი – გრანულირებული წყალმედეგი ფეთქებადი ნივთიერება, ამიაკური გვარჯილის ნარევი ტროტილთან და ალუმინის ფხვნილთან. გამოიყენება ღია და მიწისქვეშა აფეთქებით სამუშაოებში.

გრანატები (ლათ. granatus მარცვლოვანი) – სილიკატების კლასის მინერალები. გამოიყენება აბრაზიულ მასალად.

გრანიტი (იტალ. granito<ლათ. granum მარცვალი) – რუხი, ცისფერი ან მუქი წითელი შეფერილობის ბუნებრივი მთის ქანი (ნახ. 1. გრანიტი). შედგება კვარცის, მინდვრის შპატისა და ქარსისაგან. ის დედამიწის ქერქში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქანია. სიმკვრივე 2600 კგ/მ^3, სიმტკიცე კუმშვაზე 300 მპა. მინერალური შემადგენლობის მიხედვით ორნაირია:

პლაგიოგრანიტი (ღია გოგირდისფერი, ადგილ-ადგილ ვარდისფერ-წითელი შეფერილობით) და ალიასკიტი (ვარდისფერი, კალიუმ-ნატრიუმის მინდვრის შპატის იშვიათი გამოსახულებით). გ. წარმოადგენს ყველაზე მკვრივ, მაგარ, მტკიცე მასალას. მშენებლობაში ძირითადად გამოიყენება ფასადების მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესასრულებლად. მედეგია წყლის, ყინვისა და ჭუჭყის მიმართ. ინტერიერებში ხმარობენ კედლების, კიბეების, კოლონების გასალამაზებლად. ბაღებსა და სკვერებში – ძეგლების, ქანდაკებების, ბარელიეფების დასამზადებლად, მონოლითური იატაკების და მოედნების მოსაწყობად. უნდა გვახსოვდეს, რომ გრანიტის გამოყენება საცხოვრებელ სახლებსა და კორპუსებზე მიზანშეუწონელია, რადგანაც ახასიათებს შედარებით მაღალი რადიაციური ფონი. საქართველოში გრანიტის საბადოებია სვანეთში, რაჭასა და აფხაზეთში.



გრანიტიზაცია – დედამიწის ქერქში მიმდინარე ბუნებრივი პროცესები, რომელთა შედეგად ქანები გარდაიქმნება გრანიტოიდულ მინერალურ და ქიმიური შედგენილობის ქანებად.

გრანიტოიდები – გრანიტის რიგის ინტრეზიული ქანების საერთო სახელწოდება.

გრანიტოლი – იხ. დერმატინი.

გრანტი (ინგლ. grant სუფსიდია, სტიპენდია) – 1. უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი ფულადი ან ნატურალური ფორმით გამოხატული სახსრები, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სასპორტო, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის; 2. საჩუქარი, სუბსიდია.



გრანულა (გვიანდ. ლათ. grānulum პატარა მარცვალი) – რაიმე ნივთიერების ან მასალის წვრილი მკვრივი გუნდა, მარცვლის მსგავსი (ნახ. 1), მომრგვალებული ფორმის ნაქილაკი ზომით 1-დან 10 მმ-მდე.

გრანულატორ-სამსხვრევი – მექანიზმი, რომელიც გამოიყენება კერამზიტის ხრეშის (თბოსაიზოლაციო მასალა) წარმოებაში ტენიანი თიხის მეორეული დაქუცმაცებისა და მისგან გრანულების (მარცვლების) ფორმირებისათვის. ქვებისაგან განთავისუფლებული თიხა მიეწოდება გრანულატორის ხვრეტებიან ლილვაკებს, იმსხვრევა, ისრისება, გადის ხვრეტებში და კოშტი, გრანულების სახით, გადმოცვივდება ლილვაკის სათავის საცმიდან.

გრანულატორი – მოწყობილობა წვრილმარცვლოვანი, დაქუცმაცებული მასალის გრანულირებისათვის (ნახ. 1), რომელიც უზრუნველყოფს აგლომერაციული მანქანის წარმადობის ზრდას. მოწყობილობის და მუშაობის პრინციპის მიხედვით არსებობს შემდეგი სახის: დოლური, თეფშისებრი, კონუსური, ლენტური, მრავალკონუსური და სხვ. ზოგჯერ, გ. გამოყენება ხის ნარჩენებიდან საწვავი გრანულების, ცხოველებისათვის განკუთვნილი მცენარეული საკვები გრანულების და სხვ. დასამზადებლად.



გრანულაცია – 1. რაიმე ნივთიერებისათვის მარცვლის ფორმის მიცემა, მისი წვრილ მარცვლებად ქცევა; გრანულირება; 2. მზის ფოტოსფეროს სტრუქტურა; 3. ცოცხალი ორგანიზმის ჭრილობის შეხორცების (აღდგენის) პროცესში გაჩენილი მარცვლოვანი აგებულების ქსოვილი.

გრანულირება – იხ. გრანულაცია.

გრანულირებული წიდა – წიდის პემზა, რომელიც მიიღება გამდნარი მეტალურგიული წიდის სწრაფი გაცივებით.

გრანულიტი (გვიანდ. ლათ. grānulum პატარა მარცვალი და -ate ბოლოსართი) – მეტამორფული მთის ქანი გნეისისებრი ტექსტურის, ჩამოყალიბებული მაღალი ტემპერატურისა (700°C და მეტი) და წნევის (6-10·10^8 პა) პირობებში (ნახ. 1). გრანულიტის შემადგენლობაში შედის: კვარცი, პლაგიოკლაზი და მინდვრის შპატი, აგრეთვე ბიოტიტის, ძოწის, კორდიერიტისა და სილიმანიტის ნამცეცები. გამოიყენება როგორც სამშენებლო ქვა.


ნახ. 1

გრანულომეტრია (გვიანდ. ლათ. grānulum პატარა მარცვალი და ბერძ. métron გაზომვა) – ქანის ან ნიადაგის კომპონენტების ზომის განსაზღვრა და რაოდენობის გამოსახვა პროცენტებით.

გრანულომეტრიული შემადგენლობა – 1. ფხვიერ მყარ მასალაში სხვადასხვა სისხოს მყარი ნაწილაკების პროცენტული შემცველობა წონის მიხედვით; 2. ღორღის, ქვიშის, ცემენტისა და სხვა მასალების მარცვლოვანი შედგენილობა. იგი ბუნებრივი და ხელოვნური მასალების ფიზიკური თვისებებისა და სტრუქტურის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. გეოლოგიაში, გრუნტთმცოდნეობაში, ნიადაგთმცოდნეობაში, ზღვის გეოლოგიასა და ტექნიკაში გამოიყოფა გრანულომეტრიული ფრაქციის საკუთარი კლასიფიკაცია და სახელწოდება. მაგ., დანალექ ქანებში განასხვავებენ: მსხვილ (დაახლოებით 500 მმ), საშუალო (500-250 მმ) და წვრილ (250-100 მმ) კაჭარს (რიყის ქვას); მსხვილ (10-5 მმ) და წვრილ (5-2 მმ) კენჭს; აგრეთვე არსებობს: უხეში ქვიშა – 2-1 მმ, მსხვილი ქვიშა – 1-0,5 მმ, საშუალო ქვიშა 0,5-0,25 მმ, წვრილი ქვიშა – 0,25-0,10 მმ, ალევრიტი 0,10-0,05 მმ, მტვერი 0,05-0,005 მმ, თიხა – 0,005 მმ-ზე ნაკლები. გრანულომეტრიული შედგენილობა დგინდება გრანულომეტრიული ანალიზის შედეგად.

გრაუვაკა (გერმ. grau ნაცრისფერი და wacke ქანი) – მუქი ნაცრისფერი, შავი ან მწვანე-ნაცრისფერი მკვრივი მარცვლოვანი დანალექი ქანი, რომელიც კვარცის მარცვლებთან ერთად შეიცავს სხვადასხვა ქანის ნატეხებს. წარმოიშობა ძირითადი ამოფრქვეული ქანების რღვევით. გამოიყენება როგორც ღორღი ავტო- და რკინიგზების მშენებლობაში.

გრაფთა თეორია – დისკრეტული მათემატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წვეროებისა და წიბოებისაგან შემდგარ სტრუქტურას – გრაფებს.

გრაფიკა (ბერძ. gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – ვიზუალური გამოსახულება ან ნახატი რაიმე ზედაპირზე (კედელი, ტილო, ეკრანი, ქაღალდი, ქვა და სხვ.) ილუსტრაციის, ინფორმაციის ან გართობის მიზნით. თანამედროვე გამოყენებით ის მოიცავს: წარმოების, განათლების, კომპიუტერული მეცნიერების, სპორტის, გართობისა და მისთ. მონაცემების გრაფიკულ გამოსახვას. ძირითადი ხელსაწყოებია: გრაფიტის ფანქრები, კალამი და მელანი, ფუნჯი, ნახშირი, პასტელი, მარკერი, ციფრული მედია და სხვა ხელსაწყოები მსგავსი ეფექტის მისაღებად. გამოყენებითი ხელოვნების გრაფიკაში ძირითადად გამოიყენება კონტურული ხაზი, შტრიხი, ლაქა, დაღი, ნიშანი და წერტილი. ტერმინი "გრაფიკა", გამოსახულების შექმნის ხერხის მიხედვით, იყოფა ორ დიდ მოცულობად: "ბეჭდითი ან სატირაჟო გრაფიკა" და "უნიკალური გრაფიკა". ბეჭდითი გრაფიკა – ნაწარმოები, შექმნილი ავტორის (დამზადებული ავტორი-მხატვრის) საანაბეჭდო ფორმის გამოყენებით, რომლიდანაც იბეჭდება ესტამპების ტირაჟი, ხოლო უნიკალური გრაფიკა – ნაწარმოები, შექმნილი ერთ ეგზემპლარად (ნახატი, აპლიკაცია და ა.შ.). დანიშნულების მიხედვით არსებობს გრაფიკის სახეები: დაზგური (დაზგური ნახატი, ესტამპი), წიგნური (ილუსტრაცია, ვინიეტი, თავხატულობა, ყდა, სუპერყდა და სხვ.), ჟურნალური და გაზეთური, გამოყენებითი (პლაკატი და სხვ.), კომპიუტერული, სამრეწველო და სხვ.

გრაფიკი (ბერძ. gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – 1. ნახაზი, რომელიც თვალსაჩინოდ გამოსახავს რაღაც სიდიდეების ურთიერთდამოკიდებულებას, ფუნქციის ცვალებადობას (ნახ. ტანგენსის გრაფიკი); 2. საწარმოო გრაფიკი – წარმოების მიერ პროდუქციის გამოშვების კალენდარული გეგმა, გამოსახული გრაფიკულად ან წარმოდგენილი ცხრილის სახით; 3. ტრანსპორტის მოძრაობის დაწვრილებითი განრიგი (დღეების, საათების და წუთების მიხედვით). არსებობს გრაფიკის შემდეგი სახეები: ავტოგადაზიდვის, დატვირთვის, იძულებითი, მოძრაობის, მოხმარების, მცოცავი, პაკეტური, სადისპეტჩერო, სადღეღამისო, საფეხუროვანი, სრიალა, ტვირთნაკადთა, ფუნქციის, ქსელური, შეკეთების, ციკლური, ხარშვის, ხე-ტყის დაცურების, ჯგუფური და სხვ.



გრაფიკი ფუნქციის – წერტილთა სიმრავლე, რომელთა აბსცისები არის x არგუმენტის ცხადი მნიშვნელობები, ხოლო y ორდინატები – ფუნქციის შესაბამისი მნიშვნელობები.

გრაფიკული (ბერძ. gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – გრაფიკასთან დაკავშირებული; ნახაზით წარმოდგენილი, დახაზული.

გრაფიტი (ბერძ. gráphein წერა, ხატვა, კაწვრა) – რუხი ან შავი ფერის, ფენოვანი სტრუქტურის, ცეცხლგამძლე, დენგამტარი, კრისტალური მინერალი თვითნაბადი ელემენტების კლასიდან, ნახევრად ლითონი, ნახშირბადის ერთ-ერთი ალოტროპული სახეობა. გავრცელებულია

მიწის ქერქში. სიმკვრივე – 2090-2230 კგ/მ³; სიმაგრე მოოსის სკალით – 1-2. მიიღება ხელოვნურადაც, ანტრაციტის გახურებით უჰაეროდ. მისგან ამზადებენ ფანქრებს, ცეცხლგამძლე ტიგელებს, ელექტროტექნიკურ ნაწარმს და სხვ. დიდი ბუდობები გვხვდება ქვანახშირის საბადოებში. ბუნებრივი გ. შეიცავს 10-12% თიხის მინარევებსა და რკინის ჟანგეულებს. გრაფიტის სახეობებია: აგრიგალებული, ბუდისებრი, ვარსკვლავისებრი, ვერცხლისებრი, ვერცხლური, თუჯის, კარბიდული, კოშტოვანი, მომრგვალებული, რეკრისტალირიზებული, სფეროიდული, ტიგელური, ფირფიტოვანი, ქერცლოვანი, წერტილოვანი, ხსნარისა და სხვ.

გრაფიტიზაცია (დაგრაფიტება) – 1. გრაფიტის წარმოქმნა (გამოყოფა) რკინანახშირბადოვან შენადნობებში (თუჯი, ფოლადი), მაღალი ტემპერატურის პირობებში. ზრდის ნაკეთობის ცვეთამედეგობას, მაგრამ, ზოგჯერ აუარესებს ლითონის სხვა საექსპლოატაციო თვისებებს; 2. თერმული დამუშავება გრაფიტირებული პროდუქციის წარმოებაში, როდესაც ხდება კარბონიზირებული ნახშირბადოვანი მასალის გაცხელება მაღალი ტემპერატურის რეჟიმში (> 2200 °C) მასში გრაფიტის სტრუქტურის მისაღებად.

გრდემლი – ლითონისაგან ჩამოსხმული და კუნძზე დამაგრებული გლუვზედაპირიანი საკვერავი დაზგა (ნახ. 1). მას აწრთობენ ცემენტაციის წესით. პატარა გრდემლებს იყენებენ ოქრომჭედლები და მესაათეები. საქართველოში ძველთაგანვე იყო ცნობილი სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის ფოლადისა და ქვის გრდემლები. ქართულ მითოლოგიაში გრდემლი დაკავშირებულია ამირანის თქმულებასთან (ამირანის კლდეზე მიჯაჭვა, ხმლის გაჭედვა; ყოველ დიდ ხუთშაბათს მჭედლები გრდემლებს უბრად სამჯერ დაჰკრავდნენ უროს, ამირანმა არ აიშვასო). ქართველი ხალხის ძველ რელიგიურ წარმოდგენებში გრდემლი წმინდა ("ნაწილიან") საგნად ითვლებოდა და მას მჭედლები ყოველ შაბათს სანთელს უნთებდნენ. ძველთაგანვე სცოდნიათ დამნაშავის გრდემლზე "გადაცემა" დასასჯელად და მისი "ახსნაც" (ცოდვის მიტევება). მოხსენებულია "ვეფხისტყაოსანშიც" ("გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა").


ნახ. 1

გრეიდერ-ელევატორი – გრეიდერი კონვეიერით (ტრანსპორტიორით) მოჭრილი გრუნტის მისაწოდებლად ნაყარში ან სატრანსპორტო საშუალებებში.

გრეიდერი (ინგლ. grader<grade ნიველირება, მოსწორება) – მისაბმელი ან თვითმავალი მიწისმთხრელი სატრანსპორტო მანქანა (ნახ. 1), რომელიც გამოიყენება საგზაო მშენებლობაზე მიწის ვაკისის აღმართვა-დაპროფილების, საგზაო-სამშენებლო მასალების მოსწორება-გადაადგილებისათვის, მცირე თხრილებისა და ნაყარების მოსაწყობად, გრუნტოვანი გზების მშენებლობაზე, შენახვასა და რემონტზე. მათ იყენებენ აგრეთვე გზების გასაწმენდად თოვლისაგან. გ. სამუშაო ორგანოს წარმოადგენს ფარი, რომელიც

იმართება ხელით ან ჰიდროცილინდრებით იმის მიხედვით, თუ რომელ ტრაქტორზეა დამაგრებული. ფარის სიგრძეა 2,5-4,5 მ.

გრეიზენი (გერმ. greissen დაპობა, დამტვრევა; დაშლა, განხეთქილება, გაყოფა) – პნევმატოლითურ-ჰიდროთერმული მეტასომატური წარმოშობის სამთო ქანი, ძლიერ შეცვლილი პეგმატიტი ან გრანიტის კლდე. ძირითადად შეიცავს კვარცს, თეთრ ქარსებს (ლეპიდოლიტი, მუსკოვიტი), ტურმალინს, ტოპაზსა და ფლუორიტს, აგრეთვე კასიტერიტს, ვოლფრამიტს, ბერილს, მოლიბდენიტსა და სხვა მადნეულ მინერალებს. წარმოიშობა გრანიტის თვითგენერირებადი ცვლილებით მაგმის ცხელი ორთქლის გავლენით. აგრეთვე, შესაძლებელია მისი გაჩენა ალუმინის სილიკატების შემცველ ნებისმიერ გარემოში.

გრემი (ინგლ. Gremi) – XV საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ნაქალაქარი და გრემის მთავარანგელოზის კომპლექსი (ნახ. 1. პანორამული ხედი). მდებარეობს კახეთის მხარეში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, ქ. ყვალელიდან ჩრდილო-დასავლეთით 15 კმ-ში მდებარე სოფელ გრემთან, გზატკეცილის პირას, მაღალ გორაკზე (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: 1. მთავაანგელოზთა კომპლექსი: მთავაანგელოზთა ეკლესია, სამსართულიანი სასახლე-სამრეკლო, კოშკებიანი გალავანი, ქვით ნაგები საიდუმლო გასასვლელი მდ. ინწობისაკენ, სამეურნეო ნაგებობანი; 2. სამეფო რეზიდენცია: სამეფო სასახლეები, შადრევნიანი შენობა, რვაკუთხა კოშკი, აბანო და სხვ.; 3. სავაჭრო უბანი: დახურული ბაზარი (ქულბაქები), სასტუმრო (ქარვასლა), აბანო.



ნახ. 1

XVII საუკუნის დასაწყისში ირანის მმართველის შაჰ-აბასის მრავალგზისმა შემოსევებმა ქართლ-კახეთი წელში გატეხა, აყვავებული მხარე თითქმის უდაბურად აქცია, მათ შორის გრემიც. შემდეგში, კახეთის დედაქალაქი თელავში გადაიტანეს, შესაბამისად გრემმაც თანდათან დაკარგა ძველი დიდება.

გრემის კომპლექსის მთავარი ნაგებობის – მთავარანგელოზის ტაძრის (ნახ. 3. მთავარანგელოზის ტაძარი) აგების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ტაძარში შემორჩენილი ფრესკებისა და წარწერების მიხედვით შეიძლება დასკვნის დაკეთება, რომ ტაძარი აიგო XV საუკუნის 60-იან წლებში კახეთის მეფის ლევანის მმართველობის პერიოდში. მანამდე აქ მიქელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესია მდგარა (გ. ჩუბინაშვილი). არქეოლოგიური გათხრების შედეგად ტაძრის ეზოს ჩრდილოეთ მხარეს ნაპოვნია მხატვრული კერამიკის ნატეხები, რაც აქ მონასტრის (ან ეკლესიის) არსებობას ადასტურებს.



ნახ. 2

ჯვარგუმბათოვანი მთავარი ტაძრის გეგმა (ნახ. 4. გეგმა) კვადრატს მიახლოებულია. მისი შიგა განლაგება საერთო თვალსაზრისით ტიპურია ცენტრალურგუმბათოვანი ძეგლისათვის,



ნახ. 3

მაგრამ განსაკუთრებულია თავისი შემართული პროპორციებით. ტაძარი ნაგებია ე.წ. ქართული კვადრატული აგურით კირის ხსნარზე, გამოყენებულია რიყის ქვებიც. ტაძარს შესასვლელი აქვს ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში. გუმბათი აღმოსავლეთით ეყრდნობა საკურთხევლის კედლის კუთხეებს, დასავლეთით კი თავისუფლად მდგარ ორ ცილინდრულ სვეტს. საკურთხეველს აღმოსავლეთ ნაწილის ცენტრალური ადგილი უკავია, რომლის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნო აქვს მოწყობილი, რომლებიც თითო კარით უკავშირდება ტაძრის ცენტრალურ ნაწილს. ეკლესია კრამიტითაა დახურული. გათხრებით აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მოჭიქული კრამიტის მიხედვით არ არის გამორიცხული, რომ თავის დროზე ეკლესია ასეთი კრამიტით ყოფილიყო დაფარული. ინტერიერში გარდა სარკმლებისა, ყველგან გამოყენებულია შეისრული თაღი. ინტერიერის დამახასიათებელი ელემენტებიდან აღსანიშნავია გუმბათქვეშა საყრდენის გადაწყვეტა. საკურთხევლის კუთხეები მცირედ შვერილ პილასტრებზე გადასული თაღებითაა დამუშავებული. ანალოგიურია დასავლეთის საყრდენის ზედა ნაწილები, ხოლო ქვემოთ ცილინდრული სვეტებია მართკუთხა ბაზისებითა და ზევით კაპიტელის გარეშე. ტაძარში სასიამოვნო განათებაა. აქ არც ერთ მონაკვეთში არ ჭირს ფრესკული მხატვრობის სრული აღქმა, რაც საკმაო რაოდენობის სარკმელების კარგად განლაგების შედეგია.



ნახ. 4



ნახ. 5

იატაკი მოფენილია ყავისფერი ექვსკუთხა ფორმის შორენკეცით. ინტერიერი მთლიანად ფრესკებითაა დაფარული, რომელიც შესრულებული იყო თესალონიკელი „ბერმონაზონის“ მიერ. სამწუხაროდ მაღალი ხარისხის მხატვრობის ნაწილი XVII საუკუნეში „განუახლებიათ“ მოსკოვიდან ჩამოსულ რუს მხატვრებს.

ფასადებიდან გამოირჩევა აღმოსავლეთის ფასადი, რომლის ერთ ღერძზე ორი ჯვარია გამოსახული (ჯვრის რელიეფი ოთხივე ფასადზეა გამოყენებული). გრემის ტაძრის რვასარკმლიანი გუმბათის ყელი (ნახ. 5. გუმბათის ყელი) პროპორციულად ძალიან კარგადაა შერწყმული ქვედა ტანთან. ხუროთმოძღვარმა არა მარტო ნაგებობის ნაწილები შეუხამა ერთმანეთს, არამედ მთელი შენობა შეუფარდა მთის რელიეფს და მის გვირგვინად აქცია. გრემის მთავარანგელოზთა ტაძარი ერთ-ერთი იმ ნაგებობათაგანია,

რომელიც ბრწყინვალედაა ჩაწერილი ლანდშაფტში და მნახველში ჰაეროვან, ამაღლებულ განწყობილებას ჰქმნის.

მთავარანგელოზთა კომპლექსში, რომელშიც შედიოდა მთავარანგელოზთა ტაძარი, განლაგებული იყო სხვა ნაგებობანიც – სამსართულიანი სასახლე, სამრეკლო, საწნახელიანი მარანი, ლითონის მცირე ზომის ნივთების დასამზადებელი ქურა და სხვ. ქალაქ გრემის ამ ნაწილს შეეძლო დამოუკიდებლად ეცხოვრა. ჰქონდა ქვით ნაგები საიდუმლო გასასვლელი (ნახ. 6. გვირაბი) მდინარე ინწობისკენ. შემოზღუდული იყო კოშკებიანი გალავნით (ნახ. 7. კოშკი; ნახ. 8. გალავანი).

ამჟამად, გრემის კომპლექსში ფუნქციონირებს გრემ-ნეკრესის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი, რომლის ტერიტორია მოიცავს მთავარანგელოზის სახელობის ტაძარს, მარანს ქვევრებით და საწნახლით, სავაჭრო და მეფე-დიდებულთა უბნებით. გრემისა და ნეკრესის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ექსპონირებულია გრემის მუზეუმში, რომელიც წარმოადგენს სამეფო პალატს და სამსართულიან კოშკს სამრეკლოთი. ექსპონატებს შორისაა: ბრინჯაოს ხანის საომარი და შრომის იარაღები, სამკაულები, ზოომორფული გამოსახულებები, XII-XIII სს.-ის რკინის ცულები, XV ს-ის კერამიკის ნიმუშები, მოჭიქული კრამიტი და აგური, სასმელი წყლის მილები, XVI ს-ის ზარბაზანი და მშვილდ-ისარი, საეკლესიო ზარი სავაჭრო უბნიდან. აგრეთვე: სხვადასხვა პერიოდის ქვევრები, შუასაუკუნეების სპილენძის ჭურჭელი. მუზეუმში ექსპონირებულია მხატვარ ლევან ჭოღოშვილის მიერ 1985 წელს შესრულებული "მეფეთა პორტრეტების სერია".



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8

გრემის ეკლესია (ალმატის ეკლესია) – XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს კახეთის მხარეში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ გრემში. ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (8,0×5,8 მ) დასავლეთის წაგრძელებული მკლავით. ნაგებია ნატეხი ქვით. კუთხეებში, კარ-სარკმელთა ღიობებში, დეკორზე, ლავგარდნად და გუმბათზე აგურია გამოყენებული. შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს. კარები გარედან თაღოვანია, შიგნიდან არქიტრავული. დასავლეთის და სამხრეთის მკლავებში თითო, ხოლო აღმოსავლეთის კედელში სამი ვიწრო და თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. გუმბათი ეყრდნობა ექვსკუთხა ცილინდრულ ყელს და მარტივი ქვის ლავგარდნით სრულდება. გუმბათის ყელში რვა თაღოვანი სარკმელია, რომელთა ორივე მხარეს ცისფერი ჭიქურით შეღებილი ოთხ-ოთხი მრგვალი აგურია ჩასმული. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. დასავლეთის და აღმოსავლეთის მკლავების ფასადის ფრონტონებში აგურის წყობით კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული. აღმოსავლეთით მართკუთხედში ჩაწერილი ნახევარწრიული აბსიდია ერთი სარკმლით, რომლის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ქვეშ კი კედელთან ქვის მრავალკუთხა ტრაპეზია მიდგმული. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით მართკუთხა და შეისრული კამარით გადახურული პასტოფორიუმებია, რომლებიც დარბაზს დასავლეთის კარით უკავშირდება. თითოეულ მათგანის აღმოსავლეთ კედელში თითო თაღოვანი სარკმელია. სამკვეთლო და სადიაკვნე საკურთხეველს შიდა კარით უკავშირდებიან. სამხრეთის მკლავის ფილაზე იკითხება რვასტრიქონიანი ქართული წარწერის ფრაგმენტები. ტაძრის ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის მკლავები მართკუთხაა და თაღებით სრულდება. დასავლეთის მკლავი დაგრძელებულია, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილში კი შეისრული უბეებია. სახურავისათვის გამოყენებულია ძველი ქართული კრამიტი.


ნახ. 1

გრემის ეკლესიას მიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

გრეხა – ღეროს განივკვეთში დეფორმაციის და ძაბვის მდგომარეობა, რომლის დროსაც შიგა ძალები ადგენენ წყვილძალას და რომლის ვექტორული მომენტი კვეთის მართობულია, ანუ ეს არის დეფორმაციის სახეობა, რომლის დროსაც ღეროს, ლილვის და სხვ. განივკვეთები მათ სიბრტყეში მოქმედი მომენტების (წყვილძალების) ზეგავლენით ერთიმეორის მიმართ მობრუნდებიან. მრგვალი ღეროების (ლილვების) განივკვეთები გრეხის დროს ბრტყელი რჩება. გრეხა დეფორმაცის ისეთი სახეობაა, რომლის დროსაც ღეროს განივკვეთში ექვსი ძალვიდან აღიძვრება მხოლოდ ერთი – მგრეხი მომენტი. გრეხვის თეორიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევები აქვს ჩატარებული პროფესორ ალექსი გორგიძეს.

გრეხა წირის (ანუ მეორე სიმრუდე) – სიდიდე, რომელიც ახასიათებს სივრცითი წირის გადახრას მიმხები სიბრტყიდან. წირის გრეხა არის წირის წერტილში მიმხები სიბრტყის ბრუნვის სიჩქარე ანუ მხების გარშემო ბინორმალის ბრუნვის კუთხური სიჩქარე, როდესაც წერტილი წირზე მოძრაობს თანაბრად ერთეულოვანი სიჩქარით.

გრეხილი – 1. გრეხით დამზადებული ავეჯი, სათამაშოები, საგალანტერიო ნაწარმი და მისთ.; 2. მიხვეულ-მოხვეული, კლაკნილი.

გრეხის კუთხე (ღეროსი) – კუთხე, რომლითაც გრეხის შედეგად ერთმანეთის მიმართ შემობრუნდება ერთეული მანძილით დაშორებული ღეროს ორი განივი კვეთი.

გრეხის მომენტი (მგრეხი მომენტი) – ღეროს ჩამოჭრილი ნაწილის მიერ მოცემულ კვეთაზე მოქმედი გარე ძალების ნაკრები მომენტის მდგენელი, რომელიც ღეროს კვეთის მართობულია, როცა ნაკრები მომენტი გამოთვლილია ამ კვეთის სიმძიმის ცენტრის მიმართ.

გრეხის ცენტრი (ღეროსი) – წერტილი, რომლის გარშემოც შემობრუნდება გრეხის დროს ღეროს განივი კვეთი.

გრეხის წინაღობის მომენტი (კვეთის წინაღობის პოლარული მომენტი) – სიდიდე, რომელიც დამოკიდებულია ღეროს განივი კვეთის გეომეტრიულ კონფიგურაციასა და ფართობზე და წარმოადგენს მნიშვნელს იმ ფორმულაში, რომლის მრიცხველია მგრეხი მომენტის სიდიდე, ხოლო განაყოფი – მხები ძაბვის მაქსიმალური სიდიდე.

გრიგალი – 1. დამანგრეველი ძალისა და მნიშვნელოვანი ხანგრძლივობის ქარი, რომლის სიჩქარე მეტია 32 მ/წმ; 2. ძლიერი ქარი, რომლის სიძლიერეა 12 ბალი ბოფორტის სკალით.

გრიგალი ვექტორული ველის – სითხის ნაკადში ნაწილაკების ბრუნვითი მოძრაობა, რომლისთვისაც მოცემული ვექტორული ველი წარმოადგენს სიჩქარეების ველს. აღინიშნება: rota ან curla.

გრიგალური საცეცხლე – კამერული საცეცხლე, კამერაში გაზის გრიგალისებრი მოძრაობა, რომელიც მიიღწევა სანთურას განსაკუთრებული განლაგებით.

გრინოკიტი (კადმიუმის კაჟმიწა, კადმიუმის ოხრა) – სულფიდების კლასის გამჭვირვალე ან ნახევრადგამჭვირვალე მინერალი, კოორდინაციული სტრუქტურის კადმიუმის სულფიდი. ფორმულა – CdS; სიმკვრივე – 4900-5000 კგ/მ^3. სიმაგრე მოოსის სკალით – 3-3,5. შეიცავს 78% კადმიუმსა და ინდიუმის მინარევებს. ფერი – ყვითელი, ნარინჯისფერი, ზოგჯერ მოწითალო. ტერმინის დასახელება დაკავშირებულია ბრიტანეთის არმიის გენერლის, ლორდ გრინოკის სახელთან, რომლის მამულშიც პირველად იპოვეს ეს მინერალი.

გრინპისი (ინგლ. greenpeace მწვანე მშვიდობა) – საერთაშორისო საზოგადოებრივი დამოუკიდებელი ეკოლოგიური ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია გლობალური ეკოლოგიური პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტა. დაარსდა 1971 წელს. ამ ორგანიზაციას 3 მლნ.-მდე მხარდამჭერი ჰყავს მსოფლიოში. მისი რეგიონული ოფისები მოქმედებს 45-ზე მეტ ქვეყანაში.

გრიფი (გერმ. griff სახელური) – ბეჭედი, თეგი თანამდებობის პირის ხელმოწერით; ასეთი ხელმოწერის ანაბეჭდი.

გრიფი საიდუმლო – განსაზღვრული დონე იერარქიული დონეების საბოლოო სიმრავლეში, რომელზეც, ინფორმაციის მფლობელის აზრით, უნდა განთავსდეს მგრძნობიარე ინფორმაციის ნაწილი.

გრიფონი (გრიფინი, გრიფი) (ბერძ. gripos მოღუნული, ნისკარტისებრი) – 1. ხუროთმოძღვრებაში ნაძერწი დეკორატიული სამკაული (ფანტასტიკური არსება) რელიეფზე, აკროტერიაზე, ფრიზზე, ფრონტონის კუთხეში, რომელსაც აქვს ლომის ტანი, არწივის თავი და ფრთები და გველის კუდი (ნახ. 1). ის წარმოადგენს მზის ბატონობის სიმბოლოდ ორ სტიქიაზე – მიწასა და ზეცაზე. უძველესი ნიმუშები გვხვდება ასირიაში (ნიმვროდის სასახლე). პირველად ახსენებს არისტეასი (ძვ. წ. 560). იხმარება ჰერალდიკაშიც. ქრისტიანულ ხელოვნებაში აღდგომის სიმბოლოა. ამ აზრით ხშირად გამოუყენებიათ ქართულ ხუროთმოღვრებაშიც (იხ. სამთავისის ტაძარი, ნახ. 5); 2. გრძელბეწვიანი მეძებარი ძაღლი.



გრონტი – გეოტექსტილის სახეობა, პოლიპროპილენისაგან დამზადებული უნივერსალური მასალა (ნახ. 1), რომელიც გამოიყენება მშენებლობაში, მელიორაციაში, ლანდშაფტურ დიზაინსა და სოფლის მეურნეობაში. არსებობს ნატურალური და სინთეზური. გრონტის ძირითადი დანიშნულებაა სხვადასხვა გრუნტული კონსტრუქციების დაცვა წყლის ან ქარის ეროზიისაგან, აგრეთვე სადრენაჟო სისტემის, გრუნტის, ფერდობის, ნაპირის, არხის გვერდებისა და ფსკერის, წყალსატევების და სხვ. გამაგრება.



გროტესკი (ფრანგ. grotesque სასწაულებრივი, კომიკური<იტალ. grotta გამოქვაბული) – 1. ადამიანთა და ცხოველთა ფიგურების, ნიღბებისა და მცენარეულის გამოსახულებათა წნულისგან შედგენილი ორნამენტი (რომაულ გამოქვაბულებში – გროტებში აღმოჩენილი მხატვრობის მიხედვით); 2. ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც საგნებს ან პიროვნებებს წარმოადგენს კომიკური, დამახინჯებული სახით, ცალკეულ თვისებათა გადაჭარბებული ხაზგასმით.

გროტი (ნიდერლ. groot დიდი) – 1. მღვიმე, გამოქვაბული (ნახ. 1. სათაფლიას კარსტული მღვიმე); 2. ხელოვნური საპარკო ნაგებობა ჩრდილში დასასვენებლად, შექმნილი ბუნებრივი





კლდეების მსგავსად ან ბუნებრივი ქვების ნაყარით; 3. რელიეფის ზედაპირული ფორმა, მცირე სიღრმის ჰორიზონტული მღვიმე კამაროვანი ჭერით და ფართო შესასვლელით ან წვრილი შესასვლელით და ფართო სივრცული დარბაზით (ნახ. 2. ლურჯი გროტი, მალტა).

გრუნტბეტონი – ბეტონი, რომელიც მზადდება დამსხვრეული ან გრანულირებული გრუნტის, ცემენტისა და წყლის შერევით.

გრუნტები შეცვლილი ფიზიკური ზემოქმედებით – ბუნებრივი გრუნტები, ტექნოგენური ზემოქმედებით (შემკვრივება, გაყინვა, თბური ზემოქმედება და სხვ.) შეცვლილი ფაზური შედგენილობითა და აგებულებით.

გრუნტები შეცვლილი ქიმიურ-ფიზიკური ზემოქმედებით – ბუნებრივი გრუნტები, ტექნოგენური ზემოქმედებით შეცვლილი შედგენილობით, სტრუქტურითა და ტექსტურით.

გრუნტების დამაგრება – გრუნტისთვიოს გაუმჯებესებული ან ახალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მინიჭება მასში შემკვრელი მასალების შეყვანით (სილიკატიზაცია, ცემენტაცია და სხვ.), აგრეთვე თერმული დამუშავებით (გაყინვა, გამოწვა და სხვ.).

გრუნტების მექანიკა – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის შენობა-ნაგებობათა ფუძეების, ბუნებრივი და ხელოვნური ფერდობებისა და მიწის ნაგებობათა დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას, მდგრადობასა და სიმტკიცეს, ფუძის დეფორმაციასთან დაკავშირებულ ნაგებობათა შესაძლო გადაადგილებებს; გრუნტის წნევას საყრდენ კედლებსა და ნაგებობათა მიწისქვეშა ნაწილებზე და სხვ.

გრუნტი (გერმ. grund ფუძე, საფუძველი) – 1. მთის ქანების კრებსითი სახელი. გ. განლაგებულია უმეტესად მიწის გამოფიტვის ზონების საზღვრებში და განეკუთვნება საინჟინრო-სამშენებლო საქმეში გამოყენების სფეროს. ის არის კლდოვანი და ფხვიერი. კლდოვანი გ. მონოლითური ბუდობის ქანებია, ხოლო ფხვიერს მიეკუთვნება მსხვილნატეხებიანი, ქვიშოვანი და თიხოვანი ქანები. გრუნტები (ქანები) კლასიფიცირდება მათი წარმოქმნის, სიმტკიცისა და აბრაზიულობის მიხედვით; 2. ნებისმიერი ქანი ან ნიადაგი (აგრეთვე ადამიანის საწარმოო და სამრეწველო მოღვაწეობის მყარი ნარჩენები), რომლებიც დროში ცვალებადი მრავალკომპონენტიანი სისტემაა და გამოიყენება, როგორც საშენი მასალა ან ფუძე შენობა-ნაგებობისა; 3. სპეციალურად დამზადებული ქიმიური ნივთიერება (პიგმენტებისა და შემავსებლების ნარევი), რომელიც ქვედა ფენად ედება შესაღებ (გასალაქ) ზედაპირს ძვირადღირებული საღებავის, ემალის, ლაქის ეკონომიის მიზნით. ის აგრეთვე უზრუნველყოფს შესაღები ზედაპირის უწყვეტობასა და თანაბრობას; 4. ჰიდროსაიზოლაციო ნაერთი, შედგენილობა (ადვილადმოძრავი დუღაბი), რომელიც ნაწილდება და ნაწილობრივ შეიწოვება დასაცავი კონსტრუქციის ზედაპირზე (მაგ., მოჭიმვა); 5. ნივთიერება, რომელიც რაიმე ზედაპირს ამზადებს გამოყენების ან მოქმედებისათვის. ცნობილია გრუნტის მრავალი სახეობა: არაპლასტიკური, ბლანტი, ბურცვადი, გადამეტტენიანებული, გათხევადებული, გამოსაცდელ-გაყინული, გამოფიტვადი, გაჯირჯვებადი, გლუვი, დაჯდომადი, დიდპლასტიკური, დისპერსიული, ერთგვაროვანი, ზამთრის, თაბაშირიანი, კლდოვანი, კუმშვადი, ლიოსის, ლხობადი, მიმწები, მკვრივი, მლაშე, მონალექი, მსუბუქი, მტვრისებრი, მცენარეული, მცოცავი, მცურავი, მსხვილნატეხებიანი, ნაკლებპლასტიკური, ნაყარი, პლასტიკური, საიმედო, სამღებრო, სუსტი, ტექნოგენური, ტორფის, უკუმშველი, ფაფისებრი, ფიქციური, ფოროვანი, ფხვიერი, ქვიანი, ქვიშათიხოვანი, ქვიშიანი, ღორღიანი, შეკრული, ჩაყინული, წყლოვანი, ხელუხლები, ხვინჭოვანი, წარეცხილი, წაურეცხი და სხვ.

გრუნტი ბურცვადი – დისპერსიული გრუნტი, რომელიც ლღობილი მდგომარეობიდან გაყინულში გადასვლისას მოცულობაში იმატებს ყინულის კრისტალების წარმოქმნის გამო და აქვს ყინვადი ბურცვის ფარდობითი დეფორმაცია $\varepsilon_{fh} \geq 0{,}01$.

გრუნტი გამაგრებული – ხელოვნური ნარევი, მიღებული გზაზე ან შემრევ დანადგარებში გრუნტის შერევით ორგანულ (თხევადი ბიტუმი, ბიტუმის ემულსია, აქაფებული ბიტუმი) ან მინერალურ (ცემენტი, კირი, ნაცარი) შემკვრელთან ან მათ გარეშე. გამოიყენება გზის საფუძვლის ან საფარის მოსაწყობად.

გრუნტი გაყინული – გრუნტი, რომელსაც აქვს უარყოფითი ან ნულოვანი ტემპერატურა, შეიცავს ხილულ ყინულის ჩანართებს და ყინულ-ცემენტს და ახასიათებს კრიოგენური სტრუქტურული კავშირები.

გრუნტი გაყინული ამობურცული – დისპერსიული გრუნტი, რომლის მოცულობა ლღობისას მცირდება.

გრუნტი გაცივებული – გაზინთული მსხვილნატეხებიანი, ქვიშოვანი და თიხოვანი გრუნტები, რომელთა უარყოფითი ტემპერატურა მათი გაყინვის დაწყების ტემპერატურაზე მაღალია.

გრუნტი გაჯირჯვებადი – გრუნტი, რომელიც წყლით ან სხვა სითხით დასველებისას მოცულობაში იმატებს და ფარდობითი გაჯირჯვების დეფორმაცია $\varepsilon_{sw} \geq 0{,}04$.

გრუნტი დაჯდომადი – გრუნტი, რომელიც გარე დატვირთვისა და საკუთარი წონის ან მარტო საკუთარი წონის მოქმედებით, წყლით ან სხვა სითხით დასველებისას, განიცდის ვერტიკალურ დეფორმაციას (დაჯდომას) და აქვს დაჯდენის ფარდობითი დეფორმაცია $\varepsilon_{sl} \geq 0{,}01$. დაჯდომად გრუნტებზე ასაგები შენობების სიმტკიცის, მდგრადობისა და ექსპლუატაციური გამოსადეგობის უზრუნველსაყოფად ახორციელებენ გრუნტის ფენის ჩაჭრას, წყალდამცავ და თბოსაიზოლაციო ღონისძიებებს.

გრუნტი დისპერსიული – გრუნტი, შედგენილი ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული სხვადასხვა ზომის ცალკეული მინერალური ნაწილაკებისაგან (მარცვლებისაგან); ყალიბდება კლდოვანი გრუნტების გამოფიტვის შედეგად, გამოფიტვის პროდუქტების შემდეგი ტრანსპორტირებით წყლიანი ან ეოლური გზით.

გრუნტი ზამთრის – კლდოვანი გრუნტი, რომელსაც აქვს უარყოფითი ტემპერატურა და არ შეიცავს ყინულსა და გაუყინავ წყალს.

გრუნტი თიხოვანი – გრუნტის სახეობა, რომელსაც უნარი აქვს შეიკუმშოს, წაირეცხოს და გაყინვისას – გაჯირჯვდეს. შედგება ქერცლის ფორმის უწვრილესი ნაწილაკებისაგან 0,005 მმ-ზე ნაკლები ზომით; აქვს დიდი რაოდენობით თხელი კაპილარები და ნაწილაკების შეხების დიდი კუთრი ზედაპირი. კაპილარები და ფორები შევსებულია წყლით, რის გამოც გ. თ. არის ბლანტი მასა, ხოლო გაყინვისას იზრდება მოცულობაში და ჯირჯვდება. დატვირთვების მოქმედებისას გ. თ. კუმშვის პროცესი ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ქვიშოვანის, ამიტომ ასეთ გრუნტზე აგებული შენობის დაჯდომა მიმდინარეობს ხანგრძლივად. რაც მეტია თიხოვან გრუნტში წყლის რაოდენობა, მით ნაკლებია მისი მზიდუნარიანობა.

გრუნტი კლდოვანი – გრუნტი, შედგენილი ერთი ან რამდენიმე მინერალის კრისტალებისაგან, რომელსაც აქვს კრისტალური ტიპის ხისტი სტრუქტურული კავშირები.

გრუნტი მონალექი – ტექნოგენური გრუნტები, რომელთა გადაადგილება და ჩაწყობა ხორციელდება ჰიდრომექანიზაციის საშუალებებით.

გრუნტი მსხვილნატეხებიანი – შეუკავშირებელი გრუნტი, რომელშიც 2 მმ-ზე მეტი ზომის ნაწილაკების მასა შეადგენს 50%-ზე მეტს.

გრუნტი მუდმივგაყინული – გრუნტი, რომელსაც აქვს უარყოფითი ტემპერატურა, შეიცავს ყინულოვან ჩანართებს და არ დნება 3 და მეტი წლის განმავლობაში. გ. მ. მოითხოვს სპეციფიკურ გადაწყვეტებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, წყალმომარაგების, ტერიტორიების ათვისების დროს წარმოქმნილ სიტუაციებში.

გრუნტი მყარად გაყინული – დისპერსიული გრუნტი, მტკიცედ შეცემენტებული ყინულით, რომელიც ხასიათდება მყიფე რღვევით და გარე დატვირთვების მოქმედებით პრაქტიკულად არ იკუმშება.

გრუნტი მცურავი – ფხვიერი ქვიშოვანი ქანების თავმოყრა, რომელიც წყლით არის გაჯერებული და განსაზღვრულ ჰიდროდინამიკურ პირობებში იძენს დიდ ძრაობადობას (ცურვას). განარჩევენ შემდეგ გ. მ.: ბუნებრივს (ქვიშები, რომლებიც შეიცავენ ჰიგროფობულ კოლოიდებს) და ცრუს (რომელიც არ შეიცავს კოლოიდურ ნაწილაკებს).

გრუნტი ნაყარი – 1. მიწა, ნიადაგი; ნაყარი ზედაფენა მიწისა, ნიადაგისა; 2. ტექნოგენური გრუნტი, რომლის გადაადგილება და დაყრა განხორციელებულია სატრანსპორტო საშუალებებით, აფეთქებით.

გრუნტი ნახევრადკლდოვანი – გრუნტი, შედგენილი ერთი ან რამდენიმე მინერალისგან, რომელთაც აქვთ ცემენტაციური ტიპის ხისტი სტრუქტურული კავშირები. პირობითი საზღვარი კლდოვან და ნახევრადკლდოვან გრუნტებს შორის მიიღება სიმტკიცის მიხედვით ერთღერძა კუმშვისას ($R_ჯ$ > 5 მპა – კლდოვანი გრუნტი; $R_ჯ$ < 5 მპა – ნახევრადკლდოვანი გრუნტი).

გრუნტი პლასიკურად გაყინული – დისპერსიული გრუნტი, შეცემენტებული ყინულით, მაგრამ აღჭურვილი ბლანტი თვისებებითა და კუმშვადობით გარე დატვირთვების ქვეშ.

გრუნტი სეზონურად გაყინვადი – გრუნტი, რომელიც ცივი სეზონის განმავლობაში პერიოდულად გაყინულ მდგომარეობაშია.

გრუნტი ტექნოგენური – გრუნტი, შექმნილი ადამიანის მიერ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქმიანობის შედეგად.

გრუნტი ტორფიანი – ქვიშისა და ტორფის (10-დან 50%-მდე მასის მიხედვით) შერეული გრუნტი.

გრუნტი ქვიშოვანი – ფხვიერი გრუნტი შედგენილი ბურთულოვანი წვრილი ნაწილაკებისაგან ზომით 0,1 მმ-ზე მეტი (2 მმ-ზე ნაკლები ზომის ნაწილაკების წილობრივი რაოდენობა შეადგენს 50%-ზე მეტს). ფორიანობა 0,2-0,5 (გაცილებით ნაკლები ვიდრე თიხოვანი გრუნტების), მშრალ მდგომარეობაში არ ახასიათებს პლასტიკურობა,

წყალგამტარია, გარკვეული სიჩქარის წყლის მოდინება იწვევს მის გამორეცხვას, სწრაფად მჭიდროვდება, მზიდუნარიანობა შეადგენს 1-დან 6 კგ/სმ²-მდე და დამოკიდებულია ტენიანობაზე და შემჭიდროების ხარისხზე – რაც ნაკლებია ტენიანობა და მეტია შემჭიდროების ხარისხი, მით მეტია მისი მზიდუნარიანობა. საძირკვლების მოსაწყობად უმჯობესია მსხვილმარცვლოვანი ქვიშოვანი გრუნტის გამოყენება.

გრუნტის გადამეტტენიანობა – გრუნტის სრული გაჯერება წყლით, რაც იწვევს მისი სტრუქტურის რღვევასა და ზიდვის უნარის დაკარგვას.

გრუნტის გადასასხსნელი შრე – გრუნტის მინერალური შრე, განლაგებული კონტინენტური კლდოვანი ქანების ზევით, რომელიც მშენებლობის დაწყებამდე ექვემდებარება მოხსნასა და გატანას სამშენებლო მოედნიდან, შემდეგში კლდოვანი გრუნტის ეფექტური დამუშავებისათვის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით.

გრუნტის გალღობის საწყისი ტემპერატურა – ტემპერატურა, °C, რომლის დროსაც გრუნტის ფორებში ქრება ყინული.

გრუნტის გამაგრება – გრუნტის თვისებათა ხელოვნური გარდაქმნა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით. გამაგრების შედეგად იზრდება ნაგებობის ფუძის მზიდუნარიანობა, წარეცხვისადმი წინააღმდეგობა და წყალშეუღწევობა, სიმტკიცე და სხვ. გრუნტის გამაგრების ძირითადი ხერხებია: ცემენტაცია, სილიკატიზაცია, ბიტუმიზაცია, გათიხვა, გაფისვა, ელექტროქიმიური და თერმული ზემოქმედება, ხელოვნური გაყინვა. გრუნტის უკუჩაყრა და დატკეპნა, გეოსინთეტიკური ბადეების მოწყობა, ელექტროოსმოსური დაშრობა, ელექტროქიმიური გამაგრება, გამოწვა, ტორკრეტბეტონით და ნაშხეფბეტონით დაფარვა და სხვ.

გრუნტის გამოფიტვის კოეფიციენტი – გამოფიტული გრუნტის სიმკვრივის ფარდობა მონოლითური გრუნტის სიმკვრივესთან.

გრუნტის გაყინვა – გრუნტის გადასვლა მდნარი მდგომარეობიდან გაყინულში. აქვს უარყოფითი ან ნულოვანი ტემპერატურა. გ. გ. სიღრმეზე დამოკიდებულია ნაგებობის საძირკვლის ჩაღრმავება ანუ საძირკვლის ძირის ნიშნული, რომელიც უნდა მდებარეობდეს გ. გ. სიღმის ნიშნულის ქვევით. გრუნტის ჩაყინვის სიღრმე გამოითვლება წლის განმავლობაში უარყოფითი საშუალო თვიური ტემპერატურისა და გრუნტის სახეობის მიხედვით.

გრუნტის გაყინვის საწყისი ტემპერატურა – ტემპერატურა, °C, რომლის დროსაც გრუნტის ფორებში ჩნდება ყინული.

გრუნტის გრანულომეტრიული შემადგენლობა – დისპერსიულ გრუნტებში სხვადასხვა სიმსხოს ნაწილაკების რაოდენობრივი თანაფარდობა ანუ გრუნტის პირველადი ნაწილაკების პროცენტული წონითი შემცველობა (ერთნაირი მარცვლებისა და ნაწილაკების ერთობლიობა). მისი განსაზღვრისათვის გამოიყენება გაცრითი (ფხვიერი გრუნტებისათვის) ან არეომეტრიული პიპეტური (შეკრული გრუნტებისათვის) მეთოდი. ყველაზე ხშირად გამოიყენება ფრაქციების (ნაწილაკების ზომები მმ-ში) შემდეგი კლასიფიკაცია: კაჭარი მსხვილი >500, საშუალო 500-250, წვრილი 250-100; ღორღი (კენჭი) მსხვილი100-50, საშუალო 50-25, წვრილი 25-10; ხრეში (ხვინჭა) მსხვილი 10-5, წვრილი 5-2; ქვიშა ძალიან მსხვილი 2-1, მსხვილი 1-0,5, საშუალო 0,5-0,25, წვრილი 0,25-0,1, წვრილმარცვლოვანი 0,1-0,05, მტვერი

0,05-0,005; თიხა <0,005. გრუნტის მოსამზადებლად გრანულომეტრიული ანალიზისათვის გამოიყენება დისპერგირების სხვადასხვა მეთოდი: ნიმუშის გაქნა პასტაში ნატრიუმის პიროფოსფორმჟავას დამატებით, ან მარილმჟავას დამატებით და გარეცხვით, დუღება ამიაკის ხსნარის დამატებით, ულტრაბგერითი დამუშავება და სხვ.

გრუნტის დაცურება – მიწის ზედაპირის მიმართ დახრილი და ჩაუმაგრებელი ფერდობის გრუნტის გადაადგილება ქვევით ფერდის მიმართულებით, რომლის დროსაც სტატიკური წონასწორობა ფერდობისა შენარჩუნებულია მხოლოდ ან ხახუნის ძალის წინაღობით, ან შეჭიდულობის ან სხვა პასიური ძალებით.

გრუნტის დაჯდომა – შვეულად ძირს მიმართული კუმშვითი დეფორმაცია, რომლის დროსაც გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები უმნიშვნელოდ იცვლება.

გრუნტის დინამიკური ზონდირება – ზონდის გრუნტში ჩაძირვის პროცესი დარტყმითი (დარტყმითი ზონდირება) ან დარტყმით-ვიბრაციული (დარტყმით-ვიბრაციული ზონდირება) ძალის მოქმედებით. გამოიყენება გრუნტის წინაღობის მაჩვენებლების გასაზომად.

გრუნტის დონე – საკონტროლო დონე, რომელიც წარმოადგენს შენობის ექსტერიერის კედლების მოსაზღვრე გრუნტის დასრულებული ზედაპირის გასაშუალებულ დონეს. თუ გრუნტის დასრულებული ზედაპირის დონე ექსტერიერის კედლებიდან დამრეცად მიდის, საკონტროლო დონე განისაზღვრება შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულის მიხედვით, თუ მიწის ნაკვეთის საზღვარი შენობიდან დაშორებულია 1,8 მ-ზე მეტად, მაშინ შენობასა და შენობიდან 1,8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით.

გრუნტის კრიოგენური სტრუქტურული კავშირები – კრისტალური კავშირები ტენიან დისპერსიულ და ბზარებიან კლდოვან გრუნტებში, წარმოქმნილი უარყოფით ტემპერატურაზე ყინულით შეცემენტების შედეგად.

გრუნტის კრიოგენური ტექსტურა – გაყინული გრუნტის წარმოქმნის ნიშნების ერთობლიობა, განპირობებული სხვადასხვა ფორმისა და ზომის ყინულოვანი წარმონაქმნისა და ყინულ-ცემენტის ორიენტაციით, ფარდობითი განლაგებითა და განაწილებით.

გრუნტის კუთრი შეჭიდულობა – სიმტკიცის მახასიათებელი, რომელიც განისაზღვრება, როგორც არაკლდოვანი გრუნტის სტრუქტურული კავშირების წინააღმდეგობა მათ მიერ შეჭიდული ნაწილაკების ნებისმიერ გადაადგილებაზე.

გრუნტის მარილიანობა – მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს გრუნტში არსებულ წყალში ხსნადი მარილების რაოდენობას პროცენტებში.

გრუნტის მდგრადობა – გრუნტის ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნება ხანგრძლივ პერიოდში. გ. მ. დაკარგვა იწვევს მეწყერებს, შენობების ნგრევას, ლანდშაფტის ცვლილებებს, რაც უარყოფითად მოქმედებს გარემო პირობებზე და ხშირად მიზეზი ხდება დიდი ადამიანური მსხვერპლისა. ფერდობის მდგრადობის პრობლემა აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ადამიანის საქმიანობის შედეგად დაირღვა მყიფე ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, რაც გამოიხატა ხელოვნური – ნათხარი და ნაყარი ფერდობების დაკონსტრუირების მოთხოვნილების გაზრდაში. ამ უკანასკნელმა კი თავისთავად დღის წესრიგში დააყენა

ფერდობების საანგარიშო მეთოდებისა და კვლევების საშუალებების განვითარება, რის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ფერდობების სტაბილურობის პრობლემების გადაწყვეტა. გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია და გრუნტის თვისებები წარმოადგენს ფერდობის მდგრადობის ცენტრალურ პრინციპულ საკითხებს და, შესაბამისად, ანგარიშები უნდა ეფუძნებოდეს ფერდობის ისეთ მოდელს, რომელიც ზუსტად ასახავს ფერდობის ზედაპირის პირობებს, გრუნტის ქცევასა და ფერდობზე მოსულ დატვირთვას, რაც ასევე დაკავშირებულია ფერდობის წარმოშობასთან – ბუნებრივია ის თუ ხელოვნური.

გრუნტის ნივთობრივი შემადგენლობა – გრუნტის კატეგორია, რომელიც ხასიათდება მყარი, თხევადი და აირული კომპონენტების ქიმიურ-მინერალური შედგენილობით.

გრუნტის პირობითი დინამიკური წინაღობა – გრუნტის წინაღობა ზონდის ჩაძირვისას ვიბროჩაქუჩით.

გრუნტის სილიკატიზაცია – სუსტი გრუნტების გამაგრება სილიკატური ხსნარების (თხევადი მინა, ქლორკალციუმი) გრუნტში დაჭირხვნით.

გრუნტის სიმკვრივე – 1 მ^3 გრუნტის მასა ბუნებრივ მდგომარეობაში, კგ/მ^3. ის დიდ დიაპაზონში იცვლება და შეადგენს 0,6 ტ/მ^3-დან (ლამისათვის) 3,3 ტ/მ^3-მდე (კლდოვანი გრუნტებისათვის).

გრუნტის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე – ნიმუშზე მოქმედი მრღვევი დატვირთვის ფარდობა ნიმუშის განივი კვეთის საწყის სიდიდესთან.

გრუნტის სტაბილიზაცია – გრუნტის თვისებების შეცვლა მისი დეფორმაციულობის შემცირებისა და სიმტკიცის გაზრდის მიზნით.

გრუნტის სტრუქტურა – გრუნტის კომპონენტების სივრცითი ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური (ზომა, ნაწილაკების ფორმა, მათი რაოდენობრივი თანაფარდობა), გეომეტრიული (სტრუქტურული ერთეულების სივრცითი კომპოზიცია) და ენერგეტიკული ნიშნების (სტრუქტურული კავშირების ტიპი და სტრუქტურის საერთო ენერგია) ერთობლიობით და განსაზღვრული გრუნტის კომპონენტების შედგენილობით, რაოდენობრივი თანაფარდობითა და ურთიერთმოქმედებით.

გრუნტის ტენიანობა – გრუნტში არსებული წყლის მასის ფარდობა გრუნტის მყარი ნაწილაკების მასასთან, გამოსახული პროცენტებში. ტენიანობის მიხედვით გრუნტები არსებობს: მშრალი – 5%-მდე ტენიანობით; ტენიანი – 5-30% და სველი – 30%-ზე მეტი. გრუნტში არსებულ თავისუფალ წყალს, გრუნტის წყალი ეწოდება.

გრუნტის ტექსტურა – გრუნტის შემადგენელი ელემენტების სივრცითი განლაგება (ფენიანობა, ბზარიანობა და სხვ.).

გრუნტის ფილტრაციის კოეფიციენტი – წყალუჟონადობის მაჩვენებელი, რომელიც ტოლია წყლის ფილტრაციის სიჩქარისა (მ/დღ) გრუნტში ერთის ტოლი ნაკადური გრადიენტის დროს. დამოკიდებულია გრუნტის ფორიანობაზე და სხვადასხვა გრუნტისათვის ტოლია: თიხა – 0; თიხნარები – ≤0,05; წვრილმარცვლოვანი ქვიშა – 1-დან 5-მდე; ღორღი – 50-150 მ/დღ.

გრუნტის ფორიანობის კოეფიციენტი – ბუნებრივ მდგომარეობაში გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივის (ρ_s) ფარდობა მშრალი გრუნტის სიმკვრივესთან (ρ_d). გამოითვლება ფორმულით: $e = (\rho_s - \rho_d)/\rho_d$.

გრუნტის შემამჭიდროებელი მანქანები – მანქანები, რომლებიც მოქმედების პრინციპის მიხედვით არის სტატიკური მოქმედების, დარტყმითი და ვიბრაციული. სტატიკური მოქმედების შემამჭიდროებლებს მიეკუთვნება მისაბმელი და თვითმავალი საგორავები გლუვი, წახნაგოვანი და მუშტა ზედაპირიანი დოლებით. დარტყმითი მოქმედების მანქანებს მიეკუთვნება საფეთქებელი სატკეპნები და ფილები. ვიბრაციული მოქმედების შემამჭიდროებლის რხევის სიხშირე უახლოვდება გრუნტის ნაწილაკების საკუთარ რხევათა სიხშირეს, აღიძვრება რეზონანსის მოვლენა, მცირდება ხახუნი გრუნტის ნაწილაკებს შორის, ირღვევა სტრუქტურა და გრუნტის ნაწილაკები ურთიერთგადაადგილების შედეგად იკავებენ უფრო მდგრად და მჭიდრო მდგომარეობას.

გრუნტის შეჭიდულობა – 1. კავშირი გრუნტის ნაწილაკებს შორის, რომელსაც იწვევს მიზიდულობის მოლეკულური ძალები; 2. გრუნტის ძვრაზე საწყისი წინააღმდეგობა. დამოკიდებულია გრუნტის სახეობასა და ტენიანობაზე. მაგ., ქვიშოვანი გრუნტებისათვის ის შეადგენს 0.03-0,05 მპა-ს, ხოლო თიხოვანებისათვის – 0,03-0,3 მპა-ს.

გრუნტის ჩონჩხის სიმკვრივე – მშრალი გრუნტის სიმკვრივე, კგ/მ^3, გამოთვლილი ფორმულით: $\rho = \rho/(1+W)$, სადაც ρ არის გრუნტის სიმკვრივე; W – გრუნტის ტენიანობა.

გრუნტის წყალი – ხმელეთის ზედაპირის ქვეშ არსებული პირველი უახლოესი, უდაწნეო წყლიანი ჰორიზონტი, რომელიც უმთავრესად წარმოიქმნება ატმოსფერული ნალექების, მდინარეებისა და სხვა წყლის ინფილტრაციის (ჩაჟონვის) ხარჯზე. გრუნტის წყლის სარკის თავზე გავრცელებულია კაპილარული წყალი. ხმელეთის ზედაპირიდან გრუნტის წყლის სარკემდე არსებულ ზონას აერაციის ზონა ეწოდება, რომელშიც ხდება წყლის ჩაჟონვა ზედაპირიდან, ხოლო ფილტრაციის დაბალი უნარის მქონე ქანებში ჩნდება მიწისქვეშა წყლის დროებითი დანაგროვი, ე.წ. ლეჭერი (ზედა წყალი). გრუნტის წყლის ჰორიზონტს ქვევით მდებარე წყლიან ჰორიზონტებს, რომლებიც მისგან წყალშეუღწევი ქანებითაა გამოყოფილი, ეწოდება შრეთაშორისი წყლის ჰორიზონტები. წყალი აქ, ჩვეულებრივ, ჰიდროსტატიკური წნევის ქვეშ იმყოფება, ზოგჯერ კი უდაწნევოა. შრეთაშორისი გრუნტის წყლის კვების არე განლაგებულია იქ, სადაც წყალშეუღწევადი ქანები ზედაპირზე შიშვლდება.

გრუნტის წყალშეღწევადობის ხარისხი – გრუნტის თვისება გაატაროს წყალი, რომელიც განისაზღვრება ფილტრაციის კოეფიციენტით.

გრუნტის წყალში ხსნადობის ხარისხი – გრუნტის წყალში ხსნადობის უნარის მახასიათებელი, რომელიც გამოისახება გრუნტში შემავალი წყალში ხსნადი მარილების რაოდენობით, გ/ლ.

გრუნტმცოდნეობა – საინჟინრო გეოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის გრუნტების სხვადასხვა გენეტური ტიპების შედგენილობას, მათ აღნაგობასა და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს სამშენებლო საქმეში გამოყენების თვალსაზრისით.



გრუნტული რეპერი – სანიველირო რეპერი, რომლის ფუძე თავსდება გაყინვის სიღრმის, ღღობის ან გრუნტის გადანაცვლების დონის ქვევით და როგორც სიმაღლის გეოდეზიური საფუძველი, ემსახურება გეოდეზიური ქსელის შექმნას (ნახ. 1).

გრუნტული საშენი მასალები – მასალები, ბუნებრივი და ტექნოგენური წარმოშობის, რომლებიც გამოიყენება მიწის (გრუნტის) ნაგებობების ასაგებად.

გრუნტული ფუძე – დაგეგმარებული და შემკვრივებული ადგილობრივი ან შემოტანილი გრუნტი, რომლის დანიშნულებაა დატვირთვების მიღება და განაწილება აეროდრომის ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის მზიდი კონსტრუქციების ქვეშ.

გრძედი – ერთ-ერთი კოორდინატი სფერულ კოორდინატთა სისტემის რიგში, რომელიც ადგენს დედამიწის ზედაპირის წერტილების მდებარეობას (გეოგრაფიული კოორდინატები, გეოდეზიური კოორდინატები), ციურ სფეროებსა (ციური კოორდინატები) და მზის, მთვარისა და პლანეტების ზედაპირზე (ჰელიოცენტრული, სელენოგრაფიული და პლანეტოგრაფიული კოორდინატები). გეოგრაფიული გრძედი "λ" არის ორწახნაგა კუთხე მოცემული წერტილის მერიდიანის სიბრტყესა და საწყისი მერიდიანის სიბრტყეს შორის. მას აითვლიან საწყისი მერიდიანიდან აღმოსავლეთით (აღმოსავლეთი გრძედი) და დასავლეთით (დასავლეთი გრძედი) 0-დან 180°-მდე. პრაქტიკულად გრძედი განისაზღვრება მერიდიანებს შორის დროთა სხვაობით, ამიტომ ის კუთხური ზომების ნაცვლად, შეიძლება დროის ერთეულებშიც (სთ, წთ, წმ) გამოისახოს. აღმოსავლეთი გრძედები მიიჩნევა დადებითად, ხოლო დასავლეთი გრძედები – უარყოფითად. საწყისი მერიდიანი შერჩეულია პირობითად და გადის გრინვიჩის ობსერვატორიაზე, რომელიც ლონდონის ახლოს მდებარეობს. მის გარდა, საწყის მერიდიანად სხვადასხვა დროს სხვადასხვა მერიდიანი იყო მიჩნეული. ნებისმიერი მერიდიანის გრძედის გრადუსები გლობუსსა და ნახევარსფეროების რუკაზე აღინიშნება ეკვატორზე. დედამიწის ნებისმიერი წერტილის განედი და გრძედი არის მისი გეოგრაფიული კოორდინატები. განასხვავებენ ასტრონომიულ და გეოდეზიურ გრძედებს. ასტრონომიული გრძედი დედამიწის ზედაპირზე ტოლია ადგილობრივი დროის სხვაობის. გეოდეზიური გრძედი განისაზღვრება გეოდეზიური გაზომვების გზით. ასტრონომიული გრძედი ეწოდება, აგრეთვე, ერთ-ერთ კოორდინატს ციურ კოორდინატთა ეკლიპტიკურ სისტემაში.

გრძელვადიანი ინვესტიცია – კაპიტალის ჩადება ერთ წელზე მეტი ვადით.

გრძელვადიანი ინვესტორი – ტრეიდერი, რომელიც ახდენს მრავალწლიან გარიგებებს.

გრძელვადიანი ხელოვნური წყალსაცავი – ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის ზედა ბიეფის, ასევე სარწყავი სისტემის წყალსაცავი.

გრძივა – სვეტების ან სხვა სახის საყრდენების დამაკავშირებელი ჰორიზონტალური კონსტრუქციული ელემენტი, რომელსაც ეყრდნობა გადახურვის კოჭები ან ფილები, ნივნივები და ა.შ.

გრძივი – 1. სახურავის მზიდი კონსტრუქციული ელემენტი, დაყრდნობილი სანივნივე კონსტრუქციების ზედა სარტყელზე (ნახ. 1). ამზადებენ ფიცრების



ნახ. 1

(ძელების) ან ფოლადის პროფილებისაგან. კონსტრუქციის დანიშნულებისა და მალის მიხედვით განასხვავებენ ერთმალიან ჭრილ, კონსოლურ-კოჭოვან და მრავალმალიან უჭრ გრძივებს. ქანობიანი სახურავის შემთხვევაში გ. ყოველთვის ირიბ ღუნვაზე მუშაობს; 2. მთავარი კოჭი.

გრძივი დაძაბულობა – დაძაბულობა ღეროს განივ კვეთში (გავლებული ღეროს ღერძისადმი მართობულად ან დახრილად), რომელიც მიმართულია ღეროს ღერძის პარალელურად.



გრძივი ნაკეთობა – პოლივინილქლორიდისაგან ჩამოსხმული ფუნქციური დანიშნულების, სხვადასხვა ფერის ნაკეთობა – პლინთუსი (ნახ. 1. იატაკის პლინთუსი), მილი, სახელური და სხვ.

გრძივი რხევა (ღეროსი) – რხევა, რომლის დროსაც ღეროს წერტილები ირხევიან ღეროს ღერძის პარალელურად.

გრძივი ღუნვის კოეფიციენტი – ხის კონსტრუქციებში, უგანზომილებო კოეფიციენტი (φ), რომელიც აწესრიგებს მთლიანკვეთიანი შეკუმშული ხის ელემენტის მდგრადობის საკითხს. ის დამოკიდებულია მოქნილობაზე და განისაზღვრება ფორმულით: თუ მოქნილობა $\lambda \le 70$, მაშინ $\varphi = 1 - \alpha(\lambda/100)^2$; თუ $\lambda > 70$, მაშინ $\varphi = A/\lambda^2$, სადაც კოეფიციენტი $\alpha = 0{,}8$ მერქნისათვის და $\alpha = 1$ ფანერისათვის ($A = 3000$ მერქნისათვის და $A = 2500$ ფანერისათვის). მოქნილობა $\lambda = \ell_0/r$, სადაც ℓ_0 არის ღეროს საანგარიშო სიგრძე; r – ღეროს განივკვეთის ინერციის რადიუსი ბრუტო, მაქსიმალური ზომით შესაბამისად, x და y ღერძების მიმართ. ღეროს საანგარიშო სიგრძე დამოკიდებულია კოჭის ბოლოების ჩამაგრების ტიპზე და თავისუფალ სიგრძეზე $\ell_0 = \mu\ell$, სადაც ℓ არის კოჭის თავისუფალი (გეომეტრიული) სიგრძე; μ – იხ. ჩამაგრების კოეფიციენტი.

გრძივი წიბოვნობა – მერქნის მანკი, ხის ტანზე ღრმა, გრძივი ჩაღრმავებების არსებობა, რომელიც ვრცელდება სიგრძეში რამდენიმე მეტრზე. ასეთი მანკი შეიძლება ხეს ჰქონდეს არა მარტო ძირთან, არამედ მთელ ტანზეც. წიბოვნობის მიდრეკილება აქვს წიფელას, რცხილას, თხმელას.

გრძივძელი – 1. თვითმფრინავის ფრთის გაყოლებაზე სიმაგრისათვის დატანებული ძელი; 2. ავტომობილის, ტრაქტორის ჩარჩოს სიგრძივი ძელი.

გრჯღა – დიდი ხის ტანზე განშტოებული მსხვილი ტოტი.

გუაში (ფრანგ. gouache<იტალ. guazzo წყლიანი საღებავი; ტლაშუნი, შხაპუნი, თქაფუნი) – გაუმჭვირვალე საღებავი, გაქნილი წყალსა და წებოში. ის უფრო მკვრივი და მქრქალია, ვიდრე აკვარელის საღებავი. შედგება პიგმენტის, წყლისა და შემკრავისაგან (დექსტრინი, გუმიარაბიკი), ზოგჯერ, შესაძლებელია დაემატოს თეთრა (უმარილი) ან ინერტული მასალებიც; 2. გუაშის საღებავით შესრულებული ფერწერული ნაწარმოები.

გუაში ფლუორესცენციული – გუაშის საღებავის სახეობა, რომელიც გამოიყენება დეკორატიული სამუშაოებისა და თეატრალური წარმოდგენების გასაფორმებლად. ასეთი საღებავი უხილავი ულტრაიისფერი ან ხილული იისფერი, ლურჯი, მწვანე სხივების

ზემოქმედებით იძლევა ნახატის ზედაპირის ლუმინესცენციურ ეფექტს. გ. ფ. წყალში ხსნადი საღებავია, ამიტომ მისი გამოყენება რეკომენდებულია დახურულ სათავსებში.

გუბე – ხელოვნური წყალსატევი, რომელიც განკუთვნილია სარწყავად, წყალმომარაგების, თევზის გამრავლების, ფრინველებისა და სანიტარულ-სპორტული მოთხოვნილებებისთვის. პირობითად, ხელოვნურ წყალსატევს, რომლის წყლის მოცულობა შეადგენს 1 მლნ. კუბურ მეტრს – გუბე ეწოდება, ხოლო მილიონზე მეტი მოცულობისას კი – წყალსაცავი. გ. საზრდოობს მცირე ნაკადულებით, გრუნტისა და წვიმის წყლებით. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე გუბეებს ქმნიან გამოყენებადი ადგილების მოსარწყავად, ასევე მშრალი და უწყლო ადგილების წყალმომარაგებისათვის, იქთიოფაუნისა და წყალზემოცურავე ფრინველების გამრავლებისათვის.გ. წყალი გამოიყენება აგრეთვე სარეცხად და საბანაოდ. ხშირად გარშემორტყმულია ხე-მცენარეულობით, რის შედეგადაც ქმნის საკმაოდ კარგ დასასვენებელ ადგილს. გუბე, როგორც წყლის ობიექტი, ჰიდროლოგიური ელემენტია.

გუბერის თეორია (ფორმის ცვლილების პოტენციური ენერგიის თეორია) – ჰიპოთეზა, რომლის თანახმად მასალის სახიფათო მდგომარეობის დადგომა განპირობებულია დეფორმირებადი სხეულის ერთეულ მოცულობაში ფორმის ცვლილებისას პოტენციური ენერგიის დაგროვებით.

გუგი (პოპლუქსი, დუ-უოპი) – ექსპრესიონისტული, ფუტურისტული არქიტექტურის განშტოება, რომელიც კალიფორნიაში (აშშ) წარმოიშვა 1940-იანი წლების ბოლოს სამანქანო



კულტურის, კოსმოსისა და ატომის ხანის ზეგავლენით და გრძელდებოდა 1960-იანი წლების ბოლომდე. მახვილი, მრუდი გეომეტრიული ფორმებით, მინის, ლითონისა და ნეონის ელემენტების თამამი გამოყენებით ის ყავის სახლების, მოტელებისა და საბილიარდო/ბოულინგის ბარების დამახასიათებელი ექსტერიერი გახდა 1950-იან და 60-იან წლებში. ეს სტილი ერთგვარი სინონიმია იმ თაობის სულისკვეთებისა, რომელიც დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა ამომავალ, კაშკაშა ტექნოლოგიურ, ფუტურისტულ ხანას. ზოგისთვის ტერმინი გუგი ასოცირდება ესთეტიურად განდგომილ, გარიყულ არქიტექტურულ სტილთან. სხვათათვის კი გუგი მომავლისადმი იუმორისა და ენთუზიაზმის გონებამახვილი ასახვაა არქიტექტურულ სტილში, რომელსაც აწ უკვე წარსული პერიოდის სასიამოვნო მოგონება მოაქვს.

გუგის არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშნები იყო გამოკვეთილი დეტალების სიუხვე, მახვილი კუთხეები, სინატიფე, ყოვლისმომცველობა, ილუმინირებული პლასტიკური პანელები, თავისუფალი ფორმის გამონაკვეთები და შვერილები შენობებზე, რაც სრულიად მიუღებელი იყო მოდერნისტი არქიტექტორებისთვის, თუმცა მან დამცველები პოვა პოსტმოდერნისტულ გარემოში მე-20 საუკუნის მიწურულს. საერთო ელემენტები, რომლებიც ზოგადად განასხვავებს გუგის



არქიტექტურას სხვა ფორმებისაგან, არის: სახურავები ცალ მხარეს ატყორცნილი კუთხით, რაც ნაგებობას განუმეორებელ ფორმას ანიჭებდა; ვარსვკლავთცვენა (უფრო ზუსტად – ვარსკვლავთფრქვევა) – ორნამენტი, რომელიც გუგის სტილის თითქმის ყველა ნამუშევარში მეორდება, რაც მასზე კოსმოსის ეპოქის გავლენაზე მეტყველებს. ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი ნიმუშია ფირნიში „Welcome to Fabulous Las Vegas“ (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თვალისმომჭრელ ლას-ვეგასში), რომელიც ამჟამად საქვეყნოდაა ცნობილი (ნახ. 1). გუგის სტილის ყველაზე დამახასიათებელი შენობებია: სიეტლის "სპეის ნიდლი"; ყავახანა "გუგი" (ინგლ. Googie's) და შენობა Theme Building ლოს-ანჯელესში (ნახ. 2); რესტორანი „ჯონის ბროილერ“-ი დაუნიში, კალიფორნია და სხვ.

გუდარეხის მონასტერი (ინგლ. Gudarekh Monastery) – XII-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი (ნახ. 1. საერთო ხედი). მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუდარეხის მიდამოებში, ტყეში (ნახ. 2. ადგილმდებარეობის რუკა). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, სამრეკლო, საჭამნო, ჯვრიანი შენობა, ჩუქურთმიანი შენობა, ზღუდე, ჭიშკარი, სასახლე, საჯინიბო, მარანი, სენაკი I, სენაკი II, სენაკი III, შენობა I, შენობა III, პილასტრებიანი შენობა, კლდეში გამოკვეთილი ნაგებობები და შალვას ეკლესია.



ნახ. 1

სამონასტრო კომპლექსის ნაგებობათა ერთი ჯგუფი – სასახლე, საჯინიბო, მარანი, საჭამნო, სენაკები, ჯვრიანი შენობა, ჩუქურთმიანი შენობა, ზღუდე, ჭიშკარი, პილასტრებიანი შენობა, კლდეში გამოკვეთილი ნაგებობები მიეკუთვნება XII საუკუნეს, მთავარი ტაძარი და სამრეკლო – XIII საუკუნეს, ხოლო პილასტრებიანი შენობის მინაშენები – XVI-XVII საუკუნეებს.

ტაძარს ორი მინაშენი ჰქონია. ჩრდილოთის მხრიდან მიშენებული ეგვტერი გვიანდელია, რადგან ის ფარავს ტაძრის თლილი ქვით ნაშენ პერანგს (თუ თავდაპირველად ამ მხარეს ეგვტერის აშენება იყო გადაწყვეტილი, მაშინ ძირითად კედელს ქვის პერანგით არ შემოსავდნენ). ეგვტერის კედლებისთვის ძველი ქვებიც არის გამოყენებული, მათგან ორი ქვა წარწერიანია (წარწერები პალეოგრაფიულად X-XI საუკუნეებზე მიგვითითებს). ერთი მთავრული ასოებიანი წარწერიანი ქვა კედლის წყობაში შვეულად არის ჩასმული, რაც იმას, მოწმობს, რომ ქვა სხვა ადგილიდან არის მოტანილი და მეორედაა გამოყენებული. სხვა შემთხვევაში, ბუნებრივია, წარწერას შვეულად არავინ მოათავსებდა. ყოველივე ზემოთქმული მიგვითითებს იმას, რომ ამ ადგილზე რუსუდანამდე ყოფილა ძველი ნაგებობა (სავარაუდოდ X-XI საუკუნეების). მეორე მინაშენი (კარიბჭე) ტაძარს სამხრეთის მხრიდან ჰქონდა. ორივე ეს მინაშენი ამჟამად დანგრეულია.

გუდარეხის მთავარი ტაძარი აუგია ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძეს. რუსუდანის მეფობის (1223-1245 წწ.) დროს. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა. ნაშენია კარგად გათლილი კვადრებით. აღმოსავლეთის ფასადს ამკობს ორი სამკუთხა ნიში (ნახ. 3. აღმოსავლეთი ფასადის ნიში); სარკმლის



ნახ. 2

თავზე დიდი მოჩუქურთმებული ჯვარია (ნახ. 4. ჯვარი აღმოსავლეთის ფასადზე), ქვემოთ კი – მოჩუქურთმებული კვადრატები (ნახ. 5. მოჩუქურთმებული კვადრატები აღმოსავლეთის ფასადზე). მოპირკეთებული ფასადები მდიდრულად არის მოჩუქურთმებული (ნახ. 6. რელიეფი. გუდარეხის მფარველი). აქა-იქ შემორჩენილია კედლის მხატვრობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები.

კომპლექსის თვალსაჩინო ძეგლი – ორსართულიანი სამრეკლო (ნახ. 7. სამრეკლო; ნახ. 8. რელიეფი) აგებულია 1278 წელს მეფე დიმიტრი თავდადებულის (დ. 1259 - გ. 1289 წ.) ხანაში. იგი ყველაზე ადრინდელი დათარიღებული სამრეკლოა საქართველოში. სამრეკლოს ქვედა სართული ღიაა, ზემოთ რვაღიობიანი ფანჩატურია, ხოლო მათ შუა – სადგომი.

მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ქართული საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნაგებობა – სასახლე, რომელიც აშენებულია ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე. საშენ მასალად თლილი ქვა და ქვიტკირია გამოყენებული. სასახლის სიგრძეა 17,8 მ, სიგანე – 7,0 მ. მისი დარბაზი ორსართულიანია. სავარაუდოდ მას ორი მხრიდან მინაშენები ჰქონია. სასახლის პირველ სართულზე განთავსებულია მარანი საწნახლით, ტკბილის დასაგროვებელი აუზითა და ქვევრებით (ნახ. 9. მარნის ფრაგმენტი ქვევრით). სამონასტრო კომპლექსს გარს არტყია 400 მ სიგრძის გალავანი, რომელიც დიდი ზომის კირქვის თლილი ქვებითაა ნაგები. კედლის სიმაღლეა 1,75-4,0 მ, სისქე – 0.7-0.6 მ. გალავნის მთელ სიგრძეზე, ყოველ 8 მეტრში, ჩალაგებულია მრგვალი და წახნაგოვანი ბურჯები, რომლებშიც საბრძოლო ხვრელებია დატოვებული. სამოსახლოს დასავლეთ ნაწილში გალავნის კედელზე მიშენებულია საჯინიბო, რომლის ზომებია: სიგრძე – 13.2 მ, სიგანე 5,3-დან 5,8 მ-მდე. კედლების წყობა შესრულებულია თლილი საპირე ქვებითა და ქვითკირით და ისეთივე სისქისაა, როგორც გალავნის (0,8 მ). მონასტრის დანარჩენი ნაგებობები მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.



ნახ. 3

გუდარეხის ეკლესია მთელ ქვეყანაში ცნობილი იყო იმით, რომ ჰქონდა უმშვენიერესი მოჩუქურთმებული კანკელი, რომლის გადარჩენილი ფრაგმენტები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9

გუდვილი (ინგლ. goodwill<ძვ. ინგლ. gōd კარგი, ერთად შეკრება და will სურვილი) – 1. ფირმის აქტივები, კაპიტალი, რომელიც არ ექვემდებარება მატერიალურ განზომილებას; მაგ., რეპუტაცია, ტექნიკური კომპეტენციები, კავშირები, მარკეტინგული ხერხები, ადგილმდებარეობა და სხვ.; 2. ჰიპერმარკეტი დიდ ქალაქში.



გუდრონატორი – ხელის, მისაბმელი ან თვითმავალი მანქანა ბიტუმისა და კუპრის ტრანსპორტირებისა და განაწილებისათვის გზების მშენებლობისა და რემონტის დროს (ნახ. 1. ხელის გუდრონატორი).

გუდრონი (ფრანგ. goudron კუპრი) – ბლანტი სითხე ან მყარი ასფალტისებრი შავი ფერის პროდუქტი, რომელიც რჩება ნავთობისაგან სათბობი და საზეთი ფრაქციების გამოხდის შედეგად. სიმკვრივე – 950-1030 კგ/მ^3; დნობის ტემპერატურა – 12-55°C; აალების

ტემპერატურა – 290-350°C. შეიცავს პარაფინურ და არომატულ ნახშირწყალბადებს (45-95%), ნავთობის მაღალმოლეკულურ კომპონენტებს (3-17%), აგრეთვე ნავთობის ფისებს (2-38%). ნაცრიანობა, როგორც წესი, ნაკლებია 0,5%-ზე. გუდრონის შედგენილობაში შედის (წონითი მასის მიხედვით): ნახშირბადი (85-87%), წყალბადი (9,3-11,8%), გოგირდი (0,2-6,3%, აზოტი (0,2-0,7%), ჟანგბადი (0,08-1,25%), აგრეთვე ნავთობში შემავალი ყველა ლითონი (ვანადიუმი, ნიკელი და ა.შ.). გამოიყენება საგზაო, საბურულე, სამშენებლო ბიტუმების, მცირენაცრიანი კოქსის, საპოხი ზეთების, მაზუთის, საწვავი აირების, ძრავის საწვავის, აგრეთვე ნავთობის კრეკინგისათვის საჭირო ნედლეულის საწარმოებლად.

გუთანი – ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი, რომელიც დანიშნულებისა და კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება იყოს დისკოიანი, ერთსახნისიანი, მრავალსახნისიანი, საგზაო, სადრენაჟო, არხსათხრელი, უბერკეტო, სექციებიანი, ტრაქტორის და სხვ.

გულგული (გულგული) – ხის ტანის ცენტრალური ნაწილი (ნახ. 1) დიამეტრით 5 მმ-მდე.



ნახ. 1



ნახ. 1

გულგულა გადანაცვლებული – ხის მანკი, ექსცენტრულად განთავსებული გულგულა (ნახ. 1). გადანაჭერს ოვალური ფორმა აქვს. ასეთი მანკი მკვეთრად ამცირებს ხის ტანიდან საღი მასალის გამოსავლიანობას.

გულგულა ორმაგი – სორტიმენტში ორი (ან მეტი) დამოუკიდებელი წლიური რგოლების სისტემა, რომელიც გაერთიანებულია შემომფარგვლელ ერთ სისტემაში (ნახ. 1. ორმაგი გულგულა). წარმოშობის მიზეზია ორმაგი წვერიანობა, ტანის გაორმაგება ან ორი მეზობელი ხის შეზრდა (ნახ. 2. ორმაგი შენაზარდი გულგულა). გადანაჭერზე აქვს მრგვალი ან ოვალური ფორმა გულგულების საზღვარზე შიგნით ჩანს შენაზარდი ქერქის ნარჩენები.





გულგულას სხივები – ხის ტენსავალი სხივები, რომლებიც მიმართულია გულგულადან ქერქისაკენ და ემსახურება ხის ტანის განივი მიმართულებით წყლის, ჰაერისა და ორგანული ნივთიერებების გადატანას. მისი წილი ფოთლოვან ჯიშებში მოცულობის 15%, ხოლო წიწვოვანში 6%-ია. ზოგი ჯიშის მერქანში (მუხა, წიფელი) კარგად ჩანს შეუიარაღებელი თვალითაც.

გული მერქნის – ხის ტანის განივკვეთის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა ხის ტანში ცოცხალი უჯრედების "მიძინებით", წყალგამტარი გზების ჩაკეტვით, ფისების, მარილების, საღებავების დაგროვებით, ამიტომ გული უფრო მუქი ფერისაა, ვიდრე ნაქურთენი. გული ყველაზე მკვრივი, მტკიცე და ღირებული მასალაა.

გუმბათი – გადახურვის სივრცითი მზიდი კონსტრუქცია, რომელიც ფორმით ახლოსაა ნახევარსფეროსთან ან მრუდის (ელიფსი, პარაბოლა და სხვ.) ბრუნვით ზედაპირთან (ნახ. 1. წმ. პავლე მოციქულის სახელობის ტაძარი, ქ. ლონდონი, ინგლისი). გუმბათოვანი კონსტრუქციებით უპირატესად გადაიხურება გეგმაში მრგვალი, მრავალკუთხა ან



ელიფსური დიდმალიანი სათავსები დამატებითი საყრდენების გარეშე. ვერტიკალური დატვირთვებისაგან გ. კონსტრუქციებში წარმოიშობა მკუმშავი ძალები, ხოლო საყდენებზე – განმბჯენი. გ. წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე შესწავლილ სივრცით კონსტრუქციას, რომელიც ძირითადად გამოიყენება სამოქალაქო და რელიგიური დანიშნულების ნაგებობებში უძველესი დროიდან. მასალა, რომლისაგანაც ამზადებენ გუმბათებს, გავლენას ახდენს კონსტრუქციულ სქემაზე და აგების მეთოდებზე.

ძველი რომიდან დაწყებული მე-20 საუკუნემდე გ. ასაგებად გამოიყენებოდა ბუნებრივი ქვა, ბოლო ასწლეულში კი გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა რკინაბეტონმა (მალით 100 მ-მდე), ლითონმა და დაწებებულმა მერქანმა (მალით > 100 მ). გუმბათის მოხაზულობა დამოკიდებულია არქიტექტურულ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებზე, მასალის სახეობაზე, ელემენტების ტიპიზაციაზე, დამზადების სიმარტივეზე, ტრანსპორტირებასა და კონსტრუქციის მონტაჟზე. გ. გარსი ითვლება დამრეცად, თუ აწევის ისრის ფარდობა დიამეტრთან $f/D \leq 0{,}2$. გ. მოქმედი დატვირთვების ძირითად სახეობებს მიეკუთვნება კონსტრუქციის საკუთარი წონა, თოვლი, ტექნოლოგიური დატვირთვები და ქარი. გ. გაანგარიშების მეთოდიკა დამოკიდებულია გარსისა და დატვირთვის სახეობაზე. დატვირთვა გ. შეიძლება მოქმედებდეს ღერძულ-სიმეტრიულად ან არასიმეტრიულად. პირველს მიეკუთვნება კონსტრუქციის საკუთარი წონა, აგრეთვე, როგორც ვარიანტი, თოვლის თანაბარგანაწილებული დატვირთვა და სიმეტრიულად განლაგებული შეკიდებული



მოწყობილობების წონა; მეორეს – ქარის დატვირთვა; როგორც ვარიანტი – ცალმხრივი თოვლისა და სიმეტრიული მოწყობილობების მასა. კონსტრუქციული მოსაზრებებიდან გამომდინარე ანსხვავებენ წიბოვან, წიბოვან-რგოლურ და ბადისებრ გუმბათებს. ნებისმიერი, ამ სახის გუმბათებიდან, შედგება წიბოების სისტემისაგან (კარკასი), საყრდენი რგოლებისაგან და შემომფარგვლელი კონსტრუქციებისაგან – ფენილი, შემოსვა, პანელი. ეს უკანასკნელი შეიძლება ჩართული იყოს კარკასის მუშაობაში. არსებობს აგრეთვე სხვა სახის გუმბათებიც, როგორებიცაა თხელკედლიანი და ფულერის გუმბათ-გარსები, გეოდეზიური გუმბათები (ნახ. 2. გეოდეზიური გუმბათი დიამეტრით D ≈ 188 მ, აწევის ისარი f ≈ 67 მ, ქ. ნაგოია, იაპონია) და სხვ.

გუმბათი ბადისებრი – სფერულ ზედაპირში ჩაწერილი მრავალწახნაგებით შედგენილი ბადისებრი კონსტრუქცია, რომელიც შედგება სამკუთხედების, ტრაპეციების, რომბების, ხუთკუთხედების, ექვსკუთხედების (ნახ. 1. მასალათმცოდნეებისა და ინჟინრების ორგანიზაცია ASM International-ის შტაბ-ბინის გუმბათი, რასელის დასახლება, ჯიოგას ოლქი, ოჰაიოს შტატი, აშშ) ან სხვა ფიგურების ერთობლიობისაგან. გისოსის ელემენტები კვანძებში შეერთებულია სახსროვნად. გ. ბ. წარმოადგენს განმბჯენიან სისტემას, რომელსაც იღებს ქვედა საყრდენი რგოლი. გუმბათების ბადისებრმა სქემებმა ფართო გავრცელება პოვა დიდი დიამეტრის (100 მ და მეტი) გარსების მშენებლობაში. პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელდა გუმბათები სამკუთხა უჯრედებით, რასაც განსაზღვრავს წიბოვან-რგოლური გუმბათები გისოსოვანი კავშირებით. განასხვავებენ ბადისებრი ზედაპირების მიღების ორ მეთოდს: შედარებით დამრეცი გუმბათებისათვის მისაღებია პირველი მეთოდი, რომელიც ემყარება ბრტყელი ბადის აგებას მრავალი ერთნაირი სივრცითი ზედაპირის სექტორებისაგან და შემდეგ მის დაპროექტებას გუმბათის მრუდწირულ ზედაპირზე. ასეთს მიეკუთვნება ბადისებრი გუმბათის შემდეგი სქემები: წიბოვან-რგოლური გისოსიანი კავშირებით (შვედლერის გუმბათი); ვარსკვლავისებრი სქემა (ფეპლის გუმბათი); "ჩივიტას" სქემა; რომბული სქემა. ბადისებრი ზედაპირის აგების მეორე მეთოდი უფრო გამოსადეგია შემაღლებული სფერული გუმბათისათვის და დაფუძნებულია სფეროში ჩაწერილი წესიერი მრავალწახნაგების – დოდეკაედრის (თორმეტწახნაგა) და კოსაედრის (ოცწახნაგა) თანდათანობით დანაწევრებაზე. ელემენტარული სამკუთხედები სფეროს დანაწევრების შემდეგ შეიძლება გაერთიანდნენ რომბულ, სამკუთხა, ექვსკუთხა პანელებად. ბადისებრი ზედაპირის მიღების ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება პლასტმასების, ლითონისა და ხის ასაწყობი გუმბათების მშენებლობაში.



ნახ. 1

გუმბათი ბოლქვისებრი – რუსულ არქიტექტურაში გავრცელებული გუმბათის ფორმა, რომელიც გარეგნულად ბოლქვს წააგავს და, ჩვეულებრივ, ამოყვანილია ცილინდრული ფორმის გუმბათის ყელზე.

გუმბათი გეოდეზიური – ფუტურისტული სფერული არქიტექტურული ნაგებობა, აწყობილი ცალკეული ღეროებისაგან, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან გეოდეზიურ სტრუქტურას, რის

გამოც ასეთი ნაგებობა გამოირჩევა მაღალი მზიდუნარიანობით. გ. გ. არის მზიდი ბადისებრი გარსი (ნახ. 1. რიჩარდ ბაკმინსტერ ფულერის გეოდეზიური გუმბათი აშშ-ს ამუნდსენ-სკოტის სამხრეთ პოლუსის სამეცნიერო-კვლევით სადგურში, ანტარქტიდა). გუმბათის ფორმას განსაზღვრავს სტრუქტურის კვანძებში თავმოყრილი, ოდნავ განსხვავებული სიგრძის ღეროების მიერ შექმნილი მრავალწახნაგები, რომლებიც მოხაზულობით ახლოს არიან სფეროს სეგმენტის ფორმასთან. ღეროებად გამოყენებულია ძირითადად წრიული და კვადრატული განივკვეთის ფოლადისა და ალუმინის პროფილები. გ. გ. ხშირად ფულერის გუმბათებსაც უწოდებენ (ცნობილი ამერიკელი არქიტექტორის რიჩარდ ფულერის პატივსაცემად). ასეთი კონსტრუქციებით შესაძლებელია გადაიხუროს დიდი ფართობები დამატებითი შუალედი საყრდენების გარეშე, რაც უზრუნველყოფს მათ ფართოდ გამოყენებას ისეთი ნაგებობების მშენებლობაში, როგორებიცაა: ორანჟერეა, პლანეტარიუმი, აუდიტორია, ანგარი, საწყობი, საგამოფენო პავილიონი და სხვ.



ნახ. 1

გუმბათი მრავალწახნაგა – გეოდეზიური გუმბათის სახეობა, რომელსაც აქვს სამკუთხა უჯრედებიანი ბადისებრი ზედაპირი, აწყობილი წრიული განივკვეთის ფოლადის სწორხაზოვანი ღეროებით (იხ. გუმბათი გეოდეზიური, ნახ. 1). გ. მ. შესაძლებელია დიდმალიანი შენობების გადახურვა.

გუმბათი ფულერის – სფერული არქიტექტურული სივრცითი ნაგებობა (იხ. გუმბათი გეოდეზიური, ნახ. 1).

გუმბათი ქოლგისებრი – შეაფრული ნაწილებისაგან შემდგარი გუმბათი, რომელიც წააგავს გახსნილ ქოლგას.



გუმბათი შეაფრული – გუმბათი (ან კამარა), რომელიც შექმნილია გვერდითი ნაწილების ჩამოჭრით შვეული სიბრტყეებით (ნახ. 1).



გუმბათი წიბოვან-რგოლური – გუმბათი, რომელიც შედგება ისეთივე ძირითადი ელემენტებისაგან, როგორც წიბოვანი. განსხვავება ისაა, რომ მას დამატებული აქვს შუალედი მზიდი ჰორიზონტალური რგოლები, რომლებიც

წარმოადგენენ წესიერ მრავალკუთხედებს. მათი ზომები მცირდება საყრდენიდან კეხისაკენ. ეს რგოლები გუმბათის ყველა წიბოს აერთიანებს ერთიან სივრცით კონსტრუქციად, რომელსაც აქვს გაცილებით მეტი მზიდუნარიანობა, ვიდრე წიბოვან გუმბათს (ნახ. 1. ბირმინგემის უნივერსიტეტის Bramall Music Hall-ის ერთ-ერთი ფოლადის გუმბათი მშენებელობის პროცესში, ქ. ბირმინგემი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო).

გუმბათი წიბოვანი – წრის რკალის შესაბამისად, მზიდი მოღუნული თაღებისაგან (წიბოებისაგან) შედგენილი გუმბათი (ნახ. 1. ლიპყინულის საწინააღმდეგო ქიმიური რეაგენტების საწყობის 36 მ დიამეტრის მქონე გუმბათის ფრაგმენტი, ქ. სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია). თაღები განლაგებულია მერიდიანული მიმართულებით, ერთმანეთისგან თანაბარი დაშორებით, რომელიც მინიმალურია ზედა საყრდენ რგოლთან (დისკოსთან) და მაქსიმალურია ქვედასთან. თაღები შეიძლება იყოს მუდმივკვეთიანი ან ცვლადკვეთიანი კვეთის სიმაღლის კლებით ქუსლიდან კეხისაკენ. იმ შემთხვევაში, თუ თაღებად გამოყენებულია სწორხაზოვანი ელემენტები, მაშინ მიიღება კონუსური გუმბათი. ზედა (კეხის) საყრდენი რგოლი შეიძლება იყოს ხის ან ლითონის და ემსახურება თაღების ზედა ბოლოების შეერთებას, ხოლო ქვედა საყრდენი რგოლი, რომელსაც წრის ან წესიერი მრავალკუთხედის ფორმა აქვს, სრულდება რკ.ბ.-ისაგან. გ. წ. გაანგარიშება მისი ღერძის მიმართ ვერტიკალურ სიმეტრიულ დატვირთვაზე დაიყვანება ცალკეული ბრტყელი თაღების გაანგარიშებაზე, რომელთაგანაც თითოეული იღებს დატვირთვას სამკუთხედის ფორმის სატვირთო ფართობიდან. შესაბამისად, ჩვეულებრივი თაღებისგან განსხვავებით, ნახევართაღის მალის ფარგლებში მის გრძივ მეტრზე მოსული სატვირთო ფართობი და, აქედან გამომდინარე, თაღის გრძივი მეტრის დატვირთვა ცვალებადია (მაქსიმუმი ქვედა საყრდენთან და მინიმუმი – ზედასთან).



გუმბათის ყელი – ტაძრის ან სხვა ნაგებობის ცილინდრული ან მრავალწახნაგა მოცულობა (დაბოლოება, კენწერო), რომლის თავზეც გუმბათია. ასეთ მოცულობაში შიგა სივრცის გასანათებლად სარკმლებია გაჭრილი. იმ შემთხვევაში, როდესაც გუმბათის ყელი კვადრატული შენობის თავზეა ამოყვანილი, კვადრატული საფუძვლისა და გუმბათის ყელის დასაკავშირებლად იყენებდნენ ტრომპს ან აფრას (პანდატივს). თანამედროვე არქიტექტურაში გუმბათის ყელს ათავსებენ სვეტებზე დაყრდობილ რკ.ბ.-ის სარტყელზე. გავრცელებულია ქართულ (ნახ. 1. ბაგრატის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის გუმბათის ყელი, ქ. ქუთაისი, საქართველო), სომხურ, ძველ რუსულ და სხვ. ხუროთმოძღვრებაში.



გუმბათოვანი სახურავი – გუმბათის ფორმის სახურავი.

გუმბრინი – ბენტონიტური მათეთრებელი თიხის სახეობა, რომლის საბადოები განლაგებულია წყალტუბოს რაიონის ს. გუმბრაში. მისი მთავარი ქანთმშენი მინერალია მონტმორილონიტი. შეიცავს აგრეთვე გლაუკონიტს, პლაგიოკლაზს, კრისტობალიტსა და ზოგიერთ სხვა მინერალს. გამოიყენება, როგორც სორბენტი (მშთანთქმელი)

გუმიარაბიკი (შუაინგლ. gum arabic<ლათ. gummi გუმფისი და arabicus არაბეთისა) – ქაღალდის ერთგვარი წებო. მყარი გამჭვირვალე ფისი, რომელიც შედგება სხვადასხვა ჯიშის აკაციის ხის [მაგ., Acacia nilotica; Acacia senegal; Vachellia (Acacia) seyal] გამშრალი წვენისაგან. ძირითადი მწარმოებელია სუდანი (მსოფლიო წარმოების 80%). გამოიყენება ლითოგრაფიაში, აკვარელისა და გუაშის საღებავების დასამზადებლად, კვების მრეწველობაში (შედის მაგ., "კოკა-კოლას" შემადგენლობაში, როგორც ემულგატორი) და სხვ.

გუმირება (<ლათ. gummi გუმფისი) – იხ. მორეზინება.

გუმოზა (ლათ. gummi გუმფისი) – ხის წებო, გუმფისი; წებოვანი ფერადი სალბუნი.

გურზი – 1. ტევადობის შიგნით მოთავსებული ვიბრატორის ბუნიკი ბეტონის ნარევის შემკვრივებისათვის; წარმოადგენს ჰერმეტულად დახურულ გარსაცმს, რომლის შიგნით განლაგებულია ელექტრომძრავა მის ლილვზე დამაგრებული დებალანსით; 2. ჯაჭვის ბოლოში დამაგრებული რკინის დიდი ბურთი; 3. ფოლადის ძველებური საბრძოლო იარაღი, სახელურის მქონე წვეტებიანი სფერო. ხელში სატრიალებელი სპორტული იარაღი.

გურტი (გერმ. gurt სარტყელი, მოსართავი) – 1. იხ. ნერვიურა; 2. ნუმიზმ. მონეტის, მედლის და მისთ. წიბო (გვერდის ზედაპირი).

გურჯაანის ყველაწმინდის ტაძარი (ინგლ. Gurjaani All-Holy Temple) – VIII-IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძირების სამონასტრო კომპლექსის მთავარი ნაგებობა, საქართველოში ერთადერთი ორ გუმბათოვანი ტაძარი (ნახ. 1). მდებარეობს კახეთის მხარეში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ გურჯაანის მახლობლად, ტყეში, ქ. გურჯაანიდან 2 კმ-ის დაშორებით.



ნახ. 1

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს ტაძარი თამარ მეფის დროიდან ენისელი მოურავების საკუთრებაში იყო. XVII საუკუნეში იგი თავად ჯანო ანდრონიკაშვილს ეკუთვნის, ხოლო შემდეგ თავად ნოდარ ჯორჯაძის გამგებლობაშია.



ნახ. 2

არქიტექტურულად რთული აგებულების ტაძარი, შიდა სივრცის გადაწყვეტის მიხედვით, სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ გუმბათოვანი გადახურვა აქვს, თანაც ტაძარს ერთის

ნაცვლად ორი ადგას, რაც მას მკვეთრად გამოარჩევს სხვა ქართული ძეგლებისგან. ტაძრის ასაგებად გამოყენებულია სამნაირი საშენი მასალა: რიყის ქვა, შირიმი და კვადრატული აგური. გვხვდება საგანგებო ფორმის აგურებიც სვეტისთავებისა და სხვა სპეციფიკური დეტალებისათვის. ნავებიცა და გუმბათებიც დახურულია ღარისებრი კრამიტით. შუა, მაღალი ნავი ორფერდა სახურავითაა გადახურული, ნალისებრი აფსიდით სრულდება და სამი კვადრატისგან შედგება. პირველსა და მესამე კვადრატებზე ამოყვანილია რვაწახნაგა გუმბათები ტრომპების მეშვეობით. დასავლეთი გუმბათი ოდნავ მაღალი და განიერია, ვიდრე აღმოსავლეთი. ნალისებრი აფსიდის გვერდით საკურთხევლის დამხმარე სათავსებია – სამკვეთლო (ჩრდილოეთით) და სადიაკვნე (სამხრეთით). მთავარ ნავს სამხრეთსა და ჩრდილოეთიდან ეკვრის კამარებით გადახურული ორი გვერდითი ნავი, რომლებიც ერთმანეთს თავიანთივე სიგანის ნავით უკავშირდებიან დასავლეთის მხრიდან. სამივე ნავი ორსართულიანია. აღმოსავლეთ ბოლოებში დამატებითი სამლოცველოა ეკვდერებით, ხოლო დასავლეთი ნაწილი სამ იარუსად განლაგებული თაღებით იხსნება და წარმოქმნის პატრონიკეს, ანუ საგანგებო ადგილს საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლებისთვის ლიტურგიის მოსასმენად (ნახ. 2). ტაძარში დაცული სიწმინდეებიდან აღსანიშნავია ივერიის ღვთისმშობლის სასაწაულმოქმედი ჭედური ხატი (დაკარგულია), ვერცხლის საცეცხლური (ტაძრისთვის შეუწირავს იმერეთის მეფის სოლომონის დას მარიამს), პარაკლიტონი (საგალობელთა კრებული) და ეტრატზე დაწერილი სახარება მახარებელთა მინიატურებით.

გუტი (ინგლ. gutta<შუაინგლ. goute, gutta<ლათ. gutta წვეთი) – 1. კლასიკურ არქიტექტურაში, დორიული ორდერის ანტაბლემენტის ქვედა ზედაპირსა და თაროებზე უმეტესად კონუსური ფორმის დეკორატიული სამკაულები – წვეთის მსგავსი ორნამენტები; სამ რიგად განლაგებული 6-6 გუტი მოთავსებულია ფრიზის ზემოთ, მართკუთხა შვერილების (მუტულების) ქვედა მხარეზე და ჩვეულებრივ 6-6 შვერილის სახით კლასიკური დორიული არქიტექტურული ორდერის ანტაბლემენტის ქვედა ნაწილში, არქიტრავის ზედა ნაწილზე, ტრიგლიფის ქვემოთ, რეგულას ქვედა მხარეზე; 2. ორნამენტული მოტივის სახეობა (იხ. ორნამენტული მოტივი "გუტი", ნახ. 1 - ნახ. 4).